

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნიწო ვახანია**

**ჩვენი**

**XIX**

**საუკუნე**

ლექციები  
ქართული  
ლიტერატურის  
ისტორიიდან



თბილისი  
2012

ნიგნს საფუძვლად უდევს ლექციები, რომლებსაც სოხუმის უნივერსიტეტში აგერ უკვე თითქმის ოცი წელია ვკითხულობ.

ჩემთვის დაუვინყარია სტუდენტობისას ამ საგანში (XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორია) მოსმენილი ლექციების ციკლი. ლექტორის ცოცხალი თხრობა არამარტო გვასწავლიდა, სახიერადაც გვიხატავდა ნარსულს, გარდასულ დღეთა თვითმხილველად და თანამონაწილედ გვაგრძნობინებდა თავს. საცა სამართალია, თავისი სალექციო ჩანაწერები თვითონ მას უნდა გამოეცა წიგნად. სამწუხაროა, რომ უამრავ საქალაქდემი თავმოყრილი წაწერები (უმდიდრეს ბიბლიოთეკასთან ერთად) თავის ქალაქში, სოხუმში დარჩა და ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმიუწვდომელია.

ძალიან ვეცადე, რომ ამ წიგნში ახალგაზრდობაში მოსმენილი ლექციების შთაბეჭდილებანი ასახულიყო. ვფიქრობ, შევძელი, და თუ ამას სხვებიც იგრძნობენ და შეამჩნევენ, ბედნიერად ჩავთვლი თავს.

ასე რომ, ამ წიგნს ფაქტობრივად ორი ავტორი ჰყავს. ჩემი ლექტორი, მამაჩემი ვახტანგ ვახანია და მე.

აბა, მე სად შევწვდებოდი მის სიმაღლეს, მე როგორ შევძლებდი მისი ხმის, უესტ-მიმიკის, განცდათა, სრულყოფილად რა სათქმელია, მიახლოებით მაინც გადმოცემას; მსჯელობის სიცხადესთან ერთად იმ იდუმალი ხიბლის მოხელთებას, რომელიც თან ახლდა მის ყოველ ლექციასა თუ საჯარო გამოსვლას.

თუ მკითხველს წიგნში რაიმე მაინც მოეჩვენება საინტერესოა, იმის გამოისობით, რომ წერისას მამის ხმა ცხადედ მესმოდა ხოლმე და მე მხოლოდ მის ნაკარნახევს ვინერდი.

სუსტი და უინტერესო მონაკვეთების არსებობა კი იმით აიხსნება, რომ ჟამთა სიშორეში ის ხმა თანდათან მიმეკარგებოდა, მე კი, ცოდვილი, მაინც ვწერდი...

**რედაქტორი  
როსტომ ჩხეიძე**

**მხატვარი  
კარლო შაჩულია**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თენგიზ როპიტაშვილი**

ISBN 978-9941-0-4708-4

© ნინო ვახანია, 2012





## 1832 წლის შეთქმულება. პერიოდული გამოცემები

საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ ქართველი ბატონიშვილების ერთი ნაწილი მეფის მთავრობამ პეტერბურგსა და მოსკოვში გადაასახლა საპატიო გადასახლებით, ზოგიერთი მათგანი კი საზღვარგარეთ გაიქცა (მაგ., ალექსანდრე ბატონიშვილი – სპარსეთში). ქართველმა ბატონიშვილებმა დაკარგეს თავიანთი სამშობლო, ამიტომ გასაგებია, რომ ისინი ეძებდნენ მარჯვე შემთხვევებს და ცდილობდნენ, ისევ დაებრუნებინათ ქვეყანა. სწორედ ამ მიზნით უკავშირდებოდნენ გლეხთა აჯანყებებს. მაგ., ფარნაოზ და ალექსანდრე ბატონიშვილები შეეცადნენ 1804 და 1812 წლების აჯანყებების გამოყენებას იმ მიზნით, რომ განედევნათ თვითმპყრობელობა და ისევ აღედგინათ ძველი, დამოუკიდებელი საქართველო. ეს იყო პირველ ათეულ წლებში. 20-30-იან წლებში, როდესაც ბატონიშვილები დარწმუნდნენ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი გალაშქრებით ვერაფერს გახდებოდნენ, განიზრახეს შეთქმულების მოწყობა, ჩამოყალიბება ფარული ორგანიზაციისა.

ფარული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და შეთქმულების მოწყობის იდეა თავდაპირველად ჩაისახა პეტერბურგსა და მოსკოვში მყოფი ბატონიშვილების წრეში. ამ საქმის ინიციატორები და შთამაგონებლები არიან კერძოდ, ბატონიშვილები დიმიტრი (იულონის ძე) და ოქროპირ (გიორგის ძე). პირველი პეტერბურგში იყო, მეორე მოსკოვში.

როგორც გარკვეული ორგანიზაცია, „ფარული საზოგადოება“ ფორმდება დაახლოებით 1826-27 წლებში პეტერბურგში. შეთქმულთა პეტერბურგის ორგანიზაციის უშუალო ხელმძღ-

ვანელობით. შემდეგ „ფარული საზოგადოება“ ჩამოყალიბდა თბილისში 1829-30 წლებში. შეთქმულებს ჰქონდათ გარკვეული წესდება – „აკტი გონიურის“ სახელწოდებით, რომლითაც ისინი იძენდნენ ახალ წევრებს, და იცავდნენ საიდუმლოებას. ეს „აკტი გონიური“ და აგრეთვე საიდუმლო ანბანი შეადგინა ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ (გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“).

შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე უცხოელიც. მაგ., საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი პეტრე ზავილეისკი (პოლონელი), თბილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ლეტელი.

შეთქმულებს კავშირი, მიმონერა, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ როგორც რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან, ასევე სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, ამ უკანასკნელს კი კავშირი ჰქონდა სხვა ქვეყნებთან, მაგ., ეგვიპტის ფაშასთან. ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერას უშუალოდ ახორციელებდა მისი დისწული – ალექსანდრე ორბელიანი. მას ამისთვის ჰყავდა საგანგებო აგენტები – ბორჩალოელი თათრები: **მოლა ზამანა** და **ქოსა მუსტაფა** (ამათივე მეშვეობით აჯანყებისათვის დარაზმული ჰყავდა ბორჩალოელ თათართა რამდენიმე ასეული ცხენოსანი).

ალექსანდრე ბაგრატიონი ცდილობდა, კავშირი გაეზარებინა გარეულ ჩოფიკაშვილთან (მოციქულებს უგზავნიდა... გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“).

თბილისში შეთქმულების მეთაურები იყვნენ ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი. შეთქმულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ამ სამეულის მიერ განიხილებოდა.

ელიზბარ ერისთავი დაიბადა 1810 წ. 1823-30 წლებში სწავლობდა პეტერბურგის საარტილერიო სკოლაში (იყო არტილერიის პოდპორუჩიკი). პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა 1830 წ. და თან ჩამოიტანა იქ შექმნილი იდეები. დაბრუნებისთანავე შეთქმულებას დაუკავშირდა, სათავეში ჩაუდგა. 1. მან ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ზაქარია ჩოლოყაშვილთან

და ალექსანდრე ორბელიანთან ერთად შეიმუშავა აჯანყების სამოქმედო გეგმა. 2. იყო ინიციატორი და პირველი ავტორი პირველი ლამის განკარგულებისა. 3. იყო ავტორი საქართველოს მმართველობის პროექტისა. 4. ამყარებს კონტაქტს ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, აქვს გაცხოველებული მიმოწერა (კრიპტოგრაფიული) დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან.

ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი ცდილობდნენ, შეთქმულებაში დასავლეთ საქართველოც ჩაებათ. ამ მიზნით გზავნიან თეიმურაზ ლორთქიფანიძეს იმერეთში, კონსტანტინე შერვაშიძეს — აფხაზეთში და სხვა.

ელიზბარსა და მის ძმას დიმიტრის კავშირი აქვთ თბილისში გადმოსახლებულ პოლონელებთან (ესენი ქართველ შეთქმულებს დახმარებას აღუთქვამდნენ).

ელიზბარ ერისთავი წინადადებას აძლევს დოდაშვილს, გამოსცეს გაზეთი შეთქმულთა იდეების სააგიტაციოდ (ეს მან თვითონ აღიარა დაკითხვის დროს). მანვე დაავალა გრიგოლ ორბელიანს გადმოეკეთებინა კონდრატე რილეევის „ნალივანიკოს აღსარება“ (ესეც აღიარა) და სხვ.

იყო ფანატიკოსი შეთქმული. ერთხელ განუცხადებია, ვინც ყოყმანს დაინყებს და ხელს შეგვიშლის, მას პირველს წამოვადებ ხანჯლის წვერზეო. როდესაც ერთხელ უკიჟინეს, ახლა ძალიან ცდილობ რუსების გარეკვას, თუმცა ისინი ერისთავების მოყვანილები არიანო, უპასუხნია: ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავები გარეკავნო (ელიზბარის მამა – შანშე ქსნის ერისთავი რუსეთის ორიენტაციისა იყო. მან დიდი დახმარება გაუწია რუსებს საქართველოში დამკვიდრებაში. ამ ნიადაგზე მამაშვილს შორის უკმაყოფილება იყო. ხმაც გავრცელდა, შანშე შვილმა მოწამლა და უეცრად გარდაიცვალაო, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ ერთგვარი განწყობილების მაჩვენებელი კია...).

ყველა შეთქმული ძიებისას, პირველ რიგში, ელიზბარს ასახელებდა. ელიზბარი ჩარიცხეს დამნაშავეთა II კატეგორიაში და სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ შემდეგ გადასახლებით

შეუცვალეს (გადასახლებული იყო ჰელსინგფორსში, სადაც დაჰყო 11 წელი). დაბრუნების შემდეგ სამხედრო სამსახურშია (ჰქონდა პოლკოვნიკის ხარისხი). ქართლის სოფელ ღვარებში დააარსა შუშის ქარხანა და ხელი მოჰკიდა ქართლში კულტურული მებაღეობის გავრცელებას. გარდაიცვალა 1871 წ. (11/1). დაკრძალეს გორის ტაძრის ეზოში (მისი მეუღლე იყო „შემლილის“ მთარგმნელის რევაზ ერისთავის და – ქეთევან, რომელზედაც ლექსი დაწერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. გიორგი გოზალიშვილის თხოვნით, მისმა ასულმა ნინო ქობულაშვილისამ მამამისზე დაწერა მოგონება. შვილს განსაკუთრებით დამახსოვრებია მამის ნაღვლიანი თვალები). წაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები შეთქმულთა მეთაურებზე — „ალექსანდრე ორბელიანი“ და „მდინარესა ზედა ქსნისასა“.

შეთქმულები აქტიურ მოქმედებაზე გადადიან 1830 წლის მიწურულიდან. ამაში კი გარკვეული როლი ითამაშა პოლონეთის აჯანყებამ, რომელიც 1830 წლის ნოემბერში დაიწყო. აჯანყებულებმა ვარშავა დაიკავეს. ქართველ შეთქმულებს აღაფრთოვანებთ ყოველივე ეს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის მთავრობა კავკასიიდან თავისი ჯარის ნაწილს გადაიყვანდა პოლონეთში, ისინი ცდილობდნენ, ესარგებლათ ამ მომენტით. ისე კი არავითარი სხვა ორგანიზაციული ხასიათის კავშირი აქაურ „ფარულ საზოგადოებასა“ და პოლონეთის აჯანყებას შორის არ არსებულა (სასამართლო საგანგებოდ ეძებდა ასეთ კავშირს, მაგრამ ვერ დაამტკიცა).

1831 წელს ვარშავა დაეცა, ქართველი შეთქმულები ამ ცნობას თბილისში გლოვით შეხვდნენ. ვარშავის დაცემას მოჰყვა პოლონელი რევოლუციონერების გადმოსახლება საქართველოში. 1832 წლის დეკემბრისათვის თბილისში იმყოფებოდა დაახლოებით 500 გადმოსახლებული პოლონელი, რომლებიც მზად იყვნენ აჯანყებულთა მხარეზე გამოსასვლელად.

აჯანყება დანიშნული იყო 1832 წლისათვის, ზამთრის პირისათვის. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, რომ კავკასიონის მთებით ზამთარში რუსეთი ვერ შეძლებდა საკმაო ჯარის გადმოყვანას. განზრახული იყო დარიალის ხეობის დაკეტვა, ხოლო

ზამთარში ზღვით გადმოყვანა ჯარისა არც ისე იოლი იყო. ამასთან, ზღვის სანაპირო დაშორებული იყო აჯანყების ცენტრს – თბილისს. აჯანყება საბოლოოდ დაინიშნა 20 დეკემბრისთვის. შეთქმულებს ჰქონდათ აჯანყების დაწყებისა და გაშლის დაწერილებითი გეგმა – ე.წ. „პირველი ღამის განკარგულება“. 20 დეკემბერს, საღამოს უნდა გამართულიყო თავადაზნაურთა წვეულება, რომელზედაც უნდა დაეპატიჟებინათ რუსეთის ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელე. მაგრამ შეთქმულება 11 დღით ადრე, 9 დეკემბერს გასცა ერთ-ერთმა მონაწილემ, იასე ფალავანდიშვილმა (წაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის „იასე-იანუსი“). გიორგი გოზალიშვილი ასე ვარაუდობდა, შეთქმულებს უნდოდათ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის მიმხრობა-გადმობირება. მასთან მოლაპარაკება დაავალეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს (იასე ფალავანდიშვილი ერთ თავის ჩვენებაში უჩვენებს, რომ 8 დეკემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე ყოფილა მის ძმასთან და ცალკე ოთახში ჩაკეტილთ 2 საათის განმავლობაში უსაუბრიათ). საუბარმა, ჩანს, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ნიკოლოზი მერე ძმას (იასეს) ჩააცვივდა და გამოტეხა, აიძულა, მოღალატის როლში გამოსულიყო. 10-11 დეკემბერს შეთქმულების ლიდერები დააპატიმრეს. შეთქმულები მოათავსეს პოკროვსკის ყაზარმებში, ავლაბარში (ამიტომაც მათი პატიმრობის პერიოდს უწოდებენ ყაზარმულს). დაინიშნა სასტიკი გამოძიება, რამაც მთელი ერთი წელი გასტანა. გამოძიება დამთავრდა 1833 წლის 20 დეკემბერს. სულ პასუხისგებაში მისცეს 145 კაცი. ეს პირები დანაშაულის მიხედვით დაყვეს ათ კატეგორიად. I კატეგორიას მიაკუთვნეს ისინი „რომლებმაც თავისი შთაგონებით ბოროტგანზრახულობას დასაბამი მისცეს“ (დღიური და ოქროპირ ბატონიშვილები).

II ჯგ. „შეთქმულების წამქეზებელნი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვის და თვით აჯანყებისათვის“ — ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი. (იასე ფალავანდიშვილის დაპატიმრება მისივე თხოვნით მომხდარა, რაც მიზნად ისახავდა მისი გამცემლობის დაფარვას).

და ა. შ.

განაჩენის მიხედვით შეთქმულების მეთაურებს მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ შემდეგ გადასახლებისთ შეუცვალეს.

დიმიტრი ბატონიშვილი – სმოლენსკში.

ოქროპირი – კოსტრომაში.

შეთქმულებაში ქალებიც მონაწილეობდნენ: ბატონიშვილები თამარ (იულონის ასული), ქეთევან, თეკლე; მანანა ორბელიანისა, მარიამ ორბელიანი (დიმიტრი ორბელიანის მეუღლე), ეკატერინე ბარათაშვილი (ალ. ორბელიანის მეუღლე), მელანია ერისთავი-მელნიკოვისა (ელ. ერისთავის და), მართა მესხიშვილი და სხვანი.

ზოგი მათგანი ბაირაღებს კერავდა და აღრეულობისთვის ამზადებდა. უნდა შეკერილიყო ორი დროშა – მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს გამოსახულებით. (როცა მამაკაცებს შეთქმულების დაწყება შეუგვიანდათ, ქალებს უთქვამთ: „ჩვენ თვითონ დედაკაცები დავიწყებთ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენ“). თამარ ბატონიშვილი აჯანყების დღეს იმ ქალების გამოყვანასაც იმედოვნებდა, რომლებმაც შეთქმულებაზე არაფერი იცოდნენ.

შეთქმულთა უმრავლესობას ბაგრატიონთა დინასტიის, აბსოლუტური მონარქიის აღდგენა სურდა. ხოლო შეთქმულთა უმცირესობა — სოლომონ დოდაშვილის მეთაურობით, რესპუბლიკის, ე. ი. კონსტიტუციური მონარქიის მომხრენი იყვნენ. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკა მათ სწორედ ასე, როგორც კონსტიტუციური მონარქია, ჰქონდათ წარმოდგენილი. საბოლოოდ ყველა შეთანხმდა კონსტიტუციურ მონარქიაზე. გიორგი ერისთავს (გუსარად ნოდებულს) შეუდგენია პროექტი მომავალი მართვა-გამგეობისა. ამ პროექტის მიხედვით უნდა ყოფილიყო ზედა და ქვედა პალატა. ზედა პალატაში I პირი უნდა ყოფილიყო მეფე (ვარაუდობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს), II – სამხედრო მინისტრი (ალექსანდრე ჭავჭავაძე), შემდეგ იუსტიციის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და ა. შ. „ქვედა სამართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდა განეხილათ“.

სოლომონ დოდაშვილს უთქვამს: მე საქართველოს გათავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ. აქვე აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ სოლომონ დოდაშვილი აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ გამოდიოდა, თორემ საერთოდ უმეფოდ სახელმწიფოს არსებობა ვერც წარმოედგინა, ხოლო „რესპუბლიკაში“ გულისხმობდა სწორედ პარლამენტურ მონარქიას.

## პრესა

მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების ჩვენს კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ ხანებში საფუძველი ეყრება ქართულ პერიოდულ გამოცემებს. მოკლედ ამაზე.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე ქართული პერიოდული გამოცემა არ არსებულა. ცნობილი მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე თავის ბროშურებში „ქართული სტამბები“ და „ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია“ (თბ., 1916 წ.) იძლევა ცნობას, რომ თითქოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, სპორადულად გამოდიოდა გაზეთი, რომელსაც ჯერ ერქვა „ბრძანება და უწყება“, ხოლო შემდეგ „ლეპორტი“. ამ ცნობის სიყალბე დღეს დადასტურებულია. არავითარი გაზეთი იმ დროს საქართველოში არ არსებულა. მე-19 საუკუნემდე უკეთეს შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ გაზეთის გამოცემის ცდა. ეს ცდა ეკუთვნის მე-18 საუკუნის მიწურულს. 1799 წელს ცნობილმა მოღვაწემ იოანე ბატონიშვილმა მამამისს – გიორგი XII-ს წარუდგინა სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესების პროექტი. ამ პროექტში, სხვათა შორის, დასმულია საკითხი გაზეთის გამოცემის დაწყებისა. გიორგი მეფეს ეს წინადადება მოუწონებია, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემის საქმე არ განხორციელებულა. ამასობაში საქართველოში მეფობა გაუქმდა და რუსული მმართველობა დამკვიდრდა.

გაიარა ამის შემდეგ წლებმა და აი, 1818 წლის მიწურულს ქართველ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა, რომ მომავალი, 1819 წლიდან ქართულ ენაზე გამოსვლას დაიწყებდა გაზეთი. და მართლაც, 1819 წლის 8 მარტს თბილისში გამოსვლას იწყებს პირველი ქართული გაზეთი სახელწოდებით „საქართველოს გაზეთი“.

„საქართველოს გაზეთი“ იყო პირველი პერიოდული გამოცემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც.

„საქართველოს გაზეთი“ იყო ყოველკვირეული ორგანო, გამოდიოდა პარასკეობით. გაზეთს სცემდა კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბი (იბეჭდებოდა შტაბისავე სტამბაში), გაზეთი იყო ოთხგვერდიანი, თაბახის ზომისა.

„საქართველოს გაზეთის“ ტექსტი დგებოდა ჯერ რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. ეს გასაგებიცაა. მეფის მოხელეებმა ქართული არ იცოდნენ, და თუ არა ასე, ამ გამოცემას უშუალო კონტროლს ვერ გაუწევდნენ. აქ აღსანიშნავია, რომ 1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთს სახელწოდება შეეცვალა. „საქართველოს გაზეთის“ მაგიერ ეწოდა „ქართული გაზეთი“. სახელის გამოცვლა კი გამოიწვია რუსული სახელწოდების („Грузинская Газета“) უფრო შესატყვისი თარგმანის გამოძებნამ.

„ქართული გაზეთი“ გამოდიოდა 1821 წლის ბოლომდე. 1821 წლის მიწურულს გაზეთმა გამოაცხადა ხელის მოწერის მიღება 1822 წლისათვის, მაგრამ არ გამოსულა.

„საქართველოს გაზეთი“ ოფიციალური ორგანო იყო, ნუ დაგვავიწყდება, რომ მას სცემდა კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბი, ხოლო კონტროლს თურმე უწევდა მთავარმართებელი ალექსანდრე ერმოლოვი (ერმოლოვი აქაა 1816-27 წლებში). მეფის მთავრობა ერთგვარად დაინტერესებული იყო ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემით. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ პირველი ქართული გაზეთის გამოცემის ინიციატორები იყვნენ რუსეთის სამხედრო მოხელეები. მეფის მოხელეებს ქართული გაზეთი სჭირდებოდათ თავიანთი პოლიტიკის სარეალიზაციოდ. ქართული გაზეთის სამუალებით ისინი ხალხში ადვილად



გაავრცელებდნენ მთავრობის ბრძანება-განკარგულებებს და სხვა ოფიციალური ხასიათის ცნობებს. გაზეთს ჰქონდა ორი ნაწილი: ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალურ ნაწილში უმთავრესად იბეჭდებოდა ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობათა ბრძანებები, მოხელეთა დაჯილდოება და გადაყვანა-გადმოყვანის ცნობები და სხვა. არაოფიციალურ ნაწილში – უცხოეთის ამბები, სხვადასხვა ამბები, განცხადებები და სხვა. „ქართულ გაზეთში“ იბეჭდებოდა აგრეთვე ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოებები. სამწუხაროდ, „ქართულ გაზეთში“ ვერ ვხვდებით ვერცერთ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია ითხოვდა ასეთ თხზულებებს.

„საქართველოს გაზეთი“ იყო საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის იარაღი. როგორც ასეთი, ის ვიწრო ამოცანებს ემსახურებოდა. გაზეთი არ ამუშავებდა იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებს, მის ფურცლებზე არ დაბეჭდილა არცერთი წერილი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკურ, სამეურნეო და კულტურულ-ლიტერატურულ ვითარებას. ემატებოდა ყოველივე ამას ის, რომ გაზეთის მასალა მძიმე და მნიგნობრული ენით იყო დაწერილი. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ ამ ორგანოს ხალხში მაინცდამაინც დიდი პოპულარობა არ ჰქონდა. მას ავრცელებდნენ თითქმის ძალით, ადმინისტრაციული გზით დაახლოებით 150-200 ცალს. გაზეთმა დიდი ვაი-ვაგლახით 3 წელიწადს იარსება. ტფილისის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორისა და მისი დამქაშების ენერგიულმა ცდამ იგი სიკვდილს მაინც ვერ გამოგლიჯა ხელიდან.

მიუხედავად ამისა, „ქართულ გაზეთს“ ისტორიული მნიშვნელობა მაინც აქვს. როგორც პირველი ქართული გაზეთი, იგი წარმოადგენს ქართული ჟურნალისტიკის განვითარების სათავეს.

„ქართული გაზეთის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე პერიოდული ორგანო არ გამოდიოდა. მხოლოდ 7 წლის შემდეგ, 1828 წლის 4 ივლისს იწყებს გამოსვ-

ლას ახალი პერიოდული ორგანო სახელწოდებით „ტფილისის უწყებანი“. ამ გაზეთის გამოცემას ხელი შეუწყო 1826-28 წლებში რუსეთ-ირანის ომით შექმნილმა მდგომარეობამ. მთავარმართებლობამ (მაშინ მთავარმართებლად პასკევიჩი იყო) გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ სცნო, გამოეცა გაზეთი, რომლითაც მკითხველს მიაწვდიდა ახალ ამბებსა და ოფიციალურ ცნობებს. ეს გაზეთი ძირითადად იმავე ხასიათისა იყო, როგორისაც „ქართული გაზეთი“. ესეც ოფიციალური ორგანო გახლდათ, მთავრობის ორგანო, მხოლოდ მასში ვხედავთ ორ ახალ განყოფილებას – ისტორიისა და ბიბლიოგრაფიისა. ამდენად, ეს გაზეთი წინასთან შედარებით რამდენადმე ფართო პროგრამისა იყო, მეტი სიცოცხლე ეტყობოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ეს ორგანო ასახავდა ქართველი ხალხის ცხოვრებას.

„ტფილისის უწყებანი“ წარმოადგენდა რუსულად გამომავალი გაზეთის „Тифлисские Ведомости“ ქართულ თარგმანს. გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო პავლე სანკოვსკი, რომელსაც ჰყავდა თანარედაქტორები, მოადგილეები. კერძოდ, „ტფილისის უწყებანის“ ქართულ გამოცემას ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი. სანკოვსკის მოადგილე იყო აგრეთვე გრიგოლ გორდეევი (1791-1838), სამხედრო ტოპოგრაფი, ისტორიკოსი, პოეტი, ბელეტრისტი. 1815 წ. ჩამოვიდა საქართველოში და მთელი ცხოვრება აქ დარჩა (47 წლისა დაღესტანში მოკლეს ვილაც უცნობმა პირებმა).

რუსული გაზეთი „Тифлиссские Ведомости“ გამოდიოდა შეუწყვეტილად 1828-32 წლებში. ქართული გაზეთი კი წესიერად გამოდიოდა 1828 წლის ბოლომდე. 1829 წელს ერთხანს შეწყდა მისი გამოცემა, 1830-ში განახლდა (ივლისიდან), 1831 წელს სულ არ გამოსულა, 1832-ში კვლავ განახლდა.

„ტფილისის უწყებანი“ იყო ყოველკვირეული ორგანო (გამოდიოდა სამშაბათობით).

1832 წლიდან „ტფილისის უწყებანის“ დამატებად გამოდის ყურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ამ ყურნალის გამოცემა დაიწყო 1832 წლის პირველი იანვ-

რიდან, გამოდიოდა თვეში ორჯერ, თითოეული ნომერი შეიცავდა 24 გვერდს. „სალიტერატურონი ნანილნი“ გამოვიდა სულ 5 ნომერი და მერე მისი გამოცემა შეწყდა საკმაო ხელისმომწერთა უყოლობისა და მატერიალური ხელმოკლეობის გამო. ამავე დროს შეწყდა თვითონ „ტფილისის უწყებანის“ გამოცემაც. ამ გაზეთისა და ჟურნალის გამოცემის შეწყვეტაში, გარდა ხსენებული მიზეზებისა, დიდი როლი ითამაშა აგრეთვე საცენზურო პირობებმა (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ასეთი აზრიც, რომ თითქოს ამ ორგანოების გამოცემა შეწყდა 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით, რაც, ალბათ არაა სწორი).

„სალიტერატურონი ნანილნი“ იყო პირველი ქართული ჟურნალი, მისი რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ სოლომონ დოდაშვილი. „სალიტერატურონი ნანილნი“ შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა.

1. მოთხრობები, 2. ლექსები, 3. ლიტერატურის ისტორია, 4. კრიტიკა, 5. ისტორია, 6. განცხადებანი, 7. აღმოსავლეთის ლიტერატურა, 8. ანეკდოტები და სხვ.

I განყოფილებაში (ე.ი. მოთხრობებში) დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის „ელენა“, თარგმანი „ჟინევრა“ და სხვა.

II-ში: ალექსანდრე ორბელიანის „მთოვარე“, გიორგი ერისთავის „მონოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსევისასა საქართველოს საზღვარსა შინა“, გიორგი ერისთავისავე „ოსური მოთხრობა“, დავით მაჩაბლის „თოვლი“, სოლომონ რაზმაძის მიერ რუსულიდან თარგმნილი მელოდია „ღიშპანური სიმღერა“.

III განყოფილებაში (ე.ი. ლიტერატურის ისტორიაში) მოთავსებულია სხვათა შორის სოლომონ დოდაშვილის საინტერესო ნარკვევი „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“.

IV განყოფილებაში (კრიტიკაში) დაბეჭდილია სოლომონ დოდაშვილის წერილი „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსა, რომელიც დაბეჭდილიყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთისა 1832-სა ამას წელსა“.

V განყოფილებაში (ისტორიის) დაბეჭდილია ისევ სოლომონ დოდაშვილის საინტერესო ნარკვევი „მეფობა ირაკლი მეორისა“.

ჟურნალში დაბეჭდილი ამ რამდენიმე მასალის თუნდაც სათაურების ჩამოთვლიდანაც ჩანს, თუ რამდენად განსხვავდებოდა ეს ორგანო წინა გამოცემებისაგან. ის დიდად ეხმაურებოდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებს. ეს ჟურნალი იყო, ფაქტობრივად, შეთქმულთა იდეური ორგანო (ის იდეურად ამზადებდა „მამულის გამოხსნას“. თვითონ რედაქტორი ხომ შეთქმულების მეთაური იყო). ჟურნალში დაბეჭდილი მთელი ლიტერატურული პროდუქცია (ლექსები, პოემები, კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები) ერთ მიზანს ემსახურებოდა: წარმოეჩინა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სიდიდე, თვითმყოფობა, ორიგინალობა (ზოგი ვინმე რომ ამახინჯებდა და აკნინებდა) და ეთქვა ყველასთვის, ასეთი კულტურისა და წარსულის მქონე ერი ღირსია, იყოს დამოუკიდებელი... ჟურნალი მიზნად ისახავდა, გაეღვიძებინა სიყვარული მამულისადმი, მისი ენის, კულტურის, წარსულისადმი, ექადაგა მისთვის თავდადება, თავგანწირვის იდეა და სხვ.

„სალიტერატურონი ნაწილნისა“ და „ტფილისის უწყებანის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ მალე შეწყდა „Тифлисские Ведомости“-ის გამოცემაც. 1832 წ-დან 1838 წ-მდე საქართველოში არ გამოდიოდა არც ერთი პერიოდული ორგანო არც ქართულ, არც რუსულ ენაზე. მხოლოდ 1838 წ. გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული რუსული გაზეთი „Закавказский Вестник“. მის პარალელურად 1845 წ. გამოდის ყოველკვირეული „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომლის რედაქტორი იყო პლატონ იოსელიანი. ამ გაზეთის გამოცემა იმავე წელს შეწყდა (ჩვენამდე მოღწეული უკანასკნელი ნომერი არის მე-11). „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ საკმაოდ უფერული გამოცემაა, ესეც ოფიციალური ორგანო იყო. მასში ძირითადად იბეჭდებოდა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილები და დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა თვითონ რედაქტორს, პლატონ იოსელიანს ეკუთვნის.

1846 წლიდან გამოდის „Кавказ“. მისი პირველი რედაქტორები იყვნენ ოსიპ კონსტანტინოვი და ივანე სლივიცკი. 1864 წ. „Кавказ“-ის დამატებად გამოდის „Литературный Листок“ (გამოვიდა სულ 40 ნომერი).

1852 წლამდე არ გამოდის არცერთი ქართული პერიოდული ორგანო. საერთოდ არ არსებობდა ქართული სტამბა. მხოლოდ რაიონში, ახალციხეში, 1836 წ. იოსებ ხუციშვილმა ჩამოასხა ასოები და გახსნა სტამბა, რომელშიც ბეჭდავდა სასულიერო და შემდეგ საერო წიგნებსაც. ეს სტამბა 70-იანი წლების ბოლოს მეფის მოხელეებმა მოსპეს.

40-იან წლებში გორში იყო ცდა, გამოეცათ ჟურნალი „სინათლე“, მაგრამ ვერ განხორციელდა. შემდეგ პეტერბურგში იყო ცდა, გამოეცათ ჟურნალი „არე“. ვერც ეს ჩანაფიქრი განხორციელდა.

შემდეგ 1852-53 წლებში გამოდის ჟურნალი „ცისკარი“ (რედაქტორი გიორგი ერისთავი), 1857-75 წლებში - „ცისკარი“ (რედაქტორი ივანე კერესელიძე), 1863 წ. - „საქართველოს მოამბე“ (რედაქტორი ილია ჭავჭავაძე).

[პირველი ქართული გაზეთი საზღვარგარეთ — 1873 წ. 1-10 აპრილი. პარიზში გამოდის ყოველდღიური ჰექტოგრაფიული გაზეთი „დროშა“. რედაქტორი — ნიკო ნიკოლაძე. ავტორები — ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე (მეველე), პავლე იზმაილოვი. გამოვიდა სულ 10 (ათი) ნომერი. იყო სოციალური მიმართულების არალეგალური გაზეთი].



## სოლომონ დოდაშვილი

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1804 წ. (თუ 1805 წ.) სოფ. მალაროში სიღნაღის მახლობლად (სოფლის სახელიდან იშვა მისი ფსევდონიმი – მალაროელი – Магарский).

მამა, ივანე (იოანე) იყო სახაზინო გლეხი, მღვდელი. დედას ერქვა ბარბარე. ივანე წვრილშვილიანი იყო. ჰყავდა 9 შვილი, ყველაზე უფროსი — სოლომონი.

სოლომონ დოდაშვილმა დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში (სწავლობდა 1818-20 წწ-ში), 1820 წ. ჩაირიცხა თვილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით (I ხარისხის ატესტატით) დაამთავრა 1822 წელს. ამის შემდეგ მუშაობს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად 1822-23 წწ-ში.

1824 წ. სოლომონ დოდაშვილი რუსეთში მიემგზავრება და შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. მაშინ უნივერსიტეტში სწავლა 3 წელი გრძელდებოდა. სოლომონი იყო თავისუფალი მსმენელი. ამ უნივერსიტეტით დიდადაა დავალებული ქართული მწერლობა და კულტურა. ეს უნივერსიტეტი მაშინ ახალი გახსნილი იყო (გაიხსნა 1819 წ.). სულ მალე იგი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი გახდა. აქ გამოიზარდა მრავალი ახალგაზრდა (მათ შორის, სამოციანელები).

სოლ. დოდაშვილი რუსეთში დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს იონა ხელაშვილს; გაიცნო იქ გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები – დიმიტრი და ოქროპირ, იოანე, თეიმურაზ, ფარნაოზი და სხვ. იონა ხელაშვილის რეკომენდაციით ს. დოდაშვილი ასწავლიდა ბაგრატ ბატონიშვილის სამშვილს. განუწყვეტელმა შრომამ, მეცადინეობამ და პეტერბურ-

გის ჰავამ მისი ჯანმრთელობა შეარყია (ჩვენი, ქართველი ახალგაზრდები პეტერბურგსა და მოსკოვში ხშირად ხდებოდნენ ავად. მაგ., ილია, ყაზბეგი, გ. ერისთავი...). სოლომონს განსაკუთრებით ანუხებდა მხედველობა და ცუდი სმენა.

სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო სწავლა-განათლება (1825 წ. იქ ჩაირიცხა დავით ჩუბინაშვილი, შემდეგში I ქართველი პროფესორი).

უნივერსიტეტის კურსი დოდაშვილმა წარჩინებით დაამთავრა 1827 წ. სადისერტაციო შრომად დაწერა „ლოლიკა“, რომელიც დაიბეჭდა იმავე 1827 წ. პეტერბურგში, რუსულ ენაზე და დამტკიცდა სახელმძღვანელოდ სტუდენტთათვის. 1827 წელსვე სოლომონ დოდაშვილი თბილისში ბრუნდება. იმავე წელს დანიშნეს მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ასწავლიდა ქართულ ენასა და სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკას. იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა მასწავლებელი. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობასაც. 1828 წლიდან მუშაობს გაზეთის რედაქტორად, „ტფილისის უწყებანის“ თანარედაქტორად, მერე უშვებს „სალიტერატურონი ნაწილნი“, რომელზეც საუბარი უკვე გვექონდა.

1828 წელს სოლომონი დაქორწინდა. მისი მეუღლე ელენე კობიაშვილი განათლებული ქალი იყო. მამა ადრე გარდაცვლია (დედა იყო ანა ჯავახიშვილი) და იშვილა თევდორე ბარაშკინმა (გუბერნიის გამამდგარი ინჟინერ-არქიტექტორი). ელენე დაიბადა 1814 წ., გათხოვდა 1828-ში, ე.ი. 14 წლისა. სოლომონს სამი შვილი ჰყავდა: ივანე (დაიბადა 1829), კონსტანტინე (1831-ში), და ნინო, რომელიც 1831 წ. მცირეწლოვანი გარდაიცვალა. არჩილ ჯორჯაძე წერს: „ცოლად გარუსებული პოლონელი ჰყავდა დოდაშვილს და ამ გარუსებულმა პოლონელმა ქალმა მის შვილს ქართული ენა დაავინყებინა („თავადაზნ. – ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“. იხ. მისი თხზ., ტ. II, 1911 წ. გვ. 152).

1832 წლის 11 დეკემბერს სოლომონ დოდაშვილი დააპატიმრეს. დაპატიმრების წინ, ცხადია, გაჩხრიკეს და ჩამოართვეს

უამრავი საბუთი და ხელნაწერი (ბინიდან მაშინ ორი ზანდუკი ხელნაწერი წაუღიათ). შემდეგ ესენი რუსულად თარგმნეს და საქმეს დაურთეს. (ხელნაწერების ნაწილი არქივში იპოვეს, ნაწილი დაიკარგა).

სოლომონ დოდაშვილი ჩარიცხეს დამნაშავეთა II კატეგორიაში და 1834 წ. 10 წლით ცივ ვიატკაში (ანინდელი ქ. კიროვი) გადაასახლეს და აუკრძალეს სამუდამოდ საქართველოში დაბრუნება. გადასახლებაში ოჯახიც (ცოლი და ორი ვაჟი) თან წაიყვანა.

სოლომონ დოდაშვილი იყო შეთქმულების ერთ-ერთი ლიდერთაგანი (ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანთან ერთად). აღსანიშნავია სოლომონ დოდაშვილის სიტყვა – მონოდება, დაწერილი 1831 წელს.

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყავდა ყოველსა დროსა საკუთარი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა ან არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულ იყო და დამხობილ მათგან.

ხოლო ან ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რაისტვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მამ რაისტვის ვცოცხალვართ?!”

აღსანიშნავია იმავე, 1831 წ. დაწერილი ლექსიც „მაისი“.

„მაისის თვესა იქმნას ძახება, გამოხატული ქართველთ უფლება.

აღვიპყრათ ხელთა მახვილი, მივცეთ მტერთა შიში ძლიერი,



შემოვიკრიბოთ გულით მსურველნი, ვეცეთ, ვეძგერნეთ გა-  
გულებულნი,

განვდევნოთ სოფლის ძალით მოსულნი, ჩვენ მამულისა მა-  
ობრებელნი,

ნარვიდნენ იქით, არ იყვნენ აქა. ქართველნო, ხართ სადმე  
თუ არა?

არავინ იცის! მოიგეთ გონება“.

ეს ლექსი პოლიტიკური ლირიკის ნიმუშია. ლექსიცა და  
პროკლამაციაც, პოლკოვნიკ სუმბათაშვილის მიერ რუსულად  
თარგმნილი, საგამომძიებლო კომისიას ჰქონდა.

ვიატკაში სოლომონ დოდაშვილი მუშაობდა ერობის გამგეო-  
ბაში კანცელარიის მოხელედ გადამწერის წოდებით (ისიც საი-  
დუმლო მეთვალყურეობის ქვეშ). შემდეგ გადაიყვანეს სამოქა-  
ლაქო გუბერნატორის კანცელარიაში და დანიშნეს მაგიდის  
უფროსად.

ჩრდილოეთის სუსხიანმა ჰაერმა საბოლოოდ შეარყია მისი  
ჯანმრთელობა. 1835 წელს სოლომონმა განცხადებით თხოვა  
შინაგან საქმეთა მინისტრს გადაყვანა სამხრეთის რომელსამე  
გუბერნიაში. მეფემ თხოვნაზე უარი უთხრა. ერთი წლის შემ-  
დეგ მისი ჯანმრთელობა კატასტროფულად შეირყა. ამ დროს  
სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაც არ შეეძლო. დო-  
დაშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი თხოვნა. ვიატკის  
სამოქალაქო გუბერნატორმა საგანგებოდ შეამოწმებინა მისი  
ჯანმრთელობა და რა დარწმუნდა ავადმყოფის რთულ მდგომა-  
რეობაში, იშუამდგომლა შინაგან საქმეთა მინისტრთან. შუამდ-  
გომლობას ის ასეთი სიტყვებით ამთავრებდა: „თუმცა, მე არ  
ვფიქრობ, რომ დოდაშვილმა ამ წარდგინების პასუხამდე  
იცოცხლოს, ვინაიდან მასში სიცოცხლის მხოლოდ აჩრდილილა  
ჩარჩენილა“. ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის წინათგრძ-  
ნობა გამართლდა. 19 სექტემბერს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა  
ბრძანება გასცა, რომ დამნაშავე გადაეყვანათ სამხრეთის რო-  
მელიმე გუბერნიაში, მაგრამ დოდაშვილი ამ დროს უკვე ერთი  
თვის მკვდარი იყო. გარდაიცვალა 1836 წ. 20 აგვისტოს. ასე  
რომ, „ხელმწიფის წყალობა“ ამაო აღმოჩნდა.

მამის გარდაცვალებიდან ცოტახნის შემდეგ (1836 წელსვე) იქვე, ვიატკაში გარდაიცვალა 4 წლის კონსტანტინე. ელენე და ივანე სამშობლოში დაბრუნდნენ 1837 წლის დასაწყისში. ელენე აქ ხელახლა გათხოვდა (1837 წ. გაჰყვა ვინმე ლვოვს), მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. გარდაიცვალა 1838 წ. 24 წლისა. ივანე გაზარდა ბებიამ – ანა ჯავახიშვილმა. ივანემ დაამთავრა თბილისის გიმნაზია (სადაც ერთ დროს მამამისი ასწავლიდა), თანამშრომლობდა „Кавказ“-ში.

ვიატკაში სოლომონ დოდაშვილი დაახლოებული იყო ცნობილ რუს დეკაბრისტ ალექსანდრე გერცენთან, რომელსაც 1842 წ. დღიურში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ვიატკაში გადასახლებაში იმყოფებოდა ქართველი თავადი, მან ვერ აიტანა მძაფრი ჰავა და ჭლექით დაავადდა, მე სიკვდილის წინა დღეებში ვინახულე ის, სულთმობრძავი იყო, მაგრამ ღრმად რწმენით მიიხრა: „ოღონდ გაზაფხულზე არ გამიუარესდეს ავადმყოფობა, თორემ ჭლექი დამემართებაო“. აი, ასე არ ესმით მომაკვდავებს თავისი მდგომარეობა.“ ბოლო ხანებში გაირკვა, რომ დოდაშვილს სახლიდან გაუგდია გერცენი თავისი უზნეო საქციელის გამო (იხ. ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაიას რომანი „გახსოვდეს ვისი გვარის ხარ“).

სოლომონ დოდაშვილი იყო პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება. მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც მთელი იმდროინდელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, არის „ლოგიკა“, დოდაშვილის თავდაპირველი განზრახვა ყოფილა, დაემუშავებინა ფილოსოფიის სრული კურსი. სამწუხაროდ, ამის განხორციელება არ დასცალდა. „ლოგიკა“ დაწერილი იყო უკვე 1827 წ-ის დამდეგს. ავტორი ფიქრობდა, ნაშრომი გამოეცა ერთსა და იმავე დროს ქართულ და რუსულ ენებზე. მაგრამ ფაკულტეტის დეკანმა წინადადება მისცა, „ლოგიკა“ წარმოედგინა კურსის დამთავრებისათვის. რადგან მეტი დრო არ იყო, 1827 წ. „ლოგიკა“ პეტერბურგში გამოდის ჯერ რუსულ ენაზე. მისი ქართულად გამოცემა იქ ვერ მოასწრო (ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. „ლოგიკა“. თხზულება სოლომონ დოდაშვილ-მალაროელისა“. Курс философии.

Часть первая. Логика – сочинение Соломона Додаева-Магарского). იმავე, 1827 წ. მაისში დოდაშვილი მოსკოვსა და ხარკოვში გამოვლით სამშობლოსკენ გამოემგზავრა (საკითხავია, რა ბედი ენია „ლოგიკის“ ქართულ თარგმანს? სად ინახება ის?).

დოდაშვილის „ლოგიკამ“ ერთბაშად მიიპყრო ყურადღება და მაღალი შეფასება მიიღო რუსულ პრესაში. რუსული ფილოსოფიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები პოლევოი, ტიტოვი და სხვები სპეციალურ რეცენზიებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ დოდაშვილის „ლოგიკას“.

ცნობილმა კროტიკოსმა ბ. პ. პოლევოიმ ჟურნ. „Московский телеграф“-ში (1827 წ. 22), რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა, დაბეჭდა წერილი, რომელშიც დოდაშვილის ნაშრომს უწოდა „შესანიშნავი მეცნიერული თხზულება ლოგიკის დარგში“. პოლევოი სიხარულით აუწყებს მკითხველებს დოდაშვილის „ლოგიკის“ გამოცემას. დღემდე არ გვექონდა რიგიანი სახელმძღვანელო ამ დარგშიო. შესაძლოა, პოლევოი პირადად იცნობდა დოდაშვილს. რეცენზიის ბოლოს ის წერს: „ბ-ნი მაღაროელი წარმოშობით ქართველია, ამჟამად დაამთავრა სწავლის კურსი პეტერბურგში და მასწავლებლის თანამდებობა უჭირავს თბილისში“. თავის რეცენზიას პოლევოი ამთავრებს სურვილით: „ღმერთმა ქნას, რომ ბ-ნ მაღაროელს თავის თანამემამულეთა და მონაფეთა შორის ბევრი მიმდევარი გამოუჩნდეს“.

რუსმა მოაზროვნემ ვ. ტიტოვმა (ფსევდონიმით „N“) „Московский вестник“-ში (часть VI, 1827) ვრცლად განიხილა დოდაშვილის „ლოგიკა“. ამ წიგნს გამოეხმაურა „სევერნაია პრელას“ რედაქცია (1827 წ. 72).

დოდაშვილის ეს ნაშრომი მტკიცედ შევიდა რუსული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. „ლოგიკა“ დასახელებულია რუსული ფილოსოფიის I ისტორიაში, რომელიც 1840 წ. დაწერა კიევის სასულიერო აკადემიის არქიმანდრიტმა გაბრიელმა (Воскресенски) (История философии Архимандрита Гаврила. ч. IV. Казань, 1840.)

დოდაშვილის „ლოგიკა“ მითითებულია ფილოსოფიურ ლექსიკონებში. ამ ნაშრომმა ქართველი ინტელიგენციის ყურადღება და მოწონებაც დაიმსახურა.

1827 წ. 15 ივლისს იონა ხელაშვილი (რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო „ლოგიკის“ გამოცემას) სწერდა ავტორს, რომ მისმა ნაშრომმა ყველა აღაფრთოვანა.

დოდაშვილმა თავისი „ლოგიკა“ მიუძღვნა ალექსი ალექსის ძე პეროვსკის, რომელიც იყო ხარკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველი. საქმე ისაა, რომ საქართველო მაშინ ხარკოვის სასწავლო ოლქში შედიოდა. სოლომონ დოდაშვილი ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორს და სხვა პირებს სთხოვდა დახმარების აღმოჩენას საქართველოსათვის სწავლა-განათლების დარგში. სწორედ სამშობლოს კეთილდღეობის სურვილმა განსაზღვრა, რომ დოდაშვილმა თავისი „ლოგიკა“ მიუძღვნა პეროვსკის, ოფიციალურ პირს ხარკოვის სასწავლო ოლქში. თავისთავად ეს ფაქტი ბევრისმეტყველია. უკვე ამ დეტალით დოდაშვილი ჩვენ წინაშე დგას, როგორც დიდი პატრიოტი და განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც დაუცხრომლად ზღუნავს თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

სოლომონ დოდაშვილი მართლაც დიდი პატრიოტი და მამულიშვილი გახლდათ. ეს კარგად ჩანს იმ წერილებიდან, რომლებიც მან გამოაქვეყნა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. აქ დაბეჭდილი წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. ავტორი ჩვენ წინაშე წარმოდგება, როგორც ღრმა მცოდნე და მხურვალე პროპაგანდისტი ქართული ლიტერატურისა. თავის წერილში ავტორი იბრძვის იმ ყალბი მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურას აკლდეს ორიგინალურობა და სიმდიდრე. თითქოს ქართული ენა უსუსური იყოს და ამის გამო ქართულ ენაზე კარგი ნაწარმოების შექმნა — შეუძლებელი. ეს სტატია თავისი შინაგანი პათოსით პოლემიკურია. სოლომონ დოდაშვილი თავის წერილში ფაქტების საშუალებით უკუაგდება ასეთ მცდარ და უპასუხისმგებლო მტკიცებას. გვიჩვენ-

ნებს ქართული ენის თვითმყოფადობას, დამოუკიდებლობასა და სიმდიდრეს, გვიჩვენებს აგრეთვე ქართული ლიტერატურის დიდ ისტორიას, მისი ძეგლების ორიგინალურობასა და მაღალ-მხატვრულობას.

ქართული ანბანის წარმოშობას დოდაშვილი აკუთვნებს IV-III საუკუნეს ჩვენს ერამდე, „პირველის მეფის ფარნავაზის მიერ“ შექმნილად მიიჩნევს, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართული ენის სრულ ორიგინალურობას. შემდეგ ავტორი უკუაგდებს ზოგიერთი სომეხი მეცნიერის მტკიცებას, რომ თითქოს ქართველები ძველად სომხურად ლაპარაკობდნენ. მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ სომხურ ენაში ქართული სიტყვები გამოიყენება ანდა პირიქით, ამის დამტკიცება შეუძლებელი არისო.

შემდეგ განიხილავს ქართულ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ფილოსოფიას; ასახელებს ილარიონ ქართველს, X საუკუნის მწერლად – წმინდა მამა იოანეს, XII. – იოანე პეტრიწს, რომელსაც უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს.

ქართული ლიტერატურა და მეცნიერება განვითარების მწვერვალს აღწევს თამარის ეპოქაში. საილუსტრაციოდ ამ დებულებისა, ასახელებს მოსე ხონელის, სარგის თმოგველის, ჩახრუხაძისა და რუსთაველის თხზულებებს. განსაკუთრებით ჩერდება „ვეფხისტყაოსანზე“.

ამას მოსდევს დაცემის ხანა ბარბაროსთა შემოსევების გამო. მაგრამ დოდაშვილი აღნიშნავს ქართველთა სიმედგრესა და შეუპოვრობას, და რომ ქართველთა შორის მაინც მთლიანად არ ჩამქრალა შემოქმედებითი სული.

დიდი პატივით იხსენიებს თეიმურაზ მეფისა და ვახტანგ VI-ის ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ჩერდება ანტონ კათალიკოსის მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ანტონის ლიტერატურულ და მეცნიერულ საქმიანობას დოდაშვილი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს. იხსენიებს აგრეთვე ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილს, სულხან-საბა ორბელიანს, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანებს, გაიოზს რექტორს...

როგორც ვხედავთ, სოლომონ დოდაშვილი იძლევა ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორიას. მრავალი ქართველი

მოღვაწის სახელი ქართულ პრესაში ამ დროს გამოჩნდა. დოდაშვილისათვის ამ წერილის დაწერა არ უნდა ყოფილიყო ძნელი, თუ მოვიგონებთ, რომ იგი ქართული სიტყვიერების მასწავლებელი გახლდათ. (ეს წერილი სათაურით „Краткий взгляд на грузинскую литературу“ 1832 წელსვე რუსულადაც დაიბეჭდა გაზეთში „Тифлиссские ведомости“, იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთში „Московские ведомости“). დოდაშვილის მიზანი იყო, წარმოეჩინა ქართული კულტურისა და მწერლობის სიდიადე და ამით საკადრისი პასუხი გაეცა ქართული მწერლობის უგულვებელყოფელთათვის. (შორს გამიზნული ამოცანა ის იყო, რომ ეთქვა – ამისთანა კულტურის, მწერლობისა და ენის მქონე ერი ღირსია, იყოს დამოუკიდებელი...), თანამემამულეთა შორის გაელვივებინა ინტერესი და სიყვარული მშობლიური ენისა და მწერლობისადმი.

„მოკლე განხილვაში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ძველი ქართული მწერლობის პერიოდიზაცია. დოდაშვილი ძველ მწერლობას ჰყოფს ოთხ ხანად. 1. ძველი ქართული მწერლობის დასაწყისი, 2. კლასიკური ანუ „ოქროვანი საუკუნე“, 3. დაცემის — „ზედდასხმანი გარემოთა ბარბაროსთანი“, 4. „ეპოხა აღდგინებისა“, ე.ი. აღორძინების.

კორნელი კეკელიძე წერდა: „ს. დოდაშვილის შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა, რომელიც მიღებულ იქნა შემდეგში ა. ცაგარლის მიერ და სხვადასხვა ვარიაციით ზოგადად მომდევნო ხანის სამეცნიერო ლიტერატურაშიც მეორდება“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „მოკლე განხილვა“ დაზღვეული არაა ნაკლისგანაც:

1. მასში ნახსენები არაა **შუშანიკისა და აბოს წამებანი** (ჩანს, ავტორმა ამ ძეგლების შესახებ არაფერი იცის).

2. დასახელებული არ არიან არჩილი, ბესიკი და ზოგიერთი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელი ძველი ქართული მწერლობისა.

3. შეცდომაა სტეფანე მტბევარის XI საუკუნის მოღვაწედ მიჩნევა, ვახტანგ VI-ის „წიგნის ბეჭდვის“ განმთავსებლად აღი-

არება და სხვ. მაგრამ ეს არაა მთავარი და არც სოლომონ დოდაშვილის ბრალთა მხოლოდ.

1836 წ. ეს სტატია („მოკლე განხილვა“) მოთავსებული იყო თბილისის გიმნაზიის ხელნაწერ ჟურნალში „Цветок Тифлисской ГИМНАЗИИ“-ის №5-ში, რომელიც გამოდიოდა სოლომონ დოდაშვილის სახელოვანი მონაფის ნიკოლოზ ბარათაშვილის აქტიური მონაწილეობით. გადმოიტანეს რუსული ტექსტი „Тифлисские ведомости“-ში დაბეჭდილი. სტატია აქ გამოქვეყნებული იყო შეცვლილი გვარით – გორსკი, რადგან ავტორი ამ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა და იქნებ გარდაცვლილიც კი. ეს იყო ერთგვარი პატივისცემა მონაფეთა მიერ მასწავლებლისა.

აღსანიშნავია სოლომონ დოდაშვილის წერილი „კრიტიკა უფ. ღორდევისა“. ხელმოწერილია ინიციალებით „ს. დ.“. ეს წერილი მთლიანად პოლემიკური ხასიათისაა, დაწერილია ის რუსი მოხელის გრიგოლ ღორდევის წინააღმდეგ, რომელმაც „Тифлисские ведомости“-ში 1832 წ. დაბეჭდა წერილი „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“. გრიგოლ სერგის ძე ღორდევი (1791-1838) იყო სამხედრო ტოპოგრაფი, ისტორიკოსი, პოეტი და ბელეტრისტი. 1808 წ. დაამთავრა კადეტთა კორპუსი. 1815 წ. ჩამოვიდა საქართველოში და მთელი ცხოვრება აქ დარჩა. იყო პავლე სანკოვსკის („Тифлисские ведомости“-ის რედაქტორის) მოადგილე.

1838 წელს შემთხვევით დაიღუპა. ამ წელს გაიგზავნა დალესტანში მთის უღელტეხილების შესასწავლად. ის და მისი თანამგზავრები მოკლეს ვილაც უცნობმა პირებმა. დაიღუპა 47 წლისა.

ღორდევემა თავის წერილში დაამახინჯა ისტორიული ფაქტები, რამაც გამოიწვია დოდაშვილის პასუხი. დოდაშვილი ღორდევეს უკუუჩინებს უცოდინრობას ქართული ენისა, ქართული ზნისა, ჩვეულებისა და ყოფისა. ღორდევის წერილი სავესეა შეცდომებით, სიცრუით. ღორდევეს ცნობები ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიიდან ამოუწერია, მაგრამ ამ ისტორიაში აღწერილია დამარხვის წესები, რომელიც არსებობდა ათას ხუთასი წლის წინათ. ღორდევეს კი ეს უკანასკნელ დროში გადმოუტა-

ნიაო. სოლომონ დოდაშვილი ამ წერილის გამო არც რუსული გაზეთის გამომცემელს ინდობს.

ცარიზმის პოლიტიკა ხომ ქართულ სხეულში რუსული სულის ჩანერგვა გახლდათ. ამისათვის საჭირო იყო ეჩვენებინათ, რომ ეს ერი პატარაა, უკულტურო და სხვა, დაეკნინებინათ მისი ენა, ისტორია, მწერლობა... ამ მიზნით მართლაც ბევრი ამახინჯებდა საქართველოს ისტორიას. ამ ვერაგულ ჩანაფიქრს წინ აღუდგნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, მათ შორის დიდი პატრიოტი სოლომონ დოდაშვილიც. მან თავისი ჟურნალი იმისთვის გამოიყენა, რომ წარმოეჩინა ქართული კულტურის სიდიდე-სისრულე, ქართული ენისა და მწერლობის, ისტორიის ღრმა შინაარსი და ორიგინალურობა, თავისთავადობა. ჟურნალში დაბეჭდილი ყველა მასალა და, მათ შორის საკუთარი წერილებიც, აქეთკენაა მიმართული.

სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობა და მისი ჟურნალი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპია, დასაწყისია. ეს ის ბრძოლაა, რომელიც შემდეგ მაღალ საფეხურზე აიყვანეს და ფართოდ გაშალეს ქართველმა სამოციანელებმა.

დოდაშვილის ზემოგანხილული წერილი („კრიტიკა უფ. ლორდევისა“) პირველია ქართული პერიოდიკის ისტორიაში, სადაც იბრძვიან მშობლიური ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

(უფრო მოგვიანებით ილიამ ფართოდ გააჩაღა ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორებისა და ქართული კულტურის ნიპილისტ-უარმყოფლების წინააღმდეგ).

დოდაშვილის წერილს ქართველობა შეხვდა აღფრთოვანებითა და სრული კმაყოფილებით. ამის დასტურია თადეოზ გურამოვის (გურამიშვილის, შემდეგში ილია ჭავჭავაძის სიმამრის) წერილი და ლექსი საერთო სათაურით „საყვარელო მამულო“ („სალიტერატურონი ნაწილნი“ №5). წერილში გამოთქმულია მამულისათვის თავდადების მხურვალე ფიცი: „ძენი შენნი არიან განმზადებულნი ყოველსა ჟამსა, რათა დაუყენონ პირი შენზედ – ცრუმეტყველთა“.



ავტორი არ ერიდება ავისმძრახველთა მიმართ მუქარას, რაც ლექსშიც იჩენს თავს:

„თუ იტყვის ნაკლებს, თავისთავს აკლებს, იგი უფალი გ. ... (გორდევია).

მას უბედურსა მალ პასუხს უგებს ჩვენი სოლომონ (დოდაე-  
ვია).

ჟურნალის მე-3 და მე-4 ნომერში ინიციალებით „ს. დ.“ იბეჭ-  
დება წერილი „მეფობა ირაკლი მეორისა“. ამ წერილში აღწერი-  
ლია ერეკლეს მეფობა მისი დაბადებიდან ვიდრე აზატ-ხანთან  
შეხამამდე (1752 წ.). შემდგომი ისტორია სხვა ნომერში იქნებაო,  
მაგრამ გაგრძელება მე-5 ნომერში არ ჩანს. დოდაშვილის ეს წე-  
რილი წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს დავით ბატონიშვი-  
ლის წერილისა, რომელიც დაიბეჭდა 1830 წ. „Тифлисские вед-  
омости“-ში (დ. ბატონიშვილის ეს წერილიც აზატ-ხანთან შეხ-  
მის ადგილას წყდება). „ნაწარმოები (ე.ი. „მეფობა ირაკლი მეო-  
რისა“) მეორე აზბაციიდან ბოლომდე წარმოადგენს ისტორიკოს  
ომან ხერხეულიძის (გარდ. 1805 წ. ივნისის დამლევის) თხზულე-  
ბის შემოკლებულსა და თავისუფალ (ნაწილობრივად) თხრო-  
ბას“ [ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 377. სარედაქც. შენიშვნა].

ახლა ორიოდ სიტყვა დოდაშვილის წერილებზე - „მონერი-  
ლი ს. პეტერბურლიდამ ტფილისს ძმასთან“ და „პასუხი ტფი-  
ლისიდამ“. ეს წერილები კიდევ უფრო ავსებენ ჩვენს წარმოდ-  
გენას ამ პიროვნებაზე, როგორც განმანათლებელზე. დოდაშ-  
ვილი განათლებაში ხედავდა საზოგადოების საიმედო და მტკი-  
ცე საფუძველს. იგი სწერს ძმას პეტერბურგში: „დასასრულ  
გაცნობებ, ჩუენს ქალაქში წარსულს კვირას იყო თეატრი ერთ-  
სა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურველად წარმოადგინეს, მერ-  
წმუნე, უკეთესად აღარ შეიძლებოდა, გარნა რა წარმოადგინეს  
და ვითარ, მას ყოველსავე საკუთრად მოგწერ“.

სოლომონ დოდაშვილი ინტენსიურ მეცნიერულ და წმინდა  
ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. მან დაწერა 8 მეცნიე-  
რული შრომა, მათგან ჩვენამდე მოღწეულია „გრამატიკა“, რო-  
მელიც 1829 წ-ის აგვისტოში დაამთავრა და რუსულადაც თვი-

თონ თარგმნა. ქართულ ენაზე ეს წიგნი გამოვიდა 1830 წ. („შემოკლებული ქართული ღრამატიკა“. გამოცემული სოლომონ დოდაევის მიერ. ტფილისი, 1830 წ.), ხოლო რუსული ცნობილი არ არის. მოგვიანებით აღმოჩენილ იქნა „რიტორიკა“. ამ საგნებს თვითონ ასწავლიდა გიმნაზიაში.

„რიტორიკა“ პროზის თეორიაა (პოეტიკა – პოეზიის თეორია).

ძველ საბერძნეთში სიტყვა რიტორიკა ნიშნავდა მჭევრმეტყველების თეორიას (რიტორი – მჭევრმეტყველი). უფრო მოგვიანებით – XVII-XVIII საუკუნეებში – ის იქცა მეცნიერებად პროზის კანონების შესახებ (სოლომონ დოდაშვილსაც ასე ესმის).

საყურადღებოა მისი მოთხრობა „ელენა“ (დაბეჭდილი მისსავე ჟურნალში). მოთხრობაში დაგმობილია წოდებრივი უთანასწორობა. ეს მაშინ ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო, რისკიც კი, და მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ქვესათაურად მიუწერია: „ანეკდოტი ანუ ღირს სახსოვარი შემთხვეულება ათვრამეტისა საუკუნოისა“ (ე.ი. მოქმედება წარსულში გადაიტანა. ასე მოიქცა შემდეგ დანიელ ჭონქაძეც).

ახალგაზრდებს – ელენასა და ამირანს — ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ქალის მამა – ომანი – წოდებრივი უთანასწორობით გადიდკაცებული და გაამაყებული – უარყოფს ამირანის წინადადებას, მიეცა ასული. ომანმა ასულს სასტიკად აუკრძალა ამირანთან შეხვედრა, მაგრამ ახალგაზრდები გაიპარებიან და დაქორწინდებიან. ომანმა მოაძებნინა და დაიბრუნა ასული. მაგრამ ახალგაზრდები ფარულად ხვდებიან ერთმანეთს. ელენამ სთხოვა მამას, გაეშვა გარდაცვლილი დედის ერთ მეგობარ ქალთან. მამა დათანხმდა. ელენამ შვა ძე. გავიდა 8 თვე. ერთხელ მამა მიეჭრა ყვირილითა და თოფის სროლით (ელენას წარმოუდგა ამირანი, მამისაგან მოკლული). როცა ომანი შინ შეიჭრა, აკანკალებულ ქალს ბავშვი ხელიდან გაუვარდა და მოკვდა. სამსჯავრომ ელენას „დანაშაულისათვის“ სიკვდილი გადაუწყვიტა (და აღასრულეს კიდეც). ამირანი სადღაც გადაიკარგება (თუ დაიღუპება). მართალია, მამამ ბოლოს იგრძნო თავისი დანაშაული და ინანა კიდეც, მაგრამ გვიანაა (შეძლებული მამამ თავის ასულს რომ არ აძლევს ღარიბ ახალგაზრდას –

ასეთი სიუჟეტი შემდეგ ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება – დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ეკატერინე გაბაშვილის „ორენა და ქუჩე“, რაფიელ ერისთავის „ნიწო“ ...).

ასეთია ის მძიმე შედეგები, რაც მოაქვს კლასობრივ უთანასწორობას. ნაწარმოები სენტიმენტალისტურია. (ზოგი მკვლევარის, მაგ. მ. გოცაძის აზრით, განიცდის კარამზინის „საწყალი ლიზას“ გავლენას. როგორც ელენას, ისე საწყალი ლიზას ხვედრი იწვევს სიბრალულს, ცრემლებს.).

ასეთია ნოდებრივ განსხვავებათა უარყოფითი გავლენის შედეგები. სოლომონ დოდაშვილი 1828 წ. სწერდა იონა ხელაშვილს: „არა გვართა იქნების კაცი, არამედ გონებითად“ (მდრ.: „ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“). ზოგიერთი მკვლევარის (ნანიტაშვილის, ხუციშვილის) აზრით, „ელენა“ ნათარგმნი უნდა იყოს.

„ელენა“ უშუალო წინამორბედია ანტიბატონყმური ნაწარმოებისა ჩვენში (ივანე კერესელიძის „მწყემსის სიყვარული“, „შვილი უმანკოებისა“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ილიას „გლახის ნაამბობი“ და სხვა).

„ელენა“ ღალატებს გრძნობათა ემანსიპაციას, პიროვნების თავისუფლებას. ნოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიები (მაშასადამე, ბატონყმობაც) ბუნების საწინააღმდეგო მოვლენებია, წარმოშობს ყოველგვარ უბედურებას. მწერალი ცდილობს, მკითხველს აღუძრას სიბრალული, თანაგრძნობა ჩაგრულთადმი.

ჟურნალში დაიბეჭდა ნათარგმნი რომანი „ჟინევრა“. მოქმედება ხდება იტალიის ქალაქ ფლორენციაში მე-14 საუკუნეში. ქალაქში ჭირი მძვინვარებს. აქვეა აღწერილი განსაკუთრებული შემთხვევა ერთი ცოლ-ქმრისა. თბილისში მაშინ საშინელი სენი იყო გავრცელებული (1830 წ. ხოლერა მძვინვარება). მოსახლეობა დაინტერესებული იყო ჭირის სხვადასხვა სახეობათა წარმოშობისა და მიმდინარეობის საკითხების ცოდნით...

სოლომონ დოდაშვილი არის ქართველ სამოციანელთა წინამორბედი თვითონ ილია ჭავჭავაძეც მას ახალი თაობის („თერგდალეულთა“) წინამორბედად აღიარებდა.



## ლიტერატურული მიმდინარეობები

ლიტერატურის ისტორია იცნობს მრავალ ლიტერატურულ მიმდინარეობას.

**კლასიციზმი** ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეთა საფრანგეთში. კლასიციზმმა თავი იჩინა ევროპის ყველა ქვეყნის ლიტერატურაში, მაგრამ დასრულებული სახე მიიღო ფრანგულ მწერლობაში.

კლასიციზმის წარმოშობა დაკავშირებულია აბსოლუტური მონარქიის ეპოქასთან. აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბებისათვის საფრანგეთში ბრძოლა იწყება ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისას (1624-1642). სხვათა შორის, კლასიციზმის ესთეტიკური თეორიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა რიშელიეს მიერ დაარსებულმა საფრანგეთის აკადემიამ (1634 წ.). საფრანგეთის აბსოლუტური მონარქია ზენიტშია ლუი მე-14 მეფობის ჟამს (მე-17 საუკუნის შუა წლებში). ამ დროს საფრანგეთი საბოლოოდ გაერთიანებულია, ცენტრალიზებულია. და აი, ამ მეფის წინაშე ქედს იხრის საფრანგეთის ყველა სოციალური ფენა: ფეოდალები, სამღვდლოება და მესამე ნოდებაც. მთელი საფრანგეთის ნამდვილი მბრძანებელი და დიქტატორი გახლდათ აბსოლუტური მონარქი – ლუდოვიკო XIV. ალაგმული იყო ურჩი ფეოდალების თავნებობა და მთელ საფრანგეთში წესრიგს ამყარებდა მეფის სასახლე – ვერსალი. ყოველივე ეს აძლევდა უფლებას ლუდოვიგო XIV-ს, ეთქვა: „სახელმწიფო მე ვარ“. საფრანგეთში ყველაფერი ემორჩილებოდა ვერსალს. ამისთვის კი შემუშავებული იყო გარკვეული წესები და კანონები, გარკვეული ეტიკეტი.

სულ მალე დადგენილი ეტიკეტის ჩარჩოებში მოემწყვდა ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიაც, ლიტერატურაც. ლიტერატურაში გაბატონდა რეგლამენტაცია, მორჩილება დადგენილი წესებისადმი. კლასიციზმი არის აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგია.

კლასიციზმის ფუძემდებელია ფრანგი ფრანსუა დე მალერბი (1555-1628). ნაშრომში „კომენტარიები დეპორტისადმი“ მალერბი აქებს და ადიდებს მონარქს, რომელიც სახელმწიფოში ამყარებს წესრიგს (შეაქვს წესრიგი უწესრიგობაში). იგი ასეთივე წესრიგს მოითხოვდა ლიტერატურაშიც და ებრძოდა პოეტების ინდივიდუალიზმსა და სუბიექტივიზმს. მან „მუზა დაუმორჩილა მოვალეობის წესებს“ (ბუალო).

კლასიციზმის პოეტიკის დამუშავებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ჟან შაპლენმა (1595-1674) – პოეტმა და კრიტიკოსმა, საფრანგეთის აკადემიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, რომელმაც, სხვათა შორის, ნორმატიული ხასიათი მისცა და საბოლოოდ დააკანონა სამი ერთიანობის კანონი.

კლასიციზმს მწერალს უნდა ეწერა მხოლოდ სასახლესა და არისტოკრატებზე, მას ხოტბა უნდა შეესხა მეფისათვის და მაღალი არისტოკრატისათვის. ეს იყო კლასიციზტი მწერლის უპირველესი და ძირითადი მოვალეობა. კლასიციზტი მწერლები ითვლებოდნენ, ასე ვთქვათ, მეფის კარის პოეტებად და პროზაიკოსებად. მათი უმრავლესობა სასახლეში გახლდათ თავმოყრილი (მაგ., ნიკოლა ბუალო იყო მეფის ისტორიკოს-მდივანი, ჟან რასინი — ისტორიოგრაფი საფრანგეთისა). კლასიციზმისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს კულტი, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესთა იდეალიზაცია და ყოველივე კერძოს, პიროვნულისა და ინდივიდუალურის იგნორირება. მოკლედ, კლასიციზტების დევიზი იყო „სახელმწიფო“ და არა „ინდივიდი“. (დეე, დაილუპოს ინდივიდი, ოღონდ სახელმწიფო არსებობდეს). მათ ნაწერებში ყოველთვის მოვალეობის შეგნება იმარჯვებდა, კერძო-პირადული ინტერესები ეწირებოდა (ექვემდებარებოდა) სახელმწიფოს ინტერესებს.

კლასიციზტი მწერალს არ შეეძლო, ეწერა თავისი სურვილისამებრ. მწერლის ფანტაზია შებორკილი იყო, მწერალი ანგა-

რიშს არ უწევდა თავის განცდებსა და გრძნობებს. ამათ მაგიერ არსებობდა გარკვეული კანონები, წინასწარ შემუშავებული წესები, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა. ე.ი. მწერალს წინარმოების შექმნისას კარნახობდა არა გრძნობა, არამედ გონება (რაციო). მას სურდა თუ არ სურდა, გონების კარნახით, მაინცდამაინც მეფისთვის უნდა შეესხა ხოტბა. მწერალს უნდა ეთქვა მხოლოდ კარგი და არა სიმართლე (ვთქვათ, ნაკლიც). ამის ნიმუშებია ჩვენში „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“.

კლასიციზტების გაგებით, ერთადერთი ესთეტიკური საზომი იყო გონება (რაციო). მათი შეხედულებით, გონება არის ერთადერთი წყარო შემოქმედების პრინციპების გადაწყვეტისას. გონების მეშვეობით შეიძლება წინასწარ იქნას შემუშავებული ის წესები და პრინციპები, რომელთა დაცვაც მწერალს მოეთხოვება.

კლასიციზმის ფილოსოფიური საფუძველი იყო რაციონალიზმი, რომელმაც თავისი არსი რელიეფურად გამოხატა რენე დეკარტეს (1596-1650) სიტყვებში: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“.

დეკარტემ უარყო სინამდვილის შემეცნების ირაციონალური გზა (გრძნობითი შემეცნება) და ჭეშმარიტების უმაღლეს კრიტერიუმად გამოაცხადა რაციო (გონება). გონების პოზიციებიდან იგი ილაშქრებს რელიგიის წინააღმდეგ. არა ლეთაებრივი გამოცხადება, არამედ გონებაა ყოველგვარ ჭეშმარიტების წყარო.

დეკარტემ საფუძველი ჩაუყარა რაციონალისტურ ესთეტიკასაც: ლიტერატურის წესებისა და კანონების გამომუშავებას ახდენს გონება, ლიტერატურულ ჟანრებში უნდა დანესდეს რეგლამენტაცია, საერთოდ ხელოვნებაში, ისე როგორც მეცნიერებაში, დაკანონდეს ანალიზი, მათემატიკური სიცხადე.

[ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ემხრობოდა პიერ გასენდიც (1592-1655). ოღონდ დეკარტესაგან განსხვავებით, იგი მიიჩნევდა, რომ სინამდვილის ჭეშმარიტ სურათს იძლეოდა არა გონებითი, არამედ გრძნობადი შემეცნება].

შეიძლება შევაჯამოთ: კლასიციზმი პირმშოა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წყობისა (აბსოლუტური მონარქიისა) და

გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულებისა (რაციონალიზმისა).

კლასიციზტების აზრით, მწერალს მოეთხოვება მხოლოდ წინასწარ შემუშავებული წესებისა და პრინციპების დაცვა. ასეთი წესების დადგენისას ისინი ხელმძღვანელობდნენ ანტიკური კლასიკური ლიტერატურის (ძვ. საბერძნეთისა და რომის კლასიკური მწერლობის) მიღწევებით. აქედან ტერმინი „კლასიციზმი“.

აღორძინების ხანაში, როგორც ცნობილია, ძველ ბერძენსა და რომაელ მწერლებს კლასიკოსებად მოიხსენიებდნენ. რადგანაც მე-17 – მე-18 საუკუნეთა მწერლები მხოლოდ ბაძავდნენ ანტიკურ ლიტერატურას, მათ ზოგჯერ უწოდებდნენ „ფსევდოკლასიკოსებს“, ანუ „ცრუკლასიკოსებს“. ეს ტერმინები დღეს არ იხმარება „კლასიკა“ – ლათ. – სანიმუშო. ძველ რომში „კლასიკს“ უწოდებდნენ ყველაზე ცნობილ მოქალაქეებს.

ახ. წ. აღ. მეორე საუკუნეში პოეტმა და ლიტერატორმა ავლიუს გელიუსმა პირველად უწოდა მწერალს კლასიკოსი (საინტერესოა, ვის?) ცხადია, კლასიკოსი სხვაა და კლასიციზტი – სხვა.

ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე კლასიციზმის მოთხოვნები ყველაზე სრულად და ნათლადწამოყალიბებულია კლასიციზმის თეორეტიკოსის ნიკოლა ბუალოს (1636-1711) ცნობილ ნაშრომში - „პოეტური ხელოვნება“, რომელიც გამოვიდა 1674 წ.

ეს არის ლექსად დაწერილი თხზულება, რომელიც 4 ნაწილისაგან შედგება. საერთოდ, თავის ნაწერებში ბუალო იცავს ცენტრალიზებულ სახელმწიფოსა და მის ძლიერ მონარქს, დასცინის ფეოდალურ პარტიკულარიზმს.

„პოეტურ ხელოვნებაში“:

1. ბუალო მისდევს და ესთეტიკაში ნერგავს დეკარტეს რაციონალიზმს. საჭირო აღარაა გრძნობისა და ფანტაზიის მიყოლა, მთავარია გონება. გონებაა პოეზიის საფუძველი. მხოლოდ გონებას ძალუძს, გახსნას ჭეშმარიტება (ხოლო ჭეშმარიტება არის მშვენიერების წყარო). ამიტომაც ბუალო მოუწოდებს მწერ-

ლებს: „ჯერ ისწავლეთ აზროვნება, შემდეგ – წერა“. ასე გახდა ბუალო „ფრანგი მოლექსეების მკაცრი მსაჯული“ (პუშკინი).

2. ბუალოს აზრით, რომისა და საბერძნეთის ძველ მწერლებს აზროვნების, დაკვირვებისა და გადმოცემის სწორი უნარი ჰქონდათ. მათ შექმნეს ყველა ეპოქისათვის სრულყოფილი ნაწარმოებები. ამიტომ თანამედროვე მწერლობამაც მათ უნდა მიბაძოს, საჭირო აღარაა ახლის ძიება: აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლა ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ და საერთოდ კლასიციზმის ესთეტიკა ეყრდნობა არისტოტელეს (ქრისტემდე IV ს. ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი) „პოეტიკას“ და ჰორაციუსის (ქრისტემდე I ს.) „მიძღვნას პისონებისადმი“ (ანუ „პოეტიკას“, ცნობილმა რიტორმა კვინტილიანმა „პოეზიის მეცნიერება“ რომ უწოდა).

3. მწერალი უნდა წერდეს მხოლოდ სასახლესა და მაღალ არისტოკრატიაზე, ხოტბას უნდა ასხამდეს მათ. „შეისწავლეთ სასახლე და გაეცანით ქალაქს“ — მოუწოდებდა ბუალო მწერლებს. სავსებით ბუნებრივია, რომ კლასიციზმის ნაწარმოებებში მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან მეფეები და სასახლის არისტოკრატები, ისინი არ ეხებიან სოფელს და დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა ცხოვრებას. კლასიციზტი მწერლები აგვიწერენ მხოლოდ ქალაქს, სასახლეს, მეფეთა და სარდლების ცხოვრებას. აგვიწერენ ხელოვნურ ბალებსა და ბუნებას და „დიდი საქმეებით“ გატაცებულ ადამიანებს.

4. ცხადია, ასეთი შინაარსის ლიტერატურას ჟანრებიც შესატყვისი უნდა დაედგინა. ბუალოს მიხედვით, მწერლობამ უნდა აღადგინოს ის ჟანრები, რომელიც დამახასიათებელი იყო ანტიკური მწერლობისათვის. ასეთებია ტრაგედია, კომედია, ოდა, ბალადა. რაც შეეხება პროზას, ის არ ყოფილა მიჩნეული მაღალი ქმნილების შესატყვისი ჟანრად. ლიტერატურის უმაღლეს ჟანრად გამოცხადებული იყო ტრაგედია და ჰეროიკული პოემა („ილიადასა“ და „ოდისეას“ მსგავსი ეპოპეა).

5. ყოველი ჟანრი მოითხოვდა გარკვეული მასალის შერჩევას და სპეციფიკური წესების დაცვას. მაგ., ტრაგედიის თემა მაინცდამაინც მაღალი ფენების ცხოვრება უნდა ყოფილიყო, ასევე



ოდისა. კომედიის თემად შეიძლება დაბალი ფენების ცხოვრებაც გამხდარიყო.

6. შემდეგ: შეუძლებელი იყო ჟანრების აღრევა (მაგ., კომედიაში ტრაგედიის სპეციფიკური ნიშნების გამოყენება, ანდა პირიქით და სხვა). ე.ი. ჟანრებს შორის დაცული იყო მტკიცე საზღვარი.

7. ტრაგედიები და ოდები უმეტესად ლექსად იწერებოდა, კომედიები კი – პროზად. ეს იმიტომ, რომ მაღალი წრის წარმომადგენლებს უსათუოდ ლექსით უნდა ესაუბრათ, ხოლო დაბალი წრისას – პროზით.

8. დრამატულ ნაწარმოებებში დაცული უნდა ყოფილიყო სამი ერთიანობის კანონი (დროის, ადგილისა და მოქმედების). კლასიციზტები იმონებდნენ არისტოტელეს. ნამდვილად კი არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ მოითხოვს მოქმედების ერთიანობის დაცვას, მხოლოდ გაკვრით მიუთითებს დროის ერთიანობის კანონზე (ამბობს, სახელდობრ, იმას, რომ ბერძენი დრამატურგები მოქმედებას ავითარებდნენ ერთი დღის საზღვრებში). რაც შეეხება ადგილის ერთიანობას, არისტოტელეს მასზე სრულებით არაფერი უთქვამს.

სამი ერთიანობის პრინციპი გაფორმდა გვიან – ალორძინების ეპოქაში. სამი ერთიანობის კანონს ნორმატიული ხასიათი მისცა ჟან შაპლენმა (1595-1674) – პოეტმა და კრიტიკოსმა, საფრანგეთის აკადემიის ერთ-ერთმა დამარსებელმა და აქტიურმა წევრმა.

კლასიციზტ კრიტიკოსს ევალებოდა, გაერკვია, თუ რამდენად იცავდა მწერალი ზემოჩამოთვლილ ამ წესებს, რამდენად მიჰყვებოდა ან უხვევდა მისგან. მწერალი და ნაწარმოები ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო მასში ეს წესები დაცული. კლასიციზტური თეორიის მიხედვით, მწერლობაში მთავარია არა ნიჭი (ვინაიდან გრძნობასა და ფანტაზიას გასაქანი არა აქვს), არამედ მონდომება. პროზაიკოსი, პოეტი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც ენერგიას არ დაიშურებს და ღრმად დაეუფლება პოეტური ხელოვნების ამ კანონებს. ამ თეორიის მიხედვით, პოეტიკა წინ უსწრებს პოეზიას (სინამდვილეში ხომ პირიქითაა).

კლასიციზტთა ნაწარმოებებში არა ჩანს ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით. კლასიციზტი მწერლები გვიხატავენ „ზოგადს“, „მარადიულს“, დროსა და სივრცეს დაშორებულ იდეებსა და სახეებს. გვიხატავენ გმირების უცვლელ ხასიათს. კლასიციზტთა ნაწარმოებებში მოქმედ პირთა შორის სრულიად იყო გამჭრალი გარეგნული განმასხვავებელი ფორმები; ადამიანები სავსებით მოკლებულნი იყვნენ თავიანთ ინდივიდუალურ თვისებებს. ადამიანები ამ ნაწარმოებებში გადაქცეულნი არიან სქემებად, ზოგად ხასიათად, მოქმედებენ და ლაპარაკობენ ერთნაირად...

კლასიციზტების მიერ შემუშავებული წესები და კანონები, მხატვრული სიტყვისა და აზრის რეგლამენტაცია ხელს უშლიდა ხელოვნების განვითარებას, ბორკავდა მას. ზღუდავდა მწერლის ფანტაზიას, კლავდა ყოველგვარ ინიციატივას, შემოქმედებით გაქანებას...

კლასიციზმში ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა ფრანგულ ლიტერატურაში. მისი წარმომადგენლები არიან: პიერ კორნელი, ჟან რასინი, ჟან ბატისტ მოლიერი, ჟან ლაფონტენი...

პიერ კორნელის კალამს ეკუთვნის ტრაგედიები: „სიდი“, „მედეა“, (მოვიგონოთ ევრიპიდეს „მედეა“, სენეკას „მედეა“), „ჰორაციუსი“, „პოლიევქტის წამება“ და სხვა.

ჟან რასინის ტრაგედიებია: „ფედრა“ (გადაამუშავა ანტიკური წყაროები: ევრიპიდეს „იპოლიტე“ და ლუციუს სენეკას „ფედრა“), „ანდრომაქე“, „ბაიაზეთი“ და სხვა.

ჟან ბატისტ მოლიერი იყო კომედიოგრაფი („პრანჭია ქალები“, „ტარტიუფი“, „მიზანთროპი“, „ძუნწი“, „გააზნაურებული მდაბიო“, „ძალად ქორწინება“, „ქმრების სკოლა“ და სხვა).

ჟან ლაფონტენმა დაწერა იგავ-არაკთა თორმეტი წიგნი.

პიერ კორნელის „სიდი“. სიუჟეტი აღებულია ესპანეთის ისტორიიდან. მოქმედება გაშლილია სევილიაში. მთავარი მოქმედი პირია ესპანეთის ეროვნული გმირი (მე-11 საუკუნისა) როდრიგო დიასი. მავრებმა მას „სიდი“ უწოდეს, რაც მათ ენაზე ნიშნავს „ბატონს“. სიდი თავგანწირვით ებრძოდა თავისი სამშობლოს მტრებს – მავრებს. ხალხმა უმღერა თავის საყვარელ

გმირს და მასზე შეიქმნა რომანსები, სიმღერები... დაიწერა მრავალი პოემა და დრამა.

[კორნელიმ თავისი ტრაგედიისათვის გამოიყენა ესპანელი დრამატურგის გილიენ დე კასტროს პიესა „სიდის სიჭაბუკე“ (1618 წ.), მხოლოდ სიუჟეტი გაამარტივა, მოქმედი პირები უფრო რელიეფურად გამოკვეთა. ფაქტობრივად შექმნა სავსებით ორიგინალური ნაწარმოები.

[სილსა და ქიმენას ერთმანეთი უყვართ. ორივე არისტოკრატიული წრიდანაა. ასე რომ, მათ შეუღლებას არაფერი არ უშლის ხელს, მაგრამ წარმოიშვა მორალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის კონფლიქტი: ქიმენას მამა (დონ გომესი) გაბრაზებისას შეურაცხყოფას მიაყენებს სიდის მამას (დონ დიეგოს) – სილას გააწნავს (მეფემ უფლისწულის აღზრდა მიანდო ხანშიშესულ დონ დიეგოს, რითაც ნაწყენი დარჩა გრაფი დონ გომესი. მე თქვენ წამართვით ღირსება და ბედნიერება, აღმზრდელის ადგილს მიაღწიეთ მარჯვე ფანდებითო. დონ დიეგომ მიუგო, ვინც ღირსი იყო, ის დანიშნესო. ამას მოჰყვა სილის განზნა).

ახალგაზრდა რაინდს როდრიგოს ფეოდალური მორალი უკარნახებს დაიცვას გვარისა და ოჯახის ღირსება და შური იძიოს მოხუცი მამისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, როგორც ლაჩარს, ჩირქი მოეცემა და თვით ქიმენაც სიყვარულის ღირსად აღარ სცნობს. მაგრამ ასე რომ მოიქცეს, ქიმენას დაკარგავს. და აი, ჩანს გონებისა და გულის ჭიდილი. იმარჯვებს გონება (მოვალეობის შეგნება). სიდი ორთაბრძოლაში იწვევს ქიმენას მამას და კლავს მას. ახლა ქიმენა ჩავარდება მძიმე მდგომარეობაში. მასში ერთმანეთს ებრძვის სიყვარულის გრძნობა (გული) და მოვალეობის შეგნება (გონება)... აქაც იმარჯვებს გონება და ის მოითხოვს მამის მკვლელის სიკვდილით დასჯას.

ამ სულიერ ბრძოლას ბოლოს უღებს კასტილიის გონიერი მეფე დონ ფერნანდო, რომელსაც არ სურს ახალგაზრდა რაინდის დასჯა სახელმწიფოს ინტერესებისათვის. მეფე რაინდულ ვალდებულებაზე მაღლა აყენებს პატრიოტულ ვალდებულებას. სიდს ანდობს ესპანეთის ჯარების სარდლობას მავრების

(არაბთა ურდოების) წინააღმდეგ ბრძოლაში. სიდი იხსნის სამშობლოს, ჩაიდენს საარაკო გმირობა-ვაჟკაცობას. გაითვალისწინა რა სიდის დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე, მეფე წინადადებას აძლევს ქიმენას, გაჰყვეს მას ცოლად. მაგრამ ამასთან მეფე იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ქიმენას დაჟინებით მოთხოვნას, დაისაჯოს სიდი. მეფემ ნახა გამოსავალი: სიდი ორთაბრძოლაში უნდა გაჰყვეს ქიმენას ხელის მაძიებელ ფალავანს (დონ სანჩოს), ხოლო ქიმენასაგან მოითხოვს, ცოლად გაჰყვეს გამარჯვებულს. სიდი აქაც გამარჯვებული რჩება. ქიმენაც თანხმდება, მხოლოდ მოითხოვს დროს სულიერი ჭრილობების მოსაშუშებლად. გაბედნიერებული როდრიგო მზადაა ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად.

ე.ი. ყველგან, ყველა შემთხვევაში მოვალეობის შეგნება, გონება იმარჯვებს გულზე. მეფე გამოყვანილია როგორც გონიერი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს აყენებს ყველაფერზე მაღლა. კორნელის აზრით, ადამიანის პირადი ინტერესები უნდა მსხვერპლად შეენიროს სახელმწიფოს.

საფრანეთის აკადემიამ გააკრიტიკა „სიდი“, იმიტომ რომ:

1. სიუჟეტი აღებულია ესპანეთის ისტორიიდან და არა ანტიკური სამყაროდან.
2. მოქმედება გრძელდება 30 საათამდე.
3. სასახლის ნაცვლად მოქმედება მიმდინარეობს ქალაქის ფარგლებში.
4. დარღვეულია მოქმედების ერთიანობის კანონიც – მთავარი სიუჟეტური ხაზის პარალელურად ნაჩვენებია მეფის ქალის დონნა ურაკას სიყვარული სიდისადმი].

რუსეთში კლასიციზმი აღმოცენდა და განვითარდა მე-18 საუკუნის 30-იან წლებში. ეს გახლდათ პეტრე I-ის ეპოქა (გარდ. 1725 წ.). ამ დროს რუსეთში იყო პეტრე I-ის მიერ განმტკიცებული აბსოლუტური მონარქია. ეს კი ქმნიდა კლასიციზმის აღმოცენებისათვის აუცილებელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს (საფუძველს). ასე რომ, რუსული კლასიციზმი აღმოცენდა და განვითარდა რუსულ ეროვნულ ნიადაგზე. იგი ასახავდა

რუსულ სინამდვილეს და, ბუნებრივია, განსხვავებოდა ევროპის კლასიციზმისაგან.

1. ევროპის კლასიციზტები ანტიკური ლიტერატურის ნიმუშებს ბაძავდნენ (ამიტომ სიუჟეტებს ანტიკური ისტორიიდან და მითოლოგიიდან იღებდნენ). რუსი კლასიციზტები კი ამ მხრივ ნაკლებად იყვნენ შეზღუდულნი. ისინი სიუჟეტებს იღებდნენ მეტწილად რუსული სინამდვილიდან (აღ. სუმაროკოვის ტრაგედია „ცრუ დიმიტრი“, მიხ. ხერასკოვის „როსიადა“ და სხვა).

2. ევროპის კლასიციზტები მეტწილად მაღალი სტილით წერდნენ და ერიდებოდნენ ხალხურ-სასაუბრო ენას. რუსი კლასიციზტები კი ახლოს იყვნენ ხალხურ ენასა და სიტყვიერებასთან. რუსეთში სწორედ კლასიციზტებმა (ვასილ ტრედიაკოვსკიმ, მ. ლომონოსოვმა...) მოახდინეს ლექსწყობის რეფორმა და სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება რუსულ ეროვნულ საფუძველზე. ამ მხრივ ძალზე დიდია მათი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე.

3. რუსული კლასიციზმი შედარებით ნაკლებად დოგმატური გახლდათ. ისეთი გამოჩენილი კლასიციზტები, როგორებიც იყვნენ გაბრიელ დერჟავინი, დენის ფონვიზინი და სხვანი ხშირად არღვევდნენ კლასიციზმის პოეტიკის კანონებს.

4. რუსული კლასიციზმი გამოირჩეოდა შინაგან მიმდინარეობათა მრავალფეროვნებით. მასში შეიმჩნევა რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმდინარეობა, რომელთაგან საყურადღებოა კანტემირისეული სატირული მიმართულება (ანტიოქე კანტემირის სატირებში მწვავედაა გაკრიტიკებული რუსეთის სინამდვილის მანკიერი მხარეები – ცრუმორწმუნეობა, უფიცობა, ქედმაღლობა, დესპოტიზმი, ყმა გლეხებისადმი უსულგულო დამოკიდებულება... რუსული კლასიციზმის დიდებულ ტრადიციებს ფართოდ იყენებდნენ და აგრძელებდნენ XIX ს. რუსი რეალისტი მწერლები: ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვ.

რუსული კლასიციზმის ცნობილი წარმომადგენლები არიან: ანტიოქე კანტემირი, ვასილ ტრედიაკოვსკი, მიხ. ლომონოსოვი, ალექსანდრე სუმაროკოვი.

ქართული კლასიციზმი თავისი ჩამოყალიბებული სახით არ არსებულა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენში აბსოლუტური მონარქია არ ყოფილა, ჩვენი მეფეების ცხოვრება ანენილ-დანენილი გახლდათ და კიდევ, არ ყოფილა რაციონალიზმიც. კლასიციზმის ერთგვარი ნიშნები გვაქვს ჯერ რუსთაველის ეპოქაში. მაშინ გაჩნდა საკარო პოეზია (ჩახრუხაძე, შავთელი...). საკარო პოეზიის წარმოშობა განაპირობა იმან, რომ ქვეყანა გაერთიანებულია, ცენტრალიზებული და ჰყავს ერთი განმგებელი, მეფე.

თედო ბეგიაშვილი აღორძინების ხანას ცრუკლასიციზტურს უწოდებს. კლასიციზმის გარეგნული ნიშნები მართლაც გვაქვს:

1. რუსთაველის მიბაძვა (ფორმაში, სახეებში და სხვა). არჩილი: „ვინ ვერ მიჰყვეს რუსთაველის თქმულსა, გამობრძანდეს ასე აქეთ, მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ... სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ — არც ბააკა დვალაძესა, არც დათუნა ქვარიანსა: შოთას რად ვერ ნაბაძესა“.

2. ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორია, წამოყენებული „ქართულ ღრამატიკაში“. თუმცა იგი არ არის ამ მოთხოვნის ორთოდოქსი დამცველი.

3. მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ ანუ ლექსის სწავლის ნიგნი.

ჩვენში შეიქმნა ერეკლეს კულტი. ამას ხელი შეუწყო, პირველ რიგში, მისმა მარჯვენა ხელმა — ანტონ კათალიკოსმა. ანტონი იყო იესე მეფის შვილი, თეიმურაზ II-ის დისწული, ე.ი. ერეკლეს მამიდაშვილი. ერეკლე არ ყოფილა მთლიანი საქართველოს მეფე, მაგრამ იყო აღმოსავლეთ საქართველოს მეფე და იბრძოდა ქვეყნის ცენტრალიზაცია-განმტკიცებისათვის. ანტონი კი იმავე საქმეს, რასაც ერეკლე პოლიტიკაში ცდილობდა, მხარს უჭერდა იდეურად (ეკლესია-რელიგიის მეშვეობით). ის იყო აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგი, მეზრძოლი ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, მეფის ავტორიტეტისათვის. თვითონ ანტონს აქვს უამრავი ხოტბა ერეკლეზე. საერთოდ, მე-18 საუკუნის II ნახევარში ჩვენს მწერლობაში გაბატონდა სახოტ-

ბო პოეზია, რომელიც იდეოლოგიურად აბსოლუტური მონარქიის, სამეფო კარის ინტერესებს გამოხატავს. არც მანამდე და არც შემდეგ არ დანერილა იმდენი მიძღვნა, ხოტბა, იამბიკო თუ „ქება-ნეკროლოგი“, რამდენიც ამ პერიოდში. ანტონის გარდა ამ საქმეში თავი ისახელეს დავით რექტორმა, ამბროსი ნეკრესელმა, ბესარიონ გაბაშვილმა და სხვებმა. ამ მწერლებს აქვთ ნაწარმოებები ერეკლესა და ერეკლესთან ახლო მდგომ პირებზე (დავით სარდალზე, მირიან და ლეონ ბატონიშვილებზე...) კლასიციზტურია, მაგ., ბესიკის სახოტბო თხზულებები „ასპინძის ომი“, „რუხის ბრძოლა“, „სამძიმარი“... (შემდეგ წერდა სოლომონ I-ზე. მაგ. „ქება სოლომონის“, „სოლომონ მეფის ეპიტაფია“). ყველა ზემოდასახელებული პირის ნაწარმოებები ინერება მაღალი სტილით (რომელიც ანტონმა დააკანონა).

კლასიციზმი ყველაზე სასტიკ მტერს პოულობს რომანტიზმის სახით. რომანტიზმი წარმოადგენს კლასიციზმის უარყოფას, მის ანტითეზას. რომანტიზმი მძაფრ ბრძოლას უცხადებს კლასიციზმის წესებსა და კანონებს. რომანტიკოსები იბრძვიან იმისთვის, რომ ხელოვნება გაათავისუფლონ გონების მონობისაგან, გაათავისუფლონ იმ არტახებისაგან, რომელშიც ის კლასიციზტებმა ჩააყენეს.

უნდა ითქვას, რომ კლასიციზმს უშუალოდ რომანტიზმი არ მოჰყოლია. მანამდე წარმოიშვა სენტიმენტალიზმი.

## სენტიმენტალიზმი

სენტიმენტალიზმმა დიდი როლი ითამაშა რომანტიზმის წარმოშობაში. შემთხვევითი არაა, რომ ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსი სენტიმენტალიზმს უწოდებს „ადრინდელ რომანტიზმს“ ანუ „პრერომანტიზმს“.

სენტიმენტალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, აღმოცენდა მე-18 საუკუნის შუა წლებში. თუ კლასიციზმის სამშობლოდ საფრანგეთი ითვლება, სენტიმენტალიზმის სამშობლო ინგლისია. სენტიმენტალიზმმა პირველად თავი იჩი-

ნა ინგლისურ ლიტერატურაში. კლასიციზმი გაბატონებული იყო თითქმის მთელი ორი საუკუნე (მე-17 – მე-18 ს.), სენტიმენტალიზმი კი მხოლოდ ნახევარი საუკუნე ბატონობდა (არც კი, მე-18 საუკუნის შუა წლებიდან იმავე საუკუნის დასასრულამდე).

სენტიმენტალიზმი უპირისპირდება კლასიციზმს. თუ კლასიციზმისათვის ამოსავალი იყო გონება, ხოლო გრძნობა და ემოცია – გონებას დაქვემდებარებული, სენტიმენტალიზმისათვის პირიქით, ამოსავალია გრძნობა, ხოლო გონება – მასზე დაქვემდებარებული.

სენტიმენტალისტი მწერლების აზრით, ადამიანისათვის ძირითადია სულიერი ცხოვრება, ხოლო სულიერი ცხოვრების საფუძველია გრძნობა, გული. მათი აზრით, პირველადია გრძნობიერება, ხოლო შემეცნება — მეორადი: 'წინააღმდეგ კლასიცისტებისა, სენტიმენტალისტები ფიქრობენ, რომ არსებობა ნიშნავს გრძნობიერებას და არა აზროვნებას. მაგ., რუსო წერს: „არსებობა ნიშნავს გრძნობიერებას, გრძნობიერება წინ უსწრებს შემეცნებას. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვექნება გრძნობიერება, ვიდრე შემეცნება“. როგორც ვხედავთ, საკითხი სრულიად რადიკალურადაა შებრუნებული.

თუ, მაგალითად, კლასიცისტურ ნაწარმოებთათვის იყო ქალაქი, სენტიმენტალისტურისა – სოფელი. თუ კლასიცისტურის თემაა სასახლე, მეფეთა და დიდგვაროვანთა ცხოვრება, სენტიმენტალისტურისა — გლეხის ქოხი, უბრალო ადამიანები და ჩვეულებრივი საოჯახო ცხოვრება. სენტიმენტალისტური ნაწარმოების ცენტრში დგას ჩვეულებრივი ადამიანი თავისი განცდებით (მწუხარებითა და სიხარულით).

სენტიმენტალისტური ნაწარმოები კლასიცისტურისაგან განსხვავდება არა მარტო თემითა და შინაარსით, არამედ ამ შინაარსის გამოხატვის საშუალებითაც, ე.ი. ფორმითაც. გასაგებიცაა, სხვა თემამ სხვა ფორმა მოითხოვა. თუ კლასიციზმის ძირითადი ჟანრები იყო ტრაგედია, კომედია, ოდა და ბალადა, სენტიმენტალისტურ ლიტერატურაში გავრცელებული ჟანრია ლირიკა, განსაკუთრებით კი ელეგია, აგრეთვე პროზა, რაც



კლასიციზმის მიერ დაწუნებული იყო: ა) რომანი – მოგზაურობა, ბ) რომანი – ეპისტოლე, გ) რომანი – დღიური. ვინაიდან სენტიმენტალისტური ნაწარმოების თემაა ჩვეულებრივი ადამიანი თავისი განცდებით, ისინი ჟანრსაც უფრო შესაფერსა და ხელსაყრელს მიმართავენ. ზემოწამოთვლილი ჟანრები მეტ საშუალებას აძლევენ გმირებს, გადმოგვცენ თავიანთი განცდები და გრძნობები, ისაუბრონ პირად შთაბეჭდილებებსა და განწყობილებებზე.

განსხვავებულია სენტიმენტალისტური თხზულების ენაც. ნაცვლად კლასიციზტური მაღალი სტილისა, მიძიმე ენისა, სენტიმენტალიზმის ენა უბრალოა, სასაუბრო (ახალმა თემამ და სტილმა ახალი ენა მოითხოვა. რაკი აქ მოქმედი პირები არიან უბრალო ადამიანები, სტილიც უბრალო და მარტივია).

სენტიმენტალიზმის ცნობილი ნარმომადგენლები ინგლისურ ლიტერატურაში არიან: ლირიკაში — იუნგი („ლამის ფიქრები“), ტომსონი („წლის დრონი“), მაკფერსონი („ოსიანის სიმღერები“); ავტორი პირველი სენტიმენტალური დრამისა ლილო („ჯორჯ ბარნეველი“ ანუ „ლონდონელი ვაჭარი“), პროზაში — ლოურენს სტერნი („სენტიმენტალური მოგზაურობა“), რიჩარდსონი („პამელა“).

სახელწოდება **სენტიმენტალიზმი** მოდის ლოურენს სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობიდან“.

ამ მიმართულებამ ფეხი მოიდგა საფრანგეთსა და გერმანიაშიც.

**ფრანგული** სენტიმენტალიზმი სათავეს იღებს **ჟან-ჟაკ რუსოს** რომანიდან „**წიული ანუ ახალი ელოიზა**“. „ახალ ელოიზაში“ გადმოცემულია ღარიბი მასწავლებლის სენ-პრეს უიმედო სიყვარული თავისი მოწაფისა, ბარონის ქალიშვილ იულიასი. სენ-პრე ამკარა პროტესტანტია. იგი ვერ ეგუება მის გარშემო არსებულ საზოგადოებას და მოსვენებას ეძიებს ბუნების ნიაღში. „ახალ ელოიზაში“ რუსომ მხატვრულ ლიტერატურაში დაამკვიდრა ბუნებისა და გრძნობის კულტი. მაგრამ რუსო ბოლომდე მაინც არ რჩება. თანმიმდევარ სენტიმენტალისტად (ჯერ კიდევ არ იყო მთლად თავისუფალი ძველი შეხედულებე-

ბისაგან). სენ-პრე იულიას მამის წინააღმდეგობის შედეგად იძულებულია გადაიხვეწოს. იგი იულიას ნებას რთავს „გაჰყვეს ქმარს თავისი გულისთქმის დაუკითხავად“. სენ-პრეს შემდეგ ეძლევა შემთხვევა, ინახულოს დაქორწინებული იულია, მაგრამ იგი წინანდელი იულია როდია. ქალში უკვე მოვალეობის გრძნობას (გონებას) გაუმარჯვნია და იგი თავისი ქმრისა და ოჯახის ერთგულია. ეს უკვე სენტიმენტალიზმის დამარცხებაა.

გერმანულ ლიტერატურაში კლასიციზმის საფუძვლიანი კრიტიკა და სენტიმენტალური ნაწარმოებები მოგვცა ლესინგმა. ლესინგის ლიტერატურულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული ე.წ. „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქაც, რომელიც ხასიათდება რაციონალისტური დოგმატიზმის წინააღმდეგ გალაშქრებით. სენტიმენტალისტურია გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ (რომანი – ეპისტოლე).

სენტიმენტალიზმი ვითარდება რუსულ ლიტერატურაშიც. მე-18 ს-ის უკანასკნელ ათეულ წლებში ითარგმნება სენტიმენტალისტური ნაწარმოებები: რიჩარდსონის „პამელა“, სტერნის „სენტიმენტალისტური მოგზაურობა“, რუსოს „ახალი ელოიზას“ I ნაწილი... პირველი რუსი სენტიმენტალისტი, ამ მიმართულების მამამთავარი რუსეთში არის დიმიტრი კარამზინი (1766-1826 წ.წ.). ცნობილია მისი „საწყალი ლიზა“. მისი სკოლის მწერალია ივან კოზლოვი, „შეშლილის“ ავტორი. სენტიმენტალისტ მწერლად ითვლება ალექსანდრ ბესტუჟეე-მარლინსკი („ამალათ-ბეგი“, „მოლა ნური“, „ღამე ხომალდში“).

ქართულ ლიტერატურაში არც სენტიმენტალიზმი განვითარებულა სრული სახით. არსებობს კი შეხედულება, რომლის თანახმადაც სენტიმენტალიზმმა, თუმცა არასრული სახით, მაგრამ მაინც გაიელვა ქართულ ლიტერატურაში. ზოგის აზრით, სენტიმენტალიზმი ჩვენში არსებობს რომანტიზმის წინ, მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ზოგი კი ამტკიცებს, რომ სენტიმენტალიზმი ვითარდება რომანტიზმის შემდეგ, მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში.

პირველი მოსაზრება წამოაყენა ალექსანდრე ხახანაშვილმა. მისი აზრით, სენტიმენტალისტური მიმართულება იწყება და-

ვით ბატონიშვილის თხზულებით „ახალი შიხი“. დავით გიორგის ძე ბატონიშვილი (1767-1819 წ.) იყო მთარგმნელი და ორიგინალურ თხზულებათა ავტორი. მის კალამს ეკუთვნის „ახალი შიხი“, რომელიც დაინერა 1803 წელს. შიხი ირანული სიტყვაა და ნიშნავს შეყვარებულს, სიყვარულისათვის გაგიჟებულს.

ფაბულა ასეთია: შიხი სანაინი ჩამოსულა საქართველოში და შეუყვარებია ერთი გლეხის ქალი, სახელად ფერია. მისთვის ხელი უთხოვია, მაგრამ ასეთი პასუხი მიუღია: გაჰყვებოდა შიხს მაშინ, თუკი შიხი დაიწყებდა ღვინის სმას. ეს საქმე მაჰმადიანისათვის მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა და ამიტომ იგი სცილდება ფერიას. მაგრამ სიყვარულის ცეცხლი ისევ აღიგზნება მის გულში. ამის შემდეგ ის სწერს ფერიას 12 გულისგანმგმირავ წერილს და იღებს მისგან ამდენივე პასუხს. ე.ი. თხზულება ეპისტულარული ფორმითაა დაწერილი. ეს ხომ სენტიმენტალიზმისათვის მიღებული ჟანრი გახლდათ.

აქ ლირიკული სიტყარბე მეტია, ვიდრე ეპიკური თხრობა. ნაწარმოებს მართლაც გადაჰკრავს სენტიმენტალისტური ელფერი. ემსგავსება რუსოს „ახალ ელოიზას“, გოეთეს „ვერტერის ვნებანს“ და კარამზინის „საწყალ ლიზას“. თავისებური მსგავსება აქვს „ვისრამიანთანაც“ (ვისის წერილი რამინისადმი და პასუხები) და აგრეთვე თეიმურაზ I-ის „ვარდბულბულიანთან“. აი ეს თხზულება ხახანაშვილმა ჩათვალა სენტიმენტალისტურ ნაწარმოებად. იმავე მკვლევარმა პირველმა აღნიშნა: რომ „ახალი შიხი“ განიცდის გავლენას კარამზინის, რუსოს და რიჩარდსონის სკოლისაო.

ეს აზრი გაიზიარეს კორნელი კეკელიძემ, ტრიფონ რუხაძემ, ალექსანდრე კალანდაძემ და სხვებმა. დავით ბატონიშვილი რუსეთ-ევროპის წრეში იყო აღზრდილი და მას საშუალება ჰქონდა, განეცადა სენტიმენტალისტურ თხზულებათა გავლენა. სენტიმენტალისტური ელფერი გადაჰკრავს მის ლექსებსაცო. სენტიმენტალიზმის ელფერი გადაჰკრავს აგრეთვე ამ დროის, ე.წ. გარდამავალი ხანის სხვა მწერალთა თხზულებებსაც: იოანე ბატონიშვილის, გრიგოლ ბატონიშვილის (მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე), თეკლე, მარიამ ბატონიშ-

ვილებს, პეტრე ლარაძის, დიმიტრი ბაგრატიონის და სხვათა თხზულებებს.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმი ვითარდება მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. ვითარდება იმდენად, რომ მას თავისი წარმომადგენლებიც ჰყავსო და ეს სრული გაუგებრობაა (მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში გვაქვს სენტიმენტალიზმის მხოლოდ ცალკეული ნიმუშები). ამ მოსაზრებას ავითარებს სერგი ჭილაია.

„ქართული სენტიმენტალიზმი“ ჩაისახა მიმბაძველობითა და გავლენით. ქართველმა მწერლებმა უცხოური რომანებისა და ლექსების კითხვით შეიყვარეს სენტიმენტალიზმი. ქართველი მწერლები ეწევიან რუს და ევროპელ სენტიმენტალისტ მწერალთა პოპულარიზაციას. თარგმნიან მათ თხზულებებს და აქვეყნებენ ჟურნალ „ცისკარში“. როგორც გიორგი ერისთავის, ისე ივანე კერესელიძის რედაქტორობის დროს „ცისკარში“ ქვეყნდება ნათარგმნი სენტიმენტალისტური თხზულებები. გაცხოველებული მთარგმნელობითი მუშაობაა გაჩაღებული განსაკუთრებით 1852-დან 1860 წლამდე. 1852 წ. გიორგი ერისთავმა თარგმნა ალექსანდრ ბესტუჟევ-მარლინსკის „ამალათბეგი“, შალვა ერისთავმა იმავე ავტორის „მოლა ნური“, „ღამე ხომალდში“, მიხეილ ანდრონიკოვმა 1857 წ. თარგმნა კარამზინის „საწყალი ლიზა“, ამავე ხანებში ითარგმნა მარმონტელის „მეუდაბნოე“. 1860 წ. რევაზ შალვას ძე ერისთავმა თარგმნა კოზლოვის „შემლილი“ და სხვა.

ამავე დროს ქართველი მწერლები თვითონაც წერენ თხზულებებს, რომლებიც გარეგნულად ძალიან გვანან სენტიმენტალისტურს. ისინი იცავენ გულის პრიორიტეტს, ე.ი. წინა პლანზე აყენებენ მგრძნობელობას. მაგალითად, გიორგი ერისთავის ლექსი „გული“. (აქ „საწყალი გული“ უპირისპირდება „მისსა მრჩეველს ცივსა გონებას“). აგრეთვე ი. ს.-ს „გულისადმი“, დიმიტრი ბერიევის „გულს“, და სხვ.

ზოგ მკვლევარს სენტიმენტალისტურად მიაჩნია გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსები. ზოგიერთი მისი ლექსი სიმღერად არის

ქცეული. მაგალითად, „ახ, მთვარევ, მთვარევ“, „გესალმი ჩემო თვალის სინათლევ“ (ბევრმა არც კი იცის მათი ავტორი). დიმიტრი არაყიშვილს თავის წიგნში „Народные песни в Грузии“ ლექსი „ახ, მთვარევ, მთვარევ“ შეტანილი აქვს, როგორც უცნობი ავტორის ნაწარმოები. პოეტი ამ ლექსში დამწვარი გულის საიდუმლოს მთვარეს ანდობს „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო, მსურს ჩემი ტანჯვა შენც გაგიბედო“... ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი „სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი (ეს ლექსი წარმოადგენს მიბაძვას ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა „სიყვარულო, ძალსა შენსა“).

ალექსანდრე კალანდაძის აზრით, სენტიმენტალისტურია ივანე კერესელიძის პოემები „ნაოხარი სოფელი“, „მწყემსის სიყვარული (მოქმედება ხდება სოფელში, ბუნების წიაღში, მოქმედი პირები არიან უბრალო ადამიანები, გადმოცემულია მათი სიყვარული, სხვა განცდები...).

სენტიმენტალისტური პროზის ნიმუშადაა მიჩნეული დავით თაზიშვილის „ჩემი გული“, „მოთხრობა მოგზაურისა“, პავლე თუმანიშვილის „მოთხრობა სოფლისა“, ივანე კერესელიძის „სამგზავრო წიგნები“ და სხვა.

პროზის ცენტრალური საკითხი ხდება ისევ გული, მგრძნობელობა. მაგალითად. დავით თაზიშვილის მოთხრობაში „ჩემი გული“ მოთხრობილია შეყვარებული გულის თავგადასავალი. შეყვარებული ახალგაზრდა სწერს თავის მეგობარს, თუ როგორ იტანჯება ის სიყვარულისაგან. ეს მოთხრობა თავიდან ბოლომდე ტანჯული გულის საჩივარია. ნაწარმოების მიზანია, გააცნოს მკითხველს დატანჯული გულის განცდები. აქ მოთხრობილი მწუხარება ჩვეულებრივი, ადამიანური განცდაა. მოქმედი პირებიც უბრალო ადამიანები არიან. სენტიმენტალისტურს ჰგავს ამ ნაწარმოების არა მარტო თემა, არამედ ფორმაც – იგი დაწერილია ეპისტოლური ფორმით.

სენტიმენტალისტურადაა მიჩნეული აგრეთვე დავით თაზიშვილის „მოთხრობა მოგზაურისა“. მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი, პატარა კაციძე. მოთხრობის საგანია ამ კაციძის კერძო ცხოვრება.

რუსი და ევროპელი სენტიმენტალისტების მსგავსად „ქართველ სენტიმენტალისტებსაც“ შემოაქვთ მოგზაურობითი ჟანრი. მაგალითად, ივანე კერესელიძის „სამგზავრო წიგნები“. აღნიშნავენ, ეს ნაწარმოები განიცდის კარამზინის გავლენას. ავტორი ხშირად მდულარე ცრემლებს აფრქვევს ამა თუ იმ ადგილის ნახვისას, ამავე დროს იძლევა ბუნების სურათების აღწერას.

სენტიმენტალიზმის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად ქართულ ლიტერატურაში მიაჩნიათ გრიგოლ რჩეულიშვილი. სენტიმენტალისტურია მისი „ანუკა ბატონიშვილი“, „ქვრივის ლიმონები“, „თამარ ბატონიშვილი“. „ანუკა ბატონიშვილი“ ისტორიული რომანია. მაგრამ ავტორის მიზანია არა ისტორიული რეალიების დახატვა, არამედ ისტორიულ პიროვნებათა „მგრძნობიარე გულის“ ჩვენება. ავტორი გვიხატავს ისტორიულ პირთა ფსიქოლოგიურ განცდებს. გათხოვილ ქალს, ანუკა ბატონიშვილს უყვარს თავისივე მოსამსახურე ტიტკო. ანუკაში ერთმანეთს ებრძვის ქმრის წინაშე მოვალეობის შეგნება და სიყვარულის გრძნობა. ის მუხლმოდრეკილი ლოცულობს, რომ დაუნყნარდეს გულის თრთოლვა, მაგრამ ამოდ, „მე აღარ შემიძლიან ბრძოლა ჩემ გულთან, ჩემ სიყვარულთანო“, — ამბობს იგი. ასეთივე განცდები აქვს ტიტკოს. იგი ასე მიმართავს ქალს: „სად არის ჩემი გული, რომელიც შენ შეიმსხვრიე, სად არის ჩემი სიცოცხლე, რომელსაც მოუღე ბოლო, სად არის ჩემი სული, რომელიც ნაწყმიდე, სად არის ჩემი მოსვენება, რომელიც აღმიშფოთე... ნუ თუ გგონია, რომ ჩემი საცოდავი გული აიტანდა ამაებს უგრძნობლად? შემიბრალე, მომეცი მცირედი ნაწილი შენი სიყვარულისა, ბატონიშვილო!“ სოციალური მდგომარეობით ვაჟი ქალზე დაბლა დგას, მაგრამ ეს არაა ხელისშემშლელი მათ შორის ურთიერთგაგებისა. ახალ ქართულ ლიტერატურაში პირველად გრიგოლ რჩეულიშვილმა გამოიყვანა მაღალი, არისტოკრატიული წრის პერსონაჟების გვერდით დაბალი წრის ადამიანი(ეს იყო პრინციპული მნიშვნელობის სიახლე).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გრიგოლ რჩეულიშვილის თხზულებებში მეფეები და ფეოდალები ხშირად არ არიან ოფი-

ციალური პირები. არამედ ჩვეულებრივი ადამიანები. ეს იყო სიახლე ქართულ ლიტერატურაში. გრიგოლ რჩეულიშვილი გვიხატავს არა ადამიანს-სქემას, არამედ ადამიანს-მგრძნობიარეს. არქაისტების მიერ დახატულ ზვიად მეფეებსა და სარდლებს მან დაუპირისპირა მეფე-ადამიანი, სარდალი – მგრძნობიარე გულის პატრონი. ასე შექმნა გრიგოლ რჩეულიშვილმა ისტორიულ-ფსიქოლოგიური რომანი. ამ მხრივ მას რამდენადმე ვასილ ბარნოვი ემსგავსება.

თუმცა უნდა ითქვას, რომ გრიგოლ რჩეულიშვილმა ზოგ შემთხვევაში მხატვრული სიმართლე ვერ დაიცვა. მართალია, მას უფლება ჰქონდა და კიდევ გამოიგონა, შეთხზა ბევრი რამ, მაგრამ როცა ფანტაზიის ნაყოფი არადაამაჯერებელია, მოკლებულია ისტორიის სულს და ზოგ შემთხვევაში კიდევ უპირისპირდება მას, ცხადია, იქ მხატვრული სიმართლე დარღვეულია. მაგალითად, მეფის მეტყველების სტილი შეუძლებელია, ყოფილიყო მეტისმეტად მდაბიური, წარმოუდგენელია მეფე შუამავლის, მაჭანკლის როლში და სხვა. ამ ნაკლოვანებათაგან სრულიად თავისუფალია ვასილ ბარნოვის თხზულებანი. მან წარმოსახული ისტორიულ სიმართლემდე აზიდა, აამალა ...

ისტორიულ მოთხრობაში „ქვრივის ლიმონები“ ერეკლე მეფე დახატულია, როგორც არა მეფე, არამედ როგორც ახალგაზრდა ქვრივის, კეკეს შუამავალი.

ბარბარე ჯორჯაძისამ უარყოფითი შეფასება მისცა „ანუკა ბატონიშვილს“ სტატიაში „ანუკა ბატონიშვილის მოთხრობა-ზედ“ („ცისკარი“, 1861 წ. იანვარი). ისტორია ისე უნდა ვურჩენოთ, როგორც იყო და არა ასეო. რჩეულიშვილის მოთხრობა „სავსეა ყოვლის უშესაბამო აზრებითა“, ასე როგორ მოიქცეოდა ძველად ქართველი ქალიო. ამის მსგავსი რამ არ შეიძლება და მომხდარიყო. ამასვე ამბობდა „კახეთის მებუკე“, რომელიც გამოდიოდა მთელი კახეთის კეთილშობილთა სახელით, წერილში „უფალო რედაქტორო“ („ცისკარი“, 1861 წ. მარტი). სოლომონ ხუციშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა „კახეთის მებუკეც“ ბარბარე ჯორჯაძისა იყოს. „ქვრივის ლიმონები“ უარყოფითად შეაფასა ალექსანდრე ორბელიანმა სტატიაში „ქვრი-

ვის ლიმონების" განხილვა ანუ კრიტიკა" („ცისკარი“, 1858 წ. აპრილი).

უთანხმოება ამ შემთხვევაში პრინციპული ხასიათისა იყო. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი მხატვრული პრინციპი, ორი სტილი – კლასიციზმ-არქაისტებისა და სენტიმენტალისტებისა. გრიგოლ რჩეულიშვილი ასევე მკვეთრად გაემიჯნა მძიმე საეკლესიო ენასაც. მისი თხზულებების ენა არის უბრალო, სასაუბრო. ამანაც ზოგის უკმაყოფილება გამოიწვია. პირველმა ბარბარე ჯორჯაძისამ უკიჟინა მწერალს, რომ „მისი მოთხრობები არ არის ჩვენი ქართული ენის ქცევითლაპარაკი“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა უარყოფითად აფასებდა გრიგოლ რჩეულიშვილის პროზას. სამაგიეროდ, უფრო მაღლა აყენებდნენ მას, როგორც პოეტს. მოთხრობები არ მოსწონდათ, ლექსები – კი. ერთ-ერთი კრიტიკოსი ნიკოლოზ ბერძენოვი („Кавказ“, 1859 წ.) გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსებს ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს ადარებს და მის გვერდით აყენებს. სხვებიც ასეთი აზრისა იყვნენ.

გავიდა დრო და ისტორიამ არ გაიზიარა ეს შეფასება. გრიგოლ რჩეულიშვილის პოეზია დაჩრდილა მისმა პროზამ და ქართული ლიტერატურის ისტორიას იგი უმთავრესად პროზაიკოსის სახელით შემორჩა.

ამჟამად, რომ 50-იან წლებში თავს იჩენდა საფრთხე, რომ ჩვენს მწერლობაში თავს წამოყოფდა სხვა ქვეყნებში უკვე დაგმობილი ლიტერატურული სტილი. აი, სწორედ ამ საფრთხემ ააღებინა კალამი ხელთ ილია ჭავჭავაძეს. რეალისტური სკოლის პრინციპებზე აღზრდილმა ილიამ გაილაშქრა რევაზ ერისთავის წინააღმდეგ, რომელმაც თარგმნა სენტიმენტალისტი მწერლის თხზულება. რა საჭიროა ჩვენი მწერლობისათვის ახლა ესო. სენტიმენტალიზმს ის უწოდებს „წარსულ დროის ცთომილებას“...

სენტიმენტალისტი მწერლებს გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „დროა, ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“... გაფაღარათებული ვარსკვლავების



ცაში ბოლთის ცემას, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთის იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენს; დროა, ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგებ ცრემლი მომივიდესო, დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის...”

სენტიმენტალიზმის დამახასიათებელი მოტივებია ნალვლიანობა, მარტოობის გრძნობა, წარსულის მოგონება, ფიქრი ადამიანის ბედნიერების წარმავალობაზე, საერთოდ უსასობა, უიმედობა, სიყვარულის მოტივი, ბუნების კულტი და სხვა. ეს ის მოტივებია, რომლებიც შემდეგ პირდაპირ გადავიდა რომანტიზმში. სწორედ ამიტომ უწოდებდნენ სენტიმენტალიზმს „ადრინდელ რომანტიზმს“ ანუ „პრერომანტიზმს“. ამიტომაც, რომ ზოგჯერ ძნელდება სენტიმენტალისტური და რომანტიკული ნაწარმოებების გამიჯვნა.

## რომანტიზმი

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, წარმოიშვა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 ს-ის დასაწყისში. მიჩნეულია, რომ რომანტიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. რევოლუციის შემდეგ ევროპული საზოგადოება მოიცვა გულგატეხილობამ და უკმაყოფილებამ. ამისთვის პირველ რიგში საფუძველი ჰქონდა მემამულეთა კლასსა და წვრილ ბურჟუაზიას. მემამულეთა კლასის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ მომავალი ბურჟუაზიას ეკუთვნის. მათ შეიგნეს, რომ ფეოდალური კლასი საბოლოოდ განწირულია. ამის გამო არისტოკრატიული კლასიდან გამოსული მწერლები მიეცნენ მწუხარებას, სევდასა და უიმედობას. თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო იყო აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიაც. მანქანის გამომგონებამ და ჰძიმე ინდუსტრიის განვითარებამ წვრილი ხე-

ლოსნური მეურნეობა განადგურების გზაზე დააყენა. მას ამის გამო მომავლის რწმენა და იმედი დაეკარგა.

გაძლიერდა პოლიტიკური რეაქცია: სამი სახელმწიფოს მონარქებმა (რუსეთის, ინგლისისა და ავსტრიისა) კავშირი შეკრეს იმ მიზნით, რომ შეერთებული ძალით ებრძოლათ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მთელს ევროპაში გამეფდა ჟანდარმული რეჟიმი. ამ ნიადაგზე საზოგადოების დიდი ნაწილი, მეტწილად პროგრესული ფენა, მოიცვა უიმედობამა და მწუხარებამ. საზოგადოების ამ კლასებისა და ფენების ასეთი განწყობილების გამომხატველი ამ პერიოდში არის რომანტიზმი. თუმცა ლიტერატურა განვითარების შინაგან კანონებს უფრო ემორჩილება.

და მაინც, რომანტიზმის აღმოცენებისათვის აუცილებელია ფილოსოფიური სკოლა იდეალიზმი. დიახ, რომანტიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს სუბიექტური იდეალიზმი (ფიხტე, შელინგი). ე.ი. სამყარო არის ჩემი „მეს“, სუბიექტის წარმოდგენა.

ცნება „რომანტიზმი“, „რომანტიკული“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად ესმოდათ. პირველად სიტყვას „რომანტიზმი“ ვხვდებით ინგლისლი მწერლების ნაწერებში. სახელდობრ, ეს სიტყვა პირველად გამოიყენა ინგლისელმა მოგზაურმა ეველინმა 1654 წ. (ის ერთ-ერთ მთას უწოდებს რომანტიკულს). ინგლისიდან ეს ტერმინი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. საფრანგეთში ეს სიტყვა პირველად ნახსენებია მე-18 საუკუნეში აბატ ლა-ბლანისა და ჟან-ჟაკ რუსოს წერილებში (მე-18 საუკუნის მეორეი ნახევრიდან ეს სიტყვა უკვე საყოველთაო მიმოქცევაშია).

ინგლისელი მწერლები პირველად „რომანტიკულს“ უწოდებდნენ უჩვეულოს, ფანტასტიკურს, ყოველივე იმას, რაც დაშორებული იყო სინამდვილეს. საფრანგეთში თავდაპირველად „რომანტიზმის“ ქვეშ გულისხმობდნენ ჩრდილოეთის ბურუსიან პეიზაჟებსა და უსაზღვრო ოცნების გამოხატვას პოეზიაში. გერმანიაში ერთხანს ამ სიტყვას უკავშირებდნენ რომანულ ხალხთა შემოქმედებას (პოეზიაში), შემდეგ კი ამ სიტყვას აწარმოებდნენ სიტყვიდან „რომანი“ (ფრ. შლეგელი). „რომანტიზმი“ ლიტერა-

ტურული მიმართულების გამომხატველი გახდა შედარებით გვიან. როგორც ასეთი, ეს სიტყვა განამტკიცეს გერმანელმა რომანტიკოსებმა (ფრიდრიხ შლეგელი, ლუდვიგ ტიკი და სხვანი).

რომანტიზმი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იყო განმარტებული. მაღამ დე სტალი მთელ ფრანგულ ლიტერატურას ჰყოფდა ორ სფეროდ: კლასიციზმად და რომანტიზმად. კლასიციზმად, რომელიც გატაცებული იყო ანტიკური სამყაროთი და ყველაფერში მას ბაძავდა, რომანტიზმად, რომელიც თავის იდეალს ხედავდა ქრისტიანობასა და შუა საუკუნეებში. გოეთეც ასევე ერთმანეთისაგან განასხვავებდა კლასიკურსა და რომანტიკულს. ის კლასიკურს უწოდებდა ყოველივე კარგს, ჯანსაღს, ნათელს, რომანტიკულს კი – ავადმყოფურს, სუსტსა და მილეულს. მისი აზრით, ფრანგი რომანტიკოსები გამოხატავენ სისუსტეს, ავადმყოფობას. ავგუსტ შლეგელი რომანტიზმად გულისხმობს ფანტასტიკურ, იდეალისტურ პოეზიას, რომელიც არ ემორჩილება არავითარ წეს-კანონებს. ნოვალისისათვის რომანტიზმი არის ისეთი პოეზია, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს მისწრაფებას შორეულისაკენ, ღამისა და ბინდისაკენ. ნოვალისის სიტყვებია: „დიდი მანძილიდან პოეზიად იქცევა ყოველი შორეული მთა, შორეული ადამიანი, შორეული მოვლენა (ყველაფერი ხდება რომანტიკული). რომანტიზმი ღამისა და ბინდის პოეზიაა“.

ბრიუნეტიერის (ფრანგი) განმარტებით, რომანტიზმი არის საზოგადო მოვლენა, რომლის „განსაკუთრებული თვისება ინდივიდუალიზმისაკენ მისწრაფებაა“. ბრიუნეტიერის ქართველი მოწაფე კიტა აბაშიძე ამ განმარტებას უმატებს: „ნამდვილი რომანტიკული ლირიკოსი იმას ცდილობს, თვალწინ თავისი პირადი გრძნობები დაგვიყენოს, მუდმივ თავის თავზე ფიქრობს, გატაცებულია თავისი პიროვნებით, ხან აკვირვებს მისი თვისებანი, ხან ებრალება თავისი თავი. ორიგინალობა დანაშაულად კი არა, ღირსებად მიაჩნია“.

დღესაც არა გვაქვს რომანტიზმის მეცნიერული დეფინიცია (დეფინიცია – ლათ. – საგნის ზუსტი განსაზღვრება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით).

რომანტიზმი ყველაზე რთული, ამავე დროს გლობალური მიმართულებაა. როგორც სინამდვილის ასახვის ხერხი, მიმართულების გაჩენამდეც იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება...

ყველა ქვეყნის ლიტერატურაში რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია:

1. სევდა. რა არის სევდის მიზეზი? ამის მიხედვით სევდაც სხვადასხვაგვარია: 1. კონკრეტული და 2. ე.წ. „მსოფლიო სევდა“. კონკრეტული სევდის მიზეზიც თავის მხრივ შეიძლება სხვადასხვა იყოს ა) საზოგადო – საქვეყნო, რაც უკლებლივ ყველა რომანტიკოსს ახასიათებს და ბ) კერძო-პირადული (ბიოგრაფიული).

ე.წ. „მსოფლიო სევდის“ ტრადიცია მოდის ბიბლიიდან, კერძოდ, ეკლესიასტედან. სოლომონ ბრძენი, იუდეველთა მეფე, ცხოვრობდა 2700 წლის წინათ. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ თვლიდა, რომ: ყველაფერი ამაოა და ქარის დევნა. არაფერს არა აქვს აზრი – არც სიმდიდრეს, არც ცოდნას, არც სიბრძნეს – ყველა კვდება და მტკრად იქცევა. ბრძენსა და უგუნურს – ორივეს ერთი დასასრული აქვს. „ერთი ხვედრი აქვს ყველას – მართალს და უკუღმართს, კეთილსა და ბოროტს. წმინდასა და არანმინდას...“

მდრ. ქართული ხალხური: ბინდისჭურია სოფელი...

„წუთისოფელი არა არის, აგორებული ქვა არის, რა წამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის“.

ეს ანუხებდა გოეთეს ფაუსტს, შექსპირის ჰამლეტს („ყოფნა – არ ყოფნა“), ბაირონის კაენს, მანფრედს...

2. უკმაყოფილება არსებული საზოგადოებრივი ცხოვრებით. თანამედროვე საზოგადოებასთან, ანმყოსთან კონფლიქტი, წინააღმდეგობა (ბაირონისა და პერსი ბიში შელის მაგალითი).

რომანტიკოსები უპირისპირდებიან რეალურ სინამდვილეს და ოცნებაში გადადიან. რომანტიკოსი გვიხატავს იმას კი არა, რაც არის, არამედ იმას, რაც მისთვის სასურველია.

3. ამ ნიშნიდან (საზოგადოებასთან, ანმყოსთან კონფლიქტიდან) ორგანულად გამოდის რომანტიზმის სხვა ნიშანი. ეს არის წარსულის გაიდება ან მისი საწინააღმდეგო – მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ.

რომანტიკოსებს არ მოსწონთ რეალური ანუ ემპირიული სამყარო, რომელიც, მათი აზრით, სავსეა უხამსობით, უწესობით, სიმახინჯით.. ამიტომ მიისწრაფიან ირეალურისაკენ, იდეალურისაკენ, სადაც სუფევს ჰარმონია, სიმართლე, სიკეთე...

აქედან ლტოლვა ემპირიული საზღვრების გადალახვისა და იდეალურში გადასვლისაკენ. აქედან გამომდინარე დიდი ინტერესი არაჩვეულებრივის მიმართ: 1. არაჩვეულებრივი ადამიანი (ტიტანი), 2. არაჩვეულებრივი, შორეული, უცნაური ბუნება (ეგზოტიკა), 3. არაჩვეულებრივი შემთხვევა (ფანტასტიკა). რომანტიკოსი გაურბის იმის ასახვას, რაც ჩვეულებრივი და ყველასათვის ახლოა. ყველა რომანტიკოსი ემპირიულის მიღმა ეძებს იდეალურს...

4. რომანტიზმისთვის დამახასიათებელია სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი. რომანტიკოსთა შემოქმედებაში ძირითადია არა საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, არამედ უმთავრესად პირადი განცდების გადმოცემა, გამოხატვა პირადი განწყობილებებისა (მისი საფუძველია სუბიექტური იდეალიზმი). მას აინტერესებს არა საგანი თავისთავად, არამედ ამ საგნის მიერ აღძრული განცდების გადმოცემა. რომანტიკოსი უფრო საკუთარ თავზე, საკუთარ განწყობილებასა და შინაგან განცდაზე გვესაუბრება, ვინემ გარეშე, ობიექტურ მოვლენებზე.

5. რომანტიზმისათვის დამახასიათებელია პოეტური ფორმების თავისუფლება. როგორც ცნობილია, კლასიციზმისთვის დამახასიათებელი იყო გარკვეული ჟანრების დაცვა. რომანტიზმი მიმართავს ყოველგვარ ჟანრს, ამიტომაც მან თავი იჩინა პოეზიაშიც, პროზაშიც და დრამაშიც.

რომანტიკოსებმა უარყვეს ჟანრებს შორის არსებული სპეციფიკური საზღვრები. საერთოდ, რომანტიზმი შემოქმედს აძლევს სრულ თავისუფლებას (კლასიციზმისგან განსხვავებით). რომანტიზმი იყო ამბოხება შემოქმედის თავისუფლებისათვის. დასავლეთში რომანტიზმი დაუპირისპირდა კლასიციზმს, ჩამოყალიბდა მასთან ჭიდილში (თუმცა რომანტიზმს წინ სენტიმენტალიზმი უსწრებს, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი იყო კლასიციზმის დოგმები). ამიტომ გვაქვს რომანტიზმის

თეორიული დასაბუთებაც (შლეგელის, ჰიუგოსა და სხვათა ნაწერებში).

6. რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია გატაცება ბუნებით, შორეული ქვეყნებით (განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქვეყნებით) და ხალხური შემოქმედებით. ბუნების კულტი ლიტერატურაში რომანტიკოსებმა შემოიტანეს. მათი ბუნება განსხვავდება კლასიციზმის ბუნებისაგან. თუ კლასიციზტები აგვიწერენ ხელოვნურ ბუნებას, რომანტიკოსები – ველურს, ისეთს, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიკარებია. ბუნების წიაღში ისინი ეძებენ სულიერ სიმშვიდეს, მეგობარს.

ბუნება ფართო გაგებით – ესაა მთელი გარემომცველი სამყარო – არა მე (ე.ი. ადამიანის „მე“-ს გარდა ყველაფერი). ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, წყალი, ჰაერი, მიწა, მზე, მოკლედ, მთელი კოსმოსი. ადამიანი ბუნების შვილია. ბუნება მისი დედაა (ამიტომაც ეძახიან დედა-ბუნებას). ის კვებავს ყოველმხრივ, ყველაფრით. დამოკიდებულება მათ შორის უნდა იყოს დედაშვილური: ფრთხილი, მზრუნველი, მოსიყვარულე. ამიტომაც განადიდებდა, ეთაყვანებოდა ადამიანი მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს – მთელ სამყაროს. ამიტომაც აღავლენდა ჰიმნებსა და საგალობლებს მათ მიმართ. ხალხურ პოეზიაში სამყარო წარმოსახულია როგორც ერთი მთლიანობა, ერთი ოჯახი. „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და დაძმაა ჩემი“. ადამიანი კი ბუნების გვირგვინი, მისი მეფეა.

ბუნების კულტი რომანტიკოსებზე ადრე სენტიმენტალისტებმა შემოიტანეს. კლასიციზტების ქალაქის ხელოვნურ ბუნებას მათ დაუპირისპირეს სოფლის პირველყოფილი ბუნება (კლასიციზტებს მოსწონდათ სწავლული მებაღის, დეკორატივის მიერ ტექნიკით დამუშავებული ბაღები და გაზონები, ე.ი. არა ბუნება თავისთავად, არამედ ადამიანის ხელოვნება). თუ კლასიციზმი ქალაქსა და კულტურას აყენებდა სოფელსა და ბუნებაზე მაღლა, სენტიმენტალისტები და რომანტიკოსები – პირიქით. ამ მხრივ ძალიან შორს წავიდა ჟან-ჟაკ რუსო (მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი-სენტიმენტალისტი). რუსო იყო

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ქალაქსა და ცივილიზაციას დაუპირისპირა პრიმიტივიზმი და ბუნება, პატრიარქალური ყოფა. მისი აზრით, კულტურა და ცივილიზაცია ყალბია, დამლუპველია, მხოლოდ ბუნებაა ნრფელი და სიკეთის მომტანი. რუსო მოუწოდებდა კაცობრიობას, ზურგი ექცია ქალაქისათვის, კულტურა-ცივილიზაციისათვის და დაბრუნებოდა საღ ცხოვრებას ბუნების წიაღში (რუსოიზმი). რუსო მოუწოდებს თანამოქალაქეებს, დაამტვირონ მეცნიერებისა და ხელოვნების ძეგლები, ქანდაკებები და სხვა, დანვან სურათები, საზოგადოებისაგან გააძევონ ფილოსოფოსები, მეცნიერები, სწავლულები. კაცობრიობას ცივილიზაცია დალუპავს, გადაარჩენს უკან, უცოდინარობისაკენ დაბრუნება. „ღმერთო, გვიხსენ სწავლა-განათლებისაგან და დაგვიბრუნე უცოდინარობა და უმანკობა“. ეს მოგვიტანს სიხარულსა და ბედნიერებას. განსაკუთრებით ვერ იტანდა რუსო სწავლულ, მეცნიერ ან მწერალ ქალს: „ქალის მოვალეობაა დედობა და დიასახლისობა. ქალი, რომელიც დაინტერესებულია მეცნიერებითა და ლიტერატურით, საზოგადოების მტერია“ (ჟან-ჟაკ რუსო).

ჩვენი რომანტიკოსები ასე შორს არ მიდიან, მაგრამ ერთგვარი სიყვარული პრიმიტიული ცხოვრებისა მათაც აქვთ. (მაგ., ბარათაშვილი: „რომ მქონდეს მცირეოდენი შესაძლებლობა დამოუკიდებლად არსებობისა, მე მაშინვე დავტოვებდი საზოგადოებას თავისი უძღლები სურვილებით და ცხოვრებას გავატარებდი მარტივი ბუნების წიაღში...“).

7. რომანტიკოსებს უყვართ ღამე, სასაფლაო, ცისფერი. პირველი პოეტი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელმაც ღამის სიყვარულს დაუდო სათავე, იყო გერმანელი რომანტიკოსი ნოვალისი (ფრიდრიხ ჰანდერბერგი 1772-1801), იენის რომანტიკოსთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. ნოვალისს გარდაეცვალა საცოლე – 15 წლის სოფი კიუნი. ამ ტრაგიკული განცდების შემდეგ წერს ლექსების ციკლს „პიმნები ღამისადმი“ (1797-98 წწ.). ნოვალისს სიკვდილი ესახება ერთადერთ საშუალებად, რათა სამუდამოდ შეუერთდეს სატრფოს. ღამე კი არის სიმბოლო საიქიოსი.

ნოვალისს აშინებს დღის სინათლე, იგი უმღერის ღამის მარადიულობას: „ნუთუ ყოველთვის ღამეს დილა უნდა მოჰყვებს?“ – კითხულობს ის (ნოვალისის აზრით, სინათლის დრო განსაზღვრულია, ღამისა კი – განუსაზღვრელი, მარადიული. ღამეს არა აქვს დასასრული დროსა და სივრცეში). ასეთივე თვალსაზრისით აშუქებს იგი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას. „სიცოცხლე ხანმოკლეა, სიკვდილი – მარადიული“.

ცისფერისადმი ლტოლვა და სიყვარულიც პირველად ნოვალისმა შემოიტანა მსოფლიო ლიტერატურაში. ცისფერი ყვავილი მისთვის არის უსაზღვროებისა და მარადიულობის სიმბოლო (ცა – უსასრულობა...).

8. რომანტიკოსთათვის დამახასიათებელია პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული. ეს თვისება განსაკუთრებით მკვეთრად მჟღავნდება იმ ქვეყნების რომანტიზმში, რომელნიც დამონებულნი, უფლებააყრილნი არიან.

9. რომანტიზმის ერთ-ერთი ნიშანია სიყვარულის მოტივი (რომელზედაც აგრეთვე უფრო ადრე ყურადღება გაამახვილა სენტიმენტალიზმმა). გასაგებიცაა. გული, გრძნობები, ემოციები, ადამიანის შინაგანი სამყარო ყველაზე რელიეფურად მჟღავნდება სიყვარულში.

რომანტიკოსებმა წინ წამოსწიეს სიყვარულის სულიერი მხარე, მშვენნიერება, და დაუპირისპირდნენ აღმოსავლურ, მხოლოდ ხორციელ სიყვარულს. „ლამაზი“ და „მშვენნიერი“ არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, თუმცა არც ზუსტად ემთხვევიან. რუსთაველი პირველად ასახელებს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“ პირველ შთაბეჭდილებას ხომ ადამიანი თვალით იღებს.

სიყვარული, რომელიც მხოლოდ სილამაზეს ემყარება, ხანმოკლეა, ვინაიდან თვით სილამაზეა ხანმოკლე („სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“...).

აღმოსავლური სიყვარული მხოლოდ ხორციელია, ე.ი. ამქვეყნიური, მაგრამ არა იდეალური (მარტოოდენ ვნება). მას უპირისპირდება პლატონური სიყვარული (მხოლოდ სულიერი, ჰაეროვანი), რომელიც მთლიანად გამორიცხავს ფიზიკურ, ხორციელ სიახლოვეს. ორივე უკიდურესობაა. აღმოსავლური



სიყვარულის ნიმუშებია „ვისრამიანი“, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“, მისივე „ფიამეტა“. პლატონური სიყვარულის ნიმუშია მე-14 საუკუნის იტალიელი პოეტის ფრანჩესკო პეტრარკას სიყვარული ლაურასადმი.

ჩვენი რომანტიკოსები ამ მხრივ შოთას მემკვიდრენი არიან. რუსთველური სიყვარული ამქვეყნიური, მიწიერი, თანაც მაღალზნეობრივი და ამაღლებული. პოემაში სავსებით ბუნებრივადაა ჩათვლილი შეყვარებული ქალ-ვაჟების ურთიერთისადმი ლტოლვა, მაგრამ მათი ურთიერთობა ზერელობაში არ გადადის. ასევე არიან რომანტიკოსებიც. იცავენ ოქროს შუალებს.

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ სიყვარული იყო ყველაფრის სანყისი. მათი წარმოდგენით, ჯერ იყო ქაოსი (არეულობა). ქაოსმა და გეამ (დედამინამ) შვეს პირველი ღმერთი ეროსი. აი, ამ ეროსმა მისცა აზრი ამქვეყნიურ არსებობას. ეროსს გამოსახავდნენ ყმანვილის (ანცი ბიჭის) სახით, თანაც თვალახვეულს (ე.ი. „ბრმას“). ჩანთაში, რომელიც ყელზე აქვს ჩამოკიდებული, უწყვია ორნაირი ისრები – სიყვარულის და გულცივობის (სიძულვილის). ამიტომ შეუძლებელი იყო ეროსის საქციელის ლოგიკური ახსნა, იმის წინასწარ გამოცნობა, რომელ ისარს ამოიღებდა და საით ისროდა (ამიტომ ამბობენ, სიყვარული ბრმაა, მას კანონზომიერება არა აქვსო...)

ეროსი ყველას იმორჩილებს. თვით ოლიმპოს მბრძანებელ ზევსსაც, ზღვებისა და ოკეანეების ღმერთს პოსეიდონსაც და ა.შ. ზევსი ხარად იქცა და მოიტაცა „ის ქალი, ვისი სახელიც შემდგომ ევროპის კონტინენტს ეწოდა“. პოსეიდონი „ცხენად იქცა, რათა მედღუზას შერწყმოდა. მათი სიყვარულის ნაყოფია ფრთოსანი ცხენი პეგასი“.

ეროსში უფრო ცხოველური ვნებები ჭარბობს (ამიტომაც გადაიქცნენ ღმერთები ცხოველებად). თუ ეროსი ხორციელი სიყვარულის ღმერთი იყო, მისი ძმა ჰიმერიოსი სულიერ სიყვარულს განაგებდა. ჰიმენე კი ოჯახურ ურთიერთობას ედგა მფარველად.

შემდეგ, დროთა ვითარებაში, ესენი გაერთიანდნენ ერთი ღმერთის – აფროდიტეს ხელმძღვანელობით (თეთრი ჰაეროვანი ქაფიდან – აფროდან იშვა).

აფროდიტე (იგივე რომაული ვენერა) არის ნაზი სიყვარულის სიმბოლო, სულიერი სიყვარულის ღმერთი.

10. რომანტიზმმა მოახდინა ენის გახალხურება-გასადავება. კლასიციზმის „სამ შტილს“ მან დაუპირისპირა ერთიანი, ხალხური ენა.

დასასრულ, რომანტიზმი ისეთი მიმართულებაა, რომელიც აცხადებს ხელოვნების თვითმიზნობას, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ - ასეთია მისი ლოზუნგი, რომელიც შემდეგ რეალისტებმა შეცვალეს ლოზუნგით „ხელოვნება ცხოვრებისათვის“.

ასეთია რომანტიზმის ძირითადი ნიშნები. ეს არის ის ნიშნები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად, დიდი თუ პატარა დოზით თითქმის ყველა ქვეყნის რომანტიზმს ახასიათებს. მაგრამ როცა მსჯელობის საგანი გახდება ცალკეული ქვეყნების რომანტიზმი, შეიძლება შეგვხვდეს სხვა ნიშნებიც.

ქართულ რომანტიზმსაც ძირითადად ეს ნიშნები ახასიათებს, მაგრამ იგი მეტად თავისებურიცაა. ქართული რომანტიზმის თავისებურებების წყარო გახდა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გარემო, რამაც ხელი შეუწყო რომანტიზმის წარმოშობას ქართულ ლიტერატურაში. ეს გარემო კი დიდად განსხვავდებოდა იმ გარემოსაგან, რომელიც სუფევდა ევროპაში.

ერთი სიტყვით, ქართული რომანტიზმი აღმოცენდა სულ სხვა ნიადაგზე, ვიდრე ევროპული რომანტიზმი. ამან განსაზღვრა ქართული რომანტიზმის თავისებურებანიც.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა. აი, სწორედ ეს სახელმწიფოებრივი ვითარება გახდა საფუძველი ქართული რომანტიზმის აღმოცენებისა. ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა მწვავედ, მტკივნეულად განიცადა მთელმა ქართველმა ხალხმა. ქართველმა ხალხმა დიდხანს ვერ მოინელა, დიდხანს ვერ მოიშუშა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილები.

ყოველ ერს (მით უფრო ესოდენ ძველი და მდიდარი წარსულისა და კულტურის მქონეს, როგორიც იყო ქართველობა). აქვს უფლება, ჰქონდეს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი.

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგის გამო სასონარკ-ვეთილებამ და უკმაყოფილებამ მოიცვა მთელი ქართველი ხალხი და მისი მოწინავე შვილები. აი, რამ შეუნყო ხელი ქართული რომანტიზმის წარმოშობას, რა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში აღმოცენდა ის. ქართველმა რომანტიკოსებმა მეტად მტკივნეულად განიცადეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა, ერეკლეს დროინდელი საქართველოს დაღუპვა. ასეთია ის განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო, რომელშიც აღმოცენდა ქართული რომანტიზმი.

ახლა განსხვავებული ლიტერატურული გარემოს შესახებ. როგორც ვიცით, ევროპაში რომანტიზმს წინ უსწრებდა ორი ლიტერატურული მიმდინარეობა: კლასიციზმი (მე-17 – მე-18 სს.) და სენტიმენტალიზმი (მე-18 ს. შუა წლებიდან). ამ ორივე მიმართულების დამახასიათებელი ნიშნები ვიცით. ევროპაში რომანტიზმი აღმოცენდა და ჩამოყალიბდა წინა ლიტერატურულ მიმართულებასთან — კლასიციზმთან — ბრძოლაში. რომანტიზმი წარმოადგენს კლასიციზმის უარყოფას, მის ანტითეზას. რომელი პარაგრაფიც, რომელი მუხლიც უნდა ავიღოთ, რომანტიზმი უპირისპირდება კლასიციზმს. შეიძლება ითქვას, რომ დას. ევროპის რომანტიზმი გამოიბრძმედა და ჩამოყალიბდა სწორედ კლასიციზმთან ჭიდილში.

რა მდგომარეობაა ჩვენში, საქართველოში? უნდა გარკვევით ითქვას, რომ საქართველოში კლასიციზმი ფაქტობრივად არ არსებულა, ყოველ შემთხვევაში, გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობა არასოდეს ყოფილა. თუ ევროპაში რომანტიზმი წარმოადგენდა რიგით მესამე ლიტერატურულ მიმართულებას, ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი იყო პირველი ლიტერატურული მიმართულება. თუ ევროპის ლიტერატურაში რომანტიზმს დაჭირდა ბრძოლა კლასიციზმთან, ნიადაგის გასუფთავება მისი დოგმებისაგან და სხვა, ქართულ რომანტიზმს არ დასჭირვებია ბრძოლა სხვა მიმართულებასთან. უფრო მეტიც, მას ერთგვარი პოზიციური ნიადაგიც კი დახვდა ლიტერატურაში. საქმე ისაა, რომ როგორც ცნობილია,

აღორძინების ხანის პოეტების (თეიმურაზ I, არჩილის, ვახტანგ VI, გარსევან ჩოლოყაშვილის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და სხვათა) შემოქმედებაში უზვად გვხვდება რომანტიზმის ელემენტები, რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მოტივები: გულგატეხილობა და მწუხარება, პატრიოტიზმი, სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი, ბუნების კულტი და სხვ.

ზემოჩამოთვლილი პოეტები ამზადებენ ნიადაგს რომანტიზმის აღმოცენებისათვის. აღორძინების ხანის პოეტებსა და რომანტიკოსებს შორის შეიძლება პირდაპირი პარალელიც შევამჩნიოთ. მაგ. ერთნაირ შინაარსს შეიცავს ვახტანგ VI-ის „მაჯამა“ და გრიგოლ ორბელიანის „იარაღის“, თეიმურაზ I-ის „თამარის სახე დავით გარეჯას“ და გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ბესიკის „ვაი ესე დრონი“ და ალექსანდრე ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“ და სხვ.

ამრიგად, აღორძინების ხანაში გვაქვს რომანტიზმის საწყისები, კერძოდ, ე.წ. „ემიგრანტულ“ ლიტერატურაში (ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, დიმიტრი ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვ.). რომანტიზმი უფრო ვითარდება ბატონიშვილების პოეზიაში (დავით ბატონიშვილი, მარიამ, ქეთევან, თეკლე...). როგორც ვხედავთ, ქართული რომანტიზმი აღმოცენდა სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ გარემოში, ვიდრე ევროპული. განსხვავებულმა გარემომ განსაზღვრა მისი თავისებურებანიც.

1. ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი უმთავრესად გამოვლინდა პრაქტიკაში. რაც შეეხება საკუთარ თეორიას, ასეთი რამ მას არ გააჩნდა (ეს კი იმიტაა გამონვეული, რომ მას არ დასჭირებია წინა ლიტერატურული მიმართულების პრინციპების უარყოფა, როგორც ეს დასჭირდა ევროპულ რომანტიზმს. მართალია, ქართველი რომანტიკოსები ერთი ლიტერატურული სკოლის მწერლები იყვნენ, მათ შემოქმედებაში ერთი მიმართულების ლიტერატურული პრინციპები ვლინდებოდა, მაგრამ მათ ვერ შექმნეს ერთიანი დაჯგუფება, არ გააჩნდათ თავიანთი ორგანო, სადაც საკუთარ პრინციპებს ჩამოაყალი-

ბებდნენ. ქართველი რომანტიკოსები არ გამოსულან ერთიანი ლიტერატურული მანიფესტით (როგორც შემდეგ გამოვიდნენ რეალისტები, სიმბოლისტები, ფუტურისტები...).

ქართული რომანტიზმის თეორიულ მხარეს მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ზოგიერთი კერძო წერილი ითვალისწინებს.

2. ქართულ რომანტიზმს არ ახასიათებს ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რაც დამახასიათებელია ევროპული რომანტიზმისათვის. ქართული რომანტიზმი უმთავრესად გამოვლინდა ლირიკაში (ამაში კი ერთგვარად ბრალი მიუძღვის ლიტერატურულ ტრადიციას, რუსთაველის ავტორიტეტს). თუმცა გვაქვს ქართული რომანტიკული პროზაც და დრამატურგიაც.

3. ქართული რომანტიზმი უხვად სარგებლობს ფოლკლორით, მაგრამ სამწერლო ენის მხრივ ქართველი რომანტიკოსები მეტწილად არქაისტებად გვევლინებიან. თუმცა ისინი ხანდახან არც მიჰყვებიან ანტონ კათალიკოსის მაღალ სტილს, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სალიტერატურო ენა მაინც არ აღუდგენიათ.

4. თუ ევროპელი რომანტიკოსები გვიჩვენებენ შორეული ქვეყნების ბუნებას, ქართველები — მხოლოდ თავიანთსას.

5. ქართული რომანტიზმისთვის უცხოა უკიდურესი პესიმიზმი, ცხოვრებაზე ხელის აღებისა და რეალური სინამდვილიდან გაქცევის ფიქრი. ქართულ რომანტიზმს არ ახასიათებს ავადმყოფობისა და სიკვდილის გაიდუალება.

6. არ არის გონებისა და გულის მკვეთრი დაპირისპირება და სხვა.

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ქართული და ევროპული ან ამერიკული რომანტიზმი სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობანია. ეს არის ერთი ჯაჭვის რგოლები და, ცხადია, ერთმანეთთან საერთო მეტი აქვთ, ვიდრე განსხვავება.



## ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძე არის რომანტიზმის პირველი დიდი წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში. იგი დგას ორი ეპოქის – ძველისა და ახლის – მიჯნაზე. ამიტომ მის შემოქმედებაში შერწყმულია ორი მხატვრული კულტურა – ძველი და ახალი. თავის ლექსებში ალექსანდრე ჭავჭავაძე უხვად იყენებს აღორძინების ხანის პოეზიისათვის დამახასიათებელ ჟანრებსა და სახეებს, ახდენს მათ ახლებურ გააზრებას. მისი ლექსები ერთგვარი გამოთხოვებაა ძველ კულტურასთან და არა სრული დაშორება მასთან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისე როგორც ყველა ქართველი რომანტიკოსი, სოციალური წარმოშობით მაღალი, არისტოკრატიული წრიდანაა. მართალია, ჭავჭავაძენი თავდაპირველად გლეხები ყოფილან ხევსურეთიდან, მაგრამ შემდეგ [მე-18 ს-ში] ამ გვარის წარმომადგენლებს თავადობა მიუღიათ.

მამა – გარსევან (დავით) ჭავჭავაძე. 1783 წ. 24 ივლისს 26 წლის გარსევანმა ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატს. მომდევნო, 1784 წელს ერეკლემ გარსევანი წარგზავნა რუსეთს, ეკატერინე მეორესთან, როგორც დესპანი, ელჩი. იგი რუსეთში საქართველოს ელჩად იმყოფებოდა 16 წელიწადს.

გარსევან ჭავჭავაძე იყო განათლებული კაცი, ენების მცოდნე, ერეკლე მეფის ერთ-ერთი სანდო პირი, მისი მარჯვენა ხელი, აშკარად რუსული ორიენტაციის. როგორც ელჩი, იგი ახორციელებდა ერეკლეს პოლიტიკას — ე.ი. მისი მიზანი იყო, მოეგვარებინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. მაშასადამე, გარსევანი მხურვალე მომხრე გახლდათ იმისა, რომ საქართველო რუსეთს დაკავშირებოდა (ალექსანდრე ორ-

ბელიანი მას მოლაღატედაც კი იხსენიებს). სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გარსევანი სძულდათ იმ პირებს, რომლებიც ამ შეერთების მომხრენი არ იყვნენ. რუსეთის ირიენტაციის მოწინააღმდეგენი მტრულად იყვნენ განწყობილნი გარსევანის მიმართ.

სოლომონ ლეონიძე ერთხელ ხმლითაც კი მიეჭრა გარსევანს საკუთარ ოჯახში (ნ. დურბოვინი), დავით ბატონიშვილი გარსევანს „მამულის ორგულად“ იხსენიებს („მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, გვ. 97). ალექსანდრე ორბელიანს იგი მიაჩნდა „რუსეთის აგენტად საქართველოს მოტყუებისათვის“, ასეთად მიაჩნდათ იგი იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებსა და სხვებსაც. ამასვე იმეორებს ზაქარია ჭიჭინაძე მრავალგანთავის დაბეჭდილ და დაუბეჭდავ ნაშრომებში.

საერთოდ გარსევანი თავისი მეფის ნება-სურვილს კეთილსინდისიერად ასრულებდა.

გარდაიცვალა 54 წლისა, 1811 წ. პეტერბურგში, წყალმანკით. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მის საფლავზე ეპიტაფია დაწერა მისმა ცოლის ძმამ, ცნობილმა დრამატურგმა გიორგი ავალიშვილმა (ბროსე: „Описание древних памятников“).

დედა ალექსანდრე ჭავჭავაძისა — მარიამ (მაია) იყო ივანე ავალიშვილის ასული, ღვიძლი და ცნობილი დრამატურგისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილისა.

მარიამ ავალიშვილი ლამაზ და ჭკვიან ქალად ითვლებოდა. მაშინდელ პოეტთა ხოტბის საგნად იყო გამხდარი. სხვათა შორის, მასზე ორი აკროსტიხი აქვს დავით რექტორს (ორივე აკროსტიხი იძლევა სახელს მაია).

მარიამ ავალიშვილი-ჭავჭავაძისა გარდაიცვალა 1836 წ. ქმრის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ. დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და ვერ დაესწრო დედის დაკრძალვას. (ეს სამწუხარო ამბავი მან შეიტყო პეტერბურგში პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიევასაგან (გენერალ-მაიორ თევდორე ისაიას ძე ახვერდოვის მეუღლე). ამასთან იზრდებოდა

ნინო ჭავჭავაძე). იმავე 1836 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე სწერდა თბილისში ერთ ნაცნობს — ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს (1835 წ. ამ კაცმა ცოლად შეირთო სალომეს ძმისშვილი — მარიამ ლუარსაბის ასული ორბელიანი. ასე რომ, ალექსანდრეს ნათესავიც იყო):

„ვჰმადლობ ყოვლის შემოქმედს, კაცისათვის სიკვდილი რა გასაკვირველია — ეს არის ჩემთვის სანამეტნაოდ სამწუხარო, რომ უკანასკნელ დღეებში დედაჩემის მოვლა და სამსახური აღარ მელირსა და ვერც პირდაპირ კურთხევა და მიტყევა მივიღე იმისგან, რომლის წინაშე რა გზა მაქვს, მრავალი ბრალი არა მქონდეს ზოგჯერ ნებსით და უნამეტნავეს გზის უნებლიეთად მწუხარების მიყენებით“.

ამ კერძო ბარათში კარგად ჩანს ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც ადამიანი, სათუთი და მოსიყვარულე გულის პატრონი.

იგი დაიბადა 1786 წ. (ვარაუდობენ, 10 ივლისს) პეტერბურგში. (გარსევან ჭავჭავაძე 1784 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა ოჯახით). ალექსანდრე მშობლების ერთადერთი შვილი იყო. პატარა ალექსანდრე მონათლეს იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ და დიდმა მთავარმა — შემდეგში იმპერატორმა — ალექსანდრე პირველმა (რომელიც მაშინ 9 წლისა იყო). ნათლის პატივსაცემად ბავშვს ალექსანდრე დაარქვეს, ხოლო შემდეგ თვითონ ალექსანდრემ ერთ-ერთ ასულს ეკატერინე უწოდა. პატარა ალექსანდრეს ქართული წერა-კითხვა დედამ შეასწავლა, შემდეგ მას ასწავლიდა ბიძა — გიორგი ავალიშვილი.

1795 წ. 9 წლის ალექსანდრე მიაბარეს ბამანის კერძო პანსიონში. აქ სწავლობდა ოთხი წელი. 1799 წელს ჩამოიყვანეს თბილისში და სწავლა განაგრძო შინ — მამის ზედამხედველობით. მშობლებმა მის აღმზრდელად პეტერბურგიდან თბილისში წამოიყვანეს ფრანგი მასწავლებელიც (ფრანგული ალექსანდრესთვის ლამის მეორე მშობლიური ენა იყო).

1804 წელი ერთ-ერთი ღირშესანიშნავი თარიღია პოეტის ბიოგრაფიაში. ამ წელს მიიღო ალექსანდრემ პირველი საბრძოლო ნათლობა, 1804 წლის 14 სექტემბერს 18 წლის ალექსანდრე სხვა მეზობელ თავადიშვილებთან ერთად გაიპარა და შეუერთდა



მთიულ აჯანყებულებს. პოეტი აჯანყებულებთან დარჩა 3 თვე, 14 დეკემბრამდე, ე.ი. აჯანყების ჩაქრობამდე. აჯანყება ჩააქრეს და პოეტი საქართველოდან გაქცევას აპირებდა, მაგრამ ვერ მოახერხა. თბილისიდან 40 კმ. დაშორებით მდ. დემურჩასა-ლოსთან მას დაენია თამაზ ორბელიანის რაზმი და სხვებთან ერთად შეიპყრეს. სასამართლოში მისცეს 70-მდე კაცი. მეთაურები რიგიანად დასაჯეს (ფარნაოზი გადაასახლეს ვორონეჟში, იულონი — ტულაში, დიმიტრი ვახვახიშვილი — პერმში).

დიმიტრი ვახვახიშვილი იყო შვილი გარსევან ჭავჭავაძის ბიძაშვილის დარეჯან სულხანის ას ჭავჭავაძე-ვახვახიშვილისა [1795 წ. დარეჯანი ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს. ტყვეობიდან დაიხსნა და პეტერბურგში წაიყვანა გარსევანმა].

დიმიტრიც 14 სექტემბერს მიდის (ალექსანდრესთან ერთად) ფარნაოზ ბატონიშვილთან მთიულეთში. შეიპყრეს ერთად... გადაასახლეს ქ. პერმში. გადასახლებიდან დაბრუნდა 1811 წ., გარდაიცვალა 1831 წ. (მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის", II, გვ. 21-25). ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიმიტრი ვახვახიშვილს მიუძღვნა ორი ლექსი „დიმ. ვ.“ და „კავკასია“. პოეტი ეუბნება: „მსგავსება ფიქრთა, ხასიათთა და შემთხვევათა შშობს კაცთა შორის შესრულებას კავშირის მყარით,“ და იგონებს იმ დროს, როცა იმათ ერთად განიცადეს „განცხრომა გულის, შეშლა ჟამის, ღალატი ბედის“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ახალგაზრდობის, უფრო კი მამის დამსახურების გამო სასჯელი რამდენადმე შეუმსუბუქდა. 1805 წელს გადაასახლეს ქ. ტამბოვს სამი წლით. პოეტს თურმე „თავი გადაუპარსეს“ (ალექსანდრე ორბელიანი) და ისე გაამგზავრეს დანიშნულების ადგილისაკენ. თან გააყოლეს თურმე ცხენოსანი ჯარი — ეშინოდათ, გუდამაყრის გზაზე მთიულებს არ გაეტაცნათ. ტამბოვის გუბერნატორს კი შეუთვალეს — პატიმრის ჩაბარება მყისვე გვაცნობეო.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ტამბოვში თან გაჰყვა მამაც.

მამა შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, ერუქებიანთ მისთვის შვილი („მაჩუქეთ შვილი, აპატიეთ დანაშაული, სიყმანვი-

ლით მოუვიდაო“). გარსევანი წერს, რომ ჩემი შვილი, რომელიც რუსეთშია აღზრდილი, ყოველთვის იმპერატორის ერთგული იყო, მაგრამ ფარნაოზ ბატონიშვილმა შეაცდინა, აჯანყებაში მან ჩაითრია ძალით. ამით ფარნაოზს რუსების წინაშე ჩემი შერცხვენა სურდაო (ფარნაოზსა და სხვა ბატონიშვილებს ხომ მართლაც სძულდათ გარსევანი).

„ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ!

თქვენმა დიდებულებამ კარგად იცის, თუ როგორია მშობლების სიყვარული საკუთარი ძისადმი. ჩვენ ორთა მოხუცებულთა გვივის მხოლოდ ოდენ ძე, და იგიცა ვნებული სნეულეებისაგან, რომელიცა იმყოფების ან ტამბოვსა ქალაქსა შინა, რომლისთვისაც... არ გვიშრებიან ცრემლნი. არ ვამართლებ, როგორც მამა, არამედ მიწადა მოგახსენოთ შემდეგი: „წარვგზავნე ძე ჩემი ტფილისით კახეთად ქორწილსა შინა ცოლისა ძმისა ჩემისასა, სადაცა მიმთხვეოდა მეფის ძე ფარნავაზ. და შიშისა გამო იძულებული შესდგომოდა მას, რომლითაცა სურდა მას ბიწიერ ყოფა ჩემი წინაშე დიდებულებისა თქვენისა“.

მამის ცდამ ნაყოფი გამოიღო. მისი ნამსახურობის პატივსაცემად ალექსანდრეს სამი წლის სასჯელი სულ რამდენიმე თვით შეუცვალეს და იმავე 1805 წელსვე გაიწვიეს პეტერბურგში. აქ იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით ჩარიცხეს პაჟთა კორპუსში (ალექსანდრე I ხომ მისი ნათლიაა).

უფრო მოგვიანებით (1832 წ. დანერილ ავტობიოგრაფიაში) ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1804 წელს აჯანყებაში მონაწილეობა დაახასიათა, როგორც „გზააბნეული ახალგაზრდობის“ გავლენის შედეგი. იგივე გაიმეორა ლექსში „დომ. ვ.“: „უფროსთ უსმენი“ „შემცდარი გზით“ წავედითო [ეს ხდება გვიან, ე.წ. II პერიოდში].

პაჟთა კორპუსი ალექსანდრემ დაამთავრა 1809 წელს, მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი. შემდეგ (1819წ.) მიიღო პორუჩიკობა. 1811 წელს ბრუნდება საქართველოში და ინიშნება მთავარმართებელ და მთავარსარდალ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

1812 წლის მარტში ალექსანდრე ჭავჭავაძემ მონაწილეობა მიიღო პაულუჩის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში კახეთის აჯან-

ყების ჩასაქრობად. პოეტი თურმე დიდად სწუხდა იმის გამო, რომ უნდა ებრძოლა თავისივე მოძმეთა წინააღმდეგ, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო, ამას ითხოვდა სამსახურებრივი მოვალეობა. პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერს:

„ალექსანდრემ ჯერ მოინდომა კახეთის დამშვიდება ტკბილის ქართულით, მაგრამ რომ ვერა გააწყო რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიდგა... ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისციპლინის მონა, ის შეეხება კახელებს და ცდილობდა, საქმე ისე გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ დატრიალებულიყო“.

ამ ლაშქრობაში 1812 წ. მარტში სოფ. ჩუმლაყთან (გურჯაანის რ.) პოეტი დაიჭრა მარცხენა ფეხში (ამავე ბრძოლაში მოკლეს პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი, სხვათა შორის, აჯანყების ჩაქრობის მონაწილეა მელიტონ ბარათაშვილიც). ჭრილობა თურმე ძალზე სერიოზული იყო, მაგრამ დროზე მიეშველნენ ქუთათური თურმანიძეები.

1813-14 წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძე არის ევროპაში, მონაწილეობს ე.წ. „სამამულო ომში“. მსახურობს მოქმედ არმიას მთავარსარდალ ბარკლაი დე ტოლისთან. პარიზში შესვლისას იყო ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტი. ამ ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის დაჯილდოვდა ოქროს ხმლით წარწერით **გულადობისათვის** და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით.

1814 წლის მიწურულს ალექსანდრე ჭავჭავაძე ისევ საქართველოში ბრუნდება. შემდეგ მიიღო როტმისტრობა, შემდეგ — პოლკოვნიკის ჩინი.

1826-27 და 1827-28 წლებში მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებში (ამავე ომებში მონაწილეობდა გრიგოლ ორბელიანიც). ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ებოძა წმ. ანას I ხარისხის ორდენი. სულ მას მიღებული ჰქონდა 9 ორდენი, 5 მედალი, ძვირფასი ნივთები წარწერებით.

მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში (ნავარაუდევია იყო სამხედრო მინისტრად). ჩარიცხეს დამნაშავეთა მე-7 კატე-

გორიაში. 1834 წლის იანვარს გადაასახლეს ქ. ტამბოვში, იმ ქალაქში, სადაც 30 წლის წინათაც გადაასახლეს. მიუსაჯეს ოთხი წელი, მაგრამ მალე იმპერატორმა ნიკოლოზ I გაიძახა პეტერბურგში.

პეტერბურგში დარჩა თითქმის ოთხ წელიწადს — 1837 წლის ზაფხულის მონურულამდე. მისი ცხოვრების ეს პერიოდი ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. არ ვიცით, ვის ხვდებოდა, რას აკეთებდა აქ, ვიცით მხოლოდ, რომ პეტერბურგში ძალიან კარგად იყო მიღებული. როგორც ჩანს, იმპერატორი ნიკოლოზ I ანგარიშს უწევდა მის დიდ ავტორიტეტს და ღმობიერად ეპყრობოდა. ხოლო პოეტი ცდილობდა, ეს მდგომარეობა გამოეყენებინა თავისი სამშობლოსა და თანამოაზრეთა საკეთილდღეოდ. ასე მაგალითად, 1835 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობდა, შეემსუბუქებინა გადასახლებაში მყოფი გრიგოლ ორბელიანის მდგომარეობა.

პეტერბურგშია დაწერილი მისი „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ხვდებოდა მიხაილ ლერმონტოვს, რომელიც სწორედ ამ დროს პეტერბურგსა და მის მახლობელ ცარსკოე სელოში იმყოფებოდა. ეს მათი შეხვედრა და გაცნობა შეიძლებოდა მომხდარიყო მათი საერთო ნათესავის პრასკოვია ნიკოლოზის ას. არსენიევა-ახვერდოვას მეშვეობით.

პრასკოვია ახვერდოვა იყო შვილი რუსი სამხედრო მოღვაწის ნიკოლოზ არსენიევის და ენათესავებოდა (ბიძაშვილი იყო) ლერმონტოვის აღმზრდელ ბებიას ელიზავეტა არსენიევას. ეს ქალი გათხოვდა თბილისში გენერალ-მაიორ თევდორე ახვერდოვზე, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლის სალომეს დეიდაშვილზე. პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვა მეტად განათლებული და ჭკვიანი ქალი გახლდათ. 30-იან წლებამდე ცხოვრობდა თბილისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეზობლად. ჰქონდა შინაური პანსიონი, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებიც იზრდებოდნენ (სწორედ აქ გაიცნო და დაუახლოვდა ალექსანდრე გრიბოედოვი ნინო ჭავჭავაძეს). 1830 წლიდან

ეს ქალი ცარსკოე სელოსა და პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ ქართველებთან და კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან კავშირ-ურთიერთობა არ შეუწყვეტია (სწორედ მისგან გაიგო პოეტმა დედის გარდაცვალება, როგორც ის სწერს ნიკოლოზ ფალავანდიშვილს 1836 წ. 22 იანვარს). მეორე მხრივ, პრასკოვია არსენიევას კავშირი ჰქონდა ლერმონტოვის ბებია ელიზავეტა არსენიევასა და მის შვილიშვილებთან. ერთგან ლერმონტოვიც ახსენებს ერთ კერძო ბარათში. ყველაფერი ეს იმის დასადასტურებლად გამოდგება, რომ მიხაილ ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგში ერთმანეთს ხვდებოდნენ.

1838 წელს ალექსანდრე დანიშნეს ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლობის საბჭოს წევრად.

1841 წელს ებოძა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი.

1842 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილის უფროსად. 1845 წ. იყო წევრი ახალდაარსებულ სათეატრო კომიტეტისა.

1846 წლის 6 ნოემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა ტრაგიკული შემთხვევისა. ეს მოხდა აწინდელ მისი სახელობის ქუჩაზე. მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვთან მიმავალი, ეტლიდან გადმოვარდა და თავი დაჰკრა ქუჩის ფილაქანს. გრძნობამიხდელი ალექსანდრე სახლში შეიყვანეს და იმავე ღამეს გარდაიცვალა.

ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (1846 წ. 21 ნოემბერს) სალომე ჭავჭავაძე ხელმწიფე-იმპერატორს სთხოვს, შემწეობა აღმოუჩინოს გარდაცვლილის ოჯახს:

„უაგვუსტოესო ხელმწიფე!“

ქმარი ჩემი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, იმპერატორ ეკატერინა დიდის ნათლული, გამოესალმა სიცოცხლეს, ჩემდა საუბედუროდ არა ბრძოლის ველზე, თქვენი უდიდებულესობის მტრების წინააღმდეგ, რაც ჩემთვის იქნებოდა დამშვიდება და ნუგეში, არამედ საკუთარი ცხენებისაგან თითქმის ჩემი თვალის წინ. ეს შემთხვევა მით არის უფრო საშინელი, რომ მას არ შეეძლო სულ რამ-

დენიშე სიტყვის თქმაც კი სიკვდილის წინ და დაგვიტოვა მე და ჩემს უბედურ შვილებს ოჯახური საქმეები უაღრესად არევე-და-რეული“...

ეს თხოვნა უყურადღებოდ არ იქნა დატოვებული. გაიმართა მიმონერა; მსჯელობა-დაზუსტება და ოჯახს დაენიშნა წლიური პენსია 577 მან. (190 მან. ცალკე დაენიშნა აგრეთვე 13 წლის სოფიოს).

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაკრძალეს შუამთის მონასტერში (რომელიც აგებულია მე-16 საუკუნეში კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინის მიერ). დაკრძალულია საგვარეულო აკლდამაში სამხრეთის კედელთან. კედლის ძირს დევს ფიქალი, შემდეგი წარწერით: „მარად საუფიწყოსა სიმამრისა სამარესა ზედა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“. ფიქალის ასწვრივ კედელში ჩასმულია მარმარილო ზედწარწერით: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა 60 წლისა 3 ნოემბერსა ჩყმე წელსა“. „მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“ (ფსალ.).

1882 წ. კახეთში სტუმრად მყოფმა აკაკი წერეთელმა დაწერა ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“ (1882 წ. 14 აგვისტო). „შენს წმინდა საფლავს, გულის მოსაკლავს, დავყურებ, გმირო, სულგანაბული“.

**ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო!**  
შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,  
რომ ჩვენი ერი, დღეს სხვის ფეხთ მტვერი,  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!  
თორემ სხვაგვარად მწარედ და მარად  
ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...  
და შენც ჩვენსავით სიტყვებით ავით  
გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას.  
„მღერალო ტკბილო, მამულიშვილო,  
ამაღლებულო სულით ზეცამდე!  
იყავ კურთხეულ, არ-დავიწყებულ  
ამიერიდან უკუნისამდე.“

მის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ იმდროინდელი თბილისის რუსული გაზეთები „Кавказ“ და „Закавказский Вестник“. ორივე გაზეთმა პოეტის ტრაგიკულ სიკვდილს მიუძღვნა ნეკროლოგი. პირველი წერილი ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს („Кавказ“, 1846. 45), ხოლო მეორე — პლატონ იოსელიანს („Закавказский Вестник“, 1846. 23).

[1846 წ. 30 ივნისს გარდაიცვალა ლევან დადიანიც, ეკატერინეს მამამთილი. ე.ი. ერთ წელს აღესრულნენ მძახლები].

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა სარდალ იოანე ორბელიანის ასული სალომე, ულამაზესი და უჭკვიანესი ქალი (ლუარსაბ და დავით ორბელიანების და). ეს სწორედ ის სალომეა, რომელსაც 1833 წ. ავლაბრის ყაზარმაში მჯდომმა გრიგოლ ორბელიანმა მიუძღვნა „მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან...“). სალომე გარდაიცვალა ქმრის დაღუპვის მომდევნო წელს, 1847 წ. ხოლერით. 1847 წ. საქართველოში ხოლერის ეპიდემია იყო. ხოლერით მკვდარი კახეთში არ წაასვენეს და დაკრძალეს მამადავითის ეკლესიაში. ფიქალზე წარწერაა: „მარად საუფიწყოსა სიდედრისა სამარესა ზედა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“.

ალექსანდრესა და სალომეს ოთხი შვილი ჰყავდათ: ნინო, ეკატერინე, დავითი და სოფიო.

ნინო დაიბადა 1812 წლის 4 ნოემბერს. 1828 წ. აგვისტოში 16 წლისა მისთხოვდა ალექსანდრე გრიბოედოვს. დაქვრივდა რამდენიმე თვის შემდეგ. ალექსანდრე გრიბოედოვი მოკლეს 1829 წ. 30 იანვარს თეირანში, რაკილა ირანელებმა ამოიცივნეს მისი აგენტურული გეგმები. ნინო შემდეგ არ გათხოვილა. გარდაიცვალა ხოლერით 1857 წ. 28 ივნისს. დაკრძალეს მესამე დღეს მამადავითში.

ეკატერინე დაიბადა 1816 წ. 1839 წ. მისთხოვდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს. ქმრის სიკვდილის შემდეგ (1853 წ.) განაგებდა სამეგრელოს. მოგზაურობა მოუხდა პეტერბურგში (1860წ.), პარიზში (1862 წ.). ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით 1882 წ.

სოფ. გორდში, 66 წლისა. დასაფლავებულია მარტვილის მონასტერში, ქმრის გვერდით.

ნინო და ეკატერინე ულამაზეს ქალებად ითვლებოდნენ. გარეგნული სილამაზითაც ბრწყინავდნენ, და – შინაგანი კდემამოსილებითაც. ბარონ ტოსნაუ წერს: „ეკატერინეს სხივოსანი თვალები გულს მწვავედა, ნინოს ანგელოზური ხასიათი კი გულზე მალამოდ მედებოდა. ერთისკენ მიისწრაფოდა თვალები, მეორე დაუძლეველი ძალით იზიდავდა სულს“. დამატებული ამას მათი კულტურა (ფრანგული და რუსული ენების ბრწყინვალე ცოდნა, მუსიკალური ნიჭი...) და გასაგებია, რომ, გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს, „თითქმის პეტერბურლითგან ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი“.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი და რუსი პოეტი (რომელთაც ეს ლამაზმანები ნახეს), რომ მათთვის ლექსები არ მიეძღვნათ: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, მიხაილ ლერმონტოვი, იაკობ პოლონსკი, ივანე კერესელიძე და მრავალი სხვა.

უაღრესად კეთილი, გულისხმიერი და აღერსიანი ნინო ყველაზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და საყოველთაო მოწინებასა და პატივისცემას იწვევდა.

მეორე აზრი არ არსებობდა, ერთხმად იყო აღიარებული, რომ ეს იყო იდეალური ქალი. მემუარისტები წერენ, რომ „ეს იყო მთელი ოჯახის მფარველი ანგელოზი და არსება, რომელსაც კავკასიაში თაყვანს სცემდა ყველა – მთავარმართებლიდან დაწყებული სულ პატარა ადამიანამდე“. „არა, დედამინაზე არ შეიძლება არსებობდეს ასეთი სრულყოფა, სიმშვენიერე, გული, გრძნობა, ენით გამოუთქმელი სიკეთე“. „ნინო მინიერი სრულქმნილებაა, ნინო – ზეციური ნეტარებაა“.

ლევ პუშკინი (დიდი პოეტის ძმა), რომელმაც 1835 წ. გაზაფხულზე ორი კვირა დაჰყო წინანდალში, ნინოს სიახლოვეს, წერს, რომ ეს იყო უმშვენიერესი დღეები მის ცხოვრებაში.

1828 წ. აგვისტოში 16 წლისა ჯვრის დასაწერად მოირთო, რამდენიმე თვის შემდეგ შავები ჩაიცვა. მოკლე აღმოჩნდა ბედნიერება, მაგრამ მარადი მისი ერთგულება მეუღლისადმი.



ტრაგიკული გახლდათ ნინოს ბედი, რომელმაც თითქოს სიმბოლურად საქართველოს ბედისწერა აირეკლა.

რუსეთ-ირანის ომი, 1827-28 წლებში რომ მიმდინარეობდა, დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით. ზავი დაიდო ირანისათვის მძიმე პირობებით. ამ ზავის დადებას გრიბოედოვი ხელმძღვანელობდა. სპარსეთში გრიბოედოვზე გაბრაზებულნი იყვნენ. 1829 წ. იგი ისევ თეირანში გაგზავნეს, ირანელთა მოთმინება იოლად აღივსო, არად ჩააგდეს ელჩის ხელშეუხებლობა და ტრაგედიაც მოხდა.

გრიბოედოვი პეტერბურგში სწერდა ერთ მეგობარს: „შეიყვარეთ ჩემი ნინიკო. გინდათ იცნობდეთ მას? ერმიტაჟში შესვლისთანავე მარჯვენა მხარეს დგას ღვთისმშობლის ქანდაკება – მურილიოს მადონა! – აი, იგი!“

რუსმა პოეტმა ანდერძი დაიბარა, რომლის მიხედვითაც მთანმინდაზე უნდა დაეკრძალათ. ეს სურვილი, რომელიც კიდევ ერთხელ ხელშესახებად ააშკარავეს რუსთა მტაცებლურ ბუნებას, იმპერიალისტურ ზრახვებს, მას შეუსრულეს. სხვათა შორის, ალექსანდრ გრიბოედოვი იმპერატორისაგან მოითხოვდა ჩვენი ქვეყნიდან ქართველთა გადასახლებისა და აქ რუსთა ჩამოსახლების დაჩქარებას.

სამწუხაროდ, ნინოსთვის გრიბოედოვის ბუნების ნამდვილი არსი დაფარული აღმოჩნდა. მეუღლე მისთვის ერთადერთი სიყვარული გახლდათ, რაც არა იმდენად გრიბოედოვის ღირსებაზე, არამედ უფრო ნინოს ზნეობრიობასა და სულიერ სიმაღლეზე მეტყველებს.

ნინო – ერთგული მეგობრისა და მეუღლის იდეალია. მან გვიჩვენა სულიერი სიმტკიცისა და გამირული ხასიათის იშვიათი მაგალითი. მეუღლის საფლავზე აღმართა შესანიშნავი ძეგლი – ხელოვნების საუცხოო ნაწარმოები, რომელიც გულშიჩანწვდომად მეტყველებს ტრაგიკულად შეწყვეტილ დიდ სიყვარულზე: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя“ (მან შვილად აიყვანა ძმიშვილი 1850 წ. ელენე ჭავჭავაძე, ვინც გათხოვდა ასტაფიეზე).

საფლავზე მუხლმოდრეკილი მოტირალი ქალის ფიგურაა.

**ბნელს აკლდამაში სძინავს და მცირე ძღვენი ქვრივის –  
კანდელი უდგას თავით, მკრთალად მომფენი სხივის,  
რომ ნაიკითხოს ყველამ ლოდზე წარწერა გარე  
სიყვარულისგან ვაი, ვაი ჭკუისგან – მწარე.**

(ი. პოლონსკი)

ნინო უყვარდა გრიგოლ ორბელიანს, ლექსებს უძღვნიდა დაქვრივების შემდეგაც, სიყვარულში განბილებულმა ცოლი არ შეირთო. ნინო გრიგოლის ძმას, ზაქარიასაც ჰყვარებია. მას გვიან, 1835 წ. ძალით შეართვევენეს ქეთევან მესხიშვილი. გრიგოლ ორბელიანი, „მტირალ ნ...ს“

**თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ,  
ვით გშვენის  
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის  
ვარდებრივთა ლანვთა ზედა მარგარიტნი გარდმოცვივის  
თუ შეწყვიტო, შევინანებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის.**

[ისტორიამ შემოგვინახა ბევრი ასეთი ერთგული მეუღლის სახელი.

ნინო პოლტორაცკაია – ექვთიმე თაყაიშვილი

ანიტა – ჯუზეპე გარიბალდი

მერი გოდვინი – პერსი ბიში შელი

პოლინა ვიარდი – ტურგენევი

ოლღა გურამიშვილი – ილია

კეკე მელიქიშვილი – სერგეი მესხი

ოლია ოკუჯავა – გალაკტიონი

მარიკა ელიავა – სიმონ ჩიქოვანი

(სიმონ ჩიქოვანმა წიგნში „შინ შემოგვაქვს ყვავილები“ ყველა ის ლექსი შეიტანა, რომლებიც მარიკასადმია მიძღვნილი. ამ ქალმა ანდერძი დატოვა, სიკვდილის შემდეგ დამწვით და ფერფლი სიმონის საფლავს მოაყარეთო).

ანიკო ვაჩნაძე – ლადო ასათიანი  
ოლიმპიადა ვახანია – მიტროფანე ლალიძე  
ეკატერინე ფორაქიშვილი – დავით სარაჯიშვილი  
(აკაკიმ ლექსი მიუძღვნა ეკატერინე სარაჯიშვილისას. აქვს  
ლექსი ასეთიც „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს“:

**მაგრამ, უნდა ვსთქვათ, არ არის ძნელი,  
რომ შეასრულო შენ შენი ვალი,  
რადგანაც შენთვის ბედს მოუცია  
თანამოაზრედ ქართველი ქალი)].**

ეკატერინე დაიბადა 1816 წ.

იზრდებოდა და სწავლობდა პრასკოვია ახვერდოვას პანსი-  
ონში (ასწავლიდნენ მუსიკას – კომპოზიტორი სოკოლოვსკი,  
ფერნერას – პრასკოვია ახვერდოვა, პორტრეტისტი და მინია-  
ტურების ჩინებული ოსტატი, ფრანგულს – რავერუი, ცეკვას –  
მატილდა კასტელი).

ყმანვილქალობაში მეტად ანცი და მხიარული, იყო შესანიშ-  
ნავი მოცეკვავე (განსაკუთრებით „ლეკურის“ უბადლო შემს-  
რულებელი), მომღერალი, რუსულისა და ფრანგულის ჩინებუ-  
ლი მცოდნე.

სრულიად ბავშვი, ჯერ კიდევ 12-13 წლისა, განთქმული იყო  
თავისი მშვენიერებითა და ცეკვა-სიმღერით. 13 წლისა იყო,  
როდესაც (1829 წ. 22 ივლისს წინანდალში). გრიგოლ ორბელი-  
ანმა უძღვნა ლექსი „ეკატერინა ჭავჭავაძე“.

**წინანდლის ვარდო,  
სულითა ტრედო  
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!  
ვითა ცისკარი,  
ხარ მოცინარი,  
რომე მხილველის გული ახარო.  
იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე შენი მშვენიერებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი**

**ვიდრემდის შენ ზე,  
დაგნათის ვით მზე, სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი.**

ეს არის ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი. ე. ი. ეს ქალი პოეზიაში შემოიყვანა გრიგოლ ორბელიანმა. ნინო კი პოეზიაში შემოიყვანა მამამ. პატარა იყო ნინო, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაწერა „თავის ქალის ნინოს მაგიერათ“.

**არც მამასავით მაქვს მე სხვადასხვა ფიქრები,  
არც დედასავით მტანჯავს უსაფუძვლო იჭვები,  
ჩემს შუბლს ჭმუხვნილს ვინ ნახავს, სულ მიცინის კიჭები,  
გავიზრდები, მექნება უკეთესი ნიჭები.**

ეკატერინეს ლექსები უძღვნა მიხაილ ლერმონტოვმაც. ეს არის სამი უსათაურო ლექსი. ლექსები წარმოადგენს ერთი და იმავე თემის ვარიაციებს და უმღერიან ქალს, რომელშიც პოეტს განსაკუთრებით ხიბლავს ცისფერი თვალები და ჯადოსნური, ალერსიანი ხმა – ლერმონტოვის თანამედროვე ქართველ და რუს მოღვაწეთა წერილები და მოგონებანი, განსაკუთრებით რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები პირდაპირ მიუთითებენ, რომ მათი ადრესატი ეკატერინე ჭავჭავაძეა.

1837 წ. 25 თებერვალს ნიკოლოზ I-მა ბრძანება გამოსცა, გადაესახლებინათ ლერმონტოვი საქართველოში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში (მიზეზი იყო ლექსი „პოეტის სიკვდილზე“). მარტში ლერმონტოვი კავკასიისკენ გამოემგზავრა. გზაზე ავად გახდა და ერთხანს პიატიგორსკში შეჩერდა. საქართველოში ჩამოვიდა ოქტომბერში. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი მაშინ იდგა ყარაღაჯში (ნითელწყაროს ახლო). ლერმონტოვი, ჩანს, ეწვია ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს წინანდალში (ეს ოჯახი ხომ იყო ქართველი და რუსი ინტელიგენციის თავშესაფარი ადგილი). ლერმონტოვის ზემოხსენებული ლექსები სწორედ 1837 წ. საქართველოშია დაწერილი.

დაახლოებით ამავე ხანებში (1837-39წწ.) ეკატერინეს ლექსები მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელიც ასევე ადრესატის

ცისფერ თვალებსა და ტკბილ ხმას უმღერის. ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ლექსები ერთმანეთს ძალიან ემსგავსებიან (ყველა ლექსი გამოქვეყნდა მათი ავტორების გარდაცვალების შემდეგ).

1831 წელს 15 წლის ეკატერინეს უკვე ჰყავდა სიგიუმდე შეყვარებული 19 წლის ივანე მუხრანბატონი (1812-1895).<sup>1</sup> ივანემ ხელი სთხოვა ეკატერინეს და ეს უკანასკნელიც დაეთანხმა, ნიშნობაც გადაიხადეს (თუმცა ეკატერინეს დედა – სალომე, წინააღმდეგი იყო. სალომე და ივანე შორეული ნათესავები იყვნენ). ჯვრისწერისთვის საჭირო გახლდათ მამის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნებართვა. ალექსანდრე ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და ივანეც იქ გაემგზავრა ნებართვის ასაღებად, მაგრამ ალექსანდრე არ დაეთანხმა და ჯვრისწერაც ჩაიშალა.

ივანე მუხრანბატონმა მალე ამის შემდეგ სხვა ქალზე იქორწინა უსიყვარულოდ. 1836 წ. ოქტომბერში შეირთო დავით დადიანის და ნინო (რათა თბილისს გასცლოდა, გულში ჩაეხშო ეკატერინეს ტრფობა). იმავე, 1836 წ. დავით დადიანს საცოლვე გაუთხოვდა. შემდეგ 1839 წ. ეკატერინე და დავითი დაქორწინდნენ. 1839 წ. 18 მაისს ქაშუეთის ეკლესიაში ჯვარი დაინერეს (ასე რომ, ყოფილი მიჯნურნი, ეკატერინე და ივანე ახლო ნათესავები გახდნენ). სიყვარულით ქორწინება არც ეს ყოფილა, უფრო „ანგარიშიანი“ ქორწინება იყო. ეკატერინეს ქორწილის დროს გული შეღონებია, რასაც საზოგადოებაში დიდი მითქმამოთქმა და ჭორები გამოუწვევია. ამის შემდეგ ეკატერინე სამეგრელოშია („დედოფლად დაბადებული“ – გრიგოლ ორბელიანის სიტყვებია, მართლაც გახდა დედოფალი).

სიყვარული ცოლ-ქმარს შორის არც შემდეგ ყოფილა. ეკატერინეს კვლავ ივანე მუხრანბატონი უყვარდა, ხოლო დავითს კიდევ სხვა ქალიო (ელენე ორბელიანი)<sup>2</sup>. ასე ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, იაკობ ბალახაშვილი. ივანესა და ეკატერინეს შორის მიმონერაც იყო და სხვა, მაგრამ „ორივე ხელებშეკრული და ბორკილდადებული მიჯნური იყო“ („ბარათაშვილის სატრფიალო ლექსების ადრესატები“. გვ. 85).

დავით დადიანი დაიბადა 1813 წ. 23 იანვარს სოფ. ჭაქვინჯში (ჭაქვინჯის ციხის მახლობლად). 26 იანვარი დავით აღმაშენებ-

ლის დღეა და მთავრის ოჯახი ამ დღეს ამის შემდეგ ყოველ წელს დღესასწაულობდა. ჭაქვინჯში ლევან დადიანს ედგა უბრალო ოდა.

გარდაიცვალა დავით დადიანი გორდში 1853 წ. 30 აგვისტოს 40 წლისა. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

სხვათა შორის, ივანე მუხრანბატონი 1854 წ. (დავით დადიანი უკვე გარდაცვლილია) დაინიშნა იქნა ქუთაისის გუბერნიისა და სამეგრელოს ჯარების (ე. წ. „გურული რაზმის“ – ასე ერქვა რიონის ვაკეზე დაბანაკებულ ჯარებს) უფროსად. მან დიდი როლი ითამაშა ომერ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პერიოდში ეკატერინესა და ივანეს შორის გაიბა საქმიანი ურთიერთობა. ივანემ წინადადება მისცა, დაეტოვებინა სამეგრელო და ბავშვებიანად წასულიყო თბილისსა ან ქუთაისში (მისი და ბავშვების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად). ეკატერინემ ბავშვები გადამალა ლეჩხუმის ერთ-ერთ შორეულ მონასტერში. თვითონ კი გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა სამეგრელო ამგვარი საფრთხის დროს. ის თვითონ შეუდგა სახალხო თავდაცვის ორგანიზაციას. შეადგინა სამეგრელოს მილიცია, რომელსაც თვით მეთაურობდა. ამ მილიციამ უდიდესი როლი ითამაშა ომში (ომში ქალის ასეთი აქტიური მონაწილეობა იშვიათია). ომერ ფაშამ სამეგრელო დატოვა. ეკატერინე ისტორიულ პიროვნებად იქცა. იგი დააჯილდოვეს ყირიმის ომის საბრძოლო მედლით (გადასცეს 1856 წ. ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე). ასეთ ჯილდოს მანამდე არცერთი ქალი არ ღირსებია იმპერიაში. ეკატერინეს სამეგრელოში დარჩენა ნუგეში იყო იქაური მოსახლეობისათვის. ივანემ კვლავ მისცა წინადადება სამეგრელოდან წასვლისა, მაგრამ ვერ დაიყოლია. ამის გამო მათ შორის აღმოცენდა უთანხმოება, რასაც საბოლოო განხეთქილებაც მოჰყვა.

ივანე მუხრანბატონი უკანასკნელად ეწეოდა სოფლის მეურნეობას, ამზადებდა „შამპანურს“. ივანე და მისი მეუღლე ნინო – ორივე სვეტიცხოველშია დაკრძალული. იქვეა დაკრძალული გიორგი მუხრანბატონიც („კოხტაა და ლობემძვრალა“...), და მათი მამა – კონსტანტინე მუხრანბატონი (იმ იოანეს ძე, ტრაქტატს

რომ ხელი მოაწერა). ნინოზე იხ. ილიას წერილი “ნინო ბაგრატიონი”. ამ ნინოზე მაღალი აზრისა იყო აკაკიც. „ამ თვის 2-ს მცხეთას დაკრძალეს ნინო ლევანის ასული დადიანი (ეს წერილი დაიბეჭდა 1886 წ. 6 ნომბერს). განსვენებული უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი იყო ქართველი ქალისა... იყო კეთილი დედა, კარგი მეუღლე და საკადრისი ასული თავისი ქვეყნისა”.

[ლევან დადიანი გარდაიცვალა 54 წლისა 1846 წ. 30 ივლისს სოფ. აბასთუმანში, ზუგდიდის რაიონში. ამჟამად იწოდება ძველ აბასთუმნად. აქ სააგარაკო სასახლე ჰქონდათ სამეგრელოს მთავრებს. უკანასკნელად (1910 წ-მდე) ამ სასახლეში ცხოვრობდა ანდრია დავითის ძე დადიანი.

ლევან დადიანის მეუღლე, ე. ი. დავითის დედა იყო მართა წერეთელი, ზურაბ წერეთლის ასული].

ეკატერინე ჭავჭავაძისათვის გული უცემდა გიორგი ერისთავსაც. გადასახლებაში მყოფი სწერდა აგრეთვე გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანს (1836 წ.): „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, რომ ნახვალ, შენ ეგებ მომიხერხო”.

გრიგოლი გადასახლებიდან 1837 წ. ჩამოვიდა, მაგრამ რა უნდა მოეხერხებინა? ეკატერინეს გული არავის იკარებდა.

ეკატერინე ჭავჭავაძით გატაცებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი მიხეილ თუმანიშვილიც (იხ. მიხ. ხელთუბნელი, წარსულიდან, გვ. 49). ამაზე მიუთითებს მიხეილ თუმანიშვილის ლექსი „თ. კ. ჭ. ალბომზე“ (1838 წ.?) [ლექსი საკმაოდ გაუმართავია]. თითქოს მიხეილ თუმანიშვილის ამ სიყვარულს გულისხმობს ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა სწერს კახეთში მყოფ მეგობარს (1838 წ. 6 აგვისტო): „ალაზნის ველის მეუდაბნოევ, მიამბე რამე შენი გულის ქალწულის შესახებ”.

ე. ი. ეკატერინე უყვარდათ ივ. მუხრანბატონს, ნ. ბარათაშვილს, გ. ერისთავს, მიხ. თუმანიშვილს და ვინ იცის, კიდევ ვის (არც ერთ ამათგანს არ ერგო, ერგო იმას, ვისაც არ უყვარდა და ვინც არ უყვარდა).

ეკატერინეს გათხოვება, „დაკარგვა“ ყველაზე მწარედ ნიკოლოზ ბარათაშვილმა განიცადა (კინალამ გადაჰყვა ამაზე

დარდს). სხვები უფრო რეალისტ-პრაქტიკოსები აღმოჩნდნენ. ივანე მუხრანბატონი უფრო ადრე დაქორწინდა. მიხეილ თუმა-ნიშვილი – მომდევნო, 1840 წ. (შეირთო სოფიო ენიკოლოვაშვი-ლი), გიორგი ერისთავი – 1844 წელს.

1837 წ. შემოდგომაზე ციმბირიდან თბილისში გადმოსახლეს გრიბოედოვის ნათესავი დეკაბრისტი პოეტი ალექსანდრ ოდოევსკი, რომელიც ხშირად დადიოდა გრიბოედოვის საფლავ-ზე (ალბათ, ამან დააწერიდა ლექსი „საქართველოს დაქორწინე-ბა რუსეთის სამეფოსთან). ოდოევსკი გულთბილად მიიღეს ჭავ-ჭავაძეებმა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ თარგმნა მისი „Поэма и сочинений“ (რომელსაც შესანიშნავად მღეროდა ეკატერინე).

ლეილა ბერძენიშვილი (იხ. მისი წერილი „ლიტ. გაზეთის“ 1956 წ. 18 მაისი) ფიქრობს, რომ ოდოევსკის ერთ-ერთი ლექსის – ადრესატი არის ეკატერინე ჭავჭავაძე – კატინკა. ლექსი და-წერილია საქართველოში (1837 წ. დასასრულს ან 1838 წ. და-საწყისში). ლექსიდან ჩანს, რომ პოეტი ოცნებით სდევს ვიღაც ასულს, მაგრამ მასთან პირდაპირ შეხვედრისას იბნევა. იგი ნატრობს, მარად უყუროს თვალებში და უსმინოს მის საუბარს.

ეკატერინე ჭავჭავაძე გარდაიცვალა 66 წლისა, 1882 წ. 13 აგვისტოს გორდში, დაკრძალეს 21 აგვისტოს მარტვილის მო-ნასტერში.

შვილები მართა (დაიბადა 1840 თებ. გარდ. იმავე წელს).

ლევანი (1842 წ. 17.II – 1844 წ. 28.IV)

ალექსანდრე (1843 წ. 22.III – გარდ. იმავე წელს)

თამარი (1853-1860 – გარდ. 7 წლისა პეტერბურგში)

ნიკოლოზი (1847 წ. 4.I – 1903 წ. 24.I) – 56 წლისა

სალომე (1848 წ. 20.VII – 1913 წ. 10.VII) – 65 წლისა

ანდრია (1850 წ. 1910 წ.) – 60 წლისა.

[თ. გიორგაძე – „თამაშობს ანდრია დადიანი“

ი. მეუნარგია – „დავით დადიანი და მისი დრო“ (II ტ.)

იგივე, „ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა“ (II ტ.)

ი. ბალახაშვილი – „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“

ს. ჭილაია – „ეკატერინე ჭავჭავაძე“ და „შვილები“]



სალომე დადიანი (1848-1913) 1868 წელს მისთხოვდა ფრანგ აშილ მიურატს (1847-1896 წ.)

ეს აშილ მიურატი იყო ნაპოლეონ ბონაპარტის ყველაზე უმცროსი დის, კაროლინას შვილიშვილი. ნაპოლეონს ძალიან უყვარდა და აფასებდა იოაჰიმ მიურატს (1767-1815 წ.), რომელიც იყო უნიჭიერესი სამხედრო პირი და ენერგიული ადამიანი. დაიხლოვა და დაანიშნა სამხედრო კარიერაზე (საფრანგეთის გვარდიის უფროსობამდე). ეს მიურატი გახლდათ ნაპოლეონის უამრავი ბრძოლის მონაწილე, ჰქონდა ყველგან წარმატებები. მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ ომშიც 1812 წ, მაგრამ 6 ოქტომბერს დაამარცხა კუტუზოვმა. 1815 წ. დახვრიტეს.

ამ იოაჰიმ მიურატს ნაპოლეონმა 1799 წ. მიათხოვა თავისი უმცროსი და — 17 წლის კაროლინა ბონაპარტი (მათ ჰყავდათ 4 შვილი — 2 ვაჟი, 2 ქალი, ერთ-ერთი ვაჟის ლუსიენის შვილია აშილ მიურატი).

სალომესა და აშილ მიურატს ჰყავდათ 3 შვილი: ლუსიენ (1870-1933), ნაპოლეონ (შინაურობაში ნაპო 1872-1943 წ.) და ასული ანტუანეტა-კატერინა (ბებე 1897-1954).

ამათგან ნაპოლეონს მემკვიდრე არ დარჩენია, ხოლო ლუსიენის ვაჟს — აშილ მიურატს (დაიბადა 1898 წ.) ჰყავდა ცხრა შვილი. მათი შთამომავლები ცხოვრობენ პარიზში.

თვითონ სალომე დადიანი 1913 წ. პარიზში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული, ხოლო ქმარი (აშილი) გარდაიცვალა ზუგდიდში და დასაფლავებულია სოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდის ახლოს).

ალექსანდრე ჭავჭავაძის სხვა შვილები:

დავითი დაიბადა 1818 წ. სამხედრო პირი იყო. გარდაიცვალა 1884 წ. 66 წლისა. დავითის მეუღლე — ილია ბატონიშვილის ასული ანა (ილია იყო გიორგი XII-ის ძე). დავითის ცოლ-შვილი, ცოლის და და სხვები შამილის ნაიბებმა გაიტაცეს წინანდლიდან 1854 წ. 4 ივნისს. ლეკთა თავდასხმას მეთაურობდა შამილის შვილი ყაზი მაჰმადი (ფატიმატის შვილი. ამ ფატიმატისგან ჰყავდა შამილს აგრეთვე ჯემალ ედ-დინი, რუსების მიერ ტყვედ წაყვანილი). სხვათა შორის, გამტაცებლებთან ბრძოლაში დაიღუპა ილია ჭავჭავაძის ძმა კონსტანტინე, 22 წლისა.

ტყვეობაში მოხვდნენ: ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძისა, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისა (ილია ორბელიანის ცოლი), ნინო ბარათაშვილი (ნიკ. ბარათაშვილის და, წინანდალში სტუმრობისას ბიცოლას ახლდა). ფრანგი აღმზრდელი ანა დრანსე და ბავშვები(ნინო ჭავჭავაძე ზუგდიდში იმყოფებოდა თავის ახალდაქვრივებულ დასთან და ამან გადაარჩინა). მხოლოდ ერთი გოგონა გადაურჩა ტყვეობას, რადგან ცაცხვის დიდ ფულუროში დაიმალა (ეს ცაცხვი ახლაც დგას ეკლესიის ნანგრევებთან ახლოს).

დავით ჭავჭავაძისა და ანა ბაგრატიონის ორი წლის თამარიც გაიტაცეს ლეკებმა. ეს თამარი შამილს ისე შეეჩვია, რომ შინ დაბრუნება არც უნდოდა. მას „თამარა შამილოვნა“ შეარქვეს. შემდეგ იგი ცოლად ჰყავდა ერეკლე მეფის შვილიშვილს, ალექსანდრე ბატონიშვილის შვილს — ირაკლის.

ამათი შვილია ელისაბედ ორბელიანი (1870-1942). ელისაბედ ორბელიანზე იხ. ვახტანგ ბერიძის „მოგონებები“ გვ. 11-დან. აგრეთვე Нино Чавчавадзе – Грузинские женщины, 1987 წ. გვ. 63. ელისაბედისადმი ლექსი აქვს მიძღვნილი აკაკის, ექსპროზომტი – ვაჟას. აკაკიმ მას აჩუქა თავისი ფოტოსურათი ასეთი წარწერით: „ფრანციცულად გიყვარს წერა, რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა, მაგრამ შენი ქართველობა, გეფიცები, მაინც მჯერა“.

ტყვეების გაცვლა მოხერხდა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. შამილს დაუბრუნეს ჯემალი და დაუმატეს 40 000 მან. (ვერცხლით).

1. ანა დრანსე, შამილის ტყვე ქალები, თბ., 2010

2. Е. Вердеревский, „Плен у Шамиля“

3. ლ. გუდიაშვილის სურათი „წინანდლის ტრაგედია“

სამივე ამ წყაროს ალბათ, იცნობდა მწერალი პ. პავლენკო, როცა წერდა მოთხრობას „Кавказская повесть“ (Махачкала, 1966). აქ შესანიშნავადაა ნაჩვენები შამილის რაზმელების თავდასხმა წინანდალზე, მისი დარბევა და სხვ.

[პ. პავლენკოს „Генерал - солдат“ (1812 წ. გმირ პეტრე ბაგრატიონზეა დაწერილი. პავლენკოს „ბარიკადებში“ გამოყვანი-

ლია პარიზის კომუნის მონაწილე *Ле Сесилия* (სოსელი) – ქართველი. „ბარიკადებში“ ნახსენებია აგრეთვე გიმნაზისტი ჯაბადარი (აქ, ცხადია, იგულისხმება ივანე ჯაბადარი – წვერი ხალხოსნურ – რევოლუციური ორგანიზაციისა)].

შამილმა ჯერ ილია ორბელიანში მოიწადინა შვილის (ჯემალედ დინის) გადაცვლა, მაგრამ იმპერატორმა უარი უთხრა. მიზანს ახლა მიაღწია. დაბრუნებული ჯემალი ქლექმა და სევდამ დააძაბუნა. გარდ. 1858 წ. (დაკრძალეს აულ კარატაში).

ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძისას ცხენიდან გადმოუვარდა პატარა ბავშვი – ლილია. ქალი კივილით გადმოეშვა ცხენიდან, მაგრამ ლექმა შეაჩერა და გააქროლა. გოგონას გვამი მეორედღეს იპოვეს და წინანდლის ეკლესიაში წაასვენეს.

ტყვეებს შამილი ცუდად არ მოქცევია (მათ სიმინდის კვერებსა და ცხვრის ხორცს აჭმევდნენ). ქალებს მიმონერის საშუალებას აძლევდა. მათ სთხოვა, მითხარით მათი სახელები, ვინც ცუდად გექცეოდათ, რომ დავსაჯოო, მაგრამ ქალებმა მწვალებელთა სახელები არ გაუმხილეს. ტყვეებს განსაკუთრებით კარგად ექცეოდნენ შამილის ცოლები (განსაკუთრებით – შუანეთი, — მოზდოკელი სომეხი ანა ულუხანიანი).

...

შამილს შვილი და 40 000 (ვერცხლით) ჩააბარეს 1855 წ. 10.III. მდ. მიჩიკთან. ეს ფული დავით ჭავჭავაძეს ასესხა ხაზინამ და როცა მისი გადახდა ვერ მოხერხდა, წინანდლის მამული იმპერატორის, ალექსანდრე II-ის საკუთრება გახდა [ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი დაარსდა 1946 წ. პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავზე].

ანა დრანსემ ქართული არ იცოდა, მაგრამ ფრანგული იცოდა დავით ჭავჭავაძის ოჯახის ყველა წევრმა.

შამილს ოდესღაც (1842 წ. 20.III-დან მთელი 8 თვე) ტყვედ ჰყავდა ილია ორბელიანი (ახლა კი მისი ცოლ-შვილი). გათავი-

სუფლების შემდეგ ილიამ დაწერა „რვა თვე შამილის ტყვეობაში“ (იაკობ ბალახაშვილის აზრით, ილიას იგი მხატვრულად შეასრულებინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა). გავრცელებული შეხედულებით, ილიას მამაცობამ შთააგონა მის დისშვილს „მერანი“ (აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ – წერდა ტატო ბიძას, გრიგოლს). თუმცა დღეს საკამათო აღარ არის, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი ალექსანდრე ბატონიშვილია და არა ილია ორბელიანი [ტყვეობის დროს ანა ბაგრატიონი იყო 28 წლის, ქმარი – დავითი – 37 წლის].

სოფიო ჭავჭავაძე დაიბადა 1834 წ. 22 სექტემბერს. 1849 წ. 15 წლისა მისთხოვდა ფინელ ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის. ალ. ნიკოლაი მსახურობდა თბილისში 1848 წელს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად. 1853-1859 წ. იყო ე. წ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. მეუღლის პატივსაცემად ისწავლა ქართული ენა. 1861 წ. გადავიდა კიევში და მსახურობდა განათლების დარგში. აქვს ნაშრომები განათლების საკითხებზე. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქართული კულტურისადმი, მაგრამ ეს იყო ვორონცოვისებური სიყვარული.

სოფიო გარდაიცვალა 1862 წ. 28 წლისა, კიევში, ნოსტალგიით, 18 მარტს, იქვე დასაფლავეს, მაგრამ შემდეგ ქმარმა მისი ნეშტი გადაასვენა ქ. ვიბორგში, თავის საგვარეულო სასაფლაოზე. მას შემდეგ ცოლი აღარ შეურთავს. ბარონ ნიკოლაიც ვიბორგშია დაკრძალული. სოფიოს დარჩა ერთადერთი ასული მარიამი (მაკა), რომელიც აქ, საქართველოში, ბეთანიაში, სადაც ბარონს ჭავჭავაძეთაგან ბოძებული მამული ჰქონდა, იზრდებოდა. მარიამი ცოლად გაჰყვა გიორგი შერვაშიძეს, გარდაიცვალა 1917 წ. მარიამს ჰყავდა ერთადერთი ვაჟი დიმიტრი, რომელიც ერთხანს სოხუმში ცხოვრობდა, შემდეგ კი ცოლშვილით რუსეთს გადავიდა და თვალს მიეფარა.

ნოსტალგიას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ქართველი, უცხო მინაზე მცხოვრები. „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდი, შენს მკერდს დამმარხეო“ (დ. გურამიშვილი), „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ (აკაკი), „თუ კაცსა მოხვდეს გრძლად ყოფნა...“ (არჩილი)...

ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე იყო სალომე ივანეს ასული ორბელიანი. მისი მამა იოანე (ივანე) გახლდათ სარდალი. სალომეს ძმები: ლუარსაბი, დავითი. ამ დავითის მეუღლე იყო მანანა ერისთავი- ორბელიანი. (ე. ი. მანანა ორბელიანი იყო სალომეს რძალი, ბიცოლა ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებისა). დავით ორბელიანი გარდაიცვალა 1830 (თუ 1829 წ.). გრიგოლ ორბელიანმა დაწერა ლექსი: „ორ გვამთა ტრფობა ჭეშმარიტი არ არს ამ სოფლად,/... ტრფობით დამინვი და ვისთვის ხარ მოსაგონებლად,/ მე მახსოვს ღამე, მახსოვს და ვსტირი მეგობარსა, უდროოდ გამქრალსა“. იხ. აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის სამძიმრის წერილი მანანა ორბელიანისადმი („წერილები“, ტ. I, გვ. 38).

ლუარსაბ ორბელიანი, მაიორი, შეთქმულებაშიც იღებდა მონაწილეობას. იჯდა ყაზარმაში. ხშირად ეძახდნენ დაკითხვებზე (იხ. შეთქმულების მასალები, I, II, III ტომები).

საგამოძიებო კომისიას ალექსანდრე ჭავჭავაძე უჩვენებდა (1833 წ. 17 იანვარი):

ლუარსაბ ორბელიანოვის სახლი ჩემი ბინის მეზობლად არის. თუმცა მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი ჩემი ცოლის ძმაა, მაგრამ არასოდეს არ ვსარგებლობდი მისი განსაკუთრებული ნდობით არა თუ დიდმნიშვნელოვან საქმეებში, არამედ ჩვეულებრივ შინაურ საქმეებშიც კი. ის ვალებში იყო და მე არ ვიცოდი, ვისი რა ემართა, რის შესახებაც ეხლაც არაფერი გამეგება. მან დააქორწინა თავისი ან განსვენებული უმცროსი ძმა დავითი და ორი ქალი ისე, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაშინ როდესაც მასთან ასე ახლოს ვიყავი. მისი უფროსი ქალის ელენეს თავად დადიანზე გათხოვების შესახებ რჩევა მხოლოდ მაშინ მთხოვა, როცა საქმე უკვე გაეთავებინათ. მე მას ვუპასუხე, რომ გაცილებით ემჯობინებოდა რუსზე გათხოვება, რადგან ჩვენთვის სასარგებლოა რუსებთან ნათესაობის გამრავლება, რათა უფრო მეტად დაუახლოვდეთ მათ (გიორგი გოზალიძევილი „1832 წ. შეთქმულება“, II, გვ. 167-168).

„...არა, ლუარსაბ ორბელიანი, რასაკვირველია, დაიბნა თავის ჩვენებაში მისი რუსულ დიალექტში სისუსტის გამო, ან

სუსტი მეხსიერების გამო, რომელიც იმ ჯოჯოხეთური საიდუმლოებისაგან უარესად უნდა ჰქონდეს შერყეული, ან სხვა ჩემთვის მიუწვდომელ მიზეზთა გამო" (იქვე).

შეთქმულნი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მოლაპარაკებას ლუარსაბის მეშვეობით აწარმოებდნენ (ალექსანდრე ორბელიანი წერს, რომ ჩვენ, შეთქმულებს, ალექსანდრე ჭავჭავაძე „ლუარსაბ ორბელიანის პირით გვარიგებდაო“).

ლუარსაბი გარდაიცვალა 1834 (თუ 1835 წ.) იხ. გრიგოლ ორბელიანის სამძიმრის წერილი ლუარსაბის მეუღლე ანასადმი (წერილები, ტ. I, გვ. 37). მისი ცოლი ანა გარდაიცვალა 1844 წ. 21 აგვისტოს. დაკრძალულია „კუმისის სამებაში“. ლუარსაბს ჰყავდა ორი ასული: ელენე და მარო (მარიამ). დები სწავლობდნენ ჯერ პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვასთან, შემდეგ მათილდა კასტელის ფრანგულ პანსიონში. ორივენი განათლებულნი და ლამაზები იყვნენ.

ელენე იყო, რომ შეუყვარდა დავით დადიანს და ლუარსაბმა ამის თაობაზე რჩევაც ჰკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მაგრამ ეს ქორწილი არ შედგა. 1836 წ. ელენე ცოლად გაჰყვა ზაქარია გიორგის ძე ერისთავს (დავით დადიანი მათი ქორწილის ჩაშლას ამოდ შეეცადა). ელენეს ქმარი ზაქარია ერისთავი 40-იან წლებში დაღესტანში იბრძოდა შამილის წინააღმდეგ (გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში ბევრჯერ არიან ნახსენები ზაქარია და ელენე). 1845 წ. ზაფხულში ზაქარიამ მძიმე ჭრილობა მიიღო მკლავში. მკურნალობდა ერასტი ანდრეევსკი. კინალამ საჭირო გახდა მკლავის მოჭრა. 1850 წ. ზაქარია ასრულებდა ჭარ-ბელაქანის მაზრის უფროსის თანამდებობას. 1850 წ. 12 აგვისტოს მოკლეს ლეკმა ყაჩაღებმა. ზაქარიას შვილი არ დარჩენია. ელენე კი გარდაიცვალა 80-იან წლებში.

მარიამ (მარო) ორბელიანი მისთხოვდა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდიშვილს (იასეს ძმას). იონა მეუნარგია წერს, ეს ქალი ნიკოლოზ ბარათაშვილს უყვარდაო. „ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელი აფიცრის დეზებზე" („ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 204).

ხოლო უბის წიგნაკში წერს: „უყვარდა ფალავანდოვის ცოლი, ამ ქალმა კი კონსტანტინე დადიანი ირჩია (1819-1889) (ლიტ. მატინანე, 1940, 1-2, გვ. 385). ეს კონსტანტინე დავით დადიანის ძმაა, ნიკოლოზ I-ის ფლიგელ-ადიუტანტი, მეტწილად თბილისში ცხოვრობდა [ასე რომ, ნ. ბარათაშვილს ეკატერინესადმი სიყვარულში დავით დადიანმა შეუშალა ხელი, მარიამისადმი სიყვარულში – მისმა ძმამ კონსტანტინემ. „დადიანები ბედისწერასავით გადაელობნენ გზაზე ჩვენს დიდ პოეტს“ (ი. ბალახაშვილი)].

ორიოდე სიტყვა ზაქარიას მამაზე – ეს იყო გიორგი იასეს ძე ერისთავი (1760-1863). გარდ. 103 წლისა. სენატორი, „დიდ კნი-აზად“ წოდებული, ცნობილი გენერალი.

1799 წ. არის გიორგი XII-ის მიერ რუსეთს გაგზავნილი დეპუტაციის შემადგენლობაში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ყველა ომის მონაწილეა (მათ შორის 1826-27 წ. რუსეთ-ირანისა). 1827 წ. პასკევიჩთან შეუთანხმებლად აიღო ქ. თავრიზი. ამისთვის მისცეს ანდრია პირველწოდებულის ორდენი და სენატორობა. ჰქონდა უმაღლესი სამხედრო ჩინი, ინფანტერის გენერლობა. დასაფლავებულია იკორთაში (ეპიტაფია იხ. ი. მეგრელიძე, „მოამბე“, 1963 წ. 3, გვ. 174). მისი ბიოგრაფია ლექსად დაწერა დიმიტრი ბერიევმა („ცისკარი“, 1865 წ. №4). 1832 წ. შეთქმულება არ გაუნდვიათ. წერდა ლექსებს. მაგ. „მონოდება ივერთა“ (იხ. სოლომონ დოდაშვილის ჟურნ. №3). „მამის დარიგება“ („ცისკარი“, 1862 წ. №10). ლექსი „კავკასის მთისა“ (გამოაქვეყნეს ნ. ნანიტაშვილმა და ს. ხუციშვილმა პუშკ. სახ. პედინსტიტუტის შრომებში, II, გვ. 170-171). ეს ლექსი მიმართულია ყაზარმებში მყოფი შეთქმულებისადმი, რომლებსაც ადანაშაულებს, რომ მიენდნენ „დოდაევს, გვართ სისხლამღვრეულს, უგვარკუდოსა“.

მაქსიმე ბერძნიშვილი ფიქრობს, რომ მას ეკუთვნის „კავკასი და უცნობი“ (შეცდომით შეტანილიო გიორგი ერისთავის თხზულებებში).

შვილის, ზაქარიას გარდაცვალება მწვავედ განიცადა. ამასთან დაკავშირებით დაწერა ორი ლექსი: 1. „გიორგი კნიაზისაგან თქმული თავის შვილ ზაქარიაზე“.

2. „ეპიტაფია“ (შვილის საფლავზე წასაწერი ტექსტი. ორივე დაბეჭდილია პუშკ. ინსტ. შრომების II ტ. –ში).

ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე. გაიანე გარდ. 1820 წ. (შეირთო 1808 წ.). ამის გამო სახელმწიფო საბჭომ მზითვად დაუნიშნა 12 000 მან. ჰყავდა 3 შვილი:

ა) ზაქარია (ცოლად ჰყავდა ელენე ლუარსაბის ას. ორბელიანი).

ბ) ქეთევანი (ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანს)

გ) მარიამი (ცოლად ჰყავდა გრიგოლ ივანეს ძე ერისთავს).

ამრიგად, ქეთევანი, არის გიორგი XII-ის შვილიშვილი. მან „გაყრაში“ შეასრულა თათელას (მიკირტუმის მეუღლის) როლი, „დავაში“ – ლომისეულის (ამირინდოს გამდელის).

ქეთევანი (1806-1897) დაკრძალულია სიონში ქმრის, მამუკა ორბელიანის გვერდით – იხ. აკაკი წერეთლის „სამძიმარი“ („აკაკის კრებ“. 1897 წ. 4). (მამუკა და ქეთევანის ას. ალექსანდრა ცოლი იყო ლევან მელიქიშვილისა).

### ლიტერატურა:

1. ი. ბალახაშვილი – „ბარათაშვილის ცხოვრება“ გვ. 260-278.
2. მაქს. ბერძნიშვილი – „მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“; 1980, გვ. 226-230.
3. ს. ხუციშვილი – „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“, გვ. 81-82.
4. „ლიტ. მატრიანე“, ნიგნი 1-2, გვ. 432 და სხვა (გ. ლეონიძის წერილი).

\* \* \*

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსების წერა 15 წლისას დაუწყია. ავტორია 110-მდე ორიგინალური ლექსისა და რამდენიმე თარგმანის რუსი და ევროპელი ავტორებისა [მაინცადამაინც პროდუქტიული მწერალი არ ყოფილა, არც პოემა დაუწერია]. ავტორს თავისი ორიგინალური ლექსები დაბეჭდილი არ უნახავს ქართული სალიტერატურო პრესის არარსებობის გამო (იგივე ბედი გაიზიარა ბარათაშვილმაც). პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა მხოლოდ ერთადერთი თარგმანი, პუშკინის ლექსი „სიზმარი“ (პუშკინს აქვს „Пробуждение“). ეს იყო პუშკინის პირველი ნაწარმოები, რომელიც ქართულად დაიბეჭდა. ალექსანდრე ჭავ-



ჭავჭავაძის ლექსები გამოქვეყნებულია გიორგი ერისთავის „ცისკარში“. ივანე კერესელიძის „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“, ჟურნალ „კრებულში“, „ივერიაში“ და სხვა, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება პოეტის გარდაცვალების შემდეგ.

მისი ლექსების კრებული კი საკმაოდ გვიან გამოიცა, 1881 წელს. ამ წიგნის გამოცემის ინიციატორები არიან ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და გიორგი თუმანიშვილი. სამწუხაროდ, ეს პირველი გამოცემა არაა სრული. დაიბეჭდა მხოლოდ პირველი ნაწილი (98 ლექსი), უნდა გამოცემულიყო მეორე ნაწილიც, მაგრამ არ გამოსულა.

(რეცენზია (ივ. მაჩაბლისა) ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა I ნაწილზე დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წ. №8 და ზაქარია ჭიჭინაძის რეცენზია „დროებაში“ 1881 წ. №225).

ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული გამოვიდა მხოლოდ 1940 წელს იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ერთვის ლექსიკონი, მანამდე ფართო მკითხველ საზოგადოებას საშუალება არ ჰქონდა, მთლიანად გაცნობოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას. 1986 წ. შესრულდა 200 წ. პოეტის დაბადებიდან. იუბილე ფართოდ აღინიშნა. გამოვიდა თხზ. სრ. კრებული ირაკლი კენჭოშვილის რედაქციით (დაიბეჭდა საიუბილეო კრებული „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და სხვ.). 1996 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა ალექსანდრე ჭავჭავაძის „თხზულებანი“ ა. არაბულის, თ. გვანცელაძისა და ა. ლომთაძის წინასიტყვაობით.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის შესახებ კარგა ხნის განმავლობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. არ არსებობდა ერთი, გარკვეული, ყველასთვის მისაღები აზრი. ზოგიერთი მკვლევარი პოეტს უსაყვედურებდა პატრიოტიზმის, ეროვნული გრძნობის სიმცირეს.

მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგალითად, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე და სხვ.) ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათლავდა მხოლოდ ერთ ჰანგზე მომღერალ, კერძოდ კი, ვარდ-ბულბულის მომღერალ პოეტად. მაგ. 1881 წლის გამოცე-

მის ერთ-ერთი რეცენზენტი წერს: „ალ. ჭავჭავაძის წიგნი ეს არის, რომ ყველა თავის ორიგინალურ ლექსში ერთსა და იმავე საგანზედ მღერის და ერთი და იგივე კილო გვიბჭუის ყურებში“ („ივერია“, 1881 წ. №8) (ივანე მაჩაბელი)

2) იონა მეუნარგია თავის დროზე წერდა: „თხზულების პირველ ნაწილში ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედა გრძნობისათვის. ამ ლექსებში არც ბარათაშვილის კაეშანი არის, არც ორბელიანის ცად-აღმაფრენი ენა, არც აკაკის მამულის სიყვარული, არც ილიას ქნარი“ („ქართველი მწერლები“, გვ. 27).

3) ასეთივე არასწორად აფასებდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას კიტა აბაშიძე: „ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველი... ჩვენ ვერა ვნახავთ მის ლექსთა კრებულში გარკვეულ ვაებასა და მწუხარებას საზოგადო ინტერესების გამო, ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რა აზრისა იყო ჩვენის ერის ბედის შესახებ“ („ეტიუდები“).

ეს კრიტიკოსები აშკარად ცდებოდნენ და ეს შეცდომა ძირითადად გამოიწვია ორმა გარემოებამ:

ა) ლექსთა სრული კრებულის უქონლობამ (მკითხველს საშუალება არ ჰქონდა, თვალი გადაეევლო პოეტის შემოქმედებისათვის, გასცნობოდა მის ყველა ლექსს).

ბ) სატრფიალო ლექსების დიდმა პოპულარობამ.

ნამდვილად კი ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულებითაც არ ყოფილა მხოლოდ ერთ ჰანგზე მომღერალი პოეტი, მხოლოდ ვარდ-ბულბულის მეხოტბე. მის შემოქმედებაში, ცხადია, სატრფიალო მოტივიც გვაქვს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვა მოტივებსაც. ძირითადი მოტივებია:

პატრიოტული, ეროვნული მოტივი;

სევდა, პესიმიზმი (არსებული სინამდვილით უკმაყოფილება), გამოწვეული საქართველოს ეროვნული ხვედრით;

სოციალური მოტივი;

ე.წ. „მსოფლიო სევდა“;

სიყვარული;

ანაკრეონტული ციკლის ლექსები;

ბუნება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში რომანტიზმის ყველა ნიშანი არაა გამოვლენილი და ეს გასაგებიცაა, ეს ხომ რომანტიზმის დასაწყისი, პირველი საფეხურია ჩვენში.

პირობითად ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას ორ პერიოდად ყოფენ (ეს ძირითადად, ეხება ეროვნულ მოტივს).

I – 1832 წლამდე

II – 1832 წლიდან ბოლომდე.

პირველ პერიოდში ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩივის ძველი დიდების, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო და იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. იბრძვის საქმითა და სიტყვით. საქმით – მონაწილეობა 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში, 1832 წ. შეთქმულებაში. სიტყვით – როგორც პოეტი.

ლექსები: „ვაჰ, დრონი, დრონი,“

„ისმინეთ მსმენნო“

„ოჰ, ვით გვემტყუნვა“

„ვისაც გსურთ“

„მსურდა ოხვრა“

„პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“

„უნყალო სენმან“ (ყველა ეს ლექსი 32 წლამდეა დაწერილი).

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაკარგა ეროვნული მეობა, გაქრა საქართველოს ძველი დიდება, სწორედ ამის გამო მოთქვამს მწუხარებით ჩვენი პოეტი. საერთოდ, ქართული რომანტიზმი ამ ნიადაგზეა აღმოცენებული. ეს მოტივი ერთ-ერთი ძირითადია, სპეციფიკური ნიშანია ქართული რომანტიზმისა. ეს სევდა-მწუხარება კონკრეტული ხასიათისაა – გამოწვეულია საქართველოს ეროვნული მეობის დაკარგვით. ამ ციკლის ლექსებში ეროვნული მოტივი და სევდა ერთად, განუყოფლადაა მოცემული. მათი გათიშვა და ცალ-ცალკე წარმოდგენა არც შეიძლება. ამ ლექსებში ხშირადაა საუბარი ურვაზე, ჭირზე, ჭმუნვაზე, ვაებაზე, ცრემლებზე, უბედობაზე... აღსანიშნავია ამ მხრივ ლექსი „ვაჰ, დრონი, დრონი“ (პირველად დაიბეჭდა 1848 წ. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში). ლექსი პირდაპირ იწყება მოთქმით ძველი დროის გაქრობაზე.

**ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,  
ნარილტვენენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად.**

დანერილია პოეტის პირველი პატიმრობისას. 1804 წ. აჯანყებაში პოეტმა მონაწილეობა მიიღო ძველი დიდების დაბრუნების მიზნით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და ახლა საპრობილემოში მჯდომი მწარედ მოთქვამს. ციხის კედლებმა ვერ გატეხა პოეტის ნებისყოფა, მას ხელი არ ჩაუქნევია, ფარ-ხმალი არ დაუყრია და აქაც გაბედულად ამბობს, რომ იგი კვლავაც იბრძოლებს სამშობლოს დახსნისათვის. პოეტი სრულიად გარკვეულად და არაორაზროვნად აცხადებს, რომ მან ერთგზის სამშობლოს უძღვნა თავი და მუდამყამს მის სამსახურში იქნება, სადაც უნდა იყოს, ყოველთვის მასთან დარჩება, არ შეიცვლება და მარად ისეთი იქნება, როგორიც ახლათ.

**მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი,  
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად.**

— ასეთია პოეტის ურყევი გადანყვეტილება.

**ჰსაჯეთ: პერობილმან უწყისა ტრფობა?  
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,  
მე იგივე ვარ მარად და მარად,  
არ ესდევ უამთა ცვლას,  
მე იგივე ვარ მარად და მარად.**

მამ თუ ავტორი ადრე იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ეს სურვილი მასში ახლაც ძლიერია და იბრძოლებს კვლავაც. „უამთა ცვლა“ მის მრწამსში გულსა და გონებაში გარდატეხას ვერ ახდენს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე წყევლის იმ დროს, როცა საქართველომ თავისუფლება დაკარგა. ლექსში „ისმინეთ მსმენნო“ (პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1877 წ. 11) პოეტი წერს:

ისმინეთ მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომაპყართ ყურნი,  
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი აღმურნი.  
ვნახენით როსა, ამა დროსა, ზედა ზედ რთულნი  
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი  
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, ან გვაგო შურნი...

პოეტი ვერ ეგუება რუსეთის ბიუროკრატ მოხელეთა ყოფ-  
ნას საქართველოში, მას რუსების ყოველი საქციელი და მოქმე-  
დება არაადამიანურად ეჩვენება. მათ ცუდი ცხოვრება აქვთ,  
გულით მრუდენი, პირ-ბნელნი არიან; ყოფაქცევა ქაჯური  
აქვთ, ბატონყმობა ვერ გაურჩევიათ და სხვა მრავალი.

უნყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი;  
ურიცხენი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავალ ათასნი,  
მუნა მყოფელნი, ყოველ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,  
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი,  
აქვთ ყოველთვის ხელად სჯულად ძველად საფრთხე,  
საცთურნი...

გვძლივა სოფელმან...

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,  
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;  
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;  
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმულთა გულთა სჰწყვლენ  
მტრულად,  
კაცთა მკილავნი, ლიზლნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი...  
გვძლივა სოფელმან...

...

ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი.

სამშობლოს ასეთი მდგომარეობა პოეტში იწვევს მწუხარე-  
ბას, მელანქოლიას. ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლექსებში  
გამოხატავს ღრმა მწუხარებას სამშობლოს ეროვნული ჩაგვ-  
რის გამო. ადამიანისთვის ყველაზე დიდი უბედურებაა სამშობ-  
ლოს უბედურება. ლექსში „ოჰ, ვით გვიმტყუნვა“ (პირველად  
დაიბეჭდა „ივერიაში“ 1877 წ. 9) პოეტი წერს:

**ვჭმუნავთ ბედ-მწირნი,  
გვხვევიან ჭირნი  
ფოთოლთ უხშირნი!**

ეს ლექსი სხვათა შორის ალევგორიული ხასიათისაა. პოეტი აქ სამშობლოს წარმოგვიდგენს მზედ, რუსეთს კი – ღრუბლად. მზეს, რომელიც ადრე ბრწყინავდა, ახლა შავი ღრუბელი გადაეფარა და დაბნელდა.

სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამონეული სევდა და მწუხარება კარგადაა აგრეთვე გამოხატული ლექსში „ვისაც გსურთ“ (დანერილია პოეტის პირველი პატიმრობის დროს. პირველად დაიბეჭდა „კრებულში“ 1871 წ. 5, ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციით).

ეს ლექსიც ალევგორიული ხასიათისაა, მხოლოდ პოეტი აქ სამშობლოს წარმოგვიდგენს არა მზედ, არამედ დატყვევებულ სატრფოდ. ამის გამო პოეტი უზომო მწუხარებაშია, ჭირშია ჩაფლობილი, ურვისგან (დარდისგან) გულშეპყრობილია.

**ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,  
მისმინეთ ჭირში ფლობილს,  
მისმინეთ ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა  
ურვისგან გულ-შეპყრობილს.  
მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,  
მისთვის გლახ განწირული,  
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,  
მარად მუახლვის (ე. ი. მარად მიახლდება) წყლული.**

პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც მიმართა სატრფო-სამშობლოს ალევგორიას, არის გარსევან ჩოლოყაშვილი (მე-17 საუკუნის შუა წლები), რომლის კალამს ეკუთვნის ლირიკულ ლექსთა კრებული „ნარგიზოვანი“.

„ნარგიზოვანში“ შედის 11 ლექსი, რომელთაგან 10 არის სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა, ხოლო ერთი – „ქართლი შვენიერია“ (VIII ლექსი), რომელშიც შექებულნი არიან ქართლი

და ქართველები, პატრიოტულია. აქ სამშობლო წარმოდგენილია სატრფოდ:

**გტრფიალებ მზეო, თუ შენკენ მზეო  
ერთხელ მისმინე, ორჯერ, სამზეო.**

აქაა ჩანასახი იმ ალეგორიის, რომელიც შემდეგ უფრო გახშირდა. ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის და სხვათა შემოქმედებაში.

მე-19 საუკუნის ქართველ პოეტთაგან ამ ხერხს პირველად მიმართა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, შემდეგ ფართოდ გამოიყენა განსაკუთრებით აკაკი წერეთელმა (აკაკის აქვს ლექსების ციკლი, სადაც სატრფო-სამშობლოს ალეგორიაა).

სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სევდა და მწუხარება გამოხატულია აგრეთვე ლექსებში: „მსურდა ოხვრა“ და „პრობილისაგან თანამპრობელთა მიმართ“.

**ყოველთ კეთილთაგან იავარ-ქმნილი  
ვზი და ვსტირ ჩემს ბედსა ცრემლით თვალ-ვსილი.  
(„მსურდა ოხვრა“)**

მეორე ლექსში ამბობს: *ჰკენესს, გული, ძმანო...*

ასეთივე ხასიათისაა ლექსი „უწყალო სენმან“. ლხინს შეჩვეულნი ჭირში ჩავვარდით, ლხენა მოგვაკლდა, ვაება მოგვემატა:

**უწყალო სენმან გვიკოდა გულნი,  
გვყო ჭირთა მთმენად, მგლოვიარენად.  
ყოვლნი სულდგმულნი.  
ჩვეულნი ლხინსა მოგვცა ჭირსა უბედობამან,  
მოგვაკლო შვება, გვმატა ვება.**

როგორც ვხედავთ, ეროვნულ თემაზე დანერვილ ლექსებს ყველას თან ახლავს სევდა, პესიმიზმი. ამ ლექსებში ხშირადაა

საუბარი ურვაზე, ჭმუნვაზე, უბედობაზე, ჭირზე, ცრემლებზე, წყლულზე, ვაებაზე და ა. შ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სევდა კონკრეტულია – გამოწვეული სამშობლოს უბედობით, მისი უუფლებო, კოლონიური მდგომარეობით.

უნდა ითქვას, რომ მისი სევდა, მწუხარება უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე არ მიდის, ის მომავალსაც ერთგვარი იმედით შეჰყურებს, მაგალითად, ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი“ ვკითხულობთ:

**გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი  
იმედოვნებას ვუნოდებ ფარად.**

ხოლო ლექსში „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“ უფრო გარკვეულად ამბობს, დარწმუნებულია უკეთეს მომავალში:

**მე ამას ვჰსტირი, განანირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ!..  
თვარალა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.**

ასეთი მცირე იმედით შეჰყურებს ჩვენი პოეტი მომავალს და ამით დიდად განსხვავდება ალორძინების ხანის მწერლებისაგან, რომლებიც სევდას იმით იყუჩებდნენ, რომ უკეთეს მერმისს საიქიოში ხედავდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის იმედი, ოპტიმიზმი, ცხადია, განსხვავდება სამოციანელთა ოპტიმიზმისაგან, რომელიც უფრო ღრმა და დაჯერებულია: „მას ნულარ ვსტირით...“ (ილია).

უკეთესი მომავალი ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ნიშნავდა წარსულის დაბრუნებას. ლექსში „ელების კარი გაზაფხულისა“ (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წ.) სამშობლო ვარდის სახითაა წარმოდგენილი. პოეტს საზოგადოების განვითარება წლის დროთა ცვლის მსგავსად აქვს წარმოდგენილი. ზამთარს მოჰყვება გაზაფხული, რომელიც წინა გაზაფხულის განმეორება იქნება.



1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ ბევრ შეთქმულში მოახდინა გარდატეხა. ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია. ბოლოს და ბოლოს ბევრი დარწმუნდა, რომ არაფერი გამოვიდოდა, მოვიდნენ „ჭკუაზე“, ჩაიქნიეს ხელი და შეურიგდნენ არსებულ ვითარებას. ზოგი ამ მხრივ ძალიან შორს წავიდა. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი, რომელიც საქმითაც ემსახურებოდა მეფის რუსეთს (დალესტინის ბრძოლები, რუსეთიც არ რჩებოდა ვალში — ორდენებითა და ჩინებით ავსებდა) და სიტყვითაც: „ხელმწიფევე ჩვენო...“

შეთქმულების ჩავარდნამ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებასაც ძლიერი კვალი დააჩნია. დაიწყო მისი შემოქმედების ე.წ. II პერიოდი, როდესაც პოეტი აღიარებს საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობას. მას იმხანადაც ცხადია, უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ძველებურად აღარ ჩივის. პოეტი შერიგებულია ამ მდგომარეობას. მეტიც, მისი აზრით, საქართველომ სწორედ რუსეთის საფარქვეშ უნდა შეძლოს კულტურული და ეკონომიკური აღორძინება. აღსანიშნავია ამ მხრივ ლექსები „დიმიტრი ვ.“, „უგვანთა ტრფობა“, „კავკასია“, რომლებიც დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1833-34 წლებში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე ახალგაზრდულ შეცდომად მიიჩნევს 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობას, ლექსში „დიმ. ვ.“ პოეტი მიმართავს თავის მეგობარს დიმიტრის, რომელმაც მასთან ერთად მონაწილეობდა 1804 წ. აჯანყებაში და ეუბნება, რომ მაშინ ორივე უმეცრები და ჭკუამიუმხვდარები ვყოფილვართ, სიჭაბუკის გამო შემეცდარი გზით გვივლია, როგორც შეძლებდა ჩვენი სუსტი მკლავი ზღვის ზვირთების განკვეთასო. ვინ არის ეს დიმიტრი ვ.? ლექსიდან გარკვევით ჩანს, რომ დიმიტრის 1804 წელს აჯანყებაში პოეტთან ერთად მიუღია მონაწილეობა. იოსებ გრიშაშვილის აზრით, დიმიტრი ვ. არის დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი, მაგრამ დავით გამეზარდაშვილმა უარყო ეს შეხედულება. დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანს არ შეეძლო 1804 წლის აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო იმიტომ, რომ ის მაშინ ორი წლისაც არ იქნებოდა (დი-

მიტრი უმცროსია თავის ძმა ალექსანდრეზე, რომელიც 1802 წელსაა დაბადებული). მაშ ვინ არის ეს დიმიტრი ვ.? როგორც მეცნიერები ფიქრობენ, იგი უნდა იყოს დიმიტრი ვახვახიშვილი, რომელიც იყო შვილი გარსევან ჭავჭავაძის ბიძაშვილის დარეჯან სულხანის ას. ჭავჭავაძე-ვახვახიშვილისა. დიმიტრი ალექსანდრესთან ერთად შეიპყრეს დემურჩასალოსთან და გადაასახლეს ქ. პერმში:

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისე როგორც 1804 წლის აჯანყებაში, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამოც წუხს. პოეტი უკმაყოფილოა საკუთარი თავის, რომ ენდო შეთქმულებს, შეთქმულებმა იგი „მლიქვნელის ენით“ მისცეს „ჭირსა გასაჭირსა“. ლექსში „უგვანთა ტრფობა“ ვკითხულობთ:

**ან ცრემლით ვჩივი და ვერვისთვის შემისმენია  
ვინც რომ ვის ენდოს და მიენდოს, ჩემებრ, კრულ  
იყოს, ინყევლოს...**

სხვათა შორის, ალექსანდრე ჭავჭავაძე დაკითხვის დროს ჩვენებაში ამბობდა: „რა მაიძულებდა მიმელო მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ, იმ მთავრობისა, რომლის წყალობით საქართველო დაცულია გარეშე მტრებისაგან და უზრუნველყოფილია მშვიდობიანობით. იმ მთავრობისა, რომელმაც საქართველოში შემოიტანა განათლება, მრეწველობა, აღადგინა ვაჭრობა...“

ლექსში „კავკასია“ პოეტი უფრო შორს მიდის და ხოტბას ასხამს მთავარმართებელ პავლე ციციშვილს, სწორედ იმას, რომლის მდევარმა პოეტი დაიჭირა დემურჩასალოსთან. იმ ციციანოვს, რომელიც როგორც სხვები, აქ ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა, რომელსაც ეწადა ქართულ სხეულში რუსული სულის ჩანერგვა. (შდრ. გრიგოლ ორბილიანი: „ხელმწიფევე ჩვენო, ძლიერო, ბრძენო, ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა...“).

ლექსის დასასრულს ალექსანდრე ჭავჭავაძე ხაზს უსვამს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში სწავლა-განათლების შემოსვლას:

## განისხნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

თუმცა ლექსის ეს დასასრული არ ებმის მანამდე ნათქვამს — რუსების ძალადობას, დარიალის ნგრევას, საქართველოს კვნესას.

მაინც რომელ გზაზეა საუბარი? გზა ევროპისკენ, რომელიც საქართველოს ჩაეკეტა 1453 წელს, როდესაც ბიზანტია დაამხო თურქეთმა. თუმცა ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში რუსეთს ხელი კი არ შეუწყვია საქართველოს ევროპასთან დაახლოებისთვის, არამედ სწორედაც ხელს უშლიდა და ამახინჯებდა ამ ურთიერთობას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მსჯელობს რუს და ქართველ ხალხთა მეგობრულ, კულტურულ ურთიერთობაზე. ამ ურთიერთობას განამტკიცებდა პოეტი თავისი თარგმანებითაც რუსული მწერლობიდან (მაგ., ა. პუშკინის, ა. ოდოევსკისა და სხვათა ლექსები). ამ ურთიერთობას პოეტი ხელს უწყობდა პრაქტიკულადაც — მისი ოჯახი წინანდალსა და თბილისში იყო რუსეთიდან ჩამოსულ მწერალთა სადგური (ხოლო თვითონ — მათი მასპინძელი). ის ხომ რუსი მწერლის სიმამრი გახლდათ... ალექსანდრე ჭავჭავაძის ეროვნული კრედო მოჩანს მის ისტორიულ ნარკვევშიც „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე“. ეს ნარკვევი დაუწერია პოეტს 1837-38 წლებში და წარუდგენია იმპერატორ ნიკოლოზ I-სათვის. ნარკვევი რუსულადაა დაწერილი [ავტოგრაფი ინახება ლენინგრადში, მისი ქართული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1926 წ. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ იოსებ გრიშაშვილისა და პოლიევექტოვის შენიშვნით].

ნარკვევში ამკარად შეიმჩნევა სავალდებულო, აუცილებელი, იძულებითი კონიუნქტურაც და ჩანს ის გარდატეხაც, რომელიც მოხდა პოეტში. აღნიშნული ნაშრომი ალექსანდრე ჭავჭავაძეს წარმოგვიდგენს რუსეთთან შეერთების მომხრედ. ამდენად, ეს ნარკვევი ერთგვარად ენათესავება ლექსებს „დიმ. ვ.“, „უგვანთა ტრფობა“ და „კავკასია“.

აქ ალექსანდრე ჭავჭავაძე იწონებს ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის ორიენტაციას რუსეთთან შეერთების საკითხში. გიორგიმ მიმართა რუსეთს და არც შემცდარა არჩევანშიო, წერს იგი. „მის განზრახვას ხალხიც ერთსულოვანი სიხარულით შეხვდაო“. ამასთან პოეტი არ მალავს, რომ რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები საქართველოში უწესოდ იქცევიან. საქართველოში მომხდარ აჯანყებათა მიზეზს პოეტი ეკონომიკურ სივიწროვეში ხედავს და არა რაღაც პოლიტიკურ მიზნებში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე არწმუნებდა იმპერატორს, რომ საქართველო არ იყო ზედმეტი ბარგი რუსეთისთვის. საქართველო არის სამხედრო პლაცდარმი სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგო. ამასთან, კლიმატისა და მდებარეობის წყალობით აქ შესაძლებელია სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაო... ეს იყო იმპერატორთან საერთო ენის გამონახვის ცდა (შდრ. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმავე ნიკოლოზ I-ს მიმართავდა: „თამარის დღენი, დიდების დღენი, შენ მოუვლინე შენსა ივერსა“).

1 დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა ცხოვრების ასახვას, ღარიბთა, დაჩაგრულთა ყოფას ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძალიან დიდი და მთავარი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ ის მაინც მოჩანს პოეტის ნაწერებში. პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ ნათარგმნი თხზულება „ახლოით განჩხრეკილი კაცი“. ავტორი მისი დიდხანს უცნობი იყო, ახლა უკვე დადგენილია (იხ. გ. ნატროშვილის „უდაბნოში დაწერილი წიგნი“, „მნათობი“, 1963 წ. 12). ავტორია მე-18 ს. მე-2 ნახევრისა და მე-19 ს. დასაწყისის (ე.ი. თითქმის თანამედროვე ალექსანდრე ჭავჭავაძისა) ფრანგი მწერალი და მოაზროვნე ვოლნეი (ეს ფსევდონიმია. ნამდვილი სახელი და გვარია კონსტანტინ-ფრანსუა ბუაჟირესი). ვოლნეიმ 3 წელი დაჰყო უდაბნოში (ეგვიპტეში, სირიაში, არაბეთში). იქიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა წიგნები: „მოგზაურობა ეგვიპტესა და სირიაში“ და „ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიების აყვავებასა და დაცემაზე“ (1791 წ.). ვოლნეის შრომა ძალიან დიდია. ალექსანდრე ჭავჭავაძეს იქიდან მხოლოდ დედააზრი აუღია. ესაა ნაკითხულით

აღძრული შთაბეჭდილებების თავისუფალი გადმოცემა. ასე რომ, ის არაა თარგმანი პირდაპირი გაგებით. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეს თხზულება უთარგმნია 1804 წლის დეკემბერში, როდესაც აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული იყო. ამ დროს პოეტი სრულიად ახალგაზრდაა, 18 წლისა (ციხეშია დაწერილი აგრეთვე „ვაჰ, დრონი, დრონი“). ამ ნაწარმოების წერის დროს „ახლოთ განჩხრეკილი კაცის“ ავტორიც დაპატიმრებული ყოფილა (ვოლნეი დაპატიმრეს იაკობინელთა დიქტატურის დროს).

ალექსანდრე ჭავჭავაძე თარგმანს ურთავს ლექსს:

პყრობილის შრომა ვნახე პყრობილმან, ამაღ შევიქმენ მხიარულადა... და სხვ.

თავის თარგმანს პოეტი უძღვნის 1804 წ. აჯანყების მონაწილეს ფარნაოზ ბატონიშვილს (რომელიც აგრეთვე მაშინ ციხეში იმყოფებოდა. გადაასახლეს ვორონეჟში). (ე.ი. მაშინ სამივე პატიმარია, ავტორი, მთარგმნელი და ადრესატი, ანუ ვისაც მთარგმნელმა მიუძღვნა). სამივე არის „ტანჯული“, ბორკილდადებული, ნაწარმოები კი ადამიანის ტანჯვის წინააღმდეგ გალაშქრებაა.

ამ ნაწარმოებში ავტორი ცდილობს გაარკვიოს ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში. ადამიანი ბუნებით მოწოდებულია ბედნიერებისათვის, მაგრამ სინამდვილეში არსებულ საზოგადოებაში იგი შორსაა ბედნიერებისაგან. საზოგადოებაში არაა ჰარმონია, ზოგი იტანჯება, ზოგი კი განცხრომაშია. ადამიანთა საზოგადოებაში გამეფებულია უბედურება. ტანჯვა და მწუხარება. საზოგადოებაში არიან მდიდრები, მეფენი, ტირანები, ხოლო მეორე მხარეს — მშრომელნი, პირველნი ჩაგრავენ მეორეს, ცდილობენ, დაიმონონ, დაიმორჩილონ ისინი. „კაცი, შობილი ღარიბად, არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა უფასოდ, არამედ სულიცა მისი მდიდრისააო“. ადამიანებზე უფრო ბედნიერები არიან ცხოველები და ფრინველები, იმიტომ რომ ბუნებაში (ფლორასა და ფაუნაში) არაა სოციალური ჩაგვრა, ერთის მიერ მეორის დამონება და გაყვლეფა. ავტორი ერთმა-

ნეთს უპირისპირებს ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებას. ბუნებაში არც ერთი ფრინველი ან ცხოველი არ ეუბნება მეორეს მე დამემორჩილე და მემსახურეო. იქ, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში ყველანი ერთნაირი უფლებით სარგებლობენ, თავისუფალნი არიანო.

„ბუღბუღთა არა ოდეს უთქვამს თვისთა მობუღართა სხვათა ბუღბუღთათვის: ყოველნი ხენი ამ ტყისანი ჩემნი არიან და ყოველნი მათ ზედა მბუღარნი ფრინველნი ჯერ არს დამემორჩილენ მე! ჭია, დაბადებული ფურცელსა ზედა, სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოებს თავისუფალსა ადგილსა! თვით ქვაცა იგი, რომელსა ზედა სდებს იგი თავსა თვისსა, თვის ეყვის ვიეთსამე პატრონსა“.

ნაწარმოებში ნათქვამია, რომ ტირანებმა ქვეყანა აქციეს სატუსალოდ, ჯოჯოხეთად. ავტორი ილაშქრებს უსამართლო ომების წინააღმდეგ.

მართალია, „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ ფრანგ ავტორს ეკუთვნის, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძემ ის თარგმნა და ამდენად მისი მსოფლმხედველობის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ავტორები ყოველთვის იმ თხზულებას თარგმნიან, რომლის ძირითადი იდეა მათთვის მისაღებია და ახლობელი. მწერალი თარგმნის იმ თხზულებას, რომელიც მას მოსწონს. და მართლაც, სრულიად შემთხვევით ფაქტად არ უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ამ თხზულების თარგმნა. აქ გატარებული შეხედულებები სავსებით შეეფერებოდა მთარგმნელის მისწრაფებებს. ეს რომ ასეა, გარკვეულად ჩანს იქიდან, რომ იგივე იდეები და შეხედულებანი გატარებულია მის ორიგინალურ ნაწერებშიც. მაგ., ჩვენ მიერ განხილულ ნარკვევში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. ამ ნარკვევში ალექსანდრე ჭავჭავაძე არაერთგზის აღშფოთებით საუბრობს რუს მოხელეთა მიერ ხალხის გაყვლეფასა და ჩაგვრახე, სხვა ბოროტებაზე და სხვ.

თარგმანში გამოთქმული აზრები რომ სავსებით შეეფერებოდა თვითონ ალექსანდრე ჭავჭავაძის შეხედულებებს, ეს ყვე-

ლაზე კარგად ჩანს ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“ (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1871 წ. 6). ეს ლექსი დანერვილია სოციალურ და ეროვნულ მოტივებზე. პოეტი გაბედულად იმალლებს ხმას ორივეგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. კიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის დამონებას, ილაშქრებს ერთის მიერ მეორის ჩაგვრის წინააღმდეგ. ქვეყანა გადაქცეულია ბოროტებისა და ღარიბთა ჩაგვრის სადგურად. ადამიანები დევნიან კეთილს და ურცხვად მდიდრდებიან „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობითდა ხვეჭით“.

**ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,  
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,  
კეთილმოყვარების დათრგუნვის მსურთა  
უსაფუძვლოთა  
მთაბალთ ჩაგვრით, მთაცებლობით და ხვეჭით.  
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი  
განა რითა ძმაო?  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით დახვეჭით.**

ასე სასტიკად ილაშქრებს ალექსანდრე ჭავჭავაძე სოციალური უსამართლობის, ადამიანის მიერ ადამიანის დამონებისა და გაყველფის წინააღმდეგ.

პოეტი ასეთივე სისასტიკითა და შეურიგებლობით ილაშქრებს აგრეთვე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ავტორი კიცხავს აგრესორი ქვეყნების პოლიტიკას, რომლებიც სხვათ იმორჩილებენ და მდიდრდებიან „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. უსამართლო ძალა მიწასთან ასწორებს და ანადგურებს დაპყრობილ ხალხთა სიკეთეს:

**სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,  
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხევლობენ,  
მდიდრდებიან, რომელნიც მძლევლობენ  
და ყვავილოვნებენ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.**

ე.ი. სახელმწიფოთა შორისაც იგივე კანონი მოქმედებს, რაც ადამიანთა შორის — ძლიერი ჩაგრავს სუსტს, იპყრობს და ძარცვავს, მდიდრდება „მდაბალთ ჩაგვრით“...

პოეტი დაჯერებულია, რომ საბოლოოდ სიმართლე იზეიმებს, დაუსჯელი არც მოძალადე დარჩება. გამოჩნდება მასზე უფრო ძლიერი ქვეყანაც, რომელიც მას დაამარცხებს. წაართმევს, რაც ადრე სხვების დაჩაგვრით შეიძინა. მაშინ მას თავს გადახდება ის უბედურება, რაც სხვას მიაყენა

**გარნა მძლევა შემდგომ სხვისგან იძლევის,  
თვისგან ქმნილი თვისადვე მიექცევის,  
ყველაკაი წარუვალს, განელევის,  
რაცა ჰქონდა პოვნილ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.**

ე.ი. ბოროტებითა და სხვისი ძარცვით შეძენილი არავის არ შერჩება.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ამხელს ეგოისტ მეფეებს, ტირანებს, რომლებიც სიმდიდრეს იძენენ ღალატით, ადამიანთა უღელტით. პოეტი ამხელს აგრეთვე მეფის კარზე შემოკრებილ მოხელეებს, კარისკაცებს, რომლებიც არ ზოგავენ მოძმეებს, უღელტენ მათ.

**ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,  
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,  
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,  
ატარებენ ჟამთა  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.  
მოხელენი მათ გარეშე მდგომელნი,  
ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი,  
ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომჩომელნი  
და შეექცევიან  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.**



ლექსი მთავრდება იმ რწმენით, რომ ყოველივე ეს დროებითია, ადამიანთა ჩაგვრა და მტაცებლობა მარადიულად არ იარსებებს. ადრე იქნება თუ გვიან, დაემხოვა ჩაგვრისა და მტაცებლობის სამყარო, გასწორდება მთა და ბარი:

**რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას  
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,  
მოელოდეთ მათთან თანასწორობას!  
არ მარადის იშვათ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!**

ე.ი. პოეტი დარწმუნებულია, რომ ადამიანთა შორის დამყარდება ძმობა, ერთობა და სიყვარული. როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის იმედი დამყარებულია ღვთიური სამართლიანობის რწმენაზე. სამყაროს არსებობის ლოგიკა აძლევს პოეტს იმის თქმის უფლებას, რომ ბოროტება მარადიულად ვერ იზვიმებს. უზნეო, მოძალადე საზოგადოება აუცილებლად მოისპობა. ლექსი „ვაჰ, სოფელსა ამას“ დიდად მოსწონდათ ქართველ სამოციანელებს, კერძოდ, ილიას. ილია ჭავჭავაძემ ამ ლექსში დაინახა „მოქალაქური გულისტკივილი“. „ეს ძალა, - წერდა ილია, — რომ ღამით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლაზავდა გზადაგზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიცა სჭკნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით, — ნათელი სურათთა მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო“ (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი ამ ლექსში მხოლოდ ეროვნული ჩაგვრის გამოხატვას ხედავს, სოციალურს — ვერა).

ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“, ამრიგად, გადმოცემულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ჰუმანიზმი. ჰუმანიზმითაა გამსჭვალული აგრეთვე ლექსი „გუთნის დედა“. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ პოეტური გამოსახვის საგნად აქცია გუთნისდედის გრძნობები და განცდები. პოეტს გუთნისდედა არ გამოჰყავს როგორც სოციალურად და-

ჩაგრული ადამიანი და როგორც პროტესტანტი, მას გუთნის-  
დედის გრძნობები (სიხარული და მწუხარება) თბილად აქვს  
გადმოცემული. დაბერდა გუთნისდედა, დაბერდა მისი ცხენიც.  
არც ერთს არ შეუძლია ძველებურად შრომა. აი, ეს არის გუთ-  
ნისდედის მწუხარების მიზეზი. იგი იგონებს იმ დროს, როდეს-  
აც მისი ცხენი ბელტს ბელტზე აბრუნებდა, თვითონაც მარჯ-  
ვედ იყო, არად აგდებდა მაგარსა და ქვიან ადგილებს, ახოსა და  
ძეძვიანს — ყველგან თავისუფლად ხნავდა და ნაყოფსაც შესა-  
ფერს იმკიდა. მაგრამ ეს იყო წინათ. ახლა კი ორივე ყურებჩა-  
მოყრილია. გუთნისდედა ითხოვს, შეიბრალონ ისა და მისი ცხე-  
ნი, პატივი სცენ „ძველი დამსახურებისათვის“

**ჭაბუკო მეგუთნენო! თქვენცა ხართ ვიყავ მე ვითა;  
ამისთვის შემბრალოთ ცრემლისა დათხევითა,  
და თქვენ, ხოდაბუნებო, ჩემს მოხუცებულს ცხენსა  
ბალახის მოძოვებით მაინც სცემდეთ ნუგეშსა.**

აქ არ შეიძლება, არ მოვიგონოთ დავით გურამიშვილი, რო-  
მელმაც თავისი წიგნის გამიგებად აქცია უბრალო მშრომელი  
ადამიანები. სწორედ ამით „დავითიანის“ ავტორი საბოლოოდ  
გაემიჯნა შუა საუკუნეთა ესთეტიკურ პრინციპს. შუა საუკუ-  
ნეების ესთეტიკას მიაჩნდა, რომ ხელოვნება მხოლოდ ზედა  
ფენის (ელიტის) საქმეა. მხოლოდ ის შეიძლება იყოს ხელოვნე-  
ბის თემაც და მომხმარებელიც. უნიკალურია ამ მხრივ გურა-  
მიშვილის პოემა „მხიარული ზაფხული“, რომელიც გამთბარია  
უბრალო გლეხკაცის სიყვარულით. გურამიშვილი ახალი პოე-  
ზიის ერთი პირველი წინამორბედთაგანია (ნიშანდობლივია,  
აგრეთვე, რომ სწორედ ასეთი თვალთახედვით აფასებდნენ თა-  
ვიანთი „უძვირფასესი პაპის“, გურამიშვილის შემოქმედებას  
ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა).

დავით გურამიშვილი არის ერთი წინამორბედთაგანი „გუთ-  
ნის დედის“ ავტორისაც. ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს განწყობა  
სრულებითაც არაა შემთხვევითი. მართალია, ჩვენი პოეტი სო-  
ციალური მდგომარეობით იყო თავადი, მებატონე, სწორედაც

იყო კარგი თავადი, განათლებული, ჰუმანისტი. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც დიდ ფეოდალს, გააჩნდა საკმაო ყმა და მამული (წინანდალში). ეს მამულები ევროპული წესით (კულტურულად, ცივილიზებულად) ჰქონდა მოწყობილი (რაც მისი პატრონის მაღალ კულტურასა და გემოვნებაზე მოუთითებს). განსაკუთრებით კარგად ჰქონდა დაყენებული მევენახეობის საქმე. მისი ღვინოები ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში განთქმულ ფრანგულ ღვინოებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ცხადია, არ იყო „აჯამი, გულქვა, რეგვენი“ მებატონე, პირიქით, გამოირჩეოდა გლეხკაცებისადმი თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით. მათ არასოდეს უპირისპირდებოდა. სწორედ ამის გამო თქვეს ამ გლეხებმა:

**ბატონია, თავადია კახისა, გამკითხავი ღარიბისა, გლახისა, ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული, ხელმწიფისგან სახელ-გადიდებული.**

ხალხი კი დაუმსახურებლად არც არავის გაკიცხავს, არც შეაქებს. ხალხი არასოდეს არ ცდება.

1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობა თითქოს ლაქაა მის ბიოგრაფიაში, მაგრამ ეს ლაქა ჩამოერეცხება, თუ გავიხსენებთ, რომ ის იქ წავიდა თავისი სურვილის წინააღმდეგ (მთავარმართლებელ მარკიზ პაულუჩის დავალებით). წასვლის წინ გულისტკივილით უთქვამს: „წავიდე ახლა და კახელმა კაცმა კახელს თოფი უნდა ვესროლო“. ნუ დაგვავიწყდება, რომ ის ჯერ შეეცადა მშვიდობიანი მოლაპარაკებით (ე.ი. უსისხლოდ) მოეგვარებინა საქმე, მაგრამ ვერაფერს გახდა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენა იარაღი (ე.ი. ეს იყო იძულებული ქმედება და არ გამომდინარეობდა მისი მრწამსიდან).

აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია, ის ერთმა გლეხმა ფეხში დაჭრა (რამაც ერთი წელი ლოგინს მიაჯაჭვა და კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა), მაინც არ ამტყუნებდა აჯანყებუ-

ლებს, პირიქით, ამართლებდა და ყველაფერს აბრალებდა ცარიზმის ხეპრე მოხელეებს: აჯანყების ერთადერთი „მიზეზი ხალხის უმაგალითო შენუხება იყო“. განსაკუთრებით შენუხდა ხალხი მაშინ, როდესაც ეგზეკუციები ჩააყენეს სოფლებში. ცოტა ქვემოთ უმატებს: „განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო მონათმოქმედი კლასის გასამრავლებლად“ (ჯერ კიდევ არჩილი ამბობდა: „თუ ამონყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. ამ ადამიანებმა იცინან, რომ ხალხია ისტორიის ქვაკუთხედი, მშრომელი ხალხი ქმნის მატერიალურ დოვლათს).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ჰუმანიზმზე მიუთითებს ისიც, რომ მან ყმობიდან გაათავისუფლა თავისი ნიჭიერი ახალგაზრდა ყმა, მომავალი ცნობილი მხატვარი გიორგი მაისურაძე. გაათავისუფლების სიგელში პოეტი წერდა: „იმ უჩვეულო წარმატებათა ნაქეზებისათვის, რაც მან გამოიჩინა ფერწერასა და ხატვაში, ვხედავ რა მის მონდომებას და ნიჭს და მსურს რა, რომ ყოველივე ეს განვითარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადო სარგებლობისათვის, ასევე სასარგებლოდ მხატვრობისა, ვჩუქნი მე მას თავისუფლებას“. სიგელზე ხელი მოაწერა პეტერბურგში 1837 წ. 13 აგვისტოს. საყურადღებოა გაათავისუფლების მოტივი — ხაზგასმული სტრიქონები. აქ ანგარების ნასახიც არაა.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის მზრუნველობის შედეგად გიორგი მაისურაძე შევიდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც პროფესორ კარლ ბრიულოვის სახელოსნოში მეცადინეობდა უკრაინელ კობზარ ტარას შევჩენკოსთან ერთად (შემდეგ, 50-იან წლებში გიორგი მაისურაძე ერთხანს ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვა-ხაზვას. იგი იყო მასწავლებელი აკაკი წერეთლისა, გიორგი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა, კირილე ლორთქიფანიძისა...).

აი, რა წერია გიორგი მაისურაძის შესახებ „ენციკლოპედიაში“, ტ. 6. გვ. 367. „(1817 წ. წინანდალი — 1885 წ. ქუთაისი). აღ. ჭავჭავაძემ ყმობიდან გაათავისუფლა 1837 წ. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს 1837-1844 წლებში. იყო კ. ბრიულოვის მოწაფე. 1850 წლიდან ქუთაისში ასწავლიდა ხატვას“.

არის ქართული რეალისტური პორტრეტის ფუძემდებელი. არის პირველი ქართველი ფერმწერი, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

კარლ ბრიულოვი (1799-1852წ.წ.) რუსი ფერმწერი. 1836 წ-დან პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი [პროფესორი იყო (შემდეგში აკადემიკოსი) მისი ძმა ალექსანდრე ბრიულოვიც, არქიტექტორი. მუშაობდა იმავე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში].

ტარას შევჩენკოც (1814 წ. 9/III — 1861 წ. 26/ II. იცოცხლა 47 წელი). ყმა იყო მთელი 24 წელი. მისი მეზობონე გახლდათ ენგელგარდტი — 1838 წ. 23 აპრილს იგი ყმობიდან გამოისყიდეს (კარლ ბრიულოვის, ვასილ ჟუკოვსკის, ვ. გრიგოროვიჩის და სხვათა მეცადინეობით. კარლ ბრიულოვის მიერ სპეციალურად შესრულებული ვასილ ჟუკოვსკის პორტრეტი ლატარიაში გაითამაშეს და მიღებული ფული ენგელგარდტს მისცეს შევჩენკოს საფასურად). ტარას შევჩენკო სწავლობს კარლ ბრიულოვის კლასში.

1840 წ. პეტერბურგში გამოდის მისი ლექსების წიგნი „კობზარი“ (კობზა — ხალხური სიმებიანი საკრავია. უკრაინაში ის პოეზიის სიმბოლო იყო).

1840 წ. 24 დეკემბერს შევჩენკო ავად გახდა. მეორე დღეს, აღსასრულის მოლოდინში დაწერა ლექსი „ანდერძი“ („როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ სად კურგანი არი, გაშლილი უკრაინის საყვარელი ველი, რომ მესმოდეს დნეპრის ხმა“) „საბედნიეროდ, კვლავ გამართლდა სიბრძნე, რომ ანდერძი კაცს არ კლავს“.

თანაუგრძნობდა პატარა ხალხების ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის:

**დიდება თქვენს ვაჟკაცობას, თოვლიანო მთებო,  
თქვენ დიდება. არ დანებდეთ მოძალადე სვავებს  
სიმართლე თქვენს მხარეზეა, შორეულო ძმებო,  
ზეცის მაღლი ეფინება თქვენს ჭალარა თავებს.**

*(პოემა „კავკასი“)*

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოეტს ყოველთვის უაზრობად და დანაშაულად მიაჩნდა ომები, ადამიანის სიცოცხლის ხელოვნურად მოსპობა. გაკვრით ამ საკითხებზე საუბარია თარგმნაში „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ და ორიგინალურ ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“.

უშუალოდ ამ თემისადმია მიძღვნილი ლექსები „აღრეულობის შიშები“ და „ბრძოლისათვის“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს, თვითონ სამხედრო პირს, მრავალი ბრძოლისა და ომის მონაწილეს, მხედველობიდან არ გამოორჩენია ომის მძიმე სურათები. პოეტი გულისტკივილით აღნიშნავდა ომის არასასურველ გავლენას ცხოვრებაზე, მის მიერ მშვიდობიანობის დარღვევას.

**აღრეულობის შიშები ვისაც არ გამოეცადოს  
მან მშვიდობასა სწორფასი ვერ დასდვას, რაზომც ეცადოს.  
(„აღრეულობის შიშები“)**

ჰუმანისტი პოეტი ვერ ურიგდება ადამიანის სიცოცხლის ხელოვნურად მოსპობას, განადგურებას ტყვიით. ლექსში „ბრძოლისათვის“ (პირველად დაიბეჭდა 1881 წ. გამოცემაში) პოეტი წერს, რომ ომებს მოაქვს ნგრევა და განადგურება, უბედურება.

მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ ყოველი ბრძოლა არ იყო დანაშაული. დანაშაულია მხოლოდ უსამართლო ომები, დაპყრობითი ბრძოლები. სამართლიან ომში კი სავალდებულოა მტრისთვის საკადრისი პასუხის გაცემა. ამ მოქალაქეობრივ წმინდა მოვალეობას მხოლოდ ის შეასრულებს, ვინც გონებით შორს ჭვრეტს, გულით უშიშარია და მკლავით — უძლეველი. ლექსში „ფისტიკაური“ (დაიბეჭდა 1881 წ. გამოცემაში) პოეტი სწორედ ასეთ მეზობლს იგონებს:

**მას სამი რამე ჰქონან უებრო  
გლახ მტერთა მისთა მომდრეკად ქედის;  
გონება შორს მხედ, გამოცდით ნანვრთი;  
გული უშიში, არ მპოვე ბედის;**

მკლავი უძლევი, მებრძოლთა მძლევი,  
მდიდრად მომხმარი ხრმლისა უჭედის;  
ერთით იზრახის, მეორით ჰბედის,  
მესამით სრულჰყვის თანხმად იმედის.

ე.ი. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, მეომარს სამი რამ სჭირდება: 1. შორმჭვრეტი გონება, 2. უშიშარი გული და 3. ძლიერი მკლავი.

უსამართლო ომების დაგმობა და სამართლიან ომმა აუცილებლობაა გადმოცემული ლექსში „ტაქტიკა“, რომელიც წარმოადგენს თარგმანს ვოლტერიდან (მე-18 ს. ფრანგი განმანათლებელი). ლექსში მკაცრად დაგმობილია დაპყრობითი ომები. აქ არის დიალოგი პოეტსა და მხედარს შორის. პოეტმა ნაიკითხა წიგნი „ტაქტიკა“ — საუბარი ომებზე, იარაღსა და ბრძოლის წესებზე („ტაქტიკა“ — წიგნი სამხედრო ხელოვნებაზე, ბრძოლისა და ომის წარმოების წესები). პოეტი ამით შეძრწუნებულია. შემდეგ ის გმობს იმ მეფეებსა და მხედართმთავრებს, რომლებიც ომებს ახორციელებენ, მაგრამ მას შეესიტყვება მხედარი, რომელიც მოიგონებს, რომ ყველა ომი როდია დასაგმობი. საბოლოოდ პოეტიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბრძოლა არის პირველი ხელოვნება, მაგრამ გამართლებულია მხოლოდ ის ბრძოლა, როდესაც შენს სამშობლოს იცავ. პოეტი მაინც ოცნებობს იმ დროზე, როდესაც აღარ იქნება არავითარი ომები (არც უსამართლო და არც სამართლიანი); აღარ იქნება საჭირო არავითარი სამხედრო ხელოვნება და, მაშასადამე, არც წიგნი „ტაქტიკა“.

ჭეშმარიტის განმსჯელობის ვჰგრძენ ყოვლადი  
ხელმწიფება;  
ვჰსცან, რომელმცა ბრძოლა არის სულ პირველი  
ხელოვნება;  
მაგრამ გულში ღმერთსა ვჰსთხოვდი, ჰსცვალი დრონი  
სხვებრ იმგვარად,  
რომ ეს უცხო ხელოვნება უქმად დარჩეს და უხმარად.

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძე ილაშქრებს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მას კარგად აქვს შეცნობილი თავისი ეპოქის მწარე სინამდვილე. დაფიქრებულია წუთისოფლის გაუტანლობასა და ადამიანის ცხოვრების პრობლემებზე. აქედან იღებს სათავეს მისი უკმაყოფილება არსებული სინამდვილით, სევდა.

როცა საუბარია სევდაზე, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მისი მიზეზი? მიზეზი სევდისა სხვადასხვაა. ამისდა მიხედვით სევდაც სხვადასხვანაირია: ა) კონკრეტული და ბ) ზოგადსაკაცობრიო (ე.წ. „მსოფლიო სევდა“). კონკრეტული თავის მხრივ შეიძლება იყოს: საზოგადო-საქვეყნო და კერძო-პირადული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სევდის მიზეზი არ ყოფილა კერძო-პირადული, არამედ — საზოგადო-საქვეყნო. ეს საზოგადო, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სევდა განსაკუთრებით შემოქმედების პირველ პერიოდში შეიმჩნევა. გასაგებიცაა. ამ დროს ის ჯერ კიდევ არაა შერიგებული არსებულ ვითარებას, მისტირის თავისუფალ საქართველოს და სწორედ ეს ტირილია სევდაც და გლოვაც. ამიტომაცაა, რომ ძველი საქართველოს სიყვარული (ე.ი. პატრიოტიზმი) და სევდა ერთადაა, განუყოფლადა (ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთში გადადიან).

II პერიოდში ასეთი სევდა პოეტს უკვე აღარა აქვს.

სამაგიეროდ, II პერიოდში აქვს ე.წ. „მსოფლიო სევდა“.

წუთისოფლის ამაოებაზე საუბარია ბიბლიაში — ეკლესიასტეს წიგნში:

პირველი პესიმისტი მსოფლიოში, დედამიწის ზურგზე, პირველი დამწყები შავნალვლიანი პესიმისტი იყო იუდეველთა (ისრაელთა) მეფე — სოლომონ ბრძენი. პირველად მის გულში გაიკეთა ბუდე იმ წყეულმა ჭიამ (ამაოებაზე ფიქრმა). სოლომონ მეფეს 2800 წლის წინათ წარმოუთქვამს სიტყვები: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“.

არაფერი ჰკლებია ფილოსოფოს-მეფეს (სიბრძნე, სილამაზე, სიმდიდრე, ფუფუნება...). გარდა იმისა, რომ ფილოსოფოს-ბრძენი იყო, ამავე დროს იყო შემოქმედ-ხელოვანიც (შექმნა



3000 იგავი, 100-მდე სიმღერა, რომლებიც მსოფლიო პოეზიის უმშვენიერეს შედეგებადაა აღიარებული). ჰყავდა 700 ცოლი და 300 მხევალი. ჰქონდა აურაცხელი სიმდიდრე, რაც მის გულს და თვალს უნატრია, არაფერი დაკლებია. (მის სასახლეს იერუსალიმში აგებდა 80 000 კალატოზი და 70 000 მუშა).

(ფოიერბახი სოლომონ ბრძენზე ამბობს: „აღმოსავლეთის ყველა შვილებს გადააჭარბა ჭკუითა და სიბრძნით“).

აი, ეს ადამიანი გახლდათ უდიდესი პესიმისტი, უსასოოთა და იმედდაკარგულთა პირველი მასწავლებელი. მას მიენერება ეკლესიასტეს წიგნი, ბიბლიის ნაწილი.

„ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“.

„თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“.

„აღმობდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან აღმობრწყინდება“.

„რაც ყოფილა — იგივე იქნება და რაც მომხდარა — იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

„ყოველივე ერთ ადგილს მივა, ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა“.

„არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო, და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მიმყოლი მათი“.

„ყველაფერი ამაოა და ქარის დევნა, არაფერს არა აქვს აზრი — არც ცოდნას, სწავლას, სიბრძნესა და მეცნიერებას... პირიქით, როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს ნუხილს უმრავლებს“.

„ბევრი წიგნის წერას ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი სხეულს აღუნებს“.

„ბრძენსა და უგუნურს — ორივეს ერთი დასასრული აქვს. ბრძენიც კვდება და უგუნურიც. მარადიულად არ ეხსომებათ არც ბრძენკაცი და არც უგუნური; გაივლის ჟამი და ყველაფერი დაივიწყება“.

„ერთი ხვედრი აქვს ყველას: მართალს და უკულმართს, კეთილს და ბოროტს, წმინდას და არანმინდას, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არშემწირველს. უცოდველსა და ცოდვილს, ცრუდ მოფიცარს და ფიცის მოშიშს“...

სოლომონ ბრძენი ამბობს: მე თვითონ ყველაფერი შევისრულე, რაც თვალმა და გულმა მომთხოვა, ვაშენე სასახლეები, ბაღ-ნალკოტები, გავიჩინე ცხვარ-ძროხა, დავაგროვე ოქრო-ვერცხლი, მყავდა მაგალობელ-გამრთობნი, ულამაზეს ხარჭათა დასი... ერთი სიტყვით, არ დავიკელი არავითარი ამქვეყნიური სიამე. და ამ მხრივ ყველა ჩემს წინამორბედს გადავაჭარბე, მაგრამ უკან რომ მოვიხედე, მივხვდი, რომ ამაო იყო ეს ყოველივე.

„არავინ უწყის, ვის შეხვდება ჩემი ნაღვანი, ბრძენსა თუ უგუნურს, რაიც სიბრძნით მიმოღვანია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდევ ამაოება“.

„ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძლება, სიმდიდრის მოყვარულს ვერასოდეს აკმაყოფილებს შემოსავალი!... ბევრ დოვლათს ბევრი მჭამელი ჰყავს, რალა დარჩება პატრონს მისას? მხოლოდ ყურება...“

„ტკბილია ძილი მშრომელი კაცის... სიმაძღრე ძილს უფრთხობს მდიდარს“.

„ერთი პეშვი სიმშვიდე სჯობს მთელ კალთა გარჯას და ფუჭ საზრუნავს“.

„სიბეჯითე ყველა საქმეში მხოლოდ ერთურთის შურით არის გამონვეული“.

„თუნდაც მრავალი წელი იცოცხლოს კაცმა და იმხიარულოს, ახსოვდეს, რომ მრავლად იქნება შავი დღეები“.

„ნეტარ არიან დიდი ხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება“.

„სიკვდილის დღე სჯობს გაჩენის დღეს. ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა“ (შდრ. მიხეილ თუმანიშვილი: „სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა...“ ან ტერენტი გრანელი).

„ცოცხალ ადამიანს აქვს უამრავი საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამიანებს მათ სატანჯველი“.

„თუ ღმერთს აღთქმას მისცემ, ნუ დააყოვნებ მის აღსრულებას, რადგან უპირონი არად ვარგანან... სჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღუსრულო“.

„იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ; გაამოს გულმა შენმა სიყმანვილეში... უკუიყარე გულიდან დარდი და უამური რამ სხეულს არიდე, რადგან ბავშვობაც და სიყმანვილეც ამაოა და წარმავალი“.

ეს პრობლემა ყოფნა-არყოფნისა ტანჯავდა შექსპირის ჰამლეტს, გოეთეს ფაუსტს (ვიდრე ფაუსტი თავის ნამდვილ გზას იპოვიდა, ასე ბორგავდა და შფოთავდა. მივიდა იმის აღიარებამდე, ამ წუთისოფელში ყოფნას არავითარი აზრი არა აქვსო, და თავის მოკვლა გადანყვიტა, მაგრამ როცა სანამღვთის საფსე ფიალა მიიტანა პირთან, ზარების ხმამ გამოაფხიზლა ბრძენი დოქტორი... და თავის მოკვლა გადაიფიქრა... დაუბრუნდა ცხოვრებას, პრაქტიკულ საქმეს მოკიდა ხელი).

ეს „მსოფლიო სევდა“ ჰქონდა ყველა დროის, ყველა ქვეყნის პოეტსა თუ ფილოსოფოსს. ილია წერს (1885 წ. თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“):

„ახლახან ერთი დიდი გამოჩენილი მწერლის ნაწერი წავიკითხე... მისთვის ბედს ყველაფერი უხვად მიუნიჭებია, რა გინდა, სულო და გულო, რომ მას არ ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდკაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლშვილი, ჯანი, სიმრთელე... მაგრამ გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასონარკვეთილებამდე მიუყვანია, რომ გადაუნყვეტია — ყველაფერი ფუჭია, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო... ამ სასონარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო...“

ეკლესიასტეს წიგნს და მის ამაოება ამაოებათას ფილოსოფიას იცნობს მე-6 ს. უცნობი ავტორი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“. შემდეგ მას იხსენიებს იოანე საბანისძე „აბოს ნამებაში“, გიორგი მერჩულე, ეფრემ მცირე თავის იამბიკოში, დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანში“. ასევე „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთხელ იხსენიებენ ჯუანშერი და ლაშა-გიორგის მემატრიანე. ილიას მოჰყავს სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად... ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად,

ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულვისისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად".

და თავის მხრივ უმატებს: „აი, სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ წყეული კითხვისა, აი სად უნდა ვეძებოთ ცხოვრების აზრი. „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს — ტირილს თუ სიცილსა, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვ.“

### **დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს? რას იხსამს, რა მოისთვლების**

**თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,  
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.**

ილიას ამ „შინაურ მიმოხილვაზე“ იხ. გ. ნატროშვილის სტატია „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“.

მსოფლიო სევდა, მსოფლიო გოდება გადმოცემულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ და „გოგჩა“.

პირველ ლექსში განხილულია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა დრო: ჩჩვილობა (ჩჩვილი), ყრმობა, ჭაბუკობა (ჰასაკში შესული), სრულწლოვანება (შუა კაცი) და სიბერე.

ძველ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: ა) „ყრმობა“ და ბ) „ჰასაკი“.

„ჰასაკი“ იწყებოდა სქესობრივი მომწიფების ხანიდან.

ადამიანის სიცოცხლის ამ ორ მთავარ ნაწილს თავის მხრივ ცალ-ცალკე რამდენიმე პერიოდად ჰყოფდნენ, მაგ. „ჰასაკი“: ა) ჭაბუკი, ბ) შუა კაცი, გ) ბერი.

საბას მიხედვით:

5 წლამდე — ჩჩვილი

5-10 წ.-მდე — უსუარი

10-15 — ყრმა „ცუდსა ყრმასა ეწოდების ლანირაკი“ (საბა).

15-30 — ჭაბუკი

30-50 — სრული კაცი

შემდეგ — მოხუცებული

„ — „ — ბერი

„ — „ — მიხრწნილი

პოეტი ასაკის მიხედვით განიხილავს ადამიანის მისწრაფებებს, განცდებსა და მოთხოვნილებებს. ყოველი ასაკი ადამიანს უყენებს თავის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება მწუხარებასა და ტანჯვასთანაა დაკავშირებული. ადამიანი იზადება ტირილით და კვდება მწუხარებითა და ვაებით. დასკვნა, რომელსაც იგი ამ განხილვიდან აკეთებს, ასეთია: ადამიანი თავისი ცხოვრების არცერთ ასაკში არაა ბედნიერი.

მოვიყვან ამ ლექსს მთლიანად:

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!

რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინათმგრძნი

მომავალთა,

მოვიზრდებით, ნიგნის კითხვით არ გაგვიშრობს

მწვრთნელი თვალთა,

ყამი გვიროკს, იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა.

რა ჰასაკსა შევალთ, ახლა ჭირი უფროს გვემრავლების!

თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა

ტრფობას ემსჭვალების.

სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,

და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკვნესარედ და

მთქმელად ვების.

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა

გვაქვს ნუხვა,

არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდობა ჩვენი უზომ, უხვა,

გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის

განთქმა, ქუხვა;

რა ვერ ვპოვებთ სანადელსა, შეგვექმნების შურით ჭმუხვა.

ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვილდებრ  
მოვიხრებით,  
ყოველთავე მოვდაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის  
კლებით;  
სიკვდილისა წინამძღვარად მივლენ სენნი მახვილ ღებით,  
მათგან ერთი გვეცემს და გვეტყვის: ახით ნაშენო,  
მოკვდით ვებით!

ახალშობილი, საერთოდ ტირილით იწყებს თვალის ახელას. ეს ინსტინქტია. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან თითქოს იმიტომ ტირის, რომ აქედანვე გრძნობს თავის მწარე მომავალს. ზოგი მეცნიერის აზრით, „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ თარგმნილია ჟან-ჟაკ რუსოდან (1712-1778).

„სიკვდილისა წინამძღვარად...“

დიახ, სიკვდილი გარდუვალია... „ყველას გვენვევის სიკვდილი, გემართებს, დაუხვდეთ მზათაო, ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზასაო“ (დავით გურამიშვილი) ან: „ამისთვის მწყდების წელი და უკანა ზურგის მალეები, მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავემალეები“ (დავით გურამიშვილი). უფრო ადრე შოთა რუსთაველმა კლასიკურად ჩამოასხა ეს აზრი: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი, ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი“... ეს ასეა, მაგრამ მთავარია, რომ ადამიანმა სიცოცხლე განვლოს ისე, რომ დრო მაქსიმალურად გამოიყენოს, რომ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად არ მოკვდეს (ზოგი სიცოცხლეშივე მკვდარია). ადამიანმა ამ ქვეყანაზე უნდა დატოვოს კვალი ნათელი, უნდა აღასრულოს (მოიხადოს) თავისი ვალი. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი ყოველ დროს (ასაკს) შესაფერად მოიხმარს, გონივრულად გამოიყენებს. „მას ვაქებ, ვინც თვის სიცოცხლე ასე ატარა, რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა“ (ნკოლოზ ბარათაშვილი „ჩემთ მეგობართ“). ჭაბუკობისას ადამიანი ჭაბუკი უნდა იყოს... „ვაი მას, ვინც ჭაბუკობისას ჭაბუკ არ არის...“ (ილია). ბარათაშვილი: „სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს და საბ-

რალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს". მაგრამ ეს ხელს არ უშლის ადამიანს, აკეთოს საქვეყნო, ეროვნული, საშვილიშვილო საქმეც. სიცოცხლის აზრი შენებაშია, შექმნაშია და არა აშენებულთ ტკობაში (გურამ რჩეულიშვილი).

ალექსანდრე ჭავჭავაძის შეხედულებით, ადამიანი და ყოველივე ადამიანის ხელით შექმნილი წარმავალია, ყველაფერი იქცევა არარაობად, მხოლოდ ბუნებაა მარადი და დიადი. ეს აზრი გამოთქმულია ლექსში „გოგჩა“, რომელიც დაწერილია 1841 წ. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეს არის ერთი ყველაზე რომანტიკული ლექსი — ეს თავის დროზე შენიშნეს კრიტიკოსებმაც. კიტა აბაშიძე წერდა: „ერთი ლექსი აქვს თ-დ ალ. ჭავჭავაძეს საზოგადოებრივის ხასიათისა — „გოგჩის ტბაო“. ალექსანდრე ხახანაშვილი კი წერდა: პოეტს „აკვნესებს საკაცობრიო სევდიანობაც, მოქალაქეობრივი გრძნობაც, რომელიც ცოცხლად გამოსთქვა ლექსში „გოგჩის ტბა“. აქ ადამიანის ცხოვრება, დიდება, სახელი არარაობად არის აღიარებული“.

„გოგჩაში“ ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებას (კერძოდ, ამ ლექსში — გოგჩის ტბას) და ადამიანის ხელით შექმნილ ძეგლს (კერძოდ, ქალაქს). ამ ორი რამის დაპირისპირებიდან პოეტს ის დასკვნა გამოაქვს, რომ მარადიულია მხოლოდ პირველი, მეორე კი — წარმავალი. გოგჩის ტბა ხან აღქაფებით ღელავს და ხმოვანებით ზღვას ჰბაძავს, ხან კი — პირიქით, დაწყნარებულია. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტბა მაინც უცვლელია, არის და იქნება. სულ სხვაა ქალაქი, რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი. ქალაქი იყო და აღარ არის, გაქრა. დღეს მის ნანგრევებსლა ვხედავთ. ოდესლაც აქ სიცოცხლე დუღდა. იყო ასპარეზობა: „ჰქონიათ ტაიჭთ სრბოლა, ჩოგნით ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა“. თვით ის ტაძარიც, „სად კვლავ მეფენი მონინებით იდრეკენ მუხლთა“, დღეს გადაქცეულა პირუტყვთ თავშესაფრად, „ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა და ხან წარმვლელი მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!“ დღეს ყველაფერი ნანგრევებადაა ქცეული. ქვა და ღორღი ჰყრია. ყველაფერს ხავსი მოსდებია. ბუ და ჭოტი დაჰპატრონებია.

ასეთია სინამდვილე, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე აქ როდი სვამს ნერტილს, მარტო ფაქტის აღწერით როდი კმაყოფილდება, პოეტი აკეთებს ზოგად დასკვნას: ეს არაა კერძო შემთხვევა, მარტო ამ ქალაქის ხვედრი, არამედ — საერთოდ ყველა ქალაქისა და ადამიანთა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ ქალაქის ბედს უდარებს ადამიანისა და საერთოდ, საზოგადოების ბედს. პოეტი აზოგადებს ამ კერძო შემთხვევას. ეს არის ჩვენი მომავლის ხატი, სურათი, ყველაფერი წარმავალია. ეს ნანგრევები:

**ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.  
უდაბურება. მჩუმარება. არარაობა.  
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ  
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა**

**აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,  
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აჰა, ჩვენისაც მომავლისაც ნამდვილი ხატი,  
მხოლოდ ანმყოზე რას დაბმულხარ ხედვავ ბრმობილო?**

ეს ერთ დროს აყვავებული და შემდეგ დანგრეული ქალაქი პოეტს იმდროინდელი საქართველოს ერთგვარ სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი. თავის „ნარკვევშიც“ ხომ პოეტი წერდა: „საქართველოს წინანდელი მოსახლეობის მონამედ მხოლოდ უტყვი ნანგრევებილა დარჩენილა... ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვავდა... ოდესღაც მრენველობით აყვავებული ქალაქები გაქრნენ“...

„გოგჩაში“ პოეტი დაასკვნის: რაც იყო და რაც არის, აღარ იქნება, ყველაფერი წარმავალია.

გოგჩა (გოქჩა) სევანის ტბის თურქული სახელია. ქართულად ეძახიან გელაქუნს. თურქებმა რომ დაიპყრეს სომხეთი, ტოპონიმები მთლიანად შეცვალეს (საერთოდ, ასე იქცეოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში. ადგილობრივს არც ტოპონიმებს ტოვებდნენ, არც გვარებს, არც სარწმუნოებას). სევანი უდიდესი ტბაა ამიერკავკასიაში. ჩაედინება 28 პატარა მდინარე. ტბის



კლდოვან ნახევარკუნძულზე მდებარეობს IV ს. არქიტექტურული ძეგლი — სევანის მონასტერი (ტბა განთქმულია გემრიელი თევზით — გელაქნურით).

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, მარადიულია მხოლოდ ბუნება, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრება არარაობაა. ეს ე.წ. „მსოფლიო სევდაა“, რომელიც გადმოცემული აქვს ბევრ მწერალს, მათ შორის ბაირონს „მანფრედში“. მანფრედის მონოლოგი:

**მახსოვს მე ერთხელ, — მაშინ ოდეს ჭაბუკი ვიყავ,  
მოგზაურობის დროს, — ამნაირ ღამეში მარტო  
ვიდექ უსიტყვოდ კოლიზიის ნანგრევთა შორის  
ჟამგარდასულ დიდი რომის ნაშთის წინაშე.  
სად იულიუს კეისარი ცხოვრობდა ერთ დროს,  
ახლა ბუდობენ მარტოოდენ ღამის ფრინველნი  
და დაფნის ნაცვლად ეკლიანი იზრდება სურო;  
სად მიწაში ხელმწიფეთა ნაშთები ეწყო.  
ახლა ფესვები იქსელება იქ ბუჩქებისა  
გლადიატორთა სისხლის ღვთით მორწყული ცირკი  
კიდევ ამჟღავნებს თავის წარსულ დიდებას, ხოლო  
სასახლეები და პალატნი ავგუსტოების  
დიდი ხანია, რაც დაშლილა ქვადა და ქვიშად.**

ასეა, ცხოვრება წარმავალია,  
„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“

ადამიანის ცხოვრება, იგავ-არაკისა არ იყოს, შინაარსით იზომება და არა სიგრძით.

## სიყვარული

ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში არის სიყვარულის მოტივი. იგი ჭეშმარიტად იყო „სიცოცხლის, სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის, მხნეობისა და ახალგაზრდობის ტრუბადური“. აქვს სიყვარულისადმი

მიძღვნილი ლექსების მთელი ციკლი. ეს მოტივი იმდენად ხელშესახებად და ძლიერად ჩანს მის ლექსებში, რომ ზოგიერთი მკვლევარი სხვა მოტივს ვერც კი ამჩნევდა მის შემოქმედებაში, ჩვენს პოეტს მიიჩნევდა მხოლოდ ვარდ-ბულბულის მომღერლად, ანაკრეონტ პოეტად. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძირითადი მაინც ორი მოტივია — ეროვნული, პატრიოტიზმი და სიყვარული. ამ მხრივ ალექსანდრე ჭავჭავაძე გვევლინება მე-18 საუკუნეში არსებული ორი ნაკადის (პატრიოტიზმისა და სიყვარულის) გამაერთიანებლად და ღირსეულ მემკვიდრედ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ეროსს (ეროსი-ბერძნ. ვნებიანი სიყვარული. ეროსი — ბერძნ. მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი. რომაულ მითოლოგიაში ასეთია კუპიდონი და ამური. [ეროტომანია (ეროსი — სიყვარული, მანია — სიგიჟე) — ე.ი. სიყვარულით გამონვეული სიგიჟე, ფსიქიური აშლილობა]).

ალექსანდრე ჭავჭავაძის გაგებით, სიყვარული არის ადამიანის გრძნობის საზომი, ხოლო გრძნობა კი ერთ-ერთი მთავარია ადამიანში. როგორც ცნობილია, საერთოდ, სენტიმენტალისტები და რომანტიკოსები ილაშქრებენ გონების კულტის წინააღმდეგ (კლასიციზმი) და პრიორიტეტს ანიჭებენ გულს. ასევე იქცევა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. ქართულ ლიტერატურაში, როგორც ვიცით, კლასიციზმი არ ყოფილა და გონების კულტი ამიტომ არასოდეს გაბატონებულა. ამიტომ ჩვენში არც არასდროს მომხდარა გონებისა და გულის მკვეთრი დაპირისპირება. ეს იმიტომ, რომ კლასიციზმი არ ყოფილა (ყოველ შემთხვევაში, ჩამოყალიბებული სახით), არც ფილოსოფიური სკოლა — რაციონალიზმი. ამიტომაც არ გამხდარა საჭირო, „რაციოს“ დაპირისპირებოდა გული. ამასთან, ჩვენში არსებობდა რუსთველის ტრადიცია, რომ ადამიანი მთლიანი პიროვნებაა. არ არსებობს აზროვნება გულის გარეშე და პირიქით.

**გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან,  
რა გული ნავა, იგიცა ნავლენ და მისკენ მიდიან.  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.**

[სხვათა შორის, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანი პიროვნული მთლიანობაა, მასში ყველაფერი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული].

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ერთგვარი დაპირისპირება გულისა და გონებისა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში მაინც არსებობს. პოეტის გაგებით, გონება და გული ერთმანეთს ეურჩებიან. გონება ადამიანს სულ სხვას ურჩევს, გული კი — სხვას. შეყვარებულ ადამიანში გამარჯვებული გამოდის გული. ლექსში „მიკვირს, რად ჰძრახვენ“ (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წ. 4) პოეტი წერს:

**გონება ესრეთ ჰშთასძახის ხმითა მრისხანით მყარითა:  
ნუ ჰლუპავ თავსა, ნუ ლუპავ, მაგა სენითა მწარითა!  
ხოლო გული კი ესრეთ ჰხმობს ლმობითა, სიტყვა-წყნარითა:  
შენ მას ნუ უსმენ, იხარე სიყვარულითა მტკბარითა!  
ცუდად წარადგენს გონება მუნ თვისა ბრძნულთა  
თათბირთა,  
სადაცა გული მმართველობს თვით იპყრობს მისთა  
ადგილთა.  
იგი არს მაშინ ხელმწიფე, განმგე ყოველთა წადილთა...**

ალექსანდრე ჭავჭავაძე ადამიანის სხვა თვისებათა შორის პრიორიტეტს ანიჭებს გრძნობას. აი, რას ვკითხულობთ ლექსში „შენის გონების“ (დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ.):

**მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველ თვისებათ,  
ცით მოვლენილთა,  
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს.**

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ესმის გონების როლი, მაგრამ შეყვარებულ ადამიანში პრიორიტეტი ენიჭება გრძნობას. მგრძნობელობა ყველაზე უფრო მჟღავნდება სიყვარულში. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, ადამიანის ერთ-ერთი მშვენიერი გრძნობა არის სიყვარული. ვისაც ეს გრძნობა არ გააჩნია,

ადამიანიც არაა, ცხოველია. „ცუდია უეშყოდ ცხოვრება. ესეთი კაცი ემსგავსების ფუტუროსა ხეს“ (გრიგოლ ორბელიანი).

ჭკუა და გონიერება, ცხადია, კარგია, ამას რა სჯობს, მაგრამ ადამიანი რაც უნდა გონიერი იყოს, ყველაფერი ფუჭია, თუ მას სიყვარული არ შეუძლია. ვილაც ქალს მიმართავს, ძალიან გონიერი კი ხარ, „მარამ რა ხელ-ჰყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა, თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს!“ („შენის გონების“). რადგანაც ეს ასეა, პოეტი მოუწოდებს ყველას, იგემონ სიყვარულის სიტყბო:

**ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,  
იგემეთ სიტყბო სიყვარულისა!**

*(„ელების კარი გაზაფხულისა“)*

ამ აზრს სხვადასხვა პოეტი სხვადასხვანაირად გამოთქვამდა. სიყვარულის წლებია ჭაბუკობა (სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლე). ამიტომ ადამიანმა ეს წლები ნაყოფიერად უნდა გამოიყენოს. გრიგოლ ორბელიანი:

**ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე,  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე,  
ერთსა წამსაც ნუ დაკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დასტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.**  
*(„ანტონს“, 1829 წ.)*

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ურჩევდა ახალგაზრდა მეგობრებს, ვიდრე ჭაბუკები ხართ

**აჰყევით სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა აღსა!  
სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს  
და საბრალთა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს.**  
*(„ჩემთ მეგობართ“)*

ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, სიყვარული არის დაუძლეველი ძალა. სიყვარული ისეთი ძალაა, რომელიც ნაშლის ნო-

დებრივ უთანასწორობას, გადალახავს ყოველგვარ ჯებირს, იგი ადამიანს ყველას და ყველაფერს დაავინყებს (დედ-მამას, მეგობარს, სამშობლოს...). მის ძალას ყველა ემონება — ბერი, ერი, მეფე, ყმაცა. სიყვარულისგან მეფე მონას დაემორჩილება, ბრძენი გახელდება და სხვა. მართალია, სიყვარულს სიმწარეც თან ახლავს, მაგრამ მისგან უფრო მეტად ღებნა გვეძლევა. სიყვარულის უძლეველ ძალაზეა საუბარი ლექსში „სიყვარულო, ძალსა შენსა“ (დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წ. 26).

ამ ლექსს გამოეხმაურა აკაკი წერეთელი: „სიყვარულო, ნიჭო სრულო“. მიბაძა გრიგოლ რჩეულიშვილმა: „სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი“. „ცისკარი“, 1865 წ. 10. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი რუსულად თარგმნა ნიკოლოზ რეულომ (ნიკოლოზ მზარეულოვმა). 1942, ხოლო გერმანულად — არტურ ლაისტმა.

ცნობილია, რომ სიყვარულის სამგვარი გაგება არსებობს: აღმოსავლური (ხორციელი სიყვარული), ე.წ. პლატონური სიყვარული და დასავლური (სულიერი სიყვარული). დასავლური სიყვარული ლიტერატურაში რომანტიკოსებმა გააბატონეს, მანამდე კი პოეტები უმთავრესად სორციელ სიყვარულს უმღეროდნენ, ყურადღებას აქცევდნენ ქალის გარეგნულ სილამაზეს (ტანს, ფეხებს, სახეს...).

სიყვარულის რუსთველისებური გაგება შემდეგ, აღორძინების ეპოქაში აღმოსავლური პოეზიის გავლენით დაიჩრდილა. რა მდგომარეობა გვაქვს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში? ალექსანდრე ჭავჭავაძესთან თვალნათლივია ორი სახის სიყვარული, როგორც აღმოსავლური (ხორციელი), ისე დასავლური (სულიერი). იგი ჯერ კიდევ არაა თავისუფალი წინარე ლიტერატურის ტრადიციისაგან (ბესიკისა და სხვათა). ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსები ენათესავენა წინა ხანის მწერლების ლექსებს, მაგრამ პოეტის ლექსებში მოჩანს სიყვარულის რომანტიკული გაგებაც. სიყვარული — ესაა სულიერი ტკივილების დაყუჩების, დაამების ერთ-ერთი საშუალება. სიყვარული ადამიანს ამაღლებს, აკეთილშობილებს...

სიყვარულის აღმოსავლური გაგება ალექსანდრე ჭავჭავაძის მრავალ ლექსში ჩანს, მაგრამ ყველაზე უფრო სრულად და

ხელშესახებად ლექსში: „შენს ღირსებას ნატრულობენ“ (დაიბეჭდა „ცისკარში“ 1859 წ.). ამ ლექსში პოეტის ყურადღება მთლიანად გარეგნული სილამაზისკენაა მიჰყვრობილი. რა არის ეს ღირსებანი, რომელსაც ნატრულობენ? ალვის ტანი, „ლაშლოყა ლბილნი, მკლავნი წვრილნი, შავნი თმანი“, ქალის გულმკერდი და სხვა.

**ალვისა ტანი მალოვანი ვერ ვიცანია  
ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია  
ლაშ-ლოყა ლბილნი, მკლავნი წვრილნი, შავნი თმანია.**

აი, რას აღიარებს პოეტი ქალის ღირსებად. შდრ. ბესიკის ლექსები „ტანო ტატანო“, „სევდის ბალს შეველ შენალონები“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“, „შავნი შაშვნი“.  
„დედოფალს ანაზედ“:

**ვარ უცხო ვინმე ყარიბი ამა სიტყვისა მხმობელი,  
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი,  
მონა ვარ მისი მუდამ ჟამ და მისი შემამკობელი, —  
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი**

...

**ცნობა მიმილო და გული, ხედვით შემზღუდა ანამან,  
კვლავ მომკლა მისმა ციალმან და წელთა მიმოტანამან;  
კოკობსა ვარდსა ნარგიზმა აპკურა ცრემლი, ანამა.  
ჯობს რომ არ ჰყავდეს მიჯნური, ან მოკლას**

**ამისთანამან!**

(ეს ანა არის იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლე, ერეკლეს დის-ანას შვილიშვილი).

ლექსში „ვაქებ თავსა თმა მდიდარსა“ (დაიბეჭდა 1881 წ. ლექსთა კრებულში) ალექსანდრე ჭავჭავაძე აქებს ქალის თმებს. შავნი თმანი, ნაწნავები, დალალეები ძველად დიდად იყო დაფასებული. თმა-დალალთა ქების ტრადიცია ჯერ კიდევ რუსთველთანა გვაქვს:

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა.

ან:

გველნი მოშლით მოეკეცნეს ბაღში შეღმა შერაშენდა.

ახლა ბარათაშვილს მოვუსმინოთ:

შენნი დალალნი ყრილობენ გველად,  
სპეტაკს მკერდზედა ტრფობისა ველად  
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ  
ხან ნუგეშისთვის, ხან დასანველად.  
ოდეს ნიავი ლამაზ დალალებს  
მიგიშლ-მოგიშლის სიამოვნებით  
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური  
და გლახ, ჩემს გულსა ის ავალალებს.

(ასევე სილამაზე იყო ლოყაზე ხალი — აღმოსავლური გემოვნება „სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის, ეს ფიალა იყოს სადღეგრძელო ხალის“).

ანალოგიური ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძეს არა ერთი და ორი მოეპოვება. აი, სწორედ ამ ლექსებში ესეხება XIX საუკუნის პოეტი აღორძინების ხანის მწერლებს. პოეტი სატრფოს გარეგნობას ისე გვიხატავს, როგორც გვიხატავდნენ აღორძინების ხანის პოეტები. ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსებს აქვს უდავო ნათესაობა და მსგავსება ბესიკის ლექსებთან. ეს მსგავსება შეინიშნება ლექსის ფორმაში, პოეტურ სახეებში, ლექსიკურ მარაგში...

მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს სიყვარულის დასავლური გაგებაც — რომანტიკული გაგებაც. მის მემკვიდრეობაში მრავლადაა ლექსი, რომლებშიც გამოხატულია სულიერი სიყვარული: სიყვარული, როგორც ისეთი ძალა, რომელიც ადამიანს სულიერად ამალღებს და აკეთილშობილებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის ქალი არ არის მარტოოდენ მოპირდაპირე სქესი, არამედ — ბუნებაში ყველაზე ლამაზი არსება. პოეტი ეტრფის სიყვარულის მაღალ, სულიერ მხარეს. მისი გაგებით, აი, სწორედ ეს არის „ნამდვილი ტრფიალება“. არა ხორციელი სილამაზის ტრფიალება, არამედ სულიერი სილამაზისა. ასეთი განცდა კი არის გამძლე და უცვალებელი, „ნამდვილი ტრფიალება“. ე.ი. სულიერი სიყვარული არ გაქრება სატრფოს შორს ყოფნითაც. ამიტომ პოეტს თავისი სატრფო იტაცებს არა მარტო მაშინ, როცა მასთან არის, მას შეჰყურებს, არამედ მაშინაც, როცა მისგან შორსაა და ვერ ხედავს:

**ჰგავს ნამდვილი ტრფიალება  
მოშორებით არ განქრება;  
რაზომ მელტვი, უფრო გეტრფი,  
სახილველად სასურველი.**  
(„უამნი რბიან“)

მოშორებით (შორს ყოფნით) პატარა სიყვარული ქრება, ნამდვილი კი, პირიქით, უფრო ძლიერდება (ქარი პატარა სანთელს ჩააქრობს, დიდ ცეცხლს კი ხანძრად აქცევს). მოვიგონოთ ონისეს და ძიძიას მაგალითი („ხვეისბერი გოჩადან“) თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეს რუსულიდან აქვს ნათარგმნი ორსტროფიანი ლექსი „ვით ქარი ცეცხლსა“

**ვით ქარი ცეცხლსა, ეგრეთვე სიშორე ტრფიალებასა,  
მცირესა მყისვე განაქრობს, დიდს უფრო ჰმატებს  
გზნებასა.**

პოეტი მუდამ ერთგულია თავისი სატრფოსი. შეიძლება პოეტმა უფრო ლამაზი ქალიც ნახოს, მაგრამ თავის სატრფოს ახალნახულ ლამაზზე არ გაცვლის. აი, რას ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში „შენთან არს გული, მნათობო“ (ამ ლექსის ბიძგით არის დაწერილი აკაკის „გამოთხოვება“)



**შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა,  
გინა ვის ვჭვრეტდე, მნათობო, შენ მიდგ თვალ წინა.**

უკეთესზე უკეთესი არ დაილევა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული ერთხელ და ერთისთვის არსებობს.

ლექსში „ძვირფასო საყვარელო“ (ნათარგმნია) პოეტი ამბობს, რომ მას სატრფოს სახე არასოდეს არ სცილდება, ყოველთვის თვალწინ უდგას. სადაც არ უნდა იყოს, სატრფოსთან ახლოსა თუ შორს — სულერთია. ის ყველგან და ყოველთვის სატრფოს ერთგულია.

**ძვირფასო საყვარელო, მხოლო მფლობო გულისავ,  
რომელსაცა სხვა მსგავსი არა სად გეპოება,  
შენ გეტრფი, შენგან ვცოცხლობ, სულო, ჩემის სულისავ.  
ბუნებაში საცა რას ვხედავ შვენების მქონეს,  
შენი საამო სახე ყველგან მიდგ თვალ წინა.**

და შემდეგ:

**შენთანა ვარ თუ სხვაგან, მახლობლად თუ შორს,  
...შენი ოდენ მაქვს ტრფობა**

**ვიცი, ჩემო სიცოცხლევ, მრავალნი შემოგტრფიან,  
მაგრამ ჩემებრ ეშხითა ვერ გეტყვის: მიყვარხარ**

**როს დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკედარი მომიგონო,  
მაშინ მოდი საფლავად, რომ იქაც გაიგონო: მიყვარხარ!**  
(„როს არშიყი“)

მაშ იქით რომ უყვარს, მისგანაც აქეთ ისეთსავე ნამდვილსა და მყარ სიყვარულს მოითხოვს. რაც შემეხება მე, სიკვდილის შემდეგაც მეყვარებიო. ე.ი. სიყვარული არ კვდება სხეულთან ერთად (სიყვარული იქაც მიჰყვება სულს). გრიგოლ ორბელიანი ამას ასე იტყოდა:

## რაა, გინდ მოვჰკვდე? მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა წარჰყვება.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ახასიათებს სატრფოსთან თავაზიანი, სათუთი დამოკიდებულება. თვით დამარცხებულიც კი ის უაღრესად თავაზიანი და თავმდაბალია სატრფოსთან. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის გულს სატრფომ მახვილი ახალა, გული მაინც ახალ საცეცხლურად გადაიქცა და სიყვარულის „სურვილს აკმევს“. აი, ლექსი „სახე შენი“.

სახე შენი მე მახევა, მებადა,  
სრულ განმძარცვა, რაცღა ცნობა მებადა  
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,  
მღერად ოხვრა, ლხინად გლოვა მებადა.  
მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს,  
შენ წამლის წილ მყის მომაპყარ დანა გულს  
ზილფნი რყევით, უარის თქმით მსახენი,  
მიჩვენებდენ ბალახშის კარს დანაგულს.  
გული ჩემი, მუჯამარი ახალი,  
სურვილს აკმევს სიყვარულის, ახ, ალი!  
არ ვიკვირვი, მაშა, რა ვჰყო ბედკრულმან,  
იგი გტრფობდა, შენ მახვილი ახალი!

ალექსანდრე ჭავჭავაძე არის უაღრესად სათუთი და მგრძნობიარე სიყვარულში. პოეტს არ უნდა, სიყვარულის გრძნობა გამოხატოს გაზეპირებული სიტყვებით. პოეტის დამოკიდებულება სატრფოსთან შორს არის ყოველგვარი თვალთმაქცობისაგან, პოეტი შორს დგას იმ ადამიანებისაგან, რომლებიც გულით ერთს გრძნობენ, ხოლო ენით სულ სხვას ამბობენ. ლექსში „მე შენ არ გეტყვი“ პოეტი ამბობს:

მე შენ არ გეტყვი: გეტრფი, ვითა სხვანი გეტყვიან,  
ბევრი გარწმუნებს – გეტრფი, გულით კი სხვაგან რბიან.  
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი, ნეტა, რა ძალსა მქონობს?  
ცუდ არს გეტრფი და გეტრფი, თუ გულიც არ მიმყოლობს.

ასეთი გეტყვის: გეტრფი, რომ ტრფობა არ იცოდეს;  
სხვამ ნუთუ ვერ გრქვას: გეტრფი და გულში კი იწოდეს.  
ნუ ელი, მეც გრქვა: გეტრფი. დუმილს ვრაცხ უმჯობესად,  
მაგრამ მერწმუნე, გეტრფი საზომის უაღრესად.

„დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, პატარა კი – ყბედი და ლაქლაქა (ი.ლია ჭავჭავაძე; „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“. ტ. 3, გვ. 172). ასე დაემართა გიორგის „ოთარაანთ ქვრივში.“, ნესტანს („დიდხანს ვდექ და არა მითხრა...“).

„მე შენ არ გეტყვი“ თარგმანია მოდური რუსული საალბომო ლექსისა. იაკობ ბალახაშვილის აზრით, ამ ლექსის ავტორია მიხაილ ლერმონტოვის მამა – იური. ლექსებს წერდნენ მიხაილის მშობლები – დედა, მარიამ და მამა, იური (იხ. ი. ბალახაშვილი „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“ გვ. 27-დან).

## ანაკრეონტული ლირიკა

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოვლენილია ანაკრეონტული ლირიკის მოტივებიც: ღვინო, ქეიფი, დროსტარება, ქალი და სიყვარული... მოკლედ, ე. წ. მსუბუქი პოეზია. დიახ, ალექსანდრე ჭავჭავაძე ღვინისა და ლხინის თავისებური მომღერალია.

(ანაკრეონტი – ძვ. ბერძ. პოეტი 570-478 წწ.). მისი აზრით, რაკი ადამიანს გარდუვალი სიკვდილი მოეღის, მთელი თავისი ცხოვრება ლხინსა და სიყვარულში უნდა გაატაროს. თავისებურად ესმოდა პოეზიის, საერთოდ, ხელოვნების საგანი და დანიშნულება. პოეზიის საგნად მხოლოდ ლხინი და სიყვარული მიაჩნდა.

ანაკრეონტი იყო იონიის ქ. ტეოსიდან. ბრწყინვალე საზოგადოების „ქეიფის სულის ჩამდგმელი“. უცვლელი თამადა და დიდი მოქეიფე. მთელი ცხოვრება სულ ლხინსა და ქეიფში გაატარა. ლექსებში უმღერის ლხინს, სიყვარულს, სიამოვნებას (ესაა

ჰედონიზმი, ბერძნ. – სიამოვნება. ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანია მხოლოდ დიდი სიამოვნება, სიტკბოება).

ანაკრეონტიისათვის ღვინო და ღვინო გახლდათ არა დასვენების ფორმა და საშუალება, არამედ თვითმიზანი. ანაკრეონტს მაშინვე გამოუჩნდნენ მიმბაძველები, რომლებიც წერდნენ სანადიმო და სატრფიალო ლექსებს და ავრცელებდნენ ანაკრეონტის სახელით. ასე შედგა კრებული „ანაკრეონტიკა“ (შეიცავს 60 ლექსს). XIX ს-მდე ეს ლექსები ანაკრეონტისად იყო მიჩნეული. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ლექსები ეპიგონებისაა და არა ანაკრეონტის (ეპიგონთა ეს ლექსები ერთფეროვანია და მხატვრულადაც შედარებით სუსტი).

ომარ ხაიამი (მე-11 – მე-12 ს-ის მიჯნა) წიგნში „ნავრუზ-ნამე“ მთელ თავს უძღვნის ღვინის ხოტბას. მისი მტკიცებით, ადამიანისთვის არაფერია ისე სასარგებლო, როგორც ღვინო. ღვინო: აქარწყლებს დარდს, ვარამს, ამამაცებს მხდალს, აგულუხვებს ძუნწს. ღვინო ადამიანის თვისებას არ ცვლის, ის მხოლოდ იმას გამოავლენს, რაც ადრე, დაღევაამდეა მოცემული. და მაშასადამე, თუ ადამიანი კეთილი თვისებისაა, ღვინო დალიოს, კეთილს უმრავლებს(აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხაიამის პოეზიაში ღვინო პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება. აქ ის უფრო ღვთის სიყვარულს, რელიგიით თრობას, ღვთიურ მადლს აღნიშნავს).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ციკლის ლექსებია: „ღვინის თვისებისათვის“, „დღეობაში“, „მეგრულ ფერხულზე“... „ღვინის თვისებისათვის“ სულ 4 სტროფია:

**ღვინო თვისებას არ ჰსცვალეbs,  
არამედ უმატებს ძალეbs.  
კეთილთვისებათ მქონემან  
ჯერ-არს, სვას, კეთილს უმრავლებს.**

„დღეობაში“ პოეტს ჩაუწერია ვინმე მეღვინე სუმბათაშვილის ალბომში. ესაა ტიპური საალბომო ლექსი, კამერული ლი-

რიკის ნიმუში. მელანია სუმბათაშვილმა, ჩანს, სადღეობო სუფრა გააწყო. პოეტიც დაპატიჟა. დრო კარგად გაატარეს და ამ შთაბეჭდილებით წერს:

**ესდენს დაუსნარ დღეობას, რავდენიც გულით გენადოს,  
შეება, განცხრომა, სიამე ყოველ დღე ახლათ გებადოს,  
ახალთა წელთა სიტკბონი ათასგზის გამოგეცადოს,  
მრავალთა სასიამოვნოდ მრავალჯერ გადაგეხადოს.**

პოეტი მომხრეა ამისთანა დროსტარებისა, მხიარულებისა.

ლექსი „მეგრულ ფერხულზე“ დაწერილია 1846 წ. სამეგრელოში, ზუგდიდში. ალექსანდრე ჭავჭავაძე სამეგრელოში ორჯერ იმყოფებოდა (სიძისა და ქალიშვილის სანახავად). 1841 წ. და 1846 წ. აღდგომის დღესასწაულებში. ამ დროს დასწრების ხალხურ სანახაობას – მეგრულ ფერხულს და ეკატერინეს ალბომში ჩაუნერია ლექსი „მეგრულ ფერხულზე“

**ამა ველს-ნოხს მწვანეს შვენის რაბამად (რარიგად!)  
ტურფათა ქალყრმათა როკვა ერთბამად და ა. შ.**

„მეგრულ ფერხულზე“ პოეტის უკანასკნელი ლექსია (გარდ. 1846 წ. 6 ნოემბერს).

ომარ ხაიამის პოეზიას თუ პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქვამთ, მარტო ფასადს შევხედავთ და ღრმა სიმბოლიკას უგულებელვყოფთ, მასში ამოვიკითხავთ იმ აზრს, რომ ღვინო აახლოებს, ამეგობრებს ადამიანებს. ღვინო ამახვილებს გონებას, ებრძვის ყოველგვარ სენს. ადამიანს ზედმეტი ყველაფერი ბეზრდება გარდა ღვინისა, რომელსაც პირიქით, რაც ბევრს სვამს, უფრო მეტი უნდება. ერთი სიტყვით, ღვინო არის სასმელების მეფე, ღვინის მაღლი დიდზე დიდია. ამიტომ გაუგებარია, ზოგიერთები ღვინოს რომ ყიდიან, ღვინოზე უკეთესს რას იყიდიან.

**მას შემდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,  
მაღლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია,**

**ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,  
ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას უყიდიან.**

თუ ღვინოს ქალიც ემატება, კიდევ უკეთესი.

**ტურფავ, ღვინო მომანოდე, ორი რამე მინდა მხოლოდ:  
ღვინო შევსვა და ზედ შენი ტკბილი ბაგე დავაყოლო  
ღვინო! ღვინო, მომიტანე, რათა თავის შეკავების  
აღთქმა შენი დალალივით ქარს და ნიავს გავაყოლო!**

საერთოდ, ირანულ პოეზიაში დიდია ღვინის კულტი. ირანი კი, მოგეხსენებათ, საქართველოს მეზობელი ქვეყანაა. თანაც საუკუნეების მანძილზე ქართული პოეზია ირანული პოეზიის გავლენას განიცდიდა.

რა მდგომარეობაა ჩვენში, საქართველოში? საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყნად ითვლება. აქ ოდითგან იყო ვაზის კულტურა და დიდი სიყვარული. ამაზე მიუთითებს თუნდაც არგონავტების მითი: აიეტის სასახლე ვაზებშია ჩაფლული. საქართველოში გავრცელებულია ვაზის 500-მდე მარტო ადგილობრივი ჯიში (მსოფლიოში სულ არის 4000-მდე ჯიში). ქართველ გლეხს შვილივით უყვარდა ვაზი („ვაზო, შვილივით ნაზარდო“). ვაზის გავრცელებაზე მიუთითებს ტოპონიმისა და ონომასტიკაც: ვაზისუბანი, ვაზიანი, მარანი (სოფლები სამეგრელოსა და აფხაზეთში), მარანა (სოფ. ქართლში), მარანჭალა (სოფ. აბაშაში), გვარები: ღვინიაშვილი, ღვინაძე, ღვინიანიძე, ღვინეფაძე, ღვინჯილია, ღვინერია, მეღვინეთუხუცესი, მაჭარაძე, მაჭარაშვილი, რთველაძე, რთველიაშვილი, ჭურაძე. ერთ-ერთ თვეს (ოქტომბერს) ღვინობისთვე ჰქვია.

შექმნილია უამრავი ლექსი, სიმღერა, თქმულება ვაზისა და ღვინის შესახებ (იხ. ა. ლეკიაშვილის – „შენ ხარ ვენახი“ – 1972 წ., თემურ ღლონტის „ვაზისა და ღვინის საგალობელი“ – 1983 წ.).

ესოდენ გავრცელებული იყო ვაზი და ღვინო, მაგრამ საქართველოში ამავე დროს სჩვეოდათ ღვინის სმის მაღალი კულტურა, ზომიერება, არავითარი გადაჭარბება და ლოთობა.

საერთოდ, ღვინის გადაჭარბებულ სმას, ლოთობას ოდითგან ყველა ხალხი გმობდა. სიმთვრალის წინააღმდეგ თავდაპირველად ხმა აღიმალლა რელიგიამ. სახარებაში წერია:

„მემთვრალეთა ვერ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა“.

ეფრემ ასური (IV ს.): მთვრალი კაცი პირუტყვზე უფრო უგუნურია. პირუტყვი სცნობს თავის პატრონს, ხოლო მთვრალი კაცი ვერ სცნობს მახლობელსაც კი. ღვთისმსახურნი კონკრეტულ მაგალითებსაც იშველიებენ: ნოე უზომოდ დათვრა, განშიშვლა და ასე დაიწყო სირბილი. შვილმა ქამმა სასტიკად გაჰკიცხა (ნოეს სამი შვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეტი). ან კიდევ: ჰურიათა მეფე ჰეროდე რაბამი. დათვრა და საზარელი დანაშაული ჩაიდინა (თავი მოჰკვეთა წმინდა იოანე ნათლისმცემელს).

ლოთობას სასტიკად გმობდნენ და კიცხავდნენ ჩვენი წინაპრები. მაგ. სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ (დამრიგებლობითი ხასიათის სასულიერო თხზულება). აქ არის ორი საგანგებო თავი: ა) „სწავლა სიმთვრალისათვის და ნათლისმცემლის თავის კვეთისათვის“ და ბ) „სწავლა სიმთვრალისათვის“. საბას აზრით, ლოთობა არის სათავე ყოველგვარი უბედურება-ბოროტების (მკვლელობისა, ქურდობისა, ავაზაკობისა...) „სიმთვრალე ბოროტი და ყოველთა ბოროტთა უბოროტესია“. ვახტანგ VI:

**ცოტა ღვინო, ზომიერი ჭკუას კარგა გაასწორებს,  
ნამეტანი სახეს შეცვლის...**

ასეთივე აზრისანი იყვნენ ილია, აკაკი და სხვანიც.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „სადღეგრძელოები და ქეიფი, რომლითაც ქართველები სახელგანთქმულია, მხოლოდ მე-15 საუკუნეში შემოვიდაო“. „თორნიკე ერისთავში“ (მოქმედება ხდება მე-10 საუკუნეში) სამი სასმისი შეისვა:

1. „პირველ სმაზე ახსენებდნენ საქართველოს და უფალსა“,
2. მეორედ – მეფესა და დედოფალსა, 3. მესამედ – მამულისთვის ომში დაღუპულ გმირებს. „სულ ამითი მთავრდებოდა მაშინდელი სადღეგრძელო“.

## **მთვრალობა და სადღეგრძელო სათვითო არ იცოდნენ ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაინვოდნენ.**

მოკლედ, ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ „ზომიერი ჭამა და სმა“. ლხინი მათთვის იყო ლხენა, მხიარულად დროს გატარება, ე. ი. აქტიური დასვენება და არა თვითმიზანი.

აი, ამ ჯანსაღი ტრადიციის მიმდევარია ალექსანდრე ჭავჭავაძე. იგი წინააღმდეგი არაა დროსტარების, ქეიფის, მაგრამ მხოლოდ ზომიერების ფარგლებში. არავითარი უკიდურესობა, გადაჭარბება. დროის ტარება თვითმიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა აქტიური დასვენებისათვის. აი, ასე ესმოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლხინის, შექცევის არსი. აი, საინტერესო ლექსი „შექცევათათვის“. პოეტი დასცინის იმათ, რომელნიც ლხინის მორევში არიან დაფლულნი და დაუძღურებულნი. უგონობა მიაჩნიათ სიამოვნებად. მაგრამ ეს, ცხადია, არაა სიამოვნება.

**თქვენ, რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და  
უძღურქმნილნი  
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი,  
სიამოვნე თუცა გნადით, ჯერ არს გქონდეთ მისი ცნობა,  
იგი მუნით გარდევების სად იხმარვის უზომობა.**

წრეგადასული ლხინი საზიანოა, ზედმეტი ღვინო ადამიანს აუძღურებს, ნამდვილი სიამოვნებისათვის საჭიროა სურვილი, ამიტომ გულს უნდა ვაცალოთ, არ დავაძალოთ ლხინი. „გულს აცალე, თვით მონყურდეს, ნუ აძალებ ლხინის შესმას“...

ნამდვილი სიამოვნების საფუძველი არის შრომა. ლხინი შრომის შემდეგაა კარგი და სასიამოვნო. უქმად მწოლი ლხინს ვერ იგემებს. ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს აზრი სავსებით სწორი და მისაღებია.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „მუხამბაზი ლათაიური“ (ახალ გამოცემაში – „ლოთური სიმღერა“), რომელიც არის ლოთებსა და ლოთობაზე დაწერილი მწვავე სატი-



რა. „მუხამბაზი ლათაიური“ ანუ „მუხამბაზი კრიტიკული, კიცხვითი“. „ლათაია თათრულია: გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა (დავით რექტორი)“. და მართლაც, პოეტი აქ აკრიტიკებს, კიცხავს ლოთებს, რომლებიც ღვინოს აფეტიშებენ, მის იქით ვერაფერს ხედავენ. ერთი ლოთი მიმართავს დანარჩენ ამფსონებს:

**ლოთებო, ნეტავი ჩვენა, დღეს მოგვეცა შვება, ლხენა,  
შემოდგომამან ბახუსი სანნახელში ჩააყენა!**

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველს  
მცნებასა,  
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა.  
აქიმო, თუ გაქვს ქამალი, სცადე ეს ჩემი ნასნავლი:  
რაც სენი უკურნოდ იყოს, ღვინოა იმის ნამალი.  
მაშ, მოდით, ისევ ღვინითა დრო გავატაროთ ლხინითა:  
ქეიფი მაინც მოგვივა გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა.

(ქამალი – შნო, უნარი, სრულყოფა  
გოგრა. აქ: სასმისი, იგივე – აყირო (დას. საქ-ში – ორშიმო, ხრიკა)

გამოშიგნული ყელიანი კვახი, გოგრა.

ჩინი. აქ – ღვინის სასმისი ჯამისებური)

ასე გაკიცხა პოეტმა ღვინის მაფეტიშებელნი. ერთ დროს მი-  
აჩნდათ, რომ ეს ლექსი იყო პოეტის კრედოს გამომხატველი  
(ასე ეგონა იოსებ გრიშაშვილსაც). მაგრამ ალექსანდრე ჭავჭა-  
ვაძეს როგორ შეიძლებოდა ეთქვა: „დავეხსნათ ცოდნის ძებნა-  
სა“? ეს უხერხულობა რომ მოეხსნა, ტექსტი ასე შეასწორა:  
„დავეხსნათ ცოდვილთ ქებასა“, მაგრამ ამ თვითნებური შეს-  
წორების უფლება, ცხადია, არ ჰქონდა. ლექსი ლოთის მონო-  
ლოგია და თავისი არსით ლათაიური, კრიტიკულია.

დასასრულ, ფრანგულიდან ნათარგმნი „მემთვრალისადმი“.  
(ავტორი უცნობია). ოთხსტრიქონიანი ლექსი. მთვრალი ადამი-  
ანი შედარებულია ნარგიზთან. თანახმად თქმულებისა, ნარგი-

ზი თავის თავზეა შეყვარებული და სულ სარკეში იყურება, ოღონდ სარკედ წყალს ხმარობს. მემთვრალე კი წყლის მაგიერ ღვინოს ხმარობს. მისი ღვინისაგან გასიებული სახე იმ ღვინოში ჩანს, როგორც ვარდი. ეს უხარია და ამით აღტაცებული იმ ღვინოში იძირება:

**შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,  
მაგრა წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელ ღვინოს სარკედ  
ხმარობ,  
სახე შენი მაგ ღვინოში ჰსჩანს ვით ვარდი, ზე დაჰხარობ,  
მერმე ეშყით აღნატაცი თავსა შთანთქმად აღარ ჰზარობ.**

ასე რომ, ალექსანდრე ჭავჭავაძე არაა ანაკრეონტის მიმდევარი პოეტი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მის პოეზიაში არის მხოლოდ ანაკრეონტული ლირიკის მოტივები.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაგვიხატა ჩვენი ქვეყნის ბუნების წარმტაცი სახეებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „კავკასია“, რომელშიც დახატულია კავკასიის გრანდიოზული სურათები. თუმცა კავკასიის სურათები უფრო ადრე რუსმა პოეტებმა გვიჩვენეს. 1829 წ. დანერილი პუშკინის „კავკასიონი“ („Кавказ“), „საქართველოს მთებზე“ („На холмах Грузии“) „მონასტერი ყაზბეგზე“ („Монастырь на Казбеке“), „ზვავი“ („Обвал“). კიდევ უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1818-19 წლებში ალექსანდრე გრიბოედომ „მგზავრის წერილებში“ („Путевые записки“) დაგვიხატა (აღწერა) დარიალის ხეობა, მშფოთვარე თერგი, ჯვრის უღელტეხილი, თოვლიანი მწვერვალები...

კავკასიის თემა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა გრიგოლ ორბელიანმა. შემდეგ კავკასიის მაქებარნი იყვნენ ილია, ვაჟა, ყაზბეგი და სხვ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მოხიბლულია ბუმბერაზი მთებითა და შეუპოვარი, ქუხილით მომავალი თერგით. ლექსში „კავკასია“ თუმცა არ არის ისეთი დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები, როგორც გრიგოლ ორბელიანის „საღამო გამოსაღმებისაშია“, არც ისეთი პოლიტიკური შეფერილობაა აქვს

თერგს, როგორიც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, მაგრამ ლექსის მთავარი სათქმელი, ალბათ, უცხო ქვეყნის მოძალადეობის ჩვენებაა. მომხიბლავი და მიმზიდველი ეს ლექსი იმითაა ჩვენთვის, რომ გვესმის კავკასიონის გმინვა-კვნესა რუსის ჩექმის ქვეშ; ვხედავთ, როგორ უთმობს გზას შეშინებულ თერგი „როსთ მხედრობას“. ეს ჩვენი ქვეყნის კვნესა-ჩივილია. ამ ფონზე თითქოს ალოგიკურია დასასრული:

**განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,  
რომე მუნიოთ შევიდეს მათ შორის განათლება.**

ირონიადაც მივიჩნევდით ამ სიტყვებს, მთელ ლექსში ირონიის ნასახიც რომ შეიმჩნეოდეს. უფრო, ალბათ, სტერეოტიპული აზროვნების გამომჟღავნებაა. საზოგადოებაში ხომ ღრმად იყო ფესვგადგმული ის მცდარი აზრი, რომ რუსეთმა ჩვენში ევროპული განათლების შემოსვლასა და დამკვიდრებას შეუწყობ ხელი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას ღირსეული შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ წერილებში ქართულ ლიტერატურაზე (1892 წ.) და აგრეთვე ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ 60-იან წლებში (1860 წ.). ამ ლექსში კარგადაა შენიშნული პოეტის შემოქმედების ძირითადი მოტივები; ილია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკას 4 ნაწილად ჰყოფს: 1. ლექსები, რომლებიც „სუფრაზე დაფრინავენ“. 2. ლექსები, რომლებშიც პოეტი „შეჰყევს სატრფოს გულსაკლავად“. 3. ლექსები, რომლებშიც მგოსანი „შეჰკვნესს შავბედს ქვეყნისასა“ და 4. ლექსები, რომლებშიც პოეტი ემდურის „დაუდგრომელ დროთ ბრუნვას“.

**მისი ლექსი შვებით, ლხენით  
ხან სუფრაზე მოჰფრინდება,  
გულს ჩაგეკვრის, დარდობს, ხარობს  
გამღერებს და ამღერდება.**

(ე. ი. ე. წ. „ანაკრეონტული ციკლის“ ლექსები)

ხან ბუჩქებში მიმალული  
ზის მარტო, ვით იადონი,  
შეჰყებს სატრფოს გულსაკლავად  
ტრფობის ისრით განანონი.

*(ე. ი. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსები)*

ხან რბის ველად, მარტოდ გალობს  
უდაბნოში, ვითა მწირი,  
შეჰკვნესს შავ ბედს ქვეყნისასა  
ქვეყნისათვის ანატირი.

*(ე. ი. ეროვნულ-პატრიოტული ლექსები)*

ხან დაჰყურებს ღრუბლიანი  
დაფიქრებით „გოგჩის ტბასა“  
და ემდურვის მწვავის მოთქმით  
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა.

*(ე. ი. „მსოფლიო სევდა“)*

აკაკიც მალალი აზრისა იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია-  
აზე. 1882 წ. ინახულა მისი საფლავი და დანერა ლექსი „ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“.

შენს წმინდა საფლავს, გულისმოსაკლავს, დავყურებ,  
გმირო, სულგანაბული  
ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო! შენ არ დაგწვია  
ჩვენსავით გული,  
რომ ჩვენი ერი, დღეს სხვის ფეხთ მტვერი,  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული.  
თორემ სხვაგვარად მწარედ და მარად ეგ შენი გულიც  
ინყებდა ძვერას.

აკაკი წერეთელმა ამით თითქოს გამოისყიდა თავისი „დანა-  
შაული“ (ერთ ადრინდელ წერილში პოლემიკურ სიტყვარეში  
„ტკბილად მგალობელი ჩიტი“ უწოდა).

1. ი. გრიშაშვილი – ალ. ჭავჭავაძე.
2. დ. გამეზარდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი (1947 წ.) ან ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, III, 1975 წ.
3. ა. კენჭოშვილი – ალ. ჭავჭავაძე, (1953 წ.).
4. ი. ბოცვაძე – ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.
5. საიუბილეო კრებ. ალ. ჭავჭავაძე, (1986 წ.).
6. Ольга Романченко – „Властитель Синодала“, (Москва, 1981 გ.)

## თარგმანები

თარგმნას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა და საპატიო ადგილი ეჭირა ქართულ მწერლობაში. ადრე, კლასიკურ პერიოდში, თარგმნიდნენ ბერძნულიდან (მთანმინდელები, ეფრემ მცირე...), შემდეგ, აღორძინების ეპოქაში – სპარსულიდან და თურქულიდან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ – რუსულიდან და ევროპული ენებიდან.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ კარგად იცოდა რამდენიმე ენა. ქართულის გარდა რუსული, ფრანგული, გერმანული, სპარსული და თურქული. ენების ცოდნა საშუალებას აძლევდა, ორიგინალში გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს (მას ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, წიგნთსაცავი, რომელიც, სამწუხაროდ, განადგურდა 1854 წ.). ჩვენი პოეტი ამ ენებიდან ქართულად თარგმნიდა და ამითაც ამდიდრებდა მშობლიურ ლიტერატურას. ის, ცხადია, უშუალოდ ორიგინალიდან თარგმნიდა და არა სხვა ენაზე ნათარგმნიდან, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ხოლმე. თარგმნიდა იმ თხზულებებს, რომელიც მოეწონებოდა, რაკი სათარგმნ მასალას თვითონ არჩევდა (და არა ვისიმე დაკვეთითა და დავალებით), ამ თარგმანებს, გასაგებია, დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის მრწამსისა და შემოქმედების შესასწავლად.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რუსულიდან ქართულად თარგმნა ბევრი ნაწარმოები. ამ თარგმანებით ის ხელს უწყობდა ორი ერის კულტურულ ურთიერთობას. საერთოდ, ცნობილია, რომ თარგმნა ხალხთა გაცნობა-დაახლოებას უწყობს ხელს. ნათარ-

გმნი ნაწარმოებებიც ხშირად მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მწერლობაში და დიდ როლს თამაშობენ ხალხთა ცხოვრებაში.

რუსეთ-საქართველოს მეგობრობას პოეტი ხელს უწყობდა პრაქტიკულადაც. მისი ოჯახი, როგორც ვიცით, იყო რუსეთიდან ჩამოსული ინტელიგენტების სადგური. აქ ხდებოდა რუსული და ქართული კულტურის წარმომადგენელთა შეხვედრა და საქმიანი სჯა-ბაასი.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რუსულიდან თარგმნა: „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ (რუსული სასიმღერო „Черный цвет, мрачный цвет“), „მე შენ არ გეტყვი“, „რომანსი“, „ვით ქარი ცეცხლსა“ (სულ 2 სტრიქონია).

**ვით ქარი ცეცხლა ეგრეთვე სიშორე ტრფიალებასა  
მცირესა მყისვე განაქრობს, დიდს უფრო ჰმატებს  
გზნებასა.**

და ზოგიერთი სხვა (ამ ნაწარმოებთა ავტორები დღემდე უცნობია).

შეგახსენებთ, „ფერსა ბნელს...“ თარგმნა სპეციალურად ნინოსთვის. იგივე ლექსი ქართულად გადმოიღო ნიკოლოზ ბართაშვილმა ეკატერინესათვის. მხოლოდ მან ფერი შეცვალა – შავი ცისფრით. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რუსულიდან თარგმნა ვინმე ნიკოლოზ ახვერდოვის (მკვლევარებმა არც იციან, ვინაა ეს პოეტი). ლექსი „პეტრე ბაგრატიონისათვის“ (დანერილია 1812 წ. პეტრე ბაგრატიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ბოროდინოს გმირი გარდაიცვალა 1812 წ. 24 სექტემბერს, 47 წლისა). განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ პუშკინისა და ოდოევსკის თხზულებათა თარგმნა.

პუშკინიდან თარგმნილია შემდეგი ლექსები: 1. სიზმარი („Пробуждение“), 2. ანჩარი („Анчар“), 3. ყვავილი („Цветок“), 4. ვიდრემდის მქონან („Друзьям“), 5. სპილენძის მხედარი („Медный всадник“), 6. კავკასიის ზვავი („Обвал“) და 7. იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ.

აქედან ერთი ლექსი პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა კიდეც. ეს არის „სიზმარი“. დაიბეჭდა 1830 წ. „ტფილისის უწყებანში“ (2), ე. ი. თბილისში პუშკინის ყოფნის მეორე წელს (დაიბეჭდა სათაურით: „ლექსად თქმული პუშკინის ძილი“. აწყობილი იყო უცნაურად – პროზად). ეს არის ერთადერთი ლექსი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაბეჭდილი იხილა (მასაც მთარგმნელის სახელი და გვარი არ ჰქონდა მონერილი).<sup>3</sup>

ეს არის პუშკინის თხზულებათა ერთ-ერთი პირველი ქართული თარგმანი.<sup>4</sup>

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ქართულად თარგმნა ალექსანდრ ოდოევსკის (1802-1839 წ.) ლექსი „Роза и соловей“. ოდოევსკი, როგორც დეკაბრისტი, ციმბირში იყო გადასახლებული. სასჯელის მოხდის შემდეგ (1837 წ.) გადმოიყვანეს კავკასიაში და ჩარიცხეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში (იღვა ყარაღაჯში, სიღნაღის რ-ნი). პუშკინის ლექსს „მიმართვა ციმბირს“ გადასახლებულთა სახელით გამოეხმაურა ალექსანდრ ოდოევსკი. ოდოევსკი იყო გრიბოედოვის ნათესავი და, ცხადია, იგი კარგად მიიღეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. საქართველოში მან გაიცნო ბევრი ლიტერატორი. მათ შორის, პირველად აქ გაიცნო და დაუმეგობრდა ლერმონტოვს. ესეც ნიჟეგოროდის პოლკში მსახურობდა. საქართველოში დაწერა რამდენიმე ლექსი, მათ შორის „Роза и соловей“, „Брак Грузии с русским царством“ („საქართველოს დაქორწინება რუსეთის სამეფოსთან“). ამათგან ალექსანდრე ჭავჭავაძემ თარგმნა პირველი, „ვარდი და ბულბული“:

**ვარდო, რად ხარ თავდახრილი?  
რად მარიდებ პირსა შენსა?**

ვარდი: „ვიცი, არც ნამდვილად მეტრფი, არც საკუთრად ჩემთვის გალობ“.

ბულბული: მაშ, შენს საამო სუნს რად აყნოსებ ყველას? დაუსაკუთრე იგი მარტო ბულბულს და მაშინ ნახავ, რომ შენი ერთგული ვიქნები (ჩემს ყეფას მხოლოდ შენ მოგასმენ, ხარკს მხოლოდ შენ შემოგწირავ და სულსაც შენს ბუჩქზე დავლევ).<sup>5</sup>

ეს თარგმანი მეტად პოპულარული იყო და მას მღეროდნენ (მღეროდა ეკატერინე ჭავჭავაძე და სხვ.) [არის მოსაზრება, რომ ოდოევსკის ლექსი, საქართველოში დაწერილი „K“ მიძღვნილია ეკატერინე ჭავჭავაძისადმი (იხ. ლეილა ბერძენიშვილის წერილი „ლიტ. გაზეთში“, 1956 წ. 18 მაისი)].

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათარგმნი აქვს მსოფლიოში პირველილი მეიგავის ეზოპეს (ქრისტემდე VI ს., საბერძნეთი). იგავი „ქურდის და ძაღლის ისტორია“ (ქურდმა ვერაფრით ვერ მოისყიდა ძაღლი, შეეწყვიტა ყეფა). მსოფლიო ლიტერატურაში პირველმა ეზოპემ შეაქო პატრონისადმი ძაღლის ერთგულება.<sup>6</sup>

უხვად თარგმნიდა ალექსანდრე ჭავჭავაძე ფრანგულიდან მაგალითად, „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ (ამაზე გვექონდა საუბარი), ვოლნეიდან გადმოღებული. „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ (ჟან ბატისტ რუსოსი).

უთარგმნია ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „მეფე რომ ვიყო“ (სატრფიალო ლექსია: მეფე რომ ვიყო, ყველაფერს — ტახტს, გვირგვინს, სკიპტრასა და მთელ ქვეყანას — ვანაცვალებდი შენს ერთ შემოხედვას, შენს ერთ კოცნასა).<sup>7</sup>

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათარგმნი აქვს მე-17 საუკუნის ფრანგი კლასიციისტი მწერლის ჟან ლაფონტენის (1621-1695) იგავები: „ჭრიჭინასათვის“, „მგლისა და კრავისათვის“, „თხისა და მელისათვის“ და „მოძღვრისა და მოწაფისათვის“.<sup>8</sup>

ნათარგმნი აქვს ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის ლექსები: „აღსარება“ და „ტაქტიკა“ (ამაზე უკვე ვისაუბრეთ). (ვოლტერის ერთი ლექსის გავლენითაა დაწერილი ოთხსტრიქონიანი „როს ვჭვრეტ“).

ფრანგულიდანაა ნათარგმნი (ავტორია ფრანსუა დე-ველენტინი) „ძვირფასო საყვარელო“.

ფრანგულიდანაა ნათარგმნი (ავტორი უცნობია) „მემთვრალისადმი“:

**შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,  
მაგრამ წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელს ღვინოს  
სარკედ ხმარობ,**



**სახე შენი, მას ღვინოში, ჰსჩანს ვით ვარდი, ზედა ხარობ,  
მერე ეშყით აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ზარობ.**

ნათარგმნი აქვს **ჰიერ კორნელის** — (მე-17 ს. ფრანგი კლასიციისტი) 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ცინა ანუ ავგუსტის ლმობიერება“ („სინას“ სახელწოდებით).

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალბათ, დააინტერესა ტრაგედიის ჰუმანისტურმა ტენდენციამ. თვითონ მან ცინას მაგვარი ბედი განიცადა (როგორც შეთქმულების მონაწილემ). რუსეთის იმპერატორი მასაც შედარებით ლმობიერად მოეპყრო, შემდეგ დაიახლოვა და დაანინაურა.

ე.ი. „ცინას“ უფრო ეფარდებოდა ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება, ამ შეთქმულების ჩაშლა და ცარიზმთან შეგუება („ცინა“ თეატრში არ დადგმულა. დაიბეჭდა „ცისკარში“ 1859 წ. 5, 6.) ნაწყვეტებს „ცინადან“ მეგობართა წრეში კითხულობდა კოლხიდელი — გრიგოლ დადიანი).

უთარგმნია აგრეთვე კორნელის ტრაგედია „ჰერაკლე“ (უთარგმნია პროზად. ხელნაწერი დეფექტიანია).

თარგმნა ჟან რასინის „ფედრა“ (ესეც თარგმნა შემოქმედების II პერიოდში). თარგმანი ჩვენამდე სრულად არაა მიღწეული. იოსებ გრიშაშვილი ბეჭდავს მხოლოდ ფედრას მონოლოგს [ფედრა რომ გამოუტყდება თავის აღმზრდელ ენონას, მიყვარს გერი იპოლიტეო].

ამ თემაზე ნაწარმოებები აქვთ დანერილი ანტიკური ეპოქის მწერლებს – ბერძენ ევრიპიდეს (ქრისტემდე V ს.) „იპოლიტე“, რომაელ ლუციოს სენეკას (ჩვ. წ. აღ. I ს.) „ფედრა“.

[მთავარი მოქმედი პირია ათენის მეფის თეზევსის (თეზეოსის) მეორე ცოლი ფედრა, რომელიც გაიგებს რა სალაშქროდ წასული თავისი ქმრის დაღუპვას, სიყვარულში გამოუტყდება გერს იპოლიტეს...]

უთარგმნია ჟან რასინის „ესთერი“. მთლიანად არაა მოღწეული. იოსებ გრიშაშვილის გამოცემაში დაბეჭდილია მხოლოდ ესთერის მონოლოგი.

[„ესთერი“ რასინმა დაწერა ბიბლიურ თემაზე: ესთერი ებრა-

ელი ქალია, რომელიც ცოლად ჰყავდა სპარსეთის მეფეს არტაქსერქსეს...]

თარგმნა ვოლტერის ტრაგედია: „ალზირა“ (ანუ „ამერიკელნი“), უთარგმნია პროზად, მიღწეულია ფრაგმენტები.

ხელნაწერად დაცულია რომანი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს იოანე ბატონიშვილთან ერთად უთარგმნია: „ევდუქსია, ასული ველისარონისა, მოთხრობა სატრფიალო, თარგმნილი ლიმპანაურით (ესპანურიდან) ფრანციცულსა ენასა ზედა... (ფრანგულიდან კი შემდეგ ქართულად თარგმნეს).

ასე რომ, ალექსანდრე ჭავჭავაძე არის ერთი საუკეთესო ქართველი მთარგმნელი.

## შენიშვნები:

1. შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და თბილისის გუბერნიის თავად ზნაურობის წინამძღოლი. ილიამ ერთი „გამოცანა“ მასზე დანერა:

ბულა არის კისერმოკლე, პირმრგვალი და ტანად სრული, ლაყლანდარა და მასხარა, ქვეყნისაგან ლაფდასხმული...

ილიამ გალანძლა მისი ძმა გიორგიც, რომელიც 70-იან წლებში იყო სენატორი, შემდეგში სახელმწიფო საბჭოს წევრი:

კობტაა და ღობემძვრალა, პატარა და ჩამომხმარი, ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი, უყამური, განს გამდგარი. ჭკვით და გულით მოცვეთილა, ქვეყანაზედ უქმად გდია, თვით მალლა ზის, - ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

ამ გიორგის ეკუთვნის ბროშურა „О существе крупных единиц“. იხ. ილიას ლექსი „რჩევა“ (ტ. I, გვ. 100).

2. ადრე დავით დადიანს ჰყავდა დანიშნული - სვანეთის (ჩუბუხევის) მთავრის ციოყ დადემქელიანის და - დარეჯანი (1823 წ. ლევან დადიანმა გამოითხოვა თავისი შვილის დავითისათვის სვანეთთან დამოყვრების მიზნით). დარეჯანი უკვე სამეგრელოში იმყოფებოდა დიდი მზითვით მისული, მაგრამ 1831 წ. თბილისში ჩასულ დავითს სხვა ქალი, ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (სალომეს ძმისშვილი, ე. ი. ეკატერინეს ბიძაშვილი) მოენონა და დარეჯანი მიატოვა. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო და მშობლებიც ჩაერივნენ. ალ. ჭავჭავაძე დაკითხვისას უჩვენებდა (1833 წ. 17 იანვარი): “მისი (ლუარსაბის) უფროსი ქალის ელენე თავად დადიანზე გათხოვების შესახებ რჩევა მხოლოდ მაშინ მოთხოვა, როცა საქ-

მე უკვე გაეთავებინათ". ამან სამეგრელოსა და სვანეთს შორის ურთიერთობა გაამწვავა. თბილისში ბარონ როზენთან (მთავარმართებელთან) საგანგებო მოხსენებები ჩავიდა დარეჯანის დედა დიგორხანი [დიგორხანი გარდაფხაძე (ჩოლუღის მფლობელის გარდაფხაძის ასული) მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1821-43 წწ.-ში) გახდა ჩუბეხევის (სვანეთი) მთავარი. იყო რუსეთის ორიენტაციისა. 1833 წ. მისი ინიციატივით ჩუბეხევი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. მისი შვილიშვილი იყო კონსტანტინე (მურზაყან) დადემქელიანი, სვანეთის უკანასკნელი მთავარი (1857 წ. რომ მოკლა ალ. გაგარინი და მისი სამი მსახური და რამდენიმე ჯარისკაცი დაჭრა). ე. ი. დიგორხანის შვილებია ციოყ და დარეჯან, ციოყის შვილია კონსტანტინე (მურზაყან). ამის თაობაზე ბარონ როზენი წერილს წერს ლევან დადიანს. საქმე ასე მოგვარდა. მზითევი უკან დააბრუნეს, ხოლო დარეჯანი მიათხოვეს კახელ თავადს დავით აფხაზს. დავით დადიანი ძლივს ჩამოაშორეს ელენეს, 1836 წ. 10 ივლისს ელენე მისთხოვდა ზაქარია ერისთავს. დავითი შეეცადა, ჩაეშალა ქორნილი, მაგრამ ვერაფერს გახდა (ე. ი. დიდი სიყვარული იყო). ამის შემდეგაა, რომ თვალი დაადგა ეკატერინეს (ელენეს მამიდაშვილს). აქ სიყვარული არ ყოფილა.

3. იგივე ლექსი შემდეგ თარგმნეს სოლომონ რაზმაძემ („განლვიძება“), ლუკა ისარლოვმა („განლვიძება“) და სხვ. მაგრამ ეს თარგმანები შედარებით სუსტებია.

4. ალ. პუშკინის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია აგრეთვე სოლომონ რაზმაძე, რომელმაც 1832 წ. დაბეჭდა კიდევ რამდენიმე ნიმუში (მაგ. „ლხინი“, „ლიშპანური სიმღერა“)

პუშკინის პირველი ქართველი მთარგმნელია თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი. მან 1830 წ. იანვარში თარგმნა პუშკინის „Ангел“. ეს არის ქართული პუშკინიანას დასაწყისი.

5. 1839 წ. ჩაირიცხა გენერალ რაევსკის რაზმში შავი ზღვის სანაპიროზე. ამბობდა თურმე: ან ჩერქეზის ტყვია მომკლავს, ან აქაური ციება მომიღებს ბოლოსო. მართლაც, გარდაიცვალა მალარიით სოჭის მახლობლად 1839 წ. 15 აგვისტოს (საფლავი დაკარგულია).

6. „ეზოპეს ენა“ — იგავებით საუბარი, ძალიან გავრცელებული იყო ცენზურის სისასტიკის წლებში. ეზოპეს 40 იგავი ქართულად უთარგმნიათ მე-17 — მე-18 საუკუნეებში (მთარგმნელები უცნობია). XIX ს. იტალიურიდან თარგმნეს და გამოსცეს ვენეციაში 95 იგავი (1859 წ.).

7. ვიქტორ პიუგოს ეს ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდა ნათარგმნი აქვთ ვახტანგ ორბელიანს, გიორგი ერისთავს, გრიგოლ აბაშიძეს, სიმონ ქვარიაანს, მამია გურიელს და სხვებს.

[სხვათა შორის, მამია გურიელის „თხზულებანი“, 1897 წ. გვ. 75. მითითებული არაა, რომ ეს ლექსი ნათარგმნია. ქართულიდან ის რუსულად ითარგმნა ორჯერ, ტ. ბეკნაზოვისა და ი. ვერხოვსკის მიერ. ეს უკანასკნელი თარგმანი შეტანილია ნიგნში „Поэзия Грузии“, 1948 წ. გვ. 300, როგორც მამია გურიელის თხზულება. გიორგი შერვაშიძეს ვიქტორ პიუგოს

მიბაძევით დანერილი აქვს „რომ და მაგრამ“ („ლირიკა, ეპოსი, დრამა“, გვ. 75). რომ ვიყო ღმერთი, ყველაფერს შენ დაგამონებდი, რომ ვიყო მეფე, ჩემს სამეფოს შენ მოგიძღვნიდი... მაგრამ ვაგლახ, რომ ერთი უბრალო კაცი ვარ და არაფერი არ შემიძლია.

მამაკაცებზე გულმოსულმა ქრისტინე დგებუაძემ გიორგი შერვაშიძეს უპასუხა: „ღმერთი რომ ვიყო, ეხლა მე მკითხეთ, კაცებს რა სასჯელს მოუვლინებდი“ — მზესა და მთვარეს დავუბნელებდი და ჯოჯოხეთს მონატრებდი. ამ ლიტერატურულ პაექრობაში ჩაერია გიორგი აგიაშვილი, რომელმაც ორივე მოპაექრეს ასე დაუნერია:

„უფლება მომცა, ამას ვიზამდი, ორთავ დაგსჯიდით მაგა თქმისათვის. ერთს გისურვია ყოვლად დიდება ვინმე უძლური არსებისათვის და მეორეს კი — ცეცხლით, მახვილით მეხთა დაცემა კაცებისთვის“.

8. ჟან ლაფონტენი იყო ფრანგი კლასიციისტი, ბუალოს, რასინის, მოლიერის თანამოაზრე. დაგვიტოვა იგავ-არაკების 12 ნიგნი. ისე როგორც ყველა კლასიციისტი, ეყრდნობოდა ანტიკური ეპოქის მწერლებს. კერძოდ, ეზოპეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგ ლაფონტენი თარგმნა ვინმე ექვთიმე ჩიხელიძემ (გამოსცა 2 პატარა ნიგნაკად ქუთაისში 1911 წ.).

ექვთიმე ჩიხელიძემ თარგმნა ერთი არაკი:

ეზოპემ სთქვა:

*ყოველ კაცს თითო ხურჯინი ჰკიდია,  
ახლა ის კი არ გეგონოთ, შიგ აქვს რამ გასაყიდია.  
ნინა თვალში ჰყრის ყველაფერს, რასაც სხვა დააშავებსო.  
უკანაში კი მას აწყობს, რასაც თითონ იქმს ავებსო.  
ამიტომ თვისი სიგლაზე კაცს უჭირს სანახავათა,  
სხვისი თვალ-წინ აქვს ყოველთვის საკილავ-საძრახავათა.*



## ბრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით იგი უაღრესად რთული პიროვნებაა. ესაა მიზეზი, რომ ზოგი მკვლევარი გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის წინააღმდეგობას ხედავს. ზოგი კრიტიკოსი მთლიანად, ხელაღებით უარყოფს მისი ბიოგრაფიის მნიშვნელობას შემოქმედების შესწავლისას, ზოგიერთი კი პირიქით, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის ბიოგრაფიას, მხოლოდ და მხოლოდ ბიოგრაფიას ეყრდნობა და იქიდან გამოაქვს დასკვნები მისი შემოქმედების შესახებ. პირველი შეხედულების ყველაზე სრული გამომხატველია კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. მან თავის „ეტიუდებში“ ადგილი არ დაუთმო გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიას, როგორც სრულიად ზედმეტსა და არაფრისმთქმელს შემოქმედების შესასწავლად.

სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავდა სიმონ ხუნდაძე. იგი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტის ბიოგრაფიას. სიმონ ხუნდაძის აზრით, გრიგოლ ორბელიანისთვის „პოეზიის სამეფო“ და ლიტერატურული ტახტი სხვათა შორისი საქმე იყო, რომ მას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუჩრევია ჩვენს მწერლობაში.

იონა მეუნარგიამ საგანგებოდ შეისწავლა და დაწერა გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია. იგი წერს (იხ. მისი „თხზულებანი“, ტ. 1, 2010): ბევრ მწერალსა და შესანიშნავ ქართველს შევხვედრივარ, ბევრის „თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელდადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ“. გრიგოლის ტკბილ ენას: „სითბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნა-

ჭედისა. რა საგანზედაც უნდა ყოფილიყო სჯა, თუნდა ეს საგანი ასჯერ თქმული და გაგონილი ყოფილიყო, ასჯერ მიწაში დამარხული, რაკი ორბელიანის ენა ან კალამი მოხვედებოდა იმას, იგი ხელახლა ცოცხლდებოდა“.

იონა მეუნარგია იყო გრიგოლ ორბელიანის მეხოტბე, მალმერთებელი, მემამათიანე. პირადად ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, „გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტს“ ეძახდნენ, აკაკი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი არ უყვარდა — „გენერლების მწერალს“. იონამ დაწერა ვრცელი „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“. ესაა პანეგირიკი, აპოლოგია. მეუნარგიას თქმით, გრიგოლ ორბელიანმა „ქართველის სახელი და ქართული სიტყვა აღიყვანა იმ სიმაღლემდე, რომელსაც არავინ არ შესწევდენია არა მარტო ამ საუკუნეში“... იონა მეუნარგია ვერ დააკმაყოფილა გრიგოლ ორბელიანის კუბოსთან წარმოთქმულმა ილია ჭავჭავაძის სიტყვამაც კი. „ნაცვლად იმისა, რომ ეთქვათ მისი შესაფერი სიტყვა, პოეტის ლექსებიდან ამოღებული სიტყვებით შეაკონინეს რაღაცა“.

[ქართველ სამოციანელთა აზრი. ილიას აზრი „მუხამბაზეზე“, კერძოდ, „დიმ. ონიკოვის დარდები“, „მუშა ბოქულაძე“, ილიას „გამოცანები“ და „პასუხის პასუხი“, სიტყვა გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებაზე“.

აკაკის აზრი. ყველაზე კარგი, რაც აკაკიმ გაიმეტა და თქვა გრიგოლზე, ესაა: „განსვენებული გრიგოლ ორბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახლის თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შესაერთებელი ხიდი“. ე.ი. ილიას მიერ პამფლეტში ნათქვამი (ე.ი. ცუდი) და აკაკის მიერ კუბოსთან ნათქვამი (ე.ი. კარგი) ტოლძალოვანია.

ნიკო ნიკოლაძის წერილი „გრ. ორბელიანი“. „კოლოკოლში“ გამოთქმული აზრი.

ვახტანგ ორბელიანი. აქვს ლექსი „გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებაზედ“. არ მოსწონს „კინტოთ კილო“.

მიხეილ ზანდუკელი, აკაკი განერელია, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ლევან ასათიანი, ელგუჯა მალრაძე, დავით წერეთლიანი].

დღეს არც ბიოგრაფიაა უარყოფილი და არც შემოქმედება.

გრიგოლ ორბელიანი მაღალი, არისტოკრატიული წრიდან არის.

ლექსანდრე ორბელიანის აზრით, ორბელიანთა წინაპარი, რომელიც იყო მეფის, ჯამბაკურის ჩამომავლობისა, ჩინეთიდან მოსულა და სოფ. ორბეთში დამდგარა. აქედან მივიღეთ ჯამბაკურიან-ორბელიანი. ამ გვარიდან გამოსულან: ქაჩიბაძენი, ბართაშვილები. მე-17 საუკუნეში სახელი გაითქვა ყაფლანმა. ეს იყო სულხან-საბას პაპა. მამას ერქვა ვახტანგი (იგივე ორბელი).

ორბეთი — სოფელი თეთრინყაროს რაიონში, თბილისი — მანგლისის გზაზე.

ორბეთის ციხე — თეთრინყაროს რ. ალგეთის ხეობის მიუვალ კლდეზე.

შეიძლება ითქვას, რომ არცერთ გვარს არ მოუცია საქართველოსთვის იმდენი სახელოვანი შვილი, რამდენიც ამ გვარმა მოგვცა და რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს გვარი დღეს გადაშენებულია.

გრიგოლ ორბელიანის მამა ზურაბი (იგივე დიმიტრი) იყო გავლენიანი თავადი, ერეკლე მეფისა და გიორგი XIII-ის კართან დაახლოებული პირი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ზურაბ ორბელიანი სამხედრო სამსახურში შევიდა, მან მონაწილეობა მიიღო მრავალ ომში. შემდეგ იყო თბილისის საბაჟოს ზედამხედველი და უზენაესი სასამართლოს „ზასედატელი“.

გრიგოლის დედა, ხორეშან ანდრონიკაშვილი, გახლდათ ერეკლე მეფის შვილიშვილი (ერეკლეს ქალის, ელენეს ასული). ელენეს პირველი ქმარი იყო იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმა არჩილი. არჩილის ხელში ჰყავდა შვილი დავითი. სოლომონ I-ს ვაჟიშვილი არ ჰყოლია. მისი გარდაცვალების შემდეგ (გარდ. 1784 წ.) ტახტზე ავიდა მისი ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. 1789 წ. სამხედრო გადატრიალება მოხდა. ტახტიდან ჩამოაგდეს დავით გიორგის ძე და გამეფდა დავით არჩილის ძე, რომელიც იწოდა სოლომონ II-დ (ეს გადატრიალება ერეკლეს ინიციატივითა და ხელშეწყობით მოხდა). სოლომონ II არის იმერე-

თის უკანასკნელი მეფე (1810 წ. 1 აპრილს გენერალმა ტორმა-სოვმა იგი მოტყუებით ჩაიგდო ხელში და თბილისში ჩამოიყვანა. აქედან პეტერბურგში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ 11 მაისს ტყვეობიდან გაიქცა. გარდაიცვალა 1815 წ. 7 თებერვალს, 42 წლისა. დაკრძალეს ტრაპიზონის ქრისტიანული ეკლესიის გალავანში).

ე.ი. სოლომონ II არის გრიგოლის ბიძა.

ელენეს მეორე ქმარი იყო ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი. მის ხელში ჰყავდა ხორეშანი. ზაქარია (პაპა გრ. ორბელიანისა) მეტად ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა. ლეკები მას მეტსახელად „მინის მგელს“ უწოდებდნენ. 1795 წ. კრწანისის ომში მან 600 კაცი მიაშველა ერეკლეს (სიმამრს). გრიგოლ ორბელიანმა თავის გმირ პაპას რამდენიმე სტრიქონი მიუძღვნა პოემაში „სადღეგრძელო“. ერეკლეს შვილები და შვილიშვილები არცერთი არ მოიხსენია (გარდა ლევანისა). არ შემოიყვანა ისინი ლიტერატურაში. ამით მიუზღო მათ სამაგიერო (გიორგი ომის დროს კახეთში ქეიფობდა). ზაქარია კი შემოიყვანა და ამით უკვდავყო მისი სახელი.

**და ზაქარია, მინისა მგელი  
ანაზდეულად იქ აღჩნდებოდა,  
სადაცა მტერი გალალებული  
მისგან შემუსვრას არ მოელოდა...  
სადაც იელვა მახვილმა მისმა  
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად.**

ზურაბ ორბელიანს და ხორეშან ანდრონიკაშვილს 4 შვილი ჰყავდათ. ეფემია (დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა), გრიგოლი, ზაქარია და ილია.

ეფემია, სათნო და კეთილი ქალი, ცხოვრებაში არც მთლად ბედნიერი აღმოჩნდა. მოესწრო რამდენიმე შვილის გარდაცვალებას, მათ შორის უფროსი ვაჟისა. დღესაც ყურში შემზარავად ჩაგვესმის ამ ქალის განწირული მოთქმა: „მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს და რა



შვილს! რომლისგანაც მოველოდი ყოველს სიხარულსა და ბედნიერებას! უი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემი თვალის დაბნელება!“ . გრიგოლ ორბელიანმა მას უძღვნა „ჩემს და ეფემიას“, დაძმური სიყვარულის საუკეთესო ნიმუში. (შდრ: ბაირონის ლექსი დისადმი „ავგუსტა ლის“, მირზა გელოვანის „რუსუდან“ (1934 წ.), ტერენტი გრანელის „ზოზია“).

**ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შეებად, სასიხარულოდ,  
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭკნარისა,  
დაო სასურველ, ამა სოფელს შენ დამმთი მხოლოდ  
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხედრისა.**

ეფემიაზე კიდევ მოგვიწევს საუბარი, აქ კი ორიოდ სიტყვა ძმების — ზაქარიასა და ილიას შესახებ.

ზაქარია ორბელიანი (დაიბადა 1806 წელს). სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. 1827-28 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1831 წ. მონაწილეობა მიიღო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1841 წლიდან დაღესტანშია. მასაც უყვარდა ნინო ჭავჭავაძე. სიყვარულში განზილებულმა ჯერ უარი თქვა ცოლის შერთვაზე, მაგრამ შემდეგ (1835 წ. 10 თებერვალს) ნათესავების (დის — ეფემიას, მელიტონისა და სხვათა) დაჟინებული რჩევით შეირთო ქეთევან მესხიშვილი (1812-1891) — ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიშვილის ასული (და ექიმისა და ლიტერატურის სარდიონ მესხიშვილისა). 1836 წ. შეეძინა ვაჟი (სანდრო), რომელიც შემდეგ სწავლობდა რაევსკის პანსიონში, უეცრად გარდაიცვალა 1855 წ. ნოემბერში პეტერბურგში (19 წლისა). ზაქარია გარდაიცვალა 1847 წ. 11 ივნისს სოფ. ხოჯალმაქში (დაღესტანი), ხოლერით, 41 წლისა. ჯერ იქვე, დაღესტანში დამარხეს. შემდეგ, 1848 წ. დამდეგს, თბილისში ჩამოასვენეს და ქაშუეთში დაკრძალეს (ამავე 1847 წ. ხოლერით გარდაიცვალა ჩვენთვის უკვე ნაცნობი პირი — სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძისა).

ილია ორბელიანი დაიბადა 1814 წ. სწავლობდა გიმნაზიაში თავის დისწულთან, ნიკოლოზთან ერთად. სამხედრო პირი გახ-

ლდათ. მონაწილეობდა დაღესტნის ომებში. 1842 წ. 20 მარტს ტყვედ ჩაუვარდა ლეკებს და მიჰგვარეს დარღოში შამილს. შამილს ძალიან მოეწონა მისი სიყოჩაღე, ამ სიყოჩაღეს აჩუქა სიცოცხლე (მის მხლებელ 20 ნუქერს თავები დააყრევინა). ილია დილეგში (ხაროში) ეგდო, როგორც ოდესღაც დავით გურამიშვილი. ილიას ყველა ცდა გაქცევისა უშედეგოდ დამთავრდა. შამილი მაშინაც მოითხოვდა ტყვეების გაცვლას შვილზე (ჯემალზე), მაგრამ ეს იმჟამად ვერ მოხერხდა. მოგვიანებით ილიამ დაწერა მოგონებები: „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, ტყვეობიდან გამოიხსნეს 1842 წ. 28 ნოემბერს (სხვათა შორის, არც ილია, არც ანა დრანსე შამილს ცუდად არ ახასიათებენ, ალექსანდრე ყაზბეგი სულაც აღტაცებით გვიხატავს...). ილიაზე ლეგენდები დადიოდა (ალექსანდრე დიუმას ნიგნში „კავკასია“ არის თავი — „თავადი ილიკო ორბელიანი“). 1846 წ. გადაჰყავთ ელისავეტპოლის (განჯის) მაზრის უფროსად. ამ ქალაქში წინა წელს (1845 წ. 9 ოქტომბერს) გარდაიცვალა მისი დისშვილი. ბიძამ მის საფლავს ქვა დაადო წარწერით. გარდაიცვალა 1853 წ. 10 დეკემბერს. ისტორიაში შევიდა „ბაშკადიკლარის გმირის“ სახელით. გრიგოლმა ძმის ცხედარი 15 დეკემბერს ჩამოასვენა თბილისში და 5 დღის შემდეგ ქაშუეთში დაკრძალა. იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბაშკადიკლართან. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ჭრილობისგან გარდაიცვალა კიდევ 39 წლისა (დემნა შენგელაიას მოთხრობა „ბაშკადიკლარი“). ილია ორბელიანს ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის (გიორგი XIII ძის) ასული ბარბარე. შეირთო 1851 წ. ზაფხულში, ეყოლა ვაჟი — გიორგი. ილია ბატონიშვილის მეორე ასული ანა ცოლად გაჰყვა დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს. 1854 წ. 4 ივლისს ეს ქალები ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა (ანა დრანსეს „შამილის ტყვე ქალები“), ასე რომ, შამილის ტყვეობაში ილიას ცოლ-შვილიც იმყოფებოდა, იმავე დარღოში.

[ილია ბატონიშვილი დაიბადა 1790 წ. გარდ. 1854 წ. დაკრძალულია სვეტიცხოველში. მის გვერდითაა დაკრძალული ბარბარე ორბელიანისა. ბარბარესა და ანას და იყო ოლგა ბატონიშვილი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა მოსკოვში დედასთან,

ანასტასია ობოლონსკაიასთან (1805-1882წ.). ოლგა მწერლობდა. მან 1899 წ. გულბათის ფსევდონიმით მოსკოვში დაბეჭდა „Сборник грузинских легенд“. აკაკი წერეთლის ლექსი „სურათზე“ (ბატონიშვილს ოლგას).

**უცხო ენით მოსაუბრემ აღარ იცი შენ ქართული  
მაგრამ მაინც შეგრჩენია ჩვენებური სული... გული!  
შენს ნაწერში ორივე სჩანს ჩაქსოვილი, ჩაქარგული...  
მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც არ ხარ**

**ჩვენთვის დაკარგული.  
(1909 წელი)**

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1800 თუ 1804 წელს, 7 (19) ივნისს. გრიგოლს წერა-კითხვა შეასწავლა ანჩისხატის დეკანოზმა დიმიტრი ალექსი-მესხიშვილმა.

ანჩისხატის ეკლესიას მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე ერქვა „ზარის საყდარი“ (არაბთა ბატონობის დროს მარტო მას ჰქონდა უფლება ზარის რეკვისა). 1675 წ. კათალიკოსმა დომენტი III-მ (ვახტანგ VI-ის ძმამ) ანჩის (ტაო-კლარჯეთშია) ეკლესიიდან აქ გადმოსვენა მაცხოვრის ხატი, ბეჭა ოპიზრის მიერ ოქროთი მოჭედილი. ახლა მუზეუმშია (მტრის მიერ ანჩის ეკლესიის გაძარცვის შიშით). ანჩიდან ამ ხატს გამოჰყვა მომვლელი მღვდელი პეტრე მესხი (აი, ამ პეტრემ მისცა დასაბამი ახალ გვარს მესხიშვილი). ტრადიციულად ესენი, მესხიშვილები, არიან ანჩისხატის დეკანოზები და თითქმის ყველა ანჩისხატის ეზოში ან შიგნითაა დასაფლავებული. ერეკლე მეფის დროს ცხოვრობდა გამოჩენილი ალექსი მესხიშვილი. ერეკლეს თანხმობით მისი სახელი შთამომავლობას გვარად გაუხდა. მეფემ მესხიშვილებს ალექსიშვილობა უბოძა. ამ ალექსი მესხიშვილს ჰყავდა 6 ვაჟი: სოლომონი, დავითი, ზაქარია, ნიკოლოზი, გიორგი და იოსები, რომლებიც ორმაგი გვარით იწერებიან: ალექსიშვილ-მესხიშვილი (ასე გაჩნდა ახალი გვარი). სოლომონის შვილია დიმიტრი (დიმიტრი — სარდიონი — ლადო მესხიშვილი).

ალექსის მეორე შვილი — დავითი (1745-1829) იყო თელავის სემინარიის რექტორი 1790-1801 წლებში. ესაა დავით რექტორი. დავით რექტორს აქვს სატრფიალო ლექსები, სატირულიც, განსაკუთრებით საყურადღებოა სახოტბო თხზულებანი: „ქება თამარ მეფისა“, „ქება ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტისა“, „ცხოვრება ლეონ ბატონიშვილისა“ (თელავის სემინარია გაიხსნა 1782 წ. და მისი პირველი რექტორი იყო გაიოზი). დიმიტრი მესხიშვილის ორსართულიანი სახლი ჩახრუხადის ქ. 12-ში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლის პირდაპირ. ნიკოლოზი და მისი დედმამიშვილები დიმიტრის მიერ არიან მონათლული. დიმიტრი გარდაიცვალა 93 წლისა, 1862 წ. 9 დეკემბერს (დაკრძალულია იქვე, „მარჯვნივ ამბიონისა“). ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა შვილი, სარდიონი, 49 წლისა. დიმიტრი მესხიშვილს ჰყავდა 4 ვაჟი და 1 ასული. იაკინთე (1805-1878), მიხეილი, სარდიონი (1814-1863), იოანე, ქეთევანი. მიხეილისა და იოანეს შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. იაკინთეს შვილი იყო ნიკოლოზ (1840-1908), რომელიც თანამშრომლობდა „დროებასა“ და „კვალში“. მან რუსულად თარგმნა ილიას „ქვათა ლაღადი“.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი გახლდათ ცნობილი ექიმი (ერთ-ერთი პირველი ქართველი, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო) და ლიტერატორი, თანამშრომლობდა „ცისკარში“. ილიას სანინააღმდეგოდ დაბეჭდა „უსტარი ანტიკრიტიკული“ (ილია: „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“), თარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა როჟე დე-ბოვარის „საფია“, მარმონტელის (1723-1799) „მეუდაბნოე“, ფრანგი მწერლის ეჟენ სიუს (1804-1857) „მიმომავალი ურია“ და სხვ. სარდიონ მესხიშვილის შვილი იყო ლადო მესხიშვილი (სარდიონი და მისი მეუღლე სოფიო დასაფლავებულნი არიან შუამთის ახალ მონასტერში).

ქეთევანი ცოლად ჰყავდა ზაქარია ორბელიანს (გრიგოლის ძმას).

პატარა გრიგოლი მშობლებმა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც დაარსდა 1802 წ. და 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ ეს სასწავლებელი არ დაუმ-

თავრებია, 1816 წ. გადადის საარტილერიო სკოლაში. 1821 წ. მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი და პირველი საბრძოლო ნათლობა — ამ წელს მონაწილეობს ბრძოლაში ჭარელი ლეკების წინააღმდეგ. 1826-27 წლებში მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთის ომში 1827-28 წლებში — რუსეთ-ოსმალეთის ომში (ორივე ომში იბრძოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც). ის მონაწილეობს ერევნის ალებაში (ერევნის ალებამ, — როგორც იონა მეუნარგია გადმოგვცემს, მისცა პოეტს საბაბი პოემა „სადღეგრძელოს“ დანერისა, ამიტომაც ეწოდება „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“). ახლანდელ თავისუფლების მოედანს 1829 წლამდე სახელი არ ერქვა. „1829წ. რუსეთის ჯარის მიერ, რომელსაც პასკევიჩი სარდლობდა, თურქეთთან ომში ერევნის ციხე-ქალაქის დალაშქვრის აღსანიშნავად მოედანს „პასკევიჩ-ერევანსკის“ სახელი უწოდეს“ (თენგიზ კვიციანი, ლენინის მოედანი. იხ. „ლიტერატურული საქართველო“ 1982წ. 44, 29 ოქტ.). შემდეგ, სიმოკლისათვის მოედანს ერევნის სახელი დაეწოდა შერჩა, შემდეგ ბერიას მოედანი, შემდეგ ლენინის მოედანი, ახლა თავისუფლების.

1831 წელს, ივნისის დამლევს, გრიგოლ ორბელიანი გაგზავნეს პეტერბურგში სამხედრო დავალებით (მიჰყავს ჯარისკაცები ერთ-ერთ პოლკში ჩასარიცხად). პეტერბურგში გრიგოლი ჩადის იმავე წლის ნოემბერში (მოსკოვზე გავლით). 1831 წ. შეთქმულების წინა წელია. გრიგოლ ორბელიანი შეთქმულების მონაწილეა. შეთქმულებმა გამოიყენეს ეს შემთხვევა და პოეტს მისცეს დავალებები: ა) საქართველოს სამხედრო გზაზე ჯარის დისლოკაციის აღწერა და ბ) მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებული ბატონიშვილების ნახვა (მათთან კავშირის დამყარება). ამ დავალებებს გრიგოლ ორბელიანი პირნათლად ასრულებს. აწარმოებს დღიურებს, სადაც იწერს შთაბეჭდილებებს. შემდეგ ეს დღიურები ლიტერატურულად დაამუშავა და უწოდა „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (ასე მივიღეთ დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუში). პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანი დარჩა 4 თვეს, აქაც შეხვდა ბატონიშვილებს და ესაუბრა მათ. იყო, სხვათა შორის, ფარ-

ნაოზ ბატონიშვილის ოჯახში, სადაც გაიცნო იარალი შანშიაშვილი (პოეტი, იმპროვიზატორი, მეთარე, მეჭიანურე), რომელსაც მიუძღვნა ლექსი „იარალის“. პეტერბურგში ყოფნის დროს პოეტმა დაათვალიერა იმპერატორის სასახლე, ყაზანის ტაძარი, თეატრი, აგრეთვე მახლობელი ქალაქები, მათ შორის პეტერგოფი, განთქმული თავისი შადრევნებით, ცარსკოე სელო – აწინდელი პუშკინო, და სხვა. „მარამა ყოველივე ეს ვიხილე ზამთარში, - წერს პოეტი, — ოდესაცა ღრუბელნი და თოვლი ჰფარავდა თვალთაგან ლამაზთა ადგილებთა, ვის არ უქიენ პეტერბურგი, მარამა საშინელი ყინვა, მარად მოღრუბლული ცა, მზისა დაკარგვა და სიმოკლე დღისა იყვნენ ფრიად შემანუხებელ ჩემთვის. აქ ბუნება არის მკვდარ, მაგრამ ხელოვნებითა განღვიძებული“.

1832 წ. თებერვალში გადაჰყავთ ნოვგოროდში, სადაც იდგა მისი პოლკი. ნოვგოროდში პოეტი რჩება მთელი ერთი წელი (1832 წ. თებერვლიდან 1833 წ. მარტამდე). ნოვგოროდში ყოფნისას თარგმნა კრილოვის სამი იგავი („კატა და ბულბული“, „სოფლელნი და მდინარე“, „ნადირთა ჭირი“). ეს არის კრილოვის პირველი ქართული თარგმანები (შემდეგ კრილოვის კიდევ სამი იგავი თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა, და მოათავსა 1833 წ. გამოცემულ „ანთოლოგიაში“). 1832 წ. დეკემბერში, როგორც ცნობილია, შეთქმულება ჩავარდა. ბევრ შეთქმულს აღმოაჩნდა გრიგოლ ორბელიანის წერილები, ლექსები. 1833 წ. მარტში ნოვგოროდში გრიგოლი გაჩხრიკეს, ჩამოართვეს ყველაფერი (მათ შორის, დღიურიც). ერთი კვირის შემდეგ დაიბარეს პეტერბურგში, სადაც დაჰკითხა ორლოვმა.

„— თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობ?

— ვიცნობ.

— ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?

— ვიცნობ.

— ბატონიშვილებს: ოქროპირს, დიმიტრის?

— ვიცნობ.

— საიდან იცნობ ყველა ამათ?

— ყველა ჩემი ნათესავებია და ამხანაგები.

— რილევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ ქართულად?

— დიახ, მე.

— „იარალის“ თქვენ დაწერეთ?

— მე.

— რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსით?

— ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი”.

პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანი გააჩერეს ერთი კვირა, შემდეგ თბილისში გამოაგზავნეს და ავლაბრის ყაზარმებში ჩასვეს. „პატიმრობის დღეები მისი ცხოვრების უმწარეს მოგონებად იქცა, მით უფრო, რომ ზედ დედის გარდაცვალებაც დაერთო“, — წერს დავით წერეთლიანი ნიგნში „ანარეკლი“. დედის გარდაცვალება თავისთავად სამწუხარო ამბავია, მაგრამ სამგზის სამწუხარო, გულსატკეპნი ის იყო, რომ პოეტს არ ჰქონდა საშუალება, დაეტირა დედა (ხორეშან ანდრონიკაშვილი), გამოთხოვებოდა მას. მაგრამ მეგობრებმა და ნათესავებმა ასეთი რამ მოიფიქრეს: კუბო ციხის წინ ჩაატარეს (თავახდელი კუბო დაასვენეს წინ), კუბოს გვერდით იდგნენ ჭირისუფლები: ეფემია (ქალიშვილი), მელიტონი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვა. ხორეშანს შესანიშნავი შვილები ჰყავდა, დედის ღირსება ხომ შვილებით იზომება. შვილებს უსაზღვროდ უყვარდათ დედა. „ვხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ჭუჭრუტანიდან, როგორ გაასვენეს მისი კუბო. მტერსაც კი არ უსურვებ, გამოსცადოს ჩემი ტანჯვა: ქვად ვიქეც, ყველა დავივინყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უჭმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომიგდია“ (ამას სწერს პოეტი თავის მეგობარს). გამოძიება, როგორც ვიცით, დამთავრდა 1833 წ. ბოლოს. გრიგოლ ორბელიანი მიაკუთვნეს დამნაშავეთა მე-7 კატეგორიას (სადაც ირიცხებოდა აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძეც). გრიგოლი გაგზავნეს კავკასიის მოქმედი ჯარის ხაზზე. თბილისიდან გამგზავრების წინ, ღამით, მთვარის შუქზე იგი თვალცრემლიანი ეამბორა დედის საფლავს და განშორდა საქართველოს (გამგზავრების წინ მას ერთი თვე თავისუფლება მისცეს საქმეების მოსაწესრიგებლად).

„რამდენსამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდეც, თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება, მამის სახლი დაცარიელებული და დამწუხრებული დამხვდა, სადაც 28 დღე დავყავი, ვითომ აწეწილი საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი ვგონებ, სულ არა გამიკეთებია-რა. ღამე, მთვარის შუქზედ, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავს და წაველ კავკასიის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებული” (აღნიშნული წერილიდან).

კავკასიის ხაზზე პოეტი დიდხანს არ დარჩენილა. აქედან გაიგზავნა თავისი გადასახლების ადგილას — ქ. რიგაში, ნევის საზღვაო პოლკში (ვილნოს გუბერნია). უგზოობისა გამო იგი რუსეთში მიდიოდა ხან ურმით, ხან აქლემით, ხან ნავით. საუბედუროდ, მდ. დონიც ადიდებული დახვდა და კინალამ დაიღუპა. ნავი გადაბრუნდა, პოეტი დაღუპვას გადაურჩა ყაზახების წყალობით. აქ დაეკარგა მას თავისი დღიურის ნაწილი და რამდენიმე წიგნი, აგრეთვე მამაპაპეული, ზაქარია მოურავისეული ხმალი.

დიდი გაჭირვებისა და ჯახირის შემდეგ, 1834 წლის 2 მაისს, როგორც იყო პოეტმა ჩააღწია თავისი სამსახურის ადგილას, სადაც 3 წელი დარჩა. სამშობლოდან შორს ყოფნა ქართველი კაცისთვის ყოველთვის მძიმე ასატანი იყო. გაიხსენეთ:

თუ კაცს მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხო თემსა და მიწებსა,  
შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნალველად აღმოიწებსა.

ნოსტალგიით შეპყრობილი პოეტი 1835 წ. რიგაში წერს „ჩემს დას ეფემიას“. 1837 წ. საქართველოში დაბრუნდა. 1838 წ. სამსახურს იწყებს „საქართველოს გრენადერთა პოლკში“, რომელიც გორში იდგა. შეთქმულების შემდეგ რუსეთის სამსახურში ჩადგა, მის საქმეს აკეთებს, თუმცა ჰგონია, რომ ამით საქართველოს ემსახურება და კვლავ დიდი პატრიოტია. 1841 წ. იგზავნება თავის პოლკთან ერთად გურიის აჯანყების ჩასაქრობად. იგი, პოლკოვნიკ არლუთინსკის ხელქვეითი, ტყვეით უსწორდება აჯანყებულებს.

1843 წ. გრიგოლ ორბელიანი დანიშნეს ავარიის (დაღესტანი) მმართველად. აქედან 1858 წლამდე, ე. ი. მთელი 15 წლის განმავლობაში დაღესტანშია და ებრძვის შამილს.



მეფის რუსეთმა დაიწყო ჩრდ. კავკასიის ტომებში (ყაბარდო-ელეებში, ჩერქეზებში...) ქრისტიანობის გავრცელება, რაც ძალდატანებით და უხეში ფორმებით ხდებოდა. ეს გამოიყენა შამილმა. მთის ხალხს შეაძულა ქრისტიანობა და რუსები. შამილმა მისცა მთის ხალხს (ძირითადად დაღესტნელებსა და ჩეჩნებს) ახალი რელიგია, მებრძოლი ისლამი, ანუ მიურიდიზმი. მიურიდიზმის ლოზუნგი იყო ხოცვა-ჟლეტა ყველა ქრისტიანი-სა (განსაკუთრებით რუსისა).

შამილს კავშირი ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან – თურქეთთან, ირანთან, ინგლისთან, საფრანგეთთანაც. იღებდა მათგან დახმარებას — ფულს, იარაღს (ისინი, ცხადია, აქეზებდნენ). განსაკუთრებით საშიში გახდა შამილის ლაშქარი 1853-56 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს (ყირიმის ომში). დაღესტნიდან მომავალ შამილს უნდა გაეელო თბილისი, რომ შეერთებოდა დასავლეთ საქართველოდან მომავალ თურქეთის კორპუსს (ომერ-ფაშას). შამილმა მართლაც მიაღწია გარკვეულ წარმატებებს (ამ დროსაა, 1854 წ. წინანდლიდან ტყვეების გატაცება რომ მოხდა). „შამილმა ოფიციალურად მიიღო პორტისაგან (თურქეთისაგან) ჩერქეზეთისა და საქართველოს არმიის გენერალ-სიმუსის წოდება, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ შამილი თურქეთის ან ინგლისის აგენტი იყო (მაგ., 1853 წ. გამოვიდა კრებული: «Шамиль - советник султанской Турции и английских колонизаторов»). შამილს იმ ქვეყნებიდან მხოლოდ სამხედრო დახმარების მიღება უნდოდა (მიზანი ამართლებს საშუალებას). იმისათვის, რომ გაემხნეებინა მთიელები, შამილი განგებაც ავრცელებდა ხმებს, რომ კავშირი აქვს თურქეთის სულთანთან, ეგვიპტის ფაშასთან და სხვა, რომ მოელის მათგან დიდძალი ჯარით დახმარებას (ამით ზრდიდა თავის ავტორიტეტსაც). ზოგჯერ „შამილი თვითონ ადგენდა ყალბ წერილებს, ვითომ მიღებული აქვს თურქეთის სულთანისაგან და ეგვიპტის ფაშასაგან. ამ ყალბ წერილებს შამილი უგზავნიდა ყადებს და მოლებს. ისინი ამ წერილებს კითხულობდნენ ხალხში“. „შამილი განგებ ავრცელებდა ცრუ ხმებს, რომ თითქოს დაღესტანში მალე მოვა ეგვიპტის ფაშა

დიდალი ჯარით" (იხ. „მაცნე“, ისტ. სერია, 1981 წ. 3. ვალერიან ტარტარაშვილი).

შამილი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ლეგენდად იყო ქცეული. მასზე ინერებოდა ლექსები (ზოგი ხოტბითი, ზოგი სატირული). ახლაც ინერება ლექსები, მოთხრობები, პიესები. შესანიშნავია გ. კალანდაძის ლექსი „შამილი“.

**შამილ! ცეცხლად ამომტყდარი მთიდან,  
ელვიანი გრიგალი და დელგმა,  
მესამედი საუკუნე ღვრიდა  
მტრის სისხლსა და მთას გუშაგად ედგა.  
მაგრამ როცა ქარიშხალი მიწყდა,  
დაჭრილ ფოცხვერს მოუგრიხეს ქედი,  
მკერდში შერჩა დაღესტანის მინა  
და განწირულ მოძმეების ბედი.**

აკაკი წერეთელს აქვს ლექსი „შამილის სიზმარი“, რომელშიც პირდაპირ, არაორაზროვნადაა გამჟღავნებული შამილისა და თვით აკაკის ოცნება: „ლექებმა სისხლით შეღებეს ხელი, ველს ეფინება რუსების თავი“. პეტერბურგიდან გამოგზავნილი ეს ლექსი არ დაუბეჭდა „ცისკარში“ ივანე კერესელიძემ (გრიგოლ ორბელიანის უშუალო ჩარევით).

შამილისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიელთა მხარეზეა ალექსანდრე ყაზბეგის სიმპათია. „შამის მკვლელში“ ვკითხულობთ: „ხალხი კი შამილს უყურებდა როგორც ქომაგს, მსარჩლელს და თავდადებით იბრძოდა... სამშობლოს დასაცველად.“ იმავე მოთხრობაში, სხვა ადგილას: „ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩნისა და დაღისტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავგადადებული თავისა მოძმეთა გულისათვის...“ ყაზბეგს ეკუთვნის აგრეთვე გმირული პათოსით გამსჭვალული ლექსი „შამილს“.

გრიგოლ რობაქიძის ნოველაში „იმამ შამილი“ შამილი აღქმულია როგორც წინააღმდეგობისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლო.

შამილისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი ციკლი აქვს ტი-  
ციან ტაბიძეს.

**და როგორც ერთი ურჩი მიურიდი  
ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს  
შამილის ფაფარს და თეთრ ჭალარას  
აღუქსანდრეს წვერს დროშად ნაკერებს...**  
(პოემა „ჩალატარ“)

შამილის ბრძოლა მიჩნეულია დაღესტნის ეროვნულ-გამა-  
თავისუფლებელ მოძრაობად. ტარას შევჩენკო თავის დროზე  
მიესალმა მას:

**დიდება თქვენს ვაჟკაცობას, თოვლიანო მთებო!  
თქვენ – დიდება, არ დანებდეთ მოძალადე სვავებს,  
სიმართლე თქვენს მხარეზეა, შორეულო ძმებო,  
ზეცის მაღლი ეფინება თქვენს ჭალარა თავებს.**  
(პოემა „კავკასი“)

ტარას შევჩენკო თანაუგრძნობდა იმპერიის მიერ ჩაგრულ  
ხალხებს.

პოემა „კავკასი“ მიუძღვნა ნაცნობ მხატვარს იაკობ დე ბელ-  
მენს, რომელიც ჩერქეზებთან ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ მის  
სიკვდილში ბრალი დასდო არა კავკასიელ მთიელებს, არამედ  
თვითმპყრობელობას. შამილს დადებითად ახასიათებენ თვით  
მისი ტყვეები: ილია ორბელიანი, ანა დრანსე.

გრიგოლ ორბელიანი თავის საქციელს იმით ამართლებდა,  
რომ შურს იძიებდა ლეკებზე, თავის დროზე რომ გაანვალეს  
ერეკლე. ამ წლებში რელიეფურად გამოვლინდა გრიგოლ ორ-  
ბელიანის სამხედრო ნიჭი, ესაა მისი სამხედრო მოღვაწეობის  
საუკეთესო წლები, რაც სათანადოდ დაფასდა კიდეც. აქ მიიღო  
უამრავი ჩინი-წოდება, მედალ-ორდენი. როგორც სამხედრო  
პირი და სამსახურის მონა, იყო ძალიან მკაცრი, გულქვა (ავი-  
ღეთ ესა და ეს აული, გადავწვით, გამოვრეკეთ მოსახლეობა –

ქალი და კაცი – გაფუჭეთ...). საოცარია, რომანტიკოსი პოეტის სიტყვებია – და გაჩნდა მითი, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას შორის ხიდია ჩატეხილი. სინამდვილეში გრიგოლ ორბელიანი პირნათლად ასრულებდა დავალებას.

დალესტნის ბრძოლებში მიიღო გენერალ-მაიორობა, გენერალ-ლეიტენანტობა, გენერალ-ადიუტანტობა. უფრო გვიან (1861 წ. სამხედრო მოღვაწეობის 40 წლისთავზე) მიიღო ინფანტერის გენერლის ხარისხი (უმალღესი სამხედრო ჩინი).

1843 წლიდან, დალესტანში რომ დაინიშნა, 1860 წლამდე, ე. ი. მთელი 16 წელი პოეტობა შეწყვეტილი აქვს (1843 წ. დანერა 4 სტრიქონი: „ჰეი, გონებავ, დაივიწყე ჩემს სანუგეშოდ“, 1860 წ. – „დიმ. ონიკოვის დარდები“. ამ პერიოდში დანერა ერთადერთი ლექსი „მოგონება“ (1851 წ. წინანდალში). ე. ი. 1843-58 წწ. სამხედრო მოღვაწეობის საუკეთესო წლებია, მაგრამ აქ გამართლდა ძველი ლათინური თქმულება: „როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმან“. ესაა ვარიანტი ლათინური სენტენციისა: როცა ზარბაზნები ქუხან, კანონები დუმან. ეს ნათქვამი ცნობილია ციცერონის სიტყვიდან (ქრისტემდე 58 წ.), ხოლო როდის ნარმოიშვა ამის ვარიანტი და ვინ არის ავტორი, არ არის ცნობილი.

1858 წლის დამდეგს კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ გრიგოლ ორბელიანი გადმოიყვანა თბილისში და დანიშნა მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ. ეს იყო სამოქალაქო სამსახური. ამის შემდეგ სამხედრო სამსახურში არც ყოფილა.

1859 წ. 6 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანი ცოტა ხნით გაგზავნეს პეტერბურგში (იმპერატორმა, ალექსანდრე II ინება, რომ თავისი სრულწლოვანების აღსანიშნავ ზეიმზე ეხილა “კავკასიის ომის გმირი”). ორიოდე კვირის შემდეგ ალექსანდრე ბარიატინსკიმ ბრძოლით აიღო შამილის უკანასკნელი რეზიდენცია გუნიბი და დაატყვევა შამილი. ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ამით დამთავრდა კავკასიის დაპყრობა, ზოგის აზრით, დამთავრდა 1864 წ., როდესაც აფხაზეთიც შეუერთდა რუსეთს. პატიმარი შამილი პეტერბურგში გააგზავნეს. ნევის

პროსპექტის მაღაზიები გაივსო თურმე ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით.

და აი აქ, ჩრდილოეთის შორეულ ქალაქში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ გრიგოლ ორბელიანი და შამილი, ადამიანები, რომლებიც მთელი 15 წლის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდნენ.

„შამილი გავიცანი პეტერბურგში, - სწერდა გრიგოლ ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს, - კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძალიან გაოცებული იყო ყოველითა მით, რასაც ჰხედავდა... დიდი სიმწარით მიაშობო, რომ მილალატეს ყოველთა მათ, ვინც იყვნენ დაახლოვებულნი ჩემთან და ვინც ჩემს მფარველობის ქვეშ და ჩემის მოწყალებით ცხოვრობდნენო. იმათვე ამიკლეს სრულებით ისე, რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო“.

1859 წ. ოქტომბრის დამდეგს გრიგოლ ორბელიანი დაბრუნდა საქართველოში. მღეთის აღმართზე მას შეხვდნენ საქართველოდან პეტერბურგში მიმავალი ახალგაზრდები. მათ შორის ილია (ავადმყოფობის გამო დროებით საქართველოში მყოფი). ეს იყო ილიას მიერ გრიგოლ ორბელიანის პირველი ნახვა. „გრიგოლი ფეხით მოდიოდა, - უამბნია ილიას, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელებშემოწყობილი, პირ-მლიმარე, დაფიქრებული, ... ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისის ელემენტით, კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდული, აღტაცებული ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესაა, ამ დამშვიდებულ გულზე. ლექსს რასმე უნერს ამ მშვენიერს ბუნებასო!“ ეს იყო მეტად სიმბოლური შეხვედრა.

1864 წ. გრიგოლ ორბელიანი გლეხთა გათავისუფლების საქმეში აყენებდა ლიბერალურ-მემამულურ პროგრამას. ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა გათავისუფლების წინააღმდეგ არ გამოსულა (ბატონყმობის გაუქმებას მიემხრო), მაგრამ წინააღმდეგი იყო გლეხებისთვის მიწის უფასოდ გადაცემისა.

1865 წ. მთელი 5 თვე გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას. 1865 წ. 26-28 ივნისს თბილისში მოხდა ამქრების გამოსვლა. ეს აჯანყება გამონვეული იყო ახალი

გადასახადებით, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებს. ერევნის მოედანზე გამოვიდა 10 000-მდე კაცი, ისინი მოითხოვდნენ გადასახადების გაუქმებას. პოლიციამ ვერ შეძლო აჯანყებულთა გაფანტვა. მოედანზე გამოვიდა თვითონ გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ეგონა, რომ მისი ავტორიტეტი საკმარისი იქნებოდა ხალხის გასაფანტავად, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა, ხალხი უფრო აბობოქრდა.

„— შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასათვის ერთია“.... უთქვამს გრიგოლ ორბელიანს.

ასრულებდა რა თანამდებობრივ მოვალეობას, გრ. ორბელიანმა ამ დროს არასასურველი როლი ითამაშა, მისი ბრძანებით, ტყვია დაუშინეს შეუიარაღებელ დემონსტრანტებს. რითაც მან დაიმსახურა ნიკო ნიკოლაძის მკაცრი საყვედური და გულისწყრომა. „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ წერილში ნიკო ნიკოლაძე გრიგოლ ორბელიანს უწოდებს „ულტრა სენტიმენტალისტ ქართველ პოეტს და ზომიერად „მომეშჩანე“ რუს ვიცე-მეფისნაცვალს“, ხოლო მის მიმართეას ხალხისადმი უწოდებს „ბურტყუნს“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თერგდალეულთა წარმომადგენელმა გრიგოლ ორბელიანი ცუდად მოიხსენია. თერგდალეულები (აკაკის გარდა) მაღალ შეფასებას აძლევდნენ გრიგოლ ორბელიანის პოეტურ მოღვაწეობას, მაგრამ არ მოსწონდათ მისი სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისი. მაგ., მისი „ცოდვები“:

1. გურიის გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობა.
2. წლების განმავლობაში ებრძოდა შამილს, რომელიც იცავდა თავისი ხალხის ეროვნულ მეობას.
3. საგლეხო რეფორმის დროს დაკავებული პოზიცია.
4. 1865 წ. ივნისის გაფიცვის სისხლში ჩახშობა.
5. 70-იან წლებში მხარი დაუჭირა ახალ ადრესს (კადეტთა კორპუსის გახსნას).

1866 წლიდან გრიგოლ ორბელიანი სრულიად თავს ანებებს სამსახურს. 1871 წელს მას გადაუხადეს სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი, იმავე წლის 20 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც პირადად იცნობდა გრიგოლ ორბელიანს (საქართველოს რუსეთთან შეერთების 70 წლისთავ-

თან დაკავშირებით ჩამოვიდა). 21 სექტემბერს იმპერატორმა გრიგოლს პირადად მიულოცა და გადასცა იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. 22 სექტემბერს გაიმართა დიდი ნადიმი, სადილად 10 000 კაცი დაჯდა. 70 წელს მიწვეულმა პოეტმა კადრილი იცეკვა. მას მიჰყვა იმპერატორიც. 23 სექტემბერს იმპერატორი სანადიროდ წაიყვანეს, სადაც ტახი მოკლა. 24 სექტემბერს მუზეუმი და დანესებულებები დაათვალიერა და მერე ქუთაისის გზით ყირიმისაკენ გაემურა. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ქართველ კაცს გადაუხადეს იუბილე (ქართველ ინტელიგენციას ზეიმში მონაწილეობა არ მიუღია). ამ იმპერატორის ჩამოსვლასთანაა დაკავშირებული თაობათა ბრძოლა.

1878-79 წლებში გრიგოლ ორბელიანი აქტიურად მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების(ნ.კ.გ.) დაარსებაში. 1881 წ. ის თავმჯდომარეობს იმ კომისიას, რომელიც მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე (მისი მოადგილეები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი). 1888 წ. გამოვიდა კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა, ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით.

1883 წ. 80 წლის პოეტი წერს პატარა, 4 სტრიქონიან უაღრესად პესიმისტურ ლექსს, რომელშიც ღრმა გულისტკივილით გამოხატავს თავის უიმედობას:

**დავბერდი, ბედს ვერ მოვესნარ,  
დაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა,  
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.**

ალ. აბაშელი:

**გრძნობას უმწვავესს ვერ მოვიგონებ  
და მე არ ვიცი კიდევ სხვა ლექსი,  
როგორც ეს ოთხი მწარე სტრიქონი,  
გულის სიღრმიდან ამონაკუნესი.**

აღსანიშნავია, რომ ხანდაზმული პოეტი აღფრთოვანებით შეხვდა ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. „დროების“ ამიებზე, რომელ ჟურნალშიც იბეჭდებოდა ყაზბეგის ნაწარმოებები, გრიგოლ ორბელიანს მიუწერია: „ყოჩაღ, მოჩხუბარიძევ! ღმერთმა გაკურთხოს იმ გულის დატკობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამსა“. „ქართველთა ჰომეროსი“ უწოდა მწერალს, რომელიც მართლად, უტყუარად ასახავდა საქართველოსა და მთელი კავკასიის ტრაგედიას, ალტაცებით შეჰყურებდა შამილს, ვისაც წლების განმავლობაში თავგამოდებით ებრძოდა თავად გრიგოლ ორბელიანი. ასე რომ, ყაზბეგის შემოქმედებით აღფრთოვანება საკუთარი წარსულის ერთგვარ მონანიებად უნდა აღვიქვათ.

გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანი 1883 წლის 21 მარტს. დასაფლავებამ გრანდიოზული სახე მიიღო. შეიქმნა სპეციალური დამკრძალავი კომისია. კომისიაში შედიოდნენ როგორც სამხედრო პირები, ისე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ილია ჭავჭავაძე. კომისიის დადგენილებით, პანაშვიდი გადაიხადეს ანჩისხატის ეკლესიაში. ხოლო პოეტი დაკრძალეს ქაშუეთში, ძმების გვერდით. დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი ამბობდა: „მე არ მახსოვს და ვგონებ არც თქვენგანი ვინმე უნდა იყოს მომსწრე, რომ ვისმეს ამგვარი დიდებული გასვენება ჰღირსებოდეს საქართველოში“.

აღსანიშნავი იყო გვირგვინთა მრავალფეროვნება. „პირველად მიჰქონდათ ქალაქის ბაყლების (ხილით მოვაჭრეთა) გვირგვინი ზედ წარწერით:

„შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი — რომ აღგედგინა“.

მეორე გვირგვინი იყო სტამბის მუშებისაგან შემდეგი წარწერით:

„შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც,

არის სადმე სიმწართა ცხოვრება“.

მეცხრე — „შრომის“ რედაქციისაგან წარწერით:

„ლექსთა მეფეს“

მეთერთმეტე — „დროების“ რედაქტორისაგან წარწერით:

„მეფეს სიტყვისას“.



შემდეგ მოდიოდა გვირგვინები თავად-აზნაურთა, სამხედრო პირთა და სხვა. ყოველივე ამას მოსდევდა გარდაცვლილის ორდენები, რომლებიც ხავერდის 10 ბალიშზე ელაგა. პროცესიას წინ უძღოდა თეთრი დროშა, რომელზეც გამოსახული იყო ორბელიანთა საგვარეულო ღერბი.

იმპერატორმა ალექსანდრე III-მ გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე გამოავაზა დეკრეტი, რომელიც ლევან მელიქიშვილმა ხმამაღლა წაიკითხა: „ღრმად ვმწუხარებ ესრეთის კეთილშობილის და პატივსაცემი პირის სიკვდილით“.

სამხედრო პირები გრიგოლ ორბელიანს დასტიროდნენ, როგორც ნიჭიერ მეომარსა და სარდალს; ქართველი მოწინავე საზოგადოება კი — როგორც პოეტს, „ლექსთა მეფეს“, „მეფეს სიტყვისას“. ზოგი ვინმე ამბობდა, გრიგოლ ორბელიანის დამსახურება სიტყვაა და არა საქმეო. იმათ საპასუხოდ ილიამ თქვა: „მისი სიტყვაც თვითონ საქმეაო“.

ვახტანგ ორბელიანმა 1883 წელსვე დაწერა ლექსი „გრიგოლ ზურაბის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის გარდაცვალებაზე“:

**აღარ გყავს იგი, ვისაც გულით ჩვენ შევხაროდით,  
ვინც იყო ერთი, მარტო ერთი ჩვენი შევნება,  
ვისაც ციურის ლექსით, სიტყვით, აზრით ვტკბებოდით,  
ვინც იყო ჩვენის მამულისა, ერის დიდება.  
აღარ გყავს იგი, ის მოხუცი ტკბილი, მოძრავი  
მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე, კაცი გულწრფელი.**

ილია ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში გრიგოლ ორბელიანის პოეტურ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა:

„არა მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა, იგი იყო მწერა-

ლი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენნი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელი

იგი იყო კაცი, „ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკიცხვად, სულითა ნრფელი,

მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ“.

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“,

იგი იყო კაცი, რომელიც

„დაჰნატროდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა

მამულისადმი გულს აღბეჭდილად“,

იგი იყო კაცი, რომელმაც ღალადებით წარმოსთქვა:

„იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,

არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“,

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

„რომ ჩვენ განვახლდეთ,

სულით ავმაღლდეთ —

და განქრეს ბნელი უმეცრებისა“.

შენ აღარა ხარ და შენს საყვარელ საქართველოს გულში ჩასწყდა კიდევ ერთი ძარღვიცა. ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერარას არგებს მამულსაო, — სთქვი შენ.

ჩვენ მაგას შენზედ ვერ ვიტყვით.

შენ განვლე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი. შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილს, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყავდა და იმავე დროს იგლოვებს კიდევ, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები“.

ეს სიტყვა ნიკოლოზ კანდელაკმა შეიტანა ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშებში.

აკაკი განერელია გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებას ჰყოფს 3 პერიოდად:

1. 1833 წლამდე.

2. 1833-1858 წლები.

3. 1858-1883 წლები.

ამასთან აიგივებს შემოქმედების პერიოდებსაც.

მიხეილ გაფრინდაშვილს ცხოვრების დაყოფა პერიოდებად გამართლებულად მიაჩნია, შემოქმედებისა — არა.

## პატრიოტიზმი

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც მთავარი, ძირითადი მოტივი, თემა არის ეროვნული, პატრიოტული. გასაგებიცაა, ჩვენი რომანტიზმი სწორედ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული და ამიტომაცაა ეროვნულ-პოლიტიკური მოტივი მისი ერთ-ერთი მახასიათებელი. საერთოდ, პატრიოტული მოტივი ქართული მწერლობისათვის ძირითადია. ეს განაპირობა იმან, რომ ქართველი ხალხი განუწყვეტლივ თავდაცვით ომებში იყო, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ასაზრდოებდა ქართველთა პატრიოტიზმს, რაც თავს იჩენდა ლიტერატურაში. სულ მუდამ სამშობლოზე ფიქრი ქართველს უმახვილებდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობას.

როგორც ვიცით, გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული გახლდათ როგორც ორგანიზაციულად, ასევე იდეურად! შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ პატრიოტი პოეტი რუსეთის სამსახურში დგება, მას ემსახურება სიტყვით და საქმით, წარსულის მოგონებას ფუჭ საქმედ მიიჩნევს.

გრიგოლ ორბელიანმა, ისე როგორც მისმა თანამოკალმეებმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ალექსანდრე ორბელიანმა, ვახტანგ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა, მწვავედ განიცადა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, დაცემა ერეკლეს დროინდელი საქართველოსი. ეს განწყობილება კარგად ჩანს შემდეგ ნაწარმოებებში: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, „იარალის“, „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰე ივერიაჲ“ და კონდრატე რილევივიდან ნათარგმნი „ნალივიაკოს აღსარება“.

ამ ნაწარმოებებში კარგად ჩანს პოეტის დიდი პატრიოტიზმი, მისი ოცნება და რწმენა, იდეალი — იხილოს სამშობლო თავისუფალი. ჩანს პოეტის ორგანიზაციული და იდეური კავშირი შეთქმულებასთან.

„მგზავრობა ჩემი...“ არის მოგზაურობითი ჟანრის პროზაული თხზულება (ამ ჟანრს ჩვენში სათავე დაუდო სულხან-საბა ორბელიანმა). გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ვიცით, რუსეთში იმოგზაურა 1831 წელს. თბილისიდან გავიდა 9 ივნისს, მიდის სამხედრო გზით, გაიარა სტავროპოლი, მოსკოვი და პეტებურგში ჩავიდა ნოემბერში (თითქმის ნახევარი წლის შემდეგ). იქ დარჩა 4 თვე, რის შემდეგაც (1832 წლის თებერვალში) ის მიემგზავრება ნოვგოროდში. და აი, უშუალოდ მგზავრობისას და აგრეთვე რუსეთში ყოფნის დროსაც აწარმოებდა დღიურებს (საერთოდ უყვარდა დღიურების, წერილების წერა). ამ დღიურის ერთი ნაწილი, სადაც აღწერილია შთაბეჭდილებანი სტავროპოლამდე, გრიგოლ ორბელიანს ლიტერატურულად დაუშუშავებია. 1833 წ. მარტში, ნოვგოროდში, როგორც ვიცით, პოეტი გაჩხრიკეს, ჩამოართვეს ხელნაწერები, მათ შორის — დღიურიც. გამოძიების დამთავრების შემდეგ ის გადაეცა ჟანდარმთა სამმართველოს არქივს და ამის მერე თითქმის მთელი საუკუნე უცნობი იყო. ავტორს ჩამორთმევის შემდეგ მისთვის თვალი არ მოუკრავს, ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგა. „შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია, და დღესაც დაკარგულად ვთვლი ამ წიგნებსა და დღიურებს“ (გრიგოლ ორბელიანის ნათქვამი, იხ. „ლიტერატურის მათიანე“ 1-2, გვ. 385) მიუხედავად იმისა, რომ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მაინც ვერ მიაღწია სანადელს.

მხოლოდ 1928 წ. მიაკვლია „მგზავრობას“ პავლე ინგოროყვამ და დაბეჭდა პირველი ცნობები მასზე და ნაწყვეტი იქიდან იმავე წელსვე (ჟურნალში „ქართული მწერლობა“ 6-7). 1940 წ. მანვე დაბეჭდა „მგზავრობის“ სრული ტექსტი („მნათობი“ 2).

1831 წელი, როდესაც გრიგოლ ორბელიანს აღნიშნული მგზავრობა მოუხდა, არის 1832 წლის შეთქმულების წინა წელი. ამ ხანებში მიდიოდა გაცხოველებული მზადება შეთქმულები-

სათვის და აი, გრიგოლ ორბელიანის დღიურში, როგორც მოსალოდნელია, ასახულია ავტორის დიდი პატრიოტიზმი, მისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ჩანს პოეტის ორგანიზაციული და იდეური კარშირი შეთქმულებასთან.

1. პოეტი გულისტკივილით ეთხოვება სამშობლოს. ეს განშორება მასში ინვესს დიდ მწუხარებას (ასე ემართებოდა ყველა დიდ პატრიოტს, მაგ. ილიას, აკაკის...). აი, პოეტი მივიდა მცხეთას (საქართველოს ძველი დედაქალაქი). ამ ისტორიული ქალაქის ნახვა, განსაკუთრებით სვეტიცხოვლისა, სადაც დაკრძალულნი არიან ჩვენი მეფეები, პოეტში აცოცხლებს მოგონებებს.

„დაფიქრებული მივედი მცხეთას, დღე იყო მოღრუბლული, ვითარცა გული ჩემი, რომელიცა გამოფხიზლდა ვიხილე რა შორით მცხეთისა მონასტერი (სვეტიცხოველი). ესე არს დიდებული და უწმინდესი ძეგლი ივერიისა, მონმე ივერიის წარსული დიდებისა, შემცველი მეფეთა საფლავთა“.

პოეტი შედის სვეტიცხოველში, სხვა საფლავთა შორის აქ შენიშნავს ერეკლეს საფლავს (ერეკლეზე ხომ რომანტიკოსები ფანატიკურად არიან შეყვარებულნი). ერეკლე მეფე შეთქმულთათვის იყო სიმბოლო დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსი, მით უფრო გრიგოლ ორბელიანისათვის, რომელიც ერეკლეს სისხლით ნათესავი იყო. როგორც მოსალოდნელია, ერეკლეს საფლავის ნახვამ პოეტზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. წარმოიდგინა, რომ ერეკლესთან ერთად დამარხულია ივერიის დიდება. პოეტს ცრემლები მოერია.

„უნებლიედ გადმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომლისა-თანა არს დამარხული დიდება, ყოველი კეთილი ივერიისა“ (ეს სტრიქონები გვაგონებს ადგილს „სადღეგრძელოდან“, სადაც პოეტი ერეკლეზე ამბობს „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“).

გრიგოლ ორბელიანი თანდათან შორდება საქართველოს საზღვრებს და გული ეკუმშება.

„აღვედი ჯვართან... და უნებლიედ შემოვხედე საქართველოს, თვალთათვის დაკარგულს, ხოლო გულისთვის მარად გა-

ნუშორებელს”. იქ ჯვართან, პოეტმა ღვინით სავსე ჭიქით საქართველოს და მეგობრების სადღეგრძელო დალია.

2. დღიურში მეტად საყურადღებოა დასაწყისი, სადაც პოეტი ლაპარაკობს იმ გულითად, ჭეშმარიტ მეგობრებზე, რომლებიც შეიკრიბნენ ჩუმად მის გასაცვილებლად. ესენი იყვნენ შეთქმულნი. მათ გამაცვილეს ვერამდისო. „აქ გადმოხტნენ დროშკით და გამომესალმნენ. გული ჩემი შეინროვდა, თვალნი აღმევსენ ცრემლით, რა მესმა მეგობართაგან უკანასკნელი სიტყვა – მშვიდობით – რა მოვიხედე და ვიხილე თავი ჩემი მარტოდ დაშთენილი”.

„ვაკურთხებ იმ ხვედრს, რომელმაც შეგვყარა ჩვენ განუწყვეტლითა მეგობრობისა ჯაჭვითა”. შეთქმულებმა პოეტს მისცეს დავალება. 1. გრიგოლ ორბელიანი უნდა შეხვედროდა და მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთში (პეტერბურგსა და მოსკოვში) ბატონიშვილებთან და მართლაც დადასტურებულია, რომ გრიგოლ ორბელიანი შეხვდა ბევრ მათგანს – ფარნაოზს, ოქროპირს, დიმიტრის – შეთქმულთა იდეურ ხელმძღვანელებს. ამიტომაც ეკითხებოდა ორლოვი – იცნობთ თუ არა ამ პირებსო.

2. გარდა ამისა, ჰქონდა სამხედრო დავალება. გზადაგზა უნდა აღენერა, თუ სად რუსეთის რამდენი რეგულარული ჯარი არის დაბანაკებული და რა ხასიათის იარაღი აქვს მას. პოეტი რუსეთში მიდიოდა დარიალის ანუ საქართველოს სამხედრო გზით. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა და ამიტომ ამ მიდამოებს შეთქმულთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გრიგოლ ორბელიანი ამ დავალებასაც პირნათლად ასრულებს. დღიურში უხვად იძლევა სამხედრო ხასიათის ცნობებს. პოეტს აინტერესებს რუსეთის ჯარების დისლოკაცია (განლაგება), მათი შეიარაღება და სხვ. პავლე ინგოროყვამ შენიშნა, რომ ასეთი ცნობების ჩანერას გრიგოლ ორბელიანი ახდენს არა მთელი მოგზაურობის მანძილზე – თბილისიდან პეტერბურგამდე, არამედ გარკვეულ მონაკვეთზე – საქართველოს სამხედრო გზაზე (დუშეთი, ფასანაური, კაიშაური, კობი, ყაზბეგი,

დარიალი, ლარსი, ვლადიკავკაზი). ეს გასაგებიცაა, შეთქმულებს სწორედ ეს რაიონები აინტერესებდათ.

როგორც ცნობილია, შეთქმულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დარიალს, ისინი აპირებდნენ დარიალის ჩაკეტვას, რათა იქიდან რუსეთს ჯარის შემოყვანის საშუალება წართმეოდა. გრიგოლ ორბელიანი სტრატეგიული თვალსაზრისით აკვირდება დარიალს და არა ესთეტიკური ტკბობისათვის, მას დარიალის სილამაზე კი არ აინტერესებს, არამედ თავისი მიზანი აქვს. ერთგან, თითქოს სხვათა შორის, შენიშნავს: „არა ვითარსამე ძლიერს ჯარსა ვერ ძალუძს გადმოსვლა ამა მათათა ზედა უკეთუ წინააღუდგების მას გინა ფრიად მცირედი ჯარი. მისასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიად ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიხოცების: ჩასჭრას ორსა ანუ სამსა ადგილსა გზა, რომელსაც მყისვე დაჰფარავს თერგი“. ეს უფრო ადვილი იქნებოდა ზამთარში, და ამიტომაც დანიშნეს აჯანყება ზამთრისთვის. ამ ცნობებს, პავლე ინგოროყვას ვარაუდით, გრიგოლ ორბელიანი აწვდიდა თბილისში შეთქმულთა კომიტეტს სანდო პირთა საშუალებით.

დღიურის ამ პასაჟებს, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია საგამომძიებლო კომისიამ. ჩათვალეს, რომ ავტორი მხოლოდ პროფესიულ ინტერესს იკმაყოფილებდა. მხოლოდ პავლე ინგოროყვას მახვილგონივრულმა დაკვირვებამ გახადა ნათელი ჩვენთვის გრიგოლ ორბელიანის მიზანი. როსტომ ჩხეიძეს სარწმუნოდ მიაჩნია, რომ გრიგოლისთვის ეს ხერხი (დღიურების წარმოება, მხატვრულ-დოკუმენტური თხრობა) ალექსანდრე ორბელიანს შეეთავაზებინა ნამდვილი განზრახვის დასამალად.

დღიური მთავრდება პოეტის დიალოგით ქართველ გენერალ ივანე აფხაზთან. ამ გენერალს პოეტი შეხვედრია ქ. სტავროპოლში (ის პასკევიჩის განვევით მიდიოდა პოლონეთში აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა). დღიურის საუკეთესო ნაწილს სწორედ ეს დიალოგი წარმოადგენს. ივანე აფხაზისა და გრიგოლ ორბელიანის საუბარი შეეხება საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და მის

მომავალს. საუბარია კერძოდ იმაზე, შეუძლია თუ არა საქართველოს, იარსებოს დამოუკიდებლად, თუ ის რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს. და აი, აქ ერთმანეთს ეჯახება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ივანე აფხაზი ფიქრობს, რომ საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, იგი რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გახდება თურქეთისა და სპარსეთის ლუკმა. რუსეთის წასვლა საქართველოდან გამოიწვევს შიგნითაც არეულობას, განხეთქილებას. საქართველო ჯერ ეკონომიკურად მოლონიერდეს, გაძლიერდეს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ფიქრი დამოუკიდებლობაზეო.

სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას გრიგოლ ორბელიანი. მისი აზრით, საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. თურქეთი და სპარსეთი ისეთი არ არიან, როგორც წინათ იყვნენ. გარდა ამისა, საქართველო დამოუკიდებლად უფრო მალე გაძლიერდება ეკონომიკურადაცო.

ამიტომაც საგამომძიებლო კომისიას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია დღიურისათვის. გრიგოლ ორბელიანმა აღიარა, რომ შეხვდა ივანე აფხაზს სტავროპოლში და ჰქონდა მასთან ასეთი საუბარი, მაგრამ თავის მართლების მიზნით დასძინა: ადრე მე თვითონ მქონდა კამათი სხვებთან (ალექსანდრე ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან – შეთქმულების მეთაურებთან) იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია და რომ უფრო დავრწმუნებულიყავი ჩემი აზრის სიმართლეში, შევეკითხე გენერალ ივანე აფხაზს. მისი პასუხის შემდეგ უფრო დავრწმუნდი ჩემი აზრის სისწორეშიო.

ე.ი. ივანე აფხაზთან განგებ საწინააღმდეგო პოზიცია დავიკავე, რათა შემემოწმებინა ჩემი აზრის სისწორეო (შდრ.: ილიამ რომ ლელთ ღუნიასთან საუბარში პოზიცია დაიკავა).

მე-19 საუკუნეში საქართველოში ეს ორი შეხედულება არსებობდა, ამის ანარეკლია ეს დიალოგიც. საქართველოს პოლიტიკურ ბედზე საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, ილიას „მგზავრის წერილებში“, ალექსანდრე ყაზბე-



გის „ელგუჯაში“ (ოღონდ აქ ეს საუბარი გაშუალებულია მოციქულებით).

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი...“ წარმოადგენს დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშს ქართულ ლიტერატურაში.

დღიური შესანიშნავია მთის პეიზაჟების აღწერით. ეს ადგილები ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის პოეტურ სტრიქონებს, სადაც აღწერილია კავკასიის მთები, თერგი და სხვა. გრიგოლ ორბელიანმა შესანიშნავად აგვიწერა კავკასიის ბუნება, კერძოდ, დარიალის მისადგომები. თუმცა ის მას აინტერესებდა, როგორც სტრატეგიული პუნქტი და არა როგორც ესთეტიკური ფენომენი (შემდეგ კავკასიის ბუნება გვიჩვენა ალექსანდრე ჭავჭავაძემ „კავკასიაში“, აქაც უფრო პოლიტიკური კუთხითაა დახატული. როგორც ესთეტიკური ფენომენი, გაჩნდა 40-იან წლებში — „სალამო გამოსაღმებისა“). დარიალის ხეობა, მშფოთვარე თერგი და სხვა რუსულ ლიტერატურაში შემოიყვანა ჯერ კიდევ გრიბოედოვმა — „მგზავრის წერილებში“ („Путевые записки“, 1818-19 წწ.), მერე პუშკინმა, ლერმონტოვმა და სხვებმაც აღწერეს.

გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება რუსეთისადმი, მისი ოცნებები კარგად ჩანს არა მარტო ამ დღიურში, არამედ პოეზიაშიც (როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ლექსებში). განსაკუთრებით აღსანიშნავია: „იარალის“, „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰე, ივერიაჲ“. სამივე ლექსი დაწერილია 1832 წელს. ეს უშუალოდ შეთქმულების ხანაა. სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რომ ამ ლექსებით გრიგოლ ორბელიანი წარმოგვიდგება, როგორც რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი, მგზნებარე პატრიოტი.

„იარალის“ დაწერა ნოვგოროდში, 1832 წლის 8 მარტს. ლექსი განმსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებითა და პოლიტიკური ტენდენციით. მაგრამ სანამ ამ საკითხებს შევეხებოდეთ, მანამ ორიოდ სიტყვა ლექსის ადრესატის შესახებ. როგორც სათაურიდან და შინაარსიდანაც გარკვეულად ჩანს, ლექსი მიძღვნილია კონკრეტული ადამიანისადმი, ეს არის

იარალი შანშიაშვილი. იგი იყო პოეტი, იმპროვიზატორი, მეჭიანურე, მეთარე. იარალი იყო ქართველ მეფეთა (ერეკლე II და გიორგი XII) კარის მგოსანი (ჩვენ ვიცით, რომ მეფეებს ჰყავდათ კარის მგოსნები, მომღერლები, დამკვრელები, მეზღაპრეები და სხვანი). როდესაც მეფობა მოისპო, კარის მგოსნები მიეკედლნენ ბატონიშვილებს, იარალი მიჰყვებოდა ფარნაოზს. ეს ის ფარნაოზია, რომელიც რუსებმა დიდხანს ვერ ჩაიგდეს ხელში. მონანილეობდა 1804 წ. აჯანყებაში და ამის გამო გადაასახლეს ვორონეჟში. სასჯელის მოხდის შემდეგ ფარნაოზ ბატონიშვილი ცხოვრობდა პეტერბურგში. მასთან იმყოფებოდა იარალი შანშიაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, იქაც თავის მოვალეობას ასრულებდა, უკრავდა თარსა თუ ჭინაურზე და ზედ ამღერებდა, ართობდა ბატონიშვილებს.

როგორც ვიცით, 20-იანი წლების დამლევებიდან რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა შორის მომნიჭებული იყო შეთქმულების იდეა. ბატონიშვილები ხშირად მსჯელობდნენ ამ საკითხზე. ამ შეკრებებს, როგორც ჩანს, დროდადრო იარალი შანშიაშვილიც ესწრებოდა, ასე რომ, მან ზოგი რამ იცოდა შეთქმულების შესახებ. როცა გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგში ჩავიდა (1831 წ. ნოემბერს), იარალიც იქ იყო. გრიგოლი გაცნობია და დამეგობრებია იარალის (ეს მოხდა ფარნაოზ ბატონიშვილის ბინაზე). გრიგოლ ორბელიანისა და იარალი შანშიაშვილის საუბრებს, რომელიც საქართველოს წარსულსა და მის იმდროინდელ მდგომარეობას შეეხებოდა, ღრმა შთაბეჭდილება დაუტოვებია პოეტზე. სწორედ ამ საუბრების შედეგს წარმოადგენს ლექსი „იარალის“, დაკითხვის დროს საგამომძიებლო კომისიას გრიგოლ ორბელიანი პასუხობდა: „არ უარვყოფ, რომ მე დავწერე ლექსი იარალი შანშიაშვილისადმი, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილთან გავიცანი. ჩვენი ნაცნობობის ნიშნად დავწერე ეს მიძღვნა მისადმი“.

ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა შორის. პირველად დაიბეჭდა 1858 წ. „ცისკარში“ (10), ე.ი. დაწერიდან 26 წლის შემდეგ.

გრიგოლ ორბელიანმა „იარალის“ ნოვგოროდიდან პეტერბურგში გაუგზავნა ორ ადამიანს: თვითონ იარალი შანშიაშ-

ვილს და ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს სალომეს (იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა). 1832 წ. 15 მარტს სალომე სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „თქვენი წიგნი (ე.ი. წერილი) და მშვენიერი ლექსი, ჩემთან და იარალისთან წარმოგზავნილნი, მივიღე. ისე ღმერთმა შენ გაცოცხლოს, შენმა მშვიდობის ამბავმა ჩვენ ყველანი გვასიამოვნა და ძვირფასთ ლექსთ ჩვენ დაგვატკბეს“.

სალომე ჭავჭავაძე 1832 წელსვე პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა, თან ჩამოიტანა გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ლექსი და მათ შორის „იარალის“. შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, ვახტანგ ორბელიანი, დაკითხვისას უჩვენებდა: „გრიგოლ ორბელიანის ლექსი სათაურით „იარალისადმი“ წასაკითხად გადმომცა გენერალ — მაიორ თავად ჭავჭავაძის მეუღლემო“.

ლექსი ფართოდ იყო გავრცელებული შეთქმულთა შორის, ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს გასაგებიცაა, მასში გადმოცემულია სწორედ ის იდეები, რითაც შეთქმულნი სულდგმულობდნენ. არის ცნობა, რომ შეთქმულნი ამ ლექსს ხმამაღლა კითხულობდნენ თავიანთ შეკრებებზე. ბევრ შეთქმულს გაჩხრეკისას აღმოაჩნდა ეს ლექსი. ასე რომ, თვითონ ავტორი აქ არ იყო, მაგრამ მისი საქმე და უფრო მეტიც ამ ლექსმა შეასრულა. ის ეხმარებოდა შეთქმულებს მამულის დახსნის საქმეში (ასეთია საერთოდ პოეზია, ხელოვნება, მას აქვს დიდი ზემოქმედებითი ძალა).

სხვათა შორის შეთქმულთა საქმის გამო ეჭვით პასუხისგებაში იქნა მიცემული თვითონ იარალი შანშიაშვილიც. საგამომძიებლო კომისიას მან არასწორი ცნობა მისცა: „თუმცა თავად გრიგოლ ორბელიანს ვიცნობ, მის ლექსზე „იარალზე“ არაფერი გამიგონიაო“. მას დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს (40-იანი წლების ბოლოს კიდევ ცოცხალი ჩანს. გარდაიცვალა ამის მერე პეტერბურგში).

„იარალის“ დანერვილია ეპისტოლური ფორმით.

ლექსში გადმოცემულია გრიგოლ ორბელიანის იმდროინდელი განცდები (რაც ექნებოდა 1832 წ. ნოვგოროდში მყოფს). სამხრეთელი კაცი ვერ შეეგუა ჩრდილოეთის წყვიდადს, იქაურ ყინ-

ვებს, ჰაერს... ამას ისიც ემატებოდა, რომ აჯანყების დროს სამშობლოში უნდოდა ყოფნა და ძლიერ განიცდის საქართველოდან მოშორებას (ამას, სხვათა შორის, მწვავედ განიცდის ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, აქვთ ერთგვარი ნოსტალგია). თავის კერძო ბარათებში პოეტი ჩივის იმის შესახებ, რომ ბედმა იგი გადახვენა შორს, ჩრდილოეთში, ენატრება მშობლიური ცა... „თუმცა მწყინს ძალიან აქ დაშთენა, მარამა რა ვქნა, უნდა მოთმინებითა ვსძლიო ბედი ჩემიო“, — წერდა ის ერთ წერილში. ანალოგიური განცდებია გადმოცემული ლექსში „იარალის“:

**გარდმოხვენილმან ჩრდილოს წყვდიადსა  
სადღა იხილოს ცა მშობლიური?  
შენ ხარ პეტერბურლს, მე ნოვგოროდსა,  
გარეთ მკლავს ყინვა და შინ უგარი.  
გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი  
წარსულნი ნეტარებისა.**

პოეტი გულით ნატრობს იმ დროს, როდესაც თავის მეგობარ იარალისთან ერთად კიდევ ეღირსება საქართველოში, მწვანე ველზე ჯდომა და მამა-პაპურად მოლხენა.

**ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს  
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,  
ჩვენებურადა,  
ძველებურადა,  
ვსვამდეთ,  
ვიძახდეთ,  
იარი — არალი!**

(სხვათა შორის, ნოვგოროდში დაწერა ოცი დღის შემდეგ, 28 მარტს, „გაზაფხული“, პესიმისტური ლექსი, სადაც მშობლიურ გაზაფხულს ნატრობს).

ლხინი და ქეიფი პოეტისათვის თვითმიზანი კი არ არის, როგორც ეს ზოგ ვინმეს და მათ შორის აკაკი წერეთელს ეგონა და

ამ ლექსში „კუჭის პატრიოტიზმს“ ხედავდა. ამ ლხინის ფონზე პოეტი იგონებს საქართველოს გამირულ წარსულს, იგონებს იმ დროს, როცა ქართველები ვაჟკაცურად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად:

**შენ მომიტხრობდე,  
მე ყრმა გისმენდე,  
გამოუცდელი მოხუცებულსა,  
თუ ვით ივერნი,  
ლომგულნი გმირნი  
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.**

ძველად საქართველო იყო დამოუკიდებელი. ქართველს, დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, მოხუცსა და ახალგაზრდას მამულისა და სარწმუნოების სიყვარული ძვალსა და რბილში, სისხლში ჰქონდა გამჯდარი. მამულისთვის სიკვდილი არავის ეზარებოდა, იმიტომ, რომ ის იცავდა თავისას, მშობლიურს, ღვიძლს, საკუთარს. ამიტომ გვეყვანან გმირები, სახელოვანი მამულიშვილები. პოეტი დანატრის იმ ძველ გმირებს, მამულისთვის თავგანწირულთ:

**დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა  
შეჰსწირა მსხვერპლად,  
დავნატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა მამულისადმი  
გულს აღბეჭდილად.**

შემდეგ პოეტი აგვიწერს სპორტულ შეჯიბრებებს წარსულში, ყაბახს (ანინდელი „დედაენის“ ბალთან, იქ იმართებოდა სპორტული სანახაობანი: ჯირითი, ცხენთა გრიალი...), საჯირითო მოედანს, ჯირითს, მიზანში სროლას და სხვ. („ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი“). ამ სურათებს შორიდან უყურებს მეფე ერეკლე. წარსულ გამირთაგან აქ სახელდებულად ნახსენებია მხოლოდ ერთი — ერეკლე, ყველა რომანტიკოსის საყვარელი მეფე, სიმბოლო დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოსი. ესაა მეფე:

ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს,  
ვისთვისაც ვჰსტირით.

მაგრამ ყველაფერი ეს წარსულში იყო, ამჟამად კი ამ დიდებული წარსულის ნაცვლად შევყურებთ უფერულ ანმყოს.

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლი კეთილი თანა წარიღეს“

ვინ არის დამნაშავე, რომ საპნის ბუშტივით გაქრა ძველი დიდება და მის ნაცვლად უფერული ანმყო შეგვრჩა ხელთ? ცხადია, რუსეთი. პოეტი რუსეთის თვითმპყრობელობას ვეშაპს ეძახის და ნატრობს გმირს, რომელიც ამ ვეშაპს ძირს დასცემს:

ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯვენით  
ერთისა დაკვრით  
უსულოდ ვეშაპს ძირსა დასცემდეს?

პოეტის ეს ოცნება იყო პირდაპირი ანარეკლი 1832 წლის შეთქმულთა იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულებისა. შეთქმულები სწორედ ამ ვეშაპის, რუსეთის ძირს დაცემას აპირებდნენ. მაგრამ პოეტს ეჭვი ღრღნის, ასრულდება ეს ნატვრა? აღჩნდება კი ასეთი გმირი?

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,  
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!  
სად აზარფეშა, სად არს მწვანელი?  
ღვინის წილ კვასი, მზისა წილ-ყინვა!

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი აქ პირდაპირ იძლევა ეროვნული გმირის მოსვლის მოტივს, გმირისა, რომელიც იხსნიდა სამშობლოს. ასეთი, სამშობლოს მხსნელი გმირები საქართველოს უნინ ჰყავდა (ამ გმირებს პოეტმა ხოტბა შეასხა

„სადღეგრძელოში“: „გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა, თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინების, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდების“). და ახლაც მათ დანატრის პოეტი: „დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,“ და მოელის ახალ გმირს, ვინც ვეშაპს გააფრთხობინებს სულს.

როგორც ცნობილია, ეროვნული გმირის ძიების მოტივმა შემდეგ, 60-იან წლებში როდესაც ფართოდ გაიშალა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, დიდი პოპულარობა მოიპოვა. ილია: „ბაზალეთის ტბა“, „აჩრდილი“: „მაგრამ, მამულო, სად არის გმირი?“ აკაკი, „ჭალარა“: „გმირებს უძახის, უყვივის ჩემი დაფი და ნალარა“, ვაჟა „კაი ყმის“ მაქებარ-შემამკობელი, ალექსანდრე ყაზბეგი, სხვები.

გრიგოლ ორბელიანი პირველი ქართველი პოეტია, რომელსაც ეროვნული გმირის ძიების მოტივი შემოაქვს ლიტერატურაში. გმირი იყო არა მარტო ის, ვინც მამულს იცავდა ხმლით (ბრძოლის ველზე), არამედ ისიც, ვინც მამულს იცავდა სხვა გზით, მაგ., კალმით. გმირები იყვნენ მთანმინდელები, შოთა, გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები. ზოგჯერ კალამი უფრო მეტსაც კი აკეთებს, ვიდრე ხმალი (რუსეთს „შიშის ზარს სცემდა პოეზია უფრორე მეტად, ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის“). ასეთი როლი შეასრულა ლექსმა „იარალის“, რომელიც 1832 წ. 8 მარტს დაინერა ნოვგოროდში და ივნისში უკვე თბილისში ჰქონდათ შეთქმულებს. მთელი 26 წელი ხელნაწერად ვრცელდებოდა (პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1858 წ.). ლექსი ძლიერ პოპულარული იყო და გასაგებია, რომ გენერალ-ადიუტანტი ორლოვი ჩვენების ჩამორთმევის დროს ავტორს სწორედ ამ ლექსის შესახებ ეკითხებოდა: „იარალი თქვენ დაწერეთ? რა გინდოდათ გამოგეხატათ ამით?“ აქ ზედმეტი არ იქნება, აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი. 1833 წელს, როცა გრიგოლ ორბელიანი თბილისის ყაზარმებში იჯდა, კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეებმა ნიკოლოზ ბარათაშვილის მონაწილეობით გამოსცეს ხელ-

ნაწერი აღმანახი, სადაც ხელმოუწერლად შეიტანეს ლექსი „იარალის“. ეს იყო ამ ახალგაზრდების დიდი პოლიტიკური რისკი, გამბედაობა. ეს იყო მათი მხრივ თანადგომა მარტო გრიგოლ ორბელიანისადმი კი არა, არამედ საერთოდ შეთქმულთადმი.

ლექსი „იარალის“ ერთგვარი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა პოეტებისათვის. მაგ., ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები: „ძია გ...სთან“ („ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი“...) და „ღამე ყაბახზედ“. როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ ორბელიანი ვრცლად აგვიწერს საჯირითო-საასპარეზო მოედანს — ყაბახს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებშიც სწორედ ამ ადგილზეა საუბარი. ბარათაშვილს ეს ლექსები დაუწერია 1836 წ. ზაფხულში. 1837 წ. თებერვალში ის თავის ბიძას უგზავნის წერილს, რომელშიც აღნიშნავს:

„ამ წარსულს ზაფხულში, ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც, მისმან შვენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელეზრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატყბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“. და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევ აღვასრულე, მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“.

ამას მოსდევს ლექსები „ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“.

ლექსი „იარალის“ არის ერთ-ერთი პირველი ლექსთაგანი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც ნათლადაა გადმოცემული პატრიოტიზმი, მამულის ტრფიალების გრძნობა. ალექსანდრე ხახანაშვილი აღნიშნავდა ამ ლექსის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მისი სიტყვებია: „სწორედ ამ ლექსით იწყება ჩვენი პატრიოტული ლირიკა, მამულისადმი სატრფიალო გრძნობა“.



ლექსში „მისი სახელი კიცხვითა“ გრიგოლ ორბელიანი ქადაგებს რუსეთის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. ქართველებო, მამულის დახსნის დღეა და არ დავზოგოთ სიცოცხლე მისთვისო:

**მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,  
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი  
არ ჰგრძნობდეს,  
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს  
კი ჰზოგავდეს.**

ეს სტრიქონები იწერებოდა აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე. გასაგებია ლექსის მიზანი და დანიშნულება: ესაა, მონო-დება.

შდრ. ილია:

**მამულის დახსნის არ მდომი თავის თავისა მგმობია  
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს ომში სიკვდილი სჯობია!**

აკაკი: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

„ჰე ივერიაჲ!“ დაწერილია იმავე 1832 წ. ამ ლექსში პოეტი ამბობს, რომ ჩვენთვის აღარ არსებობს თავისუფლება, ჩემს მამულს დაჰპატრონებია შორიდან მოსული, ჩვენ კი უმწყემსო ცხვარს დავმსგავსებთ. ჩვენ არ ვგავართ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, რომლებიც მამულისთვის იბრძოდნენ. ავტორს სურს, ქართველებს გაუღვიძოს ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა:

(შდრ. სოლომონ დოდაშვილის სიტყვა-მონოდება და ლექსი „მაისი“).

**წინაპართ სისხლი ან ჩვენს შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!  
შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას.**

მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს,  
გვიქმს ალერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.  
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!  
ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,  
ვითარცა მგლისა, ესრეთ მშვიერ კაცის ეშინის!

გრიგოლ ორბელიანის შეურიგებელი განწყობილება რუსეთისადმი კარგად ჩანს აგრეთვე მის თარგმანებშიც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა კონდრატი რილეევის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანი.

რილეევი (1795-1825) იყო დეკაბრისტი პოეტი. დეკაბრისტები, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავდნენ რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის შეცვლას კონსტიტუციური მმართველობით. ზოგიერთი დეკაბრისტი და მათ შორის რილეევი უფრო შორს მიდიოდა. რილეევი ქადაგებდა თვითმპყრობელობის დამხობას და რესპუბლიკური წყობის დამყარებას. იგი მოითხოვდა გლეხთა გათავისუფლებასაც ბატონყმური უღლისაგან. თავისი ეს მოწინავე იდეები რილეევს გამოხატული აქვს ლექსებსა და პოემებში, კერძოდ, დაუმთავრებელ პოემაში „ნალივაიკო“. ამ პოემაში ასახულია უკრაინელი ხალხის ბრძოლა მისი მჩაგვრელი პოლონელი პანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის ხელმძღვანელობდა უკრაინის ეროვნული გმირი პავლე ნალივაიკო (მე-16 ს. მეორე ნახევარი).

პოემა „ნალივაიკოს“ ნაწყვეტები რილეევს დაწერილი ჰქონდა 1824-25 წლებში. მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ პოემის ერთ-ერთი თავი, ნალივაიკოს აღსარება, რუსეთში ვრცელდებოდა ხელნაწერებად. გრიგოლ ორბელიანს პოემის ეს თავი უთარგმნია 1825-31 წლებში (კ. რილეევის წერილი, სიკვდილის წინ ცოლთან მიწერილი, იპოვეს სოლომონ დოდაშვილის ქალაქებში. დოდაშვილს გადაუწერია სტუდენტ იაკობ კრუპსკისგან).

უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ორბელიანის თარგმანი არ-

სებითად არის გადმოკეთება. მთარგმნელი ორიგინალს კი არ ემორჩილება, ხშირად სცილდება მას და დამოუკიდებელ ნაწარმოებს ქმნის. გრიგოლ ორბელიანი შეგნებულად ცვლის ორიგინალში ნახმარ სიტყვებს. მაგ. „კაზაკების“ ნაცვლად იყენებს „ივერნის“, „პოლონელი, ლიტველი და უნიატის“ ნაცვლად ქართულ თარგმანში გვაქვს „ლეკი, ოსმალო და სპარსი“, „უკრაინის“ ნაცვლად „მამული“ და სხვა.

ე.ი. უკრაინის მაშინდელი ბედი ემსგავსებოდა მე-19 ს. საქართველოს ბედს. უკრაინელი ხალხის ბრძოლა მიჩნეული იყო მაგალითად, ეს იყო გამოყენებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სააგიტაციოდ (ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც უკრაინელები იქცეოდნენ...). როგორც, ილია იყენებდა იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მსგავსი იდეების სააგიტაციოდ და ნატრობდა ასეთ მოძრაობას საქართველოშიც.

**მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა  
მტვრევისა...  
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე  
ჩემს მამულში.**

„აღსარება“ არის ერთ-ერთი საყურადღებო თხზულება, რომელშიც გადმოცემულია გრიგოლ ორბელიანის მრწამსი 1832 წ. შეთქმულების ჩავარდნამდე. ამ თხზულების მიხედვით, ისევე როგორც დღიურისა და ორიგინალური ლექსების, იგი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც თვითმპყრობელური რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი პოეტი.

დასაწყისში პოეტი ამბობს (ნალივაიკოს პირით, ცხადია), რომ უნინ დამცირებულ სიცოცხლეს ცვლიდნენ სახელოვან სიკვდილზე და არავის დაემონებოდნენ. მაშინ ქართველებს ურთიერთშორისაც მტკიცე კავშირი ჰქონდათ, ან კი სიყვარულის კავშირი დარღვეულია. ამით უსარგებლია მტერს და ქართველთა დასამონებლად აღმდგარა, ძველი, ქებული სამეფო უფსკრულს დაუნთქავსო.

**ლექი, ოსმალ და სპარსი, ვით მგელნი განუძლომელნი  
უნყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს,  
ერი ღალადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად.**

თავისუფლება დაეკარგეთ და მისი დაბრუნება სანატრელი გაგვიხდა:

**მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის;  
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის.**

„აღსარებაში“ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ადგილი, სადაც პოეტი გარკვევით ამბობს, რომ ის არის მტრის სისხლის დანთხევის მონადინე, რომ უკვე დროა, ორლესული მახვილით განგმირონ მტერი.

**ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა,  
ჟამი არს მტერი მამულის მივსცეთ მახვილსა ლესულსა.**

აი, სწორედ ეს — მტრის სისხლის დანთხევა, მისი განგმირვა ორლესული მახვილით უნდოდათ შეთქმულებს. აი, როგორ აირეკლა შეთქმულთა იდეები. ეს მებრძოლი პატრიოტიზმია. მაგრამ ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს. თავისუფლების მოპოვება სხვანაირად არ შეიძლება. „თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ ვის მოუპოვებია?!“

როგორც ვხედავთ, ლექსში ისმის პირდაპირი, გაბედული მონოღება მტრის წინააღმდეგ იარაღით გმირული ბრძოლისკენ. ამ ლექსითაც გრიგოლ ორბელიანი კარგად გამოხატავდა 1832 წლის შეთქმულთა იდეებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ლექსიც შეთქმულთა შორის, ისევე როგორც „იარაღის“, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ფართოდ ვრცელდებოდა. გრიგოლ ორბელიანს თავის დროზე ეს თარგმანი გადაუცია ერთ-ერთი შეთქმულისათვის, მომავალი დრამატურგის, გიორგი დავითის ძე ერისთავისათვის და უთხოვია მისთვის, რომელიმე მსგავსი სათაური მოეძებნა ამ თარგმანისთვის (ეს, აღ-

ბათ, კონსპირაციის მიზნით). გიორგი ერისთავსაც თხოვნა აუსრულებია და „ნალივაიკოს აღსარების“ ნაცვლად დაურქმევია „გივი ამილახვრის აღსარება“. გივი ამილახვარი ისტორიული პირია. მის დროს საქართველოს მართლაც გლეჯდნენ ლეკი, ოსმალო და სპარსი.

როგორც გამოძიებისას გამოირკვა, გრიგოლ ორბელიანი ამ თავის თარგმანს შეთქმულთა კრებებზეც კითხულობდა. ერთ-ერთი შეთქმული, ალექსანდრე ორბელიანი უჩვენებს: „ერთ საღამოს გრიგოლთან მივედი სანახავად. იქ თ. ელიზბარ ერისთავი დამხვდა და ამ დროს რილეევის სტიხი, გადათარგმნილი ქართულად თ. გრიგოლ ორბელიანოვისაგან გრიგოლმამე ნავიკითხა. ოდესაც დაასრულა მისი კითხვა, ელიზბარ წამოდგა, მივიდა, აკოცა და მეც ამაყენა, მიდი აკოცეო... მეც მაკოცინა. მას უკან აღარ ვიცი ის სტიხი რა უყვეს“.

„ნალივაიკოს აღსარება“ რომ შეთქმულთა შორის ფართოდ ვრცელდებოდა, ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მისი ხელნაწერი ტექსტი უპოვეს პირად ქაღალდებში შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილესა და ორგანიზატორს სოლომონ დოდაშვილსაც.

სრულიად შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამ თარგმანმაც, ისევე როგორც ლექსმა „იარალის“ იმთავითვე მიიქცია საგამომძიებლო კომისიის ყურადღება. ორლოვი გრიგოლ ორბელიანს სწორედ ამ ორ ლექსზე ეკითხებოდა: რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ ქართულად, „იარალის“ თქვენ დანერეთო?

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ამ თარგმანს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უჭირავს.

აქვე სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი ოპოზიციური განწყობილება რუსეთის თვითმპყრობელობისადმი გრიგოლ ორბელიანმა გამოავლინა აგრეთვე თარგმანებში კრილოვიდან. 1832 წ. სექტემბერ-ოქტომბერში თარგმნა კრილოვის სამი არაკი: „ვირი და ბუღბული“, „სოფლელნი და მდინარე“ და „ნადირთა ჭირი“. საგულისხმოა ქართველი პოეტის

არჩევანი. იგი თარგმნის ისეთ არაკებს, რომლებშიც სასაცილოდაა აგებული ქედმაღლური უმეცრება („ვირი და ბულბული“) და გაკიცხულია ხელისუფალთა თვითნებობა, დაბალი ფენების ჩაგვრა (უკანასკნელი ორი).

გრიგოლ ორბელიანი არის პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც თარგმნა კრილოვი. შემდეგ ეს საქმე წარმატებით განაგრძეს რაფიელ ერისთავმა და განსაკუთრებით აკაკი წერეთელმა.

ამ ნაწარმოებთა მიხედვით გრიგოლ ორბელიანი გვევლინება დიდ პატრიოტად, თავისი ქვეყნის უზომოდ მოყვარულ ადამიანად. პოეტის იდეალია ძველი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. თამარისა და ერეკლეს დროინდელი საქართველოს აღდგენის ცდა ჩანს გრიგოლ ორბელიანის როგორც პრაქტიკული საქმიანობიდან, ისე შემოქმედებიდანაც. საინტერესოა, რა გზას სახავდა იგი ამ იდეალის განსახორციელებლად? როგორ უნდა მომხდარიყო, მისი აზრით, ძველი საქართველოს აღდგენა? პოეტს ამისთვის საჭიროდ მიაჩნდა იარაღით ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი უშუალოდ მონაწილეობს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში და მსგავს აზრებს დაუფარავად გამოთქვამს შემოქმედებაში. მაგრამ, აი, 1832 წ. შეთქმულება ჩავარდა, გრიგოლ ორბელიანმა შორეულ ჩრდილოეთში მოიხადა სასჯელი. პოეტმა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა შეცვალა და სიტყვით და კალმით რუსეთის სამსახურში ჩადგა კვლავ იმ მიზნით, რომ ეხილა აღორძინებული, გაერთიანებული, თავისუფალი საქართველო.

პოეტი კვლავაც ძველ საქართველოს ხატავს იდეალად (წარსულის იდეალიზაცია ხომ რომანტიზმის ერთ-ერთი ნიშანია). ამ მხრივ საყურადღებოა მისი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელიც დაწერილია 1877 წელს და იმავე წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ ქსნისხეველის ფსევდონიმით. პოეტმა ბეთანიის ეკლესიაში ნახა თამარ მეფის გამოსახულება. საქართველოში თამარ მეფის სულ ოთხი ფრესკული გამოსახულებაა შემორჩენილი. ვარძიაში, ყინწვისში, ბერთუ-

ბანსა და ბეთანიაში. ბეთანიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე თამართან ერთად გამოსახულია მამამისი — გიორგი III და შვილი — ჭაბუკი გიორგი IV (ბეთანიიდან გზა მიდის დიდგორის მთისკენ, სადაც 1121 წ. დავით აღმაშენებელმა გადაიხადა დიდი ომი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ). ე.ი. მხატვარმა აქ წარმოსახა საქართველოს გუშინდელი დღე (გიორგი III), დღევანდელი (თამარი) და ხვალისდელი (გიორგი IV), წარსული, აწმყო და მომავალი. ეს მხატვრობა შესრულებულია თამარის სიციცხლეში, დაახლოებით 1207 წ., რაც მის მნიშვნელობას ზრდის. „სამივეს გვირგვინი ადგას და, ამასთანავე, ლაშას ხმალი ჰკიდია. ეს კი მეფედ კურთხევას ნიშნავს. ე.ი. ამ მხატვრობის შესრულებისას ლაშა უკვე მეფე ყოფილა. ისტორიულად კი ცნობილია, რომ თამარ მეფემ ლაშა „თანამოსაყდრედ“ გაიხადა მეუღლის, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, 1207 წ. (გაზ. „სამშობლო“, 1988 წ. 7, წერილი „ბეთანია“). ეს ძეგლი ცოცხალი წინაპარია ჩვენი. თამარს აქ ორივე ხელი ოდნავ ზეანუელი აქვს, ლოცულობს საქართველოსთვის. მხატვარი უცნობია.

ეს სურათი პოეტზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს (ასეთივე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ერეკლეს საფლავის ნახვამ). თამარის სახე პოეტს აღუძრავს მოგონებებს, იგი ოცნებით გადადის წარსულში, თამარის ეპოქაში. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს დიდებულ, სახელოვან წარსულს, თამარის დროინდელ ეპოქას და უფერულ, უსიციცხლო აწმყოს, მე-19 საუკუნის მიწასთან გასწორებულ, ეროვნულად დაჩაგრულ საქართველოს. აიდეალებს რა წარსულს, პოეტს გამოფხიზლება არ სურს, რათა არ იგრძნოს მწარე სინამდვილე, თავისი დროის საქართველოს დაცემა-დაკნინება. თამარის ეპოქა პოეტისათვის არის ტკბილი სიზმარი, ჩასვენებული მზე.

1860 წ. 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი ბაბაღე საგინაშვილს (ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლეს) სწერდა: „ერთი ამოდით, რა დაგემართათ? — წავიდეთ და ვნახოთ ბეთანიის მონასტერი, განთქმული საქართველოში შენობითა და თამარ მეფის სურათითა“. მისადმი გაგზავნილ მეორე წერილში (დათარიღე-

ბულია 17 აგვისტ. და ჩანს, იმავე წელსაა დაწერილი) ვკითხულობთ: „გუშინინ, ე.ი. ღვთაებობას, ვიყავ ბეთანიას. ოჰ რა მშვენიერი, დიდებული ყოვლის ხელოვნებით შემკული ეკლესია არის! სურათები თამარ მეფასი, მის მამისა და შვილისა მდიდრად გამოსახულნი, მდუმარებით და თითქოს განკვირვებით გვიყურებენ ჩვენ, მოსულთა თაყვანისაცემად! რა ვჰსთქვა? თუმცა გზა საძაგელია, მაგრამ ჰღირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არა ერთხელ“.

[ამან აფიქრებინა ზოგიერთ მკვლევარს (იხ. ნ. იმედაძე, გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, იხ. ჟურნალი „თეორიისა და ისტორიის საკითხები“, VI, გვ. 348-349), რომ „თამარ მეფის სახე!..“ დაწერილია ამ ნახვის შთაბეჭდილებით, ე.ი. 60-იან წლებში].

როგორც აღვნიშნეთ ლექსი 1877 წელსაა დაწერილი.

1877 წ. 12 აგვისტოს გრიგოლი სწერდა სალომე მიურატს: „ძალიან მეამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში, მოგწონებიათ ეკატერინასაცა და შენცა, რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ მე გახლავარ იმ ლექსის დამწერი და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება. და აი, სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემს სახსოვრად“.

პოეტი მიმართავს დიდებული მეფის სახებას:

**მიხარის — გიმზერ,  
ვჰწუხვარ და — გიმზერ,  
და ესრეთ მზერა  
მსურს სიკვდილამდე.  
არ გამოფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას.**

შესანიშნავად ხატავს გრიგოლ ორბელიანის პორტრეტს ოთარ ჩხეიძე წიგნში „ვასილ ბარნოვი“. „ასე მოსთქვამდა, მაგრამ შვილებმა მოკირწყლულ მკერდზე დაადეს ხელი და უკიჟინეს, აი, რა არის სულით დაცემაო“, — დაღესტნის ბრძოლებში მიღებული ჩინ-მედლებით მოკირწყლულ მკერდს გულისხმობს მწერალი.



შენი საქართველო ის აღარ არის, რაც უნინ იყო, სიზმარით გაქრა ბრწყინვალე წარსულიო, — შეჰღალაღებებს ორბელიანი თამარის სახებას და სთხოვს, რომ თავისი ჯვარით კვლავ აკურთხოს საქართველო, იმ ჯვარით, რომლითაც ფეხშიშველა მიუძღოდა ხოლმე ქართველთა ლაშქარს ომში და აკურთხებდა მათ, რათა საქართველო კვლავ განახლდეს, კვლავ წამოდგეს ნანგრევებიდან, ჩადგეს მონინავე ერთა რიგებში. გრიგოლ ორბელიანი აქ გამოთქვამს ქართველი ხალხის ეროვნულ იდეალს: ოცნებას კულტურულ აღორძინებაზე, ზნეობრივ ამაღლებაზე, პოლიტიკურ გათვითცნობიერებაზე, სულიერ განახლებაზე და სხვაზე.

**რომ განვიღვიძნეთ,  
სულით განვახლდეთ  
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!**

ესაა ნატვრა, ოცნება, მაგრამ მოხდება ეს, საქართველო აღსდგება, დაუბრუნდება ძველი დიდება? გაიხსენეთ სხვა ლექსებში რა პასუხს იძლევა ამ კითხვაზე პოეტი:

**მაგრამ, ამაო, ჩემო იარაღი,  
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!**  
(„იარაღის“)

**ხვალე არღა მნამს ვით ღამეში მაცდური სხივი.**  
(„ჩემს დას“...)

**ვმზერ მწუხარებით მომავალს და ვწყევლი ფუჭად  
წარსულსა.**  
(მიძღვნა ალ. ორბელიანისადმი)

**ბედის ვარსკვლავს შორს ძლივს ვხედავ,  
ღრუბლით მოცულს და მკრთოლვარეს**  
(„ოდეს ოხვრით...“)

პოეტის გულს უიმედობა და ეჭვი ღრღნის. თამარი განზე იყურება და მე-19 საუკუნის ქართველს, დაბეჩავებულსა და დამცირებულს ვერც კი ცნობს.

მაგრამ ცად თვალნი  
გაქვს მიქცეულნი  
და მე ველარ მცნობ გულშემუსვრილსა  
დამცირებულსა,  
ხმა-მიღებულსა  
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!  
ეჭვით აღესილსა,  
უსასოდ ქმნილსა,  
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!  
ვაჰ, თუ რაც ნახდეს,  
ველარა აღჰსდგეს,  
ველარ აყვავდეს ახლის შვენებით?  
და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა  
შავმა ყორანმა ვით უმნე მსხვერპლი!

როგორც რომანტიკოსი პოეტი, იგი გულდაჯერებული ოპტიმისტი სულაც არაა, არამედ დაეჭვებული და უიმედოა. პოეტი უფრო შორსაც მიდის. იგი აზოგადებს ამ მდგომარეობას და სოფელს წარმოგვიდგენს, როგორც ცრუსა და მუხთაღს, სიკეთეს — წარმავალს. აქ ჩანს ე.წ. „მსოფლიო სევდა“, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძესაც აწუხებდა „გოგჩაში“. ეს ყოვლისმომცველი სევდა, ჩივილი წუთისოფლის წარმავალობაზე პოეტის ბოლოდროინდელ კერძო ბარათებშიც შესამჩნევია.

ჰე, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?  
დიდება ჩვენი,  
ცად სხივმიმფენი,

ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზა-შეუვალსა,  
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის,  
დიდის თამარის  
სჩანს ძველ კედელზე გამოსატულად!...

შდრ.: ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისნავე მუხთლობა:  
მისსა ყოველსა კეთილსა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა.

(„გაზაფხული“)

რეალური მოვლენები სიმბოლურად უნდა გავიაზროთ. უდაბურ ტყეში შეუვალი გზა არის თამარის ეპოქამდე მისასვლელი გზა, რომელიც არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ძალიან რთულია, ძნელია. დარღვეული ტაძარი დანგრეული, გაუქმებული, სახელმწიფოებრიობადაკარგული საქართველოა. თამარის ფრესკა კი მხოლოდ ხსოვნა, რომლისგანაც რეალური, ხელჩასაჭიდი არაფერი დაგვრჩა.

ასე რომ, უდიდესი პესიმიზმი, უიმედობა, სასონარკვეთილება ჩანს ამ ლექსში.

„თამარის სახე“... როგორც ნათქვამი გვაქვს, გრიგოლ ორბელიანს შთააგონა ბეთანიის ფრესკამ, რომელიც პოეტმა 1877 წ. ნახა (ადრეც იყო აქ ნამყოფი). ამ ფრესკას მრავალი სხვა მხილველი აღუფრთოვანებია. ლადო ასათიანი ლექსში „შენ“ წერდა:

სიყრმიდან მწვავდა სახე თამარის,  
ბეთანიაში გამოსატული  
და ვნატრულობდი, ჩემი სამარე  
რომ ყოფილიყო მინა ქართული.

თამარის ფრესკით აღტაცებული გალაკტიონი წერდა: „მსგავსი ფრესკა დედამინის ზურგზე არ მოიპოვება“. შემთხვევითი როდია, რომ უბრწყინვალესი ქართველი პოეტები შთა-

გონებულნი იყვნენ სწორედ ამ ფრესკით. მეფე აქ ევედრება ღმერთს საქართველოსთვის, მაგრამ თამარი არა მარტო ევედრებოდა ღმერთს, არამედ იბრძოდა. მოღვაწეობდა სამშობლოსათვის: „თამარ, ვინ იტყვის, რა იყო“ (თხზ. 12 ტომად. ტ. IV, 1961, გვ. 280).

გალაკტიონს ხიბლავდა ბეთანია და მისი მიდამოები, სადაც, გადმოცემით, ორბელიანთა და ბაგრატიონთა სამოსახლო ყოფილა.

**ნამყე ბეთანიისაკენ, იქ სადღაცა, ახლო-მახლო  
იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო.  
გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,  
არსად ქვეყნად არ მინახავს ადგილები უკეთესი.**

საერთოდ, თამარი, მისი ეპოქა ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეში იყო პოეტების ხოტბის საგანი. შოთა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“, უფრო გვიან თეიმურაზ I-ის ლექსი „თამარის სახე დავით გარეჯას“ (იწყება: „მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,... სხივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავ-მყოფელად მგონებენ“), დავით რექტორს (1745-1824) აქვს სახოტბო თხზულება „ქება თამარ მეფისა“ და სხვა.

სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავდადებული თამარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. თამარზე საქება-რი ნაწარმოებების წერა დღემდე გრძელდება. კონსტანტინე გამსახურდია აპირებდა დაენერა რომანი „თამარ“ (ნაწყვეტები დაიბეჭდა კიდევ), ვასილ ბარნოვს აქვს რომანი „პირიმზე“, პავლე ინგოროყვამ მონოგრაფია დაწერა ჩახრუხაძის „თამარიანის“ შესახებ, სადაც სცადა აღედგინა პოეტის ბიოგრაფია და გადმოეცა მისი თამარ მეფესთან რომანტიკული გამიჯნულების ამბავი. ფშავ-ხევსურეთში თამარის კულტი იყო, ის იყო სალოცავი ხატი, ღმერთი. ხალხურ პოეზიაში ხომ ცამდეა აყვანილი (წიგნი: „თამარ მეფის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში“), ხალხი ხომ დაუმსახურებლად არც არავის აძაგებს, არც არავის

აქებს. საერთოდ, არც ერთ მეფეზე არ დაწერილა იმდენი ხოტბა, რამდენიც თამარზე. ზოგზე საერთოდ არაფერი არ დაწერილა, ზოგზე — სატირა:

**ღორმუცელა გიორგი ცხენზე შეგოდრებულა,  
თითქოს ლოქო ეჭამოს, გამხიარულებულა.**

თამარი კი ლეგენდად იქცა, ლეგენდის სხივით შეიმოსა.

მოკლედ, გრიგოლ ორბელიანის ამ ლექსში გვაქვს წარსულისთვის თავის შეფარების ცდა, რაც საერთოდ რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

საქართველოს გმირული წარსული გაიდევალებულია აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“. ამ პოემაში კარგად ჩანს პოეტის პოზიციები შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ. პოემის სრული სათაურია „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“. ამ ნაწარმოებს პოემა მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ, მას აკლია პოემისათვის აუცილებელი სიუჟეტური მთლიანობა, მასში არ არის მოთხრობილი რაიმე ამბავი, არ არის ფაბულა. ეს ნაწარმოები წარმოადგენს სხვადასხვა თემაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოთა კრებულს. თამადა წარმოთქვამს სულ 5 სადღეგრძელოს, თითოეული მათგანი გარკვეული თემისადმია მიძღვნილი.

I სადღეგრძელოა წინაპართა ხსოვნისა.

II სადღეგრძელო—ნიკოლოზ I-ისა.

III სადღეგრძელო—სამშობლოს, მამულის სიყვარულისა.

IV სადღეგრძელო—მეგობრობის.

V სადღეგრძელო —სიყვარულის.

✓პოემა იწყება ჯარის სამხედრო ბანაკის აღწერით. ჩამოწვა საღამოს ბინდი და ომიც შეწყდა. გამარჯვებული ლაშქარი მართავს ლხინს. ბანაკი კოცონებითაა განათებული. რომელ ომზეა საუბარი? 1826-27 წლების რუსეთ-ირანის ომზე, რომელშიც თვითონ პოეტიც იღებდა მონაწილეობას. 1827 წ. 1 ოქტომბერს ექვსდღიანი ალყის შემდეგ რუსთა ჯარებმა ირანელთა საუკუ-

ნოვანი ბატონობისაგან გაათავისუფლეს ქ. ერევანი და აღმოსავლეთ სომხეთი (ერევნის გაათავისუფლებაში 600 ქართველი მონაწილეობდა). 1827 წ. 19 ოქტომბერს გიორგი ერისთავის სარდლობით რუსებმა დაიკავეს სამხრეთ აზერბაიჯანი, ქ. თავრიზი. ეს იყო ირანთან მიმდინარე ომში ყველაზე დიდი წარმატება (ერისთავი დააჯილდოვა იმპერატორმა ალექსანდრე ნეველის ორდენით). 1828 წ. 10 თებერვალს თურქმენჩაიში დაიდო ზავი ირანსა და რუსეთს შორის. ზავის მიხედვით რუსეთმა შეიერთა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები. ირანს რუსეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა კონტრიბუცია 20 მლნ. მანეთი.

აი, სწორედ ქ. ერევნის აღებამ, როგორც პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია გადმოგვცემს, შთააგონა ეს პოემა. პოემის დაწერა დაუწყია 1827 წელსვე, საბოლოო რედაქცია კი ეკუთვნის 1870 წ. ამიტომაც აღბეჭდილია ის ცვლილებანი, რაც პოეტის მრწამსში მოხდა. მაგ., ნიკოლოზ I-ის სადღეგრძელო გრიგოლ ორბელიანს დაუწერია ცალკე, 1854 წლის აპრილში. პოემა საბოლოოდ გაფორმდა 70-იან წლებში. 1871 წ. ის დაიბეჭდა კიდეც ჟურნ. „კრებულში“, №1. იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (გამოსცა ივანე კერესელიძემ).

თავისი გარეგნული ფორმით და კომპოზიციური აღნაგობით გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ წააგავს ცნობილი რუსი პოეტის ჟუკოვსკის (1783-1858) პოემას „Певец во стане русских воинов“. 1812 წ. ნაპოლეონის შემოსევის დროს, ჟუკოვსკი მონაწილეობდა სახალხო ლაშქარში. რუსი ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება მან გამოხატა პოემაში „Певец...“, რომელიც დაწერა მოსკოვის დატოვების შემდეგ სამხედრო ბანაკში. ჟუკოვსკისაც გადაეყვართ ისტორიულ წარსულში, ის აცოცხლებს რუს გმირებს: სვიატოსლავს, დონსკოის, პეტრე I, სუვოროვს და შემდეგ 1812 წლის გმირებს: კუტუზოვს, ბაგრატიონს და სხვ.

„სადღეგრძელოს“ II ვარიანტს („ტოლუბაში“) სათაურს ქვეშ ახლავს შენიშვნა: მიბაძვა ჟუკოვსკისა.

თამადა იღებს ღვინით სავსე ფიალას და პირველ ყოვლისა პატივით იხსენიებს იმათ, ვინც დაეცა ამ ომში. შემდეგ მიმარ-

თავს ღვინოს, რათა მან „ლხინით, შექცევით გულები ალუგზნოს“ მხედრებს. ეს ლხინი, რომელიც ომის შემდეგ სალამო ჟამს იწყება, გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში (ამიტომ ჰქვია ომის შემდგომ ღამე ლხინი...), მეომრებს ამ ქეიფში შემოათენდებათ კიდევ. თავდება პოემა განთიადის აღწერით. ამით ავტორი კომპოზიციურად ამთლიანობს პოემის თემატურ მრავალფეროვნებას. დასასრულ, პოემას ერთვის სამტაეპიანი ლექსი, მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანისადმი.

თამადა თავისი სადღეგრძელოებით მიმართავს ნაომარ მხედრებს, რომლებიც კოცონის ირგვლივ არიან შემოკრებილნი. მხედრები კი ყოველი სადღეგრძელოს დასასრულს გაიმეორებენ თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს უკანასკნელ ტაეპს. ეს არის რეფრენი. ასეთია, მოკლედ, პოემის კომპოზიცია.

როგორც აღვნიშნეთ, თამადა წარმოთქვამს სულ 5 სადღეგრძელოს. მოცულობით ყველაზე ვრცელი და ყველაზე საყურადღებო არის პირველი, წინაპართა მოსახსენებელი. ავტორი ქებით მოიხსენიებს საქართველოს ისტორიულ გმირებს, იმ გმირებს, რომლებმაც „დაჰსდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად“, და რომელთა სახეც ჩვენ აღგვაფრთოვანებს. ეს გმირები ფიზიკურად აღარ არიან, მაგრამ თავიანთი საქმეებით ცოცხლობენ. მხოლოდ იმისი სახელი ეძლევა დავინწყებას, ვინც ცხოვრებაში კვალი ვერ დატოვა. დრო აღზოცავს იმის სახელს ისე, როგორც ქარი გაფანტავს ველად დარჩენილ კვამლს.

**ეგრეთ იქნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,  
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!**

ე. ი. ადამიანმა ცხოვრება ფუჭად არ უნდა გაატაროს. ეს იგივეა, რასაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობდა: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქეიან...“ ეს იგივეა, რასაც მირზა შაფი (მე-19 ს. ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი-ფილოსოფოსი) ამბობდა:

**ნავა წამი... თან სიცოცხლის ნაწილაკიც წაულია!  
ამიტომაც ამ ცხოვრების მიზნად წინსვლა გაიხადე,**

**და ეძიე, ვიდრე შენთვის სიკვდილს ხელი ჩაუვლია;  
დამნაშავე შენ არა ხარ იმაში, რომ დაიბადე,  
მაგრამ ფუჭად თუ იცხოვრე - შენი დანაშაულია!**

პირველი, ვისაც პოეტი ქებით მოიხსენიებს, არის საქართველოს ლეგენდარული მეფე ფარნაოზი. მეფობდა ქრისტემდე III საუკუნეში, წარმართი მეფე, მან აღმართა არმაზის კერპი. ამ ფარნაოზ მეფეს მიაწერენ ანბანის შედგენას, მნიგნობრობის შემოღებას ქართულ ენაზე. მე-11 ს-ის ისტორიკოსი ლეონტი მროველი ამბობს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული.“

როდისაა შექმნილი ქართული ანბანი? მის შესახებ სხვადასხვა თეორიაა. ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია იყო ის, რომ ქართული ანბანის შემქმნელია მესროპ მაშტოცი, სომეხი მოღვაწე (331-440). მან სომხური ანბანი შექმნა V საუკუნის დასაწყისში (405-406 წლებში). თითქოს მანვე შექმნა ქართულიც სომხურის შემდეგ, რაც სრული გაუგებრობაა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანი შექმნილია ქრისტემდე VII საუკუნეში („ქართული დამწერლობა ანუ პალეოგრაფია“, 1926 წ.). ივანე ჯავახიშვილს ეთანხმება და მის მტკიცებებს კიდევ უფრო ავსებს პავლე ინგოროყვა. მისი აზრით უძველეს, ანტიკურ ხანაში არსებული ხეთურ-ქართველური იეროგლიფური დამწერლობიდან დაახლოებით VIII-VII საუკუნეების მიჯნაზე (ჩვენს ერამდე) წარმოიშვა ქართული ალფაბეტური დამწერლობა („ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“). ამავე აზრს ასაბუთებს რამაზ პატარიძე (წიგნში „ქართული ასომთავრული“). მისი აზრით, ქართული ანბანი შექმნილია ფინიკური დამწერლობის საფუძველზე (ბერძნული დამწერლობის გათვალისწინებით) ძვ. წ. აღ. V საუკუნის მიწურულს, 415-410 წლებს შორის, ქურუმთა წრეში. ამ ასომთავრულ ანბანში დაცულია უნიკალური კალენდარი (როგორც მთვარის, ასევე მზის სისტემათა შემცველი). ძვ. წ. აღ. 284 წელს ეს ანბანი აქცია ფარნა-



ვაზმა ქართულ სახელმწიფო დამწერლობად. იმავე 284 წელს იქნა შემოღებული ქართული წელთაღრიცხვაც. ფარნაოზს ქართული ანბანის შემქმნელად აღიარებენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, მარი ბროსე და ბევრი სხვა [„როსმე მეფე ფარნავაზი იგონებდა ქართულ ანბანს, და წიგნები მოგვითხრობდნენ გარდასულთა დროთა ამბავს“ (გალაკტიონი)].

ფარნაოზი გამეფდა 27 წლისა, იმეფა 65 წელი, გარდაიცვალა 92 წლისა. მისი ისტორია პირველმა აღწერა თითქმის 1300 წლის შემდეგ XI საუკუნის ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა „მეფეთა ცხოვრებაში“ (მასში ცალკე თავადაა შეტანილი „ცხოვრება ფარნავაზისა“). რითი სარგებლობდა ლეონტი მროველი? მას საისტორიო წყაროები არ ჰქონდა. გამოდის, რომ ყველაფერი შექმნა ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით. საეჭვო გახდა ფარნაოზის პიროვნების რეალურობა (პირველმა ეჭვი ნიკო მარმა შეიტანა 1902 წ., შემდეგ ივანე ჯავახიშვილმაც ფარნაოზი ზღაპრულ, ლეგენდურ პირად მიიჩნია), მაგრამ შემდეგ პავლე ინგოროყვას, გიორგი მელიქიშვილისა და სხვათა მიერ დადგენილია, რომ ფარნავაზი რეალური პირია. მისი მეფობის დროს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთიან სახელმწიფოს, „ყოველ ქართლს“, 303-302 წ. ფარნავაზმა მეფის ტიტული მიიღო, მან განახორციელა ბევრი რეფორმა. შემუშავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის სისტემა, შემოღებულ იქნა მეფის მოადგილის თანამდებობა, დაწესდა სახელმწიფო გადასახადები („სამეუფო“ და „საერისთავო“) და სხვა. შემოღებულ იქნა მზის უძრავი წელიწადის სრულიად სახელმწიფო ერთიანი კალენდარი და ეროვნული, ქართული წელთაღრიცხვა.

გრიგოლ ორბელიანი თავის შორეულ წინაპარს ასე მიმართავს:

**შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,  
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,  
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა  
და ერთობისა წესი და ძალი!**

შემდეგ პოეტი მოიხსენიებს IV ს. მეფეს, მირიანს, რომლის დროსაც საქართველოში შემოვიდა ქრისტიანობა და უარყოფილ იქნა წარმართობა. ქრისტიანობა ქართლში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა 337 წ. იგი წარმართობასთან შედარებით პროგრესული მოვლენა იყო. რომანტიკოსები თავიანთ იდეალს ქრისტიანობაში ეძებდნენ.

**ქრისტეს ნათელით განათლებული,  
მეფე მირიან ჰპრწყინავს გვირგვინით.**

შემდეგ ნახსენებია ვახტანგ გორგასალი (მე-5 ს-ის II ნახევარი):

**მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,  
ხელსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინით?  
ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,  
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ.**

(გორგ-მგელი, არსლან (თურქ.) - ლომი). ასლან სახელიცაა, აქედან გვარები: ასლანიკაშვილი, ასლანიშვილი, ასლანიძე. სახელია, [აგრეთვე, მგელა, გელა, გვარი მგელაძე. კაცის სახელია ქართული ლომიც - ლომინ, აქედან გვარები: ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომოური, ლომინაშვილი, ლომთათიძე...] აკაკი კინერს (ტ.14, გვ.125): „სპარსელები ქართველებს გურგებს (გორგებს) გვეძახდნენ და კასპის ზღვასაც გურგენის ზღვათა, ე. ი. ქართველების ზღვათა. სწორედ ამგვარადვე ვახტანგსაც გურგ-ასლანს ეძახდნენ, ე. ი. ქართველების ლომიო. ხალხური: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩემოესმა რეკა...“

დავით აღმაშენებელი (მეფე 1089-1125 წწ.). მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, არაბთა ბატონობა, შემდეგ დიდი თურქობა, შემდეგ მიწისძვრა... პანიკა, გიორგი II გადადგა...

**ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,  
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით  
ცხებულსა.**

თიკუნი აღმაშენებელი შემთხვევითი არაა, დავით სასწაულებს ახდენს. მან არა მარტო ფიზიკურად აღაშენა საქართველო, არამედ — სულიერადაც.

**დავით ჰსთქვი: „იყავნ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!  
განჰვლე უდაბნო ოხერი - სავსედ დაბებით შეჰქმენი!  
დაჰკარ წერაქვი, - და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!  
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!  
ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული.**

„ფენიქსი“, ზღაპრული ფრინველი, ამ პოემაში მეორედაა ნახსენები ნიკოლოზ I სადღეგრძელოში. დავით აღმაშენებელმა თავის დროზე ფენიქსებრ აღადგინა საქართველო, ახლა ისევე უნდა აღადგინოს ნიკოლოზმა.

უდაბნოს ქალაქად ქცევა არაქრისტიანულ, ეშმაკეულ სამყაროში ქრისტეს ნათელის შეტანაა. 1995 წ. სექტემბერში ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა დავით აღმაშენებლის პირველი ძეგლი საქართველოში (მოქანდაკე — ელგუჯა ამაშუკელი).

თამარ მეფე.

თამართან ერთად დასახელებულნი არიან მისი ეპოქის მოღვაწენი: დიდი ორბელი, შოთა რუსთაველი, ჭყონდიდელი (მწიგნობართუხუცესი), ზაქარია მხარგრძელი (ამირსპასალარი, გამრეკელის სიკვდილის მერე), გამრეკელ-თორელი (ამირსპასალარი).

როგორც ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ისე ამ პოემაშიც გრიგოლ ორბელიანი აიდეალებს საქართველოს ისტორიულ წარსულს, კერძოდ, თამარის ეპოქას. ეს იყო ოქროს ხანა. ქვეყანა გაერთიანებული, ცენტრალიზებულია, ამიტომაც - ძლიერი. თამარი შეტევით ომებს აწარმოებდა (და არა თავდაცვითს). საჭირო შემთხვევაში (როცა მისი საომარი დროშა გაიშლებოდა), მისი დროშის ქვეშ დადგებოდა მთელი საქართველო. აქ თავს იყრიდა საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრები. ყოველი კუთხის მკვიდრს თავისი ზნე-ხასიათი აქვს. აკაკი: როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს

სხვადასხვა კუთხე აქვს გამობმული: ქართლი, კახეთი... ცალ-ცალკე ძალასა და ძლიერებას მოკლებულნი არიან, გაერთიანებულიად კი შეადგენენ ვრცელსა და ძლიერს საქართველოს. პოეტი დაუფარავი სიამაყით ხატავს თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოს ლაშქრის შეკრებას. პირველად იმ კუთხეების შვილებს ჩამოთვლის, ვინც ბრძოლაშია განთქმული, შემდეგ სწავლითა და ზრდილობით ცნობილებს:

**თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი;  
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს შვენის  
აბჯარი,  
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,  
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!  
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,  
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული,  
მეგრი მკვირცხლობით!..  
თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით;  
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!..**

ეს იყო ქვეყნის ბედნიერება. გაერთიანებული საქართველო ძლიერია. ნახსენებია, როგორ აიღეს კარნუ-ქალაქი, თავრიზი, ყაზვინი. თითოეული კუთხის შვილი დახატულია ერთი რომელიმე იარაღით, საომარი აღჭურვილობით და დახასიათებულია ერთი რომელიმე ნიშნით. ცალკე თითოეული მათგანი არასრულყოფილია. უნაკლოდ და სრულყოფილად მათ წარმოაჩენს მხოლოდ ერთიანობა. ამით გრიგოლ ორბელიანი, ცხადია, საქართველოს ერთიანობას ქადაგებს.

თამარ მეფეს და მის ეპოქას პოეტმა ყველაზე მეტი ადგილი დაუთმო (მაშინ როდესაც ბევრი მეფე არც უხსენებია). ამის შემდეგ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ გრიგოლ ორბელიანს დაეწეროს პოემა „თამარ მეფე“ (როგორც ამას იტყობინება გაზ. „დროება“ 1880 წ. 208). სამწუხაროდ, პოემა მაშინ არ დაბეჭდილა და დღესაც დაკარგულად ითვლება („დროება“ იქვე უმატებდა: „ამბობენ, მშვენიერი რამ არის“).

**ქეთევან დედოფალი.** ქეთევანი (დედა თეიმურაზ I-ისა) სჯულის, ქრისტიანობის მტკიცედ დაცვის გამო შაჰ-აბაზის ბრძანებით აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს, შირაზში, ამიტომ ის ქეთევან წამებულად იწოდება. ქეთევანის პატრიოტიზმი, გმირული სული გახდა პოეტების ქების საგანი (პირველმა მისმა შვილმა დაწერა პოემა, შემდეგ ანდრეას გრიფიუსმა და ა. შ.).

1659 წლის კახეთის აჯანყების მეთაური ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი შაჰ-აბაზ II-მ სიკვდილით დასაჯა. ქართულმა ეკლესიამ ისინი შერაცხა წმინდა-ნებად.

**ნათელ გვირგვინით მოჰსჩანან კახეთის**

**მხსნელნი გმირები**

**ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარელისგან დატანჯულები!..**

ტარიგათ შესანიშნავათ მახვილით განგმირულები.

**ტარიგი** - კრავი უბინო (1 წლის კრავი, თოხლი). საბა: „თოხლი სხვათა ენაა... ქართულად ტარიგი ჰქვიან“.

„ელისბარ, შალვა, ბიძინა...“ აქ სქოლიოში შენიშნავს: „ელისბარ იყო ჩოლოყაშვილი, შალვა და ბიძინა - ქსნის ერისთავნი“. უზუსტობაა ქსნის ერისთავები იყვნენ ძმები ელიზბარ და შალვა. ჩოლოყაშვილი იყო ბიძინა (მისი შთამომავალია ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი).

ანტონ კათალიკოსის წიგნში „მარტირიკა“ აღწერილია 29 ქართველი წმინდანის ცხოვრება, მათ შორის ამ სამის. მე-19 ს-ში 1659 წ. კახეთის აჯანყების შესახებ შეიქმნა 4 ნაწარმოები.

ამის შემდეგ მოხსენებულნი არიან მარაბდის ომის (1625 წ.) გმირები, ძმები ხერხეულიძეები, რომლებიც ერთად დაეცნენ შაჰ-აბაზის წინააღმდეგ ბრძოლაში:

**აჰა, ცხრა ძმანი, სახელ-განთქმულნი**

**ერთ ჟამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი.**

ერთ დღეს, 1 ივლისს, მოკლეს ყველა.

ამის შემდეგ მოხსენებულია მეფისთვის თავდადებული ამილახვარი და ოთხი ზაალი.

**აჰა, ერთგული ამილახვარი  
თავდადებითა მეფისთვის მკვდარი!..  
და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი,  
თითო ერთ ჯარად დაფასებულნი.**

ოთხი ზაალია: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი და მაჩაბელი. მეფე ერეკლე იტყოდა, რომ თითო ზაალი თითო ჯარად ღირსო, — შენიშნავს ავტორი.

ბრძოლაში დამარცხებულ გიორგი მეფეს (მე-14 ს.) სამცხე-საათაბაგაშო, აღბულა ათაბაგთან შეუფარებია თავი, აქ მის წინააღმდეგ შეთქმულება მოუწყვიათ, ეს გაუგია მეფის ერთგულ ქვეშევრდომს, ზედგინიძეს, ამ უკანასკნელს მეფე გაუფრთხილებია... ღამე მის სანოლში დაწოლილა, შეთქმულებს ზედგინიძე დაუსახიჩრებიათ. ამ თავგანწირვისათვის მას ებოძა ამილახვრობა. მეფისთვის თავდადება — თავგანწირვა იყო უზარმაზარი გმირობა, პატრიოტიზმი... მეფის ღალატი ქვეყნის ღალატს უდრიდა.

**ვახტანგ VI.** გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წ., დასაფლავებულია იქვე.

**აჰა სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვედამწარებული,  
სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამაღლებული,  
უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი  
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამინებული!**

ვახტანგ VI მოიხსენია, ხოლო დიმიტრი თავდადებული, ბაგრატი დიდი, გიორგი ბრწყინვალე, თევდორე მღვდელი — არა. ვახტანგ VI-ის პოლიტიკა ბევრი მოღვაწის მიერაა გაკრიტიკებული. გაიხსენეთ დავით გურამიშვილი:

**ტიროდენ, ამას იტყოდენ, ახლა არს ჩვენი დავსება!..  
მესამე კიდეე მოიბა, ორი საბელი თავს ება.**

...

მეფეს სძრახვიდენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა  
სამს დიდს ხელნიფეს პირს აძლევს, სამგან

იკეთებეს ყმობასა!

ყენის სპასალარია...

რუსთ ხელმნიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს

ძმობასა!“

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?  
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“

მაგრამ გრიგოლ ორბელიანი მას იხსენიებს როგორც განს-  
წავლულს, წიგნის კაცს, არ ეხება მისი პოლიტიკური საქმიანო-  
ბის საჩოთირო მხარეებს.

1868 წ. გრიგოლ ორბელიანი პირად წერილში სწერდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბატონო ბიძიავ, ალექსანდრე, პავ-  
ლემ სთქვა — „რაც დავსწერე, დავსწერე“, მეც მოგახსენებ,  
რაც შევიძელ, ის შევიძელ. კარგია და გავათავოთ, ნულარ შე-  
მოყვან განსაცდელში სხვადასხვა მოთხრობით საქართველო-  
ზე, ჩვენი ისტორია სავსეა დიდსაქმეებით, დიდმამაცობით და  
მამულისთვის თავდადებით, სიყვარულითა. ყოველთა ამათთა  
დიდი მწერლობა უნდა. მას მწერლობასა „სანერელ ზღვა უნდა“  
და მე კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქვს“.

ყოველივე ამის შემდეგ პოეტი გადადის ახლო წარსულზე, ეს  
არის ერეკლე მეფის ხანა. ერეკლე რომანტიკოსთათვის, რო-  
გორც ვიცით, თავისუფალი საქართველოს სიმბოლო გახლ-  
დათ. პოეტის დახასიათებით ერეკლე იყო:

...ივერიის ნუგეშ-დიდება,  
თვისის დროისა გამშვენებელი,  
მამაცთა შორის საკვირველება...

ერეკლე — უებრო მეომარი, ასეთად გვიხატავს ყველა რომან-  
ტიკოსი: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ძმები  
ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები. სადაც ერეკლე გამოჩნ-

დებოდა, იქ „ბრძოლა წამსვე გარდასწყდებოდა!“ და გასაგებია, რომ ერეკლესთან ერთად დაიმარხა ძველი საქართველოც.

**დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს, მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ველარ ვმზერთ მის სახეს! მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს, დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!**

კრწანისის ველზე უკანასკნელად გაიელვა ერეკლეს ხმალ-მა, ეს იყო ერეკლეს მიერ გადახდილი უკანასკნელი ომი და საერთოდ, დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ომი. მანანა ჩიტიშვილი (პოეტი) იგონებს, გორის პედ. ინსტიტუტში საქართველოს ისტორიას მიკითხავდა მსცოვანი პროფესორი სერგი მაკალათიაო. „კრწანისის ომზე ლექციის დამთავრების შემდეგ კათედრაზე ატირდა და გვითხრა — აქ თავდება საქართველოს ისტორია, ამის შემდეგ სხვა ისტორია იწყება და მე მას ველარ წავიკითხავო. არც წაუკითხავს“ („ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ. 48). აქამდე მოდის გრიგოლ ორბელიანიც.

ერეკლეს ჰყავდა ღირსეული შვილი, ლევანი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა დაიღუპა ტრაგიკულად 1782 წ. 27 თებერვალს.

**მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე, ლევან, სულით ნათელო?  
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო!  
მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შეჭმულო!..  
შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო!**

სქოლიოში შენიშვნაა: „ამბობენ, ვითომც ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ“ (ნათვამია აღ. ვ-ძის ორბელიანისაგან).

ნახსენებია ლეკებისგან ყვარლის გამომხსნელი გმირები: ძმები სოლომონ და ოთარ ქვაბულაშვილნი, რატიშვილი ბოსტა (შემდეგ ბოსტაშვილი), დავით ბარათაშვილი, ბებურიშვილი. საუბარია ყვარლის ბრძოლაზე: „მთლად დაღესტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა“ (ესაა „დაღესტნელი ფეოდალებისა



და ტომთა ბელადების ექსპანსიის ასახვა ქართულ პოეზიაში".  
იხ. გ. ლუდუშაურის წერილი „მაცნე“ — ისტ. სერია. 1984 წ. 2).

ხალხს, პოემის მიხედვით, მეფე უყვარს (გაიხსენეთ რუსთაველი: „ვინცა მოკვდეს მეფისათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან“. ეს იგივე სამშობლოს სიყვარული იყო). პოემაში ამის ორი ბრწყინვალე მაგალითია: ზედგინიძისა და ბოსტასი. ე.ი. პატრიოტები იყვნენ არა მარტო მეფეები და დიდგვაროვნები, არამედ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებიც. სამწუხაროდ, იმათზე მემატია-ნენი დუმან (გავიხსენოთ ილია). გრიგოლ ორბელიანმა გლეხებიც არ დაივინყა. სქოლიოში ასეთი შენიშვნაა: 1. „მეფე ირაკლის, ძალიან დამარცხებულსა ალაზნის პირზე ჭარელებისაგან დაუდგა დაღალულობით ცხენი. მეფემ სთხოვა ქიზიყის მოურავს თამაზ ანდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: „ბატონო, შემომიფუქით და ორნივე ერთად მოვრჩებით, თორემ მტერი ახლო მოგვდევს“. „შენც შეგარცხვინა და შენი ცხენიცა“, უპასუხა ბატონმა. ამ დროს მოადგა ყმანვილი კაცი — ჩამოხტა ცხენით და მიართვა და ამით მეფე მორჩა განსაცდელისაგან. ეს ყმანვილი კაცი იყო ბოსტა, რომლის გვარი მეფისაგან გააზნაურიშვილებული ეხლაც არიან ბოსტაშვილები“ (ამ თემაზეა დანერვილი ნიკო ლომოურის „წინაპართა აჩრდილნი“, იაკობ გოგებაშვილის „გლეხი ბოსტაშვილი“).

[მე რომ მომკლან, — მამულს არა წაუხდება,  
ერთ ბუხარში ჩაუქრება ალი...  
შენ რომ მოგკლან, — მტერს ოცნება აუხდება,  
გადატყდება ქვეყნის ხერხემალი.  
მე რომ მომკლან, — ერთი დედა ატირდება,  
ერთ ოჯახში ჩაგვიქრება კვარი  
შენ რომ მოგკლან, — ქვეყნის საქმე გაჭირდება,  
საქართველოს შეეხსნება კარი.

...

უშენობით ჩვენ მოგველის დანაცრება,  
მეფევ, მამულს იმედი აქვს შენი...  
შენთვის მინდა მე სიცოცხლის დანაცვლება,  
დიდო მეფევ, აჰა, ჩემი ცხენი!]

საქართველოს ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა მეფეებიც სწირავდნენ ხალხისთვის თავს (ამის უბრწყინვალესი მაგალითია დიმიტრი თავდადებული). ხალხსა და მეფეს შორის ურთიერთსიყვარული იყო. ამიტომ ჭირდება ქვეყანას სათავეში კვლავ მეფე.

პოემაში ნახსენებია დავით ორბელიანი, სარდალი, ერეკლეს სიძე, თამარის ქმარი, თავი ისახელა ასპინძის ომში, ბესიკ გაბაშვილის მეგობარი („ასპინძისათვის“).

ერეკლეს სხვა სიძე, ელენეს ქმარი, თავისი პაპა, ზაქარია ანდრონიკაშვილი.

**და ზაქარია, მინისა მგელი, ანაზღუღად მუნ აღჩნდებოდა,  
სადაცა მტერი გალალებული მისგან შემუსვრას  
არ მოელოდა.**

**სადაც იელვა მახვილმა მისმა,  
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად.**

**სამასი არაგველი.** შენიშვნა სქოლიოში: „სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდან აღა-მაჰმად ხანის შემოსვლის დროს, შეჰპიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან, ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელქვეით და კრწანისის ბალებთან დაიხოცნენ (ნათქვ. თ. ალექს. ვახ. ორბელიანისაგან)“.

სამასი არაგველის ფიცი იყო:

**თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეთ  
მტრის ძალი,  
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა  
წავიდეს ცოცხალი.**

ასეც მოხდა:

**თავგანწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხვედრი,  
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!..**

მათი სახელები მატყინეში არ ჩანერილა, არც გრიგოლ ორბელიანი მოიხსენიებს სახელდებულად, მაგრამ მათი ხსოვნა ახლაც არაა დავიწყებული. თბილისში არის მეტროს სადგური „300 არაგველი“, სამასი არაგველის ქუჩა, მათ უკვდავსაყოფად აღმართულია ობელისკი წარწერით: „მრავალ ყმანვილკაცთ ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი). მეორე მხარეს: „მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი, საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ (ლადო ასათიანი).

ეს პირველი სადღეგრძელო მთავრდება აღტაცებული მიმართვით ისტორიული გმირებისადმი:

**გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!  
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!**

ისტორიული გმირები მომდევნო თაობებს ამხნევენ, ალაფრთოვანებენ, ზრდიან, წვრთნიან. ე.ი. ძველი გმირების გახსენება და ქება თვითმიზანი კი არ ყოფილა, არამედ ამ გმირებს მოუხმო თანამედროვეთა გასამხნეებლად; ისტორია ჩააყენა ანმყოს სამსახურში. ერი ისტორიას მიმართავს განსაკუთრებით მაშინ, როცა უჭირს.

გრიგოლ ორბელიანი აიდეალებს წარსულს, მაგრამ მას ანმყოსაც უკავშირებს, ამით ის სამოციანელთა წინამორბედად გვევლინება. ეს თვალსაზრისი შემდგომ განავითარეს და თეორიულად დაასაბუთეს სამოციანელებმა (მაგ. ილიამ და აკაკიმ წარსული მთლიანად ჩააყენეს ანმყოს სამსახურში... გამოიყენეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების დასამკვიდრებლად). კრიზისულ ჟამს ადამიანები მიმართავენ წარსულს, ცდილობენ გამოიხმონ იქიდან წინაპართა რაინდული სული, რათა ამით გაამხნეონ, რწმენა განუმტკიცონ, ძალა შემატონ, იმედი მისცენ... საერთოდ, ღირსეულ პიროვნებათა საქციელს აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ასეთი

გმირები მხოლოდ იყვნენ და მე-19 საუკუნეში აღარ ჩანდნენ. გრიგოლ ორბელიანი ნატრობდა ასეთი გმირის გამოჩენას: „ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს, რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს ძირსა დასცემდეს“. ასეთ გმირს ეძებდა ილიაც, მაგრამ არ ჩანდა და ამაზე წუხდა:

„მაგრამ, მამულო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი...“

აკაკი: „გმირებს უძახის, უყივის ჩემი დაფი და ნალარა“.

II სადღეგრძელო, იმპერატორ ნიკოლოზ I-სადმი მიძღვნილი, დაწერილია ცალკე, 1854 წ. 5 აპრილს და ჩართულია წინაპართა ხსოვნისა და მამულისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოებს შორის. ეს სადღეგრძელო ხორცმეტად მოჩანს. ზოგ მკვლევარს ზედმეტად მიაჩნია. ვახტანგ კოტეტიშვილმა სულ ამოიღო პოემიდან. პოეტმა ეს სადღეგრძელო მანამდე ვერ შეიტანა პოემაში, სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ერიდებოდა მისი. გრიგოლ ორბელიანი საქართველოს აღორძინების გზად სახავს რუსეთთან მტკიცე კავშირს, მასთან თანამშრომლობას. თვითმპყრობელობა იფარავს, ტახტი იცავს საქართველოს, ხოლო უკანასკნელი მისი ერთგული რჩება.

### **ხელმწიფე ჩვენო, ძლიერო ბრძენო ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა!**

შდრ. აკაკის „ომი“:

„და დიდ ხელმწიფეს წვრილ ხალხის დამცველს ნუ მოეშალოს ან გამარჯვება“.

ნიკოლოზ I გარდაიცვალა 59 წლისა 1855 წ. 18 თებერვალს (2 მარტს). ყირიმის ომში დამარცხებამ გული გაუხეთქა. ის იყო პავლე I-ის მესამე ვაჟი. ტახტზე ასვლა აღნიშნა დეკაბრისტთა აჯანყების განადგურებით (1825 წ. 14 დეკემბ.). ჰქონდა სამხედრო-საინჟინრო განათლება. ბუნებით იყო დესპოტი, ტირანი. მან შემოიღო ე.წ. „მესამე განყოფილება“ (საიდუმლო პოლი-

ცია). მისი მსხვერპლნი გახდნენ: პუშკინი, ლერმონტოვი, გერცენი, ოგარიოვი, შევჩენკო და სხვანი. სასტიკად ახშობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს (მაგ., შამილი, პოლონეთის 1830-31 წწ. მან გადაასახლა ქართველი შეთქმულებიც). აი, ეს იმპერატორი შეამკო გრიგოლ ორბელიანმა 1854 წ. 5 აპრილს. უსურვა დღეგრძელობა („ღმერთო გვისმინე... მეფე გვიცოცხლე მრავალჟამიერ“). ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ერისთავმა დაწერა ლექსი „ტირილი ქართველთა მისის იმპერატორობითის დიდებულებისა ნიკ. პავლეს ძის გარდაცვალებასა ზედა“. „ჩრდილოდ მოგვესმა ხმა გოდებისა, რუსთა-ივერთა დაობლებისა... დიდხანს ვიყავით, მეფეო, ჩვენ შენგან ბედნიერები...“ ახლა დავობლდით, მაგრამ იმით ვნუგეშობთ „შენი ივერნი ერთგულნი, რომ მოგვეცა მეფედ ძე შენი, შენებრივ ნიჭით შემკული“. ეს ძე იყო ალექსანდრე II, პოლიტიკური შეხედულებებით კონსერვატორი (მოკლეს 1881 წ. 1 მარტს). გიორგი ერისთავი კარგად იცნობდა გრიგოლ ორბელიანს, ჰქონდა მასთან მიმონერა. (გიორგი ერისთავის თხზ. კრებულში შესულია 8 წერილი, რომელთა ადრესატია გრიგოლ ორბელიანი), მეგობრობდა მასთან. შეიძლება, გიორგი ერისთავმა თავისი უფროსი თანამოკალმის მიზაძვითა და გავლენით დაწერა ეს საძაგელი ლექსი? თუ გრიგოლს ერთგვარი გამართლება ეძებნება (მაშინ იმპერატორი ცოცხალი იყო და პოეტი მისგან მოელოდა საქართველოს აღდგენა-აღორძინებას), გაუგებარია, გიორგი ერისთავს მისი გარდაცვალების შემდეგ რამ ათქმევინა ეს.

იმპერატორისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოში აშკარად იკითხება სურვილი საქართველოს ძველი დიდების დაბრუნებისა, მაგრამ რა გზით? მთელი იმედი ნიკოლოზ I-ზე დაუშვარებია. ეს განწირულის აგონიას ჰგავს. იმპერატორს სთხოვს, გადმოხედოს საქართველოს მოწყალე თვალით, და მაშინ იგი:

**განახლებული, განათლებული  
ფენიქსებრ იწყებს აღმა ფრენასა.**

თამარის დღენი,  
დიდების დღენი  
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..  
ღმერთო, გვისმინე  
მეფეს მოჰფინე  
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციურ!  
ჩვენდა დიდებად, ბედნიერებად  
მეფე გვიცოცხლე მრავალჟამიერ!

(თუ ადრე ვეშაპის განგმირვაზე ოცნებობდა, ახლა მეფის სიცოცხლეს ნატრობს). გრიგოლ ორბელიანი პრაქტიკული საქმიანობითაც ერთგულად ემსახურებოდა მეფის რუსეთს. კავკასიის დაპყრობა (შამილის დაჩოქება), ამქართა აჯანყების ჩაქრობა, გურიის აჯანყების ჩაქრობა და სხვა, სამაგიეროდ, მასაც დაუფასეს დამსახურება, მისცეს იმდენი ორდენი და მედალი, ხავერდის ათ ბალიშზე რომ ელაგა. ბედმა მას არგუნა, ყოფილიყო პირველი ქართველი იუბილარი, ჰქონდა უამრავი ჩინი და წოდება. ძლიერ აფასებდნენ პირადად იმპერატორები: ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, ალექსანდრე III (არცერთი ქართველი არ ყოფილა ასე აღზევებული და დაფასებული მეფის მთავრობის მიერ). ერთი სიტყვით, არც მეფის მთავრობა დარჩენილა პოეტის მიმართ ვალში. ერთხანს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. ეს მის სინდისს კი არ ამძიმებდა, არამედ ეამაყებოდა და ტრაბახობდა კიდევ: „კაცი აგერ მთავარმართლებელი ვარ...“ ე.ი. ტახტსა და ჩვენს პოეტს შორის სრული ურთიერთგაგებაა. აი, ეს „ორ სკამზე ჯდომა“ ჰქონდა აკაკის მხედველობაში, როცა ამბობდა: „აქაც ხარო, იქაც ხარო“.

ეს ადამიანი სულთ ქართველი იყო, უდიდესი პატრიოტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, სხვას ვის შეეძლო ეთქვა (III სადღეგრძელო):

**ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათროლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?**

**ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი  
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!**

ვინ არ შეტრფის იმ ადგილს, სადაც აეხილა თვალი, სადაც რბოდა მისი სიყმანვილე, სადაც ფარავდა მშობლის ალერსი... მშობლიური ქვეყნის სიყვარულს აძლიერებს მისი ბუნების სილამაზეც (ამ სადღეგრძელოში, ისევე როგორც ლექსში „სალამო გამოსალმებისა“, პოეტი ხატავს საქართველოს ბუნების შესანიშნავ სურათებს), მაგრამ პოეტი აღფრთოვანებულია მშობლიური ქვეყნის არამარტო ბუნების სილამაზით, არამედ ხალხის საუკეთესო თვისებებითაც:

**სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?  
ერი-გულადი, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა?!  
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატიცა,  
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..**

პოეტი ქადაგებს მამულისათვის თავდადების იდეას, მოუნოდებს ყველას სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლისაკენ:

**სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!  
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ უშიშრად  
ათასს მახვილსა,  
და მოვჰკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ  
მისსა სახელსა.**

ე.ი. მისი პატრიოტიზმი პასიური კი არა, მებრძოლია. საკმარისი არაა მარტო სიყვარული მამულისა, არამედ საჭიროა ბრძოლა მისი კეთილდღეობისათვის. ამ მხრივაც გრიგოლ ორბელიანი ქართველ სამოციანელთა წინამორბედი.

გრიგოლ ორბელიანი იყო ჭეშმარიტად დიდი პატრიოტი. როგორც ასეთი, გამოდიოდა ქართული ენის დამცველად, ქო-

მაგად. ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და ამაღლების უმთავრესი ფაქტორი ყოველთვის იყო ქართული ენა. X საუკუნეში დაიწერა „ქაბაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართული ენა ბერძნულთანაა გათანაბრებული: ისინი „ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა და მეგობარნი“. მეტიც, ქართულ ენას უპირატესობაც კი აქვს მინიჭებული. „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. კიდევ მეტიც. აღიარებულია საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც: უფალი მეორედ მოსვლისას ამ ენით გაასამართლებს, ამხელს ცოდვილთ. საქართველოს გაერთიანებაში ქართულმა ენამ უპირველესი როლი ითამაშა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე). ამიტომ იყო, რომ რუსეთმა უპირველეს ყოვლისა ნიშანში ამოიღო ქართული ენა, პირველი იერიში სწორედ ქართული ენის წინააღმდეგ მიიტანა... ენის დათმობა ეროვნების დათმობას უდრიადა.

**ერის ცხოვრება, მისი დიდება  
მის ისტორია დაცულ არს ენით;  
რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს...  
ნაეცხოს ჩირქი ტაძარს წმინდას.**

გრიგოლ ორბელიანი სწუხდა იმის გამო, რომ ზოგიერთი ქართველი ივიწყებდა ქართულს. პოეტი პირველ რიგში კიცხავდა გადარჯულებულ ქალებს. სალომე მიურატს სწერდა: „საქართველოში კი ქართველი ქალები უარს ყოფენ ქართულს ენასა და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვერით ამბობენ, „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“. ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენს აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა. ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებებისა, ესე იგი თვით ისტორიისა. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის



ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმის მამა-პაპები, როგორ სცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ?”.

გრიგოლ ორბელიანი არავის აპატიებდა ქართული ენის დამახინჯება-წარყვნას. აი, მისი წერილი-რეცენზია გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნებზე“. სასტიკად უსაყვედურა იმერიზმები... ქართული ენა ამ მოთხრობაში გდია, ვითარცა მარგალიტი ნაოხარზეო. ან კიდევ სატირული ლექსი „დროების ათი წლის იუბილე, ფერხული და ბუქნა“. „ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა, ვერა და არც სჯერა, რომ მან წერა ვერ ისწავლა, ვერა“.

გადარჯულებულ ქალებს კიცხავდა ბარათაშვილიც: „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე უნინ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ...“ და შენატროდა ძველ ქართველ ქალებს: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“

აკაკი: ერთი ქალი გავიცანო, სახელად ერქვა მაშენკა. ვთქვი, აი, რა არის მოდა-თქო, ძველი დრო რომ ყოფილიყო, მარიამ ერქმეოდა-თქო. რუსულად ამიყლურტულდა, ეზარებოდა ქართული.

**მომწონს კალინა-მალინა, მძულს ვარდები და იაო,  
სამშობლო რასა მიქვიან, მენყერსაც ნაულიაო.**

IV სადღეგრძელო — მეგობრობის, V — სიყვარულის.

1871 წ. პოემა დაიბეჭდა ჟურნ. „კრებულში“ №1. იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (გამოსცა ივანე კერესელიძემ).

პოემა მთავრდება გათენების (განთიადის) აღწერით. „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შელება, ცას სხიარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!“ პოემა იწყება დაისის სურათის აღწერით: „შენყდა ბინდისას ომი საზარი...“ (დაისი-აისი).

გათენება ეს არის მიძინებული ბუნების გამოღვიძების ჟამი, ფრინველთა და მცენარეთა გამოღვიძება. ფრინველნი მზის ამოსვლას გალობით ეგებებიან. ეს საოცარი სილამაზეა.

ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!  
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!

...

ფშვინვა დაინყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!  
ოჰ! რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!  
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით,  
ჰგალობს ბუღბული?

გათენდა.

ამ დიდებული სურათის მნახველი პოეტი აღფრთოვანებულ ჰიმნს მიუძღვნის სამყაროს დიდ ჰარმონიას - დღე-ღამის მონაცვლეობას. ჰიმნს მიუძღვნის დილას (აისს), რომელიც სიბნელეს აქრობს ნათელით:

ვიმ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,  
გულისა ჭმუნვის განმქარველს, სიცოცხლის  
დამატკობელსა!..  
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,  
მის ფერ უთვალავს შევენებას,  
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ  
ცხოვრებას!

ეს არის ბუნების უშუალო ხილვით გამოწვეული აღფრთოვანება. გრიგოლ ორბელიანი ბუნების დიდი მხატვარი იყო.

გათენდა და ეს კარგია, მაგრამ მეომრებმა (ღამით რომ ფილა ეკავათ და ილხენდნენ) ისევ იარაღს უნდა მოკიდონ ხელი. ადამიანმა ადამიანის სისხლი უნდა დაღვაროს. ჰუმანისტ პროეტს ეს საშინელებად მიაჩნია. „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?!“ ამ სისხლს ბუნების სილამაზესა და მშვენიერებაში შეაქვს დისჰარმონია.

ისე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანიც ომების (იგულისხმება, ცხადია, უსამართლო ომები) წინააღმდეგია. ომებს მოაქვს უბედურება, ნგრევა და უზარმაზარი მსხვერპლი, გოდება და ცრემლი. ქალების დაქვრივება, ბავშვე-

ბის დაობლება, ახალგაზრდა ქალების შინაბერებად დარჩენა და მოსახლეობის რიცხვის შემცირება.

პოემა მთავრდება მიძღვნით “თ. ალ. ვახტ-ძე ორბელიანს” (უდიდესი პატრიოტი, ზნეობრივი გმირი).

ან სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყვნენ?  
ძმანი და ტოლნი ვაჟკაცნი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?  
განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა  
გვიყვარდნენ,  
თვალთ მიგვეფარნენ... წავიდნენ... ძველთაგან  
დავშოთ მე და შენ!

ბევრი რამის თქმა მინდოდა და ვერ ვთქვი და ეს გულში ჩარჩენილი სათქმელი მტანჯავს და უკანასკნელი სტრიქონები - ღრმა, უძირო სევდა:

ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?!  
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ,  
რაცა მიყვარდა,  
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა,  
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჭად  
წარსულსა.

## სევდის მოტივი

გრიგოლ ორბელიანის, როგორც რომანტიკოსის, შემოქმედებაში ხელშესახებია სევდის მოტივი (ეს ხომ რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია). სევდის მიზეზი პოეტისთვის სხვადასხვანაირია. ეს პირველ რიგში საზოგადო-საქვეყნო სევდაა, გამოწვეული ქვეყნის, სამშობლოს მძიმე მდგომარეობით. გრიგოლ ორბელიანს აქვს კერძო-პირადული სევდის მიზეზიც. მის პოეზიაში არის ე. წ. “მსოფლიო სევდაც” (თუმცა არც ისე დიდი ადგილი უჭირავს).

ისე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანიც მისტირის წარსულს. სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გულდათუთქული პოეტი 1832 წ. წერდა:

**ოდეს ოხვრით მაგონდების სანატრელი დღე წარსული,  
გონება ვერ მიპოვნია სანუგეშოდ, ვერცა ცრემლი,  
ბედის ვარსკვლავს შორს ძლივს ვხედავ,  
ღრუბლით მოცულს და მთრთოლვარეს.**

1843 წ. წერს:

**ჰეი, გონებავ, დაივინყე ჩემს სანუგეშოდ,  
რაც იყო-იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა  
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ  
და ფუჭ სიცოცხლეს მანყევლინებ გამწარებულსა!**

წარსულის მოგონებით მაინც არაფერი გამოდის... ამჟამი შეთქმულებამ დაარწმუნა. წარსულის მოგონება გულს უკლავდა და სიცოცხლეს უშხამავდა. გრიგოლ ორბელიანის სევდა და უიმედობა რელიეფურადაა გამოხატული ლექს-მიძღვნაში „თ. ალექსანდრე ვახტანგისძეს ორბელიანს“, რომელიც ერთვის პოემა „სადღეგრძელოს“. ალექსანდრე იყო ფანატიკოსი პატრიოტი. ძმები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები იყვნენ გრიგოლ ორბელიანის დედის (ხორეშან ანდრონიკაშვილი) დეიდაშვილები. გრიგოლ ორბელიანის ბებია ელენე და თეკლე დები იყვნენ. სამივე რომანტიკოსს ფანატიკური სიყვარულით უყვარდა ერეკლე და ძველი საქართველო (ერეკლეს აღმერთებდნენ, მათ ნანერებში ერეკლეს კულტია). მათი თვალსაზრისი ბევრ რამეში მსგავსია, ერთმანეთს ემთხვევა. ეს მიძღვნა უღრმესი ელეგიური გრძნობით არის გამსჭვალული. ძველი მეგობრების და წარსული დროის განშორებით გამოწვეული ტკივილები, ხანშიშესული კაცის მიერ ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრების, უკვე გარდაცვლილთა მოგონება. იყვნენ, ქეიფობდნენ, დროს ატარებდნენ და აღარ არიან. ეს დღე მოგველის ჩვენც (ესაა მსოფლიო სევდა).

ყველაფერი ის ვერ ვთქვი, რისი თქმაც მინდოდაო (ჩვენთვის გასაგებია, თუ რისი თქმა ენადა და ვერ თქვა. გულში დარჩენილი სათქმელი მართლაც მტანჯველია).

სამშობლოს ხვედრით, მძიმე მდგომარეობით გამოწვეული სევდა რელიეფურადაა გამოთქმული ლექსში - „გაზაფხული“ (რომელიც რუსეთშია დაწერილი 1832 წ.).

**გაზაფხულის ჟამს სასურველს ყოვლი იშვებს,  
ყოვლი ჰხარობს!  
მხოლოდ ჩემს გულს დამნარებულს ხმა ბულბულის  
აღარ ატკბობს.**

მე არაფერი არ მახარებს — არც ვარდ-ყვავილთა სურნელება და ფეროვნება, არც განთიადი, არც დღე ნათელი. გაზაფხული მახარებს კი არა, სწორედ პირიქით, „ცრემლთ მიმრავლებს გაზაფხული“. რატომ? მომიკვდა სატრფო. ლექსი ალეგორიულია. მკვდარი სატრფო — საქართველოა, ყველაფერზე ძვირფასი — ჩემი ბედნიერებისა და სიცოცხლის საგანი. ამან გული მომიკლა და დამაობლა („რომლის სიკვდილმან მე გული მომიკლა და მჰყო გლახ ობლად“) მკვდრის პატრონს, ჭირისუფალს, ცხადია, არაფერი არ ახარებს. ოპტიმისტი აკაკის აზრით, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. რომანტიკოსი სხვანაირად სჯის. გრიგოლის ეს კონკრეტული (მაგრამ ღრმა სევდა) გადადის ე.წ. „მსოფლიო სევდაში“:

**ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისნავე მუხთლობა  
მისსა ყოველსა კეთილსა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა,  
მას ჟამსა არღა მახარებს არც გაზაფხული მოსვლითა  
და არცა გულსა მინუხებს მე იგი თვისის წასვლითა.**

ესე იგი გაზაფხულის მიმართ ინდიფერენტულადაა განწყობილი. პოეტის სევდა იმდენად დიდია, რომ თვით გაზაფხულსაც არ მოაქვს მისთვის სიხარული. ჩვეულებრივ კი გაზაფხულზე დაწერილ ლექსებში ავტორთა მხიარული და ოპტი-

მისტური განწყობილება ჩანს. გაზაფხული ხომ წელიწადის ყველაზე საუკეთესო დროა (ბუნების გამოღვიძება, გრძნობების აყვავება...). არცერთ დროზე არ დაწერილა იმდენი ლექსი, რამდენიც გაზაფხულზე. სულ სხვანაირია რომანტიკოსის „გაზაფხული“. ამ მხრივ ეს ლექსი გამონაკლისია. ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს, ცა მოღრუბლული რისხვითა.

რომანტიკოსის დაღრეჯილ, მოღრუბლულ გულს მოღრუბლული ბუნება უფრო ესადაგება, ვინემ მხიარული გაზაფხული.

საქართველოს უბედობით გულდამწუხრებული პოეტი 1883 წელს წერს უაღრესად პესიმისტურ ლექსს:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...

სევდა და უიმედობაა გამოხატული აგრეთვე ლექსში „ჩემს დას ეფემიას“, მხოლოდ ამ ლექსში გამოხატული სევდა უფრო კერძო, პირადული ხასიათისაა. ლექსში გადმოცემულია პოეტის სულიერი განწყობილება დედის სიკვდილისა და ყაზარმობის გამო. ლექსი დაწერილია ქ. რიგაში 1835 წ. (პირველად დაიბეჭდა 1858 წ. „ცისკარში“, აქ თარიღია 1834 წ., შემდგომ გამოცემებში კი 1835 წ.). გადასახლებაში გრიგოლ ორბელიანი თავს მარტოდმარტო გრძნობდა და სულ მოწყენილი იყო, ხშირად უსასოობამდე მიდიოდა. ლექსში გადმოცემულია პატიმრობის-დროინდელი მძიმე განცდები, რომელიც, ცხადია, ჯერ კიდევ არაა წაშლილი. ასე ადვილად არ წაიშლებოდა მგრძნობიარე პოეტისა და მოსიყვარულე შვილის გულში. გავიხსენოთ ადგილი დღიურიდან: ვუყურებდი ჩემი ფანჯრის პატარა ჭუჭრუტანიდან, თუ როგორ გაასვენეს დედის კუბო. მტერსაც არ ვუსურვებ, გამოსცადოს ის, რაც მაშინ გამოვცადე... მშობლების გარდაცვალება (ოჯახური გასაჭირი და მწუხარება) დედმამიშვილებს კიდევ უფრო აახლოვებს ერთმანეთთან. ეფემია, ალერსიანი, ყურადღებიანი, მშვიდი, წყნარი, ძმებისთვის იყო თავისებური ნუგეში, გზის მანათობელი ვარსკვლავი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი:

**ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვეების ვარსკვლავი,  
შენი ღიმილით შეჭმუხვნელი სახე მინათლე,  
შენი ალერსი, მშვიდი, წყნარი მიხარის შორით  
და გულდაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე.**

გრიგოლ ორბელიანის ლექსი ემსგავსება ბაირონის პოემას „შილიონის ტყვე“. ქართველი პოეტის ლექსში გადმოცემულია პატიმრობისდროინდელი მძიმე განცდები (დღიურში წერს: „ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო რა დედამინაზე. მამულში ვიყავი მისული და ნაცნობ-მეგობრებს შორის მხიარულების ნაცვლად საპატიმროს კედლების ხილვა მანვა გულზე ტყვიასავით“). ბაირონის პოემაში კი პოლიტიკური პატიმრის — ბონივარის — ტანჯვაა აღწერილი. გრიგოლ ორბელიანი, ჩანს, იცნობდა ამ პოემის ჟუკოვსკისეულ თარგმანს. საგულისხმოა ამ ორი ნაწარმოების პოეტური შეხმიანების მაგალითები (იხ. მაყვალა კუჭუხიძის წერილი კრებულში „ნარკვევები მე-19 ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, II, 1978 წ.).

დავით წერეთელი „ანარეკლში“ წერს: „შთამბეჭდავია მერცხლის ეპიზოდი, საკანში ჭიკჭიკით რომ შემოფრინდება. „და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა, იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებულის“. პოეტს პასუხად სიმღერისევე თქმა სწადა, მაგრამ გადაჩვეული ყელიდან სიმღერის ნაცვლად მხოლოდ ხრიალი ამოსდის. „ეს ხმა უცნობი იყო ველურ და საზარელი, გავვოცდი, ვჰსდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი“. შეუძლებელია ამგვარი ცოცხალი ეპიზოდი ღრმად განცდილი, მესხიერებაში სათუთად შემონახული მოგონების გამოძახილი არ იყოს... არადა, უცხო პარალელიც ეძებნება — პარალელი ბაირონის მცირე მოცულობის პოემასთან, რომელსაც „შილიონის ტუსალი“ ჰქვია.“

ბოლოს პოეტი თავის დას მიმართავს, რომ მარტო ის დარჩა მის იმედად და სიკვდილის მერეც მან უნდა დააყაროს გულზე მშობლიური მიწა (მაგრამ და უფრო ადრე, 1849 წ. გარდაიცვალა და მიწა მას ძმამ მიაყარა).

გრიგოლ ორბელიანის პესიმიზმის ძირითადი მიზეზი სამშობლოს უიმედო მდგომარობაა, გარდა ამისა, მის პესიმიზმს

ასაზრდოებს პირადი მოტივებიც. პირადული სევდაა მაგ., გამოხატული ლექსში „ჩემს დას ეფემიას“. ასევე პოეტი მთელ რიგ ლექსებში მწუხარებას გამოთქვამს სატრფოსთან განშორების გამო. ამ ლექსების ელემიური განწყობილებაც პირადული ხასიათისაა. ასეთებია „სალამო გამოსალმებისა“, „მოგონება“.

**მწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა  
მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,  
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა,  
და აგვამალლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!  
მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე**

**ჩემი კურთხევა**

**ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მეღვევა  
არღა აამონ ან თვალთა გული შენისა ხილვითა  
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.  
ეტლი ჰრბის... სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი  
მას სული.**

**ვმზერ... შორს ძღვსლა ჰსჩანს.. აღარ ჰსჩანს...**

**რალასა ვუმზერ შმაგ-ქმნილი**

**სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლო,  
და გულით ოხვრა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...**

**მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,  
ან ვისთვის გული მიკვნესის, სული ჰსწუხს განშორებითა.  
მაგრამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად,  
რომ შენც განმშორდი, დამტოვე მწუხარებისა მე მსხვერ-**

**პლად?**

**წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა  
და ვინ გამოდის ან კარი ბედისა დაკარგულისა?**

**„მსოფლიო სევდა“.**

**ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისწავლე მუხთლობა,  
მისსა ყოველსა კეთისა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა“**

**(„გაზაფხული“)**



**ჰე ცრუ სოფელო, დაუნდობელო,  
შენში კეთილიო სად არს ფერუცვლელ?  
(„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“)**

სიცოცხლის ბოლო წლებში სევდა განსაკუთრებით მოეძალა. 1873 წ. წერდა (სოფიო ორბელიანს): „ან მე ვინ მინდა, ან მე ვის უნდივარ? ვინცა იყვნენ ჩემთვის სასიხარულოდ, ისინი აღარ არიან; ზოგნი შორს ვლენენ ოხვრით, ზოგნი უდროოდ განვიდნენ სოფლის ლხინით. ყველას თავისი დრო ჰქონია ამ სოფელში. წელიწადები მიდიან, ჩვენცა ვბერდებით და ახლავე ვილუპებით“. 1875 წ. (ქეთევან ორბელიანს): „მომიგონე მე ობოლი (შდრ.: ბარათაშვილის „სული ობოლი“), ოხერ ტიალი, ცოლი არა, შვილი არა, უბედური წავკისში გადავარდნილი, გადაყრუებული“. 1877 წ. (რევაზ ერისთავს): „ავადმყოფობით დასუსტებულსა ღონე სრულებით მომეშალა, ვაი ჩემს საბრალო თავსა რომ ამ სოფელში დავჰპთი მარტოდ-ობლად, ყოველთა მათგან, ვინცა მიყუარდნენ სულით, გულით“.

ასეთივე განწყობილებაა ლექს-მიძღვნაში „ალ. ორბელიანს“. „ან სად არიან იგინი...“

## **ანაკრეონტული ლექსები**

გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ხშირად მოისმის მწუხარებისა და სევდის ხმები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხრივ, მეორე მხრივ, იმავე პოეტის ლექსებში ხშირად მოისმის აგრეთვე ხალისიანი, ნათელი ხმები. ერთი სიტყვით, გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში საოცარი ჰარმონიითაა შერწყმული მინორი და მაჟორი. საზეიმო-სამხიარულო ლექსებით გრიგოლ ორბელიანი ჩვენს წინაშე დგას, როგორც მარად ახალგაზრდობის მომღერალი პოეტი; სიცოცხლესა და სიხარულს, სიყვარულს მოწყურებული, დახარბებული ადამიანი: „ცუდია უემხოდ ცხოვრება. ასეთი კაცი ემსგავსების ფუტუროსა ხეს“. ან „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?“.

გრიგოლ ორბელიანმა ახალგაზრდობაშივე განიცადა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გავლენა (ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის მოტივს და ანაკრეონტულ თემატიკას). გრიგოლ ორბელიანის ადრინდელ პოეტურ ნაწარმოებებს ახასიათებს ჭარბი მგრძნობელობა და ანაკრეონტული სული. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გავლენას გრიგოლ ორბელიანზე ხელი შეუწყობს იმანაც, რომ გრიგოლ ორბელიანმა ახალგაზრდობის წლები ალექსანდრე ჭავჭავაძის წრეში გაატარა (ამ ოჯახთან ის გაშინაურებული იყო, კარგად იცნობდა ოჯახის ყველა წევრს, უიმედოდ უყვარდა ნინო... მათთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია, პქონდა მიმონერა...). გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერს: „პირველი მისი ლექსები დაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში, წინანდალს, მშვენიერების სატახტო სოფელში“.

თვითონ გრიგოლ ორბელიანს შემდეგ არაერთხელ ტკბილად მოუგონებია ახალგაზრდობის ეს წარმტაცი ხანა. 1835 წ. პოეტი რუსეთიდან სწერდა სალომე ჭავჭავაძეს:

„დღენი თქვენთანა გატარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში“.

ხანდაზმულობის ჟამს, 1877 წ. იგი სწერდა ეკატერინე ჭავჭავაძეს: „მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმანვილქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მალალი ზრდილობით, გონებით, გულის სინმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, საცხე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთანა, საითაც შეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავას ლექსსა: „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს?“ ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, ჩემის ან დაბერებულის გულისა გასამხიარულებლად, გასაყმანვილებლად! ღმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეც თქვენს საზოგადოებაში ვექცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშისმცემელი...“

მოკლედ, მთავარი წყარო გრიგოლ ორბელიანის ანაკრეონტიზმისა არის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი სალონი.

გრიგოლ ორბელიანის ანაკრეონტული ლექსებია: „ანტონს“, „ეკ. ჭ-ძისას“, „მირზაჯანას ეპიტაფია“, „აზარფეშაზე“... ავტორი მთელ რიგ ლექსებში პირდაპირ მოუწოდებს მოკვდავთ, რომ დატკბნენ ცხოვრების მშვენიერებით, ამქვეყნიური სილამაზით და ბედნიერებით. აი, თუნდაც ჩვენამდე მოღწეული პირველი ლექსი „ანტონს“ (1829 წ.), ლექსი მიძღვნილია პოეტის მეგობრის, ანტონ ორბელიანისადმი. ავტორი მოუწოდებს მეგობარს სიხარულითა და სიყვარულთ გაატაროს თავისი დღე და წუთისოფელი, დატკბეს სიცოცხლით:

**ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;  
ერთსა წამსაც წუ დაჰკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.**

პოეტი აფრთხილებს მეგობარს, რომ სიჭაბუკე მარადიული არაა (სიჭაბუკედ სულხან-საბა ორბელიანმა 15-დან 30 წ-მდე განსაზღვრა). „ულმობელ დროს მიაქვს იგი, მასთან ყოვლი სიხარული“, მალე გვესტუმრება სიბერე და მაშინ გაქრება სიყვარული, სიცოცხლის სიტკბო, ამიტომ პოეტი ურჩევს მას, ვიდრე ჯერ კიდევ ჭაბუკია, ეცადოს, დატკბეს სიამით:

**მეგობრობასა სიცოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!  
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად ალყავებული.**

ასეთივე რჩევით მიმართავს გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს ლექსში, რომელსაც სათაურად აქვს: „ეკატერინა ჭავჭავაძისას“ (დანერ. 1829 წ. წინანდალში). ეკატერინე იყო ამ დროს 13 წლისა. ესაა მისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი. შემდეგ ამ ქალს ლექსებს მიუძღვნიან სხვა პოეტებიც (მათ შორის გრიგოლის დისწული, ნიკოლოზ ბარათაშვილიც):

იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენიერებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი,  
ვიდრემდის შენ ზე  
დაგნათის, ვით მზე,  
სიჭაბუკუსა ნათელ ვარსკვლავი!

ეს ის შეხედულებაა, რომელსაც ალექსანდრე ჭავჭავაძეც  
ქადაგებდა:

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,  
იგემთ სიტკობ სიყვარულისა.  
(„ელების კარი გაზაფხულისა“)

ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიმართავდა ახალგაზრდა მეგობ-  
რებს, ვიდრე ჭაბუკები ხართ და ცხოვრების დილა გინათებთ,

აჰყევით სოფელს შურჩენელს და მომღერალსა  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა აღსა!  
სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს,  
და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

საქები ისაა, ვინც ყოველი დრო და ასაკი შესაფერად გამოი-  
ყენა:

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,  
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა.  
(„ჩემთ მეგობართ“. 1841 წ.)

ილია:

ვაი მას, ვინც ჭაბუკობისას ჭაბუკ არ არის.

აკაკი:

**რომ სიყმანვილემ იცოდეს, სიბერე თუ რა ძნელია,  
არ გაუშვებდა, რასაც კი მიუწვდებოდა ხელია.**

ესაა გრიგოლ ორბელიანის პირველი ლექსები. ე.ი. პოეტური მოღვაწეობა ჰედონისტური ლექსებით დაიწყო. იმავე 1829 წელსაა დაწერილი „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“).

ცხოვრებით დატკბობის განწყობილებაა გამოხატული ლექსში „მირზაჯანას ეპიტაფია“, რომელიც პოეტს დაუწერია პეტერბურგში 1832 წ. მირზაჯანა მადათოვი — „ტომით სომეხი, ხასიათით მუსულმანი“, პოეტის მეგობარი, „ლხინის პაპად“ წოდებული, განთქმული მოქეიფე და ყარაჩოღელი, გამოცდილი თამადა. მთელი ცხოვრება ისე გაიარა, რომ ქეიფის, გართობის, ლხინის მეტი არაფერი უკეთებია, და აი, ეს მირზაჯანა საფლავიდან ურჩევს ცოცხლებს, თქვენც ჩემებრ მოიქეციეთ, მოეშვით ამ ფიქრებს და სიბრძნეს, თორემ გონებით ცასაც რომ მისწვდეთ, ბოლოს მაინც აქ მოხვალთ, მტვრად იქცევითო.

**მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!  
დალუპე ეშუში და ღვინოში ყოვლი სიმნარე,  
რომ გზა ცხოვრების განვლო ლხინით ვით მე ვიარე.  
რომ შავ ბედის წინ შეუპოვრად ხმამაღლივ დაჰმღერ!  
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქნა მტვერ.**

ტიპური ყარაჩოღლური ეპიტაფიაა, მაგ: „მე უკვე შინა ვარ, შენ ჯერ კიდევ სტუმრად იმყოფები და მალე შენც შინ დაბრუნდები“. ან: „რაცა ხარ შენ, ის ვიყავი მე; რაცა ვარ მე, ის იქნები შენ“.

გრიგოლ ორბელიანის ლექსი, როგორც ვთქვით, დაწერილია პეტერბურგში 1832 წ. ლექსის ავტოგრაფს ახლავს ასეთი მინაწერი: „რა მესმა მისი სიკვდილი, მასვე წამსვე ცრემლით აღვსილმან ვთქვი ესე“. მაგრამ აქ გაუგებრობაა. მირზაჯანა 1832 წელს არ გარდაცვლილა. მამ რაშია საქმე? რატომ წერს გრიგოლ ორბელიანი ეპიტაფიას ცოცხალ მეგობარზე? აშკარაა,

რომ პოეტს პეტერბურგში ტყუილი ცნობა მიუღია მირზაჯანას გარდაცვალების შესახებ; ან კიდევ, როგორც ზოგიერთი მკვლევარ ფიქრობს, ხუმრობით დაუნერია ეპიტაფია თავის ჯერ კიდევ ცოცხალ მეგობარზე.

ანაკრეონტულია გრიგოლ ორბელიანის „აზარფეშაზე“.

**ბელსა რად ჰსნყველი? რად ჰსნუხარ? რას გარგებს  
სულმოკლეობა,  
შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!**

მღრ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“.

**ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით. შესვი? გაამოს!**

ანაკრეონტულია გრიგოლ ორბელიანის მიერ პუშკინიდან გადმოკეთებული ლექსიც „ლხინი“. პუშკინსა აქვს „Веселый пир“ (1819 წ.). გრიგოლს გადმოუკეთებია იგი 1830 წ.

### **„მუსამბაზები“**

გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ე.წ. აშულურ-ყარაჩოლული ციკლის ლექსებს — მუსამბაზებს.

გრიგოლ ორბელიანი, ესოდენ წარჩინებული და დანინაურებული პირი, მრავალი მთავარმართებლის პირადად მცნობი, რომელიც რამდენჯერმე თვითონ ასრულებდა მთავარმართებლის მოვალეობას და პირადად იცნობდა იმპერატორებს ნიკოლოზ I და ალექსანდრე II (ალექსანდრე II-მ მას პირადად გადასცა იმპერიის უმაღლესი ჯილდო), გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მუდამ ამყობდა თავისი ყაფლანიშვილობით, ეს კაცი არ თაკილობდა, რომ დრო გაეტარებინა მდაბიო პირებთან. იგი ახლოს იცნობდა ძველი თბილისის დაბალ, დემოკრატიულ

ფენას, ყარაჩოღლებს, მეტივეებს, ბაყლებს, მეთევზეებს, მოკრივეებს და სხვათ. კერძო ცხოვრებაში იგი იმდენად ახლოს იყო მათთან, რომ ზოგიერთს (მაგ. მეთევზე ლოპიანას), გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტსაც ეძახდნენ (მას ყოველ დილით თურმე ცოცხალი თევზი მიჰქონდა პოეტთან). და აი, გრ. ორბელიანის ლირიკაში ასახვა პოვა ამ ადამიანთა ცხოვრებამ. პოეტმა რეალისტურად დაგვიხატა ისინი... თავის ლექსებში. საყურადღებოა, რომ მის შემოქმედებაში არ გახშიანებულა არც ერთი ოფიციალური პირის სახელი (გარდა ნიკოლოზ I-ისა), მაშინ როდესაც ამ უბრალო ადამიანებს ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა. მათში რეალისტურადაა დახატული ამ პირთა პორტრეტი, მათი ფიქრები და განცდები, ყოფითი დეტალები, გარემო, სადაც მათ უხდებოდათ ყოფნა (ორთაჭალის ბალები, მტკვრის სანაპირო და სხვა). იოსებ გრიშაშვილიც კარგად იცნობდა ამ ხალხს, მან თავისი ძველი მეგობრების წინაშე მორალური ვალი მოიხადა წიგნით „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გრიგოლ ორბელიანმა — თავისი მუხამბაზებით — გააცოცხლა და უკვდავი გახადა ეს ადამიანები (თუ არადა გაქრობა ელოდათ) მუხამბაზი საერთოდ ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა იყო ანაკრეონტული განწყობილების გადმოსაცემად (ეს არაბულ-სპარსული ლექსწყობის ფორმაა. „მუხამბაზი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს ხუთეულს. მუხამბაზი შედგება ხუთტაეპიანი ხუთი ხანისაგან. I ხანის ხუთივე ტაეპი ერთი რითმითაა განწყობილი, დანარჩენი ხანების პირველ ოთხ ტაეპს თავისი რითმა აქვს, ხოლო მეხუთე ტაეპი პირველი ხანის რითმას იმეორებს). ქართულ პოეზიაში მუხამბაზი დაამკვიდრა ბესიკმა. მუხამბაზებს წერდა საიათნოვა. რაც შეეხება ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და აკაკის მუხამბაზებს, ისინი მუხამბაზთა შეცვლილ ფორმას წარმოადგენენ.

გრიგოლ ორბელიანს ძალიან უყვარდა აღმოსავლური პოეზია. ძალიან კარგად იცნობდა ბესიკის, საიათნოვას, დიმიტრი და გიორგი თამანიშვილების აღმოსავლურ-მუხამბაზურ პოეზიას. იცნობდა სპარსულ-აზერბაიჯანული პოეზიის ბევრ წარმომადგენელსაც. მაგ., დადასტურებულია, რომ იცნობდა საა-

დის, ხოლო თვითონ უთარგმნია აზერბაიჯანულიდან ვაგიფის (მე-18 ს. პოეტი) თხზულებანი.

გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოღლური ციკლის ლექსებიდან უნდა დავასახელოთ: „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“), „მუხამბაზი“ („არავისთვის დღეს მე არ მცალიან“), „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო“), „დიმ. ონიკოვის დარდები“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს“).

როგორც ვხედავთ, ბევრი ლექსი აქვს ერთნაირი სათაურით „მუხამბაზი“, დიახ, ამ ციკლის ლექსებში მუხამბაზის ფორმას იყენებს. ყველა ეს ლექსი დანერვილია მონოლოგის სტრუქტურით, ამიტომ ენა და სტილი მარტივი, ხალხურია (განსხვავდება სხვა ლექსთა სტილისაგან). ამ ლექსების ძირითადი თემაა სიყვარული. უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანმა ყარაჩოღლებს მიანერა რომანტიკული სიყვარული, რომელიც მათ სინამდვილეში შეიძლება არც ჰქონდათ.

„მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“) დანერვილია 1829 წ. (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წ.). აქ აღნერვილია სიყვარულით გახელებული ყარაჩოღლის გრძნობები, რომელთა დამალვაში, არ გამხელაში ფხიზელი გონება შველის, თორემ თუ ღვინო დალია, მაშინ თავისი გულისნადებს, ბოლომდე გამოთქვამს:

**ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით.  
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა  
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა.  
გულისა ურჩის დასამშვიდად მცირედ გონება  
შემრჩომილა და მისიცა გსურს დაბნელება.**

სატრფო შეჰპირებია: თუ ამ თასს დაცლი, ვარდს გაჩუქებო. ყარაჩოღელი ეუბნება: „მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენს ლანვთზე გაშლილს (მაკოცნიეო), და მაშინ გინა სიხარულით შევსვამ თვით სიკვდილს“.

„მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან“) დანერვილია 1833 წ., როცა პოეტი ავლაბრის ყაზარმებში იჯდა. ლექსში მოხსენ-



ნიებუღია ორი ადამიანი — სალომე და ბეჟან. სალომე არის ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, ხოლო ბეჟან თბილისელი მოქალაქეა, მკერავი, გვარად უმიკაშვილი (პეტრე უმიკაშვილის ცნობა). ლექსი სახუმარო ხასიათისაა. ლექსიდან ვიგებთ, რომ ბეჟანა მკერავი სალომეს სიყვარულითაა გაგიჟებული. დასაწყისში იგი აცხადებს, რომ ის საერთოდ „ქალების ლხინი და თაიგულია“, რომ მას ქალებში დიდი წარმატება აქვს. ტრაბახობს:

**შვენებითა საცა ვინ არს ქებული,  
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული.**

თითქოს ბევრი ვინმე ეტრფის და ეპატიჟება, მაგრამ ყველას სალომე ამჯობინა ბეჟანას მობეზრდა სხვა ტურფანი, სალომეს გულისთვის უარს ამბობს, წავიდეს გარეთუბანში, სადაც ლამაზები დგანან და ამოდ ელოდებიან, მათთვის არ სცალია: „დამეხსენით დღეს მე არა მცალიან...“ სალომესაც თითქოს არანაკლებ უყვარს ბეჟანი, გახელებულია მისთვის.

**ჩემო ბეჟან! — მისგან სინაზით თქმული,  
როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული.**

დასასრულ, ბეჟანა მკერვალი ამბობს, რომ „ბედმან დაამხო რაყიფნი დიდ-კაცნი“ (იგულისხმება 1832 წ. შეთქმულების მონაწილენი) და მას, ბეჟანს დარჩა ბურთი და მოედანი. მას ახლა თავისუფლად შეუძლია წავიდეს სალომესთან და მარტომ „იჭიკჭიკოს“ მასთან (დაპატიმრებული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე).

**ბედმან დაამხო რაყიფი დიდკაცნი,  
მაგრამ მე კი ისევ ის ვარ, ბეჟანი,  
რომელს დარჩა ბურთი და მოედანი.  
ახ, რა რიგად ვიჭიკჭიკებთ დღეს ორნი!  
შახტი, ბეჟან, შენია დრო და ლხინი!  
დამეხსენით, დღეს მე არა მცალიან,  
სალომესთან სადილად მეძახიან.**

გრიგოლ ორბელიანი, როგორც ვიცით, გადაასახლეს. და აი, მომდევნო, 1834 წ. გადასახლებაში (ვილნოში) პოეტი იმავე ბეჟანა მკერვალის სახელით წერს ახალ სახუმარო ლექსს სალომე ჭავჭავაძისადმი. ამ ლექსის სათაურია „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1863 წ.). ლექსის დაწერა გამოუწვევია ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის, სოფიოს დაბადებას (დაიბადა 1834 წ. 22 სექტემბერს). სოფიოს დაბადება გრიგოლ ორბელიანისათვის შეუტყობინებია თვითონ სალომე ჭავჭავაძეს. გრიგოლს მაშინვე დაუწერია ეს სახუმარო ლექსი და წერილთან ერთად გამოუგზავნია სალომესთვის. წერილში ის წერს: „ეს მესამე დღეა, რა მოველ რილიდამ აქა. სადაცა დამხვდა წერილი თქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას. მოგილოცავთ! მაგრამ რა გინდა სალომევე! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბურლითგან ისპაჰანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხი, ახლა ეგ მესამეც. — ნუ გამინყრები კი, სალომევე! და მგონია ეჭვი იყოს ანგარიშში. მაგ ახალშობილზე ბეჟანა მკერვალმა რაღაც მითხრა ყურში, რომლის თქმა არ შემიძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისათვის ეს ლექსი ბეჟანასაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმევი“ (დათარიღებულია 1835 წ. 23 მარტი, ვილნო).

ამ ლექსშიც ბეჟანა მკერვალის გრძნობებია გადმოცემული სალომესადმი, უფრო მეტიც, ბეჟანა უფრო შორს მიდის და თამამად (ურცხვად და უტიფრადაც კი) აცხადებს, რომ ეს ახალშობილი (სოფიო) მისი შვილია.

„ეჭვი ვის აქვს, მამა ვინც არს?“

ამ წერილისა და ლექსის მიღებისთანავე სალომე ჭავჭავაძეს პასუხი დაუბრუნებია გრიგოლ ორბელიანისათვის (1835 წ. 22 მაისს). წერილში სალომე პოეტს აუწერს თავისი ასულის სილამაზეს („ახლა უნდა ჩემი სოფიოს ქება მოგწერო, რომელსაც შორიდან ლექსებით ეხუმრებო...“).

საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის „მუხაბაზი“ („სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით“), რომელიც დაწერილია 1835 წ. რიგაში (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1863 წ.) ვილნოსა

და რიგაში სევდა, ნოსტალგია იმდენად მოსძალებია, რომ ყარაჩოღლელებზე წერს, ისინი ენატრება...

პოეტი აქ, როგორც ლექსში „იარალის“, გვიხატავს ქართულ სუფრას, ყარაჩოღელთა ლხინს, ქეიფს, შექცევას.

**სულით ერთნო, მოლხინენო, ან შეკრბით  
თასით, ჯამით, ყანნით, აზარფეშებით!  
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;  
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,  
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღულუნეთ,  
დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!...**

სუფრის სული და გული არიან ალავერდა (თბილისელი მომღერალი. „იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს“ — გრიგოლ ორბელიანისვე შენიშვნა. მოხსენებული ჰყავს „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილს) და ტკბილად მოღულუნე ყოჯა-ბულბულ. სუფრის თავს დაბრძანდება „ლხინის პაპა“ (აქ იგულისხმება მირზაჯანა მადათოვი).

ლხინისა და დროსტარების დროა სიჭაბუკე (სულხან-საბას სიჭაბუკე განსაზღვრული აქვს 15-დან 30 წ-მდე). მაგრამ სიჭაბუკის დრო, სამწუხაროდ, ჩქარა გადის („სიჭაბუკე ვით მაისი მშვენიერად აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად“). ვაი მას, ვისაც ეს დრო ამოდ ჩაუვლის, ვერ იგემებს სიყვარულისა და ლხინის სიტკბოს (გაიხსენეთ ილია: „ვაი მას, ვინც ჭაბუკობისას ჭაბუკ არ არის“). ყარაჩოღლელების აზრით, სიჭაბუკის დრო ადამიანმა უნდა გაატაროს ქეიფსა და ლხინში, სიყვარულსა და გართობაში. ამ ფილოსოფიას სავსებით იზიარებდა და თავადაც ქადაგებდა გრიგოლ ორბელიანი (გაიხსენეთ „ანტონს“). შემდეგ ლექსში ნათქვამია:

**ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,  
არა მიყვარს ლხინი უემხ-უსატრფოდ.**

ყველა „მუხამბაზში“ მთავარია სიყვარული, მაგრამ როგორი სიყვარული? ცხადია, რომანტიკული, შორით კვდომა და დაგვა...

„დიმ. ონიკოვის დარდები“ გრიგოლ ორბელიანს დაუნერია ხანდაზმულობის უამს, 1860 წ. კოჯორში (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წ.). ლექსის მთავარი პირია დიმიტრი ონიკაშვილი (ონიკოვი), შეყვარებული ყარაჩოღელი. დიმიტრი ონიკოვი გრიგოლ ორბელიანის ახლო ნაცნობი და მეგობარი იყო, ცნობილი მოქეიფე მე-19 საუკუნის 50-იანი წლების თბილისში. ჭაბუკი ყარაჩოღელის პირით ლექსში გამოთქმულია შეყვარებული ვაჟკაცის კაეშანი... ის, ნაბადმოხვეული, ქუჩაში გდია ძალსავეთ, ყარაულობს „ერთის ვისმეს კარებსა, ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას“, რომ იქნებ იქიდან აღმოჩნდეს მისი მზე. ეშყისაგან გონებაგამოცლილს არ ესმის, მზე ბრწყინავს თუ თოვლი მოდის. მას არც სადილი ახსოვს და არც სხვა რამე (ფრანჩესკო პეტრარკა წლების მანძილზე შორიდან უმღეროდა ლაურას. მაგრამ სად პეტრარკა და სად დიმიტრი ონიკოვი? დიმიტრი ონიკოვი გრიგოლ ორბელიანმა იქამდე აამაღლა). ვინც გაივლის და ჰკითხავს ერთ ადგილზე დგომის მიზეზს, გულმოსული შეუტევს:

**შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?  
მითილი ხარ, თორე არა მკითხავდი,  
მოდო, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!  
ჩემი დარდი, თვალის ჩინი იქ არის,  
ერთი მითხარ, მე სად უნდა ნავიდე?**

„მითილი“ არც ერთ ლექსიკონში არ არის. სხვა მწერალს ეს სიტყვა, როგორც ჩანს, არც გამოუყენებია. ალბათ, ქალაქური ჟარგონია, მაგრამ ლექსში, კონტექსტში, ძნელი გასაგები სულაც არაა.

შემდეგ ის ევედრება სატრფოს, მოარჩინოს ამდენ დავიდარებას, გამობრწყინდეს აივანზე მზესავით. მეტს არაფერს ითხოვს, მარტო ერთი შემოხედვა სატრფოსი სულ სხვა კაცად აქცევს:

**აბა, შემომხედე ლამაზ თვალეზით,  
ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეფდე?**

**მაშინ ნახავ, თავი ცამდის ამელოს.  
ჩემზე მეტად არსად არვინა ჰსჩანდეს!  
შემიძლია მაშინ ვებრძო ქვეყანას  
შენი ეშხი იმდენს მომცემს ძალასა!**

(სიყვარულის ძალა ჯერ კიდევ რუსთაველმა გვიჩვენა, ამ ძალაზე საუბრობენ რომანტიკოსები, შემდეგ რელიეფურად დაგვიხატა ალექსანდრე ყაზბეგმა და სხვ.).

გრიგოლ ორბელიანი აგვიწერს რეალისტურ სახეს, კარგად იცავს ადგილობრივ კოლორიტს, ეს თბილისელი ყარაჩოღელი მკითხველს წარმოუდგება როგორც ცოცხალი ადამიანი, თავისი გარეგნობითა და თავისებური მეტყველებით. ლექსი სხვა რამითაც იქცევს ყურადღებას. ილია წერდა: „გრ. ორბელიანმა დაგვანახა პირველი, მაგრამ შეუდარებელი მაგალითი ქართული ურითმო ლექსისა... მან ამით გვიჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთწოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა“).

დღეს დადგენილია, რომ თეთრი ლექსის I მაგალითი გრიგოლ ორბელიანზე ადრე გვიჩვენა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის თარგმანებში (რომელთაც, ჩანს, ილია არ იცნობდა, არ იცნობდა იმიტომ, რომ არ იყო დაბეჭდილი).

„დომ. ონიკოვის დარდების“ პოეტური ღირსებანი ხიბლავდა ახალგაზრდა ილიას. მომდევნო, 1861 წ. გამოქვეყნებულ თავის პირველ კრიტიკულ წერილში („ორიოდე სიტყვა...“) ეხებოდა რა რითმის საკითხს, ილია საილუსტრაციოდ მიუთითებდა სწორედ ამ ლექსზე.

„განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა... თუნდ „...დარდები“. აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ თბილისელი ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბალები. აბა ნახეთ... ნაბადწამოხმული, ლოთურად ჩით-მერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს საყვარლის ფანჯრებს, ვინც კი დაუშლის, აღრინდება... რამდე-

ნი ნამდვილობაა და ჭეშმარიტება მის წმინდა ქართულ პოეტურ დარღებში, კვენესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა!”

საინტერესოა ერთი ფაქტიც: 1875 წ. გაზაფხულზე თბილისში გაიმართა ქართული სალიტერატურო საღამოები. 4 აპრილს გამართულ სალიტერატურო საღამოში მონაწილეობა მიიღო ილიამ. მან წაიკითხა ჯერ ნაწყვეტი თავისი „კაცია-ადამიანიდან“, ხოლო შემდეგ — გრიგოლ ორბელიანის ლექსი „ღმ. ონიკოვის დარღები“. ესეც იმაზე მიუთითებს, თუ როგორ აფასებდა იგი ამ ლექსს.

ამავე ხანებში არის დანერილი „მუხამბაზი“ (გინდ მეძინოს...), დათარიღებულია: კოჯორი, 1861 წ. (პირველად დაიბეჭდა „საქ. მოამბეში“, 11, სათაურით „ლოთური მუხამბაზი“).

ამ მუხამბაზის გმირი არის ლოპიანა, თბილისელი მეთევზე და განთქმული მოკრივე. ლოპიანა თურმე გრიგოლ ორბელიანის ახლო მეგობარი იყო, მას ზოგჯერ „ორბელიანის ადიუტანტსაც“ ეძახდნენ. ლოპიანას ყოველდღე მიჰქონდა გრიგოლთან „ცოცხალი“ თევზი.

[აი, ეს რეალური მეთევზე ლოპიანა არის, სხვათა შორის, გაბრიელ სუნდუკიანცის ცნობილი პეპოს (პიესა „პეპო“) პროტოტიპი. სუნდუკიანცი ხომ თბილისში დაიბადა (1825 წ.) და თბილისში მოღვაწეობდა. ახლოს იცნობდა ბევრ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს, მათ შორის, გრიგოლ ორბელიანს (გრიგოლი, როგორც დიდი თანამდებობის კაცი, ყოველთვის ეხმარებოდა და მზრუნველად ექცეოდა სუნდუკიანცს). „პეპო“ დაწერა 70-იან წლებში, მოქმედება თბილისში ხდება და პეპოც თბილისელი ტიპია. თვითონ ავტორს უთქვამს — მეთევზე ლოპიანა ცნობილი პირი იყო და იგი გამოვიყვანე ჩემი პიესის გმირადო (მას ძალიან ჰყვარებია გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზი“ ლოპიანაზე). მაგრამ პეპოსა და გრიგოლ ორბელიანის ლოპიანას შორის დიდი განსხვავებაა. პირველი მევახშეთა მამხილებელი და ნიღაბის ჩამომხსნელია, მეორე — უჯავრელი, რომელიც მაშინ ნეტარებს, როცა საყვარელ ქალთანაა ორთაჭალის ბაღებში].

ლექსი წარმოადგენს ლოპიანას მონოლოგს. ლოპიანა ასე მიმართავს სატრფოს:

**გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!  
თვალს ავახელ, ზედ ნამნამზე მიზიხარ!**

ეს სიტყვები რეფრენად გასდევს მთელ ლექსს. ლოპიანა სატრფოს ერთგულების ფიცს აძლევს, იგი ყმასავით ერთგულია სატრფოსი. ყველა გზა სატრფოსკენ მიდის, ფიქრის დროს მუდამ მისი სახე ეხატება თვალწინ, ენას დაძრავს თუ არა, სატრფოს სახელს ახსენებს. რამდენი ტაქტი, მორიდება, თავდაჭერა ჩანს ამ სიტყვებში. ასეთი, ჭეშმარიტად რომანტიკული სიყვარული დახვეწილ, რაფინირებულ ინტელიგენტსაც შეუზრდებოდა:

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,  
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.  
სადაც ნახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,  
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ,  
რას განუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!  
ჩემთვის ჩუად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!“  
გინდ მეძინოს...  
რტო ალვისა შენი წელი მგონია,  
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,  
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია,  
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია,  
როს მეღირსოს ვსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“  
გინდ მეძინოს...  
ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!  
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!  
მინდა რამ ვჰსთქვა — შენი სახელი მოდის!  
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?  
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“  
გინდ მეძინოს...“

ლოპიანას არავინ არ კითხულობს, მკვდარია თუ ცოცხალი, არავის აიტერესებს, მაგრამ მას თავისი ღირსებებიც აქვს. ის არის კარგი თამადა, კარგი მოკრივე. საქმე ისაა, რომ კრივი ხალხური სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და თბილისში ხშირად იმართებოდა ხოლმე.

კრივში მასობრივად მონაწილეობდნენ თბილისელები. არ ერიდებოდნენ ერთმანეთის დასისხლიანებასაც. ერთ-ერთ ასეთ სანახაობაში მონაწილეობა მიუღია ალექსანდრე ორბელიანსაც. ამის გამო დედა თურმე კი არ გაუწყრა, როგორც მოელოდა, არამედ შეაქო კიდევ. ხოლო კეთილშობილთა სასწავლებელში გამართულ კრივში გამოჩენილი სიმარჯვისთვის დირექტორს მისთვის „რომაელი პუბლი“ უწოდებია. აქედან შეერქვა შემდეგ „პუპლია“.

გრიგოლ ორბელიანის ლოპიანას ამიტომაც მოსწონს თავი მუშტი-კრივში მონაწილეობით.

**ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,  
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ,  
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ,  
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!  
მაშინ შეგიყვარდე, ჰსთქვა: „ძვირფასი ხარ?!“**

ამ მუხამბაზების მხატვრული აქსესუარი ხშირად აღმოსავლურია. აღმოსავლურია, მაგ., ხალის ქება. „სავათნავას მიბაძვაში“ ნათქვამია:

**მაგონდების რა მის ღანვზედ ხალი,  
სიყვარულის გულს მეგზნება ალი...**

ხოლო „მუხამბაზში“ („სულით ერთნო...“) ვკითხულობთ:

**სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,  
ეს ფიალა იყოს სადღეგრძელო ხალის.**



(ხალი გურამიშვილმაც შეაქო: „ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი, პირად თეთრსა, შავთვალწარბას ასხდა შავი ხალი“).

ერთ კერძო ბარათში გრიგოლ ორბელიანი სწერდა ანტონ ორბელიანს (1834 წ.): „ცუდია უეშყოდ ცხოვრება. ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროსა ხეს... [ახსენებს პეტრონელლას] ამ უკანასკნელისა, რადგანაც ვარ აზიატი, მომწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარიან ესრეთი ქება. ამიტომ, ხომ იცი, ევროპაში ხალის ქება არ იციან, გემო არა აქვსთ!“ 1837 წ. გრიგოლი სწერდა თავის ძმას — ზაქარიას. „ერთი ქალი საკურველად ჰგავს ელენას, მარჯუნა ლოყაზედ ხალი აქვს. **АЗИАТСКИЙ ВКУС** მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დავარქვი „Престол любви“.

გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზების“ ენა და სტილი მარტივი და ხალხურია. იმიტომ, რომ აქ თვით დემოკრატიული ფენის წარმომადგენლები მეტყველებენ. ეს ლექსები მეტწილად მონოლოგებია. ამიტომ პოეტი იცავს ამ ადამიანების სტილს, მეტყველების მანერას, ენობრივ ჟარგონს. მუხამბაზების ენა და სტილი დიდად განსხვავდება სხვა ნაწარმოებთა ენისგან. ასე რომ, გრიგოლ ორბელიანი მიმართავს როგორც მაღალ, არქაიზებულ სტილს, ისე მდაბიურ-ხალხურსაც იმისდა მიხედვით, თუ რაზე წერს. ჩვენ მიერ ნათქვამი: ქართული რომანტიზმის ენა და სტილი მძიმეაო, აქ დარღვეულია. ეს იყო სიახლე, ნოვატორობა.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანმა: 1. გააფართოვა პოეზიის თემატიკა (გაამდიდრა ის ახალი, ცხოვრებიდან აღებული თემებით) და 2. გაახალხურა ლექსიკა.

ამ ციკლის (აშულუღ-ყარაჩოღლურმა) ლექსებმა სხვადასხვა პოზიციიდან სხვადასხვანაირი შეფასება მიიღო. ძველი თაობა მტრულად შეხვდა (გასაგებიცაა, არ მოეწონა დაბალი ფენის წარმომადგენელთა ჩვენება და ლექსიკის გახალხურება). მათ მიაჩნდათ, რომ პოეზიის თემა მარტო მაღალი კლასი იყო და პოეზიაც მისთვის, ელიტისთვის უნდა შექმნილიყო. დამახასიათებელია ამ მხრივ მანანა ორბელიანის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი.

1835 წ. „მუხამბაზის“ („სულით ერთნო“) გამო მანანა ორბელიანი სწერდა პოეტს: „ვერაფერი გახლდათ შენი ლექსი „დიპლიპიტო“. შენ დღეში ამისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს“. ეს მარტო მანანას აზრი არ ყოფილა. მანანას სალონში, როგორც ცნობილია, თავს იყრიდა 30-40-იანი წლების ლიტერატურული ძალები, ამიტომ მანანას აზრი ამ ლიტერატორთა ერთი ჯგუფის შეხედულების ანარეკლია. გადასახლებულ, სამშობლოსგან შორს მყოფ მეგობარს ალბათ ასეთ გულსატკენ სიტყვებს არც მისწერდა, რომ მეტისმეტად მნიშვნელოვან რამედ არ მიეჩნია. მანანამ ამით განგაჰის ზარები შემოჰკრა, რომ ეხსნა თავად გრიგოლ ორბელიანი და საერთოდ, ქართული მწერლობა ასეთი „უგემური ლექსებისგან“.

ასეთი აზრისა იყო ვახტანგ ორბელიანიც, რომელიც თუმცა გრიგოლ ორბელიანს დიდ პატივს სცემდა, მაგრამ მის მუხამბაზებს აკრიტიკებდა:

**მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა  
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,  
თუ არ ღვინო, ტულუმბაში და კინტო.**

ან:

**რისთვის მინდა არ რაში ვაქნევ კინტოს,  
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,  
ან ლოპიანას ან დიმიტრი ონიკოვს?  
ჩემი გული სხვა-გვართ სურათებს ითხოვს.**

*(„პოეტს“, 1884 წ.)*

ვახტანგ ორბელიანი საუბრობს კინტოზე, გრიგოლი კი — ყარაჩოდელზე. ეს სულ სხვაა. ვახტანგ ორბელიანი კინტოსა და ყარაჩოდელს აიგივებს. ეს ბევრს ემართება (ამის შესახებ იხ. იოსებ გრიშაშვილის გამოკვლევა).

სულ სხვანაირად შეაფასეს გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზები სამოციანელებმა (ილია ჭავჭავაძემ, გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, ანტონ ფურცელაძემ). მათ ხაზი გაუსვეს

გრიგოლ ორბელიანის რეალიზმს, როგორც ნოვატორულ მოვლენას, დროულსა და მიზანშეწონილს. ჩვენ უკვე ვიცით ილიას აზრი ერთ მუხამბაზზე. ასეთივე აზრისა იყო იგი ამ ციკლის სხვა ლექსებზეც, - „თითო მუხამბაზი თითო პოემად ღირსო“.

ილიას აზრს იზიარებდა გიორგი ნერეთელიც. წერილი „ცისკარს“ რა აკაკნებდა? („საქართველოს მოამბე“, №5). ასეთივე შეხედულებისა იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძე...

შეიცვალა თბილისი, აზიური სტილი ევროპულმა ჩაანაცვალა, გადაშენდნენ ყარაჩოლლები და კინტოები. მათი სახელი და ხსოვნა კი გრიგოლ ორბელიანმა თავისი „მუხამბაზებით“ უკვდავყო, ხოლო იოსებ გრიშაშვილმა წიგნით „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და ლექსებით: „აშჰაშხანისკენ“, „გამოთხოვება ძველ ტფილისთან“ და სხვა.

## სიყვარულის მოტივი

სიყვარულის მოტივი საერთოდ ძირითადია ყველა რომანტიკოსის შემოქმედებაში. ესაა რომანტიზმის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი. გამონაკლისი არც ქართული რომანტიზმია. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც ამ მოტივს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. აშუღურ-ყარაჩოლურ ლექსებშიც ხომ მთავარი სიყვარულია. მერე როგორი სიყვარული? რომანტიკული. თბილისის მდაბიო მოქალაქენი მაღალი სულის ადამიანებად წარმოგვიდგინა. ისე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე და ყველა რომანტიკოსი, გრიგოლ ორბელიანიც გონებასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს გულს, გრძნობებს (გაიხსენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძე: „მგრძნობელობა სჯობს ყოვლთ თვისებათ ცით მოვლენილსა, შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს“).

გრიგოლ ორბელიანის გაგებით, სიცოცხლისა და ბედნიერების სრულ შეგრძნებას გვაძლევს მარტოოდენ სიყვარული. გაიხსენეთ: „ცუდია უეშყოდ ცხოვრება, ასეთი კაცი ემსგავსების ფუტუროსა ხეს“ — ან „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სა-

ნატრელ არს სიმრავლე დღეთა". ლექსის თქმის ძალასაც სიყვარული აძლევდა:

**სიყვარულმა მათქმევინა,  
თვარა მე ვინ,  
ლექსი — ვინა?!**

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ხორციელი სიყვარულის ხოტბაცაა. აღმოსავლურ-ირანული და ძველი ქართული პოეტური ტრადიციები მის შემოქმედებაშიც იჩენს თავს. გრიგოლ ორბელიანის უშუალო მასწავლებლები არიან ბესიკი და ალექსანდრე ჭავჭავაძე (აგრეთვე ქალაქური ფოლკლორის შემოქმედნი). გრიგოლ ორბელიანმა ახალგაზრდობაში განიცადა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გავლენა (ჭარბი მგრძნობელობა და ანაკრეონტული სული). ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ გრიგოლ ორბელიანი „პირველ ხანებში ალექსანდრე ჭავჭავაძის გზას დაადგა“. აღმოსავლური სიყვარული ყველაზე უფრო ხელშესახებად ჩანს ლექსში „ს...“, რომელიც დანერილია 1832 წ. პეტერბურგში. ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად, გრიგოლ ორბელიანიც აქ ქებას შეასხამს ქალის სხეულს: თვალებს, ბაგეებს, წელს და სხვა.:

**მერცხალნი — თვალნი შენნი,  
გონების სხივთ მომფენნი!  
ვარდი — შენნი ბაგენი,  
მარად მოლიმარენი.  
თოვლ-ღვინო — შენნი ლანვნი,  
მათზედ გარდაშლილ ზილფენი!  
შენი წელი — კიპაროზ!  
და შენი ხმა — სირინოზ!  
ხან სიამით მავსებენ;  
ხან ცრემლთ მაფრქვევინებენ  
ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ  
და ხან უცებ მალხენენ!**

ლექსი მიძღვნილი უნდა იყოს სოფიო ორბელიანისადმი აღმოსავლური სიყვარული აქა-იქ მუხამბაზებშიც ჩანს:

**მებლანდება თვალეებში ზოგის წელი,  
ზოგის ხვევნა-ალერსი ტკბილი.**

— ამბობს ბეჟანა მკერვალი...

მაგრამ გრიგოლ ორბელიანის დამსახურება ისაა, რომ უპირატესად სწორედ რომანტიკულ სიყვარულს უმღერა. სიყვარულის ასეთი, დასავლური გაგება ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაშიც არის, მაგრამ ის, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძესთან სპორადულად იყო, გრიგოლ ორბელიანმა განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სიყვარულის დასავლურ-რომანტიკული გაგება. ეს ჯერ კიდევ კიტა აბაშიძემ შენიშნა: „პლატონური სიყვარული მან გვაგრძნობინა პირველად ჩვენს ლიტერატურაში და მანვე დაუტოვა სამკვიდროდ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სხვა ჩვენს პოეტებს“ („ეტიუდები“).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ის კიდევ უფრო განავითარა და მისცა ფილოსოფიური დასაბუთება. კიტა აბაშიძის მიერ სიყვარულის გრიგოლ ორბელიანისეული გაგება მთლად სწორად არაა კვალიფიცირებული. პლატონური სიყვარული სულიერი სიყვარულია, რომელიც ხორციელს მთლიანად გამორიცხავს (პლატონი — ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი). ის მეორე უკიდურესობაა, აღმოსავლური სიყვარულის საპირისპირო. რომანტიკული სიყვარული ფიზიკურ სიახლოვეს არ გამორიცხავს. ის სულის დამატკბობელი, სულის მაშვენია. რაკი სული უკვდავია, მასთან დაკავშირებული სიყვარულიც უკვდავია. სატრფიალო ორეულებში გრიგოლ ორბელიანი წერს:

**რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,  
თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული!**

გახსენდებათ, ალბათ, ალექსანდრე ჭავჭავაძე:

**თუ დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკვდარი მომიგონო,  
მოდი, ნახე საფლავი, რომ იქაც გაიგონო: მიყვარხარ!**

სიყვარულის ასეთივე გაგებაა „სადღეგრძელოშიც“:

**რაა, გინდ მოვჰკვდე? მაინც შენდამი  
სულს სიყვარული თანა ნაჰყვება!  
არს უკვდავება სულის დატკობა, რომელს დასასრულ  
არა ექმნების...  
უსიყვარულოდ სასუფეველი ვით საპყრობილ  
ჩემთვის შეიქმნეს.**

აქაა სულიერი სიყვარულის აპოლოგია. ამ სტრიქონებში მთელი ფილოსოფიაა წარმოჩენილი რომანტიკული, იდეალური სიყვარულისა. ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიყვარული არ შემოიფარგლება ამქვეყნიური ხანმოკლე არსებობით, იგი სძლევეს სიკვდილსაც და განაგრძობს არსებობას იმიერ სოფელშიც.

გრიგოლ ორბელიანს უყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ასული, ნინო. გრიგოლ ორბელიანის სასიყვარულო-სამიჯნურო ლირიკაში განსაკუთრებული შარავანდედით მოჩანს სწორედ ამ ქალის სახე. გრიგოლ ორბელიანს აქვს ლექსების მთელი ციკლი, მიძღვნილი ნინო ჭავჭავაძისადმი. მაგ., 1829 წ. დანერილი „ნ...დმი“. ნინო გრიგოლის ოცნების საგანი იყო დაქვრივების შემდეგაც (ალექსანდრე გრიბოედოვი მოკლეს 1829 წ. 30 იანვარს). სწორედ დაქვრივების მერე, 1829 წ. აქვს დანერილი გრიგოლ ორბელიანს ორი ლექსი: „ამა სოფელს...“ (7 მაისს) და „მტირალ ნ...ს“.

**თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ,  
ვით გშვენის!  
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,**

**ვარდებრივთა ლანვთა ზედა მარგარიტნი გადმოგცვივის,  
თუ შეჰსწყვიტო, შევინანებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის.**

ახალგაზრდა ლამაზი ქალის ცრემლები — ეს თავისებური სილამაზე ქართულ მწერლობაში ასე არავის შეუქია. ცრემლი ესთეტიკურ ფენომენადაა ქცეული შოთა რუსთველის მიერაც.

პოეტი ცდილობდა, დაევიწყებინა ნინო, ამას ურჩევდა გონება, მაგრამ ვერ შეძლო, იმიტომ, რომ სიყვარული იყო ძლიერი (რომანტიკული) და შეყვარებული გული გონებას არ ემორჩილება.

**მრავალ გზის ვჰფუცავ, გივიწყო, და ვჰქმნაცა ნება გონების,  
მაგრამ როს გხედავ გონების რჩევა სრულიად არ მესმის...  
გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,  
და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის!  
(„ნ...დმი“, 1830 წ.)**

სხვა ლექსში („ნ...“), რომელიც დაწერილია 1835 წ. რიგაში, ამბობს:

**ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის სიცოცხლის შევენებას?  
ვჰსცან, ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა  
ნამდვილი.**

ასეა, ნამდვილი ტრფიალება არასოდეს არ გაქრება. ეს ლექსი გამოუნწევია შემდეგ ფაქტს: 1835 წ. გრიგოლს საქართველოდან მოსვლია სალომეს, ნინოს და ეკატერინეს ერთიანი წერილი, რომელსაც დიდად გაუხარებია. ჩვენამდე მოღწეულია როგორც ეს საერთო წერილი, ისე გრიგოლ ორბელიანის საპასუხო ბარათიც სამივესადმი. გრიგოლი ნინოს უღრმეს მადლობას უხდის გახსენებისათვის: „უსაყვარლესო დაო ნინავ! გმადლობ და კიდევ ჩვიდმეტი ურემი დაბარგებული მადლობითა მომირთმევია თქვენთვის. — ჭეშმარიტად არ მოველოდი თქვენგან მოწერასა და მით უფრო სიხარული ჩემი იყო უმეტეს რაოდენცა მოულოდნელ...“ ლექსში პოეტი წერს: როდემდე უნ-

და ვითმენდე შენგან სიშორეს, როდის მოვა ჩვენი შეყრის სა-  
ნატრელი ჟამიო.

ნინოსადმია მიძღვნილი „დღესა ამას სიყვარულმან“ (1832  
წ.), 1833 წელსა, დანერილი ორსტრიქონიანი ორეული:

**საამოა სახილველად ოდეს ვარდი ნინას ეპყრას.**

**მარა ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს: ნინა ვარდს თუ**

**ვარდი ნინას.**

გრიგოლ ორბელიანის უკანასკნელი ლექსი, მიძღვნილი ნი-  
ნოსადმი, არის „მოგონება“, დანერილი 1851 წ. 1851-52 წლებ-  
ში გრიგოლ ორბელიანი ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის  
მმართველი იყო და, როგორც ჩანს, შეივლიდა წინანდალში,  
სადაც ზაფხულობით ნინოც იმყოფებოდა. პოეტის მოგონება-  
ნი წინანდალთან იყო დაკავშირებული და ეს ლექსიც საუკეთე-  
სო სურათია მისი მხიარული ჭაბუკობის ხანისა. წინანდლის  
ყოველი კუთხე აღუძრავდა გრიგოლ ორბელიანს წარსულის  
მოგონებებს.

**აჰა ადგილი, აჰა ის არე, სად ხელმწიფობდი**

**მშვენიერებით...**

**ან მასვე ადგილს ვჰზი მარტო ჭმუნვით,**

**და დრო წარსული თვალწინ მეხატვის,**

**როს გულს მინათდი მშვენების სხივით**

**მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის.**

ამ ქალს, მის გამანზილებელს, მაინც ბედნიერებას და სი-  
ცოცხლეს უსურვებს. ეს შეუძლია მხოლოდ რჩეული ბუნების,  
დიდსულოვან ადამიანს:

**ან არც კი მიცნობ, გულით იცვალე...**

**ამ მოგონებამ არ შეგანუხოს;**

**შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე**

**და მე, თუ გინდა, საფლავმა მფაროს!**



ასე გამოიტირა პოეტმა თავისი სიყვარული ნინოსადმი. მას (შდრ.: პუშკინი: “Я вач пишу...”) სხვა ქალი არც შეურთავს. ქართული პოეზია დავალებულია ამ ქალისგან, თუმცა მას თვითონ ლექსები არ დაუნერია, მაგრამ პოეტთა ხოტბის ობიექტი იყო. ნინომ და ეკატერინემ უკვდავ ნაწარმოებთა შექმნის იმპულსი აღუძრეს პოეტებს.

ნინოსადმია მიძღვნილი გიორგი ლეონიძის ლექსი:

**თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,  
ახლაც მინათებს შენი მშვენება,  
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს  
არ უნერია გადაშენება...**

ასეთი ნამდვილი, რომანტიკული სიყვარულის მაგალითი თავის მხრივ ნინომაც გვიჩვენა. ალბათ, იშვიათი შემთხვევაა, რომ 17 წლის დაქვრივებული და უშვილოდ დარჩენილი ლამაზი ქალი მერე არ გათხოვილიყოს.

სასულიერო ლიტერატურაში სიყვარული დაგმობილია, ეშმაკეულ საქმედ არის მიჩნეული. სიყვარულის კულტი მკვიდრდება საერო პოეზიაში. სიყვარული პოეტური შთაგონების წყაროდ აღიარეს რენესანსის პოეტებმა. დანტე ალიგიერი ამბობდა, ამურის მიერ შთაგონებული ვარ და ის მამდიდრებსო. სიყვარული ყოველი სიკეთის დასაბამად გამოაცხადა შოთამაც: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“. ამასვე ამბობენ რომანტიკოსებიც. გრიგოლ ორბელიანმაც გაიზიარა სიყვარულის იდეალური გაგება (შოთა: “სიყვარული აგვამაღლებს”).

„სადღეგრძელოში“ გრიგოლ ორბელიანი ლაპარაკობს სიყვარულზე, როგორც ადამიანის გამაკეთილშობილებელ და ამაღლებელ გრძნობაზე:

**ძმანო, ივინყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება;  
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკება;  
რომლის შუქი აღგვამაღლებს რომლით სული გვინათდება,  
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს  
ემსგავსება.**

სიყვარულის ძალაზეა ლაპარაკი „დომ. ონიკოვის დარღებში“.

**შემიძლია მაშინ ვებრძო ქვეყანას,  
შენი ეშხი იმდენს მომცემს ძალასა.**

1877 წ. გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს სწერდა: „თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად“. სიყვარული პოეტური შთაგონების წყაროდაა გამოცხადებული ლექსში: „სალომეს ბეჟანა-მკერავის მაგიერ“:

**სიყვარულმა მათქმევინა,  
თვარა მე ვინ - ლექსი ვინა?**

საინტერესოა პოეტის შეხედულება სიყვარულის ხანგრძლივობაზე. შეყვარებულ გულებს ვერ გათიშავს ვერც დრო, ვერც სიშორე. „სატრფიალო ორეულებში“ ვკითხულობთ:

**დრო და სიშორე ვერ გაჰყრის ორთა გულთ ერთად  
შეტკობილს...**

ალექსანდრე ჭავჭავაძე ამას ასე იტყობდა: „ჰგავს, ნამდვილი ტრფიალება მოშორვებით არ განქრება“, პირიქით „რაზომც მელტვი, უფრო გეტრფი“. ბარათაშვილი:

**თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.**

1841 წ. დანერილ ლექსში „საღამო გამოსალმებისა“ ძლიერი განცდილთაა გადმოცემული შეყვარებული ადამიანის ამაღლებული სულის მოძრაობა, გრძნობების სიფაქიზე და სისპეტაკე. პოეტი კმაყოფილდება სატრფოსთან სულიერი კავშირით, მისი დამოკიდებულება სატრფოსთან განწმენდილია ყოველგვარი ბინიერი ვნებათაღელვისაგან. პოეტის ლოცვა თან მიჰყვება სამუდამოდ წასულს:

**მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე  
ჩემი კურთხევა,  
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მეღევა.**

გრიგოლ ორბელიანმა მრავალი პოეტური სტრიქონი მიუძღვნა მაღალჭუმანურ, კაცთმოყვარულ იდეებს. ამ სტრიქონებიდან ისმის ჩაგრულთა თანაგრძნობა და სიძულვილი უსამართლობისადმი. პოემაში „სადღეგრძელო“ (მე-4 სადღეგრძელოში, რომელიც მეგობრობისადმია მიძღვნილი) გრიგოლ ორბელიანი ავითარებს მაღალმოქალაქეობრივ, ჰუმანისტურ აზრს ადამიანის მონოდებისა და დანიშნულების შესახებ (მეგობარი აქ ფართო გაგებითაა გამოყენებული და იგულისხმება საერთოდ მოყვასი).

ადამიანმა ამქვეყნად კეთილი კვალი უნდა დატოვოს. კეთილ კვალს დატოვებს, თუ კარგ საქმეს აკეთებს. ასეთი ადამიანი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს შთამომავალთა ხსოვნაში. ხოლო ის ადამიანი, რომელიც კვალს ვერ ტოვებს, ფიზიკურ სიკვდილთან ერთად ქრება. როგორც ველად დარჩენილი კვამლი, ქარის შებერვით არს მქრალი,

**ეგრეთ იქნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,  
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!**

(არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არათუ სიკვდილის შემდეგ ცოცხლობენ, არამედ სიცოცხლეშივე კვდებიან (წინოლა...), ე.ი. სუნთქავს, მაგრამ მკვდარია).

ქართველს, პირველ რიგში, მოეთხოვება მამულის სიყვარული, მისთვის თავდადება:

**სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა.**

აქ გამოთქმული აზრები არის მთელი კოდექსი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ( ისიც იგულისხმება, ცხადია, როგორი არ

უნდა იყოს): პატიოსანი, კეთილი, სიმართლისმოყვარე, დაჩაგრულთა მფარველი, ჰუმანისტი, უანგარო... ადამიანი მუდამ კარგ საქმეს უნდა აკეთებდეს: დავრდომილს (დაცემულს) ეხმარებოდეს და ნუგეშს სცემდეს, სხვისი კვნესა და ტკივილი ანუხებდეს, სდევნიდეს ბოროტებას, სულმოკლეობას, უსამართლობას, ანგარებას. ეს უნდა იყოს ცხოვრების მიზანი, სიცოცხლის აზრი, ხოლო თუ ამას არ ვაკეთებთ, მაშინ რა არის ჩვენი სიცოცხლე?

**რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?  
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?  
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ  
მფარველი?  
სხვის კვნესა თუ არ გვანუხებს, სხვისა არ გვესმის  
ტკივილი?**

ქართველ მწერალთაგან მანამდე არავის არ გამოუთქვამს ეს აზრი ასე რელიეფურად. ესაა ქრისტიანული ჰუმანიზმი. ქრისტიანობა კი რომანტიზმის საყრდენია. რომანტიკოსთა ეს აზრი (სხვისი დახმარება...) შემდგომ განავითარეს სამოციანელებმა, მაგ., ილია:

**კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე,  
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე.**

ამავე დროს, პოეტის აზრით, შეურიგებლად უნდა ვებრძოდეთ ცუდს, მანკიერს:

**ამ აზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულმოკლეობას!  
ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა  
უსამართლობას,  
ვჰსდევნიდეთ კაცის წამბილწველს,  
უნმინდურს ანგაარებას:  
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა  
სულის მაღლობას.**

შდრ.: გურამიშვილი: „ავს თუ ავი არ ვუნოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“... გრიგოლ ორბელიანი აქვე გამოთქვამს თავისი დროისთვის მოწინავე აზრებს. მაშინ, როდესაც ბევრი ფიქრობდა, რომ ნიჭს ზენა (ღმერთი, ბუნება) მხოლოდ გვარიშვილობას აძლევდა (ხელოვნება, მეცნიერება, პოლიტიკა არისტოკრატიის, ელიტის კუთვნილება იყო), გრიგოლ ორბელიანმა სულ სხვა თქვა:

**მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას.  
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის შვილობას!**

ე.ი. ადამიანი ფასდება არა წარმოშობით, არა გვარიშვილობით, არამედ პირადი ღირსებებით (ამავე აზრისა იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეც. მან პრაქტიკულადაც განახორციელა ეს აზრი გიორგი მაისურაძის ყმობიდან გათავისუფლებით).

ასეთივე, ჰუმანური იდეებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც ჰქვია „ფსალმუნი“, ლექსი დაწერილია 1879 წ.

ამ ლექსში გრიგოლ ორბელიანი წარმოგვიდგენს ზნეობრივად და მორალურად უმნიშვნელო, იდეალური ადამიანის სახეს.

**ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...**

ე.ი. ვინ დაიმკვიდრებს უკვდავებას?

„სამყაროს მითოსურსა და რელიგიურ მოდელეებში მთა ღვთის (ღვთაებათა) სამყოფელია... მთაზე ასვლა შინაგანად განწმენდად, ამაღლებად, ღვთაებრივთან მიახლოებად და ზიარებად არის წარმოდგენილი.

წმინდა მთა (სიონი, ზოგჯერ სინა) ძალზე ხშირად იხსენიება „ფსალმუნში“ („ლიტერატურული საქართველო“, 1983 წ., 4 მარტი).

„უფალო, ვინ დაემუნოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა?“ (14,1)

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა?“

როგორც ცნობილია, ფსალმუნი არის ბარათაშვილის პოეტური მეტყველებისა და აზროვნების ერთ-ერთი სათავე.

ამ კითხვაზე პოეტი ასეთ პასუხს სცემს:

— სულითა ნრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად...  
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!...  
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა.

ეს ლექსი, ისევე როგორც „სადღეგრძელოდან“ მოტანილი სტრიქონები გამოხატავენ ქრისტიანული მორალის ძლიერ ზეგავლენას გრიგოლ ორბელიანზე.

„ფსალმუნი“ გრიგოლ ორბელიანს წერილითურთ გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის (რომელიც „ივერიას“ რედაქტორობდა). წერილში ვკითხულობთ:

„დავბერდი და შეუდექ სულის გზასა, ვკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს უღმობელ კროტიკოსს ოლდასა, თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ასე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემს შესარცხვენად“.

ილიას ლექსი მოეწონა და დაბეჭდა კიდეც ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წელს.

მაგრამ გრიგოლ ორბელიანი უფრო შორს წავიდა. პოეტი არ დაკმაყოფილებულა მოყვარის შეწყალებისა და ჰუმანიზმის ზოგადი ფორმულის ქადაგებით. მან დაინახა მდაბიოთა ცხოვრების არსებითი მხარეებიც. მან დაინახა ცხოვრების ფსკერზე მოქცეული მდაბიონი და შემოიყვანა ისინი პოეზიაში (აშულურ-ყარაჩოლური ციკლის ლექსები). გაგვაცნო მათი ცხოვრება, ფიქრები, ოცნებანი, სიხარული და სიმძიმე... ესაა მაჩვენებელი პოეტის ჰუმანიზმისა. ესაა პოეტის ღირსება-დამსახურება. ამიტომაც მოსწონდათ ეს მუხამბაზები სამოციანელებს (აკაკის გარდა).

გრიგოლ ორბელიანმა მხატვრულად გვიჩვენა დაბალი ფენების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გვიჩვენა

საზოგადოებაში არსებული დიფერენციაციაც (მჩაგვრელი და ჩაგრული). ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი, რომლის სათაურია „მუშა ბოქულაძე“. ლექსი დაწერილია 1877 წ. (პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1877 წ. ხელმოწერით „ქსნისხვეელი“).

„მუშა ბოქულაძე“ ფორმით წარმოადგენს მონოლოგს (მუხამბაზების მსგავსად). არის ურითმო, ე.წ. თეთრი ლექსი.

„მუშა ბოქულაძე“ არის მონოლოგი მუშისა. პოეტი თვითონ მუშას ალაპარაკებს თავისი მძიმე, აუტანელი მდგომარეობის შესახებ. მუშა მიმართავს შეძლებულს:

**რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა  
ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?**

შემდეგ პოეტი რეალისტურად აგვიწერს მუშის გარეგნობას, მის პორტრეტს:

**მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,  
ფერით რკინა, კისერჩაჟანგებული,  
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,  
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,  
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია  
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..**

სიმწარით ცხოვრებას თავისი დაღი დაუსვამს მუშაზე. მას წვერ-ულვაში გათეთრებია, უდროოდ გატეხილა წელში, დაბერებულა.

მუშა ბოქულაძე კარგად ხედავს, რომ საზოგადოება კლასებადაა დაყოფილი. ერთ მხარეზეა თვითონ ის, რომელიც დღესა და ღამეს ასწორებს, კბილებიდან ოფლს იწურავს, მაგრამ მაინც მშიერია, მეორე მხარესაა შეძლებული, მდიდარი, რომელიც არაფერს არ ქმნის, მაგრამ მაინც ყველაფრით უზრუნველყოფილია. ხედავს ყოველივე ამას მუშა ბოქულაძე, მაგრამ საბრძოლველად სულაც არ ემზადება. ესაა ქალაქის ბოგანო, ისეთივე, როგორიცაა ილიას მუშა მეკურტნე (კურტანაკიდე-

ბულს ტვირთი რომ დააქვს). სხვათა შორის, სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება (კიტა აბაშიძე): გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“ ილიას „მუშის“ გავლენას განიცდისო.

მუშა ბოქულაძე შორს არის სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის იდეისაგან, ის გულში მალავს თავის სიმწრის ოხერას:

მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..  
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი...  
...გულით მინდა მეც აქედან ხმა მივჰსცე,  
მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?  
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხერას.  
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის?

შდრ. ილია:

მე ჩემი კაცობის „სიტყვანი გულში მეზადებიან,  
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

მუშა ბოქულაძე სრულიად უპერსპექტივო ადამიანია. მომავალი მას გარკვეული არა აქვს:

სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო  
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა.  
...როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით  
სიცოცხლისა დროსვე დავინწყებული.

ასეთივე უნუგეშო და უპერსპექტივოა ილიას მუშაც:

შენს ცხოვრებას დააღამებ ესრეთს შრომაში,  
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერცერთსა დღესა,  
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში  
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.



**მოკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცეშია,  
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია.  
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები და ჩვენს ხსოვნასა  
არაფერი არ მოაგონებს შენს აქ ყოფნასა.**

მუშა ბოქულაძე დარწმუნებულია, რომ ასეთი სოციალური წყობა მუდამ არსებობდა და იარსებებს, მისი აზრით, ეს არის უცვლელი, მყარი ფორმა საზოგადოებრივი წყობისა, ე.ი. მდიდარი და ღარიბი ღმერთმა გააჩინა, ყოველთვის ასე იყო და იქნება... დარწმუნებულია რა ამაში, მუშა ნუგეშს რელიგიურ რწმენაში პოულობს. როგორც კი მაცხოვარი მოაგონდება, მხნევდება,

**გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...  
ვჰგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...**

რელიგია მუშას პირდება მდიდართან გათანასწორებას იმკეყენად, საიქიოში:

**ეჰ, ძმავე, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით,  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა.**

გვარი „ბოქულაძე“ ე.წ. მოლაპარაკე გვარია, ნაწარმოები ბოქულა, ოთახის ძაღლისგან. ამ ლექსში რეალისტურადაა ასახული ქალაქელი ბოგანოს ცხოვრება.

ამიტომაც აფასებდნენ დაბალი ფენის წარმომადგენლები გრიგოლ ორბელიანს. ამიტომაც შეამკეს მისი კუბო გვირგვინებით ბაყლებმა, სტამბის მუშებმა (სწორედ ეს გვირგვინები წაუმძღვარეს წინ სამგლოვიარო პროცესიას). ამით ხაზი გაუსვეს განსვენებულის დიდ ჰუმანიზმს. ასევე დაუფასა ხალხმა ალექსანდრე ჭავჭავაძესაც („თავადია, ბატონია კახისა“).

ეჭვსგარეშეა, რომ „მუშა ბოქულაძე“ შექმნილია 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა (კერძოდ, ილია ჭავჭავაძის) იდეური გავლენით. ეს ჯერ კიდევ კიტა აბაშიძემ თქვა: „ახალი ლიტერატურის ზედ-გავლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1874 (უნდა იყოს 1877 წ.) წელში მან „მუშა ბოქულაძე“ დასწერა, სწორედ 14 წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის „მუშისა“. კრიტიკოსი იქვე აღნიშნავს: „მართალი უნდა ვსთქვათ, აქ ვერ არის სინამდვილე დაცული. მთელი ეს ტირადა გრიგოლ ორბელიანის ნათქვამია და არა მუშისა“.

პირველმა „მუშა ბოქულაძე“ შეაფასა გ. თუმანიშვილმა. ჯერ კიდევ 1878 წ. (ლექსის დაბეჭდვის მომდევნო წელს) გ. თუმანიშვილმა აღნიშნა: „70-იან წლებში ქართველი მუშა ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურად გათვითცნობიერებული, ის ჯერ კიდევ პასიური ძალა იყო. სწორედ ამიტომ გრიგოლ ორბელიანის მუშა თავისი პასივობით და ქედმოხრილობით კრიტიკოსს ტიპურ სახედ, სინამდვილიდან აღებულ რეალურ მოვლენად მიაჩნია“. ე.ი. ეს მუშა ისეთია, როგორებიც იყვნენ მაშინდელი მუშები. (1878 წ. „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალისწინება“).

უფრო მოგვიანებით, 1892 წ. „მუშა ბოქულაძეს“ მაღალი შფასება მისცა ილიამ: „სამოციან წლებამდე, — ალექსანდრე ჭავჭავაძიდან დანწყებული, — ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოციან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულისთქმას თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას! ... [60-იან წლებში] მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულისთქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულეებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდაბიოთაც აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრიგოლ ორბელიანმა არც აქ უმტყუნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცია,

როგორც უღირსს რასმე, თან აპყვა. მისი „ონიკოვის დარდები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“, რომელნიც თითო-თითო პოემა-და ღირს, ამისი მოწმენი არიან...”

თავის სამგლოვიარო სიტყვაში ილიამ ხაზი გაუსვა გრიგოლ ორბელიანის სწორედ ამ მაღალჰუმანურ თვისებებს: „იგი იყო კაცი, ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად, სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ...”

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თავყვანისცემა ღირსებას!“

(ეს სიტყვები ილიამ „ოთარაანთ ქვერივში“ გამოიყენა)

იგი იყო კაცი, რომელმაც ღალატებით წარმოსთქვა:

„იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,

არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“.

„მუშა ბოქულაძე“ არ მოეწონა აკაკი წერეთელს. მან თქვა, ნაძალადევი ლექსია მიხაილ მიხაილოვის „მჭედელის“ გავლენით დანერვილი. ელგუჯა მალრაძე წერს: „დღეს სადავო აღარაა, რომ „მუშა ბოქულაძე“ ვასილ ჟუკოვსკის ლექსის „Песня бедняка“-ს თარგმანია, ოღონდაც სამჯერ აღემატება ჟუკოვსკის ლექსს. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ „Песня бедняка“ არ არის ჟუკოვსკის ორიგინალური ლექსი: იგი გვიანდელი რომანტიზმის აღიარებული მომღერლის იოჰან ულანდის (1787 1862) ლექსია“ („ლიტ. საქ.“, 1983 წ. 14, 1 აპრილი).

როგორი იყო ამ პოეტი-გენერლის დამოკიდებულება ომები-სადმი? გრიგოლ ორბელიანი იყო მშვიდობის მომხრე და პროპაგანდისტი. ეს მისი მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ნიშანია. იგი სამხედრო პირი იყო, მაგრამ ომის დროსაც არ ასვენებდა კითხვა: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“ („სადღეგრძელო“). მას სძაგდა სისხლისღვრა, მან კარგად იცოდა, რომ ომს მოაქვს მხოლოდ ცრემლი და უბედურება, ხოცვა-ჟლეტა, შიმშილი, ბავშვების დაობლება, ქალების დაქვრივება, ომი აჩენს ნასოფლარებს, ნაქალაქარებს: „შენყდა ბინდისას ომი საზარი“ („სადღეგრძელო“). 1877 წ. რუსეთ-თურქეთის ომის მოლოდინში წერდა: „გულით, სულით ვჰსწუხვარ, ღამე არ მაძინებს ეს

წყეული ჰაზრი (ომის დანყებისა)..., რუსეთს უნდა არა ომიანობა, არამედ შინაგანი საქმის კეთილად მოწყობა. ე.ი. განვრცელება სწავლისა, ვაჭრობისა, ხელოსნობისა, ამოკვეთა ჩავგრი-სა, უსამართლობისა და სხვ.“

ესაა ნათქვამი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე ადამიანის მიერ. მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე ისეთივე ჯანსაღია, როგორც მისი უფროსი თანამოკალმის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

## ბუნება

ბუნებას საერთოდ დიდი ადგილი უჭირავს რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ბუნების კულტი რომანტიზმის ერთ-ერთი ზოგადი ნიშანია. გრიგოლ ორბელიანი არის საქართველოს ბუნების დიდი მხატვარი, იონა მეუნარგიას მისი შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნია „ის ლექსები, რომლებიც უგალობენ საქართველოს წარსულ დიდებას და იმის ბუნების მშვენიერებას... აქ ორბელიანის ლირა მიიღებს ეპიურ ხასიათს და სწვდება უმაღლეს პოეზიას“. თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ბუნებას განსაკუთრებით დიდი ადგილი არ უჭირავს, გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში ბუნება ადამიანის მეგობარია...

მან ქართულ პოეზიაში პირველმა გვიჩვენა საქართველოს მთის გრანდიოზული სურათები. როგორც ვიცით, რომანტიკოსებს უყვართ პირველყოფილი ბუნება (განსხვავებით კლასიციზტებისაგან, რომელთაც უყვართ ხელოვნური ბუნება). რაკი ევროპელ რომანტიკოსებს ეს პირველყოფილი ბუნება იქ (ევროპაში) არ მოეპოვებოდათ, ისინი გვიხატავენ შორეული ქვეყნების (მეტწილად აღმოსავლეთის) ბუნებას. ქართველებს კი ამის გასაჭირი არ ჰქონდათ, მარტო კავკასიის მთები რად ლირდა. ჯერ კიდევ 1831 წ. „მგზავრობაში“... აღწერა გრიგოლ ორბელიანმა ბუნების დიდებული სურათები [ალექსანდრე ჭავჭავაძის „კავკასია“ (1833 წ.)]. თუმცა მათ კავკასია უფრო სტრატეგიულ-პოლიტიკური თვალთა აინტერესებდათ და არა როგორც ესთეტიკური ფენომენი. შემდეგ (1835 წ.) კავკასიაზე ლექსები დაწერეს სო-

ლომონ რაზმაძემ და მიხეილ თუმანიშვილმა („ელბრუსი“, „Кавказ“), 60-იან წლებში ილია („მგზავრის წერილები“).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში გვაქვს ბუნების საესებით რომანტიკული გაგება. საყურადღებოა ამ მხრივ ლექსი „სალამო გამოსალმებისა“, რომელიც დაწერილია 1841 წ. ვლადიკავკაზში. ლექსში პოეტი ჯერ აგვიწერს კავკასიის მთების ზვიად ბუნებას სალამო ჟამს. სალამო, დაისი ხომ რომანტიკოსთა საყვარელი დროა.

**მზე ჩაესვენა მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა  
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!  
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,  
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით  
შემკულნი!**

...  
**წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს  
ჰსცვივიან,  
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!**

გრიგოლ ორბელიანი თერგის პირველი მეხოტბეა ქართულ პოეზიაში. უფრო ადრე კი თერგი რუსმა პოეტებმა შეამკეს. მაგ., პუშკინის პოეზიაში დიდი ადგილი დაიკავა თერგის მებრძოლმა სახემ. 1829 წ. დაწერილ ლექსებში „კავკასიონი“ და „ზვავი“ („Обвал“). პოემებში, აგრეთვე დაუმთავრებელ ლექსებში „Меж горных рек несется Терек“ და „И вот ущелье мрачных скал“. ამ ნაწარმოებებში ზუსტად აგვიწერს თერგსა და მის მიდამოებს. მეტიც, აქსოვს მათში საკუთარ აზრებსა და გრძნობებს, აქცევს მათ გარკვეული საზოგადოებრივი იდეების გამოსახვის საშუალებად. თერგი

**თამაშობს, ღმუის ისე, როგორც ნორჩი ნადირი,  
როდესაც რკინის გალიიდან თვალს მოჰკრავს საკვებს...  
ვაგლახ! არა აქვს იმას ლუკმა და სიხარული  
მუნჯი კლდეებით არის იგი შემორკალული.  
(„კავკასიონი“)**

თერგი დახატულია არა მხოლოდ მეფის რუსეთის დესპოტიური რეჟიმის, არამედ საერთოდ ყოველგვარი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ.

„ზვავი“. მოსწყდა ზვავი და თერგი შეხუთა. თერგი არ შეუშინდა, „გაგლიჯა... და დასძრა წყალი“. ასე რომ, თერგის თემა პუშკინის ლირიკაში ჟღერს როგორც თავისუფლების ჰიმნი და მას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება (დარიალის ვიწრო ხეობა და კლდეები კი განასახიერებს მეფის რუსეთის შავბნელ რეჟიმს და საერთოდ დესპოტიზმს).

პოლიტიკური დატვირთვა აქვს თერგს ილიასთან („მგზავრის წერილები“), ალექსანდრე ყაზბეგთან („ციცია“, „ციკო“, „მამის მკვლელი“), ვაჟასთან („კლდე და მდინარე“).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში გვაქვს ბუნების რომანტიკული გაგება. პოეტი ბუნებაში ხედავს ადამიანის სულის თანაზიარ ფენომენს. ბუნება გრიგოლ ორბელიანის ლექსებში არის არა ცივი დეკორაცია, არამედ ადამიანის ნუგეში, ადამიანის გულის მესაიდუმლე.

ლექსში „სალამო გამოსალმებისა“, როგორც ვიცით, გადმოცემულია უფაქიზესი სიყვარული და განშორების მწვავე სევდა, პოეტის ღრმა კაეშნიანი სულისკვეთება. პოეტი ეთხოვება სატრფოს, მის გულში ამის გამო ისადგურებს მწვავე სევდა, მარტოობა, ბუნება თითქოს ეხმაურება შეყვარებულის კაეშანს, მთელი გარემო, არემარე შავი ბინდით იმოსება. მზის ჩასვლა და ეტლის თანდათან დაშორება ერთნაირად, ერთნაირი ტემპით ხდება:

**შელამდა... მარტო ვზი ჭმუნვით, ჩემი ჩივილი ვის ესმის?**

**დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.**

მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!

გრიგოლ ორბელიანს, როგორც საქართველოს ბუნების მხატვარს დიდად აფასებდნენ ქართველი მწერლები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე. ამის მაჩვენებელია ის, რომ „მგზავრის წერილებში“ მან შეიტანა ადგილები „სალამო გამოსალმებიდან“.

„ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

## თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან...

აქ ისე დამდოვრებულია, ისე დადუმებულია, თითქო ან როზგ ქვეშ არის გატარებული, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულია, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

**კლოვანთა გულთა ღრუბელნი  
შავადა ზედ დასნოლიან  
და მრისხანებით ქვეყანას  
წარღვნითა ემუქრებიან.**

ილიას „მგზავრის წერილებში“ ასეთი მხატვრული ადგილია — მყინვარს (ყაზბეგს) „ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა ერთს ალავს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო“. ეს მხატვრული ადგილი უთუოდ შთაგონებულია გრიგოლ ორბელიანის სტრიქონით: „მხოლოდ ჰსჩანს მთანი მდუმარედ აყუდებულნი ცათამდის და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის“.

თანამედროვენი გრიგოლ ორბელიანში დიდად აფასებდნენ ბუნების მხატვარს. საინტერესოა ამ მხრივ ილიას მოგონება:

„ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისის ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდვილი, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასაო“.

ბუნების ლამაზ სურათებს აღწერს პოეტი „სადღეგრძელოშიც“. დასაწყისში — დაისი, დასასრულს — აისი.

გრიგოლ ორბელიანს, როგორც რომანტიკოსს, ღამე, საღამო უფრო უყვარდა. აქვს ლექსი „ღამე“ (პეტერბ. 1832 წ.). აქ გადმოცემულია შორს მყოფ სატრფოსთან სულიერი გაერთიანების განცდა (პოეტის სასიყვარულო კოდექსის თანახმად, სატრფოს სიმორე სრულიად არ ანელებს სიყვარულს). პოეტის განცდები აქ მთვარიან ღამეშია გალხობილი. პოეტი შეჰხარის

ლამეს (რადგან ლამით მოახერხა შორეული სატრფოს ხილვა და გასაგებია, უკმაყოფილოა ცისკრის მოახლოებისა: „დღისა დაეპნეველე ნათელი, რომ ურთიერთნი გაგვეყარნა“.).

დაისის სურათია აღწერილი „სადღეგრძელოს“ დასაწყისში. ნოვალისიცი წყევლის „დღის უტიფარ ნათებას“ („ჰიმნები ლამისადმი“). ნოვალისის ლირიკაში ლამის ხოტბა თანმიმდევრული და პრინციპულია. იგი საერთოდ გმობს დღეს, რადგან ხელს უშლის სატრფოს, გარდაცვლილი სოფი კიუნის ხილვაში. „ნუთუ ყოველთვის ლამეს დილა უნდა მოჰყვეს?“ — კითხულობს ნოვალისი (ასეა გალაკტიონ ტაბიძის „ბინდის სტუმარშიც“. „განთიადია, მე ვიტანჯები, სად მიხვალ ლამევ, შენთან მინდოდა“). გრიგოლ ორბელიანთან კი დღის დაგმობა და ლამის ხოტბა კერძო ბიოგრაფიული მომენტია. ქართველი რომანტიკოსი დაუფარავი აღფრთოვანებით უმღერის ცისკრის სხვებით განათებულ სამყაროს. უმღერის დილას (აისს), რომელიც „სიბნელეს აქრობს ნათელით“. ეს იყო ბუნების უშუალო ხილვით გამონვეული აღფრთოვანება (ბარათაშვილთან მზეეს, ვარსკვლავებს, დილას საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური დატვირთვა აქვს).





## ნიკოლოზ ბარათაშვილი

**ბიოგრაფიული ნაწარმოებები ნიკოლოზ ბარათაშვილზე**

პავლე ინგოროყვა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“

ა. განერელიას „სიკვდილი ბარათაშვილისა“

არჩ. სულაკაურის „ღამე ყაზახზედ“

გივი მადულარიას „დაღამება ამა სოფლისა“

გ. ნატროშვილის პიესა „ბარათაშვილის უკანასკნელი დღე“

ა. ავალიანის ნოველა „ყარბი მგოსანი“

ს. ჩიქოვანის ლირიკული პოემა „განჯის დღიური“

მიხ. მრეელიშვილის პიესა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“

გიგლა ხუხაშვილის პიესა

ბარათაშვილის გვარის ისტორია იწყება მე-15 საუკუნიდან. წინაპრები იყვნენ ქაჩიბაიძენი (ქაჩიბაძენი). გვარის დამწყებია ბარათა ქაჩიბაიძე, რომლის ჩამომავლები მე-15 საუკუნის ბოლოდან იწოდებიან ბარათაშვილებად. ბარათაშვილთა სამფლობელოები იყო ალგეთის, ქციისა და მაშავერას ხეობები (საგვარეულო მონასტრები და სასაფლაოები: ფიტარეთის, გუდარეხის, დმანისისა და სოფ. ქედის მონასტრები). მე-16 — მე-17 საუკუნეებში ბარათაშვილებს გამოეყვნენ: გოსტაბაშვილები, გერმანოზიშვილები, ზურაბიშვილები, აბაშიშვილები, ყაფლანიშვილები (ორბელიანები), იარაშვილები, იოთამიშვილები (იხ. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან, 1955. ს. ჯანაშია, ბარათაშვილის გენეალოგიისათვის, ტ.2, 1952).

ნიკოლოზის მამა, მელიტონ ბარათაშვილი, განათლებული პიროვნება ყოფილა. კარგად სცოდნია რუსული, თურქული და სომხური ენები. აქედან რუსული ისე ზედმინევენით სცოდნია, რომ როდესაც იმპერატორი ნიკოლოზ I ჩამოვიდა თბილისში (1837 წ.) მელიტონი თარჯიმნობდა. მელიტონს ჭაბუკი ნიკო-

ლოზიც ახლდა და ისიც შეხვდა იმპერატორს. ამბობენ, ტატომ ნიკოლოზს ცივად ჩამოართვა ხელიო (ამ დროს გრიგოლ ორბელიანი საქართველოში არ იმყოფებოდა, გადასახლებული იყო, თორემ ალბათ თბილად შეხვდებოდა იმ იმპერატორს, რომელსაც შემდეგ ლექსიც უძღვნა). მელიტონი ერთხანს თარჯიმნადაც იყო მთავარმართლებლის კანცელარიაში, შემდეგ სამხედრო სამსახურშია. 1812 წ. მონაწილეობს კახეთის აჯანყების ჩაქრობაში (ამ აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომელიც ფეხში დაიჭრა, პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანიც, რომელიც მოკლეს).

1813 წ. მელიტონს ებოძა პოდპორუჩიკის ჩინი, შემდეგ მიიღო პორუჩიკობა, შემდეგ — კაპიტნობა, უფრო გვიან მაიორობა (1832 წ.) და ამაზე შორს აღარ წასულა.

1824 წ. მელიტონი დაინიშნა განჯის პოლიცემისტერად, ხოლო შემდეგ განჯის ოლქის მმართველად (მაზრის უფროსად). ეს ის საბედისწერო განჯაა, სადაც შემდეგ მისი შვილი მსახურობდა და იქვე გარდაიცვალა. 1832 წ. აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად (წინამძღოლად), ხოლო 1836 წ. კვლავ აირჩიეს ამავე ადგილზე (ამ თანამდებობაზე მისი წინამორბედი იყო მწერალი და 1832 წლის შეთქმულების მეთაური ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც აქ 1828 წ. აირჩიეს).

საინტერესოა მელიტონის პოლიტიკური სიმპათიები. როგორც ჩანს, იგი უფრო რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო, ან, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურად ინდიფერენტულად განწყობილი. ერთი რამ ცხადია: 1832 წლის შეთქმულებაში, რომელშიც მისი ახლო ნათესავები და მეგობრები მონაწილეობდნენ, მელიტონი განდობილი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანის ქალაქებში მელიტონის წერილებიც აღმოჩნდა, იგი მაინც არ დაუკითხავთ. მელიტონი არ ყოფილა შეტანილი ეჭვქვეშ აყვანილ პირთა სიაშიც კი.

იგი მუდამ ხელგაშლილად ცხოვრებდა თურმე. ხშირმა სტუმრიანობამ და უანგარიშო ხარჯვამ გაალარიბა და ვალებში ჩააგდო (ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, სიძუნწე ცუდია, მაგრამ არც ზედმეტი ხელგაშლილობაა კარგი). სამწუხარო

ისაა, რომ ამ სიღარიბემ ოჯახს მაშინ მოუხსნრო, როცა ნიკოლოზს მატერიალური დახმარება სჭირდებოდა.

როგორც ადამიანი, მელიტონი კეთილი პიროვნება ყოფილა, მაგრამ ამასთან ზედმეტად ფიცხი და მრისხანე. თავის სახლში რომ გააბამდა ყვირილს, ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში ისმოდაო. მისი სიფიცხის გამო ოჯახს არაერთხელ უჭამია მწარე, ცრემლნარევი ლუკმაო.

შემდეგ დამბლა დაეცა (სწორედ მაშინ, როცა ტატომ გიმნაზია დაამთავრა და მამის მხარდაჭერა და დახმარება უნდოდა), შემდეგ ისევ გაუმეორა და ლოგინს მიაჯაჭვა (ოჯახს ესეც გაუხბდა ტვირთად), განჯაში ვერც კი ჩავიდა, რათა შვილი დაეტირა.

გარდაიცვალა მელიტონ ბარათაშვილი 1860 წ. დაკრძალულია ხაშურის რ-ნის სოფ. ოსიაურში (სტუმრად იყო ჩასული შვილთან, ბარბარე ვეზირიშვილთან და იქ გარდაიცვალა 65 წლისა).

ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა — ეფემია იყო გრიგოლ ორბელიანის უფროსი და. დაიბადა 1799 წ. ეფემია მაღალი სულიერი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი ყოფილა. მშვიდი, სათნო, ალერსიანი, კეთილშობილი, და სასიხარულოა, რომ ნიკოლოზს უფრო დედის თვისებები გამოჰყვა. სწორედ ამ ქალმა შთააგონა გრიგოლ ორბელიანს შესანიშნავი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“ (1835 წ. რიგა). რიგაში გადასახლებული, გულდაჩაგრული პოეტი იგონებს დას:

**ვისგან და ვისთვის განიხაროს ან გულმან ჩემმან?  
ვისა შევჭბრაღდე, რომ ეგებ მით გული განგრილდეს?  
ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს ან ვისმან ღიმმან?  
უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დაჰსტკბეს?  
ხვალე არღა მწამს, ვით ღამეში მაცდური სხვისი  
ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით ღლეს ბედნიერ?  
ვისწავლე ესე, როს განმექრო ბედის ვარსკვლავი  
და ან თუ განვლილ ღლე მშვიდობით, მწუხრს**

**პირჯვარს ვინერ.**

**ჩემდა ნუგეჟად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,  
ლხენად გლახ გულის, უდროოდა მწარ-დამჭკნარისა**

დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშობი მხოლოდ  
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხედრისა.  
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შუების ვარსკვლავი  
შენის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე მინათლე,  
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით  
და გულდაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე...

რამდენი სიტბო, სიყვარული და სინაზეა ჩალვრილი ამ  
სტრიქონებში. ეს არის დაძმური სიყვარულის საუკეთესო ნი-  
მუში ქართულ მწერლობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის დედაც  
რომ არ ყოფილიყო, ეს ქალი ამ ლექსითაც დარჩებოდა ჩვენი  
მწერლობის ისტორიაში.

ეს ლექსი გვაგონებს ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეტურ  
ქმნილებას „მიძღვნა ავგუსტასადმი“ (მიუძღვნა დას — ავგუს-  
ტა ლის). ასე იწყება: „ჩემო დაო, ჩემო საყვარელო დაო“.

ეფემია გარდაიცვალა 1849 წ. 50 წლისა (დაკრძალულია ქა-  
შუეთის ეკლესიაში. იქვე არიან დაკრძალული გრიგოლ ორბე-  
ლიანი და მისი ძმები).

მელიტონ ბარათაშვილი და ეფემია ორბელიანი დაქორწინდ-  
ნენ 1816 წ. მათ 14 შვილი ჰყოლიათ, ამათგან ყველაზე უფრო-  
სი იყო ნიკოლოზი. მშობლებს 5 შვილი შერჩათ: ნიკოლოზი და 4  
ქალი — ეკატერინე შემდეგში მეუღლე — რევაზ ლუარსაბის ძე  
ერისთავისა, ბარბარე ვეზირიშვილისა, ნინო ბარათაშვილი (ეს  
იყო შამილის ტყვეობაში) და სოფიო სუმბათაშვილისა. ეფემია  
მოესწრო 10 შვილის გარდაცვალებას, მათ შორის ნიკოლოზი-  
საც (დებიდან გადარჩენილია მარტო ეკატერინეს (კატოს) საფ-  
ლავი. მარხია ოძისის ეკლესიაში. გარდაიცვალა 1853 წელს 32  
წლისა).

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1817 წ. 15 დეკემბერს (თუ  
1816?, თუ 1818?) დედის ოჯახში (ზურაბ ორბელიანის სახლში).  
5 დღის შემდეგ (20 დეკ.) ანჩისხატის ტაძარში მონათლა დეკა-  
ნოზმა დიმიტრი მესხიშვილმა (ეს ის დიმიტრი ალექსი-მესხიშ-  
ვილია, რომელმაც გრიგოლ ორბელიანს წერა-კითხვა ასწავლა.  
დიმიტრის ასული ქეთევანი ცოლად ჰყავდა ზაქარია ორბელი-

ანს, დიმიტრის ძე იყო ექიმი და ლიტერატორი სარდიონ მესხიშვილი, ილიას რომ ეკამათებოდა). პატარა ნიკოლოზის მიმრქმელი გახლდათ თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოღგორუკოვი.

ტატო (როგორც ნიკოლოზს შინაურობაში ეძახდნენ) იზრდებოდა დედისა და გადიის მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. მისი გადია იყო გორელი გლეხის ქვრივი ქალი მათა გვარად ზაფრაშვილი. ნიკოლოზის და — ბარბარე ვეზირიშვილისა — დიდი პატივით იგონებს პატარა ნიკოლოზის გამდელს მათას (დიახ, მათა ზაფრაშვილი. იხ. ზ. აბზიანიძის წერილი „ლიტერატურული საქართველო“ 1995 წ. 50, გვ.4).

წერა-კითხვა პოეტისათვის უსწავლელია დედას. 7 წლის ბავშვს დედა აწყებინებს წერა-კითხვას. 1826 წ. ნიკოლოზი მიუბარებიათ კალოუზნის სამრევლო სკოლაში. 1827 წ. მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (ამ წელს დაიწყო იქ მასწავლებლობა სოლომონ დოდაშვილმა).

ეს სასწავლებელი სამი წლის შემდეგ, 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიის დირექტორი გახლდათ ე. გრუბერი. 1921 წ-მდე თბილისის I კლასიკური გიმნაზია ვაჟთა გიმნაზია იყო. 1921 წ-დან თბილისის გიმნაზიას ეწოდა საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა. (1921-30 წლებში მისი გამგე გახდა მიხეილ ზანდუკელი. „ზანდუკელის სკოლა“). ბარათაშვილის დროს სასწავლებელთან არსებობდა პანსიონი (ანინდელი ინტერნატი). ბარათაშვილი მიუბარებიათ სასწავლებელში ნახევარ-პანსიონერად (ანუ უფლება ჰქონდა ოჯახშიც ევლო).

ამ სასწავლებელში (გიმნაზიაში) ასწავლიდნენ: ქართულ ენასა და ლიტერატურას (სიტყვიერებას) სოლომონ დოდაშვილი, რუსულ ენასა და სიტყვიერებას ნიკოლოზ დემენტიევი, ქართულ კათეხიზმოს მღვდელი ეფრემ მესხიშვილი, ისტორიას ივ. არღუთინსკი, ლოგიკასა და რიტორიკას სოლომონ დოდაშვილი. დოდაშვილს დაწერილი ჰქონდა სახელმძღვანელო ყველა იმ საგანში, რომელსაც გიმნაზიაში ასწავლიდა.

[იხ. ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი „ხე ცნობადისა“ 1987 წ. თბილისის გიმნაზიაზე].

თბილისის გიმნაზიაში ისწავლებოდა ქართული, რუსული, თათრული (აზერბაიჯანული), ლათინური (ფაკულტატური), გერმანული, ფრანგული და სომხური ენები. სომხური 1831 წლიდან შეიტანეს. თბილისელმა სომხებმა მოითხოვეს და დააკმაყოფილეს. ასე ასაბუთებდნენ: 1. სამსახურში სომხურია საჭირო და არა ქართულიო. 2. თბილისში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხიაო. 3. ამიერკავკასიაში ნახევარზე მეტი სომეხიაო. 4. სომხები მოვაჭრე ხალხია და დამუშავებული ლიტერატურა აქეთო.

ბარათაშვილი გიმნაზიაში სწავლობდა ორ უცხო ენას — ფრანგულს და გერმანულს.

ფრანგულ ენას ასწავლიდა ივანე გოდფრუა (1830-31 წწ.), ხოლო შემდეგ — იოსებ ფელიქსი (1831-35 წლებში).

გერმანულ ენას ასწავლიდა ივანე შულცი (1831 წელს), შემდეგ — იაგორ ემერიხი (1831-35 წლებში).

ყველა ესენი კარგი პედაგოგები იყვნენ — ასე ახასიათებენ. ენების სწავლებას გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა (ბევრი საათი ეთმობოდა). ამას ემატებოდა ის, რომ პანსიონში ოთახის ზედამხედველებად მხოლოდ ფრანგები და გერმანელები იყვნენ (და გიმაზიელებს ამ მხრივ პრაქტიკაც ჰქონდათ). ასე რომ, გიმნაზიელებმა იცოდნენ ეს ენები.

თუ ძველმა მწერლებმა (თეიმურაზ I და სხვებმა) აღმოსავლური ენები იცოდნენ, ახლა მოდაში შემოდის დასავლური ენები. ენების ცოდნა ხელს უწყობდა პოეტის ლიტერატურული თვალსაწიერის გაფართოებას, დასავლეთთან კავშირს (გიმნაზიადამთავრებულები შემდეგში თარგმნიდნენ კიდეც. მაგ. ბარათაშვილმა თარგმნა გერმანელი მწერლის იოჰან ლაიზევიცის ტრაგედია — „იულიუს ტარენტელი“, მირიან ჭყონიამ — შილერის „ვილჰელმ ტელლი“, დიმიტრი ყიფიანმა — „რომეო და ჯულიეტა“ და სხვ.).

ნიკოლოზ ბარათაშვილი მასწავლებელთაგან განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა სოლომონ დოდაშვილთან. ხშირად დადიოდა მასთან როგორც ოჯახში, ისე „ტიფლისის უწყებანის“ რედაქციაში. სოლომონ დოდაშვილმა დიდი გავლენა

იქონია ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმედველობის ჩამოყალიბებაზე.

მასწავლებლისაგან შეითვისა, მაგ., რესპუბლიკური იდეები („ბედი ქართლისაში“ რომაა). სოლომონ დოდაშვილი მაგალითი, ნიმუშია იმისა, თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს მასწავლებელმა (მოძღვარმა) ადამიანის ცხოვრებაში. ცხადია, მარტო მოძღვარი საქმეს ვერ შველის („მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“). მთავარი იყო, რომ მოწაფეც გამოდგა ღირსეული, ღვთიური მადლით ცხებული და კიდევაც თესლი „ქუეყანასა კეთილსა დაეთესა“.

არსებობს მოარული გამოთქმა: სოკრატეს გარეშე პლატონი არ იქნებოდა. ვახტანგ ორბელიანი წერს: დოდაშვილი რომ არ ყოფილიყო, არც ნიკოლოზ ბარათაშვილი იქნებოდაო. ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა, მაგრამ არის სიმართლის მარცვალცი...

შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სკოლას არ მიუცია ქართველი ერისათვის იმდენი სახელოვანი შვილი (მწერალი, კრიტიკოსი, მეცნიერი, თეატრალური მოღვაწე), რამდენიც ამ გიმნაზიას:

ნიკო ჩუბინაშვილი  
ალექსანდრე ორბელიანი  
ვახტანგ ორბელიანი  
გრიგოლ ორბელიანი  
დიმიტრი ყიფიანი  
კონსტანტინე მამაცაშვილი  
მიხეილ თუმანიშვილი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი  
გრიგოლ რჩეულიშვილი  
რაფიელ ერისთავი  
ივანე კერესელიძე  
ილია ჭავჭავაძე  
ალექსანდრე ყაზბეგი  
დიმიტრი ყაზბეგი  
პეტრე უმიკაშვილი  
პეტრე ნაკაშიძე  
ალექსანდრე ცაგარელი

დავით სარაჯიშვილი  
პეტრე მელიქიშვილი  
ივანე მაჩაბელი  
ალექსანდრე ხახანაშვილი  
ზაქარია ფალიაშვილი  
კოტე მარჯანიშვილი  
ვანო სარაჯიშვილი  
ივანე ჯავახიშვილი და სხვ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს გიმნაზიაში სწავლობდნენ (ზოგიერთი ან რამდენიმე კლასით წინ ან პირიქით): მიხეილ თუმანიშვილი (პოეტი, თეატრალი, ჟურნალისტი), კონსტანტინე მამაცაშვილი (ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი, შემდეგ ერთ-ერთი ინიციატორი ნ.-კ. საზოგადოებისა და ქართული გიმნაზიის დაარსებისა. კ. მამაცაშვილი იყო აგრეთვე მეგობარი მ. ლერმონტოვისა), დავით მაჩაბელი (ლიტერატორი, პოემა „მთიულის“ ავტორი), ლევან მელიქიშვილი (შემდეგში ცნობილი გენერალი, 70-იან წლებში კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი, მაიკოს საქმრო), ილია ორბელიანი (პოეტის ბიძა), დიმიტრი ყიფიანი (ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, 1887 წ. სტავროპოლში რომ მოკლეს და აკაკიმ „განთიადი“ მიუძღვნა), მირიან ჭყონია (შილერის „ვილჰელმ ტელლის“ მთარგმნელი (იხ. „მნათობი“, 1932, 5-6), მისი შვილი იყო ილია ჭყონია, ცნობილი ლიტერატორი, რომელმაც 1932 წ. „მნათობში“ №5-6) დაბეჭდა მოგონებანი „ჩემი დღე და სოფელი“), პეტრე ბაგრატიონი (იგი ძალიან ახლოს იყო ტატოსთან. ეს უკანასკნელი წერდა სატირებს, რომლებიც მთავრობის კრიტიკას შეიცავდა და ეგზავნებოდა მაღალი თანამდებობის პირებს. გაუფზავნეს მაგ., თბილისის გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდიშვილს. ამ გაგზავნაში ტატოს ეხმარებოდა პეტრე... დამნაშავეებს მიაგნეს, 25-25 როზგი მიუსაჯეს, მელიტონმა თავის მხრივ კიდევ 25 დაუმატა; რაც შეეხება პეტრეს, იგი სასჯელს ააცდინეს და პეტერბურგში გააპარეს. იქ ეგულებოდა დიდება, ანა ბარგატიონი-გოლიცინა, რომლის წყალობით 1833 წლიდან სამხედრო სასწავლებელშია).



პეტრეს წარმომავლობა ასეთია:

იესე, ვახტანგ VI-ის ძმა, ქართლის მეფეა 1724-27 წლებში. ვახტანგ VI 1724 წ. 15 ივლისს გაემგზავრა რუსეთში. იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლის ტახტი მის მემკვიდრეებს წაართვეს და ესენიც რუსეთში გადავიდნენ. მათი შთამომავლები არიან პეტრე (ბოროდინოს გმირი) და მისი ძმა რევაზი (რომანი). ამ რევაზის შვილია პეტრე — დაიბადა 1818 წ. 4 ოქტომბერს. 1828 წ. რევაზი (რომანი) დაინიშნა თბილისის მაზრის გუბერნატორის თანაშემწედ. მამამ აქ ჩამოიყვანა შვილი, რომელიც 1828 წ. ჩაირიცხა სწორედ იმ კლასში, რომელშიც სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1858 წ. პეტრე ბაგრატიონს მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება და დანიშნეს იმპერატორის მხლებელი ჯარის — „კონვოი“ — უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობს 1862 წ. სექტემბრამდე. „კონვოიში“ მსახურობდა რამდენიმე ქართველი, მათ შორის აკაკის უფროსი ძმაც ილიკო. 1859 წ. პეტრე შეხვდა აკაკის... ურჩია, არ შესულიყო სამხედრო სამსახურში, არამედ — უნივერსიტეტში. პეტრე შემდეგ ტვერის გუბერნატორია, შემდეგ (1868 წლიდან) არის ვილნოს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე, შემდეგ (1870 წლიდან) ბალტიისპირა ქვეყნების გენერალ-გუბერნატორია. არის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი (ქიმიკოსი). მის მიერ ურალში ნაპოვნ მინერალს „ბაგრატიონი“ უწოდეს... გარდაიცვალა 1876 წლის 17 იანვარს გულის ასთმით.

თბილისის გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს (ორი კლასით წინ) სწავლობდა ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილი (1814-1893 წ.წ.). დაამთავრა თბილისის გიმნაზია 1833 წელს. შემდეგ ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა. 80-იან წლებში (1881-დან 1888-მდე) იყო ცენზორი. სახელი გაითქვა სიმკაცრით. სისხლი გაუშრო ჩვენს მოღვაწეებს. უღმობლად ამახინჯებდა ნაწარმოებებს (ან მთლიანად კრძალავდა). აკაკიმ დაწერა სატირა „არაკი“ (1884 წ.):

იყო ერთი მაიმუნი, ეძახოდნენ ლუკა-მელას

ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი, ულოკავდა ფეხებს ყველას.

[აკრძალა „ხანჯალს“, „დროების“ თანამშრომლებმა მერე ცალკე ფურცელზე დაბეჭდეს, ავტორის ნაცვლად ლუკა ისარ-ლიშვილი მოაწერეს და ქალაქში გაავრცელეს].

პოეტობდა კიდევ. ლექსებს ბეჭდავდა „ცისკარში“, „ივერია-შიც“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1894 წ. „ლექსი თქმულნი ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვის მიერ“). დატოვა მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. აქვს ლექსი „ნიკ. ბარათაშვილს“, აგრეთვე ლექსი — „ნინა გრიბოედოვისას, ჭავჭავაძისას“.

1832 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილი გადმოვარდა სკოლის კიბიდან (შიდა კიბეა) და ორივე ფეხი მოიტეხა. მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ერთი ფეხით სამუდამოდ დაკოჭლდა. ასე დაემსგავსა ბაირონს ფიზიკურად, მერე სულიერადაც. ოჯახის სიღარიბესთან ერთად ამ ფიზიკურმა ნაკლმა მას დიდად შეუშალა ხელი ცხოვრებაში.

1833 წ. გიმნაზიელებმა შეადგინეს ხელნაწერი ლიტერატურული ალმანახი „ანთოლოგია“. აქ მოთავსებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის, დავით მაჩაბლისა და სხვათა პირველი პოეტური ცდები (დებიუტი). ბარათაშვილი ანთოლოგიაში წარმოდგენილია 5 ლექსით: „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“, „ვარდი და ბულბული“ და „შემოღამება მთანმინდაზედ“. ესაა ბარათაშვილის ე.წ. ყრმობისდროინდელი ლექსები.

ანთოლოგიაში მოთავსებულია აგრეთვე ავლაბრის ყაზარმებში მსხდარი პოეტების, პოლიტიკურ პატიმართა, ნაწარმოებები: გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და სხვათა თხზულებანი. 1833 წ. პოლიტიკურად მძიმე წელია. ეს ის დროა, როცა შეთქმულნი ავლაბრის ყაზარმებში სხედან და საქმის ძიება მიმდინარეობს. შეიტანეს არა პოლიტიკურად ნეიტრალური ლექსები (ვთქვათ, სიყვარულზე, ბუნებაზე დაწერილი), არამედ პოლიტიკურად მახვილი, შეთქმულების იდეების გამოხსატველი. მაგ., გრიგოლ ორბელიანის „იარალის“, რომელიც ბევრ შეთქმულს უპოვეს და ძიებისას საგანგებო მსჯელობის საგანი შეიქნა. ეს იყო ამ „ბავშვების“ მხრივ დიდი რისკი (გამბედაობა), მაჩვენებელი იმისა, რომ მა-

თი და, რა თქმა უნდა, ნ. ბარათაშვილის სიმპათიები შეთქმულთა მხარეზე იყო; რომ მათ (შეთქმულებს) რჩებოდათ მემკვიდრეები („კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“).

მოკლედ, ესტაფეტა თაობიდან თაობაზე გადადის.

ორი წლის შემდეგ, 1835 წ. ამ ახალგაზრდებმა რუსულ ენაზე გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ („Цветок Тифлисской гимназии“). გამოცემა დაიწყო 1835 წ. მაისიდან. გამოვიდა ხუთი ნომერი (1835-36 წ.წ.), რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია ოთხი (დაკარგულია მე-4 ნომერი). ჟურნალის ფორმალური რედაქტორი იყო მიხეილ ბებუთაშვილი (ცნობილია, როგორც კრილოვის არაკების ქართულად მთარგმნელი), გამომცემელი — მიხ. თუმანიშვილი. თანამშრომლები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელიქიშვილი, იესე ანდრონიკაშვილი...

ნიკოლოზ ბარათაშვილს ჟურნალის მე-4 ნომერში მოუთავსებია:

1. „ვისრამიანის“ რუსული თარგმანის ნაწყვეტი.

2. „წერილი სოფლიდან“ („Письмо из деревни“), კორესპონდენცია.

3. „პაპიზმის ძალაუფლებაზე“ (О папииской власти, а) О возвышении папизма, в) О падении его) — ისტორიული ნარკვევი.

სხვათა შორის, ამ ჟურნალის მე-5 ნომერში გიმნაზიელებმა შეიტანეს თავიანთი ყოფილი მასწავლებლის, სოლომონ დოდაშვილის წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (ცხადია, მისი რუსული თარგმანი). მოათავსეს შეცვლილი გვართ — გრაფი გორსკი (ვინაიდან ავტორი გადასახლებაში იყო და შესაძლოა — ამ დროს მკვდარიც). ესეც იყო მათი გამბედაობა-რისკის კიდევ ერთი გამოვლენა, გიმნაზიელთა მიერ სოლიდარობის გამოცხადება შეთქმულთა საქმისადმი, მასწავლებლის დიდი პატივისცემა.

1835 წ. ზაფხულში ბარათაშვილმა გიმნაზიის კურსი დაასრულა (ე.ი. გიმნაზიაში სწავლის წლებია 1827-35). ეს ბარათაშვილის ცხოვრების საუკეთესო ხანაა. ნიჭიერი ყმანვილი,

გრძნობს რა თავის შინაგან ენერჯიასა და მოწოდებას, ოცნებობს ბრწყინვალე მომავალზე (კარიერაზე კი არა). ეს არის ახალგაზრდა, რომელიც მომავალს შეჰხარის, მომავლით ცხოვრობს. აქტიურად მონაწილეობს გიმნაზიელთა ლიტერატურულ საქმიანობაში („ანთოლოგია“, ჟურნალი). შინაგანი ხმა („იდუმალი ხმა“) მოუწოდებს საუკეთესო ხვედრისაკენ...

**რა ვცან პირველად წუთისოფელი, მას აქეთ ხმა რამ  
თან სდევს**

**ყოველთა ჩემთა ზრახვათა და სანადელთა.**

**ცხადად თუ სიზმრად მე იგი მარად სულ ერთსა მიწვრთის  
გულისა ჭირად:  
ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი.**

(ე.ი. შესაფერი, რაც დაგშვენდება).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იწყება ადამიანის ცხოვრების ახალი ხანა. ის უნდა დაადგეს გარკვეულ გზას. ამ დროს სჭირდება მას გვერდში ამომდგომი, დამხმარე, მრჩეველი... ასეთი, სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა და პოეტმაც თავისი „მხვედრი“ ვერ იპოვა.

ნიკოლოზს განზრახული ჰქონდა შესულიყო სამხედრო სამსახურში ან უნივერსიტეტში. სამხედრო სამსახური მაშინ მოდაში იყო (სამხედრო იყო მისი სამივე ბიძა და სხვა ნაცნობნი), უნივერსიტეტი არ ყოფილა დიდ მოდაში, მაგრამ იქ სწავლის სურვილი, ალბათ, სოლომონ დოდაშვილმა, მასწავლებელმა გაუღვიძა. საქართველოში მაშინ არავითარი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, რუსეთის უნივერსიტეტში კი მხოლოდ ორად-ორ ქართველს ჰქონდა მიღებული განათლება (სოლომონ დოდაშვილს, დავით ჩუბინაშვილს), და აი, მესამე ქართველია, იქ წასვლაზე რომ ფიქრობს...

მისი უახლოესი ნათესავებიც გრძნობდნენ, რომ მომავალი პოეტის ნიჭს შემდგომი წვრთნა სჭირდებოდა. გრიგოლ ორბელიანი მაშინ ჯერ კიდევ გადასახლებაში იმყოფებოდა და რა რეალური დახმარების განევა შეეძლო? ძმებს არაჩვეულებრი-

ვი სიყვარულით უყვარდათ ერთადერთი და, მისი შვილები (შვილებიდან განსაკუთრებით უფროსი ვაჟი, ნიჭიერი და იმედისმომცემი ნიკოლოზი) ეხმარებოდნენ მატერიალურად და მორალურად. განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ეფემია და მისი ვაჟი, კერძოდ, გრიგოლს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება იყო, ისინი ერთმანეთთან სულიერად ახლოს იყვნენ. ბიძა-დისწულს ჰქონდათ მიმონერა, ნიკოლოზ ბარათაშვილს 18 ბარათიდან 8-ის ადრესატია გრიგოლი. ისინი ერთმანეთს გადაუშლიდნენ სულსა და გულს. ასე რომ, გრიგოლის მიმართ წაყენებული ბრალდება, ნიკოლოზს ყურადღებას არ აქცევდაო (ზოგჯერ იქამდეც მიდიოდნენ, რომ ამბობდნენ: შურდა მისი ნიჭის და იმიტომ იქცეოდა ასეო), არაა სამართლიანი. გადასახლებაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი 1835 წ. 27 ივლისს სწერდა თავის ძმას, ზაქარიას: „ჩემს საყვარელ დას ეფემიას თავისი შვილებით დავჰკოცნი [სწორედ ამ წელს დანერა რიგაში „ჩემს დას ეფემიას“. ე.ი. მისი ფიქრები იქაც დას დასტრიალებს]. ანგელოზო ჩემო, რად დამივიწყე, რომ ერთის ნიგნით (ე.ი. წერილით) აღარ მახსენე? რასა იქს ტატიკო? კიდევ კოჭლობს თუ არა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном иждивении (სახელმწიფო ხარჯით) იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — Жаль, очень жаль будет, если его умственные способности останутся без развития (სამწუხარო, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ მისი გონებრივი შესაძლებლობები დარჩება განუვითარებელი). — ნეტავი გამოგზავნოს დერჰტსკის (ახლ. ტარტუ) უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს (იგულისხმება როზენი)“.

გრიგოლმა იცის, რომ მელიტონი გაღარიბებულია და საკუთარი ხარჯით ვერ გაგზავნის სასწავლებლად. თვითონ რაც შეეძლო, ზრუნავდა იმისათვის, რომ ნიკოლოზის ნიჭს მისცემოდა გზა ფართო („მიეცით ნიჭსა გზა ფართო“). მაგრამ მარტოდენ ყურადღება არ გახლდათ საკმარისი ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დასაყენებლად. სამხედრო სამსახურში შესვლაზე

მშობლებმა უარი უთხრეს (კოჭლი ხარ, არ გამოდგებიო), უმაღლეს სასწავლებელში გასაგზავნად კი საშუალება არ ჰქონდათ. საუბედუროდ, ამ ხანებში მელიტონიც მძიმე ავად გახდა და ისედაც დავალიანებული ოჯახი ახლა სილატაკის პირას დადგა. ოჯახის ერთადერთი ნუგეში ნიკოლოზი იყო, ყველა მას მისჩერებოდა. მშობლები სთხოვდნენ, სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და ოჯახი ფეხზე დაეყენებინა. ნიკოლოზიც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მშობლების სურვილს. 1836 წლის იანვარში იგი უბრალო მოხელედ შევიდა „საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციისაში“ (Экспедиция Суда и Расправы верховного грузинского правительства).

1836 წ. საყურადღებო წელია პოეტის ბიოგრაფიაში. საგულისხმოა იმ მხრივ, რომ დამთავრდა მისი ცხოვრების ერთი ხანა — მოწაფეობისა და დაიწყო ახალი, როცა ადამიანი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დგება. დაიწყო უფერული ხანა (უკან დარჩა ოცნებებით აღსავსე პერიოდი). მიზნები ჩაეფუშა — ვერც სამხედრო სამსახური და ვერც უნივერსიტეტი. სამოქალაქო სამსახური მის სულსა და გულს არ ეკარებოდა, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. სწორედ ამ წელს ჩნდება მის პოეზიაში პირველად სიტყვა **კაემანი**, **სახელდობრ** ლექსში „ხმა იდუმალი“: „მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაემანს ვერლა ვიშორებ“ (იდუმალი ხმა აქ სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი ხმა, მოწოდება, გულის კარნახი — „გული მეუბნება“). აქ პირდაპირ ნათქვამია, თუ რა არის პოეტის კაემნის მიზეზი და მართლაც, ისე ჩავიდა სამარეში, ეს კაემანი ვერა და ვერ მოიშორა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია (ცხოვრების გზა) ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანის ბიოგრაფიაა, ადამიანისა, რომელსაც ვერსად, ვერაფერში ვერ გაუმართლდა, ვერ აღისრულა ვერცერთი მიზანი... „სუდა ი რასპრავაში“ მუშაობდა 1844 წლის ნოემბრამდე, ე. ი. მთელი 9 წელი. ეს (1836-44 წლები) ყველაზე უფერული, უგერგილო ხანაა ბარათაშვილის ცხოვრებაში — ერთფეროვანი და მოსაწყენი. დღეები და წლები წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს.

თავის ამდროინდელ მძიმე სულიერ განწყობილებას ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე გადმოგვცემს წერილში გრიგოლ ორბელიანისადმი 1837 წ. თებერვალში: „აგერ წელინად ნახევარია, რაც მე გიმნაზია დავასრულე და ვიმყოფები სუდა ი რასპრაავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях (როდესაც ჩემი მომავალი წარმტაც ოცნებებში წარმომიდგებოდა), და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა... იგი მზრდიდა მე აქამომდინ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ, რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდების კომანდაში სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ, მაგრამ რადგანაც შევიტყვეუარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზედ, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენი სახლის გარემოებასაო, იქნებ მე ველარც კი გავანიო ამ სნეულებას, შენ სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემენუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში: გავნჰნესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება!“

მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო არ მოსწონდა, მის სულსა და გულს არ ეკარებოდა, სამსახურში ყოველ საქმეს თავის დროზე ასრულებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იყო კეთილსინდისიერი ადამიანი, შინაგანად მოწესრიგებული. ადამიანი, რომელიც გრძნობდა პასუხისმგებლობას, ჰქონდა მოვალეობის გრძნობა... ნიკოლოზ ბარათაშვილის მუშაობის შემონქმების საფუძველზე ბრძანებაც კი გამოიცა — ქართველებს უპირატე-

სობა მისცემოდათ სამსახურში (ბარათაშვილის წარმოების უფროსი ილინსკი იყო ვახტანგ ორბელიანის სიმამრი). მიუხედავად ამისა, ის არც დაუჯილდოებიათ და არც დაუწინაურებიათ.

1839-42 წლებში თბილისში მსახურობდა ცნობილი ნუმისმატი — მეცნიერი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (რუსეთში დაბადებული და აღზრდილი. აქ იყო ა/კ. საოლქო საბაჟოს სამმართველოს უფროსი). მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის შორეულ ნათესავ ნიკოლოზ ბარათაშვილთან. მიხეილ ბარათაევი 1842 წ. პეტერბურგში გაემგზავრა. მან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასა და იქაურ ქართველოლოგებს (თეიმურაზ ბაგრატიონს, პროფ. დავით ჩუბინაშვილს, აკად. მარი ბროსეს) დაუხასიათა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ღრმად განათლებული ახალგაზრდა, საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე და სხვა. ამის შედეგად 1843 წ. რუსეთის აკადემიამ ნიკოლოზ ბარათაშვილს მისცა დავალება — შეედგინა ძველი ქართული ხელნაწერების ნუსხა, აღენერა და გადაეღო მათი ასლები...

1843 წ. აგვისტოში ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერდა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა“ მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ეხლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ალაგს. ოჰ! რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

ეს არის ნათქვამი იმ ადამიანის მიერ, რომელიც ბედს არ დამორჩილებია, იბრძვის და შფოთავს, ეძებს გამოსავალს... ასეთი იყო პიროვნული ბუნებით და ეს პოეზიაშიც აღიბეჭდა.

აქაური „შინაგანი ხმა იგივე „იდუმალი ხმაა“, რომელიც ჩასძახოდა: „ეძიე ყრმაო, შენ მხვედრი შენი“. როგორ ჰგავს ბარათაშვილი ვინრო ღრე-კლდეში ჩაჭედილ ბობოქარ და დაუმონავ თერგს, რომელიც ასე ეცოდებოდა ილიას: თერგო, „ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრეს-



თან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვინრო სანოლში ვერ მოთავსებულაო“...

მაინც რას სთხოვს ბიძას, მიუხედავად კოჭლობისა, დაღესტანში წამიყვანე, ბრძოლებში ჩამრთეო? (გრიგოლ ორბელიანი სწორედ იმ 1843 წ. დანიშნეს ავარიის მმართველად და დიდი კაცია). იქნებ უშუალოდ ესეც არ იგულისხმებოდეს, მხოლოდ კანცელარიისგან მოშორების დაუოკებელი სურვილი კი ჩანს.

იმდროინდელი მონინავე საზოგადოების სული და გული, ყველა თავშეყრის გამამხიარულებელი და დამამშვენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილი ამავე დროს ღრმად სევდიანი პიროვნება გახლდათ.

1844 წ. დასაწყისში პოეტმა მძიმე სნეულება გადაიტანა. ეს იყო მისი პირველი ავადმყოფობა. ამან კიდევ უფრო გააუარესა ისედაც მძიმე სულიერი მდგომარეობა.

1844 წლის აპრილში ახალნაავადმყოფარი ნიკოლოზი სწერდა მეორე ბიძას, ზაქარიას: მივიღე შენი სევდიანი ბარათი, ამ ბარათმა „ღრმა გამოხმაურება ჰპოვა ჩემს სულში. თუმცა ამის მიზეზი ჩვენ სხვადასხვა გვაქვს... „ჩანს, ავადმყოფობამ მძიმე დალი დააჩნია პოეტის სათუთ სულს. შენი სევდიანი ბარათი „ცხოვრების ქარიშხლიანი მდინარების გამო“ — ე. ი. ზაქარიას მოუწერია ბარათი, სადაც ცხოვრების ამოებაზე იყო ლაპარაკი. წერილი მოღწეული არაა. პოეტში კი უძირო, უზარმაზარი მსოფლიო სევდა აღძრა: „მიზანი ჩვენი დანიშნულებისა გამოუცნობელი რჩება, ადამიანის სურვილები უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამქვეყნიური, წარმავალი. აი, ამან აავსო ჩემი სული საშინელი სიცარიელით“...

ამავე ხანებში მელიტონს დამბლა დაეცა მეორეჯერ და ოჯახი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ხელფასი, რომელიც ნიკოლოზს ეძლეოდა, მეტად მცირე იყო და ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას. ბარათაშვილი იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს ოჯახს, მშობლებს და ეძიოს უკეთესი სამსახური, რომელიც მეტ შემოსავალს მისცემს.

1844 წლის ნოემბერში მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი დაინიშნა ნახიჩევანის (აზერბაიჯანშია) მაზრის უფროსად. ლევა-

ნი იყო პოეტის ნათესავისა და დობილის, მაიკოს, საქმრო და ესეც უწყობდა ხელს მათ მეგობრობას. ლევანმა თანაშემწედ წაიყვანა ნიკოლოზი. ხელფასი იქ სამჯერ მეტი იყო, თანაც ლევანის ხათრით წავიდა, მაგრამ შემდეგ ორივემ იწანა... ნახიჩევანი მიყრუებული პროვინცია აღმოჩნდა, არაეინ იყო მათთვის ხმის გამცემი, სამწუხაროდ, ლევანიც ავად გახდა და აი, იქიდან პოეტი სწერს მეგობარ ქალს მაიკო ორბელიანს: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა. ლევანიც ავად გამიხდა და თავადაც ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ის ნეიდგარტს (იმდროინდელი მთავარმართებელი, რომელმაც ლევანი გააგზავნა ნახიჩევანში) სწყევლის, არ ვიცი, რა მოუვიდეს“. პოეტს აქაც მძიმე განცდები აქვს, მარტობას უჩივის. მალე ორივემ მიატოვა იქ მუშაობა. მელიქიშვილი სხვაგან გადაიყვანეს და ბარათაშვილიც 1845 წ. მარტს თბილისში დაბრუნდა (ე. ი. იქ 4 თვე დაჰყო). თბილისში იგი ცდილობდა, დაეტოვებინათ სამუშაოდ საქართველოში, დაინიშნა კიდეც თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მზადაც იყო იქ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს შეხვდა მეგობარი და ნათესავი მამუკა ორბელიანი (მათი მშობლები — ეფემია და თამაზი — ბიძაშვილები იყვნენ), რომელიც დანიშნული იყო განჯის მაზრის უფროსად (განჯას ერქვა კიროვაბადი, ახლა — ისევ განჯა).

მამუკა თამაზის ძე ორბელიანი (1801-1871) მონაწილეობდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. იყო 1832 წ. შეთქმულების წევრი. მთელი ცხოვრების მანძილზე მონაწილეობა მიუღია 134 დიდ თუ პატარა ბრძოლაში. იყო განათლებული ადამიანი, პოეზიის მოყვარული, თვითონაც წერდა ლექსებს. ერთი მათგანი („ალარა ვხედავ წარსულს დროებას“) დაბეჭდილია („ცისკარი“. 186-2, 9). ორი ლექსი ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

[მამუკას ცოლად ჰყავდა ქეთევან ერისთავი, ასული გიორგი იასეს ძე ერისთავისა. გიორგი ერისთავი (1760-1863), სენატორი, „დიდი კნიაზი“. მას ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე (გარდ. 1820 წ.). გიორგი ერისთავსა და გაიანეს ჰყავდათ სამი შვილი:

ზაქარია (ცოლად ჰყავდა ელენე ლუარსაბის ას ორბელიანი), ქეთევანი (მამუკას მეუღლე), მარიამი (გრიგოლ ერისთავის მეუღლე).

ქეთევანი, ამრიგად, არის გიორგი XII-ის შვილიშვილი. ამ ქალმა 1850 წ. „გაყრაში“ შეასრულა მაკრინეს როლი, „დავაში“ — ლომისეულის. მამუკა და ქეთევანი (ცოლ-ქმარი) დაკრძალულნი არიან სიონში (ეპიტაფია იხ. სოლომონ ხუციშვილის წიგნში).

მამუკასა და ქეთევანის ასული ალექსანდრა ცოლად ჰყავდა ლევან მელიქიშვილს (ლევანი და მისი მეუღლე კი დაკრძალულნი არიან მთაწმინდის ეკლესიაში).

ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას. იგი უცხო ენებიდან თარგმანებს ათავსებდა „ივერიაში“, „აკაკის კრებულში“. თარგმნა, მაგ., ა. დრუჟინინის მოთხრობა „პოლინკა საქს“ („ივერია“, 1881 წ. 6).

მამუკა ორბელიანი ახლოს იცნობდა კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტ მწერალს ალექსანდრ ბესტუჟევი-მარლინსკის. აი, ეს მწერალი სწერდა ძმას (1837 წ. თებ.): „როცა მე შენი წერილი (პუშკინის დალუპვის შესახებ) წაფუკითხე მამუკა ორბელიანს, მას წყევლა აღმოხდა. „მე მოვკლავ იმ დანტესს, თუკი ოდესმე შეეხვდებაო“, — წარმოთქვა მან. მე შევნიშნე, რომ რუსეთში საკმარისნი არიან რუსები, რომ შური იძიონ ძვირფასი სისხლისათვის.“]

აი ამ მამუკამ ბარათაშვილი წაიყვანა განჯაში თავის თანაშემწედ (ბარათაშვილის იქ ყოფნის დროს განჯა ითვლებოდა საქართველოდ. იმერეთის გუბერნიის სამაზრო ქალაქად). ნიკოლოზმა მიიღო საბედისწერო გადაწყვეტილება და 1845 წ. ივნისში გაემგზავრა განჯაში (ამ ქალაქში ადრე მამამისი, მელიტონიც მსახურობდა).

განჯაც ისეთივე მიყრუებული ადგილი იყო, როგორიც ნახიჩევანი. პოეტმა სამუდამოდ დაკარგა სიყრმის იდეალები.

**ყველას დავავიწყდი, მარტო ვარ განჯაში,  
ვერ ვპოვე ჭურჭელი ატეხილ ვნებათა  
გული გაიწურა ცხოვრების დარჯაკში,  
დავკარგე ცისფერი, რაც სიყრმეს ებადა.**

*(სიმონ ჩიქოვანი, „განჯის დღიური“, „პირველი ბარათი  
— მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“).*

განჯის ჰაერი შეუფერებელი აღმოჩნდა პოეტის ჯანმრთელობისათვის. განჯაში მაშინ მძვინვარებდა ყვითელი ცხელება და პოეტიც მალარიით დაავადდა (ავადმყოფობას საერთოდ მძიმედ იტანდა, პირველად 1844 წ-ის დასაწყისში ძლივს მორჩა). განჯაში არ ღირსებია არამცთუ მკურნალობა, არამედ უბრალო ყურადღება და მოვლაც. ამას დაემატა ისიც, რომ ზაფხულში მამუკა თბილისში გაემგზავრა რალაც საქმისთვის. მაზრის მოვლა დაავალა თანაშემწეს. ეს ის დრო იყო, როცა მაზრაში ავაზაკები დაძრწოდნენ და იკლებდნენ სოფლებს. ბართაშვილს უხდებოდა მათი დევნა წვიმაში, ტყეებსა და ღრანტეებში. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს პოეტი გაციებულა. როცა ამდგარა, ავადმყოფობა შეუბრუნდა და ლოგინად ჩავარდა. მისი ავადმყოფობის შესახებ თბილისში არავინ არაფერი იცოდა. არც მამუკა იყო განჯაში — წყლის მიმწოდებელიც არავინ ჰყავდა...

**ვერ მოვასწარ სიცოცხლე და შებერება,  
მტკვარს ყვითელი ყვავილები შეჭვენია  
მეჩვენება: შემოდის და მეფერება  
ფერმიხდილი დედაჩემი ეფემია.**

*(ს. ჩიქოვანი)*

1845 წ. 9 ოქტომბერს (ძვ. სტ.), სრულიად ახალგაზრდა, 28 წლის ნიკოლოზ ბართაშვილი გარდაიცვალა მაზრის უფროსის სახლში. მესამე დღეს, 11 ოქტომბერს ნათესავთაგან, მეგობარ-ახლობელთაგან დაუტირებელი პოეტი დაკრძალეს იქვე, მართლმადიდებელთა ეკლესიის ეზოში, მალლობზე...

წინასწარმეტყველურად ახდა მისი სიტყვები:

**ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს  
ცრემლი მწუხარის.**

გენიალური წინასწარმეტყველებაა. ზუსტად ასე მოხდა. ერთი წვეთი ცრემლი არ დაცემია. მერე რა დაჟინებით იმეორებს:

**სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან  
ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ  
სვავნი მყივარნი  
(„მერანი“)**

სხვაგანაც აქვს ნათქვამი:

**მოვეკვდები - ვერ ვნახავ  
ცრემლსა მე მშობლიურს. მის ნაცვლად ცა ლურჯი  
დამაფრქვევს ცვარს ციურს.  
(„ცისა ფერს“)**

[„ეს მწვაფი წინასწარმეტყველება გაუმართლდა. იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა“. ილიას სიტყვა 1893 წ. 25 აპრილს].

მიცვალებულის გლოვა-დატირება ყველა ხალხს აქვს წესად (სხვადასხვა ფორმით, ცხადია). ქართველთა ეროვნული ტრადიცია ცრემლით დატირება, შავი ძაძების ჩაცმა და შემდეგ ერთი წელი გლოვაა (თუ მახლობელია... მთელი სიცოცხლე იგლოვს დედა შვილს... ზოგჯერ ცოლიც ქმარს - ნინო ჭავჭავაძე).

„სიკვდილსა გლოვა უხდება“ (ვაჟა).

[ქართულ ლიტერატურაში ეროვნული გლოვის ნიმუშია ბესიკის მიერ ლეონ ბატონიშვილის დატირება (ოდა-პოემა „სამძიმარი“), სოლომონ ლეონიძის მოთქმა-გოდება ერეკლეს კუბოსთან - „მოთქმით ტირილი საქართველოს ღერკულეს მეფისა...“ (სამგლოვიარო ორატორული სიტყვის ნიმუში), ილიას სიტყვა გრიგოლ ორბელიანის ცხედართან, აკაკისა — ილიას ცხედართან.

დაუტირებლად დამარხვა რაღაც დიდი ცოდვაა ქართველისათვის. ილიას გაბროს ყველაზე მეტად ეს ანუხებს — „ამოდენა დედამინის ზურგზე დამტირებელი არა მყავს“.

ვაჟას შემოქმედებაში მრავალი მაგალითია გლოვისა. „ზვია-დაურსა გლოვობდა შფოთვა და ბორგენა წყლისაო, ნიავად ჩამონადენი ოხვრა მაღალის მთისაო“ (ე. ი. ზვიადაურს ბუნებაც დასტირის. ვაჟასთან ხშირია ამისთანა სურათები: „როცა გიგლია კვდებოდა მთებ სატირალზე სხდებოდა“). ანდა როგორ დაიტირა ალაზამ ზვიადაური (შეებრაღა, რომ უცხოეთში კვდებოდა და არავინ დაიტირებდა). „რა დაგიმალო, ჯოყოლაგ, ან რად შემრისხავ თქმისადა, ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისადა“. და როგორ შეხვდა ჯოყოლა: „იტირე? მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. დატირების მთელი კულტი და ტრადიცია იყო საქართველოში, მთაში (თუმ-ფშავ-ხევსურეთში) დიდად ფასობდა კარგი მოტირალი. სვანეთში — მოზარეები (ზარი — სპარს. ტირილი, გლოვა). მოტირალი და მოზარე პროფესია იყო. ხმით ნატირლები (ხმით ტირილი).

„მეცნიერებამ“ გამოსცა (1987 წ.) კრებული „მგოსანნი გლოვისანი“. შევიდა 151 ტექსტი. მასალა დაჯგუფებულია ასე: დედის ტირილი, დის ტირილი, ცოლის ტირილი, დედამთილის ტირილი, რძლის ტირილი დედამთილზე... არავინ დაიტირებს კაცს ისე გულმდულარედ, როგორც დედა და დაი. შვილის სიკვდილის შემდეგ დედა შავებს არ იხდის (ზოგჯერ თავს იკლავს). დედას ვერავინ შეეცილება შვილის სიყვარულში.

**ცხრა თვეს მუცლით გატარებდი, „ვაით“ გმობე,  
„უით“ გზარდე  
და რად გიკვირს, ყოველ ქალზე უფრო დედას რომ უყვარდე?  
ქალი მამას ქმარში გაცვლის, ცოლი ქვრივი სხვას ნაჰყვება,  
მაგრამ დედას შვილის ტრფობა სამარეში თან ჩაჰყვება.  
(აკაკის „დედის სიმღერა“)**

დედის მიერ შვილის დატირების ბრწყინვალე ნიმუშია მიქელანჯელოს (მე-15-მე-16 სს. იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე). ქანდაკება „პიეტა“ (დადგმულია რომში, პეტრეს ტაძარში). შვილმკვდარი დედის მარიამის უზომო მწუხარება (ღვთისმშო-

ბელი დასტირის ქრისტეს...). ქართულ მწერლობაში დედის მიერ შვილის დატირების ნიმუშია ოთარაანთ ქვრივის მიერ გიორგის დატირება (ლეო ქიაჩელის შემოქმედებაშია მამის მიერ შვილის დატირება „ალმასგირ კიბულანში“ და სხვა).

ასევე უხდება ძმას დის ცრემლები. „სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას ტირილი დისაო“].

ბარათაშვილს ოთხი და ჰყავდა. დებს უზომოდ უყვარდათ ერთადერთი ძმა და აბა როგორ მოუხდებოდა, დაამშვენებდა მათი ცრემლები პოეტის ცხედარს. მაგრამ ასე არ ინება გამჩენმა და საოცარია, როგორ გრძნობდა ამას პოეტი წინასწარ: „მოკვდები, ვერ ვნახავ ცრემლსა მე მშობლიურს“. ეფემიამ თავისი ერთადერთი ვაჟის საფლავი რამდენიმე თვის შემდეგ ინახულა, ხოლო მამამ ესეც ვერ შეძლო. განჯაში, სხვათა შორის, შეიქმნა პოეტის სახლ-მუზეუმი, ერთთვლიანი პატარა სახლი, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ბარათაშვილი, ხელუხლებლად და დატოვებული (განჯიდან იყო დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი). ცხოვრებაში განანამები დედა მოთქვამდა (დღესაც ყურში შემზარავად ჩაგვესმის ეს მოთქმა): „მე უბედური, უბედურად ქმნილი მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს და რა შვილს, რომლისგანაც მოველოდი ყოველს სიხარულს, ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას“.

ყველასათვის თავზარდამცემი გახლდათ ბარათაშვილის სიკვდილი. განსაკუთრებით მძიმე და საშინელი იყო მშობლების მდგომარეობა. ერთადერთი ვაჟი (ისიც უცოლო და უძეო) ოჯახის იმედი და მარჩენალი (გვარის გამგრძელებელი). მშობლები კი ამ დროს ხანშიშესულები არიან. მელიტონი ლოგინად ჩავარდნილი, ხოლო ოჯახი ისე გაღარიბებული, რომ საშუალება არ ჰქონდათ, ჩვეულებისამებრ სამგლოვიარო ძაძა ჩაეცვათ (გენერალი ლადინსკი ამას მოახსენებდა ვორონცოვს და სთხოვდა, ორი გროში მიეცა ოჯახისთვის). მართლაც, ერთდროული დახმარების სახით პოეტის ოჯახს გადაეცა 675 მან. (ვერცხლით).

გრიგოლ ორბელიანი ამ დროს დალესტანში იმყოფებოდა. მას ყრუ ცნობა მოუვიდა ტატოს სიკვდილზე. ამით შეძრწუნე-

ბული გრიგოლი სწერდა თავის ძმას, ილიას: „ტატოს ამბავი, ჩემი გულითადი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობლობა მკლავს. შენ მიხაკოსთვის (მაიკო ორბელიანის ძმა. 40-იან წლებში დალესტანში მსახურობდა გენერალ ვასილ ბებუთოვის ადიუტანტად) მოგწერა ტატოს უიმედოთ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. ახ, ეს დამალვა რა არის — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რალა ვარ? ამ ამბავმა მე ავად გამხადა. ეს ექვსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი...“ (1845 წ. 12 ნოემბერი).

ილიამ ბოლოს გაუმხილა ძმას დისშვილის სიკვდილი - 1845 წ. 29 ნოემბერს ილია სწერდა გრიგოლს: „ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლ-შვილის ყურებისთვის ველარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და აღარ მესმის-რა. ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავ!“

ავადმყოფმა გრიგოლმა მდულარე ცრემლებით დაიტირა ტატო, ხოლო დას მისწერა მანუგეშებელი წერილი: „ჩემო საყვარელო დაო ეფემიავ! წერილთან გიგზავნი 5 თუმანს, გთხოვ მიიღო და არ დამემდურო სიმცირისათვის. თუ რამ მებადება, არას დავიშურებ შენთვის. გაიმაგრე გული სასოებითა ღვთისადმი, რომლისა ბრძანებას ვერავინ გადუვალს და რომელსა არა ჰნებავს მომატებული მწუხარება და სასონარკვეთილება. ევედრე ღმერთსა და მან განჰკურნოს მწუხარება შენი“.

1846 წ. თებერვალში პოეტის ბიძა ილია ორბელიანი დროებით დაინიშნა განჯის მაზრის უფროსად. მან დისწულის საფლავს ქვა დაადო და გაუკეთა წარწერა, რომ აქ მარხია ნეშტი გუბერნიის მდივნის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილისა. მშობლებმა ისიც ვერ მოახერხეს, რომ ერთადერთი ვაჟის ცხედარი საქართველოში გადმოესვენებინათ.

პოეტის მეგობარმა ლევან მელიქიშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილი მიიჩნია დიდ ეროვნულ უბედურებად. აი,



რას სწერდა იგი გრიგოლ ორბელიანს: „სამძიმოა, ძმაო, გრიგოლ, სამძიმო დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისი თბილი გულით და თბილი სულით გვარიგებდა ადამიანებთან... და მარტო მე კი არ მომივიდა ეს დანაკარგი! საქართველომ მასში დაკარგა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა სრული პოეტური სულით... ყმანვილი კაცი მშვენიერი და ბრწყინვალე ნიჭისა... მშობლებმა დაჰკარგეს მასში ერთადერთი ბურჯი თავისი მოხუცებულობისა და მთელი ოჯახისა, ნათესაებმა — კეთილი ნათესავი, ქართველებმა — ერთი თავისი უკეთესი მემამულეთაგანი — იქნება ვცოდავდე, მაგრამ თავი ვერ დამიჯერებია, რომ არა ვთქვა, სად არის სამართალი ზენაარი...“

უფრო გვიან ილია იტყვის: „არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!“

განვლო თითქმის ნახევარმა საუკუნემ პოეტის გარდაცვალებიდან და აღიძრა საკითხი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა. საკითხი აღძრა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და მისმა ხელმძღვანელმა ილია ჭავჭავაძემ.

1893 წ. 25 აპრილს (ძვ. სტ.) პოეტის ცხედარი განჯიდან თბილისს ჩამოასვენეს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ დიდი ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. ის, რაც თავის დროზე დააკლდა, ახლა ერთი ათასად შეუსრულდა. მთელი საქართველო მივიდა და ცრემლი დააპკურა პოეტის ცხედარს (ეს ილიამ საგანგებოდ აღნიშნა თავის სიტყვაში). იმ დღეს დილაადრიან, ჯერ კიდევ მატარებლის ჩამოდგომამდე დიდი ხნით ადრე თბილისის ვაგზლის არემარე გაიჭედა ხალხით. აქ მოვიდნენ არამარტო თბილისელები, რათა პატივი ეცათ პოეტის ნეშტისთვის. ვინ არ იყო: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. ათის ნახევარზე მატარებელიც ჩამოდგა და ვაგონიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასი ნეშტით. ამდენმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა მგოსნის ცხედარს. „კუბო ხელიდან ხელში გადადიოდაო, — ვკითხულობთ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, — არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმა-

ნეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ, როგორმე, რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავიანთი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თავყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს”.

ნეშტი დაკრძალეს დიდუბის მწერალთა პანთეონში. სიტყვები წარმოსთქვეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა.

ვაჟა-ფშაველა მთიდან გამოგზავნილი ლექსით მიესალმა პოეტის ნეშტს:

**მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,  
ქართლისა წყლულთა მოზარე,  
მშვიდობა სულთა ძლიერო,  
თავის სამშობლოს მოყვარე  
დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯერ  
თვალზე ცრემლები მომგვარე.  
არ დაივიწყა სამშობლომ შენი მის ბედზედ ტირილი,  
მედგარი სულის კვეთება, შავბედობაზედ ჩივილი,  
დაუშრეტელი ნაღველი, წყრომა და გულის ტკივილი.**

1938 წ. 15 ოქტომბერს ქართველმა საზოგადოებამ პოეტის ნეშტი დიდუბიდან გადაასვენა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. ამ გადასვენების ინიციატორი იყო გიორგი ლეონიძე (იგივე იყო ვაჟას გადასვენების ინიციატორიც). ის ადამიანები, რომლებიც ბარათაშვილის ნეშტს (1893 წ.) თბილისში დახვდნენ, ამ დროს უკვე ცოცხლები აღარ არიან და მთაწმინდაზე განისვენებენ. ამჟამად ისინი (უკვე მთაწმინდის მკვიდრნი) მთაწმინდაზე დახვდნენ ბარათაშვილს (ეს იყო მათი, ასე ვთქვათ, მეორე „შეხვედრა“). გიორგი ლეონიძე:

**ვით ოქროს ფარჩა გადმოკიდული, ბრწყინავდა შენი  
ქვეყნის ბუნება;  
ჰხვდებოდნენ დიდი მთაწმინდელები მთაწმინდის მთაზე  
შენს დაბრუნებას.**

დაგხვდა ილია - ქართლის კლდეკაცი, სამშობლოს აზრი  
შუბლნატყვიარი;  
დაგხვდა აკაკი - ბერი ბულბული, ვისი სიმღერის გული  
ტყვე არი...  
ყელს შემოგეჭდო ვაჟა-ფშაველა - ადგილის დედა  
გეგებებოდა  
და შენი ძვირფას ნეშტის წინაშე შენი სამშობლო  
ფეხზე დგებოდა.

სიმონ ჩიქოვანი, „ნ. ბარათაშვილის სავანეში“:

როგორ ჩასტიე მაინც კუბოში შენი შფოთვა და  
კორიანტელი...  
კაცი უცხოეთს გადაკარგული, ორჯერ კუბოდან  
წამოვარდნილი.  
ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა? ხე შრიალებს თუ  
ქალი კენარი?  
შენი სამშობლო თავზე გევლება, შვებით ჭიხვინებს  
შენი მერანი.

## პორტრეტისათვის

ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს ფოტოგრაფია არ არსებობდა საერთოდ დედამიწის ზურგზე (საქართველოსა და რუსეთში კი არა მარტო, მთელს ქვეყანაზე). სურათებს იღებდნენ დაგეროტიპის საშუალებით (დაგეროტიპია ფრანგ.). სურათს იღებდნენ იოდოვანი ვერცხლით დაფარულ ლითონის ფირფიტაზე.

ერთი ასე გადაღებული სურათი ჰქონია ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, რომელიც 60-იან წლებში ილიას ხელში აღმოჩნდა. ილიამ ის გასანმენდად და გასამრავლებლად მიუტანა უცხოელ ფოტოგრაფს დებელირს. სამწუხაროდ, იმ ღამით იქ ცეცხლი გაჩნდა და ჯიხური დაინვა... [დებელირი იყო მაშინ ერთადერთი

ფოტოგრაფი საქართველოში. მალე ამის შემდეგ ამ საქმეს ქართველებმაც მოჰკიდეს ხელი. პირველი ქართველი ფოტოგრაფი არის ალექსანდრე როინიშვილი (1846 წ. - დუშეთი - 1898 წ. თბილისი, გარდაიცვ. 52 წლისა). მხატვარ ვ. ხლამოვის ხელმძღვანელობით დაეუფლა ფოტოგრაფიას. 1865 წ. თბილისში გახსნა ფოტოგრაფიული სტუდია „რემბრანდტი“. გადაიღო გამორჩენილ მოღვაწეთა სურათები — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა (დავით სარაჯიშვილის ტიპის მოღვაწეა).

ლიტ. ბ. ტაბიძე - „ალ. როინიშვილი“ (1962 წ.)]

ბარათაშვილის პორტრეტის აღსადგენად რამდენიმე წყარო არსებობს:

1. მიხეილ თუმანიშვილის ესკიზი - ჩანახატი

2. სოფიო ბარათაშვილი - სუმბათაშვილისას სურათი (ძალიან ჰგავდა ძმას. „სოფიოს უღვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილი“).

3. ახლო ნაცნობთა მოგონება (საშუალო ტანის, ოვალური სახის, ძვალმსხვილი, თეთრი პირისახის...)

მიხეილ გერასიმოვი, მოქანდაკე - ანთროპოლოგი ლევან თაქთაქიშვილმა სცადა, კომპიუტერით შეექმნა ბარათაშვილის სურათი.

დღეს მიღებულია ლადო გუდიაშვილის ნახატი.

ჩვენამდე მოღწეულია 37 ლექსი, ერთი პოემა, 18 კერძო ბარათი. არც ნიკოლოზ ბარათაშვილს უნახავს თავისი ლექსები დაბეჭდილი. მისი თხზულებანი პირველად დაიბეჭდა 1876 წ. „ლექსნი თქმულნი ნ. ბარათაშვილისაგან“ (შევიდა 30 ლექსი და პოემა), მანამდე კი ვრცელდებოდა ხელნაწერ კრებულებად. ერთ-ერთი ასეთი კრებული ილიამ ნახა 1860 წ. (როცა სტუდენტი იყო) ცარსკოე სელოში (ანინდელ პუშკინოში) ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში... მაშინ დაწერა ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ („არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი...“). ილიამ მაშინვე იგრძნო ბარათაშვილის გენიალობა, სათანადოდ შეაფასა ის და პოპულარიზაცია გაუწია მის შემოქმედებას.

ჩვენამდე მოღწეულია ბარათაშვილის 18 კერძო ბარათი (ცხადია, გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ დაკარგულია. დღეს – ტელეფონებისა და კომპიუტერების ეპოქაში კერძო ბარათების წერა არაა ხელსაყრელი, მაგრამ მაშინ სხვა იყო). ამ ბარათებიდან 8 -ის ადრესატია გრიგოლ ორბელიანი (აქედან ჩანს, თუ რა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან ბიძა-დისნული, მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა).

4 ბარათის ადრესატია მაიკო ორბელიანი (მაიკოს და ტატოს ბაბუები ძმები იყვნენ)

3-ის ადრესატია ზაქარია ორბელიანი

1-ის ადრესატია მიხეილ თუმანიშვილი

1-ის ადრესატია ბაბაღე საგინაშვილი (ბაბაღე სამარაგდონის ას ორბელიანი (1825-1870) დანიშნული იყო გიორგი ერისთავზე, მაგრამ 1839 წ. მისთხოვდა ალექსანდრე საგინაშვილს. გიორგი ერისთავმა იმავე წელს დაწერა ლექსი „კ. ბ-ო“ და აგრეთვე „შეშლილი“. ალექსანდრე საგინაშვილი შემდეგ იყო ილიას დის (ელისაბედის) ქმარი.

1 ბარათის ადრესატია ალექსანდრე საგინაშვილი (იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი).

სამწუხაროდ, არაა მოღწეული არცერთი ბარათი, ბარათაშვილთან მიწერილი. ალბათ, მასთან მიწერილი ბარათები თან ჰქონდა პოეტს და გარდაცვალების შემდეგ, რაკი იქ პატრონი არ ჰყავდა, გაიფანტა. გაიფანტა უკანასკნელი ლექსებიც. ამ ბარათებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოეტის ცხოვრება-შემოქმედების შესასწავლად. როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს და სავსებით მართებულად, რომ ბარათაშვილის სახით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო დიდებული პოეტი, არამედ დიდი პროზაიკოსიც. პოეტის ზოგი კერძო ბარათი (გრიგოლ ორბელიანთან, მაიკოსთან, მიხეილ თუმანიშვილთან და სხვებთან მიწერილები) ამის თქმის საფუძველს გადაუჭარბებლად იძლევა.

ლექსების წერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო. უკვე 1833 წ. 15-16 წლის ბარათაშვილი ავტორია ხუთი ლექსისა: „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“, „ვარდი და ბუღბუღი“ და „შემოღამება მთანმინდაზედ“. ეს

არის ბარათაშვილის ე. წ. „ყრმობის პერიოდის ლექსები“. ხუთივე ეს ლექსი მოთავსებული იყო ხელნაწერ ლიტერატურულ აღმანახში (ანთოლოგიაში), რომელიც გიმნაზიელებმა გამოსცეს 1833 წ (საქ. მუზ. ს: 2684).

საქმე ისაა, რომ მათში აღბეჭდილია პოეტის სული, განცდები, ფიქრები. ხშირად ადრესატებს წერილებს უგზავნიდა ლექსთან ერთად, რომელშიც მსგავსი განწყობილება იყო გადმოცემული. ასე რომ, ესა თუ ის ბარათი ხშირად ამა თუ იმ ლექსის კომენტარია. ეს ბარათები გვეხმარება იმ ლექსების გაგებაში.

საერთოდ ახლობლებისადმი გაგზავნილ ყველა კერძო ბარათში (და დღიურებში) ადამიანი გულახდილია, უშუალოა. ბარათებსა და დღიურებში ინტიმი გაცვილებით მეტია, ვიდრე ოფიციალურ მიმონერაში. კერძო ბარათები და დღიურები არ ინერება საზოგადოებისათვის, ესაა უფრო საკუთარ თავთან საუბარი. წერილი, ეპისტოლე ახლობელთან საუბარია, დღიური კი საუბარია საკუთარ თავთან. [დღიურში კაცმა შეიძლება ისეთი რამ ჩანეროს, რაც საერთოდ არ უნდა იცოდეს სხვამ].

ამიტომ, რომ კერძო ბარათებს მწერალთა აკადემიურ გამოცემებში ბეჭდავენ და საგანგებოდ სწავლობენ.

პირველი სამი ლექსი — „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“ და „კავკასიური მოთხრობა“ ტექნიკურად სუსტადაა შესრულებული, ეს ლექსები მართლაც პირველი გაუბედავი პოეტური ცდებია (დებიუტია). ესაა მიზეზი იმისა, რომ პოეტს ეს ნაწარმოებები თავისი ლექსების არცერთ კრებულში არ შეუტანია (ხელნაწერი კრებულები იგულისხმება). ამ ლექსებიდან პირველი ორი („ვარდი და ია“ და „ნარგიზი და ყაყაჩო“) ყვავილების (ვარდის, იის, ნარგიზის, ყაყაჩოს) ლირიკულ აღწერას წარმოადგენს და მიუთითებს ყრმა პოეტის ეგზოტიკურ მგრძნობელობაზე (ესაა ეგზოტიკური ბუნების ჩვენება. რომანტიკოსებს ხომ ველური, ეგზოტიკური ბუნება უყვართ). „კავკასიური მოთხრობა“ კი ამჟღავნებს გიმნაზიელი ბარათაშვილის მიერ პუშკინისა და ლერმონტოვის კავკასიური პოემებისა და მოთხრობების ნაკითხობას: ახალგაზრდა კაზაკს უყვარს ყაბარდოელი ქალი ფატი. ვაჟი ქრისტიანია, ქალი — მაჰმადიანი. ქალი

იზიარებს კაზაკის სიყვარულს თუ ვაჟი რჯულს გამოიცვლის (მაჰმადიანობას მიიღებს). მათი ფარული სიყვარული გაიგო ქალის ძმამ, რომელმაც დას თავი მოჰკვეთა და კაზაკს მიუტანა. თავზარდაცემული კაზაკი სადღაც გადაიკარგა თუ თავი მოიკლა, ამის შემდეგ ცოცხალი აღარ უნახავთ (რომანტიკული შინაარსი). სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელ ქალ-ვაჟის სიყვარული ბევრჯერ გამხდარა რომანტიკოსთა ნაწარმოებების თემად. რომანტიკოსებს ხომ ყოველივე არაჩვეულებრივი უყვართ. სიყვარული ისეთი დიდი ძალაა (შდრ.: ალექსანდრე ჭავჭავაძე: „სიყვარულო, ძალსა შენსა“, გრიგოლ ორბელიანი: „აბა, შემომხედე ლამაზ თვალებით, ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეფდე...“), რომ ის გადალახავს სარწმუნოებრივ ბარიერსაც (ალექსანდრე ყაზბეგის „ელისო“, ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვა“ და სხვ.).

რაც შეეხება ლექსებს „ვარდი და ბულბული“ და „შემოლამება მთანმინდაზე“ — ესენი წარმოადგენენ პირველ ვარიანტებს ლექსებისა „ბულბული ვარდზედ“ (1834) და „შემოლამება მთანმინდაზედ“ (1836 წ.), სადაც პოეტმა უკვე იპოვა თავისი თავი და საკუთარი ხმა (ე. ი. ქართული პოეზიის შედეგური „შემოლამება მთანმინდაზედ“ დაწერილია 15-16 წლის ყმანვილის მიერ).

ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ მოტივს (ესაა ქართული რომანტიზმის ძირითადი ნიშანი).

ნიკოლოზ ბარათაშვილიც მწვავედ განიცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას, მოსპობას ერეკლესდროინდელი თავისუფალი საქართველოსი. ეს ნათლად ჩანს პოეტის მეგობრის, კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ („დროება“, 1881 წ. 206):

„მახსოვს, ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო ნავედით სასაიერნოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს

წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ, 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხვ. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა. და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო! დიდხანს დავდიოდით თავჩაღუნული და მოწყენილი“.

ეს მოხდა 1838 წ., „ბედი ქართლისა“ კი დაიწერა 1839 წ.

ასე ძლიერ განიცდიდა ნიკოლოზ ბარათაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. რა დამოკიდებულებაში იყო პოეტი 1832 წ. შეთქმულებასთან? ჩვენ ვიცით, რომ შეთქმულების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილის ნაცნობები და ნათესავები, მათ შორის საყვარელი ბიძა გრიგოლ ორბელიანი და საყვარელი მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი (გრიგოლ ორბელიანი ბარათაშვილისთვის ბიძაზე მეტი იყო, სოლომონ დოდაშვილიც მასწავლებლებზე ბევრად მეტი). ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა რთულ ეროვნულ-პოლიტიკურ სიტუაციაში, 1832 წ. — შეთქმულების მზადების ხანაში. ჰაერი (პოლიტიკური ჰაერი) გაჟღენთილია ეროვნული სულით. ამ ჰაერით იკვებებოდა, ამ ჰაერს ისუნთქავდა პოეტი.

1832 წ. შეთქმულების მზადებისას ნიკოლოზ ბარათაშვილი სრულიად ახალგაზრდა იყო, სულ რაღაც 14-15 წლისა, ამიტომ შეუძლებელია, მისთვის გაენდოთ შეთქმულება, რომელიც დიდი სიფრთხილითა და კონსპირაციით მზადდებოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილს მონაწილეობა არ მიუღია 1832 წ. შეთქმულებაში (არ იყო ორგანიზაციის, „ფარული საზოგადოების“ წევრი), მაგრამ ის ღრმა იდეურ კავშირში იმყოფება მასთან.

თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძემ გამოთქვა მოსაზრება (ბროშურაში: „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების წინაშე“), რომ ბარათაშვილი



შეტქმულებაში მონაწილეობდაო. ჩააბა მისმა მასწავლებელმა სოლომონ დოდაშვილმა, გაჩხრიკეს და დააპატიმრეს კიდეცო. იმონმებს რა ზაქარია ჭიჭინაძის ამ ბროშურას, გიორგი ჯიბლაძე უდავო ფაქტად მიიჩნევს, რომ გიმნაზიელი ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიუხედავად ჭაბუკური ასაკისა, მასწავლებელმა, სოლომონ დოდაშვილმა მიიღო ფარული საზოგადოების ნევრად. თითქოს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს კიდეც. ეს მოსაზრება არ დასტურდება.

მაშ რას ეყრდნობა ზაქარია ჭიჭინაძე? — სხვადასხვა პირთა მხოლოდ ზეპირგადმოცემებს.

ბარათაშვილმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მტკიცენულად განიცადა 1832 წლის შეთქმულების დამარცხება. ბარათაშვილისა და სხვა გიმნაზიელთა მთელი სიმპათიები შეთქმულების მონაწილეთა მხარეზე იყო. ისინი ეწევიან შეთქმულთა იდეების პოპულარიზაციასა და აგიტაციას. მაგ., 1833 წ. შედგენილ ლიტერატურულ აღმანახში გიმნაზიელებს (მათ შორის, ცხადია, ბარათაშვილიც იყო) შეაქვთ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე პოეტების-გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის და სხვათა ნაწერები. ესენი მაშინ (1833 წ.) ავლაბრის ყაზარმებში ისხდნენ და მათი ხსენებაც კი პოლიტიკურად მეტად სახიფათო იყო. აი, სწორედ ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ამხანაგები არ ერიდებიან პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ ლიტერატურულ პოპულარიზაციას. ეს ფაქტი გარკვეულად იმაზე მიუთითებს, რომ გიმნაზიელების და მათ შორის ახალგაზრდა ბარათაშვილის სიმპათიები შეთქმულების მონაწილეთა მხარეზე იყო. უფრო მეტიც, ხელნაწერ ლიტერატურულ აღმანახში გიმნაზიელებმა შეიტანეს ჩამოთვლილ ავტორთა არა პოლიტიკურად ნეიტრალური თხზულებანი, არამედ რევოლუციური ხასიათის ნაწერები, ის ნაწერები, რომლებიც უშუალოდ 1832 წლის შეთქმულებას ეხმაურებიან. ასეთია გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალის“, რომელიც მთლიანად აჯანყების სულისკვეთებით არის შთაგონებული და ძიებისას საგანგებო დაკითხვის საგანი შეიქნა, გიორგი ერისთავის აგრეთვე

რევოლუციური ხასიათის პოემა „ოსური მოთხრობა“, რომელიც ფარულად, ალეგორიულად შეიცავდა მოწოდებას „მამულის გამოხსნისათვის...“ ეს იყო 1833 წ. ორიოდე წლის შემდეგ გამოსცეს „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“. აქ მოათავსეს შეთქმულთა ერთ-ერთი ლიდერის (მაშინ პოლიტიკური გადასახლებაში მყოფი) სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ამათი რუსული თარგმანები). მოათავსეს „გრადი გორსკის“ ხელმოწერით... ესეც შეთქმულთადმი თანაგრძნობაა და აგრეთვე მოსწავლეთაგან ყოფილი მასწავლებლის პატივისცემა.

რამდენადაც პატივს სცემენ გიმნაზიელები შეთქმულების მონაწილეებს, იმდენად ზიზლით არიან გამსჭვალული შეთქმულების გამცემისადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილმა რომ გულმტკივნეულად განიცადა შეთქმულების ჩავარდნა, ეს გარკვეულად ჩანს ლექსიდან „ძია გ...სთან“, რომელიც დაწერილია 1836 წ. შეთქმულება ხომ მუხანათურად გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ძმამ. ბარათაშვილი ზიზლითაა გამსჯვალული გამცემისადმი, რომელმაც ჩაშალა „მამულის გამოხსნის“ საქმე. ლექსში „ძია გ...სთან“ პოეტი მიმართავს ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, რომელიც მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში და რომელიც იმხანად გადასახლებაში იმყოფებოდა. ქართველებს სამშობლო „წაართვა“ იასეს ავმა ენამ, გესლიანმა ენამო:

**ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი  
წაგართო ავის ენისა გესლმან!**

*(იასე არაა ნახსენები, მაგრამ სწორედ იგი იგულისხმება)*

ე.ი. გიმნაზიელები (მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი) ამჟღავნებენ დიდ პოლიტიკურ გამბედაობა-მამაცობას. ამჟღავნებენ, ერთი მხრივ, სიყვარულსა და თანაგრძნობას შეთქმულთა („მამულის გამოხსნის“

მონადინეთა) მიმართ, მეორე მხრივ, ამჟღავნებენ ზიზღს, სიძულვილს შეთქმულების გამცემისადმი (ვინც ჩაშალა „მამულის გამოხსნის“ საქმე).

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი. ნიკოლოზ ბარათაშვილს დაუწერია სატირა თვით ნიკოლოზ ფალავანდიშვილზე. გიმნაზიელებმა ეს სატირა გაუგზავნეს ადრესატს. [მოსწავლეებს გიმნაზიაში გაუმართავთ კონცერტი, რომელშიც ბარათაშვილსაც მიუღია მონაწილეობა. ამ კონცერტს ზოგიერთი დაცინვით შეხვედრია. ბარათაშვილს ამ პირების საპასუხოდ დაუწერია სატირა, რომელიც თურმე ასე იწყებოდა: „კონცერტებში დაგვპატიჟეს, დაგვათვლევინეს ფულები“]. სატირა კონვერტით ჯერ ქუჩაში გადააგდეს, მაგრამ რაკი არავითარი ეფექტი არ გამოიწვია, ხელახლა გადაწერეს, ახალ კონვერტში ჩადეს და წაანერეს, მირთმეოდა ნიკოლოზ ფალავანდიშვილს (კონვერტზე გარეთ დაანერა პეტრე ბაგრატიონმა). კონვერტი ჩუმად ჩანთაში ჩაუდეს ფოსტალიონს. ჩვენთვის უცნობია, თუ რა ეწერა ამ ლექსში, მაგრამ აშკარაა, რომ იგი მთავრობის სანინააღმდეგო ადგილებსაც შეიცავდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ლექსმა ერთი აურზაური გამოიწვია. გამოძიებაში ჩაერია ჟანდარმერია, პროკურორი და თვით კავკასიის ჯარების სარდალი და მთავარმართველი.

(რადგან ლექსი შეთქმულების გამცემის ძმას გაეგზავნა, საფიქრებელია, რომ მასში საუბარი ყოფილიყო 1832 წ. შეთქმულების მუხანათურ გამცემლობაზე). საგანგებო კვლევის შემდეგ მიაგნეს დამნაშავეთა კვალს (ფოსტას აცნობეს, თუ რანაირი ბეჭდით იყო დაბეჭდილი პაკეტი. კვალს მაშინ მიაგნეს, როცა გიმნაზიიდან მიიღეს ასეთი ბეჭდით დაბეჭდილი ერთი წერილი. წერილის მომტანი, გიმნაზიის მსახური დაიჭირეს და მთავრობას წარუდგინეს).

რაკი „დამნაშავენი“ უწლოვანი ბავშვები აღმოჩნდნენ, ხელისუფლებამ საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემაზედმეტად მიიჩნია. „დამნაშავეებს“ 25 როზგით დასჯა აკმარეს. მთავარმართებლის განკარგულებით, განაჩენი უნდა აღესრულებინათ მშობლებს (უფრო სწორად, მშობლების თანდასწრებით მომხდარიყო).

იონა მეუნარგია მოგვითხრობს: „მთავარმართებლის ბრძანებით დამნაშავენი ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყენეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ 14-15 წლის ვოლტერს თავისი სატირისათვის, იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა“.

„დასცხეთ მაგ მამაძალღსო“, — იძახდა თურმე მამა. მელიტონი ხომ შეთქმულებაში არ მონაწილეობდა, განდობილიც არ იყო და შვილს არ აპატია შეთქმულებისადმი თანაგრძნობა და მთავრობის წინააღმდეგ „ამბოხი“. მამა და შვილი სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციებზე არიან და ამ ნიადაგზე მათ შორის, ალბათ, უკმაყოფილებაც იქნებოდა. რაც შეეხება პეტრეს, იგი სასჯელს ააცდინეს და პეტერბურგში გააპარეს, სადაც 1833 წლიდან სამხედრო სასწავლებელშია (ეს ეპიზოდი უამბო პეტრემ აკაკის...)

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფცია გამოხატულია შემდეგ ნაწარმოებებში: „ბედი ქართლისა“ (1839 წ.), „სუმბული და მწირი“ (1842 წ.), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842), „ომი საქართველოს თავდ-აზნაურ გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრის თამაზის ძის ორბელიანისა“ (1844 წ.).

პოემა „ბედი ქართლისა“ დაწერილია 1839 წ. (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წ. 9).

პოემაში ასახულია მე-18 საუკუნის ისტორიული ამბები, კერძოდ, 1795 წ. კრწანისის ტრაგედია. კრწანისის ველზე უკანასკნელად გაიელვა ერეკლე მეფის ხმაღმა. ეს უკანასკნელი ომი ერეკლემ წააგო. ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი დაიკავა, ის მიწასთან გაასწორა, ხოლო ერეკლემ მთიულეთს შეაფარა თავი.

ვი. სამი წლის შემდეგ, 1798 წ. ერეკლეც გარდაიცვალა, 1799 წ. საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ქვეშევრდომითი ტრაქტატი და მალე ამის შემდეგ საქართველო მთლიანად დაიპყრო რუსეთმა.

პოემა შედგება შესავლისა და ორი კარისაგან. პოემაში დასმულია პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მწვავედ იდგა საქართველოში. ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო, რაც მწერლობაშიც აისახა.

ეს საკითხი მე-18 საუკუნემდეც იდგა საქართველოში. იყვნენ რუსული ორიენტაციის მეფეები ლევანი (კახთა მეფე მე-16 ს.) მისი ძე ალექსანდრე II, ვახტანგ VI, მისი სიძე თეიმურაზ II, ამის შვილი ერეკლე II, გიორგი XII.

მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგეებიც... სპარსული ორიენტაციის მეფეები - მაჰმადიანი როსტომ, იასე, ვახტანგ V (შაჰნავაზი) და სხვ.

ლიტერატურაში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ჯერ კიდევ „დავითიანშია“:

„ხელმწიფემ (პეტრე I) ვახტანგს მოსწერა: „მოდი, მიგიჩნევ მამადო“, ერთად ვიომოთ მტრების წინააღმდეგო. ვახტანგმა დარბაზი მოიწვია. დარბაზი წინ აღუდგა: „ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდებისო“. ვახტანგმა მაინც პეტრესთან კავშირი გადაწყვიტა, ამის გამო მას კიცხავენ:

**ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება!**

**მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება...**

**ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?  
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!**

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი დგას გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი...“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაში“.

პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი. 30-იანი წლების კამათია გადატანილი ერეკლეს დროს. ორივეს მოაქვს თავ-თავისი არგუმენტები, რომლის არგუმენტებია უფრო ძლიერი და ვისკენაა პოეტის სიმპათიები? ამ კითხვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (ასე საკამათო არ გამხდარა ამ თემაზე დაწერილი არცერთი სხვა ნაწარმოები). თუმცა აშკარაა, რომ ბარათაშვილი სოლომონ ლეონიძის პოზიციაზეა, მაგრამ ერეკლე მეფის არგუმენტებიც შეუვალია. კაცმა რომ თქვას, ფაქტის, რეალობის აღიარება უფროა. მყარი და უტყუარია.

შესავალი და I კარი მთლიანად ერეკლეს წარმოჩენის ემსახურება. აქ ერეკლეა მთავარი მოქმედი პირი და დიდი სიყვარულითა და სმპათიითა დახატული (არ დაგავინწყდეთ, რომ ქართველი რომანტიკოსთათვის ერეკლეს კულტია დამახასიათებელი). ერეკლე ნაჩვენებია მრავალ ჭრილში: როგორც მეომარი, ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში, როგორც პოლიტიკოსი... ყველგან დადებითი, იდეალური პერსონაჟია.

პოემა იხსნება პოეტის მიმართვით კახელებისადმი:

**ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,  
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად.  
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,  
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად.**

შესავალშივე ამზადებს მკითხველს ერეკლეს „სასარგებლოდ“. პროლოგი ხომ მხატვრული ნაწარმოებისთვის იგივეა, რაც უვერტიურა ოპერისთვის. პროლოგში კი მეფე დახასიათებულია როგორც გონიერი პოლიტიკოსი და უებრო მეომარი, ე. ი. ყოველმხრივ უნაკლო, უზადო პიროვნება. ესაა პატარა კახის (როგორც მას ხალხმა შეარქვა სიყვარულით) კულტი, რაც საერთოდ, ძლიერია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. პროლოგში ერეკლეზე ნათქვამი შემდეგ ცხადყოფილია პოემაში. ეროვნული გმირი რომ იყო, ეს პოეტმა პირველ კარში გვიჩვენა, ხოლო შორსმჭვრეტელი მეფე-პოლიტიკოსი II კარში გამოჩნდა მისი სალი მსჯელობით. ე. ი. ის, რაც შესავალში ერეკ-

ლეს შესახებ დეკლარაციულად არის ნათქვამი (კარგი მეომარი და კარგი მეფე-პოლიტიკოსი იყო), შემდეგ მხატვრულადაა ცხადყოფილი მთელ პოემაში. ასეთ ადამიანს, როგორც პროლოგშია წარმოდგენილი, უნდა ვერწმუნოთ, დაეუჯეროთ.

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“, — ასეთი შეფასება დაიმსახურეს იმიტომ, რომ მათ ერეკლე უყვართ მხურვალე გულით. აქ ჩანს ხალხისა და თვითონ პოეტის დიდი სიყვარული ერეკლესადმი (თქვენ რომ გიყვართ ერეკლე, მეც ისე მიყვარსო). ხალხი არასოდეს არ ცდება, დაუმსახურებლად არავის შეიყვარებს (იხ. ხალხური ლექსები ერეკლეზე, სადაც ერეკლე მითიზებულია. მაგ.: „...ჩვენი ბატონი ერეკლე...“). ე. ი. ერეკლე ხალხის საყვარელი მეფე და ეროვნული გმირი იყო ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში. შექმნილია ერეკლეს ეპოსი. ხალხის საყვარელი მეფე და გმირია გარდაცვალების შემდეგაც (პოემა ხომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებშია დაწერილი).

! კარი იწყება ერეკლეს გულმხურვალე ლოცვითა და ღვთისადმი ვედრებით ბრძოლის წინ:

**მწყემსო კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს**

**შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!**

**გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს**

**საქართველოსა ჭირნი მოადგეს!**

**მრავალ არიან, უფალო, მტერნი და წირიტაცონ შენნი**

**ცხოვარნი**

**გვესწრაფე ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო და აღადგინე**

**დღეს საქართველო!**

ერეკლე მეფის ჯარი კრწანისის მინდვრადაა დაბანაკებული. მეფე გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავს ლაშქარს:

**ხედავთ, ვითარის კადნიერებით**

**შეკრებების ჩვენზედ უსჯულოება!**

**საქართველოს დღეს გარდაუნყდება**

**თავისი ბედი და უბედობა!**

გამამხნეველები სიტყვით მიმართა დავით აღმაშენებელმაც  
ლაშქარს დიდგორის ომის წინ. ასე იქცეოდა თამარიც, სხვა მე-  
ფეებიც. საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდები, როცა  
ქვეყნის ბედ-იღბალი ბენჯზე ეკიდა, ყოფნა-არყოფნის საკითხი  
იდგა. უამრავი ომიდან (საქართველომ რომ გადაიხადა მე-12  
საუკუნიდან მე-18 საუკუნის მიწურულამდე) ყველა არ ყოფი-  
ლა ერთნაირი მნიშვნელობის. მათგან 3-ს ჰქონდა გადამწყვეტი  
მნიშვნელობა ქვეყნის მომავლისთვის. ესენია: დიდგორის (1121  
წ. 12 აგვისტო), მარტყოფის (1625 წ. 25 აპრ.), და კრწანისის  
(1795 წ. 9-11 სექტ.). ამ ომებში წყდებოდა საქართველოს „ბედი  
და უბედობა“ (დამოუკიდებელ საქართველოს მიერ გადახდი-  
ლი უკანასკნელი ომია 1921 წ. თებერვალ-მარტში წითელი რუ-  
სეთის წინააღმდეგ). ეს ერეკლემ კარგად იცის (რომ ეს ასეთი  
დიდი მნიშვნელობის ომია). ამიტომაც მიმართავს ჯარს ასე:

**დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა!  
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,  
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:  
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,  
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!**

აქ ნათლად ჩანს, თუ როგორ ახლოს არის ერეკლე ხალხთან.  
როგორ უყვარს მას მეომრები და თავს მათთან ათანაბრებს,  
მათთან ერთად აპირებს ბრძოლას თავდაუზოგავად, ისე რო-  
გორც ეს ნებისმიერ მათგანს ევალება. გამხნევებული ჯარი  
ერთგულებასა და თავდადებას ეფიცება მეფეს:

**შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,  
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!**

(ე. ი. ასეთი ხმა წინათაც არაერთხელ სმენიათ ერეკლესაგან).

**ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,  
ოლონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!**



**მტერი, რა მტერი, ოდეს ქართველი  
ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს;  
მისთვის სიცოცხლეს ვინლა დაზოგავს!**

საქართველოს ისტორიამ მართლაც იცის შემთხვევები, როცა მეომარს მეფისთვის თავი გაუწირავს (მაგ., ბოსტაშვილი, ზედგინიძე და სხვა). აქ კარგად ჩანს ჯარის, ხალხის სიყვარული მეფისადმი, რაც იგივე ქვეყნის სიყვარული და ერთგულება იყო (შდრ. შოთა: „ვინცა მოკვდეს მეფისათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან“). ქართველებისათვის ერეკლეა ნუგეში, მისთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავენ. ეს დიდი სიყვარული ქვეშევრდომთაგან მართლაც დაიმსახურა ერეკლემ. ბარათაშვილი აქ ამჟღავნებს თავის დიდ სიყვარულსაც ერეკლესი (რაც შესავალშიც გააცხადა). ე. ი. პოეტი შესავალსა და პირველ კარში ის გვიჩვენა, რომ ერეკლე ხალხს უყვარს უზომოდ. ფაქტობრივად, ხალხი დაიმონმა, გვერდით ამოიყენა (მარტო მე კი არ მიყვარს, ხალხსაცო).

როცა მეფესა და ქვეშევრდომთა შორის ასეთი სიყვარული-შეთანხმება არსებობს, მოსალოდნელია მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა, და მართლაც, იწყება სისხლისმღვრელი ბრძოლა:

**შექმნათ მნარე, ძლიერი ომი,  
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,  
ეკვეთენ სპარსთა ივერთ მხედარნი  
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!**

თუმცა ბატალური სცენების აღწერას პოეტი დიდ ადგილს არ უთმობს, მაგრამ წარმოდგენა ომის მასშტაბურობაზე უთუოდ გვექმნება. ხოლო ომის პერიპეტიების, ბატალური სცენების დეტალური, სკრუპულოზური აღწერა არც წარმოადგენს ბარათაშვილის მიზანს.

ბინდისას ომი შეწყდა, გაიმარჯვა ერეკლეს ლაშქარმა, თუმცა „ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის“. მის ლაშქარს მრავალი ვაჟ-

კაცი გამოაკლდა („მრავალ ყმანვილ კაცთ, ნუგეშთა ქართლის დასდევს აქ თავი მამულისათვის“). მეფემ უმჯობესად სცნო ქალაქში შესვლა და იქ გამაგრება (თორემ შეიძლება, ხვალ სიმხნით ვერაფერი გავანყოთ ამ გაპლილ მინდვრებზეო, „და იქნება რომ ციხეში დავხვდეთ, ჩვენი ძალისა ფიქრი მიეცითო“). ალა-მაჰმად-ხანი სამი დღე და ღამე უტრიალებდა ციხეს და ის იყო მისი ალების იმედგადაწყვეტილი უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ერეკლეს ერთ-ერთმა ქართველმა უღალატა და მტერი ციხეში შეუშვა. ასე აქვს ახსნილი ბარათაშვილს ერეკლეს დამარცხება. თუ არა ამ მუხანათური გზით, ისე ქართველთა ლაშქარი და ერეკლე მეფე დაუმარცხებელი იყოო. პოეტი მეფის გამცემს და მოღალატეს ზიზლით მოიხსენიებს, უნოდებს მას „იუდას“.

„მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა...“

მაშასადამე, პოეტს სურს დაგვარწმუნოს, რომ ქართველთა დამარცხებაში ერეკლე არაფერ შუაში იყო. ეს მოხდა მხოლოდ ღალატის შედეგად (თვითონ ერეკლე კი კარგი, ფხიზელი პოლიტიკოსი გახლდათ და კარგი მეომარიც). ფხიზელი პოლიტიკოსობის დასტურია მისი სიტყვები: „საქართველოს დღეს გადაუნყდება თავის ბედი და უბედობა“. ბედი ადამიანებმა უნდა გადანყვიტონ თავიანთი მცდელობით, ბრძოლით, მოქმედებით, ბედს კი არ უნდა ველოდოთ, თვითონ უნდა „გამოვჭედოთ“. ერეკლემ ყველაფერი იღონა, რათა ომი მოეგო, მაგრამ ძლიერმა პიროვნებამაც ვერ შემოატრიალა ქართლის ბედი (განწირული ბედი).

ბარათაშვილმა უკვე პირველ კარშივე შეაყვარა მკითხველს ერეკლე. განაწყობს მისადმი სიმპათიით. უკვე ნიადაგი მომზადებულია მის სასარგებლოდ. მკითხველი განაწყობს იმისთვის, რომ დაუფხეროს და ენდოს ერეკლეს.

[ნუ დავივიწყებთ, რომ პოემა მე-19 ს. 30-იან წლებშია დაწერილი, მაშინ, როცა უკვე თვალნათლივ ჩანს რუსეთთან შეერთების შედეგები. ხომ არ არის ეს რომანტიკოსი პოეტის ცდა ერეკლეს რეაბილიტაციისა? იმდროინდელი ქართველი საზოგადოება საყვედურს ხომ არ გამოთქვამდა ერეკლეს მიმართ?

უკვე ხომ არ იყო რაიმე მსგავსი განწყობა, რაც შემდეგ ასე გამოითქვა: „დაწყველა იმას, ვინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩაღებს გაულო კარი თერგდალეულ დარიალისა“?].

II თავი იწყება არაგვის ხეობის უმშვენიერესი სურათის აღწერით. ამ ორ ტრაგიკულ ეპიზოდს შორის, როცა ომში მწარედ დავმარცხდით და უნდა დაიწყოს მსჯელობა საქართველოს მომავალი ბედის შესახებ, რომელიც ასევე ტრაგიკული გადაწყვეტილებით დამთავრდება, ბუნების ამ ლალი სურათის აღწერა თითქოს სრულიად შეუფერებელია, უფრო სწორად, უადგილოა. დამაჯერებლად, უზუსტესად ხსნის, განმარტავს ამ „უცნაურობას“ როსტომ ჩხეიძე. იგი ქართველის უდარდელ, ამაყ ბუნებას ჩვენს უძველეს ფესვებს უკავშირებს, ქალდეამდე მიდის და ხასიათში ჩაკირულ თვისებად მიიჩნევს. ბევრ ქართველს (მწერალს, მეცნიერს...) უკვლევია ჩვენი ეროვნული ხასიათი. ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, სხვებიც მიიჩნევენ, რომ ჩვენს ხასიათში ჩაკირულია ერთი ძნელად ასახსნელი თვისება — ვიჩემებთ იმას, რისი შემძლენიც არა ვართ, ვლალობთ მაშინაც, როცა ამის საფუძველი არა გვაქვს, ერთი სიტყვით, ვიქცევით ისე, თითქოს დიდი, ძლიერი, სულაც მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოს შვილები ვიყოთ. ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ქართველის სულს ეზმანება ის, რაც ერთხელ უკვე იყო, ანუ ისტორიული სამშობლო, ქალდეა, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაშლილი და რაც მთავარია, გვახსოვს, რომ ჩვენს უძველეს სამშობლოში დაედო სათავე მსოფლიო ცივილიზაციას. ბარათაშვილის სილაღეც, ორ ტრაგიკულ ეპიზოდს შორის რომ ჩართულა, ისევ და ისევ იმ დროის ხსოვნითაა გაპირობებული, „ჩვენი დასაბამი ყოველმხრივ მსოფლიოს სიგრძე-სიგანისა“ რომ იყო (წაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრება“).

პოემის II კარში დამარცხებულ ერეკლეს თბილისიდან ლტოლვილს, მთიულეთში ვხედავთ. მას თან ახლავს მსაჯული სოლომონ ლეონიძე, რომელთანაც საუბრობს მეფე. მაშ ეს უმნიშვნელოვანესი საუბარი II კარშია, ხოლო I კარში კრწანისის

ომის სურათებია აღწერილი. რატომ? რაში სჭირდება პოეტს ამ ომის ჩვენება? ომში დამარცხებამ გააშიშვლა მოვლენები, გამოავლინა, რომ საქართველოს უკვე აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა და დროა, ეძებოს მფარველი. | კარი მიზნად ისახავს აი, ამის ჩვენებას. მეფემ ადრეც იცოდა, რომ საქართველოს მეტისმეტად უჭირდა, მაგრამ ახლა, კრწანისში დამარცხებამ კიდევ უფრო დაარწმუნა. კრწანისის წაგებამ გამოიწვია შემდგომი მოვლენები: 1799 წ. ქვეშევრდომობითი ტრაქტატი და 1801 წ. მანიფესტი. ასე ჰქონდათ ეს გააზრებული სხვა რომანტიკოსებსაც: „ნახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი“ (გრ. ორბელიანი). კრწანისის ომმა გვიჩვენა, რომ ქვეყანა უფსკრულის პირას დგას, იღუპება (აი, ამისთვის წაუმძღვარა პოეტმა საუბარს | კარი, თორემ ისე რა კავშირია ამ ომსა და საუბარს შორის?) და ერეკლემ იძულებული იყო, მრავალი ბოროტებიდან, მისი აზრით, ყველაზე ნაკლები ბოროტება აერჩია.

დავუბრუნდეთ საუბარს. ერეკლემ სრულად გააანალიზა მომხდარი ამბავი. ერეკლე გადაუშლის მსაჯულს ქართლის ვითარებას, მის პოლიტიკურ მდგომარეობას. ერეკლეს მოაქვს 6 არგუმენტი, თავისი მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად. აქედან სამი ეხება საქართველოს საგარეო ვითარებას, სამი - საშინაოს. ესენია:

საგარეო:

1. „ამიერიდან გაქეზებული ალა-მაჰმად-ხან არ მოგვასვენებს“.

2. „ოსმალთა მხოლოდ ყამს შემოჰყურებს“.

3. „ეს ხმა ლეკთაც აგვიყაყანებს“.

საშინაო:

1. „შენი ირაკლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რომ გინახივარ“.

2. „გარეშე მტრები მაშინ მომანყდნენ“, როცა შინ ერთმანეთს ბძარვენ

(პოემაში ნახსენები არაა ერეკლეს არც ერთი ძე და შთამომავალი. ასეა ეს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოშიც“. ნახსენებია:

„თამაზ ენისელთ მოურავის ძე (დიმ. ჯორჯაძის შვილი, ოლონდ სხვა დიმ. ჯორჯაძეა)

და იოანე, კახთ აბაშიძე, (დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში) განუმტკიცებდნენ მკლავთა ქართველთა“).

3. „აბა, რომელ შვილს ვხედავ ღირსეულს, რომ ექნას კვერთხად მამულს დარღვეულს“.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად რთულია. ერეკლეს ამ სიტყვებში მართლაც დამაჯერებლადაა გადმოცემული საქართველოს პოლიტიკური ვითარება (როგორც საშინაო, ისე საგარეო) მე-18 საუკუნის მიწურულში. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ ერეკლე იყო ფიზიკური პოლიტიკოსი. ეს სიტყვები დიდი ხნის (თვეების და წლების) ნაფიქრის შედეგია (ერეკლეს ლამეები უთევია ამაზე ფიქრში. ამიტომაცაა მისი მსჯელობა ასე ლოგიკური და დამაჯერებელი. ერეკლე ადრეც მისულა ამ დასკვნამდე, რომ საქართველოს მეტისმეტად უჭირდა, მაგრამ ახლა, კრწანისში დამარცხებამ კიდევ უფრო დაარწმუნა (კრწანისის ტრაგედიამ საბოლოოდ „გააშიშვლა“ ყველაფერი). ერეკლე ზედმინვენით კარგად ერკვევა იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკაში. აქვს საღი, ანალიტიკური გონება და უნარი შესწევს, ანალიზი გაუკეთოს რთულ პოლიტიკურ მოვლენებს. ლოგიკურად დაუკავშიროს ერთი მოვლენა მეორეს, განჭვრიტოს პერსპექტივაში მოსალოდნელიც... ე. ი. ნარსულს, ანმყოსა და მომავალს შორის ეძებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს...და რწმუნდება, რომ ამ ამით რუსეთმა ფაქტობრივად დაიპყრო საქართველო.

ერეკლე რჩევას ეკითხება სოლომონს და თანაც საკუთარ მოსაზრებას გააცნობს:

**აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?**

**კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო...**

ერეკლემ იცის, რომ ესაა ძალზე სერიოზული საკითხი და მას უნდა ღრმად ფიქრი. სხვას რომ ეუბნება „კარგად იფიქრეო“, იგულისხმება, რომ თვითონ კარგად აქვს ნაფიქრი. და აი, რა გადაუწყვეტია:

**ან განთქმულია რუსთა სახელი,  
ხელმწიფე უვის ბრძენი და ქველი,  
დიდი ხანია, გვაქვს ჩვენ ერთობა,  
მტკიცე კავშირი, - სარწმუნოება,  
მას მინდა მივსცე მემკვიდრეობა  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა.**

მეფის გადაწყვეტილება სოლომონმა ერთბაშად შეიცხადა. იგი უზომოდ გაკვირვებულია ამით, არ ეთანხმება მას და საკუთარ შეხედულებას გადმოსცემს. მისი აზრით:

1) ჯერ ისეთი რა გვჭირს, რომ შეველიოთ თავისუფლებას.

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?“

(ე. ი. მიაჩნია, რომ მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაჩქარევია. ჯერ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა).

2) რა გარანტია არსებობს, რომ რუსების ხელში ქართველები ბედნიერი იქნებიან? როგორ შეითვისებს რუსი ქართველს?

„იცი მეფეო, რომე ივერნი  
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?“

3) მართალია, სარწმუნოება (სჯული) ერთი გვაქვს, მაგრამ სჯულის ერთობა ცოტას ნიშნავს, მაშინ როცა ამ ერთა თვისებები (ხასიათები, ადათები) სხვადასხვაა.

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს,  
ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

დრომ დაადასტურა, რომ სოლომონ ლეონიძის აზრი, შეხედულება მართალი, უტყუარი იყო. სოლომონის ამ მსჯელობაშიც ხაზგასმულია, რომ ერეკლე არის ქართველთა საყვარელი მეფე. ქართველები ერეკლეს მოიხედავნი, მსასოებელნი არიან და სხვა.

**ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,  
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!**

ამრიგად, პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი შეხედულება (როგორც გრიგოლ ორბელიანის დღიურში). ჭეშმარიტება ხომ ყოველთვის საპირისპირო აზრთა ბრძოლაში, კამათში იბადება. ერეკლე მსჯელობს გონებით, ხოლო სოლომონი - გძნობით. ერეკლე მეფეა და როგორც ასეთი — განაფული აღმოსავლეთის პოლიტიკაში. იგი თავის მსჯელობაში ამოდის შექმნილი რეალური სიტუაციიდან. ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის გადარჩენისა ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირებაა. სოლომონ მსაჯული მთლიანად გრძნობით მსჯელობს, როცა ამბობს, ყველაფერს თავისუფლება და დამოუკიდებლობა სჯობს და რუსეთთან შეერთება ბოროტება არისო. მეფემაც კარგად იცის, რომ თავისუფლება უმაღლესი იდეალია, მაგრამ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა, —  
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?  
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის  
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?  
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის.**

კრწანისის ომი მწარე გაკვეთილი იყო ქართველთათვის. ამ ომის მაგალითით აპირებს სოლომონის „ჩაჩუმებას“. ეს იყო ცოცხალი ფაქტი, კონკრეტული მაგალითი. ახლა მხოლოდ ქალაქს დასჯერდა მტერი, მაგრამ მომავალში უარესს უნდა ველოდოთ. ვინაა პასუხის გამცემი? შინ უარესი მდგომარეობაა...

ე. ი. ფაქტობრივად, ამ ომმა გადანყვიტა საქართველოს ბედი (ომი რომ გამარჯვებით დამთავრებულიყო, ეს დიალოგი არ შედგებოდა, ე. ი. ორიენტაციის საკითხი არც დაისმებოდა).

მაშასადამე, დახატულია ტრაგიკულ ყოფაში ჩავარდნილი მეფე, რომელსაც თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მხოლოდ გვიან მიხვდა ერეკლე, რომ ეს ომი და წაგება რუსეთის მიერ მოწყობილი ხრიკი იყო.

სხვათა შორის, რუსეთმა საქართველოს დაპყრობა ასეთივე ხერხით კრწანისის ომამდე 35 წლით ადრე სცადა, 1770 წლის აპრილში, ასპინძაში. ალექსანდრე ორბელიანი მოთხრობაში „ასპინძის ომი“ დოკუმენტურად აღწერს ბრძოლის პერიპეტივებს და ააშკარავებს რუსეთის ვერგულ პოლიტიკას.

ერეკლეს ამ ომში უნდა დახმარებოდა რუს მეომართა რაზმი, რომელსაც განერალი ტოტლებენი მეთაურობდა. ტოტლებენმა ზედ ომის წინა დღეს უღალატა ერეკლესა და საქართველოს და თავისი მეომრებით უკან გაბრუნდა. მიუხედავად ამ მოულოდნელი ღალატისა, ერეკლეს პიროვნული სიმამაცისა და სტრატეგიული ნიჭის წყალობით ქართველებმა ასპინძაში გაიმარჯვეს, მაგრამ 35 წლის შემდეგ, 1795 წელს კრწანისში მი აღწიეს რუსებმა სანადელს.

ბარათაშვილის პოემაში კი, მიუხედავად ერეკლესაგან დაუყინებით მოთხოვნისა — სოლომონს მიეცა უკეთესი რჩევა — სოლომონმა ვერ შეძლო, რუსეთთან შეერთების სანაცვლოდ შეეთავაზებინა რომელიმე სხვა პრაქტიკული გამოსავალი. ამის ნაცვლად იგი კვლავ დაუყინებით გამოთქვამს თავის გაოცებასა და უკმაყოფილებას ერეკლეს განზრახვის გამო:

**განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!**

**ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს არად მიაჩნით**

**უბედურება,**

**თუ აქვთ თვისთ ჭერქვეშ თავისუფლება!**

რუსეთთან კავშირს ერეკლე მოითხოვს მშვიდობისათვის, ხოლო სოლომონი ამ კავშირს უარყოფს თავისუფლებისათვის. ერეკლე პოემაში არც ერთხელ არ ახსენებს თავისუფლებას, ხოლო სოლომონი — მშვიდობას.

საქართველო მაშინ ალტერნატივის წინაშე იდგა — მშვიდობა ან თავისუფლება. ერეკლემ აირჩია მშვიდობა შემდეგში მტკიცე და მყარი თავისუფლების მოსაპოვებლად. თანაც უტყუარი აღლოთი გრძნობდა, რომ მომავალში საქართველოს ბედი უსათუოდ ასე წარიმართებოდა:



აი მივიღებ მე შენთ რჩევათა  
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;  
ნუ დაივინყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,  
რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება.

(თუ ხელნაწერებში არის „დაიპყრობს“, მაშინ გამოდის, რომ ერეკლემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა).

პოემაში დასმული პრობლემა, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ანალოგიურია გრიგოლ ორბელიანის “მგზავრობა ჩემის...”, იგივე პრობლემაა დასმული ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებში”, ალექსანდრე ყაზბეგის “ელგუჯაში”.

მეფისა და სოლომონის ეს დიალოგი წარმოებდა არაგვის პირას, მთიულეთის ხეობაში. დიალოგი ამით მთავრდება, მარტოდ დარჩენილი სოლომონი კი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ, „მაგრამ ვინ იცის, იგი იქნება უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირვება, ზოგჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიხვდების”.

ამის შემდეგ მეფე და სოლომონი თბილისის დასახედად გაემართებიან („ახლა კი დროა, ჩვენს გაოხრებულ ქალაქს ჩავხედოთ“), მაგრამ სხვადასხვა გზით. მეფე კახეთის, ხოლო სოლომონი — ქსნის ხეობაში გავლით [მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ. და რა გულმდულარედ დაიტირა სოლომონმა ერეკლე („მოთქმითი ტირილი საქართველოს ღერკულეს მეფისა“)]. ამით მან ძველი საქართველო დაიტირა].

ქსნის ხეობაში ეგულებოდა სოლომონს თავისი სახლობა. როგორც კი სახლს მიუახლოვდა, მას წინ მოეგება თავისი ცოლი სოფიო. სოფიომ უპირველეს ყოვლისა ირაკლის ამბავი ჰკითხა. ეს დეტალი იმაზე მიუთითებს, რომ სოფიო მალაღგონიერი და პატრიოტი ქალია. სოლომონმაც უამბო ერეკლეს ამბავი და მისი გადაწყვეტილება, რომ საქართველო რუსეთს შეუერთოს. ახლა სოლომონსა და სოფიოს შორის იმართება დიალოგი (როგორც ადრე სოლომონსა და ერეკლეს შორის). სა-

უბრის თემა ისევ საქართველო და მისი მომავალია. სოლომონს აინტერესებს მეუღლის აზრი და განგებ იკავებს საწინააღმდეგო პოზიციას. იგი ბრწყინვალე ფერებში ხატავს რუსეთთან შეერთების პერსპექტივას: მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს, დიდკაცის ცოლებს, საცხოვრებლად პეტრეს ქალაქში გადაასახლებენ. ეს „ხერხი“ შემდეგ გამოიყენა ილიამ (ლელთ ღუნიასთან საუბარში). ერთი სიტყვით, სოლომონმა მკაცრი და ვერაგული გამოცდა მოუწყო ცოლს. მას ეგონა, რომ სოფიოს ყოველივე ეს გაუხარდებოდა, მის გულს შეცვლილს პოვებდა, მაგრამ ამოდ. სოფიომ თავისი პასუხით დაიმსახურა მეუღლისა და მკითხველის სიყვარული და სიმპათია. აი, სოფიოს პასუხი:

**უნინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე,  
სადაცა ვერ ვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული?  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?**

ჭეშმარიტ მამულიშვილს სამშობლოდან შორს ყოფნისას კიდევ უფრო უძლიერდება პატრიოტული გრძნობა. ჭეშმარიტი მამულიშვილი სამშობლოს გარეთ (მისგან შორს ყოფნისას) ხშირად ნოსტალგიით ხდება ავად.

**თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა  
უცხო თემსა და მინებსა,  
შარბათიც ჰქონდეს სასმელად,  
ნაღველად აღმოინებსა.**  
(არჩილი)

„ქართული სული ბედნიერებას სიმარტოვეში ვერ პოვებს. სიმარტოვეს რამდენიმე ნაირსახეობა აქვს. ყველაზე აუტანე-

ლი მათ შორის ქართული ბუნებისათვის „უცხოობაა“, როგორც ვინრო გაგებით (მშობლიური გარემოსაგან მოწყვეტა), ასევე ფართო მნიშვნელობითაც (საკუთარ ბუნებაზე უარის თქმა, სხვაში გათქვეფა, „გაუცხოება“, ნიველირება). „უნინამც დღე კი დამელევა მე, უცხოობაში რაა სიამე?!“. ქართული სული უცხოობაში ვერ ძლებს. უცხოობა — სიმარტოვე, მშობლიური გარემოსაგან („ნათესავთა“) მოწყვეტა ჩვენს მწერლობაში შემზარავ უბედურებად წარმოისახა“ (გურამ ასათიანი, „სათავეებთან“).

სოფიოს სახით ჩვენ წინაშე დგას პატრიოტი ქართველი ქალი, სოფიოსთვის უმაღლესი იდეალია თავისუფლება, თავისი სამშობლო. მას არ უნდა არავითარი დიდება და პატივი, ყველაფერს ურჩევნია თავის სამშობლოში თავისუფლება. პოეტი შეტრფის სოფიოს მსგავს ქართველ დედებს. იგი ლირიკულ წიაღსვლაში ასე მიმართავს პატრიოტი დედების აჩრდილთ:

**ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახოვარნო!  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?  
ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი  
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?**

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მწვავედ გააკიცხა ზოგიერთი გადაგვარებული თანამემამულე (ქალები): „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ. ჯანი გავარდეს ან შვილსაც, მამულს, ოლონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს...“ ესაა სატირა, ლირიკის ერთ-ერთი ჟანრი, რაც „გადაგვარების მოსურნეთა“ (აკაკი) სამხილებლად ფართოდ გამოიყენეს შემდეგ ჩვენმა სამოციანელებმა.

სოფიოს მსგავსნი ადრე ბევრნი იყვნენ. ახლა ამისთანების რიცხვი შემცირდა. ახლანდელ ქალებს: „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ...“ არადა დედაკაცის გადარჯულება უფრო საშიში და საზიანოა, ვიდრე

მამაკაცისა. დედაკაცის გადარჯულება გარდაუვლად მოასწავებს შვილებს, საბოლოოდ კი მთელი ერის გადაჯიშებას.

ბარათაშვილამდე ქართულ ლიტერატურაში, ვგონებ, არავის გამოუხატავს ასეთი ნაზი სიყვარული ქართველი დედისადმი. მერე ილია — „ქართველის დედა“, ვაჟა — სანათა („ბახტრიონი“) და სხვა.

ლადო ასათიანი:

**ძველად, თურმე როცა მტრების უთვალავი ჯარები  
მოდოდნენ რომ გაეღოთ საქართველოს კარები  
მამაკაცებს გვერდით ედგათ ვით ფოლადის ფარები,  
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ  
საქართველოს ქალები...**

დასასრულ, რესპუბლიკური იდეების შესახებ “ბედი ქართლისაში”. ძველ საქართველოშიც იყო სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი, მაგრამ იყო მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. მეფე მაინც იმას აკეთებდა, რაც მას სურდა.

მაგ., დიმიტრი თავდადებულს დარბაზში მარტო ერთმა დაუჭირა მხარი — კათალიკოსმა. ყველა დანარჩენი წინააღმდეგია. მეფემ მაინც თავისი გაიტანა (წავიდა არღუნ ყაენთან ურდოში).

ან „დავითიანის“ მიხედვით, კახეთის მეფემ კონსტანტინემ დარბაზი (ანუ სახელმწიფო საბჭო) მოიწვია და გააცნო: სპარსეთის მბრძანებელმა, რომელიც ვახტანგ VI-ის უკმაყოფილოა, ქართლი მე გადმომცა, მაგრამ შაჰის ბრძანების შესრულება გამოიწვევს ქართლისა და კახეთის მტრობას. ამიტომ სჯობს, შაჰის ბრძანება არ შევასრულო. დარბაზი არ დაეთანხმა: „ღვთის წყალობა კარს მოსულა“, რატომ უნდა დაკარგო. მეფე: ირანის შაჰს ჩვენთვის კარგი არაფერი უნდა. ქართლი მომცა „ძმათა საჩხუბრად“. ეს კი ქართლისთვის და კახეთისთვის — ორივესთვის საზიანოა... დარბაზი მაინც თავისას ამბობს. მეფე თავისას: ქართლის მეფეს „მამად მოვიკიდებ“, „მე მას ვეშვილებიო“. თქვა და აღასრულა კიდეც — ქართლის მეფეს

გაუგზავნა წერილი. ე. ი. მეფემ თუმცა დარბაზი შეყარა, მაგრამ გადაწყვეტილება ერთპიროვნული მიიღო. ესაა მონარქიული მმართველობა.

ან: ვახტანგ VI-ს პეტრე I-მა შემოუთვალა შეერთებული ძალებით ებრძოლათ სპარსეთის წინააღმდეგ. ვახტანგმა ეს დარბაზს გააცნო და დაუმატა — ეს ჩვენთვის სასარგებლოა. დარბაზი არ დაეთანხმა: რუსეთის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ეს მეზობელ სახელმწიფოებს გააღიზიანებს და რუსეთი ვერაფერს გვიშველისო. მინამ რუსნი გვიშველიან, მინამ ჩვენი გარდაგვხდებისო. მეფეს კი დაუინებით სურდა პეტრესთან შეხვედრა, მაშინ უთხრეს — ჯარს ნუ შეყრი, თან ცოტა ყმანი იახლე და წადიო. მეფემ უპასუხა, ქურდულად წასვლა არ მეკადრებაო, და მიიღო გადაწყვეტილება, ჯარით შეხვედროდა პეტრეს.

ესაა ერთპიროვნული მმართველობა, მონარქიული მმართველობა. “მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა”.

ე. ი. მეფემ მხოლოდ რჩევა უნდა მოისმინოს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მისი საქმეა. რესპუბლიკური მმართველობის დროს — პარლამენტური მონარქიისას — ხმის უმრავლესობით წყდება საკითხი (აქ მეფე შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს და „დამარცხდეს“). ამით განსხვავდება აბსოლუტური და პარლამენტური მონარქია.

რესპუბლიკური მმართველობა, ცხადია, უფრო დემოკრატიულია მონარქიულთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. ვინაიდან ერთი ადამიანი (მეფეც კი) შეიძლება შეცდეს. მაგ. დავით გურამიშვილი ფიქრობს (და არც თუ უსაფუძვლოდ), რომ ვახტანგი შეცდა.

სოლომონი:

**მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,  
სხვათ განუბოძო შენ ყმათ უფლება.**

ნიკოლოზ ბარათაშვილს რესპუბლიკური იდეები შეთვისებული ჰქონდა უთუოდ მასწავლებლისგან, სოლომონ დოდაშვი-

ლისგან, რომელმაც ეს იდეები პეტერბურგში სწავლისას შეიძინა და 32 წ-ის შეთქმულებაშიც სწორედ მათი ხორცშესხმა უნდოდა.

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, დაწერილია პოემის დაწერიდან სამი წლის შემდეგ, 1842 წ. (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წ. 7). შეერთებას ჰქონდა ორი მხარე, ცოტა რამ დადებითი და უარყოფითი (უფრო მეტი). აი, ეს ორი რამ გვიჩვენა 1842 წ. დაწერილ ლექსში... შეერთებიდან გასულია 4 ათეული წელი. უკვე შეიძლება შედეგების შეჯამება. „საფლავში“ იმ შედეგებიდან აღნიშნავს ორს — მშვიდობიანობის დამყარებას და ევროპული განათლების შემოსვლას (სხვა რამეებზე არაფერს ამბობს). აქედან მთავარია მშვიდობიანობა. აი, სწორედ ამისთვის დათმო ერეკლემ თავისუფლება („ახლა კი დროა, სოლომონ რომა მშვიდობა ნახოს საქართველომ“. აი, ხომ ნახე, რა გვიყო ამ ერთმა დამარცხებამ. ძნელია, როცა სამეფო ყოველდღე ომის მოლოდინშია). მშვიდობიანობა კი ერეკლეს ღვაწლი იყო (მისი გადაწყვეტილების შედეგი). ასეთი განწყობის გამოხატვა, როგორც ჩანს, პოლიტიკური კონიუნქტურაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს გადაწყვეტილების ამ ტკბილ ნაყოფს უმთავრესად ორ რამეში ხედავს. ერთი ის, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველომ თავი დააღწია გამუდმებულ ომებს, დააღწია თავი აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანისა და თურქეთის) შემოსევებს, ქვეყნად მშვიდობა გამეფდა:

**სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ხელი!**

**ან არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა...**

**შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა**

**მოსისხლე მტერთა**

**ან მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!**

მეტაფორულად ნათქვამი „ან არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა“ ნიშნავს, რომ ირანი და დაღესტანი აღარ არბევენ საქართველოს, ხოლო უკანასკნელი ორი სტრიქონი კი —

არც ოსმალეთი ერჩის ქვეყანას; მტრების მაგიერ შავი ზღვით მეგობრები მოდიან. აი, ეს არის ერთი ტკბილი ნაყოფი(თუმცა აქ ილიას კლასიკური ფორმულაც „ცარიელ მშვიდობა მინაშიც გვეყოფის“ არ უნდა დავივიწყოთ).

გარდა ამისა, აქ გამოთქმულია შეხედულება, რომ ქართველები რუსეთის გზით ეზიარებიან დასავლეთის კულტურას, რომ რუსეთის გზით საქართველოში შემოდის ევროპული კულტურა და განათლება. მართალია, ევროპეიზაცია ლექსში ნახსენები არაა, მაგრამ იგულისხმება, რადგან საზოგადოებასი დამკვიდრებული შეხედულებით, რუსეთიდან საქართველოში სწორედ ევროპული კულტურა შემოდის.

**ჟამ-ვითარებით გარდახვენილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო**

**და მუნით ჰზიდავენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,  
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!**

პირველი ორი სტრიქონი ნიშნავს იმას, რომ 1832 წ. შეთქმულების მონაწილენი, რომლებიც რუსეთის გუბერნიებში იყვნენ გადასახლებულნი, საქართველოში დაბრუნდნენ...

როგორც აღვნიშნეთ, მიიჩნეოდა, რომ რუსეთთან შეერთებამ ქართველები ხელახლა აზიარა ევროპულ კულტურას. თითქოს ევროპასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნეში ჩაიკეტა, მეცხრამეტეში გაიხსნა რუსეთის მეშვეობით. ამის შესახებ კარგად ათქმევინებს მიხეილ ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელში“ ალექსანდრე ორბელიანს, რომელიც რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია: „კარგი დანევაა, შენ ნუ მომიკვდები!.. რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამორჩეთო. ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვებათ“.

შემთხვევითი არაა, რომ ლექსი „საფლავი...“ პოეტმა მიუძღვნა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს (სათაურს ქვეშ წერია: „კნიაზ მ... პ...ძეს ბარათაევს“).

მიხეილ პეტრეს ძის პაპა — მელქისედეკი ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში (1724 წ.). ის მაშინ სრულიად ახალგაზრდა ყოფილა, უცოლშვილო. მერე სამუდამოდ რუსეთში დარჩა და იქ დაოჯახდა. ჰყავდა 4 ვაჟი.<sup>1</sup> ყველაზე უმცროსი — პეტრე, მამა მიხეილისა, რომელმაც გენერალ-პორუჩიკის ჩინამდე მიაღწია. პეტრე იყო (1780-89 წლებში) სიმბირსკის გუბერნიის მეფისნაცვალი. სიმბირსკიდან 12 კმ-ზე მიწები შეიძინა (თუ მისცეს) და იქ გლეხები დაასახლა. ამ სოფელს ეწოდა Баратаевка.

მიხეილი დაიბადა სიმბირსკში 1784 წ. 25 იანვარს. მონაწილეობდა რუსეთ-საფრანგეთის ომში (1806-09 წლებში), სამამულო ომში (1812-13 წლებში) სხვათა შორის, პარიზში შეხვდა ამ ომის მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

იყო სიმბირსკის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (აირჩიეს 1816 წ.), შემდეგ სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობისა (1820-35 წლებში).<sup>2</sup>

სიმბირსკში დააარსა მასონური სალონი სახელწოდებით — „სათნოების გასაღები“ („Ключ к добродетели“) (თვითონ იყო ხელმძღვანელი). დაკავშირებული იყო დეკაბრისტების მოძრაობასთან. ერთხანს (1826 წ.) დაპატიმრებულიც გახლდათ, მაგრამ მამხილებელი დოკუმენტები ადრევე მოსპო და ვერაფერი დაუმტკიცეს.<sup>3</sup>

1839-42 წლებში მსახურობდა თბილისში ამიერკავკასიის საბაჟოს უფროსად. აქ დარჩა თითქმის 3 წელი (უფრო ზუსტად, 2 წელი და 10 თვე, 1839 წ. ოქტომბრიდან 1842 წ. 10 ივლისამდე). შემდეგ აქედან მიემგზავრება პეტერბურგში და რჩება იქ 1846 წ. მეორე ნახევრამდე. შემდეგ მშობლიურ ბარათაევკას უბრუნდება და აღესრულებათქ 1856 წ. (31 ივლისს) 72 წლისა. დაკრძალეს ქ. სიმბირსკში პოკროვსკის მონასტრის სასაფლაოზე.

თბილისში ყოფნის დროს შეაგროვა ქართული ფულის მდიდარი კოლექცია და დაამთავრა დიდი ხნის დანყებული ნაშრომი, რომელიც 1844-45 წლებში გამოსცა პეტერბურგში სამ ენაზე (რუსულად, ქართულად, ფრანგულად) — „Нумизматические факты грузинского царства“ („ნომიზმატიკის ფაქტები ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“).<sup>4</sup>



არის ქართული ნუმისმატიკის ფუძემდებელი. მისმა წიგნმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი შეფასება დაიმსახურა (მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა მოღვაწეებმა — დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა და სხვა). არჩეულ იქნა პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრად, აგრეთვე — პარიზის, ბერლინის, კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიათა საპატიო წევრად (და სხვა საზოგადოებათა წევრადაც).

თბილისში მუშაობის წლებში გაიცნო და დაუახლოვდა ბევრ ქართველს — გრიგოლ ორბელიანს, პლატონ იოსელიანს, მანანა ორბელიანს (მონაწილეობდა მანანას სალონის ლიტერატურულ საღამოებში), ალექსანდრე ჭავჭავაძეს (ადრეც შეხვედრია და იცნობდა) და სხვებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაცნობობა და ახლო მეგობრობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან (ისინი ერთმანეთის შორეული ნათესავებიც იყვნენ). 1842 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა მას მიუძღვნა და საკუთარ ალბომში ჩაუნერა ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა (კნიაზ მ... პ...-ძეს ბარათაევს).“ მიხ. ბარათაევი რუსეთში დაიბადა და აღიზარდა, მაგრამ ქართული სულიც ედგა. კავშირი ჰქონდა ქართველებთან და საქართველოსთან. იყო, ასე ვთქვათ, რუს-ქართველი. ცხადია, პოეტი რუსეთში გადახვენილი მიხეილ ბარათაშვილსა და მის დიდ წინაპრებს გულისხმობდა, რომელთაც ლექსის შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა:

**ყამ-ვითარებით გარდახვენილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო.**

იმავე, 1842 წ. მიუძღვნა „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“.

**ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით  
შესვი? გაამოს!**

პეტერბურგში დაბრუნებისას მიხეილ ბარათაშვილმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას და იქაურ ქართველოლოგებს

(თეიმურაზ ბაგრატიონს, პროფ. დავით ჩუბინაშვილს, აკად. მარი ბროსეს) დაუხასიათა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ღრმად განათლებული და საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე. და ამის შედეგია, რომ 1843 წ. რუსეთის აკადემიამ ბარათაშვილს მისცა საპატიო დავალება — შეედგინა ქართულ ხელნაწერთა ნუსხა, აღწერა და გადაელო მათი ასლები.

სოლ. ცაიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი (ნიგნში: „ლიტ. ნარკვევები“, 1965 წ. (ბიბლიოგრაფია იხ. შ. გოზალიშვილის ნიგნში, გვ. 8)).

ნიკოლოზ ბარათაშვილი არასოდეს შერიგებია თავისი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვას. იგი ყოველთვის ტრაგიკულად განიცდიდა რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ქართველი ხალხის დამონებას და ოცნებობდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე. ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს ლექსი „სუმბული და მწირი“, რომელიც დაწერილია იმავე 1842 წ. (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1862 წ. 9).

თუ პოეტი ლექსში „საფლავი...“ მოახდინა კონკრეტული ცოცხალი ფაქტის (მშვიდობიანობა დამყარდა და სხვა) კონსტატაცია, იმასაც კარგად ხედავდა, რომ საქართველო იყო გალიაში (ტყვეობაში) და სული ეხუთებოდა. ამისი თქმა პირდაპირ არ შეიძლებოდა და ამიტომ მიმართა ალეგორიას („სუმბული და მწირი“), ეს ხერხი ალექსანდრე ჭავჭავაძემაც გამოიყენა, მერე აკაკი წერეთელმაც.

საერთოდ, ქართველი რომანტიკოსები თავს თითქოს ვალდებულად თვლიან, აღიარონ, და წარმოაჩინონ რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მუდამ უკომპრომისო პრინციპულობით იბრძვიან რუსეთის უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ არასოდეს დაუთმიათ თავიანთი პატრიოტული პოზიციები.

„სუმბული და მწირი“ ალეგორიული ხასიათის ლექსია. აქ სამი მოქმედი პირია. სუმბული — საქართველოს სახეა, მწირი — თვით პოეტი, ხოლო ბულბული თავისუფლების სიმბოლური გამოსატყვავა. სუმბულს თავისუფლება დაუკარგავს, ის მოაშორეს გაშლილ მინდორს და ოთახში მოამწყვდიეს (ოთახში გადარგუ-

ლი ყვავილი). როგორც კი ოთახში გადარგეს, მან დაკარგა თავისი ადრინდელი ფერი და სურნელება (აი, მე-19საუკუნის საქართველო, რომელსაც პოეტები გვიხატავდნენ კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანად, ავადმყოფად, დაჭრილ არნივად). მწირის შეკითხვაზე — თუ რატომ გაქრა მისი ადრინდელი ღირსება (ფერი და სურნელება), ყვავილი პასუხობს:

**მწირო, ხომ ხედავ, მოვკვლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,  
ჩემთ სნორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და  
ჩემსა ბულბულს.**

**აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,  
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,  
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,  
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!**

ესაა ოთახში მომწყვდეული ყვავილის, სუმბულის (ე. ი. თავისუფლებადაკარგული საქართველოს) საჩივარი, რომ მას აქ სული ეხუთება, იხრჩობა...

მწირი კვლავ ეკითხება ყვავილს: ნუთუ ამ ოქრო-ვერცხლით მორთულ ძვირფას სადგურში ვერაფერს პოულობ სანაცვლოს, სხვა რომ არა იყოს რა, ახლა მზე ვერ დაგაჭკნობს და სიცივე ვერ დაგაზრობსო. ამაზე სუმბული უპასუხებს:

**მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,  
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?  
არლა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი,  
არლა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;  
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს  
და მაველის ბუჩქი მზისა სხივთა არლა უჩრდილებს.**

დიალოგი კვლავ გრძელდება, მწირი ისევ და ისევ მოაგონებს, რომ მკაცრი ზამთრისაგან ახლა ის მკვდარი იქნებოდა კიდევ, რომ ამისგან ის ადამიანის ხელმა იხსნა.

სუმბული:

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო  
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!  
ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდით იმოსვის  
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!  
და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,  
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!  
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული  
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული.

ე. ი. პოეტს იმის თქმა უნდა, რომ ქართველ ხალხს ჰქონდა ყოველგვარი უფლება, ეფიქრა და ებრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ე. ი. ბრძოლა გრძელდება. ეს ადგილი გვაგონებს ილიასა და ლელთ ღუნისას საუბარს.

ასეთი იმედიანი ოცნებით მთავრდება მწირისა და სუმბულის დიალოგი (გვაგონებს სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს დიალოგს — იქ გალიაში დატყვევებული ბულბული, აქ — ოთახში გამოკეტილი სუმბული — სუმბულის პასუხი მწირისადმი წარმოდგენს სოლომონ მსაჯულისადმი სოფიოს პასუხის პარალელს, ცხადია, შინაგანი აზრით).

ბარათაშვილი თავის თავს მწირს უწოდებდა („მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ლელვით, მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით“. „და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუსაფარი“ — ლექსი „ეპოვე ტაძარი“ 1841 წ.). მწირი — პილიგრიმი (!) დაახლოებით მოხეტიალე მორწმუნე (სასულიერო პირი).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ენა ჩაუდგა და აამეტყველა მინდვრის ყვაილი სუმბული (I ქართველი პოეტი, რომელმაც ბუნება, კერძოდ, მცენარე აამეტყველა, იყო შოთა, კერძოდ, ვარდი „უსულო და უსაკო“.

ვარდსა ჰკითხეს: ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად,  
პირად  
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?  
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს იქმნების  
რაცა ძვირად,

**ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად".  
რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო  
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?).**

მაშასადამე, ბარათაშვილისთვის ისევ და ისევ უმაღლესი იდეალი არის თავისუფლება. სხვათა შორის, ამავე აზრისაა ვახტანგ ორბელიანიც. ლექსში „გალია“ ის წერს:

**ნუ დაატყვევებთ შროშანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია,  
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია.  
ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყო არა მცნებისა;  
დეე მაღლა თქვას, წარმოთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.  
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაშია?  
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.**

შდრ.: აკაკი, (ზოგიერთების საპასუხოდ, XII, 209, 2).

„ადამიანი არის გაჩენილი „ხატად და მსგავსად ღვთისა,“ თავისუფლად და არა მონად“. დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ლექსზე „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირის-პირ დალისტინისა და ჩეჩნელთა, ნელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“ (ყველაზე გრძელსათაურიანი, 17 სიტყვიანი, ლექსი ქართულ ლიტერატურაში). ის დაწერილია 1844 წ. 23 სექტემბერს (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წ. 2 სათაურით: „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“).

ლექსში ლაშარაკია ქართული მილიციის გალაშქრებაზე დალისტინის წინააღმდეგ. ქართულ მილიციას ხელმძღვანელობდა თბილისის თავადაზნაურობის მარშალი, თავადი დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანი (1798-1868 წ.), ძმა მამუკა თამაზის ძე ორბელიანისა (1801-1871).

დიმიტრი ორბელიანი ცნობილი იყო, როგორც დიდი პატრიოტი. თავისი ძმის მსგავსად ისიც ახლოს იდგა შეთქმულებასთან.

დალისტინის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში ქართველები მარტო კი არ იყვნენ, არამედ იბრძოდნენ რუსებთან ერთად. მაგრამ ნი-

კოლოზ ბარათაშვილს თავის ლექსში საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ამ ბრძოლას მარტოოდენ ქართველები აწარმოებენ (ეს სათაურიდანაც ჩანს).

**ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა,  
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა!  
აღებად შენგან სისხლისა უბრალოდ დაქცეულისა  
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის  
ბოროტ სულისა...**

ე. ი. ბიძა და დისწული შამილსა და მის მოძრაობაზე ერთნაირი აზრისანი იყვნენ. სულ სხვა აზრისაა ალექსანდრე ყაზბეგი... სხვა აზრისა იყო ტარას შევჩენკო, რომელიც სწორედ იმ ხანებში (ბარათაშვილი რომ „ძრწოდე კავკასო“, — წერდა) წერს ლექსს „კავკასია“:

**დიდება თქვენს ვაჟკაცობას, თოვლიანო მთებო!  
თქვენ დიდება, არ დანებდეთ მოძალადე სვავეებს.  
სიმართლე თქვენს მხარეზეა, შორეულო ძმებო!  
ზეცის მაღლი ეფინება თქვენს ჭალარა თავებს!**

ბარათაშვილი დალესტნელებს მიმართავს: ცოტა კიდევ და მალე დამარცხდებით! რაც თქვენ ხმლებით დაანგრიეთ, თქვენივე თავებით იქნება ხელახლა აშენებულთ.

**ჰე, დალისტნელნო, სომხითის კედელნი,  
თქვენგან ნგრეულნი,  
მის ძეთა თქვენის თავებით ყონ ახლად აღშენებულნი!**

ბარათაშვილის ლექსში კავკასიური ომი დახატულია, როგორც მარტოოდენ ქართველთა ერთობლივი გამოსვლა. ქართველებს იმპერატორის ნება კი არ მართავს, არამედ ერეკლე მეფის აჩრდილი. სწორედ ამიტომ ლექსის პირვანდელ ვარიანტს აქვს ბუნებრივი დასასრული:

## მეფესა (ე. ი. ერეკლეს) თავი შესწირეთ, ვაგლახი ელით წარმართთა.

მაგრამ ბარათაშვილს უგრძვნია ისტორიული ანაქრონიზმი და შემდეგნაირად გაუსწორებია ეს ადგილი:

**იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!**

ასეთი დასასრული კი სრულიად არ შეეფერება ლექსის შინაგან განწყობილებას („იმპერატორსა ემსხვერპლეთ“, — უფრო გრიგოლის განწყობილებაა, ვიდრე ავტორისა ლექსისა „ფიქრნი მტკერის პირას“).

კავკასიურ ომში ქართველების მონაწილეობას ბარათაშვილი მიიჩნევდა პატრიოტულ აქტად და მას საერთო არაფერი აქვს მილიტარიზმის ხოტბასთან.

### სიყვარული

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სიყვარულის თემა.

რომანტიკოსთა მრწამსით ადამიანმა აუცილებლად უნდა იგემოს სიყვარულის სიტყბო. ასე ფიქრობდნენ ევროპელი და რუსი რომანტიკოსები, ასე მსჯელობდნენ ქართველებიც (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი) და, ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილიც. როდის არის სიყვარულის დრო? ეს არის სიჭაბუკის ყამი. ამიტომ ისმის მათ ლექსებში რჩევა-მონოდება, ხელიდან არ გაუშვან ეს დრო.

პოეტი ურჩევს ახალგაზრდა მეგობრებს, ვიდრე ჭაბუკები ხართ და (ცხოვრების დილა გინათებთ)

**აჰყევით სოფელს შეურჩენელს (ე. ი. წარმავალს) და  
მომღერალსა,  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა ალსა!**

**სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს,  
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს.**

ყველაფერს აქვს თავისი დრო, თავისი ასაკი და საქები ისაა,  
ვინც ცხოვრების ყოველი ხანა(ასაკი) შესაბამისად მოიხმარა.

**მას ვაქებ, ვინც თვის სიცოცხლე ასე ატარა,  
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა.**

*(„ჩემთ მეგობართ“, 1841 წ.)*

ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მონოდება-ლოზუნგით გამოდიოდ-  
ნენ ალექსანდრე ჭავჭავაძეც და გრიგოლ ორბელიანიც. „ვისაც  
ხელთ გქონდეთ ნება გულისა, იგემეთ სიტკბო სიყვარულისა“  
(„ელების კარი გაზაფხულისა“).

**ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე,  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე,  
ერთსა ნამსაც ნუ დაკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა ანვე დასტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.  
*(„ანტონს“, 1829 წ.)***

ან:

**იმხიარულე ვიდრემდის შენ ზე  
დაგნათის ვით მზე  
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი.  
*(„ეკ. ჭავჭავაძეს“)***

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ადამიანის ცხოვრება 5 პერიოდად  
დაჰყო. ყოველი დრო თავ-თავის მოთხოვნებს უყენებს ადამი-  
ანს. საქებია ის, ვინც ყოველ დროს შესაფერად მოიხმარს.

ილია: „ვაი მას, ვინც ჭაბუკობისას ჭაბუკ არ არის“.

აკაკი: „რომ სიყმანვილემ იცოდეს, სიბერე თუ რა ძნელია,  
არ გაუშვებდა, რასაც კი მიუწვდებოდა ხელია“.



სიჭაბუკე სიყვარულის დროა.

სიყვარულის თემას საერთოდ დიდი ადგილი უჭირავს რომანტიკოსთა შემოქმედებაში. იმდენად დიდი, რომ იგი რომანტიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნადაა მიჩნეული. სიყვარულს დიდი ადგილი უჭირავს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც. სიყვარული სხვადასხვანაირია (ხორციელი, პლატონური, რომანტიკული, რომელიც დაზღვეულია ორივე უკიდურესობისაგან). თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში რომანტიკული სიყვარული შედარებით მკრთალადაა ნაჩვენები, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში — შედარებით ვრცლად, ხოლო ყველაზე სრულად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ვლინდება, სადაც რომანტიკულ სიყვარულს ეძლევა თეორიული დასაბუთებაც (ე. ი. თანდათან ვითარდება რომანტიზმი და ამის შესაბამისად იზრდება სიყვარულის რომანტიკული გაგებაც).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილს პირველად უყვარდა ქეთევან ერისთავი (რევაზ შალვას ძე ერისთავის დაი) (გიორგი აბზიანიძე, გიორგი ჯიბლაძე). აქვს პოეტს ლექსი „ქეთევან“, დათარიღებული 1835 წლით. ამასთან, ლექსში არა ჩანს პოეტის სატრფიალო გატაცება ლექსის-ლირიკული გმირით, აქ დახატულია სიყვარულით გულდათუთქული, რომანტიკული არსება, რომელიც ქსნის პირას ჩონგურზე მოთქვამს თავის განზილებულ სიყვარულზე (და შემდეგ თავს იხრჩობს მდინარეში). საერთოდ, რომანტიკოსებს უყვართ ასეთი ტრაგიკული პირები და შემთხვევები. მაშ რას ემყარება ზემოაღნიშნული მოსაზრება? ქეთევანის ასულის, ნინო ქობულაშვილის მოგონებას, რაც, ცხადია, არაა საკმარისი.

ქეთევანი იყო დაი რევაზ ერისთავისა (კოზლოვის „შემლილის“ მთარგმნელისა). ქეთევან ერისთავი (1819-1907) და ცოლი ელიზბარ ერისთავისა (1808-1871), 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურისა და საერთო ხელმძღვანელისა.

გიორგი აბზიანიძემ ჩაიწერა 79 წლის მოხუცის ნინო ქობულაშვილის (ქეთევანის ასულის) ნაამბობი (იხ. გ. აბზიანიძე, ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი. წიგნი „ლიტერატ.

მატიანე" 1-2, 1940 წ., გვ. 379-381): „დედა დიდი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იგი მოიგონებდა ხოლმე: ტატო ძალიან მხიარული იყოვო. როცა ქალები ვიყავით და ნარდს ან ლოტოს ვთამაშობდით, უცებ ხან ქუდს გადმოგვიგდებდა ფანჯრიდან და ხან ბაყაყს, ერთს ნივილ-კივილს მოვყვებოდით, ვიტყოდით: ალბათ ტატო მოვიდაო! მერე თვითონ შემოყვებოდა და გვეტყოდა: „აბა, მეჭორეებო, მიამბეთ, რა ჭორები იცითო“. ძალიან ლამაზი კი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო შესახედავი იყოვო.

როგორც ჩანს, ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით. დედა გვიკითხავდა ნ. ბარათაშვილის ლექსებს და გვეტყოდა, რომ ლექსი „ქეთევან“ მე მომიძღვნაო. ეს ლექსი ასე თავდება: „ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით“.

ტატოს დედაჩემისთვის უჩუქებია „ვეფხისტყაოსანი“, უჩუქებია აგრეთვე თავისი ლექსების წიგნი. ტატოს ხელნაწერი ლექსების წიგნი დედას ძალიან უყვარდა და გადასცა დავით ერისთავს, დრამატურგს. პატარა ტანისა იყო ხელნაწერი. ფურცლები შეკერილი იყო. „ვეფხისტყაოსანი“ კი დაგვეწვა, როცა ჩვენი სახლი დაინვა.

დედას არ ნდომებია მამა ჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა, მაგრამ მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალათ გაუტანებიათ. გიორგი ერისთავსაც უნდოდა თურმე დედა-ჩემის შერთვა, მაგრამ როგორც ნათესავს, ჩამოცილებია. გიორგი ერისთავმა, სხვათა შორის, ლექსი მიუძღვნა ქეთევანის დას, სოფიოს“.

„ქეთევანის“ უკანასკნელი სტრიქონებია:

**ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო, ლელვილი,  
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში.**

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ვალერიან გუნიასეულ ვარიანტებში „ამილბარის“ მაგიერ წერია „ელიზბარისა“. შემდეგ გადაუსწორებია „ამილბარად“. ეს, ალბათ, კვალის დაფარვის მიზნით გააკეთა. ქეთევანი 1907 წ. გარდაიცვალა 88 წლისა.

ბარათაშვილის ლექსში კი თავს იხრჩობს. ე. ი. პოეტმა ქეთევანის მწარე ხვედრი და კაეშანი კიდევ უფრო გაამძაფრა და ტრაგიზმამდე მიიყვანა. ამ საკითხის შესახებ ნაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის მოსაზრება ელიზბარ ერისთავის შესახებ დანერილ ბიოგრაფიულ რომანში („მდინარესა ზედა ქსნისასა“).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სიყვარული იყო ნინო ორბელიანი. (1836-37 წლებში). ბარათაშვილის მეგობარი ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანთან მიწერილ ერთ კერძო ბარათში, რომელიც პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (1846 წ. 19 იანვარს) არის დანერილი, აღნიშნავს: „არ ვიცი იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო ო-ი. არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“. სამწუხაროდ, ლევან მელიქიშვილი ამის მეტს არაფერს ამბობს ამ ქალზე. ფიქრობენ, რომ ინიციალების ო-ი-ს ქვეშ იგულისხმება ორბელიანი (იონა მეუნარგია და სხვები). გიორგი ლეონიძე უფრო აზუსტებს ამ ქალის ვინაობას და აღნიშნავს, რომ პოეტის პირველი სიყვარული ნინო იყო ივანე თამაზის ძე ორბელიანის ასული. ე. ი. მამუკა ორბელიანის ძმისშვილი.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ პოეტი ამ ნინოს შეხვედრია ერთხელ სადღაც, მეორედ ყაბახზე ღამით სეირნობისას 1836 წ. ზაფხულში. ამ მეორე შეხვედრისას მოსწონებია, მის გულს კაეშანი დაასო („პირველ დამასო გულს კაეშანი“). ამ ქალთან შეხვედრაზე დაწერა ლექსი „ღამე ყაბახზედ“, რომელიც წერილთან ერთად გაუგზავნა (1837 წ. თებერვალში) მაშინ გადასახლებაში მყოფ ბიძას გრიგოლ ორბელიანს (ასეთი ჰქონდა ჩვეულება — წერილს და ლექსს ერთად უგზავნიდა ადრესატს. ესა თუ ის წერილი რომელიმე ლექსის კომენტარია): „ამ წარსულს ზაფხულში (ე. ი. 1836 წ. ზაფხულში) ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუენებამ, სატრფოთ მარაქამ... სრულიად განატყბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნეთ, თქუენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვ-

წერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი და კიდევ აღვასრულე, მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა (ე. ი. ქალმა) პირველ დამასო გულს კაეშანი". ხოლო ლევან მელიქიშვილის ცნობით პოეტის პირველი სიყვარული იყო ნინო. გამომდინარე აქედან ერთგვარი საფუძველი ეძლევა ნინო ორბელიანისა და ყაბახზე ნანახი ქალის იდენტიფიკაციას. როგორც აღვნიშნეთ, პოეტი ამ წერილთან ერთად ბიძას უგზავნის ლექსს „ლამე ყაბახზედ...“ (და აგრეთვე „ძია გ...თან“), რომელშიც საუბარია ყაბახზე ნანახ ქალზე, ე. ი. ნინო ორბელიანზე. პოეტი ასე აგვიწერს ამ ქალთან შეხვედრას და მასთან საუბარს: ქალს იმ საღამოს თეთრი კაბა ეცვა. მეგობრებთან ხელკავით სეირნობდა. პოეტმა ნახა და მზერა მიაპყრო. იმანაც შემოხედა და შემოსცინა (გაუღიმა). ამან პოეტი გაამხნევა და ახლოს მივიდა: ნეტარ მე, რომ კვლავ მეღირსა თქვენი ხილვა. იმან უთხრა: გმადლობთ, რომ თქვენ მაინც გახსოვართ. ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივინყებს ისევ.

პოეტი: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერავითარი მოდები ვერ დამავინყებს თქვენს თავს. ამ სიტყვებზე ქალი განითლდა (ღანვებზე ვარდი აეფურცლა). ამ დროს კოჯრის ნიაგმაც თეთრი კაბა გამოუქროლა და გამოჩნდა მისი ლამაზი ფეფები. მთვარის შუქზე მისი ლამაზი მკერდიც გამოჩნდა. ყოველივე ამან პოეტს ცნობა დააკარგვინა. აი, ეს ლექსიც:

**უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი  
და მეყვსეულად მან მიმილო ჩემნი ცნობანი.  
არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?...  
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,  
მას აქეთ თვალი ველარ მოვჰკარ და ახლა ერთი  
სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,  
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ჭირისა!  
თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა  
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვდექი წინა  
და ასე ვუთხარ: “ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად  
სანატრი ჩემთვის ნახვა ჩემი ან მხიარულად“!**

**„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც  
გახსოვართ კიდევ:  
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“.**  
**„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“**  
**ამა სიტყვაზე ვარდი ღანვზე მყის აეფურცლა  
ამ დროს ნიაემანც თეთრი კაბა მიმოუქროლა  
და ბუდეშური მისი ფეფები ღამაზად მოჩნდა,  
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.  
ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტება ბროლსა  
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა.**

ასეთია ამ ქალის რეალისტური სახე (არჩილ სულაკაურის მოთხრობა „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილის და ამ ქალის შეხვედრაზეა დაწერილი). იონა მეუნარგიას ცნობით, ამ ნინო ორბელიანისადმია მიძღვნილი აგრეთვე „მიყვარს თვალები“ (1848 წ.):

**მიყვარს თვალები, მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით  
დაქანცულები...  
მივხვდი თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდოლის თქვენგან გაქცევას?**

(იაკობ ბალახაშვილის აზრით, ამ ნინოსადმია მიძღვნილი აგრეთვე ლექსები: „ჩონგური“, „სული ობოლი“, „სატრფოვ მახსოვს“, „ჩემი ღოცვა“, „აღმოხდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ეპოვე ტაძარი“, „შენი დაღალნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“). იხ. იაკობ ბალახაშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლექსების ადრესატები“, 1968 წ. გვ. 127. იგი ფიქრობს, რომ ეს ნინო შემდეგ მეუღლე იყო რევაზ ანდრონიკაშვილისა (ილიამ რომ გაკიცხა „გამოცანებში“: „ულვაშსრული, მელიოტია...“). პავლე ინგოროყვა კი მიიჩნევს, რომ ეს ლექსები ეკატერინეს სიყვარულმა დააწერინა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს პირველი გატაცება ნინო ორბელიანის ქალით ეკუთვნის 1836-37 წლებს. პოეტის მეორე სიყვა-

რული, როგორც პირველად იონა მეუნარგიამ აღნიშნა და შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს, იყო ფრანგი მეკონდიტრის ქალი დელფინა ლაბიელი. დელფინა ლაბიელით პოეტის გატაცება ეკუთვნის 1837-38 წლებს. მისადმი მიძღვნილია ორი ლექსი — „ჩემს ვარსკვლავს“ და (1837 წ.) და „ასტრა“ (1838 წ.)  
„ჩემს ვარსკვლავს“.

**რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?  
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო...  
ნათელი ხარ, შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა  
მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
შენგან ბნელი გული გამომიდარე!**

სიყვარული ადამიანს სტიმულსა და ენერგიას ანიჭებსდა პოეტსაც სურს, სიყვარულში იპოვოს შვება.

ცნობა პოეტისა და დელფინას რომანისა აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ მიძღვნილია დელფინასადმი, გადაუცია იონა მეუნარგიასათვის ლუკა ისარლიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგს, შემდეგში ცენზორს (იხ. „ლიტერატურული საქართველო“ 1938 წ, 20.X). ლუკა ისარლიშვილის ცნობით, ტატოს ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა „რად მრისხანებ“.

ლექსი „ასტრა“, რომელიც პოეტს 1838 წ. დაუწერია, დაკარგულია. ჩვენამდე მოღწეულია ცნობები ამ ლექსის შესახებ. როგორც ჩანს, ლექსი მაღალმხატვრული ნაწარმოები ყოფილა, ბარათაშვილის ერთი საუკეთესო ლექსთაგანი.

ლექსი, იმავე, 1838 წ. ივლისში, პოეტს გაუგზავნია თავისი სკოლის მეგობრის, მიხეილ თუმანიშვილისათვის, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა კახეთში. თუმანიშვილს მეტად მოსწონებია „ასტრა“, პირდაპირ მოხიბლულა ამ ლექსით, მაგრამ ვერ გაუგია ლექსის სათაური „ასტრა“ და ვერც ის, თუ ვისადმი იყო ის მიძღვნილი. ვერ გაუგია, რას ნიშნავდა ეს უცნაური „ასტრა“, ვინ იყო თუ რა იყო, სულიერი არსება თუ უსულო საგანი.

მიხეილ თუმანიშვილს ბარათაშვილის ლექსის საპასუხოდ ექსპრომტად დაუნერია ლექსი „ასტრას“ და გაუგზავნია პოეტისათვის. აი, ესე ქსპრომტიც:

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,  
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?  
უსულო ხარ, სულიერი ვინ იცის,  
ეს სახელი არ სმენია არავის  
ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,  
ან ყვავილი უსახელო ველური,  
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა,  
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.  
მოფრენილო შორეულისა ქვეყნით,  
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,  
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,  
მიუხვედრო, ასტრავ, შენის წოდებით.  
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,  
ოდესაცა ესცნობ შენსა სახელსა მისგან,  
მაშინ გაქვნდეს უეჭველი იმედი,  
რომ იქნები ნაკითხული ყველასგან  
*(წინანდალი, 15 ივლისი, 1838 წ.)*

მიხეილ თუმანიშვილს ეს ლექსი, როგორც აღვნიშნეთ, გაუგზავნია ბარათაშვილისათვის, ლექსთან ერთად გაუგზავნია წერილიც, რომელშიც სთხოვდა განემარტა, თუ ვინ იყო პოეტის საყვარელი ქალი, რომელსაც „ასტრა“ მიუძღვნა. მიხეილ თუმანიშვილის ეს წერილი არ შემონახულა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია ბარათაშვილის საპასუხო ბარათი (დათარიღებული 1838 წ. აგვისტოთი).

„მადლობა, ძმაო, წერილებისათვის, სიამოვნებისათვის. უკანასკნელი მათგანი ნავიკითხე ზაქარია ორბელიანთან ერთად. ეს იყო კრიტიკა, ანუ უფრო სწორედ მომართვა „ასტრას“ ავტორისადმი. ძალიან კარგი. მხოლოდ მგონია, იგი ვერ მიაღწევს მიზანს, ე. ი. ვერ გაიგებ, ვინ არის ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის

საიდუმლოა. იგი არ სწერდა არც შენთვის, არც საზოგადოებისათვის. სწერდა მხოლოდ მარტო მისთვის. მას ესმის ავტორისა და ავტორი ამით კმაყოფილია. რალა უნდა ავტორს ამის მეტი? რა მნიშვნელობა აქვს, გაიგე იგი შენ თუ არა? ცნობილია, რომ საგანი ამშვენებს ლექსსა, ხოლო თუ შენ გინდა იცოდდე მხოლოდ მნიშვნელობა სიტყვისა „ასტრა“, — ეს კი სრულებით მარტივია. იგი აღებულია ფრანგულისაგან ასტრე, რაც ჩვენებურად, ძმაო თავყანა, ნიშნავს: მთიები, ასე, ჩემო ბატონო.

გეტყვი ახალ ამბავს, არ გაჯავრდები, მე დღეს სალამოს მივდივარ ს. წყნეთში. რისთვის? იმისთვის, რომ იგი იქ არის. მისმა დედამ მთხოვა გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იყვეს ეს დღეები? ახ? მაშ მოკვდი ბუ!"

ცხადია, რომ პოეტი სწორედ დელფინაზე საუბრობს. ბარათაშვილის არცერთ ლექსს არა აქვს ფრანგული სათაური. თუ ამ ლექსისთვის „ასტრა უნოდებია, იმიტომ, რომ ადრესატი იყო ფრანგის ქალი (ზუსტად 100 წლის შემდეგ, 1938 წ. გიორგი ლეონიძემ დელფინაზე დაწერა „წყნეთური ვარდი“).

დელფინა ბერძნული წარმოშობის სახელებს ეკუთვნის და ასტრონომიულ ენაზე ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს ნიშნავს.

ერთი ცნობით, დელფინას დედა იყო „ბამბაჩნიკი“ (ბამბისა და საერთოდ საფეიქრო საქმის მცოდნე). პროვანსიდან თბილისში ჩამოუყვანია ფრანგ მოიჯარადრე კასტელას აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში სამუშაოდ.

მეორე ცნობით (იონა მეუნარგიასი) დედა იყო მეფუნთუშე. თბილისში გაუხსნია გასტრონომიული მაღაზია (საკანდიტრო).

დელფინას მამას ერქვა ივანე. ჰყავდა ორი ასული. ორივე რუს მოხელეებზე გათხოვილი. ლაბიელების ერთი სიძე (მიხეილ შულგინი) იყო სამხედრო პირი, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს უფროსი.

დელფინას, როგორც ჩანს, ცოტა ქართულიც სცოდნია, ცოტა ფრანგული ბარათაშვილმაც იცოდა, ცოტაც ჟესტი, მიმიკა და ერთმანეთს კარგად აგებინებდნენ (სიყვარულს სულ არ უნდა ენა, მუნჯებიც კარგად აგებინებენ ერთმანეთს).



ირკვევა ისიც, რომ დელფინას ოჯახი შეძლებული იყო. ზაფხულობით სააგარაკოდ გადიოდნენ, ხოლო ოჯახის პრაქტიკულმა დიასახლისმა პოეტი შინ უფრო დასათვალისწინებლად მიიწვია, ვიდრე სიამოვნებისთვის. როგორც ჩანს, სტუმრობის დროს ბარათაშვილიც დარწმუნდა, რომ ამ ოჯახს ვერ დაუნათესავდებოდა. ყოველ შემთხვევაში ამ სტუმრობის შესახებ შემდეგ არსად, არავისთან სიტყვა არ დაცდენია. ეს არის ყველაფერი, რაც დელფინა ლაბიელის შესახებ ვიცით. ამ ქალს უძღვნა პოეტმა ორი ლექსი, რომელთაგან ერთი დაკარგულია. ვარლამ ჟურულის „დაკარგული ლექსი“:

საით გაიჭერ, ლექსო კეთილო, სად წარიტანე ამდენი ნატვრა,  
ვარდის ცრემლის წილ ატირებულო და უგზო-უკვლოდ  
გამქრალო „ასტრავ“!  
სად აგინთია ტრფობის ლამპარი, სად გინდა მწარე  
ნალველი ლესო,  
ბარათაშვილის დიდი გულიდან ამოფრენილო  
პატარა ლექსო!

იქნებ საფლავში ჩაჰყევი მგოსანს, განჯის მიწაში  
ჩაეშვით ორნი,  
ან იქნებ სადმე, არქივის მტვერში, დარდობ მარტო და  
გეძებენ დრონი!  
დროა გამოჩნდე, გაიზაფხულო, ნახო ცა-ფირუზ  
ქვეყნის დარობა!  
ვინ გაიგონა საქართველოში ლექსის ობლობა,  
უსახლკარობა!

მაინც სადა ხარ გადახვენილი ლექსო უბედო და  
უჩინარო,  
გვითხარი, მიწავ, ეგ საიდუმლო, გვითხარი,  
ყვავილო, მტკვარო, ჩინარო!  
ხომ უპოვნიათ ტურფა ნესტანი, დატყვევებული,  
გადაკარგული,

როგორ გახმება შთაგონების ხე საკაცობრიო ბაღში  
დარგული!  
შენც აგვიმღერდი, ამოხმატკბილდი, ამონათუ  
ოცნების მწყემსო,  
ბარათაშვილის დიდი გულიდან ამოფრენილო  
პატარა ლექსო!

ბარათაშვილისა და დელფინა ლაბიელის მეგობრობა, როგორც აღვნიშნეთ, გაგრძელდა მხოლოდ ორი წელი: 1837-38. დელფინა ლაბიელიც ბარათაშვილის ჯერ ისევ ყმანვილური გატაცება გახლდათ. დელფინა სულ სხვა საზოგადოებრივი წრის და წარმოშობის ქალი იყო (ფრანგის ქალი), ბარათაშვილი — სულ სხვა. მათი შეხვედრა შემთხვევითი იყო და განშორებაც არ ყოფილა მოულოდნელი (კიდევ რომ შეუღლებულიყვნენ, ვინ იცის, იქნებოდნენ კი ბედნიერები? ქართველისა და ფრანგის შეუღლების შემთხვევა იყო მაგ., სალომე დადიანისა და აშილ მიურატის დაქორწინება, მაგრამ ისინი ვერ შეენყვინენ ერთმანეთს, სალომე მერე უკმაყოფილო იყო და აშილზე გათხოვებას დედას — ეკატერინეს — აბრალებდა. აშილმა თავი მოიკლა ზუგდიდში 1895 წ. დაკრძალულია სოფ. ჭკაუდაშში).

თუ ნინო ორბელიანი და დელფინა ლაბიელი ბარათაშვილის ჯერ ისევ ყმანვილური გატაცების საგნები იყვნენ, ეკატერინე ჭავჭავაძე იყო პოეტის ნამდვილი, ძლიერი სიყვარული.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა, ისინი ბავშვობიდანვე თანშეზრდილნი იყვნენ და წლოვანებითაც თითქმის ტოლები. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მელიტონ ბარათაშვილის ოჯახები განსაკუთრებით დაახლოებულნი ყოფილან (კონსტანტინე მამაცაშვილის, ბარბარე ვეზირიშვილის მოგონებები). ნიკოლოზ ბარათაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში მიღებული პირი იყო, შენახულად გადმოცემა, რომ მან თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში წაიკითხა 1839 წ.

როგორც ჩანს, ნიკოლოზსა და ეკატერინეს ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონიათ ახლო მეგობრობა. შემდეგში კი ეს ბავშვური

მეგობრობა სიყვარულით შეცვლილა. ბარათაშვილი გატაცებულია ეკატერინე ჭავჭავაძით 1838-39 წლებში. ეკატერინესადმია მიძღვნილი ლექსები: „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „საყურე“.

პირველი ორი ლექსის მიხედვით ეკატერინე ჩვენს წინაშე წრმოდგება, როგორც შესანიშნავი მომღერალი (ცნობილია, რომ ეკატერინე, ისევე როგორც ნინო, შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა).

ხმით მშვენიერით,  
ტკბილის სიმღერით,  
ჰაეროვანო, სულს ელხინები;  
თვალთ არონინებ,  
გულს დაანყლულე  
და ღიმილითა ესალბუნები!  
სადაც ხარ, იმ არეს,  
მოჰფენ სიამეს, —  
უშენოდ მოსცდეს მხიარულება  
შენის ენითა,  
სავსე ღხენითა  
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!  
მახსოვს სიამით  
ოდეს ტკბილი ხმით  
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,  
პირმცინართა სინარნართა  
მგოსნის ყარიბს გულს ესხვიმფინარე!

[„ვარდი და ბულბული“ არის ალექსანდრ ოდოევსკის ლექსი, თარგმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ (პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წ. 9)].

მამ ლამაზი ქალი თავისი ტკბილი სიმღერით სულს და გულს ელხინება, ესალბუნება. ის ყველგან სიამესა და სხივებს ჰფენს, ადამიანს აკეთილშობილებს, გულკეთილს ხდის. ასეთია მუსიკის, საერთოდ, ხელოვნების ძალა და ზემოქმედება ადამიანზე.

ეკატერინესადმია მიძღვნილი აგრეთვე ლექსი „...ნა ფორტე-პიანოზედ მომღერალი“ (ზოგიერთი ამ ინიციალში ნინას კითხულობს):

ხმა საკრავისა,  
ნელ ნარნარისა  
სულს განახარებს  
და მშვენიერის  
ენა ამიშილის  
გულისა ჭირებს!..

ლექსი „საყურე“ სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში. ამ ლექსის დაწერის შესახებ პოეტის მეგობარს ლევან მელიქიშვილს შემდეგი უამბუნია ი. მეუნარგისთვის:

„ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის [პოეტის მამიდაშვილი, რომელიც 1839 წ. დაქორწინდა ბაბაღე ორბელიანზე] სიდედრთან სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, სადაც დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

„— ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს! და იმ სალამოს დასწერა სახსოვრად ლექსი „საყურე“.

ვითა პეპელა  
არხევს ნელ-ნელა  
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.  
ნეტავი იმას,  
ვინც თავის სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
შენის შერხევით,

სიო-მობერვით  
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!  
ოი, საყურეო,  
გრძნებით ამრევო  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თავისი ზედ დაგაკონოს?  
(ყველაზე ვნებიანი გამონათქვამი ბარათაშვილთან)  
(პირველად დაიბეჭდა 1860 წ. უურნ. „ცისკარში“ 10 სათაუ-  
რით „პეპელა“). წაიკითხეთ ქეთევან ელაშვილის წერილი „სა-  
ყურის“ შესახებ.

1939 წ. შემდეგ დაწერილ ლექსებსა და კერძო ბარათებში ის-  
მის ეკატერინესადმი საყვედური (მაგ., „ჩემთ მეგობართ“, „ჩი-  
ნარი“, კერძო ბარათი მაიკოსადმი...)

საკუთარმა მწარე ხვედრმა დააწერინა ლექსი “ჩემთ მეგო-  
ბართ”. პოეტი ურჩევს ახალგაზრდა მეგობრებს, სიყვარული კი  
კარგია, იცოცხლეთ, მაგრამ გრძნობას აზრიც უნდა ააყოლოთო:

*მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი:  
არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,  
სულის დამტყვევენელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!  
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,  
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!  
(კეკელა ქალი ეკატერინეა)*

ყველაფერი ეს მე თვითონ განმიცდიაო. თვითონ განბილებუ-  
ლი და გამწარებული რომ ასე აფრთხილებს სხვას, ეს დიდი ჰუ-  
მანიზმია (რაფიელ ერისთავს აქვს ამნაირი ლექსი „დარიგება“).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ეკატერინე ჭავჭავაძისთვის დაუ-  
წერია ქართული ვარიანტები რუსული სასიმღერო ლექსებისა,  
ესენია „ცისა ფერს“... და „როს ბედნიერ ვარ“... (ჩვენთვის უც-  
ნობია ამ ლექსების დაწერის თარიღიც. მათი ავტოგრაფები არ

შენახულა. ორივე ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ივერია-ში“ 1882 წ. 4-5).

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული იყო რუსული სიმღერა „Черный цвет, мрачный цвет“, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ უთარგმნა თავის ქალიშვილს ნინოს („ფერსა ბნელს, ფერსა შავს მე ვეტრფი მარადჟამს...“). ნინო დაქვრივებული იყო და მის სულიერ განწყობილებას შავი ფერი ესადაგებოდა. აი, სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ თარგმანის გამოხმაურებას წარმოადგენს ბარათაშვილის „ცისა ფერს“. ბარათაშვილმა შავი ფერი შეცვალა რომანტიკოს პოეტთა საყვარელი ფერით, ცისფერით. რაც შეეხება ლექსს „როს ბედნიერ ვარ...“ ეს არის მიბაძვა ფორტეპიანოზე სამღერო რუსული ლექსისა „Как счастлив я, коль с тобой бываю“.

მარცვალთა რაოდენობითა და რიტმით “ფერსა ბნელს” არის წმინდა რუსული ფორმის სასიმღერო ლექსი (ა. პუშკინის ზემფირა: „Старый муж, грозный муж“). ქართულ პოეზიაში ამ ზომის ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძემდე არ გვხვდება, ამიტომაც უწოდეს ამ წყობისა და ფორმის ლექსს „ჭავჭავაძური“ (იოსებ გრიშაშვილმა).

„ფერსა ბნელს“ ნოტივზე გადაიღო ვანო სარაჯიშვილმა და მას ასრულებდა ცნობილი მომღერლის რატილის გუნდი.

დაახლოებით ამავე წლებში (1837-38 წწ.) ეკატერინე ჭავჭავაძეს ლექსები უძღვნა აგრეთვე მიხაილ ლერმონტოვმა (სამი უსათაურო ლექსი). ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ლექსები ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს. მაგრამ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს ლექსები მათი ავტორების სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. მსგავსება აიხსნება იმით, რომ ლექსთა ადრესატი არის ერთი და იგივე პირი.

ვინ უყვარდა ეკატერინეს? უყვარდა თუ არა ბარათაშვილი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც შეგვიძლია, არცაა ამჟამად ჩვენი საქმე. მოგაგონებთ შემდეგს: 1831 წ. 15 წლის ეკატერინეს უყვარდა 19 წლის ივანე მუხრანბატონი. მათი ქორწილიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩაიშალა, წინააღმდეგნი იყვნენ ეკატერინეს მშობლები. ივანემ მალე ამის შემდეგ (1836 წ.) ცოლად შეირ-

თო დავით დადიანის დაი — ნინო (შეირთო უსიყვარულოდ, რათა თბილისს გასცლოდა და გულში ჩაეკლა სიყვარული). ნინო დადიანი (მუხრანბატონისა) ძალიან კარგი ქალი აღმოჩნდა, იმდენად კარგი, რომ ილია ჭავჭავაძის ყურადღებაც დაიმსახურა, როდესაც გარდაიცვალა, ილიამ დაწერა და „ივერიაში“ დაბეჭდა ნეკროლოგი „ნინო ბაგრატიონი“ (1886, 238). [დაკრძალულია სვეტიცხოველში, იქვეა მისი ქმარი, ივანეც და მაზლი გიორგიც].

„მაშინ, როდესაც მას შეეძლო განცხრომაში გაეტარებინა სიცოცხლე, ეგემნა ქვეყნის სიტკბონი..., ნავიდა სოფელში (დილოში) და შრომასა და გარჯაში ჰპოვა ცხოვრების საგანი და ამაში ნახა სიტკბოებაც და გართობაცა. დიღმელმა დედაკაცებმა გამოთხოვებისას მიუტირეს თურმე: „სად მიხვალ ქვეყნის სასარგებლო დედაკაცოო! საცა შენი ხელი მისწვდა, კლდეც კი აპყვავდაო!“

ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი მოგვიანებით იყო გენერალ-ლეიტენანტი და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. ილიამ „გამოცანებში“ გაკიცხა: „ბულა არის კისერმოკლე მისი ძმა გიორგიც გაკიცხა: „კოხტაა და ლობემძვრალა, პატარა და ჩამომხმარი...“ ხოლო 1839 წ. ეკატერინე დავით დადიანზე გათხოვდა (ასე გახდნენ ყოფილი მიჯნურები ახლო ნათესავები). ზოგიერთი მკვლევარი (მაგ., იაკობ ბალახაშვილი) ფიქრობს, რომ ივანესა და ეკატერინეს შორის შემდეგ მიმონერაც არსებობდა, მაგრამ „ორივე ხელეშეკრული და ბორკილდადებული მიჯნური იყო“.

რაც შეეხება ეკატერინეს დამოკიდებულებას ბარათაშვილისადმი, ცხადია, ეკატერინე ყოველთვის დიდად აფასებდა მის ბრწყინვალე ნიჭს, მუდამ თან დაჰქონდა პოეტის ხელნაწერი კრებულები და შვილებსაც ქართულ ენასა და წერა-კითხვას ბარათაშვილის ლექსებით ასწავლიდა. ეკატერინე ჭავჭავაძისგან მიიღო ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის ლექსთა კრებული პეტერბურგში.

ეკატერინესა და დავით დადიანის ქორწინება, რომელიც უმთავრესად ანგარიშის ქორწინება იყო, შედგა 1839 წ. 18 მაისს, ქაშუეთში. ეს ქორწილი, გარეგნულად დიდი ცერემონიით გა-

დახდილი, არ ყოფილა ბედნიერი. არსებობს ცნობა, რომ ქორნილის ღამეს ეკატერინეს გული შესწუხებია, რასაც საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოუწვევია (ზაქარია ორბელიანის წერილი მანანა ორბელიანისადმი). გადმოგვცემენ იმასაც, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთთან ვერ იყვნენ შეწყობილი. ასეა თუ ისე, 1839 წ. ეკატერინე გათხოვდა და ბარათაშვილმა სამუდამოდ დაკარგა იგი (კატინა).

ეკატერინეს დაკარგვა მწარედ განიცადა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. კინალამ გადაჰყვა მას...

ვინ იცის, იქნებ მართალია კოლაუ ნადირაძე: „რატომ არა გვაქვს ეკატერინეს ძეგლი? ეკატერინე რომ არ ყოფილიყო, ბარათაშვილიც არ გვეყოლებოდა“ (კოლაუ ნადირაძის ინტერვიუ თინა ჩხაიძესთან).

**საქართველოს ცას ისევ ანაზებს  
ანგელოზივით გადაფრენილი —  
კატინას ეშხი და სილამაზე  
ტატოს ლექსებით გადარჩენილი.**

(ნ. ჯალაღონია — „ეკ. ჭავჭავაძის საფლავი მარტვილში“)

თუ ნინო ორბელიანსა და დელფინასთან დაშორება პოეტისათვის ტრაგედია არ გამხდარა, ეკატერინეს დაკარგვამ მის სათუთ სულს სამუდამო დაღი დააჩნია. ამით ეკატერინემ სამუდამოდ დააობლა ბარათაშვილი და სიმონ ჩიქოვანი საყვედურით მიმართავს მას („მინანერი: უცხო საყურე“).

**როგორ დაფუშე სულთა კავშირი, შენმა ტკბილმა ხმამ  
გული მატკინა.  
მტკვართან ზის ობლად ბარათაშვილი, რატომ  
დასტოვე მარტო, კატინა?**

ასე რომ, ეკატერინეს გათხოვების შემდეგ პოეტი საბოლოოდ დაობლდა სულით. რა დამოკიდებულება იყო ამის შემდეგ (1839 წ-ის მერე) პოეტსა და ეკატერინეს შორის? ეკატერინე



სამეგრელოდან ხშირად ჩამოდოდა თბილისში თავისიანებთან და ბარათაშვილს საშუალება ჰქონდა, შეხვედროდა მას. პავლე ინგოროყვა ფიქრობს, რომ მათი ინტიმური მეგობრობა 1839 წლის შემდეგაც გრძელდებოდა (ამასვე ფიქრობს დრამა „ბარათაშვილის“ ავტორი მიხეილ მრეველიშვილი, ალბათ, ინგოროყვას მონოგრაფიაზე დაყრდნობით. ასეთია ბიოგრაფიული ცნობები ბარათაშვილის სატრფიალო გატაცებათა შესახებ. ეს ბიოგრაფიული ცნობები საჭიროა, რომ უკეთ გავხსნათ სიყვარულის პრობლემა ბარათაშვილის შემოქმედებაში.

პავლე ინგოროყვას აზრით, პოეტი მას ლექსებს უძღვნიდა არამარტო გათხოვებამდე, არამედ მას შემდეგაც. მკვლევარის აზრით, ეკატერინესადმია მიძღვნილი ლექსები: „სული ობოლი“ (1839 წ.), „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „აღმოხდა მნათი“ (1840 წ.), „არ უკიჟინო სატრფოო“ ((1841 წ.), „ვპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“ (1842 წ.) და „შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელებელს“ (1843 წ.) (ყველა ეს ლექსი იაკობ ბალახაშვილის აზრით, მიძღვნილია ნინო ორბელიანისადმი). სიმართლე, ალბათ უფრო ინგოროყვას მხარეზეა.

ლექსებში „სული ობოლი“, „სატრფოვ მახსოვს“, „ვპოვე ტაძარი“ გადმოცემულია სატრფოს გათხოვებით გამოწვეული მძიმე განცდები და სევდა (ასეთივე განცდებია გალაკტიონ ტაბიძის „მერიში“, სატრფოს გარდაცვალებით გამოწვეული მძიმე განცდები გადმოცემული აქვთ ნოვალისს „ჰიმნები ლამისადმი“ და ედგარ პოს „ყორანში“). „სული ობოლში“ საუბარია იმ ობლობაზე, რაც პოეტმა განიცადა ეკატერინეს გათხოვების შემდეგ, „სატრფოვ მახსოვს“ — იმ ცრემლებზე, რომლებსაც ეკატერინე აფრქვევდა ქორნილის ლამეს, „აღმოხდა მნათში“ — ეკატერინეს გამოჩენაზე თბილისში (აქვე წერილი მაიკოსადმი „სული ობოლთან“ დაკავშირებით).

ლექსში „ჩინარი“ ცალმხრივ სიყვარულზეა საუბარი. მტკვარი ეტრფის ჩინარს, მაგრამ ჩინარი გულცივია და ყურადღებას არ აქცევს (ზოგი მკვლევარის აზრით, ჩინარი ეკატერინეა, მტკვარი — ბარათაშვილი, ქარი — რაყიფი. თუ ასეა, მაშინ ლექსი ალეგორიულია).

უმღერის თუ არა ბარათაშვილი გარეგნულ სილამაზეს? ლექსში „საყურე“ ნატრობს:

**ოი, საყურეო, გრძნებით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს!**

ეს არის ყველაზე ვნებიანი გამოთქმა ბარათაშვილის პოეზიაში, ისიც განძარცვული ყოველგვარი უხამსობა-ბინიერებისაგან. აგრეთვე „მიყვარს თვალები“ (დანერილია 1842 წ.). პოეტი უმღერის გარეგნულ სილამაზეს, კერძოდ, თვალებს:

**მიყვარს თვალები მიბნედილები,  
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები.**  
*(რომანტიკული თვალები)*

გარეგნული სილამაზის ტრფობაა აგრეთვე ლექსში „შენნი დალალნი“:

**შენნი დალალნი ყრილობენ გველად  
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად  
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ  
ხან ნუგეშისთვის, ხან დასანველად!  
ოდეს ნიაფი ლამაზს დალალებს  
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს  
მაშინ ჩემს თვალებს ალაგზნებს შური  
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს.**

დალალები, ნაწნავები ძველად სილამაზე და ქალის ღირსება იყო, დღეს ასე აღარაა. დალალების გველებთან შედარება ახალი არაა, რუსთაველი: „გველნი მოშლით მოეკეცენეს, ბალი შეღმა-შერაშენდა“, ან ალექსანდრე ჭავჭავაძე: „თმა კონოლსა, გველებერ გრაგნვით“. თმის ქება: „ვაქებ თავსა თმა-მდიდარსა“. მირზა გელოვანი: „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები, რომ თქვენი თმები დამაბრუნებდნენ“.

ადავრიშებენ — დავრიშად, მწირად აქცევენ; გადატანით — ათამაშებენ. „ალაგზნებს შური“ — შური ნიავისადმი. შდრ.: „რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს“ („ჩინარი“). მაშ ბარათაშვილი უმღერის ქალის გარეგნულ სილამაზეს, მაგრამ ეს ის სილამაზეა, რომლის აუცილებლობას დასავლური სიყვარულიც აღიარებს. ბარათაშვილი უარყოფს სიყვარულის აღმოსავლურ გაგებას და თავის შემოქმედებაში მტკიცედ ამკვიდრებს სიყვარულის რომანტიკულ კონცეფციას. თვით იმ ლექსებშიც კი, რომლებიც თითქოს ხორციელი სილამაზის ხოტბას წარმოადგენს („საყურე“, „მიყვარს თვალები“, „შენნი დალალნი“), არ შეინიშნება ვულგარიზმის ნასახიც კი. პოეტი ამ ლექსებშიც იჩენს არაჩვეულებრივ შინაგან ტაქტს და ზომიერებას. მეტიც, პოეტი სილამაზეს უმღერის, მაგრამ სწორედ ამ სილამაზეში ჭკრეტს უკვდავებას. ე. ი. ბარათაშვილის პოეზიაში აღმოსავლური სიყვარული კი არ არის, არამედ დასავლური, რომანტიკული, რომელიც სილამაზის არამცდაარამც არ გამოორიცხავს. მიჯნურს მოეთხოვება როგორც შინაგანი ღირსება („იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“), ისე გარეგნული სილამაზეც (რასაც თვალი აღიქვამს): „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს...“ (ამით იწყება, სხვა თვისებები შემდეგ მოდის. პირველ შთაბეჭდილებას და ეფექტს გარეგნული შეხედულება (სილამაზე) იწვევს, დანარჩენებს მერე ვიგებთ).

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ სიყვარული იყო ყველაფრის სანყისი. მათი წარმოდგენით, ჯერ იყო ქაოსი (არეულობა). ქაოსმა და გეამ (დედამინამ, გეომ) შვეს პირველი ღმერთი ეროსი. აი ამ ეროსმა მიანიჭა აზრი ამქვეყნიურ არსებობას. ეროსს გამოსახავდნენ ყმანვილის (ანცი ბიჭის) სახით, თანაც თვალახვეულს (ე. ი. „ბრმას“). ჩანათაში, რომელიც ყელზე აქვს ჩამოკიდებული, უწყვია ორნაირი ისრები — სიყვარულის და გულცივობის (სიძულვილის). ამიტომ შეუძლებელი იყო ეროსის საქციელის ლოგიკური ახსნა, იმის წინასწარ გამოცნობა, თუ როდის რომელ ისარს ამოიღებდა და საით ისროდა (ამიტომაა რომ ამბობენ, სიყვარული ბრმაა, მას კანონზომიერება არა აქვს..).

ეროსი ყველას იმორჩილებს. ეროსში უფრო ცხოველური ვნებები ჭარბობს. აფროდიტე (იგივე რომაული ვენერა) არის ნაზი სიყვარულის სიმბოლო.

საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში გაბატონებული იყო ორგვარი სიყვარული: 1. ხორციელი და 2. სულიერი (ანუ პლატონური, რომელიც ხორციელ დაახლოებას გამორიცხავს).

ხორციელი სიყვარული ხორციელი ღირსების (სილამაზის) ხოტბაა (კარგი ფეხების, ტანის, თვალების...) ყველაფერი ეს შეზავებულია ღვინის ტრფობასთან. ასეთი სიყვარული გულისხმობს მხოლოდ შიშველ სქესობრივ ლტოლვას, ცხოველურ ვნებას. ამის ნიმუშია ჩვენთვის ნაცნობი „ვისრამიანი“.

ასეთი სიყვარულია ასახული აგრეთვე ჯოვანი ბოკაჩოს (მე-14 ს. იტალიელი მწერ.) „დეკამერონში“, ფსიქოლოგიურ რომანში „ფიამეტა“. ასეთი სიყვარულის განუყრელი თანამგზავრია სიძვა, ფიცის გატეხვა, ადიულტერი (ფრანგ. სიტყ. ცოლ-ქმრული ლალატი), ცბიერება, გაუტანლობა. „დეკამერონში“ თვით მონაზვნებიც კი, რომლებსაც ღვთისთვის მარადი ქალწულობის პირობა მიუციათ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევიან. მათ არც იღუმენია (მონაზონთა უფროსი) ჩამორჩება. ე. ი. ეს ადამიანური გრძნობა მთლიანად გაშიშვლებულია და ცხოველურ ინსტინქტამდეა დასული. ან ფიამეტას ჰყავს ქმარი, რომელიც სავსებით შეჰფერის მას და რომელსაც თავისი ნებით მისთხოვდა. იგი კმაყოფილი იყო მეუღლით და ბედნიერად ითვლებოდა, მაგრამ ქმარი გაცვალა სხვაზე (პამფილოზე), რომელიც თავისი ღირსებებით ქმარზე ბევრად დაბლა დგას. რატომ? იმიტომ, რომ ძველი, რაც გინდ კარგი იყოს, მოგბეზრდება და ახალი მოგინდება, თუნდაც ეს უკანასკნელი არარაობას წარმოადგენდეს. ფიამეტა თავის თავს ეკითხება: „განა შენი ქმარი პამფილოზე უარესია? განა სათნოებით, კეთილშობილებით, ყველა თავისი ღირსებით იგი პამფილოზე მაღლა არ არის? ამაში ეჭვი ვის შეაქვს? მაშ რაზე მიეცი მეორეს უპირატესობა?.. იმიტომ რომ ძველი ნახული მოგბეზრდება ხოლმე და ახალი მოგინდება, თუნდაც უკანასკნელი არარაობას წარმოადგენდეს“. (აი, ამ ქალის მორალი). ფიამეტა, ამრიგად, აღვირახსნილი ქალია.

„ვეფხისტყაოსნის“ ფატმანი მასზე მალლა დგას. იმიტომ არ სჯერდება ქმარს, რომ ეს უკანასკნელი მისთვის შეუფერებელია, ფიზიკურადაც და სულიერადაც ჩია კაცია. (ფატმანს საშუალო ადგილი უჭირავს იდეალურ ქალებსა და ფიამეტას შორის).

ფატმანით ყოფილა აღფრთოვანებული ცნობილი მეცნიერი სიმონ გაჩეჩილაძე. „ფატმანი მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ უპირველეს გმირადა, მშვენიერების იდეალადაც ჰო ფატმანი მიაჩნდა, ეს ჰო თავისთვისა და რალა თქმა უნდა, რუსთაველის იდეალადაც მიაჩნდა ფატმანი“, — იგონებს ოთარ ჩხეიძე „ჩემ სავანეში“ (XVIთავი). იქვე განაგრძობს: „ფატმანსა სთვლიდა იდეალადაცა რენესანსისა,—რენესანსისა,—ქართული რენესანსისაცა და საერთოდ რენესანსისა, და ამით იწყებდა ქართულ რენესანსს, ფატმანით იწყებდა“ (ნაიკითხეთ ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“).

ე. ნ. „პლატონური სიყვარული“, სულიერი სიყვარული, მთლიანად გამორიცხავს ფიზიკურ (ხორციელ) სიახლოვეს. სულიერი სიყვარულის, ე. ი. პლატონური, ციური სიყვარულის (პლატონი — 427-347. ე. ი. V-IV ს. ძვ. ბერძ. ფილოსოფ.) მაგალითს იძლევა ფრანჩესკო პეტრარკა (მე-14 ს. იტალიელი პოეტი). პეტრარკას 21 წელი უყვარდა ლაურა და მას უგალობდა (უამრავი ლექსი აქვს მიძღვნილი). ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ცდილა, დაახლოებოდა მას. თავის „აღსარებაში“ პეტრარკა ამბობს: „ჩემთვის სავსებით უცხო იყო ხორციელი ვნება... თუმცა ჭაბუკობის ცეცხლი და ტემპერამენტი ამ სიმდაბლისკენ მიზიდავდა, — გულში მე ყოველთვის ვწყევლიდი მას“...

პლატონური სიყვარული თანდათან უკიდურეს სახეს იღებს: მიჯნური მამაკაცი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ სატროფო მას ნებას აძლევს, მასზე იფიქროს, შორიდან უყუროს და სხვა ამგვარი. ხანაც სიყვარულის ობიექტი არც არსებობს ცხოვრებაში (მაგ., დონ კიხოტის დულსინეა ტობოსელი).

ორივე ნაკლოვანია, ორივე უკიდურესობაა. პირველი („დეკამერონი“, „ფიამეტა“, „ვისრამიანი“) არის ამქვეყნიური, მაგრამ მარტოოდენ შიშველი, ხორციელი, არაიდეალური, მეორე

(პეტრარკას სიყვარული ლაურასადმი...) იდეალურია, მაგრამ არამექვეყნიური (მხოლოდ სულიერი და ირეალური).

მაშასადამე, ნამდვილი სიყვარულია ამ ორის შერწყმა-მორიგება. ამქვეყნიურიც იყოს და იდეალურიც. შუა საუკუნეების ლიტერატურაში არის ამქვეყნიური იდეალური სიყვარულის ასახვის ცდაც. აღმოსავლეთში ამის მაგალითია ნიზამი განჯელის (მე-12 ს.) „ლეილი და მაჯნუნი“, ევროპაში — „ტრისტან და იზოლდა“ და „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა მხოლოდ შოთამ.

პირველი ორი თხზულების გმირები ლეილი და ყაისი და იზოლდა და ტრისტანი სრულქმნილი ადამიანები არ არიან. ლეილი და ყაისი ყოველგვარ აქტივობასა და ნებისყოფას მოკლებულნი არიან. მათ მრავალი დაბრკოლება ხვდებათ, მაგრამ ისეთ პასიურობას იჩენენ, რომ ვერ სძლევენ მას და ველად გაჭრილნი, გონწართმეულნი, მხეცთა და ნადირთა შორის ეხეტებიან. ტრისტანი და იზოლდა კი აქტივობასა და ნებისყოფას თავიანთი კეთილისმყოფლის მოტყუებასა და ცბიერებაში ამჟღავნებენ.

სიყვარულს ადამიანისათვის ბედნიერება არ მოაქვს (უნდა მოუტანოს კი). ორივე ნაწარმოებში სიყვარულს მხოლოდ მოაქვს მწუხარება, ტანჯვა-წვალება. ორივეგან სიყვარული ტრაგიკულად მთავრდება. ნამდვილი სიყვარული — ამქვეყნიურიც და იდეალურიც (ე. ი. ორივე უკიდურესობათაგან თავისუფალი), თანაც ბედნიერების მომტანი, მოგვცა შოთამ. დაბრკოლებები ხვდებათ „ვეფხისტყაოსანის“ გმირებსაც. მაგრამ ჭირის დაძლევის გარეშე ადამიანი ვერ მიაღწევს ბედნიერებას. ცხოვრება რთულია, კეთილის და ბოროტის ბრძოლაა, უამრავი წინააღმდეგობაა, მაგრამ ადამიანმა უნდა დაძლიოს ისინი და „ვეფხისტყაოსანის“ გმირებმა დაძლიეს კიდეც. „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ ბარათაშვილი ამ მხრივ შოთას მემკვიდრეა, მას ემსგავსება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ნამდვილი სიყვარულის წყაროდ მიიჩნევს არა გარეგნულ სილამაზეს, არამედ შინაგან მშვენიერებას, მშვენიერ სულს. ჯერ კიდევ ყრმობის ლექსში „ნარგიზი და ყაყაჩო“ (1833 წ.) 16 წლის ჭაბუკი ამბობს:

## მშენიერება გარეგანი არს მართლად უმინაგანოდ ფუჭი.

ე. ი. გარეგნული, ფიზიკური ღირსება შინაგანი ღირსების გარეშე ფუჭიაო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით, ნამდვილი, ქეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ისაა, რომელიც დამოკიდებულია არა გარეგნული ღირსების პატივისცემაზე, არამედ ორი არსების სულიერ ნათესაობაზე. ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობაში ორ მხარეს ხედავს: „სილამაზეს“ და „მშვენიერებას“. „სილამაზე“ გარეგნული, ხორციელი ღირსებაა, ხოლო „მშვენიერება“ — შინაგანი. სილამაზე, ე. ი. ხორციელი ღირსება დროული და წარმავალია, „მშვენიერება“ კი „ნათელია, ზეცით მოსული“, ის მარადიული და აუცილებელია. სიყვარულის ასეთი გაგება ყველაზე სრულად და რელიეფურად გამოხატულია ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა...“ (დანერილია 1842 წ. პირველად დაიბეჭდა მის თხზ. 1876 წ. გამოცემაში). აი, რას ამბობს პოეტი ამ ლექსში:

**სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
და ვით ყვავილი თავის დროზე მჰსწრაფლად დაჭკნების;  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამჰსჭვალეზი,  
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები. (არამტკიცე)  
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული  
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული.**

[შეიძლება გავიხსენოთ საფოს (ზოგთა აზრით სალონის) სიტყვები: „ვინც სახით ლამაზია — მარტოოდენ მზერას აამებს, ვინც სულით მშვენიერია — სახითაც ჩნდება ლამაზი“].

მშვენიერება დაკავშირებულია შინაგან სამყაროსთან, სულთან, გულთან, გრძნობებთან. მშვენიერება უკვდავია და ქეშმარიტი სიყვარულიც (მტკიცე და ხანიერი) ისაა, რომელიც მშვენიერებაზეა დამყარებული.

**თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს**

**მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა  
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!**

ე. ი. ვერავითარი შემთხვევა (შორს ყოფნა, ფიზიკური სილა-  
მაზის დაკარგვა...) ვერ იმოქმედებს.

**მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,  
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!  
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება  
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება.**

*(ე. ი. ღმერთი)*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში არავის მოუცია სიყვარულის ასეთი ახსნა, ასეთი ღრმა ფილოსოფიური დასაბუთება. ჭეშმარიტი სიყვარული ორი არსების სულიერ ნათესაობაზეა დამყარებული, გადაგვიშლის ცხოვრების აზრსა და საიდუმლოებას. პოეტი მზად არის, ასეთი სიყვარულისთვის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, დასწვას გულიც კი და ფერფლი ვითა საკმეველი შესწიროს სატრფოს, თავის სალოცველს. სიყვარულის ასეთი ამალღებული, კეთილშობილი განცდა პოეტს აკავშირებს, აახლოებს ცხოვრებასთან. ლექსში „შევიშრობ ცრემლსა“ ვკითხულობთ:

**შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,  
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,  
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,  
შევჰსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!  
მისთ თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი ღიმია შვების მომცემი,  
ჩემი წარმწყმედი, მაცხოვრებელი,  
ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!  
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,  
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად  
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!**



„ბარათაშვილის ეს ლექსი სიყვარულის რომანტიკური გაგების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს როგორც ქართულს, ისე მსოფლიო პოეზიაში“ (აკაკი განერელია).

ბარათაშვილისთვის სატრფო ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია. აი, როგორი გზნებით მიმართავს იგი სატრფოს ერთ ლექსში, რომელიც დაწერილია ხალხურ კილოზე.

**მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალეზიანო,  
დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!  
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თაყვანსვცემ**

**შენსა სახელსა;**

**დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!  
ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა სანყალი,  
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი,  
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,  
მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?**

ლექსი დაწერილია ნახიჭევანში 1845 წ. 10 იანვარს (ნახიჩევანში ბარათაშვილი ცხოვრობს 1844 წ. ნოემბრიდან 1845 წ. მარტის მიწურულამდე). სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყებოდა ბარათაშვილის პოეზიის განვითარებაში. ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის უკანასკნელი ლექსი (იგულისხმება, ცხადია, ჩვენამდე მოღწეული). ლექსი პირველად დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ მე-2 ნომერში. ავტოგრაფი არ შენახულა.

ეს ლექსი ყურადღებას იპყრობს თავისი გარეგნული ფორმითაც. როგორც ვხედავთ, ის ხალხურ კილოზეა დაწერილი. ლექსი ნახიჩევანიდან პოეტმა გამოუგზავნა მაიკო ორბელიანს წერილითურთ. წერილში (1845 წ. 9 თებ.) აღნიშნავდა: „აი, ამ ქართულ ლექსს გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა — მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ“.

სხვათა შორის, ამ წერილში საუბარია ნახიჩევანში გაცნობილ თათრის ქალზე — გონჩა ბეგუმ: „ახლა ნახიჩევანში ერთი ახალი ლექსია, 18 წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია... საცო-

დავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს; სანყალი 12 წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ — ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, — ამ ლექსში თავის თავს სტირის. ერთ ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიფო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო — ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოვიგზავნით”.

მეორე გვერდზე ლევან მელიქიშვილს მიუწერია: „ტატო დღე და ღამე იხვეწება, თუ ღმერთი გნამს, გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“. აქედან გავრცელდა თბილისში ჭორი — ტატოს ხანის ქალი შეყვარებიაო.

სიყვარული, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეზიაში სავსებით რომანტიკული გაგებითაა წარმოდგენილი. პოეტი თითქმის არასდროს არ ლაპარაკობს ვნებაზე და ამჯობინებს, გამოსახოს შეყვარებულ სულთა ერთიანობა. ბარათაშვილი ქალში უმთავრესად ეძებს სულიერ მშვენიერებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილს სიყვარული არასდროს არ ესმის მარტოოდენ აბსტრაქტულ იდეად. პოეტის შეხედულება სიყვარულზე სრულიადაც არ წარმოადგენს სიყვარულის პლატონური გააზრების ნაყოფს. ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობაში არ გამორიცხავს ხორციელ მხარესაც. პოეტის აზრით, ჭეშმარიტი ცხოვრება ფიზიკურ და სულიერ თვისებათა ნათესაობაა.

რომანტიკოსები მშვენიერებას რომ უმღერიან, — ეს როდი ნიშნავს სილამაზის უარყოფას („ლამაზი“ — გარეგანი, ფიზიკური ღირსებაა, „მშვენიერი“ — გარეგანთან ერთად შინაგანიც. ე. ი. „მშვენიერება“ უფრო ფართო ცნებაა და მასში შედის „სილამაზე“, როგორც ნაწილი მთელში).

## სევედა

ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა ღრმა და ბევრისმომცველია. მას სევდისათვის ჰქონდა მრავალი მიზეზი, თითქმის ყველა: საზოგადო-ეროვნულიც, კერძო-პირადულიც და „მსოფ-

ლიო სევდაც“. ბარათაშვილის გული მოკლული, დაწყულულებული იყო „კაცთ სიავით“ და „ბედის ბრუნვით“ (როგორც ამბობს ლექსში „ვპოვე ტაძარი“). ცხოვრებამ პოეტი გახადა „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ („სულთ ბოროტო“).

ბარათაშვილის პესიმიზმი, ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისა, ძირითადად გამონვეული იყო გარკვეული ისტორიული მიზეზებით, სახელდობრ იმით, რომ საქართველომ მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა და რუსეთის კოლონიად იქცა. თავის დროზე ჩვენ დაწვრილებით მიმოვიხილეთ საკითხი — ეროვნული მოტივი ბარათაშვილის შემოქმედებაში. საგანგებოდ შევჩერდით, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულებასთან ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე. ბარათაშვილი 1832 წლის შეთქმულებასთან, როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზაციულად არ ყოფილა დაკავშირებული (იმის გამო, რომ მაშინ სრულიად ახალგაზრდა გახლდათ), მაგრამ ამ შეთქმულებასთან დაკავშირებული იყო იდეურად. შეთქმულების ჩავარდნა გიმნაზიელმა ბარათაშვილმა მეტად მწვავედ, მეტად მტკივნეულად განიცადა (გვექონდა ყოველივე ამაზე საუბარი), იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მწვავედ, რა მტკივნეულად განიცდიდა ბარათაშვილი საქართველოს ეროვნულ ტრაგედიას, ჩვენ მოვიხმეთ პოეტის გიმნაზიისდროინდელი მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება, გამოქვეყნებული გაზ. „დროებაში“ (1881 წ.).

ასე ძლიერ, ასე მტკივნეულად განიცდიდა ბარათაშვილი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას და სწორედ ეს იყო ის ძირითადი წყარო, რომელიც კვებავდა და ასაზრდოებდა მისპესიმიზმს. ესაა სხვა ქართველ რომანტიკოსთა სევდის ძირითადი წყაროც. ქართული რომანტიზმი ხომ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული. მაგრამ საქართველოს ეროვნული ტრაგედია იყო ბარათაშვილის პესიმიზმის ერთ-ერთი მიზეზი და არა ერთადერთი. ნიკოლოზ ბარათაშვილს სევდისა და მწუხარებისათვის ჰქონდა სხვა მიზეზიც — პირადი ბედის ტრაგედია, პოეტის ცხოვრების გზა. ვიცნობთ რა პოეტის ბი-

ოგრაფიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრების ასეთ გზას, ასეთ პირად ხვედრს შეუძლებელია გარკვეული გავლენა არ მოეხდინა ბარათაშვილის პესიმისტური მსოფლმედველობის გამომუშავებაზე.

ბავშვობის წლებში მას მომავალი ესახებოდა ბრწყინვალედ. გიმნაზიელობისას ბევრს ოცნებობდა მომავალ ბედნიერებაზე, უკეთეს მერმისზე, მაგრამ მკაცრმა სინამდვილემ, უღმობელმა პირადმა ხვედრმა ყრმა ბარათაშვილის ოცნებებს ფრთები შეაჭრა: ჯერ იყო და გიმნაზიის კიბიდან გადმოვარდა და სამუდამოდ დაკოჭლდა (ამან ხელი შეუშალა, შესულიყო სამხედრო სამსახურში), შემდეგ, 1835 წ., როცა გიმნაზია დაამთავრა და ის იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა, მამა, მელიტონ ბარათაშვილი მძიმე ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა. ისედაც გაღარიბებული ოჯახი უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და ნიკოლოზიც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მამის სურვილს — შესულიყო სამოქალაქო სამსახურში. იგი თავის იმდროინდელ სულიერ განცდებს ნათლად გადმოგვცემს კერძო ბარათში, რომელიც 1837 წ. თებერვალში სწერდა მამინ გადასახლებაში მყოფ ბიძას, გრიგოლ ორბელიანს (თავის დროზე ჩვენ ამ წერილიდან ვრცელი ამონაწერიც მოვიყვანეთ): „დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდახან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას — ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება“. ან ერთი ან მეორე...

„მკაცრი ბედი“ პირველად აქაა ნახსენები. პოეტი შემდეგ შეუპოვრად ებრძვის ამ მკაცრ ბედს. მკაცრი ბედი პერსონიფიცირებულია ზოგჯერ „ბოროტი სულის“, ზოგჯერ „შავი ყორნის“ სახით (ლექსებში „სულო ბოროტო“, „მერანი“).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძლიერი სული მოითხოვდა ვრცელ ასპარეზს მოღვაწეობისათვის. იგი მუდამ მიილტვოდა აქტიური მოქმედებისაკენ, ცხოვრების შუაგულისკენ. ყოველთვის გრძნობდა თავის დიდ მისიას, დიდ მონოდებას. სიყრმიდანვე იღუმალი ხმა (შინაგანი ხმა) მოუწოდებდა საუკეთესო მხვედრისაკენ, აქტიური მოქმედებისკენ, ვრცელი ასპარეზისკენ. იმ დღიდან, რაც თვალი გაახილა (ჩვილობის ასაკიდან გა-

მოვიდა) და ნუთისოფელი იცნო, იღუმალი ხმა თან სდევდა და ცხადად თუ სიზმრად სულ ერთსა და იმავეს ურჩევდა — ეძებნა თავისი მხვედრი... მაგრამ ამაოდ. სინამდვილის ბნელმა ძალებმა გზა დაუხშვეს და მხვედრი ვერ იპოვა და სწორედ ამიტომ პოეტის სულს კაეშანი დაეუფლა. აი, ლექსი „ხმა იღუმალი“, რომელიც დაწერილია 1836 წ. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1836 წელი სწორედ ის ჟამია, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, უბრალო მოხელედ შევიდა „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში“. ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც საბოლოოდ დაიმსხვრა პოეტის ადრინდელი ბრწყინვალე ოცნებანი და დაიწყო ახალი მონაკვეთი — უფერული და მოსაწყენი. აი, რას ვკითხულობთ ლექსში „ხმა იღუმალი“:

**რა ვსცან პირველად ნუთისოფელი,  
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
ჩემთა ზრახვათა და სანადელთა!  
ცხადად თუ სიზმრად მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:  
„ეძიე, ყმაო, შენ ხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“  
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!  
ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი  
ან თუ ეშმაკი მაცთური ჩემი?  
ვინცა ხარ მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?  
როს ვცნო მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?**

აი, ამ წელს (1836 წ.) გაჩნდა მის პოეზიაში „კაეშანი“ და ისე ჩავიდა სამარეში, ეს კაეშანი ვერა და ვერ მოიპორა.

კაეშანს უნდა შეებრძოლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველას არ შეუძლია. ზოგჯერ კაეშანი, დიდი, მწარე ნაღველი იჩოფი-

თებს, იჯაბნებს ადამიანს და ხშირია შემთხვევა, რომ შეინი-  
რავს კიდევ (ვინ იცის, რამდენი გარდაიცვალა უზომო დარ-  
დისგან). კაემანი, სევდა ღრუნის, ჭამს ადამიანის სულსა და  
გულს, სხეულს, როგორც ჟანგი რკინას, ფითრი ხეს.

ადამიანთა ერთი ნაწილი ებრძვის კაემანს, მაგრამ როგორ?  
სხვადასხვა საშუალებებით. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად  
ბევრს მიაჩნდა (და მიაჩნია) ღვინო. ომარ ხაიამი, მაგ., ღვინის  
კარგ თვისებათა შორის ერთს ამას ასახელებს — დარდს აქარ-  
წყლებსო. ამასვე ამბობდა რაფიელ ერისთავი. ომარ ხაიამს  
ბევრი ჰყავდა თანამოაზრე როგორც ირანში, ისე სხვაგანაც,  
მათ შორის საქართველოში (ღვინის ქვეყანაში). ეს, ცხადია,  
მცდარი გზაა. ღვინო ერთ მომენტში მართლაც აქარწყლებს  
დარდებს, მაგრამ ეს ნუთიერია, დროებითია, შემდეგ ისევ ღვი-  
ნოს უნდა მიმართოს (მამია გურიელი, ვარლამ ჟურული, გიორ-  
გი ქუჩიშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური — ესენი მართო პოეტე-  
ბი). ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ გზას არ დადგომია. რაიმე მი-  
ნიშნება ამაზე მის ლექსებში არ არის. ისე ღვინო კი აქვს ნახსე-  
ნები, მაგრამ სულ სხვა კონტექსტში.

„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნი... სამჯერ ხომ მაინც გადაჰკ-  
რავს ღვინოს?“ ან: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით. შესვი?  
გაამოს“ („კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“). ლხინი და ქეიფი  
სხვაა და დათრობა და ღრეობა სხვა.

სევდის გასაქარვებლად ბარათაშვილი მიმართავდა სხვა სა-  
შუალებებს:

1. ბუნებას. ბუნებასთან კონტაქტ-ურთიერთობა ადამიანს  
გარდაქმნის, გადაახალისებს. პოეტი მიაშურებს ბუნებას, რა-  
თა მის წიაღში დაისვენოს და იქ პოვოს ობოლი სულის ორეუ-  
ლი, იქ პოვოს მეგობარი, ტოლი, რაც ვერ ნახა ადამიანთა შო-  
რის, საზოგადოებაში: „ოი, სალამოვ, მყუდროვ საამოვ, შენ  
დამშთი ჩემად სანუგეშებლად, როს მჭმუნვარება შემომესევის,  
შენდა მოვილტვი განსაქარვებლად“. აქ პირდაპირაა ნათქვამი,  
თუ რისთვის მიელტვის ბუნებას. ან კიდევ: „ნარვედ წყალის  
პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად, აქ ვეძიებდი ნაცნობ ად-  
გილს განსასვენებლად“. ე.ი. ეს ადგილი პოეტისთვის ნაცნობია

(ადრეც ბევრჯერ სწვევია). ეს წყალი (მდინარე) არის მტკვარი. ჩვეულებრივ, ბუნებამ (მდინარემ) უნდა დაამშვიდოს ადამიანი, მოაშოროს სევდა, მაგრამ ბარათაშვილის სევდა იმდენად ღრმაა და ბევრისმომცველი, რომ ბუნებამაც ვერ უშველა. პირიქით, აქ კიდევ უფრო დაეუფლება სევდა და „მსოფლიო კითხვები“ აღეძვრის: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული...“

აქ შეიძლება ასეთი შედარება მოვიშველიოთ. როდესაც დამწუხრებულმა ვაჟამ მიმართა მდინარეს — მშობლიურ არაგვს, სულ სხვა შედეგი მივიღეთ:

**დანუხებულმან, არაგვო, რო გნახე, გავიხარეო,  
სრულიად გამოვიცვალე, წელშიაც ავიხარეო.**

2. გართობა. პოეტი მიმართავს ჩონგურს (ლექსი „ჩონგურს“ 1837 წ.). აქ მაინცდამაინც ჩონგური კი არ იგულისხმება, არამედ საერთოდ გართობა-მხიარულება. ჩონგური იმისთვისაა მონოდებული, რომ თავისი მხიარული ხმებით სხვებიც გაახალისოს და ეს ჩვეულებრივ ასეც ხდება, მაგრამ ბარათაშვილს აქაც არ გაუმართლდა:

**ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,  
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!**

მაგრამ ამაოდ:

**მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი?  
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.**

ე.ი. პოეტს ამ მეორე გზამაც უმტყუნა.

3. მიმართავს ქალს (სატრფოს), სიყვარულს. იქნებ სატრფომ მაინც გამოუდაროს დაბინდული გული, ბნელი გული. აი ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ (1837 წ.):

**ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა!  
მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
შენგან ბნელი გული გამომიდარე.**

ე.ი. ბარათაშვილი აპათიაში კი არაა ჩავარდნილი და ხელი კი არ ჩაუქნევია, არამედ ებრძვის პესიმიზმს, შფოთავს და ბორგავს, ეძებს გამოსავალ გზებს. სხვა საკითხია, რა შედეგებს აღწევს. აი, შედეგს ნამდვილად ვერ აღწევს — სიყვარულშიც არ გაუმართლდა.

პოეტის ყველაზე ძლიერი გატაცების საგანი — ეკატერინე ჭავჭავაძე 1839 წ. 18 მაისს დავით დადიანზე გაათხოვეს და ნიკოლოზ ბარათაშვილმა სამუდამოდ დაკარგა იგი. ე.ი. ბარათაშვილს ვერსად და ვერაფერში ვერ გაუმართლდა. ის იყო, ასე ვთქვათ, ყველგან და ყველაფერში ხელმოცარული ადამიანი. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მის სატრფიალო ლირიკაშიც ღრმად შეჭრილა პესიმიზმი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „სატრფოვ, მახსოვს...“ (საწერილი 1840 წ.):

**სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი  
მშვენიერნი ცრემლით კრთოდნენ,  
და ბაგენი მდუმარენი  
ხვაშიადსა მიმალვიდნენ!**

შდრ. გრიგოლ ორბელიანი:

„ეგე ცრემლი ოჰ, ვით გშვენის“

(„ვაუჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ, რკინაც ტყდება რომ სცემს გრდემლი,

კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი“).

სიყვარულს ყოველთვის როდი მოაქვს სიხარული. უფრო პირიქით — ხშირად მოსდევს ტრაგედია (გაგიჟება, დაჭლექება, თვითმკვლელობა...), ტანჯვა და ცრემლი.

ეს ცრემლი და მწუხარება თვითონ ეკატერინესაც რაღაც



არამეცვენიურს ხდიდა. ეკატერინეს ცრემლების მიზეზი ცოტა არ იყოს, გაუგებარი ყოფილა. თურმე ეს „ცრემლი უცნაური“ პოეტის ობლობის მაუნყებელი გახლდათ.

**მაგრამ, სულო, იგი ცრემლი  
არ სტიროდა ამ სოფელსა;  
სახე შენი მონყენილი  
არა ჰგავდა ხორციელსა!  
ან მივხვდი მე, უბედური,  
თვალთა შენთა მეტყველებას:  
თურმე ცრემლი უცნაური  
მოელოდა ჩემს ობლობას!**

მაგრამ არსად, ბარათაშვილის არცერთ სხვა ნაწარმოებში ისე სრულად და რელიეფურად არაა გამოხატული მარტოობისა და სასონარკვეთილების განცდა, როგორც ლექსში „სული ობოლი“. მასში პოეტი გარკვევით ლაპარაკობს სულიერი ობლობის შესახებ. თუ ლექსში „სატრფოვ მახსოვს“ ამაზე მხოლოდ მინიშნებაა, აქ თავიდან ბოლომდე სულით ობლობაზეა საუბარი. „სული ობოლი“ კერძო-პირადულ სევდაზეა აღმოცენებული, მაგრამ ეს განცდა გადაიზარდა მსოფლიო სევდაში. მეგობარსა და ნათესავს მოკლებული ადამიანი კვლავ შეხვდება ახალ მეგობარსა და ნათესავს, კვლავ იპოვის გულის სანაცვლოს, მაგრამ სულ სხვაა სულით ობოლი. ასეთი ადამიანი სამუდამოდ განწირულია მწუხარებისთვის, იგი ვერასდროს ვერ იპოვის დაკარგულის სანაცვლოს. აქ საუბარია ტოლის, სწორის დაკარგვასა და ამით გამონვეულ სულიერ ობლობაზე (ეს ტოლი, სწორი ეკატერინეა). ასეთ ადამიანს „არღარა აქვს ნდობა ამა სოფლის“, „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“. სულით დაობლებული ადამიანი მხოლოდღა ოხვრასა და მწუხარებაში პოულობს შვებას:

**ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!**

საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,  
ძნელდა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!  
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!  
არლარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;  
აშინიან, იკრძალვის, არლა იცის,  
ვის აუნყოს დაფარული მან გრძნობა,  
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!  
ძნელი არის მარტოობა სულისა;  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ეს ლექსი დაწერილია 1839 წ. (პირველად დაიბეჭდა 1860 წ. „ცისკრის“ მე-11 ნომერში). ე.ი. ბარათაშვილის ლექსებში „სატრფოვ მახსოვს“ და „სული ობოლი“ გადმოცემულია სატრფოს გათხოვებით გამოწვეული სევდა.

როდესაც ლექსზე „სული ობოლი“ ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ მოვიგონოთ ბარათაშვილის კერძო ბარათი მეგობარი ქალის მაიკო ორბელიანისადმი (დაწერილია 1842 წ. ოქტომბერს).

შეიძლება ითქვას, რომ ეს კერძო ბარათი წარმოადგენს „სული ობოლის“ თავისებურ პროზაულ კომენტარს (საერთოდ, ბარათაშვილის კერძო წერილები ხშირად მისივე ლექსთა პროზაული კომენტარია, ამიტომაც ლექსების ანალიზისას კერძო წერილების მოშველიება არამცთუ სასურველია, არამედ ზოგჯერ აუცილებელიც). პოეტი მეგობარ ქალს გადაუშლის თავის სულიერ განცდებს.

მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო ნათესავი (ქაიხოსრო გიორგის ძე და ეფემია მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ. მაიკო ტატოზე რამდენიმე თვით იყო უმცროსი (დაიბადა 1818 წ.) და ბავშვობიდან ერთად იზრდე-

ბოდნენ. მაიკო იყო განათლებული (ქართული და რუსული მწერლობის კარგი მცოდნე), კულტურული, ნატიფი გემოვნების, ჭკვიანი, ულამაზესი (ექვსი ნაწნავი ჰქონდა). 1837 წ. მაიკო დასწრებია ნიკოლოზ I-ის პატივისცემად გამართულ ბალს. იმპერატორის ყურადღება მიუქცევიათ ნინო ჭავჭავაძესა და მაიკოს.

მაიკოს უფროსი ძმა მიხაკო (1817-1846 წ.) პოეტი და ეპიგრამისტი იყო (ესეც ბარათაშვილის მეგობარი).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ყველაზე გულითადი და სათუთი მეგობრობა ჰქონდა მაიკოსთან. ისინი ერთმანეთს არაფერს უმაღავდნენ. ჰქონდათ მიმოწერა. ჩვენამდე მოღწეულია ნიკოლოზის 4 ბარათი. ოთხივე იწყება ერთნაირად: „საყვარელო დაო, მაიკო!“ და მთავრდება ერთნაირად: „შენი მარადის ერთგული ტატო, თუნდ ნიკოლოზი“ (ან „შენი მარადის ერთგული ძმა ნიკ. ბარათ“.). სამწუხაროდ, არაა მოღწეული მაიკოს საპასუხო წერილები და საერთოდ ნიკოლოზთან მიწერილი სხვების ბარათები.

მაიკოს სიყვარულიც ტრაგიკული აღმოჩნდა. ამ მხრივ მათი ბედი მსგავსია.

მაიკოს უყვარდა ლევან მელიქიშვილი, რომელიც მის ოფიციალურ საქმროდ ითვლებოდა. 1840 წ. მაიკოს და ლევანს უგვირგვინოდ შეეძინათ ვაჟი — ივანე. მიუხედავად საზოგადოების მიტემა-მოთქმისა, ლევანი ჯვრის დაწერას არ ჩქარობდა (იმ ხანებში ღარიბად ცხოვრობდა და ეს აყოვნებდა). 1842 წლიდან მაიკო ჭლექით დასწეულდა („შენი ავადმყოფობა შევიტყვე...“). 1845 წ. 9 ოქტ. გარდაიცვალა ტატო. ეს იყო ახალი დიდი ტრაგედია მაიკოსი. ერთი წელიც არ გასულა, ტრაგიკულად გარდაეცვალა ერთადერთი ძმა მიხაკო. ამის შემდეგ უფრო გაუძლიერდა ჭლექი. ავადმყოფობის შიშით შვილსაც აღარ ეკარებოდა. ლევანს წინადადება მიუცია ჯვრისწერისა, მაგრამ მაიკოს ეს გაჭიანურებული ჯვრისწერა უკვე აღარ აინტერესებდა და უარი უთქვამს. გარდაცვლილა 1849 წ. 11 თებერვალს 30 წლისა. ლევანმა გულმდუღარედ დაიტირა. 1854 წ. შეირთო მამუკა ორბელიანის ასული ალექსანდრა (ამ ქალმა კარგად მოუარა, გაზარდა მაიკოს ვაჟი ივანე, რომელიც 1877 წ. ყარსის ბრძოლაში დაიღუპა).

მაიკოსადმი ლექსი აქვს მიძღვნილი გიორგი ერისთავს „მ [აიკ] ოს“:

რათა ხარ აგრე შენ ფერმიხდილი?  
შენთ ტურით რად ჰკარგეს ტურფა ღიმილი?  
ვერა დაჰფარავ ჩემგან მაგ ტრფობას,  
ამალღებულსა და ტკბილსა გრძნობას,  
ვიცი ვინც გიყვარს, რათა ჰსწითლდები?  
გატყდი, ხომ იცი, ყველას მივხვდები.

მაიკოს კარგად იცნობდა იაკობ პოლონსკი, რომელიც ლექსში „დღესასწაულის შემდეგ“ [მარტყოფის დღესასწაულზეა საუბარი] მაიკოს ორგზის მოიხსენიებს.

საყვარელო დაო, ძვირფასო მაიკო!  
მარტოდ ვარ, მომწყინდა, მომწერე ბარათი,  
რას სწუხარ, რა მოხდა, ასეთი რა იყო,  
რად ჭკნები ასული, სათნო და თვალადი?  
(ს. ჩიქოვანი „მეორე ბარათი —  
მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“)

აი, ამ მაიკოსადმი მიწერილი წერილი არის ტიპური რომანტიკოსის წერილი, ბარათი მართლაც სულით დაობლებული ადამიანისა. იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც ამ წერილს ენიჭება საერთოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმისა და კერძოდ მისი ლექსის „სული ობოლი“ გასაგებად და ასახსნელად, ჩვენ მას უხვად დავესესხებით:

„ეს ლამეც წავიდა ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ (ე.ი. მოწყენილობა პოეტისთვის ჩვეულებრივი ამბავია). ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე მაიკო, სიმწარე იმ კაცისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავ-

ვალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრაღულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული — მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემბრალებ. ყმანვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მაჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“.

ესაა მთელი აღსარება. პოეტის შინაგანი სამყარო, ობოლი სულის განცდები არცერთ სხვა წერილში ასე რელიეფურად არაა გადმოცემული. ასე გულწრფელია პოეტი მაიკოსთან. არავისთვის არ გაუნდვია აღსარება ასე.

ერთი სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი ცდილობს, სიყვარულში იპოვოს სულიერი სიმშვიდე, ცხოვრების ამაოებისაგან

თავი შეაფაროს სიყვარულის ტაძარს. ლექსში „ვპოვე ტაძარი“, რომელიც დაწერილია 1841 წ., იგი ამბობს:

**ვპოვე ტაძარი, შესაფარი უდაბნოდ მდგარი**  
(ცხოვრება უდაბნოა)

**მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი.**  
**მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ლელვით,**  
**მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით.**

თავის თავს მწირს ეძახის ამ ლექსში: „და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი“.

**გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით**  
**ლამპარი წმინდა განმიტფობდა ციურის სხივით!**

აქ პირდაპირაა მითითებული ბარათაშვილის სევდის მიზეზები (კერძო-პირადული და საზოგადო-საქვეყნო).

პოეტმა ერთი წუთით თითქოს იგრძნო სიამე და ნეტარება. მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, წყეულმა სინამდვილემ კვლავ მოუსპო მას მოჩვენებითი სიამე. პოეტის გულში ისევ და ისევ სევდა და წყვდიადი დაისადგურებს.

**მაგრამ სანუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?**  
**განქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;**  
**მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,**  
**მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!**

ე.ი. პოეტს ვერც სიყვარულში გაუმართლა. ამიტომ, როგორც წინათ, ამის შემდეგაც დადის ობლად, „ისევ მწირი, მიუსაფარი“. მას დაეხშო ნუგეშის ეს კარიც.

**ვერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!**  
**ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!**

ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,

და დავალ ობლად ისევ მნირი, მიუსაფარი!

(პირველად დაიბეჭდა 1860 წ., „ცისკარი“, მე-5 ნომერში)

ეს ლექსი სხვადასხვანაირადაა კომენტირებული. ზოგს (ვთქვათ, გერონტი ქიქოძეს) მიაჩნია, რომ აქ საუბარია ტაძარზე პირდაპირი გაგებით (როგორც ღვთისმსახურების საკულტო შენობაზე). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის ასე. აქ საუბარია სიყვარულის ტაძარზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა ყველაზე უფრო განზოგადებული სახით წარმოჩენილია ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ (დაწერილია 1837 წ., პირველად დაიბეჭდა 1862 წ. „ცისკრის“ პირველ ნომერში). აქ გამოხატულია მსოფლიო სევდა, იდეა იმისა, რომ ყოველივე არის ამაოება და წარმავალი (გაიხსენეთ ეკლესიასტე: ყოველი ცოცხალი არსება მოკვდავია, ყველა მინაში მიდის, სასაფლაო, მიწა ასწორებს ყველას — ბრძენსა და სულელს, მდიდარსა და ღარიბს...): „სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა, ის აუცილებელია, რათა მოკვდავი ადამიანი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს. ბედკრულის ნუგეშინისცემა, დასასრული ბედნიერებისა“ (ბარათაშვილის წერილი მიხეილ თუმანიშვილთან).

სასაფლაოს პოეზიის უანრი შექმნეს ინგლისელმა სენტიმენტალისტმა პოეტებმა. საყურადღებოა, მაგ., ტომას გრეის (მე-18 ს. ინგლისელი პოეტი) პოემა — „ელეგია, დაწერილი სოფლის სასაფლაოზე“.

გავიხსენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ყმანვილი ქალის საფლავზე წარწერილობა“. გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო ბარათი... ესაა ეკლესიასტე. აქაა მსოფლიო სევდა. ეს კერძო ბარათი ერთ პოემას უტოლდება.

(სასაფლაოს ყველაზე დიდი მებოტბე ჩვენში იყო ტერენტი გრანელი. „უშნო, უღონო, დაუბანელი მათხოვარივით საფლავებს მისდევს“. განსაკუთრებით უყვარდა პეტრე-პავლეს სასაფლაო. იქ მიცვალებულის ლოდზე დანვებოდა და ღამეს ათევდა მკვდრებში. მერე იქ დაკრძალეს... ლექსების წიგნი: „პანაშვიდები“, „სულიდან საფლავები“, „მემენტო მორი“).

„იგი [ნიკოლოზ ბარათაშვილი] მით უფრო ძლიერია ლირიკაში ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანზედ, რომ მისნი გულისტქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“ (ილიას წერილიდან).

სულიერ მეგობრებს მოკლებული პოეტი მწუხარებისა და სევდის განქარვების მიზნით ბუნებას მიაშურებს („წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად, აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად“).

მაგრამ აქ, ბუნების წიაღში, მტკვრის პირას იდაყვდაყრდნობით მეოცნებე პოეტს უფრო მეტად დაეუფლება მწუხარება და მეღანქოლია („იდაყვდაყრდნობით ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა და თვალნი რბიან შორად, შორად ცის დასავალსა“). პოეტს მაშინდელი ყოფა და საერთოდ, წუთისოფელი, ცხოვრება წარმოუდგება ფუჭად, ამაოებად. მტკვარი იყო და იქნება, ადამიანები კი მოდიან და მიდიან (შდრ: „გოგჩა“), იბადებიან და კვდებიან. ვინ იცის, რამდენი თაობა გააცილა და კიდევ რამდენს გააცილებს. მხოლოდ ბუნებაა მარადიული:

**ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი,  
მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...**

**არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?**

ლექსში პოეტი სვამს ყოფნა-არყოფნის პრობლემას (შდრ. „ჰამლეტი“: „ყოფნა-არყოფნა — საკითხავი აი ეს არის“). პოეტს აინტერესებს, თუ „რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი“. ბარათაშვილის აზრით, „ჩვენი ყოფა-წუთისოფელი“ არის „საწყაული აღუვსებელი“, ლტოლვა მიზნისკენ მარადიული და დაუსრულებელია. ადამიანი არასოდეს არაა კმაყოფილი მიღწეულით და,



მაშასადამე, არაა ბედნიერი (ბედნიერია ის, ვინც კმაყოფილია იმით, რასაც მიაღწია, „თუ კაცი ხარბი არ არის, ის მდიდარია“).

**მაინც რა არის ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?**

„მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ ნუთის სოფლისა“ (მაიკოსადმი წერილი), ე.ი. ამ ნუთისოფლით კმაყოფილი არავინ არაა. ბედნიერება (თუკი არის ამქვეყნად ასეთი რამ) ხანმოკლე და შეურჩენელია („სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“). ბარათაშვილი გულისხმობს ადამიანის სულიერ და გონებრივ მისწრაფებებს და არა ფიზიკურს, სხეულებრივს.

შეიძლება, ადამიანს ხარისხი და ნოდებები, ჩინ-მედლები, თანამდებობები, ქონება და ა.შ. ჰქონდეს და მაინც უბედური იყოს (თუკი არაა ყოველივე ამით კმაყოფილი და მეტს ეპოტინება). მეორე მხრივ, არავითარი ჩინ-მედლები, თანამდებობა, ქონება... ერთი უბრალო ფაცხა და უბრალო (პრიმიტიული) ცხოვრება და ბედნიერი იყოს (მაგ., ნაზიბროლა და ბათუ).

ბარათაშვილის ლექსში საუბარია სულიერ და გონებრივ მისწრაფებებზე და არა ხორციელ-მატერიალურზე, თორემ ილიას ლუარსაბის აზრითაც ადამიანი ძირგავარდნილი ქვევრია, მაგრამ ლუარსაბის აზრით, ადამიანი მარტო ხორცია, „ცით მონაბერი სულის“ გარეშე. ამიტომ იმ ქვევრს ხორაგი უნდა ჩააყარო და სასმელი ჩაასხა. იმ ძირგავარდნილი ქვევრისგან, რა თქმა უნდა, განსხვავდება ბარათაშვილისეული წარმოდგენა ადამიანზე, როგორც აღუვსებელ საწყაულზე.

არამც თუ რიგითი ხალხი, თვით მეფენიც კი არ არიან კმაყოფილნი.

**თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს  
ამაო სოფლად არლა არის სხვა რამ დიდება,**

**ჰშფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: როდის იქნება  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს და აღიძვრიან  
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან,**

ლექსში ნახსენებია ორნაირი მეფე: ა) ბოროტი, რომელსაც მუდამ თვალი უჭირავს სხვისი მიწებისკენ (პირობითად, როგორც პავლე ინგოროყვა მიიჩნევდა, რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ I, რომელიც სწორედ 1837 წ. იმყოფებოდა თბილისში და რომელთანაც თარჯიმნობდა პოეტის მამა. მამას ახლდა შვილიც. იმპერატორს ხელი ჩამოართვა ცივად. ეს ის იმპერატორია, რომელსაც შემდეგ ხოტბა შეასხა გრიგოლ ორბელიანმა, რომლის გარდაცვალებაზე სამგლოვიარო ოდა დაწერა გიორგი ერისთავმა. მაშ., ნიკოლოზ I-ის ბარათაშვილისეული შეფასება რადიკალურად განსხვავდება გრიგოლ ორბელიანისა და გიორგი ერისთავისეული შეფასებისგან).

ბ) კეთილი მეფე, რომელიც სხვისი ტერიტორიის მითვისებაზე კი არ ფიქრობს, არამედ მხოლოდ საშინაო საქმეების მოგვარებაზე (ერეკლე მეფე. „ბედი ქართლისაში“: „მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე, თვის დიდებისთვის“...)

მაგრამ ერთ დროს ორივე კვდება, ორივეს ერთი ხვედრი აქვს. ერთი დასასრული — მიწად ქცევა:

**თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?  
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;  
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს  
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!  
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,  
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს.**

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეზიაში სამივე სახის პესიმიზმია. მისი პესიმიზმი ღრმა და ყოვლისმომცველია.

მისი პესიმიზმი საბოლოოდ მაინც არ გადადის მიზანთროპიაში (კაცთმოძულეობაში). თუმცა თვითონ კაცთაგან, ასე

ვთქვათ, მოძულებული იყო, ცხოვრებაში გულგატეხილი და გამწარებული, მას თვითონ გული ჰქონდა მოკლული „კაცთ სი-  
ავით და ბედის ბრუნვით“. მიუხედავად ამისა, არასდროს არ  
გამოუვლენია ზიზღი და სიძულვილი ადამიანის მიმართ. სწო-  
რედ პირიქით, ავლენს დიდ სიყვარულს ადამიანებისადმი, ე.ი.  
ჰუმანიზმს („მერანში“ იქამდეც კი მიდის, რომ საკუთარ თავ-  
საც სწირავს სხვის ბედნიერებას. ესაა უმაღლესი ჰუმანიზმი:  
„ცუდად რომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთე-  
ბა და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩე-  
ბა. და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუად-  
ვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამო-  
უქროლდეს“).

ცხოვრება ამაოებაა, მაგრამ... რა ვქნათ? გავექცეთ მას (თა-  
ვი მოვიკლათ)? არა, აქვე უნდა დავრჩეთ და კეთილი საქმეები  
აღვასრულოთ:

**მაგრამ რადგანაც კაცნი გექვიან — შეილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!**

მიუხედავად უკიდურესი, შავბნელი პესიმიზმისა, პოეტი მა-  
ინც ცხოვრებაში დარჩენისკენ, წუთისოფლისთვის სასარგებ-  
ლო საქმის კეთებისკენ უბიძგებს მკითხველს. ერთი შეხედვით  
ოპტიმისტური ბოლო სტროფი ლექსისა სულაც არ არის დი-  
დად ხალისიანი და ლალი. მასში არ არის ადრე თქმულის უარ-  
ყოფა. სწორედაც დადასტურებაა იმისა, რომ სოფელს ერთხელ  
შესაძლოა ბოლო მოეღოს, მაგრამ მაინც... რატომ? რისთვის?  
თითქოს მიზანი გამოუცნობელი რჩება და მაინც, ჯიუტად...  
„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“. ადამი-  
ანის ამქვეყნიურ დანიშნულებას არავინ გვიკარნახებს, ყველამ  
თვითონ უნდა განსაზღვროს, რისთვის მოვიდა წუთისოფელში.  
მთავარია, რომ ღვთის ნება იმით მაინც აღასრულოს, რომ  
მკვდარს არ ემსგავსოს...

„ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ და პოლ ვალერიის „ზღვის სასაფლაო“, ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი მშვენიერება, ქარგისა და სათქმელის მიხედვით თითქმის იდენტურნი არიან, ცხადია, მეტაფორისტიკას ცოტა ხნით განზე თუ გადავდებთ. დასკვნაც იგივეა, წინათქმულს არალოგიკურად რომ ებმის, არსაიდან რომ არ გამომდინარეობს — „მაგრამ რადგანაც კაც-ნი გვექვიან, შვილნი სოფლისა...“ — „ცხოვრება ვცადოთ, ქარი ადგა, ნუ ვზრახავთ ნურას“... (დავით ნერედიანი, „ჩვენი მწერლობა“, 2011, 20).

პოეტი ადამიანის უპირველეს მოვალეობად აღიარებს ზრუნვას სოფლისათვის. პოეტს კარგად ესმის ადამიანის უპირველესი როლი და დანიშნულება საზოგადოებაში (სოფლისთვის ზრუნვა შემდეგ ქართველმა სამოციანელებმა დააკონკრეტეს, როგორც ბრძოლა სოციალური და ეროვნული გათავისუფლებისთვის).

ბარათაშვილის ზემოთდამონმებული სტრიქონები გვაგონებს ვახტანგ VI-ის „შეგონებას“:

**კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიგვაროს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.**

მობდენილი და ლამაზი ქართული თქმავა: „ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი სიკვდილის შემდეგ თან წასაღები, ხოლო მეორე — ამქვეყნად დასატოვებელი“.

ალექსანდრე ბარამიძე წერს: „სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოფლის მიღების ამ ბრძნულ მოტივამდე არ მისულა ვახტანგის არცერთი წინამორბედი პოეტი [მანამდელები მარტო საიქიოზე ფიქრობდნენ, ვახტანგი — იმაზეც და ამ სოფელზეც]. თუ მართალია ის მოსაზრება (პირადად ჩვენ ამას სავსებით ვიზიარებთ), რომ: „აღორძინების მწერალთა შემოქმედებაში ეპოვეთ ბარათაშვილის პოეზიის იდეურ ფესვებს“ (გ. ნადირაძე, პოეტი და ადამიანი (ნიკოლოზ ბარათაშვილი), თბ.,

1938, გვ. 98) კერძოდ, აქ ნაგულისხმევია ნუთისოფლის პრობლემა, მაშინ ყველაზე უნინარესად სწორედ ვახტანგის დამონებული შეგონება უნდა გამხდარიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის განთქმული სტროფის იდეურ წყაროდ“ (ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან“, II, 1940 წ. გვ. 448).

ეს აზრი შემდეგ განავითარეს სამოციანელებმა: ილიამ, აკაკიმ...

**თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი წერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: ნანერგითა შენით მარგე, კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წერად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, — აბა მე ვის რა ვარგე?**

ბარათაშვილი არასოდეს დამორჩილებია ბედს. ჯერ კიდევ 1837 წ. წერდა: „დავმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმცა ხანდახან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას — ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება“. ამ სიტყვებში ჩანს პოეტი, როგორც ძლიერი პიროვნება, ტიტანი, პრომეთესებური, ნაპოლეონის მსგავსი. მომდევნო, 1838 წელსაა დანერილი ლექსი „ნაპოლეონ“, რომლის ლირიკულ გმირად თავად პოეტი მოიაზრება (წაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის „ბონაპარტისტული ჩანაწერები“).

1843 წ. პოეტი სწერს ბიძას, გრიგოლ ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ... გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო. მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მიწადა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ალაგას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“. ე.ი. პოეტს უნდა, გაარღვიოს ეს მოჯადოებული რკალი, გადალაზოს ბედის სამძღვარი. მას ღვიძავს, იგი იბრძვის და მოქმედებს, უპირისპირდება მკაცრ ბედს, უღმობელ სინამდვილეს (მძინარე ადამიანი სანახევროდ მკვდარია, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“) ასეთი იყო ცხოვრებაში თვითონ პოეტი. ეგვიპე სუ-

რათებია მის პოეზიაშიც. აქ თვალნათლივ ჩანს შინაგანი, ლო-  
გიკური (ბუნებრივი) კავშირი პოეტის ბიოგრაფიასა და მის შე-  
მოქმედებას შორის (შდრ... ბაირონი, მიცკევიჩი...).

იმავე 1843 წ. არის დაწერილი „სულო ბოროტო“. ამ ლექსში,  
შეიძლება ითქვას, გადმოცემულია მთელი ისტორია პოეტის  
ბრძოლისა გარემო სინამდვილესთან. იგი დასაწყისში ამბობს,  
რომ მას თავის დროზე ჰქონდა ახალგაზრდული ოცნებანი,  
ყმანვილური რწმენა, რომ ეს ოცნებები მას თვით ჯოჯოხეთ-  
საც სამოთხედ გადაუქცევდა, მომავალი მაშინ ვარდისფრად  
ესახებოდა, მაგრამ ბოროტმა სულმა (იგულისხმება წყეული  
სინამდვილე) ყველაფერი საპნის ბუშტივით გააქრო (მოვიგო-  
ნოთ „ხმა იდუმალი“). უკუღმართი სინამდვილე, რომელმაც პო-  
ეტს გზები გადაუკეტა, მის ლექსებში პერსონიფიცირებულია  
ბოროტი სულის, შავი ყორნის სახით.

შავმა ბედმა, ბოროტმა სულმა გონება და სიცოცხლე მოუ-  
წამლა, დაუკარგა სულის მშვიდობა და ახლა ამ ბოროტ სულს  
თითქოს დუელში იწვევს, პასუხს სთხოვს:

**სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,  
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?  
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,  
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?**

*(გულუბრყვილო რწმენა)*

**ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას?  
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,**

*(შეუძლებელს პირდებოდა)*

**ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი  
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გადამიქცევდი!  
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?  
რად მომიხიბლეს, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?  
სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?**

პოეტი აქ ერთგვარ სარჩელს უდგენს ბოროტ სულს. აქ არის თავისებური ჭიდილი ბოროტ სულთან (ბედთან, შავ ყორანთან), ისე როგორც ესაა „მერანშიც“ („ვერ შემამინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“).

ეს „ბოროტი სული“ შესაძლებელია იგივე გალაკტიონისეული დემონი, „დაიმონი“ იყოს. ეს ხომ შინაგანი, იდუმალი ხმაა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს და რომლის ძალითაც იქმნება საკაცობრიო მნიშვნელობის შედეგები. თვითონ პოეტი, ჩანს, სხვა რამეს ელოდა ცხოვრებისგან.

ბარათაშვილი თავის თავში პოულობს ძალას, რათა თამამად შესძახოს:

**განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოოტო!  
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო  
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!**

[„მახვრალი“ — სიტყვიდან ოხვრა, ის, ვინც ოხრავს]  
უსაგნოდ, ე.ი. უმიზნოდ.

წერილი მაიკოსადმი: „ვისაც საგანი აქვს, იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს?“

ბარათაშვილს თავის მოქალაქეობრივ დანიშნულებად მიაჩნია, ემსახუროს საზოგადოების მაღალ იდეალებს, ადამიანებს. სწორედ ამ შეგნების გამოხატულებას წარმოადგენს პოეტის მუდმივი სწრაფვა განთიადისკენ, მზისკენ. ადრინდელ ლექსში „შემოღამება მთანმინდაზე“ პოეტი მოელის გათენებას „დილა მზიანისა“, რომელიც „განანათლებს ყოველს ბინდს“. ამ მზიანი დილის მოლოდინი ანუგეშებს მას:

**ჰოი, სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად  
სანუგეშებლად!  
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი  
განსაქარეებლად,  
მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას  
შენგან მიიღებს,**

## რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

მთა ლიტერატურაში ღვთის, სულიერი ამაღლების, სინმინდის სავანეა ეს მხატვრული სახე ბიბლიიდან იღებს სათავეს.

ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედვეს ხომ ქრისტიანობა უდევს საფუძვლად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ მნიშვნელობას ანიჭებს მთას გრიგოლ ორბელიანი ლექსში „ფსალმუნ“.

ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობაში „უმანკო სისხლი“ მოქმედება მთანმინდაზე ხდება. სამშობლოსა და რწმენისათვის დაღვრილი სისხლი მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს გმირ ქალებს.

უკვდავებასთანაა წილნაყარი აკაკი წერეთლის „განთიადის“ ლირიკული გმირიც, რომელსაც მთანმინდა იხუტებს გულში.

სიკვდილის შემდეგ სხვა სიცოცხლის დაწყებას გულისხმობს გალაკტიონიც „მთანმინდის მთვარეში“.

ღმერთთან მიახლების სურვილია გამჟღავნებული ბარათაშვილის ლექსშიც „შემოლამება მთანმინდაზედ“, ოღონდ მცირე ნიუანსობრივი სხვაობით.

სიყმანვილიდანვე შინაგანი ხმა აწვალებდა რომანტიკოს პოეტს. ერთსა და იმავეს ეუბნებოდა ეს ხმა: „ეძიე, ყრმაო, შენ შენი მხვედრი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი“. გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილ კერძო ბარათში ვკითხულობთ: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო მხვედრისაკენ. გული მეუბნება, შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებულიო...“ მაინც რას ჰპირდებოდა იდუმალი ხმა ან როგორ წარმოედგინა ნეტა პოეტს თავისი მომავალი? ამაზე პასუხის გაცემაში გარკვეულწილად გვეხმარება ლექსი „სულო ბოროტო“. „თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას“, — მიმართავს ბარათაშვილი აღმშფოთ სულს. სწორედ ეს — ამქვეყნად სრული თავისუფლება — კაცობრიობისთვის ჯერაც მიუღწეველი სურვილი წვავს ავტორს. ამ წადილს ლექსში „შემოლამება მთანმინდაზედ“ ასე ამჟღავნებს: „გულისთქმა ჩემი შენს



იქითა ეძიებს სადგურს... რომ დაშტოს აქ ამოება". მაგრამ ეს არ არის სიკვდილის, გარდაცვალების, გაქრობის ნატვრა. „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნული" — რა იხილა იმ საღამოს ცაში პოეტმა? აშკარაა, — რალაც განსაკუთრებული, რომელსაც ვერ ივინყებს და რომლის ნახვაც კვლავ სურს, მაგრამ ჩვენება არ მეორდება. „...კვლავ ფიქრნი შენდა მოისწრაფიან, მაგრამ შენამდი ვერ მოაღწევინ და ჰაერ-შივე განიბნევიან". ვინ, თუ არა უფალი გამოეცხადა იმ საღამოს მგოსანს, წამიერად გაეხსნა სივრცე, ადამიანურ გონებას მოეხსნა ყველა საზღვარი, სხვა სამყარო, სხვა განზომილება შეიცნო ადამიანთა შორის მარტოსულმა პოეტმა. ამქვეყნიური ამოებებისაგან თავისუფალი არსებობა, როცა სული კვლავ ქმნის, ე. ი. არსებობს — წამიერად შეცნობილი სიტკბოება მუდმივ სწრაფვად გადაექცა. ნუგეში, რომ „გათენდება დილა მზიანი" ალბათ, იმედს გულისხმობს, რომ კაცობრიობა ოდესმე აღმოაჩენს ადამიანური ყოფის მესამე გზას, იქნებ კიდევ სხვა გზებსაც. „მერანის" ავტორისთვის ხომ ნიშნეულია სხვაზე, მომავალზე, კაცობრიობაზე ფიქრი და ზრუნვა...

მზე ბარათაშვილის შემოქმედებაში ნათელი მომავლისა და სიკეთის სიმბოლოა (ასეა, საერთოდ, ლიტერატურაში მზე, ვარსკვლავი სხვადასხვა რამის სიმბოლო შეიძლება იყოს, მაგრამ აუცილებლად ნათლის). 1841 წ. დაწერილ ლექსში „არ უკი-ყინო, სატრფოო" ... პოეტი ამბობს:

**მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,  
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.  
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.**  
*(პირველად დაიბეჭდა 1863 წ. „ცისკრის" მე-11 ნომერში)*

საყურადღებოა, რომ თვითონვე სურს იყოს განთიადის ნი-ნამორბედი, მომავლის დამამკვიდრებელი.

მაგრამ არსად, ბარათაშვილის არცერთ სხვა ნაწარმოებში ისე სრულად, ისე ნათლად და რელიეფურად არაა გადმოცემუ-

ლი ბედთან დაუმორჩილებლობის იდეა და წინ, უკეთესი მერმისისაკენ სწრაფვა, როგორც ლექსში „მერანი“.

„მერანში“ წარმოსახულია მაღალი იდეალების მქონე ადამიანის ჭიდილი მკაცრ სინამდვილესთან. ასეთი იდეალების მქონე იყო თვითონ პოეტი. ჰქონდა მაღალი მიზნები, გული მოუწოდებდა „სა-უკეთესო მხვედრისაკენ“, მაგრამ მკაცრმა სინამდვილემ გზა დაუხშო. ეს მკაცრი სინამდვილე აქ პერსონიფიცირებულია შავი ყორნის სახით. პოეტს თან სდევს შავი ყორანი, როგორც სიკვდილისა და მკაცრი, უფერული სინამდვილის, „ავი ბედის“ სიმბოლო. ლექსში გადმოცემულია ჭიდილი ლირიკულ გმირსა და შავ ყორანს შორის (ე. ი. მაღალი იდეალების მქონე ადამიანსა — პოეტსა და შავ მხვედრს, მკაცრ სინამდვილეს შორის. ეს ჭიდილი და ბრძოლაა „სულო ბოროტოშიც“. ისე როგორც „სულო ბოროტოში“ აქაც პოეტი იმარჯვებს: „ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“). ნაწარმოების მთავარი აზრი ბედთან შეურიგებლობაშია, სინამდვილის ბნელ ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებაში.

**მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალებდითი შავი ყორანი!**

**გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე  
ბედის სამძღვარი  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!**

ცხოვრებაში საერთოდ ერთმანეთს ებრძვის კეთილი და ბოროტი (სიკეთე და ბოროტება). ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. სიკეთეს განასახიერებენ ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი, ბოროტებას — ქაჯები, ქაჯთა ციხე. იყო ერთი პერიოდი, როდესაც ბოროტება ზეიმობდა სიკეთეზე (მაშინ, როდესაც ნესტანი ქაჯების ტყვეობაში იმყოფებოდა), მაგრამ გმირებმა ქაჯეთის ციხე დალენეს და ნესტანი გაათავისუფლეს... „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ბედის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1837 წ. კერძო წერილში გაილაშქრა, მერე მომდევნო წელს დაწერილ „ნაპოლეონში“.

**მინნავს გვირგვინსა დიდებისა მე თვითონ ბედი,  
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი.**

ნაპოლეონში უთუოდ საკუთარ თავს მოიაზრებს პოეტი. „მერანში“ პოეტის მიზანია, გადალახოს ბედის საზღვარი და თავის მოძმეებს გზის სიძნელე გაუადვილოს. მიზანი ძალიან მაღალი და კეთილშობილურია, მაგრამ შესასრულებლად არც ისე ადვილი, მეტიც, რთულზე რთული. ბედის საზღვრის გადალახვა ძნელზე ძნელია. ეს იგივე განგების (ღმერთის) ნების წინააღმდეგ გალაშქრებაა. ამიტომ ადამიანის მხრივ ესაა თავისებური მკრეხელობა და შეიძლება ამისთვის „დაისაჯოს“ კიდევ. მოკლედ, დიდი რისკია, მაგრამ პოეტი მიდის ამ რისკზე. ოღონდ მიზანს მიაღწიოს, მზადაა, ყველაფერი დათმოს, გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი: მოშორდეს მამულს, „მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა“, დეე ნულარ იხილავს თავის მშობლებსა და სატრფოს, ტკბილმოუბარს, დეე ნუ დაიმარხება თავის მამულში, თავის „წინაპართ საფლავებს შორის“, ნუ დაიტირებს სატრფო, შავმა ყორანმა გაუთხაროს საფლავი და ქარიშხალმა მიაყაროს მინა — ყველაფერს შეურიგდება პოეტი, ოღონდაც ამოდ მინც არ ჩაუაროს მისმა სულისკვეთებამ, მისმა ცდამ.

**რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორსა და  
მეგობართა,  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს,  
ტკბილმოუბარსა**

...  
**ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს  
ცრემლი მწუხარის,  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელთა შორის  
ტიალის მინდვრის  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,  
ღრიალით მინას მომაყრის.**

და ამას ამბობს დიდი პატრიოტი („ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“). ესაა დიდი მსხვერპლი. თუ მოვიგონებთ, რომ პატრიოტ ადამიანთა ანდერძებში ერთ მუხლად სწორედ მშობლიურ მიწაში დაკრძალვა შედიოდა (გაიხსენეთ: „დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“). და რისთვის ამხელა მსხვერპლი? იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოს [მიზანი კი მარტო მკაცრი სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლა არაა, ეს არის ბრძოლა შინაგანი, პიროვნული თავისუფლებისათვის, ბრძოლა იმ საზღვრის გადალახვისთვის, რაც ღმერთმა იმთავითვე გააჩინა, ბრძოლა შეუცნობელის შეცნობისათვის].

„მერანი“ ჰუმანიტური ნაწარმოებია. პოეტი გარკვეულად ლაპარაკობს, რომ მისგან გათელილი გზა სხვებს გაუადვილებს სიძნელეს გზისა [შდრ.: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაინვას და სხვას კი გზას უნათვიდეს (პოემიდან „დიმიტრი თავდადებული“)].

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის  
სულისკვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,  
მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა  
გაუადვილდეს  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ  
გამოუქროლებს!

საკუთარი თავის სხვებისთვის მსხვერპლად მიტანა უმაღლესი ჰუმანიზმია და საინტერესო ისაა, რომ ასეთ დიდ ჰუმანიზმს ამჟღავნებს ცხოვრების მიერ თვითონ გამწარებული და გაუბედურებული ადამიანი, რომელსაც ვერსად ვერ გაუმართლა და იყო „მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“.

თავისი ოპტიმიზმით, ჰუმანიზმით, მებრძოლი განწყობილებით „მერანი“ ყველა ერისა და ყველა ეპოქის თანამდევია. გაიხსენეთ ილია: „მისი [ნ. ბ.] ვერ მიღწევა სურვილისა კაცობრიო-

ბის უღონობაა". და რა მწარედ ცდებოდნენ რაპკელები (ის ახალგაზრდები, რომლებიც უშვებდნენ მემარცხენე-ვულგარულ შეცდომებს), როცა ფიქრობდნენ, რომ კლასიკური მემკვიდრეობა ზედმეტი იყო, ხოლო ბარათაშვილის პოეზია მოძველებული და გამოუსადეგარი ახალ საქართველოში.

შენი მერანი? ჰო, არა უშავს, იქნებ ჩალანდრად კლდეს გადმოვიდეს,

მაგრამ თბილისში დღეს რომ გაუშვა, სადმე პროსპექტზე კისერს მოიტყვს.

„მერანი“ დაწერილია 1842 წ. (პირველად დაიბეჭდა 1860 წ. „ცისკრის“ მეექვსე ნომერში). სათაური ავტორისეული არ არის. ერთ ხელნაწერში მას სათაურად აქვს „თავგანწირული მხედარი“. პირველი, რომელმაც უსათაურო ლექსი დაასათაურა, იყო ივანე კერესელიძე, მან 1860 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა სათაურით „ჩემს მერანს“ (საერთოდ, ივანე კერესელიძემ ბარათაშვილის უსათაურო ლექსები ყველა დაასათაურა მაგ. „ვპოვე ტაძარი...“ — „ფანტაზია“, „შევიშრობ ცრემლსა“ — „გალობა სიტურფისა“, „მიყვარს თვალები...“ — „თუალები“, „არ უკიჟინო, სატრფოო“ — „ჩემს სატრფოს“). მაგრამ ამ სათაურმა ვერ დაიპყრო მკითხველთა გულები, ვერ დაეპატრონა მათ ემოციურ სამყაროს, პირველმა, რომელმაც „მერანი“ — ესოდენ ჟღერადი და ტევადი სათაური მიანიჭა, იყო დავით ჩუბინაშვილი, 1863 წ. პეტერბურგში გამოცემულ „ქართული ქრესტომათიის“ II ნიგნში.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული შეხედულებით, ამ ლექსის დაწერის უშუალო საბაზი გამხდარა შამილის მიერ 1842 წ. პოეტის ბიძის ილია ორბელიანის დატყვევება. 1842 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერდა სხვა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს ილიას ტყვედ ჩავარდნას, მის სიყოჩაღეს შამილთან შეხვედრისა და საუბრის დროს. შამილს თურმე ილია ორბელიანის მხლებელი ოცი ბიჭისთვის (ნუქერისთვის) თავები დაუყრევინებია, თვითონ ილია კი ყოჩაღად დახვედრია შამილს. ილიკოს უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინ-

მე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნას“.

„მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა, ის ახლა ნაირნაირი ანეგდოტის საგანია. ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენ დაგვაგვიანდეს ილიას ნახვა, თვარამ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა...“

აი რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ:

### **მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!**

*(მოყვანილია მთელი ლექსი)*

არ ვიცი ეს ლექსი როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის ნაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე, — ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე რომ სამი დღე გაბრუნებული ვიყავ ათასის სხვადასხვა უცნაური ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივანოდო; ვიცი გულში ჩაიცივნებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“.

პავლე ინგოროყვას აზრით, ლექსის დაწერის მიზეზი უფრო ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ილია ორბელიანი. პავლე ინგოროყვას ეს მოსაზრება ჩვენს დროში გაახმოვანა როსტომ ჩხეიძემ, განამტკიცა ის მაგალითებით და ეჭვშეუვალი გახადა. ასე რომ, ამიერიდან შეგვიძლია თამამად ვთქვათ, „მერანი“ შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნებით, მისი დაულალავი ბრძოლით სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ალექსანდრე ბატონიშვილი ვერაფრით დაიმორჩილეს რუსებმა. სპარსეთში გადახვენილი დროდადრო გამოჩნდებოდა საქართველოში და ეროვნულ ამბოხებებს აწყობდა. ყველა აჯანყება, მოგეხსენებათ, რუსეთმა სისხლში ჩაახშო. ბუნებრივია, მეთაურთა და მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილის დაჭერა-დაპატიმრება რუსეთის მთავრობის უპირველესი მიზანი იყო.

მაგრამ მიუხედავად უზარმაზარი აგენტურული ქსელისა, ვერაფრით ჩაიგდეს იგი ხელში. ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი თავისუფლებისთვის ბრძოლას გაუიგივდა, ლეგენდად იქცა და არავინ გამოჩნდა მისი გამცემი მთელ კავკასიაში. სხვათა შორის, იგი მთელი კავკასიისთვის (და არა მარტო საქართველოსთვის) ეროვნულ გმირად იქცა. მოუხელთებელი ბატონიშვილის შესახებ ლეგენდა შეითხზა — თითქოს მას მფრინავი ცხენი ჰყავდა, რომლითაც საჭიროების დროს კავკასიაში შემოფრინდებოდა და მერე ისევ იმავე ცხენით დააღწევდა მდევრებს თავს.

პავლე ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ბარათაშვილის „მერანი“ სწორედ ამ ლეგენდითაა შთაგონებული. ეს მოსაზრება სავსებით დამაჯერებლად მოგვეჩვენება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ილია ორბელიანი გახლდათ რუსეთის იმპერიის ერთგული ჯარისკაცი, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩეჩნების დასამორჩილებლად ღვრიდა სისხლს და იგი ვერ იქნება „მერანის“, თავისუფლების ჰიმნის ლირიკული გმირი. ილია ჭავჭავაძის „იანიჩარის“ ლირიკული პერსონაჟი თუ შეიძლება იყოს ილიკო („შენი რაა, რომ ამშვებნებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა?“).

როსტომ ჩხეიძის პიესაში „ლეგენდა ისკანდერისა“ პავლე ინგოროყვა თავის მოსაზრებას დაწვრილებით აცნობს სანდრო ახმეტელს. ამით შეგულიანებული ახმეტელი კი, რომელსაც კარგა ხანია უნდოდა რაღაც ჰეროიკულის დადგმა და ვერ მოეფიქრებინა კი, რა უნდა დაედგა, შესაფერისი პიესის, მერანისებური ტრაგედიის დაწერას სთხოვს გიორგი შატბერაშვილს (ნაიკითხეთ „ლეგენდა იკანდერისა“).

## შენიშვნები:

1. უფროსი - ივანე იყო ორენბურგის გუბერნატორი.

მეორე - სიმონი იყო ყაზანის გუბერნატორი (1789-1796 წწ.).

უფრო ადრე მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში (1768-1774 წ.).

მესამე - ანდრია იყო არტილერისტი (ჩანს, ადრე გარდაიცვალა).

მეოთხე - პეტრე.

2. მეულე - ალექსანდრა ჩოგლიკოვა (გარდ. 1834 წ.) ჰყავდა 12 შვილი (7 ქალი, 5 ვაჟი). აქედან 4 პატარაობისას გარდაიცვალა (ალექსანდრას გარდ. შემდეგ ცოლი არ შეურთავს).

3. „დღეს უკვე ნათლად ჩანს დეკაბრისტულ მოძრაობასთან მიხეილ ბარათაშვილის არა მარტო მსოფლმხედველობრივ-იდეური ურთიერთობა, არამედ მისი ორგანიზაციული როლიც“ (გოზალ - გვ. 31). „მიხ. ბარათაშვილი და ალ. გრიბოედოვი პატიმრობაშიც ერთად მოხვდნენ, მაგრამ მათ მიმართ რაიმე ხელჩასაჭიდი მამხილებელი დოკუმენტების უქონლობის გამო აუცილებელ მოსალოდნელ სასჯელს ორივემ თავი დააღწია (გოზ. გვ. 34).

4. „ნუმიზმა“ - ლათ. ლითონის ფული. ეს ნიგნი საფუძვლად დაედო ფრანგი ნუმიზმატიკის ლანგუას შრომას „ქართული ნუმიზმატიკის ახალი მიმოხილვა“ 1853.





## ალექსანდრე ორბელიანი

ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 1802 წლის 24 მაისს (ძვ. სტ.) თბილისში, ერეკლე II-ის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო შინ, დედის – თეკლე ერეკლეს ასულ ბაგრატიონის უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით. შემდეგ (1810 წ.) ალექსანდრე შეიყვანეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

1817 წელს, დედის სურვილის თანახმად, ალექსანდრე შედის სამხედრო სამსახურში (კარაბინერთა მე-7 პოლკში). მალე იგი გაამწესეს იუნკრად პირველი ბატალიონის პირველ გრენადერთა როტაში. 1819 წელს მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი. მომდევნო, 1820 წელს ალექსანდრე მიჰყვება თავის ბატალიონს და მონაწილეობს იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში. მაგრამ ალექსანდრე ორბელიანს, როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, სამხედრო კარიერა არ იზიდავდა. 1822 წელს მან სამსახურს თავი დაანება და ხელი მიჰყო მეურნეობის კეთილმოწყობას. 1823 წლის 8 ივლისს დაოჯახდა. მისი მეუღლე – ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილი (რომლისადმიც რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი) იყო კულტურული, ოჯახის მოყვარული და გულისხმიერი ქალი. მათ ჰყავდათ სამი შვილი – ერთი ვაჟი და ორი ასული.

1826 წელს ალექსანდრე შედის სახალხო მილიციაში და მონაწილეობს სპარსელების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში. 1828 წელს ის აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. 1829 წლიდან ალექსანდრე არის საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებლო ექსპედიციის მრჩეველი („სოვეტნიკი“).

ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური.

მიუხედავად ალექსანდრესა და სხვა ფანატიკოს პატრიოტთა დიდი მონდომებისა და მეცადინეობისა, შეთქმულება ჩა-

ვარდა. ალექსანდრე სხვა დამნაშავეებთან ერთად დააპატიმრეს და მოათავსეს ავლაბრის ყაზარმებში. ჩარიცხეს დამნაშავეთა მეორე კატეგორიაში და გადაასახლეს ქალაქ ორენბურგში, სადაც გაამწესეს სამხედრო სამსახურში „მეცხრე ლინეინის პრაპორშჩიკად“. ცხოვრობდა ვინმე შჩერბაკოვის სახლში. ალექსანდრე ორბელიანი კმაყოფილი იყო შჩერბაკოვისა და მისი მეუღლისა იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომლებსაც მასპინძლები იჩენდნენ გადასახლებაში მყოფი ადამიანის მიმართ. საერთოდ, წყნარმა და მშვიდი ხასიათის ალექსანდრემ, ეტყობა, ადვილად გამოიხარა საერთო ენა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მან იქ ბევრი რუსი მეგობარი გაიჩინა.

1838 წელს ორენბურგიდან გადმოიყვანეს „კავკასიის ხაზზე“, ხოლო 1840 წელს, მარტში, მთლიანად გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ არსად არ უმსახურია და მთელი თავისი დრო ლიტერატურულ საქმიანობას მოახმარა. გარდაიცვალა 67 წლისა, 1869 წლის 28 დეკემბერს. დაკრძალეს სიონის ტაძარში.

გაზეთ „დროებაში“ (1869 წ. 52) გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელშიც ჩართულია ცნობილი პუბლიცისტის სერგეი მესხის სიტყვა, თქმული ალექსანდრე ორბელიანის გარდაცვალებაზე: „ნეტარ არს ხსენება ალექსანდრე ორბელიანისა, რომელმაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოების სამსახურს!.. ნეტარ არს ის, რომ სიკვდილის ჟამს თამამად შეეძლო ეთქვა: „მე ვკვდები წმინდა სინდისით!... იმედი მაქვს, რომ ჩემი სიცოცხლე უნაყოფოთ არ ჩაივლის!..“ ალექსანდრე ორბელიანი გაგვმორდა, მაგრამ იმის სახელი, იმის კეთილი საქმეები და მაგალითი ჩვენთან რჩებიან და დიდხანს იცოცხლებენ“.

## მსოფლმხედველობა

ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ჯანსაღმა ტრადიცი-

ებმა (როგორცაა პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი და სხვა) და ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლებმა მაჰმადიან მომხვედურთა წინააღმდეგ. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანი იყო საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, წარსულზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი. მწერალი დაიბადა და აღიზარდა ისეთ გარემოში, სადაც ძველი საქართველოს სიყვარული და, საერთოდ, გარდასული დღეების კულტი იყო გაბატონებული. მწერლის მამა, პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი, რომელიც მოკლეს 1812 წელს კახეთის აჯანყების ჩაქრობისას, საკმაოდ განათლებული პირი გახლდათ და ლექსებსაც წერდა თურმე (სამწუხაროდ, მისი ლექსები ჩვენამდე არაა მოღწეული). დედა – თეკლე ბაგრატიონი კი იყო ერეკლე მეფის უმცროსი ასული, თეკლეს წერდა ლექსებს (ჩანს, პოეზიის სიყვარული და ნიჭი შვილებს მემკვიდრეობით გადმოეცათ). თეკლეს ლექსებში („რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი“, „ყოველთ მოდასეთა დაისრეს გული“ და „მოგახსენებთ ყოველთა აზიელთ ერთა“) ისე როგორც მისი დების – მარიამ და ქეთევან ბაგრატიონთა – ნაწარმოებებში, აღბეჭდილია მამულის დაკარგვით გამოწვეული დიდი ურვა და მწუხარება. კარგად შენიშნავს მკვლევარი ლევან ასათიანი: დები-ბატონიშვილები „პოლიტიკურ პოეტებს“ გვაგონებენ თავიანთი ლექსებით. „ის, რაც ვერ მოახერხეს მრავალრიცხოვანმა ბატონიშვილებმა – ალექსანდრემ, იულონმა, თეიმურაზმა, დავითმა და სხვებმა, – ირაკლის ქალებმა განიზრახეს თავისი ლექსებით. ეს ლექსები ბატონიშვილებისაგან ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდნენ ერთხანს“..

როგორც ცნობილია, ერეკლე მეორეს თავისი შვილებიდან ყველაზე მეტად უმრწნემესი ასული, თეკლე უყვარდა. „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემი თეკლეს სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდით“, - იტყოდა თურმე ხანდაზმული მეფე. ერეკლე ბავშვობიდანვე ვაჟკაცური სულისკვეთებით ზრდიდა საყვარელ ასულს: ასწავლიდა თოფის სროლას, იარაღის ხმარებას, ცხენზე ჯდომას და სხვა. და მართლაც, ახალგაზრდა თეკლე ბატონ-

ნიშვილი შესანიშნავად ხმარობდა იარაღს, ითვლებოდა საუკეთესო მონადირედა და ცხენოსნად. 1780 წ. ერეკლემ თავის ასულს სახუმარო სიგელი უბოძა და „თეკლა-ბიჭი“ უწოდა. შემდეგ ერეკლემ შვილს, ნიშნად სიყვარულისა, თოფიც აჩუქა, რომელიც თეკლეს სიკვდილამდე არ მოუშორებია. ცხადია, მამის ასეთ დიდ სიყვარულს თეკლე თვითონაც გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდა. მამა-შვილს შორის იდეალური ურთიერთობა სუფევდა. ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებმა შემოგვინახა ცოცხლად და მიმზიდველად არაერთი ისტორიული ეპიზოდი, თეკლეს მხნეობასა და ვაჟკაცურ შემართებაზე რომ მეტყველებს. რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, როგორ ამოუდგა ახალგათხოვილი თეკლა გვერდით გადასახლებაში მიმავალ თავის ამაყ დედას — დარეჯან დედოფალს. ან რა ურჩია 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩასაქრობად მიმავალ ქმარს, ან როგორ გაამხნევა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული შვილები, როცა მათი ნახვის საშუალება მიეცა. კიდევ შეიძლება მოხმობა უამრავი მაგალითისა, რომელთა მიხედვითაც თეკლე ბატონიშვილი დიდებულ ქალბატონად, გმირული სულის ქალადა და შესანიშნავ მამულიშვილად წარმოგვიდგება.

გიორგი XII-ის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით, თეკლე მიატოვეს ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანს. თეკლეს ჰყავდა სამი ვაჟი: ალექსანდრე (1802-1869), დიმიტრი (1808-1882) და ვახტანგი (1812-1890). შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ისე მწვავედ არავის განუცდია, როგორც თეკლე ბატონიშვილის ოჯახს. თეკლე უშუალო მოწმე იყო საქართველოს დამხობისა, ერეკლეს უკანასკნელი დღეებისა. მან მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს ქ. კალუგაში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში. გარდაიცვალა 70 წლისა, 1846 წლის 11 მარტს. მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის განკარგულებით დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში თავისი საყვარელი მამის — ერეკლეს გვერდით, სადაც ადგილი გამზადებული იყო „საფლავად მესა-

მისა და უკანასკნელის მეუღლისა მისისა დედოფლის დარია-სათვის, რომელიც გარდაიცვალა და დაფლულ არს პეტერ-ბურგს“. დაკრძალვას, ახლო ნათესავეებისა და ნაცნობ-მეგობრების გარდა, დაესწრო მალალი რანგის ბევრი მოხელე, მათ შორის მიხაილ ვორონცოვი მეუღლითურთ.

ალექსანდრეს გაუმზადებია ეპიტაფია დედის საფლავზე დასაწერად („ბატონიშვილის დედიჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარ-კი დავანერეთ“). აი, ერთი ადგილი ამ ეპიტაფიიდან: „კაცო წარმავალო, ნურარაითა ნუ გაამაყდები. სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანავე ჩაგივლის ამოდ, უკეთუ კეთილად არ მოიხსენიებ მათ. კეთილით შეიძინებ კაცთა და უფროს ღმერთსა მისის ზეციურის უკვდავების დიდებით“.

თეკლა ბატონიშვილის პიროვნებაზე ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ შვილების აღზრდას უშუალოდ ის ხელმძღვანელობდა და მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება - ფორმირებაში დედამ უდიდესი როლი ითამაშა. სწორედ დედა უამბობდა შვილებს გარდასულ დღეებზე, ერეკლე მეფის პიროვნებასა და ბრძოლებზე. აი, სად, რა წრე-გარემოში იღებს სათავეს ალექსანდრესა და მისი ძმების ესოდენ ფანატიკური სიყვარული ერეკლე მეფისა და ძველი ეპოქისადმი. თეკლამ, როგორც იტყვიან, ძუძუსთან ერთად აწოვა შვილებს საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის სიყვარული და პატივისცემა, რაც იგივე საქართველოს სიყვარულიც იყო.

ილია ჭავჭავაძე თავის ნაწერებში საგანგებოდ ჩერდება თეკლეს პიროვნებაზე და უაღრესად გულთბილად ახასიათებს მას: „თეკლე ბატონიშვილი ზედმინეენით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღმთო წერილისა, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი. ასეთი დედა, - განაგრძობს ილია, - შეჭველია, დიდ გავლენას მოახდენდა თავის შვილებზე.“

ერეკლე მეფის პიროვნებისა და ეპოქის გასაცნობად შვილებსათვის, მათ შორის ალექსანდრესთვისაც, ყველაზე კარგი ინფორმატორი იყო „სახელოვანი დედა თეკლე ბატონიშვილი“

(ილიას სიტყვებია), თვითმხილველი და მომსწრე „ძველი ამბები-სა“. ბატონიშვილი თეკლა მეფის ერეკლეს ოჯახის მემადრიანა და მართალი დედაკაციც არისო, წმინდა სვინდისიანიო, — ხშირად უთქვამთ ალექსანდრესათვის. დედა-შვილს შორის მუდამ გულ-თბილი ურთიერთობა და ახლო დამოკიდებულება არსებობდა. გადასახლებაში მიმავალი ალექსანდრე დედას დაურიგებია: „ნა-დი, შვილო, ღმრთისთვის მიმიბარებინარ... შენ ჩემი შვილი ხარ, შენც ჩემსავით მაგრა იყავი და უბედურებას ნუ გაუტყდები“.

ეს სიტყვები ყველგან და ყოველთვის ახსოვდა ალექსანდრეს, რაზედაც მეტყველებს მისი კერძო ბარათები, გადასახლებაში მყოფს რომ გაუგზავნია დედისათვის. ექვთიმე თაყაიშვილი წერ-და (თამარ გოგოლაშვილ-პაპავას მიერ 1937 წელს პარიზში გამო-ცემული წიგნის — „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ — წინა-სიტყვაობაში): „ვისაც ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები გადა-უკითხავს, დაინახავდა, თუ რა მოკრძალებით და ნაზი სიყვარუ-ლით ეპყრობა ყველაფერში დედას ალექსანდრე. თეკლა მისთვის ღმერთია; მის დაუკითხავად და რჩევის გარეშე ალექსანდრე არა-ფერს არ აკეთებს; ის დედასთან ყველაფერში გულახდილია“.

პატარა სანდროს აღზრდა-განათლებაში დედის გარდა აქ-ტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ორბელიანთა კარის მღვდელი იოსებ ამირიძე და ცნობილი გრამატიკოსი იოანე ქართველიშვილი. როგორც თვითონ მწერალი აღნიშნავს (თა-ვის გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში), მასზე დიდი გავლენა მოუხდენია გამზრდელ ლომისახარს. ეს ქალი თურმე დამწყ-რობლის სიძულვილს უწერგავდა ყმანვილს. იგი თურმე სულ „რუსებს სწყევლიდა, საქართველოს მიმძლავრებისათვის და ხშირად გათენებისას დაჩოქილი ცრემლით ღმერთს ევედრე-ბოდა: საქართველო რუსებისაგან გამოიხსენიო“.

აი, ასეთ წრე-გარემოში აღიზარდა და ჩამოყალიბდა ალექ-სანდრე ორბელიანი. ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ მწერალს ფანატიკური სიყვარულით უყვარდა საქართვე-ლო და ასეთივე ძალით სძულდა რუსეთი, რომელიც პატარა ერების მიმართ კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებდა. ასევე გასაგები ხდება, რომ ალექსანდრე ორბელიანმა აქტიუ-

რი მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. საყურადღებოა, რომ ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა როგორც თეკლე ბატონიშვილი, ისე მისი სამივე ვაჟიშვილი (ვაჟებიდან ორი – დიმიტრი და ვახტანგი დედასთან ერთად გადასახლეს ქ. კალუგაში). არც ისაა შემთხვევითი, რომ შეთქმულებას თანაუგრძნობდა და თავისებურად „ეხმარებოდა“ ალექსანდრეს სათნო მეუღლე – ეკატერინე ბარათაშვილი. 1832 წ. შეთქმულებაში ალექსანდრე ორბელიანის მონაწილეობის შესახებ აქ საგანგებოდ არ შევჩერდებით. ალექსანდრე ორბელიანი იყო ერთადერთი გამონაკლისი 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთაგან, ვისაც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც არ შეუცვლია თავისი მრწამსი. იგი სიკვდილამდე ერთგული დარჩა 1832 წ. შეთქმულთა იდეებისა.

რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის თავისებური გამოხატულება იყო ის, რომ ალექსანდრე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ოფიციალურ სამსახურში არ შესულა. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი აქტიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ჩამოშორებოდა, სულაც არა. მწერალი დაჟინებით და უდრეკად განაგრძობდა ადრე დაწყებულ საქმეს – გარდასული ამბების შეკრებასა და თვითმხილველთაგან სიმართლის ჩანერას, ისტორიის სრული სახით აღდგენას. თავისი ნაწერების ნაწილს იმ დროს ერთადერთ ქართულ ჟურნალ „ცისკარში“ ათავსებდა... მას სიცოცხლეშივე დამსახურებულად ჰქონდა მოპოვებული ფანატიკოსი პატრიოტის სახელი. ალექსანდრე ორბელიანს ანგარიშს უწევდნენ, მისი კრძალვა ჰქონდათ, მისი ავტორიტეტის წინაშე ქედს იხრიდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები. ზემოთ ვთქვით, რომ ალექსანდრე ორბელიანს სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრი არასოდეს შეუწყვეტია, მეტიც, რაც ხანი გადიოდა, უფრო მძაფრდებოდა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. „უარესი და უარესი სურვილი მომეკიდა მაშულისა“, — წერს თვითონ. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც 1845 წ. დაწერილი „სამეფოს დასაცველი საფუძველი და იმის გამაბედნიერებელი“. ცხადია, ალექსანდრე ორბელიანის ფიქრები თავის ქვეყანას, საქართველოს დასტ-

რიალებდა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ადგილს ამ წერილიდან: „სახელმწიფოს ანუ სამეფოთა დასაცველად ხუთი უპირველესი საგანი ეს არის. პირველი. სარწმუნოების ჭეშმარიტი მოსაობა ხალხისგან. მეორე სამოქალაქოს შინაგანი რჯულის რიგი ანუ წესი. მესამე. სამხედროს ჯარის დანყობილობა და სამეფოში რიგიანს ადგილებში დაყენება. მეოთხე. სამზღვრებზე ანუ სადაც საჭირო იყოს ციხეების გაკეთება და ციხეში ჯარის დაყენება და მეხუთე. განათლებისათვის სასწავლებლები და ენისათვის ლიტერატურა“.

„მარტო, უამხანაგოთ“ დარჩენილი მწერალი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ოპოზიციაში ედგა მთავრობას და თავისი ზნეობრივი სინმინდითა და უკომპრომისობით თანამედროვეებს ერთგვარ ორიენტირად ევლინებოდა.

საყურადღებოა, რომ მთავრობისაგან განზე გამდგარი ალექსანდრე ორბელიანი კარგად ხედავს მოვლენებს, ზუსტად აფასებს მეფისნაცვალთა პოლიტიკას საქართველოში და შესანიშნავად ახერხებს მეფისნაცვალის გარშემო შემოკრებილ ჩინოსანთა გულისნადების დანახვასა და ამათ ფაციფუცის აღწერას. განსაკუთრებით საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის მიერ მიხაილ ვორონცოვის პიროვნებისა და მისი პოლიტიკის შეფასება. ცნობილია, რომ მიხაილ ვორონცოვი კავკასიის ადრინდელი მმართველებისაგან (მთავარმართველებისაგან) განსხვავდებოდა თავისი ლიბერალური ბუნებით. 40-იან წლებში ის სრულიად შეგნებულად გამოავაზნეს კავკასიაში. „მაშინ ისეთი დრო იყო საქართველოში, რომ თუ ვორონცოვი არ მოსულიყო და ისე მდაბლად არ მოქცეულიყო ყველასთან ესეები არ ექნა, საქართველოს დაჰკარგავდა რუსეთი, ისე განძლიერდა მთებში შამილი“. ადრინდელი მთავარმართველებისაგან განსხვავებით, მიხ. ვორონცოვი ცდილობდა, ადგილობრივ მკვიდრთა სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა. მან მართლაც შეძლო ბევრი ქართველი მოეტყუებინა ამით. ალექსანდრე ორბელიანი კი არ შემცდარა, მას არასოდეს მიუჩნევია ვორონცოვი ქართველი ხალხის კეთილმოსურნედ, საქართველოს განმანათლებლად და მეგობრად. ალექსანდრე ორბელი-



ანის აზრით, ვორონცოვი „დიდი გუნების ცბიერი კაცი იყო“, რომელიც „პირში ცფიერულად უალერსებდა ქართველებს“, ხოლო ზურგს უკან სამარეს უთხრიდა ყველას.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში კარგად ჩანს გასული საუკუნის 40-იან წლებში ქართველთა ზნეობრივი გადაგვარება. თუ მანამდე მამულის ერთგული შვილები სამშობლოს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ვორონცოვის ლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობდა, რომ გუშინდელი პროტესტანტები, მორალურად დაცემულნი, დღეს უკვე ბეზღობასა და მთავრობის მლიქვნელობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხშირად აბეზღებდნენ ვორონცოვთან ალექსანდრე ორბელიანს – რუსეთის სიძულვილსა და ორგულობაში ადანაშაულებდნენ. საგულისხმოა, რომ მწერალი მოგვიანებით ამ ბრალდებას სავსებით კი არ უარყოფდა, მხოლოდ იმის გამო გამოთქვამდა შემოფოთებას, რომ ამით ზნეობა ილახებოდა. ვორონცოვს „ჩემი ბევრი ორგულობა უთხრეს რუსეთისა, — წერს მწერალი, — არც ტყუოდნენ, მაგრამ ამგვარად კაი კაცობის გაკეთება იმისთანა ოჯახის შვილებისაგან სირცხვილია“.

მიხაილ ვორონცოვის პიროვნებასა და პოლიტიკაზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ის შეხედულებაა მიღებული და დამკვიდრებული, რომელიც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანს ჰქონდა.

## რას ნიშნავს ქართველობა?

ალექსანდრე ორბელიანისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია – რას ნიშნავს ქართველობა? ანუ რანი ვიყავით წარსულში და რად ვიქეციით? რა საფრთხე გვემუქრება და რა უნდა ვილონოთ, რომ მომავალშიც ქართველებად დავრჩეთ და სხვა ერში არ ავითქვიფოთ? ამაზე მწერალს ბევრი უფიქრია და უწერია, ეს კითხვები საგანგებოდაა დასმული და წინ წამოწეული ალექსანდრე ორბელიანის სტატიაში „ახლანდელს და უწინ-

დელს დროზედ შენიშვნა" (პირველად გამოქვეყნდა კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“, 1999 წ.).

მწერალი ქართველებს სამ რიგად ჰყოფს – რუსობამდელ, რუსობის დროისად და განათლებულებს. პირველს ამათგანს ეტრფის, აიდეალებს, ყველაფრით უნაკლოდ მიიჩნევს, მეორე პირველისაგან რადიკალურად განსხვავდება, ძველი კარგი ყველაფერი ცუდად და უბადრუკად გარდაიქმნა და ამის მიზეზი რუსეთია, ხოლო მესამენი ისინი არიან, ვინც უნდა იხსნას საქართველო და სამომავლო ცხოვრების გზაზე გაიყვანოს, მაგრამ მათ მიმართ მწერალი ხშირად ავლენს უნდობლობასა და ნიჰილიზმს.

ასე რომ, არსებითად მწერალმა ქართველები ორ ნაწილად (კატეგორიად) დაჰყო. ალექსანდრე ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს ძველსა და ახალს (ზღვარი მათ შორის, როგორც ვთქვით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა). ამ დაპირისპირების (თუ შედარების) დროს ძველის უპირატესობა აშკარაა, იგი ყველგან და ყველაფერში ძალუმად, ხელშესახებად იგრძნობა. ძველად ჩვენში სრული ჰარმონია, იდილია სუფევდა ცხოვრების ყველა სფეროში, ახლა დისჰარმონია, არეულობა და ქაოსია. აშკარაა, რომ ძველის გალმერთებით მწერალი თავისუფლებას შენატრის.

მაინც რა და როგორ იყო ძველად და რა შეიცვალა რუსობის მერე? ამაზე პასუხს იძლევა ზემოთ დასახელებული სტატია, რომელიც განზოგადებული ხასიათისაა და ბევრ საჭირობოროტო საკითხს შეეხება. ძველი ყოფის მალმერთებელი მწერალი შესავალშივე სვამს საკითხს, იყვნენ თუ არა ძველადაც გასაკიცხი, დასაგმობი, უზნეო ადამიანები, რაზეც თვითონვე უპასუხებს, რომ საერთოდ შეუძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, რომელშიც ლექი და ლაფი არ ურევია, თუ ასეა, რით სჯობს ძველი დრო ახალს? მწერლის აზრით, იმით, რომ წინათ ორმოცდაათ-სამოც კაცზე ერთი ურიგო თუ იქნებოდა. ის ერთი, ცხადია, მთელ სურათს ვერ ცვლიდა და ცხოვრებას თავის ხასიათს ვერ აჩნევდა. ახლა კი „რუსების შპიონების“ მეშვეობით გახშირდა „წამხდარი“ ხალხი, ისე რომ ოც გულწრფელ და რიგიან კაცს ერთი უწესო ურევია. ამ „ურიგოთა“ და „წამხდარ-

თა“ გადამკიდვე ველარც ალალნი და მართალნი საქმიანობენ. სამოქმედო ასპარეზი მათთვის სწორედ უზნეო ხალხს შეუზღუდავს. ალექსანდრე ორბელიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი წინაპრების ზნეობრივ სინმინდეს, ხოლო მათი ზნეობრივ-მორალური სინმინდის საყრდენს ქრისტიანობაში ხედავდა, ჩვენს წინაპრებს „უმანკოების და სინმინდის ცხოვრება ჰქონდათ წმინდა სახარების სიტყვით“, — წერს მწერალი. ამ თვალსაზრისით შეიძლება ბევრი რამ საერთო აღმოვაჩინოთ ალექსანდრე ორბელიანის ამ სტატიასა (აგრეთვე სხვა ანალოგიურ ნაწერებს) და სულხან-საბა ორბელიანის ისეთი სასულიერო ხასიათის თხზულებებს შორის, როგორიცაა „სწავლანი“ და „საქრისტიანო მოძღვრება“.

„ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ ავტორის მიერ 26 პატარა, მცირე მოცულობის ნაწილად, თავად არის დაყოფილი. თითოეული მათგანი დასათაურებულია. შემთხვევითი არ არის, რომ ოთხი თავი ქრისტიანობისადმია მიძღვნილი (1. ღვთისადმი, 2. სარწმუნოებისადმი, 3. ეკლესია, 5. სასულიეროთათვის). ირონიას მოკლებული არაა ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობა იმის შესახებ, რომ წინათ მხოლოდ უხილავ, დაუსაბამო მამას ვთვლიდით ღმერთად და შვილებსაც ამას ვასწავლიდით, ახლა კი რუსეთის ხელმწიფეს ვაღიარებთ ღვთის თანასწორად და მასზედ ვლოცულობთ. თუ წინათ დიდსა და პატარას, სახარების წესზედ გაზრდილებს, ერთმანეთი უყვარდათ, მერე „რუსების შპიონების წყალობით“ დიდი შური და მტრობა ჩამოვარდა ქართველებში. „ახლა შებღალული შურით ვხოცავთ ერთმანეთსა“, „ვინც ვის შურით და ბეზლობით მოკლავს (ნაახდენს) იგი არის ბედნიერი“. მწერლის პირად არქივში შენახულია პატარა, ერთსტროფიანი ლექსი, რომელშიც შური და გაუტანლობა დიდ უბედურებადაა წარმოდგენილი.

ვაი ჩვენსა წერასა  
თავი გვიგავს ძერასა  
ვერა ვხედავთ ვერასა  
შური კი გვკლავს ყველასა.

ალექსანდრე ორბელიანი სიამაყითა და ამავე დროს სინანულით იხსენებს იმ გარდასულ, ძველ დროს, როცა ყოველ პატარა სოფელს თავისი ეკლესია ჰქონდა და თავისი მღვდელი ჰყავდა. სამღვდლონი არამარტო კითხულობდნენ საღვთო წერილს, არამედ კარგად ესმოდათ მისი ძირითადი აზრი (შინაარსი): „სხვა ყოველი ამაო არს თვინიერ კეთილისაო“, და ამ პრინციპით ცხოვრობდნენ კიდეც. სიკეთეს თვითონ იქმოდნენ და თუმცა ღვთისმეტყველნი არ იყვნენ, სხვათაც ამას უქადაგებდნენ, განუმარტავდნენ ხოლმე სახარების სიტყვებს და მრევლიც აღასრულებდა მათ ნაქადაგებს. ალექსანდრე ორბელიანი იმასაც გვეუბნება, რომ ყოველ მებატონეს თავისი საკუთარი მღვდელი ჰყავდა, რომელიც ყველასაგან დაფასებული და პატივცემული იყო. „უწინდელს დროში არა დიდი, არა მცირე ლხინი არ გადიხდებოდა ანუ ქორწილი, რომ იქ სასულიერონიც არ ყოფილიყვნენ“. მეტიც, ყოველი სადილ-ვახშმის დროს მღვდელს უნდა ეკუთხა სუფრა, „თორემ უმადლო სუფრა იქნებოდა უმღვდლოდ“.

ამ თემაზე მსჯელობის დროს მწერალი ეხება ბერების უდაბნოში განდგომის საკითხს და კითხვასაც არ სვამს, კარგია თუ ცუდი განდევილობა. მისთვის დღესავით ნათელია, წმინდა ბერები თავიანთი განდგომით თვითონაც განიწმინდებოდნენ და ამაღლდებოდნენ და „სოფლის ამაოებაში“ დარჩენილთაც ზნეობრივ ორიენტირად ევლინებოდნენ, მათი სულების გადასარჩენადაც ზრუნავდნენ. ამიტომ უდაბნოს ბერებს ყველა მოწინებით ექცეოდა და შენატროდა კიდეც. უდაბნოს ბერები თავისუფლად დადიოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ქადაგებდნენ „ჭეშმარიტსა ქრისტიანობასა“, ანუ წმინდა ზნეობას, საყოველთაო სიკეთეს, ურთიერთსიყვარულსა და სხვა.

გულისტკივილით წერდა ალექსანდრე ორბელიანი, რომ მის თანამედროვეობაში ყველაფერი შეიცვალა. „ეხლანდელი ჩვენი ეკლესიები – ოღონდ კარგად იყოს შემკული, შიგნიდან და გარედგან, და დიდი ზარი სცემდეს სამრეკლოზედ, თორემ სხვა კეთილი აღარა არისრა. ოღონდ იმ ეკლესიებში წირვაზე თუ ლოცვაზე, რუსეთის ხელმწიფეს ადიდებდნენ ცათამდისინ, თორემ სხვა კეთილმდგომარეობისათვის ველა მოიცლის“.

მწერლის აზრით, რუსეთთან შეერთება ყველგან და ყველაფერში უარყოფითად დააჩნდა ქართველ ხალხს, რუსეთმა მთლიანად შეცვალა საქართველოში ყველაფერი. ჩვენი ყველაზე დიდი იმედი – ერთმორწმუნე რუსეთისგან სარწმუნოების ხელუხლებლობა – არ გამართლდა. მართალია, რუსები გარეგნულად თითქოს ზრუნავდნენ კიდევ ქართველი საეკლესიო მოღვაწეების დასაზრდელად, სასულიერო სემინარია სწორედ ამ მიზნით დაარსდა, მაგრამ რა გამოვიდა? თუ „უწინდელს დროს ჩვენი სასულიერონი იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები, მშვიდობის მყოფელნი, მონყალენი, ქველის მოქმედნი, ქვრივთა და დაცემულთ შემწენი, ობოლთ გამომზრდელნი, უცხოთ შემწყნარებელნი, ყოვლის კეთილისა აღმასრულებელნი და თავიანთი ქვეყნის თავისუფლების მოყვარულნი“, სემინარიის კურსდამთავრებულები მათგან სრულიად განსხვავდებიან. ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. ალექსანდრე ორბელიანი აქ საქმის არსს, ვითარებას უფრო მუქ ფერებში წარმოგვიდგენს, ვიდრე, ალბათ, სინამდვილეში იყო. სემინარიადამთავრებულნიც იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები, ერის გულშემმატიკივრები, მაგრამ მწერალი ყურადღებას მიაქცევს არა გამოწაკლისს, არამედ უფრო დამახასიათებელს, ასე რომ, მწერლის სიტყვები იმდროინდელი სამწუხარო რეალობის არსებითად სწორი ასახვაა. ალექსანდრე ორბელიანი დარწმუნებულია, რომ ქართველი სასულიერო მოღვაწენი სწორედ რუსებისაგან არიან ჩაგონებულნი სამწყსოს გასარყვნელად, ერში მორალური, ზნეობრივი ღირებულებების დასაცემად. მწერალი იმ საფრთხესაც ჭვრეტს, რომ ქართულ ეკლესიებში, შესაძლოა, მალე წირვა-ლოცვაც რუსულად აღავლინონ. ეს ხომ (ქართველების სრული გარუსება) რუსეთის მთავრობის სანუკვარი მიზანი და დიდი ხნის ჩანაფიქრი იყო.

გვახსენდება გიორგი მერჩულის დაუფარავი სიხარული იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესიებში „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. აი, რა სიხარულს ელოდა ჩანაცრება. ეს იქნებოდა რუსეთის მიერ გა-

დადგმული ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯი ქართველთა გაქრობის, რუსებთან ნიველირების გზაზე. ამიტომაც წამოჭრა მწერალმა მთელი სიმწვავეთ ეს პრობლემა და თანამემამულეთა გამოსაფხიზლებლად უფრო გაამუქა ფერები, უფრო მძაფრად წარმოგვიდგინა ისედაც ტრაგიკული ვითარება.

საერთოდ ეს სტატია თავისი მწვავე ტონით, კარგისა და ავის მკვეთრი დაპირისპირებით სწორედ გამომაფხიზლებლის როლს ასრულებს (უნდა ასრულებდეს) მკითხველისთვის. სხვა საკითხებთან ერთად მწერალი დღეისათვისაც საყურადღებო საკითხს – სასამართლოების თემასაც შეეხო. ალექსანდრე ორბელიანის თქმით, უწინდელ სასამართლოს ახლა უსამართლო უნდა დაუძახონ. ამ ერთი წინადადებით ბევრი რამ არის ნათქვამი. თუმცა მწერალი ამაზე არ ჩერდება, დაწვრილებით აღწერს, როგორი წმინდა სინდისით ირჩეოდა საქმეები ადრე და როგორი უსინდისობა, სიცრუე, უზნეობა სუფევს რუსულ ყაიდაზე გამართულ სასამართლოებში (ახალი სასამართლოებით უკმაყოფილებას სხვაგანაც ბევრჯერ გამოთქვამს ალექსანდრე ორბელიანი).

როგორც ვთქვით, „ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ ბევრ საჭირობოროტო საკითხს ეხება, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს სწვდება და ყველგან ძველის პრიორიტეტს ასაბუთებს ახალთან შედარებით. მაინც რამ გამოიწვია ქართველთა ზნეობრივი, გონებრივი, ფიზიკური გადაგვარება-დეგრადაცია? ალექსანდრე ორბელიანის აზრით – ცუდმა აღზრდამ (რაც, თავის მხრივ, რუსეთის ბატონობით იყო განპირობებული). უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანი დიდადა დაინტერესებული ყმანვილის აღზრდის საკითხით. ეს გასაკვირი სულაც არაა. სწორედ ბავშვთან, ახალგაზრდასთანაა დაკავშირებული მომავლის იმედი.

აღზრდის პრობლემა ყოველთვის, ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში უაღრესად აქტუალური და საჭირობოროტოა. ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები, მოაზროვნენი თუ მწერლები მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მომავალი თაობის აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ შემდეგი დროის მოღვაწე-

ებიც. ამ მხრივ, ცხადია, საქართველოც არ ყოფილა გამონაკლისი. ძველი ქართველი მწერლები და მოაზროვნეები ბევრს წერდნენ აღზრდის თაობაზე. ამ პრობლემას ყურადღება არც XIX საუკუნეში მოჰკლებია. ბევრი დაწერილა და უთუოდ მომავალშიც დაინერება იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა და სხვათა პედაგოგიური იდეების შესახებ. გასაგებიცაა, ისინი იყვნენ დიდი პატრიოტები, და ცხადია, უყვარდათ საქართველოს არა მარტო წარსული და აწმყო, არამედ კიდევ უფრო მეტად — მისი მომავალი. აღზრდის პრობლემით ჩვენი სახელოვანი წინაპრების დაინტერესება სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისო, — ამბობდა ილია. ბავშვი ჩვენი ცხოვრების ყვავილია („ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ — ასე უწოდა გიორგი წერეთელმა ერთ თავის მოთხრობას). თუ ამ ყვავილს დღეს, სინორჩეში არ მოუარე, მისგან კარგ ნაყოფს ვერ მიიღებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოზარდის ჩამოყალიბება-ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს ოჯახი, განსაკუთრებით — დედა. ამიტომაც ამბობდა ვაჟა-ფშაველა: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“. სულმნათი ილია კი სწორედ დედას ავალლებდა: „დედავ, ისმინე ქართველის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

XIX საუკუნეში ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ყურადღება მიაქცია მოზარდის აღზრდაში ოჯახის როლს, არის ალექსანდრე ორბელიანი. წინათ ბავშვები ოჯახში იღებდნენ კარგ აღზრდას, იქ ითვისებდნენ საუკეთესო ჩვევებს, რაც მერე ცხოვრებაში საგზლად მიჰყვებოდათ ხოლმე. ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი შეცდომები ანუ ჩემი ცოდვანი“ (გამოუქვეყნებელია, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) ალექსანდრე ორბელიანი იგონებს, თუ როგორ იზრდებოდა იგი ოჯახში. „ასე უმანკოთ და წმინდათ მზრდიდნენ, რომ არც ყურით ცუდი რამ უნდა გამეგონა და არც თვალით ცუდი მენახა რამე... ეს არის ჩვენი გაზრდილობა ჩვენი საუკე-

თესო სახლის შვილებისა". აქვე იმასაც ვიგებთ, რომ სინმინდეს, უმანკოებას, ზნეობრიობას არსებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღზრდაში როგორც თავადები, ასევე გლეხებიც. ამის შედეგი იყო, რომ მთელი საქართველო შემოეარათ, ერთს „შეგარცხვინოს“ ვერ გაიგონებდნენ, არამცთუ ლანძღვა ან გინება გაეგონათ ერთმანეთში. ეხლა შემოვიდა ამ რუსების დროსა, თორემ უნინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში, სადაც წმინდა სახარების ზნეობისა ქცევა იყო ხოლმე, უნინ ჩვენში და მისდევდნენ საღმთო წერილისა დარიგებას, ყოვლის თავის სიმართლითა“.

ყოველგვარი სიკეთე და ბედნიერება, ყველაფერი კარგი, ალექსანდრე ორბელიანის აზრით, სათავეს იღებს სახარებიდან. სწორედ ღვთისმოსაობა, სარწმუნოების უსაზღვრო სიყვარული განაპირობებდა, რომ მაშინდელი კაცების და ქალების „გული სინრფელით სავსე იყო“.

თავის ერთ ბოლოდროინდელ თხზულებაში „ჩვენი ძველი სახლეულობანი“ ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ძველი დროის უპირატესობას ახალთან შედარებით და ყველაფერი ეს კვლავ დაკავშირებულია ქრისტიანობასთან. „კარგი, ძალიან კარგი ეს იყო, რომ სულ სიმართლეს მისდევდნენ და წმ. სახარების რიგსა. ეს დიახ კარგი და მოსაწონია კაცობრიობისათვის... გულწრფელი ღვთისმოსაობის მეტი სხვა არა იყო რა, სარწმუნოების განუსაზღვრელი სიყვარული, წრფელი უმანკოების სიმართლე. მშობელის მამულის თავდადებითი ერთგულება, თავიანთ სახლეულობაში მშვიდობის მყოფელობა, სიყვარული თავის სახლის პატრონისა და დასასრულ, წმინდა სახარების წესი. ჩვენი უწინდელი ზნეობა აი ამაზედ იყო შედგენილი“.

ალექსანდრე ორბელიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა არისტოკრატიული წრის ბევრ ოჯახთან და აი, მრავალი ნაცნობი ოჯახიდან სანიმუშოდ იღებს ერთს და იმის მიხედვით წარმოდგენას გვიქმნის საერთოდ ძველ ქართულ სახლეულობაზე. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებსა და სტუმრებს საუბარში ერთი ბენვა უზრდელი სიტყვა არ გაურევიათ“,



არც ხმამაღალი ლაპარაკი ყოფილა „თვინიერ დამშვიდებულის ზრდილობიანის საუბრობისა“.

ვინ ან რა იყო მიზეზი, სათავე ასეთი უმანკო და ზრდილობიანი ქცევისა? ალექსანდრე ორბელიანის რწმენით, შინაური, ოჯახური ნესიერი აღზრდა, რომლის წარმმართველი და ხელმძღვანელი ქალი, დედა გახლდათ. ძველ ქართველ დედაკაცებზე, იმათ ზნე-ხასიათზე საგულისხმო ცნობებს გვანვდის ავტორი: „მე ძველი დედაკაცების ხელში ვარ დაბადებული, იმათ ხელში გაზრდილი და მინამ ორმოცდაოთხის წლისა შევსრულდებოდი, სულ იმათთან ვიყავი, თუ ოდესმე გარემოება არ განმამორებდა. მაშ, მგონია, ამდონი დრო ჩემთვის საკმაოა, რომ მე ისინი ძალიან კარგად მეცნა, მით უმეტესად, რომ იმათ ყოფა-ცხოვრებას ვიკვლევდი და ვსწავლობდი, ამიტომ რომ დიდად მომწონდა“.

სადავო არაა, მწერალი აქ გულისხმობს პირველ რიგში საკუთარ დედას და მასთან ახლო მყოფი მანდილოსნებს — თეკლა ბატონიშვილის დებს, რძლებს და სხვ. მაშასადამე, ალექსანდრე ორბელიანი გვესაუბრება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მისთვის ზედმინევენით ნაცნობი და მშობლიურია. ამიტომაცაა მწერლის ნათქვამი ესოდენ დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი. ახლა კი მოვუსმინოთ ალექსანდრე ორბელიანს: „იმ ჩვენს ძველ დედაკაცებს ჯერ ყმანვილობაში სამღვთო წერილს ასწავლიდნენ, კერვა-ხელსაქმეს და მასუკან საერო წიგნებს, ანუ ხელწერილებს (ე. ი. ხელნაწერებს - ნ. ვ.) აკითხებდნენ; ამასთან კარგ ზნეობას, კარგს თვისებას ასწავლიდნენ; შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სინრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაენვეთათ, თავის მოთმინებით იმათ ბუნებაში; და ბოლოს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ — და ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად... რა არა ჰქონდათ იმათ კარგი თვისებანი? დარბაისლური, მართებული ლაპარაკი, თუ ზრდილობიანი გახუმრებით მხიარულება? მე ჩემს დღეში არ მახსოვს, რომ იმათ ერთი ბენვა წინააღმდეგობა და მაღალი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის რამე. ყოველთვის მშვიდობიანად და გონივრულად ლაპარაკობ-

დნენ და მშვიდობიანად თავის აზრებს უმტკიცებდნენ ერთმანეთს, და ამასთან ყოველი იმათი ლაპარაკი კარგ საგნებზედ იყო: მინის მოსავალზედ, თუ ვენახებზედ, სახლის მეურნეობაზედ თუ საქვეყნოდ და სხვანი. ასე რომ, იმათში თავის დღეში ჭორი არ ითქმოდა, თორემ ტყუილი და სიცრუე როგორ შეიძლებოდა, როგორც ეხლა ჩვენში გაადვილებულია, — ნამეტნავად უმანკოთა და მართებულების მოთხრა ბევრი არის ეხლა".

აქ კარგადაა აღწერილი, თუ როგორ იზრდებოდნენ ოჯახებში მომავალი დედები. სწორედ ასეთი აღზრდა განაპირობებდა იმ ძველი ოჯახების მორალურ-ზნეობრივ სიმტკიცეს. ბავშვობიდანვე საუკეთესო ადამიანურ თვისებებს უნერგავდნენ ოჯახებში, ცხადია, არა მხოლოდ ქალებს, არამედ ვაჟებსაც. მათაც, პირველ რიგში, პირადი მაგალითით ზრდიდნენ, თანაც თანაბარი ყურადღება ექცეოდა როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ განვითარებას.

„ჩვენმა მამებმა იცოდნენ, თავის პატარა შვილებს შვიდის ანუ რვისა და ანუ მეტნაკლების წლისას თავის შუაში დაგვსხამდნენ, თავის სახლში დედმამანი და ყოველს შეყრილობაშიაც, რომ კარგათ გაიგონეთ და კარგათ დაისწავლეთ რასაც ვლაპარაკობთ, ჩვენც ჩვენი მამაპაპები ასე დაგვსხამდნენ თავის შუაშიო“, — იგონებს ალექსანდრე ორბელიანი. უფროსთა ყურის გდებით სწავლობდნენ ყმანვილები მშობლიურ ენას, მამულის სიყვარულს, კეთილ ზნეობას, სინძინდეს, პატიოსნებას. როგორც აღვნიშნეთ, ყურადღება ექცეოდა მოზარდის არა მარტო სულიერ განვითარებას, არამედ იმასაც, რომ ყმანვილი ჯანსაღი, ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანად ჩამოყალიბებულიყო. კვლავ მწერალს მოვუსმინოთ: „ესეც სჭირდათ იმ ჩვენს მშობლებსა და უფროსებსა, რომ ჩვენ ყმანვილებს არ გვაჭმევდნენ მინამ ვაჟიკაცი არ შევიქმნებოდით: არც ბატის ხორცს, არც ღორისას, არც ორაგულს, არც მომატებულს მჟავეს, არც მომატებულს ტკბილს, არც მომატებულს მლაშეს და არც არაფერს მწვანილს. ესენი სულ ყმანვილს აწყენსო. ღვინოსაც ძალიან ცოტას დაგვალევიებდენ მაგრამ წყალს კი არ გაურევდნენ“.

ალექსანდრე ორბელიანს ბავშვის ფსიქოლოგია კარგად ესმის. ახალგაზრდის, ყრმის, ჯერაც უწვრთნელი ყმანვილის გუ-

ლისყური უფრო საცნებლის, უმსგავსობისკენ არის მიქცეული. ერთ გამოუქვეყნებელ წერილში („გარყვნილებისაგან დაფარვა ყმანვილისა“) იგი წერს: „ყოველი უმზგავსობა უფრო მოსაწონია ყმანვილისათვის, რომელიც ადვილათა შეუდგება იმის სწავლას და მალეც მიიღებს“. ამ დროს ოსტატს (მწერტნელს, მზრდელს) ევალება, სწორი მიმართულება მისცეს აღსაზრდელის გონებას. „მინამ სრული წლოვანი არ შეიქმნას ყმანვილი და სწავლა არ შეისრულოს, მინამდისინ ხელიდგან გასაშვები არ არის“. ძველად ქართულ ოჯახებში სწორედ ამრიგად ზრდიდნენ ბავშვებს. ასე რომ, ალექსანდრე ორბელიანის ეს თეორიული მოსაზრება გამომდინარეობს სინამდვილის, რეალობის ანალიზიდან, ოჯახებში აღზრდის წესზე დაკვირვებიდან და, ამდენად, უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა.

მწერლის არქივში შენახულია მცირე მოცულობის დამრიგებლობითი ხასიათის თხზულება „კმაყოფილების წადილი და ვნების სურვილი“, რომელშიც ავტორი საკვებით ნათლად და მკაფიოდ გამოთქვამს თავის აზრს ადამიანის ქცევის მოტივების შესახებ. „უკეთუ კმაყოფილების წადილით მოქმედებს ანუ საქმობს კაცი, იგი დიდს სიტკბოებასა შინა იქმნება: ვითარცა სულით, ეგრეთვე ხორცითა, და სასიცოცხლოდ თვისად რავდენ რიგად ინუგეშებს და რავდენ კაცსა გამოიხსნის შეწუხებისაგან... გარდა ამისა რავდენს ნეტარებას მიიღებს მისი სული... და ვითარის განსვენებით დაიძინებს! მხოლოდ გრძნობით უნდა მივხვდეთ ესრეთი კაცი ვითარი ბედნიერი იქმნება თავისა თვისისა! თორემ ენა ვერ გამოსთქომს სრულად!“ კმაყოფილების წადილს ნაწარმოებში უპირისპირდება ვნების სურვილი. ყოველგვარი ბოროტება სტანჯავს ადამიანს, მის სულს წუხილი არ მოაკლდება. „ვნების სურვილიდან წარმოდგება, — უზომო პატივის მოყვარულობა! — უზომო მედიდურობა! — და უზომო შური! — უბედურნი, გაჭირვებულნი, — გლახაკნი, — და შეწუხებულნი, მისთვის არაფერია, ოლონდ თვითონ იყოს და არა სხვა ვინმე“.

ალექსანდრე ორბელიანისეული დასკვნა ასეთია, ბედნიერებას, სიხარულსა და კმაყოფილებას განიცდის ის, ვინც სიკეთეს

უანგაროდ აკეთებს. ალექსანდრე ორბელიანის აზროვნებისა და მსოფოლმხედველობის საფუძველს წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრება. ამიტომაცაა, რომ ამ და სხვა ანალოგიურ თხზულებებში ძალუმად იგრძნობა სახარების გავლენა.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ორბელიანის თანამედროვე საქართველოში არსებობდა რამდენიმე სასწავლებელი, სადაც გაბატონებული იყო რუსიფიკატორული სისტემა, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ მოქმედებდა ქართველი ყმანვილების სულზე, ხელს უწყობდა მათში რუსული ორიენტაციის ჩამოყალიბებას. ალექსანდრე ორბელიანს მიაჩნია, რომ ასეთი სასწავლებლები დამლუპველი იყო ქართველებისათვის. მწერლის აზრით, შინაური წესიერი აღზრდა უფრო მეტს აძლევდა ადამიანს, ვიდრე რუსული სასწავლებლები. თავისი დროის სასწავლებლებით იგი განსაკუთრებით უკმაყოფილო იმიტომ იყო, რომ იქ ქართველები ვერც სრულყოფილ სწავლა-განათლებას იღებდნენ და, რაც მთავარია, რუსებად იზრდებოდნენ. „იქიდგან გამოსული ქართველი ყმანვილები თავიანთსა შეყრილობაში სულ რუსულად ლაპარაკობენ და ქართულს ლაპარაკს კი ხანდიხან გაურევენ ხოლმე, ისიც დიახ იშვიათად“, — სინანულით წერდა მწერალი. თუმცა მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ნასწავლი ახალგაზრდების ახალი იდეები, „კარგი განათლების მიმართულება“. სიახლეს ალექსანდრე ორბელიანიც მიესალმებოდა, ოღონდ ერთი პირობით – ჩვენი, საკუთარი, მშობლიური არ უნდა დაგვევიწყებინა.

ამ ვრცელი წერილით („ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“), რომელიც სიცოცხლის მიმწუხრსაა დაწერილი, ალექსანდრე ორბელიანი ცდილობს, თვალი აუხილოს თანამემამულეებს, დაანახვოს კარს მომდგარი საფრთხე, აშკარა საშიშროება, რასაც შესაძლოა ქართველი ერის სრული გაქრობა მოჰყოლოდა. თუ არაფერი შეიცვალა, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, „აქ ქართველის თესლი აღარ დარჩება და ბოლოს დროს სულ რუსებათ გარდაიცვლებიან ჩვენი მომავალნი“. ამ საფრთხილებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ამას ყოველი გონიერი ქართველი გრძნობს და ხედავს.

რუსეთმა საქართველოში ფეხის დადგმისთანავე დაიწყო დაპყრობილი ქვეყნის დიდი ისტორიის გაყალბება, ადათის, ზნის, წესის შეცვლა, ენის დაკნინება და ხმარებიდან გაძევება. ეს ყველაფერი, ცხადია, შორს გამიზნული საქმიანობა იყო. რაც მთავარია, რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ქართველები, თქვენი გადამრჩენელი და ანიც საიმედო მზრუნველი რუსეთია, ურუსეთოდ არც გიცხოვრიათ, არც არაფერი შეგიქმნიათ და ვერც მომავალში იარსებებთ.

ერთი სიტყვით, როგორც ალექსანდრე ორბელიანი წერს: „რუსები ამ სიტყვით გვავალებენ და ყვირიან: რუსეთის ხელმწიფობამ, ქართველები ყოვლისფრით გააბედნიერაო(!)“. სინამდვილეში კი იმდენი უბედურება, ურცხვობა, სისაძაგლე, რაც რუსების დროს შემოვიდა საქართველოში, მანამდე არავის ენახა და გაეგონა. აი, ამას გვეუბნება მწერალი სტატიიაში „ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად. უნდა ითქვას, რომ თავისი პირდაპირობით ეს წერილი თვით ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაშიც კი გამორჩეულია. სწორედ აქ ამბობს გამწარებული ავტორი: რუსები არიან „აღმოსავლეთის ბარბაროსებზედ ათკეცად უარესნი ბარბაროსნი და ჯოჯოხეთის ეშმაკებზედ ეშმაკები“. რა მოუტანეს მათ კარგი ჩვენს ქვეყანას? „ყოველი საქართველოს ხალხი სულერთიან ბოროტებათ გადაგვაქცია რუსეთის მთავრობის შპიონებმა... ჩვენს საქვეყნო საქმეებში კი წმინდა მტკნარი ჩერჩეტები როგორც უგრძობელი იდიოტი ისე ჩვენ ვართ“. მეტად უნუგეშო სურათს გვიხატავს მწერალი ჩვენი ყოფისას. ხან თითქოს კიდეც ეცოდება მკითხველი, მეტი არ მომივიდეს, ძალიან არ შეგანუხოთო, — ბოდისუ იხდის. მაგრამ მთავარი სატიკვარი და სანუხარი არ იფარება, სწორედ პირიქით, ზედაპირზე ძევს, და მკითხველიც კარგად ხვდება მწერლის ამ შეკითხვის არსს: „ამის შემდეგ რაღას მოველოდეთ კარგსა ქართველები?“

როგორ გვაგონებს ალექსანდრე ორბელიანის ეს შეკითხვა გრიგოლ ორბელიანის უკანასკნელ მწარე ამოძახილს: „...დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ალექსანდრე ორბელიანის ამ სტატიის დაწერის მიზანი სხვებისათვის თვალისახელაა, მწარე სიმართლის თქმა. გურამიშვილისეული „მართალს ვიტყვი“ არც ალექსანდრე ორბელიანისთვის არის უცხო. მწერლის დარდის მიზეზი ის გამხდარა, რომ „დიახ ცოტაოდენი ქართველები ხედავენ ამას, ამ ჩვენ დასალუპ დროსა“. ალექსანდრე ორბელიანის აღზფოთება კულმინაციას აღწევს წერილის ბოლოს, სადაც ავტორი ასე მიმართავს მკითხველს: „აი ხომ გაიგონეთ როგორ გაგვაბედნიერა ქართველები იმ ღვთის მტრებმა რომლებიც გარდა ჩვენისა მარადის გამზადებული არიან, რომ ყოველი კაცობრიობა ჯერ თავის დიდ მუცელში ჩანთქას და მის უკან ერთიანად გაარუსოს, მხოლოდ თავისი სახელის დიდების განთქმისათვის და არა კაცობრიობის კეთილისათვის“.

ალექსანდრე ორბელიანს თავის თანამედროვეებში რუსების მოძულის სახელი ჰქონდა დავარდნილი, სიცოცხლეშიც და მერეც მწერალი უსამართლოდ იდევნებოდა, თუმცა მისი ნაწერები არ აუკრძალავთ, მაგრამ დაუმსახურებელი გულგრილობა მის მიმართ აშკარად ჩანდა. მიზეზი ყველაფრისა ისევე და ისევე რუსეთისა და რუსების სიძულვილი იყო, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, ეს ზერელე შთაბეჭდილებაა. მწერლის შემოქმედების შესწავლა არ იძლევა ასეთი დასკვნის უფლებას. ალექსანდრე ორბელიანი თავისი ქვეყნის ნამდვილი შვილი, ჭეშმარიტი გულშემატკივარი იყო, რაც თავისთავად, ბუნებრივად გულისხმობს მტრის, დამპყრობის, მოძალადის სიძულვილსა და მისგან თავდაღწევის, გათავისუფლების სურვილს. აი, რატომ ჩანს ალექსანდრე ორბელიანი რუსების მოძულედ, თორემ სხვა ერის სიძულვილი (ნებისმიერისა) მწერლისთვის სრულიად უცხო და მიუღებელია. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ მწერალი: „ღმერთს ისე დაუბადებია, რომ საქართველოში მერუსები არ მიყვარან? – მე ისინი რუსეთში დიდად მიყვარან, იქ უკეთესი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგი მახსომ მე იმათგან, მაგრამ აბა რა ვქნა, აქ მე ისინი არ მიყვარან, არა, ბევრჯელ ვცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე, ჩემს გულში მამეკლა, მაგრამ ვერას მოთმინებით ვერ შევიძელ, არა გამეწყორა“.

ეს მამულიშვილის გულწრფელი აღსარებაა.

## ყოველი ქართველი ჩვენსა ენასა უნდა უფროსილდეზოდეთ

ალექსანდრე ორბელიანმა თავისი თვალსაზრისი ქართული ენის შესახებ რამდენიმე პუბლიცისტიურ წერილში გამოთქვა, მათ შორის 1865 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „ზოგიერთი შემცნევა“.

როგორი უნდა იყოს ქართული სალიტერატურო ენა? როგორ უნდა წეროს მწერალმა? აი, ის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას ცდილობს მწერალი.

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ქართული სალიტერატურო ენა უნდა ეფუძნებოდეს მრავალი საუკუნის წინათ ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ ენას. „როგორც გვგონია ჩვენ, ჩვენი ლიტერატურის ენა უნდა იყოს ძველის სიტყვიერებითა შეწყობილი, რაზედაც დგას ჩვენი ძველი სიტყვიერება“. მწერალმა ყოველი სიტყვა თავის ადგილას უნდა იხმაროს, ცხადია, კარგად უნდა იცოდეს ქართული სიტყვების მნიშვნელობა და საჭიროებისამებრ შეეძლოს მათი გამოყენება. ალექსანდრე ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს ნაწერის მხატვრულ სტილზეც. მისი თქმით, მწერალმა ისე უნდა წეროს, „რომ არცა ერთი სიტყვა ერთმანეთსა არ ამარცხებდნენ და ყურის სმენას ედებოდეს ხიჭვსავითა, ასე საამოთა ერკვეოდეს სასმენელსა სიტყვა ყველა“. იგი ხედავს, რომ ყველა მოწადინებულია ენის სინმინდის დაცვისა და მისი გაუმჯობესებისათვის, ენის პატრონობაზეც სხვადასხვა დასი აცხადებს პრეტენზიას (აქ უთუოდ იგულისხმება ის მწვავე პოლემიკა, რაც ახალსა და ძველ თაობას შორის გაიმართა ამ წერილის დაწერამდე რამდენიმე წლით ადრე). ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ჩვენს ენას არაფერი უშველის, თუ ჩვენვე უარვყავით და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გამოვიყენეთ. XIX საუკუნეში, ალექსანდრე ორბელიანის დროს, ქართული ენა სწორედ ასეთ დაჩაგრულ, დაბეჩავებულ მდგომარეობაში ყოფილა, შინ და გარეთ ქართველთაგან უარყოფილი (სწორედ ამას ამუწათებდა „მამებს“ ილია ჭავჭავაძე: „თქვენ არ იყავით ენის პატრონად ჩვენზედ

უნინა?! ჩვენ ძუძუს ვნოვდით, როცა თქვენ ჰგმობდით ენას და ხალხსაც გარედ თუ შინა“. „შევიყრებით, დავსხდებით, რა ენა-ზედ დავიწყებთ ლაპარაკსა? საუბედუროდ ჩვენის ქართულის ენისა, სხვა ენაზედ“, — მწარე სიმართლით წარმოგვისახავს არსებულ ვითარებას ალექსანდრე ორბელიანი.

მწერალი დაუნდობლად ამხელს იმ ცრუ მოღვაწეებს, რომლებიც ვითომ საქართველოსა და ქართული ენის პატრიოტებად გვევლინებოდნენ, სინამდვილეში კი მწყრალად იყვნენ მშობლიური ენის ცოდნასთან. თითქოს გრძნობს მათ გულისწყრომას, „ნუ გასწყრებით“, — მიმართავს, რადგან პასუხისმგებლობას თვითონაც არ გაუზრბის, სხვისი დანაშაულის გამო თვითონ წითლდება. „თქვენ მაგიერ პირი გვეწვის სირცხვილითა“, — ეს მთელი თაობის (ერის) მიერ ჩადენილი ცოდვის აღიარებაა.

როგორ შეიძლება საქმის გამოსწორება? რა მიმართულება უნდა მიეცეს ქართული ენის განვითარებას? ალექსანდრე ორბელიანის სავსებით სწორი წარმოდგენით, დროის მდინარება, წლების მატება, საუკუნეების გასვლა არ ნიშნავს, არ ემთხვევა ენის განვითარებას. ამიტომ, მწერლის აზრით, მის თანამედროვეთ ენის გაკეთება-გაკეთილშობილებისათვის კი არ უნდა ეზრუნათ („გაკეთებულს რაღა გაკეთება უნდა?“), არამედ ღრმად, საფუძვლიანად შეესწავლათ უკვე არსებული სალიტერატურო ქართული და არ დაემახინჯებინათ, არ შეერყვნათ და წაებილწათ სხვა ენით. „ჩვენს საზოგადოებას უნდა სწავლა, მეცნიერება, რომელსაცა მზად გაკეთებული ენა, სრული მომზადებული მზა დახვდება“. ენას ძალის დატანება არ უნდა, ის ბუნებრივ კალაპოტს არ უნდა ასცდეს (მდრ. ილია: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა რომელიმე თეორეტიკა“), თორემ „ძალის დატანებაში, ის ზოგიერთი სიტყვიერება ანუ იმათი წერა გამოდის რ... ენის თვისება და არა ნამდვილი ქართული“.

ასეთი ნაწერი, ცხადია, მოკლებულია სილამაზეს, სიტკბოს, რაც მთავარია, აზრის სიცხადესაც, სხვა ენის (კერძოდ, რუსულის) თვისების ბრმად გადმოტანა ქართულში (კალკირება) დამლუპველია ჩვენი ენისათვის. „ეს არ არის ლიტერატურის ენა“, — ასკვნის ალექსანდრე ორბელიანი.



სიცოცხლის მიმწუხრს, 1869 წ. დაწერილ სტატიაში „ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ ალექსანდრე ორბელიანი გულწრფელად წუხს იმის გამო, რომ ქართველები უმეტესწილად რუსულად ლაპარაკობდნენ, საკუთარს ივინყებდნენ და სხვისას ეთვისებოდნენ. ამ უბედურებაში თავისი წვლილი ჰქონდა სკოლასაც. აი, რას წერს მწერალი: ახლა „რუსებათ ამზადებენ ჩვენს შვილებსა და რუსებათ ზრდიან. სადაც მიხვალთ სახლებში, ჩვენს საკუთარს ლაპარაკს ცოტას გაიგონებთ, უფროსი ერთს სულ რუსულად ლაპარაკობენ. რასაკვირველია რუსებს დიდად მოსწონთ ეს და უფრო აქეზებენ რუსული ენისათვის რუსეთის მთავრობისაგან გაუბედურებულებს ჩვენს ხალხსა“. და ცოტა ქვევით: „იქიდგან (სასწავლებლებიდან – ნ. ვ.) ქართველი ყმანვილები თავიანთსა შეყრილობაში სულ რუსულად ლაპარაკობენ და ქართულს ლაპარაკს კი ხანდახან გაურევენ ხოლმე, ისიც დიახ იშვიათად“.

ასეთი მდგომარეობა მწერლის სამართლიან შეშფოთებას იწვევდა. სრულიად გულწრფელია ალექსანდრე ორბელიანი, როცა სტატიაში „ზოგიერთი შემცნევა“ თავის განცდებს ასე გვიზიარებს: „შიშით ვძრწით, ჩვენი მართებული პატიოსანი ენა, ის საკმაო სასიამოვნო ენა, რომელსაცა ენის ძალაც ძლიერი აქვს არ გალახონ გაუკითხავად?“ არადა, ამის რეალური საშიშროება იყო XIX საუკუნეში (შემდეგშიც თითქმის მუდმივად). საინტერესოა ორბელიანისეული შეფასება ქართული ენისა. ჩვენი ძველები ქართული ენის ღირსებას ასე ახასიათებდნენ თურმე: „ომში ძლიერიო, შეყრილობაში უცხო შემაქცევარიო, საქმეში კარგი გამგებელიო და ქვეშაგებში მეტი დამატებობელიო“. უფრო ადრე, 1856 წ. დაწერილ წიგნაკში „ქართულის ენისათვის“ ალექსანდრე ორბელიანი ხაზს უსვამდა მშობლიური ენის სრულყოფილებას. მწერლის თქმით, სიყვარულის გამჟღავნება ამ ენაზე მოლალურის, იადონისა თუ გაზაფხულის ყველა „მობხაურე ჩიტის“ სტვენას ედარება, „სინაზის ნეტარებით“ არის სავსე, მაგრამ „ამ ტკბილ ენას, როდესაც შფოთი შეხვდება ხოლმე, მაშინ სხვა არის, მაშინ მეტად იცის თავის გამოჩენა და განძლიერება“. ალექსანდრე ორბელიანი აშკარად

უპირისპირდება ყველას, ვისაც უნდა „საუკეთესო საგნებით სავსე ქართული, თოფის მიზანში ამოიღონ სასიკვდილოთ“. ცნობილია, რომ იგი არ იზიარებდა გიორგი მუხრანბატონის ენობრივ პოზიციებს (ამის შესახებ ცნობას გვანვდის აკაკი წერეთელი. გიორგი მუხრანბატონის ყბადაღებული ბროშურა, პატარა ერებისა და ენების უფრო დიდ ერთეულებში გათქვეფის მიზანშეწონილობა-აუცილებლობას რომ ქადაგებდა, 1872 წელს დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორი თავის აზრებს ზეპირად ბევრად უფრო ადრე ავრცელებდა საზოგადოებაში).

„აბა მითხარით, მთელს ქვეყანაზედ ვის მოსპობია საკუთარი ენა, რომ ჩვენი ენა გავიცალოთ ჩვენგნით“, — სიმწრით კითხულობს მწერალი და იქვე განაგრძობს: „ყოველი ქართველი ჩვენსა ენასა უნდა უფროთხილდებოდეთ არ დაეკარგოთ“. ამ ენის დამკარგავნი ვიქნებით „კაცობრიობასთან შემცოდე“, მეტიც, „ქურდზე ქურდი“.

„საკუთრებასა ვკარგავთ ქვეყნისას, ჩვენის მამაპაპის ენას“, — განგაშის ზარებს არისხებს ალექსანდრე ორბელიანი. მას კარგად აქვს გაცნობიერებული და გასიგრძელებული ის საფრთხე, რაც ენის დაკარგვის შემთხვევაში მთელ ერს, მთელ ქვეყანას ემოქრება. ამიტომაც არ ინდობს არავის ცენზის, რანგის, ასაკის, ეროვნების მიუხედავად, ვინც ქართულს ცოდვილის ხელით შეეხება. ამიტომაც უკიჟინებდა პლატონ იოსელიანს დაუნდობლად: „პლატონს ჩვენი, ქართველების გადაქცევა უნდა სხვა თესლათა, აი იმის სიტყვა: ქართული ენა დიღმიდგან ქ. ტფილისამდინ და ქ. ტფილისიდგან სოღანლულამდისინ“.

არანაკლებ უბედურებად მიაჩნია ალექსანდრე ორბელიანს ქართული ენის რუსული ენის თვისებაზე დაყრდნობა. თუ არ დაგვიშლია და გვინდა, ჩვენს ენას ახალი მიმართულება მივცეთ, „მარტო რუსულის ენის თვისებაზე კი არ უნდა დაემყარნენ, უნდა სხვა გავითარებული ენების მიმართულება შემოიტანონ, რომ რაც მოუხდება ჩვენს ენის თვისებასა, ის აზრი, ის განწყობილება და ის სიტყვები მოიხმარონ. ენა ენებიდგან უნდა გაკეთდეს ანუ გაბრწყინდეს თავიანთ მეცნიერთა“.

დამონშებული ციტიტიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ორბელიანი სხვა ენებიდან სიტყვათა სესხებისა თუ სხვაგვარი გავლე-

ნის პრინციპული წინააღმდეგი არ არის, ოღონდ მარტო ერთი ენის (ამ შემთხვევაში რუსულის) სრული, განურჩეველი, ყოველმხრივი გავლენა ქართულზე დამთრგუნველად მოქმედებს, ენა ილახება, ხოლო სხვადასხვა ენებიდან ჩვენში მხოლოდ ისეთი რამ უნდა შემოვიდეს, რასაც ჩვენი ენა არ იუცხოვებს, მიიღებს, გაითავისებს და მით გამდიდრდება.

ალექსანდრე ორბელიანისათვის ენა და სამშობლო განუყოფელია. ამიტომ, როცა ქართული ენა გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა (რაც საქართველოს გაქრობასაც ნიშნავდა), მწერალი თავგამოდებით იცავდა მშობლიურ ენას, მის ყოველნაირ მოხმარებას, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა განურჩევლობას ენის სინმინდისადმი. აი, რას წერდა ამის შესახებ მწერალი 1865 წელს: „ამასაც მწამობენ მე ოღონდ ქართული ენა იყოს და რაც უნდა იყოს სულ ერთია იმისათვისო. აღვიარებ, რომ სწორედ ასე ვთქვი: მაგრამ იმ რაც უნდა იყოდგან თავის დროზედ ნათელი გაზი აენტება მეთქი!“..

თავის წიგნაკში „ქართულის ენისათვის“ ალექსანდრე ორბელიანი ორგვარ წერას ასახელებს – „ძველებური მსწავლულების წერა“ და „ახლანდელი“ ანუ „მდაბიური“. უნდა ითქვას, რომ მწერალი არცერთს არ ანიჭებს უპირატესობას: „ორივე სიტყვიერება მეტი საუცხოვო არის“. ძველებური წერა, „სიტყვიერებით“ სავსე, უნაკლულო და მაღალი მარტო მას ესმის, ვინც ქართული კარგად იცის, გლეხებისათვის კი ძნელი გასაგებია. სამაგიეროდ, მდაბიურად ისე იწერება, როგორც ვლადიმერაკობთ და ყველა იოლად იგებს. საერთოდ კი ალექსანდრე ორბელიანისთვის ეს ორივე ერთი ენაა: „მიკვირს მე, ზოგნი ერთნი რათ ანობენ: ძველებური წერა სხვა არისო და ახლანდელი სხვაო“.

ყველაფერი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველებურ წერაში ალექსანდრე ორბელიანი საერო მწერლობის, ანუ იგივე ახალი ქართული მწერლობის ენას გულისხმობს. როგორც ცნობილია, „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან: მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხადის) ენა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ენა უკვე

აღარაა ძველი ქართული“, ხოლო „მეთერთმეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია“. ძველი ქართული ენის სრულყოფილებაში დარწმუნებული მწერალი რიტორიკულ კითხვას სვამს: „თუ იქნება ჩვენი ძველის წიგნებისა ძალის გამოკრება, ანუ გამოტანა, ანუ გამოწურვა, მაშინ ნახავთ რომელს სალიტერატუროსა ენას შეუდგებით, ანუ რომელს ენას დასდებთ სამწერლოში?“

1860 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი „ქართული უბნობა ანუ წერა“ განზოგადებითი ხასიათისაა და ნათლად წარმოაჩენს მისი ავტორის ენობრივ პოზიციას. ალექსანდრე ორბელიანი გამოდის ერთიანი სალიტერატურო ენის მოთხოვნით. „ჯერ ერთგვარი წერა უნდა დაიდოს ქართულის სიტყვიერებისა, რა გვარად ვსწეროთ საზოგადოდ, რომ სხვადასხვა ჭრელი წერა არა გამოვიდეს რა“.

1857 წ. ალექსანდრე ორბელიანმა „ცისკარში“ დაბეჭდა წერილი „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიანზედ“. ავტორი ეკამათება ცნობილ საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანს, რომელმაც 1850 წ. ცალკე წიგნად გამოცემულ „გაყრას“ წაუძღვარა მოკლე წინასიტყვაობა: „დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთოვმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გვარის მწერლობისათვის... მაქვს იმედი, რომ... სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“. ამის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი შენიშნავს, რომ გიორგი ერისთავს არავითარი ახალი ქართული ენა არ შეუქმნია: ანდუყაფარი და სხვა მოქმედი პირები საუბრობენ იმ ენით, „როგორც ყმანვილობითვე უსწავლიათ“. ასე რომ, კომედიით ვერ გავიგებთ გიორგი ერისთავის ენას. ეს რომ გავიგოთ, საჭიროა „თავადმა გიორგი ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს“. ალექსანდრე ორბელიანი აღშფოთებით კითხულობს: „პლატონ იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კომედიის წინასიტყვაობაში „შეუდექით მაგალითსა მისსაო“, რატომ თავის წინასიტყვაობას ერისთავის კომედიის წერას არ ამზგავსებს და სხვებს კი ურჩევს? გავს, ვერ მოუხერხებია, ამისთვის რომ იოსელიანის წერა სწორე წე-

რა არის და ერისთავის კომედია დაკუნველი ლაპარაკი, კითხვა-მიგების მზგავსი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ ალექსანდრე ორბელიანს „სავსებით სამართლიანად, გიორგი ერისთავის კომედიების ენა სალიტერატურო ენის ნიმუშად კი არ მიაჩნდა, არამედ კომედიის ენად“. მეტიც, ალექსანდრე ორბელიანს საერთოდ არ სჯერა ახალი სალიტერატურო ენის არსებობა, ეჭვება, რომ ვინმემ ახალი ენა იცოდეს. „თუ მართლა ახალი ქართული იცოდენ, დაგვანახონ, დაგვიმტკიცონ, რომ სწავლისათვის გამოიცეს ახალი ქართული ენა და იმის მაგალითსა შეუდგეთ ყოველნი“. სხვაგან: „მაინც კიდევ მაჩვენონ, ამდენი ხანი ჩვენი ყურნალები იბეჭდება, ერთს სტატიანზედ ხელი დამიდონ: ამისთანა ახალი ქართული ჯერ არ დანერილაო?“

სწორედ შენიშნავს გრიგოლ კიკნაძე: „ალ. ორბელიანი სინამდვილეში არც ძველ ენას იცავს და არც სისადავისა და სიმარტივის მოთხოვნის წინააღმდეგ ილაშქრებს. ალ. ორბელიანის ენის სინმინდის საკითხზე ლაპარაკობს“...

ალექსანდრე ორბელიანმა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება საკითხს, თუ რომელი დიალექტი დაედო საფუძვლად სალიტერატურო ენას. უფრო ზუსტად, მწერალი დაინტერესდა იმით, თუ რომელმა დიალექტმა შემოგვინახა ჩვენი წინაპრების მეტყველება უფრო წმინდად. რადგან იმერულ მეტყველებას ოსმალური გამოთქმა შერევია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საუბარს სპარსულის დალი ადევს, ამიტომ, მწერლის აზრით, ჩვენი ძველების ენა მთიელებს უნდა ჰქონდეთ დაცული, რადგან იქ მტერი ვერ აღწევდა, და, ცხადია, ვერც მეტყველებაზე ახდენდა გავლენას.

აქვე ალექსანდრე ორბელიანი სხვებს ურჩევს ამ საკითხის კარგად შესწავლას. „კარგმა მცოდნემ რომ გამოიძიოს ეს საგანი, კარგი იქნება“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანს კატეგორიული ტონი არ ახასიათებს. რაზეც უნდა მსჯელობდეს, რა დასკვნასაც უნდა აკეთებდეს, საკუთარ აზრს არავის თავზე

არ ახვევს. მაგ. სტატიიაში „ქართული უბნობა ანუ წერა“ ვკითხულობთ: „თუმცა ჩემის აზრით მე ასე ვამტკიცებ, მაგრამ ნურავის ნუ ეგონება, მე იქამდისინ უბრალო ამპარტავნება მქონდეს, ანუ ურიგო თავის მოყვარება, ამ ჩემს გამოცემულ წერილზედ დავემყარო: რაცა ვსთქვი უთუოდ ასეა მეთქი. არა რასაც ვამბობ იქნება ასე არ იყოს და უფრო სხვა გვარად იყოს“.

ამ მრავალმხრივ საყურადღებო სტატიიაში ალექსანდრე ორბელიანმა აღიარა ქართული ენის სამი თვისება, ანუ სამი სტილის არსებობა (გავიხსენოთ რომ წიგნაკში „ქართული ენისათვის“ ავტორი ორი სტილის შესახებ საუბრობდა): „ქართულის ენის თვისებას რომ ერთიც ზედ დაუმატოთ, სამათ გაიყოფება. პირველი საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და მესამე გლახ-კაცების ენად“. ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს მაგალითები, ნიმუშები იმისა, თუ როგორ გამოითქმება ერთი და იგივე ტექსტი სამნაირად. ალექსანდრე ორბელიანი უარყოფს „საღმრთო წერილის“ ენის ბუნებრიობას, როგორც ფართო საზოგადოებისათვის გაუგებარს, ასევე უარყოფს „გლახკაცების“ ენის საჭიროებას, და ასაბუთებს „დარბაისელთ ენის“ უპირატესობას. მაშ მწერალი ერთიანი ენის დამკვიდრების მომხრეა: „ჩვენი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვი, ერთგვარი უნდა იყოს“. და უპირატესობას „დარბაისელთ ენას“ ანიჭებს, რომელსაც სრულყოფილ, უნაკლო ენად აღიარებს.

ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, რომ „ლიტერატურული ენის საკითხებში ალ. ორბელიანი უკიდურესი არქაისტია“, რომ ის „ყოველმხრივ იცავს ძველ სალიტერატურო ენას“. ამბერკი გაჩეჩილაძე ასკვნის: „ალ. ორბელიანი თაობათა შორის უთანხმოებისას თავისი მსოფლმხედველობით ე. წ. „ძველი თაობის“ მხარეზე იდგა. იგი თავისებურად აღიარებდა „სამი სტილის თეორიას“ და ქართულ ენას ყოფდა სამ ნაწილად... თითქოს არსებობდა სასულიერო, თავადაზნაურული (დარბაისლური) და გლახური ენა“.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული წერილები ცხადყოფს, რომ ალექსანდრე ორბელიანი თუმცა ადასტურებს „სამი ენის“ არ-

სებობას, როგორც ისტორიულ ფაქტს, მაგრამ ეს „სამი სტილის“ აღიარებას როდი ნიშნავს. პირიქით, „სამი სტილის“ თეორიას უარყოფს და კატეგორიულად მოითხოვს ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებას. ალექსანდრე ორბელიანისათვის მისაღები აღარ არის ენის დაყოფა „მაღალი, საშუალო და მდაბალი საგნების მიხედვით“. მაშ, ნათელია, რომ ენის საკითხებში ალექსანდრე ორბელიანი არ არის არქაისტი, მის მიერ „სამი სტილის“ არსებობის აღიარება ამ სამი სტილის დაცვას კი არ ნიშნავს, არამედ — პირიქით, მწერალი უარყოფს სალიტერატურო ენაში სხვადასხვა სტილის არსებობის საჭიროებას და ერთიანი ენის დამკვიდრების მომხრეა. ხოლო ერთიან ენას საფუძვლად ძველი ქართული, ანუ „დარბაისელთ უბნობა“ უნდა დაედოს.

თვითონ ალექსანდრე ორბელიანი სადა, მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით წერდა. ეს ზოგ კრიტიკოსს გასაკვირად ეჩვენება. სავსებით სწორად აღნიშნავს როსტომ ჩხეიძე: „...ენის შინაგან ცვლილება-განვითარებასა და შესაფერისად, სტილურ ძიებებს იმთავითვე აჰყვამ ალექსანდრე ორბელიანი. მისი ისტორიულ-დოკუმენტური მოთხრობები ნიმუშია იმ სტილური ნაკადისა, რაც თანდათანობით უნდა გამოცალკევებოდა ძველ მნიგნობრულ ენას, როგორც თვალსაჩინო სიახლე ჩვენს მხატვრულ აზროვნებაში“.

დადგა გარდაუვალი აუცილებლობა იმისა, რომ სწორი, მართებული ქართული დაკანონებულიყო წერასა და მეტყველებაში. ამიტომ მოუწოდებდა ალექსანდრე ორბელიანი: „ვინც გამოჩენით იცინა ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქართულის სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვის“.

ალექსანდრე ორბელიანს დიდი იმედი ჰქონია ბაქარ ქართლელის (დიმიტრი ყიფიანის), მისგან მოელოდა შემოკლებული ქართული გრამატიკის შედგენას და საერთოდ, ენის ნორმების დადგენას, „თორემ თუ ეს ასე არ იქნა, სრულიად აირევა ქართული სიტყვიერება“.

უნდა ვთქვათ, რომ ამ დროს ქართული ენის გრამატიკის რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობდა უკვე, მაგრამ ალექ-

სანდრე ორბელიანის აზრით, ცხოვრებისეულ მოთხოვნებს არც ერთი არ შეესაბამებოდა (ნიკო ჩუბინაშვილისა და პლატონ იოსელიანის გრამატიკები რუსულიდან გადმოღებულად მიიჩნია, ანტონ კათალიკოსისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკის აღდგენა თუმცა დასაშვებად, მაგრამ არა საკმარისად ცნო). თვითონ ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ვთქვით, თანამედროვე სალიტერატურო ენის საფუძვლად ძველ ანუ დარბაისლურ (ე. წ. საშუალო ენას) აღიარებდა, კერძოდ, საუკეთესოდ მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ენა და უკეთესი ვერც წარმოედგინა. სადღეისოდაც მართებულად გაისმის მწერლის სიტყვები: „მგონია, ყველანი დამეთანხმნენ უწინდელს ქართულს საეროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ, სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისათვის“. მისი აზრით, სასულიერო ლიტერატურა მაღალი, მწიგნობრული ენით უნდა დაწერილიყო, სიმარტივისა და სისადავის აუცილებლობა მხოლოდ საერო ნაწარმოებების წერისას იგრძნობოდა ძალუმად. მისი თქმით „...უწინდელს დროშიაც, საეკლესიო წიგნები ეკლესიურის სიტყვიერებით უწერიათ და საერო საქვეყნიერო ენით“. ალექსანდრე ორბელიანი მიიჩნევს, რომ ძველი საერო წიგნების ენა დარბაისელთ ენაა, ამიტომ სწორედ „რუსუდანიანის“, „ვისრამიანის“, „დავრიშიანის“, „სიბრძნე-სიცრუისას“, „ყარამანიანის“, და ცხაღია, „ვეფხისტყაოსნის“ ენაა საუკეთესო, სანიმუშო ქართული და ის უნდა დაედოს საფუძვლად ერთიან სალიტერატურო ენას. „უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები, დარბაისელთ ენაზედ უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ“, - სწორად შენიშნავს მწერალი.

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსთაველსა და მის ქმნილებას. რუსთაველი მწერლისთვის პოეზიის მეტრია, საუცხოო მოქართულე და იგავმიუნვდომელი ხელოვანი. „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იმისთვის არის ისე კარგი, რომ ყოველი სიტყვა თავისი კავშირებით ისე შეწყობილია, თავთავის ადგილს ყველა, ვითარცა საგანგებოს ხელოსნისგან შეწყობილი, მარგა-



ლიტი ძვირფასი“, — ვკითხულობთ წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“. სხვაგან (წერილში „ზოგიერთი შემცნევა“) ავტორი რუსთაველის პოემიდან ერთ სტროფს იმონმებს თავისი მსჯელობის დასასაბუთებლად. გასაკვირი არაა, რომ 1852 წ. ალექსანდრე ორბელიანმა მას ლექსიც უძღვნა სათაურით „რუსთაველი“. როგორც რევაზ სირაძე აღნიშნავს, „აქაა რომანტიკული ქება რუსთაველისა, მონოდებული თავისუფალი თეთრი ლექსის ფორმით“. ალექსანდრე კალანდაძეს სწორედ ეს ლექსი მიაჩნია ჩვენში მოგვიანებით დამკვიდრებული თავისუფალი ლექსის „უშუალო სათავედ“. ლექსის საერთო პათოსისა და რუსთაველთან ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულების გასაცნობად დავიმონმებთ ერთ ადგილს:

**აი ეხლა მესმის მთელი ქვეყნის ლექს-მგოსნების ღალადება,  
მაგრამ რუსთაველის ხმოვანება უფრო აღმატებული  
და სატრფიალო იმაზე.**

სხვათა შორის, თავის პუბლიცისტურ წერილებში ალექსანდრე ორბელიანი შეეხო იმ დროისათვის ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორცაა ქართულ ანბანში ეგრეთ წოდებული „ზედმეტი ასოები“. 1863 წ. გამოქვეყნებულ წერილში „ზოგიერთი შემცნევა“ ავტორი ამკარად ქადაგებს წერის გამარტივებას, შემსუბუქებას და ამით თავისებურად ეთანხმება, კვერს უკრავს სამოციანელთა თავკაცს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი „ორიოდე სიტყვა...“ თუმცა ალექსანდრე ორბელიანი აქ არც ილია ჭავჭავაძეს ახსენებს, არც ახალი თაობის რომელიმე სხვა წარმომადგენელს (სამართლიანადაა მიჩნეული, რომ იგი თაობათა ბრძოლაში არ ჩაბმულა), ანბანის შედგენილობაზე საუბარი მაინც ილიას ცნობილი წერილის გამოძახილია (აქ ზედმეტი არ იქნება იმის გახსენება, რომ „პასუხი“ ილიამ სწორედ ალექსანდრე ორბელიანს უძღვნა). ილიას დარად ალექსანდრე ორბელიანიც მიიჩნევს, რომ ყოველ ასოს თავისი შესაბამისი ბგერაც უნდა ჰქონდეს, თუ არადა, ასოც უსარგებლოა. „ჩემის აზრით ბჯგუ არის უბრალო რაღაც კობჩხილა ასო, რომელსაცა არარაი

ხმაი არა აქვს, არც ავი და არც კარგი. მაშასადამე ვისაც ხმა არა აქვს იგიც უღირსია ადგილისა“, — ასეთია მწერლის მსჯელობა. რაც შეეხება კიდევ ხუთ ასოს, მწერალს მიაჩნია, რომ ამ ასოების არსებობას ქართულ ანბანში გამართლება აქვს. თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ ისე დაასაბუთა ამ ასოთა ხმარებიდან ამოღების საჭიროება და აუცილებლობა, რომ ალექსანდრე ორბელიანის ამ თვალსაზრისს გამოხმაურება არც მოჰყოლია, თუმცა მიგვაჩნია, რომ მწერალი ზოგ შემთხვევაში არ ცდებოდა. მაგ., როცა წერდა: „ასო იოტა დასაკლისსა არას აძლევს ქართულს წერას“ და კიდევ ზოგჯერ (სხვათა შორის, მსგავსი თვალსაზრისია გამოთქმული 1990 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ №3-ში გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გამოცემისათვის“, სადაც წერია „... იოტა, ე მერვე, უმარცვლო უნი და ვიე. ეს ბგერები სავსებით უსაფუძვლოდ იქნენ გაძევებულნი ქართული ანბანიდან XIX საუკუნეში“).

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ალექსანდრე ორბელიანი თავის თვალსაზრისს პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად კი გამოთქვამს, მაგრამ მას ერთადერთ და საბოლოო ჭეშმარიტებად არასოდეს აღიარებს. მუდამ მზადაა, სხვებსაც მოუსმინოს და საერთო გადაწყვეტილება გაიზიაროს, ოღონდ ეს საერთო აზრი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოს. ასეა აქაც: „ოღონდ რიგიანად, ერთგვარად წაიყვანეთ საქმე თანხმობით და როგორც თქვენ გინდათ, მეც მოგყვებით დიდი სიხარულით“.

ალექსანდრე ორბელიანი ყურადღებას აქცევს არამარტო ენის სინმინდეს, გრამატიკული ნორმების დაცვას, არამედ სამწერლო ენის კეთილხმოვანებასაც, იმ უხილავ მადლსაც, ასე რომ განარჩევს ერთმანეთისაგან სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს. საერო მწერლობის ენაზე მსჯელობის დროს კრიტიკოსი გამოთქვამს სწორ დასკვნას, რომ ეს წიგნები ყველა ერთი ენითაა დაწერილი (რასაც ალექსანდრე ორბელიანი დარბაისლურს უწოდებს) და იქვე განაგრძობს: „რასაკვირველია იმ დარბაისელთ წერილებთა შორის არის გარჩევა. ერთნი საუცხოოვს განყოფით სწერდნენ და მეორენი უფრო ნაკლულად“.

ალექსანდრე ორბელიანს არ ღალატობს კრიტიკოსის ალ-ლო, იგი თითქმის ყოველთვის სწორად აფასებს სხვათა მწერ-ლურ შესაძლებლობებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ ეთანხ-მება ნაწარმოების დედააზრს, საგანგებოდ აღნიშნავს ხოლმე ავტორის ხელოვნებას, მაგ., გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონების“ მკაცრი შეფასებისას არ ავიწყდება, აღნიშნოს: „იმ რჩეულოვის თხზულებაში თუ არის რამე კარგი მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი“... მწე-რალს მკითხველის ესთეტიკური ტკბობა, სიამოვნება ნაწარ-მოების მაღალმხატვრულობის ერთ-ერთ უტყუარ საზომად მი-აჩნია. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეზე“ საუბრის დროს (მოთხრობის იდეას, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკოსი არ დაე-თანხმა) საგანგებოდ აცხადებს: „ისე ანბათ რომ ავიღოთ ის თხზულება, ნამკითხველსა უსიამოვნოთ არ დააგდებს“, ან ნი-კოლოზ ბარათაშვილის პოემის შესახებ: „ნიკოლოზ მელიტო-ნის ძე ბარათაშვილი საქართველოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომონ მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნო-ბაში, ის ლექს მგოსნობა საუცხოვოა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება“. სხვათა შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალება ალექსანდრე ორბელიანმა აღიქვა, როგორც დიდი დანაკლისი, ეროვნული უბედურება („ობლობის ცრემლ-სა იხოცს შენს საფლავზე საქართველო“). იდეური წინააღმდე-გობის მიუხედავად, ასევე გულწრფელად განიცადა დანიელ ჭონქაძის გარდაცვალება. „იმისთანა ყმანვილი კაცის დაკარგ-ვა საქართველოს დასაკლისია. ეტყობა იმის თხზულებასა, კარ-გად გაიმართავდა ხელს იმ გვარს მწერლობაში“.

ალექსანდრე ორბელიანი ერთმანეთისაგან განასხვავებს თხზულებებს, რომლებიც მკითხველის გონებაში რჩებიან და რომლებიც ადამიანის გრძნობაზე მოქმედებენ, „სულამდისინ ჩაიჭრება ხოლმე იმისი ძალი“. არ კმარა მწერლისთვის ენის კა-ნონების ცოდნა, იგი მშობლიური ენის საიდუმლოსაც უნდა ფლობდეს, შინაგანი ხილვით უნდა ჭვრეტდეს წარსულს, ანმ-ყოს და მომავალს, რათა მისი ნაწერები სულითაც „საგრძნობი“ იყოს.

„ვინც კარგად იცის ჩვენი ენა და კითხვის დროს ყურადღებით გაიგონებს იმის სრულსა ძალსა, ეგონება: სიამოვნებაში გამოვიარები და იმის საუკეთესოს უცხოებით ვკმაყოფილდებიო“, — ასეთი ზემოქმედების ძალა აქვს კარგ ნაწერს მკითხველზე. ასე წერდა თვითონ ალექსანდრე ორბელიანი და ამიტომაცაა, რომ მის მხატვრულ თუ თეორიულ ნააზრევს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა.

ალექსანდრე ორბელიანი ხედავს და გრძნობს კრიტიკის საჭიროებასა და აუცილებლობას. საინტერესოა მწერლის მიერ სიტყვა „კრიტიკის“ განმარტება: „ერთმანეთზე კრიტიკას რომ სწერენ ჩვენი ქვეყნიერნი, მაშ რატომ აღარ ვიციტ ქართულად კრიტიკა რა არის? — კრიტიკას თარგმნიან: ზოგნი გარკვევას, ზოგნი დაფასებას, ზოგნი გაკიცხვას, ზოგნი განსჯას და ზოგნი გარჩევას. ოჰო! თუ ამთენი სახელი ჰქვიან ქართულად კრიტიკას, სწორეთ ვიტყვი კარგი დიდი და განიერი მაფრაშა ყოფილა“ (შდრ. ილია: „კრიტიკა არის განხილვა, განჩხრეკა, გარკვევა, გარჩევა და დაფასება ერთად). იქვე ალექსანდრე ორბელიანი განსხვავებული აზრის მქონე მწერლებს სთავაზობს: „ერთმანეთის დასაჯერებლათა... ერთმანეთზედ კრიტიკა (დაფასება?) დაწერონ უფლის ივანე კერესელიძისაგან, ახლადგამოცემულს ჟურნალში“. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, მწერალს ეეჭვება, რომ კრიტიკა იგივე დაფასებაა, შეფასებაა, მაგრამ, სავარაუდოა, რომ სწორედ ეს მნიშვნელობა მიიჩნია ყველაზე სწორად და მართებულად. ამას მისი სხვა ნაწერებიც ადასტურებს. ერთ-ერთი სტატია ასეა დასათაურებული: „ქვერივის ლიმონების განხილვა ანუ კრიტიკა“, მაშ ავტორს სავსებით სწორად ჰქონია წარმოდგენილი და გაცნობიერებული კრიტიკის არსი, თუმცა თვითონვე ზოგჯერ ამ სიტყვას ამკარად უარყოფითი გაგებით ხმარობს. მაგ. სტატიაში „მონყალეო ხელმწიფე, უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე!“ ვკითხულობთ: „ჩვენი სიტყვიერების მწერლისაგან ვნახე ერთმანეთზედ კრიტიკა დაწერილი ჩვენს ქართულს ჟურნალში... კარგი იქნება კრიტიკა, მაგრამ ჯერ თქვენგნით გამოცემულს ჟურნალს ცისკარს უნდა მისცემოდა სისქე პატიოსანთ შემწეთ

და ხელისმომწერთაგან და მას უკან კრიტიკას შევდგომოდით“. ეს ციტატა ადასტურებს, რომ ალექსანდრე ორბელიანი კრიტიკაში ერთმანეთის ნაწერების დაწუნებას, უარყოფითად შეფასებას მოიაზრებს, თუმცა სხვაგან, როგორც ვთქვით, კრიტიკის სწორი მნიშვნელობაც ესმის (ისე, როგორც მერე ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა).

ალექსანდრე ორბელიანს ლიტერატურის განვითარებისათვის აუცილებლად მიაჩნია „მხილველის“ ანუ კრიტიკოსის არსებობა (კრიტიკის აუცილებლობა ლიტერატურის განვითარებისათვის შემდეგ საფუძვლიანად დაასაბუთა ილია ჭავჭავაძემ) „კრიტიკა არის ზარაფი მწერლობისა“, — დარწმუნებულია მწერალი. „სიტყვიერების ტომარას (ჟურნალს), უთუოდ მხილველი უნდა ჰყავდეს და ყოველი იმისი წერილები განიხილოს, თორემ უამისოდ სიტყვიერება არ ევარგება“.

მწერალი წუხს იმის გამო, რომ „კარგი მხილებელნი“ არ ჩანან, ფაქტობრივად, არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა: „აბა როგორ დავიჯეროთ ჩვენს ქართველებში კარგი მხილებელი არავინ იყოს, რომელსაცა შეეძლოს ჩვენი სიტყვიერების განხილვა? — არ არის დასაჯერებელი! ნამდვილად ვიცით, კარგი მხილებელნი გვყვანან და შეუძლიათ ჩვენი სიტყვიერების ნაკლულევენება კარგად განიხილონ, მაგრამ არ ვიცით რა ამბავია, რომ ვერ გაუბედავთ და შემკრთალნი არიან!“ ეს საკითხი კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავეით დასვა და სათანადოდ გამოიკვლია კიდევ ილია ჭავჭავაძემ წერილში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს!“

ალექსანდრე ორბელიანის ნააზრევი, ესა თუ ის თვალსაზრისი ზოგჯერ ძალიან თანამედროვედ გაისმის. თითქოს საგანგებოდ დღეისთვისაა დაწერილი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ: „ლანძღვით კრიტიკა უზრდელობა არის. მოვა დრო, რომ ეხლანდელსა გამოჩენილთ კრიტიკოსებს ძალიან შერისხავენ, არა იმათ ღირსეულსა კრიტიკებსა, ხოლო იმათ ლანძღვებსა“.

განა ნაკლის დაფარვასა და ცუდზე თვალის დახუჭვას ქადაგებს მწერალი. პირიქით, სიმართლის თქმა ყველგან და ყოველთვის მისი იდეალია. ილიასეული „მოყვარეს პირში უძრახე“

არც ალექსანდრე ორბელიანისთვისაა უცხო. „თუ ნაკლულობა რამ დაინახოთ ჩვენი ჟურნალისა, უნდა ქალაღდზე დაწეროთ, განიხილოთ, რა და რა ნაკლებობაა ამ ჟურნალში, რომ გასწორდეს ჩვენი ქართული ჟურნალი“. მხილებას, მწერლის აზრით, ეს ერთადერთი დანიშნულება აქვს – ნაკლის გამოსწორება, სხვაგვარად ურიგობაზე მითითება უაზრობაა.

მწერალი მზად არის, საკუთარი თავის შესახებ სხვებისგან სიმართლე მოისმინოს (თუნდაც მწარე). როგორც ყოველთვის, აქაც გულწრფელია: „ჭეშმარიტად, არ მეწყინება, გავმტყუნდე, ოღონდ ზრდილობიანად მითხარით“. ალექსანდრე ორბელიანი სამაგალითოდ სახავს დიმიტრი ბაქრაძის კრიტიკას წერილის დინჯი ტონისა და დასაბუთებული მსჯელობის გამო. „მართლად უცხო ზრდილობიანი კრიტიკაა დ. ბაქრაძისა... აუჩქარებელი, სასიამოვნო და დაუფერებელი, ნურავინ გაჯავრდებიან, კრიტიკა სწორეთ ისე უნდა: მთქმელსა გამგონე უნდაო“.

„ბოლღამას მიმგვანებული“ ან „აჭიჭყნილი ქართული ენა“, რასაკვირველია, უნდა გასწორდეს. ამაში კი მას ხელი კრიტიკამ უნდა შეუწყოს. თუ ავტორს გაუმართავ მეტყველებას დასაბუთებულად არ დაუნუნებენ, აბა, რანაირად უნდა გასწორდეს? მაგრამ თქმაც არის და თქმაც! ალექსანდრე ორბელიანი ყველას მოუწოდებს, ერთმანეთს სათქმელი გაბოროტებისა და გალანძღვის გარეშე უთხრან. „უთხარით ხოლმე და ასე რიგათ უთხარით, ზრდილობიანათ და სწორედ, რომ კიდევ ისიამოვნოთ ერთმანერთით“.

ალექსანდრე ორბელიანი ოდენ ლიტერატურული კრიტიკის განვითარების მომხრე კი არ არის, არამედ აქტიურად მოითხოვს ცხოვრების ნაკლოვანი მხარეების მხილებას და მხარს უჭერს „სალაყბო ფურცლის“ არსებობას ჟურნალ „ცისკარში“.

როგორც ცნობილია, „ცისკარში“ ივანე კერესელიძის მიერ შემოღებულმა განყოფილებამ – „სალაყბო ფურცელი“ (რომელსაც „მოლაყბე“ აწერდა ხელს) დიდი ხმაური, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გასაგებია. „სალაყბო ფურცელში“ გაბედულად იყო მხილებული ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეები. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული მახინჯი

მოვლენები. მკითხველთა ერთი ნაწილი „სალაყბო ფურცელს“ მიესალმა. რად ღირს გახსენება იმ კერძო ბარათისა, რომელიც პეტერბურგში მყოფმა ილია ჭავჭავაძემ გამოუგზავნა თბილისში გაბრიელ სულხანიშვილს. საზოგადოების მეორე ნაწილი მტრულად შეხვდა „სალაყბო ფურცელსა“ და მის ავტორს. ბევრმა ამ ფელეტონებში საკუთარი თავი დაინახა და მტრობა დაუწყო როგორც „მოლაყბეს“, ისე ჟურნალის რედაქტორ ივანე კერესელიძეს. ალექსანდრე ორბელიანი წერილებით „სალაყბოს ფურცელზე“ და „უფალო რედაქტორო ი. კერესელიძე“ მოლაყბეს ექომაგება და აშკარად იცავს მას გარეშე პირთა თავდასხმებისაგან. მეტიც, წერილში „სალაყბოს ფურცელზე“ იგი თამამად მოითხოვს ცხოვრების ნაკლოვან მხარეთა კრიტიკას. „სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურას, როგორც ცნობილია, ქმედითი მნიშვნელობა სამოციანელებმა მიანიჭეს, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის ამ წერილში მკაფიოდ მოჩანს ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მისი დამკვიდრების აუცილებლობის მოთხოვნა“. მოლაყბისათვის მხარდაჭერის თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა მეორე წერილი („უფალო რედაქტორო ი. კერესელიძე“), სადაც ვკითხულობთ: „ის ვილაც მოლაყბე იყო, რა კარგათ ლაყბობდა ხოლმე: ეს ასე და ეს ისეო... სად დაიკარგნენ ის მოტრაბახე მებუკეები მაინც? მოწყალეო ხელმწიფე ი. კერესელიძე! ჩემი შუამავლობით ბევრნი სთხოვენ, ის ვილაც მოლაყბეა. – კიდევ განაახლოს თავისი ლაყბობა და დაგვავალოსო, თუ ქვეყანაზედ იყოს კიდევაო, თუ არა და მებუკეებს მაინც ვთხოვთ, თუ ისინიც არ დახოცილანო?“

ეს იყო აშკარა მხარდაჭერა მოლაყბე-მებუკეებისადმი, რომლებმაც სამზეოზე გამოიტანეს ჩვენი ცხოვრების ბევრი ჭუჭყი და ლაქა. სხვათა შორის, ალექსანდრე ორბელიანს „ცისკრის“ მომდევნო ნომერში პასუხი გასცა ერთ-ერთმა მებუკემ — ავყიამ.

ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს: „შესაძლებელია, რომ ეს ავყია და, საზოგადოდ, მებუკეების სახელით გამოქვეყნებული ფელეტონების ავტორები იგივე ივანე კერესელიძე და ალექსანდრე ორბელიანი იყვნენ“.

მწერალი სტატიიაში „მოთმინებისაგან გამოსვლა“ თავის გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ საზოგადოება დაქსაქსულია, ერთობა აღარ არის, ყველა თავისი ვინრო ნაჭუჭიდან უმზერს ცხოვრებას. მკითხველისათვის თვალშისაცემია ავტორის აღმწვთებული ტონი და ამ თავმუუკავებელი სიბრაზის გამომწვევი მიზეზიც საცნაურია. თითქოს დღევანდელ დღეს იყო დაწერილი, ისე მოხვდება გულზე დღევანდელ ქართველს ალექსანდრე ორბელიანის სიტყვები: „მიბრძანეთ, ჩვენს საზოგადოებაში რა არის კარგი? ამას გამწარებულის გულით ვიკითხამ. ცრემლით ავესილის ნალველით. ჩვენის თავის ცნობა გვაქვს? მოლალატენი არა ვართ ერთმანეთისა? ერთმანეთის დამლუპავი? მხარის მობმა ვიცით ერთობისა?“ თუ ვინმეს გული სტკიოდა არსებული უიმედო ვითარების გამო, თუ ვინმე ათენ-აღამებდა სამშობლოზე ფიქრით, თუ ვინმეს არ ეთქმოდა საყვედური მამულისთვის გაღებული მსხვერპლის გამო, ერთი უპირველესთაგანი უთუოდ ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ.

რა კარგად ვლინდება მისი დიდი ზნეობა ამ სიტყვებში: „მე ამას იმისათვის ვანობ ასე გაბედვით, რომ მეც თქვენში ვარ გარეული, თქვენი მოძმე და თქვენი მახლობელი ყოვლის მხრიდან“. თავი არავისაგან არ განუსხვავებია, ენისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტვირთი მხრებიდან არ ჩამოუხსნია და სხვებისთვის არ აუკიდნია. სხვების დამუნათება საკუთარი თავის მათგან გამორჩევას სულაც არ ნიშნავს. სწორედ პირიქით, იმიტომ ბედავს ასე მწარედ, „ყაჩაღანა სიტყვებით“ საყვედურის თქმას, რომ თვითონ ყველას „მახლობელი ძმობა აწევს“.

ალექსანდრე ორბელიანს ეკუთვნის რამდენიმე გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი კრიტიკული წერილი, რომლებშიც ავტორმა არაერთი საინტერესო და უთუოდ ყურადსაღები მოსაზრება გამოთქვა. 1863 წ. დაწერილ წერილში „დართულს დართული“ ალექსანდრე ორბელიანი სვამს საკითხს – რა უნდა დაედოს საფუძვლად მხატვრულ ნაწარმოებს? მართალი ამბავი თუ მოგონილი, შეთხზული, მწერლის ფანტაზიის ნაყოფი? „რომანი ანუ მოთხრობა რა არის? – ნამდვილი საგნიდგან გააკეთონ, ეს არის, თუ ჭორიდგან?“ — კითხულობს კრიტიკოსი.



„ვინც იცის, მამიგებს ნამდვილიდგან“, — თვითონვე უპასუხებს. ეს კითხვა არაერთხელ დასმულა სხვადასხვა ეპოქის მოღვაწეთა წინაშე. სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები მასზე სხვადასხვანაირად პასუხებდნენ. ცნობილია, რომ არჩილმა და მისი სკოლის წარმომადგენლებმა „მონაჭორ“ ამბებს „მართლის თქმის“ აუცილებლობა დაუპირისპირეს და ერთგვარად შეზღუდეს მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია. რომანტიზმის ეპოქაში ფართო გასაქანი მიეცა მწერლის ინდივიდუალიზმსა და სუბიექტივიზმს; მხოლოდ რეალიზმის წარმომადგენლებმა მიაქციეს ყურადღება მხატვრული გამონაგონის სიმართლეს. რეალისტური ნაწარმოების აუცილებელ პირობად იქცა ტიპის შექმნა და ისეთი შეთხზული, მოგონილი ამბავი, რომელშიც სინამდვილეა განზოგადებული.

შეუძლია თუ არა შემოქმედს, ნაწარმოებისათვის სიუჟეტი ცხოვრებიდან აიღოს, დაგვიხატოს რეალური პირები და ნამდვილად მომხდარი ამბავი? ამ კითხვაზე თვით არისტოტელეც კი, რომელმაც ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში პირველმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მხატვრულ ფანტაზიას (შეთხზულს, გამოგონილს), ალბათ, დადებითად უპასუხებდა. მაგრამ ნამდვილი შემოქმედი რეალურ ამბავს ზუსტად, ფოტოგრაფიულად კი არ უნდა იხატავდეს, არამედ მეტ-ნაკლებად ცვლიდეს და ასე განაზოგადებდეს კერძოს.

როგორია ამ საკითხზე ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება?

მისი აზრით, მოთხრობას, რომანს აუცილებლად ნამდვილი, რეალური ამბავი უნდა დაედოს საფუძვლად. მწერლის რწმენით, პერსონაჟთათვის სახელების შეცვლა არათუ შესაძლებელი, არამედ სასურველი და აუცილებელიც არის. რისთვის? იმისთვის, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ფუნქცია – აღზარდოს მკითხველი და მანკიერ თვისებებათა მხილებით ხელი შეუწყოს საზოგადოების გაჯანსაღებას. უარყოფით პერსონაჟთა ხატვის დროს რეალური პიროვნების სახელის დაფარვა ერის კულტურის, ზრდილობისა და განათლების თავისებურ გამოვლენად მიაჩნია მწერალს.

მამხილებელი ნაწარმოები უნდა ინერებოდეს „ღიახ გაფრთხილებით და დაფარულად სახელების გამოყვანით, რომ განგაშა არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის უწყინად იგრძნას, დაიჯეროს და გასწორდეს კიდევ თვისებაში“.

როდესაც ალექსანდრე ორბელიანი იწუნებს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, სხვათა შორის ამასაც ამბობს: „იმისთანა თხზულებაში, ისე პირდაპირ დანერა იმ პირებზე, რა გაზრდილობას იტყვიან. ევროპიაში ხომ ის განათლებულები სისხლსაც შეასხამდნენ ერთმანეთს“. ამ საკითხში ალექსანდრე ორბელიანის აზრი სრულიად ნათელი და გასაგებია, მაგრამ როგორ გავიგოთ მწერლის მიერ მოთხოვნა იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოების საფუძველი მხოლოდ ნამდვილი ამბავი უნდა იყოს („ჭორზედ რა რიგია რამანისა ანუ მოთხრობისა დანერა? – საჭურისი რა შვილს მისცემს ქვეყანასა?“). ნიშნავს თუ არა ეს, რომ მწერლის როლი მხოლოდ რეალურად მომხდარი ამბის სრულყოფილად გადმოცემითა და რეალური პირებისათვის სახელთა შეცვლით ამოიწურება? ალექსანდრე ორბელიანის პუბლიცისტური წერილებისა თუ მხატვრული ნაწარმოებების განხილვა ასეთი დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მწერალი სრულიადაც არ უარყოფს, არ ამცირებს ფანტაზიის, გამონაგონის როლსა და მნიშვნელობას შემოქმედებით პროცესში. სწორედ პირიქით, მისი ღრმა რწმენით, ისტორიული ნაწარმოების შექმნის დროსაც კი ავტორი ვერ აცდება პერსონაჟისა თუ ამბის საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ შეთხზვას, გამოგონებას. თავისი ცნობილი დრამის („დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“) შესახებ ალექსანდრე ორბელიანი წერს: „თუ ნამდვილი ისტორიული რამე გადასცდეს ამ დრამასა, მოგვიტეონ. ამგვარები უამისოდ არ დაინერება“. მაგრამ ყველაფრის გამოგონების უფლება აქვს მწერალს? ნებისმიერად შეუძლია შეთხზვა? ამის აღიარება მწერლის მიერ ფაქტობრივად იქნებოდა იმის დადასტურება, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად „ჭორი“ უნდა დაედოს. „ჭორზე“ ნაწარმოების აგება კი ალექსანდრე ორბელიანისათვის სრულიად წარმოუდგენელია.

მწერალი შეგნებულად უპირისპირდება იმ კალმოსნებს, რომლებიც თვითნებურად ქმნიან პასაჟებს და არ ითვალისწინებენ რეალურ ფაქტებს.

ცნობილია, რომ ქართულ ლიტერატურაში გრიგოლ რჩეულიშვილის მიერ შემოტანილი სიახლე ვერ გაიგო და ვერ მიიღო მაშინდელმა საზოგადოებამ. მათ შორის, ვინც გრიგოლ რჩეულიშვილის ნაწარმოებებში დაინახა ისტორიის დამახინჯება, ფაქტებისა და მოვლენების გაყალბება, ქართველი ერის შეურაცხყოფაც კი, იყო ალექსანდრე ორბელიანიც. მან საგანგებოდ განიხილა „ქვრივის ლიმონები“, შეადარა ერთმანეთს ნაწარმოების მოქმედი პირები და მათი პროტოტიპები და დაასკვნა, რომ არცერთი პერსონაჟი არ გამოხატავს ისტორიულად არსებული პიროვნების ხასიათს. რაც მთავარია, ალექსანდრე ორბელიანმა გრიგოლ რჩეულიშვილს უსაყვედურა, რომ მის ნაწარმოებებში არ იგრძნობა ეპოქის სული. მეტიც, მთლიანად შეცვლილია, საპირისპიროდ არის წარმოდგენილი პერსონაჟთა ხასიათები.

მოვუსმინოთ ალექსანდრე ორბელიანს: „არც უწინდელს ჩვენს ზნეობაში შემოვა ესენი, არც ჩვეულობაში, არც ქცევაში, არც მართებულობაში, არც ხასიათში, არც ზრდილობაში და სრულიად არაფერში“. მაშ რა უნდა გაეკეთებინა? როგორ ეწერა გარდასულ ამბებზე? ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ისტორიულ პერსონაჟს შეიძლება მიაწერო მხოლოდ ისეთი რამ, რაც მას მართლაც შეეძლო ეთქვა ან გაეკეთებინა და რაც ნაწარმოებში ანაქრონიზმად, აბსურდად არ გამოჩნდება (ასეთად მიაჩნია ერეკლეს მაშვლის, მაჭანკლის როლში გამოყვანა, ქართლელი გლეხის მიერ მეფისთვის „მამინაცვლის“ დაძახება და სხვა). რადგან „ქვრივის ლიმონებში“ ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამობა მრავლადაა, ამიტომ ალექსანდრე ორბელიანის დასკვნა ზედმეტად მკაცრია: „რა გაუკეთებია უ. რჩეულოვს? – ისტორიისათვის? — უვარგია. რომანი? – რომანის აჩრდილი არ არის. – მოთხრობა? – არც მოთხრობად ითქმის“.

საინტერესოა, როგორ იქცევა თვითონ მწერალი, როგორ იცავს თავის პრინციპს, თეორიულ მოთხოვნას შემოქმედებით პრაქტიკაში? უნდა გარკვევით ითქვას, რომ ალექსანდრე ორ-

ბელიანი არაფერს იშურებს იმისთვის, რომ მართლად წარმოსახოს გარდასული ამბები, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, ფანტაზიას იშველიებს, ოღონდ ისე, რომ არ დაირღვეს იმ ეპოქის კოლორიტი. პიესაში „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“ მწერალი ერთგან შენიშნავს: „საქმით ჰსჩანს, რომ უწინდელი ქართველი ყოფილა მართლად მაგარი ქართველი. ამისათვის მეც ვეცადე, რაოდენ ჩემმა სუსტიმა კალამმა შეიძლო, რომ მაშინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა თუ დრო ამ ტრაგედიაში გამომეხატა“. მაშ სრულიად ნათელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი მწერლებისგან ითხოვს ისეთი რამის გამოგონებას, რაც „საქმით ჰსჩანს“. მისი შეხედულებით, მხოლოდ „მოსახდენი“, შესაფერისი რამის გამოგონების უფლება აქვს შემოქმედს.

ალექსანდრე ორბელიანმა დიდი წვლილი შეიტანა „ცისკარის“ განახლების საქმეში. ჟურნალის რედაქცია ერთხანს მოთავსებული იყო მის ბინაში. ბუნებრივია, ალექსანდრე ორბელიანი ზედმინევნით კარგად იცნობდა „ცისკრის“ საქმიანობას და მისი რედაქტორის გასაჭირს. გასაჭირი კი მართლაც დიდი იყო – ხელისმომწერთა სიმცირე. ასეთ პირობებში არამარტო მორალურ, არამედ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა ივანე კერესელიძეს, რათა ჟურნალს არსებობა არ შეეწყვიტა. ჟურნალს რომ „ალექსანდრე ორბელიანი არ ჰყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდა“ (აკაკი).

ახლა მოვუსმინოთ თვითონ ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემზედ ამბობენ, მე დიდად ვეწეოდე უ. ი. კერესელიძეს ქართული ჟურნალისათვის, ამისათვის უარს ვერ ვიტყვი: გულითა და სულით მინდა, ქართული ჟურნალი იყოს საქართველოში... ოღონდ ქართული ჟურნალი იყოს და ჩემთვის სულ ერთია თუნდა უ. კერესელიძე იყოს რედაქტორად და ვინც გნებავთ, თუნდა სხვა, ოღონდ კი იყოს“. აი ასეთი ფართო პატრიოტული თვალთახედვით უდგებოდა ალექსანდრე ორბელიანი საერთო საქვეყნო საქმეს, კერძოდ, ჟურნალის გამოცემას. მწერლის მონდომებაში და თავდადებაში ნაყოფი გამოიღო. „ცისკარი“ თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა. აი რას წერდა

ამის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი: „ჩვენს გონებას მისცა რამე კარგი ჩვენმა „ცისკარმა“ თუ არა? – მართლის მდევნელებს უთქვამსთ: დიახ, მოგვცა კარგო, ჩვენ ვიცით მაგალითი: ოლონდ „ცისკარი“ ნავიკითხოთ და „ცისკრის“ გულისთვის კითხვა უსწავლიათ ქართული“.

ყოფილა შემთხვევა, რომ ალექსანდრე ორბელიანს ოჯახიდან გაუტანია ნივთები დასაგირაველად და ასე დახმარებია „ცისკარს“. ამის თაობაზე მოგვითხრობს მწერლის შვილიშვილი მარიამ შერვაშიძე (იხ. „ლიტერატურის მატიანე“, 1942 წ., გვ. 316). ასეთი ახლო და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ორბელიანს „ცისკრის“ რედაქციასთან. წლების მანძილზე იგი იყო ჟურნალის ერთ-ერთი საიმედო ბურჯი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, დაენახა ჟურნალის ნაკლი.

სტატიასი „მე და ის“ მწერალი წარმოსახვით მოწინააღმდეგესთან კამათში სხვათა შორის ასეთ რამესაც ამბობს: „ღვთის წინაშე ჩვენი ქართული ჟურნალი გასასწორებელია და კარგათ გასაკეთებელი, დიახ კარგი იქნება, ასე ინებეთ როგორც თქვენი სურვილი იყოს, ოლონდ აუგად ნუ ვახსენებთ ჩვენს ქართულს ჟურნალს“.

მოგვიანებით (60-იანი წლების მეორე ნახევარში) ალექსანდრე ორბელიანსა და ივანე კერესელიძეს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. გაცილებით უფრო ადრეც ალექსანდრე ორბელიანი ამჩნევდა და არ მალავდა ჟურნალის ნაკლს. ალექსანდრე კალანდაძე სწორად შენიშნავს და მართებულად ხსნის იმ ფაქტს, რომ „ალ. ორბელიანის „ცისკარში“ თანამშრომლობა, რედაქტორთან და ჟურნალის ძირითად ბირთვთან მისი ურთიერთობა განუწყვეტელი იდეური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა“.

1857 წ. ალექსანდრე ორბელიანი „ცისკრის“ შესახებ წერს: „საკვირველია ჭეშმარიტად, ჩვენ ქართულს ჟურნალს ჰქვია ცისკარი და რით არის ცისკარი? მხოლოდ სახელით, ვითარცა შაჰბუდალის ბალი?“ ან 1861 წ.: „ჩვენი ქართული ჟურნალი ბობლავს“.

ივანე კერესელიძე ზოგჯერ ამკარად არღვევდა ეთიკურ ნორმებს, რაზეც პირდაპირ, თუმცა მორიდებით და ზრდილობი-

ანად მიუთითებდა ალექსანდრე ორბელიანი: „უპირველეს შესავალსა ქართულს ჟურნალში, თქვენი ლექსი რომ იბეჭდება ხოლმე დიდროანის ასოებით და სხვებისა მცირედითა, მგონია ჟურნალს, ლექსებში არ მოუხდება ამგვარი სხვა და სხვის ზომის ასოები?“ ეს, ცხადია, არ იყო მთავარი. ალექსანდრე ორბელიანი ხედავდა რა „ცისკრის“ ღირსებასა და დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე, კარგად გრძნობდა იმასაც, რომ ჟურნალი დროს ჩამორჩა. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ალექსანდრე ორბელიანი მიესალმა „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. „ცისკარმა“ გულგაშლითა ხელი მისცა ძმასა თვისსა და მეგობარს, ყველას გვიხაროდეს „საქართველოს მოამბე“. ასე გვიზიარებს თავის გრძნობებსა და განწყობილებას მწერალი.

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, განათლებულ ქვეყნებში რამდენიმე ჟურნალის არსებობა არავის უკვირს, უკვირს კი არა, საჭიროდ და აუცილებლადაც არის მიჩნეული. მწერალი დარწმუნებულია, რომ საქართველოშიც სრულიად შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე პერიოდული ორგანოს არსებობა. სხვადასხვა მიმართულების ჟურნალები ხელს კი არ შეუშლის, პირიქით, უფრო განავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, წინ წასწევს ლიტერატურასა და, ცხადია, ცხოვრებასაც, ახასიათებს რა 60-იანი წლების კონსერვატორთა და პროგრესისტთა ბანაკს, ალექსანდრე ორბელიანი წერს: „აბა ახლა კონსერვატორთ და პროგრესისტებს ვენვივნეთ... მართლა ეტყობა, რომ ორი დასი იბადება. კარგი ნიშანია. ეს ის არის, წინ მივდივართ და უკან აღარ ვრჩებით... კარგსა კარგი მოაქვს და ცუდსა ავი. ძველი კარგი ამბავი უნდა გონებაში გვექონდეს საფუძვლად და ახალი განათლებისა ვისწავოთ კარგი შენობის დასადგმელად“. ამ ფრიად საყურადღებო ამონაწერიდან კარგად ჩანს ალექსანდრე ორბელიანის პოზიცია XIX საუკუნის 60-იანი წლების ლიტერატურულ პაექრობაში. კარგად ჩანს ისიც, რომ ოცდაათიანელები და სამოციანელები (ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები) ერთმანეთისგან ჩინური კედლით კი არ იყვენენ გამიჯნულნი, რომ მათ შორის არსებობდა შინაგანად დამაკავშირებელი ძაფები. თვითონ ილიაც ხომ ხაზგას-

მით აღნიშნავდა ამას. თერგდალეულთა ბელადს „უნდოდა ეჩვენებინა, რომ XIX საუკუნის ქართული მწერლობა მისი განვითარების რომელსამე მონაკვეთში ჩიხში არ მოქცეულა და რომ იგი განვითარების უწყვეტ რგოლს გვიდგენს, რომ ყოველი მომდევნო მონაკვეთი ამ მწერლობისა გარკვეულად ეყრდნობა წინას, მისი მემკვიდრეა“.

დავუბრუნდეთ ისევ „ცისკარში“ ალექსანდრე ორბელიანის მოღვაწეობასა და მის დაპირისპირებას ივანე კერესელიძესთან. რედაქტორმა არ დაუბეჭდა ალექსანდრე ორბელიანს „დართულს დართული“, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ავტორის გულისწყრომა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ალექსანდრე ორბელიანის ვრცელი სტატია – „საქართველოს ჟურნალი „ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და მე“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩემი ზოგიერთი სტატიები რომ არ დამიბეჭდა რედაქტორმა, უკმაყოფილებას ვეტიყოდი, სიმართლეც მიმიძლოდა, მაგრამ სულ არ მწყენია მერწმუნეთ... იმათგან რაღა უნდა მენყინოს? არ გაგიგონიათ, ვირისგან წიხლი არ უნდა გენყინოს... არ იქნა და არა, ვერ გავიყვანე კერესელიძეზე ჩემი რჩევა, იმისგან კარგი არა გამოვიდა რა კონტრებისა და ინტრიგების მეტი“.

ალექსანდრე ორბელიანსა და „ცისკრის“ რედაქტორს შორის მდგომარეობა უკიდურესობამდე გამწვავდა. ალბათ, ამ პოლემიკის შედეგია ალექსანდრე ორბელიანის სატირული ლექსი „სიმშლით გამხრჭვალნი ძაღლკაცი“, რომელიც ივანე კერესელიძის წინააღმდეგაა მიმართული. სხვათა შორის, ამ სატირაში სტრიქონებს შორის იკითხება „კერესელიძე“. „მაშ შენს წევრთათვის შეკერე სელი ძერა, ბუების დასაჯდომელი“.

1865 წლიდან ალექსანდრე ორბელიანი „ცისკარს“ ჩამოშორდა, ერთხანს პერიოდულ პრესას მონყვეტილია, მხოლოდ 1869 წელს თანამშრომლობა დაიწყო ახალდაარსებულ „მნათობში“.

ალექსანდრე ორბელიანის „მნათობთან“ დაკავშირებას უნდა შევხედოთ, როგორც საინტერესო ლიტერატურულ ფაქტს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მისი ერთი კერძო ბარათი, რომლის ადრესატია ცნობილი ქართველი სამოციანელი ანტონ

ფურცელად: „...მე ჩემს ზრუნვას, ჩემი შეძლებისამებრ, ჩვენს ლიტერატურას არ დავაკლებ ჩემს უკანასკნელ აღმოფშვინამდის... ჩემო ანტონ, შენის კარგი სტატიებით ნუ დააგდებ „მნათობს“. იმედია კარგათ წავა ეს ჟურნალი, ოღონდ ხელის მომწერნი ჰყავდეს... ამ ყმანვილ კაცს (საუბარია „მნათობის“ რედაქტორ ნიკ. ავალიშვილზე – ნ. ვ.) აგრე რიგათ მახლობლათ მე არ ვიცნობ, მაგრამ იმისთანა გულმოდგინებას იმაში რომ ვხედავ ჩვენი სიტყვიერებისათვის, მეც მოწადინებული ვარ იმას ღმერთმა ხელი მოუმართოს და ამისთვის ვეცადნეთ, ეგება ჩვენს ქართულს ლიტერატურასა კარგი მიმართულება მისცეს და ეშველოს რამე“.

სამწუხაროდ, ალექსანდრე ორბელიანს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია და არ მიეცა საშუალება, ფართოდ გაეშალა მოღვაწეობა „მნათობში“.

## ბელეტრისტიკა

### ასპინძის ომი

ეს ნაწარმოები პატარა კახად წოდებული სახელოვანი მეფისა და მისი ეპოქის აპოლოგიაა. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ მოთხრობის შესახებ ვისაუბრებთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება შევაჩეროთ ალექსანდრე ორბელიანის ლექსზე „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, რომელიც „ასპინძის ომის“ თავისებურ პროლოგად შეიძლება ჩაითვალოს. „ეპიტაფიაში“ ავტორი მოწოდებით მიმართავს ლორდ ბაირონს, რომ მისი თაოსნობით „ზეცის მგოსნებმა“ ხოტბის ლექსი დაამღერონ ირაკლის საფლავს. ნაწარმოებში ერეკლე წარმოდგენილია, როგორც წარსული დროის „ჭკუის ვარსკვლავი“ და დიდი მხედართმთავარი. მისი ვაჟკაცური გული და მხედართმთავრული ნიჭი იცოდა ნადირ-შაჰმაც, რომელმაც თან იახლა ინდოეთში სალაშქროდ. ოთხივე კუთხიდან მოდიოდა მტერი, მაგრამ ერეკლეს ვერაფერს აკლებდნენ, ვინაიდან მას მკერდში გულის მაგიერ ფოლადი ედო და მისი ერთგული ქარ-



თველებიც მხარს უმშვენიებდნენ. ლექსში განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, სადაც საუბარია ერეკლესადმი ქართველთა დიდ სიყვარულსა და თავდადებაზე: „ქართველნი კრულნი, შენი ერთგულნი, შენ გეკაფოდნენ, გემსხვერპლებოდნენ“. ერეკლეს სიყვარული და ერთგულება მამულის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას ნიშნავდა. გასაგებია, რომ ერეკლეს სახელი და დიდება ცამდეა ასული: „ორმოც-ათოთოხმეტ წელსა შენსა თუმცა მეფობა მძიმედ ეტვირთა, მაგრამ ყოველგან შენსა სახელსა აქებდნენ ცამდის, ქართველთაც გმირთა!“ ერეკლეს სახელი ქართველთა ხსოვნაში არასოდეს არ წაიშლება, ვინაიდან იგი „იქაც მებრძოლობს ათს გუნდსა მტერსა — მხნე ქართველებსა, თავის დასებსა“.

ის, რაც ლექსში „ეპიტაფია“, ასე ვთქვათ, მშრალად, დეკლარაციულადაა ნაქადაგები, უფრო კონკრეტულად და ხელშესახებადაა წარმოდგენილი მოთხრობაში „ასპინძის ომი“. ამ წარმოებში ერეკლე ნაჩვენებია უშუალოდ ბრძოლის ველზე მეტად კრიტიკულ სიტუაციაში. მწერალმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, მკითხველისათვის ერეკლე წარედგინა მთელი თავისი სიდიადითა და მომხიბვლელობით (ამ მხრივ „ასპინძის ომი“ აკონკრეტებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ავსებს და აღრმავებს ლექს „ეპიტაფია“).

მოთხრობაში „ასპინძის ომი“ ნაჩვენებია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული ამბები, უფრო სწორად, ის ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს, და ცნობილია ასპინძის ომის სახელწოდებით (წაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1869 წ. ჟურნალ „მნათობში“). ერეკლე მეფის გარდა ომში მონაწილეობდნენ ცნობილი ისტორიული პირები: გიორგი ბატონიშვილი, ერეკლეს სიძე დავით ორბელიანი, 14 წლის ლევან ბატონიშვილი, 19 წლის ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), ალაბაბა ერისთავი, სვიმონ მუხრანბატონი, ხუდია ბორჩალოელი, მეფის მკურნალი ექიმი ანტონა (და არა ივანე, როგორც რაფიელ ერისთავს უწერია), მეფის მეითარი სოლომონ თარხნიშვილი, მეფის მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი და სხვა (სამწუხაროდ, მემატყიანემ არ შე-

მოგვიწახა იმ 7 ხევსურის სახელები, რომლებიც მეფესთან ერთად ეკვეთნენ მტერს).

როგორც ცნობილია, 1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი (რომელიც დამთავრდა 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დადებით). რუსეთის სამეფო კარი დაინტერესებული იყო, ომში ჩაება საქართველოც (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები), რათა თურქეთისათვის კავკასიიდანაც გაეხსნა ცეცხლი და ამით (ამითაც) შეეპოჭა მოწინააღმდეგის ძალები. შეთანხმება ადვილად იქნა მიღწეული, ვინაიდან ქართველ მეფეებსაც თავიანთი ანგარიში ჰქონდათ სამხრეთელ აბეზარ მეზობლებთან: ერეკლე ვარაუდობდა ოსმალთაგან მიტაცებული მიწა-წყლის — სამცხე-ჯავახეთისა და ახალციხის — დაბრუნებას (მესხეთის გათავისუფლებას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ოსმალებს მოეშლებოდათ ქართლზე თავდასხმის პლაცდარმი), ლეკთა თარეშის აღკვეთას და სხვა, ხოლო სოლომონ მეფეს სურდა იმერეთის ციხე-სიმაგრეებიდან თურქეთის გამოდევნა. და აი, 1769 წლის აგვისტოს მინირულს დარიალის გზით საქართველოში შემოდის რუსთა საგანგებო რაზმი, რომელსაც მეთაურობდა გენერალი გოტლიბ ტოტლებენი (ჩანს, ალექსანდრე ორბელიანმა ისტორიული ფაქტის 100 წლისთავთან დაკავშირებით დაწერა „ასპინძის ომი“).

საბოლოოდ ლეკ-ოსმალთა პირისპირ აღმოჩნდა ქართველთა ლაშქარი (რომელიც დაახლოებით 7 000 კაცისაგან შედგებოდა) და რუს მეომართა რაზმი (1 200 კაცი), მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ბრძოლის დაწყების წინა დღეს (19 აპრილს) ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს და თავისი რაზმით უკან გაბრუნდა. იგი დედოფალ ეკატერინესაგან მიღებულ განკარგულებას ასრულებდა, რათა ერეკლეს დამარცხების შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზე დამჯდარიყო. ტოტლებენი იყო გერმანელი (გერმანელი იყო ეკატერინე II-ც), ავანტიურისტი, მექრთამე და ჯაშუში (1762 წელს სამხედრო ჯაშუშობისათვის დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ ეკატერინემ იხსნა და რუსეთიდან გაძევებით შეუცვალა. მერე ისევ შემოუშვა და დაანინაურა).

მიუხედავად ტოტლებენის მოულოდნელი ღალატისა, ერეკლე არ დაიბნა. ტაქტიკური მოსაზრებით უკან დაიხია და მტერი მტკვარზე გამოიტყუა, შემდეგ კი (19 აპრილს, ღამით) ხიდის თავხეები (ისრები) მალულად დაახერხებინა ალაბაბა ერისთავს, სვიმონ მუხრანბატონსა და ხუდია ბორჩალოელს (ეს სამხედრო-სტრატეგიული ხერხი ქართველ მხედართმთავართაგან პირველმა გამოიყენა თორნიკე ერისთავმა 979 წლის 24 მარტს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში). 20 აპრილს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. მარჯვენა ფლანგს დავით ორბელიანი სარდლობდა, მარცხენას — გიორგი ბატონიშვილი, ცენტრს — ერეკლე, რომელიც საერთო ხელმძღვანელობასაც ახორციელებდა. ქართველებმა გატეხეს მტრის სიმტკიცე. ერეკლემ თავისი ხელით მოკლა ლეკთა ბელადი მალაჩილა (იგივე კოხტა ბელადი). მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 4000 მოკლული, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს, მაგრამ უკან დახევისას ხიდი ჩაინგრა და ასობით მოწინააღმდეგე ადიდებულმა მდინარემ შთანთქა. გადარჩა მხოლოდ 20-25 მხედარი. განყდა თითქმის მთელი ახალციხის ბეგობა და სხვა გამოჩენილი წინამძღოლები. ქართველებმა ხელთ იგდეს 25 საბრძოლო დროშა და მტრის მიერ დაგდებული დიდი სიმდიდრე. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ქართველებმა ამ ომში მოკლულთა სახით დაკარგეს მხოლოდ 25 კაცი (დაჭრილი იყო რამდენიმე ათეული). და ეს ყველაფერი (ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი) მოხდა ერეკლე მეფის დიდი სამხედრო ნიჭისა და პირადი მამაცობის წყალობით.

ის, რაც ზევით ითქვა, წმინდა წყლის ისტორიაა. მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი ისტორიულ წყაროებს არ მიჰყვება და ამბავს გადმოგვცემს სხვადასხვა პირის ნაამბობის მიხედვით. „იქ მყოფთ მოხუცებულებსაგან გამიგონია“, — საგანგებოდ შენიშნავს თვითონ. მოთხრობის დასასრულს მწერალი ასახელებს კიდევ ამ პირებს: მეითარი სოლომონ თარხნიშვილი, ერეკლეს მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, მეფე გიორგის მდივანი ელიზბარ ფალავანდიშვილი და სხვანი. ჯერ ამათ შესახებ. აქ დასახელებული სამივე პირი ასპინძის ომის მონაწი-

ლეა და, მაშასადამე, უშუალო მხილველი მომხდარი ამბებისა. მოვუსმინოთ მწერალს: „მამაჩემის დროსა და იმის შემდგომაც, ახლად მკვდარი რომ იყო მამაჩემი, ძველი თავადები ხშირად მოვიდოდნენ ბატონიშვილს დედაჩემთან და სხვადასხვის ლაპარაკით ატარებინებდნენ დროსა დედაჩემსა. ერთ სალამოჟამზედ კიდევ მოვიდნენ მეითარი თავადი სოლომონ თარხნიშვილი, მეფის ირაკლის მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, მეფის გიორგის მდივანი, თავ. ელიზბარ ფალავანდიშვილი და სხვანი. დასხდნენ და ჩვეულებისამებრ მოჰყვნენ ძველ ამბებსა. ბოლოს მდივანბეგს ზაალს და ელიზბარს სთხოვეს ასპინძის ომის ამბავი ეთქვა. ორიც იმ დროს ყმანვილი კაცები იქ დასწრებოდნენ (ზაალი მეფე ირაკლის განუშორებლად გვერდით ახლდა და ელიზბარ — ბატონიშვილს გიორგის). ჯერ პირველად ზაალი მოჰყვა და ის ამბავი დაასრულა, რაც აქ მეფის ირაკლის ამბავი ვთქვით, და მას უკან ელიზბარმა თქვა ისა, რაც ბატონიშვილს გიორგისთან ამბავი მოხდა“.

მაშასადამე, ის, რაც ნაწარმოებში ერეკლეზეა ნათქვამი, მომდინარეობს მეფის განუშორებლად მხლებელ ზაალ ბარათაშვილის ნაამბობიდან, ხოლო რაც გიორგის შესახებაა თქმული, ემყარება ელიზბარ ფალავანდიშვილის ნაამბობს. მწერალს ეს ამბავი სხვებისგანაც მოუსმენია:

„მამაჩემის მამა დემეტრე (ანუ დიმიტრი) იქ მეფეს ირაკლის ჰბლებია ყოველს ადგილას განუშორებლად და მოსამსახურენი ამ ომის ამბებს ბევრჯერ იტყოდნენ ხოლმე და სხვებ: ბევრსა მოხუცებული დავითა დემურაშვილი, ბერელა კობახიძე და სოლომონა ხატულაშვილი. კიდევ იმათ გარდა ყათარჩის (მეჯორეების) სულიემანისაგან გამიგონია, რომელსაც მეფის ირაკლის ბარგის ჯორები ჰბარებია და მეფის საჯდომ ცხენსაც თურმე ის უვლიდა, სადაც იმ ასპინძის ომში თან მისდევ-მოსდევდა და მეფეს ყველგან ახლდა. ნაამბობთა და იმათ ყურის მიმგდებლებისაგან ხომ რამდენისაგან გამიგონია იმ ასპინძის ომის ამბები და სხვებიც ბევრია“.

ყველაფერი ნათელია. მწერალი ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებში კი არ იქექება, არამედ ომის ცოცხალ მონმეთა

ნამბობს ემყარება. ალექსანდრე ორბელიანი პირდაპირ მიუთითებს, თუ რის საფუძველზე, რა „წყაროების“ გამოყენებით დაწერა მოთხრობა. ამონაწერში დასახელებული პირები არიან ცოცხალი ინფორმატორები, რომლებიც მწერალს სათანადო მასალას აწვდიან (ამ მეთოდით მუშაობდა ალექსანდრე ორბელიანი საერთოდ ისტორიულ თხზულებებზე). უშუალო მონმეთა ჩვენებას, რა თქმა უნდა, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ესაა ცოცხალი შთაბეჭდილებები.

საინტერესოა, რა და როგორ უამბევს ალექსანდრე ორბელიანს ზემოდასახელებულმა პირებმა? როგორ აქვს ნაჩვენები ასპინძის ომი მწერალს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოთხრობის დეტალურად გაცნობაა საჭირო.

დასაწყისშივე მწერალი გვეუბნება, რომ საქართველოში თავისი მხედრობით ჩამოვიდა გენერალი ტოტლებენი. შემდეგ საუბარია ტოტლებენისა და ერეკლეს პირველ შეხვედრაზე, რამაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. „როდესაც მეფე ტოტლებენმა ნახა, დიახ პატივით მოეპყრა და ბევრი კარგი დაპირება უთხრა კატერინა მეორისაგან. რასაკვირველია, მეფე ერეკლემაც დიდის მოდგინებით მიიღო გენერლის დაპირება“. მეფემ და ტოტლებენმა ოსმალებზე გალაშქრების „დაწყობა მოახდინეს“. ტოტლებენი „თავის ძლიერის რუსის მხედრობით“, ხოლო მეფე თავისი რვა ათასამდე ცხენოსანი ქართველით „აწყურს შემოადგენ“. მოწინააღმდეგე ბანაკში იყო ოსმალ-ლეკების გაერთიანებული ლაშქარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კოხტა ბელადი. ომი სამ დღემდე გაგრძელდა. „მესამე დღეს აიყარა რუსის ჯარი და ჩქარი სიარულით უკან გაბრუნდა“.

ამან მეფე ერეკლესი და ქართველების გაოცება გამოიწვია. მეფე რამდენიმე კაცით გამოუდგა, გზა გადაუჭრა და დაბრუნების მიზეზი ჰკითხა. „ეს არის ახლა ჩემი ხელმწიფის წიგნი მომივიდა. უნდა დავბრუნდე“, — იყო პასუხი. ერეკლე ცალი მუხლით დაეჩოქა კიდევ ტოტლებენს, მაგრამ განზრახვა ვერ შეაცვლევინა. ერეკლემ საგანგებო ზომები მიიღო, რომ უკან გაბრუნებულ რუსის ჯარს ოსმალებისაგან ვნება არ მისცემოდა. შემდეგ მტკვარზე გადებული ხიდი ააყრევინა საიდუმლოდ.

„მაშინ მხნემ და უშიშარმა ირაკლიმ“ განსაცვიფრებელი მაცოცხლებელი უჩვენა ყველას. დავით ორბელიანიც ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ თავი ვერ ისახელა გიორგი ბატონიშვილმა, რომელიც „ერთს სიმაგრეს მიჰბოძენია თავის ჯარით“. ერეკლემ მასთან ანტონა ექიმი გააგზავნა და თავისთან დაიბარა მოსაშვებლებლად. მაგრამ გიორგიმ ფეხი არ მოიცვალა, ის კი არა, ანტონას უთხრა, შენც აქ დარჩიო. ანტონასა და გიორგის დავა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. გიორგიმ თავისი გაიტანა. მეფე ერეკლეს მტრებმა გიორგის დაუჭირეს მხარი და ანტონას გიორგის წინადადების შესრულება მოსთხოვეს. ანტონა არ დაეთანხმა და თავის მეფესთან დაბრუნდა. მეფემ ერთი კი შემოხედა, მაგრამ ხმის გაცემის დრო აღარ იყო. დაინახა მტრის წინ მომძლოლი კოხტა ბელადი და მისკენ გაექანა, „დასცა თოფი, მოკლა“ და ქართველებს შემოსძახა „ხმალი ამ წუნკლებსო“. ქართველები ვაჟკაცურად ეკვეთნენ მტრებს.

მწერალი ბრძოლის ამბის გადმოცემას აქ შეწყვეტს და მიუბრუნდება ზურგში დარჩენილებს, ე.ი. მზერა გადააქვს თბილისისაკენ და გვიჩვენებს, ასე ვთქვათ, ფრონტისა და ზურგის თავისებურ ერთიანობას. თბილისში რუსის ჯარი რომ დაბრუნდა, მეფე ერეკლეს და მისი ოჯახის მტრებმა ხმა დაყარეს: მეფე თავისი ქართველებით ერთიანად დალუპულა ომშიო. ამ ამბავმა დარეჯან დედოფლამდეც მიაღწია. დარეჯანმა მაშინვე წულები გაიძრო და ფეხშიშველი წავიდა სიონის ეკლესიაში (ასე ფეხშიშველა მიაცილებდა თამარი საომრად მიმავალ თავის ლაშქარს), მთელი სასახლე უკან მიჰყვა. ეს რომ ბაზრის ხალხმა გაიგო, საჩქაროდ დუქნები დაკეტეს და ისინიც ეკლესიაში შევიდნენ. ეს ამბავი მთელს ქალაქს მოედო. დედანი ფეხშიშველანი და კაცები ქუდმოხდილნი სიონს მიანყდნენ; ეკლესიამ რომ ვერ დაიტია, ქუჩაში შეგროვდა ხალხი. ეს რომ დარეჯანს მოახსენეს, მან ღვთისმშობლის ხატი გარეთ გაასვენებინა. დიდმა და პატარამ ტირილი დაიწყო. პარაკლისი რომ დასრულდა, რამდენიმე კაცი მოიჭრა და დაიძახა: ადიდებულ მტკვარს ოსმალოს გვამები მოაქვსო. ზოგი კი ხმას ავრცელებდა, ოსმა-

ლოს ჯარი შემოგვესიაო. მალე გაირკვა, რომ ესენი იყვნენ ოს-მალურად ჩაცმული ცხენოსანი ქართველები. ამან დიდი აღტაცება გამოიწვია. ამასობაში ერეკლეც დაბრუნდა და იმანაც სიონის ეკლესიაში პარაკლისი გადაახდევინა. მეფემ კატერინა დედოფალს გაუგზავნა სამი ტყვე ლეკი.

აი, ასე გადმოგვცემს ასპინძის ომის პერიპეტიებს ალექსანდრე ორბელიანი. ერთხელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, ყველაფერი ეს ემყარება სხვადასხვა პირის ნაამბობს. ზოგჯერ მწერალი იმაზედაც მიგვითითებს, თუ, სახელდობრ, რომელმა რა თქვა. ასე, მაგალითად, „მეითარი სოლომონი მოჰყვა“... „მერე ბატონიშვილმა დედაჩემმა უთხრა“... „ზაალ მდივანბეგმა ესეცა სთქვა“ და ა.შ.

ისე როგორც ალექსანდრე ორბელიანის სხვა ისტორიულ თხზულებებში, „ასპინძის ომშიც“ ნაჩვენებია (თუმცა გაკვრით, სასხვათაშორისოდ) წარსულის ჩრდილოვანი მხარეები („მეფის ირაკლის ოჯახის მტრები ჩუმჩუმად მოქმედებდნენ“ და სხვა).

ასპინძის ომის თემაზე ქართულ ლიტერატურაში მრავალი ნაწარმოები შეიქმნა. მათ შორის ქრონოლოგიურად პირველია ბესიკის სახოტბო პოემა „ასპინძისათვის“, მეორეა ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობა „ასპინძის ომი“. როგორც ცნობილია, ბესიკი „მამაცი მეფის დამსახურებას დუმილით უვლის გვერდს. ეს ტენდენციური დუმილი დემონსტრაციას უდრის. პოეტი ამით ცხადლივ ამჟღავნებს ირაკლი მეფით უკმაყოფილების განწყობას“ (ალექსანდრე ბარამიძე). ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობაში, პირიქით, ერეკლეს ღვანლი და დამსახურებაა რამდენადმე გაზვიადებულად ნაჩვენები. გამოკვეთილია ერეკლეს დიდი მხედართმთავრული ნიჭი, სიმტკიცე და გონიერება. სწორედ ამან განაპირობა ქართველთა გამარჯვება და მოთხრობაც ერეკლე მეფის ქება-დიდებაა, აპოლოგიაა. ერეკლეს აპოლოგია კი არის, მაგრამ, ამასთან, დაეინყებულები არ არის მამაცი სარდალი დავით ორბელიანიც. ეს უკანასკნელი ნაწარმოებში ხშირად ერეკლესთან ერთად იხსენიება და მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ექმნება ასპინძის ომის გმირ პატრიოტზე („მეფე ერეკლე და მისი მხნე სარდალი თავ. დავით ორბე-

ლიანი გადაემატნენ იმ დღეს ვაჟკაცთ ვაჟკაცობას“, „გულოვანი მეფე ირაკლი და იმის სარდალი დავით განამხნევებდნენ ქართველებსა“...)). საყურადღებოა, რომ მწერალი არ ივიწყებს რიგით მებრძოლებსაც (თუმცა ისინი, გასაგები მიზეზების გამო, სახელდებულად არ არიან ნახსენები) და სათანადოდ წარმოაჩენს მათ ღვაწლსა და დამსახურებას ასპინძის ომში. ნაჩვენებია ერეკლესა და ამ უბრალო ადამიანების (მეფის ქვეშევრდომთა) ურთიერთ დიდი სიყვარული, რაც, ცხადია, მამულის სიყვარულითა და მისთვის თავდადების სურვილით იყო გაპირობებული და ბრძოლაში გამარჯვების სანინდარიც გახლდათ.

აი, სათანადო ადგილიც ნაწარმოებიდან: „—გულოვანო მხნენო ქართველებო, — მიმართავს მეფე მებრძოლებს, — ჩემო განუყრელნო ყოველს საშინელებაში, ჩემო გულის ძმებო! ეს ამისთანა გაჭირებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს. ეს ჯაბანთა წესი არის. თქვენს წინ გადაწყვეტით ალვიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავსწყდეთ... აბა ჩემო გულის ძმებო... გავწყდეთ ქართველებო, მე აქ თქვენში ვიმყოფები ერეკლე!“

— გავწყდეთ, გავწყდეთ ერთიანად. დედა შეერთოს ცოლად თუ არ გავიმარჯვებთ, ვინც აქედან უსიკვდილოდ გავიდეს“.

მოტანილ ამონაწერს კომენტარი არ სჭირდება (მხოლოდ ერთს დავძენთ: ამ სტრიქონების წაკითხვისას არ შეიძლება, არ მოგვაგონდეს „ბედი ქართლისას“ სათანადო ადგილი — კრწანისის ველზე ბრძოლის დაწყების წინ ერეკლეს საუბარი თანამებრძოლებთან).

წაწარმოებში, როგორც ითქვა, მოქმედ პირად გამოყვანილია გიორგი ბატონიშვილიც, მაგრამ მამა-შვილს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. რამდენადაც მახვილია ერეკლეს ჭკუა და ხმალი, იმდენად მძიმე და მოუქნელი ჩანს გიორგი (ისტორიულად ცნობილია, რომ გიორგი ჯიქურ მიეჭრა ტოტლებენს და პირში მიახალა: „სირცხვილია, გენერალო, ასეთ დროს ღალატი, თქვენ ამით არცხვენთ იმპერატრიცას და რუსულ ხმალს“.



ამის გამო ერეკლემ შვილს საყვედურიც უთხრა). სხვათა შორის, ალექსანდრე ორბელიანი იძლევა ასპინძის ომში გიორგი ბატონიშვილის უმოქმედობის თავისებურ ახსნას, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არაა. ირკვევა, რომ გიორგი ბატონიშვილი ასრულებდა ერეკლეს საიდუმლო დავალებას: რეზერვში იმყოფებოდა და მხოლოდ კრიტიკულ მომენტში უნდა დაეწყო აქტიური მოქმედება.

„ასპინძის ომი“ მხატვრობის თვალსაზრისით არ ბრწყინავს (ზოგი მას სტატიას ეძახის), მაგრამ მასში ომის მთელი რიგი მომენტი საკმაოდ დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ნაჩვენები. მაგალითად, რუსის ჯარის ჩამოსვლა და ტოტლებენის საქციელი, თბილისელთა შიში და ძრწოლა ფრონტიდან მიღებული ცნობების გამო, ზურგში დარჩენილთა მძიმე ადამიანური განცდები, თბილისში გავრცელებული ჭორი ერეკლეს დამარცხების შესახებ, მათი გავრცელების მიზეზები და სხვა.

ცნობილი ქართველი სამოციანელი კირილე ლორთქიფანიძე სწერდა ერთ მეგობარს: „ძალიან მომეწონა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია „ასპინძის ომზედ“. უდრტივნიველად ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას. მარტო ამ სტატიის წაკითხვისთვისაც გამოიწერდა კაცი „მნათობს“.

### **უმანკო სისხლი**

ისტორიული მოთხრობა „უმანკო სისხლი“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1857 წელს (№8). ცოტა მოგვიანებით, 1897 წელს, ზაქარია ჭიჭინაძემ ცალკე ნიგნაკად გამოსცა. ნაწარმოებში ასახულია ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული წარსულის ერთი ეპიზოდი, მაგრამ, სახელდობრ, რომელი? მწერალი საუბრობს ქართლის მეფე ლუარსაბზე, მაგრამ არ აღნიშნავს, რომელი ლუარსაბია — პირველი თუ მეორე. ამანაც შეუწყო ხელი გაუგებრობას. ამბერკი გაჩეჩილაძე წერს: „ძნელია იმის თქმა, ამ ნაწარმოებს რა დაედო საფუძვლად“. რაკი ამის თქმა ძნელი გახდა, მკვლევართა ერთი ნაწილი დუმილით უვლის მას გვერდს, სხვები კი აშკარად მცდარ თვალსაზრისს ავითარებენ.

ნანარმოებში გამოყვანილი ისტორიული პირების – ლუარსაბ მეფისა და შაჰთაბაზის შესახებ ასეთ განმარტებას გვთავაზობენ: „ლუარსაბ მეფე — საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II, მეფობდა 1605-1614 წლებში. ლუარსაბი შაჰ-აბასს პირველმა ცბიერებით გაიტყუა. კარგა ხანს ასტრახადში ჰყავდა. შაჰ-აბასს სთხოვდნენ ლუარსაბის შეწყალებას. მაგრამ შაჰ-აბასმა იგი შირაზის ციხეში გამოკეტა და 1622 წელს მოახრჩო“. ხოლო შაჰ-აბასი კი ყოფილა ცნობილი შაჰ-აბას I (1587-1629წ.), რომელმაც საქართველო „დალაშქრა და გაანადგურა ორჯერ: 1614-სა და 1616 წლებში. პირველად მძევლად წაიყვანა ქეთევან დედოფალი შვილიშვილებით. მეორე ლაშქრობის დროს ასი ათასი ქართველი წაიყვანა ტყვედ“. ასე გამოდის, რომ აღექსანდრე ორბელიანის მოთხრობაში ნაჩვენებია მე-17 საუკუნის ისტორიული ამბები: „მასში ასახულია საქართველოს წარსული — მეჩვიდმეტე საუკუნე“ (შ. რადიანი). ე.ი. ნაჩვენებია „შაჰ-აბასის შემოსევები. ნანარმოებში სწორედ ეს დროა აღწერილი“ (ა. ბედუკაძე), — დაჟინებით იმეორებენ მკვლევარები. ეს შეცდომაა.

ჯერ ერთი, ლუარსაბ II-ის მეფობის ხანაში ქართლს არ განუცდია სპარსელთა ისეთი გამანადგურებელი თავდასხმა, როგორც „უმანკო სისხლშია“ ნაჩვენები (ასეთი თავდასხმა განიცადა კახეთმა 1614 და 1616 წლებში, მაგრამ რა შუაშია აქ ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელიც ამ დროს არცაა თავისუფალი და შაჰ-აბაზ I-ის ტყვეობაში იტანჯება?).

მეორე: ნანარმოებში გამოყვანილი ლუარსაბ მეფე მტრის შემოსევის დროს თბილისში არ იმყოფებოდა. დედოფლითა და ახლობლებით მცხეთაშია წასული მცირეწლოვანი შვილის დასაკრძალად. ყაზილბაშებს ენადათ მეფისა და მისი სახლეულობის დატყვევება მცხეთაშივე. ერთი მოქმედი პირი (თევდორე დაიკვანი) ამბობს: „ღმერთო, შენ დაიფარე ლუარსაბ მეფე, ეს დილას მე ვნახე თავის შვილს რომ მარხავდა მცხეთის ეკლესიაში, სადაც თავიანთი მამა-პაპის სასაფლაოა. თუ ეს შეჩვენებული ყიზილბაშებიც იქ წავიდნენ, სახლეულობით დატყვევდება ლუარსაბ მეფე. შვილის სიკვდილზე მეტად შეწუხებულია მეფე, ასე რომ გონება დაკარგული აქვს, ამისთვის ამ ყიზილბა-

შების შემოსვლის ამბავი სრულებით არა იცის რა და მეშინიან, არ დატყვევდეს“. ამაზე პეტრე დიაკვანი (დიაკონი) უპასუხებს: „იმისთანა კარგ მეფეს ღმერთი დაიფარავს და იმედი მაქვს, რომ ყიზილბაშები იქ აღარ წავიდნენ“.

ცხადია, აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს ლუარსაბ II, რომელსაც შვილი საერთოდ არ ჰყოლია. ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობაში გამოყვანილია ქართლის სახელოვანი მეფე ლუარსაბ I, რომლის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე ისტორიულ წყაროებში ნათქვამია: „ამას მწუხრსავე მოკუდა ძე მეფისა მცირე და სიყუარულისათვის ძისა წარყვენ მეფე და დედოფალი და წარიღეს მასვე მწუხრსა და დაფლეს მცხეთას და განთიად ლამესა ამასვე შემოვიდა შაჰთამაზ ტფილისს მოპარვით, რათა შეიპყრას მეფე. არამედ განარინა ღმერთმან მეფე მიზეზითა ძისათა. ხოლო შაჰთამაზ მოსწვა ტფილისი“.

ახლა ჩავიხედოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“. აქ ვკითხულობთ: „შირვანის დაპყრობისა და მისი შემომტკიცების შემდეგ, 1540 წელს, შაჰ თამაზი დიდძალი ჯარით ყარაბაღში მივიდა. აქ 12 ათასი მხედარი შეარჩია და 1541 წ. ქართლის წინააღმდეგ დაიძრა. მტერი თბილისს გათენების ჟამს მოადგა, ჯერ კიდევ ბნელოდა, ქალაქს მშვიდად ეძინა. მეფე ლუარსაბი დედოფლით, ახლობლებითა და ლაშქრით წინა ღამით მცხეთას წასულიყო გარდაცვლილი მცირეწლოვანი შვილის დასასაფლაველად. ყიზილბაშები შეუმჩნევლად შევიდნენ თბილისში და ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს“.

ამრიგად, „უმანკო სისხლში“ ასახულია ის შემზარავი ისტორიული ეპიზოდი, რაც მოხდა მე-16 საუკუნეში, კერძოდ 1541 წელს. ნაწარმოებში გამოყვანილი ლუარსაბ მეფე არის არა ლუარსაბ II, არამედ ლუარსაბ I (1527-1556), ხოლო სპარსეთის შაჰი არის არა შაჰ-აბაზ I, არამედ შაჰ-თამაზ I. გაუგებრობის ერთ-ერთი წყარო და მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ მოთხრობის ავტოგრაფში წერია „შათაბაზი“. მკვლევრებს ასო „თ“ შეუცვლიათ „ჰ“-დ, მივიღეთ „შაჰაბაზი“. ამან კი სხვა გაუგებრობაც წარმოშვა (მოთხრობის ზოგ გამოცემაში „შაჰაბაზი“ წერია, ზოგში — „შაჰთაბაზი“. არც ერთია სწორი და არც მეორე).

1541 წლის თავდასხმა იყო შაჰ-თამაზ პირველის შემოსევა საქართველოში. მტერი თბილისს მოადგა გათენების უამს, როდესაც ჯერ კიდევ ბნელოდა და ქალაქს მშვიდად ეძინა. მოთხრობაში ნაჩვენებია, რომ ლუარსაბი ამ დროს ქალაქში არ იმყოფებოდა (მცხეთაშია წასული შვილის დასაკრძალად). ყიზილბაშები შეუმჩნევლად შევიდნენ თბილისში და ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ თბილისის ციხისთავი გულბათი (რომელსაც ქალაქის დაცვა ევალებოდა) მოლაღატე გამოდგა, მტრის ბანაკში გადავიდა. მან მაჰმადიანობა მიიღო და სპარსელები ქალაქში შემოუშვა. ვინაიდან თავდასხმა ღამით მოხდა და მოულოდნელად, მოსახლეობამ ვერ მოასწრო გახიზვნა. მტერმა აანიოკა თბილისის მშვიდობიანი მოსახლეობა. ყველა ის, ვინც მაჰმადიანობის მიღებაზე უარი განაცხადა, დახოცეს, ქალები და ბავშვები დაატყვევეს. დაინთხა ბევრი უბრალო ქართველის უმანკო სისხლი. ეს იყო მშვიდობიანი მოქალაქეების, სრულიად უდანაშაულო ადამიანების წამდვილი ხოცვა-რბევა, რომლის მსგავსი თბილისის მოსახლეობას არც მანამდე, არც შემდეგ არ განუცდია.

ქალაქში შემოცვივდნენ ცხენოსანი სპარსელები, დაერივნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, დაუნყეს კაფვა, განურჩევლად ყველას: დიდსა და პატარას, ქალებს, ბავშვებს... მათი წივილ-კივილი ცამდე აღწევდა. რამდენიმე მშვენიერი ქალი ფეხებში ჩაუვარდა სპარსელებს და სთხოვა ღმობიერების გამოჩენა, მაგრამ ამოდ, ისინიც დახოცეს და სხვებიც მიაყოლეს. არავითარმა ხვენწა-მუდარამ არ გაჭრა. ამას დაემატა ის, რომ ქალაქში ავარდა საშინელი ალი და მთელი თბილისი ცეცხლში გაეხვია. დაინვა უამრავი მოქალაქე, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. მსხვერპლი იმდენად დიდი იყო, რომ შემდეგ შაჰ-თამაზმა ბრძანა, ხოცვა შეენწყვიტათ და დანარჩენები ტყვედ წაეყვანათ (ისტორიულად ცნობილია, რომ გარკვეული მიზეზების გამო მაშინ შეიარაღებული ბრძოლა არც გამართულა. შემდეგ ლუარსაბ მეფე პარტიზანული ომის ტაქტიკას დაადგა).

ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობაში დახატულია ქალაქის ბარბაროსულად დანგრევა-გადანვისა და უდანაშაულო მოსახლეობის უმანკო სისხლის დანთხევის შემზარავი სურათი: „ამ ჟამს ქ. თბილისში შემოცვივდნენ სპარსელების ცხენიანთა ჯარი და დაერივნენ მცხოვრებლებს, დაუნყყეს კაფვა დედაკაცსა და კაცსა. კაფავდნენ გამხეცებულნი სპარსელები უიარაღოს თბილისელებს, როგორათაც შესეულნი კაცები ტყესა, და თბილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ. ქ. თბილისში ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდებოდა ჰაერში ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიცო ჰაერი იმათმა შესაბრაღისმა ხმოვანებამ, მაგრამ ვინ განიკითხავდა იმათ? რამდენიმე მშვენიერი ქალები მამაცად და უშიშრად წინ წამოუდგნენ მოღერებულს სპარსთა ხმლებს, ხელები განუწყურეს და სთხოვეს საღმობიერო ხმითა, არ დასთხოონ იმათი უმანკო სისხლი. რა ბრძანებაა, ვერც იმათმა მშვენიერებამ ღმობილი ჰყო სპარსელების გული და ვერც იმათმა ვედრებამ. მხეციც მოღბებოდა იმათის ვედრებითა, მაგრამ სპარსელებს სულ არ მიეკარათ იმათი ვედრება და არც იმათი მშვენიერის თვალებიდგან მომდინარე ცრემლი. დაუყონებლივ ის მშვენიერი ქალები დახოცეს და იმათი სისხლით შეისვარეს ხელები მტარვალებმა. შემდეგ დაერივნენ შიგნით თბილისელებში; დაუნყყეს სრვა გაუკითხავებმა, ქალსა, კაცსა და წვრილთა ყმანვილებს. იმათი საცოდაობის სისხლი სჩქეფდა იმათის ხორცისაგან, რომლისგანაც სხვასა და სხვასა ადგილებზე მოდიოდა დარუებულისავით იმათი უმანკო სისხლი. წივილ-ძახილის ვედრება და გულმტკივნეული ხვეწნა ვის ესმოდა?“

აქ დიდი სიმართლითა და დამაჯერებლობითაა დახატული მტარვალის სახე. სურათის კიდევ უფრო სრულიად წარმოდგენის მიზნით ერთ პატარა ამონაწერსაც მოვიტანთ. „ქ. თბილისს ავარდა ასეთი საშინელი ალი, რომ მთელი ქალაქი ცეცხლად გადაიქცა და იმისი ალი უმაღლესსა ჰაერს შესწვდა! ამისი მნახველთ უდიდესი მწუხარება და ვაება გაამრავლეს. ვინ იცის, რამდენი ქალი და კაცი დაიწო ამ ალით?... ვინ იცის რამდენი წვრილი ყმანვილები დაწვეს იმ საშინელს ცეცხლში?“

მწერალს ამით სურდა ეჩვენებინა, თუ რა შეუბრალებელი და გულქვა მეზობლების გვერდით (და გარემოცვაში) უხდებოდა ცხოვრება ქართველ ხალხს. ის, რაც თბილისს გადახდა 1541 წელს, სხვა დროს (უფრო ადრეც და შემდეგშიც) არაერთხელ დატყდომია თავს საქართველოს ცალკეულ კუთხეებს. მაგრამ ქართველმა ხალხმა გაუძლო წარმოუდგენლად დიდ განსაცდელს და ამჟამად უთანასწორო ბრძოლებში ღირსეულად დაიცვა თავისი ეროვნული მეობა. ამაში, მწერლის აზრით, უდიდესი როლი ითამაშა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ.

წაწარმოები იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვინ იცის, რამდენი ამბავი მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, დიდი ანუ მცირე; მგონია, ერთი მცირედი ადგილი არ იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაეღვაროთ იმ ადგილზედ თავის მამულისათვის და სარწმუნოებისათვის. ამაზედ ბევრი სათქმელია“. და მწერალი ცდილობს ერთი კონკრეტული ეპიზოდის ჩვენებით დაგვარწმუნოს ზემონათქვამში.

მოთხრობაში ქართველებსა და მომხდურთა შორის ბრძოლა სწორედ სარწმუნოების დროშით წარმოებს. ამ ბრძოლის მსხვერპლნი გახდნენ სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალები — ანა, ბარბარე და მართა, რომლებიც მამადავითის ეკლესიას იყვნენ თავშეფარებულები (მონაზვნად აღკვეცილნი) იქაურ მღვდელსა და მღვდლის მეუღლესთან. სპარსელები შემდეგ მთანმინდაზეც აიჭრნენ და მონაზვნებსაც მოსთხოვეს მაჰმადიანობის მიღება. ქალებმა სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატს სიკვდილი არჩიეს. თავიანთ ხვედრს „შენყობილი გალობით“ შეხვდნენ. ქართველი ქალების ასეთმა საქციელმა მოხიბლა სპარსთა ათასისთავი (კეთილი მოხუცი), რომელმაც ზეცას შესძახა: „ოჰ, ღმერთო, რა ბრალი აქვთ ამ საცოდავებს?“ მისმა მოადგილემ ქრისტიანების ასეთი გამოსარჩლება მაჰმადისა და შაჰის შეურაცხყოფად მიიჩნია და „მოღალატეს“ თავი მოჰკვეთა. შემდეგ მთანმინდის ყველა მკვიდრი აკაფეს. ისინი ეკლესიის გვერდით დაიკრძალნენ. მათ გვერდით დაიკრძალა ის მოხუცი სპარსელიც.

მწერალი გვიჩვენებს ქართველთა ფანატიკურ სიყვარულს ქრისტიანობისადმი, რაც მამულის სიყვარულსაც ნიშნავდა.

მაჰმადიანობის მიღებას ქართველები მოწამებრივ სიკვდილს ამაჯობინებდნენ. ასეთი მოტივები თავის პარალელს პოულობს ქრისტიანულ ლიტერატურაში. კერძოდ, „უმანკო სისხლი“ გვაგონებს ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებს. ნესტან სულავამ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ამ მოთხრობას და იგი ჩვენი აგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშებს დაუკავშირა. „ცნობილია, რომ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ცენტრში (იქნება ეს „ცხოვრებათა“ თუ „წამებათა“ ჟანრის) დგას იმდროინდელი თვალსაზრისით უმაღლესი სულიერი თვისებების მატარებელი ადამიანი“. ალექსანდრე ორბელიანისათვის, ისევე როგორც ძველი ქართველი მწერლობისათვის, ქრისტიანობა და საქართველო ერთმანეთისაგან განუყრელია, ერთმანეთსაა შენივთებული. ერთის სამსახური ბუნებრივად გულისხმობს მეორისთვის თავდადებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, თავდადება ერთისთვის, მეორესთვისაც თავგანწირვას ნიშნავდა.

მწერალი არაფერს ამბობს მოღალატეობაზე. რაც შეეხება იმ კეთილ მოხუცებულ სპარსელს, რომელიც ქართველებს გამოესარჩლა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალზე საინტერესო სახეა. მწერალი ამით მიგვანიშნებს, რომ კარგი და ცუდი ყველა ერთი, ყველა ხალხში შეიძლება იყოს. გვაგონდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლადვე სისრულე და სავსება ქართველებისა, ბავშვური წადილია... ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გარმიანელი — ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში“.

„უმანკო სისხლის“ მთავარი მოქმედი პირები არიან სოფლიდან ჩამოსული და მამადავითის ეკლესიას თავშეფარებული ქალები (ანა, ბარბარე და მართა), რომლებიც „ერთს ქართველის დიდის კაცის სახლში აღიზარდნენ“. მათ ოჯახში მიიღეს ის რიგიანი აღზრდა-განათლება, როგორიც იყო „ძველი სწავლა ჩვენი ქართველებისა“ (ამ ძველ სწავლას, ძველებურ საოჯახო აღზრდას ალექსანდრე ორბელიანი ხომ განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას აქცევდა და თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ თხზულებებში ბევრგან ეხება). შემდეგ მათ გადაწყვიტეს ამ სოფლის დატოვება და მონაზვნად აღკვეცა, რაც შემდეგნაირადაა მოტივირებული: „ეს სოფელი კეთილისათვის არის დაარსებული ღვთისაგან, მაგრამ როგორღაც ბოროტად არის შეცვლილი, ამისათვის, მისი სწავლისამებრ, გვმართებს ეხლანდელ მდგომარეობას მოვშორდეთ სოფლისასა და ღმერთს შეუდგეთ (შდრ. ილიას განდეგილი სააქაოს, ამ წუთისოფელს „განშორებია ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეუფოს ბოროტისასა...“).

გადაწყვიტეს და აღასრულეს კიდევ. თუმცა მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ბევრი დაბრკოლება შეხვდათ. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ საქმეში ქართლის მეფეც ჩაერია. ანას მშობლებმა (მეფე მათი ახლო ნათესავი იყო) სთხოვეს შვილისა და მისი ამხანაგების ეკლესიიდან გამოყვანა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, ვერ შეძლო ეს მეფემ. ახალგაზრდა ქალების ღვთისმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ „ვერას ჩაგონებით ვერ შეიძლო მეფემ იმათი გამოყვანა — ამისათვის მთანმინდაში დაემკვიდრნენ (ანა და მისი ამხანაგები-ნ.ვ.) ღვთის შვილებად“ (გვაგონდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ის ეპიზოდი, მეფე ამოტკურაპალატი რომ „დამარცხდა“ მონაზონ ქალ ფებრონიასთან). ღვთის ასეთი ფანატიკური სიყვარული და ამით გაპირობებული მტკიცე ნებისყოფა, მიზანსწრაფული მოქმედება იყო ის ფაქტორი, რომელიც ქართველს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საღ კლდედ გადააქცევდა და შეუძლებელს შეაძლებინებდა. ეს აზრი გასდევს მოთხრობას პირველი წინადადებიდან უკანასკნელ წერტილამდე.

განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ალექსანდრე ორბელიანი ქრისტიანულ სარწმუნოებას. მწერლის აზრით, ჭეშმარიტად კოლოსალური იყო მისი ძალა და ზემოქმედების უნარი. „უმანკო სისხლში“ არის ერთი საინტერესო ეპიზოდი, როდესაც ქართული ეკლესიის წინაშე ქედს იხრის თვით მაჰმადიანი უზურპატორიც კი: შაჰ-თამაზი შედის ხალხით გაჭედულ სიონის ეკლესიაში. „ამ საუცხოვოდ შემკობილს ეკლესიას თვალი რომ შემოავლო, დაიძახა: „ღვთის სახლს რომ იტყვიან, სწო-



რედ ეს ის სახლი არისო". მერე მკაცრი ბრძანება გასცა, არავინ არა ავნოს რა ამ ღვთის სახლსაო. შესული ქალები და კაცები აღარ გაანყვევტინა იმ ეკლესიის პატივისცემისათვის".

„უმანკო სისხლი“ ყურადღებას იქცევს მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც. საერთოდ, ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა მხატვრულ-გამომსახველობითი მხარის ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ უთუოდ სწორ დასკვნას აკეთებს ჯუმბერ ჭუმბურიძე, როდესაც წერს, რომ მწერლის მხატვრული შესაძლებლობანი ერთობ განსაზღვრულია, „მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებს აქვს გარკვეული ღირსებაც: ის, რის შესახებაც ავტორი მოგვითხრობს, ღრმადაა განცდილი მის მიერ; აქ არ იგრძნობა ხელოვნურობა და პოზა. მწერალს უდავოდ აქვს ის სიტბო, რომელიც გავლენას ახდენს მკითხველზე, ფანატიკური სიყვარული წარსულისა, ტკივილი, გამონვეული ანმყოთი, თრთოლვა და შინაგანი წვა მწერლისა, რაც ყველა სტრიქონში ჩანს, უდავოდ გადაეცემა მკითხველსაც“.

აქ ნათქვამი ეხება „უმანკო სისხლსაც“, რომლის მხატვრული მხარის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს თენგიზ კიკაჩიშვილი. მკვლევარს მიაჩნია, რომ მოთხრობას ნაკლთან (ცალკეული პასაჟი ვითარდება ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აქა-იქ შეინიშნება აზრობრივი გულუბრყვილობა და სხვა) ერთად აქვს გარკვეული მხატვრული ღირსებაც (სამშობლოსადმი ავტორის გულწრფელი სიყვარულით გაპირობებული გრძნობათა სინმინდე და მხატვრული აღმაფრენა, სალი და ნათელი ემოციები და სხვა) მწერლის ოსტატობის ნიმუშად მკვლევარი იმონმებს ქუჩაში, სიონის მახლობლად, ახალჯვარდანერილი ქალ-ვაჟის შეხვედრისა და სპარსელთა მიერ მათი ამოხოცვის სურათს, რომელიც „გრძნობათა გამოხატვის უბრალოებით, გამირთა ქცევისა და მეტყველების სახეობრივი სიმკაცრით გამოირჩევა და შესაბამის ემოციურ გავლენას ახდენს მკითხველზე“.

ასე რომ, „უმანკო სისხლი“ ალექსანდრე ორბელიანის ერთ-ერთი საინტერესო თხზულებაა, რომელიც გაჟღენთილია მამულისა და სარწმუნოების მართლაც ფანატიკური სიყვარულით.

## ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში

ალექსანდრე ორბელიანის ამ ნაწარმოებში, რომელიც ნახევრად პოლემიკური თხზულებაა, მხილებულია არტემ არარატელი, როგორც ისტორიის ფალსიფიკატორი.

არტემ არარატელის ნიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, ის დაიბეჭდა პეტერბურგში 1813 წელს. ნიგნმა ერთბაშად დიდი პოპულარობა მოიპოვა და მოკლე დროში ითარგმნა კიდევ რამდენიმე ენაზე: გერმანულად 1821 წელს, ინგლისურად 1822 (1885 წელს ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა არარატელის ნიგნის არასრული ქართული თარგმანი, ხოლო შვიდიოდე წლის შემდეგ, 1892 წელს, ითარგმნა სომხურადაც).

დღესაც კარგად არაა ახსნილი, თუ რამ გამოიწვია ესოდენ დიდი ინტერესი არარატელის ზემოდასახელებული ნიგნისადმი, „რუსეთში, გერმანიასა და ინგლისში XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში არარატელის ნიგნის გამოცემა ჭეშმარიტად დამაფიქრებელი და ეჭვის აღმძვრელია“. ის კი დადგენილია, რომ ნიგნის ავტორი იყო საკმაოდ ბნელი წარსულის მქონე პიროვნება, ყალბისმქმნელი და ისტორიული ფაქტების ფალსიფიკატორი. ის სრულიად უცერემონიოდ თხზავს დოკუმენტებს, მრუდე სარკეში გვიჩვენებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიას, აბუჩად იგდებს ერეკლე მეფეს და მასთან დაახლოებულ პირებს: ასაკმა ერეკლე მეფე დააუძღურა, დააჩაჩანაკა და ჩაადენინა დიდი შეცდომა — თავისი სამეფო შვილებს გაუნაწილა, რითაც მათ შორის (ე. ი. შვილებს შორის) შუღლი და უნდობლობა ჩამოაგდო. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმისას შვილებმა უღალატეს მამას. თითქმის ყველამ ზურგი შეაქცია და მიატოვა დამარცხებული და მოხუცებული მეფე, რომელიც აწანურის ერთ დანგრეულ მონასტერს შეეხიზნა და ვილაც გულკეთილი სომხის სარჩენი გახდა... არარატელის მტკიცებით, 1795 წლის 10-11 სექტემბერს თბილისის თავზე დატეხილი უბედურების (ქართველთა დამარცხების) მიზეზი იყო ერეკლეს მეუღლე — დედოფალი დარეჯანი, რომელმაც გასაჭირის უამს მიატოვა ქალაქი და მთაში გაიქცა. „ამის მიზეზით ხალხი შეშინდა, ქალაქის დაცვას თავი მიანება და გაიფანტა სხვადასხვა მხარეს თავის საშველად“.

ასე დასცინის არტემ არარატელი ერეკლე მეფეს და, საერთოდ, საქართველოს იმდროინდელ სახელმწიფოებრიობას. დღეს უკვე დადგენილია, რომ ყოველივე ამას ეს ვაი-ისტორიკოსი აკეთებდა სრულიად შეგნებულად, თვითმპყრობელობის დაკვეთით (რისთვისაც, ცხადია, სათანადო ანაზღაურებას იღებდა).

სხვათა შორის, არტემ არარატელის ყალბისმქნელობა დღის სინათლეზე გამოიტანეს არისტაკე სედრაკიანმა, ნიკო მარმა და სხვებმა. მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან). პირველი, რომელმაც არტემ არარატელს ნილაბი ახადა და თავისი ნამდვილი სახით წარუდგინა მკითხველ საზოგადოებას, იყო ალექსანდრე ორბელიანი. 1844 წელს დაწერილ ისტორიულ თხზულებაში — „ალა-მაჰმად ხანის შემოსევა ტფილისში“. ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: „არაჩნურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო ერთი შემოჩენილი რუსეთიდან არტემ არარატე მეფის ირაკლისა და საქართველოს დასალუჰად. ბევრი ჩვენი დასამხობი ამბებია იმ არტემისაგან და ერთსა კი ეხლა ვიტყვი იმის საქმეს ამ ამბავსა შორის, რომ დასანახად იყოს იმისი საშინელი საქმე ჩვენსა წინაპარზედ. კმარა კიდევ იმის გასაცნობათ, ის ერთი იმისი მოქმედება, რომელსაცა სომხურათ ერქვა იმას: არუთინ არარატე და რუსულათ არტემ არარატე შეიქმნა... იმან პირველად იმოქმედა ალა-მაჰმად-ხანის მოყვანა საქართველოზედ“.

ჩანს, რომ არტემ არარატელის ჯაშუშობა-გამყიდველობის შესახებ XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში (და არა მარტო ქართულში) ხმები ფართოდ იყო გავრცელებული. ოფიციალურად კი ეს პირველმა თქვა, ხმამაღლა განაცხადა ალექსანდრე ორბელიანმა. მწერალი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ არტემმა გააპარა ალა-მაჰმად-ხანის ელჩი (ერეკლემ რომ თბილისში დააჭერინა): „თვითონ თავის მოსყიდულის სომხის კაცებით უბელადა ელჩსა და პირიქით თელეთისაკენ იმან გადაიყვანა... და შემდგომში ისევ ტფილისისაკენ დაბრუნდა, ახლა კიდევ სხვა ეშმაკობისა და ცბიერებისათვის“.

არტემ არარატელის მიერ გაპარებული ეს ელჩი იყო, თბილისის ალების იმედგადაწურულ და უკან (სპარსეთისაკენ) მიბ-

რუნებულ ალა-მაჰმად-ხანს რომ დაენია და სასიხარულო ამბავი აუწყა: „მეფეს ირაკლის მაგთენი ჯარი არა ჰყავს, რაც თქვენ გინახამთ, იმაზე მეტიო“. ამასთან, არტემის შემონათვალის (ერეკლეს უმწეო მდგომარეობის მაუწყებელი) გადასცა. მიიღო რა ახალი ინფორმაცია მონინალმდეგის შესაძლებლობის შესახებ, „ალა-მაჰმად-ხანიც დაბრუნდა და ქალაქისაკენ გამოსნია“. რა შედეგიც მოჰყვა, რითი დამთავრდა ყველაფერი ეს, საყოველთაოდ ცნობილია.

გასაგებია, თუ როგორ იქნებოდა გადმოცემული ესა თუ ის ისტორიული ფაქტი არტემ არარატელის — ამ მოსყიდული აგენტი-სა და ავანტიურისტის — ზემოდასახელებულ წიგნში. ალექსანდრე ორბელიანს განუზრახავს, გაფანტოს ყალბი ცნობები ერეკლე მეფესა და მის მახლობელ პირებზე, აღადგინოს ისტორიულ მოვლენათა უტყუარი სურათი და მოახდინოს თავისი სახელოვანი პაპის სრული რეაბილიტაცია. ამდენად, ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის შესახებ საზოგადოებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიებია გავრცელებული. ზოგიერთნი ცდილობენ, „მეფის ირაკლის სწორი და მართალი საქმე დაჰფარონ და იმის ღირსება მოსპონ“, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს „არაფერი იყო, სულ არც ომი ყოფილიყოს ცარიელი კინკლაობის მეტი. მეფე ირაკლი თავის ქართველებით გაიქცა, წავიდა და ქ. ტფილისი გააოხრებინა უსვინდისოთაო“.

„ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა“ არის კრწანისის ომზე, ქართველი ხალხის ამ ტრაგიკულ ისტორიულ ეპიზოდზე დაწერილი რიგით მეორე ნაწარმოები. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, იცნობდა თუ არა მაშინ მწერალი ამავე თემაზე ხუთიოდე წლის წინათ დაწერილ (მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ) პოემას — ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“. საინტერესო ფაქტია: ალექსანდრე ორბელიანი თითქმის მთლიანად ემყარება თავის თანამედროვეთა ნაამბობს. ამ პირთა დიდი უმრავლესობა ერეკლეს პირადად ახლოს იცნობდა, ზოგი უშუალოდ ომის მონაწილეც იყო (ომის მონაწილე პირის — კიკოლა კალმახელიძის ნაამბობის მიხედვით ამავე ისტორიულ თემაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში პოემა დაწერა აკაკი წერეთელმა).

ალექსანდრე ორბელიანი თავის ნაწარმოებში დაუფარავად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის წარსულის როგორც დადებით, ისე ნაწილობრივ უარყოფით მხარეებსაც. დადებითი გახლდათ ქართველთა სახელოვანი წინაპრების რაინდული სული, პატრიოტული გზნება, რაც გარკვეული ისტორიული ფაქტორებით იყო გაპირობებული და მრავალი სხვადასხვა ვარიაციით ვლინდებოდა. „მაშინდელს დროში საქართველოს ხალხნი სულ ჩინებული მეომრები იყვნენ, რადგან სულ ომში იყვნენ“, — გვეუბნება მწერალი. განუწყვეტელი თავდაცვითი ბრძოლები, ბუნებრივია, კვებავდა (ასაზრდოებდა) ქართველთა დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი. ძნელბედობის ჟამს ქუდზე კაცი გამოდიოდა და დაუზარებლად ეწირებოდა მამულს. ასე იყო, კერძოდ, კრწანისის ომის დროსაც. მაგალითად, გარეჯელებისთვის რომ ვინმეს შემოეძახა „მეფეს ერეკლეს უჭირს, მივეშველოთო, მთელი გარეჯობა მოიგლიჯებოდა სამი ათასი ცხენიანი მეომარი და მაშინ ნახავდა თავის ყოფას ალა-მამჰმად-ხანი“.

აქ, სხვათა შორის, კარგადაა ნაჩვენები ხალხური პატრიოტიზმი — ხალხის, ფართო მასის („ხალხში“ აქ გლახობასთან ერთად სხვა წოდებაც იგულისხმება) მზად ყოფნა მეფის პირველი დაძახებისთანავე იარაღით ფეხზე დამდგარიყო და აქტიური მონაწილეობა მიეღო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსახლეობა აღმერთებს, ეთაყვანება პატარა კახს, სახელოვან ერეკლე მეფეს. ეს იგივე მამულის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას ნიშნავდა. ამ მხრივ საქართველოს ერთი რომელიმე რეგიონი (სოფელი თუ სამოურავო) სრულიად არ ყოფილა გამონაკლისი. სხვა კუთხეებიდანაც „კარგი ცხენიანი კაცნი გამოვიდოდნენ და გამოდიოდნენ ხოლმე, მეფის ირაკლის საქებული მეომრები, რომლებიც მოუთმენლად მოელოდნენ, როდის მოგვივა ბრძანება, რომ ჩვენ ერეკლესთან კიდევ ჩვენ სისხლი დავღვაროთ ჩვენის მამულისათვის და ყიზილბაშებს ჩვენის ხმალი კიდევ ვაჩვენოთ“.

მწერალი პატრიოტიზმზე, ქართველთა ამ საქებარ თვისებაზე, ასეთი ზოგადი საუბრით როდი კმაყოფილდება, იგი, ამასთან, გვიჩვენებს კიდევ კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც

იძლევიან მამულისათვის თავგანწირვა-თავდადების უბრწყინვალეს მაგალითებს. ასეთია, პირველ რიგში, ერეკლე მეფე, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის ბევრ ნაწარმოებში, მათ შორის „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლაში“, მთავარ მოქმედ პირადაა გამოყვანილი. მწერალი პატარა კახს გვიჩვენებს როგორც ჭაბუკური ენერგიით აღსავსე მამაც მეომარს, ნიჭიერ მხედართმთავარს, გონიერ პოლიტიკოსს, თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის თავგანწირულ პატრიოტს... „ირაკლი თუმცა მოხუცებული იყო (საუბარია კრწანისის ომისდროინდელ ერეკლეზე — ნ. ვ.), მაგრამ არც თვალთ აკლდა, არც ყურთ სმენას, არც გონებას და არც ენას“. მოხუცებული მეფე ცხენზე შეჯდებოდა უზანგში ფეხის გაუყოფლად (ჩიტივით მოაფრინდებოდა ბედაურს). ამის მნახველი იტყოდა: „ოცდა ათის წლის კაცი არისო“. ახალგაზრდული ენერგიის გარდა ერეკლე გამოირჩეოდა შესაშური შრომისმოყვარეობით, დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ ქვეყნის საქმე რიგიანად წაეყვანა: „ოც და ოთხს საათში სამი საათი ეძინა, სხუა სულ საქმობდა“.

ალა-მაჰმად-ხანის გაცოფება-გამძვინვარების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ალექსანდრე ორბელიანი სავსებით მართებულად მიიჩნევს ერეკლე მეფის გულითად სურვილს, ერთმორწმუნე რუსეთისათვის დაეკავშირებინა თავისი ქვეყნის ბედი. საგანგებოდ გამოგზავნილი ელჩის პირით ბევრჯერ შემოუთვალა გულბოროტმა საჭურისმა ერეკლეს, განყვიტე რუსეთთან კავშირი (გააუქმე ტრაქტატი) და არაფერს დაგიშავებ, მეგობრები ვიქნებითო (თანაც ამაში დასარწმუნებლად ერეკლე მეფის ერთ შვილს და ერთ შვილიშვილს მოითხოვდა მძევლად). მაგრამ ერეკლე ვერ შეაცდინა ამ მზაკვრულმა წინადადება. ერეკლე ვერც ალა-მაჰმად-ხანის მუქარამ (თუ რუსეთთან კავშირს არ განყვეტდა, დიდძალი ჯარით დაესხმოდა თავს და წაღეკავდა საქართველოს) შეაშინა. მტკიცე ნებისყოფის მეფე ბოლომდე თანმიმდევრული აღმოჩნდა ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში: „არამც თუ მარტო ალა-მაჰმად-ხანი თავის ჯარითა – მთელი აზიის ჯარები რომ მოვიდნენ ჩვენზე, მაშინაც ხელს ვერ ამაღებინებენ რუსეთის ერთგულე-

ბაზედ“, — ასეთი პასუხით გაისტუმრა ქართველთა მეფემ ირანელი ელჩი.

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ერეკლეს ჰქონდა კიდეც საფუძველი ასეთი ოპტიმისტური გულდაჯერებულობისათვის. ცოტა ქვემოთ მწერალი საგანგებოდ შენიშნავს: „მაინც არ იქმნა არ შეურიგდა (ერეკლე ალა-მაჰმად-ხანს – ნ. ვ.), ამიტომ რომ ერთმორწმუნეობის გამო პატიოსანი პირობა დაედო მეფე ირაკლის, რომ რუსეთის ერთგული იყოს და ესეც რომ იმის ძლიერებისაც დიდი იმედი ჰქონდა“ (სხვათა შორის, აქ გარკვეულადაა ნათქვამი, რომ რუსეთისაკენ ორიენტაციის აღების მიზეზი მართო ერთმორწმუნეობა კი არ ყოფილა, არამედ ამ დიდი ქვეყნის ძლიერება-ძალმოსილებაც).

იცოდა რა, რომ ალა-მაჰმად-ხანი საგანგებოდ ემზადებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის, ერეკლე, როგორც გონიერი პოლიტიკოსი, სათანადო ზომებს იღებდა, რათა მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცა... პირადად ერეკლე, როგორც რიგითი მეომარი, კრწანისის ველზე მამაცურად იქნევედა ხმალს, რითაც მაგალითს აძლევდა და ალაფრთოვანებდა სხვებს. ერეკლესა და მისი თანამებრძოლების გულადობით გაოცებულ ალა-მაჰმად-ხანს უთქვამს: „როგორიც ქართველების ვაჟაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილანო“. თუ, მიუხედავად ზემოთქმულისა, პატარა კახი ომში მაინც დამარცხდა, ამის მიზეზი, ალექსანდრე ორბელიანის ღრმა რწმენით, იყო საქართველოში ასე ღრმად ფესვგადგმული მოღალატეობა-ჯაშუშობა, ერეკლეს მოძულე-მონინაალმდეგეთა უაღრესად ფართო ქსელი (ამ ფაქტორს ალექსანდრე ორბელიანი დიდ ყურადღებას უთმობს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს).

ერეკლე მეფემ უკანასკნელმა დატოვა (უფრო სწორად, დაატოვებინეს) ბრძოლის ველი. საკმაოდ შთამბეჭდავად, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით აქვს ეს ეპიზოდი დახატული ალექსანდრე ორბელიანს. როცა ავლაბრის ხიდზე გადადიოდა (გადაჰყავდათ), ერეკლემ ცხენი გამოატრიალა და შენუხებულმა დაიძახა: „ნეტა სად მივიღივარ? ნავალ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნახამ“.

და მწერალი იქვე განაგრძობს: „მაშინვე ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჯილავს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრივაც ბატონიშვილი აღმასხან მივარდა, მეორეს მხრით ბატონიშვილი ივანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენინეს გულმოკლული საცოდავი ერეკლე“.

როცა მახათის ძირში მივიდნენ, ერეკლემ ერთხელ კიდევ მოიხედა ივარქმნილი ქალაქისაკენ და მოთქმით დაიწყო: „ჰო ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა ხმა მესმის? ჩემო საყვარელო შვილებო, მე თქვენს ამალლებას ვცდილობდი, მე თქვენის ბედნიერებისათვის ვზრუნავდი, თქვენი მცირე მწუხარება სასიკვდილო იყო და სიხარული ბედნიერება!.. ნაცვლად თქვენის დღესასწაულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქვენზე, ნაცვლად თქვენის მხიარულის საკრავებისა, დღეს ატადის კალოს ხმა მესმის თქვენზედ მოსული, ნაცვლად თქვენის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღაღადებს. რამდენი თავგანწილი დედანი და ქალნი წვიან და კვიან ეხლა, ის ხმა შენ არ გესმის ღმერთო? — რამდენი კაცი ყელ-გამოჭრილი ეყრებიან ეხლა, ამაებს ვერ ხედავ, ღმერთო? — ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყუარლებო და ჩემო სასურველებო! მე თქვენთვის უნდა მომკვდარიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რაღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?.. რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩვენა? — რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის“.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ვრცელ ამონაწერში ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებული მეფის, დიდი პატრიოტისა და ჰუმანისტი ადამიანის ბრწყინვალე პორტრეტი დახატული. ბარათაშვილის შემდეგ ასე შთამბეჭდავად არავის უჩვენებია ერეკლე მეფე.

მიუხედავად თავზე დატეხილი უდებურებისა, ერეკლე სულით არ დაცემულა. იცოდა რა მთას შეხიზნული მეფის სამზადისი ახალი ბრძოლისათვის, ალა-მაჰმად-ხანი საჩქაროდ აიყარა თბილისიდან. უფრო მოგვიანებით სპარსეთის შაჰი კვლავ



აპირებდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, მაგრამ ყარაბაღში მოკლეს და „ძალიან კარგი მოხდა საქართველოსთვის... თორემ თუ არ მოეკლათ, უფრო საზიზღარი ღალატი იყო მოსალოდნელი, მთელი საქართველო უნდა გაეოხრებინათ“.

რა გვეთქმის ალექსანდრე ორბელიანის მიერ ნაჩვენებ ერეკლე მეფეზე? უნდა გარკვეულად აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სახელოვან მეფეს მწერალი საკმაოდ დამაჯერებლად, ცოცხლად და მიმზიდველად გვიხატავს (და ეს ასეც იყო მოსალოდნელი: მწერალს ხომ სათანადო ინფორმაციას თვით ერეკლეს ახლოს მცნობი პირები აწვდიდნენ). ამიტომაცაა, რომ ერეკლე მეფის დახატვის (თუ დახასიათების) საქმეში ალექსანდრე ორბელიანს ბევრი მწერალი (თუ მეცნიერ-ისტორიკოსი) „ესესხებოდა“.

აქ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანი-სეული ერეკლე არსებითად ემთხვევა სხვა ქართველი რომანტიკოსების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოემებში ნაჩვენებ პატარა კახს. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ქართული რომანტიზმის მთავარი წარმომადგენლები ერეკლე მეფის დახატვა-ჩვენების საქმეში (ისე როგორც ბევრ სხვა რამეში) ერთმანეთს თანაეაზრებიან. ამასთან, დავძენთ რომ, გასაგები მიზეზების გამო, ერეკლეს „საქმეში“ სხვებთან შედარებით უკეთესადაა ჩახედული ალექსანდრე ორბელიანი. ამიტომაც მიმართავდნენ ჩვენს მწერალს სხვები რჩევა-კონსულტაციისათვის. აქ საკმარისი იქნება დავასახელოთ გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც პოემა „სადღეგრძელოს“ სქოლიოში რამდენიმეჯერ ჰყავს დასახელებული ალექსანდრე ორბელიანი როგორც კონსულტანტ-ინფორმატორი (ამის შესახებ ქვემოთ).

როგორც ცნობილია, ქართველი რომანტიკოსები ერეკლე მეფის ერთგვარ იდეალიზაციას ახდენდნენ და ეს ბუნებრივი და გასაგებია, რადგან ერეკლე მათთვის იყო „ჩასვენებული მზე“ და „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“ (გრიგოლ ორბელიანი). ამ „ჩასვენებულ მზეს“ ვერც ალექსანდრე ორბელიანი ამჩნევდა ლაქებს. ამის დასტურია მისი ნაწარმოებები

და, კერძოდ, „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“. მწერალი აქ სრულიად არაფერს ამბობს ერეკლეს შეცდომებზე (მაგალითად, მეფე რომ რუსეთის მაშინდელ მესვეურთა დაპირებებს მიენდო და ჩრდილოეთიდან დახმარების მოლოდინში სათანადოდ ვერ მოემზადა ომისათვის, ვერ მოაგვარა ურთიერთობა ალა-მაჰმად-ხანთან და სხვა. სხვათა შორის, ამას თვითონ ერეკლეც აღიარებდა, თუმცა სხვაგან „ლეკების გამოსვლა დაღისტნიდგან...“ დაწვრილებით ჩამოთვლის ერეკლეს შეცდომებს).

ალექსანდრე ორბელიანს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ერეკლეს ბრძოლის ველზე თავისუფლად შეეძლო 80 000 მეომრის გამოყვანა. ამიტომაცაა, რომ მწერალი მეფეს სამხედრო თათბირზე ასეთ გაბედულ სიტყვას წარმოათქმევინებს: „მე მინდა ალა-მაჰმად-ხანი და იმის ჯარი ისე წავახდინო, რომ საქართველოდგან ერთი მოამბე ყიზილბაში ველარ გავიდეს, მას უკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ“. შემდეგ კი ერეკლე ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელების გეგმას წარმოგვიდგენს, და დაასკვნის: „მე დარწმუნებით ვიცი, ალა-მაჰმად-ხანს ან ხელებშეკრულს მოგვცემენ, ან თავის ჯარი მოჰკლავს და ან ჩვენი ჯარი ხელში ჩაიგდება. ამასაც ვიტყვი, რომ ყიზილბაშების ჯარი თოფიარალს დაანყობს და სულერთიან დაგვმორჩილდებიან“.

კი მაგრამ, საიდან მოდის, რას ემყარება მეფის ასეთი დიდი ოპტიმიზმი და თვითდაჯერებულობა? ეს არის თვით მწერლის ფანტაზიით შექმნილი და რომანტიკულად დანახული ერეკლე.

მამულის დასაცავად მტრის წინააღმდეგ ხმალამოღებულ ბრძოლებში ერეკლე მარტო როდი მოქმედებდა. მეფეს გვერდით ახლდნენ, მხარს უმშვენიებდნენ რჩეული მამულიშვილები, რომელთა რიცხვი, ცხადია, საკმაოდ დიდი იყო. მწერალი თითოეულს საკადრის პატივს მიაგებს, მიიჩნევს რა, რომ აუცილებლად საჭიროა სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანთა ღვანლისა და დამსახურების სათანადოდ წარმოჩენა და დაფასება. აი, მაგალითად, მაიორი გიორგი გურამიშვილი, რომელმაც წარმოუდგენლად დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმტკიცე

გამოიჩინა კრიტიკულ მომენტში, გარდუვალი სიკვდილის წინა წუთებში: „ზარბაზნების უფროსმა მაიორმა გიორგი გურამიშვილმა (მეფის ირაკლის ნათლული იყო). ამისთანა გაჭირვება ნახა, რომ აუცილებელი სიკვდილი მოსულიყო იმათზე, ყველას ხმამალა შესძახა:

— ქართველებო, ძმებო! ცხადათ ვხედავთ აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან უნამუსოთ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი მამულისთვის და კარგის მეფისათვის, თუ უნამუსოთ სიცოცხლე?

ყველამ ერთპირად:

— ჩვენ მამა-პაპათა უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც იმათი შვილები ვართ. სიკვდილი გვირჩევნია უნამუსო სიცოცხლეს.

— გამადლობთ, ძმებო, რაც თქვენს კაცობას ეკადრება, სწორედ იმისთანა გული გაქუსთ“.

ესენი (მაიორი გურამიშვილი და მისი თანამებრძოლენი) ის ადამიანები არიან, რომლებსაც კარგად ახსოვთ რუსთაველის ნაანდერძევი („სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“) და პირნათლად ასრულებენ მას. მაიორი გურამიშვილი ვაჟკაცურად შეენირა ერეკლესა და სამშობლოს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ღმერთო! ოღონდ ირაკლი მშვიდობით გაიყვანე ამ საშინელებისაგან და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო“. მტერმა როდი დააყოვნა, „გამგლეებული ყიზილბაშები მისცვივდნენ და ზედ ზარბაზნებზე დაკაფეს ის სიკვდილის შეუშინებელი, მამულის მოყვარული, მეფის ერთგული, თავის ვალის აღმასრულებელი, რიგის დამცველი, სრული პატიოსანი და სულით დიდი კეთილშობილი“. ასეთი ეპითეტებით ამკობს მწერალი გიორგი გურამიშვილს და არ შეიძლება არ ვთქვათ: ეს არის ღირსეული მამულიშვილის მართლაც ღირსეულად დაფასება.

არავინ და არაფერი არ უნდა იქნას დავინყებული, — ამბობს ალექსანდრე ორბელიანი: „იმ ამბებში ვინც მეფე ირაკლისთან იყვნენ პირველი გუამები, იმ თავიდგან უკანასკნელამდისინ, იმათი სახელი არ უნდა დაიკარგოს, იმათი სახელი უნდა დაინე-

როს აქა". და მართლაც, მწერალი რიგრიგობით, სათითაოდ ჩამოთვლის (და არა მარტო უბრალოდ ჩამოთვლის, არამედ მოკლედ მათ დამსახურებასაც გვაცნობს) კრწანისის ომის გმირებს. ესენი არიან: „პირველი თვით მეფის ირაკლის ძე ვახტანგ (მომატებული სახელი აღმასხან) ამას სამასი ცხენიანი აზნაურიშვილები ჰყვანდა თავიანთი მოსამსახურეებით, არაგველები, რომლებიც სულ ომში დაიხოცნენ და თავი იქვე დაიგდეს... მეორე, მეფის გიორგის ძე ბატონიშვილი ივანე განუყრელად თავის პაპას ახლდა და ყოველს ომში იბრძოდა, როგორც უშიშარი გმირი. ბერვეჯერ მეფეს ირაკლიზედ სეტყუასავით ტყვიან რომ წამოვიდოდა, ბატონიშვილი ივანე გადუდგებოდა წინ და თავის გულსა მიუშვერდა... მესამე, მეფის ირაკლის სიძე ივანე მუხრანის ბატონი ზურგს უნახავდა მეფეს და განუშორებლად გვერდით ახლდა და რამდენს განსაცდელიდგან გამოიხსნიდა... მეოთხე, კუალად მეფეს ახლდნენ მეფე ირაკლის სიძე თდი ზაქარია ანდრონიკაშვილი (ეს ზევითაც ვთქვით) და თდი ივანე აბაშიძე, რომელთაცა ასე გამოიჩინეს თავი იმ ომებში, რომ რომელს მხარეზედაც ეს ორნი შეუტევედნენ თავის მახლობლებით და მოსამსახურეებით, მაშინვე გააქცევდნენ, მაგრამ მოსამსახურეები ცოტალა დარჩათ, ომში დაიხოცნენ. მეხუთე, მეფის მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი და იმის სახლის კაცი, ყმანვილი კაცი არსენიც, პირველს ომში ახლდნენ მეფეს... მეექვსე, ოთარ ამილახვარიც იქ იმ საშინელს ომებში ახლდა მეფეს ირაკლისა და სხვა თავადებიც კარგა იმთენი, რაც მეფე ირაკლის იმ ორი ათას მეომრებსა შეეფერებოდა, სადაც იბრძოდნენ უკანასკნელს სიცოცხლეზედ თავდადებით. მომატებული ქება რაღა უნდა?".

აქ დასახელებულ პირებს მკითხველი კარგად იცნობს სხვა წყაროებიდანაც. კრწანისის გმირთა ალექსანდრე ორბელიანი-სეული ეს მოკლე, ლაკონიური დახასიათება, ვფიქრობთ, ძირითადად სწორია და რაიმე არსებით კორექტივს არ საჭიროებს. მხოლოდ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ ფაქტზე: მწერლის მიერ ზემოჩამოთვლილი ყველა (უკლებლივ ყველა) ის ადამიანი, რომელმაც კრწანისის ველზე თავი ისახელა, მაღალი,

არისტოკრატიული კლასის შვილია. სად იყო გლეხობა? რა როლს თამაშობდა ამ ომში დაბალი ფენა? დაბალი ფენის წარმომადგენლებიც, ცხადია, მამაცურად იქნევდნენ ხმალს. ბევრი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. ასე რომ, გლეხობის როლი თავდაცვით ომებში (და არამარტო თავდაცვით ომებში, არამედ საერთოდ ქართველი ერის ცხოვრებაში) განუზომლად დიდია. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ ასეთივე ცნობილი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ამ ფენის, ე. ი. ხალხის წარმომადგენელთა სახელები მემატრიანეთათვის უცნობია. ამის გამო ჩიოდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლნი: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს. ვნუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი“. ან კიდევ: „ჩვენი მატრიანეთ დამწერლები ყურს არ უგდებდნენ არცა ხალხსა და არცა ხალხის ყოფაცხოვრებას. ისინი მარტო მეფეთა და სარდალთ იცნობდნენ და აგვიწერდნენ მათს ომებსა და მათს ამხედრებას“. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი, ცხადია, არც კრწანისის ომის მონაწილე გლეხობა ყოფილა. მათი სახელებიც „ჰაერში განჰქრა“, დუმილმა დაფარა. პირველმა, რომელმაც ამის თაობაზე თავისი გულისწყრომა-აღშფოთება გამოთქვა, იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ან საფლავიცა არსად ჩანს მათთვის, ჰაერში განჰქრა მათი სახელი და არსად ჟამთა მონამე ძეგლი არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა; დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!“

როგორ იქცევა ალექსანდრე ორბელიანი? როდესაც მაღალი წრის წარმომადგენელთა ღვანლზე საუბრობს, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მათ თან ახლდნენ მოსამსახურეები (ე. ი. დაბალი წრის შვილები, გლეხები). მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ამ უკანასკნელებმა თავიანთ მებატონეებზე უფრო გამოიჩინეს თავი და მამულისთვის მართლაც სახელოვნად დაიხოცნენ: „ის ორიათასი ქართველი მეომრები (საუბარია დაბალი ფენის შვილებზე — ნ. ვ.) თავის მებატონეებით ერთი-ერთმანეთზე კარგნი იყვნენ, ნამეტნავად მებატონეების მოსამსახურეებ-

მა უფრო დაამტკიცეს. თითქმის სულ მტრებისაგან დაიხოცნენ და, თუ დარჩა ვინმე, დიახ ცოტა“.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის თხზულების ის პასაჟი (ეს ადგილი ზევით დავიმოწმეთ), სადაც საუბარია დუშეთიდან ჩამოსულ არაგველებზე, იმ რიგით მთიელებზე, რომლებიც თან ახლდნენ ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს. კიდევ უფრო საყურადღებოა და საინტერესო, რომ სამასი არაგველის შესახებ ინფორმაცია სწორედ ალექსანდრე ორბელიანის ნაამბობით დამკვიდრდა მწერლობაში (შეიძლება სამეცნიერო ლიტერატურაშიც). ასე, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო“, იქ, სადაც არაგველთა გმირობას გვამცნობს, სქოლიოში შენიშნავს: „სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდან აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის დროს, შეჰფიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან. ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და კრწანისის ბალებთან დაიხოცნენ (ნათქ. თ. ალექ. ვახ. ორბელიანისაგან)“. ამ კონტექსტში ზედმეტი არ იქნება, თვითონ „სადღეგრძელო“ დავიმოწმოთ.

**აი სამასნი გმირები დუშეთით თბილის მოსულნი  
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:**

**— თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა გავჰსდენეთ**

**მტრის ძალი,**

**იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან, შინა წავიდეს ცოცხალი.**

**და გარდინერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს...**

**და შავარდნენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა**

**სიმრავლეს!**

**შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი**

**დააკლეს.**

ასე და, ამრიგად, ეს შესანიშნავი სტრიქონები გრიგოლისთვის ალექსანდრე ორბელიანს შთაუგონებია. ორივე რომანტიკოსი უკვდავყოფს დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულ ადამიანთა გმირულ სულსა და პატრიოტულ გზნებას.

წარსულის გმირთა გახსენება აუცილებელია, მათი სახელის უკვდავყოფა ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა. „იმათი სახელი არ უნდა დაიკარგოს, იმათი სახელი უნდა დაინეროს აქა“, — დაჟინებით მოითხოვს ალექსანდრე ორბელიანი. კი მაგრამ, რისთვისაა ეს ასე მოუცილებლად საჭირო? ამ კითხვას მწერალი პირდაპირ არ უპასუხებს (საერთოდ, კითხვასაც არ სვამს), მაგრამ იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს საჭიროა ანმეოსა და მომავლისათვის. საჭიროა იმისათვის, რომ მომდევნო თაობები იზრდებოდნენ წინაპართა მაგალითზე, რომ ახალგაზრდას აღაფრთოვანებდეს, აღიტაცებდეს მამა-პაპათა სიმხნე-ქველობა. მამულს შენირული გმირის „სახე დიდების სხივს მოგვეფენს გასამხნეველად“, ამბობს გრიგოლ ორბელიანი და აცოცხლებს რა ამ გმირებს (ფარნავაზიდან დანყებული სამასი არაგველით დამთავრებული), პოემის პირველ კარს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა! თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება“. ეს სიტყვები თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა ალექსანდრე ორბელიანსაც. ეს არის ის მოთხოვნა, რომელიც შემდგომ განავითარეს და ღრმა თეორიული არგუმენტებით პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანეს ქართველმა სამოციანელებმა.

საყურადღებოა: ალექსანდრე ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს თბილისის დაცვაში არაქართველების (კერძოდ, მეზობელ აზერბაიჯანელთა) მონაწილეობასაც. ალექსანდრე ორბელიანს დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები არასდროს დაუჯგუფებია მათი ეროვნული წარმოშობის მიხედვით. კარგი და ცუდი ყველგანაა, ყველა ერში. მეტიც, სარწმუნოებრივი სხვადასხვაობაც არ გამორიცხავს ხალხთა შორის მეგობრობას. კრწანისის ომში ერეკლეს ბევრი მაჰმადიანი უჭერდა მხარს (მაშინ, როდესაც ბევრი ქრისტიანი ღალატობდა). ამიტომაც ჰქონდა ერეკლეს დაღესტნიდან და ჩერქეზეთიდან ჯარით დახმარების იმედიო, — ამბობს მწერალი (სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ეს ფაქტი ისტორიულად). ალექსანდრე ორ-

ბელიანის მტკიცებით, 1795 წლის ომში აზერბაიჯანელ ხანებს (არა ყველას, ცხადია) საიდუმლო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ერეკლესთან. ერთმა დიდი თანაგრძნობა და დახმარებაც გაუწია ბრძოლაში დამარცხებულ ერეკლეს: „აზერბაიჯანის ხანი მიადგა თავის ჯარით უკან მთიდგან, განგებ საჩქაროთ წამოსულიყო: მეფეს ირაკლის ყიზილბაშის ჯარი არსად მოეწიოს, გავაფრთხილებო. ხანმა შემოხედა და ირაკლის ბაირახი იცნა, რომელმაცა მაშინვე კაცი გამოუგზავნა, ჯერ მოკითხვა შემოუთვალა, მასუკან დიდი მწუხარება იმ უბედურებისათვის და მერმეთ მოახსენა: საჩქაროთ წადით, თორემ დიდრონი ჯარები მოდისო“. აღა-მაჰმად-ხანის დაღუპვის სასიხარულო ცნობა ერეკლეს თათარმა (აზერბაიჯანელმა ბაიდრის აღმასსულთანმა) მოუტანა. ეს მე თვითონ იმ თათარმა მიაბოო, — შენიშნავს ალექსანდრე ორბელიანი და სხვა ერის შვილისაგან ასეთი საქციელით აღფრთოვანებული მწერალი იქვე დასძენს: საერთოდ „იმ დროში დიდი ერთგულნიც იყვნენ ქვეშევრდომი თათრები ირაკლისა“.

ასეთი ჯანსაღი თვალსაზრისით უდგება და წარმოაჩენს ამ საინტერესო ფაქტს ალექსანდრე ორბელიანი. და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. მსგავსი შეხედულება მწერალს სხვაგანაც თანმიმდევრულად აქვს გატარებული.

ისმის კითხვა: თუ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართლ-კახეთში ყველაფერი ასე იყო, მაშინ რამ გამოიწვია კრწანისის ველზე ერეკლეს დამარცხება? ალექსანდრე ორბელიანს ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი აქვს: დამარცხება განაპირობა შინაგამცემლობამ, ჯაშუშობა-მოლაღატეობამ. დიახ, მწერალს ღრმად სწამს, რომ მაშინ „სამი დაფარული დასი იყო წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: პირველი დასი სომხებისა, რომლებთანაც სომხების არაჩნურთს (მასუკან ორქივატერი, ეჩმიადინის პატრიარხი) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან. ამ სომხების დასმა ყოველი საქართველოს ამბავი კარგად იცოდა და სამეფოს სახლისა, რომელთაც ყველგან ჩუმი აგენტები ჰყვანდათ... მეორე დასი იყო თ. გარსევან ჭავჭავაძისა მეფის ირაკლისაგან ამალღებული ყოვლისფერთა,



რომელიცა დიდად ცდილობდა საიდუმლოთ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილიყო. და მესამე დასი იყო უკმაყოფილო დასი მეფის ირაკლისა. ისინი საქართველოში და იმერეთში დადიოდნენ და მეფეს ირაკლის უმტერებდნენ ხალხსა - ეს ქსნის ერისთვიანები“.

ალექსანდრე ორბელიანი, ცოტა არ იყოს, ბერავს ერეკლეს მოღალატე-მონინაალმდეგეთა რიცხვს და ერთობ აზვიადებს მათი მოქმედების შედეგებს. თუ არა ეს ქვებუდანები, ერეკლე არ დამარცხდებოდა, ომს უსათუოდ მოიგებდა, — გვარნმუნებს მწერალი. „მეფეს ირაკლის ვინ რას დააკლებდა, მაგრამ ღალატობას რა გაეწყობა“, — ასე გადმოგვცემს ერთ-ერთი ინფორმატორის ნაამბობს, რასაც სავსებით ეთანხმება.

ალექსანდრე ორბელიანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთ დიდ უბედურებად მიაჩნია მთელს ქვეყანაში ფართოდ ფესვგადგმული მოღალატეობა-ჯაშუშობა. „რავდენი მიწაზე მძრომი გველი დაცოცავდა მეფის ირაკლის და საქართველოს დასაგესლად, ასეთის გესლით, რომ საქართველო ველარ მორჩებოდა. არამც თუ კარზე დაცოცავდნენ, — თვით იქაც ისხდნენ, რჩევაში“. ე. ი. მოღალატენი ერეკლეს მახლობელ-მრჩეველთა ვინრო წრეშიც გაძვრნენ და სამხედრო თათბირსაც ესწრებოდნენ თურმე. მწერალი ამ ადამიანებს „გესლიან გველებს“, „გამყიდველ ისკარიოტელებს“, „იუდებს“ ეძახის. თუ ბარათაშვილი ერთ იუდაზე საუბრობს, ალექსანდრე ორბელიანი — ბევრზე: „უფალი იესო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ირაკლი საქართველოთი ბევრმა იუდებმა“. ამ „იუდათაგან“ აქტიური მოქმედებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი ბატონიშვილის პირველი ცოლის ძმა რევაზ ანდრონიკაშვილი. ადრე ის ქიზიყის მოურავი იყო, მაგრამ შემდეგ, შეატყო რა ორგულობა, ერეკლემ დასაჯა, მოურავობა ჩამოართვა. მის მაგიერ დანიშნა თავისი სიძე (ელენეს ქმარი) ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომელმაც კრწანისის ომში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა (და მისმა სახელოვანმა შვილიშვილმა გრიგოლ ორბელიანმა დამსახურებულად შეამკო პოემა „სადღეგრძელოში“).

რევაზ ანდრონიკაშვილი ალექსანდრე ორბელიანს მოქმედ პირად გამოჰყავს როგორც „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლაში“, ისე „მოგონებაში“, ორივე ნაწარმოებში რევაზ ანდრონიკაშვილი ნაჩვენებია ვითარცა ტიპური ჯაშუში, გამცემი, მეფისა და ქვეყნის მოღალატე. თურმე ნუ იტყვიot, როგორც მწერალი ერთგან („მოგონების“ სქოლიოში) შენიშნავს, „ამისთანა კაცები სულ ასე მოქმედებდნენ მთელს საქართველოში მეფის ირაკლის დასალუპათ, სომხებისაგან მოსყიდულები, რუსეთიდანამ გამოგზავნილის არაჩინურთის არღუთოვის ოქროს ფულებითა“. აი, ამ ადამიანების (უფრო სწორად, არაკაცების) ასეთი უკეთური საქციელის წყალობა იყო, რომ კრიტიკულ მომენტში, როდესაც მტერი თბილისს მოადგა, შეიქმნა მეტად მძიმე, სავალალო მდგომარეობა: „თითქმის ქ. ტფილისის მახლობლად მოვიდა ალა-მაჰმად-ხანი, ჯარი კიდევ არსად იყო მეფის ირაკლისათვის, ყოველს მხარეს აიყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში დაიხიზნენ: თავადნი თუ აზნაურნი ანუ გლეხნი სულერთიან. ამისათვის იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებო, ისე მაშინ იყო საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულსათვის იმის მტრები საქართველოს ღუპავდნენ გაუკითხავად ის უსვინდისონი, სადაც იმ დროს მთელს საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმათ დანანნალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: „ალა-მაჰმად-ხანი ორასი ათასის ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულ ერთიან წაგლეკამსო. ამისთანებს ბევრს შეშინებულს სიტყვებს ეუბნებოდნენ და ის გულწრფელი ხალხნი შიშით იყურებოდნენ და მაგარს ადგილებში შედიოდნენ: ეგებ იქ სიცოცხლე მაინც გადავარჩინოთ“.

ეს არის სურათი იმ ქვეყნისა, რომელიც ომის წინა ხანს პანიკას მოუცავს. რევაზ ანდრონიკაშვილი ურცხვად სარგებლობს გიორგი ბატონიშვილის ნდობით და მისი სახელით უბრძანებს, აფრთხილებს ხალხს გაიხიზნონ მთებსა და ტყეებში, ვინაიდან მტრის ორასათასიან არმიასთან შებრძოლებას აზრი არა აქვსო. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც „ბატონიშვილს გიორგის იმ რევაზის შემოთვლილობა ფიქრშიაც არ მოსვლია, არამც თუ ებრძანებინოს. ის სწეული კაცი იყო და ის რევაზი

მის მაგიერათ ჩუმათ საქმობდა და როგორც უნდოდა, ისეც შვრებოდა, ასე მინდობილი იყო ბატონიშვილი რევაზზედ“. ასე მზაკვრულად მოატყუა და ბრძოლიდან გამოთიშა რევაზ ანდრონიკაშვილმა მწერლის (ალექსანდრე ორბელიანის) მამა ვახტანგ ორბელიანიც, რომელიც მაშინ (ომის დაწყების წინ), თეკლა ბატონიშვილზე დანიშნული ახალგაზრდა კაცი, ყარაბუღაღში იმყოფებოდა თავის დასთან (ეკატერინესთან). ალექსანდრეს მამა და მამიდა არც დაეჭვებულან რევაზის საქციელში, ისინი „მაშინათვე აიყარნენ, მთის სიმაგრეებისაკენ წავიდნენ“. წავიდნენ, მაგრამ, როგორც მწერალი გადმოგვცემს, შემდეგ ვახტანგ ორბელიანი სინდისის ქენჯნას განიცდიდა და თავის „შეცოდებას“ ერთგვარად ინანიებდა კიდეც, ეტყოდა ხოლმე მეუღლეს (თეკლას): „მე იმის შემდეგ მოსვენებით აღარ ვარ, მე რომ ისე საჩქაროდ გავიქეც ჩემის დის ეკატერინეთი, რევაზ ანდრონიკაშვილის ერთის უბრალოს სიტყვით, დღე არ გავა, მე ეს არ მომაგონდეს“.

რაც შეეხება ბატონიშვილებს — გიორგი ერეკლეს ძეს, იულონ ერეკლეს ძეს და დავით გიორგის ძეს, ალექსანდრე ორბელიანს ისინი არ გამოჰყავს ერეკლეს მოწინააღმდეგე-მოლაღატეებად, მაგრამ მათ არც გმირთა შარავანდედით ამკობს. ამ ბატონიშვილებმა, მწერლის აზრით, თავიანთი უნიათო მოქმედებით საჭირო დახმარება ვერ გაუწიეს ერეკლესა და სამშობლოს. კახეთში 4000 მებრძოლით მყოფ გიორგის ურცხვად ატყუებდა რევაზ ანდრონიკაშვილი (ალექსანდრე ორბელიანს, ცოტა არ იყოს, მარტივად წარმოუდგენია საქმე. ნუთუ ასე გულუბრყვილოდ ენდობოდა გიორგი ბატონიშვილი თავის ცოლის ძმას?).

საინტერესოა მწერლის მიერ გამოტანილი დასკვნა: „მე გიორგის არ ვამტყუნებ, მე იმათ ვამტყუნებ, ვინც იმას ატყუებდნენ. გულწრფელი და სწეული იყო და იმის სახელით მოქმედებდნენ“.

იულონ ბატონიშვილი კი ამ დროს ქართლში იჯდა და ლოცვის მეტს არაფერს აკეთებდა. მარტო ლოცვა როდი შველის საქმეს, ბრძოლა და აქტიური მოქმედებაა საჭირო: „რატომ ათი

ათასი მეომარი თავის მამას ირაკლის არ გამოუგზავნა?.. რა უნდა ექნა, დაუჯდომელს ვერ მოშორდებოდა, ხელში ეჭირა, ილოცამდა, ეს იყო იმის ხელობა. „მხნე იყავ და განძლიერდი“. ეს კი დავინწყებული ჰქონდა“. ასეთი ჯანსაღი აზრი მწერალს სხვაგანაც გამოუთქვამს (მაგ. „დავით აღმაშენებელში“ და სხვა). სხვათა შორის, იულონის შესახებ იქვე, სქოლიოში შენიშნავს: „დიდი მშვიდობიანი, კეთილი და უზომო მლოცავი იყო... მომეტებული ესენი ქვეყანასა ძალიან ავნებს“. კიდევ უფრო მკაცრად ახასიათებს ალექსანდრე ორბელიანი დავით ბაგრატიონს: „დავითი საქმის გაუჩხრეკელი, დაუხედავი და მეტი გულადღებულცი იყო, ასე რომ, როდესაც გაჯავრდებოდა, ბრალიანსა და უბრალოს საქმესა ერთმანეთში აურევდა“. მას დავალებული ჰქონდა, დაეცვა კოჯრის (ტაბახმელის) გზა 4 000 კაცითა და 4 ზარბაზნითა, მაგრამ როდესაც ბიძამისის (რევაზ ანდრონიკაშვილის) მოლალატეობის ამბავი გაიგო, „გაანჩხლებულმა ის ოთხი ზარბაზანი ხევში გადააყრევინა, თვითონ წყნეთის გზაზედ გადაიარა, და კახეთისაკენ გასწია“. იქ კი მამამ (გიორგი ბატონიშვილმა) ასეთი საქციელის გამო საყვედური უთხრა შვილს, მაგრამ ეს საქმეს რას უშველიდა? ყიზილბაშებმა კოჯორი თავისუფლად გამოიარეს.

რამდენადაც ლმობიერად ეპყრობა ალექსანდრე ორბელიანი გიორგი ბატონიშვილს (მასზე კიდევ მეტი ძვირის თქმა შეიძლებოდა), იმდენად უფრო მკაცრია იულონ და დავით ბატონიშვილების, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მიმართ. მაგრამ საერთოდ კი (მიუხედავად ცალკეული გადაჭარბება-უზუსტობებისა) საუფლისწულოებად დაყოფილი ქართლ-კახეთის მაშინდელ მდგომარეობაზე სწორ წარმოდგენას იძლევა.

ბრძოლაში თავი ვერც იმერეთის ჯარმა ისახელა. მოლალატეები იმერეთშიც იყვნენ, ცხადია, და ნაცლად 10 000 მეომრისა (რამდენსაც მოელოდნენ), სოლომონ მეორემ მხოლოდ 3 000 კაცი ჩამოიყვანა თბილისში (ალექსანდრე ორბელიანის თქმით). ამ სამი ათასიდან ნაწილმა კრიტიკულ მომენტში მიატოვა ერეკლე და იმერეთისაკენ გასწია (აი, ეს ეპიზოდი გვიჩვენა თავისებურად აკაკი წერეთელმა პოემაში „კიკოლას ნაამბობი“).

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებაში ერთგან საუბარია ღალატის გამო ბრძოლას გამოთიშულ ქიზიყელთა 2000 მეომარზე: „თუ ის ორი ათასი ქიზიყის ჯარი, იმისთანა ხელგამოშავალი ვაჟკაცნი, აქ ჩვენთან ყოფილიყვნენ, დღეს ალა-მაჰმადხანს ბოლოს მოუღებდით“. როგორც გვაგონებს ეს სიტყვები აკაკი წერეთლის სტრიქონებს: „თუ ის ათასი სხვა იმერლებიც, წერეთლისაგან გაბრუნებული (სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის მიერ იმერეთისკენ გაბრუნებული ათასი მეომარი — ნ. ვ.) ჩვენთან ამ ომში ჩამოსულიყვნენ, ჩვენსავით მტერზე განრისხებული, — ვფიცავ გამჩენსა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა და არა თათრებს“. მოკლედ, „კრწანისის ტრაგედიის ერთი დიდი მიზეზი ქართლ-კახეთის ფეოდალური სახელმწიფოს შინაგანი დაუძღურება, მისი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იყო“. ვფიქრობთ, ალექსანდრე ორბელიანის თხზულებაში ყველაფერი ეს კარგადაა ნაჩვენები.

როგორც ვნახეთ, მწერალს სამზეოზე გამოაქვს ჩვენი წარსული ცხოვრების ლაქა და ჭუჭყი. ალექსანდრე ორბელიანი აქ არ ზოგავს საღებავეებს, რათა დახატოს წარსულის უარყოფითი მხარეები — შინაგამცემლობა, ღალატი, ჯამუშობა-დაბეზღება... ცნობილია, რომ წარსულსაც (ყველა ქვეყნის წარსულს) ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ისიც ცნობილია, რომ რომანტიკოსები ხედავდნენ მედლის მხოლოდ ერთ მხარეს — დადებითს — და იმასაც აზვიადებდნენ. ისინი ჩვეულებრივ, გვერდს უვლიდნენ მედლის მეორე მხარის ჩვენებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული რომანტიზმია. მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი აქ, ამ საქმეში საგრძნობლად განსხვავდება თანამოკალმეთაგან (სხვა ქართველი რომანტიკოსებისაგან) და გარკვეულად უახლოვდება ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ უარყოფითის ჩვენება არამცთუ სასურველი, არამედ აუცილებელიც იყო. საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც უფრონალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, თერგდალეულთა თავკაცმა კატეგორიულად დააყენა საკითხი, ხელოვნება ჩასულიყო ცხოვრების მდინარის ძირში.

ეს ამოცანა დააკისრა ილიამ ახალი თაობის ორგანოს... და ეს იქნებოდა არა ქართველის სიძულვილი, არამედ სწორედ პირიქით, მისი დიდი სიყვარული და კეთილი სურვილების გამჟღავნება: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია... ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულის გამო“. და შემდეგ: „რაც უფრო მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმზურვალე, მოუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი“.

ალექსანდრე ორბელიანს, ცხადია, უარყოფითის ასახვის ასეთი ღრმა თეორიული დასაბუთება არ მოუცია, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მწერალი მოითხოვს ისტორიული ფაქტების დაუმახინჯებელ, მართალ ჩვენებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის „შესავალი“ რომელიც ალექსანდრე ორბელიანმა 1850 წელს დაწერა და დაურთო უფრო ადრე (1844 წ.) დაწერილ თხზულებას — „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“. აქ ვკითხულობთ: „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში აღვწერე მე 1844 წელსა და შემდეგ მეფის გიორგის ძის ბატონიშვილის თეიმურაზისაგან დაწერილი ვიშოვე, „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“. ნავიკითხე და გაეკვირდი, ამისათვის, რომ მცირედი მზგავსება არა იყო-რა იმისდა ჩემსა აღწერაში“. ალექსანდრე ორბელიანი შენიშნავს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი დუმს თავისი დედის ძმის რევაზ ანდრონიკაშვილის მოღალატობა-გამცემლობის შესახებ მაგრამ წარსულის უარყოფით მოვლენებს მიჩქმალვა კი არ უნდა, არამედ „ყოველი ამ გვარი ამბები უთუოდ გულახდით სწორედ უნდა დაიწეროს და დაუფერებით“.

ეს სტრიქონები რომ შემთხვევითი არაა, ამას, გარდა „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლისა“, ადასტურებს ალექსანდრე ორბელიანის სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც წარსულის (და თანამედროვეობის) არა ერთი და ორი „ლაქაა“ ნაჩვენები. ასე რომ, მცდარია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, ალექსანდრე ორბელიანი წარსულის ხელაღებულ იდეალიზაციას ახდენს, სრულებით ვერ ხედავს რა გარდასული დღეების ბნელ მხარეებს. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ეს აზრი მკვეთრად გამოთქვა, იყო ალექსანდრე ხახანაშვილი: „ისტორიას და ისტორიულს დრამებს ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში ერთი საერთო ნაკლულოვანება აქვთ. იგი წარსულში ხედავს ქართველთა ცხოვრების ბრწყინვალე ხანას, იდეალიზაციით აშუქებს ყოველსავე, რასაც ძველი სუნი მოსდევს და ჭეშმარიტებას კი ღალატობს, როცა წარსულის ბნელსა მხარეებს ყურადღებას არ აქცევს ან ხელს აფარებს“. ამ მცდარ მოსაზრებას უკრიტიკოდ იზიარებდნენ სხვა მკვლევარებიც. ეს კი შედეგია იმისა, რომ ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ იყო სათანადო სიღრმითა და სისრულით შესწავლილი.

ალექსანდრე ორბელიანის „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა“ მას ნამძღვარებული შესავლითურთ 1895 წელს ცალკე წიგნაკად გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა (გამოცემა განხორციელდა კრწანისის ომის ასი წლისთავთან დაკავშირებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მაშინდელი ქართველი საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სათანადოდ აფასებდა ალექსანდრე ორბელიანის თხზულებას). თავის მხრივ გამომცემელმა თხზულებას დაურთო (სქოლიოში) წინასიტყვაობა, რომელიც ამჟამად ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი თითქმის მთლიანად იზიარებს ალექსანდრე ორბელიანის დებულება-მოსაზრებებს.

აი რამდენიმე ამონაწერი ამ წინასიტყვაობიდან: „შინაურ მტრებს ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლაში და მის გამარჯვებაში დიდი ადგილი ეჭირა“, ათ სექტემბერს ქართველებმა „სრულებით დაამარცხეს მოწინავე ჯარი სპარსელებისა და ალა-მაჰ-

მად-ხანმა გადასწყვიტა უკუქცევა", მაგრამ მოლაღატემ დაარწმუნა, ერეკლეს „ერთი მუჭა ჯარი ჰყავსო“ და მტერიც თბილისისკენ შემობრუნდა (ეს ცნობა, როგორც ნათქვამი გვაქვს, არცერთ ისტორიულ წყაროში, გარდა ალექსანდრე ორბელიანის თხზულებისა, არ გვხვდება), გასაჭირის ჟამს იოანე ბატონიშვილი „სამასი კაცით მიიჭრა მეფე ირაკლისთან, თავგანწირვით მოუგერა მტრები და ძალის-ძალად გამოიყვანა ის ბრძოლის ველიდგან“ და ა. შ.

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი ღირებულება. „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა“ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ უმართებულოდ მივიწყებული ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია.

### საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან

ლევან (ლეონ) იყო ერეკლე მეფისა და დარეჯან დადიანის (ერეკლეს მესამე მეუღლე) პირმშო (დაიბადა 1756 წლის 1 თებერვალს). ერეკლეს 16 შვილიდან ლევანი თავიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და მაღალი გონებით. მისი პირველი მასწავლებელი იყო ანტონ კათალიკოსი, გამოჩენილი ქართველი საეკლესიო სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც რუსეთიდან დაბრუნებისა და კვლავ კათალიკოს-პატრიარქად კურთხევის შემდეგ, ე.ი. 1763 წლიდან, ერეკლეს შვილებს ასწავლიდა თბილისის სემინარიის (არსებობდა 1755-1795 წლებში) საპროგრამო-სავალდებულო საგნებს. სამხედრო-ფიზიკურ წრთობას კი ლევანი გადიოდა მამის, გამოცდილი სარდლისა და მეომრის, უშუალო ხელმძღვანელობით. უკვე 1770 წელს, მაშინ სრულიად ახალგაზრდა (14 წლის) ლევანს ერეკლემ მონაწილეობა მიაღებინა ასპინძის ომში (ლევანმა თავი გამოიჩინა აწყურის ციხის იერიშში და თვით ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში). ეს იყო ლეონ ბატონიშვილის პირველი საბრძოლო ნათლობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია ახალგაზრდა ლევანის მოღვაწეობა (პრაქტიკული საქმიანობა) პოლიტიკურ სარბი-



ელზე. 1771 წლის დეკემბერში ერეკლემ მიიღო გადაწყვეტილება, პროტექტორატის სათხოვნელად რუსეთში გაეგზავნა საგანგებო ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის მეთაურობით. ელჩები თბილისიდან გავიდნენ 1772 წლის იანვრის დასაწყისში და ხანგრძლივი, მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ ეკატერინეს ნარუდგენ 1773 წლის 27 აპრილს. ეკატერინემ მაშინ გადაჭრილი პასუხისაგან თავი შეიკავა, ვინაიდან რუსეთ-ოსმალეთის ომი (1768-1774) დასასრულს უახლოვდებოდა (მომდევნო, 1774 წლის 10 ივლისს მეომარ მხარეთა შორის დაიდო კიდევ ქუჩუკ-კაინარჯის ზავი) და მოერიდა ირანსა და ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას. მფარველობის ოფიციალურად გაფორმება მომავლისათვის გადაიდო. ასე რომ, ზემონახსენებმა ელჩობამ (მიუხედავად იმისა, რომ რეალური შედეგი არ მოპყოლია) ნიადაგი შეუმზადა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

რუსეთიდან ელჩები დაბრუნდნენ 1774 წლის აგვისტოში. მალე ამის შემდეგ (იმავე წლის შემოდგომიდან) ლევანი დაინიშნა ახალშემოდებული „რეგულის“ (რეგულარული სამხედრო ძალის) — მორიგე ჯარის ხელმძღვანელად („მორიგე ჯარის განჩინება“ სამეფო დარბაზმა დაამტკიცა 1773 წლის 4 იანვარს. პირველ ხანებში მორიგე ჯარს უშუალოდ ერეკლე სარდლობდა). ეს იყო მეტად საპატიო მისია, რასაც ახალგაზრდა კაცმა წარმატებით გაართვა თავი. იმავე 1774 წლის ნოემბერში 18 წლის ლევანი დაქორწინდა ნინო ქაიხოსროს ასულ ანდრონიკაშვილზე, რამაც ბატონიშვილის მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა (სიმამრი, ქაიხოსრო, იყო მდივანბეგი და საგარეო საქმეთა ფაქტობრივი გამგებელი. სხვათა შორის, ქაიხოსრო ეკატერინე II-სთან გაგზავნილი დელეგაციის წევრი გახლდათ).

1774-1781 წლები ლეონ ბატონიშვილის სამხედრო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის საუკეთესო ხანაა. 1775 წ. ლევანი უფროს ძმა გიორგისთან ერთად მიდის მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ქსნის ერისთავთა დასამორჩილებლად (ამას მოჰყვა ქსნის საერისთავოს გაუქმება). ლევანი ცალკე კორპუსს სარდლობს (1778 წ.) და ერევანზე (1779-1780 წწ.) გალაშქრების დროს.

ახალგაზრდა ლევანმა განსაკუთრებით ისახელა თავი, როგორც მორიგე ჯარის მეთაურმა.

გასაგებია, რომ ქართლ-კახეთის რეაქციონერი თავადები საბოტაჟს უწყობდნენ ლევან ბატონიშვილს და მისი ხელმძღვანელობით მოქმედ მორიგე ჯარს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე სავსებით გასაგებია, რომ ახალგაზრდა ბატონიშვილი უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა ფართო მასებში, მშრომელთა დაბალ ფენებში. „ლეკიანობა“ შეწყდა (ან თითქმის შეწყდა), ხალხმა შვებით ამოისუნთქა და ყანა-ბალებში, ტყე-მინდვრებში უიარალოდ დაიწყო სიარული. „ესრეთ იქმნენ შიშვნეულ ლეკნი, რომელ ღართისკარსა შინა დიაცნი თვინიერ მამაკაცისა ვიდოდნენ“. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს — ყველას ლევანის სახელი ეკერა პირზე. ლევან ბატონიშვილი ერთბაშად ფოლკლორის გმირად იქცა. მასზე იქმნებოდა ლექსები და სიმღერები, ლეგენდები და თქმულებები... ჩავიხედოთ „ქართული ხალხური პოეზიის“ XI ტომში, რომელშიც შეტანილია ჩვენს სახელოვან წინაპრებზე, ცნობილ ისტორიულ პირებზე შეთხზული ხალხური ლექსები. ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შალვა და ივანე ახალციხელების, ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სხვათა გვერდით გვხვდება ლეონ ბატონიშვილის სახელი.

**ხმალი სჭრის ბაგრატივნისა, ნეფისა ერეკლისაო,  
ნეტავი გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო.  
სალეკო შამაამტვრია, ზვავმა რო წვერი ტყისაო;  
წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ხკვირსაო;  
ხელმწიფის კარზე მივიდა, ეტლი თან მიხყვა ღვთისაო.  
გამაყოლა ჯარები, ხერხები ათას ფრისაო.  
ლევან ქალაქში შამახდა, ჭეხა მაილა ცისაო.  
ლექთუფროსები შაშინდა: ჩვენკე საით იქს პირსაო.  
მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღესტნისაო.**

გასაჭირში ჩავარდნილი, შორეულ არზრუმში მოხვედრილი ქართველი ქალი ლევანს მოუხმობს მხსნელად.

**ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო,  
შეგროვდით, ერთად წამოდით, დამიხსენთ,  
თქვენი ტყვე ვარო.**

(სხვა ვარიანტით ამას ამბობს ლეკების მიერ დაღესტნისაკენ გატაცებული ქალი: „...დაღისტანს ლეკებს მივჰყევარ, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო“).

ლევან ბატონიშვილი ერთადერთია ერეკლე მეფის მემკვიდრეთაგან, რომელიც ხალხმა ასე გულწრფელად შეიყვარა და შეაქო (ხალხი კი არასოდეს არ ცდება, დაუმსახურებლად არც შეაქებს, არც გააკიცხავს ვინმეს). აქ ზედმეტი არ იქნება, გავიხსენოთ, რომ გრიგოლ ორბელიანმა პოემაში „სადღეგრძელო“ ერეკლეს მემკვიდრეთაგან ერთადერთი ლევანი ჩათვალა მოხსენიებისა და სხვა ისტორიულ გმირთა გვერდით დაყენების ღირსად.

ლევან ბატონიშვილი 25 წლისა, 1781 წლის 12 დეკემბერს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა სოფ. ვეჯინში თავად ივანე აბაშიძის (ერეკლე მეფის მეორე ცოლის, ანას, ძმის) ოჯახში სტუმრად ყოფნისას. რამდენადაც ეს ამბავი გარეშე და შინაური მტრებისათვის სასიხარულო გახდა, იმდენად თავზარდამცემი იყო ქვეყნისა და ხალხის გულშემატკივართათვის. უდროოდ დაღუპული მამულიშვილი გულმდულარედ დაიტირა მთელმა საქართველომ. სამგლოვიარო-ელეგიური ნაწარმოებები შექმნეს ლეონის ახლო მეგობრებმა და თანამოაზრეებმა — ბესარიონ გაბაშვილმა და დავით რექტორმა. ამ უკანასკნელის იამბიკოში („მისის სიმალლის სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათვის თქმულნი ათნი სიტყვანი იამბიკოდ“) კარგადაა ნაჩვენები „ძე მამისებრის“ (ე. ი. ერეკლეს მსგავსი შვილის) დაუვინყარი სახე. რაც შეეხება ბესიკის „სამძიმარს“, სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ეს არის შესანიშნავი სამგლოვიარო ოდა (ე.წ. „გოდების ჟანრის“ იშვიათი ნიმუში), დაწერილი ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ყველაზე გავრცელებული საზომით — იამბიკოთი. საყურადღებოა, რომ ლეონის სიკვდილს ასეთი-

ვე განცდით გამოეხმაურნენ იმდროინდელი აზერბაიჯანელი პოეტები ვაგიფი და ვიდადი. ლეონ ბატონიშვილის პიროვნებისა და საქმიანობისადმი ინტერესი არც მომდევნო, მე-19 საუკუნეში შენელებულა. ამის დასტურია თუნდაც ალექსანდრე ორბელიანის „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, რომელიც როსტომ ჩხეიძის განსაზღვრებით, ლიტერატურული დეტექტივის კლასიკური ნიმუშია. ნაწარმოების დასაწყისიდანვე ვეცნობით ლევან ბატონიშვილს, ერეკლესა და დარეჯან დადიანის უფროს შვილს, როგორც ყოველმხრივ და ყველაფრით არაჩვეულებრივად გამორჩეულ ადამიანს: „ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ მისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართველო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინის ქვეშა!“ ამ ერთი წინადადებით, ვფიქრობთ, ბევრი რამაა ნათქვამი. ლევანს რომ დიდხანს ეცოცხლა, საქართველოს არ დაეკარგებოდა ბაგრატიონთა გვირგვინი, მეტიც, ქვეყანა დღეს უფრო ამაღლებული იქნებოდაო, — გვეუბნება მწერალი.

შემთხვევით არ ყოფილა, რომ რუსეთში გასაგზავნ ელჩობას ერეკლემ სათავეში ჩაუყენა ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი. ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ამ ელჩობამ ის ნაყოფი დაგვიტოვა, რომ საქართველო წელში გაიმართა, მოლონიერდა: „მეფე ირაკლიმ დიდი ანტონ კათალიკოზი და ეს თავისი შვილი ლევან, ორნი გონიერები რუსეთში გააგზავნა, ეკატერინა ხელმწიფის კარზედ, შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილობა, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი, რომ იქაურს კუალობაზე საქართველოშიაც ისე დააწყონ. მართლაც ასეც იყო. როდესაც რომ საქართველოში მოვიდნენ, მაშინვე სამი ესე სახელოვანი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ კათალიკოზი და ბატონიშვილი მალევე შეუდგნენ საქართველოს დაწყობილობასა წესივრად. მოიგონეს მორიგე წესიერი ჯარი და გაამაგრეს საქართველოს საზღვრები ამით, რომლისგანაც საქართველომ ხელმეორედ შენობა დაიწყო. მოიგონეს ჩამოსასხმელი ზარბაზნებისა და სადაც კი წაილებდნენ ხოლმე, უეჭველად კიდევ იმარჯვებდნენ, რომლებიცა ამის

შემდგომ მეფე ირაკლი ქვეყნის გამართუას მოჰყუა, ანტონ კათალიკოზი ეკლესიების გამშუენერებასა და ლევან ბატონიშვილმა მტერს დაუნყო დევნა, რომელიცა ყოველს ადგილს სწყლავდა და მარადის იმარჯვებდა იმათზედ. ეს სამი საკვირველი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ კათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან სამნი ხშირად იყვნენ ერთად და საქართველოს საქმეს აწყობდნენ”.

სწორად ასე იყო. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ქართლ-კახეთის გამოჩენილ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ერეკლე მეფე, ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი, რომელთა შორის მოვალეობა-ფუნქციები ისე იყო განაწილებული, როგორც ეს ზემომოტანილ ამონაწერშია წარმოდგენილი. ალექსანდრე ორბელიანი პირველია, რომელიც ამას ასე ხაზგასმით აღნიშნავს, შემდგომმა კვლევა-ძიებამაც სავსებით დაადასტურა, რომ ლევან ბატონიშვილი მართლაც დიდ როლს თამაშობდა ერეკლე მეორის ხანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აპოლონ როგავა თავის საყურადღებო ნაშრომში — „ლევან ერეკლეს ძე ბაგრატიონი“, წერს: „ლევან ბატონიშვილი ერეკლესეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური გამტარებელია ქართლ-კახეთის ცხოვრებაში. ეს იყო უახლოესი თანაგამზრახი ერეკლესი, 1772-74 წლებში ანტონ პირველთან ერთად ელჩი რუსეთში, 1774-81 წლებში მორიგე ჯარის ორგანიზაციასა და მეთაურობაში ერეკლეს მარჯვენა ხელი“.

სამი რჩეული მამულიშვილის ასეთი ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედება, ბუნებრივია, სასურველ შედეგს იძლეოდა და სასიხარულო იყო ჯანსაღად მოაზროვნე ყველა ქართველისათვის, მაგრამ „ეს მეფის ირაკლის საიდუმლოს მტრებს არ ეამებოდათ. რა ქნან, როგორ ქნან, რომ მოიშალონ იმათი თათბირობა? აი მოიგონეს: ლევან ბატონიშვილი მონამლეს, სანამლავით საიდუმლოდ მოკლეს და ამის შემდგომ ანტონ კათალიკოზიც სამი თუ ოთხი წლისა შემდგომ აღარ იყო. მგონია, ისიც, სანამლავით გაათავეს“ (ალექსანდრე ორბელიანი). ე. ი. მტრებმა ერეკლე მეფეს საიმედო, დასაყრდენი ძალები გამოაცალეს

— ჯერ შვილი მოუნამლეს, ხოლო შემდგომ ასეთივე გზით (ასე ვარაუდობს მწერალი) სულიერი ძმა ჩამოაშორეს (ანტონ კათალიკოსის მონამვლის ვერსია მეცნიერულად არაა დადასტურებული, მაგრამ რამდენადაც ალექსანდრე ორბელიანი მას ლევან ბატონიშვილის ტრაგიკულად დაღუპვას უკავშირებს და ამ ორ ფაქტს ერთ ასპექტში განიხილავს, თავისთავად ძალიან საინტერესოა).

კერძოდ, ლევან ბატონიშვილის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი უშუალოდ მიუთითებს, თუ სად და რა პირობებში დაიღუპა ეს სახელოვანი ვაჟკაცი: „ბატონიშვილმა ლევანმა ალაზნის პირზედ ლეკის ჯარი დაამარცხა, იქიდგან გამობრუნებული მოვიდა და სოფელს ველისციხეში გადახდა, იქ კიდევ ლეკის ჯარსა მოელოდა, ალაზანში უნდა გამოსულიყვნენ და ქართველის სოფლებისათვის უნდა დაეკრათ. ამ დროს სადილობედ ლევან ბატონიშვილი ავით გახდა და სალამოს ჟამს კი გარდაიცვალა. ყველას გაუკვირდათ მისი ასე უეცრად სიკვდილი“. ე.ი. ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობით, ლევან ბატონიშვილი დაიღუპა არა ნადიმზე, არამედ თავისი საბრძოლო მოვალეობის აღსრულების დროს, ლეკებთან ერთი შეტაკების შემდეგ მორიგი ბრძოლის მოლოდინში (შუალედში) მცირე შესვენების ჟამს სადილობაზე (ეს კი ბრძოლის ველზე გამირის სიკვდილით დაცემას უდრის თითქმის).

მტრებმა (მკვლევებმა) დანაშაულის კვალის დასაფარად ხმა გაავრცელეს, ლევანი ავხორცობას ემსხვერპლა, ქმარმა შეუსწრო ცოლთან და ხანჯლით განგმირაო. ამ ხმამ, რომელიც ლევანის მეორე სიკვდილს ეტოლებოდა, მაშინვე ერეკლემდეც მიაღწია, ცხადია. თავზარდაცემულმა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა მამამ, ზნეობრივად უმნიკვლო ადამიანმა, საგანგებოდ გამოაკვლევინა საქმის ვითარება, ხოლო მანამდე არც თვითონ იგლოვა შვილი, არც სხვებს მისცა დატირების უფლება...

მაგრამ აქ უმჯობესი იქნება მოვეუსმინოთ ალექსანდრე ორბელიანს: „ირაკლის ოჯახობის მტრებმა... ხმები დაყარეს: ლევან ბატონიშვილზედ მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირამსო ლევან. ეს ამბავი მაშინვე მე-

ფეს ირაკლის მოხსენდა, რომელმაცა აღარც თვითონ და აღარც სხვები აგლოვა, უბრძანა: აქ, ტფილისში ჩამოიტანეთ იმის გვამიო, რომელთაცა მოასვენეს და დარიის (დარეჯან დედოფლის-ნ.ვ.) ეკლესიაში დაასვენეს ავლაბარს. ამის მეორე დილაზედ სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თვით მეფე ირაკლი ავლაბარში წასასვლელად ემზადებოდნენ, იმათში ბრძანა მრისხანებით მეფემ: — თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით გაგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებას ვფიცავარ, სახალხოთ ვათრევინებ.

ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაეშურნენ ავლაბრი-საკენ, მაგრამ დიდათ დაღონებულები. იმ ლევანის სიკვდილს ხომ აღარ სწუხდნენ, უთუოდ ათრევინებს და საგანგაშო შეიქმნება ყოველს ქვეყანაშიო. როდესაც მივიდნენ და ეკლესიაში შევიდნენ, უბრძანა: ეგ ცხედარი კარზედ გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად გატიტვლება უბრძანა. როდისაც რომ გაატიტვლეს, კიდევ უბრძანა: კარგად გაჩხრიკეთ, რომელს ადგილს არის გაგმირულიო და თვითონ თავზედ დაადგა. კარგა ხანი ჩხრიკეს, მაგრამ არსად არ იყო რა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან გალურჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემოდა. მაშინ მეფე ირაკლიმ დაუწოქა და როგორც რიგია მოთქმით ტირილს მოჰყვა. ეს ამბავი მაშინვე დედოფალს აცნობეს, სადაც მთელს სასახლეში და ქალაქში შეიქმნა გლოვა“.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ერეკლეს სიყვარული და პატივისცემა ერთიორად გვემატება. როგორც ცნობილია, „ერეკლე მკაცრი ზნეობის ადამიანი იყო და სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე, ოჯახთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეობაც, რის შესახებაც არა ერთი ფაქტია ცნობილი“ (გიორგი ლეონიძე).

ჩვენს წინაშე დგას ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი ადამიანი, მორალურ-ზნეობრივად სპეტაკი, ყოველმხრივ და ყველაფრით უზადო პიროვნება. ასე კარგად გვიჩვენა ალექსანდრე ორბელიანმა თავისი სახელოვანი პაპის კიდევ ერთი ნიშან-თვისება. როდესაც მტრები ამით ვერაფერს გახდნენ, „ახლა ეს ხმები დაყარეს: მითამ ლევან ბატონიშვილს ბევრი ორაგული ეჭამოს და

უეცრათ ჯდომით მომკვდარიყოს", ე.ი. თითქოს თევზით მონამლულიყოს. და კიდევ ერთი ყალბი ვერსია, შეთხზული თავად ასათ ვაჩნაძის მიერ: ლევან ბატონიშვილი მონამლა შერმაზან აფხაზმაო. ერეკლემ შერმაზანს ჯერ ყმა და მამული ჩამოართვა, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასჯაც დაუპირა, მაგრამ მალე საგანგებო ძიებამ დაადგინა, რომ „ის დაბეზღება სულ სიცრუე იყო“. მეფემ უდანაშაულო თავადს ყმა და მამული დაუბრუნა, ბოდიში მოუხადა და დიდი პატივიც მიაგო.

მოკლედ, ლევანის დალუპვის ყველა სხვა ვარიანტი (ვერსია) მოხსნილია, ყალბია. რჩება ერთადერთი — ახალგაზრდა, ნიჭიერი ბატონიშვილი შეინირეს ერეკლესა და საქართველოს მტრებმა. პრაქტიკულად კი ეს „პოლიტიკური მკვლელობა“, მწერლის მტკიცებით, განახორციელა ლევანის მეუღლემ ნინო (ალექსანდრე ორბელიანით — ელენე) ანდრონიკაშვილმა. ეს ქალი ნათესავი იყო გიორგი ბატონიშვილის პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილისა და მაზლსაც მანვე გაურიგა. ქეთევანის „სიტყუა მეფის ირაკლის სახლისათვის ბეჭედი იყო და კიდევ მოახდინა“ ეს ქორწინება, მაგრამ „შესცდა იმისთანა გონიერი დედაკაცი. თავისთანა გონიერი დედაკაცი ის არ გამოდგა, მეფის ირაკლის სახლის საკადრისი რძალი... ქარიანი ქალი ყოფილა და სუბუქი ჭკვისა“ (შესახედავად კი „მშვენიერი თვალტანადი“ იყო და ლევანს ძლიერ უყვარდაო). ელენე-ნინოს ჭკუაარეულობის გამო სასახლეში ყველა შეწუხებული გახლდათ, მაგრამ სხვებზე მეტად, ბუნებრივია, გიორგის მეუღლე ქეთევანი იტანჯებოდა (სინდისი აწუხებდა). ზოგჯერ ცოლქმარს შორის ასეთი საუბარი გაიმართებოდა თურმე:

„გამიგონე, რა გითხრა, შენ ასეთი საქმე უყავ ჩემს ძმას ლევანს, რომ საუკუნოთ გააუბედურე იმ შენი ნათესავის შერთვით.

— მართალს ბრძანებ, მაგისთვისა ჯოჯოხეთიც ცოტა არის ჩემთვის, — ცრემლით მიუგებდა ისიც“.

ლევანის დალუპვის შემდეგ ელენე (ნინო) „ზრდილობიანის მოქცევით სასახლედგან გაიყუანეს“ და ცალკე მისცეს სადგომი ავლაბარში, სადაც, ყველასაგან მოძულებული და ზურგშექცეული, განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა. გარდაიცვალა,



ჩანს, საკმაოდ ხანდაზმული და დაუკრძალავთ თბილისის მთავარანგელოზის ეკლესიაში. ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ელენეს გასვენებას დასწრებია, იმდენად საინტერესოდ და დამაჯერებლად გვიყვება თავის ბიძა-ბიცოლას შესახებ, რომ თანამედროვენი ანგარიშს უწევდნენ მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ჩვენ გვგონია, რომ ლევანისადმი მიძღვნილი პოეტური სტრიქონები გრიგოლ ორბელიანისა ერთგვარად ალექსანდრე ორბელიანის ნაამბობითაა შთაგონებული. გავიხსენოთ ადგილი პოემისა:

**მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე, ლევან, სულით ნათელო?  
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო!  
მსხვერპლო ბნელისა მტრობის, შეუბრალებით შეჭმულო!..  
შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო.**

პოეტი ლევანის შესახებ იქვე, სქოლიოში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „მეფე ირაკლის შვილი, მაღალგონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა ამას დიდ ვაჟკაცობისათვის თავის ბაიარალი და ორი ათასი გამოჩენილი ვაჟკაცობითა მხედარნი. მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგის ჯარი (იხ. ბუტკოვის ზაპისკა). ამბობენ ვითომ ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ (ნათქვამია ალ. ვ-ძის ორბელიანისაგან)“.

ალექსანდრე ორბელიანს კონკრეტულად არა აქვს მითითებული, თუ სახელდობრ ვინ იყვნენ ერეკლესა და საქართველოს ის მტრები, რომლებმაც ლევანი დალუპეს. გრიგოლ ორბელიანიც ასევე ზოგადად საუბრობს ამ „ბნელი მტერობის“ შესახებ. მხოლოდ ჩვენს დროში სპეციალურმა კვლევამ დაადგინა, რომ ჩადენილი მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გიორგი ბატონიშვილის ცოლის ძმა რევაზ ანდრონიკაშვილი. საქმე ისაა: „აღმოჩნდა, რომ არა უფროსი ძმა გიორგი ბატონიშვილი არამედ ლევან ბატონიშვილი სურდა ერეკლეს ტახტის მემკვირედ მოწინავე საზოგადოებრივ წრეს (ანტონ პირველი, დ. ალექსიშვილი და სხვ.) და ამ თვალსაზრისს, წყაროებიდან ჩანს, თვით ერეკლეც იზიარებდა“.

ეს აზრი, ჩვენი ღრმა რწმენით, პირველად ანტონ კათალიკოსს გაუჩნდა (ანტონი ხომ ორივე ბატონიშვილს ასწავლიდა და, გასაგებია, გონიერმა მოძღვარმა თავიდანვე სწორი დასკვნები გააკეთა, თუ მოწაფეთაგან რომელი რისი გამკეთებელი და შემძლებელი იყო). ასევე, უნდა ვიფიქროთ ანტონის რეკომენდაციით ჩართო ერეკლემ პეტერბურგში გასაგზავნად ელჩობაში ლევანი. რუსეთში საერთო საქმეზე ერთად ყოფნის დროს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს მოწაფე და მასწავლებელი, კიდევ უფრო დარწმუნდა ანტონი თავისი მოსაზრებაშეხედულების სისწორეში. ამის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ლევანის დანიშვნა მორიგე ჯარის ხელმძღვანელად (თუმცა პეტერბურგში მივლინებაც და მორიგე ჯარის უფროსობაც გიორგის ეკუთვნოდა, როგორც მეფის უფროს ძესა და ტახტის მემკვიდრეს). ბუნებრივია, ყოველივე ამან ნახევარძმებს (გიორგისა და ლევანს) შორის შექმნა ფსიქოლოგიური დაძაბულობა. საერთოდ, ორივე ძმას ჰყავდა თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ზემონახსენები რევაზ ანდრონიკაშვილი, გასაგებია, სიძის ბანაკში იყო და შეგნებულად უპირისპირდებოდა ლეონ ბატონიშვილს, რომლის გამეფებაც დიახაც არ აძლევდა ხელს შემდგომი განდიდებისაკენ მიმსწრაფ ქვებუდან თავადს (ამ რევაზ ანდრონიკაშვილმა გადაიბირა, როგორც ჩანს, თავისი ნათესავი ქალი, — თავქარა ელენე ანდრონიკაშვილი და მოანამვლინა ქმარი. თუმცა ამის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი არ არსებობს). რევაზ ანდრონიკაშვილს გვერდით ამოუდგნენ, ცხადია, მორიგე ჯარით უკმაყოფილო სხვა ადამიანებიც (ამ უკანასკნელთა გასახარად ლევანის სიკვდილის შემდეგ ეს ჯარი მალე დაიშალა. „მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი“).

ასე წარმოგვიდგება ჩვენ 1881 წელს განხორციელებული „პოლიტიკური მკვლევლობის“ სურათი. მაგრამ როგორაა ეს ყველაფერი ნაჩვენები ალექსანდრე ორბელიანის მიერ? როგორც ნათქვამი გვაქვს, მწერალი უშუალოდ არ ასახელებს მტრებს. რევაზ ანდრონიკაშვილს, რომელსაც სხვაგან (მაგ.

„ალა-მამად-ხანის შემოსვლაში“) სასტიკად ჰკიცხავს, როგორც კრწანისის ომში ერეკლეს მოღალატეს, აქ, ლევანის დაღუპვასთან დაკავშირებით, გაკვრითაც არ ახსენებს. რაც შეეხება ერეკლეს ოჯახის წევრთა (გიორგისა და ლევანის, დარეჯანისა და გიორგის) ურთიერთობას, ამას პირდაპირ იდეალურ ფერებში გვიხატავს. მეფის მემკვიდრეთა შორის რაიმე უთანხმოება-უნდობლობას ადგილი არ აქვს, სწორედ პირიქით, ისინი ერთმანეთის მიმართ განუზომლად დიდი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით არიან გამსჭვალულნი. სანამ ამ ფაქტს კომენტარს დავურთავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, დავიმოწმოთ სათანადო ადგილი თხზულებიდან. ლეკ-ოსმალებთან ერთ-ერთი დიდი შეტაკების შემდეგ გამარჯვებით მობრუნებულ მებრძოლებს („მორიგე ჯარის“ წევრებს) თბილისში საზეიმო შეხვედრას უწყობენ. „მთელი ქალაქი გაეგება ლევანს და დიდის დღესასწაულით შემოიყვანეს.“ აქ არიან ერეკლე და დარეჯან დედოფალი, გიორგი ბატონიშვილი და მისი მეუღლე ქეთევან ანდრონიკაშვილი და სხვები. როგორც კი ლევანი მიუახლოვდა შეკრებილთ, „ბატონიშვილს გიორგის გულმა ვერ გაუძლო, მაშინათვე ქვემოთ კიბეზე ჩამოვიდა და იქვე კარებიდგან ორივ ხელები განუპყრო ლევანს და მალაღის ხმით დაუძახა:

— ძმაო ლევან, ძმაო ლევან! მომილოცავს გამარჯვება იმ ჩვენს უსვინდისოს მტრებზედ. შენმა გაზრდამ ჩემო სიცოცხლეო, ლევან, ადრეეც ხომ ბევრჯერ მომილოცავს გამარჯვება და ეხლა უფრო გულმხურვალედ გილოცავ გამარჯვებას, ამიტომ რომ ეს ყველაზე დიდი მტერი იყო, — და თვალებიდან ცრემლები გადმოყარა.

იქიდან ლევან ცხენიდან გადმოიქრა, გამოექანა და ეს საყუარელი ძმები სიყუარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ. იქიდან ხელი დაუჭირა თავის ძმას ლევანს გიორგიმ, ზევით მალლა მოაჯირზედ ამოიყუანა და სიხარულის ხმითა დაიძახა:

— ჩემო ხელმწიფენო, მეფე-დედოფალო! აი ჩვენი ოჯახის ბედნიერება ეს არის, ჩვენი შეურყეველი მკვიდრი საფუძველი ჩვენი სახლეულობისა. ყველამ ერთიან ამის დღეგრძელობისათვის ვილოცოთ ღვთისადმი...

მასუკან მეფე ირაკლიმ: — შენმა გაზრდამ, ჩემო გიორგი, შენის გვირგვინისათვის თავს დასდებს ლევან.

მერე დედოფალმა დარეჯანმა:

— არამც თუ მაგის გვირგვინისათვის მხოლოდ თავი უნდა დადოს, ლუკმა ლუკმათ უნდა დაიკუნოს. რაც მე ბატონიშვილ გიორგიზედ ჭირნახული მაქვს, ის იმთენი დიდი ჭირნახული, არცერთს ჩემს შვილებზედ არა მაქუს. ის ჩემი ჭირნახული სიყვარული უნდა ლევანს ჰქონდეს ყოველთვის თვალწინ და ისეთიც ერთგული იყოს ამ ჩემის სიცოცხლის გიორგისა.

ამასთან დედოფალი და ბატონიშვილი გიორგი გულმობიელად ცრემლით ერთმანეთს გადაეხვივნენ... ამ ამბავსა ქეთევან ბატონისრძალი, ბატონიშვილის გიორგის მეუღლე, შორიდგან უყურებდა და მეტის სიხარულით ტიროდა ამისთანა სიყუარულისათვის მეფის სახლეულობისა მიერ”.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ამ ვრცელ ამონაწერში ერეკლე მეფის სახლეულობა, ცოტა არ იყოს, იდეალიზებულიადაა ნაჩვენები. ისე როგორც მოთხრობაში „ჩვენი ძველი სახლეულობანი“, აქაც მწერალი ძველი ქართულ სანიმუშო (იდეალურ) ოჯახს გვიხატავს. ოჯახის ღირსების ერთ-ერთ საზომად ყოველთვის იყო მიჩნეული დედ-მამის შვილთა დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. როდესაც გიორგი და ლევან ბატონიშვილების ურთიერთობის ალექსანდრე ორბელიანისეულ სურათს ვუყურებთ, არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ცნობილი ხალხური ლექსი: „ძმასაც ისეთი ძმა უნდა, უსუბს რომ ბადრი ჰყოლია, უსუბ კლდეს გადავარდნილა, ბადრიც თან გადაჰყოლია. ნეტავი იმათ დედასა, რა კარგი ძმობა ჰქონია“. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მოთხრობის იმ ნაწილს, რომელიც ზევით დავიმონმეთ, პოლემიკური ელფერი გადაჰკრავს, გიორგი და ლევან ბატონიშვილების ურთიერთ-სიყვარული ისე ხაზგასმულად, ისე აქცენტირებულადაა წარმოდგენილი, რომ საეჭვო არაა, ალექსანდრე ორბელიანი ეკამათება მავანს და მავანს, სურს, გაფანტოს საწინააღმდეგო აზრი მეფის სახლეულობაზე. ერეკლეს ოჯახის წევრთა შორის ასეთი იდეალური ურთიერთობა შემდეგ (მოგვიანებით) დაირ-

ღვაო, და მწერალი თავს ვერ იკავებს, არ თქვას: „ვინ და რომელმაც იმათ ამისთანა საყუარლი დაურღვია ყოვლის ეშმაკურის ცფიერობით, ღმერთმა იმისთანა სამართალი მისცეს იმის სახლსა“ (თუ ვინ დაურღვია და რატომ, ამის შესახებ ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი).

ალექსანდრე ორბელიანმა მოთხრობაში „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“ გვიჩვენა მე-18 საუკუნის 70-იანი წლების სამი დიდი სახელმწიფო მოღვაწის — ერეკლე მეფის, ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ერთობლივი, შეთანხმებული საქმიანობა ქვეყნის ასალორძინებლად, გვიჩვენა ერეკლეს სახლეულობა (მეფის ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება) და, რაც მთავარია, მოხსნა, უკუაგდო ლევანის ტრაგიკულად დაღუპვის ყველა სხვა ვერსია (სატრფიალო-რომანულ შემთხვევასთან დაკავშირებული) და ყველაფერი დააბრალა მეფისა და ქვეყნის შენიღბულ მტრებს, ე.ი. მომხდარი აქტი პოლიტიკურ მკვლელობად წარმოგვიდგინა. თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში სწორედ ეს თვალსაზრისია მიღებული და გაზიარებული.

## დრამატურგია

**დავით აღმაშენებელი ანუ**

**უკანასკნელი ჟამი საქართველოსი**

ეს ოთხმოქმედებიანი დრამა დაწერილია 1846 წელს. მასში ნაჩვენებია მე-12 საუკუნის 20-იანი წლების ისტორიული ამბები, კერძოდ, მეფე დავით IV (აღმაშენებლის) ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. უფრო კონკრეტულად, აქ ნაჩვენებია დავითის მიერ თბილისის გათავისუფლება სელჯუკ-მაჰმადიანთა ბატონობისაგან, რაც მოხდა 1122 წლის დამდეგს. როგორც ცნობილია, არაბები თითქმის მთელი ოთხი საუკუნე ბატონობდნენ საქართველოში. ამას მოგვიანებით (მე-11 საუკუნის 80-იანი წლებიდან) დაემატა ე.წ. „დიდი თურქობა“. ქვეყანა მოოხრდა, მიწასთან გასწორდა. დავითის მამა გიორგი II სუსტი

ნებისყოფის, რბილი ხასიათის მეფე აღმოჩნდა. მას უფრო გართობა-მხიარულება და ნადირობა-ნადიმობა იტაცებდა. გიორგი ვერც გარეშე მტრებს იგერიებდა, ვერც შინაურ სეპარატისტებს. ყოველივე ამას ზედ დაერთო ბუნების მრისხანებაც. 1088 წელს მოხდა საშინელი მიწისძვრა (რაც არ დამცხრალა მთელი წლის მანძილზე), დაინგრა მრავალი ციხე-სიმაგრე და ქალაქი (მათ შორის თმოგვი). ეს იყო თავზარდამცემი ამბავი, ქვეყანა პანიკამ მოიცვა. გიორგი მეფემ ტახტი ნებაყოფილობით დაუთმო თავის ვაჟს დავითს, რომელიც მაშინ 16 წლისა იყო. ეს მოხდა 1089 წელს. ასე რომ, დავით აღმაშენებელს მეტად მძიმე მემკვიდრეობა ერგუნა.

დავით აღმაშენებლის მიერ გადახდილ ომთაგან ყველაზე საყურადღებოა „ძლევაი საკვირველი“ – დიდგორის ომი (1121 წლის 12 აგვისტო), რომელიც იყო პროლოგი (თუ შეიძლება ასე ითქვას) თბილისის (და, მაშასადამე, მთელი საქართველოს) მტერთაგან დახსნისა. სულთან მაჰმუდის მონოდებით საქართველოს წინააღმდეგ აღსდგა სრულიად თურქული სამყარო. 400 000 თურქი მეომარი ნეჯმ ად-დინ ილლაზის მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა. დავით აღმაშენებელმა დიდგორის ვიწროებში ჩაჭედა მტერი და სასტიკად დაამარცხა. რვა დღე და ღამე სდიეს მონინააღმდეგეს და ერთიანად გადარეკეს საქართველოს საზღვრებიდან. მალე ამის შემდეგ ქართველებმა თბილისიც დაიბრუნეს და ამიერიდან დიდგორი და დავით აღმაშენებლის სახელი მთელს საქართველოში გახდა ხატი და სალოცავი.

როგორც ითქვა, ალექსანდრე ორბელიანის დრამაში ნაჩვენებია დავით აღმაშენებლის მიერ თურქთაგან თბილისის გათავისუფლება. პირველი მოქმედების დასაწყისშივე აბუღელის (თბილისის მამასახლისის) მონოლოგიდან ვგებულობთ, რომ საქართველო თურქების მიერაა მიწასთან გასწორებული: მტკვარო „სამოთხის მზგავსი შენი საქართველო თურქთა წარიტაცეს, შენსა სასიცოცხლო ჰაერსა იგინი ჰყლაპავენ? შენსა დამატკობელსა წყალსა იგინი სვამენ? შენს მიმომცურავსა გემოვანსა თევზსა იგინი სჭამენ? და ყოველი, რაიცა არის შენს საქართველოში, სულ თურქებისაა“.

აბუღელის სახით ჩვენს წინაშე დგას თავისი ქვეყნის ბედზე ჩაფიქრებული დიდი პატრიოტი. სამშობლოს სიყვარული და თურქების სიძულვილი მისთვის, როგორც თვითონ აცხადებს, შთაუნერგავს გამზრდელ მზისახარს, რომელსაც ტკბილად იგონებს. ასეთივე დიდი პატრიოტია და მამულისთვის დატანჯული აბუღელის მეუღლე ანასტასია. აქვე ვეცნობით აბუღელის ძმას სერაფიმ ბერს, რომელიც აგრეთვე მამულის დახსნაზე ოცნებობს. ნაწარმოების დასაწყისიდანვე მკითხველი ხედავს ქართველი ხალხის აზვირთებას დამპყრობთა წინააღმდეგ, რაც შემდეგ თანდათან ღრმავდება და გადაიზრდება კავკასიის მცხოვრებთა დიდ ანტითურქულ აჯანყებაში. გამათავისუფლებელ ბრძოლას მეთაურობს დავით აღმაშენებელი, რომელიც პირველ მოქმედებაში ჯერ კიდევ არ ჩანს. დავითი დრამის მეორე მოქმედებაში გამოჩნდება, მაგრამ მანამდეც მისი ხელი ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. მას თბილისში ჰყავს თავისი კაცები, რომლებიც მტრის რიგებში გარკვეულ სადაზვერვო მუშაობას აწარმოებენ. ასეთები არიან, მაგალითად, აბუღელი (თბილისის მამასახლისი), ივანე (ლიპარიდის მამა) და სხვანი. ესენი თითქოს თურქთა ძლიერებას დამორჩილდნენ და მტერმაც „შეირიგა“. მათ იციან მოწინააღმდეგეთა საიდუმლოებანი (თურქები ენდობიან), რასაც დროზე და შეუფერხებლად ატყობინებენ დავით აღმაშენებელს (საგანგებო შიკრიკებს უგზავნიან, საიდუმლო მიმონერა აქვთ და სხვა). თბილისში არალეგალურად მომუშავე ქართველებსა და დავით აღმაშენებელს შორის შუამავლის როლს ასრულებს ლიპარიდ, ენერგიული ახალგაზრდა, დიდი პატრიოტი და მამულისთვის თავგანწირული ადამიანი. თურქებს ყველგან დარაჯები უყენიათ და ლიპარიდს დაეძებენ.

მეორე მოქმედებაში ნაჩვენებია მზადება საქართველოს გამოხსნისათვის. აქაც ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ზემოხსენებული ლიპარიდ, რომელიც ამბობს: „ვისაც მშობელი მამული უყვარს და იმის კეთილმდგომარეობა სურს, დაუცხრომლად უნდა ცდილობდეს იმის გაბედნიერებას! კაცი თავის თავისათვის არ არის დაბადებული, კაცი დაბადა ღმერ-

თმა კაცის საზოგადოების ბედნიერებისათვის". ასეთი მაღალ-მოქალაქეობრივი შეგნებით უდგება ქვეყნის გათავისუფლების საქმეს ლიპარიდ. და არა მარტო ლიპარიდ, არამედ სხვებიც — კაცი და ქალი, დიდი და პატარა — ასეთი აზრით არიან გამსჭვალულნი. ყველა მზადაა, სიცოცხლე შესწიროს მამულს. ისინი ქალაქიდან ისე გამოვიდნენ, რომ არავის არაფერი წამოუღია ერთი ხელი ტანისამოსის მეტი. ასე მსჯელობენ: „თუ თურქები დაგვამარცხებენ, დაფიცებული ვართ, სულ ერთიან უნდა გავწყდეთ და ჩვენი სიმდიდრე რაღა საჭიროა ჩვენთვისო და თუ ჩვენ დავამარცხებთ, ჩვენი სიმდიდრე ისევ ჩვენ დაგვრჩებაო“.

მეორე მოქმედებაში მკითხველი უშუალოდ ეცნობა დავით აღმაშენებელს, როგორც მომავალი ბრძოლის ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს. აქვეა მოქმედ პირად გამოყვანილი დავით მეფის მეუღლე გურანდუხტ — ყივჩაღის ათრაქა შარალანისძის ასული. ის საქართველოს გულწრფელი პატრიოტია: „მე ყივჩაღის ასული, ჩვენი მამულის ქალი, არ დავრჩები, რომ ხვალინდელს აღმატებულს დღეს მე თქვენთან თავი არ გამოვიდო მამულისათვის“. გურანდუხტ დედოფალი საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს.

მეორე მოქმედებაშივე მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს მომავალი ბრძოლის გეგმას, რომელიც პირადად დავით აღმაშენებლისა და ქართველთა სხვა თავკაცების მიერაა შედგენილი. ეს გეგმა შემუშავებულია უაღრესად გონივრულად, ყოველგვარი წვრილმანის სათანადო გათვალისწინებით.

მესამე მოქმედებაში ნაჩვენებია უშუალოდ ბრძოლის სურათები, ბატალური სცენები. სხვათა შორის, დასაწყისში ვხვდავთ მტრის ბანაკს. წინა ხაზზე თურქებს ასზე მეტი არაბი დაუყენებიათ. ამ არაბთა საუბრიდან ვიგებთ მტრის განზრახვანააფიქრს, რომელიც თავიდან ბოლომდე მზაკვრული და ვერაგულია. ერთი არაბთაგანი ამბობს: „მე დესპანათ მივალ ქართველებთან, ამათს მეფეს დავითს და პირველ კაცებს გამოვიხმობ, ვეტყვი, ჩვენს დიდ დურბეზს თქვენთან სალაპარაკო აქვს თქვენს თავისუფლებაზე და გსთხოვთ მობრძანდეთ მეთქი. აქ რომ მოვლენ, ხუთასი არაბი აგერ იმ ბეჭობში დამი-



მალავს, უეცრად დაესხმიან და სულ ერთიანად გასწყვეტენ. მაშინ ქართველები უპატრონოდ დარჩებიან და როგორც გვინდა, ისე დავიმორჩილებთ იმათ. თუმცა ლალატი და უპირობა იქნება, მაგრამ, რადგან ძლიერება და კაცის გონების დამაბნელებელი ოქრო-ვერცხლი ჩვენს ხელშია, შეგვიძლია ერთი რითიმე გავიმართლოთ თავი ქვეყანაში და ბრალი იმათვე დავსდოთ. გაიგონე რა გითხრა, — ოქრო, ვერცხლი დიდრონს სახელმწიფოებს ყირაზე დააყენებს“. მაგრამ ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს განხორციელება არ ენერა. ქართველები დიდ სიფხიზლეს იჩენენ და არ წამოეგებიან ამ ანკესზე. ლიპარიდმა არაბთა „დესპანი“ ასეთი სიტყვებით გაისტუმრა: „ვაი თქვენ შემცდარნო თურქ-არაბნო, ვილას ატყუებთ? არ გეყოთ ამდენი მოტყუება ჩვენი? ნადი და თქვენ დიდ დურბეზს უთხარი: „ხმალი და ჩვენი სისხლი გადასწყვეტს ჩვენს საქმესთქო“.

და მართლაც, ხმალმა და ქართველთა გულოვნებამ გადაწყვიტა საქმე. ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. პიესაში ის აზრიც ამოიკითხება, რომ თუქ-არაბთა მხრიდან ეს იყო უსამართლო ომი, ხოლო ქართველებისთვის — მამულის დასახსნელად გამართული ბრძოლა და, მაშასადამე, სამართლიანი.

„ქართველები — დღეს მამულის გამოსხნის დღეა, სიცოცხლე ჩვენი მამულის ჭირის სანაცვლო იყოს.

თურქები და არაბები — დღეს ჩვენი სახელის დიდების დღეა — ჩვენი დიდებისათვის შეგვიწირავს“.

ასე მკვეთრად უპირისპირებს მწერალი მომხდურთა და დამხდურთა მრწამსს, თვალსაზრისს. რასაკვირველია, ომში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

მეოთხე მოქმედებაში დახატულია გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისა და საერთო-სახალხო აღტკინების სურათები, ნაჩვენებია მოპოვებული წარმატებისადმი მიძღვნილი ზეიმი.

წინარმოებში მწერალი ქადაგებს კავკასიის ხალხთა ერთობის იდეას. თურქთა ბატონობისაგან იტანჯებიან არამარტო ქართველები, არამედ სომხებიც, აზერბაიჯანელებიც და კავკასიის სხვა ერებიც. ამიტომაცაა, რომ დამპყრობთა წინააღმ-

დეგ ბრძოლაში ფეხზე დამდგარა მთელი კავკასია. კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და ბერი — ერთი ფიქრითა და მისწრაფებითაა გამსჭვალული: გაერთიანდნენ, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და საერთო ძალით დამარცხება აგემონ მტერს. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მკვიდრნი სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელნი არიან, თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ერთიანი ძალით, შეკავშირებულად გამოდიან. მთავარია არა სარწმუნოება, არამედ სისხლით ნათესაობა, ერთნაირი მისწრაფებაო, — გვასწავლის მწერალი.

ალექსანდრე ორბელიანმა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა იქადაგა ის აზრი, რომ შეიძლება სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა ძმობა-მეგობრობა, დაახლოვება-დანათესავება. ერთი მოქმედი პირი (კათალიკოსი) ამბობს: „დიდო კავკაზიელნო! გულმტკიცვნეულად გევედრებით სულიერი მამა თქვენი; ერთნი იყვნეთ და ერთმანეთი გიყვარდეთ გულით. ამაზე უკეთესი მე რაღა უნდა გითხრათ თქვენ კავკაზიელნო! რასაც გეუბნებით, საქმითაც შეუდექით ამას. ნუ მივხედავთ ჩვენს სხვადასხვა სარწმუნოებასა, ერთი მამის შვილები ვართ და ერთი სისხლი გვიცემს ძარღვში. შევთვისდეთ და გავერთდეთ ვითარცა შედუღებულნი რკინანი მაგარნი! — დაიჯერეთ ჩემი ეს სიტყვა, თორემ კიდევ წარგვიტაცებენ უცხო თესლნი და მაშინ საგლოველი გაგვიხდება თავი“.

ეს საერთო მამა არის თარგამოსი, რომელიც ნაწარმოებში ხშირად იხსენიება. ლეონტი მროველს (XI საუკუნის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს) თავის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ მოთხრობილი აქვს, რომ „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“. ე. ი. თარგამოსი იყო კავკასიის ხალხთა საერთო წინაპარი. მას ჰყავდა მ ვაჟი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს. მამამ თითოეულს თავისი საცხოვრისი მიუჩინა. აი, ესენი არიან კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა მამამთავრე-

ბი (სახელდობრ: ჰაოსი — სომხების, ქართლოსი — ქართველების, ბარდოს და მოვაკან — აზერბაიჯანელების, ლეკოს — ლეკების, ჰეროს — ჰერების, კავკასოს — კავკასიის მთიელების, ეგროს — მეგრულ-ჭანების).

ლეონტი მროველის მონათხრობში საგულისხმოა მტკიცება, რომ ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები სისხლით ნათესავეები და ძმები არიან. რაც მთავარია, მტრის თავდასხმის შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ აერთიანებენ თავიანთ ძალებს, ერთი დროშის ქვეშ დგებიან და მხარდამხარ იბრძვიან მომხდურთა წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ნებროთი (კაცობრიობის პირველი ლეგენდარული მეფე) უთვალავი ჯარით შემოიჭრა აზერბაიჯანში, თარგამოსის შვილები თავთავიანთი ლაშქრით მაშინვე გამოცხადდნენ უფროს ძმა ჰაოსთან და სასტიკად დაამარცხეს მტერი არარატის მისადგომებთან.

ასე მომხდარა მაშინაც, როდესაც ხაზარებმა მოინდომეს ლეკების და კავკასიელი მთიელების დამორჩილება. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის ფანტაზიაა, ზღაპარია. ეს კარგად იცის ალექსანდრე ორბელიანმაც, მაგრამ მისთვის, როგორც მწერლისთვის, ამას, ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს. ალექსანდრე ორბელიანი ლეონტი მროველის მონათხრობს მარჯვედ იყენებს კავკასიის ხალხთა მეგობრობის საქადაგებლად. „დავით აღმაშენებელს“ თავიდან ბოლომდე თვალნათლივ გასდევს ის აზრი, რომ კავკასიის მკვიდრნი ერთი სისხლხორცისანი არიან და ჭირსა და ლხინში განუყრელად, მუდამ ერთად უნდა იყვნენ. დავით აღმაშენებლის მოწოდებამ — ერთად ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ — ფეხზე დააყენა მთელი კავკასია, აღმოსავლეთი და დასავლეთი, მთა და ბარი... „ორასი ათასი კაცი მოდის აღმოსავლეთის კავკასიის მთებიდგანა, სულ მათებურად ჩაცმული, თავიანთი ორი თვის საგზა-ლით. განთქმულის სახელოვანის ჩვენის მეფის დავითის სიტყვით: გავერთდეთ, ძმებო კავკაზიელნო; დრო მოვიდაო! ეს იმისი ხუთი სიტყვა მიუტანეთ იმათ, რომელზედაც ელვასავით გადაირბინა მთელს კავკასზე ამ სიტყვებმა. ამის გამო დიდი ყრილობა შეიქმნა მთებში და დიდი მომზადება, შავი ზღვიდგან

კასპამდისინ ყველანი იმას იძახიან: დიდი ჩვენის მამის თარგამოსის მამული უნდა გამოვიხსნათ თურქებისაგანაო და ახლა დროა, სულ ერთიან გავერთდეთო“.

და მართლაც, ნანარმოებში ქართველებთან ერთად გამოყვანილი არიან კავკასიის სხვა ხალხთა შვილებიც: სომხები (აბესალომ, ანასტასია, ოჰანეზა, გიორგი — სომხების პატრიარქი), აზერბაიჯანელები და კავკასიის მთის მკვიდრნი (მაჰმადიანთა ახუნდი, ბეშკენ, მანზა, არდიშ, დავლე, სავარ, ბეგუმ, ბაზიყა და სხვა). აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ერის შვილები მწერალმა ნათესაურადაც დაუკავშირა ერთმანეთს. ასე, მაგალითად, თბილისის მამასახლისს ქართველ აბულელს ცოლად ჰყავს ანასტასია — „პირველი სახლის ქალი სომხისა“. მისი ასული ელენე დანიშნულია ქართველ ლიპარიდზე. ლიპარიდის ძიძიშვილია აბესალომ — „პირველი სახლის შვილი სომხისა“ და ა.შ.

კავკასიის მკვიდრნი გაერთიანებული ძალით ებრძვიან მტერს და, ბუნებრივია, შედეგიც დიდებულია.

ერთგან მწერალი დავით აღმაშენებელს ათქმევინებს: „დღეს ასეთს მაგალითს ვხედავთ ჩვენის ერისას — კაცისასა და ქალებისასა, რომ არასდროს არ დაივიწყებთ ამათ საქმე, შეიძრა ჩვენი მთა-ბარნი და ახლა ნახამთ თქვენს ყოფას, თურქებო... შავი ზღვიდამ მოკიდებული კასპამდინ, მთა და ბარი ეფრატის მდინარემდისინ, სულ ერთიანი ვართ და ერთი მამის თარგამოსის ჩამომავლობა. მაშასადამე, ძმანი ვყოფილვართ და ამას იქით ერთად უნდა ვიყვნეთ ყველანი. ნულარავის ნულარ გვეშინიან თურქებისა“. ასეთი უძლეველი ძალა აქვს ხალხთა მეგობრობას. ამ ძალამ მუსრი გაავლო მტერსა და მომხდურთაგან განმინდა სამშობლოს მიწა-წყალი. „ვინც ამას იქით ჩვენი კავშირი დაარღვიოს, წყეულმც იყოს“, — ამბობს დავით აღმაშენებელი.

ნანარმოები მთავრდება კავკასიის ხალხთა დიდი ზეიმით მცხეთაში, სადაც შეკრებილან თარგამოსის რვავე შვილის შთამომავალნი. აქ არიან, ცხადია, სასულიერო პირნიც: ქართველთა კათალიკოსი, სომეხთა პატრიარქი და მაჰმადიანთა ახუნდი. იმართება „თარგამოსელთ თავისუფლების დღესასწა-

ული“, რომელიც კავკასიის ერთა საერთო-სახალხო ზეიმის ხასიათს ღებულობს. ყურადღების ცენტრშია მოქცეული გამათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორი დავით აღმაშენებელი, რომელიც „თარგამოსიელთა ხელმწიფედაა“ აღიარებული. კავკასიის ყველა ერის ყველა წოდება — ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალაზრდა — ყველა, ვისთვისაც თავისუფლება უმაღლესი იდეალია, აღმერთებს და ეთაყვანება ამ თავისუფლების მომპოვებელ სახელოვან მეფეს: „აჰა, ჩვენო ხელმწიფეო თარგამოსიელთა, მოგვირთმევიო თურქების ჯაჭვისაგან გამოსხნილი თარგამოსის ქვეყანა და ჩვენი სრული თავისუფლება. ჩვენო თარგამოსიელთ ღირსსახსოვარო მეფეო უდიდებულესო! დავით აღმაშენებლად წოდებულხარ და ინოდებოდე ქვეყნის დასასრულამდე, ასე!... იყავ აღმაშენებლად და იდიდებოდე აღმაშენებლად უკუნითი უკუნისამდე!“

თავის მხრივ დავით აღმაშენებელიც ამჟღავნებს დიდ სიყვარულს და პატივისცემას კავკასიის ყველა ერის ყველა წოდებისადმი: „მოდით, ჩემს გულს მოეყრდენით მკვიდრად! მოდით ჩემს გულთან, რომელიცა სავსეა ქვეყნის სიყვარულით“. მეფე მადლობას უცხადებს ყველა იმას, ვინც წვლილი შეიტანა თურქთაგან კავკასიის განწმენდის საქმეში. მოკლედ, მწერალი გვიჩვენებს მეფისა და ქვეშევრდომთა ურთიერთ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას. საყურადღებოა, რომ ამ დიდ ზეიმში მონაწილეობენ სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც, რიგითი მხვნელ-მთესვნელნი და მემზვრენი, რომლებსაც დავით აღმაშენებელთან მოაქვთ ხორბლით სავსე ხონჩები და მტევნებდაკიდებული ვაზები. გლეხები მადლობას სწირავენ და დღეგრძელობას უსურვებენ მეფე დავითს, რომელმაც უბრალო ადამიანს ნაყოფიერი შრომის პირობები შეუქმნა:

„მხვნელმთესველნი — ჩვენო აღმაშენებელო დავით! თურქებისაგან ჩვენს გაოხრებულს, ასი წლის გაყირმიზებულს მამულზე, აი, როგორ აღორძინებული თავთუხა პური მოგვდის ახლა, რომელითაცა უნაკლონი ვართ ყველანი, ყოვლისფერთა და რომელნიცა დღეგრძელობასა შენსა ვნატრულობთ, საქართველოს დედაკაცნი და კაცნი...“

მეზურენი — აბა ვინ არ ვინატროთ შენი დღეგრძელობა? ამ ვაზების ადგილას, დიდრონი აშლილი ტყეები იდგა თურქებისაგან გაოხრებულს ჩვენს მამა-პაპის მამულზე, დათვებით სავსე. ახლა გაფურჩქვნილი წალკოტები გვიხარიათ, ლამაზის დამატკბუნებელის ხეხილებით. ხეხილების ხილით ვიტკბარუნებთ პირსა და ამ ვაზების საუცხოვოს წითელის ღვინოებით შენს სადღეგრძელოსა ვსვამთ კაცნი და დედაკაცნი სულ ერთიან. ყოველივე ეს, სულ შენი მონყალეაა, დავით აღმაშენებლო.“

საბოლოო სიტყვას ამბობს დავით აღმაშენებელი. იგი ასე მიმართავს მცხეთის კედელზე მიხატულ თეთრწვერა თარგამოსს: „ჩვენო მამაო თარგამოს! აჰა, დაინახე, დღეს შენი შვილები, რას ამბავში არიან, რას დღეს გადიხდიან! ერთობ თარგამოსის დიდო კავკაზიელნო! ძენო და ქაღნო! აგერ ამ ეკლესიის გარშემო შეკრებებოდეთ თარგამოსის მამისა ჩვენისა წინაშე და ამ ჩვენს მამულის მონამეთა თანა და სანატრელებთანა, იმ სისხლ დათხეულებთან მამულისათვის! აქ ამ მშობლის მამულის საყდართან ხშირად იდღესასწაულებდეთ! აქ იგემოვნებდეთ, მთლად რა არის კაცობრიობისათვის თავისუფლება... აი, როგორი ბედნიერი ვართ ეხლა!... აი, მართლად ბედნიერება ეს არის“.

დავით აღმაშენებელი ჭეშმარიტად იყო კავკასიის ხალხთა გამათავისუფლებელი, თურქების მიერ დაპყრობილი ერების უანგარო დამხმარე, დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, რომლის დროშის ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი კავკასია. დავით აღმაშენებელს მიაჩნია, რომ ძმობა-მეგობრობა იქნებოდა სანინდარი კავკასიის ხალხთა ბედნიერებისა და სიკეთისა. ბუნებრივია, ასეთი ბრძენი პოლიტიკოსი და შორსმჭვრეტელი დიპლომატი იყო ნამდვილი ტოლერანტიც, ადამიანი, რომელიც დიდ შემწყნარებლობას იჩენდა სხვა სარწმუნოებათა მიმართაც. „იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სხვის სარწმუნოებისა“ (ილია ჭავჭავაძე).

ასე იყო ისტორიულად, ასეა ნაჩვენები ალექსანდრე ორბელიანის „დავით აღმაშენებელშიც“. ასე რომ, მწერალს ჰქონდა

საფუძველი, ექადაგნა კავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეა და ყველაფერი ეს დავით აღმაშენებლის სახელთან დაეკავშირებინა. ამ იდეის ქადაგება ალექსანდრე ორბელიანისათვის შემთხვევითი რომ არ ყოფილა, ამას ადასტურებს მისი სხვა ნაწერებიც, რომელთაგან აქ მხოლოდ ერთს დავიმომხმებთ. წერილში „რაც რუსები მოსულან საქართველოში“... ვკითხულობთ: „ეს შეთქმა (საუბარია 30-იანი წლების შეთქმულებაზე — ნ.ვ.) უნდა ყოფილიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ სრულიად მთებისა და ბარისა ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“.

კავკასიური მთლიანობის იდეით ხელმძღვანელობდნენ 1832 წლის შეთქმულები. ამავე იდეას იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი.

გამათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. ამ უკანასკნელთ რაზმავს ბერი სერაფიმი, რომელიც იმ აზრისაა, რომ მარტო წირვა-ლოცვა საქმეს ვერ შველის, საჭიროა აგრეთვე ბრძოლა, მხნეობის გამოჩენა და პრაქტიკული მოქმედება. „ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს.“ ახლა მოვუსმინოთ სერაფიმ ბერს: „მარტო ჩვენის ლოცვით რა იქნება. თვით უფალი ბრძანებს: მხნე იყავ და განძლიერდით, ჩვენ, ბერებს, ახლა შემთხვევა გვაქვს და საჭიროა მოგეხმარნეთ. მართალია, ჩვენ გავსწყდებით, მაგრამ დიდი შეება მიეცემა ჩვენს შვილებს. ვინც მშობლის მამულისათვის დავიხოცებით, ბედნიერი სიკვდილი იქმნება“. ესაა ის ჯანსაღი თვალსაზრისი, რომელსაც სასულიერო წოდებაზე ავითარებდნენ ძველი და ახალი დროის მოღვაწენი (გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები). გვაგონდება დავით გურამიშვილის სიტყვებიც:

**ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი, მხრდალია.**

**ხუცესს არ ეთქმის: ჭირშიგან ვერ შევალ, სარიდალია.**

სერაფიმმა 20 000 ბერი გამოიყვანა მონასტრებიდან. ისინი ანაფორის ქვეშ ხმალ-ხანჯლებს ატარებენ და მზად არიან, ბრძოლის წინა ხაზზე დადგნენ. ბევრი მათგანი, მათ შორის, სერაფიმ ბერიც, მსხვერპლად შეენირა მამულის გათავისუფლებას. საყურადღებოა, რომ სასულიერო წოდებაც ქმედითად უჭერს მხარს და აშკარად ქადაგებს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად კავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეას.

სერაფიმ ბერი ასე მიმართავს თანამზრახველთ: „მაშ, ჩემო საყვარელნო, ერთიანათ გვედრებით შავი ზღვიდან მოკიდებული კასპამდისინ და თარგამოსის ერთიანად შვილებითა, ან ერთიან გავწყდეთ ან განვთავისუფლდეთ“. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ სერაფიმ თავისი ხასიათითა და ეროვნული იდეალებით რამდენამდე ჩამოჰგავს ფილადელფოს კიკნაძეს, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესა და წესდების ავტორს, რომელიც მსხვერპლად შეენირა მამულის გამოხსნის საქმეს.

აღსანიშნავია, რომ ბრძოლებში მამაკაცებთან ერთად იარაღით ხელში აქტიურად მონაწილეობენ ქალებიც (როგორც ახალგაზრდები, ისევე ხანდაზმულნიც): ანასტასია, ელენე, ნინო, ბეგუმ, როდამ, ბაზიყა, სოსანა, მანიჟა, სერაფიმ ბერის მიერ გაზრდილი ოთხი ობოლი ქალი და მათი ამხანაგები — ათასობით შეიარაღებული მანდილოსანი. სამშობლოსათვის თავგანწირვის საქმეში ქალები ტოლს არ უდებენ თავიანთ ძმებსა და მამებს, ქმრებსა და საქმროებს... აი, საინტერესო დიალოგი ნინოსა და ლიპარიდს შორის.

„ნინო — ერთი ეს მითხარი, რითა ვართ ჩვენ ქალები კაცებზე ნაკლები: ვინა სჯობდა ჩვენს ამაზონელ ქალებსა, ვაჟკაცობით ან ღონით!.. ახლა ჩვენ ყმანვილმა ქალებმაც შემოვირტყით საჭურველი და ოთხიათასზედ მეტმა აქ დაგიკარით თავი ჩემსავით ჩაცმულთა, ვნახოთ, თქვენ კაცები, როგორ დავემჯობინებით მამულის გამოხსნაში.

ლიპარიდ — როგორ? განა თქვენც საბრძოლველად მომზადებულხართ?

ნინო — თავდადებით და უკანასკნელს სისხლამდისინ.



ლიპარიდ — ეგ თქვენი ნარნარი სინყნარე, არ გებრალემათ? ჩემო დაო ნინო, ყველას გვედრებით, თქვენ ნუ გაირჯებით, თქვენ ქალებმა შორიდან გვიყურეთ და ჩვენის კაცების გამხეცებული ვაჟკაცობა ნახეთ, რა საშინელება მოხდება. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენ კაცებმა ქალები გამოგიმეტეთ და მტრის პირში მიგცეთ. ჩვენის გამხნეებისათვის თქვენ შორიდან გვიყურეთ, ესეც საკმაოა ჩვენთვის.

ნინო — რას ამბობ? შორიდან გიყუროთ! ჩვენ მშობელ ივერიას საშინელის პყრობილობით სული ამოსდის და თურქებისაგან ტანჯვით კვდება. მწარედ შეწუხებულსა, საცოდავი ხელი გამოუშლია და გულმტკივნეულის კენესით ითხოვს შეწევნასა. ოჰ, რა უღმერთობა იქნება, ვინც სახლში დარჩება, საპყარისა და დიდად მოხუცებულის მეტი”.

ნინოს საომრად მომზადებული 40-ზე მეტი ახალგაზრდა ქალი შემოჰყავს და იქვე აცხადებს, სხვა ოთხიათასი აგერ ახლოს დგას და ბრძოლის დანყებას ელოდებაო.

ქალები მზად არიან, უყოყმანოდ შეენირონ მამულს, ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასს და სანუკვარს. ერთი ხნიერი ქალი (ანასტასია) ამბობს: „ჩვენ ხნიანი ქალების სურვილია, ან ჩვენი მშობელი ქვეყანა გამოვიხსნათ, ან არა და სულ ერთიანად თურქების ხელით გავსწყდეთ“. მამულისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი გვიჩვენებს დიღმელმა ქალებმა. როცა შეიტყვეს, სიკვდილი მოელოდათ, ჯერ თავიანთი ქალიშვილები დახოცეს (რათა მტრებს არ ჩავარდნოდათ საჯიჯგნად), ხოლო შემდეგ ქმრებთან ერთად გადაეშენენ ბრძოლის ცეცხლში.

ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობს, სხვათა შორის, თვით დედოფალი გურანდუხტი, რომელმაც იმერეთიდან მოიყვანა 15 000 ქალი. მოკლედ, ქართველთა ლაშქრის თითქმის ნახევარი ქალია. ნაწარმოებში არის ასეთი საინტერესო ეპიზოდი: დედოფალი გურანდუხტი და თურქთა სარდლის დურბეზის ცოლი ერთმანეთს შეხვდებიან ხმალდახმალ. დაამარცხებს გურანდუხტი, მაგრამ არ მოკლავს. ის ქალი ქართულად დაუწყებს საუბარს. აღმოჩნდება, რომ 15 წლის ქართველი ანა ტყვედ წაუყვანიათ და შემდეგ დურბეზს შეურთავს ცოლად. ამ ეპიზოდის შესახებ მწე-

რალი იქვე სქოლიოში ასეთ საყურადღებო შენიშვნას აკეთებს: „მოხუცებულის პაპიჩემის დიმიტრის დავითა დემურშივილისაგან გამიგონია ჩემს სიყმანვილეში: „როდესაც დავით აღმაშენებელს მოუნდომებია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვიათ ერთმანეთი საომრად. ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქიო, რომელსაც აღმაშენებლის ცოლს უმჯობნიაო“. თუმცა ისტორიაში არ არის ეს, მაგრამ მე ამ ორს ქალზე თქმული, ასე გავაკეთე დრამისა ამისა მოსახდენად, მგონია შესაფერისი იყოს? — ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ უძველესი ჩვენი ისტორიაც დიდად აქებს მაშინდელ ქართველ ქალებს და უკანასკნელ მეფის ირაკლის მეორის დროს ხომ რავდენი ვაჟკაცობის მაგალითია ჩვენი ქალებისა“.

მაშასადამე, „დავით აღმაშენებელში“ ალექსანდრე ორბელიანმა განაზოგადა და მხატვრულად წარმოსახა ის, რაც ქართველი ქალის შესახებ ისტორიამ შემოგვინახა, ან ლეგენდათქმულებათა სახით მოაღწია. სქოლიოში დართული შენიშვნით მწერალი ყოველი შემთხვევისათვის აფრთხილებს მკითხველს, რომ მებრძოლ ქართველ ქალთა ჩვენებით ნაწარმოებში რაიმე ანაქრონიზმი კი არა, მხატვრული სიმართლეა დაცული.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანი არის პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ბრძოლის ველზე გამოიყვანა ქალი (ქალები) იარაღით ხელში (იარაღით მებრძოლი ქალები შემდეგ გვიჩვენეს აკაკი წერეთელმა „პატარა კახსა“ და ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“).

მებრძოლ ქალთა დახატვითაც მწერალი 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიებს გადმოგვცემს შეფარვით.

მტერთაგან სამშობლოს გათავისუფლებამ, ცხადია, მოითხოვა დიდი მსხვერპლი. მრავალი პატრიოტი (ქალი და კაცი) შეეწირა ამ კეთილშობილურ საქმეს. მათი სახელები მარად უკვდავია, თაობიდან თაობაში გადავა და არასდროს არ მიეცემა დავინწყებას. დავით აღმაშენებელი გულწრფელად ნატრობს: „ნეტავი იმისთანა წამალი იცოდეს ვინმემ, რომ ესენი ამ სახით დარჩნენ, — ასე დაუშლელნი, როგორც არიან“. სხვა ადგილას ამბობს: „ვინც მამულის თავდადებისათვის მოვკვდეთ, იმათი

ძვლები შეიკრიბოს და წმინდას ადგილს შეინახონ, რომელზედაც სია დაჰკიდონ შემკობილი: — ვინ რომელი არის და ყოველს წელიწადზედ იმათ დღესასწაულს გადაიხდიდნენ“. როგორც ვხედავთ, ბრძოლის ველზე დაცემულთა სახელის უკვდავსაყოფად მეფე მოითხოვს მემორიალური ძეგლის მსგავსს. დავით აღმაშენებელი მუხლს იდრეკს გმირ მამულიშვილთა ცხედრების წინაშე და სხვებისგანაც მოითხოვს, ღირსეული პატივი მიაგონ მათ: „მამ ყველამ დავიჩოქოთ იმათ წინაშე და პატივი ვცეთ! ასეც მოიქცევიან: მებრძოლები მუზარადებს მოიხდიან, გულზე ხელებს დაიკრეფენ და თავდახრით დაიჩოქებენ ჯერ დაუმარხავი ცხედრების წინაშე. ამ დროს მეფე გაიხედავს თურქთა მიერ ცეცხლმოკიდებული თბილისისაკენ... გაიხედავს და მტკიცე ხმით განაცხადებს: „და აღვაშენებ მე!“ ამას პასუხად მოჰყვება კავკასიელთა ერთობლივი შეძახილი: „დავით აღმაშენებელი, ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს!“

გვინდა მივუთითოთ კიდევ ერთ საყურადღებო გარემოებაზე. ალექსანდრე ორბელიანი, როგორც რომანტიკოსი, ცხადია, ახდენს წარსულის იდეალიზაციას. მაგრამ მწერალი ამასთან არ ერიდება გარდასულ დღეთა ჭუჭყის გამომზეურებასაც. „დავით აღმაშენებელში“, მაგალითად, სამშობლოსათვის თავგანწირულ პატრიოტთა გვერდით შენიღბულად მოქმედებს თურქებს მიმხრობილი მოღალატე, გამცემი ყარაყუმიძე, რომელიც სატევრით განგმირა ქვეყნის ერთგულმა შვილმა ლიპარიდმა (ასეა ხოლმე: „ცუდს კაცს, გამცემელს, მამულის მოღალატეს კეთილი არ ექმნება“). ეს ეპიზოდი რომ შემთხვევითი არაა, ამას ადასტურებს ალექსანდრე ორბელიანის სხვა ნაწარმოებები და აგრეთვე პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც წარსულის ლაქაზედაც არაა გვერდი ავლილი. ასე, მაგალითად, წერილში, რომელსაც აქვს დამახასიათებელი სათაური — „მამიჩემისგან ღალატი მეფისა ირაკლისა“, ვრცლადაა საუბარი იმ მოღალატე ჯაშუშებზე, რომლებმაც დაღუპეს ქვეყანა. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანის სხვა სტატიები და ისტორიული ნარკვევები („ვარანცოვთან ჩემი დაბეზლება“, „ჩემი შეცდომები ანუ ჩემი ცოდვანი“ და სხვა).

ალექსანდრე ორბელიანის დრამაში საუბარია (საუბარია, არა ნაჩვენები) დავით აღმაშენებლის მიერ სომხეთის გათავისუფლებაზე (კერძოდ, ანისის ალებაზე). როგორც ისტორიულად ცნობილია, დავითმა შემდეგ სომხეთიც გაათავისუფლა (თვითონ სომხებმა სთხოვეს დახმარება). 1123 წელს დაიკავა სომხეთის მაშინდელი დედაქალაქი ანისი, ხოლო მისი მფლობელი აბულ-სოვარი თავისი ოჯახით „ჩაგზავნა აფხაზეთად“. მიზგითად ქცეული ტაძარი ისევ ქრისტიანულად აკურთხებიან კათალიკოსს. მივიდა ამ ტაძრის ამშენებელ ბერძენი ქალის კატრონიკეს საფლავთან და სამჯერ ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმინდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“. მკვდრის ძვლებმა საფლავიდან ხმა გამოსცესო: „დიდება ღმერთსა“.

„დავით აღმაშენებელში“ მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან: არსენ იყალთოელი, თეოფილე (ხუცესმონაზონი), ეფრემ მცირე, პეტრინი ჭირჭიმელი, იოანე ტაიჭისძე და სხვები. მართალია, ამ მოქმედ პირებს ნაწარმოებში დიდი ადგილი არ უკავიათ, მაგრამ საყურადღებოა, რომ მწერალს მხედველობიდან არ გამორჩენია იმდროინდელი სწავლულნი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მესვეურნი. დავით აღმაშენებელი ნაჩვენებია, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი, დიდი მეცენატი. ამიტომაცაა, რომ მას მადლობას სწირავენ, აღმერთებენ და ეთაყვანებიან. თავის მხრივ დავით აღმაშენებელი ცნობილ სწავლულებს მიაწერს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში მოპოვებულ წარმატებას. აი, საინტერესო ამონაწერი პიესიდან:

„იოსები — ჩვენი დავიწყებული ფილოსოფია, თურქებისაგან განდევნილი, ჩვენს ქვეყანაზე კიდევ გამოვიდა, ხოლო სულ შენგნით აღმაშენებელს დავით!

აღმაშენებელი — არა ჩემით, ჩვენი უღრმესი სწავლულის ფილოსოფოსის იოსებით!

თეოფილე — თურქებისაგან დაცემული ქართველების, ქართველთ სიტყვიერება აყვავდა და უმაღლესსა ხარისხსა ავიდა, აღმაშენებლო, შენგნით!

აღმაშენებელი — სრული მეცნიერის და უნაკლულოს ქართულის მცოდნეს თეოფილესაგან იქმნა ესე.

ივანე ტაიჭისძე — დავით აღმაშენებლო! თურქებისაგან ნამხდარსა ქვეყანასა ჩვენსა კვლავად ზნეობა დაუნმინდე, ძირითურთ ამოთხრილსა სამართალსა ჩვენსა, სწორე სამართალი მიეცი, რჯული დავიმკვიდრეთ და კეთილმოსვენებით ვიცხოვრებთ უმანკოებით.

აღმაშენებელი — ყოველი ესე კეთილი ნაყოფიერი შენ მიერ დაითესა და ჩვენ კი ვიგემეთ.

ეფრემ მცირე — ჩვენი წერილები და წიგნები გაპატიოსდნენ მეტის-მეტად! სასწავლებელში სწავლა, მეცნიერება და სიბრძნე შეიმკო, რომელითაც განათლდა და გაბრწყინდა ქვეყანა ჩვენი! შენგნით აღმაშენებლო!

აღმაშენებელი — შეგასხამ ქებას სახელითა ეფრემ მცირესა, გარნა საქმით წარჩინებულსა კაცსა. ყოველი ესე შენი არს და შენ გეკუთვნის მართლა“ და ა.შ.

ამ ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რა აზრისა იყვნენ დავით აღმაშენებელზე იმდროინდელი სწავლულნი. პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა გვერდით დიდ მეცნიერთა და კულტურის მესვეურთა გამოყვანა უდავოდ საყურადღებო მოვლენაა, რაც ამაღლებს „დავით აღმაშენებლის“ იდეურ დონეს.

დრამის მთავარი მოქმედი პირნი არისტოკრატიული ზედა ფენიდან არიან. აი, ეს კლასია ნაჩვენები, როგორც გამათავისუფლებელი მოძრაობის მესაჭე და ხელმძღვანელი მისი (ამ მოძრაობის) განვითარების ყველა ეტაპზე. თურქ-არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს დაბალი ფენა, გლეხობა (ვერ ვიტყვით, რომ პიესაში გლეხობა მთლად დავინწყებული იყოს. როგორც ნათქვამი გვაქვს, მცხეთაში გამართულ დიდ ზეიმზე მონაწილეობენ სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც — „მხვნელმთესველნი“ და „მემზვრენი“).

წინარმოებში, გარდა ისტორიული პირებისა, ყველა დანარჩენი მოქმედი პირი შეთხზულია — ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. აქედან გამომდინარე, წინარმოებში დახატული ეპიზოდე-

ბისა და სცენების დიდი უმრავლესობა მწერლის მიერაა გამოგონილი. პიესას ვერ მოუძებნი კონკრეტულ ისტორიულ წყაროს. მწერალს უფრო აინტერესებს ჩვენი სახელოვანი წინაპრების პატრიოტული სულის ჩვენება.

ნაწარმოებში ბევრია გრძელი მონოლოგები. აქ 40 მოქმედი პირია გამოყვანილი, ხოლო მასიურ სცენებში 200-მდე ადამიანი მონაწილეობს. ამითაცაა გამოწვეული, რომ პიესა გადატვირთულია მეორე და მესამეხარისხოვანი ეპიზოდებით. ბევრი მოქმედი პირის ინდივიდუალური სახე მკრთალია. ცხადია, ასეთი ნაწარმოების სცენაზე წარმოდგენა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც ამბობს ავტორი ერთგვარი მობოდიშებით „დრამა... ოთხ მოქმედებათ, თუ საჭიროდ დაინახონ, სამ მოქმედებათ წარმოადგინონ, მაგრამ მე ეს უფრო წასაკითხად დავწერე“. და მართლაც, „დავით აღმაშენებელი“ უფრო „საკითხავი დრამაა“, ვინემ სასპექტაკლო ნაწარმოები. მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, პიესა, როგორც ვნახეთ, უდავოდ საყურადღებოა. სხვა რომ არაფერი, ესაა დავით აღმაშენებელზე დანერილი პირველი ნაწარმოები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „აბდულმესიანს“).

### **ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო**

#### **ანუ თავდადება ქართველებისა**

ეს პიესა დანერილია 1862 წელს, პირველად დაიბეჭდა 1864 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მარტის ნომერში (ავტორი მას ტრაგედიას უწოდებს).

ნაწარმოებში ნაჩვენებია ერეკლე მეფის პირველი საბრძოლო ნათლობა, რომელიც მოხდა 1735 წელს ქიზიყში, ნეიშნის მინდორზე. მე-18 საუკუნის 20-30-იანი წლები მეტად უნუგემო ხანაა ქართლ-კახეთისათვის. თვითონ ალექსანდრე ორბელიანი პიესის წინასიტყვაობაში ასე აგვიწერს საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას: „მთელი საქართველოს ხალხი მდევრად გადაიქცა. მეფე, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი სულ მდევარში იყვნენ უნამეტნავესი დროები. ყოველს ცისმარეს დღესა და ღა-

მეს ამის მეტი ამბავი აღარა იყო რა მთელს საქართველოში... თითქმის მთელს საქართველოს გატენილს თოფებზე ეძინათ“.

გარეშე მტრების შემოსევებს ემატებოდა ქვეყნის შიგნითა გასაჭირი — ვინრო კუთხური პარტიკულარიზმი, ძმათა გამცემლობა, შუღლი და კინკლაობა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ დავით გურამიშვილი გოდებდა მწარედ: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტის, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი! მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი... კახელების აღმა ხნული ქართველებმა დარმა ფარცხეს... ძმამ ძმას სახრე გადუჭირა“ და ა.შ.

ახლა მოვუსმინოთ მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილ პირს გივი ჩოლოყაშვილს. აი, რას ათქმევინებს მას ალექსანდრე ორბელიანი: „გარდა გარეშე მტრებისა, ძმა ძმაზედ აღმდგარვართ, მამა შვილზედ, შვილი მამაზედ, ცოლი ქმარზედ, ქმარი ცოლზედ, სადაც განყოფილება, განწვალვა და დაუნდობლობა დიდი არის ქართველებში, ასე რომ ძალლი პატრონს ველარ იცნობს რიგიანათ, ამ წუნკს დროში. ამის გამო თემი თემსა სდევს, ხეობა ხეობას, მთიელები მთიელებს და მთელი საქართველო ამ ვაებაში ჩალუპულა დასანთქმელად“.

ეს არის ზუსტი დახასიათება იმდროინდელი ვითარებისა. თეიმურაზ II-ს ხელი ჰქონდა ჩაქნეული, იმედდაკარგული მეფე თავისი ოჯახით მთას შეხიზნულიყო. ხალხი დრტვინავდა, მაგრამ მეთაური არ ჰყავდა. და აი, ამ უმძიმეს ჟამს ქართველებს მხსნელად მოევლინათ 15 წლის ერეკლე. მან კავშირი გააბა ქიზიყსა და მთის სოფლებთან. ხალხი ფეხზე დადგა. ერეკლემ ნეიშნის მინდორზე სასტიკად დაამარცხა ლეკები. ის პირველი გადაეშვა ბრძოლის ცეცხლში და მოკლა მტრის წინამძღოლი ალისკანტი, რამაც თავზარი დასცა მოწინააღმდეგის ბანაკს. ერეკლეს გმირობით გამხნეებულ ქართველები გასამკეცებელი ენერგიით ეკვეთნენ ლეკებს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვებამ და პირადად ერეკლემ დიდი შთაბეჭდილება და ზემოქმედება მოახდინა ყველაზე. აშკარა იყო, რომ ასპარეზზე გამოდიოდა კლანჭებშემოცვეთილი, დაბერე-

ბული ლომის ღირსეული ბოკვერი, რომელიც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანდა ქართველებს.

ისტორიული წყაროები ერეკლე მეფის ამ პირველი ბრძოლის შესახებ ცოტაა. აქ შეიძლება დავასახელოთ ორი ნაშრომი: ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა“ (ქართლის ცხოვრება, დავით ჩუბინაშვილის რედაქციით, II, 1854 წ.) და ი. დოდაევ-მალაროელის სტატია „სიჭაბუკე საქართველოს მეფის ირაკლი ბ-სა“ („ცისკარი“ 1859წ. 10). დასახელებულ ნაშრომებში საუბარია სწორედ ერეკლეს მიერ ნეიშნის მინდორზე გადახდილ ბრძოლაზე. ომან ხერხეულიძე, მაგალითად, ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბიეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა თხუთმეტისა, რომელმაც შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, უნია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი, გარნა თვით ეს ყმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; და ამის მხილველთა კაცთა ერთპირად მიმართეს ყვილით და წინასწარაქციეს ჯარი ლეკისა, აპყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი. და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულნი იქნეს კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა“.

• ალექსანდრე ორბელიანი, ცხადია, იცნობს ისტორიულ წყაროებს, მაგრამ მისი ყველაზე კარგი ინფორმატორი მაინც დედა (თეკლე ბაგრატიონი) იყო. რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროს, იგი ალექსანდრე ორბელიანს არ გააჩნდა. ესაა ერეკლე მეფეზე დაწერილი პირველი მხატვრული ნაწარმოები (თუ არ ვიგულისხმებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“).

ალექსანდრე ორბელიანი იყო ერეკლე მეფის ეპოქისა და პირადად ერეკლეს ცხოვრებისა და ღვაწლის შესანიშნავი მცოდნე. მან ზედმინევით კარგად იცოდა, კერძოდ, საბრძოლო ასპარეზზე ერეკლეს პირველ გამოსვლასთან დაკავშირებული ამბები. ჩანს, ერეკლეს მიერ გადახდილ ამ ომს მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნეიშნის ბრძოლას მართლაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ მან ფსიქოლო-



გიური გარდატეხა მოახდინა იმედდაკარგულ ქართველთა შეგნებაში.

ნაშრომში „დალისტინითგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“ ალექსანდრე ორბელიანი წერს: „ეს პირველი ომი ირაკლისა ასეთი განმადლიერებელი იყო ქართველებისა, რომ ველარსად ვერ შეიკავებდა მტერი თავსა, თუ ირაკლი იქ იყო მაშინვე დაამარცხებდნენ“.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებიდან ფაქტობრივად ახალი ხანა იწყება ჩვენი ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლათა ისტორიაში. აი, ამან განაპირობა ალექსანდრე ორბელიანის ესოდენ დიდი დაინტერესება სახელდობრ ნეიშნის ბრძოლით. ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს საგანგებოდ ეხება მწერალი სტატიაში „ქართველების ძველი დრო“ და აგრეთვე მემუარული ხასიათის ნაშრომში „პირველი ამბავი მეფის ირაკლისა მეორისა“.

ასე რომ, ალექსანდრე ორბელიანის მიერ ერეკლე მეფის პირველ საბრძოლო ნათლობაზე დრამატული თხზულების შექმნა არ ყოფილა შემთხვევითი. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორმა ბრწყინვალედ იცის ეს ეპოქა, რომელსაც მხატვრულ სახეებში აცოცხლებს. პიესაში გამოყვანილი არიან ისტორიული პირები: ერეკლე მეორე და მისი მშობლები — თეიმურაზ II და თამარი, გივი ჩოლოყაშვილი (ერეკლეს გამზრდელი) და მრჩეველი, თავადი რევაზ ბებურიშვილი, ზაქარია გაბაშვილი (მეფის მოძღვარი), ერეკლეს დები — ანა და ქეთევან.

პირველი მოქმედების დასაწყისში ვეცნობით ფშავში გადახვენილ იმედგადაწურულ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ თეიმურაზ მეორეს. მისი უნუგეშობა გამონვეულია საქართველოს სავალალო მდგომარეობით: „რა ზარია დაცემული იმ ჩვენს მშობელ მამულზედ! აღმოსავლეთიდგან მტერი ებრძვის, დასავლეთიდგან მტერი, სამხრეთიდგან მტერი, ჩრდილოეთიდგან მტერი, მტერი, მტერი! აიმსო მტერთა საქართველო, უნდათ ჩვენი მცირედი საქართველო წარიტაცონ, არ ვიცი რომელ ერთს უნდა განვდეს, რომელს ერთს! რა საშინელ უბედურებაშია ჩავარდნილი ჩვენი საქართველო!“ მაგრამ აქვე გამოჩ-

ნდება თეიმურაზის თხუთმეტი წლის ვაჟი ერეკლე და მკითხველს შეუძლია განჭვრიტოს, რომ მისი სახით გაკვესა იმედის ნაპერწკალმა, საქართველოს მოველინა მხსნელი.

თეიმურაზი ეტყვის შვილს: „ახლა თხუთმეტი წლის ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცურად უნდა მოიქცეო“. მამის სიტყვები ღრმად ჩააფიქრებს ერეკლეს: „ეს სიტყვა გულზე დამრჩა ძლიერად! ჰოო, ვაჟკაცი თხუთმეტი წლისაო, სხვა ვაჟკაცობა სადღაა? განა ხმალი უნდა ვიტვირთო ახლა“. ბურანში მყოფ ერეკლეს გამოაფხიზლებს და გარკვეულ გზაზე დააყენებს მისი გამზრდელი გივი ჩოლოყაშვილი: „შენ უნდა ქართველების მსხვერპლი იყო და ქართველებს შეენირო მონამეთ“.

აქედან უკვე იწყება ერეკლეს აქტიური მოქმედებაც. ჯერ მშობლებისგან ნებართვას მოითხოვს, რომ სოფლებში გავიდეს და იცნოს ხალხმა, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად შეუდგება მზადებას, რათა უშველოს გასაჭირში ჩავარდნილ სამშობლოს. დედოფალიც უყოყმანოდ ისტუმრებს შვილს მტერთან საბრძოლველად (სხვათა შორის, არ ჩანს ის შინაგანი წვა და დუღილი, რაც ასეთ შემთხვევაში მშობლის გულში ჩაღდება).

თამარ დედოფლის სახით ჩვენს წინაშე დგას პატრიოტი ქალი, ვახტანგ VI-ის ღირსეული ასული, რომელიც ერთადერთ ძეს შემდეგი სიტყვებით არიგებს და ულოცავს გზას: „შვილო ირაკლი, ერთობით მოვსულვართ შენთან, გვინდა გზა დაგილოცოთ, თუმცა საშინელი განსაცდელის გზა, მაგრამ შენის უბედურის ძმების გამოხსნისა არა ერთის ბარბაროსებისაგან, არამედ რავდენტაგან. შვილო, მიიღე ლოცვა-კურთხევა ჩემი დედობრივი, დედისგან გამომეტებული სრულის გულით. ამ ჩემ ძელჭეშმარიტსა, ნაწილებით მოჭედილსა, ყელზე გამოგვიკიდებ. ეს გიძლოდეს სისხლის ღვარში, ირაკლი, იმ ჩვენი სისხლის მსმელების ომებში, რომელთაცა ქართველების ამოთხრა უნდათ საქართველოთგან ძირითურთ: წადი, ნუ დაზოგავ თავსა ნურას გაჭირვებაში. ასე გაშფოთებული ვარ უწყალოს ჩვენის მტრებისგან, რომ აღარ კვნესის ჩემი გული“.

ერეკლეს მოქმედება, უფრო სწორად, ბრძოლისათვის სამზადისი იწყება ფშავიდან. პირველ მოქმედებაში ნაჩვენებია ის,

რომ პატარა კახი მთიელთა ( ფშავ-ხევსურთა) შორის გვეხვება ლებს, ეძებს და პოულობს კიდეც. თანატოლი ფშაველები და ხევსურები უყოყმანოდ ამოუდგებიან გვერდით. ერეკლე მთიელთა ძალებით ჩამოდის ალავერდში.

მეორე მოქმედებაში ერეკლეს უკვე ბარში, ალავერდის მიდამოებში ვხედავთ. ერეკლეს გამოჩენამ აქ დიდი სიხარული გამოიწვია და იმედის ცეცხლი დაანთო. „გვინდოდა წინამორბედი და ღმერთმაც მოგვცა. ახლა ჩვენ ვიცით ვაჟკაცთ ქართველებმაო... შენი ჭირიმე ბატონიშვილო! უმწყესოს ცხვარს ნადირი შესჭამს, მაგრამ ახლა აღარ ვნუხვართ, ქართველები, კარგი ქართველების მწყემსი გამოხვედი ფშავის მთებიდანა“. ერეკლემ ფეხზე დააყენა ბარიც.

მესამე მოქმედებაში კი უშუალოდ ბატალური სცენის, ბრძოლის სურათებია ნაჩვენები, მაგრამ არა ნეიშნის მინდორზე, არამედ თელავის მახლობლად. მწერალმა კარგად იცის, რომ ეს არაა ისტორიული სიმართლე, ამიტომაც შენიშნავს: „პირველი ომი ირაკლისა ნეიშნის მინდორზე იყო, აქ თელავში მხოლოდ სახესათვის დავსწერე“. მაინც რისთვის მოიქცა ასე? იმისთვის, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა (მოეთხრო) ბრძოლის პერიპეტიები. ბრძოლის მიმდინარეობას მეფე და დედოფალი ციხის გალავნიდან უყურებენ და მათი საუბრიდან იგებს მკითხველი, როგორ მიდის საქმე, რა ხდება ბრძოლის ველზე.

მეოთხე მოქმედება კი თბილისში მიმდინარეობს, ე.ი. ჩანს, დედაქალაქი მტრისაგან გათავისუფლებულია. როგორც ვხედავთ, მწერალი „ვერ ჩაეცია“ 1735 წლის ბრძოლის ჩარჩოებში და გააფართოვა ერეკლეს მოქმედების არე, მიუმატა უფრო გვიან მომხდარი ეპიზოდებიც, კერძოდ, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება (რაც მოხდა 1744 წელს). „ქართლიც გაგვიერთდა საქართველოს ერთ სამეფოდ“, — აცხადებს ერეკლე.

წინარმოებს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ერეკლე მეორის დიდი სიყვარული და პატივისცემა. ერეკლე ქართველ თავადაზნაურობასთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს მხსნელად. წინასიტყვაობაში მწერალი ამბობს:

„ეს ამბავი ბატონიშვილის ირაკლის დროისა იმიტომ ამოვიჩიე მე, რომ იმის ყმანვილობას მოუხდება ეს ტრაგედია. დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია იმოტელა ყმანვილისაგან სხვა მაგალითი არ იყოს არსად ქვეყანაზედ“.

თუ გავიხსენებთ, რომ ალექსანდრე ორბელიანს აქვს წერილებისა და ნარკვევების მთელი სერია ერეკლე მეფეზე, გასაგები გახდება ზემოდამოწმებული სტრიქონების აზრი და მნიშვნელობა.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ როგორც „დავით აღმაშენებელში“, ამ ნაწარმოებშიც მწერალს მოქმედ პირებად გამოჰყავს ქალები, რომლებიც თავიანთი ქმრებისა და ძმების გვერდით დგანან და იარაღით ხელში აქტიურად მონაწილეობენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ეს ქალები არიან: სიდონია, ბარბარე, მელანია, ვარდუა, კეკე, აგრეთვე ფშაველი დედაკაცები და სხვა. ისინი არა მხოლოდ ამხნევებენ მამაკაცებს, აგულიანებენ და ბრძოლისაკენ მოუწოდებენ, არამედ თვითონაც საჭირო შემთხვევაში იარაღით მოქმედებენ და, საერთოდ, დიდ როლს თამაშობენ მტერთაგან საქართველოს მიწა-წყლის გათავისუფლებაში.

აქ ზედმეტი არ იქნება დავიმოწმოთ ალექსანდრე ორბელიანის ერთი ისტორიული ნარკვევი, რომელშიც საუბარია ქალების მონაწილეობაზე ნეიშნის ბრძოლაში: „ამ ომში დამსწრეთ, ვისთვისაც უანბიათ იმ ომის ამბავი, მეც იმათგან გამიგონია ასე: პატარა ბატონის ირაკლის ჩუსვლა რომ გაუგონიათ ქიზიყში, დედაკაცებს კაცებისთვის აღარ დაუცდიათ, იმათ გამოუყვანიათ ცხენები და იარაღიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისთვის ამ სიტყვებით: „წადით, დაიხოცენით მამულისათვის. დღეს თუ ხვალე სულერთია სიკვდილიო, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის წინ დაანთხიეთ თქვენი ერთი მუჭა სისხლიო“. აი, სწორედ ასეთი გამამხნეველ-შემგულიანებლის როლს თამაშობენ ქართველი დედაკაცები ალექსანდრე ორბელიანის პიესაშიც.

წინარმოვებში წამოჭრილია ერთი ახალი პრობლემაც, რომელიც ქართველ მწერალთაგან მანამდე არავის დაუყენებია. ესაა მთისა და ბარის ერთიანობის საკითხი. ქართულ მწერლობაში მისი წამოჭრა განაპირობა საქართველოს სპეციფიკურმა რელიეფმა. „საქართველო უპირატესად, მთიანი ქვეყანაა (მთას მისი ტერიტორიის ორი მესამედი უკავია) და გასაგებია, რომ მთამ დიდი როლი შეასრულა მცირერიცხოვანი ერის ისტორიაში. მთის, ბუნებრივი ზღუდეების გარეშე ვერ მოხერხდებოდა მოგერიებითი, თავდაცვითი ომების წარმოება მრავალრიცხოვან აგრესორთა წინააღმდეგ... მთა არა მარტო ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს იფარავდა, არამედ ომში დამარცხებულ მეომრებსაც, რომელთაც „უკან დასახევი“ გზა ჰქონდათ, რომ შემდგომში შეტევისათვის მომზადებულიყვნენ. ამავდროს მთა სურსათ-სანოვაგის სამალავიც იყო (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი)“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები).

და აი, ქართული მთის ეს დიდი როლი მხატვრულად წარმოსახა ალექსანდრე ორბელიანმა. საქართველოს გათავისუფლების საქმე აქ მთიდან იწყება. ერეკლე ხომ მთიდან ჩამოდის ბარის დასახსნელად. საქართველოს მთიანეთი დახმარების ხელს უწყვედის კახეთს. ბარის გასაჭირი მთის გასაჭირიცაა. ფშაველი მწყემსი კვენისის მოძმე ბარელების გასაჭირის გამო: „ჩვენო გამომზრდელი მიწის მოსავალო, თქვენ მაინც ნუ უღალატებთ საქართველოს, კარგი მოსავალი მოდი, რომ მშვიერი მაინც არ ამოეხუთოთ უკანასკნელი სული ბარის ქართველებსა“.

აი, ეს სიტყვები ღრმად ჩააფიქრებს და შემდგომი მოქმედებისათვის თავისებურ ბიძგს აძლევს ერეკლეს: „გესმის ყურო? იქ ბარში ბარის ქართველი კვდება ტანჯვით, აქ მთაში უკვენისის გული უბირს ქართველს მთისას? ჩვენ რა გვამართებს ამის შემდგომ?“ და მართლაც, მთა და ბარი ერთიანდება, რასაც მოჰყვება ბრწყინვალე გამარჯვება (მთისა და ბარის ერთიანობის იდეა შემდეგ დიდებულად გვიჩვენებს აკაკი წერეთელმა „პატარა კახში“ და ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“, მაგრამ პირველობა ამ საქმეში ალექსანდრე ორბელიანს ეკუთვნის).

ბრძოლამ მოითხოვა დიდი მსხვერპლი. სარიდანის სიკვდილის შემდეგ თავს აღარ იცოცხლებს მისი ახალგაზრდა ცოლი მელანია (კლდიდან გადავარდება). თავს იკლავს მელანიას დედა სიდონიაც და ბოლოს რევაზიც (მელანიას მამა) თავს ჩაიქოლავს. ასეთი მწუხარებით მთავრდება ნანარმოები (და, ალბათ, ამიტომ უნოდა მწერალმა მას ტრაგედია), მაგრამ ასეთი პესიმისტური განწყობილება არ შეეფერება პიესის საერთო ტონსა და ხასიათს. ეს საერთო ტონი კი, ვფიქრობთ, ოპტიმისტურია. მართალია, საქართველო ამჟამად დაკუთბულ-დაჩაჩანაკებულია, მაგრამ ის მალე მორჩება, ფეხზე წამოდგება. ამის მაუწყებელია დაკუთბული ახალგაზრდა თავადიშვილის ბესარიონის (იმდროინდელი საქართველოს სიმბოლური სახეა) მორჩენა ალავერდის სასწაულის ძალით (დაკუთბული ბესარიონი გვაგონებს ბრძოლაში დაჭრილ ლუხუმს, რომელსაც გველი მოარჩენს). ამ სასწაულით გახარებული გმირისეული (ბესარიონის გამდელი) აღტაცებით წამოიძახებს: „ახლა კი იმედი მაქვს, საქართველოც გამთელდება“. და მართლაც, სულ მალე გამოჩნდება ცხენზე ამხედრებული ყმანვილი ერეკლე (ესაა ბესარიონის მიერ სიზმარში ნანახი პატარა ბიჭი, რომელმაც უნდა იხსნას საქართველო).

ბესარიონი ასე მიმართავს ერეკლეს: „მშვიდობა შენი მობრძანება, ირაკლი! შენი ფეხი კარგი იქნება უთუოდ. აქამდისინ რაც ვიყავ, ერთი ათად შევიქნები ეხლა და სხვა ქართველები ხომ რასაკვირველია. გვინდოდა წინამორბედი და ღმერთმა მოგვცა!“ (ხოლო, თუ რა შედეგი მოჰყვა ერეკლეს გამოჩენას, ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი).

საინტერესო სახეა ზემოთ ნახსენები გმირისეულ, რომელიც ბევრად გვაგონებს მტკიცე ნებისყოფის ქალს, ჭირში გაუტეხელ სანათას (ვაჟას „ბახტრიონიდან“). აი, როგორ უყვება იგი თავის გასაჭირზე ერეკლე ბატონიშვილს (ისე როგორც სანათა მოუთხრობს თავის თავგადასავალს კვირია მათურელს): „ჩემო ხელმწიფე! მამა მყვანდა, ომში მოკლეს მტრებმა, ჩემი ქმარიც ომში, ექვსი ჩემი ძმა კიდევ ომში, ორი მოსწრებული ჩემი შვილი — ისინიც ომში. ბოლოს დავრჩი ერთი ღერი დედაკაცი უშვი-

ლო, გულგაკერპებული მტრის ჯავრით. რაღა უნდა მექნა? ავდექი და ამ ჩემს ბატონის (ბესარიონის — ნ.ვ) სახლში შემოველ და ეს სამი წლისა მე გავზარდე ამ დროულს ყმანვილკაცად დიდის ჭირნახულით, მაგრამ აქაც არ მამეშვა უბედურება: ამ ბესარიონის მამაც ომში მოკლეს, ამის დედის ძმაც ომში, ამის დედაც მწუხარებამ მოკლა, ამის დასაც თოფი ჰკრა ლეკმა და თხუთმეტის წლის ქალმა ჩვენ წინ დალია სული. ესენი რაც მოგახსენე, სულ ჩემის ხელით დამარხულან მინაში და აი ამათზე მაცვია შავი, ბატონიშვილო ირაკლი!”

როცა ერეკლესგან მოისმენს სანუგეშო სიტყვებს („ლომი ისევ ლომია და თავის გვარს არ დაჰკარგავს არას საშინელსა შემთხვევაში“), გამდელი მუხლებზე მოეხვევა და აღტაცებით მიუგებს: „შენამც გენაცვლება ჩემი თავი. ასეთი სიტყვებით და მით ბრძანეთ, რომ მე მჯერა ყოველი ეგ“.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანის „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო...“ იყო ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო აკაკი წერეთლისათვის „პატარა კახზე“ მუშაობისას. ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებში ბევრი მოქმედი პირი (ერეკლე II, თეიმურაზ II, დედოფალი თამარი, გივი ჩოლოყაშვილი, რევაზ ბებურიშვილი) საერთოა. მთელი რიგი ეპიზოდები და პასაჟები ერთმანეთთან ახლოსაა.

ეს სიახლოვე განსაკუთრებით შესამჩნევი გახდება, თუ ერთმანეთს შევუდარებთ ალექსანდრე ორბელიანის პიესას და „პატარა კახის“ პროზაულ ვარიანტს — „ირაკლი ბატონიშვილი“. მეტიც, ჩვენ გვგონია, რომ მთისა და ბარის ერთიანობის იდეა, რასაც აკაკიც ქადაგებს, ალექსანდრე ორბელიანის ნაწარმოების გავლენის შედეგია.

ცხადია, ზემოდასახელებულ ნაწარმოებთა შორის ბევრ რამეში განსხვავებაცაა. ერთ-ერთი დიდი განსხვავება ისაა, რომ ალექსანდრე ორბელიანს ერის ბურჯად თავადაზნაურობა მიაჩნია. ერთი მოქმედი პირი (ბესარიონი) ამბობს: „გალმა მხარის გლეხკაცნი გაგვიოსმალდნენ სულერთიან, მაგრამ ჩვენ თავადაზნაურნი ვდგევართ მამაპაპისებურად მაგრა და ვერც შეგ-

ვირყევენ გულსა ვერას საშინელებაში". ნაწარმოებში სამშობლოსათვის მებრძოლები არიან მხოლოდ მაღალი ფენის შვილები, რაც შეეხება გლეხობას (ნინუა, ვარდუა და სხვა), ისინი დახატულნი არიან როგორც თავიანთი ბატონების ერთგული ყმები, რომლებიც გამათავისუფლებელ ბრძოლაში სრულიად არ ჩანან. „პატარა კახში“ კი გლეხობა აქტიური ძალაა, რომელიც თავადაზნაურობის გვერდით მედგრად იბრძვის თავისუფლებისათვის. აკაკი საგანგებოდ მიუთითებს, რომ სწორედ გლეხკაცობამ გადაწყვიტა ომის ბედი, თორემ ერეკლე პირველსავე ბრძოლაში დამარცხდებოდაო. შემდეგი: ალექსანდრე ორბელიანი არ გვიჩვენებს წარსულის ლაქას, აკაკი წერეთელი კი წარსულში დადებითთან ერთად უარყოფითსაც ხედავს და არ ერიდება, სამზეოზე გამოიტანოს ის.

როგორც „დავით აღმაშენებელი“, „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დროც“ უფრო „საკითხავი დრამაა“, ვინემ სცენაზე წარმოსადგენი ნაწარმოები. პიესა კომპოზიციურად სუსტადაა შეკრული, ბევრ პერსონაჟს აკლია ინდივიდუალური ნიშნები.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ; ალექსანდრე ორბელიანის ორივე ისტორიული პიესა ძირითადად რომანტიკულია, მაგრამ მათში გვხვდება რეალისტური თხზულებისთვის დამახასიათებელი შტრიხები და განწყობილებანი. გარდა იმისა, რომ მოქმედ პირთა ერთი ნაწილი ცნობილი ისტორიული პირები არიან, ამ ნაწარმოებებში მთელი რიგი ეპიზოდები, ცალკეული პასაჟები და სიტუაციები მართლაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, რაც აქტუალური იყო მეცხრამეტე საუკუნეშიც. ე.ი წარსულის დახატვით ალექსანდრე ორბელიანი თანამედროვეობასაც ეხმაურება, ისტორიული წარსულის სურათებს იყენებს თანამედროვეთა შორის პატრიოტული გრძნობის გასაღვიძებლად. ✓

ამ საქმეში ერთი პირველთაგანია გიორგი ერისთავი თავისი „ოსური მოთხრობით“, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწერა. როგორც ცნობილია, ამ „პოემაში ლაპარაკია წარსულზე, მაგრამ მიზანში თანამედროვეობა და თანამედროვენი არიან... პოემაში აშკარად იგრძნობა ის შეხედულებ-



ბები და იდეები, რომლებიც შეთქმულთ და კერძოდ ჩვენს პოეტს ჰქონდა იმ დროს“.

დიახ, გიორგი ერისთავმა ისტორია ჩააყენა თანამედროვეობის სამსახურში. „ოსური მოთხრობა“ პატრიოტულ სულისკვეთებას უღვიძებდა ქართველებს. ამასვე ცდილობდა ალექსანდრე ორბელიანიც თავისი ისტორიული თხზულებებით და, კერძოდ, ჩვენ მიერ განხილული ისტორიული დრამებით. დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეფის სახეები ყოველთვის იყო ქართველ მწერალთა შთაგონების წყარო და საუკეთესო საშუალება ხალხში ეროვნულ-პატრიოტული იდეების გასაღვივებლად.

ალექსანდრე ორბელიანის „დავით აღმაშენებელსა“ და „ბატონიშვილი ირაკლის პირველ დროში“ გატარებული რიგი აზრები და შეხედულებანი (როგორიცაა, მაგალითად, კავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეა, ქალების აქტიური მონაწილეობა ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეში, მთისა და ბარის ერთიანობის ქადაგება და სხვა) დღესაც ცხოველმყოფელია და აქტუალური.



## ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ეპოქა, როდესაც ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა პოეტს, მეტად რთული და თავისი არსით არაერთგვაროვანი იყო. ეპოქის ცენტრალურ მოვლენად საქართველოს რუსეთთან შეერთება იქცა. დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ცხადია, გამოიწვია ქართველი ერის განუზომელი მწუხარება. იმ დროიდან საქართველო გადაიქცა „მწუხარების სახლად და სევდის სადგურად“. სწორედ ამის გამო გაჩენილი სევდა, პესიმიზმი გახდა ერთ-ერთი წყარო ქართული რომანტიზმის წარმოშობისა, რომლის კოლორიტული წარმომადგენელიც ვახტანგ ორბელიანია.

ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1812 წ. 5 აპრილს. ჰყავდა ორი ძმა – ალექსანდრე და დიმიტრი.

დიმიტრი (1808-1868) სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ვახტანგთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგში (აქ ცხოვრობდა ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან). შევიდა სამხედრო სასწავლებელში (გვარდიის პოდპორუჩიკთა სკოლაში). 1830 წ. 6 აგვისტოს მიიღო ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პროპორშჩიკობა, მონაწილეობა მიიღო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში (1830 წ.) შემდეგ ერთხანს პეტერბურგში მსახურობს, ხოლო 1832 წ. საქართველოში ბრუნდება. გზად, მოსკოვში რომ გამოიარა, ინახულა ოქროპირ ბატონიშვილი, რომლისგანაც გაიგო ფარული საზოგადოების არსებობა. შეთქმულებაში ჩააბეს ძმებმა ალექსანდრემ და ვახტანგმა. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ დაპატიმრება, გასამართლება და გადასახლება კალუგაში (დედასა და ძმასთან ერთად)...

50-იან წლებში იყო თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი – მარშალი. 1856 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი. გარდაიცვალა 60 წლისა. დაკრძალულია ქაშუეთში.

დიმიტრის ცოლად ჰყავდა ივანე ორბელიანის ასული მარია-მი. მარიამის უმცროსი და — სოფიო — იყო გრიგოლ ორბელიანის დანიშნული და რამდენიმე სამიჯნურო ლექსის ადრესატი. 1863 წ. როცა გრიგოლი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო გადასახლებიდან, სოფიო ცოლად გაჰყვა კავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრს ნიკოლაი ბეზაკს.

დიმიტრის მეუღლე, მარია-მი, ყოფილა ულამაზესი და უგონიერესი ქალი. ალექსანდრე დიუმა „კავკასიაში“ წერს: „ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა ნარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხვდით, რომც არ იცნობდეთ კიდევ, უსათუოდ მოწინებით თავს დაუკრავთ, ისეთი პატივისცემით იმსჯელება მნახველი მისადმი“.

დიმიტრიმ თურმე მეუღლეს გაანდო შეთქმულების ამბავი, რაზედაც მარიამმა უპასუხა: „ამაზე დიდი ხანია, უნდა გეფიქრათ“. ეს ქალი შემდეგ დიმიტრის ნებაყოფლობით გაჰყვა გადასახლებაში (კალუგაში). მარიამი გარდაიცვალა 1866 წ.

დიმიტრისა და მარიამს ჰყავდათ ერთადერთი შვილი ელისაბედი (ლიზა) დაიბადა 1838 წ. ელისაბედი, ულამაზესი ასული, ცოლად ჰყავდა ჯერ კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტს, პოლკოვნიკ დავიდოვ-გრამონს, ხოლო შემდეგ (როცა ქმარს გასცილდა), — ალექსანდრე ბარიატინსკის (მეფის ნაცვალის იყო 1856-1862 წლებში).

ვახტანგი 13 წლამდე უშუალოდ დედის, თეკლა ბატონიშვილის ხელმძღვანელობით იზრდებოდა. მან პატარაობიდანვე ოჯახშივე კარგად შეისწავლა, სხვათა შორის, ფრანგული ენა. 1825 წ. მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1828 წელს შეიყვანეს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში, მაგრამ ესეც არ დაუსრულებია. ჩრდილოეთის ჰაერმა ცუდად იმოქმედა მასზე, ავად გახდა და მომდევნო წელსვე (1829 წ.) სამშობლოში დაბრუნდა. აქ იგი აქტიუ-

რად ჩაება 1832 წლის შეთქმულებაში. გადასახლებული იყო ქ. კალუგაში დედასა და ძმასთან (დიმიტრისთან) ერთად.

გადასახლებიდან დაბრუნდა 1838 წ. და შევიდა სამხედრო სამსახურში. 1858 წ. მიიღო პოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა ყუბანის მაზრის მმართველად. 1860 წ. მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი და დაინიშნა თერგის მხარის უფროსად. 1864 წ. დაბრუნდა საქართველოში. 1881 წლიდან სამხედრო სამსახურს თავი გაანება. გარდაიცვალა 1890 წ. დაკრძალულია სიონის ტაძარში. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავალი სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა რუსეთში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისაგან, მათ შორის მოსკოვიდან ალექსანდრე ხახანაშვილისა: „ჩემი მწუხარებაც დაურთეთ ქართველთა მწუხარებას პოეტი რომანტიკის ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო და შეამკეთ საფლავი მისი გვირგვინით, რომელსაც ზედ წაანერთ: „მგოსანს წარსულისას“.

ვახტანგ ორბელიანის მეუღლე იყო სილამაზითა და გონიერებით განთქმული ეკატერინე ილინსკაია (შეირთო 1844 წელს), რომელთანაც ჰყავდა ორი შვილი – ნიკოლოზი (შემდეგში ცნობილი იურისტი, კიტა აბაშიძისა და და ივანე ჯავახიშვილის სიმამრი) და მარიამი (ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც სოფელ ლამისყანაში გლეხთა ბავშვებისათვის გახსნა სკოლა). ამ მარიამს მამამ მიუძღვნა ლექსი — „დიდის კარის წინ“ მოხუცებული მამა დანყლულებული გულის მანუგეშებლად სახავს შვილს. მარიამი იყო ინიციატორი ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემისა (1894 წ.). სხვათა შორის, ამ გამოცემას ერთვის ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა (მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა). თხზულებათა მეორე სრული კრებული გამოვიდა 1928 წ. ვახტანგ კოტეტიშვილის ინიციატივითა და რედაქციით.

ვახტანგ ორბელიანის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები (პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი...), რომელიც პოეტმა საკუთარი ოჯახიდან მიიღო და

გაითავისა. პოეტი დაიბადა და აღიზარდა ისეთ წრე-გარემოში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო გარდასულ დღეთა კულტი და მოგონება. მისი ოჯახი იყო უაღრესად კულტურულ-მნივნობრული; განთქმული თავისი საშინაო ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი. ამ ოჯახში „სისტემატურად ეწყობოდა შეკრებანი, სადაც ახალ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ, მსჯელობდნენ მიმდინარე პოლიტიკაზე, კითხულობდნენ ქართულ, რუსულ, აღმოსავლურ და ევროპულ მხატვრულ თხზულებებს. ვახტანგ ორბელიანმა მამისეული ბიბლიოთეკა შეავსო ახალი წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით. ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ გარეშე პირებიც. 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ზაალ ავთანდილაშვილი თავის ჩვენებაში ამბობდა: „ვახტანგ ორბელიანს ვიცნობდი, ამიტომ ზოგჯერ დავიარებოდი ხოლმე მასთან დროს გასატარებლად, სადაც ჩვენ ერთად ხშირად ვკითხულობდით ხოლმე მის მიერ ს. პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებაც მსჯელობას ვმართავდით ხოლმე“. ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგ ორბელიანის ოჯახი იყო ერთგვარი ლიტერატურული სალონი, სადაც იკრიბებოდა იმდროინდელი მოწინავე ახალგაზრდობა. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ვახტანგ ორბელიანის ლექსი — „ძველს მეგობარს“, რომელშიც პოეტი მიმართავს დიმიტრი ყიფიანს:

**მოდირკინისგზა გვერდით გაქვს, მოსვლა არ გაგიძნელდება,  
მოდირკინისგზა გვერდით გაქვს, მოსვლა არ გაგიძნელდება,  
იმის ფურჩხნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ:  
გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ.**

აქედან ნათლად ჩანს, რომ ვახტანგ ორბელიანის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი წყარო დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კულტურა და ლიტერატურაც იყო.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ლიტერატურული სალონი იყო ერთგვარი შირმა, ნილაბი შეთქმულთათვის. შეთქმულების ხელმძღვანელებს ვახტანგ ორბელიანისთვის დაუვალეზიანთ შეთქმულებაში

ახალი ნევრების ჩაბმა და, როგორც დოდაშვილი ამბობდა, „სამშობლოს სიყვარულის გასავრცელებლად“ აგიტაციის ჩატარება.

ეს რთული და სერიოზული დავალება მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს, კონსპირაციას და ვახტანგ ორბელიანმაც სრულიად შეგნებულად, თანამზრახველთა უშიშრად შეკრების მიზნით ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბა. წრის წევრნი ყოფილან: ზაალ ავთანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი ჯორჯაძე და სხვ. მთავრობისა და დაინტერესებულ პირთათვის თვალის ასახვევად ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ წრე ამზადებდა წარმოდგენას და საზოგადოებას მალე უჩვენებდნენ პ. ა. კარატიგინის კომედიას „ზნაკომიე ნეზნაკომცი“, რომელიც ვახტანგ ორბელიანმა თარგმნა ქართულად (ეს თარგმანი დღეს დაკარგულად ითვლება). რეპეტიციების საბაბით „მამულის გამოსხნის“ მსურველნი უშიშრად იკრიბებოდნენ თეკლე ბატონიშვილის სახლში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ორბელიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-ფორმირებაში გადამწყვეტი სიტყვა მშობლებმა თქვეს. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, პოეტის მამა პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი მწიგნობარი პირი იყო და ლექსებსაც წერდა. (სამწუხაროდ, მისი ლექსები ჩვენამდე არაა მოღწეული). დედა, თეკლე ბაგრატიონი, მეტად ჭკვიანი და განათლებული ქალი ყოფილა. თეკლეს წერდა ლექსებს (ასე რომ, პოეზიის სიყვარული და ნიჭი ვახტანგსა და მის ძმებს მემკვიდრეობით გადმოეცათ). თეკლეს ლექსები („რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი“, „ყოველთ მოდასეთა დაისრეს გული“, „მოგახსენებთ ყოველთა აზიელთ ერთა“), სამშობლოზე ფიქრითა და წუხილითაა გაჟღენთილი. „ის, რაც ვერ მოახერხეს მრავალრიცხოვანმა ბატონიშვილებმა — ალექსანდრემ, იულონმა, თეიმურაზმა, დავითმა და სხვებმა, — ირაკლის ქალებმა განიზრახეს თავისი ლექსებით. ეს ლექსები ბატონიშვილებისაგან ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდნენ ერთხანს“ (ლევან ასათიანი).

ერეკლე მეფეს თავისი შვილებიდან განსაკუთრებით უყვარდა თურმე თეკლე. „ჩემს ვაჟიშვილებს, ჩემი თეკლეს სიკეთე

რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდით“, — იტყოდა თურმე მეფე. ამ სიყვარულს თეკლემ მსურვალე სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდა. ფაქტობრივად ოჯახში ჩაეყარა საფუძველი ძმები რომანტიკოსების — ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ესოდენ ფანატიკურ სიყვარულს ერეკლე მეფისა და საქართველოსი. მოვუსმინოთ ვახტანგ ორბელიანს:

**სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,  
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება,  
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომიტხრობდა  
ის უამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...  
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა  
ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა.**

აღსანიშნავია, რომ 1832 წლის შეთქმულებაში პირადად თეკლემ და მისმა სამივე ვაჟიშვილმა მიიღო მონაწილეობა. „საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი პოეტი, თ. ვახტანგ ორბელიანი ასეთი გულწრფელი ტრფიალია თავის სამშობლო ქვეყნისა, ასე გულმწუხარე მგოდებელია მის წარსულის დიდებისა, ასე გულაყრილია აწმყოზე. ყოველი ამისი სათავე უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ ვახტანგი იმისთანა ოჯახში გაიზარდა, საცა ბრძანებლობდა საყვარელი ასული მეფის ირაკლისა, იმ დიდებული მეფისა, რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს, და მაშინ უფრო ხომ ცხოველი იქნებოდა, ნამეტნავად მის საყვარელ და ჭკვიან ასულისათვის. ამისთანა დედა, როგორიც იყო თეკლე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანის წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა... აშკარაა, ჭკვიანის დედის მოთხრობებმა გამოუნასკვეს ჩვენს მგოსანს იგი სიყვარული სამშობლოსი, იგი სიყვარული და ნაღველი წარსულთა დროთა მიმართ, რომელიც დედა-ძარღვად შეექმნათ თავ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიას და ბოლოს ასე უხვად გაიშალა და გაიფურჩქნა მის ლექსებში“(ილია ჭავჭავა-

ძე). დიახ, ვახტანგ ორბელიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ამ სახელოვანმა ქალმა, ერეკლეს უსაყვარელმა შვილმა ჭეშმარიტად დიდი როლი ითამაშა.

ასე რომ, შემთხვევითი არაა, რომ ვახტანგ ორბელიანის ლექსებსა და პოემებში ერეკლე შარავანდედითაა მოსილი, „გმირთა გმირადაა“ წოდებული. ვახტანგ ორბელიანი არ ზოგავს საღებავებს, რათა რაც შეიძლება მაღალი წარმოდგენა შეგვიქმნას ერეკლეს ნიჭსა და წინდახედულობაზე, პატრიოტულ აღტიკინებასა და უკომპრომისო პრინციპულობაზე, ვაჟკაცურ შემართებასა და შორსმჭვრეტელობაზე. არაჩვეულებრივ შთამბეჭდავადაა დახატული პოეტის მიერ ერეკლეს პორტრეტი (ცხადია, დედის ნაამბობის მიხედვით):

**ტანი დაბალი,  
შუბლი მაღალი,  
თვალი გამჭვრეტი, ვით არწივისა.  
მოშაო ფერით,  
ჭალარა წვერით,  
მოსული მკერდი, ბეჭი გმირისა.**

ერეკლემ ყველაფერი იღონა საქართველოს გადასარჩენად, წლების მანძილზე ხმალამოღებული ებრძოდა მაჰმადიან დამპყრობლებს, მაგრამ „სიმხნე გაცრუვდა, სისხლი გაცუდდა“. სხვათა შორის, პოეტი ამბობს, რომ ერეკლეს არ ჰყავდა ღირსეული მემკვიდრე, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მის ხმალს დაატრიალებდა. მოკლედ, ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ერეკლე მეფე დახატულია ყოველმხრივ დადებით, მისაბაძ პიროვნებად, მაგრამ ამავე დროს, ტრაგიკულ მეფედ.

ვფიქრობთ, ვახტანგ ორბელიანის მსოფლმხედველობის ეს ერთი მხარე — ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი სავსებით ჯანსაღია და მისაღები...

ორიოდე სიტყვა პოეტის სოციალური შეხედულებების შესახებ. უფროსი ძმის — ალექსანდრე ორბელიანის მსგავსად, ვახ-



ტანგ ორბელიანიც ფიქრობდა, რომ საქართველოში წინათ პატრონყმობა იყო და არა ბატონყმობა: „ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი, ერთნი არიან ყმა და ბატონი“, და შემდეგ: „უყვარს მოხუცსა (ბატონსა — ნ. ვ.) თვის გლეხნი ყმანი, მისთვის ის ყმანი არიან ძმანი“. თუმცა, ასეთი შეხედულება მე-19 ს. სხვა მოღვაწეებსაც ჰქონდათ. „ჩვენში ეს არასასურველი მოვლენა, ბატონყმობა იყო პირობითი და არა ძალ-მომრეობითი. მონობა თითქმის არ ყოფილა...“ ასეთი შეხედულება გაპირობებული იყო იმ კეთილშობილური სურვილით, რომ ექადაგნათ კლასებს შორის ზავი, რათა ქართული ეროვნული სხეული ყოფილიყო მონილითური და ერთიანი.

მოკლედ ვახტანგ ორბელიანის ესთეტიკური მრწამსის შესახებ. ყველაზე სრულად და რელიეფურად თავის შეხედულებას პოეტის დანიშნულების შესახებ ვახტანგ ორბელიანი გადმოგვცემს ლექსში „ბაქარ ქართველს“, რომელიც დიმიტრი ყიფიანი-სადმია მიძღვნილი. აი, ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

**არ ვარ პოეტი; წყობილის რითმით  
დამშვრალს კაცის თვალს ვერ მოვგვრი ცრემლსა,  
ლექსით ცხოველით, ძლიერით, მდიდრით  
ვერ ავაღელვებ, ვერ აღვძრავ ერსა!**

დამეთანხმებით, აქ ვახტანგ ორბელიანი იმასვე ამბობს, რაც მერე ქართველმა სამოციანელებმა ასე ჩამოაყალიბეს: „რომ ერისა მოძმე ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში“. ამ თვალსაზრისით ვახტანგ ორბელიანი ქართველ სამოციანელთა წინამორბედა.

საპროგრამო ლექსში „პოეტს“ ვახტანგ ორბელიანი ასე განსაზღვრავს პოეტის შემოქმედებით თემატიკას: ბუნება, ისტორიული წარსული, ქალი და სიყვარული, გლეხკაცის ცხოვრება.

ვახტანგ ორბელიანი რადიკალურად გაემიჯნა ლექსის აღმოსავლურ-მუხამბაზურ ფორმას და აშუღურ-ყარაჩოღლურ თემატიკას. ეკამათება რა გრიგოლ ორბელიანს, ვახტანგ ორბელიანი წერს:

**მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა,  
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,  
თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო.**

სამაგიეროდ, პოეტს იტაცებს წმინდა ქართული კილო, „კილო რუსთაველისა“:

**მე მომეცით კილო რუსთაველისა,  
გაფურჩვნილი, ვით ყვავილი ველისა.**

და ლექსი მთავრდება შემდეგი სტრიქონებით:

**რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,  
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,  
ან ლოპიანას, ან დიმიტრი ონიკოვს,  
ჩემი გული სხვა-გვართ სურათებს ითხოვს.**

მართალია, აქ კონკრეტულად გრიგოლ ორბელიანს ეკამათება, მაგრამ ამავე დროს ზოგადად გამოხატავს თავის ესთეტიკურ მრწამსს.

ვახტანგ ორბელიანი საკუთარ პოეტურ დიაპაზონსა და შესაძლებლობაზე არ იყო მაღალი აზრისა, თუმცა თანამედროვენი (და არა მარტო თანამედროვენი) მას ნიჭიერ პოეტად თვლიდნენ და სათანადოდ აფასებდნენ კიდეც. ერთი ასეთი დამფასებელთაგანი იყო ვახტანგის ძველი მეგობარი დიმიტრი ყიფიანი. მაგრამ აი, ვახტანგ ორბელიანის პასუხი დიმიტრი ყიფიანისადმი:

**რისთვის მიწოდებ მე შენ პოეტად?  
გეტყვი: რასაც მწერ, მწერ მეტსა მეტად!  
არ ვარ პოეტი, ნიჭი მაღალი  
ჩემს თავზედ მაღლით არ გადმოსულა,  
და ჩემს გულ-სულში ცით ნაპერწკალი  
პოეზიისა არ აღზნებულა.**

ეს, რა თქმა უნდა, საკუთარი პოეტური ძალის აშკარად მკაცრი შეფასებაა, გადაჭარბებული თვითკრიტიკაა, რასაც, როგორც ვთქვით, სხვები არ ეთანხმებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ქართველი სამოციანელების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის აზრი. ილიას დახასიათებით, „ვახტანგ ორბელიანი ლირიკოსია რომანტიულ შკოლისა“, ეგრედწოდებულ „რომანტიზმს იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი“. ხოლო აკაკი წერეთელი ვახტანგ ორბელიანს უწოდებდა „კალამ-ძლიერ და მადლიან“ მგოსანს („კალამ-ძლიერო და მადლიანო; ქართველად ზრდილო, მირონ-ცხებულო, სულმნათო, ვახტანგ ორბელიანო“). ეს შეხედულება შემდგომი დროის მკვლევარებმაც გაიზიარეს.

რაც მთავარია, ზემოდამოწმებული სტრიქონები ვახტანგ ორბელიანისა ცხადყოფს, რომ რომანტიკოსი პოეტის მსოფლმხედველობა და კერძოდ, მისი შეხედულება პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე მეტად უახლოვდება და ზოგ შემთხვევაში ემთხვევა კიდევ ქართველ სამოციანელთა ესთეტიკურ შეხედულებებს.

ვახტანგ ორბელიანი სამოღვაწეო ასპარეზზე მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდა. როგორც ნიკოლოზ ალანიამ დააზუსტა, პოეტის ჩვენამდე მოღწეული პირველი ლექსი, „ორი შენობა“ 1831 წელსაა დაწერილი.

„ორი შენობა“ ალეგორიული ლექსია. ძველი შენობის სახით აქ იგულისხმება ძველი საქართველო, ხოლო ახალი შენობა განასახიერებს ახალ (მე-19 საუკუნის) საქართველოს. როგორც ცნობილია, ვახტანგ ორბელიანი ხშირად უპირისპირებდა ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს, ძველსა და ახალ საქართველოს. ამათგან პოეტი უპირატესობას ანიჭებდა ძველს. ასეა აქაც. ახალი შენობა ლამაზი ჩანს, გარეთ და შიგნით მისი კედლები მორთულ-მოკაზმულია, გამვლელ-გამომვლელის თვალს იზიდავს მისი მშვენება. სულ სხვანაირია მეორე (ძველი შენობა) — უჭერო, უპატრონო, აოხრებული. მის კედლებს ხავსი და შამბი მოსდებია. ამიტომ ამ შენობის ნახვა ადამიანის თვალს არ იზიდავს, არ იტაცებს... ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ სამაგიეროდ

ახალი შენობა სუსტია. როგორც სუსტ ასულს, მას არა აქვს ღონე, მას ადვილად დაანგრევს სეტყვა და ქარი. ხოლო როგორც კი მისი კედლები დაინგრევიან, იმ ახალი შენობის სახელიც გაქრება. რაც შეეხება ძველ შენობას, ის, მართალია, გარეგნულად ულამაზოა, მაგრამ სამაგიეროდ არის მტკიცე და საიმედო, მას ვერ აშინებს ვერც ქარიშხალი, ვერც დროის დენა. ლექსი იწყება ახალი შენობის აღწერით:

**ორ შენობასა ვხედავ თვალ-წინა...**

ახალთ დროს ტურფად ნაგებია ერთი შენობა,  
მგზავრად მიმავალს თვალს იზიდავს მისი შვენება;  
გარეთ თუ შიგნით მის კედელი არის მორთული,  
როგორც რომ სასძლოდ მშვენიერი ტურფა ასული;  
მაგრამ მის კედელს, ამ დროთ ნაშენს, მისს კირსა და ქვას,  
ვით სუსტს ასულსა, არც ძალი და არც ღონე აქვს.

სულ სხვანაირად გამოიყურება ძველი შენობა:

სავსე ღონითა, ღონით სავსით ხელით ნაშენი,  
კოშკნი მაღალნი, ციხე ვრცელი; წმინდა ტაძარი,  
დიდი პალატი, დიდი არე, როსმე მდიდარი,  
დღეს კი უჭერო, უპატრონო, აოხრებული;  
შამბით და ეკლით მოცულია იმისი არე;  
ვინც მას შეჰხედავს, დაფიქრდება და შეიბრალებს;  
იმის დანახვა გულს აწუხებს, თვალს არ ახარებს.

როგორც ითქვა, ძველისა და ახლის დაპირისპირებისას ვახტანგ ორბელიანი უპირატესობას ანიჭებს ძველს. ახდენს რა ძველის (ე.ი. წარსულის) იდეალიზაციას, პოეტი ამით ჰქმნის ერთგვარ ფონს, რომელზედაც უფრო რელიეფურად გამოჩნდება (გამოიკვეთება) აწმყოს უსუსურობა და უბადრუკობა. ვახტანგ ორბელიანი მისტირის იმ ძველს, გულწრფელად ჰგოდებს და მოსთქვამს იმაზე, რაც იყო და უკვე აღარ არის. ესაა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ძირითადი მოტივი, რაც

თავის დროზე შენიშნა და ნათლად დაახასიათა ილია ჭავჭავაძემ: „უმთავრესი ძარღვი თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენი გულისგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხოვბილს დიდებას, მაგრამ არც იმას გვიმაღლავს, რა ჭირი და ვაგლახი გადახედია საქართველოს“.

დიდებულადაა ნათქვამი, და საყურადღებოა, რომ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ეს „უმთავრესი ძარღვი“ რელიეფურად, ხელშესახებად გამოჩნდა პოეტის პირველსავე ლექსში. ამიტომაც განვაგრძობთ „ორ შენობაზე“ საუბარს. პოეტი გვარწმუნებს, რომ „იმ ერთ (ახალ შენობას — ნ. ვ.) არა აქვს გრძლად დგომისა ღონე საკმარისი, მას დაანგრევენ სამოციის წლის სეტყვა და ქარი“. სამაგიეროდ ძველ შენობას „არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა“.

ასე გამოიკვეთა თავიდანვე ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებითი კრედო. ამ გზიდან პოეტს არასდროს არ გადაუხვევია. იგი ბოლომდე დარჩა ძველი საქართველოს ჭეშმარიტ ტრფილად და გულწრფელ მეხოტბედ.

ვახტანგ ორბელიანი იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი. გადასახლებაში მიმავალი პოეტი 1834 წელს წერს ლექსს „გამოსალმება“, რითაც დაემშვიდობა თავის საყვარელ და სანატრელ საქართველოს:

**მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო!**

**ბორცვნო, ჭალაკნო მშვენნიერნო, ტურფა არენო.**

**მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად მიბჟენილნო,**

**წყალნო აღმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო!**

**მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო; ჩემო მამულო!**

**მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...**

**გმირთ ძეთ სამარევ, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,**

**სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი.**

მკითხველი, ალბათ, უყოყმანოდ დაგვეთანხმება, რომ ამ სტრიქონებშია ჩაღვრილი მამულის, მშობლიური მიწის წრფელი სიყვარულის გრძნობა. ასეთი გრძნობითა და განცდებით ემშვიდობებიან საერთოდ დიდი მამულიშვილები თავიანთ ქვეყანას. ასე დაემშვიდობა მშობლიურ მიწას გიორგი ერისთავიც: „მე ან სოფელი მოყვასთ მაშორებს, და მიხშავს კლიტით მამულის კარებს, ველარ ვისუნთქავ ჰაერის ტკბილით, მისთვის მიბრალე გულით ლმობილით. მივალ, გარნალა სული აქ მრჩების“ (შდრ. ილია ჭავჭავაძე: „სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავინწყებას. თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გული“).

მამულიდან შორს, გადასახლებაში მყოფი პოეტი, ბუნებრივია, ნოსტალგიითაა შეპყრობილი. ვახტანგ ორბელიანი ასე მიმართავს თავის საოცნებო სამშობლოს:

**განდევნილს შორსა, შეუნყნარსა ამ უცხოს მხარეს,  
გული ძლივს მიძგერს, ველარ ვუმზერ შენს ნათელ სახეს!  
რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,  
ის იცის ღმერთმა მაღლა ერთმა, არ ითქმის ენით.**

პოეტი თავის თავს ადარებს უმზისსხივოდ უდროოდ დამჭკნარ ყვავილს და უწყლობით გამხმარ ნერგს:

**რა ველარ გხედავ, სული მიკვნესის, გული მიკვდება,  
ეგრეთ ყვავილი მზის უსხივოდ უდროვოდ ჭკნება.  
თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,  
ვინ ჰკითხავს: „რისთვის აღარ ხარობ და ჰხმები ნერგო?“**

ასე იყო ხოლმე. ასე ემართებოდათ სამშობლოდან შორს მყოფ მამულიშვილებს.

არანაკლებ საინტერესოა ლექსი „მოგონება“, რომელიც როგორც ჩანს, პოეტმა დაწერა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. ლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში იხსენებს იმ დროს, როდესაც სამშობლოს იყო მოშორებული,

და ამბობს, რომ რუსეთში ყოფნისას ვიტანჯებოდი, ყოველთვის ჩემი ქვეყანა მედგა თვალწინ, სულითა და გულით მასთან ვიყავი:

**სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;  
ვიყავ ჭაბუკი, სამშობლოსკენ ინევდა გული.  
დღედაღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა  
ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.  
შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან,  
ჩემს ღარიბ ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან;  
სულ თვალ-წინ მქონდა წარსულთ დღეთა ყოფა-ცხოვრება,  
ჩვენი სიცოცხლის უზრუნველის დროთ მდინარება,  
ჩვენის სამშობლოს მშვენიერნი მთანი და ბარნი,  
ველნი მწვანენი, მთებით უფსკრულს წყალნი მქუხარნი,  
ნათლის ცის ქვეშა ჟამნი-დღენი ნეტარებისა,  
დღენი ღვინისა, შექცევისა და სიმღერისა.**

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ამ ლექსში გადმოცემულია არა მხოლოდ პოეტის პირადი (სუბიექტური) განცდები, არამედ საერთოდ სამშობლოს მოწყვეტილი და ნოსტალგიით შეპყრობილი ქართველის ფიქრები და სურვილები. ამას გვაფიქრებინებს, სახელდობრ, შემდეგი სიტყვები: „სულ ვიყავ მასთან, ჩემს ღარიბ ქოხთან, ჩენს ვენახთან...“

ლექსის მეორე ნაწილში კი პოეტი გვიამბობს იმის შესახებ, რომ რუსეთის უკიდევანო სტეპებითა და ერთფეროვანი ველებით თავმოებურებულ პოეტს ენატრება „ჩვენი სამშობლოს მშვენიერნი მთანი და ბარნი.“

მართალია, ვახტანგ ორბელიანი აქ თავის ერზე, ქართველებზე საუბრობს და არსად არ ახსენებს იმ ერს, რომელთანაც სამშობლოში დაბრუნებამდე ხუთი წელი დაჰყო, მაგრამ სტრიქონებს შორის იკითხება, რომ იქ, რუსეთში სრულიად საპირისპირო თვისებებისა და ხასიათის ხალხი ცხოვრობდა. ეს დაპირისპირება ლექსში აშკარად იგრძნობა და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახტანგ ორბელიანი არ ამბობს, მაგრამ იქ, გადასახლებაში ნახა

ხალხი, რომელთა შესახებაც ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც კარგად იცნობდა რუსთა ყოფა-ცხოვრებას, წერდა:

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა-სმევა აქეთ არეულად,  
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელჰყოფენ მგლურად,  
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად,  
მოყვარეთ ტკბილთა, ხანდაზმულთა,  
გულთა სწყვლენ მტრულად,  
კაცთა მკილავნი, ლიზლნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი.

სამშობლოში დაბრუნდა და უზომოდ გაიხარა:

მესია სევდა, ლოდინითა დაბერდა გული;  
მაგრამ სამშობლოს მოველ ტკბილის ოცნებით სრული.  
აქ არის ჩემი მარგალიტი, ტკბილი ოცნება,  
ვნახავ და გული დაჩაგრული გამიახლდება.  
ვნახე სამშობლო, როგორც კულავ მდიდრად შვენოდა;  
ლურჯი, წმინდა ცა მხიარულად მას დასცქეროდა.  
ისევ ცისკარი, მოჭედილი ვარსკვლავებითა,  
ისევ მთა-ბარნი, შემოსილნი ყვავილებითა,  
ისევ ის ბუჩქნი, გაფურჩვნილნი, ზურმუხტი მდელო,  
ისევ ის ტურფა, მშვენიერი ჩვენი სამშობლო;  
ისევ ის ერი მომღერალი და მხიარული;  
ყველგან სიცოცხლე, მოძრაობა და სიხარული.

აქ შესანიშნავადაა ნაჩვენები სამშობლო ქვეყნის ბუნების მომაჯადოებელი სილამაზე, საქართველოს განუმეორებელი პეიზაჟები. მაგრამ მთავარია მაინც „ის ერი მომღერალი და მხიარული“ („ერი გულადი, პურადი“, — როგორც გრიგოლ ორბელიანი იტყოდა), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს და რომელსაც „ყველგან სიცოცხლე, მოძრაობა და სიხარული“ შეაქვს. ვახტანგ ორბელიანის ზემოდამოწმებულ სტრიქონებში გარკვეულად ჩანს პოეტის ერთგვარი სიამაყე, თავმონონება მშობლიური ბუნებითა და ამ ბუნების უმაღლესი



გვირგვინით — ქართველი ერთი („მოგონების“ წაკითხვამ შეუძლებელია არ გაგვახსენოს გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოემის მესამე თავი — „ჰე, მამულო სასურველო...“).

იმავე 30-იან წლებშია დაწერილი ლექსი „მდინარე ა...ს“ (ალბათ, ალაზანს — ნ. ვ.), რომელშიც ისევ და ისევ მშობლიური ბუნებისადმი პოეტის ნრფელი სიყვარულია გამჟღავნებული: „კვალად მოვედი მე შენს ნაპირსა, კვალად ყურს ვუგდებ შენს ტკბილს ბიბინსა“. ასე იწყება ეს ნაწარმოები, ხოლო შემდეგ პოეტი განაგრძობს:

**ტურფა მდინარევ, შენს ლამაზ ველზედ,  
ზურმუხტის ფერად მწვანით მოსილზედ,  
სატრფო გულისა წევს ბნელს სამარეს,  
ველარ უღიმებს ვარსკვლავთ და მთვარეს!  
შენს ტკბილს ბიბინსა ყურს ველარ უგდებს,  
ვერა, ვერ ჰხედავს ჩემს მწარე ცრემლებს!**

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში საკმაოდ ხელშესახებად ჩანს ვახტანგ ორბელიანის პოეზიისთვის შემდეგში დამახასიათებელი, აგრერიგად ნიშნეული პესიმიზმი, რომელიც გამოწვეული იყო საქართველოს იმდროინდელი ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობით.

ასეთივე პესიმისტურია „დახშულის გულით“, დაწერილი 40-იანი წლების დასაწყისში:

**დახშულის გულით, და ჩაგრულით ვლიდი ამქვეყნად,  
უგზო-უკვალოდ, უსაგანოდ ვეხეტებოდი;  
მშვენიერებას ამ ქვეყანას ვიტანდი ძნელად,  
მომკვლელი სევდა მწარედ მწერტდა, ისე ვკვდებოდი.**

ზევით აღინიშნა, რომ ვახტანგ ორბელიანის პესიმიზმი ნასაზრდოები იყო საქართველოს უუფლებო-კოლონიური მდგომარეობით. ეს რომ ასეა, ყველაზე კარგად გამოჩნდა ლექსში „ბუღბუღი“, რომელიც დაწერილია 50-იანი წლების დასაწყის-

ში. ეს არის ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც საუბარია სამ „საგანზე“: ვარდი, ბულბული და ყვავი. ვარდის ქვეშ იგულისხმება საქართველო, ბულბული არის ვარდის კანონიერი პატრონი, ე.ი. ქართველი, ხოლო ყვავი არის მეფის რუსეთი, რომელიც ვარდს (საქართველოს) ძალად დაპატრონებია და შეუბრალებლად სჯიჯგნის: „ერთ განშორებულს მშვენიერს მტილსა ვარდი ჰყვავდა ნაზად, ნარნარად... გარნა, რა დილა გამოკრთებოდა, ყვავი ყვავყვავით ვარდზედ ჯდებოდა, და მისა ახლოს ბულბული წყნარი, ერთს გამხმარს ხესა სანყლად მჯდომარი, ნაზად და ნელად მწარედ მოსთქმიდა და სჭვრეტდა ყვავსა, ვით ვარდს სჯიჯგნიდა“. მეტიც, ის ყვავი ასე შეუღრენდა სანყალ ბულბულს: ასეთი ცუდი ხმის მქონე ხარ და რად უხეთქავ გულს ჩემგან შეყვარებულ ვარდსო. რითი დამთავრდა ყველაფერი ეს? აი, როგორ დამთავრდა:

**რა განვაგრძელო! მამაცმა ყვავმა,  
ვითა გულითა, სულითაც შავმა,  
გრძლად ვარდთან შვება ვერ მოითმინა.  
ყრიანტალითა და ბრჭყალებითა  
გასჯიჯგნა ვარდი და მსწრაფლ იფრინა  
ვარდიცა დაჭკნდა მინას გდებითა.  
გარნა ბულბული ნაზად და წყნარად  
სტვენდა სიყვარულს მარად და მარად.**

ალეგორიული ხასიათის ლექსები ვახტანგ ორბელიანს სხვაც მოეპოვება. საერთოდ, ალეგორია ფართოდ იყო გავრცელებული მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში (ალექსანდრე ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა), როგორც აზრის (სათქმელის) შენიღბვის ერთ-ერთი ნაცადი ხერხი და საშუალება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ვახტანგ ორბელიანი მთელი ხმითა და მგზნებარებით, მართლაცდა გულწრფელად უმღერის თავისუფლებას (დამოუკიდებლობას). თავისუფლება ყოველი ცოცხალი არსების ბუნებით თანდაყოლილი უფლება-მოთხოვნილებაა

და მისი აღკვეთა-დათრგუნვა შეუძლებელია. საინტერესოა ამ მხრივ ლექსი „გალია“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის შოთა რუსთაველის სიტყვები: „სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა“. აი, ეს ლექსიც:

**ნუ დაატყვევებთ შრომანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია,  
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია,  
ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,  
მის სანავარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.**

**ნუ დაატყვევებთ გულს ტურფას, იმისი გული ზღვა არის,  
ვინც უყვარს, დეე, მას ნაჰყვეს, სიკვდილი არის სხვა მისთვის;  
ღმერთმა მას მისცა ის გული, მის არსი იმის გულია,  
იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!**

**ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუნდ იყოს არა მცნებისა,  
დეე. მალლა თქვას, წარმოთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.  
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაშია?  
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.**

(გვახსენდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები: „რა ხელჰყრის პატივს ხაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული. ესრეთ რა არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება“).

ვახტანგ ორბელიანი, კაცმა რომ თქვას, უფრო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პოეტია, ვინემ პირველის. საქმე ისაა, რომ 30-40-იან წლებში ის ძალიან ცატას წერს. ამ წლებში დაწერილი აქვს სულ რვა ლექსი, ხოლო დანარჩენი ნაწარმოებები შექმნილია შემდგომ პერიოდში (ე.ი. 50-იანი წლებიდან), ძირითადად კი 80-იან წლებში (80-იან წლებშია დაწერილი 40 ნაწარმოები, მათ შორის ცნობილი პოემები: „ჯვარი ვაზისა“ — 1880 წ., „განკითხვა“ — 1880 წ., „ირაკლი და კობტა ბელადი“ — 1883 წ. „ირაკლი და იმისი დრო“ — 1884 წ., „მთის ქალი და მოგზაური“ — 1887 წ., და სხვა). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება განიხილება გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ჭრილში. ეს იმიტომ, რომ პოეტის მსოფლმხედვე-

ლობა ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და „ორი შენობის“ ავტორი ბოლომდე რომანტიკოსად დარჩა.

ვახტანგ ორბელიანის ადრინდელი შემოქმედებითი საქმიანობის გასაცნობად მეტად საინტერესო მასალას იძლევა ლექსი „ძველი დმანისი“, რომელიც დაწერილია 1866 წელს. დმანისი ისტორიული ადგილია (მდებარეობდა მდინარეების — მაშავერისა და ფინეზაურის შესართავთან). ერთ დროს ის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო (დმანისის სახელი ჩვენს ისტორიულ წყაროებში გვხვდება მე-9 საუკუნიდან. თავისი აყვავების ზენიტს ის აღწევს XII-XIII საუკუნეებში, კერძოდ, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში). დმანისი ყურადღებას იქცევდა თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მნიშვნელობით. ეს იყო გზასაყარი (აღმოსავლეთიდან მომავალ ქარავნებს აქ უნდა გამოეცლოთ). მაგრამ მონღოლთა შემოსევის დროიდან დმანისის მნიშვნელობა თანდათან დაეცა. დმანისი არაერთგზის ააოხრა ჯერ თემურ-ლენგმა, ხოლო შემდეგ (მე-15 საუკუნის დამლევს) თურქმა დამპყრობლებმა ის მიწასთან გაასწორეს. მე-19 საუკუნეში, როდესაც ვახტანგ ორბელიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დმანისი ნაქალაქარს წარმოადგენდა, ყველაფერს შამბი და ხავსი ჰქონდა მოდებული, მიდამო გაპარტახებულ-გაჩანაგებული იყო. პოეტი ჩამომჯდარა დმანისის ხაცსმოდებულ ლოდებზე, ის ოცნებით ჭვრეტს დმანისის ძველ დიდებულებას, აწმყოში კი მარტოოდენ იავარქმნილ მიდამოს ხედავს:

**მამა-პაპათგან ხვედრად შემხვდა დმანისი ძველი.  
დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?  
სალა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული,  
მწვანე მდელითი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული;  
შენს სალა გვერდზედ ვერ გავავლებ გუთნითა კვალსა,  
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა,  
ვაზს არ ახარებ, რომ რთველითა გული ვიხარო,  
რომ სენის ღვინით გულის ჭმუნვა, სევდა ვიქარვო.**

უაღრესად ტრაგიკული ელფერი დაჰკრავს, სასონარკვეთი-

ლის განწირული კივილი გასდევს ვახტანგ ორბელიანის შემდეგ სტრიქონებს:

მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელ ქედზედ მორტყმული გარე,  
მაგრამ ეგ კოშკი, ეგ ტაძარი და მამათ არე,  
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,  
ჩემს მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!  
მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურო,  
დიდ ხანს ვერ გნახე და ან მინდა დიდ ხანს გიყურო!  
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,  
დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი,  
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,  
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.  
მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება,  
რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,  
რაც ფიქრს ანუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს,  
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?

პოეტმა იცის, რომ ის, რაც ყოფილა, აღარ იქნება. ამის შეგება და გათვალისწინება გულს უკლავს მას და უკიდურეს სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი მგოსანი ასე მიმართავს დმანისს:

**განქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,  
ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემს თვალთა წინა!**

ასეთ სასონარკვეთილებამდე მიდიოდა ვახტანგ ორბელიანი. „ძველი დმანისი“ ძალიან გვაგონებს ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩას“ და გრიგოლ ორბელიანის ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (ამ ნაწარმოებთათვის საერთოა წარსულის სიდიადის გამომხატველი სურათების ჩვენება).

ვახტანგ ორბელიანი მომავალს უიმედოდ შეეპყურებს. ფრიად საყურადღებოა მისი „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, რომელიც დაწერილია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ოპტიმისტური

ლექსის — „ჩემო კარგო ქვეყანავ“ საპასუხოდ. ვახტანგ ორბელიანი არ ეთანხმება ქართველ სამოციანელთა თავკაცს:

**მკითხავ ჩემო პოეტო: რაზედ მოგიწყენია?  
ნება მომეც მეც გკითხო: შენ კი მოგილხენია?  
მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!“  
მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია!  
რა მანუხებს, რა მტანჯავს, რაზედ მომიწყენია?—  
ჩემო ტკბილო მგოსანო, ბევრი მომითმენია!**

პოემა „ჯვარი ვაზისა“ (1880 წ.). ამ ნაწარმოებში ასახულია ქართველთა გაქრისტიანება მეოთხე საუკუნეში ამ დროს ჩვენში მოვიდა წმინდა ასული ნინო, რომელსაც ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა. ეს ჯვარი ინახება სიონის ტაძარში.

ვაზი, ვენახი არის ქრისტეს (ხან ღვთისმშობლის) სადგური. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ხშირად იხსენიება იგი. გასაგებიცაა. ქრისტიანობა, როგორც რელიგია, გაჩნდა ვაზის, ღვინის კლასიკურ ქვეყნებში (იუდეა-გალილეაში, საბერძნეთში...).

ქრისტე ამბობს (იოანეს სახარებაში): „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედი არს“. „მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დაადგინეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თვინიერ ჩემისა არა-რაი ახალ-გიც ყოფად არცა ერთი“.

გაიხსენეთ დემეტრე I-ის ჰიმნი ღვთისმშობლისადმი: „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული...“ იოანე მინჩხისათვის მარიამი არის ვენახი გონიერი.

ასე რომ, ვაზი, ვენახი ქრისტიანული სიმბოლოა წმინდა ნინოს ღვთისმშობელმა სიზმარში ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი მისცა. ამით ქრისტეს შეწევნა და მფარველობა აღუთქვა. საეკლესიო ხუროთმოძღვრება ფართოდ იყენებს ვაზს, მის მტევანსა და ფოთოლს ორნამენტად (ისე კი უძველესი დროიდან, წარმართობისას, ვაზი იყო ნაყოფიერების, ახალგაზრდობის და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო).

დავუბრუნდეთ ვახტანგ ორბელიანის პოემას. წმინდა ასულ-მა კერპთ-მსახური ერი (ქართველები) ღმერთს შეავედრა. შეინძრა ცა და მიწა, ძველი კერპები ქვესკნელს ჩაინთქნენ. ამიერიდან ქართველები განათლდნენ „ელინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი შთამოილესა, და განათლდა გონება ბნელი; დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა „ივერთა“. ამავე დროს „აშენდნენ, აღდგნენ დიდებულად წმიდა ტაძარნი“.

საქართველოს მოეფინა ქრისტიანობის ჰუმანური იდეალები – მშვიდობა, სათნოება, ძმობა, ერთობა და სიყვარული. ცნობილია, რომ რომანტიკოსები თავიანთ იდეალს ქრისტიანობაში ხედავდნენ. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანი: „ქრისტეს ნათელით განათლებული მეფე მირიან ბრწყინავს გვირგვინით“. წარმართობას „ბნელი რწმუნება“ უწოდა. „და განქრა ახალი აღთქმისა ძალით ძველი ივერის ბნელი რწმუნება; / ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით და საუკუნო სცნეს მუნ ცხოვრება“.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და ნინოს ღვანლზე ბევრი დანერილა. არსებობს ნინოს ცხოვრების სხვადასხვა რედაქცია.

1. ლეონტი მროველის (XI ს.) „ცხოვრება ნინოსი“;
2. ეფრემ მცირეს (XI ს.);
3. არსენ ბერის (XII ს. პირველი ნახევარი);
4. ნიკოლოზ კათალიკოზის (XII ს.)

და სხვათა თხზულებანი.

უფრო გვიან:

ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი - „ქართველი ერი და ღვანლი წმინდა ნინოსი“.

აკაკის პოემა — „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“.

ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვეა“.

\*\*\*

ვახტანგ ორბელიანი თავის პოემაში ერთმანეთს უპირისპირებს დიდებულ წარსულს და უფერულ აწმყოს:

**მაგრამ რად გვინდა მისი ამბავი, რაც არს აღარა?  
რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა!  
დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი  
სადღა არიან, აღარ არიან,  
მათ დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი  
ჩვენ თვალთ-წინ პირქვე ტიელად ჰყრიან.**

და ამ ნგრევა-განადგურების მიზეზი, როგორც ჩანს, მარტო მუხთალი დრო არ არის. თავისი წვლილი აქვს ამ საქმეში ერთ-მორწმუნე დამპყრობელსაც.

**„ირაკლი და კოხტა ბელადი“ (1883 წ.)**

აქ ნაჩვენებია ასპინძის ომის სურათები (1870 წ. 20 აპრილი). ერეკლემ მოკლა ლეკთა ბელადი მალაჩილა (კოხტა ბელადი). ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. პოემაში განდიდებულია, ხოტბაშესხმულია ერეკლე. სხვა ისტორიული პირები (ერეკლეს ძე გიორგი, სარდალი დავით ორბელიანი, რუსი გენერალი გოტლიბ ტოტლებენი) არ ჩანან, ნახსენებიც არ არიან.

სხვათა შორის, აქ არის დახატული ერეკლეს პორტრეტი, ცხადია, დედის ნაამბობის მიხედვით.

**ტანი დაბალი, შუბლი მაღალი, თვალი გამჭვრეტი,  
ვით არწივისა,  
მოშაო ფერით, ჭაღარა წვერით, მოსული მკერდი,  
ბეჭი გამირისა!**

ასპინძის ომზე მოთხრობა აქვს დაწერილი ალექსანდრე ობელიანს - „ასპინძის ომი“, რაფიელ ერისთავს პოემა - „ასპინძის ომი“, უფრო ადრე ბესიკის „ასპინძისათვის“...

**„ირაკლი და იმისი დრო“ (1884 წ.).** ნაჩვენებია ერეკლეს ბრძოლები მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ. ერეკლე ებრძვის მაჰმადიანურ სამყაროს, იცავს ქრისტიანობას. სხვათა შორის, პოეტი აქ ამბობს, რომ ერეკლეს არ ჰყავს ღირსეული მემკვიდრე.



**როცა მოკვდება, ვილა დარჩება, ირაკლის ხმალი  
ვინ ატრიალოს?  
სახლში არვინ ჰყავს. ის ნათლად ხედავს, უნდა ერის წინ  
მან აღიაროს**

ერეკლე იძულებული გახდა, ჩრდილოეთი ეჩვენებინა თითოთ და დაებარებინა, ვიდრე ცოცხალი ვარ, ვიბრძოლებ, „აღარ ვიქნები, მას ერს შეერთდით“. ერეკლეს მეხოტბე პოეტი მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯის გამო და წყალობით შევინარჩუნეთ ქრისტიანობა. „დღეს ჩვენზე ქრისტეს ნათელი მნათობს“.

**ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო  
გმირთა აკლდამა, გულთ საკლავი და სავალალო  
„იმედი“ (1859/1879 წწ.)**

ეს სტრიქონები გამოდგებოდა საერთოდ ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ეპიგრაფად.

პოეტი მოგვითხრობს სახელოვანი პაპის ბრძოლებზე დედის, თეკლა ბატონიშვილის, ნაამბობის მიხედვით. ვრცლადაა მოთხრობილი, კერძოდ, კრწანისის ომის ამბები. პოემის მიხედვით, ერეკლეს ჰყავდა სამი ათასი მეომარი, მტერს – სამოცი ათასი („სამი ათასი სამოცი ათასს წინ აღუდგება, დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება“). სახელდობრ მოხსენიებულია გურამის ძე (გურამიშვილი), რომელიც „კრწანისის ბოლოს ზარბაზნებს მართავს..“

პოეტი მწარედ გოდებს ერეკლეს დროინდელი საქართველოს დაცემაზე.

**გონება ხელობს, განშმაგებულს აზრი მერევა,  
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა,  
მაშინ მიყვასნო, მზა ვარ მკითხოთ, მითხარით ერთი:  
ნუთუ მართლა გნამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?**

**თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების, —  
მაშ, საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!”**

**„მაგრამ რას ვროტავ უბედური და რასა ვყბედავ!  
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ!  
რა ვქნა, ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,  
რა საქართველო დანგრეული მომელანდება;  
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევიც იქნება განჰქრნენ,  
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ.**

დამეთანხმებით, ესაა მწარე გოდება, უძირო, უნაპირო სევ-  
და და თავისი ძალით გრიგოლ ორბელიანის უკანასკნელ ამოკ-  
ვნესას გვაგონებს („დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო  
ჩემი სამშობლო...“).

საინტერესოა ლექსი „არის ადგილი“ (1879 წ.). აქ აღწერილია  
გელათი, რომელიც დღესაც გულამაყად და მაგრად დგას. რაც  
მთავარია, „აქ ჩემს ნიაღში განისვენებს დიდი თამარი;

**თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,  
პოეზიისა, ერის გულში სხივით მორთული,  
ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული?.../- დიდი დავითი!  
მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი.**

პოემაში „ირაკლი და კობტა ბელადი“ კი ამბობს, თამარი და-  
მარხულია კახეთში: „მოყვასნო, კახეთს დამმარხეთ, იქ არის  
მისი საფლავი“.

**იმ არეს ახლო, მოყვასნო, სადაც მარხია თამარი,  
იმ ვაზებს შუა უდროვო სჩანს მისი წმინდა სამარი!.**

საერთოდ, თამარი რომანტიკოსთათვის უკვე ლეგენდად  
ქცეული მეფეა. ამიტომ, რაც მათთვის წმინდაა და სანუკვარი,  
ყველაფერი თამართანაა დაკავშირებული, მისი სხივითაა გაბ-  
რწყინებულ-მოვარაყებული.

[არსებობს ცნობა, რომელიც გვაუწყებს, თითქოს ახალგაზ-  
რდა გიორგიმ დედის ცხედარი წაასვენა და დაკრძალა იერუსა-  
ლიმში, ჯვრის მონასტერში, სადაც ქრისტეს საფლავია და სა-  
დაც, გადმოცემით, შოთა რუსთაველი განისვენებს].

გელათი ვახტანგ ორბელიანისთვის საქართველოს, მისი წარსულისა და მომავლის სიმბოლა.

1904 წ. გაძარცვეს გელათი. წაიღეს დავით აღმაშენებლის ბეჭედი (საცერე), თამარის ქოშები, ოქრო და ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი და სხვა (დაკარგული ნივთების სია იხ. „ივერია“, 1900 წ. 176).

აკაკიმ ეს მიუსამძიმრა გელათის მეხოტბე ვახტანგ ორბელიანს (რაკი ცოცხლებს არა ეყურებათ რაო).

**ვის მიუტირო ან ძველებურად,  
თუ არ შენს აჩრდილს და შენსა სახეს,  
კალამ ძლიერო და მადლიანო.  
ქართველად ზრდილო, მირონცხებულო,  
სულმნათო ვახტანგ ორბელიანო?!**

ძველი დიდების ნაშთი, შენი გელათი, რომელსაც ურწმუნო მტერიც ვერ შეხებია, დღეს ქართველმავე შეაგინა. „გაუტაცია საისტორიო, საშვილიშვილო ნაშთები ძველი“. ნეტავი შენ, „რომ ამ წამხდარ დროის აღარ ხარ დამსწრეო!“ აკაკის ეს ლექსი „სამძიმარი“ 1904 წ. დაიბეჭდა გაზ. „მწყემსსა“ და „ივერიაშიც“.

პოემა „ობოლი“ (1881 წ.). აქ ასახულია თამარის ეპოქა. ობოლი შოთა რუსთაველია, რომელმაც საბერძნეთში მიიღო განათლება (შოთა ობლად წარმოგვისახა). როცა დაბრუნდა, თამარის სიტურფით მოხიბლულმა ლექსები უძღვნა. ზის თამარი ტახტზე, ხელში უჭირავს შოთას ლექსთა რვეული. თამარს სურს გაიგოს, ვინ არის ამ ლექსების ავტორი. წარუდგენენ შოთას. თამარი ეკითხება, რამ დაგანერინა ესო. პოეტი პასუხობს:

**— დიდო მეფეო, მაგ რვეულში რაც დაინერა,  
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა.**

თამარი მიუგებს:

**ეს ლექსნი შთაბერილნი გაქვს შენ ცის მადლით:  
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება,  
ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება.**

თამარი არამარტო გარეგნულად ბრწყინავდა, არამედ იყო საუკეთესო პოლიტიკოსობასთან ერთად პოეზიის მცოდნე და დამფასებელი, ხელოვნების მფარველი. გზას უხსნიდა ნიჭიერ ახალგაზრდებს – ნიჭიერი ობოლი ახალგაზრდა საბერძნეთში გაგზავნა. თამარს ესმის პოეზია (გაიგო შოთას ლექსების ღირსება) და ღირსეულადაც დააჯილდოვა. ე.ი. თამარის ეპოქაში პოეტებს დიდი პატივი და მოწონება ჰქონდათ.

შოთა რუსთაველითაა შთაგონებული აგრეთვე ლექსი „ნანგრევთა შუა ლამპარი (იონა მეუნარგიას).“

ჩვენი (ივერიის ძეთა) ცხოვრება ნანგრევში მდინარებდა, ქართველს უიმედობა ეუფლებოდა, თანდათან ავიწყდებოდა თამარის დღენი, ძველი ელინთა სწავლა იშრიტებოდა და ა.შ., „მაგრამ ქართველი სულით მაინც არ იყო მკვდარი“, ნანგრევთა შუა უნათებდა ერთი ლამპარი მთელი შვიდი საუკუნე. შვიდი საუკუნე შეჰხაროდა მას და მის „ნათელს სხივში ის ჰპოებდა ძალსა და ღონეს“. და თუ აქამდე გავძელით, არ დავკარგეთ სიტბო გულისა!“ - ეს არის იმ ლამპრის წყალობა და ეს ლამპარია „ვეფხისტყაოსანი“.

**სხივნი – მის ლექსნი, ლექსნი ტკბილნი,  
სავსენი სიბრძნით, აღმას – ზურმუხტნი,  
მარგალიტნი, უფასო თვალნი.  
(„ობოლი“)**

მაგრამ დღემდე თუ მხოლოდ ნანგრევთა შუა მნათობდა, მხოლოდ ქართველის გულს ათბობდა, ან მისი მადლი შენ (იონა მეუნარგიას, რომელმაც ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“) გსურს, გააცნო ევროპას. მაშასადამე, ვახტანგ ორბელიანი მიესალმა რუსთაველის პოემის ევროპაში გატანის დიდ საქმეს.

ლექსი „იმედი“ (I ვარიანტი დაიბეჭდა „ცისკარში“ 1859 წ., ხოლო საბოლოო სახე მან მიიღო 1879 წ.).

„იმედის“ საბოლოო რედაქცია ერთგვარად ილია ჭავჭავაძის „აჩრდილითა“ შთაგონებული. ორივე ნაწარმოებში დიდი ადგილი უჭირავს ქართველთა თავგანწირული გამირობის ჩვენებას წარსულში. ორივე ნაწარმოებში მომავლის განსაჭვრეტად, სანუგეშოდ გამოყვანილია ჩვენება. „აჩრდილში“ მოხუცი, ხოლო „იმედში“ — ახალგაზრდა ქალი. თავისი ქვეყნის მწარე წარსულის მოგონებით გულმოკლულ პოეტს მიუახლოვედება უცხო ასული და ანუგეშებს:

**გნამდესო, ღვანლი მამა-პაპათ არ განქრებიან,  
გნამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან.**

ვახტანგ ორბელიანი, როგორც ნამდვილი კონსერვატორი, ოცნებობდა წარსულის, ძველის შენახვასა და მის აღდგენაზე მომავალში მან კარგად იცოდა, რომ უძიროდ, უსაფუძვლოდ, ახალი ვერ აშენდება.

ვახტანგ ორბელიანს გულისხმობს ლადო ასათიანი პოემაში „კოლხიდა“.

**მღერის ლექსებით, გულის დამწველით,  
ორბელიანი, დიდი მგოსანი.**

(აქ ნაგულისხმევია მე-19 საუკუნის ქართველი პოეტი ვახტანგ ორბელიანი).

1882 წ. აკაკი წერეთელმა ლექსი უძღვნა ვახტანგ ორბელიანს, ამ ლექსში მოცემულია ვ. ორბელიანის შემოქმედების ერთგვარი შეფასება. აკაკი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ხედავს მომავლის იმედის ნაპერწკალსაც და კარგად ესმის პოეტის ოხვრისა და კენესის მიზეზიც.

**ენვის გული ანაძგერი წარსულისა მოგონებით;...  
ოხრავს, ჰკენესის, მოსთქვამს, ჰგოდებს  
და იძახის მსგავსად ყვავის!...**

გარდა წარსულის იდეალიზაციისა, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ბუნების თემასაც, თუმცა რამდენად რომანტიკულია მისი ბუნება, არ ვიცი. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ვახტანგ ორბელიანის თვალით დანახული ბუნება უფრო რეალისტურია, ვიდრე რომანტიკული წყნარი, მშვიდი, ოცნების აღმძვრელი გარემოს ნაცვლად რომანტიკოსი პოეტი ბობოქარ, ხმაურიან, მრისხანე ბუნებას გვიხატავს (გაიხსენეთ ილია: „მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალეებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი“), ახლა ვახტანგ ორბელიანს მოვუსმინოთ:

**ზღვის ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,  
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დულს და ღელავს  
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისვრის,  
განრისხებული ღრიალებს, ყვირის...**  
*(„ჯვარი ვაზისა“)*

ან კიდევ:

**მდინარე დიდი რისხვით მდინარებს,  
აღელვებული მირბის, ღრიალებს.**

**სჭექს ცის კამარა, გრგვინავს და ელავს,  
მდინარის ტალღა ღრიალებს, ღელავს...**  
*(„განკითხვა“)*

ვახტანგ ორბელიანი ხანდახან გრიგოლ ორბელიანის აშკარა გავლენას განიცდის. მაგ., პოემაში „ირაკლი და კოხტა ბელადი“ აღწერილი ბუნება, ძალიან ჰგავს გრიგოლ ორბელიანის ლექსში „სალამო გამოსალმებისა“ დახატულ გარემოს. მაგ.:

**მზე ჩაესვენა დასავალს, ღამემ მოიცვა მთა-ბარი,  
ღამეა ბნელი, წყვდიადი, ღრუბლით მოცულა ცისკარი,**

ცაში არ ბრწინავს ვარსკვლავი, ძირს ველზედ –  
ცეცხლი მწყემსისა,  
სიბნელე არის სოფელში, არსად სჩანს ჭრაქი გლეხისა,  
ნისლის სუდარას მოუცავს ალაზნის ველი ზურმუხტი,  
თითქოს ღრმად სძინავთ კახელთა, თითქოს მომკვდარა  
კახეთი!..

ვახტანგ ორბელიანის მიერ დახატულ ბუნებაში ხან სიმბოლოებიც შეგვიძლია დავინახოთ, ხან პოლიტიკური შეფერილობაც აქვს ამ ლექსებს, ბუნების უშუალო ხილვით გამონეული აღფრთოვანებაც ძლიერია და მაინც, იმავე პოემიდან („ირაკლი და კობტა ბელადი“) განთიადი კვლავ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ განთიადს ჰგავს.

ილევა ღამე... კახეთსა თავის პირბადე ეხსნება.  
ცა იმოსება ლაყვარდით, ვარსკვლავთ სხივებით ენთება,  
მთათ წვერთ მოეცვენენ ღრუბელნი, დრო არის გარიჟრაჟისა  
რიჟრაჟებს... ცაში ვარსკვლავნი ბუუტავენ,  
ნელ-ნელ ქრებიან.

კიტა აბაშიძე წერდა: „პოეტისათვის იმდენად გარეგან სიმშვენიერეს და სილამაზეს არა აქვს მნიშვნელობა, როგორც მის ისტორიულ მნიშვნელობას. ბუნების სურათი, რაგინდ უბადრუკი იყოს, მაინც იზიდავს პოეტის ყურადღებას, თუკი იგი „დიადი წარსულის“ მომგონებელია, ამ წარსულის შესახებ სევდისა და დარდის ამშლელი“.

ვახტანგ ორბელიანის ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს კახეთის ბუნების აღწერას, ეს იმიტომ, რომ მას კახეთში ეგულება პატარა კახის ზღაპრული სული. „კახეთს“, „კიდევ კახეთს“ და სხვა (შდრ. „ბედი ქართლისა“. „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“...).

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში მცირე ადგილი უჭირავს სიყვარულის თემას: როგორც რომანტიკოსი, ის ძირითადად უმღერის სულიერ სიყვარულს.

საინტერესოა, პოეტის შეხედულება ქართველ ქალზე. ქალის იდეალი მან დახატა ლექსში „ქალი ის არის“ (1883): ქალი ის არის ვინც ნათლად გრძნობს თავის მოვალეობას, არ მიჰყვება სოფლის ცდომას, ვისაც აქვს „გული ნრფელი, სული ნათელი“, ვისაც თავის არსში ღრმად უმარხია სარწმუნოება და სათნოება, ვინც ბედნიერებასა და სიხარულს ეძებს სახლში და არა მის გარეთ. ვისთვისაც შრომა და სახლობის მზერა არის უპირველესი საფიქრალი; ვინცაა უმანკო, კეთილი, ვისაც გული სტიკია ობლებისა და ოხრებისათვის.

ქართველი ქალი არის პატრიოტი. ის თავის ქვეყანას არავისზე და არაფერზე არ გაცვლის. საინტერესოა ამ მხრივ „მთის ქალი და მოგზაური“ (1887). უცხოელ მოგზაურს შეუყვარდა მთის ქალი და სთხოვს მას, წაყვეს თავის სამშობლოში, „სადაც ელის ბრწყინვალე ცხოვრება...“ ქალის პასუხი მოგვაგონებს სოფიოს პასუხს („ბედი ქართლისა“). სოფიოს პეტერბურგში ფუფუნებით ცხოვრებას აქ სიკვდილი ურჩევნია. ვახტანგ ორბელიანის ეს ლექსი უთუოდ მოგვაგონებს რაფიელ ერისთავის ლექსს „სამშობლო ხევსურისა“. ქართველი ქალის სადიდებლად მრავალი ნაწარმოები შექმნილა ჩვენს ლიტერატურაში...

მთის ქალი მოგზაურს ასე პასუხობს:

**მგზავრო, რად მინდა მზე ცხოველი და ცა ნათელი  
და ან მბრწყინავი ყვავილებით ზურმუხტი ველი.  
ნიავი ზღვისა გულს მომფენს მე რა ფუფუნებას,  
მომშორებული თუ ვიქნები ჩემს წყალს, ჩემს მიწას,  
თუ ველარ ვხედავ ჩემთ საყვარელ, ჩემ მყინვარე მთებს?  
მე ჩემი ქოხი მირჩევნია შენს დიდს პალატსა.  
მე აქ ვშობილვარ, აქ გავზრდილვარ, აქ უნდა მოვკვდე,  
ჩემი სამარე უნდა იყოს ისევ დიდი კლდე.**

ასეთია მშობლიური მიწის სიყვარულის დაუძლეველი ძალა. ვახტანგ ორბელიანის მთიელი ქალის ტყუპისცალია ის დედა, რომელიც შვილს ასე არიგებს:



ტანი უსულო და უგრძნობარე  
თუნდა შინ იყოს და თუნდა გარე,  
მაგრამ, როგორღაც, დედაშვილობამ,  
სანატრელია სამშობლო მხარე.

(გიორგი ჭალადიდელი)

(თუმცა საპირისპიროა შიო არაგვისპირელის ნოველა „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“).

პატრიოტულია ვახტანგ ორბელიანის ლირიკული პოემა „განკითხვა“. აქ დახატულია ორი პატრიოტი – ერთი მოხუცი და მეორე ახალგაზრდა. მოხუცს ადრე მამულისთვის უღვრია სისხლი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ახლა ტკბილად და სიამოვნებით იგონებს იმ დროს, იმ ბრძოლებს მტრების წინააღმდეგ. ასეთივე დიდი პატრიოტია ჭაბუკი გმირი, რომელიც ახლა იბრძვის მამულისათვის. იგი ბრძოლაში დაეცემა, იღუპება სამშობლოსათვის, მას ეწირება მსხვერპლად. პრაქტიკულადაც ადასტურებს სიტყვით ნათქვამს.

რაკი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება ძირითადად 50-იანი წლების შემდეგ შეიქმნა, ბუნებრივია, რომ მან განიცადა 60-იანელთა გავლენა. ამით აიხსნება რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაში რეალისტური ტენდენციები.

მაგ., ლექსში „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ (1883 წ.) რეალისტურადაა ნაჩვენები მე-19 საუკუნის საქართველოს სურათები. დღეს ჩემი ძენი დაკნინებულნი და დაჩიავებულნი არიან, – ამბობს სამშობლო. „შრომის წილ – ზარმაცობა, სწავლის წილ – სმა და ძილი, ძმობის წილ – დავა, მტრობა“. ზოგმა თავისი ქონება გაფანტა, ზოგმა დავიდარაბაში დაღუპა, ჩარჩებისაგან ვალებს იღებენ, მერე ემალებიან, „ამ ძუძუთ გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან“.

სამშობლოს უიმედო მდგომარეობაა ნაჩვენები ლექსში „ორი სიზმარი“. პირველ სიზმარში პოეტმა ნახა საქართველო მკვდარი, მიწასთან გასწორებული, ჩამქრალი, ფერდაკარგული, უღონო... ე.ი. ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში იმჟამად, მეორე სიზმარში – სრულიად სანინააღმდეგო ეს ოცნებაა. მაგრამ გამოელვია...

ლექსში „კაცი ის არის“ (1882 წ.) ჩამოყალიბებულია ის თვისებანი, რაც კაცს უნდა ახასიათებდეს, ე.ი. კაცის იდეალია გამჟღავნებული. ეს იდეალი ისეთივეა, როგორც ჰქონდათ სამოციანელებს („კაცად მაშინ ხარ საქები“... და სხვ.)

ვახტანგ ორბელიანის აზრით, კაცი ის არის, ვინც შრომობს, „ვინც ოფლს მიწას ღვრის“. „ვინც მიწას აპობს და არღვევს“... და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს. და ამ ტკბილ ნაყოფს ქვრივ-ობერთ უყოფს და უშრობს მშიერთ – ობოლთა ცრემლებს“.

კაცი ის არის, ვისაც მცნებად გაუხდია „ძმობა, ერთობა“ და დავრდომილ ძმებს ეხმარება (შდრ.: „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია...“)

„ვინც საქმით ქველით, გონებით, სწავლით მიახლოვდება მაღალ ღვთაებას“, სწამს განგების იდუმალი ნება. ვისაც აქვს სული წრფელი, სიტყვა ნათელი, ვინც არაა შურიანი, ცრუ, მატყუარა, პირმოთნე.

აი, ისეთი, როგორც იყო იესო ქრისტე, რომელიც „უგუნურთ კაცთა აცვეს ჯვარსა“.

მის შემოქმედებაში ახალი შტრიხია (და ალბათ სამოციანელთა გავლენაა) ზრუნვა სუსტზე, ქვრივ-ობოლზე. პოეტი მოითხოვს გლეხებთან ჰუმანურ დამოკიდებულებას. მიაჩნია, რომ პატრონმა (ე.ი. ბატონმა) ის, უმცროსი ძმა, გლეხი უნდა დაიცვას და ჩარჩებს არ ჩაუგდოს ხელში...

### **შეჰხედეთ თქვენთ უმცროსთ ძმათ, ჩემს უმცროს ძეთ – გლეხებს...**

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ისმის შრომის აპოლოგია. ლექსში „ხმა სამშობლო ქვეყნისა“ (1883 წ.) საქართველო ეუბნება მის მკვიდრს, ქართველს: ყოველმხრივ შემკობილი და მდიდარი ვარ – მთა-ბარი, წყალნი, ტყენი, ველები. ჩემს მკერდ-წიაღში ბევრი სიმდიდრე ძევს. „მაშ, რაღას ელით? მაგარის ხელით ჩემი წიაღი აღმოიკვლიეთ. ნუ გეძნელებათ, ნუ გებრკოლებათ, ყოვლის სიძნელეს შრომითა სძლიეთ!“.

მხოლოდ ოფლი, შრომა აღმოაცენებს ტკბილ ნაყოფს და თუ ქართველმა არ იშრომა, იზარმაცა, ნაყოფიც სხვას დარჩება.

როგორც სამოციანელებს, ისე ვახტანგ ორბელიანსაც კარგად აქვს შეგნებული სწავლის, ცოდნა – განათლების მნიშვნელობა. სწავლა, განათლება უხსნის ხალხს სასურველი ცხოვრების გზას. უსწავლელი ადამიანი, როგორც გურამიშვილმა თქვა, უხორთუმო სპილოა, უკლანჭო ვეფხვია. ნასწავლი ადამიანი მინასაც მეტს წაართმევს, მამულსაც უკეთ მოემსახურება, თავის თავსაც არგია და სხვებსაც. მოკლედ, სწავლა დიდი ძალაა. აი, ლექსი „ტფილისის პირველის კლასიკურის გიმნაზიის 50 წლის იუბილეს დღესასწაულობაზედ 1881 წლ. სექტემბრის 27-ს“.

**სწავლა კაცს აძლევს მისს უმაღლეს საჭიროებას.**

**პურს უპუროსა და მონასა თავისუფლებას.**

**სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური...**

ნუ დაივიწყებთ ორბელიანის შეგონებას:

**ისწავლეთ ძენო, თქვენ ხელთ არის მის (სამშობლოს)**

**მომავალი.**



## სოლომონ რაზმაძე

სოლომონ რაზმაძეს XIX ს 30-იანი წლების მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს. ის იყო შეთქმულების აქტიური მონაწილე (ეკუთვნოდა უმცირესობის ჯგუფს), პოეტი, მთარგმნელი...

სოციალური წარმოშობით არ ეკუთვნოდა მაღალ არისტოკრატიულ, ფეოდალურ კლასს.

დაიბადა 1797 წ. მამა ივანე (იგივე გივი) ყაბარდოდან გამოსახლებული გლეხი ყოფილა. იგი ერეკლე მეფეს მიჰკედლებია, მასთან ერთად მრავალ ომში მიუღია მონაწილეობა. მამაცობისა და თავდადებისათვის ერეკლეს მისთვის აზნაურობა უბოძებია.

ივანეს გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლ-შვილი მზრუნველობის ქვეშ აიყვანა თეიმურაზ ბატონიშვილმა. საქართველოს რუსეთთან შერთების შემდეგ თეიმურაზი სპარსეთში გაიქცა, ხოლო მისი მეუღლე ელენე ამილახვარი (ოთარ ამილახვრის ასული) საცხოვრებლად გადასახლდა გორში. ამ ელენემ გორში თან წაიყვანა ივანე რაზმაძის ოჯახი (სოლომონი, მისი დედა თამარი). ეს ელენე ამილახვარი ადრე იყო გიორგი XII-ის უფროსი ვაჟის დავითის (თეიმურაზის ძმის) საცოლე. მაგრამ დავითმა 1799 წელს შეირთო სხვა – სომეხი ვაჭრის სვიმონ (ალად ნოდებულის) აბი მელიქის ქალი – ხამფერვან (რომელიც შემდეგ ქართულად მოინათლა და იწოდა ელენედ). მზითვად ჰქონდა 8 000 მან და ამდენადვე ღირებული ნივთი და სამკაულნი. (ამ ქალს არ ჰქონდა არც მეფური წარმოშობა და აღზრდა, არც ქცევა და სხვა, მაგრამ გიორგი XII-მ „მიუბოძა მისსა გვარსა თავადობისა ღირსება“).

დავითს რუსეთში უნდა შეერთო აგრეთვე ვინმე ტატიშჩევის ქალი (დავითს ადრევე ჰყავდა საყვარელი ვილაც ბაყალ ავეტი-

ქას ქალი, რომელიც შემდეგ წაიყვანა რუსეთშიც და იქ გარდაიცვალა). მაგრამ „სიხარბემან ფულისა და ნივთთა“ (პლატონ იოსელიანი, გვ. 138). უარი ათქმევინა ელენე ამილახვარზე, ტიტიშჩევის ქალზე და შეირთო მდიდარი სომხის ქალი. მამას (გიორგის) კი „დიდად სურდა შერთვა ქალისა მის რუსთა გვარისა და აჩქარებდა საქმისა ამის დაბოლოებასა, რათა მაგალითითა ამით დაკავშირდეს რუსეთთან თვით და ერიცა მისი და რათა მოაშოროს არანმინდებითა ცხოვრებასა – ბაყალ ავეტიქას ქალთან დაუმალველად (პლატონ იოსელიანი).

1810 წელს (15 სექტემბერს) თეიმურაზი დაბრუნდა საქართველოში და ნებაყოფლობით გამოცხადდა გენერალ ტორმასოვთან. ამ უკანასკნელმა თეიმურაზი გააგზავნა პეტერბურგში (ამის შემდეგ ის მუდმივად ცხოვრობს პეტერბურგში. გარდაიცვალა იქვე 1846 წ. 64 წლისა). თეიმურაზ ბატონიშვილს რუსეთში გაჰყვნენ სოლომონ რაზმაძე და დედამისი – თამარი.

სოლომონი პეტერბურგში ჩავიდა 1811 წ. იანვარს (სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი, 12-13 წლისა) და დარჩა იქ 1832 წლის თებერვლამდე. ე.ი. მთელი 21 წელი. თეიმურაზის მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით მიიღო განათლება (სწავლობდა ლიცეუმში). დაეუფლა მეცნიერებას და რამდენიმე ენას (რუსულს, გერმანულს, იცოდა აღმოსავლური ენებიც – სპარსული, თურქული, სომხურიც). სოლომონი გახლდათ თეიმურაზ ბატონიშვილის მდივანი და ეხმარებოდა მას ლიტერატურულ საქმიანობაში (ავთანდილ თუმანიშვილი იყო დავით ბაგრატიონის მდივანი). სოლომონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მწიგნობარ იონა ხელაშვილსა და იქ მყოფ სხვა მოღვაწეებთან (პეტერბურგში გადასახლებულ სხვა ბატონიშვილებთან...). სოლომონ რაზმაძე ეცნობოდა თბილისიდან პეტერბურგში ჩასულ ქართველებს (იგი პეტერბურგიდანვე იცნობდა გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს და სხვებს). პეტერბურგში განიცადა რესპუბლიკური იდეების გავლენა...

1826-27 წლისათვის პეტერბურგში უკვე არსებობდა შეთქმულების უჯრედი. სოლომონ რაზმაძე ამ უჯრედის წევრი გახ-

და და იგი მუდმივად ესწრებოდა შეკრებებს, რომელსაც აწყობდა დიმიტრი იულონის ძე. სოლომონ რაზმაძე შედიოდა უმცირესობის ჯგუფში (სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე).

1831 წლის დამდეგს სპარსეთში გარდაიცვალა რუსეთის ელჩი. მის მაგიერ ელჩად დაინიშნა გენერალ-მაიორი ივანე სიმონიჩი — თეიმურაზ ბატონიშვილის ქვისლი (სიმონიჩის ცოლი იყო ოთარ ამილახვრის ასული, ელენეს და). თეიმურაზმა სიმონიჩს სთხოვა, სოლომონი წაეყვანა სპარსეთში მთარგმნელად (როგორც აღმოსავლური ენების მცოდნე). სოლომონის სპარსეთში გამგზავრება იმითაც იყო მოტივირებული, რომ მიეღო ჩინი (რაც მას გაუადვილებდა სამსახურის შოვნას), მაგრამ ყველაფერი ეს თვალის ახვევა იყო. თეიმურაზი და სხვა ბატონიშვილები სოლომონის სპარსეთში გამგზავრებას სულ სხვა მიზნით აწყობდნენ. სოლომონს კავშირი უნდა დაემყარებინა ჯერ თბილისელ შეთქმულებთან, ხოლო შემდეგ სპარსეთში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან და სოლომონმაც პეტერბურგიდან გარკვეული დირექტივები მიიღო.

თბილისში მან რამდენიმე თვე დაჰყო, ახლო ურთიერთობა დაამყარა აქაურ შეთქმულებთან (ზემოთქმულ მეთაურებთან: სოლომონ დოდაშვილთან, ელიზბარ ერისთავთან, ალექსანდრე ორბელიანთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან...).

სპარსეთში გამგზავრების წინ ელიზბარ ერისთავმა სოლომონს გაუმართა გამოსათხოვარი სადილი. სადილზე მიპატიჟებულნი იყვნენ შეთქმულების მონაწილენი (სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები. გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები). „სადილზე დალიეს საქართველოს აღდგენის ჯამი ღვინო“.<sup>1</sup> ნასადილევს ალექსანდრე ორბელიანმა შეკრებილნი გადაიწვია თავის სახლში (სადაც საუბარი გაგრძელდა ისევ შეთქმულებაზე). თბილისელმა შეთქმულებმაც დაავალეს კავშირის დამყარება ალექსანდრე ბატონიშვილთან (ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერა ჰქონდა ალექსანდრე ორბელიანს (დისშვილს). ალექსანდრე ორბელიანს ამისთვის ჰყავდა საგანგებო აგენტები – ბორჩალოელი

თათრები: მოლა ზამანა და ქოსა მუსტაფა). მაისში (თუ ივნისში) თბილისიდან გამგზავრებული სოლომონ რაზმაძე მალე თავრიზში ჩავიდა. შეთქმულება ჩავარდა, მაგრამ ეს ამბავი, ჩანს, სოლომონ რაზმაძემ დროზე შეიტყო (დაპატიმრებამდე 2 კვირით ადრე) და მამხილებელი მასალები გადამალა. გაჩხრეკისას ეჭვმისატანი ბევრი ვერაფერი უპოვეს. მაინც დააპატიმრეს და თბილისში გამოაგზავნეს (გრიგოლ ორბელიანი დააპატიმრეს ნოვგოროდში, სოლომონ რაზმაძე – თავრიზში). ჩასვეს „ყაზარმებში“, ჩარიცხეს დამნაშავეთა IV კატეგორიაში და მიუსაჯეს გადასახლება ქ. პენზაში. აქ ის განაწესეს პენზის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში გადამწერად („კოპიისტად“). პოლიციას დაევალა მასზე ფხიზელი მეთვალყურეობა.

პენზაში სოლომონი დაქორწინდა (შეირთო იქაური ქალი ეკატერინე მეშკოვა). ამ ქალს 1835 წ. (25 აპრილს) მიუძღვნა ლექსი „ალბომში დაუნერე ე.ი.მ.“ 1845 წელს შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე, შემდეგში მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, ავტორი რუსული მუსიკის ისტორიისა.<sup>2</sup> ახალდაბადებულ ბიჭსაც მიეძღვნა ლექსი — „წელსა 1846“.

სოლომონ რაზმაძე გარდაიცვალა 1860 წ. პენზაში. იქვეა დაკრძალული. ასე რომ, თავისი ცხოვრების 63 წლიდან საქართველოში დაჰყო მხოლოდ 14 წელი (ერთმანეთს მიმატებული „ყაზარმობის“ ჩათვლით), 21-პეტერბურგში და 28-პენზაში. ამისდამიხედვით მისი თხზულებანი სხვადასხვა ქალაქშია დაწერილი — პეტერბურგში, თბილისში, პენზაში (გადასახლებაში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა (ვიატკაში, ახლანდელ კიროვში) შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური სოლომონ დოდაშვილიც).

სასამართლომ განსაკუთრებით მკაცრად დასაჯა უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები – დემოკრატიული ფრთა (წარმოშობილი ქვედა ფენებიდან) – აი, ის ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა რესპუბლიკურ მმართველობას. იმ სამიდან – ფილადელფოს კიკნაძე აქ, ციხეში გარდაიცვალა, ხოლო სოლომონ დოდაშვილი და სოლომონ რაზმაძე ორივე გადასახლებაში აღესრულა, არცერთი არ დაბრუნებულა.

სოლომონ რაზმაძე წერდა ლექსებს და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მისი ნაწარმოები დაკარგულია<sup>3</sup> (სოლომონ რაზმაძის ლექსთა სრული კრებული გამოვიდა 1990 წელს. იხ. აგრეთვე „ქართული პოეზია“ 15 ტომად. ტ. 10, 1987 წ.).

სოლომონ რაზმაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა პეტერბურგში გატარებულმა წლებმა. იქ მიიღო სწავლა-განათლება. იქ ისწავლა რუსული და ევროპული ენები. იქ შეითვისა რესპუბლიკური იდეები. ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილსა და პეტერბურგში გადასახლებულ სხვა ბატონიშვილებთან. ახლო ურთიერთობა გააბა სხვა ქართველებთანაც (მათ შორის სოლომონ დოდაშვილთან) სოლომონ რაზმაძე და სოლომონ დოდაშვილი იქ დამეგობრდნენ.

სოლომონ რაზმაძემ ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ პეტერბურგში, განაგრძო თბილისში. ეს არის მისი მოღვაწეობის, ასე ვთქვათ, პირველი პერიოდი (მეორე პერიოდი — გადასახლების ხანა). პირველ პერიოდში ის უფრო მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა.

პეტერბურგში რაზმაძე ეხმარება ლიტერატურულ საქმიანობაში თავის მეცენატს თეიმურაზ ბაგრატიონს. თეიმურაზ ბაგრატიონი (გიორგის ძე) იყო დიდად განათლებული და მწიგნობარი კაცი (გიორგი XII-ს რამდენიმე შვილი ჰყავდა ლიტერატორ — მწიგნობარი, მოღვაწე, მათ შორის გამოირჩეოდნენ დავითი, თეიმურაზი, იოანე). თეიმურაზის სახლი იყო კულტურის კერა პეტერბურგში (მასთან მცხოვრებ პირებს შესაფერისი სამუშაო ჰქონდათ მინდობილი — ხელნაწერთა გადანერა. გადანუსხვა, ევროპული და რუსული ენებიდან თარგმნა...). თეიმურაზი შემდეგ (1837 წ.) გახდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (ისაა I ქართველი აკადემიკოსი). იყო რამდენიმე ევროპული სამეცნიერო საზოგადოების (მაგ. პარიზის, კოპენჰაგენის სამეცნიერო საზოგადოებათა) წევრი. მარი ბროსე მას თავის მასწავლებლად აღიარებდა.

აი, ამ თეიმურაზ ბაგრატიონს ძალიან უყვარდა ალექსანდრე პუშკინის პოეზია და თარგმნა მისი რამდენიმე ლექსი, მათ შო-



რის „Ангел“ („ანგელოზი“). თარგმნა 1830 წლის იანვარში. ეს არის პუშკინის თხზულებათა პირველი ქართული თარგმანი. ქართული პუშკინიანას დასაწყისი.<sup>4</sup> ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ თეიმურაზი პირადად იცნობდა ალექსანდრე პუშკინს (არაა გამორიცხული).

თეიმურაზი იყო გიორგი XII-ის უმცროსი შვილი პირველი ცოლისგან (ქეთევან ანდრონიკაშვილისაგან). დაიბადა 1782 წ. 23 აპრილს. ერეკლემ მას თავისი მამის – (თეიმურაზ II-ის) სახელი დაარქვა.

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846 წწ) გარდაიცვალა 64 წლისა. მას ეკუთვნის დრამა „სამსახეობა რაინდისა“ (ეროვნული დრამატურგიის ერთ-ერთი პირველი ძეგლი), პოემა „ოქროს ვაშლი“, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა. თეიმურაზმა, გარდა რუსულისა, იცოდა სპარსული და თურქული ენები.

როგორც ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილიც თანაუგრძნობდა შეთქმულებას. მისი აღზრდილები – სოლომონ დოდაშვილი და სოლომონ რაზმაძე — ამ შეთქმულების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. პუშკინისადმი სიყვარული თეიმურაზმა სოლომონსაც „გადასდო“, და შთააგონა თავის აღზრდილს, ეთარგმნა ეს პოეტი. სოლომონ რაზმაძემაც მთლიანად თუ ნაწილობრივ თარგმნა პუშკინის ნაწარმოებები. „განღვიძება“ («Пробуждение»), „ლიშპანური სიმღერა“ («испанский романс») „ლხინი“ («Веселый пир») „დემონი“, ნაწყვეტები „ევგენი ონეგინიდან“ და „ძმები-ყაჩაღები“.

ამათგან 2 — „ლიშპანური სიმღერა“ და „ლხინი“ — დაიბეჭდა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში (5).<sup>5</sup>

მოკლედ: სოლომონ რაზმაძე არის ალექსანდრე პუშკინის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ქართულად (პირველია თეიმურაზ ბაგრატიონი). ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძე.<sup>6</sup>

სოლომონ რაზმაძემ თარგმნა დენის ფონევიზინის სატირა „პეტერბურხი“ (აქ მხილებულია უსამართლობა და ჩაგვრა).

სოლომონ რაზმაძემ ქართველ საზოგადოებას პირველმა გააცნო ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ (1831 წელს). თბილისში ყოფნისას

(1832 წელს) იგი ამ თარგმანს უკითხავდა შეთქმულებს და იმათ შორის დიდი მონონება ჰქონდა (სოლომონ რაზმაძე არის მიცკევიჩის პირველი ქართველ მთარგმნელი. შემდეგ გიორგი ერისთავია).

ასე რომ, მოღვაწეობის I პერიოდში, განსაკუთრებით პეტერბურგში ყოფნისას, სოლომონ რაზმაძე მეტწილად მთარგმნელობით მუშაობას ეწევა.

აღსანიშნავია, რომ სათარგმნელად არჩევს ისეთ თხზულებებს, რომლებშიც გატარებული აზრები მახლობელი იყო ქართული სინამდვილისათვის (გამოადგებოდა ქართველ ხალხს). პოეტი პეტერბურგში იმყოფებოდა, მაგრამ იქაც თავის ქვეყანაზე ფიქრობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია სოლომონ რაზმაძის ერთი ორიგინალური ლექსი „ვინა ვალია“, რომელიც მას ერთ-ერთი თარგმანისათვის ნაუმძღვარებია: მამულისათვის თავის დადება ყოველი კაცის ვალია, ხოლო მე ეს ნაწარმოები ქართულად ვთარგმნე იმისათვის, რომ „ივერიელთ ისწავლონ მისგან... და თავი იხსნან თვით დესპოტიზაგან“.<sup>7</sup>

ასე რომ, „ვინა ვალია“ არის პატრიოტული ხასიათის ნაწარმოები. პატრიოტიზმი სოლომონ რაზმაძის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივია. სამშობლოს თემაზე დაწერილ თხზულებათაგან საყურადღებოა პოლიტიკური არაკი „დათვი და ცხვარი“ (დაწერილია 1832 წელს, თბილისში ყოფნისას).

სოლომონ რაზმაძის ლექსები „დათვი და ცხვარი“ და „დინას მეჯლისი“ ორივე დაწერილია 1832 წელს (შეთქმულების წელს) და ორივე თბილისში. ორივე პოლიტიკური შინაარსისაა (განსაკუთრებით I), ორივე ამჟღავნებს ავტორის იდეურ კავშირს შეთქმულებასთან. ორივე ეხმაურება შეთქმულებას.

### **აი „დათვი და ცხვარი“.**

ერთ უდაბურ ალაგას, მტკვრის ახლოს ესახლა მოხუცი ცხვარი თავისი ცოლითა და შვილებით. ჰქონდა ბალი შემოლობილი და ბალის შუა ედგა ქოხი. მაგრამ მას მოსვენებას არ აძლევდნენ ტურა, მგელი და მელი (სპარსი, თურქი და ლეკი). მოხუცმა ცხვარმა (ე.ი. ერეკლე მეფემ) დახმარება სთხოვა მასთან ახლო მდგომ ძლიერ დათვის (რუსეთს). ამანაც ყურად ილო მისი თხოვნა და ცხვრის საზღვრის დამცველად გამოგზავნა ნადირთა ჯა-

რი ავთორის წინამძღოლობით. ცხვარმა სიხარულით მიიღო ეს ჯარი. კარგად გაუმასპინძლდა. მაგრამ გავიდა ხანი და გარდაიცვალა მოხუცი ცხვარი. ავთარმა განკარგულება მისცა თავის ჯარს – შემოერთყენით ცხვრის ცოლ-შვილს. ამათ დაინყეს ბლავილი – რას გვემართლებით, რაზე გვინყრებით? მაგრამ ვინ უსმინა. „მოხვიეს ხელი და გადაკარგეს ერთობ ყოველი ერთს ჭაობიანს ადგილსა მყრალსა“. ბატკნები ჩივიან – რატომ გვართმევთ ჩვენს მამულს, ეს არის შენი დახმარება? დათვი: გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე. რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ, რომ თქვენი ქვეყნიდან გადმოგასახლეთ. თქვენს მამულს ვერ მოუარეთ და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ. ბატკნები: ტურა-მელისგან დახსნა გთხოვეთ, „რა შევიძამტეთ თქვენის შველითა? რაც მათ გადარჩათ, სულ თქვენ მიგვიღეთ!“<sup>8</sup>

სოლომონ რაზმადის პატრიოტიკა გაჟღენთილია ბაგრატიონთა ტახტის სიყვარულით (ეს სიყვარული პოეტმა შეითვისა ბაგრატიონთა ოჯახსა და წრეში... ის ხომ თეიმურაზ ბატონიშვილის ოჯახში გაიზარდა).

ეს არის პოლიტიკური არაკის მშვენიერი ნიმუში ქართულ მწერლობაში. (პირველად დაიბეჭდა „მნათობში“ 1926 წ. 7).

გასაგებია, რომ არაკმა შეთქმულთა შორის დიდი მონონება მოიპოვა. ეს ნაწარმოები თვითონ ავტორმა წაიკითხა შეთქმულთა ერთ-ერთ კრებაზე. მისი ხელნაწერი ბევრ შეთქმულს უპოვეს. დაკითხვისას სოლომონ რაზმადემ უპასუხა: „არავისთვის არ გამიგზავნია, ვაჩვენე მხოლოდ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს და მათ დაიტოვეს“.

„დიანას მეჯლისი“ დაწერილია თბილისში 1832 წელს. ჩვენ ვიცით, რომ სოლომონ რაზმადეს შეთქმულებმა აქ გაუმართეს სადილი (თავისებური მეჯლისი). ამ მეჯლისის შთაბეჭდილებითა და შთაგონებითაა დაწერილი ეს ლექსი.

პოეტი მითოლოგიურ პერსონაჟთა (ამურების, ნიმფების და სხვათა) მოშველიებით უმღერის ქართველ ქალთა მშვენიერებას, სინაზეს და სიკეკლუცეს. პოეტი აღწერს განთიადის (აისის) წარმტაც სურათს. ამ დროს ოლიმპიდან წამოვიდა უტურფესი დიანა თავისი მხლებლებით („ნიმფთა, ამურთა და მუზათა და-

სით“) და „განანათლა ივერთა მხარე“. დიანას მიესალმნენ ივერიელი ქალები, რომელთა სილამაზით თვით დიანაც მოიხიბლა. დაიწყო ღმერთქალის მეჯლისი ქართველ ქალებთან, რომელთაც ემსახურებიან და სავსე ფიალებით აწვდიან სიყარულის შარბათს. დიანა წარმოსთქვამს ქართველ ქალთა სადღეგრძელოს. ამ სადღეგრძელოში ზმებით ჩამოთვლილია 12 ასულის სახელი: მანანა, მაიკო, სოფია, დარია, მაია, ნინო, ელენე, ანიკო (ანნა), მელანია, ეკატერინე, კონია, ბაბალე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოლომონ რაზმაძე ახსენებს შეთქმულების მონაწილე ქალებს (როგორც ცნობილია, შეთქმულებაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგ. თამარ იულიონის ას. ბატონიშვილი, ზოგიერთს ეს უნდოდა მეფედ (მამონ მეორე თამარ მეფე იქნებოდა), ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე ეკატერინე ბარათაშვილი, თეკლე ბატონიშვილი, მანანა მირმანოზის ას. ორბელიანი, ელიზბარ ერისთავის და მელანია მელნიკოვისა და სხვა).

„დიანას მეჯლისი“ რომანტიკული შინაარსის ლექსია (თუმცა პოეტი, მსგავსად კლასიკოსებისა, მითოლოგიურ პერსონაჟებს იშველიებს).<sup>9</sup>

1832 წლამდეა დაწერილი უსათაურო ლექსი - „შენა გფერობს“ აქ შექმნილია მეფე „ირაკლი მტერთა გამჟღეტი“, რომელმაც „თავის სისხლითა შეღება მთა, გორა, ველიო, მტერი განსდევნა“... ლექები და ოსმალეები ალაგმა... „აღმოსავლეთშია გრგვინავს მისი სახელიო, იგი ქებას გარდაევლო ვით მთას მერცხალიო“.

ანმყოფი გულმოკლული პოეტი სევდიანად გასცქერის დიდებულ წარსულს და რომანტიკული აღტაცებით უმღერის ერეკლე II-ს და მის აღმზრდელ ქვეყანას (სამშობლოს მიმართავს: „შენა გფერობს სპარსთა ქება მაღალიო შენ გაგვიზარდე ირაკლი მტერთა გამჟღეტიო“).

სამშობლოს თემაზეა დაწერილი ლექსები: „ელბრუსი“ და „მამულს“. ორივე ლექსი დაწერილია გადასახლებაში 1935 წელს.

„ელბრუსი“ პოლიტიკური ხასიათის ალეგორიული ნაწარმოებია. აქ ისმის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხმა: მედგრად დგას იალბუზი. დასავლეთისაკენ მიმფრენი წეროები

ეჯახებიან ამ მაღალ მთას, ფრთებით ძლიერად სცემენ, მაგრამ „უძალონი... ქვე ეცემიან“.<sup>10</sup> მაგრამ მხნე და ძლიერი არნივები მას (იალბუზს) გარდაივლიან. პოეტი ამ არნივებში (მამულისთვის თავდადებულ გმირებში) ხედავს ხსნას.

ამ პატარა ლექსს მოსდევს „განმარტება“: „ჯამთა ჯამებში იალბუზია ღრუბელ-მოსილი, ხოლო არნივი არის დიდი ღენი, ზეცით მოსული“.

რამდენადმე პესიმისტურია იმავე წელს იმავე ქალაქში დანერილი „მამულს“. გადასახლების შემდეგ სოლომონ რაზმაძის პოეზიაში ფეხს იკიდებს სევდა-ნალველი. სამშობლოდან შორს ყოფნას პოეტი მწარედ განიცდის: ენატრება მამულისა და დედის ხილვა. აქ სხვადასხვა ნალველია გაერთიანებული. სამშობლოსთან და ერთადერთ მახლობელ ადამიანთან – დედასთან განშორების სევდა. დედა ტირის იმის გამო, რომ შვების დღე დაულამდა, მზე დაუბნელდა, სისხლის ცრემლთა დენით ღანწები დაელარა, გული და სული დაულამდა.

„ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ! ვგოდებ ნიადავ, რომ ვერა გხედავ!“.

პოეტი გრძნობს დედისადმი თავის „დანაშაულს“ („დანაშაული“ ბრჭყალებში იმიტომ, რომ ეს უნებლიე დანაშაულია; გამართლებულია მამულისადმი სიყვარულით) ან სულაც მამულს იხსენებს დედად/ დედასამშობლო.

სოლომონ რაზმაძის სევდის წყაროა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ- პოლიტიკური მდგომარეობა. პოეტი ზოგჯერ წუთისოფლის უარყოფამდეც კი მიდის. მაგ. ლექსი „სოფელს“ (1841 წ. პენზა); თუმცა წუთისოფელი საერთოდ მშვენიერია და მიმზიდველი, მაგრამ პოეტს ის ტანჯვის ბუდედ გახდომია. ცხოვრების მხიარულება-ბედნიერებაში მას წილი არ უდევს, მისი გული მოკლულია. სამარეში მდებარეს მზის სხივი ვეღარ ათბობს. მთები და ბორცვები, ნაყოფიერი ველები მისთვის მკვდარია. სიკვდილამდე სისხლის ცრემლებს ღვრის. პოეტი იქამდეც კი მიდის, რომ უხმობს სიკვდილს:

**გულზედა მანევს ურვა ვით ლოდი,  
ჰოი, სიკვილო, რას ჰლამი? მოდი!**

ან კიდევ „იღინე წვიმავ...“ (ასე იწყება ეს ლექსი): ბინდი ქვეყანას ჰლუპავს სიბნელეში, მაგრამ აი გამოჩნდა თეთრ ჰუნეში შებმული ეტლი, მასში ზის მაისის დარი მნათობი. მისი დანახვით გაცოცხლდა მკვდარი. მაგრამ ნეტარება დიდხანს არ გარძელებულა. მნათობი მალე განშორდა და „კაეშნის ცეცხლში დამენტქა სულიო“. პოეტი სთხოვს წვიმას, იღინოს ღვარად, რათა „განუნელოს გული, გონება აღმოდებული“.

(ეს ლექსი ალეგორიულია? ეტლში მჯდომი მნათობი სამშობლოა? 1832 წელს რომ იხილა, მაგრამ ისევ მალე დაჰკარგა).

პოეტი ცდილობს თავისი ღრმა სევდა ღვინოში ჩაახრჩოს. მსგავსად ანაკრეონტი პოეტებისა, ზოგჯერ სოლომონ რაზმაძე ცდილობს სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული სევდა-ნაღველი გაიქარგოს ღვინოში. აი ლექსი - „რისთვის მარტოებ დაღონებული“. რატომ ხარ დაღონებული და ფიქრით მოცული, ურვით შეპყრობილი? „ხედავ ფილას, სავსეა ღვინით? შესვი – მოგეცეს ლომისა ძილი და დაგიშრიტოს შემწველი ალი!.. ვახოთ ბაგენი ჯიხვებსა ხშირად!.. კახური მიჰფენს სიხარულს პირსა, მივსჭედოთ სევდა ქვევრების ძირსა!“ (დანერილია პენზაში 1834 წელს).

სოლომონ რაზმაძეს აქვს სატრფიალო ლექსებიც ასეთია, მაგ., „უსამართლოა მართლა ბუნება“, „ვარდი“, „ალბომში დაუნერე ე.ი.მ“.

უსათაურო ლექსში „უსამართლოა მართლა ბუნება“ (1834 წ. 15/XII-პენზა) პოეტი მიმართავს რომელიღაც ქალს: უსამართლოა ბუნება, რადგან ამ სოფლის ყოველი ღირსება შენში შეჰკრიბა. შენ გამშვენებენ: სილამაზე დიანასი, სინარნარე პროზერპინასი, ხმა სირინოზის, სიბრძნე მინერვასი, „ნიმფთა დასნიცა შენ გტრფიალებენ“ (აქაც პოეტი რომაულ-ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებს იშველიებს). სიყვარულს ადამიანისთვის მოაქვს სიამე და სიხარული, იმედი და სიხალისე. მიჯნურთან სიახლოვე სევდასა და კაეშანს ანელებს, ფანტავს. ეს აზრია გატარებული პატარა ლექსში „ვარდი“.

**მომენიავა სიო ცხოველი, მან განმიოტა ურვა ყოველი,  
მაჰკურა გულსა სიამის ნამი და გადამბანა კაეშნის ლამი.**

დაახლოებით ასეთი აზრია გატარებული ეკატერინე ივანეს ას მეშკოვასადმი მიძღვნილ ლექსში „ალბომში დაუნერე ე.ი.მ“ (1835 წ. 25 აპრილი, პენზა). ეს ქალი შემდეგ სოლომონ რაზმაძის მეუღლე გახდა.

მიუხედავად ამისა, სიყვარული და ლხინი არაა სოლომონ რაზმაძის პოეზიის დამახასიათებელი მოტივი. მისი ლირიკის დამახასიათებელია ეროვნულ-პოლიტიკური მოტივი.<sup>11</sup>

1845 წელს სოლომონ რაზმაძეს შეეძინა ვაჟი. მის შემომქმედებაში გაჩნდა ახალი თემა – მშობლიური სიყვარული. იგი გახდა ბედნიერი მამა და დიდხანს ობლად მყოფმა (სამშობლო და მახლობლებ-დაკარგულმა) იპოვა ნუგეში. ლექსი „წელსა 1846“ უძღვნა შვილს.

**მოდით ნახეთ ყრმა მძინარე, მისი დარი – სავსე მთვარე.**

### შენიშვნები:

1. პოლიევქტოს კარბელაშვილი (იხ. „დროება“, 1882 წ. №259). ამ სადილზე და იქ მიწვეულ პირებზე საუბარი აქვს დიმიტრი ყიფიანს (სადილად ესეც იყო მიწვეული) თავის „მემუარებში“. დიმიტრი ყიფიანის ცნობით სადილი მოეწყო ივნისში, კარბელაშვილი ასახელებს მისს.

2. ალექსანდრე სნავლობა მოსკოვის უნივერსიტეტში და ლაიპციგის კონსერვატორიაში. შემდეგ იყო მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი. გამოსცა „მუსიკის ისტორიის ნარკვევები“ (1888 წ.), რაც კრიტიკამ თანაგრძნობით მიიღო. სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში ხელმძღვანელობდა მუსიკალური კრიტიკის განყოფილებას, რედაქტორობდა მოსკოვში ჟურნ. „Музыкальный вестник“-ს დაწერა რამდენიმე პიესა ფორტეპიანოსათვის. პოპულარობით სარგებლობდა მისი „Кобзарские песни“. ალექსანდრე რაზმაძეს ეკუთვნის ილუსტრირებული ნიგნი „ვოლგა“ (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი).

3. ადრინდელი ლექსები, საფიქრებელია, სიფთხილის გამო თვითონვე მოსპო. რაც შეეხება გადასახლებაში დაწერილ თხზულებებს (და სხვა მასალებს), დაიკარგა მისი შვილის – ალექსანდრე რაზმაძის არქივთან ერთად.

4. „ანგელოზი“ შემდეგ სხვადასხვა დროს თარგმნეს ილია ჭავჭავაძემ, გრიგოლ აბაშიძემ (1866-1903), კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ანა კალანდაძემ.

5. მთარგმნელი ამ დროს თბილისში იმყოფება. მკვლევარებს (კ. დონდუას, ი. გრიშაშვილს) კარგ თარგმანებად მიაჩნიათ „განღვიძება“ „ლხინი“ და „ნინასნარმეტყველი“.

6. ალ. ჭავჭავაძის თარგმანთან მთარგმნელის სიცოცხლეში დაიბეჭდა მხოლოდ ერთი — „Пробуждение“ („სიზმარი“). დაიბეჭდა „ტფილისის

უნყებანში“, 1830 წ. №2-ში (ეს იყო პუშკინის | ნანარმოები, რომელიც ქართულად დაიბეჭდა).

7. ეს თარგმანი არის 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილის ოდილიონ ბაროს (1791-1873) პოლიტიკური ხასიათის მონოდება - „ნიგნი ფენელონისა ლუდოვიკ XIV-სთან მინერილი...“ ს. რაზმაძე ამ თარგმანით უშიზნებდა მეფის რუსეთის პოლიტიკურ რეჟიმს, მის დესპოტიზმს (ეს გარკვეულად ჩანს მასზე წამძღვარებული ლექსიდან - „ვიცა ვალია“). ამიტომაც შეთქმულთა საქმის ძიებისას ს. რაზმაძეს ამ თარგმანზე საგანგებოდ ეკითხებოდნენ (და ს. რაზმაძე როგორც ასეთ დროს ხდება, ცდილობდა თავი ემართლებინა - ვთარგმნე ყოველგვარი მავნე განზრახვის გარეშე; ვფიქრობდი იმაზე, გამოვიდოდა თუ არა ქართულადაც ასეთივე კარგი, როგორც რუსულად იყო).

8. არაკი მთავრდება პოლიტიკური შინაარსის სენტენციით:

„როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად  
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად,  
არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა,  
არამედ სნეული და დავრდომილთა“.

ე.ი. საქართველო სნეული არაა და მისთვის არ არის საჭირო მკურნალობაო.

9. ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წ. №12-ში. მისი | პუბლიკაცია ეკუთვნის ალექსანდრე ორბელიანს, რომელსაც ივანე კერესელიძისათვის წერილიც გაუგზავნია: „მონყალეო რედაქტორო ივანე კერესელიძე! მონყალეო ხელმწიფევე, გთხოვთ ეს ლექსი „დიანას მეჯლისი“, დაუბეჭდოთ სოლომონ რაზმაძეს „ცისკარში“, ყველასაგან დავიწყებულს ჩვენგანით. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ეხლა მაინც მოვიგონოთ ის ყარობი საწყალი. ჩემს მახლობელ ნათესავს ეპოვა ეს ლექსი თავის ქალაღდებში, რომელმაც დასაბეჭდათ მომცა და მეც თქვენთვის გამომიგზავნია, თორმეტს მშვენიერს ქართველახედ დაწერილი რაზმაძისაგან, 1832 წელსა. უეცარმა საგანმა განაღვიძა სული სოლომონ რაზმაძისა და იმისთვის ითალარბა ტკბილად გაფურჩქნულს გაზაფხულზედ, მშვენიერი წალკოტის თალარის ქვეშ, სადაც ამ დროს ვმხიარულობდით ამხანაგები“ (იხ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. გვ. 402).

10. ეს წეროები შეთქმულნი არიან. იალბუზი, რომელსაც ისინი შეეჯახნენ, არის რუსეთი. დამარცხებული წეროები (შეთქმულნი) ძირს დაენარცხნენ, მაგრამ ძლიერ არნივებს (მამულისთვის თავდადებულ გმირებს შეუძლიათ თავს გარდაევილონ იალბუზს. ისინი გაიმარჯვებენ).

11. ს. რაზმაძის ლექსები იხ. „ქართული პოეზია“ (15 ტომად). ტ. 10., 1978 წ. გვ. 134-149.

1990 წ. გამოვიდა ს. რაზმაძის ლექსების კრებული.





## მიხეილ თუმანიშვილი

მიხეილ თუმანიშვილი — XIX ს. 30-40-იანი და 50-იანი წლების მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი.

საუკუნეთა მანძილზე თუმანიშვილები ქართველ მეფეთა მდივანბეგები იყვნენ. ეს თანამდებობა მათი საგვარეულო ხელობა გახლდათ.<sup>1</sup> მეფეთა მდივნობამ განაპირობა ის, რომ თუმანიშვილებში ბევრი აღმოჩნდა პოეტი-მნიგნობარი,<sup>2</sup> გადამწერ - კალიგრაფისტი... (კალიგრაფისტობა პროფესია იყო).

მიხეილის მამა - ბირთველი იყო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივანი: [შემდეგ (1800-1801 წლებში) ქართლის ნაწილის მმართველის ვახტანგ-ალმასხანის მდივანი და მრჩეველი, მნიგნობარი და ლიტერატორი].

დედა ანა (ბირთველის მეორე ცოლი) იყო მირიმანოვის ასული (სომეხი იყო დავით ერისთავის დედაც).

ბირთველს ჰყავდა 5 ვაჟი და ერთი ასული,<sup>3</sup> ამათგან ყველაზე უმცროსი — მიხეილი. იგი დაიბადა 1818 წ. სოფ. ხელთუბანში (მაშინდელი გორის მაზრა, გორიდან 6 კილომეტრზე). ბავშვობის წლები თავის სოფელსა და გორში გაატარა. პირველი დაწყებითი განათლებაც იქვე მიიღო გორელი მღვდლისაგან. მალე ბირთველის ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და 1831 წლიდან მიხეილმა თბილისის გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. იგი ერთი კლასით უკან იყო ნიკოლოზ ბარათაშვილზე, მაგრამ ერთმანეთთან ჰქონდათ განსაკუთრებული სიახლოვე და მეგობრობა. (ერთნაირი ხასიათი, განწყობილება, ლიტერატურის, პოეზიის სიყვარული. მოკლედ, სულმა სული იცნო და გულმა გული). მათი მეგობრობა გაგრძელდა გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც, ბარათაშვილის გარდაცვალებამდე. გიმნაზიელთა შორის ის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა.

საკმარისია ითქვას, რომ პირველი ლიტერატურული ალმანახი „ანთოლოგია“ (1833 წ.) გადანერილია (გადანერა ხომ თუმანიშვილების ხელობაა) მიხეილ თუმანიშვილის მიერ (იგი იყო ინიციატორი მისი გამოცემისა) მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით გამოსცეს გიმნაზიელებმა აგრეთვე რუსული ხელნაწერი ჟურნალი „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ (1835-36 წლებში).

ეს გიმნაზია მიხეილ თუმანიშვილმა დაამთავრა 1836 წელს. მას გულით ეწადა უმაღლესი განათლების მიღება (სამხედრო კარიერაზე არასდროს უოცნებია, მისი წინაპრები მდივანბეგები იყვნენ და სამხედრო პირი მათ გვარში არც გამოსულა), მაგრამ „უნივერსიტეტის გზა მისთვის მატერიალური ხელმოკლეობის გამო დახშული აღმოჩნდა“ (ალექსანდრე ხახანაშვილი) ამ მხრივ მან თავისი მეგობრის (ნიკოლოზ ბარათაშვილი) ბედი გაიზიარა. 1837 წ. იანვრიდან მუშაობა დაიწყო ე.წ. „საქართველოს სახაზინო ექსპედიციაში“ (შემდგომ - „სახაზინო პალატა“), ხოლო ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს „ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დებულების პროექტის შემდგენელ კომისიაში“.

სამსახურის დაწყების პირველ წლებშიც განაგრძობს ლიტერატურულ საქმიანობას და კავშირს არწყვეტს ძველ მეგობრებთან (მაგ. ნიკოლოზ ბარათაშვილთან),<sup>4</sup> გაიჩინა ახალი მეგობრებიც. ერთი ამხანაგთაგანია კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელი ფადეი ლადა-ზაბლოცკი, მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი ნიჭიერი ახალგაზრდა. ზაბლოცკიმ, სხვათა შორის, პოლონურად თარგმნა მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ფიალა“ (რომელიც შემდეგ დაიბეჭდა ზაბლოცკის თხზულებათა ლაიპციგის გამოცემაში). თვით მიხეილ თუმანიშვილი ზაბლოცკის აწვდიდა მასალებს „ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევის“ დასაწერად პოლონურად.<sup>5</sup>

1840 წელს დაოჯახდა. ცოლად შეირთო სოფიო ენიკოლოფაშვილი (თავისი დროისათვის ცნობილი დიპლომატის, პოლკოვნიკ მირზა-აფრიამა ენიკოლოფაშვილის ასული) და მალე მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა გახდა. მისი 12 შვილიდან ორ-

ნი – გიორგი და ანასტასია – ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი პირები არიან.<sup>6</sup>

[უყვარდა ეკატერინე ჭავჭავაძე (ე.ი. მეგობრებს ერთი და იგივე ქალი უყვარდათ, მაგრამ ამ „რაციფობას“ ხელი არ შეუშლია მეგობრობისათვის. მას მიუძღვნა ლექსი ვ. ჭ. ალბომზე (1838 წ.) (ინიციალები ნიშნავს ან „კატო“, „კატინკა“ ჭავჭავაძეს“ ან „კნიაუნა ჭავჭავაძეს“).

თითქოს მიხეილ თუმანიშვილის ამ სიყვარულს გულისხმობს ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა სწერს კახეთში მყოფ მეგობარს (1838 წ. 6 აგვისტოს): „ალაზნის ველის მეუდაბნოევ, მიაბზე რამე შენი ველის ქალწულის შესახებ“.

ეკატერინეს გათხოვება მას მაინცდამაინც არ უგლოვია (ნიკოლოზ ბარათაშვილივით) „შავები არ ჩაუცვამს“ და მომდევნო 1840 წელს სხვა შეირთო.]

მიხეილ თუმანიშვილი მალე დანიშნაურდა სახელმწიფო სამსახურში. იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებდა.<sup>7</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საგლეხო რეფორმის მომზადებაში. ამ მხრივ მან დიდი მუშაობა ჩაატარა.

მიხეილ თუმანიშვილი თანაგრძნობით შეხვდა საგლეხო რეფორმას, მაგრამ ის მხოლოდ ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობის თვალსაზრისს გამოხატავდა. მისი სოციალური იდეალები ზომიერი ლიბერალიზმის ფარგლებს არ სცილდებოდა.

1864 წლიდან მიხეილ თუმანიშვილი ინიშნება გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიის დირექტორად და „გლეხთა მოწყობის კომიტეტის“ საქმეთა გამგედ. 1874 წელს მას ნიშნავენ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად.

მიხეილ თუმანიშვილი მონაწილეობს, მრავალ საზოგადოებრივ წამოწყებაში: იგი იყო ქართული თეატრისა და ჟურნალის აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორი, აღსანიშნავია, რომ სურდა გამოეცა ყოველთვიურად ჟურნალი, სახელწოდებით „საქართველოს ჟურნალი“. უნდა გამოსულიყო 1855 წლის

იანვრიდან. სამწუხაროდ, მან ჟურნალის გამოცემის ნებართვა ვერ მიიღო (ჩვენამდე მიღწეულია მის მიერ შედგენილი პროგრამა ჟურნალისა). მონაწილეობდა თბილისის პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსებაში, ითვლებოდა კომიტეტის წევრად, რომელსაც უნდა შეედგინა სათავადაზნაურო ბანკის წესდება და სხვა.

გარდაიცვალა 1875 წ. 2 თებერვალს, 57 წლისა. დაკრძალეს ხოჯივანქის სასაფლაოზე (ავლაბარში). (საგულისხმოა, რათა ოდესაში მყოფ შვილს – გიორგის, რომელიც იმ დროს გამოცდებისთვის ემზადებოდა, არ გაეგო მამის დაღუპვა, ოჯახის თხოვნით, გაზეთებში არ დაბეჭდილა არც განცხადება, არც ნეკროლოგი).

მწერლობისადმი სიყვარულმა მიხეილ თუმანიშვილში ადრე გაიღვიძა (წინაპრები ხომ მდივან-მწიგნობრები იყვნენ...). ჯერ კიდევ 14-15 წლის ყმაწვილი, იგი თავს უყრის გიმნაზიის ლიტერატურულ მასალებს და გამოსცემს ე.წ. „ანთოლოგიას“, „ანთოლოგიის“ დიდი ნაწილი თვითონ მიხეილ თუმანიშვილის ორიგინალურსა და თარგმნილ ლექსებს უჭირავს. აქ მოთავსებულია მისი ლექსები – იდილია „მირტილი“ და „კახეთი“ და კრილოვიდან ნათარგმნი „ფოთოლნი და ფესვნი“, „სირი და ჭვინჭა“, „ბაყაყნი, მთხოვენელნი მეფისა“, ნაწყვეტი პუშკინის პოემიდან „კავკასიის ტყვე“.

ეს ლექსები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ვერ დგას მაღალ მხატვრულ დონეზე. ჩანს, მათი ავტორი საკუთარი პოეტური ხმის ძიებაშია.

მიხეილ თუმანიშვილი წერდა რუსულ ენაზეც. მისი რუსული ლექსები „გრაფი ვალერიან გორსკის“ ხელმოწერით მოთავსებულია „ტფილისის გიმნაზიის ყვავილში“. ესენია: „პოეტი და ზეშთაგონება“, „ელეგია“, „განმარტოება“, „კავკასია“, „მეგობარს“, „მოგონება“, „მფარველ გენიას“, „ტყვის სიზმარი“ და სხვა. საერთოდ მიხეილ თუმანიშვილი ორ ენაზე წერდა (ორენოვანი მწერალია).

მიხეილ თუმანიშვილი ლექსებს წერს მხოლოდ 30-იან წლებში 1838 წლამდე (სულ რაღაც 5-6 წლის მანძილზე). 1838 წ. შემ-

დეგ მას პოეზიაში არაფერი შეუქმნია (სიცოცხლის უკანასკნელი 37 წლის მანძილზე, როგორც პოეტი, დუმს). მიზეზი? მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სამსახურებრივი საქმეებით ძალიან გადატვირთულია, ველარ იცლის. ეს ასეა, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ ისიც იყო, რომ შეატყო საკუთარ თავს, პოეტად არ იყო დაბადებული (ეს კარგი თვისებაა. ზოგი მთელი ცხოვრების მანძილზე ჯახირობს).

მიხეილ თუმანიშვილის ორიგინალური ლექსები რაოდენობით არაა ბევრი (არც მნიშვნელობითაა დიდი). ეს ლექსები შემდეგ შეკრიბა და გამოსცა მისმა შვილმა გიორგი თუმანიშვილმა (1881 წელს). ამ გამოცემაზე რეცენზია დაწერა და „ივერიაში“ (1881 წ. №7) დაბეჭდა ივანე მაჩაბელმა. რეცენზენტი მას „მომცრო პოეტების“ კატეგორიას აკუთვნებს. რეცენზენტის აზრით, მიხეილ თუმანიშვილის პოეზია ერთ-ერთი დადასტურებაა, მაჩვენებელია, რომ „ჩვენს ლიტერატურაში... ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტოდ-მარტო არ იყო“ (როგორც ეს ბევრს ჰგონია), რომ იგი არ ყოფილა ციდან ჩამოფრენილი, უცნაური მოვლენა, რომ მის ლექსებში გამოთქმული აზრები და გრძნობები თვით საქართველოს ნიადაგზეა აღმოცენებული.

მიხეილ თუმანიშვილის ყველაზე ადრინდელი ორიგინალური ლექსებია „მირტილი“ და „კახეთი“ („ანთოლოგიაში“ რომ მოათავსა 1833 წელს).

„მირტილი“ რომანტიკული ლექსია. მასში გამოხატულია ყრმა ავტორის სულიერი განწყობილება: მისწრაფება ბუნების მშვენიერებისაკენ, რელიგიური ფანატიზმი და საზოგადოდ, ერთგვარი გადაჭარბებული მგრძნობელობა.

„კახეთი“ კონკრეტულ თემაზეა დაწერილი. მასში შექცეულია კახეთი, მისი სიტურფე და სიუხვე (იორისა და ალაზნის ნაპირები, სადაც ყურძენი მნიფდება...). კახეთის მხილველ მგზავრს თვალწინ წარმოუდგება „სურათნი სრულ სამოთხისა“.

კახეთის ქება ლექსად თუ პროზად წამოუთქვამს ბევრ ქართველ, რუს და ევროპელ მწერალს. მიხეილ თუმანიშვილი მათი ერთ-ერთი წარმომადგენელია.

„კახეთიც“, ისე როგორც „მირტილი“ რომანტიკული ლექსია. საერთოდ, ყრმობისდროინდელი ლექსებით ის ჩვენს წინაშე დგას, როგორც რომანტიკოსი (ეს გასაგებიცაა. მაშინ რომანტიზმის ეპოქა იყო. აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილთან სიახლოვე-მეგობრობა და სხვა...).

მიხეილ თუმანიშვილი ტიპური რომანტიკოსია. მის შემოქმედებაში გვხვდება რომანტიზმისთვის დამახასიათებელი მოტივები: ანმყო სინამდვილისადმი შეურიგებლობა და აქედან გამომდინარე მარტოობის განცდა (პესიმიზმი), ბუნების კულტი, სიყვარულის მოტივი.

მარტოობის განცდა, სევდაა გამოხატული ლექსებში: „ელეგია“ „უდაბნო“ (1838 წ.), „სალამური“ (1838 წ.), „ჩანგური“, „როდის იქნება“. როგორც სათაურიც გვიჩვენებს, „ელეგია“ მართლაც ელეგიური ლექსია. მუდამ დასევდიანებული პოეტი კითხულობს: „მარამ რისგან შეეჩვივნენ ფიქრნი ჩემნი ესრეთ სევდას?“

პოეტი აქ ხაზს უსვამს ცხოვრების არარაობას, ამაოებას.

„უდაბნო“, ავტორის შენიშვით, ბაირონის მიბაძვაა. პოეტი თავის თავს ადარებს უდაბნოში განმარტოებით მდგარ ხეს, რომელიც „ციურის ცეცხლით გულჩამომწვარი“ და რტოებდამჭკნარია.

ვის არ გიხილავთ უდაბნო ბნელი,  
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,  
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი  
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?  
ვის არ გიხილავთ იქა ხე, მწარედ  
გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით  
და მალალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ  
გარდმოკიდული დამჭკნარ შტოებით!  
ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!  
მეც ეგრეთ ვიქმენ დღეგანამწარი:  
ვერღა მებახლოს ტკბილი იმედი,  
ვერღა აღყვავდეს მით გული მჭკნარი!

„უდაბნო“ რუსულად ითარგმნა ორჯერ. პირველად თარგმნა იზაბელა ტრინევსკაიამ („ნოვოე ობოზრენიე“, 1903 წ. 6325). მეორედ – ს. ამირეჯიბმა („ნოვოე ობოზრენიე“, 1904 წ. 6704). მანვე შეიტანა მის მიერვე რუსულად გამოცემულ „ქართველ პოეტთა ლექსების კრებულში“ (მოსკოვი, 1909 წ.).

საინტერესოა ლექსი „სალამური“ (1838 წ. 19 ნომბ.). ეს ლექსი პოეტის იდეური მრწამსის გასაღებია. მასში გადმოცემულია ცხოვრების მიერ გულდაკოდილი ადამიანის შინაგანი განცდები. პოეტი ამბობს, რომ იყო ერთი დრო მის ცხოვრებაში, როდესაც იგი ბედნიერი იყო, სიცოცხლე უყვარდა და სოფელს ენდობოდა ჭაბუკურის გატაცებით: ყველგან და ყველაფერში სასიამოვნო მოვლენებს ხედავდა, მისი გული კმაყოფილებით ძგერდა. ცხოვრება მას მომავალშიც ბედნიერებას ჰპირდებოდა... მაგრამ ეს იყო ერთ დროს, ჭაბუკობისას.

**იყო დრო... მაგრამ, ჰე მაცთურო ამაოებაჲ,  
რად დამილენე ოქროვანი ხატი ოცნების?**

ყველაფერი დაიმსხვრა. ბედნიერება, რომელიც აქამდე ჰქონდა, მოჩვენებითი აღმოჩნდა – დროებითი და წარმავალი. სალამური, რომელიც წინათ აღტაცების ხმას იძლეოდა, ახლა „ჟღერით დაყრუებულია“.

ეს ლექსი გვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“. ორივე ლექსში პოეტები უჩივიან იმას, რომ ისინი ნუთისოფელმა მოატყუა, თავისუფლებასა და ბედნიერებას ჰპირდებოდათ და სინამდვილეში კი ცხოვრება მოუწამლათ და სულის მშვიდობა წაართვათ. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი დაიწერა 1843 წ., თუმანიშვილის – 1838 წელს. მამ ბარათაშვილზე ხომ არ მოუხდენია გავლენა? რასაკვირველია, არა! საკითხის ასე დასმაც უხერხული იქნებოდა. მსგავსება შედეგია იმისა, რომ ორმა პოეტმა ერთი და იგივე ეპოქა ერთნაირად განიცადა. ისინი ერთნაირად გრძნობენ ჟამთა სიავეს და ერთნაირად უარყოფენ მას (თავიანთი ეპოქის სინამდვილეს).

აშკარა უიმედობისა და სასოწარკვეთილების გამოხატვე-

ლია „ჩანგური“. აქ ისაა ნათქვამი, რომ სიჭაბუკის მხიარული წლები წავიდნენ და მას ვერაფრით ვერ დავიბრუნებთ; „განვლილთა დღეთა და სიტკბოებათ“ მოგონებას აღარ შეეძლო დაკარგული ბედნიერების დაბრუნება:

**თვალთ დაბინდებულთ ვერღა იხილონ  
გაზაფხულისა დღენი მაშვენნი;  
მოგონებათა ვერ აღადგინონ  
სიჭაბუკისა მხიარულ წელნი.**

მიხეილ თუმანიშვილის პესიმიზმი ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის (მაგ. „როდის იქნება!“), მიხეილ თუმანიშვილი მიისწრაფის ოცნების სამყაროსაკენ, სადღაც ირეალური სამყაროსაკენ. ოცნებობს შეესხას ფრთები და გადაფრინდეს იმ ქვეყანაში, „სად სიხარული, ვით წყარო წელი მომდინარეობს დაუსრულებლად“. თუ ზოგჯერ ამა სოფელსაც მოხედავს და ანუგეშებს, ეს იქნება მხოლოდ ერთი წამით. ამის შემდეგ ისევ იმ ედემისკენ გაფრინდება (უსათაურო ლექსი „როდის იქნება...“).<sup>8</sup>

მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ბუნებას. ბუნებაა დახატული ლექსებში „ტირიფი“ (1837 წ.), „მოგონება“, „ღამე“ (1838) „ელეგია“. „კავკასი“ („Кавказ“).

საზოგადოებაში გულგატეხილი პოეტი მეგობარს პოულობს ბუნებაში. მაგ. „ტირიფი“. პოეტს უყვარს ტირიფი, როგორც „დაობლებულის გულის მფარველი“. ტირიფისადმი სიყვარული შერჩა დღემდე. ანიცო, — ეუბნება ტირიფს, — „ვიყვნეთ მეგობრად“...

**შენ უნინდელებრ მომაგებდე ნუგეშსა ტკბილსა,  
მე ჩვეულებრივ შემოგტრფოდე თვით სიკვდილამდე.**

თუ ჩემზე ადრე შენ მოკვდი, „მერწმუნე მაშინაც არ დაგტოვებს მეგობრის ხელი“. მაშინაც შენზე მზრუნველი ვიქნები, ხოლო თუ მე ადრე მოკვდები, მრჩება იმედი, რომ არ დამივიწყებ



და ჩემს სამარეს გააგრძელებ ცისკრის ნამით, რომელიც „დაეცემა გულს ნეტარებით“.

პოეტი გადმოგვცემს თავის განცდებს. ბუნებასთან დაახლოება-შეერთება პოეტში იდუმალ ფიქრებს აღვიძებს. ლექსში „მოგონება“, პოეტი კმაყოფილებით იხსენებს ალაზნის ჭალებს, სადაც პირადად განუცდია ბუნების დიდი ზეიმი (მოზუტბუტე ალაზანი, ჭალაკებში მგალობელი ბულბულინი...).

**მიყვარს, მთიები ღამის, შენი თალხი სხივები,  
მათ განაღვიძეს ჩემში იდუმალი ფიქრები.**

პოეტს უყვარს ღამე, თალხი სხივები. ამ ლექსში ალაზანი და მისი მიდამოები სწორედ ღამითაა ნაჩვენები.

აქვს ლექსი „ღამე“ (1838 წ.). აქ გვიხატავს ღამის სურათს, თუმცა ის მაინც აღწერილი ხასიათისაა: ბუნებაში ჰარმონია სუფევს, ბუნების უხილავი კანონებით ერთმანეთს არიან შეხმატკბილებულნი ვარსკვლავები, კამკამა წყარო, სურნელოვანი ვარდნი, ენატკბილი ბულბული... პოეტი იგონებს ვილაც ლეილას და ევედრება, ისევ მოვიდეს და მოეხვიოს, ციური ხმით დაუტკბოს სმენა, ღიმილით განაცისკროვნოს (გაამხიარულოს)... ე.ი. შეიბრალოს ვარდმა (ლეილამ) ბულბული (პოეტი).

**მაშინ შემოგვნატრებენ ვარსკვლავნი ზეცით  
და ვარდს ბულბული შეებრალეების.**

ბუნებაში პოეტი ხედავს თავისი ობოლი სულის ანალოგს, თავისი ჭირ-ვარამის თანამოზიარეს:

**მარამ რისგან შეეჩვივნენ ფიქრნი ჩემნი ესრეთ სევდას?  
ნუთუ გლოვა ბუნებისა დააღონებს ჩემებრ ყველას?**

*(„ელეგია“)*

ლექსში „Кавказ“ („ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ №2) დახატულია კავკასიის დიადი ბუნება, მისი მშვენება. ლექსს ამჩნევია პუშკინის „Кавказ“-ის გავლენის კვალი.

ამავე 1835 წელსაა დაწერილი სოლომონ რაზმაძის „ელბრუსი“ (ქ. პენზაში).

მიხეილ თუმანიშვილს აქვს ლექსები სიყვარულის თემაზე, ე.წ. ანაკრეონტული ლექსები. სევდაშემოსეული პოეტი ხშირად თავდავინწყებას ცდილობს ქალსა და ღვინოში...

სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსებია: „კ. ჭ. ალბომზე“ (1838 წ.) უსათაურო „ვით მოგზაური“. პოეტი სიყვარულში ხედავს დიდ ძალას. მხოლოდ სატრფოს ძალუძს ახალი ენერჯია შემატოს მას და გაუცისკროვნოს „ბნელი სიცოცხლე“, მოუღბინოს „დაობლებული გული“:

ვით მოგზაური, უცხო ცის ქვეშ გადახვენილი სტუმარი, ამ სოფლად დავდიოდი დამწუხრებული, ფიქრით მოსილი. დაობლებულ გულს ჩანგის ჟღერაც ვერ მოალხენდა, მაგრამ ამ დროს შენ მომეველინე ვით ანგელოზი და „გამიცისკროვნე ბნელი სიცოცხლე“. შენ უკუმყარე შავი ფიქრები, ისე როგორც ღრუბელი გაიფანტება ცაზე დილითა.

ამიერიდან პოეტი გოდებას ცხოვრების ამაოება-წარმავლობის გამო თავს ანებებს და გვპირდება, რომ იქნება თავისუფლების მომღერალი.

აი, რა შეუძლია სიყვარულს. სიყვარულის ძალაზე ბევრს ლაპარაკობენ რომანტიკოსები (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ანაკრეონტულია ლექსები „ფიალა“, „ღამე“ (“ჩუ, ქარიშხალი ვითა გრიალებს“), „ადელს“ (პუშკინით).

„ფიალა“ ქეიფისა და დროსტარების აპოლოგიაა (სათაურიც დამახასიათებელია, ესაა ღვინის ფიალა – სასმისი). [შდრ. ნიკოლოზ ბარათაშვილის „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“. „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით. შესვი? გაამოს!“ (ალბათ, ყველაზე მოკლე ლექსი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში). (1842 წ.),] ღვინით სავსე ფიალა, ძონნი ბაგენი, ემხიანი თვალები... ასეთი პოეტურია თემები თუმანიშვილის აახლოებს ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მგრძნობელობასთან.

მიყვარს ფიალა სპეკალი,  
ოდეს ღვინის ნაპერწკალი  
ნათობს, დულს, ელავს მასშიგან,  
თითქოს ლალის ნათელ-წყალი:  
მიყვარს ძონნი ბაგენი,  
ეშხით, ღიმილით საესენი  
და სიყვარულის წყურვილის  
კოცნითა დამაცხრობელნი.

„ღამეში“ („ჩუ, ქარიშხალო“) აღწერილია ჩვეულებრივი ღამის სურათი. ამ ცხოვრებას პოეტი უწოდებს უდაბნოს. იგი ურჩევს ქალს (ერთი სახლის ფანჯრიდან რომ გამოიყურება), დროებით მაინც თვალი მოაშოროს ამ უდაბნოს, გამოვიდეს მასთან და ლხინითა და ჩონგურით დაივიწყოს ცხოვრების ამაოება.

„ადელში“ იმას ამბობს, სიყვარულისა და სიხარულის დროა სიჭაბუკე. ამიტომ „დღენი ყრმობისა სიყვარულს მიე“, თორემ შემდეგ, როდესაც ცხოვრების ჭირ-ვარამს შეიცნობ, დაგვიანებულიაო.

ეს ლექსი გვაგონებს გრიგოლ ორბელიანის ლექსებს „ანტონს“ და „ეკ. ჭავჭავაძისას“.

ნ. ბარათაშვილს:

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა ალსა!  
სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს,  
და საბრალაოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

(„ჩემთ მეგობართ“ - 1841 წ.)

მის. თუმანიშვილის აზრით, ადამიანმა ხანდახან მაინც დავიწყებას უნდა მისცეს ყოველდღიური სინამდვილე: უნდა მოილხინოს, იმღეროს და ინეტაროს.

(გაგონდებათ, ალბათ, ალექსანდრე ჭავჭავაძის „დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“, ან გრიგოლ ორბელიანის „ბედსა რად სწყევლი? რად სწუხარ? რას გარგებს

სულმოკლეობა? შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!"  
და სხვ.)

ე. ი. ანაკრეონტული ლექსებითაც იგი სხვა ცნობილ რომან-ტიკოსთა გვერდით დგას.

მისი პოეზია, როგორც ეპოქის გარკვეული ტენდენციების გამომხატველი, ამჟამად მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა.

მიხეილ თუმანიშვილი არის მთარგმნელიც — ივან კრილოვის ერთ-ერთი პირველი ქართველი მთარგმნელი. მან გადმოიღო და „ანთოლოგიაში“ (1833 წ.) მოათავსა კრილოვის „ფოთოლნი და ფესენი“, „სირი და ჭვინჭა“, „ბაყაყნი, მთხოვნელი მეფისა“ [კრილოვის პირველი ქართველი მთარგმნელია გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც 1832-33 წლებში ნოვგოროდში ყოფნისას თარგმნა 3 იგავი: („კატა და ბულბული“, „სოფლელნი და მდინარე“, „ნადირთა ჭირი“)]. როგორც მთარგმნელი, იგი საგანგებო ინტერესს იჩენს პუშკინისადმი. 1837-38 წლებში თარგმნა „კ-სადმი“ („Я Помню чудное мгновенье“), „ადელას“, გადმოაკეთა „ღამე“ („Зимний вечер“), „მაჰმადი“ („Пророк“) და სხვა. რაც უფრო საყურადღებოა, სრულად უთარგმნია „ბალჩისარაის შადრევანი“, „კავკასიის ტყვე“, ხოლო უფრო მოგვიანებით დაუწყია „ქვის სტუმრის“ თარგმნაც, თუმცა ველარ დაუსრულებია.

მიხეილ თუმანიშვილი არის პუშკინის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი.

ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მიხეილ თუმანიშვილის ზოგიერთ ლექსს ეტყობა პუშკინის გავლენა. მაგ. პუშკინის სტანსებს («Брожу ли я в доли улиц шумных») ეხმაურება მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი რუსულ ენაზე - „ელეგია“, მოთავსებული „ტფილისის გიმნაზიის ყვავილში“, III ნომერში. ასევე, პუშკინის ლექსის - „კავკასია“ («Кавказ») მიბაძვავა მიხეილ თუმანიშვილის იმავე სახელწოდების ლექსი რუსულ ენაზე («Кавказ»), მოთავსებული „ტფილისის გიმნაზიის ყვავილის“ II ნომერში.

თუმანიშვილს არ უთარგმნია არცერთი აღმოსავლელი პოეტი. მან „მთლიანად პირი იქცია ევროპული ლიტერატურისაკენ

ლექსის ფორმითაც და შინაარსითაც“ (ა. ხახანაშვილი, ჟურნალი „განათლება“, 1911 წ. გვ. 82).

ესაა მიხეილ თუმანიშვილის – პოეტის — ერთი დიდი დამსახურება.

## კრიტიკოსი და პუბლიცისტი

როგორც პოეტი მიხეილ თუმანიშვილი არის რომანტიკოსი (ესაა 30-იანი წ., უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებისადმი ინტერესს მიხეილ თუმანიშვილი იჩენდა ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში. „გიმნაზიის ყვავილში“ მოათავსა წერილი - „დღესასწაული თელეთობა“, კომპილაციური ხასიათის სტატიები: „შეხედულება ძველი სამყაროს მოვლენებზე“, „ზოგადი წარმოდგენა შუა საუკუნეების მდგომარეობაზე“. „ყვავილშივეა“ მოთავსებული მიხეილ თუმანიშვილის მიერ თარგმნილი სოლომონ დოდაშვილის ნარკვევები: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ და „მეფობა ირაკლი მეორისა“. (რომლებიც დაბეჭდილი იყო ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი“, 1832 წ. 1, 2, 3.) და სხვა.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მოღვაწეობა 50-იანი წლებიდან. მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც 40-იანი წლებიდან ჩამოშორდა ლიტერატურას, ახლა (50-იანი წლებში) კვლავ უბრუნდება მას. მაგრამ უბრუნდება არა როგორც პოეტი (პოეტობაზე სამუდამოდ აიღო ხელი), არამედ როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი. ასე რომ, მიხეილ თუმანიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობა შეიძლება ორ პერიოდად გავყოთ: პირველია 30-იანი წლები და მეორე — 50-იანი წლებიდან.

I პერიოდში ის ძირითადად პოეტია, II პერიოდში — კრიტიკოს — პუბლიცისტი.

როგორც პოეტი — მიხეილ თუმანიშვილი არის რომანტიკოსი, როგორც კრიტიკოს — პუბლიცისტი — რეალისტი.

50-იანი წლები უკვე ის პერიოდია, როცა რომანტიზმი ასპარეზიდან უკვე გასულია (ან გადის) და მწერლობაში მკვიდრდება რეალიზმი, რეალისტური ტენდენციები. მიხეილ თუმანიშვილი კარგად გაერკვა იმდროინდელ სოციალურ ურთიერთობებსა და მწერლობის წინაშე დასმულ ამოცანებში (მწერლობის წინაშე იდგა ამოცანა, მართლად ეჩვენებინა იმდროინდელი ვითარება). იმხანად ერთმანეთს ეჯახება ძველი – რომანტიკულ-სენტიმენტალური და ახალი – რეალისტური ტენდენციები. მიხეილ თუმანიშვილი, ერთ დროს რომანტიკოსი, ამჟამად სავსებით შეგნებულად დგება რეალისტური ხელოვნების მხარეზე (უკან დარჩა ის დრო, როდესაც ჭაბუკს რომანტიკული ილუზიები ჰქონდა).

50-იან წლებში იგი ქართული რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელია. ჩვენში მკვიდრდება რეალისტური სკოლა. ამასთან, ყალიბდება რეალისტური სალიტერატურო კრიტიკაც. 50-იანი წლებიდან ქართული სალიტერატურო კრიტიკა უკვე გარკვეული ლიტერატურული სკოლის ტენდენციების გამომხატველია. ესაა რეალისტური სკოლა. მართალია, იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკა ჯერჯერობით ვერ ახერხებს ახალი ესთეტიკის პრინციპთა ყოველმხრივ დასაბუთებას, მაგრამ ხშირადაა საუბარი რეალისტური მეთოდის საჭიროებასა და უპირატესობაზე. მიხ. თუმანიშვილი არის პირველი ჩვენს სინამდვილეში (ერთი პირველთაგანი), რომელიც ამ მხრივ მეტად საყურადღებო შენიშვნებს აქვეყნებს.

ჯერ კიდევ 1852 წელს „Кавказ“-ში (41) ხელმოუწერლად დაბეჭდა წერილი - „მიხაკო და ნინო“, ქართული იდილია მ. ლივენცოვისა“. ესაა რეცენზია მიხეილ ლივენცოვის თხზულებაზე - „მიხაკო და ნინო, ქართული იდილია“,<sup>10</sup> და საყურადღებოა, რომ მიხეილ თუმანიშვილი ლიტერატურას აფასებს სინამდვილის რეალისტურად ასახვის თვალსაზრისით: „ჩვენს დროში პოეზია ხომ იქ არის, სადაც ჭეშმარიტებაა; ჩვენს დროში მეოცნებე პოეზიამ ადგილი დაუთმო უბრალოსა, მაგრამ თავის უბრალოებით მაღალსა და შთაგონებულ არსებითს. ამჟამად ჩვენ გვიტაცებს დიკენსი, გოგოლი; გესწერისადმი ჩვენ რწმენა დავკარგეთ.“<sup>11</sup>

გესნერს მიხეილ თუმანიშვილი უპირისპირებს რეალისტ მწერლებს – ჩარლზ დიკენსსა და ნიკოლაი გოგოლს. ამით ფაქტობრივად ერთმანეთთან დაპირისპირებულია სენტიმენტალურ–რომანტიკული და რეალისტური მიმართულებანი. მიხეილ თუმანიშვილი იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად მხოლოდ რეალისტური ხელოვნება პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს.<sup>12</sup>

ფრიად საყურადღებოა, რომ ქართულ სინამდვილეში თუმანიშვილმა პირველმა დაიმონმა დიკენსი და გოგოლი, როგორც მისაბაძი მწერლები და ამავე დროს პირველმა გაილაშქარა სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ. ბრძოლა სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ შემდეგ ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთ დიდ ამოცანად იქცა (მაგ. ილია და სხვა...)

ეხება რა ლივენცოვის ნაწარმოებს, კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები პრიმიტიულია. ავტორი არ იცნობს ადგილობრივ ყოფას, ტრადიციას, ზნე-ჩვეულებებს. ყოველივე ამას დამახინჯებულად გადმოგვცემს. „რატომაა ეს ქართული იდილია?“ მწერალი ვერ გვაძლევს ქართველთა ტიპებს, მაგ. ნინოს მამა დიმიტრი არაფრით არ ჰგავს ჩვეულებრივ გლეხს. „მის ვერც ძალზე მდიდრულ ტანსაცმელში, ვერც ხასიათში, ვერც მეტყველების მანერაში, - თქვენ ვერ იცნობთ ქართველ გლეხს, ხოლო მისი ბინის მოწყობილობაში, რომელიც წარმოადგენს აზიურისა და ევროპულის რალაც ნარევს, — თქვენ ვერც იცნობთ ქართულ სოფლურ სახლს“.<sup>13</sup>

შემდეგ რეცენზენტი წერს: „თქვენ იცნობთ ქართველ გლეხს, როგორც უბრალო ადამიანს და ბუნებით საკმაოდ ჯიუტს, რომელიც გარკვეულ შემთხვევაშიც კი, როდესაც დოვლათი გააჩნია, თავის თავს ფუფუნების ნებას არასოდეს მისცემს, ამიტომაც თქვენ უფლება გაქვთ ყალბად მიიჩნიოთ ფერები, რომლებშიც იდილიის ავტორმა გლეხი წარმოგიდგინათ. ხოლო თუ ვინმე დაინყებს მტკიცებას, რომ არსებობენ, უსათუოდ არსებობენ ასეთი სოფლებიც და ასეთი ტიპებიც, მაშინ თქვენ გაბედულად უპასუხებთ მას, რომ ისინი ან საერთოდ არ არსებობენ, ანდა შეიძლება არსებობენ სადმე, მაგრამ გა-

მონაკლისის სახით, და რომ ასეთი სოფელი და ასეთი ტიპები არასდროს არ მოგცემენ ნამდვილ ნარმოდგენას საერთოდ არც ქართულ სოფლებსა და არც ქართულ ტიპებზე“.

მიხეილ თუმანიშვილი არის პირველი ქართველი კრიტიკოსი, რომელიც კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტთან დაკავშირებით მსჯელობს ტიპურის თაობაზე. ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ მას გაცნობიერებული აქვს ტიპურობის საკითხის მნიშვნელობა. მიხეილ თუმანიშვილი იზიარებს ტიპურის შესახებ მაშინდელ შეხედულებას: ტიპურია ის, რაც გავრცელებულია; გამონაკლისი არ შეიძლება იყოს ტიპური, და იგი ვერ მოგვცემს ნარმოდგენას ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე.<sup>14</sup>

ლაპარაკობს რა ლივენცოვის იდილიაზე, მიხეილ თუმანიშვილი გულისხმობს ასეთივე ღირსების სხვა ნაწარმოებებსაც. უკვე კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე ბევრი იწერება. ეს მისასალმებელია, რადგან „ბელეტრისტიკას შეუძლია მოიტანოს დაუფასებელი სარგებლობა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურა ჩვენ გადმოგვცემს მშრალი, თუმცა სწორი ფაქტებით რომელიმე ადგილის, მასზე დასახლებული ხალხის შესახებ, მისი შინაგანი და ისტორიული ცხოვრებით, მას ბელეტრისტიკა გაამშვენიერებს და მოსავს ცოცხალი ფორმებით.“

აქ გაკვრით, ზოგადად, მაგრამ სწორადაა მითითებული იმ განსხვავებაზე, რომელიც მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის არსებობს.

ავტორის აზრით, სამწუხაროდ, არც ერთი თხზულება, გარდა ახუნდოვის კომედიებისა, არ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რადგან მათ ავტორებს აკლიათ მთავარი, „რაც უნდა იყოს ყოველი ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, არ აქვთ მხარის უშუალო, ნამდვილი ცოდნა, მათ ვერ მოახერხეს, თუ არ მოინდომეს გაეცნოთ იგი, ჩანვდომოდნენ ღრმად მის შინაგან ცხოვრებას“

და რეცენზენტი დასძენს, რომ მსგავსი ნაწარმოებები ხელს უშლიან კავკასიაზე სწორი ნარმოდგენის შექმნას. კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ასე ეგზოტიკურად დახატვა აფერხებს რეალისტური ტენდენციების განვითარებას როგორც რუსულ, ასევე ქართულ მწერლობაში.



ეს თვალსაზრისი (გამოვლენილი ამ ერთ-ერთ პირველად დაბეჭდილ რეცენზიაში) გასდევს მიხეილ თუმანიშვილის ყველა მომდევნო წერილს და ავტორი ბოლომდე რეალისტური ხელოვნების დამცველად რჩება.

მიხეილ თუმანიშვილი არის პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსი და ერთგვარად ქართული თეატრის მემკვიდრე. პირველი წერილი – სათაურით „ქართული თეატრი“ – გამოაქვეყნა 1852 წ. „Kavkaz“-ის მე-10 და მე-11 ნომრებში.

საუბრობს ქართული თეატრის ეროვნულ მნიშვნელობაზე, ხაზს უსვამს გიორგი ერისთავისა და მის მსახიობ-დრამატურგთა დამსახურებას. ვრცლად მსჯელობს თეატრის რეპერტუარის შესახებ.

მისი აზრით, „სცენის კაპიტალური საფუძველი“ რეპერტუარის გარეშე არ არსებობს. ამ უკანასკნელს ემყარება როგორც დასი, ისე ურთიერთობა თეატრსა და საზოგადოებას შორის.

საჭიროა თუ არა ადგილობრივ სცენაზე შემოვიტანოთ სიუჟეტები სხვადასხვა ხალხის ცხოვრებიდან? მიხეილ თუმანიშვილი ამაზე უარყოფითად პასუხობს, იგი პრინციპულად ილაშქრებს „სესხების“ წინააღმდეგ. ნასესხების (უცხოურის) არც შემსრულებლები გამოჩნდებიან და ვერც მაყურებლები გაიგებენ. სესხებას ქართული დრამატურგია არც საჭიროებს. საკუთარი ნიმუშები აქვია, ამიერკავკასიის ცხოვრებაში და ამოაჩივთ ის.

მართალია, რეპერტუარის სიღარიბის გამო უკიდურეს შემთხვევაში გამართლებულია ვოდევნილების გადმოკეთება, მაგრამ ვოდევნილები არ უნდა დამკვიდრდეს ქართულ სცენაზე. ის ზიანს მოუტანს ეროვნულ რეპერტუარს.

კომედიის დამკვიდრებამ არ უნდა განდევნოს დრამის სხვა სახეები. ასე რომ, მიხეილ თუმანიშვილს სწორად ესმის ქართული დრამატურგიის განვითარების ნამდვილი გზა. მას სავსებით შეგნებული და ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული დრამატურგიის ხასიათი და მნიშვნელობა.

ეროვნული თემატიკის გარეშე ეროვნული მწერლობა, კერძოდ კი დრამატურგია, ვერ განვითარდება. ამ თვალსაზრისით

შეაფასა კრიტიკოსმა „დავა“, „ძუნნი“, „გაყრა“. ამ კომედიებში აღგილობრივი ცხოვრებაა ნაჩვენები. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება იაია ჭიორელსა და ლომინ გოდაბრელიძეზე. ასეთივე ტიპურია კარაპეტა დაბალოვი, ხოლო „გაყრაში“ ვხედავთ განსაკუთრებულად ორიგინალურ პირთა მთელ ჯგუფს.

მიხეილ თუმანიშვილის მომდევნო სტატია — „კვლავ ქართული თეატრის შესახებ“ დაიბეჭდა „КАВКАЗ“-შივე 1855 წელს. მასში თითქმის იგივე საკითხებია ნამოჭრილი, რაც წინა წერილში. აქაც არსებითად ქართული რეპერტუარის რთულ პრობლემას უბრუნდება.

კვლავ უბრუნდება საკითხს – თუ რას ემყარება თეატრი. და ფიქრობს, რომ „სცენის კაპიტალურ ფუძეს წარმოადგენენ სცენის მოღვაწენი და რეპერტუარი“. პირველთა ნაკლებობას არ განვიცდით, მსახიობები, თუმცა სპეციალური განათლება არა აქვთ, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებენ. რაც შეეხება რეპერტუარს, ის ღარიბია, ვერ აკმაყოფილებს სცენას. „ორი-სამი პიესა, ამდენივე განსვენებული ანტონოვისა, ესაა და ეს!.. მაგრამ შეუძლია თუ არა არსებობა თეატრს, თუ იგი რეპერტუარით არ იქნება უზრუნველყოფილი? ამაზე უნდა ვიზრუნოთ“.

ამთავრებს წერილს მოწოდებით ქართველი მწერლებისადმი: „თქვენ, უპატივცემულესო ქართველო მწერლებო და, თუკი მოიპოვებით, მწერალო ქალებო თქვენ შემოგლალადებთ ნორჩი ქართული სცენა... დაასაჩუქრეთ იგი პიესებით“. მსახიობები შესაფერისად განასახიერებენ მათ, ხოლო მაყურებლები ტაშით დაგაჯილდოვებენ.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა (1855 წ.), მიხეილ თუმანიშვილის თეატრალურ მოღვაწეობასაც გამოეცალა საფუძველი. მხოლოდ 12 წლის შემდეგ სპეციალურად დაუბრუნდა ქართული თეატრის საკითხებს და 1867 წ. „დროებაში“ დაბეჭდა რეცენზია — „ქართული წარმოდგენა ტფილისში“. 1867 წ. დაუდგამთ „მაიკო“.<sup>15</sup> მიხეილ თუმანიშვილმა ის დაიწუნა: სინამდვილე არ ჩანს, ხასიათები ცხოვრებიდან არ არის აღებული... ამიტომ საზოგადოებამ არ მიიღო პიესაო.

სამაგიეროდ, კრიტიკოსმა მოინონა ზურაბ ანტონოვის „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ (დაუდგამთ 13 მაისს). მისი ღირებულება ისაა, რომ დრამატურგი ცხოვრებას გვიჩვენებს ისე, როგორც არის ნამდვილად. ყველაფერი ნაჩვენებია მართლად. მოქმედი პირები გამოყვანილნი არიან თავიანთი მართალი გრძნობებით და ფიქრებით. მოკლედ, ამ წერილშიც მიხეილ თუმანიშვილი კვლავ ხელოვნების რეალისტურ თვალსაზრისზე დგას.

ასე რომ, თავის სათეატრო წერილებში მიხეილ თუმანიშვილმა:

1) საინტერესო ფაქტები მოგვანოდა ქართული თეატრის ისტორიიდან.

2) განსაზღვრა ეროვნული თეატრის წარმატება-წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები.

3) პირველმა შეიგნო და დასახა ქართული დრამატურგიის განვითარების ჭეშმარიტი გზა – რეალიზმის გზა.

მიხეილ თუმანიშვილის აქვს ლექსი „ტეატრი“.<sup>16</sup>

თეატრი არის განათლების კერა. ადამიანებს ზნეობრივი გაუმჯობესებისაკენ მოუწოდებს მისთვის ნიშანდობლივი გზით – ჩვენების, „თვალწინ წარმოდგინების“ (ასე რომ, უკვე 1852 წლისათვის თეორიულადაა ჩამოყალიბებული თეატრის სპეციფიკა: მაყურებელთა თვალწინ გამართა წარმოდგენა). ასე ესმოდა თეატრის დანიშნულება იმავე იპოქის სხვა დიდ მოღვაწეს – გიორგი ერისთავსაც (შდრ. „გაყრის“ დასასრული: „მე დავწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი... ჩვენც ვეცადნეთ და გავნდევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი“).<sup>17</sup>

მიხეილ თუმანიშვილი თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“. ბეჭდავდა წერილებს „მოლაყბის“ ფსევდონიმით.<sup>18</sup>

„სალაყბო ფურცლები“ ქართული პუბლიცისტური ფელეტონის პირველი ნიმუშებია. ავტორს ქართულ მწერლობაში პირველს შემოაქვს პუბლიცისტური ფელეტონის ჟანრი.

ბოლო დროის გამოკვლევებით დასტურდება, რომ მიხეილ თუმანიშვილის ეკუთვნის მხოლოდ ერთი „სალაყბოს ფურცელი“ (1858 წ. №1). ამის შემდეგ მას მხატვრულ-ლიტერატურული აღარაფერი შეუქმნია.

არავითარი მონაწილეობა არ მიუღია თაობათა ბრძოლაში, არც 60-იან, არც 70-იან წლებში. ეს კია, რომ შედიოდა იმ კომისიაში, რომელსაც უნდა შეედგინა იმპერატორისათვის მისართმევი ადრესი (შედიოდა როგორც ძველი თაობის წარმომადგენელი – გრიგოლ ორბელიანთან, დიმიტრი ჯორჯაძესა და რევაზ ანდრონიკაშვილთან ერთად). მან უშუალო მონაწილეობა მიიღო ახალი ადრესის (კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნით) შედგენაში. (ახალი ადრესი შედგენილი იყო შემდეგი პირების მიერ: მიხეილ თუმანიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, დიმიტრი ჯორჯაძე, გიორგი მუხრანბატონი და იასე ჭავჭავაძე). ამ კომისიაში შედიოდა 8 ადამიანი — 4 ახალი თაობიდან (ილია, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ ლოლობერიძე, ივანე თარხნიშვილი), 4 ძველიდან. ამის გამო გაკიცხა ის ილიამ, უწოდა „ქართველი მოლჩოლინი“. მოლჩალინი – ალექსანდრე გრიბოედოვის კომედიაში გამოყვანილი მლიქვნელი, კარიერისტი, დიდკაცების ლაქია და უსიტყვოდ მორჩილი.

კომედიაში გამოყვანილია 26 პირი. აქედან 25 სულელი და ერთი ჭკვიანი. ვეცნობით კიდევ 46 პერსონაჟს, რომლებიც კულისებში მოქმედებენ. „ჩემს კომედიაში 25 სულელი მოდის ერთ საღად მოაზროვნე ადამიანზეო“, — წერდა გრიბოედოვი. წარჩინების მისაღწევად უცნაური გზა აურჩევია – დუმილი („მე ვერ გავბედავ საკუთარი აზრის გამოთქმასო“). ასეთია ჩვენი მიხეილ თუმანიშვილიცო: „წვრილებში თავმომწონეა, მსხვილებში – ფეხის მტვერია“. ამასთან, ორ სხვა მძიმე ბრალდებას უყენებს: „ამბობენ, რომ ყურმარჯვეა და ცოტად ენამტანია“. აბრალებს პლაგიატობასაც „სხვისი წიგნიდან ფრაზების იცის ცოტა რამ ქურდობა“. ეს გამოცანა მოცულობით სხვებზე ბევრად დიდია და ილია მას ასე ამთავრებს: „ქართლი, სომხეთი, რუსეთი, სამივ ფეხებზედ ჰკიდია“. ეს გამოცანა საკმაოდ მკაცრია.<sup>19</sup>

როგორც ცნობილია, ილიამ თავის პამფლეტებში გაკიცხა ყველა ის პირი, რომელმაც ეროვნული საქმე ჩაშალა (უნივერსიტეტის მოთხვნა კადეტთა კორპუსზე გაცვლა). გაკიცხულთა შორის მიხეილ თუმანიშვილიც აღმოჩნდა.

მიხეილ თუმანიშვილს ილიასთვის პასუხი არ გაუცია და კარგადაც მოიქცა. ილიასთან შებმა მისთვის ხელსაყრელი არ იყო.

ისე კი ილია მიხეილ თუმანიშვილზე საერთოდ არ ყოფილაცუდი აზრისა. აფასებდა მას და თავის „ივერიაში“ (1881 წ. 7) დაბეჭდა კიდევ ივანე მაჩაბლის დადებითი რეცენზია მიხეილ თუმანიშვილის ლექსთა წიგნზე (იმ წელს რომ გამოვიდა). [თუმცა რეცენზენტი მას „მომცრო პოეტების“ კატეგორიას აკუთვნებს. რეცენზენტის აზრით, მიხეილ თუმანიშვილის პოეზია ერთ-ერთი დადასტურებაა, მაჩვენებელია იმისა, რომ „ჩვენს ლიტერატურაში ...ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტოდ მარტო“ არ იყო (როგორც ეს ბევრს ჰგონია), ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში გამოთქმული გრძნობა და აზრი თვით საქართველოს ნიადაგზეა აღმოცენებული].

მართალია, რეცენზია სხვას ეკუთვნის, მაგრამ ილია, როგორც რედაქტორი, მასში გამოთქმულ შეხედულებას, ცხადია, ასე თუ ისე იზიარებდა (ეს შეხედულება კი, როგორც ითქვა, ძირითადად დადებითია).

(სხვა რომ არაფერი ყოფილიყო, ილიას არ შეიძლებოდა პატივისცემა არ ჰქონოდა მიხეილ თუმანიშვილისა, იმ ადამიანისა, რომელიც იყო მისი სულიერი წინაპრის ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი).

1. მიხ. ხელთუბნელი - „სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან“ (მიხ. თუმანიშვილის ცხ. და მოღვაწეობა). 1938 წ.

2. დანიელ რამიშვილი - „მიხეილ თუმანიშვილი“, 1957 წ.

## შენიშვნები:

1. მეფის მდივანად ჩანან მე-15 საუკუნიდან. მეფის მდივნის თანამდებობა პირველად დაიჭირა ზაქარია თუმანიშვილმა (1454 წელს).

ლექსებს წერდა (პოეტობდა დავით თუმანიშვილიც (მისი ლექსები ჩართულია სხვადასხვა ანთოლოგიაში).

დიმიტრი თუმანიშვილი იყო ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის ახლო კარისკაცი (მუდმივი მონაწილე იმ თათბირებისა, რომელიც იმართებოდა ამ მეფისას გარსევან ჭავჭავაძის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი წერილ-

ბის განსახილველად). იგი იყო პოპულარული პოეტიც. მისი „ახალ აღნაგო სულო და“ ჩართულია XIX-ს. ბევრ ანთოლოგიაში (ამ ლექსის თარგმანი მოჰყავს ა. პუშკინსაც თავის „არზრუმისაკენ გამგზავრებაში“). ნაიყვანა რუსეთში დავით ბატონიშვილმა. ერთხანს პეტერბურგში ცხოვრობდა მიხეილ გიორგის ძესთან. იქაც განაგრძობდა პოეტობას. მერე თბილისში დაბრუნდა. გარდაიცვალა 1821 წელს.

ასევე ლექსებს წერდა (პოეტობდა) ეგნატე თუმანიშვილი. განსაკუთრებით ცნობილია გიორგი თუმანიშვილი. (გარდაიცვალა 1877 წელს).

2. მაგ. მდივან-მნიგნობარი გივი თუმანიშვილი ეხმარებოდა ვახუშტი ბატონიშვილს საქართველოს გეოგრაფიულ და სტატისტიკური აღწერის შედგენაში. თვითონ გივიც პოეტი ყოფილა და საკუთარი ხელით გადაუწერია „არჩილიანი“.

3. ავთანდილი (პირველი ცოლის ხელში), მიხეილის ნახევარძმა, დაიბადა 1795 წელს. იგი ყოფილა უაღრესად ნიჭიერი, მაგრამ ფიცხი და გრძნობით აღსავსე. ყრმა გააგზავნეს პეტერბურგში დავით ბატონიშვილთან, რომელიც 1803 წლიდან იქ „საპატიო გადასახლებაში“ იმყოფებოდა. იქ ავთანდილ თუმანიშვილი გახდა დავით ბატონიშვილის მდივანი. მოკლე დროში დაეუფლა რუსულ ენას და უკვე 1814 წელს მსახურობს რეგისტრატორის თანამდებობაზე. გამოამყლავნა შემოქმედებითი ნიჭი (წერდა ლექსებს), 1816 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა მისი ნიგნაკო „საქართველოს ქალაქის გორის ისტორია“ („История грузинского города Гори“). „XIX ს. შუახანებამდე მდიდარი ქართ. ისტორიოგრაფია ქალაქების ცხოვრებას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ავთანდილ თუმანიშვილის ზემოთ ხსენებული ნიგნაკი პირველი ისტორიული ნაშრომია, საკუთრივ ქალაქის აღწერას (ისტორიას) რომ ეძღვნება და თანაც მოქალაქეების მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას და სიყვარულს რომ იჩენს.“

[პ. რატიანი, ცოცხლად დამარხული ტალანტი, („განთიადი“ 1979 წ. №4 და №5) №4. გვ. 177. დღემდე ბურუსითაა მოცული ავთანდილის დაღუპვის დრო (წელი) და მიზეზ-გარემოება. იგი მოულოდნელად დაამწყვდიეს ბობრუისკის ციხეში (ბელორუსიაშია). ამ დღიდან სრულიად მოისპო ცნობები მასზე. ბობრუისკის ციხეში ამწყვდევენ უაღრესად საშიშ სახელმწიფო პოლიტიკურ დამნაშავეებს: ეს დანაშაული კი, პ. რატიანის აზრით, იყო ის, რომ მან იკისრა შუამავლობა დავით ბატონიშვილისა და იმერეთის 1819 წ. აჯანყების მეთაურებს შორის (დაპატიმრების წინა ხანებში ავთანდილი საქართველოში, კერძოდ, გორში იმყოფებოდა). აჯანყების ხელმძღვანელები იმერეთის ტახტის დასაკავებლად ბაგრატიონთა გვარის კანონიერ მემკვიდრეს ეძებდნენ (დავითმა რუსეთში საკითხი რამდენჯერმე წამოჭრა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მმართველად რომელიმე ბაგრატიონი დაესვათ, რის გამოც იგი მკაცრად გააფრთხილეს). საყურადღებოა, რომ თვით დავით ბატონიშვილი (52 წლის კაცი) მოულოდნელად გარდაიცვალა 1819 წ. 13 მაისს (მისი პირადი მდივნის დაპა-

ტიმრებიდან დაახლოებით 1 თვის შემდეგ) [გაასამართლეს ყალბი ბრალდებით – თითქოსდა ქრთამის აღების ცდისათვის]

მიხეილის უფროსი ძმები (გიორგი, გრიგოლი, ვასილი) და და – ელისაბედი გარდაიცვალნენ ახალგაზრდები (სხვა ძმები და დები – პატარები). თვითონ მიხეილს კიდევ გარდაცვალა რამდენიმე შვილი პატარაობაში.

ყოველივე ეს აგდებდა პესიმიზმში, უღვიძებდა უიმედობის გრძნობას და მისი პესიმიზმის (იმდროინდელ ლექსებში რომ მკაფიოდ ჩანს) ერთერთი მიზეზი ესეცაა (ე.ი. კერძო – პირადული).

4. მოვიგონოთ მათი მიმოწერა, კეძოდ, „ასტრასთან“ დაკავშირებული ისტორია (მიხეილ თუმანიშვილი მაშინ ისვენებდა კახეთში, დედოფლისწყაროში, საერთოდ, მიხეილ თუმანიშვილი ზაფხულს „დედოფლისწყაროში“ ატარებდა)... „ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის...“

5. მიხეილ თუმანიშვილმა ზაბლოცკი გაიცნო 1838 წელს კახეთში, დედოფლისწყაროში დასასვენებლად ყოფნის დროს. შემდეგ მიხეილ თუმანიშვილმა ზაბლოცკი ნიკოლოზ ბარათაშვილსაც დაუკავშირა.

(ჩვენამდე მოღწეულია ლადა ზაბლოცკის წერილები მიხეილ თუმანიშვილისადმი, დედოფლისწყაროდან რომ სწერს უკვე თბილისში დაბრუნებულ მიხეილ თუმანიშვილს. ამ წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილიც არის ნახსენები).

6. გიორგი თუმანიშვილი ცნობილი კრიტიკოსია.

ანასტასია თუმანიშვილი იყო საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი, მეუღლე გიორგი წერეთლისა. ანასტასიაც წერდა მოთხრობებს (1893 წ.-დან „ჯეჯილის“ დამატებად გამოდის „კვალი“). მიხეილ თუმანიშვილის და-ძმანი და ადრე გარდაცვლილი შვილები დაკრძალულნი არიან ავლაბარში, ხოჯივანქის სასაფლაოზე.

7. 1839-40 წლებში მუშაობდა საქართველოს სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის მაგიდის უფროსად საგამომძიებლო ნაწილში.

1842-47 წლებში მუშაობდა განსაკუთრებულ მინდობილობათა უმცროს მოხელედ საქართველო – იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორთან.

1847 დეკემბერში დაინიშნა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგედ.

1848 წ. იანვარში დამტკიცებულ იქნა გუბერნატორის კანცელარიის მმართველად.

1849 წ. სექტემბერში დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილებათა უფროს მოხელედ თბილისის სამხედრო გუბერნატორთან. 1854-58 წლებში ასრულებდა საგუბერნიო მმართველობის მრჩეველის თანამდებობას, და ა.შ.

8.

როდის იქნება, შემესხას ფრთები,  
გავფრენვილ ვიყო შორს ამა სოფლით,  
მუნ საც ცხოვრების ნათელ-მთიები  
არ დაბნელდება ჭმუნვის ღრუბელით.

სად სიხარული ვით წყარო ნელი  
მომდინარეობს დაუსრულებლად,  
სად სიტკბოება არს უსყიდელი  
და სიყვარული სულს ათბობს მარად.  
მაშინ მე მსუბუქე, ვრცელსა ჰაერსა,  
ვით ნელი სიო, მოვეფინები,  
შევისხავ ნათელს, შეესვავ სულნელსა  
და მზეს და მთვარეს ვემნათობები.  
ამა სოფელსაც არ დავივინყებ,  
ზოგჯერ ვით ცრემლი სიბრალულისა  
მოვევლინები და ვანუგეშებ  
ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა.  
მაგრამ ეს მოსვლა იქნება ნამი,  
ვითა ყვავილზე დილისა ნამი,  
შევეთვისები მზისა სხივებსა  
და მივიქცევი კვლავცა ედემსა.

9. შპრ. გრიგოლ ორბელიანი, „აზარფეშაზედ“. „ბედსა რად სწყევლი?  
რას სწუხარ?

რას გარგებს სულმოკლეობა?

შე უგუნურო, დალიე,  
ქვეყანა შენი იქნება“.

ან რაფიელ ერისთავის „ყანნი“.

10. მიხეილ ლივენცოვის თხზულება დაიბეჭდა 1852 წელს „Библиотечка для чтения“-ში (№5 და 6). მ. ლივენცოვი იყო სამხედრო პირი და მსახურობდა საქართველოში. მას რამდენიმე თხზულება აქვს დაბეჭდილი „Кавказ“-ში ქართველთა ცხოვრებიდან.

11. აქ ნახსენები გესნერი (სოლომონ გესნერი) იყო მე-18 ს. გერმანელი სენტიმენტალისტი, ცნობილი თავისი „იდილიებით“.

12. შეილისადმი (გ. თუმანიშვილისადმი) მიმონერაშიც იგი არაერთხელ აღნიშნავს: „რასაც უნდა ლაპარაკობდნენ იდელისტები, მაინც უპირველეს ყოვლისა, სინამდვილეა საჭირო“.

13. დაახლოებით ასე მსჯელობდა ილიაც კოზლოვის „შეშლილში“ დახატულ „რუსის სოფლის გოგოზე“.

14. დიმიტრი – ქართველი გლეხია, მდიდარი (ითვლის მანეთებს, აბაზებს). ნინო – მისი ასული (რომელიც მთლიანად ხავერდებში ზის).

მიხაკო – ნინოს შეყვარებული

დავითი – ნინოს ძმა.

მიხაკო დიმიტრის სთხოვს ნინოს ხელს, მაგრამ უარს რომ მიიღებს, უკვე გაიტაცებს. გაქცევისას ნინომ თან წაიღო მორთულობა, თეთრეული, ფული, მთელი საპალნე საქმელი... გაზზე მოასწრეს ჯვრის დანერა და თავი შეაფარეს ტყეს, სადღაც ხრამის მდინარის იქით. მიხაკომ აქ ტყეში პირველსავე საღამოს ააშენა ბუხრიანი სახლი და გამოაწყო. მიირთმევდ-



ნენ ფლავს, რომელსაც ნინო ამზადებდა. შემდეგ პური გამოვლიათ და მიხაკო მის საშოვნელად წავიდა. ნინოს მობეზრდა ტყეში ცხოვრება და, როცა მიხაკო არ იყო, თბილისში წავიდა. აქ შიმშილობს, პურს თხოულობს. მაგრამ არავინ შეინყალა. ნინოც გაჭირვების გამო მიდის ცდუნებისაკენ, ბოროტმოქმედებისაკენ. და აი, იგი საპყრობილეშია, იქ ამთავრებს სიცოცხლეს. მიხაკო დიდხანს დაეძებდა ნინოს და რა გაიგო მისი ადგილსამყოფელი, მილიციის ჯართან ერთად წავიდა მთაში, მაგრამ იქ ბედმა არ გაუღიმა და თათრებთან ბრძოლაში თავი წააგო. მიხაკოს მოკვლისა და ნინოს დაღუპვის ამბავი გაიგო დიმიტრიმ, მაგრამ მას ამისთვის არ ეცალა - სვამდა, ჭამდა, ბუქნავდა.

15. რომელიც შეცდომით გიორგი ერისთავს მიანერეს. ნამდვილად კი წარმოადგენს ჰავლე კამენსკის რომანის „მაიკო“ პიესად გადაკეთებას (გადააკეთა ბეკლემიშევმა).

16. მიხეილ თუმანიშვილის „ტეატრი“:

*პირველად ვიტყვი რა არის თეატრის წარმოდგენანი, მისს ყოველს სარგებლობასა ვერ მოჰსთქუამს კაცთა ენანი, თუმცა, რომ იგრძნობს გონება, მაგრამ ვერც აღწერს ენანი, მით თვალნი წარმოგიდებათ ყოველთა ერთა ქცევანი. წარმოდგენების მომგონეს დიდი აქვს დაწყობილება, მასცაჰსურს, რათა ვისწავლოთ უმეტეს კეთილ-ზრდილობა, რომ ვჰპოვოთ განათლებანი, შეგვექმნეს ლხენა, მტილობა, და დიდი მოგვეცეს ცხოვრება, სიტკბოთი მამაშვილობა. წარმოდგენანი გვაჩვენებს, რაცა გვჭირს ცუდნი ზნეობა. ბეზლობა, ქრთამის აღება, ავა ზაკთათვის მხრეობა.*

17. საერთოდ, საქართველოში თეატრი იმთავითვე ზნეობრივ სკოლად, აღამიანის სულიერი გამდიდრების კერად იყო მიჩნეული. მაგ. გიორგი ავალიშვილი მისი პიესის წარმოდგენაზე მოსულ მაყურებელს მიმართავდა ლექსით, რომელიც გვაგონებს მიხეილ თუმანიშვილისა და გიორგი ერისთავის ზემოთ დამონმებულ ლექსებს.

18. „ციცკარში“ 1857 წ.-დან თითქმის 10 წელიწადს იბეჭდებოდა წერილები სათაურით - „სალაყბო ფურცელი“ (ზოგს ერქვა „სალაყბოს ფურცელი“). ხელს აწერდა „მოლაყბო“. სულ ასეთი ხელმოწერით დაიბეჭდა 20 წერილი (პირველი 1857 წ. №11-ში, უკანასკნელი - 1866 წ. №1-ში). „მოლაყბის“ წერილების გამოქვეყნება დროდადრო წყდებოდა და ისევ ახლდებოდა.

„მოლაყბის“ ფსევდონიმით რამდენიმე პირი წერდა: მიხ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე (ი.ჭავჭავაძის აზრით, გაბ. სულხანიშვილიც, მიხ. ზანდუკელის აზრით, ლ. არდაზიანიც, ზოგის აზრით, გრ. რჩეულიშვილიც, ალ. ორბელიანიც).

ამის თაობაზე დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობაა.

ტრადიციული შეხედულებით, მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნოდა „მოლაყბით“ ხელმოწერილი პირველი სამი სტატია (ს. ხუნდაძე, აპ. მახარაძე, ა. ხახანაშვილი, გ. თუმანიშვილი, პ. გუგუშვილი).

გამოთქმულია შეხედულება, რომ „მოლაყბით“ ხელმონერილი ყველა სტატია, გარდა ერთისა („ციხე“, 1857 წ. №1), ეკუთვნის ივ. კერესელიძეს. ის ერთი კი (1858 წ. №1) — მიხ. თუმანიშვილს (ალ. კალანდაძე, დ. გამეზარდაშვილი).

ამ სტატიაში მიხ. თუმანიშვილი ისევდაისევ თეატრის საკითხებზე საუბრობს.

19.

პირ-ტურ-რგვალი, მუდამ წმინდად  
ლოყებ ჩამოფხეკილია,  
თავის-თავის მოარშიყე,  
თუმც ასაკ მიდრეკილია;  
პრანჭიაა და გრეხია,  
საკომნოდ უტოკს ტანია;  
ამბობენ, რომ ყურმარჯვეა  
და ცოტად ენამტანია.  
ჩინოვნიკობაში იგი  
თურმე გამოქნილი არი  
ისე როგორც უღლის ქვეშა  
ჩვენი გლეხკაცის ხარი.  
ქართველი მოლჩალინია,  
თავი მონონს მხოლოდ მით, რომ  
ზედიზედ მოსდის ჩინია.  
წერილებში თავმომწონეა,  
მსხვილებში – ფეხის მტვერია,  
მამის სახელით გამოდის,  
რადგან თვით არაფერია.  
მის ქკუის ხალხს მწერლად მოსწონს  
ვერ კი შეუტყვეს მრუდობა,  
რომ სხვის ნიგნიდან ფრა ზების  
იცის ცოტა რამ ქურდობა.  
რა გინდ მძიმე საქმე იყოს,  
ანუ ძნელი სავეზირო,  
ის მაშინვე ნაეჩრება,  
ვითომ მეც ნახირო-ნახირო.  
ეს გამოცანა მკითხველო  
ახირებულად გრძელია, ეს იმიტომ რომ  
ფუყე, უსახო კაცისა  
მოკლედ აღწერა ძნელია.  
ვირ-ეშმაკა და ორპირი, ეგ დიდად მოსარიდია,  
ქართლი, სომხეთი, რუსეთი, სამივე ფეხებზედ ჰკიდია.



## გრიგოლ რჩეულიშვილი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აღორძინებას იწყებს ქართული მხატვრული პროზა... მოხდა მისი რესტავრაცია (აღდგენა). ამ საქმეში წვლილი აქვს შეტანილი გრიგოლ რჩეულიშვილს (ლავრენტი არდაზიანსა და დანიელ ჭონქაძესთან ერთად). ის არის ქართული პროზის ერთ-ერთი პირველი (ალექსანდრე ორბელიანის შემდეგ) რესტავრატორი.

გრიგოლ რჩეულიშვილი დაიბადა 1920 წელს ქ. გორში, მამა — ივანე რჩეულიშვილი აზნაური იყო. პრველდანწყებითი განათლება მიიღო შინ, მამის ხელმძღვანელობით. შემდეგ შევიდა თბილისის გიმნაზიაში. დაამთავრა 1838 წელს. ამ დღიდან მსახურობს თბილისის ე.წ. „სახაზინო პალატაში“ ნოტარიუსის თანამდებობაზე (აქვე წინა წელს 1837 წ. იანვარში მუშაობა დაიწყო მიხეილ თუმანიშვილმა), შემდეგ გახსნა საკუთარი სანოტარო კანტორა. ეს არის და ეს. სხვაგან არსად უმსახურია (ე.ი. მთელი ცხოვრება ნოტარიუსად იმუშავა).

გარდაიცვალა 1877 წ. 57 წლისა (მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წ.) დაკრძალეს ვერის ძველ სასაფლაოზე. საფლავი არ ჩანს (ჩანს დანიელ ჭონქაძის, მისი მეუღლისა და ლავრენტი არდაზიანის საფლავები).

ასე რომ, მწერლის ბიოგრაფია მეტად ღარიბია.

გრიგოლ რჩეულიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 50-იან წლებში. თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“ — 1853 წლიდან 1867 წლამდე. ე.ი. თანამშრომლობა დაიწყო გიორგი ერისთავის „ცისკარში“ და შემდეგ განაგრძო ივანე კერესელიძის „ცისკარში“ (რაც აქვს დაბეჭდილი, ყველაფერი აქაა: ლექსები, მოთხრობები...).

ასპარეზზე გამოდის ნათარგმნი ნაწარმოებებით (1853 წელს დაბეჭდა „მასკარადის შეცთომილება“ და „ცოლის სიყვარული“).

გრიგოლ რჩეულიშვილი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დაწერილი აქვს რომანი. ე.ი. იყო პოეტიც და ბელეტრისტიც (აქვს დრამატული პოემაც — „ხუმრობა“, ორსურათიანი ვოდევილი). ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

მისი შემოქმედების ძირითადი თემა (და, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთადერთი) არის სიყვარული (ასე რომ, მისი ნაწარმოებები თემატიკურად ძალიან შეზღუდულია). ასეთი მწერალი ქართულ მწერლობას, მგონი, არც ჰყოლია.

სიყვარულის თემაზეა დაწერილი მისი როგორც ლექსები, ისე მოთხრობები. და რომანი (სათარგმნელადაც ისეთ ნაწარმოებებს არჩევდა, სადაც სიყვარული იყო ძირითადი მოტივი). ლექსები: „ყვედრება“, „გამოსალმება“ („მესალმე, ჩემო თვალის სინათლევ!“), „ახ, მთვარევ, მთვარევ!“ „...სადმი“ („ნუთუ ტურფავ!“), „სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი!“

„ყვედრება“ მთლად ორიგინალური არაა. გადმოკეთებულია პუშკინიდან, უფრო სწორად, მიბაძვავა („Я Вас пишу...“). გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსის პირველი ორი სტრიქონი სასიმღეროდ გავრცელდა ხალხში ასეთი ვარიანტით: „რაც შენ დაგშორდი, ჯერეც ის ალი, ამ დამწვარ გულში არ არის მქრალი“. ასეთივე პოპულარული იყო და სასიმღეროდ გავრცელდა „გამოსალმება“; აგრეთვე: „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო; მსურს ჩემი ტანჯვა შენც გაგიბედო. მთვარევ, ხომ გახსოვს ის ტკბილი ღამე, მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მონამე“. მისი ფიცი ერთგულებისა ახლაც ყურში ჩამესმის, მაგრამ თვითონ სადღაც გადაიკარგა (მთვარეს იყენებს მონამედ, რომ სიყვარულს მეფიცებოდაო). მთვარევ, შენ როგორც მოწმეს, გთხოვ, მონახო ის. უთხარი – ამ ხის ძირს ყოველ ღამ ველი. თუ ნახო, რომ ის უაღერსებს სხვას, ნურაფერს ეტყვი, „მაშინ ამ ხის ქვეშ მოვიკლავ მე თავს“.

ლექსში „ნუთუ ტურფავ“ გატარებულია ის აზრი, რომ სიყვარული ზეციური გრძნობაა, რომ ის სიტკბოსთან ერთად ტანჯვასაც შეიცავს. ეს აზრი ადრე გამოუთქვამთ ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გრიგოლ ორბელიანსაც. პოპულარული იყო და

სასიმღეროდ გავრცელდა ლექსი „სიყვარულო, რა გრძნობა ხარ?“, რომელიც, სხვათა შორის, არის მიბაძვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა „სიყვარულო, ძალსა შენსა“ და გრიგოლ ორბელიანის ლექსისა „სალამო გამოსალმებისა“.

(ასე რომ, გრიგოლ რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსები ცნობილ რომანტიკოსთა ლექსებს ენათესავება).

გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსებში არის ე.წ. „მსოფლიო სევდა“. მაგ. (ოთხსტრიქონიანი პატარა) ლექსი „ამაოება“ (სათაურშიც ჩანს — „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“): ნლები და საუკუნეები გადიან. ადამიანის სიცოცხლე მათ ფონზე არის ერთი წუთი („წუთისოფელი“), ადამიანი ცოცხლობს, რაღაცას აკეთებს, მაგრამ „შემოჰკრა ქარმან და მსწრაფლ გააქრო“.

ლექსი „სიკვდილი“: ჯოჯოხეთის მეფედ დაადგინეს სიკვდილი. მან თანაშემწეებად, თავის მინისტრებად დანიშნა – ჭირი, ხოლერა და ომი. ხმელეთი სამ ნაწილად გაიყვეს და დაერივნენ. მეფეც კმაყოფილია მათი. მაგრამ გაჩნდა მკურნალობა და წამლები. მათ კრიჭა შეეკრათ, ხალხმა ამოისუნთქა. განრისხებულმა მეფემ მათ მინისტრობა წაართვა. მათ მაგიერ დანიშნა „უზომიერება“ (უზომობა) და თანაშემწედ მისცა „გაუფრთხილებლობა“. მკურნალობა და წამლები ამათ არ შველის. ყველა სიკვდილის შვილია. სიკვდილი გარდაუვალია.

საინტერესო აზრია გატარებული ლექსში „მდიდარი“. ვის ეთქმის მდიდარი? მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი აქვს ქონება (ოქრო და ვერცხლი), ვინც სიცოცხლეს ატარებს ლხინში და ამპარტავნობს... ეს ყველაფერი ფუჭია და წარმავალი. (იქ არაფერი გაგვყვება. ეს ყველაფერი „სიცოცხლის კართან დაიმარხება“). მაშინ, ვინაა მდიდარი? მდიდარი ისაა, ვისაც აქვს მაღალი აზრები და სპეტაკი სული, ვინც სიმართლეს სწირავს თავს, ვინც კმაყოფილია თავისი ქონებით და არ შენატრის სხვის ბედს. ეს ჯანსაღი აზრია. ამ საკითხზე ასეთივე აზრისანი იყვნენ უფროსი თანამოკალმეები – ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მაგ., ალექსანდრე ჭავჭავაძე ამბობს: „ამა სოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება, მდიდარნი

ბევრნი ყოფილან, ოხრათ რჩენიათ ქონება" („მუხამბაზი ლათა-იური“). მაგრამ მაინც რჩეულიშვილის ლექსების თემატიკა მეტად შეზღუდულია. ძირითადად ეს მაინც სიყვარულია. რაც შეეხება ფორმას, ლექსებს არ აკლიათ დახვეწილობა და მუსიკალობა. ლექსებში არის შინაგანი სითბო... ყოველ შემთხვევაში გრიგოლ რჩეულიშვილი „ცისკრის“ ბევრ პოეტზე (ეპიგონ პოეტზე) მაღლა დგას. მისი ლექსები თავის დროზე დიდად პოპულარული იყო (განსაკუთრებით ახალგაზრდებში).

თანამედროვენი გრიგოლ რჩეულიშვილს – პოეტს მაღლა აყენებდნენ გრიგოლ რჩეულიშვილ—ბელეტრისტზე. ე.ი. ლექსები უფრო ფასობდა, ვიდრე მოთხრობები. დრომ (ამ მკაცრმა მსაჯულმა) სხვანაირად განსაჯა. გრიგოლ რჩეულიშვილი, როგორც პოეტი, თითქმის დავიწყებას მიეცა, ჩრდილში დადგა, და ქართული მწერლობის ისტორიას შემორჩა მოთხრობებითა და რომანებით.

ეს ლექსები ზოგის აზრით სენტიმენტალურია, ზოგისა – რომანტიკული... (გრიგოლ რჩეულიშვილი სენტიმენტალისტია ან რომანტიკოსი). მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები „ქვრივის ლიმონები“, „ანუკა ბატონიშვილი“, რომანი „თამარ ბატონიშვილი“. გრიგოლ რჩეულიშვილის ერთ-ერთი დამსახურება ის გახლავთ, რომ ქართული პროზის ერთ-ერთი რესტავრატორია (აღმდგენი). სამივე ნაწარმოები ისტორიულია, თუმცა 50-60 იან წლებში ცხოვრობს და ამ ეპოქაში ბევრი პრობლემა დადგა, მაგრამ გრიგოლ რჩეულიშვილი თანამედროვეობას თვალს არიდებს, ეპოქის მიერ დასმული აქტუალური პრობლემები (ეროვნული თუ სოციალური საკითხები) არ აწუხებს (მაშინ როდესაც სხვები ამ პრობლემებს უტრიალებენ). წარსულს გვიხატავს და იმასაც თავისებურად. მის ისტორიულ ნაწარმოებებში სიუჟეტის ძირითადი საყრდენი რომანული ამბებია (ინტრიგა) და არა ისტორიული სინამდვილე. წარსულში აინტერესებს არა ქართველთა სახელოვანი წინაპრების ბრძოლები მაღალი იდეალებისათვის, ვთქვათ, სამშობლოს თავისუფლებისათვის. არამედ მათი სასიყვარულო-სამიჯნურო თავგადასავლები, გული, მათი გრძნობები, განცდები და ემოციები, მოკ-

ლედ მათი ფსიქოლოგია – შინაგანი სამყარო (თუ მაგ., გრიგოლ ორბელიანს, ილიასა და აკაკის აინტერესებთ იმ წინაპართა პატრიოტიზმი, მამულისთვის თავდადება და წარსულს სწორედ ამ ეროვნულ-პატრიოტული იდეების სააგიტაციოდ იყენებდნენ, გრიგოლ რჩეულიშვილმა სხვა თვალით შეხედა წარსულს). ამ ნაწარმოებებში წარსული არაა ანმყოსთან დაკავშირებული და მომარჯვებული აქტუალურ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მწერალი გვიხატავს ისტორიულ პირებს (და გამოგონილ პერსონაჟებსაც), როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს, რომელთაც აქვთ თბილი გული, გრძნობები, ემოციები... გრიგოლ რჩეულიშვილმა მაღალი წრის წარმომადგენლები გაუთანასწორა დაბალი წრიდან გამოსულ ადამიანებს, და ყველა დაგვიხატა ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანებად... მოკლედ, გრიგოლ რჩეულიშვილის ეს ნაწარმოებები ისტორიულ-ფსიქოლოგიური თხზულებებია.

მოთხრობაში „ქვრივის ლიმონები“ (პირველად დაიბეჭდა 1857 წ. „ცისკარში“) მოქმედება ხდება 1786 წ.

აქ ერთ-ერთ მოქმედ პირად გამოყვანილია ერეკლე მეფე. მაგრამ ერეკლე ნაჩვენებია არა როგორც მეფე, ქვეყნის მეთაური (მაგ. ისე, როგორც „ბედი ქართლისაში“), არამედ — უბრალო ადამიანი, რომელიც იმაზე ზრუნავს, თუ ვის მიათხოვოს თავისი შვილობილი კეკე (აბაშიძე). ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა ერეკლეს მიერ გადახდილი რომელიმე ომი, ერეკლეს გონიერება და სამხედრო ნიჭი ერეკლე გამოყვანილია... შუამავლის როლში (დიახ, შუამავლის, მაჭანკლის). ახალგაზრდა (22 წლის) ლამაზ ქვრივს (კეკეს) ჰყავს ხელის მთხოვნელები: ზაზა თარხნიშვილი (ქართლელი) და ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი (კახელი). ორივე კარგია და კეკემ არ იცის, რომელს მიანიჭოს უპირატესობა. ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა ლიმონებით... მაგრამ ორივეს იჭერს. აი, ამ საქმეში დაეხმარება ერეკლე. ახლა ერეკლე დაინწყებს ლიმონების მაღლა სროლას. პირველად და მეორედ ამა-ნაც ორივე დაიჭირა, მესამედ კი ორივე გადაუვარდა. მაშინ ერეკლე საქმეს სხვა მხრივ მოუვლის. მოიფიქრებს ეშმაკურად და კეკეს ორივეს გამოაცდევინებს სიყვარულის სიძლიერეში.

თვითონ კარს უკან დამალული, მათ საუბარს ისმენს... (ესეც ერეკლე. მას განა ამისთვის ეცალა?!). გაირკვევა, რომ ქაიხოსროს უფრო ჰყვარებია და კეკეს იმაზე დანიშნავს მეფე (ბეჭდები გაუცვალა თვითონ ერეკლემ). – ხვალ სტუმართა შორის მეც არ ვიქნები, ალბათ, დავინწყებულო, – ხუმრობით უმატებს.<sup>2</sup>

არც მანამდე და არც შემდეგ ერეკლე ასე არ დაუმცირებია, არ „გაულანძლავს“ არავის (ერეკლე ე.წ. მაჭანკალი? – სოლომონ მორბელაძე ხომ არ იყო). ერეკლეს ასეთმა დახატვამ მკითხველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამოიწვია მწვავე რეაქცია. აი, პირველი, რომელმაც ხმა აღიმალა ერეკლეს დასაცავად, იყო მისი შვილიშვილი, ჩვენთვის ნაცნობი რომანტიკოსი ალექსანდრე ორბელიანი. ვიცნობით რა ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულებას ერეკლესადმი (ერეკლე წარმოდგენილი ჰყავდა გმირად, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად და სხვა) მას მართლაც არ შეეძლო გაჩუმება. და აი ალექსანდრე ორბელიანი წერს და აქვეყნებს „ცისკარში“ სატატიას: „ქვრივის ლიმონების“ განხილვა ანუ კრიტიკა“ (1858 წ. №4).

ალექსანდრე ორბელიანი, რომანტიკოსი, რომელიც წარსულს აიდეალებს, გასაგებია, აღტაცებით არ შეხვდებოდა ამ მოთხრობას. წერილის დასაწყისშივე კრიტიკოსი აღნიშნავს, მკითხველი საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა ამ მოთხრობასო („შეიჭურნენ მრავალნი, ასე ფიცხად ლაპარაკობდნენ იმაზედ!!!“). და აი, ალექსანდრე ორბელიანი საზოგადოების სწორედ ამ ნაწილის თვალსაზრისს გამოხატავს.

მისი აზრით, გრიგოლ რჩეულიშვილმა შეურაცხყო ერეკლეს სახელი. გრიგოლ რჩეულიშვილს იმ კაცს ადარებს, რომელმაც „დიდი შენობა დანო“, რათა სახელი დარჩენილიყო მისი (გულისხმობს ჰეროსტრატეს, რომელმაც ეფესოში არტემიდას ტაძარი დანვა). კიდევ კარგი, რომ ძველი ამბები ვიციით, თორემ გავა 30 წელი, ამგვარ ნაჭორს მომავალ თაობა მიიღებს, როგორც ჭეშმარიტებას და საუკუნოდ მოითხრება ერეკლეს და მთლად ჩვენი ერიცო.

კრიტიკოსი დასაწყისიდანვე მწერალს, პირველ ყოვლისა, საყვედურობს ისტორიული ფაქტების არცოდნას, „დროის კო-



ლორიტის“ დარღვევას: ძველ საქართველოში „კნეინობით“ და „კნიაზობით“ წოდება არ იყო, არც მეფეს მიმართავენ „თქვენო დიდებულებავ“, არამედ: „ჩვენო ბატონო“, „ბატონო მეფევ“ და სხვა. არც ალერსით იტყოდა ვინმე „გარყვნილოვო“, მითუმეტეს, მეფე. საერთოდ კეკესა და ერეკლეს დიალოგი კრიტიკოსს დიდ შეუსაბამობად მიაჩნია.

უწინდელს დროში ეკლესიებში ყმანვილკაცებისაგან კისრის გრეხა და ქალების ყურება როგორ შეიძლებოდაო.

ან კიდევ: მოქმედება ხდება 1786 წ. 1 მაისს. ერეკლე ამ დროს (მოთხრობის მიხედვით) 76 წლისაა.<sup>3</sup> ერეკლე ამ დროს 66 წლისაა. ანასტასია ბატონიშვილი – 12 წლისა. და ამ პატარა გოგოს რა მეგობრობა უნდა ჰქონოდა 22 წლის ქვრივთან.<sup>4</sup>

თუ რჩეულიშვილი იტყვის – შემეშალა, ერეკლე 76 წლისა იყოვო, კრწანისის ომის შემდეგ კიდევ ახალი თავდასხმის მომლოდინე მეფეს რა გული და ხალისი ექნებოდა კეკესთან საუბრისა და ხუმრობისა. მეფეს რომ უღონოდ გვიხატავს (ლიმონებს ვერ იჭერს და სხვა), 77 წლის მოხუცმა განჯის ციხე აიღო და ყველა გააოცა, და აქ ლიმონები ვერ დაიჭირაო?!

კეკე ისტორიული პირი არაა. ერეკლეს დროს სამი ივანე აბაშიძე ყოფილა და არცერთს არ ჰყოლია ქალი კეკეს სახელით. არც ივანე აბაშიძე არსებულა, რომელსაც ერეკლესათვის შეეწიროს თავი ოსმალოს ომში (ერთი ივანე აბაშიძე კრწანისის ომში მოკლეს, დანარჩენი ორი – თავიანთი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულნენ).

კეკეს ხელის მადიებლები – ზაზა თარხნიშვილი და ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი — ხნით ერეკლეზე უფროსები იყვნენ და 1786 წელს (მოქმედება რომ ხდება) – დაოჯახებულნიცო.

უპატიებლად მიაჩნია კრიტიკოსს კახელებისა და ქართლებების დაპირისპირება და მეფის ჩივილი, რომ კახელებს კარგი ქცევა ვერ ასწავლა. ერთმა გლეხმა უთხრა ერეკლეს: „ქართლის მამინაცვალო და კახეთის მამაო“. რომელი გლეხი გაუბედავდა ერეკლეს ამას? ამისთანა ჭორები ერეკლეს მტრებმა გაავრცელეს. ნამდვილად კი ერეკლეს ქართლიც ასე უყვარდა, როგორც კახეთი, ქართლის გამოსახსნელად მრავალი ომი გადაუხდია.

ალექსანდრე ორბელიანმა ერეკლეს ჩამორეცხა კუთხური მიკერძობის ლაქა.

[„ქერივის ლიმონებში“ კი ერეკლე ამბობს: „შემცდარნი არიან, რომელნიც ჰფიქრობენ, ვითომ კახელები უფრო მიყვარდნენ ქართლელებზედ. მართალია, ოდესმე ვცდილობდი, მსურდა რომ კახელებს ემჯობინებინა ქართლელებისათვის, ეს იმ დროს, როდესაც ვიყავი კახის ბატონი, მაგრამ, რაც ერთმა გლეხმა შემამბედა და მითხრა „კახეთის მამაო და ქართლის მამინაცვალოვო“ მას აქეთ თვალები ავახილე და შევამჩნიე ჩემი შეცთომილება და პირფერობა კახელთადმი. ბევრჯერ დავფარე იმათი ნაკლებულება, ბევრი ვეცადე და ვერ მოვიყვანე ესენი ერთს წრეზედ ქართლელებთან. ბევრი კარგი ოჯახიც გარდავასახლე ქართლიდგან კახეთში, რომ მიეღოთ მათგან ზრდილობა, ქცევა, ლაპარაკი, მაგრამ შრომა ამაოდ მრჩებოდა: მარჯვენა ხელი და თვალი კახეთზედ მეჭირა და მარცხენა – ქართლზედ. მაგრამ ეხლა ორივე მხარეს ერთის თვალით და ერთის გულით ვუყურებ, თუმცა გულმტკიცენულობით ვხედავ, რომ ვითარცა დღე ღამესა, ისე ქართლის კეთილშობილება სჯობს კახელთა, გლეხკაცზედ კი ვერ ვიტყვი მაგას: გლეხი კაცი სჯობს ქართლისასა.“ (გვ. 46-47)].

კრიტიკოსი ამბობს, რომ ქართლი და კახეთი ვინ გაჰყო, საუკუნეებით გვაქვს განუყრელი ერთობა, „ზურგზე ვაკერივართ ერთმანეთს, დასაკლისიც ერთია ჩვენი და შემატებაც“. საერთოდ არ ვარგა, რომ ქართლელები კახელებს აგინებენ და დასცინიან და პირიქით...

რჩეულიშვილის მოთხრობაში თუ რამეა მოსაწონი, „მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი, თუმცა ცოტა მეტნაკლებია იქაც“, — ალექსანდრე ორბელიანი ცდილობს ობიექტური იყოს.

მოკლედ, რჩეულიშვილის ნაწარმოებებში ერეკლე დამდაბლებულია და შეგინებული „ამის შემდეგ არ ვიცი რა ნდომია და ან რა გაუკეთებია უ. რჩეულოვს? – ისტორიისათვის? – უვარგია. რამანი? – რამანის აჩრდილი არ არის. – მოთხრობა? – არც მოთხრობად ითქმის“, — ასეთია ალექსანდრე ორბელიანის დასკვნა.

„ქერივის ლიმონები“ გრიგოლ რჩეულიშვილის პირველი ისტორიული მოთხრობაა [1857 წ.]. ჩანს, მწერალმა გაითვალისწინა ეს შენიშვნები და შემდგომ თხზულებებში ასეთი ანაქრონიზმები აღარ გვხვდება (თუმცა სხვა სახის ლაფსუსები მაინცაა).

[„ქერივის ლიმონებში“ (გვ. 37-38) არის ერთი ადგილი, სადაც საუბარია იმ მძიმე ვითარებაზე, რომელიც შეიქმნა საქართველოში მე-18 ს. II ნახევარში. ეს ვითარება ყველაზე კარგად, ცხადია, ერეკლე მეფეს ესმოდა და მწერალიც მას აძლევს სიტყვას: „თითქოს ღმერთსა საქართველო გაუჩენია გამოსაცდელად მოთმინებისა. ეს ერთი ბოხჩა საქრისტიანო ადგილი მოუმწყვდევია საშუალო მაჰმადიანისა, რომელიცა დაარსებით სწენს და ჰგლეჯს მას სარწმუნოების გამოსაცვლელად. მარად დანვა, მარად ხოცვა, მარად აღრეულობა, ნუთუ ბოლო არ უნდა ჰქონდეს ამათ?“ „დღეს არის თუ ხვალ საქართველოს მოედება ბოლო. იგი აუცილებლად გათათრდება... საქართველოს აღარ შეუძლიან მარტო ბრძოლა ყოველის მხრივ ასიებულ მტერთან“.

ამ რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამოსავალს მეფე ეძებს ძლიერ ქვეყანასთან, ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირში. „მე დავინწყე შეკავშირება საქართველოს რუსეთთან. რუსნი ძლიერნი არიან, ჩვენი მერჯულენი არიან. იმათ შეუძლიათ მტრის გაძლოლა, ისინი დაამყარებენ ქართველთ თავის სარწმუნოებაზედ, დაფარავენ თავის ძლიერის ფრთებით“. თუ მოვიგონებთ იმას, რომ „ქერივის ლიმონებში“ მოქმედება ხდება 1786 წელს, გასაგები გახდება, რომ რუსეთთან კავშირის დასამყარებლად ერეკლეს მიერ გადადგმულ ნაბიჯში იგულისხმება 1783 წელი ტრაქტატი. ერეკლეს გადანყვეტილებას მაშინ ყველა როდი მიესალმებოდა, მაგრამ მეფე ღრმად დადარწმუნებული თავისი აზრის სისწორეში და დაფასებასაც შთამომავლობისაგან მოელის. იგი მზადაა უფროს შვილს გიორგის დაუტოვოს ანდერძად ამ წამოწყების საბოლოოდ დაგვირგვინება (ერეკლე ამ ეპიზოდში ნაჩვენებია ისეთ მეფედ, რომელიც იღვწის საქართველოს ბედნიერებისათვის და არა პირადი განდიდებისათვის). „ოჰ, საბრალო საქართველოვ!..

გულთამხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის ბედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათვის", — ამბობს ერეკლე (შდრ. „მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე, თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე, არამედ ვითა მამა კეთილი, რომელსაც სურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს“). გაიხსენეთ „ფიქრნი მტკვრის პირას“ და იქ წარმოსახული ორი მეფის პორტრეტი.]

„ანუკა ბატონიშვილი“. მოქმედება ხდება კახეთში, გრემში (კახეთის დედაქალაქი მაშინ გრემი იყო), მე-16 საუკუნეში. კახეთის მეფე არის ალექსანდრე II (1574-1605). მოთხრობის მთავარი მოქმედი პირია ამ ალექსანდრე II-ის ნახევარდა ანუკა.

ალექსანდრე II-ის მამას, ლევანს, პირველ ცოლად ჰყავდა გურული ქალი თინათინი. თინათინის ხელში ეყოლა შვილები: გიორგი, იესე და ალექსანდრე. მაგრამ ცოლ-ქმარი ერთმანეთს დასცილდნენ თვითონ თინათინის სურვილით (ეს ლევანი ყოფილა კაცი „ფრიად მეძავი“, ხოლო თინათინი არ აღმოჩნდა ისეთი ქალი, რომელიც ქმრის ღალატს მოთმინებით იტანს, ურიგდება). ქმართან დაცილების შემდეგ თინათინმა თავისი ნამზითვით შუამთაში ააშენა მონასტერი, სადაც მონაზვნად აღიკვეცა. იქ გარდაიცვალა და იქვეა დამარხული (ვასილ ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“).<sup>5</sup>

ლევანმა სხვა ქალი შეირთო — ლეკის ქალი, შამხლის (შამხალი — დალესტნის მმართველი მსხვილი ფეოდალები) ყარა-მუსალის ასული. ამ ქალის (მისი სახელი უცნობია) ხელში ჰყავდა 3 ვაჟი — ელიმირზა, ქაიხოსრო და დავითი (თუ ელიმირზა, ვახტანგ და ხოსრო).<sup>6</sup> და ორი ასული — ნესტანდარეჯანი და მეორე (სახელი უცნობია).

ლევანის სიკვდილის შემდეგ გამეფდა ალექსანდრე (უფროს ძმათაგან ერთი — გიორგი — ამ დროს ცოცხალი აღარაა. ციხედიდის ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მეორე — იესე — ალამუთის ციხეში იყო ჩამწყვდეული), რაც შეეხება ნახევარძმებს, ისინი (ელიმირზა და სხვები) თორღას ციხეში ჩადგნენ და ალექსანდრეს მდგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ გაიმარჯვა ალექსანდრემ და ნახევარძმები თორღას ციხესთან გამართულ ბრძოლა-

ში დაილუპნენ (და „ალექსანდრე – 1574 წ. მარტში შეიქმნა მპყრობელი მთელის კახეთისა“, წერს გრიგოლ რჩეულიშვილიც).

მოვუბრუნდეთ ახლა ნახევარდებს. ნესტან-დარეჯანი ცოლად ჰყავდა ქართლის მეფეს – სვიმონ I-ს (მისი შვილია გიორგი, შემდეგში ქართლის მეფე გიორგი X (1600-06 წწ.). გიორგის შვილებია ლუარსაბ II, ლელა, ხორეშანი),<sup>7</sup> რაც შეეხება მეორე ნახევარდას (რომლის სახელიც ისტორიულად უცნობია), ისაა სწორედ გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი (მწერალი მას სახელად არქმევს ანუკას). მემატინანეთაგან ამ ქალს მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონი ეხება (სხვები არც ახსენებენ, და ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ალექსანდრე II-ს მხოლოდ ერთი დაი ჰყავდაო). ასე რომ, გრიგოლ რჩეულიშვილისათვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ვახუშტის „ქართლის ცხოვრება“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). ვახუშტის მიხედვით ეს ქალი ცხოვრობდა ალავერდის მონასტერში. („აღერჩია ენკრატისობა“. ენკრატისი – დედათ-მონესე). მაგრამ მას „ფარულად თანა-ეყოფოდა ალავერდელი“ (ძმა ოთარ ჩოლოყაშვილისა). (ეს ოთარი ისტორიული პირია). ეს ამბავი რომ გავრცელდა, „წარიპარა ქალი იგი და წარვიდა იმერეთს“. ხოლო იერუსალიმის პატრიარქმა კრულჰყო ალავერდელი. ალავერდელი გაიკრიჭა და დაქორწინდა იმ ქალთან. ალექსანდრე მეფე შეურიგდა ამ ამბავს და მისცა მათ მცირე მამული (ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 580). ასეთია ისტორიული სინამდვილე. (ესაა ყველაფერი, რაც მწერალს ხელთ ჰქონდა...).

არსებობს იოსებ დავითაშვილის უსათაურო ლექსი, დათარიღებული 1882 წლით:

ალექსანდრე, კახთა მეფეს, ჰყავდა ერთი მრუში დაო;  
თავიდანვე ვითომ წმინდად მოლოზნობას შეუდგაო.  
ალავერდის ეპისკოპოზს მასთან ცთომა მოუხდაო;  
ამ ბერსა და მოლოზონსა თურმე შვილიც გაუჩნდაო...  
ვაი, დროსა შერცხვენილსა, სჯობს გავჩუმდე,  
რალა ვთქვაო;  
სადაც ვარდი თესებულა, იქ ეკალიც ამოვაო.

[ეს „ანუკა ბატონიშვილის“ გავლენაა? ნამდვილად რომ გავლენაა, თორემ ისტორიულად ხომ ის ქალი მრუში არაა. უფრო საზოგადოდ აქ ისტორიაცაა და „ანუკა ბატონიშვილის“ გავლენაც („ალავერდის ეპისკოპოსს...“ ეს ისტორია), „მრუში და“ და „შვილიც გაუჩნდაო“, — ეს რომანის გავლენა.)]

ამ ქალს დიდი დანაშაული მაინცდამაინც არ ჩაუდენია, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია. გრიგოლ რჩეულიშვილმა კი ამბავს სხვა ხასიათი და განვითარება მისცა: ანუკა აქ გათხოვილი ქალია, მისი ქმარია ოთარ ჩოლოყაშვილი (ძმა იმ ალავერდელისა), ჰყავს შვილიც (ე.ი. ქმარშვილიანი ქალია). ეს ოთარი ალექსანდრე II-მ სპარსეთში გააყოლა თავის შვილს კონსტანტინეს (ამ დღიდან უკვე 4 წელი გავიდა). ამასობაში ქალმა საყვარელი გაიჩინა. ეს იყო ოთარის მოურავი – უდაბნოელი (ყოფილი ბერი), რომელთანაც შვილიც ეყოლა.

ეს ამბავი, ცხადია, გახმაურდა; გაიგო ალექსანდრემაც, რომელმაც ეს შეურაცხყოფად და ოჯახის შერცხვენად მიიღო. განიზრახა დისა და უდაბნოელის დასჯა („იმას არ ასვენებს ჰარამი შამხალის სისხლი, რომლისაგანაც უნდა დაიცალოს...“). მან ეს ამბავი შეატყობინა სპარსეთში მყოფ ოთარ ჩოლოყაშვილს („მსაჯული თავისი ცოლის მოქმედებისა თვითონ უნდა იყოს“). ოთარიც ჩამოდის, ეს ანუკამაც გაიგო, შემფოთებულია. ახლა ბავშვის გადამალვა სურს, თანაც სინდისი ქენჯნის და იმ ეკლესიაში, სადაც ოთართან ჯვარი დაინეა, მოძღვარს აღსარებას ეტყვის (აღსარების დროს, როგორც წესი, ყველაფერი უნდა ეთქვა და ასეც მოიქცა). ეს „მოძღვარი“ ნამდვილად ოთარი იყო... ანუკას გული გაუსკდა. ასეთია მოთხრობის მოკლე ქარგა.<sup>8</sup>

ნაწარმოებში ისტორიული თითქმის არაფერია, ან უფრო სწორად: ძალიან ცოტა. გამოგონილი (შეთხზული) გაცილებით მეტია (მოქმედი პირები, სიტუაციები). რაც მთავარია, აქ ძირითადია სიყვარული და ისევ და ისევ სიყვარული (განცდები, გრძნობები, ემოციები, „გულის ტანჯვა“... სად არის ჩემი გული, ჩემი სიყვარული, ჩემი სული, რომელიც შენ წამართვი, აღმიშფოთე, - იძახიან და არის ერთი ოხვრა-გოდება, ცრემლთა

ფრქვევა. სენტიმენტალურ-რომანტიკული ნრიპინი). აღწერილია 15 წლის ტიტკოს სიყვარული ანუკასადმი...

არც ეს ნაწარმოები მოეწონა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს [ის, რაც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში უცხო და დაუჯერებელი იყო, შემდეგ (90-იან წლებში), ჩვეულებრივი ამბავი გახდა. დაიშალა ადამიანი, დახურდავდა მისი გრძნობები... და იმდროინდელმა მწერლებმა (შიო არაგვისპირელმა, ჭოლა ლომთათიძემ) არაერთხელ გვიჩვენეს ადიულტერი. ჭოლა ლომთათიძემ ასეთი რამ ღორობად მონათლა: „მე ვამბობ, მე ვამტკიცებ, რომ ეს ღორობაა, თუ ამ ღორობას ჩადის არა ნამდვილი ღორი, არამედ ღორზედ უარესი ღორი გაღორებული ადამიანი“].

განსაკუთრებით არ მოეწონათ მაღალი კლასის წარმომადგენლებს. ისინი აღაშფოთა ბატონიშვილის მიერ ცოლქმრული ვალდებულების დარღვევამ [ადიულტერის ჩვენებამ. (ადიულტერი — ფრანგ. — მეუღლის მოტყუება, ღალატი). ამისთანა რამეები (ადიულტერი) თავისუფალი სიყვარული, „ვნების თავისუფლება“ ევროპული ლიტერატურისათვის ჩვეულებრივი რამ იყო,<sup>9</sup> ხოლო ქართულ ლიტერატურაში — პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ადიულტერი გვიჩვენა, გრიგოლ რჩეულიშვილია.<sup>10</sup> ეს იყო სიახლე, თავისებური ნოვატორობა. ამ საქმეში იგი პიონერია (თუმცა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აშოტ კურაპალატს საყვარელი ჰყავს. ზენონის და ვილაც კაცმა შეაცდინა. შემდეგ შოთა რუსთაველმა დაგვიხატა ქმრის მოღალატე ფატმანი, რომელიც თავს ასე იმართლებს: „მით არ ჯერვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი.“..).

არისტოკრატიაში ამაში დაინახა თავისი წოდების შეურაცხყოფა, ავტორს საშინელი დღე დააყარეს. არის ცნობა, რომ ერთხელ რჩეულიშვილს თავადიშვილები დაესივნენ და ცემა დაუპირეს, კინალამ დაახრჩვეს, ამისთანა რამე როგორ დაწერეო, ეს სიცრუეა და ცილისწამებაო (იხ. ქეთევან ირემაძის „ლიტერატურული მედალიონები“, 1945 წ. გვ. 84., ჯუმბერ ჭუმბურიძის „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1958 წ. გვ. 39).

[დაახლოებით ასეთი რეაქცია გამოიწვია სალიტერატურო კრიტიკაში მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებმა,“ შიო არაგვისპირელის ნოველამ „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“].

[ქართველი ქალი გარყვნილი უფრო ადრე გვიჩვენა გიორგი ერისთავმა „ყვარყვარე ათაბაგში“ (დაიბეჭდა „ცისკარში 1853 წ. 1853-54 წ. სეზონში იდგმებოდა კიდევ სცენაზე). აქ რუსუდან დედოფალს, ელენეს (ავაგ სპასალარის დას ) საყვარლები ჰყავთ].

მოთხრობის გამოქვეყნების მომდევნო წელსვე (დაიბეჭდა 1860 წ.), „ცისკარშივე“ იბეჭდება ორი წერილი: ბარბარე ჯორჯაძისა (ფსევდონიმით „კნ. ნინა ერისთავისა“) — „ანუკა ბატონისშვილის მოთხრობაზედ“ და „კახეთის მებუკისა“ — „უფალო რედაქტორო!“

ბარბარე ჯორჯაძე მწერალს უკიჟინებს ისტორიის დამახინჯებას. ძველ საქართველოში ამას არავინ ჩაიდენდა, მითუმეტეს ბატონიშვილიო. ძველად, როდესაც სარწმუნოება და ზნეობა მტკიცედ იყო დაცული, ქართველი ქალი ასე არ მოიქცეოდა. თუ რაიმე ამის მსგავსი სადმე მოხდებოდა, ის მკაცრად იყო შენიღბული. საჯაროდ ვინ გამოიტანდა? მერე მეფე თავისი დის საქციელს? ფსიქოლოგურად სავსებით გაუმართლებელია 16-17 წლის ტიტკოს სიყვარული ქმარ-შვილიანი ქალისადმი, რომელიც მას დედად შეეფერება (შვილოო, დედაო, - ეუბნება, და ის კი ეხვევა და კოცნის). საიდან მოიტანა გრიგოლ რჩეულიშვილმა ეს ამბები, სად წაიკითხა? (თვითონ ხომ არაა ამ ამბების მოწმე, მამ საიდან გამოატყვერინა ამდენი შეუსაბამობა?). ყოველი სინდისიანი ადამიანი ვალდებულია, წინაპარნი და მათი მოქმედება აჩვენოს ისე, როგორც ყოფილა, დაუმახინჯებლად.

ბარბარე ჯორჯაძეს სავსებით ეთანხმება „კახეთის მებუკე“ „„კეთილშობლთა“ სახელით (სხვათა შორის ციტატაც მოაქვს ბარბარე ჯორჯაძის წერილიდან) წერილი გამოგზავნილია გრემის ნაქალაქევიდან. თანაც იმ კეთილშობილთა სახელით ემუქრება – უკეთუ ამის მსგავსი კიდევ დაიბეჭდება „ცისკარში“, ჟურნალის გამოწერაზე ხელს ვიღებთო. გარდა იმისა, რომ ეთანხმება ბარბარე ჯორჯაძეს, ახალ შენიშვნებსაც იძლევა: ა)



საქართველოში ვინ იკადრებდა, რომ მოძღვარი გამოეტყუებინა შინიდან, ანაფორა გაეხადა და ის კი დაემწყვდია. ბ) სად გაგონილა წმიდა ტრაპეზთან (საკურთხეველან) აღსარების თქმა, ქალის შესვლა საკურთხეველში და აღსარების თქმა. გ) საიდან დაანესა, რომ მოძღვარი შინიდან გამოვიდეს კისერზე ოლარით და ისე წავიდეს 2-3 კილომეტრზე და სხვა.<sup>12</sup>

კახეთის მეზუქემ პირველმა წამოაყენა ასეთი ბრალდება – გრიგოლ რჩეულიშვილი პლაგიატიანო. მისი აზრით, შინაარსი გადმოღებულია ორსინის ნაწარმოებიდან, ხოლო მოქმედება გადმოტანილია ფლორენციიდან გრემს. გრიგოლ რჩეულიშვილმა გმირებს შეუცვალა ტანსაცმელი და სახელები და შეცურა „გარყვნილების მორევში“. მართლმადიდებლური ეკლესიისათვის შეუფერებელი ჩვევები (აი, ისინი ზევით რომაა აღნიშნული) კათოლიკური ეკლესიისათვის დამახასიათებელი წესებიანო.

1863 წ. გიორგი წერეთელმა გაკვრით აღნიშნა (სტატიკაში „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“) რომ „ანუკა ბატონიშვილი“ თარგმანიანო (შემდეგ სხვებმაც – მაგ., ალექსანდრე ხახანაშვილმა გაიზიარეს ეს აზრი). შეუბრალებლათ და ცემატყეპით გადმორეკა სანყალი ფლორენციის მცხოვრებნი გრემის ქალაქში. აქ, რასაკვირველია, ხალხს რომ არ აებუებინათ, მაშინვე დაჰართო ქართულის ტანისამოსით, დახურა ბუხრის ქუდები, შამააკრა გორდა ხმლები; მერე დიდის მეცადინეობით უშოვა ქალებს ლეჩაქი და თავსაკრავი და... შეგზავნა გარყვნილების მორევში“ („ქართ. ლიტ. კრიტიკ. ისტ. ტ. I, გვ. 160).

რჩეულიშვილი კარგს იზამს და მისი რომანი მოიგებს, თუ მოქმედებას გრემიდან ისევ იტალიაში გადაიტანს და მოქმედ პირებსაც თავთავიანთ სახელებს მისცემს.

სპეციალურმა ძიებამ დაადგინა: გრიგოლ რჩეულიშვილს უსარგებლო იტალიელი მწერლის იტალო ფიორენტინოს ისტორიული რომანით „იზაბელა ორსინი“ (დანერვილია 1844-1860 წლებს შორის. მაშინვე ითარგმნა რუსულად და რჩეულიშვილი ამით სარგებლობს).

აქ მოქმედება ხდება მე-16 საუკუნეში. მთავარი მოქმედი პირი ქალი – იზაბელა მედიჩი-ორსინი (მედიჩი თავისი გვარია, ორსინი

– პირველი ქმრისა) ბევრ რამეში ჰგავს ანუკას. თუმცა ბევრ რამეში განსხვავდება. ანუკას მონანიება იმდენად გულწრფელია, რომ ჩვენს თვალწინ თითქმის რეაბილიტირებულია. ანუკას არ ეთქმის გარყვნილი ქალი (სხვათა შორის, თავის საქციელში რამდენადმე დამნაშავედ მიაჩნია ძმა ალექსანდრე მეფე. „ერთის წლის ჯვარდანიერილი ქმარი ამგლიჯა გულიდან... რას ჰფიქრობდა, ნუთუ მე არ ვიყავი შედგენილი სისხლისა და ხორცისაგან?“). ანუკამ უდაბნოელთან შესცოდა მხოლოდ. შემდეგ გულწრფელად ინანიებს თავის „შეცდომას“. იზაბელამ კი რამდენიმე საყვარელი გამოიცვალა. იგი, როგორც მეუღლის მოლაღატე, სინდისის არავითარ ქენჯნას არ განიცდის. ასე რომ, იტალიელ ქალთან შედარებით ქართველი ქალი უმანკოების განსახიერებაა (მაგრამ, როგორც ვნახეთ, კრიტიკამ მწერალს ესეც არ აპატია).

გრიგოლ რჩეულიშვილს ეკუთვნის რომანი „თამარ ბატონიშვილი“, რომელიც ზედიზედ ორჯერ გაილექსა — რაფიელ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას მიერ. ამის საბაზად ასახელებენ ასეთ შემთხვევას: რაფიელ ერისთავი და სიმონ გუგუნავა ეწვივნენ ვარლამ ერისთავს გორა-ბერეჟოულში (ჩოხატაური). სანაძლეო დასდეს, ვინ უკეთ გალექსავს გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილს“. კოტე მესხმა იგი პიესად გადააკეთა და დიდხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე. სიმონ გუგუნავას „თამარიანი“ განსაკუთრებით პოპულარული იყო ხალხში. 1888-1973 წლებში იგი თერთმეტჯერ გამოიცა. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „მე მინახავს კახელი გლეხი, რომელიც ბუკინისტებში „თამარიანს“ ეძებდა... მახსოვს მისი ნალვლიანი სახე, როცა უთხრეს, აღარა გვაქვსო“...

იოსებ მეგრელიძე წიგნში „გუგუნავები“ წერს: „შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანის“, ი. გოგებაშვილის „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“, აკაკისა და ილიას რიგი ლექსების შემდეგ, „თამარიანი“ უპოპულარესი ნაწარმოებია... საქართველოში, განსაკუთრებით – გურია — აჭარა — იმერეთში“.

გუგუნავას „თამარიანი“ როგორც აღნიშნულია, აგებულია „შოთას ყაიდაზე“, ბევრი აქვს მას საერთო ხალხურ შაირთან. პოემა სავსეა შედარებებით, აფორიზმებით, ანდაზებით და სხვა.

გარდაიცვალა სიმონ გუგუნავა 1909 წ. ქუთაისში. დაკრძალულია მწვანეყვავილას სასაფლაოზე. ძეგლი და მარმარილოს დაფა დაიკარგა, დაფა აღადგინეს და გაუკეთეს სათანადო წარწერა:

**ს. დ. გუგუნავა**  
**ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე**  
**„თამარიანის“ ავტორი**  
**1839-1909**

დაკარგული მარმარილოს ფილა, რომელზეც სიმონისა და მისი მეუღლის სურათები იყო მოთავსებული, აღმოჩნდა გორში ნუნუ ნიკოლოზის ას. ლომიტაშვილის ოჯახში (იხ. ი. მეგრელიძე, „გუგუნავეები“, ბათუმი, 1987).

**თამარ ბატონიშვილის შინაარს ასე გადმოგვცემს მისი ერთ-ერთი გამლექსავი რაფიელ ერისთავი:**

„მოკლე შინაარსი ამ პოემისა ეს გახლავთ, თამარ მეფე გარდაიცვალა, თუმცა შემდეგ ლაშა-გიორგი იყო მეფედ, მაგრამ სამეფოს უფრო განაგებდა მისი და რუსუდანი.

პოემაში ერთ მთავარ მოქმედ პირად იხსენიება ელიზბარ ერისთავისშვილი, რომელსაც ქვრივობის შემდეგ დარჩა ძუძუთა ვაჟი შალვა. ელიზბარ დანიშნულია ერთს ლამაზ ქვრივ ქალზე – ელისაბედზედ. ამასვე გაარშიყებია ლაშა-გიორგი. ამ მიზეზით მოსვლიათ ლაპარაკი – და შემდეგ შფოთიც – ლაშას და ელიზბარს; ამ შფოთში ელიზბარი შეაჯახებს ხეზედ ლაშას და ბატონიშვილს გამოეთხრება მარჯვენა თვალი. ელიზბარს დააპატიმრებენ საპყრობილეში, სადაც იგი გარდაიცვლება. ლაშას მიეცემა ელისაბედთან ვაჟიშვილი დავითი. მცირეწლოვანი შალვა წაუყვანია თავის ძიძას ახალციხეს და იქ გამოუზრდია თავის შვილს ივანესთან, რომელიც მუდმივ შალვას ახლავს.

ელიზბარის და ლაშას შფოთი მომხდარა გიორგის ბატონის-შვილობაში.

რუსუდან დედოფალი, მანამ ჯვარს დაინერდა ტუგროვ ორტილის შვილზე, ჰყოლია ქალი თამარ და მიუბარებია რაჭაში,

იმ აზრით რომ შახმა არა მთხოვოსო. ჩვიდმეტი წლის შემდეგ თამარს დაიბარებს დედა. ქალი მოჰყავთ ვაჟურად ჩაცმული. გზაზე შაჰხვდება შალვა – ელიზბარის შვილი – და იგი და თამარ შეიყვარებენ ერთმანეთს და დაინიშნებიან.

შალვა წავა ერთის წლობით გილანს თავის ნათლია, ზაქარია სპასალართან და გამარჯვებული დაბრუნდება თბილისში, მეფესთან გამოგზავნილი სპასალარისაგან გილარის გასაღებით, დროშით და ფეშქაშებით, შალვას აჯილდოებენ; შალვას შესტრფიან: თამარ და უმეტესად მისი დედა რუსუდანი.

შალვა თხოულობს თამარს, მაგრამ რუსუდან მრისხანების, არც შალვას ვედრებას, არც თამარის ცრემლებს არა აქვთ გასავალი და თამარს ათხოვებს სტამბოლის სულთან ყიასოდინზე, მაგრამ თამარ მაინც გულგრილია ამ მეფის შვილზე როგორც გრძნობით, ისე შალვასთან მიცემული აღთქმის მიზეზითაც.

შალვა ტყვეთ ჩაუვარდება ჯალალედინს ომში, საცა ჩააქვებენ მის ძიძიშვილს ივანესაც. ჯალალედინი უსამართლოდ მოიპყრობა შალვას, მაგრამ თვითონაც, ჩინგისას შვილის თულისაგან, გადავარდება უდაბურ ტყეში და შეიქნება მსხვერპლი სიხარბისა და უმეცრებისა: მოკვდება მწყემსის ჯაფარას ხელით.

რუსუდანს გაუყოლებია თამარისათვის თავის ძმისწული დავითი და შემდეგ განგებ, სიცრუით, შეუნამებია თავის ქალისა და დავითისათვის მრუშება, რომ ყიასდინს მოაკვლევინოს იგი და ამ გზით საქართველოს ტახტი დაუმკვიდროს თავის შვილს.

თამარ და დავით, რუსუდანის ნაცილისაგან, ბევრს ტანჯვას გამოივლიან. ბოლოს, რუსუდანს გაუმჟღავნდება სიცრუე, ყიასდინ მოინანიებს დანაშაულს თამართან და დავითთან და ამ ყმანვილს დიდის პატივით და საჩუქრებით გამოისტუმრებს თავის სამშობლოში.

საგანი ამ პოემისა მე ავიღე ქართლის ცხოვრებიდან და მქონდა სახეში რჩეულოვის რომანი: „თამარ ბატონიშვილი“. ამ წყაროებს მასალისას ბევრით არ გადაუხვევს პოემა. განსხვავება იმაშია მხოლოდ: 1) შალვასაგან გამიჯნურება თამარისა, რომელიც ქართლის ცხოვრებაში არ არის მოხსენებული; 2) ივანე, შალვას ძიძიშვილათ არის ნახსენები პოემაში და ქართ-

ლის ცხოვრებაში კი – ძმათ; 3) იქვეა მოხსენებული რომ ლაშას ქცევა გაჰკიცხესო და დავით ისევ მამას დაუბრუნესო და პოემაში კი, როგორც რჩეულოვის რომანში, — ელისაბედი ქვრივით არის გამოყვანილი და 4) ელიზბარზე და მის ჩადენილს შფოთზედ არა არის მოხსენიებული ქართლის ცხოვრებაში იქ ყრუთ არის ნათქვამი: ლაშას სილოდაში თვალი გამოეთხარაო.

ქალაქის და ქართლის აოხრება ჯალალედინისაგან, ყველა ნამდვილი ფაქტებია, როგორაც – ჩინგისყაენის შემოსვლა რაოდენჯერმე საქართველოს გასანადგურებლად.

ყოველ შემთხვევაში რომანს და პოემას ბევრი მოეტყვებათ.“

## შენიშვნები:

1. მიხეილ თუმანიშვილმა დაამთავრა 1936 წელს (ბარათაშვილმა – 1835 წ.). გრიგოლ რჩეულიშვილი გიმნაზიელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაა ჩაბმული (მონაწილეობა არ მიუღია გიმნაზიაში გამოცემული კრებულების შედგენა-გამოცემაში). ბარათაშვილის გიმნაზიელ მეგობართა შორის არც გვიხსენებია.

2. 1. კკკვ – ივანე აბაშიძის ას. 22 წლის ქვრივი, ერეკლეს შვილობილი, ანასტასიას (ერეკლეს ასულის) მეგობარი. ივანეს ერეკლე უხსნია ოსმალის ომში (მეფეს გადაეფარა და თვითონ მოკვდა). ივანეს მეუღლეც ერთ წელიწადში გაათავდა. მაშინ 2 წლის კეკე ერეკლემ ძიძითურთ სასახლეში გადმოაყვანინა. ერეკლეს მიერ არჩეული პირველი ქმარი – გარსევანდ ერევნის ომში დაეცა. ახლა ერეკლე მის მეორედ გათხოვებაზე ფიქრობს.

2. ზაზა თარხნიშვილი – ქართლელი, თავმომწონე, ამპარტავეანი, პატივმოყვარე (არის სოფ. ნოსტედან); მეფის კარზე მსახურობს და კიდევ ახალ კარიერაზე ოცნებობს. ამაზე ხელი უნდა აიღოს და გადასახლდეს ნოსტეში. ზაზა ყოყმანობს. (შემდეგ უარს ამბობს).

3. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი – კახელი, შინაური კაცი (უყვარს ბუნება, ლექსები, უყვარს ბუნების წიაღში განმარტოებით ყოფნა.) კარიერა აღარ იზიდავს, მაგრამ კეკეს „მოთხოვნით“ უნდა წავიდეს განჯაში მდივანბეგად. ეს კი თანახმაა გაიღოს ეს „მსხვერპლი“.

4. ერეკლემ დაასკვნა: ზაზას „მე უფრო ვუყვარვარ კეკეზედ, ამიტომ, რომ არა სურს დატყევა ჩემის სამსახურისა. ხოლო შენ (ქაიხოსროს ეუბნება – მეფე) კეკესი უფრო გეხატობა, ვიდრე ჩემი, ამიტომ, რომ თანახმა ხდები ემსახურო ჩემს კარს წინ, მხოლოდ კეკეს სურვილით“ (გვ. 47). ზაზა იქნება კარგი მდივანბეგი და ეშიკაბაში ერეკლესი, ხოლო ქაიხოსრო – კარგი მეუღლე კეკესი. ამიტომ ზაზას აძლევს თანამდებობას და ისტუმრებს ერევანში, ხოლო კეკეს ნიშნავს ქაიხოსროზე.

3. მეორეგან წერია – 73 წლისო თუ – 63 (გვ. 40) (არცერთი არაა სწორი).

4. ერთგან ერეკლე ამბობს, მეც მყავს 6 ქალიო. იგულისხმება: თამარი, ელენე, მარიაში (დავით ციციშვილის მეუღლე), ქეთევან (იოანე მუხრანბატონის მეუღლე), ანასტასია („ქერივის ლიმონებში“ დასახელებული) და თეკლა.

5. იმდენად იყო გაბრაზებული, რომ სამარეშიც არ მოუსურვებია ქმრის გვერდით წოლა და ანდერძი დაუტოვებია – არ დაემარხათ ლევანთან, არამედ დაემარხათ მის მიერ აშენებულ დედათა მონასტერში (რაც შეუსრულეს კიდევ).

6. ისტორიკოსების მიხედვით: ელიმირზა, ქაიხოსრო და დავითი, გრიგოლ რჩეულიშვილის რომანში კი – ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო.

7. გიორგი X-ის შვილებია აგრეთვე დავითი და უმშვენიერესი გულჩარა, რომლებიც გიორგიმ ხონთქარს მისცა მძევლებად, რათა 1600 წელს ფარცხისში დატყვევებული მამა დაეხსნა (მაგრამ თურქებმა დიდძალი ქრთამიც და მძევლებიც დაიტოვეს და სვიმონ I მაინც არ გაათავისუფლეს). სვიმონ I თურქულ ციხეში გარდაიცვალა 1603 წ. გორელმა ვაჭარმა – დიაკვნიშვილმა — სვიმონის ძელები წამოიღო და დაკრძალეს მცხეთას მამის — სახელოვანი ლუარსაბ I-ის გვერდით).

8.

1. ანუკა ბატონიშვილი — ოთართან ერთი წლის ჯვარდანერილი იყო, რომ ქმარი სპარსეთში გააგზავნეს (ოთართან ჰყავს ვაჟი – ერასტი). უდაბნოელთანაც ეყოლა ვაჟი. ქალი სამი წლის შემდეგ მიხვდა, რომ უდაბნოელი იყო უგრძობი კაცი... ნანობს თავის საქციელს: სინდისი ტანჯავს (უდაბნოელთან აქვს ყვედრება, მუქარა).

2. უდაბნოელი – დედამ სიყრმით შეაყენა ბერად უდაბნოში, მაგრამ იქიდან გამოიპარა და დედისავე თხოვნით ოთარმა შეიკვდლა. შემდეგ მოურავად დანიშნა. სპარსეთში წასვლის წინ მას ჩააბარა სახლ-კარიც. ამასთანაც ანუკას ჰყავს შვილი (ვაჟი), რომელიც იმჟამად 1 წლისაც არ არის. ალექსანდრე II.

ამასთან იზრდება ოთარისა და ანუკას შვილი ერასტი (მეფე მას „შერცხენილ დედასთან“ აღარ აგზავნის).

3. ტიტამო – 15 წლის ყმაწვილი, ანუკას მსახური. გაგიჟებით უყვარს ანუკა (ქალი ბევრად უფროსი, რომელიც მას დედად შეეფერება). ამ სიყვარულს არც უმაღლავს ანუკას (გადმოცემულია ტიტიკოს განცდები და „გულის ტანჯვა!..

(ანუკა: ხომ იცი ქმარ-შვილიანი ქალი ვარ. სხვისი ცოლი ვარ.

ტიტამო: ახლა მოგაგონდა, რომ სხვისი ცოლი ხარ, უდაბნოელთან არ გაბრკოლებდა ეგ წოდება?).

4. მნდო – გაქრისტიანებული ლეკი (ანუკას დედას მოყოლილი), ანუკას ერთგული მსახური. ანუკამ ინდოს ჩააბარა ტიტიკო და დაავალა მისი წაყვანა მშობლებთან ქართლში, თანაც საჩუქრები გაატანა ტიტიკოს დედ-მამასთან. მაგრამ ტიტიკო, ცხადია, არ მიდის და ისევ ანუკას ოთახში გაჩნდება.

5. რევოლუციონერად – ამან შეატყობინა ანუკას, რომ ალექსანდრემ ყველაფერი იცის, ქმარს სპარსეთიდან იბარებს და აპირებს ანუკას დასჯას. რევოლუციონერად ურჩია მიენერა წერილი და თავი შეეფარებინა ძმისწულ ნესტან-დარეჯანთან (რომელიც ცოლად ჰყავდა მანუჩარ დადიანს). ანუკამაც დაუჯერა და დანერა წერილი.

6. მარტვილ – ანუკას დობილი (წლოვანებითაც მისი ტოლი). სადადიანოში წასვლა თვითონ ანუკამ გადაიფიქრა, მაგრამ პატარა ბავშვი და წერილი ვაატანა მარიკოს. ბავშვი ჯერ თავის სახლში მიიყვანა. სოსიკამ ეს რომ ნახა, ეჭვები აღედგა.

7. სოსიკა – მარიკოს ქმარი, ოთარ ჩოლოყაშვილის ყმა, რომელიც თან გაჰყვა ბატონს თეირანში. იქიდან ოთართან ერთად ბრუნდება. სოსიკა და მარიკო ასრულებენ ანუკას დავალებას (სოსიკას ჯერ ეჭვები აღედგა, მაგრამ შემდეგ მარიკოს წერილი რომ წაართვა და წაიკითხა, ყველაფერი გაირკვა).

8. მარტირუზა – სოსიკას ამხანაგი. ისიც თეირანში იყო და იქიდან დაბრუნდა. ამან თავის „საცოლისაგან“ (ალვისახარა) გაიგო, რომ ხვალ-ზეგ ანუკა აპირებდა აღსარების განდობას ზაქარია დეკანოზთან. მარტირუზამ ზაქარია მოტყუებით „მოიტაცა“. დეკანოზს თვალები ხელსახოცით აუკრა, ხოლო ოლარი და ანაფორა წაართვეს (მარტირუზამ და მისმა ორმა ამხანაგმა). ანაფორა და ოლარი მარტირუზამ ოთარს მიაართვა, ხოლო დანარჩენები დეკანოზს დაუდგნენ დარაჯად (გომში რომ დაამწყვდიეს). დიაკონის როლს თამაშობს მარტირუზა. ანუკა ცოდვებს ინანიებს... დასასრულ „მოძღვარმა“ გაიძრო ანაფორა და მოიგლიჯა ხელსახოცი (რომლითაც ახვეული ჰქონდა თავ-პირი)... „მესამე დღეს იმავე ეკლესიამ მიიღო დიდის ყოფით გვაში საბრალო ანუკასი, რომლის უეცარი სიკვდილი მიანერეს სიღამბლესა“.

9. განსაკუთრებით ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ლიტერატურაში (სიუჟეტი ძირითადად ადიულტერზე მოდის...).

10. „ვისრამიანსა“ და სხვა ანალოგიურ თხზულებებში უფრო უარესი ამბებია, მაგრამ იქ მოქმედება საქართველოში კი არ ხდება, არამედ მის გარეთ. თანაც მოქმედი პირნი არაქართველები არიან. და ამ მხრივ არისტოკრატიის თავმოყვარეობა არ შელახულა. აქ კი მოქმედება საქართველოში ხდება, მოქმედი პირები ქართველები არიან (მსგავსი ნაბიჯი მწერალმა ნათარგმნი თხზულებით გადადგა, როდესაც 1853 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა „მასკარადის შეცთომილება“).

11. „კახეთის მეზუკე“ არა გახსნილი. „ბარბარე ჯორჯაძის ფსევდ. ხომ არაა?“ – კითხულობს სოლომონ ხუციშვილი. მაშინ გამოდის, რომ ერთსა და იმავე ნაწარმოებზე მას ორი წერილი დაუბეჭდავს სხვადასხვა ფსევდონიმით...

12. შემდეგ და შემდეგ „ანუკა ბატონიშვილისადმი“ დამოკიდებულება შეიცვალა. ის გახდა ქართველი მკითხველის საყვარელი მოთხრობა. დავით მესხმა დრამად გადააკეთა. ამ პიესას საბუნებისმეტყველოდ ხშირად ირჩევდნენ ლადო მესხიშვილი და ბაბო ავალიშვილი („დროება“, 1885 წ. №10, 23. შპრ. ჯუმბერ ჭუმბურიძის „ნარკვევები...“, გვ. 141).



## რეალიზმი: გიორგი ერისთავი

40-50-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში ყალიბდება რეალიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, მიმართულება.

რეალიზმი არის სინამდვილის ობიექტური ასახვა. რეალიზმი ისეთი მხატვრული მეთოდია, რომელიც მიზნად ისახავს სინამდვილის ასახვას (ტერმინი რეალის ლათინურია და ნიშნავს „ნამდვილს“. რეალიტს — „სინამდვილეს“). განსხვავებით რომანტიზმისაგან, რომელიც ოცნებით შექმნილ სამყაროს, სასურველს (წარსულშია ის თუ მომავალში) გამოხატავს, რეალისტური მწერლობა შემოქმედებისათვის მასალას იღებს თანამედროვე სინამდვილიდან. რეალისტები მაშინაც კი, როცა წარსულს გვიხატავენ, მას უკავშირებენ თანამედროვეობას (რომანტიკოსთა მზერა კი მიპყრობილია ან წარსულისკენ, ან მომავლისაკენ. ყოველ შემთხვევაში ანმყო არ აინტერესებთ, მისთვის ზურგი შეუქცევიათ, რაკი არ მოსწონთ). რომანტიკოსი ახდენს წარსულის იდეალიზაციას (მაგ. გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები)... რეალისტი კი გვიჩვენებს ისე, როგორც იყო, ის ხედავს მედლის მეორე მხარესაც (მაგ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი)... რეალისტი მწერალი მიისწრაფის სინამდვილის შეცნობისაკენ, რეალისტების მიერ წინა პლანზეა წარმონეული ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებითი ფუნქცია. თუ რომანტიკოსს მეტწილად საკუთარი განცდები აინტერესებს, რეალისტს — ობიექტური ვითარება.

როცა რეალიზმზე ვსაუბრობთ, აუცილებელი იქნება გავარჩიოთ ორი მხარე ამ ტერმინის გაგებაში:

ერთი – რეალიზმი, როგორც სინამდვილის ასახვის ხერხი და მეორე – რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება.



ბა. რეალიზმი პირველი გაგებით (ე.ი. რეალიზმი, როგორც სინამდვილის ასახვის ხერხი) ლიტერატურაში არსებობდა ყოველთვის, უძველესი დროიდან. ძველი და საშუალო ეპოქების ლიტერატურაშიც არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც რეალისტურად აგვისახავენ სინამდვილეს („ილიადა“, „ოდისეა“; ჩვენი ჰაგიოგრაფია, არჩილის თხზულებანი, შექსპირის ტრაგედიები და მრავალი სხვა). მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი, არ არსებობდა, მწერლები მაინც თავიანთი ინტუიციისა და ტალანტის წყალობით ახერხებდნენ სინამდვილის რეალისტურად ასახვას. ზოგიერთი მკვლევარი ასეთ რეალიზმს უწოდებს სტიქიურს.

მაგრამ რეალიზმი მეორეგვარი გაგებით (ე.ი. რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, მეთოდი) ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში. მე-19 საუკუნემდე კი რეალიზმი, როგორც თეორიულად გამომუშავებული მხატვრული მეთოდი, არ არსებობდა.

რა არის რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მეთოდის, ძირითადი ნიშანი? რეალიზმის ძირითადი თვისება ისაა, რომ გვიხატავს ცხოვრების ისეთ მოვლენებს, რომლებიც უკვე მომნიფდნენ და გამოაშკარავდნენ. რეალიზმი ცხოვრების მოვლენებიდან ყურადღებას აქცევს, არა კერძოს, შემთხვევითს, არამედ უფრო ზოგადი მნიშვნელობისას, ტიპურს.

ტიპურობა არის რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. რეალისტები ასახავენ რეალურ საზოგადოებრივ ტიპებს ტიპურ გარემოში. ტიპური სრულიადაც არ ნიშნავს, რაც ყველაზე უფრო გავრცელებულია, ყველაზე ჭარბია რიცხოვნობით. შეიძლება ესა თუ ის სახე ან მოვლენა ძალიან გავრცელებული იყოს და ხშირად გვხვდებოდეს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც არ იყოს ტიპური. მწერალმა უნდა გაითვალისწინოს სინამდვილე არა მარტოდენ დღევანდელი, არამედ მომავლის თვალსაზრისითაც. უნდა ასახოს არამარტო დღევანდელი დღე, არამედ მომავლის ტენდენციაც. შეიძლება ამა თუ იმ მომენტში ესა თუ ის მოვლენა ნაკლებ გავრცელებული იყოს, მაგრამ თუ ის მომავალში განვითარდება, თუ ის მზარდია – იქნება ტიპური.

ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის განვითარება იწყება 40-50-იან წლებში. აქ, ცხადია, იგულისხმება რეალიზმი, როგორც მეთოდი: რეალიზმის ელემენტები (ხშირად ძალუმადაც) თვალნათლივია ქართველ რომანტიკოსებთან (გვქონდა ამაზე საუბარი), მაგრამ რეალიზმი არ ყოფილა რომანტიკოსთა სტილისა და მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი. მხოლოდ 40-50-იან წლებში იწყება განვითარება რეალიზმისა, როგორც ლიტერატურული მიმართულებისა.

რეალიზმის ადრინდელ წარმომადგენლებად, მის დამწყებად გვევლინებიან: გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ლავრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე, რაფიელ ერისთავი. ქართულმა რეალიზმმა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია 60-იან წლებში – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლისა და სხვათა შემოქმედებაში. სამოციანელებმა ამავე დროს მოგვცეს რეალიზმის თეორიის ღრმა და ყოველმხრივი დასაბუთება.

ქართული რეალიზმი ქართული რომანტიზმიდან ამოიზარდა.

ქართული ადრინდელი რეალიზმის პირველი დიდი წარმომადგენელი არის გიორგი ერისთავი.

თუ რომანტიკოსთა მხერა მეტწილად წარსულისაკენ ან მომავლისაკენაა მოპყრობილი, რეალისტებისა — ანმყო სინამდვილისადმი... 40-50-იანი წლების მწერლებმა გვიჩვენეს ის, რაც მაშინ ხდებოდა — ძველი საზოგადოებრივი ფორმაციის რღვევა და ახლის ჩასახვა — განვითარება.

გიორგი ერისთავი იყო ქსნის ერისთავთა შთამომავალი. ქსნის ერისთავები იყვნენ სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტები — ელიზბარ და შალვა ერისთავები, რომლებიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ე.ი. ეროვნულ გმირებად გამოაცხადა (ისინი არიან გიორგი ერისთავის სახელოვანი წინაპრები. მათ ღვანლსა და გმირობაზე გიორგი ერისთავმა პოემა დაწერა). ერისთავთა რეზიდენცია მოთავსებული იყო სოფელ ახალგორში. გიორგი ერისთავის წინაპრები ახალგორიდან სოფელ ოძისში გადმოსახლებულან.

გიორგი ერისთავის მამაა დავით ერისთავი (გარდაიცვალა 1830 წელს, ხოლერით).

დედა — მარიამი, ქობულაშვილის ასული, თავის დროისთვის განათლებული ქალი ყოფილა (გარდაიცვალა 1848 წ. 62 წლის ასაკში.)

დავით ერისთავსა და მარიამ ქობულაშვილს სამი შვილი ჰყავდათ (სამივე ვაჟი): როსტომი, გიორგი და ივანე.

[როსტომი დაიბადა 1011 წელს. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, იცოდა რამდენიმე ენა (რუსული, ფრანგული), ივანე მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას (1852 წ. ძმამ „ცისკარში“ დაუბეჭდა ლექსი „იამბიკო“, ძმასთან — გიორგისთან — ერთად თარგმნა ალექსანდრე ბატუყევი-მარლინსკის „ამალათ-ბეგი“ და სხვა. ამ ძმისადმი ლექსებიც აქვს მიძღვნილი („ჩემს ძმას ივანეს“. ბოლოსტოკი — 1837 წ.)

გიორგი ერისთავი დაიბადა 1813 წელს, ოძისში. ოძისი — მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, დუშეთიდან 18 კმ-ზეა. ოძისში არის გიორგი და დავით ერისთავების (მამა-შვილის) სახლ-მუზეუმი (სოფელი ოძისი არის ხაშურის რაიონშიცაა).

8 წლამდე გიორგი იზრდებოდა თავის სოფელში დედის ხელმძღვანელობით. 1821 წელს მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მაგრამ არ დაუმთავრებია, 1825 წელს გამოიყვანეს და გაგზავნეს მოსკოვში მამის ბიძასთან (მიტროპოლიტ ვარლამთან). გიორგისთან ერთად მოსკოვში გაგზავნეს აგრეთვე გიორგის მამის ბიძაშვილი ესტატე ერისთავი (მანანა ორბელიანის ძმა). ბიძამ გიორგი და ესტატე მიაბარა ერთ კერძო პანსიონში. მაგრამ მოსკოვში გიორგი დიდხანს არ დარჩენილა (სულ რაღაც ნახევარი წელი). ესტატემ ვერ აიტანა ჩრდილოეთის ჰაერი და ავად გახდა. ექიმების რჩევით იგი საქართველოში დაბრუნდა. დაშინებულმა ვარლამმა მასთან ერთად გიორგიც გამოაგზავნა. 1826 წელს გიორგი ერისთავი უკვე თბილისშია, მაგრამ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლას აღარ აგრძელებს. ერთხანს ისვენებს, ხოლო მომდევნო, 1827 წელს იწყებს სამსახურს.

(შედის სამხედრო გუბერნატორ ნიკოლოზ სიპიანგინთან საგანგებო დავალებათა მოხელედ).<sup>1</sup>

გიორგი ერისთავმა მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულებაში ჩააბა ელიზბარ ერისთავმა. მომავალი დრამატურგი აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულების მომზადებაში: ასე მაგ. გიორგი ერისთავს ფილადელფოს კიკნაძისაგან დავალებული ჰქონდა შეთქმულთა შორის საიდუმლო ანბანის გავრცელება (ეს ანბანი ფილადელფოს კიკნაძემ შექმნა). სხვათაშორის, ჩვენამდე მოღწეულია ამ ანბანით დაწერილი გიორგი ერისთავის რამდენიმე წერილი, რომლებიც მას ფილადელფოს კიკნაძისათვის გაუგზავნია. წესდებით გიორგი ერისთავმა 1832 წლის შეთქმულებაში მრავალი ახალი ძალა ჩააბა [კიდევ ერთი დეტალი: როდესაც გრიგოლ ორბელიანმა „ნავალიკოს აღსარება“ გადმოაკეთა, გიორგი ერისთავს დაავალა მისი დასათაურება. გიორგიმ მას უწოდა „გივი ამილახვრის აღსარება“. ეს ლექსი კი შეთქმულთა შორის ვრცელდებოდა, როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაცია.]

ესა და სხვა მსგავსი მომენტები ადასტურებს, რომ გიორგი ერისთავი იყო 1832 წლის შეთქმულების საკმაოდ აქტიური წევრი.

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, როგორც მისი აქტიური წევრი, გიორგი ერისთავიც შესაფერისად დასაჯეს. ჩარიცხეს დამნაშავეთა მე-4 კატეგორიაში (უფრო მეტი დანაშაული მიუძღოდა, მაგრამ მხედველობაში მიიღეს ის, რომ სრულიად ახალგაზრდა იყო (18-19 წლისა) და თანაც გულწრფელად აღიარა ყველაფერი). მისი სამხედრო ნაწილი ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს და ამის გამო გიორგისაც პოლონეთისა და ლიტვის სხვადასხვა ადგილას უხდებოდა ყოფნა: ვილნოში, ბელოსტოკში, კომენოში, რიგაში, ვარშავაში და სხვაგან. პოლონეთში კარგად შეისწავლა პოლონური ენა, გაეცნო პოლონურ ლიტერატურას, თარგმნა დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის ლექსები (მიცკევიჩის პირველი ქართველი მთარგმნელია სოლომონ რაზმაძე, 1831 წელს თარგმნა „ფარისი“).

საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1850-54 წლებში) ქართულიდან პოლონურად პროზად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“

(თბილისში მცხოვრებ პოლონელ ინჟინრ კაზიმირ ლაფჩინსკისთან ერთად). ლაფჩინსკიმ ეს თარგმანი დაბეჭდა კიდეც 1863 წელს ერთ-ერთ პოლონურ ჟურნალში (ლაფჩინსკი თბილისში ცხოვრობდა 1847-56 წლებში, შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა).

ამჟამად გვაქვს სრულყოფილი პოეტური თარგმანები:

იგორ სიკირიციკისა (მან ჯერ კიდეც 1961 წ. დაბეჭდა მხოლოდ 30 თავი. ეს გამოცემა გამოქვეყნდა ქ.კრაკოვში და ილუსტრირებულია მამუკა თავაქარაშვილის ძველიქართული მინიატურებით).

იან ბრაიციენის – ქართველოლოგი და ბასკოლოგი და პოეტი ეჟი ზაგურსკისა. დაიბეჭდა 1976 წელს.

გიორგი ერისთავი, როგორც ეს მისი ლექსებიდან და სათანადო მასალებიდან ჩანს, დაახლოებული ყოფილა ბევრ პოლონელ ოჯახთან. ამავე დროს მას ახლო მეგობრობა ჰქონდა პოლონელ და ლიტველ პატრიოტებთან.

ერთი პატარა დეტალი: პოლონეთში მყოფ გიორგი ერისთავს ბედმა არგუნა ერთი სასიხარულო შემთხვევა. ეს მოხდა ქ.ვილნოს მახლობლად, სამხედრო ბანაკში. გიორგი ერისთავი შეხვდა მისი ბედის თანაზიარს, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანს. ძალიან ამაღელვებელი იყო თურმე ეს შეხვედრა ძველ მეგობართან. გრიგოლს უთხრეს, რომ აქ სამხედრო ბანაკში ქართველი პრაპორშჩიკი იმყოფებაო. დაინტერესდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ქართველი პრაპორშჩიკი (სამშობლოს მოშორებულ, ბედისაგან გულმოკლულ პოეტს ქართველის ნახვა, ვინც უნდა ყოფლიყო, ძალიან გაეხარებოდა). ბევრი ეძება სამხედრო კარებში, ძალიან ბევრი, თითქმის მთელი დღე.

„ბევრი ვეძებე... და ბოლოს ერთი კარავი მიჩვენეს, რომელშიც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ვნახე სალამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშვრალი, წამოწოლილი იყო ლოგინზე გიორგი ერისთავი და ღრმად ეძინა.

— გიორგი!

— გრიგოლ!

გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი გადაეხვივნენ ერთმანეთს“ (იონა მეუნარგია - „ქართველი მწერლები“).

ამ შეხვედრის შემდეგ გრიგოლ ორბელიანს და გიორგი ერისთავს ერთმანეთთან კავშირი არ გაუნყვეტიათ. ამის შემდეგ ერთიმეორეს წერილებს უგზავნიან და ხვდებიან კიდევ [ერთ-ერთ წერილში გიორგი ერისთავი გრიგოლს სწერს: „თუ შეგეძლოს გამოდი, დღეს ჩემს მეგობარს ქალები ჰყავს... ქალაქიდან დაპატიჟებული აქაური ლამაზები და აბა შენ იცი. (ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ერისთავის სულ 8 წერილი გრიგოლთან, რომელთაგან 7 იქ, გადასახლებაშია დანერილი (გრიგოლი გადასახლებიდან დაბრუნდა 1837 წელს). სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანს და გიორგი ერისთავს უცდიათ ერთ ნაწილში მოხვედრილიყვნენ].

გიორგი ერისთავი სამშობლოში ბრუნდება 1838 წლის აგვისტოში, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ ერთი წლის შვეებულებით – ოჯახის გაყოფის საბაბით. ერთი წლის შემდეგ, 1839 წლის სექტემბერში გიორგი ერისთავი ისევ უკან გაემგზავრა თავის სამხედრო ნაწილში. ხოლო სამშობლოში სამუდამოდ გათავისუფლებული დაბრუნდა მხოლოდ 1842 წელს (არა უგვიანეს ივნისისა).

დაბრუნების შემდეგ სამსახურს იწყებს გორში, გორელ სამაზრო მმართველობაში. 1844 წელს მან ცოლად შეირთო გორელი მდიდარი სომეხი ვაჭრის იაგორ ალიხანოვის ასული ელისაბედი და დასახლდა სოფ. ხიდისთავში (ქალს ჰქონდა დიდი მზითვი).<sup>2</sup> 1847 წ. გიორგის და ელისაბედს შეეძინათ ორი ვაჟი – დავითი და კონსტანტინე. ბავშვები ძალიან სუსტები დაიბადნენ თურმე; კონსტანტინე მალე გარდაიცვალა, ხოლო დავითი შემდგომ ცნობილი დრამატურგი გახდა (ავტორი პიესისა „სამშობლო“).

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ერისთავი სოფლად დასახლდა და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაება, მაინც არ მოწყვეტილა თბილისს, კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას. ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და უსათუოდ ესტუმრებოდა თავის ნათესავს მანანა ორბელიანს. მანანა ორბელიანსა და მის სალონს კი მთელი თბილისის მოწინავე საზოგადოება იცნობდა. გიორგი

ერისთავიც სწორედ აქედან გახდა ამ საზოგადოებისათვის ცნობილი. 1849 წ., როგორც ვიცით, მანანა საგანგებოდ ესაუბრა ვორონცოვს გიორგი ერისთავზე. ამის შემდეგ მას თბილისში იბარებენ, ვორონცოვს ხედება და აარსებს ქართულ თეატრს, ხოლო შემდეგ სცემს ჟურნალს „ცისკარი“ (თეატრის დაარსება და „ცისკრის“ გამოშვება მისი უდიდესი დამსახურებაა).

გიორგი ერისთავი თბილისში დარჩა 1854 წ. ნოემბრამდე. მას ამ ხანებში, როგორც თეატრის დირექტორს, მეტად ავიწროებდნენ (ვორონცოვიც წასული იყო თბილისიდან). თანაც მისი ოჯახური მდგომარეობა გაუარესდა: 1854 წელს გარდაეცვალა მეუღლე. გიორგი ამ დროს თბილისში იმყოფებოდა და მეუღლეს ცოცხალს ვერ ჩაუსწრო. უსარგებლია იმით, რომ გიორგი შინ არ იყო, მის სიდედრს – ხამფერას — ელისაბედის მთელი მზითვი და ნაქონი ნივთები წაუღია. ოჯახში დარჩა 7 წლის ბავშვი დავითი და შინამოსამსახურე. ცხადია, ოჯახი ასე არ ივარგებდა და ამანაც აიძულა გიორგი, თბილისი დაეტოვებინა და სოფელში დაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ გიორგი სოფლად ცხოვრობს და ოჯახს პატრონობს; მაგრამ მას მეტად გაუჭირდა ოჯახის მოვლა, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანი ბავშვის პატრონობა. 1856 წელს მეორედ იქორწინა. ცოლად შეირთო ქვრივი ქალი მართა თარხნიშვილი. პირველი ქმრიდან მას ჰყავდა აგრეთვე ვაჟი – დავითი. 1857 წელს გიორგის და მართას შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი დაარქვეს. ბავშვს დიდხანს არ უცოცხლია, სამწლინახევრისა გარდაიცვალა. 1862 წელს (ივნისში) გიორგი ერისთავი თავის ნათესავ ქალ – მარიამ ჭავჭავაძესთან ერთად მიემგზავრება ევროპაში. მოგზაურობაში დაჰყო 4 თვე და იმავე წლის სექტემბერში ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა სამშობლოში. ევროპაში მოგზაურობა აღწერა დღიურების სახით, რომელსაც ეწოდება „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“. ესაა მოგზაურობითი ჟანრის ნაწარმოები (მას ერთი წლით უსწრებს ამავე ჟანრის ილიას „მგზავრის წერილები“). სამწუხაროდ, ეს დღიური ჩვენამდე მთლიანად არაა მოღწეული (წყდება ნახევარზე, როცა პოეტი ვენეციაშია).

გარდაიცვალა გიორგი ერისთავი 1864 წ. 2 სექტემბერს, სის-  
ხლის მონამვლით, ქ. გორში, 51 წლისა. ერისთავის გარდაცვა-  
ლებასთან დაკავშირებით გორში დიდძალი ხალხი ჩავიდა, მათ  
შორის მისი ახალგაზრდობისდროინდელი მეგობარი გრიგოლ  
ორბელიანი. „ორბელიანიც მოვიდა, ორბელიანიცაო, ყვიროდა  
და ხმაურობდა ხალხი,“ — იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი.

გიორგი ერისთავი დაკრძალეს სოფელ იკორთაში. იკორთის  
მონასტერში არიან დაკრძალულნი 1659 წ. აჯანყების მეთაუ-  
რები ელიზბარ და შალვა ერისთავები. გიორგი ერისთავის სა-  
ხელს ატარებს გორის თეატრი. ოთარ ჩხეიძე ფიქრობს (და სა-  
მართლიანად), რომ გიორგი ერისთავს დიდი წვლილი უნდა მი-  
უძღოდეს გორის თეატრის დაარსებაშიც. ოძისში არის ერის-  
თავების — გიორგისა და დავითის — სახლ-მუზეუმი. ივანე კე-  
რესელიძემ „ცისკარში“ გამოაქვეყნა პატარა ნეკროლოგი  
(1864 წ. 9) მის დამაარსებელზე. იმავე ნეკროლოგში დაიბეჭდა  
გიორგი დვანაძის (ყოფილი მსახიობის) ლექსიც „გიორგი ერის-  
თავის გარდაცვალებაზე“.

გიორგი ერისთავი ცნობილია, როგორც დრამატურგი, მაგ-  
რამ იგი პოეტიც გახლდათ. ლექსების წერა მას ადრევე და-  
უწყია: როგორც მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია აღნიშნავს,  
მაშინ 12 წლისა ყოფილა. ერისთავი, როგორც პოეტი, მალე  
ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. 1832 წ. შეთქმუ-  
ლების მასალებში იგი იხსენიება, როგორც „ახალგაზრდა პოე-  
ტი“. ლექსებს მთელი სიცოცხლე წერდა და მდიდარი პოეტური  
მემკვიდრეობაც დაგვიტოვა. მიუხედავად ამისა, გიორგი ერის-  
თავი, როგორც პოეტი, დღეს ნაკლებ ცნობილია, ჩრდილშია  
დაყენებული. ზოგიერთ მკვლევარს ერისთავზე, როგორც პო-  
ეტზე, მსჯელობა უხერხულადაც კი მიაჩნია. კრიტიკოსი კიტა  
აბაშიძე აღნიშნავდა, რომ გიორგი ერისთავი „ლექსებსაც წერ-  
და, მაგრამ ეგ ლექსები სახსენებელნიც კი არ არიანო“.

იმისი მიზეზი, რომ ერისთავი, როგორც პოეტი, ჩრდილშია  
მოქცეული, არის ის, რომ იგი ამავე დროს ავტორია საყუ-  
რადლებო კომედიებისა. ერისთავმა — დრამატურგმა დავიწყე-



ბას მისცა ერისთავი – პოეტი. ეჭვს გარეშეა, რომ გიორგი ერისთავი – დრამატურგი გაცილებით მაღლა დგას გიორგი ერისთავ – პოეტზე, მაგრამ ეს გარემოება უფლებას მაინც არ იძლევა, რომ მის პოეტურ შემოქმედებას გულისხმიერად არ მოვეკიდოთ. მწერლის პოეტურმა მემკვიდრეობამ გარკვეული როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ამიტომ ვალდებულნი ვართ, გავეცნოთ გიორგი ერისთავს, როგორც პოეტსაც.

ლექსების წერა, როგორც აღვნიშნეთ, ადრევე დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია — თითქმის მთლიანად დაკარგულია. ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებთაგან ყველაზე ადრეულია პოემა „ოსური მოთხრობა“. დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია; მაგრამ დაწერილია ის 1832 წლამდე. ე.ი. ეს მოთხრობა დაუწერია 1830-31 წლებში, 17-18 წლის ყმაწვილს.

„ოსური მოთხრობა“ პირველად გამოქვეყნდა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (II, III, და IV ნომრებში; დაიბეჭდა ავტორის ხელმოწერადად), მაგრამ პოემის ბეჭდვა ამ ჟურნალში არ დამთავრებულა. მე-4 ნომერში აღნიშნულია „დასრულება შემდგომს ნომერში“; მაგრამ მე-5 ნომერში პოემის გაგრძელება აღარ ჩანს (ხოლო შემდეგ, როგორც ვიცით, ჟურნალიც დაიხურა). პოემა „ოსური მოთხრობა“ სრულად დაიბეჭდა 20 წლის შემდეგ 1853 წელს ჟურნალ „ცისკარში“ შეცვლილი სათაურით „ზარე და ყანიმათ“ (აქედან პოემა იწოდება ორმაგი სათაურით)

„მოთხრობა“ აქ ნიშნავს ამბავს.

მოქმედ პირებად ოსების გამოყვანის ტრადიციას გიორგი ერისთავმა დაუდო სათავე (ყოველ შემთხვევაში, XIX ს. ქართულ მწერლობაში). შემდეგ ეს ტრადიცია განაგრძო ცნობილმა სამოციანელმა ანტონ ფურცელაძემ („მართა“, „თოთა“ და სხვა).

ამრიგად, „ოსური მოთხრობა“ გიორგი ერისთავის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც 1832 წლამდე დაუწერია და ჩვენამდე მოღწეული. მწერლის პოზიციების, მსოფლმხედველობის

გასაგებად 1832 წლამდე ეს ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები — „ოსური მოთხრობა“ — გაგვარჩნია. „ოსური მოთხრობა“ არის ისტორიული პოემა. ასახულია მასში მე-17 საუკუნის ისტორიული ამბები. კერძოდ, 1659 წლის კახეთის ცნობილი აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ძმები ელიზბარ და შალვა ერისთავები და კახელი ბიძინა ჩოლოყაშვილი (ახმეტიდან), აგრეთვე ზაალ არაგვის ერისთავი... „ოსურ მოთხრობაშიც“ ეს ისტორიული პირები არიან დახატული. ამ აჯანყების მეთაურები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. ამ ისტორიულ თემაზეა დაწერილი: ანტონ კათალიკოსის „მარტირიკა“, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“, გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობა“, აკაკის „ბაში-აჩუკი“, ვაჟას „ბახტრიონი“, ანტონ ფურცელაძის „წყალობა“.

პოემა პატარა შესავლისა და 2 ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი (I ნაწილი და II-ის დასაწყისი). მოთხრობილია ოსი მოხუცის პირით. ბერი, რომელსაც ხიმიმა ჰქვია, სკამზე ჩამომჯდარა და ჰყვება საინტერესო ამბავს. მას ყურადღებით უსმენენ ახალგაზრდები და მათ შორის მისი ახალგაზრდა ვაჟიც — ყანიმათ: კახეთს უმოწყალოდ იკლებს შაჰ-აბასის ჯარი [შაჰ-აბას I მოკლეს 1629 წ. ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი შაჰ-სეფი (1629-42 წ.), შემდეგ მისი ძე შაჰ-აბაზ II. (1642-1666 წ.)]. ხალხს მეტად მძიმე განსაცდელი დაუდგა, იგი მოელოდა მხსნელ გამირს და აი, გამოჩნდა კიდევც კახეთის მთავარი ბიძინა ჩოლოყაშვილი (ე.ი. აჯანყების იდეა პოემაში ეკუთვნის ბიძინას). ბიძინამ დახმარება სთხოვა ქსნის ერისთავებს — ელიზბარსა და შალვას. ისინიც მაშინვე გვერდში ამოუდგნენ. ამ პირებმა მთელი მთიულეთი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დააყენეს, შემდეგ დაესხნენ თათრებს და მუსრი გაავლეს. ძლივს, როგორც იყო, ცოცხლად გაასწრო ფეიქარ-ხანმა [„ნათელ გვირგვინით მოსჩანან კახეთის მხსნელი გამირები ელიზბარ, შალვა, ბიძინა მტარვალისაგან დატანჯულები, ტარიგად, შესაწირვად მახვილით განგმირულები“ (გრიგოლ ორბელიანი)]. [გმირები აწამეს 1662 წ. 18 სექტემბერს. ეკლესიამ მათ მოსახსენებელ დღედ დანესა 12 სექტემბერი].<sup>3</sup>

ამ ამბავმა მეტად განარისხა შაჰ-აბაზ II. შაჰ-აბაზი განჯაში მოვიდა. განჯიდან საქართველოს მეფეს წერილით აცნობა, დაუყოვნებლივ გამომიგზავნე აჯანების მეთაურებიო. საგონებელში ჩავარდა მეფე. რა ელონა? სახელდახლოდ შეკრიბა დარბაზი, დაიბარა თვითონ აჯანყების მომწყობნიც და ყველას გააცნო შაჰ-აბაზის წერილის შინაარსი. მეფე მეტად შეწუხებულია, მაგრამ თვითონ აჯანყების მეთაურები მხნედ გრძნობენ თავს – ისინი ამჟღავნებენ მზადყოფნას, თავი გასწირონ სამშობლოსათვის: აჯანყების მეთაურები მოიყვანეს განრისხებულ შაჰ-აბაზთან. შაჰ-აბაზმა პასუხი მოსთხოვა მათ „დანაშაულისათვის“.

განრისხებულმა სპარსელებმა ჯერ ერისთავებს გაადგები-ნეს თავეი, რომ ამით (ამ სურათის ნახვით) ბიძინას ნებისყოფა მაინც გაეტეხათ, მათ ეგონათ ამ სურათის მნახველი ბიძინა შე-შინდებოდა.

**ერისთავთ თავი დააყრევინეს,  
ბიძინას თვალთ ეს ამზერინეს!  
ეგონათ ამით შეშინდებოდა  
და ძმათა თვისთა განშორდებოდა!**

მაგრამ ასეთმა ხერხმაც ვერ გაჭრა, ვერ გატეხეს ბიძინას ნებისყოფა. ამის შემდეგ ბიძინაც ასო-ასო აკუნეს (რადგან მათმა განრისხებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია).

**რა ვერც ბიძინა ველარა ზიდეს,  
ჰყვეს მხნე ბიძინა განშიშვლებული  
ჰქმნეს ნანილ-ნანილ დანვლილებული.**

ამით მთავრდება პოემის I ნაწილი.

[ისტორიულად კი ისინი მოსისხლეებს გადასცეს. ელიზბარსა და შალვას ცხედრები მათმა ქვრივებმა მოგვიანებით სამშობ-ლოში ჩამოიტანეს და დაკრძალეს იკორთის მონასტერში (ბიძი-ნა კი ისე აკუნეს, რომ მისგან არაფერი დარჩა. სხვა ცნობით ის ევროპელმა კათოლიკებმა დაკრძალეს სადღაც ფარულად)].

ეს ელიზბარ და შალვა იყვნენ გიორგი ერისთავის სახელოვანი წინაპრები.

II ნაწილი ისტორიული არაა. ის უფრო ლეგენდას გვაგონებს (პოეტის ფანტაზით შექმნილს):

სპარსეთში მიმავალ გმირებს მხლებლებიც მიჰყვებოდნენ. ერთი ამათგანი იყო ვინმე ჩარაშვილი, ხოლო მეორე — ხიმამას პაპა. მაგრამ მხლებლებმა სულმოკლეობა გამოიჩინეს: რა დარწმუნდნენ, რომ ერისთავებს სპარსელები დახოცავდნენ, გზიდან გამოიპარნენ: მხლებლები — მხდალები... ეს ახალი შტრიხია მწერლობაში. წარსულის ნეგატიურ მოვლენათა მხილების საქმეში წინამორბედ მწერალთაგან მხოლოდ დავით გურამიშვილი თუ შეედრება: „შეიქმნა დიდი მტერობა, ქმნა ერთმანეთის ძვრისა, ამპარტავნობა და შური, გზებზე დასხდომა მზირისა“ „ქართველების აღმა ხნული — კახელებმა დაღმა ფარცხეს...“

მოურავ როინს (ხიმამას პაპის ძმას) გამოქცეულებისათვის უკითხავს მიზეზი უკან დაბრუნებისა და რა შეუტყვია, რომ საკუთარ ტყავს გაუფრთხილდნენ, სიმბდალე გამოიჩინეს, ორივე იქვე მოუკლავს (როგორც ძმა, ისე ჩარაშვილიც).

ამის შემდეგ ჩამოვარნილა მტრობა როინის გვარსა და ჩარაშვილის გვარს შორის, დაიწყო სისხლისღვრა. ჩარაშვილები შეითქვნენ, ერთ ღამეს როინს დაესხნენ „მძინარეს დასცეს ხანჯალი“, მოკლეს ხიმამას მამაც. თვითონ ხიმამა მაშინ პატარა იყო და გადარჩა.

შურისძიებას ორივე გვარის წარმომადგენლები ისე გაუწყვეტია, რომ ჩარაშვილთაგან გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბავშვი, ხოლო როინის გვარიდან კიდევ პატარა ბავშვი (ამბის მთხრობელი ხიმამა). ამჟამად ორივე მოხუცებულნი არიან; მოხუცი ოსი ხიმამა აფრთხილებს ყანიმათს, რომ გაუფრთხილდეს იმ ბერ ჩარაშვილს. აქ წყდება ამ მოხუცის მიერ მონაყოლი ამბავი.

[გაკიცხულია შურისძიების, სისხლის აღების ადათი (შემდეგ რაფიელ ერისთავის „ბეჩავში“)].

ამის შემდეგ თვითონ გიორგი ერისთავი აგრძელებს: როგორც კი ყანიმათმა ყოველივე ეს მოისმინა, მყისვე აღბორგდა და გაეშურა როინის სისხლის ასაღებად, ჩარა ბერის მოსაკლავ-

ვად. ყანიმათს მტკიცედ აქვს გადანყვეტილი – შური იძიოს, მოკლას ჩარაშვილი, და ამას კიდევ აღასრულებდა, მაგრამ მოხდა ასეთი რამ: ყანიმათი ჩარაშვილის ამ ძებნაში გადაეყრება ლამაზ ასულს, რომელიც ცხარე ცრემლებით ტირის, გაესაუბრება მას და ეს ასული აღმოჩნდება ბერი ჩარაშვილის ერთადერთი მემკვიდრე – ზარე. ზარეს ყანიმათი მანამდე არ უნახავს, მაგრამ გაუგია, რომ ის მისი მამის მოკვლას ცდილობს (აი, ამაზე ტირის), თანაც თავის მხრივ ყანიმათსაც შეუყვარდება იგი (თვალზე უფრო ადრე ყურით შეყვარება. – ძველ აღმოსავლური ლიტერატურაში იყო გავრცელებული). ზარეს თხოვნით, ყანიმათი ხელს აიღებს შურისძიებაზე (გრძნობამ გაიმარჯვა გონებაზე, ეს კი მასში დიდი სულიერი ტკივილებით მოხდა). ახალგაზრდა ყანიმათში გულმა გაიმარჯვა გონებაზე. ამის შემდეგ ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს პაემანზე. ერთ-ერთი ასეთი პაემანისას, როდესაც ის იყო ყანიმათი უნდა გამოთხოვებოდა სატროფოს, მოულოდნელად იჭექა თოფმა და ყანიმათი უსულოდ დაეცა. პოემაში არ ჩანს, თუ ვინაა მისი მკვლელი. მაგრამ მკითხველისთვის გასაგებია – ეს იყო ზარეს მამა (ბერი ჩარაშვილი). ზარე ჭკუიდან შეიშლება. შეშლილი ზარე ყანიმათს დასტირის: „ყანიმათ, მოდი, აი აქ გელი...“ მერე კი ზარე თავს იკლავს.

### **დილაზედ კაცნი, საბრალო ზარეს უთხრიდნენ ჭმუნვით ნიჩბით სამარეს.**

„ოსური მოთხრობა“ ისტორიული პოემაა (ისტორიულია, კერძოდ მისი პირველი ნაწილი. ხოლო მეორე ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, პოეტის ფანტაზიითაა შექმნილი). წარსულისადმი გიორგი ერისთავის დამოკიდებულება სხვანაირია, ვინემ რომანტიკოსთა. ავტორი ამ პოემაში ცდილობს ისტორიული წარსულის მომარჯვებით პასუხი გასცეს თანამედროვეობის საჭირობოროტო კითხვებს. პოეტი წარსულზე საუბრობს, მაგრამ გულისხმობს თანამედროვეობას. გიორგი ერისთავი ამ დროს (როცა ის „ოსურ მოთხრობას“ წერდა) იყო შეთქმულების აქტი-

ური წევრი, ამიტომაც, რომ პოემაში აშკარად იგრძნობა შეთქმულების იდეები. საუბრობს რა ისტორიულ გმირთა (ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის) თავადადებასა და თავგანწირვაზე სამშობლოსათვის, ავტორი ამით მიზნად ისახავს მკითხველში აღანთოს მამულის სიყვარული, შთააგონოს მას სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეა. პოემის მთელი რიგი ადგილები („ვართ მზად ქართლისთვის ჩვენ მარადის სისხლ დასალვრელად“, „მამულისათვის როცა ვკვდებით, ვართ მოხარულნი“, „შესწირეთ თავი მამულსა მსხვერპლად“...) უშუალოდ გამოხატავს შეთქმულთა განწყობილებებს. ამრიგად, პოემის ძირითადი იდეა მამულისათვის თავადადებაა (ამიტომაც დაბეჭდა თავის ყურნალში სოლომონ დოდაშვილმა).

სწორედ იმიტომ, რომ პოემაში შეთქმულების იდეებია ასახული, პოემას შეთქმულთა შორის დიდი პოპულარობა ჰქონდა. თვითონ გიორგი ერისთავი ამ პოემის ნაწყვეტებს ზეპირად უკითხავდა 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებს. (დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“ გვ. 141). გიორგი ერისთავმა წარსული დაუკავშირა თანამედროვეობას – 1659 წ. შეთქმულება-აჯანყება 1832 წ. შეთქმულება-აჯანყებას. მაშინაც შეთქმულება-აჯანყება იყო, ახლაც. მაშინაც მიზანი სპარსელთა განდევნა და საქართველოს გათავისუფლება იყო, ახლანდელის – რუსების განდევნა და საქართველოს გათავისუფლება.

(სხვათა შორის 1659 წ. შეთქმულება-აჯანყების ერთ-ერთი მეთაური აქტიური ფიგურა იყო ელიზბარ ერისთავი (შემდეგში წამებული), და 1832 წ. შეთქმულება-აჯანყების ერთ-ერთი მეთაურიც).

თუ რომანტიკოსები წარსულის იდეალიზაციას ახდენდნენ და მას უპირისპირებდნენ უფერულ ანმყოს, გიორგი ერისთავი ისტორიულ წარსულს იყენებს გარკვეული მიზნით, ეროვნულ-პატრიოტული იდეების სააგიტაციოდ. წარსულის დახატვით პასუხს აძლევს თანამედროვეობის მიერ დღის წესრიგში დასმულ აქტუალურ კითხვებს. მოკლედ: წარსულს უკავშირებს თანამედროვეობას (კერძოდ, 1832 წ. შეთქმულების ამბებს).

აქ სცილდება რეალისტი გიორგი ერისთავი რომანტიკოსებს, ამით იგი ქართველ სამოციანელთა წინამორბედი.

მეორე ნაწილში პოეტი გვიჩვენებს, რომ სამშობლოსათვის თავდადებულ გამირთა (ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის და სხვათა) გვერდით იყვნენ მხდალებიც, მოღალატეებიც. მაგ., ჩარაშვილი და როინის ძმა. მკითხველი სიმპატიით იმსჭვალება პატრიოტი გამირების მიმართ, ხოლო ზიზღით — მოღალატეებისადმი.

საინტერესოა როინის პიროვნება, ისიც დიდი პატრიოტია, ეროვნული გამირია, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს სამშობლოს ინტერესებს. ვერ იტანს სამშობლოს მოღალატეს, ასეთი ვინც უნდა იყოს, არ დაინდობს. მან ხანჯლით მოკლა სამშობლოს მოღალატე საკუთარი ძმა. როინის პიროვნების ჩვენებით ავტორი გვეუბნება, რომ თავდადებული გამირები (ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი) მარტონი არ არიან – მათი მოსპობით არ ინგრევა გამირთა საბუდარი (როინი არის ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერი გოჩას თავისებური წინაპარი).

როინის მიერ ჩარაშვილის მოკვლას მოჰყვა გვარებს შორის სისხლისღვრა და შუღლი.

ყურადღებას იქცევს სიყვარულის გამოხატვაც. გიორგი ერისთავი სიყვარულში ხედავს ძლიერ ძალას, რომელიც ყველას იმონებს და გადალახავს ყოველგვარ დამაბრკოლებელ ზღუდეს („ვინ არ ემონვის, მითხარით, ქალთ მშვენებასა?“).

სიყვარულს შეუძლია ერთმანეთთან შეარიგოს მოსისხლე გვარებიც კი. ყანიმათს მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი, როინის სისხლი აელო და მოეკლა ჩარაშვილი, მაგრამ ზარეს სიყვარულმა გადასძლია. დიდხანს ებრძოდა მასში გრძნობა და გონება, მაგრამ ბოლოს მაინც გრძნობამ გადასძლია, ზარეს დაუჯერა და ხელი აიღო შურისძიებაზე.

[სიყვარულის ძალაზე ასეთივე აზრისანი იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ რჩეულიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი და სხვანი.

ე.ი. სიყვარული ძლიერი ძალაა. ის გადალახავს ისეთ ბარიერსაც კი, როგორიცაა გვართა შორის ტრადიციული მტრობა...].

პოემაში მოცემულია შეყვარებული ქალის სახე. ასეთია ზარე, რომელიც ჯერ შეიშლება, ხოლო შემდეგ თავს მოიკლავს.

ზარე არის ქალი, რომელიც სიცოცხლეს სიყვარულის გამო ამ-  
თავრებს თვითმკვლელობით. ხუთიოდე წლის შემდეგ, 1835  
წელს ქეთევან ერისთავი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში  
„ქეთევან“) თავს იხრჩობს ქსანში. სიყვარულისაგან შეშლილი  
ქალები არიან: ლეილი (ლეილმაჯუნუნიანი“), შექსპირის ოფე-  
ლია („ჰამლეტში“) და სხვ. **ხელი სუყველა ხელია, ხელს ხე-  
ლად იცნობს მნახველი, მაგრამ სად ისე ხელი და სად სიყვა-  
რულით ნახელი!**

„ოსური მოთხრობა“ ძირითადად რეალისტური ნაწარმოე-  
ბია. თუმცა მასში ვხვდებით რომანტიკული პოეზიისათვის და-  
მახასიათებელ განწყობლებებსაც. როდესაც ის დაიწერა, ჩვენ-  
ში რომანტიზმი ბატონობდა.

„ოსური მოთხრობის“ მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვი-  
ქონიოთ გიორგი ერისთავის სხვა ნაწარმოებებზეც, რომელიც  
მას 1832 წლამდე შეუქმნია. აშკარაა, რომ მწერალი ქადაგებს  
ეროვნულ დამოუკიდებლობას და ოცნებობს სამშობლოს გა-  
თავისუფლებაზე.

1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ გიორგი ერისთავის  
ოცნებებს ფრთები შეუკვეცა: შეთქმულების მონაწილენი და  
მათ შორის ერისთავიც ჯერ დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ კი გა-  
დაასახლეს. 1833-39 დაწერილ ლექსებში პოეტი უმთავრესად  
გადმოგვცემს იმ სევდა-მწუხარებას, რომელიც გადასახლება-  
ში ყოფნის დროს განუცდია. გიორგი ერისთავის ამ პერიოდის  
ლექსები დამძიმებულია პესიმიზმით. აი, მაგალითად, „თ. სვი-  
მონ მაჩაბელს“. ეს ლექსი დაწერილია 1833 წლის 1 სექტემ-  
ბერს, მაშინ, როდესაც ავტორი ციხეში იჯდა.

ლექსში პოეტი უზომოდ წუხს იმის გამო, რომ იძულებულია,  
მოსწორდეს სამშობლოსა და თანამემამულეთ.

**მე ან სოფელი მოყვასთ მაშორებს  
და მიხშავს კლიტით მამულის კარებს,  
ველარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,  
მისთვის მიბრალე გულით ღმობილით.  
მივალ, გარნალა სული აქ მრჩების.**



(შდრ. ვახტანგ ორბელიანის „გამოსალმება“)

**მშვიდობით ჩემო გამომზრდელო,  
ჩემო მამულო,  
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი!**

ამ ლექსის ადრესატი არის 1832 წ. შეთქმულების მონაწილე თავადი სვიმონ მაჩაბელი. იგი გიორგი ერისთავთან ერთად იჯდა ციხეში („გახსოვს, როს, ძმაო, ბედისა მწარით შეგვხვდა პატიმრად ერთად სხდომანი?“), მაგრამ გამოძიების დამთავრებისთანავე გაათავისუფლეს და დატოვეს მხოლოდ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. გიორგი ერისთავი კი, გადასახლება-მისჯილი, ერთხანს ისევ ციხეში დარჩა და სწორედ ამ დროს დაწერა ეს ლექსიც.ის, როგორც ჩანს, მიიღო სვიმონ მაჩაბელმა. მან ამ ლექსის საპასუხოდ თვითონაც დაწერა ლექსი:

**ვწუხ და ვტირი, ძმაო, შენს დაშორებას,  
მაგრამ ვინ შესცვლის ზენარის ნებას?...**

შემდეგ ის ამხნევებს თავის მეგობარს, გადასახლება-მისჯილ გიორგის:

**ნუ სწუხ სასურვო ამა შემთხვევას  
ზოგნი მილიონს ხარჯვენ ამითა  
ქვეყანა მოვლონ დღისით ღამითა,  
ეგ ძაღლის ენა სადაც მიგყვება,  
დროს გაატარებ სიხარულითა.**

სვიმონ მაჩაბელს მეორე ლექსიც მიუძღვნა იმავე სათაურით — „თ. სვიმონ მაჩაბელს“ (25 აგვისტოს, 1838 წელსა, არცევს):

**ბედმან კვალად, ძმაო, ხშული განმიღო კარი,  
მოვედ, მნახე მე, მოყვასი და მეგობარი,  
მსურის მოხვევნა, გარდაკოცნა წვერის ჭალარის;  
ექვსის წლის უსმენს შენის ენის მოჭიკჭიკარის.**

გადასახლებაში მყოფ გიორგი ერისთავს კიდევ უფრო ძლიერად ეუფლება პესიმიზმი. პოეტის ოცნება თავის სამშობლოს და იქ მყოფ მეგობრებს დასტრიალებს. იგი დიდი სიყვარულით იგონებს თავის სამშობლოს მნიშვნელოვან ადგილებს და იქ გატარებულ დღეებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები „მტკვრისადმი“ და „ყაბახისადმი“, რომლებიც დაუნერია 1836 წ. პირველი ლექსი დაიბეჭდა 1852 წ. „ცისკრის“ პირველ ნომერში, ხოლო მეორე – გ. ერისთავის თხზულებათა 1867 წ. გამოცემაში). ეს ლექსები წარმოადგენენ მოგონებათა რომანტიკული გადმოცემის საუკეთესო ნიმუშებს. მტკვარი პოეტისათვის სამშობლოსა და მხიარული ახალგაზრდობის სიმბოლოა:

**მტკვარო, მდინარევ ჩემის მამულის!  
სად ხარ! რომელსა ხშირად შეგსვამდი?**

[მტკვარს მაშინ სასმელადაც იყენებდნენ. ანკარა იყო („ნელად მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა“) — ახლა ისეა გაბინძურებული, რომ სასმელად კი არა, მოსარწყავადაც ერიდებიან. ამ მდინარით მორწყული ბოსტნეული საშიშია ჯანმრთელობისათვის. განსაკუთრებით აჭუჭყიანებს თბილისი. თბილისში 24 კმ-ზე მიედინება.]

უცხოეთში მყოფი პოეტი ასეთივე გრძნობით იგონებს თბილისის ცნობილ ადგილს ყაბახს, სადაც არაერთხელ გაუქარვებია თავისი სევდა. პოეტს წინათ არაერთხელ გაუზიარებია თავისი ხვაშიადი ყაბახისათვის და მასზე ამოუკითხავს ივერიის დიდი წარსული:

**ოდეს რაზედმე, ან რისთვისმე, რა ვჭმუნვარებდი,  
შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქარვებდი!  
ვით გრძნობის სარკე, ამაო სოფელს დაგანახვებდი,  
ვით მეგობარს, ხვაშიადს გულს – შენ გარწმუნებდი!**

**შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,  
შენზედ სწერია მოთხრობანი გამირთა დიდებულთ,**

**შენ შთამბერვდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას  
და ჩანგზედ დაკვრით დაინწყებდი მამულის მკობას.  
მითხარ, რომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლილი?  
კვალად ჭაბუკნი შენზედ ჰუნეთ ხომ ახტუნებენ?**

სამშობლოს მოშორებული, უცხოეთში მყოფი პოეტი სევდასა და ნალველს შეუპყრია. არაფერი აღარ იტაცებს და ვერაფერს ვერ იზიდავს. სულ სამშობლო აგონდება და მასზე ნუხს, მასზე ოხრავს. თუმცა უცხოეთში პოეტი გულთბილად მიიღეს და ახალი მეგობრები მას ურჩევენ მოიშოროს სევდა-ნალველი, შესვას ღვინო, შენიშნოს ქალები, რომლებიც მას სიმპათიით უცქერიან და სხვა, მაგრამ პოეტს არაფერი აღარ აღელვებს.

**სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი  
ჩემის ესრეთის აღერსითა მიღებისათვის, -  
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი  
და სიხარულად მიმანია ვიტირო მისთვის.  
სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,  
სად სიჭაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი,  
სადა მსუროდა მომენწყვიტა ტრფობის ყვაველი,  
გლახ ამ მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდულარნი.  
(„უცხო ქვეყნის კაცს“)**

გიორგი ერისთავი უცხოეთში ყოფნისას უზომო მწუხარებითაა შეპყრობილი. იყო დრო, როცა არაფერი ანუხებდა, მისი გული არ სცნობდა ჭმუნვას, მაგრამ ეს დრო დიდხანს არ გაგრძელებულა – სოფელმა არ დააცალა, შეესვა სიკტპობება ტრფობის ფიალით. როგორც სიზმარი და მოჩვენება, გაუქრა განცხრომისა და ნეტარების დრო:

**მაქვნდა დრო მცირე, გარნა ნეტარი,  
როს ბედი იყო ჩემად მლიმარი,  
როს გული ჩემი არ სცნობდა ჭმუნვათ,  
არცა ვნებათა და არცა ზრუნვათ.**

...

როს ამა სოფელს მე სიტკბოება  
მსურდა შემესვა ტრფობის ფიალით,  
ვერ ვასწარ ბაგით მაზუდ წაფება,  
ვითა განმიქრა უხილავ ძალით.  
ვით მოჩვენება გრძნეულებისა,  
ვითა ოცნება, ვითა სიზმარი,  
დრონი განცხრომის ნეტარებისა  
განმიქრენ, ვითა ღამის ღამპარი.

*(„როზალია ბიშინგის ქალს“, 1836 წ. ქ. ვოლკოვსკი“)*

გიორგი ერისთავის ხვედრი და მწუხარების მიზეზი ორი რამ იყო: სამშობლოს მოცილება და – სულიერი მეგობრის, სატრფოს მოშორება. ჯერ კიდევ ლექსში „თ. სვიმონ მაჩაბელს“ პოეტი სთხოვს თავის მეგობარს, ნახოს მისი სატრფო და შეატყობინოს, იგონებს თუ არა მას. პოეტს უცხოეთში თან მიჰქონდა სატრფოს ძლიერი სიყვარული:

შენ უწყი, რომე ვისთვის ვცხოვრობდი,  
შვენების ღმერთად აღვიარებდი,  
ვიდრემდის სული ცოცხლად მექნების,  
მუნემდის ტრფობა არა განჰქრების.  
ნუთუ შენ მისი ხილვა შემოგხვდეს  
და მჭმუნვარებით მომიგონებდეს –  
თუ ვარ ცოცხალი შემატყობინე,  
და თუ ვარ მკვდარი სულს აგრძნობინე.

და მართლაც, უცხოეთშიც არ დავინწყებია თავისი სატრფო, ლექსებში „მტკვრისადმი“ და „ყაბახისადმი“ იგი დიდი გატაცებით ღაპარაკობს თავის სატრფოზე, რომელსაც ლეილას უწოდებს (პირობითად?).

ოდეს ლეილა წარმოსდგებოდა  
მოაჯირითა, და ანუ ფანჯრით,  
შენში მყის სახე გამოსჩნდებოდა

**ერთი არს, მტკვარო ჩემი სურვილი,  
რომ შენით ვშრიტო კიდევ წყურვილი,  
კვლავ დამიხატო ლეილას ჩრდილი,  
და ადგილსა მას ვიქმნე რჩობილი!**

პოეტი იგონებს იმ დროს, როცა, ყაბახზე მოსეირნე, „თვრებოდა ლეილას მზერით“. პოეტს აღელვებს ფიქრი: „ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის ან ეძიებენ?“ მისი ოცნებაა – კვლავ იხილოს ყაბახი და თუ „მოაჯირით ლეილამაც გაუღიმა“, დაე მოკვდეს, აღარ ინანებს.

აქვს ლექსები — გადასახლებაში დაწერილი იქ გაცნობილ პირებზე.

1. „როზალია ბიშპინგის ქალს (რომელმაც მთხოვა დაუწერო ქართული ლექსი ალბომში)“ - [დაწერილია 1836 წ. 5 აპრილს ქ. ვოლკოვსკში.]

2. „როზალია ბიშპინგს“ (პასუხი მის ლექსზედ „ნახვამდის“) [10-ს ივლისს, 1838 წელსა, სოფელს გოლშვიცას, ლიტვაში].

3. „პელაგია არციმოვიჩის ქალს (14 წლის ქალს, ჟამსა სიმღერისასა)“ [7-ს ნოემბერს, 1837 წ. ქ. ბელასტოკს].

4. „თეოდოსია მირეცკას“ [15 თებ. 1838 წელსა ქ. რიგას, პოლშაში].

5. „მაიორ ანტონ მიცკევიჩს, პოეტს“ [15 მარტს, 1838 წ. ქ. ვოლკოვსკი)]

ასე რომ, გამოუნახავს იქაურებთან საერთო ენა, გიორგი ერისთავის კარგ ადამიანობაზე მეტყველებს (ისე კი ისინი მეტწილად ქალები არიან).

ბევრი აქვს სიყვარულის თემაზე, მიძღვნილი ხასიათის ლექსები, საალბომო ლექსები. პოეზიაში უფრო რომანტიკოს-სენტიმენტალისტია. აქვს ლექსები „გულს“ (1945 წ. მეჯვრისხევი), „გულისადმი“ (1853 წ.).

**საბრალო გულო, რად მღელვარებ ტრფობისა ვნებით,  
რად არ უსმენ შენსა მრჩეველს ცივსა გონებას?**

(„გულს“)

საწყალო გულო, არ ვიცი განუგეშო რით?  
(„გულისადმი“)

„თოვლი (კნიაჟნა ნინა ჭავჭავაძისას (ბრიზოედოვისას)“  
თარიღი: 1839 წ. 15 სექტემბერი.

ნახეთ, ნინას როს სპეტაკ გულს, ვით დაეცა თოვლი ქულად,  
მას ეგონა სითეთრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად,  
მაგრამ ნახა მალიად ეს თვისი შეცდომილება,  
დადნა მეტისა სირცხვილით და ცრემლად იწყო დინება.

შდრ. გრ. ორბელიანი:

საამო არს სახილველად ოდეს ვარდი ნინას ეპყრას,  
მარა ვინ ჰსცნას ვინა სუნავს ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას.

მაიკოსადმია მიძღვნილი ორი ლექსი „რეცეპტი მ.ო.“ (დათა-რიღებულთა: ქ. ტიფლისს, 15-ს მაისს, 1839 წელს . ე.ი. 15 მაისს ორი ლექსი დაუნერია, ორივე მაიკოსადმი მიძღვნილი); ოდეს ახალგაზრდა „ქალსა გული უნუხდეს“, სიცხის გარეშე სუსტდებოდეს, მაშინ მისი მკურნალი არის ეს წამალი: მოიყვანეთ ლამაზი ჭაბუკი, დაიჩოქოს მის წინაშე... და უთხრას: გეტრფი, გეტრფი, გეტრფი. თუ ამ სიტყვებზე ქალს ფერი მოეცა, მათ მყისვე გადასწერეთ ჯვარი, „თვარა სხვაგვარ წამლობით იქნება მალე მკვდარი“ (მაიკო ორბელიანისადმია მიძღვნილი).

„მ...კო ო-ს

რათა ხარ აგრე შენ ფერმიხდილი? შენთ ტურით რად  
ჰქარგეს ტურფა ღიმილი?

ვერა დაჰფარავ ჩემგან მაგ ტრფობას, ამაღლებულსა  
და ტკბილსა გრძნობას.

ვიცი ვინც გიყვარს ... რათა ჰსწითლდები!

გასტყდი, ხომ იცი ყველას მივხვდები!

შდრ.:

ნ. ბარათაშვილის წერილი 1842 წ. თარიღით:

„შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა?“ თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა... დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებითა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგი შეურჩენელნი არიან!“

1852 წელსაა დაწერილი ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის-დის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“.

ჰეი ჭაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,  
ყოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო!  
რა სოფელს შეხველ, სათნოება, ისხივ-ცისკარე,  
შენ მშობელს მამულს რად შემოსწყერ ობლად დაგვყარე?  
ნუთუ სოფლისა მღელვარება ვერ შეინწყნარე.

გადმოცემულია ნიჭიერი პოეტის და მამულიშვილის უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეული დიდი გულისტკივილი.

რა მიგვეფარე, ცას შევსცქერი, რა დღე ბნელდების,  
უყურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების!

დაახლოებით იგივე თქვა ილიამ ცოტა მოგვიანებით:

არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი.

ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი. ბარათაშვილს გიორგი ერისთავი პირადად ახლოს იცნობდა, მეგობრები იყვნენ. კომედია-პოემა „შეშლილის“ ერთ-ერთ მოქმედ პირადაა გამოყვანილი ტატო, რომელსაც ქალები „მეჭორეს“ ეძახიან. ეს იყო მეგობართან შეხუმრება (ნიკოლოზ

ბარათაშვილსაც ჰყავს ნახსენები მაიკოსადმი გაგზავნილ წერილში: „შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგინყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენ თქო, როგორ აღარ აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურ სულსა თქო“. ეს „გლუხარიჩი“ გიორგი ერისთავია).

გიორგი ერისთავს აქვს ლექსი „ტირილი ქართველთა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა ნიკოლოზ პავლეს ძისა გარდაცვალებასა ზედა“ (იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძის გარდაცვალების გამო). მარტის 2-ს, 1855 წელს; იმპერატორი გარდაიცვალა 1855 წ. 18 თებერვალს (ძვ. სტ.) შემდეგაა მისი ძე ალექსი II. სათაურშივე ჩანს, რა შინაარსის ლექსია.

**მოგვესმა ჩრდილოდ ხმა გოდებისა, რუსთა-ივერთა  
დაობლებისა**

**ვსტირით ჩვენც შენთან ვრცელო რუსეთო  
დიდსა ძლიერსა და გონიერასა, თან ახოვანსა და მშვენიერსა,  
მეფეს სვიანსა, გვირგვინიანსა, სჯულის ბუმბერაზს  
და ქრისტიანსა!**

**შენი პალატნი, დიდნი ქალაქნი, ჭმუნვარეს ცრემლით  
მდულრად ატირე,  
შენი მხნე სპანი, ერთგულნი ყმანი, რისთვისა ჰყავ  
ვალალებულნი!**

**დიდხანს ვიყავით, მეფეო, ჩვენ შენგან ბედნიერები!  
შენითა სპითა დაცულნი, ვერას გვავენებენ მტერები.  
ჰსწავლულნი, აყვავებულნი, ვაჭრობით გამდიდრებულნი,  
ახლა ვნუგეშობთ რუსეთთან, შენი ივერნი ერთგულნი,  
რომ მოგვეც მეფედ ძე შენი, შენებრივ ნიჭით შემკულნი  
კეთილი მონა ჯვარისა, ბრძოლაში შენგნით განრთილი!**

გიორგი ერისთავი იცნობდა გრიგოლ ორბელიანის სადღეგრძელოს ნიკოლოზ პირველისადმი? შეიძლება გრიგოლმა ხელნაწერი წააკითხა, შესაძლოა გიორგი ერისთავმა თავისი უფროსი მეგობრის „გავლენით“ შექმნა ეს საძაგელი ლექსი.



გრიგოლის დროს იმპერატორი ცოცხალი იყო და მისგან საქართველოს აღდგენას მოელოდა... და გიორგი ერისთავი უკვე გარდაცვლილს რისთვის აქებს, გაუგებარია.

**რაც დაგვაკლდა ქართველთა, შენთანა ნამსახურობა,  
მას ვემსახურნეთ ერთგულად, მტერთა ვაჩვენოთ გმირობა,  
შევნიროთ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება, ქონება,  
ჩვენა ვგრძნობთ, მტკიცედ ვნუგეშობთ,  
რომ ღმერთმან ესრეთ ინება.**

აქვს ნათარგმნი ლექსებიც: ადამ მიცკევიჩის „ყირიმის სონეტებიდან“ („ბაღჩისარაი“, „პილიგრიმი“, „პატოცკას საფლავზედ“, „არამხანის საფლავნი“, „აკერმანის მინდორი“ და სხვა). თარგმანები შესრულებულია უშუალოდ პოლონური ორიგინალიდან. აქვს სხვა პოეტების (ვიქტორ ჰიუგოს, შილერის, პუშკინის და სხვათა) თარგმანები.

ასე რომ, რაოდენობით ლექსები ბევრი აქვს, მაგრამ ნაწარმოებთა რაოდენობით მწერლის ღირსება არასდროს გაზომილა, მთავარია ღირებულება (არჩილმა თქვა, „თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს...“).

\*\*\*

გიორგი ერისთავი ლიტერატურის ისტორიაში უმთავრესად ცნობილია არა როგორც პოეტი, არამედ როგორც კომედიოგრაფი. მართალია, კომედიები ქართულ ენაზე მანამდეც უწერიათ, მაგრამ ისტორიამ მხოლოდ გიორგი ერისთავს დაუმკვიდრა ასეთი სახელი - „ქართული კომედიის ადამი“.

მან კომედიების წერა ადრე დაიწყო, ახალგაზრდობის წლებშივე. უკვე 20-ანი წლების მეორე ნახევარში იგი ცნობილი იყო, როგორც კომედიების მწერალი. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია:

„იმ დროს, როდესაც გრიბოედოვი ქალაქში იყო, გიორგი ერისთავი წარუდგინეს მას, როგორც კომედიის მწერალი და ამ შესანიშნავმა კაცმა განზრახვა უქო ჩვენს პოეტსო“.

გრიბოედოვი, როგორც ცნობილია, ქალაქში (ე.ი. თბილისში) იმყოფებოდა 1828 წელს. აგვისტოში დაქორწინდა. მაშასადამე, ამ დროისთვის უკვე რამდენიმე კომედიის ავტორი ყოფილა. სამწუხაროდ, იმ ახალგაზრდობისდროინდელ კომედიებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

გიორგი ერისთავი ამ დროს (1828 წელს) 15 წლისაა – ეს გადაცნეს 35 წლის გრიბოედოვს. 15 წლის ახალგაზრდას კომედიები ჰქონდა ე.ი. მთელი 12 წლის მანძილზე დაწერილი კომედიები არაა მოღწეული (გაჩხრეკის, დაპატიმრებისა და შემდეგ გადასახლებისას დაიკარგა).

გიორგი ერისთავის პირველი კომედია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის „შემლილი“. ის უფრო კომედია-პოემაა (როგორც მას ავტორი უწოდებს). დაწერილია 1839 წ. [სად დაწერა? გადასახლებაში? 1938 წ. აგვისტო – 1839 წ. სექტემბერში შვებულებით იყო ჩამოსული ოჯახის გაყოფის საბაბით].

„შემლილში“ გიორგი ერისთავი აგვიწერს 30-40 იანი წლების თბილისის ქალთა საზოგადოებას, უფრო სწორად, ქალთა საზოგადოების მეშჩანურ ნაწილს, „შემლილში“ გამოყვანილია მეშჩან ქალთა ერთი ჯგუფი: ანახანუმი და მისი რძლები: ნინო, ანახტასია, სიდონია, კეკელა. ამ ქალების მსოფლმხედველობა და ინტერესის წრე მეტად ვიწრო და შემოზღუდულია. მათთვის უცხოა საზოგადოებრივი და მაღალი იდეალები, ისინი ვიწრო ნაჭუჭში არიან ჩაკეტილნი, გატაცებულნი ვიწრო პრაქტიციზმით. მწერალი მეშჩან ქალთა ამ წრეს უპირისპირებს ახალგაზრდა ქალს ტასოს (ანახანუმის შვილს) და რუსეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდას – ბეგლარს.

ეგლარი, გარდა იმისა, რომ რუსეთში განათლებამიღებულია, არის პოეტიც, იგი მაღალი იდეალებითაა გატაცებული. ამ ახალგაზრდას უყვარს ტასო (შვილი ანახანუმისა). თავის მხრივ ტასოსაც უყვარს ბეგლარი. მეტიც, თავდაპირველად ტასოს დედასაც ანახანუმსაც და მის რძლებსაც მოსწონდათ ბეგლარი, როგორც ნასწავლი სასიძო, „უცხო საქმრო“.

მაგრამ ანახანუმს ბეგლარი მოსწონდა არა იმიტომ, რომ იგი მაღალი იდეალების მქონე და პოეტური ნიჭით დაჯილდოებუ-

ლი ახალგაზრდაა, არამედ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, ბეგლარი „არზებს“ დაუნერდა და სასამართლოში საქმეებს მოუგვარებდა. მაგრამ ყოველივე ამას გამოდგა. ანახანუმს იმედები არ გაუმართლდა: ბეგლარი არ გაეგზავნა სასამართლოში, არც „არზები“ დაუნერა. არზის ქალაღზე სულაც ლექსი დანერა.

ძველი კლასი დაცემის გზაზე დგას. ეკონომიკურად გაღარიბებულია, მორალურადაც დაკნინებული... ესაა ნაჩვენები ანახანუმისა და მისი რძლების ცხოვრების მაგალითზე. ერთ დროს მდიდრები ახლა გაღარიბებულნი არიან (ვალეები მართებთ, მამულები ეყიდებათ), უკადრის საქმეს კადრულობენ (ვალეების გადასახადზე უარს ამბობენ და სხვა). ამ დროს ეკონომიკური ჯერ კიდევ არაა ჩამოსული და არც „პრიკაზია“ (საადგილმამულო ბანკი) დაარსებული (რამაც მართლაც „ნაართვა“ მემამულეებს მამული). მაგრამ გაღარიბება უკვე ეტყობათ. ეს პროცესი დაინახა გიორგი ერისთავმა. მან ძველი კლასის გაღარიბების, ეკონომიკური დაქვეითების სურათები გვიჩვენა.

ანახანუმი არის გაღარიბების გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატის ნარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში (შემდეგ გიორგი ერისთავისავე ამირინდო ლაზნელი და ონოფრე ხარაძე, დიდებულიძენი... გიორგი ნერეთლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის ტიპები და უამრავი სხვა).

ანახანუმს ვილაც დაღალის ფული მართებს, ათი თუმანი. გადახდა რომ ვერ შეძლო, უკადრისი რამ განიზრახა. გაღანყვიტა, ეთქვა ცივი უარი, ეთქვა, არაფერიც არ მმართებსო: ამ საქმეში ბეგლარის გამოყენება სცადა, მაგრამ აქაც უმტყუნა იმედმა. ბეგლარმა თავი შორს დაიჭირა, არ იკადრა ასეთ საძრახ საქმეში გახვევა. ანახანუმი გაბრაზებულია ბეგლარზე. ანახანუმის შეხედულებას მთლიანად იზიარებენ მისი რძლებიც. რძლები უდასტურებენ ანახანუმს, რომ ბეგლარი სულაც არაა მისი შესაფერისი სასიძო. ამიტომაც ურჩევენ, ჩამოიშოროს ბეგლარი და მის მაგიერ მოძებნოს ახალი, უფრო შესაფერისი სასიძო. მაგრამ ვინ, ვინ მოძებნოს?

ურჩევენ, ქალიშვილი მიათხოვოს ბეგლარის მეგობარს ვახტანგს. ვახტანგს შუამავლად გაუგზავნიან იორამ მღვდელს, მაგრამ ვახტანგმა დიახაც არ უღალატა თავის ამხანაგს ბეგლარს და შუამავლად მისული მღვდელი ცივი უარით გამოისტუმრა. ვახტანგის უარით შეურაცხყოფილმა ანახანუმმა და მისმა რძლებმა ახლა ვახტანგის ლანძღვას მიჰყვეს ხელი და ბოლოს თვითონ ანახანუმმა გამონახა შესაფერი სასიძო (ხან-შიშესული მაიორი ვინმე ფრიდონი).

ანახანუმი და მისი რძლები ტასოს ბედ-იღბალს დამოუკიდებლად წყვეტენ და თვითონ ქალს არაფერს ეკითხებიან. მაგრამ ტასოს ისევ ბეგლარი უყვარს და უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. ძილსა თუ ცხადში სულ ბეგლარის სახე უდგას თვალწინ, მის ლექსებს კითხულობს, მასზე ოცნებობს. ასეთი ძლიერი სიყვარული სრულიად უცხოა ანახანუმისა და მისი რძლებისთვის და ისინი ერთ მშვენიერ დღეს ტასოს შეშლილად გამოაცხადებენ. ნამდვილად კი ის სულაც არაა შეშლილი (ე.ი. სათაური პირობითია, როგორც მაგ., „გველის მჭამელი“, ან „მამის მკვლელი“ ნუნუს ხომ მამა არ მოუკლავს და არც მინდისა უჭამია გველის ხორცი). ანახანუმი ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ მოარჩინოს შვილი: მოიყვანს ექიმებს. ის გასინჯავს და ზუსტ დიაგნოზს დაუსვამს – ექიმი ურჩევს დედას, შვილს შერთე ქმარი, ეს იქნება მისი წამალიო.

**მაგის წამალი სხვა არსად არი,  
იქნება მორჩეს თუ შერთოთ ქმარი.**

დაფაცურდნენ ჭირისუფლები და მეორე დღისთვის ქორწილიც მოაწყვეს. მაგრამ საქორწინო ცერემონიის დროს მოულოდნელი რამ მოხდა. ის-ის იყო სახლს ეტლი მოაყენეს, რათა საყდარში წასულიყვნენ და ჯვარი დაენერათ, ტასომ ერთ ნუთში ყველა გადაკოცნა, შემდეგ მოაჯირს შეახტა და მტკვარში გადავარდა, „შეიქნა ერთი ყვირილ-კივილი და დარჩა საქმრო პირდაღებული (დაიხურა ქუდი. უკან გაბრუნდა მარტო, როგორც მოვიდა ისე). უფრო ადრე (1832 წ.) ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქე-

თევან ერისთავს დაახრჩობინა თავი ქსანში (კიდევე უფრო ადრე ზარემ, სიყვარულის გამო შეშლილმა, თავი მოიკლა).

ამრიგად, გიორგი ერისთავის „შეშლილში“ ერთმანეთთან დაპირისპირებულია „დედები“ და „შვილები“ (ესაა ორი თაობის დაპირსპირება). ანახანუმისა და მისი რძლების სახით გიორგი ერისთავი გვიხატავს მაღალი ნოდების მემჩანურ ნაწილს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი მაღალი იდეალები და მთლიანად ვიწრო პრაქტიციზმითაა გატაცებული. ანახანუმი და მისი რძლები თავიანთი საქციელით არ ჰგვანან წინაპრებს, სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ ქალებს (ქეთევანს, მიაა წყნეთელს, თინა ნაკვისელს და სხვა). ეკონომიკურმა სილატაკემ მორალური დაქვეითებაც გამოიწვია, ისინი მემჩან ქალებად იქცნენ. ამ ქალების მთელი მოქმედება იწვევს მხოლოდ სიცილს და სიცილთან ერთად ზიზლსაც. სწორედ ესაა გიორგი ერისთავის იუმორის სიძლიერეც და სატირული ბუნებაც.

მემჩან ქალთა ამ ჯგუფს, როგორც აღვნიშნეთ, უპირისპირდებიან ბეგლარი და ტასო, რომლებიც ზნეობითა და განათლებით გაცილებით მაღლა დგანან თავიანთ დედებზე. ბეგლარსა და ტასოს აქვთ მგრძნობიარე გული და შემოქმედი გონება. მაგრამ მათ აკლიათ ერთი რამ – მტკიცე ნებისყოფა. ბეგლარსა და ტასოს არ შესწევთ უნარი თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა გაუმართონ ასეთ ჩამორჩენილობას და უვიცობას. ისინი ნაკლებად არიან პროტესტანტები. ტასოს პროტესტი არსებულის მიმართ მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ საკუთარი თავი დასაჯა, მოაჯირს შეახტა და მტკვარში გადავარდა, მაგრამ პროტესტის ასეთი გზა, ცხადია, სრულიად გაუმართლებელია და, თანაც, რაც მთავარია, ნაკლები შედეგის მომტანია. ტასოზე კიდევე უფრო სუსტი ნებისყოფისაა ბეგლარი. იგი კომედიაში გამოიყურება სრულიად უსიცოცხლო და მხოლოდ მეოცნებე ახალგაზრდად.

„შეშლილიდან“ ცალკე უნდა გამოვყოთ ორი საკითხი.

გიორგი ერისთავი ამ კომედიაში ქადაგებს თავისუფალი სიყვარულის აუცილებლობას. ქალი უნდა თხოვდებოდეს საკუთარი გულის კარნახით, ნამდვილი სიყვარულით და არა სხვათა ძალდატანებით. ავტორი კიცხავს, დასცინის დრომოჭ-

მულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც ქალის ბედ-იღბალს სხვები წყვეტდნენ. ერთ-ერთი მოქმედი პირი (კეკელა) ამბობს:

**ჩვენცა ვყოფილვართ ყმანვილ ქალები,  
ჩვენცა გვექონია კარგი თვალები,  
მაგრამ ჩვენ გულსა არა ვკითხავდით.  
გათხოვებასა მაშინა ვცნობდით,  
როცა საყდარში ქმარს ნავეყვებოდით.  
ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა,  
მისთვის ჩვენ მხოლოდ გული გვტკიოდა.**

ასე დაუპირეს გათხოვება ტასოსაც, მაგრამ ტასო, როგორც აღვნიშნეთ, წინ აღუდგა ამ მავნე ჩვეულებას. ნაწარმოებში თავისუფალი სიყვარულის იდეას ქადაგებს ტასო. იგი მხოლოდ საკუთარი გულის კარნახს მიჰყვება და სხვებსაც ამას უქადაგებს; ერთ-ერთ მეგობარ ქალს (მამას) ტასო ურჩევს:

**მაგრამ უფრთხილდი ამ გარყვნილ სოფელს,  
არ ავაჭრინო შენც შენსა მშობელს!  
არ გყდონ, ვითა ნივთი,  
ანუ ბაზრის ჩითი.**

ტასო პირდაპირ ქადაგებს, წრფელი, ჭეშმარიტი სიყვარულის გარეშე ნამდვილი ოჯახი არ შეიქმნებაო. თუ ქალს ქმარი არ ეყვარება, იგი უდროოდ დაჭკნებაო. აი, ეს არ ესმით ჩვენს მშობლებს და ფიქრობენ, რომ ჩვენც გვეყვარება ის კაცი, რომელსაც თვითონ მოიწონებენო.

გიორგი ერისთავის კომედიაში კი ტასო და ბეგლარი ვერ განაგებენ თავიანთ ბედს და ყველაფერი ტრაგედიით მთავრდება.

(სოლომონ დოდაშვილს „ელენაში“ შეძლებული მამა ომანი თავის ასულს ნებას არ აძლევს გაჰყვეს ღარიბ ახალგაზრდას ამირანს, ამას კი მოჰყვება მძიმე შედეგი; ასევე მძიმე შედეგია ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელობა“, ნუნუ ხომ ძალით გაათხოვეს; დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ და სხვ.).

ეს ერთი. მეორე: გიორგი ერისთავი „შეშლილში“ ეხება საკითხს პოეტის დანიშნულებისა და ხვედრის შესახებ. ვახტანგის მონოლოგში გამოთქმულია ის აზრი, რომ პოეტი არის სამართლიანობისთვის მებრძოლი. იგი სოფლის ჭირვარამს ხან „ტირის“ და ხან „ყვირის“. ვახტანგის ამ აზრებში მიახლოებით გამოთქმულია პოეზიის უტილიტარული გაგება.

გიორგი ერისთავის აზრით, არსებულ საზოგადოებაში პოეტს არ მოეწონებოდა ბედნიერება, ღირსეული დაფასება. პოეტი ხშირად გაუგებარია საზოგადოებისათვის. კომედიაში ამ აზრს გამოთქვამენ ბეგლარი და მისი ამხანაგი ვახტანგი. აი, ბეგლარის მონოლოგი:

**ლიტონი კაცი როგორ მიხვდება,  
რომ ჩემი გული არს დაკუნული.  
და მისგან შევექმენ ტრფობის ანბანი,  
არავის ესმის ამის საგანი!**

ბეგლარისა და ვახტანგის ეს დეკლარაციული სიტყვები მხატვრულადაც გახსნილია: თვითონ ბეგლარი – პოეტი და მალალი იდეალებით გატაცებული ახალგაზრდა გაუგებარი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის.

დასასრულ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ „შეშლილი“ რამდენადმე ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. ბეგლარი იგივე გიორგი ერისთავია. იგი დანიშნული იყო ბაბალე ორბელიანზე, მაგრამ მშობლების მიზეზით ეს ქორნილი ჩაიშალა საკუთარი თავი გამოიყვანა ბეგლარის სახით. ბაბალე ორბელიანი – ტასოს სახით, ბაბალე ორბელიანის მშობლები – ანახანუმი და მისი რძლები. 1839 წელს მშობლებმა ბაბალე მიათხოვეს ალექსანდრე საგინაშვილს (ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილს, რომელიც შემდეგ იყო ილია ჭავჭავაძის დის, ელისაბედის, ქმარი). იმავე 1839 წელს გიორგი ერისთავი წერს ლექსს, რომელიც უშუალოდ ქალისადმია მიმართული. ლექსის სათაურია „კ. ბაბალე ორბელიანს“:

## შენ ვერა მიხვდი მომღერლის გულსა და მისსა სულსა აღმაღლებულსა.

„შეშლილი“ ემსგავსება გრიბოედოვის კომედიას „ვაი ჭკუისაგან“ (ტასო – შეშლილი=ჩაცკი-შეშლილი...). არის მოსაზრება, მის გავლენას განიცდისო. ამაში არაფერია მოულოდნელი. გიორგი ერისთავი იცნობდა გრიბოედოს და მის კომედიას. კომედიის დასაწყისში (I მოქმედება და II მოქმედების ნაწილი უთარგმნია კიდეც — „უბედური ჭკუისაგან“. სათაურის უხეირო თარგმანია).

[15 წლის გიორგი ერისთავი გრიბოედოვისა და ნინოს ქორნილზედაც ყოფილა დაპატიჟებული, მაგრამ ქართული ტანსაცმლით არ შეუშვეს...].

გრიბოედოვის კომედიაში 26 მოქმედი პირია. აქედან 25 სულელია (ჩემს კომედიაში ერთ ჭკვიანზე მოდის 25 სულელი).

ეპოქა, როდესაც გიორგი ერისთავს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, — გარდამავალი ხანაა, როდესაც ერთ საზოგადოებრივ ფორმაციას, ფეოდალურ-ბატონყმურს ცვლის მეორე — ბურჟუაზიული. გიორგი ერისთავის მთელი შემოქმედება ნარმოადგენს რეალისტურ სურათს 40-50-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა. მწერლის შემოქმედებაში რეალისტური ასახვა ჰპოვა თავისი დროის ვითარებამ: მის პიესებში ერთი მხრივ ნაჩვენებია ძველი, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევა, თავადაზნაურობის დაცემა-დაქვეითება, მისი დეგრადაცია, ხოლო მეორე მხრივ — ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების პროცესები. ასეთია გიორგი ერისთავის შემოქმედების საერთო ხასიათი. ვნახოთ ეს უფრო კონკრეტულად. ძველი ფეოდალური არისტოკრატიის დეგრადაციის სურათები დაგვიხატა მწერალმა თავის კომედიებში: „შეშლილი“, „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“.

კომედია „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“ (თავდაპირველად ერქვა „პოეტი ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“) დაწერილია 1840 წელს. პირველად დაიბეჭდა 1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ (№5 და 6) და იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა.



„დავაში“ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებად გიორგი ერისთავს გამოჰყავს ამირინდო ლაზნელი და ონოფრე ხარაძე. ამირინდო და ონოფრე დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადები არიან. ამ პირებისათვის გაუგებარია ახალი ეკონომიკური პროცესი (როგორც, მაგალითად, ბეკინა სამანიშვილისთვის („სამანიშვილის დედინაცვალი“) და ეკვირინესთვის („ქამუშაძის გაჭირვებაში“) გაუგებარი იყო ახალი ამბები. ხედავენ რა, რომ მდგომარეობა თანდათან უარესდება, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელიდან არ გაუშვან მამული. პლატონ სამანიშვილს იმისი შიში ჰქონდა, რომ მამულის მონილკერძე არ გასჩენოდა და ამიტომაც ეძებს ორნაქმარევე უშვილო სადედინაცვლოს). ერისთავის კომედიაში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორ თავადს შორის ატეხილია ბოლომოუღებელი დავა უვარგისი ადგილისათვის, რომელსაც ჩალიანს ეძახიან. ამირინდო და ონოფრე ერთმანეთს მამასისხლად გადაკიდებიან, არც ამირინდო თმობს ჩალიანს და არც ონოფრე. თავისთავად ეს ადგილი (ჩალიანი), რისთვისაც ისინი დავობენ, სრულიად უმნიშვნელოა, უნაყოფო და უსარგებლო. ასე რომ, კაცმა რომ თქვას, არც ღირს ამაზე ჩხუბი და დავა, მაგრამ ამირინდო და ონოფრე იმდენად უვიცები, იმდენად ჩამორჩენილები და ავადმყოფური პატივმოყვარეობით შეპყრობილები არიან, რომ ერთმანეთის ჯიბრზე მაინც არ თმობენ ჩალიანს. მათ იმდენად ჩალიანი არ ადარდებთ, რამდენადაც ავადმყოფური პატივმოყვარეობა, მეორემ არ მაჯობოსო. ამირინდო პირდაპირ აცხადებს, რომ ურჩევნია დაიღუპოს და დაიქცეს, ოღონდ ონოფრემ არ აჯობოს.

„მამა ჩემი არ წამიწყდება მეც დავიღუპები და იმათაც დავღუპამ... ონოფრემ მაჯობოს? ბარემ ეს უღვაში დამპარსოთ!“... ასეთივე აზრისაა ონოფრეც. იგი გამწარებულად ეუბნება შვილს (მიხეილს): „წამართო, წამართო! რა ვქნა, ერთ სისხლს მაინც მოვახდენ და...“ მაგრამ ონოფრეს ადარდებს არა ჩალიანის დაკარგვა, არამედ ის, რომ ამირინდომ აჯობა. როცა გაიგებს, რომ ჩალიანს არც ამირინდოს მიაკუთვნებენ და არც ონოფრეს, არამედ „სახელმწიფოდ დასდებენო“; სიამოვნებით იტყვის: „რა მენალვლება, ... დაე დასდვან, ჩემ მოსისხლეს ხომ

არ დარჩება“ ... ჩალიანის თაობაზე სასამართლოში წონილი და იქ ჩხუბი და დავიდარაბა ამირინდოსა და ონოფრეს გაცილებით მეტი უზით, ვინემ თვითონ ეს სადავო ადგილი ღირს. უკვე მეშვიდე წელიწადია, ამირინდო და ონოფრე ჩალიანზე დავობენ და უკვე თითოეულს ხუთას თუმნამდე აქვს დახარჯული. ვინ იცის, ან იკიდევ რამდენი დაეხარჯებათ?

აი, ასეთი ჩამორჩენილი და უვიცი ადამიანები არიან ამირინდო და ონოფრე. ამირინდო იმდენად უვიცია, რომ არც კი იცის, რა არის პოეტი. ამირინდოს პოეტი ჰგონია რალაც ჩინი და მოელის, რომ ვისაც ასეთი ჩინი ექნება, მას ბევრი კანონები ეცოდინება:

„ჰა პოეტიო, ...ახალი ჩინი იქნება, მე მგონია ბევრი ზაკონები ეცოდინება, ჰა...“ მეტიც, ამირინდომ არ იცის, რა არის „ტორკა“ და „ზაპეტაია“. სარქის ბუღდანიჩ კუმუხტოვი (პერე-ვოდჩიკი სუდისა) ატყუებს ამირინდოს, რომ არზას აკლია ტორკა და ზაპეტაია, უიმისოდ კი არზა შაურად არ ღირს. აი, როგორ განუმარტავს სარქისა ტორკა და ზაპეტაიას მნიშვნელობას ამირინდოს:

„ტორკა“ და „ზაპეტაია“ არის, მნიშვნელობა, აზრთა სჯულებთა და ზაკონთა, კავშირ-მოთხრობანი, თუ ვითარ შეიტყყო საქმენი მოსამართლები და წარმოებანი უპირატეს მართება იმის საქმისა“...

ამირინდოსაც სჯერა სარქისასი და მზად არის თითო ტორკა და ზაპეტაიაში გარკვეული თანხა გადაიხადოს. ამირინდო ლაზნელის ვაჟი ბეგლარი განათლებული ადამიანია (პეტერბურგში განათლებამიღებული). იგი და ონოფრე ხარაძის ვაჟი, ოფიცერი მიხეილი პატარაობიდან ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთის მეგობრები არიან. ესენი, ნასნავლნი და ახლებურად მოაზროვნენი, არ თანაუგრძნობენ მშობლებს „ჩალიანის“ გამო დავაში.

ესეც „ბრძოლა“ მამებსა და შვილებს შორის (ყოველ შემთხვევაში ამ ბრძოლის დასაწყისი, ჩანასახი).

ონოფრე ხარაძის ასული ნინოც (მიხეილის და) ნასნავლია (ინსტიტუტშია გაზრდილი). ბეგლარსა და ნინოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მშობლები, ცხადია, ამ ქორწინების წინააღმდეგნი არიან. მიხეილი კი მომხრეა, და დაქორწინდეს ბეგლარზე. ბო-

ლოს შვილების მეცადინეობით საქმე მოგვარდება: ამირინდოს დაითანხმებენ, მისმა შვილმა შეირთოს წინო, თუ ონოფრე მას მზითვად გაატანს „ჩალიანს“. ამ პირობაზე ონოფრეც თანახმაა. ამრიგად, მოდავეთა შორის მყარდება კეთილგანწყობილება. და ყველაფერი ბედნიერად და მხიარულად მთავრდება.

(„მამათა და „შვილთა“ ბრძოლას 40-იან წლებში ჯერ კიდევ არ აქვს იდეურ-პრინციპული ხასიათი. ესაა მხოლოდ უთანხმოება ოჯახურ-შინაურულ საკითხებზე. „მამათა“ და „შვილთა“ ეს უთანხმოება საბოლოოდ მათი შერიგებით მთავრდება).

ამირინდო და ონოფრე დეგრადაციის გზაზე დამდგარი არისტოკრატები არიან. ასეთივე ტიპია „გაყრაში“ ანდუყაფარ დიდებულიძე. დიდებულიძეთა ოჯახიც გაღარიბების გზაზე დგას, ვალები აქვთ. ანდუყაფარიც ებლაუჭება ყოველივე ძველს, მას სასირცხვილოდ მიაჩნია ძველი ფეოდალური ოჯახის დაშლა, ამიტომაც კატეგორიული წინააღმდეგია გაყრისა, რასაც მისი ძმა ივანე მოითხოვს. ახალი ცხოვრების მიწოლით გამწარებული ანდუყაფარი მოსთქვამს:

**ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო,  
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!  
ახ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,  
უნდა ვიმალო მე მამითადში!  
სად ვნახამ სამასს ნამგლის ტრიალსა,  
ჰოპუნის გუგუნს, ყანის ბრიალსა!**

ანდუყაფარისა და ამირინდო-ონოფრეს ორეულია თავადი არჩილიც (კომედიასი „ძუნწი“). ანდუყაფარის მსგავსად, არჩილიც მისტირის ძველს, ფეოდალურ-რაინდულ საქართველოს, ამ შემთხვევაში მამაპაპურ ხმაღს.

**ამას რას ვხედავ? ხმალი პაპისჩემის ავთანდილისა!  
ოხ. მამავ რარიგად გმადლობთ!  
შენ გხედავ, ხმალო პაპისა ჩემის.  
ჩემგან შეჭედვა და მირთვა გშვენის!**

შენით არ იყო ავთანდილი გმირი  
ამარცხის სპანი? ვითა საყვირი  
მეორედ მოსვლის, მათ დასცეს ზარი!..

ასეთია დაცემის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი გიორგი ერისათავის შემოქმედებაში. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ერისათავის კომედიებში ქართველი თავადაზნაურობა წარმოდგენილია სამი სახით:

1. ძველი, ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის თაობა. ანა-ხანუმი და მისი რძლები („შემლილი“). ასეთებია ამირინდო და ონოფრე (დავაში“), ანდუყაფარი („გაყრაში“) და არჩილი – („ძუნწში“). ისინი ებლაუჭებიან ყოველივე ძველს და ცდილობენ პატრიარქალური ყოფა შეინარჩუნონ ახალ დროში.

2. თავქარიანი, დარდიმანი თავადაზნაურობა. ასეთებია ლომინ გოდაბრელიძე („დავაში“) და პავლე დიდებულისძე („გაყრაში“);

3. „რუსეთუმე“, მეოცნებე ახალგაზრდობა — ბეგლარი და ტასო („შემლილი“), აგრეთვე ბეგლარი და მიხეილი („დავა“) და ივანე დიდებულისძე („გაყრა“).

ლომინ გოდაბრელიძე და პავლე დიდებულისძე ქარაფშუტა, ფუქსავატი თავადები არიან. სერიოზული საფიქრალი არ გააჩნიათ; მხოლოდ იმას ცდილობენ, თავიანთი ფუქსავატური მოქმედებით ასიამოვნონ საკუთარ თავს.

ლომინ გოდაბრელიძეს ცოლების შერთვა და გაშვება პროფესიად გაუხდია. ლომინ გოდაბრელიძე იმისთვის ხარჯავს ფულს, რომ სასამართლოდან მეორე ცოლის შერთვის უფლება მიიღოს. პირველ ცოლს ლომინი ახალგაზრდობაშივე გაყრია, ამიტომ სათვალავში არ შეჰყავს, მეორე როსკიპობისთვის გაუშვია და ამიტომ არც ამას ანგარიშობს. იმიტომ, მისი აზრით, მეოთხე ცოლს კი არ ირთავს, არამედ მეორეს.

ასეთივე ფუქსავატი და უქნარაა პავლე დიდებულისძე. თუ ლომინს ქალების შერთვა და გაშვება გაუხდია პროფესიად, პავლეს პროფესიად აურჩევია ნადირობა. პავლე ქორ-მეძებრებით ისეა გატაცებული, მეტი სადარდებელი არაფერი აქვს. პავლეს ძმები იყრებიან. ოჯახურ საქმეზე ფიქრობენ და წუხან,

პავლეს ეს ყოველივე სრულიად არ ადარდებს, მხოლოდ მაჭუტაძის გამოგზავნილ ქორსა და მეძებარ ძალზე ფიქრობს. აი, საინტერესო სურათი: როდესაც ყველანი საქმიანად სხედან და განაჩენის ქალაქს კითხულობენ, ერთბაშად შემოვარდება იმერელი ბიჭი, რომელიც შეატყობინებს პავლეს, რომ ქორი გაუფრინდა.

პავლე გაყრაში სულაც არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ რა ექნა, ეშინია მაკრინესი, რომელიც გარედან ეძახის: „ყველაფერში წილი გაქვს; არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ, კაცი არა ხარ?“ ლომინ გოდაბრელიძე და პავლე დიდებულიძე კირილე მიმინაშვილის ლიტერატურული წინაპრები არიან.

გიორგი ერისთავი თავის კომედიებში, როგორც აღვნიშნეთ, გვიხატავს ქართველი თავადაზნაურობის მესამე ტიპსაც. ესენი არიან რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები, „რუსეთუმეები“. რას წარმოადგენენ ესენი? მართალია, განათლება მიუღიათ, მაგრამ არიან უსაქმო და ამპარტავანნი, ამავე დროს ფუჭი ფანტაზიორები.

მაგალითად, ივანე განათლებული ახალგაზრდაა, იგი ვარშავაში სწავლობდა აგრონომიას. აი, ეს ივანე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცდილობს მეურნეობის ახლებურად მოწყობას, ცდილობს შეცვალოს მეურნეობის ძველი წესები და შემოიღოს ახალი — ევროპული. დასცინის ყოველივე ქართულს, ნაციონალურს. არ მოსწონს ქართული სახელები, არც ღვინო მოსწონს. „ქართული ღვინო ეტა გლუპოსტ. საქართველოში რომანი არ იციანო“ და სხვა. მაგრამ ივანე მხოლოდ სწუნობს ქართულ მეურნეობას და წესებს, სინამდვილეში კი მას არ შესწევს უნარი, შეცვალოს ყოველივე ეს. იგი მხოლოდ ფანტაზიორია, გეგმებს ადგენს, მაგრამ მათი პრაქტიკულად განხორციელება არ ძალუძს. „ია რაზდელიუ პოლე ნა სემ, აქ მომივა მე კაპუსტა, აქ ბესედკა გაკეთდება“ და სხვა. როგორც ანდრეაფარი ამბობს, ივანე ზვარში აპირებს ვენახის აჭრას და მის ნაცვლად თუთების დარგვას (ვენახი ძირითადი დარგი იყო ჩვენი...). ივანეს აგრონომიის საკითხებიც სუსტად ესმის. მაგ., გაბრიელს ავალებს კაკლის უზარმაზარი ხეები მაკრატლით შემოკვერ-

ცხოს. ივანეს არა აქვს პრაქტიკული ცხოვრების უნარი. ამიტომ-  
მაა, რომ მას ცხოვრება ამარცხებს. ძმებმა გაყრის დროს ოჯა-  
ხის მთელი ვალები ივანეს არგუნეს. აი, სწორედ ამ ვალმა აიძუ-  
ლა ივანე, მისუღიყო ვაჭრის, მიკირტუმ ტრდატოვის სახლში  
და ყოველგვარი სიყვარულის გარეშე ცოლად შეერთო მისი ქა-  
ლიშვილი შუშანა. ივანე, რომელიც ცოტა ხნის წინათ აცხა-  
დებდა „რომან ბეზ ლიუბვი – ეტო უჟასნო“, იძულებული გახ-  
და, ეთხოვა ქალი უსიყვარულოდ. ივანე იმ მდგომარეობამდე  
მივიდა, რომ მიკურტუმის მეუღლემ (თათელამ) ქორნილის წინ  
უსურვა: „ღმერთმა ალას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, ალა-  
სავით მომგები გქნას, შვილო“.

ივანეს მსგავსად მხოლოდ მეოცნებენი და პრაქტიკულ აღ-  
ლოს მოკლებულნი არიან ბეგლარი და მიხეილი („დავაში“). აქვე  
უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეგლარი არის „შეშლილის“ ბეგლარის  
ერთგვარი გამეორება (მთელი რიგი ადგილებიც კი ემთხვევა  
ერთმანეთს). როგორც ადრე ნათქვამი გვაქვს, ბეგლარი რამ-  
დენადმე ავტობიოგრაფიული სახეა.

ამრიგად, გიორგი ერისთავის კომედიებში ქართველი თავა-  
დაზნაურობის სამივე ჯგუფი უარყოფითად არის დახასიათე-  
ბული: ამირინდო, ონოფრე და ანდუყაფარი — ჩამორჩენილები  
და უფიცები არიან, პავლე და ლომინი კი თავქარიანები და ქა-  
რაფშუტები. რაც შეეხება რუსეთუმეებს – ესენი კი მხოლოდ  
მეოცნებენი და უქნარანი. ასეა ნაჩვენები დეგრადაციის გზაზე  
დამდგარი თავადაზნაურობა.

არის მოსაზრება, რომ ივანეში „დრამატურგმა სიმბოლუ-  
რად თავისი სახე განასახიერა“ (ვახტანგ სიდამონიძე) ივანემ  
ვარშავაში მიიღო განათლება, გიორგი ერისთავიც ხომ იქ იმ-  
ყოფებოდა ერთხანს. მხოლოდ ეს კი გულუბრყვილო მსჯელო-  
ბაა, რომ თითქოს „დარიალის ხეობაში პოლონეთს მიმავალი  
გიორგი ერისთავი თერგის წყალს დაენაფა და ფიქრში თავის  
თავს თერგდალეული შეარქვა“ (ვ. სიდამონიძე – ვინ იყო პირ-  
ველი თერგდალეული? იხ. „სოფლის ცხოვრება“, 1983, 7).

„თერგდალეულობა“ მაშინ იყო სიმბოლო ფუქსავატობისა  
და უარმყოფლობისა (ნიჰილისტობისა).

ივანე თავისებური ნიჰილისტია (ყოველგვარი ქართულის და ყველაფრის ძველის დამწუნებელი).

„თერგდალეულობა“ შემდეგ იქცა ღირსებისა და სიკეთის სინონიმად (60-იანელები მერე ფსევდონიმადაც იყენებდნენ).

გიორგი ერისთავი თავის კომედიებში ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლების გვერდით გვიჩვენებს აგრეთვე ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის წევრებსაც. ასეთებია მიკირტუმ ტრდატოვი („გაყრა“), კარაპეტა დაბალოვი („ძუნწი“), ივანე და გაბრიელ მინასოვები და ჯიმშერ აკუნიახცი („თევზის კანტორა“). ვაჭარი ყველა სომეხია; ასე იყო სინამდვილეში და მწერალი აქაც სიმართლეს იცავს. გიორგი ერისთავი ორივე კლასს კარგად იცნობდა<sup>5</sup> და არ გაუჭირდებოდა მათი ფსიქოლოგიის ჩვენება... მართლაც, ამ ახალამოცენებულ ვაჭართა კლასს ახასიათებს ცბიერება, მატყუარობა, გაუტანლობა, სიძუნწე და სხვა. ასე აგროვებენ ისინი ფულს. დახატულია ისეთი ვითარება, რომ ფულის შექენა და გამდიდრება პატიოსნებით, კეთილსინდისიერი შრომით შეუძლებელია. „ფული, შექენილი პატიოსნებით, ისეთივე ძვირია, როგორც ფულით შექენილი პატიოსნება“. მაგ., მიკირტუმი (მევახშე) დიდებულიძეთა ოჯახშია შემძვრალი და პროცენტების გადახდევინებით ღრღნის მათი ოჯახის ავლადიდებას. მიკირტუმს კარგად აქვს შეგნებული ფულის ძალა და მნიშვნელობა. „დიახ, კნიაზჯან, ფული. ეს სოფელმა სულ ფული, ფული სხვა ყველა ტყუილია; შენი ხაზაინ-მაზაინობას ფული უნდა“, — ეუბნება ივანეს (რა ზომითაც ერთი ეცემა, იმ ზომით მეორე იზრდება. დიდებულიძეთა ქონება მიკირტუმების ხელში გადადის...“).

ასევე კარგად აქვს შეგნებული ფულის ძალა კარაპეტასაც. ამ მხრივ დამახასიათებელია დიალოგი მას და მსახურს შორის, რომელმაც დასაგირავებლად მოუტანა დამბაჩა.

**„კარაპეტა: -** ჯერ მითხარ, ტამბაჩა რათ მინდა?

**მსახური: -** ერთ ტყვეთა ღირს; ნახე, ინგლისია!

**კარაპეტა: -** მე განა ლეკი ვარ, ტყვე ვიყიდო... ინგლისის მათლაფა გამიგონია. არ მინდა, ხელს არ მომცემს!

**მსახური -** ჰეი, დროვ! იარალი ჩალის ფასად აღარ გადის! აღავ, ძალიან საჭირო არის... რაც გინდა ის მომე.

**კარაპეტა:** - ეს ვერცხლი აჰყარე, აქ იქნება ასი მისხალი: ხუთი მანეთი მოგცე ერთი კვირა ვადით, ეს რკინა უკან წაიღე“.

კარაპეტას მხოლოდ ვერცხლი ხიბლავს, რადგან დარწმუნებულია, ახალ დროში წამყვანი ძალა იარაღი კი არა, ოქრო და ვერცხლიაო.

კარაპეტა ყველაფერს მკაცრი ანგარიშიანობის თვალით უყურებს. არჩილს უნდა კარაპეტას ხორბალი აჩუქოს, კარაპეტა კი ასეთი ანგარიშით უპასუხებს არჩილს: „არა, კნიაზ, ყველამ თავის ჩოტკი აქვს, ესე იგი ანგარიში. პურს დაფქვა უნდა. მერე გაცრა, მერე წყალი თბილი, მერე მოზელა, მერე გუნდა, მერე თხელება, თონე; თონეში ფიჩხი, მერე ჩაკვრა, მერე ამოკვრა, მერე მარანში ჩაშვება“... კარაპეტას ასეთი ანგარიშიანობა სიძუნწეში გადადის. კარაპეტა არის ძუნწის ტიპი. ფული კარაპეტასთვის ყველაფერია, ამ ცხოვრების ალფა და ომეგა. ფული კარაპეტასთვის კერპია, „ღმერთიც“, „ჯვარიც“, „ხატიც“, ცოლიც, შვილიც...

„ჩემი ცოლი შენა ხარ! ჩემი შვილი შენა ხარ [ჩემი და შენა ხარ, ჩემი ძმა შენა ხარ, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი, მეგობარი, მეზობელი...]. ისე გაგიფრთხილდე, თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკალოთ ღორი გავხდე“.

იგი თავისი ოქროს სკივრის იქით ვერაფერს ხედავს. კარაპეტას სახეს სხვა შემთხვევაში ღრუბელი ფარავს, მხოლოდ ოქროებთან გამხიარულდება ის. კარაპეტა ხშირად შუალამისას წამოდგება, მიდის სკივრთან და ხელაპყრობილი ლოცულობს მის წინაშე.

კარაპეტა ოჯახში წარმოუდგენელ სიძუნწეს იჩენს. ოჯახს შიმშილით ჰკლავს, სიცივით ხოცავს, არ იძლევა სანთლების ანთების უფლებას. თვითონაც შიმშილობს: „ვანშამი მოდნათ აღარ არისო“, — გაიძახის. თავისი ქალიშვილის ხამფერას გათხოვებას მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს, როცა გაიგებს, რომ ქალიშვილი და მოსამსახურე გოგო წელიწადში 15 თუმანი უჯდება. რისთვის უნდა კარაპეტას ამდენი ფული თუკი არ მოიხმარს? ეს თვითონაც არ იცის. კარაპეტა თავისსავე თავს უსვამს კითხვას: „მახლას რომ მოვკვდები, ვის უნდა დარჩეს?!“



სხვა პასუხს ვერ პოულობს და იქვე დაასკვნის: „ექიმს მოვიყვან, რომ მეტყვის თუ მოვკვდები, დავადნობ ჩემ ფულს, წამლათ დავლევ“.

კარაპეტა დაბალოვი ზოგად სახელად იქცა ლამის (ძუნწის სინონიმად).

ვაჭართა ტიპებს გიორგი ერისთავი გვიხატავს „თევზის კანტორაშიც“ („წარსული დროების სურათები“) ივანე და გაბრიელ მინასოვებისა და ჯიმშერ აკუნიაძის სახით. მაგრამ „თევზის კანტორა“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, წარმოადგენს სპეციფიკურად ახალ სტადიას გიორგი ერისთავის შემოქმედებაში: თუ „გაყრასა“ და „ძუნწში“ ბურჟუაზია მწერალმა დაგვიხატა როგორც მევახშეთა კლასი სოფლად, „თევზის კანტორაში“ კი სავაჭრო ბურჟუაზია გამოყვანილია როგორც მწარმოებელი და აქტიურად მოქმედი ძალა ქალაქად.

ამ დროის ახალი კლასი ძალიან სუსტია, ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული, ხოლო ძველი კლასი, არისტოკრატია, ჯერაც ძლიერია (თუმცა სიღარიბე შეპარვია, მაგრამ სახელი ჯერ კიდევ აქვს). ეს ის დროა, როცა ვაჭრები არისტოკრატებთან დამოყვრება-დაახლოებას ცდილობენ. მაგ., მიკირტუმს უნდა, რომ თავისი ქალიშვილი, შუშანა, ივანე დიდებულს მიათხოვოს, კარაპეტას სურს, თავისი ხამფერა მიათხოვოს არჩილს. ასევე უნდა არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილსაც, თამარი მიათხოვოს ალექსანდრე რაინდიძეს.

მერე, როცა ვაჭართა კლასი მოძლიერდა, ისინი უკვე ასპარეზს არ უთმობენ თავადებს. მიდის ბრძოლა ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად. ესაა ნაჩვენები გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯსა“ და „გულქანში“.

ალექსანდრე ცაგარლის, რაფიელ ერისთავის და სხვათა წარმოებებში ვაჭრები ღარიბ თავადებს სასიძოდ იწუნებენ.

### **ამრიგად:**

საქართველოს ძველი კლასის (თავადები) დაცემა და დაკნინება დაიწყო 40-იანი წლებიდან. ამავე დროიდან დაიწო ახალი კლასის, ვაჭრების გაჩენა. ეს პროცესი შემდეგ ღრმავდება.

1. 40 – 50-იანი წ. (გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი)
2. 60 – 80-იანი წ. (გიორგი წერეთელი)
3. 90-იანი წ. (დავით კლდიაშვილი)
4. 900-იანი წ. (ნიკო ლორთქიფანიძე)

მოხდა ისე, რომ ეს სურათები ძირითადად იმერეთის მაგალითზე გვიჩვენეს. გიორგი წერეთელიც, დავით კლდიაშვილიც და ნიკო ლორთქიფანიძეც სამივე იმერელია, სამივე თავად-აზნაურთა კლასიდან, სამივე რეალისტი.

დავუბრუნდეთ გიორგი ერისთავს.

ერისთავი თავის კომედიებში გვიხატავს რუსეთის ბიუროკრატი მოხელეებსაც.

რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები მის კომედიებში დახატული არიან, როგორც მექრთამენი, საქმის უცოდინარნი და სრულიად უგულონი. მექრთამეობა საზოგადოებაში ისეა გავრცელებული, რომ ყოველი ადამიანი „გამრუდებული“ საქმის გამოსწორებას ქრთამის მეშვეობით ცდილობს. მაგ., ანდუყაფარი შეშფოთებულია, რომ თერგდალეული მისი ძმა უპირებს გაყრას. მოურავი ბარამი ურჩევს ანდუყაფარს, გასწეროს ყმებზე ფული და აკრეფილი თანხა ქრთამად მისცეს მოსამართლეს, რათა აღარ გაჰყაროს:

**ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ,  
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ.  
ჩვენ სუდიასა – აიმ კუკნასა,  
სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა,  
და სეკრეტარსა მე ოც თუმნათა  
გნებავთ გაგიხდით მაიმუნათა!**

„დავის“ რუსი და სომეხი მოხელეები ხარიტონ ვზიატკინი, სარქის ბულდანიჩ კუმუხტოვი და რაფიელ არზამანოვი გაქნილი მექრთამეები არიან. ამ პირებს მთელი თავიანთი უფლება და მოვალეობა იქით წარუმართავთ, რათა რაც შეიძლება მეტი ქრთამი აიღონ. ვთქვათ, ხარიტონს, საქართველო წარმოუდგენია ფულის საშოვნელ ადგილად. მას არაფრით არ ჩამოუვარ-

დება სარქის კუმუხტოვი. ეს მოხელენი სარგებლობენ ქართველ თავადთა უვიცობით, ჩამორჩენილობით და როგორც ცხვარს, ისე პარსავენ. მაგ., უვიც ამირინდოს გაიძვერა მოხელე თითო ტოჩკა და ზაპეტაიაში თითო თუმანს ართმევს. სასამართლოს მოხელეებს ამირიანდო ცალკე აძლევს ქრთამს და ონოფრე კიდევ ცალკე. მოხელეები კი ორი მხრისაგან იღებენ ქრთამს. სწორედ ამიტომაა, რომ მათ არ სურთ დასრულდეს დავა ამირინდოსა და ონოფრეს შორის. ჩალიანს ხან ერთს აკუთვნებენ და ხან მეორეს.

ასევე გაშლილი მექრთამეობაა „თევზის კანტორაში“. ძმები მინასოვები ქრთამებით ცდილობენ მოხელეთა მოსყიდვას.

ეს მოხელენი ამავე დროს აბუჩად იგდებენ ქართულ ენას, ყოველივე ქართულს. იმდროინდელ დანესებულებებში რუსი მოხელეები ისხდნენ, მათ არ იცოდნენ ქართული ენა, ეს კი იწვევდა მთელ რიგ გაუგებრობას და უკმაყოფილებას. მაგ. ლომინ გოდაბრელიძე დგას ხარიტონ ვზიატკინის წინაშე. ლომინმა არ იცის რუსული, რომ თავისი საჩივარი გააგებინოს ვზიატკინს, ხოლო ვზიატკინმა არ იცის ქართული. მათ ეხმარებათ თარჯიმანი სარქის კუმუხტოვი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც თარჯიმანმა იცის რუსული, რომ ლომინის აზრები ვზიატკინს გააგებინოს. თარჯიმანი კუმუხტოვი ლომინის აზრებს ასეთი რუსულით უთარგმნის ხარიტონს:

„Чихо. махо говорит, Он говорит был маленьки женился, но маленьки говорит и говорит, это развод сделали, говорит второй женился говорит“. ცხადია, აქედან ვზიატკინმა ვერაფერი გაიგო და ლომინი კი იძულებული შეიქნა აყვირებულისყო: „აა, თარჯიმალ ნეზნაით, ბატონო, ესთეა, ბატონო, შენი საკადრისი რუსული არ ვიცი, მაგრამ ქვე-კი ჰი, ადნა ჟენა გალინკა პომოდგა, ჟენა, დურაკ უშველებელი დურაკი იყო, ტრი ჟენა ი, პრაპალა ჩეტირე ჟენა ხარამო და ადინ ესაა... ახლა იცი!“

ასეთი წინააღმდეგობა და გაუგებრობა იყო მთელ ქართველ ხალხსა და ბიუროკრატიული რუსეთის უვიც ნაციონალურ პოლიტიკას შორის.<sup>6</sup>

როგორია გიორგი ერისთავის მსოფლმხედველობა? რომელი კლასის იდეოლოგიად გამოდის იგი? საინტერესოა ვიცოდეთ გიორგი ერისთავის დამოკიდებულება ბატონყმობისადმი. რა პოზიციები ეკავა მას საგლეხო რეფორმის გატარებისას? ირკვევა, რომ გიორგი ერისთავი ამ დროს რადიკალურ პოზიციებზე იდგა.

თვითონ მას ყმები უფრო ადრე გაუთავისუფლებია და მოურავობაც მოუხსნია. ამას ადასტურებს მათთან მოურავად ნამყოფი გიორგი დვანაძის ლექსად დაწერილი მოგონება [„სიყმანვილიდან ჩემი ცხოვრება“.] გიორგი დვანაძეს, როგორც მოურავს, ერისთავისაგან უცბად მოსვლია ბრძანება:

**მოურავი აღარ მინდა, წესი დავიწყე ახალი,  
ყმები გაუშვი მახტაზედ, მინდა გადავხადო ვალი.**

ამრიგად, გიორგი ერისთავმა ყმები ადრევე გაათავისუფლა და ამით მან იმდროისთვის მოწინავე საქმე გააკეთა.

გიორგი ერისთავს საგლეხო რეფორმის დროს რომ რადიკალური პოზიციები უჭირავს, ჩანს აკაკი წერეთლის მოგონებიდანაც. როგორც ვიცით, ამ დროს ორი აზრი იბრძოდა: მიწიანად თუ უმიწოდ. ნაწილი პირველს უჭერდა მხარს, როგორც აკაკის მოგონებიდან ჩანს, გიორგი ერისთავიც მისი მომხრე ყოფილა (ასეთი აზრისა იყო ილიაც). გიორგი ერისთავი რომ ბატონყმობის მოსპობის მომხრე იყო, ამას ადასტურებს სოფრომ მგალობლიშვილიც: „მახსოვს გიორგი ერისთავის გარდაცვალების გამო სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედაკაცები ხომ სულ იხოცებოდნენ ტირილითა, თურმე პოეტის ნაყმევები იყვნენ, რომელსაც ისინი ბატონყმობის გადავარდნამდე გაეთავისუფლებინა. შევიტყვეთ ისიც, რომ პირველი პიონერი ბატონყმობის გადავარდნისა ჩვენში იგი იყო“.

[ბატონყმობას მწერალი ასე ახასიათებს:

**პავლე:** რო იყიდე, შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკელ იმითა არ წახველ ქალაქსა, შე გაუმაძღარო?

**ბარამ:** „შევანეროთ ვალებში ფული, ერთ-ერთ ოთხასიოდ თუმანს ავკრეფთ ხელად.“

**ყარდაშვერდი:** (გაბრიელს) თხოვე ბატონს მოურავობა, ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისაა... და ასე].

გიორგი ერისთავი ხედავს, რომ მოდის ახალი ცხოვრება, იჭრება კაპიტალიზმი. თავად-აზნაურობამ ალლო ვერ აულო ახალ ცხოვრებას და ის დაღუპვისკენ მიემართება, ანდუყაფარისა და ამირინდო-ონოფრეთა ავლადიდება ვაჭრების ხელში გადადის, ეს მწერალს ალონებს... არც მიკირტუმ და კარაპეტები არიან მწერლის იდეალები. მათ არ გააჩნიათ კეთილშობილება და მორალი.

გამოსავალი: გიორგი ერისთავის იდეალია ბურჟუაზიულ ცხოვრებასთან შეგუებული საქართველო. მისი აზრით, ქართველმა თავადაზნაურობამ უნდა ისწავლოს, აითვისოს ეს ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრება. თუ მას სიკვდილი არ სურს, უნდა გახდეს თანამშრომელი ამ ახლის... ამით გიორგი ერისთავი ობიექტურად გამოხატავს ამომავალი ბურჟუაზიის ინტერესებს.

მწერალმა იცის, რომ საქართველო ძველი, ფეოდალური მეურნეობით შორს ვერ წავა. ის ოცნებობს რკინიგზის გაყვანაზე საქართველოში:

**„ჩემი მოგზაურობა ევროპაში“:**

**„წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, ოჰ, როდის მომასწრებს ღმერთი, რომ ჩვენს ქვეყანას გზა ეშველოს“.**

საფრანგეთშიც გიორგი ერისთავი ფიქრობს საქართველოს ეკონომიურ ჩამორჩენილობაზე. ეს არაა შემთხვევითი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „შეშლილი“ განიცდის გრიბოდოვის „ვაი ჭკუისაგანის“ გავლენას. ორივეგან ნაჩვენებია მემჩანი საზოგადოება და მასთან დაპირისპირებული პირები. ჩაცკის და ტასოს ერთი და იგივე ბრალდება აქვთ წაყენებული — „ვოლტერიანელობა“ და სხვა. „ვაი ჭკუისაგანის“ გმირი ფამუსოვი მოხსენიებულია „დავაში“. სხვები არ იზიარებენ ამას (მაგ., დავით გამეზარდაშვილი).<sup>7</sup>

გიორგი ერისთავის „ძუნწი“. შდრ. პლავტის „ქილა“, მოლიერის „ძუნწი“, პუშკინის „ძუნწი რაინდი“, მირზა ფატალი-ახუნდოვის „ძუნწი“, შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“.

[გამოჩენილი რომაელი დრამატურგი პლავტი ცხოვრობდა ჩვ.წ. აღ.-მდე მესამე-მეორე საუკუნეთა მიჯნაზე. ჩვენამდე მოღწეულია მისი 20 კომედია. ძუნწის ტიპი მან მოგვცა „ქილა-ში“ („ყულაბა“). მთავარი მოქმედი პირია ძუნწი ევკლიონი, რომელიც გვაგონებს მოლიერის პარაგონს („ძუნწი“), გოგოლის პლიუშინს („მკვდარი სულელები“), პუშკინის ბარონს („ძუნწი რაინდი“), გიორგი ერისთავის კარაპეტას, შექსპირის შეილოკს („ვენეციელი ვაჭარი“).

ეზოპე (ესოპე) ბერძ. მწერალი. ქრისტემდე VI ს.

იგივე-არაკის ჟანრის ფუძემდებელი. მისი არაკების სიუჟეტები გამოიყენა ბევრმა მწერალმა: ფედრუსმა, ჟან ლაფონტენმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ივან კრილოვმა და სხვა.

ეზოპეს იგავ-არაკების უძველესი ქართული თარგმანი თარიღდება მე-18 ს. I ნახევრით (1859 წ. ვენეციაში ქართულად დასტამბა იტალიურიდან თარგმნილი ეზოპეს 95 არაკი).

ეზოპეს აქვს იგავი „ძუნწი“.

(ერთი კაცი სიმდიდრეს მიწაში ინახავს. ვიღაცამ მოპარა. ის ტირის. ერთი ბრძენი ეუბნება: „**მაგ მიწაში გინდა ოქრო გედოს, გინდა ქვა, თუ არ გამოიყენებ რათ გინდაო**“). ანალოგიური სიუჟეტი და შინაარსი აქვს საბას იგავს „ძუნწი და ოქრო“].

„ყვარყვარე ათაბაგი“ წარმოადგენს ფრიდრიხ პალმის (მე-19 მწერალია, ავსტრიელი) „გრიზელდას“ რუსულ თარგმანის თარგმან-გადმოკეთებას (თავის მხრივ პალმის „გრიზელდა“ წარმოადგენს ბოკაჩოს ნოველის „გრიზელდას“ (დეკამერონის“ უკანასკნელი ნოველა) დრამად გადაკეთებას“.<sup>8</sup>

გიორგი ერისთავს პალმის პიესაში შეუცვლია სათაური და მოქმედ პირთა სახელები (ჟინეერა—რუსუდანი, გრაფი პერსივალი—ყვარყვარე, ათაბეგი, გრიზელდა – მართა) და ა.შ.<sup>9</sup>

„უჩინ-მაჩინის ქუდი“ არის ლეონტიევის ვოდევილის „Шапка невидимка“-ს თარგმან-გადმოკეთება.

ორიოდე სიტყვა გიორგი ერისთავის ენაზე.

გიორგი ერისთავის ენას პირველად შეეხო პლატონ იოსელიანი ჯერ კიდევ 1850 წელს „გაყრის“ გამოცემის წინასიტყვაობაში – გიორგი ერისთავმა დაბადა ახალი ქართული ენა; იმედია,

სხვა მწერლებიც მიბაძავენ, შეუდგებიან მის მაგალითსო. „**დამწერმან ამა პირველსა ქართულს ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძე ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის... იმედია, სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა**“.<sup>10</sup> სხვათა შორის, პლატონ იოსელიანმა გიორგი ერისთავს უწოდა „ქართველი არისტოფანე“ (1852 წ. „Закавказский вестник“-ში დაბეჭდილ რეცენზიაში „Грузинский театр“) (ამაზე ადრე (1850 წ.) ვორონცოვმა უწოდა „ქართველთა მოლიერი“).

[არისტოფანე (446-388) ძველი ბერძენი მწერალი V-IV საუკუნეებისა. ჩვენამდე მოღწეულია მისი 11 კომედია. „ღრუბლები“, „კრაზანები“, „ფრინველები“, „ბაყაყები“, ქალთა კრება“, „პლუტოსი“ და სხვა.

არისტოფანეს უწოდებდნენ „კომედიის მამას“. იგი არის პირველი დიდი კომედიოგრაფი მსოფლიო ლიტერატურაში].

ეს აზრი სხვებმაც გაიზიარეს (მიხეილ თუმანიშვილმა, ალექსანდრე ორბელიანმა, ანტონ ფურცელაძემ ...) ყველა აღიარებს, რომ გიორგი ერისთავის ენა არის ცოცხალი სალაპარაკო ენა, რომელსაც ახასიათებს ბუნებრიობა, ლაზათი და მოხდენილობა.

ფაქტია ისიც, რომ გიორგი ერისთავის ენას აქვს უარყოფითი მხარეები: რუსულ-სომხური ფრაზეოლოგია (ბარბარიზმები). და ეს შეიმჩნევა არამარტო პერსონაჟთა (რაც პრაქტიკულად და თეორიულად გამართლებულია), არამედ ზოგჯერ თვით მწერლის მეტყველებშიც.

ასე რომ, ჯერ კიდევ მწერლის თანამედროვეებს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი გიორგი ერისთავის ენის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გიორგი ერისთავი არის მე-19 საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი (ქართული ენის რეფორმა თავის დროზე შოთამ მოახდინა. ყოველ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანი“ ამისი პირველი ცდაა). მისი გავლენა ძლიერი იყო სხვა მწერლებზე (ზურაბ ანტონოვი, ლავრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე). ასეთი ქართული სალიტერატურო ენა საბო-

ლოოდ დამკვიდრდა სამოციანელთა შემოქმედებაში (ქართ-ველმა სამოციანელებმა ამას მისცეს თეორიული დასაბუთებაც, გიორგი ერისთავმა, ზურაბ ანტონოვმა და დანიელ ჭონქაძემ — ე.ი. ქართული ენის ჭეშმარიტმა რეფორმატორებმა — პრაქტიკაში გვიჩვენეს „ახალი ენა“. თაობათა ბრძოლაში ენის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო.

## შენიშვნები:

1. 1811 წ. გაუქმდა ავტოკეფალია, კათალიკოსობა და შემოიღეს ეგზარხოსობა. (საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი ანტონ II გაიწვიეს რუსეთში. გარდაიცვალა 1827 წელს. დაკრძალულია ნიჟნინოვგოროდში, ხარების ტაძარში). პირველ ეგზარხოსად დანიშნა ვარლამ ერისთავი და იყო ამ თანამდებობაზე 1817 წლის 26 მაისამდე (მერე დანიშნა რუსი თეოფილაქტე რუსანოვი?). შემდეგ ვარლამი გაიწვიეს პეტერბურგში (და დარჩა იქ 1825 წ. 21/II-მდე). 1825 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში. გარდაიცვალა 1830 წ. 30 დეკემბერს. ამავე წელს გარდაიცვალა გიორგის მამა დავითიც.

2. გიორგი ერისთავი დანიშნული იყო ბაბალე ორბელიანზე, მაგრამ ქალის მშობელთა მიზეზით ეს საქმე ჩაიშალა. 1839 წ. მშობლებმა ბაბალე მიათხოვეს ალექსანდრე საგინაშვილს (ნაკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილს (ჩვენამდე მოღწეულია ნ. ბარათაშვილის ერთი წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი და ერთიც ბაბალე საგინაშვილისადმი. ორივე წერილი მონერილია განჯიდან 1845 წ. 23 აგვისტოს). რომელიც შემდეგ იყო ილია ჭავჭავაძის დის ქმარი. 1833 წ. 1 მაისს დაწერა ლექსი „კ. ბაბ. ორბელიანს“: „შენ ვერა მიხვდი მომღერალის გულსა და მისსა სულსა ამაღლებულსა“ ... იმავე 1933 წ. დაწერა კომედია „შეშლილი,“ რომელიც ნახევრად ავტობიოგრაფიულია.

ბეგლარი – თვითონ

ტასო – ბაბალე ორბელიანი.

ანა – ბაბალეს მშობლები.

გიორგი ერისთავს ეკატერინე ჭავჭავაძისაკენაც ეჭირა თვალი, მაგრამ არც ეს ერგო. ესეც 1839 წელს გათხოვდა. და აი, ცოლს ირთავს სიყვარულის გარეშე, მზითვის გულისთვის (ის დაემართა, რაც ივანე დიდებულიძეს „გაყრაში“. იქაც რამდენადმე ავტობიოგრაფიული ამბებია).

არის მოსაზრება, რომ ივანეში „დრამატურგმა სიმბოლურად თავისი სახე განასახიერაო“ (ვახტანგ სიღამონიძე - „ვინ იყო პირველი „თერგდალეული“? იხ. „სოფლის ცხოვრება“ 1883 წ. №7, 9/1). (ივანემ ვარშავაში მიიღო განათლება, გ. ერისთავიც ხომ ვარშავაში დიდხანს იმყოფებოდა).

3. [აჯანყების აქტიური მონაწილე იყო სახალხო გმირი თუში ზეზვა გაფრინდაული (და საერთოდ თუშ-ფშავე-ხევესურები).



იმართება სახალხო დღესასწაული - ზეზვაობა.

ალეანის მოედანზე დგას ზეზვას ძეგლი.

გიორგი ერისთავისათვის ძირითადი ისტორიული წყაროა ანტონის „მარტირიკა“ (იგივეა აკაკისთვისაც). მეფე იყო ვახტანგ V - შაჰ-ნავაზი.

ამ პოემაში ელიზბარი არის ბიძა, შალვა - ძმისწული (ბიძა-ძმისწული არიან „ბაში-აჩუკშიც“).

გიორგი ერისთავი და აკაკი უფრო ანტონს („მარტირიკა“) მიჰყვებიან. აკაკისთანაც აჯანყების მეთაური არის ბიძინა ჩოლოყაშვილი. ასე აქვს აკაკისაც. მაგრამ ისტორიულად ასე არ ყოფილა.

გ. ერისთავი და აკაკი ისტორიულ ამბებს ძირითადად ერთნაირად აშუქებენ. ანტონ ფურცელაძე და ვაჟა ძირითადად ერთნაირად.

1830 წ. 1 ნომერს გავრცელებული «Тифлисские ведомости» დაიბეჭდა გრ. გორდეევის «Осетинская повесть» «Заре» (სამ ნომერში - №94, 95, 96). დასასრული იქნებაო, მაგრამ რატომღაც არ დაბეჭდილა.

გორდეევის ნაწარმოებში მხილებულია სოციალური ბოროტება. გრიგოლ ერისთავის ნაწარმოებში კი დასმულია ეროვნული პრობლემა. გიორგი ერისთავი, 1832 წ. შეთქმულების მონაწილე, ისტორიულ მასალას იყენებს პოლიტიკური მიზნებისათვის.

გრიგოლ გორდეევი იყო (1891-1838) ისტორიკოსი, პოეტი და ბელეტრისტი. 1815 წელს ჩამოვიდა საქართველოში და მთელი სიცოცხლე აქ დარჩა. იყო პავლე სანკოვსკის მოადგილე. 1838 წელს, 47 წლისა, დაღესტანში მოკლეს ვიღაც უცნობმა პირებმა).

პავლე სანკოვსკი გარდაიცვალა 1832 წ. 19 ოქტომბერს.

4. ივანე დიდებულის გასაჭირი გიორგი ერისთავისთვის ნაცნობი იყო. თვითონაც სიღარიბემ აიძულა, შეერთო მდიდარი სომეხი ვაჭრის ასული. აქ რამდენადმე ავტობიოგრაფიული ამბავია (გიორგი ერისთავსაც ორი ძმა ჰყავდა).

5. გ. ერისთავი ამ კლასსაც (და ერსაც - სომეხ ერს) კარგად იცნობდა. მეუღლე ალიხანოვი — სომეხი ვაჭრის ასული იყო (თვითონ კი ფეოდალურ-არისტოკრატიულ კლასს ეკუთვნოდა და ძველი კლასის ფსიქოლოგისაც იცნობდა).

6. ამრიგად გიორგი ერისთავის კომედიაში ნაჩვენებია:

1) ძველი კლასი (თავადაზნაურობა): ანახანუმი და მისი რძლები („შეშლილი“) ამირინდო ლაზნელი, ონოფრე ხარაძე, ლომინ გოდაბრელიძე („დავა“), ძმები დიდებულები („გაყრა“) არჩილი („ძუნნი“).

2) ახალი კლასი (ბურჟუაზია): მიკირტუმ გასპარიჩ დრდატოვი („გაყრა“), კარაპეტა დაბალოვი („ძუნნი“), ივანე და გაბრიელ მინასოვები, ჯიმ-შერ აკუნინაცი („თევზის კანტორა“).

3) რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები: ხარიტონ ფილიპჩი ვზიატკინი, სარქის ბულდანიჩ კუმუხტოვი, რაფიელ არზამანოვი („დავაში“).

არ უჩვენებია ყმა გლეხობა. მის მიერ ნაჩვენები პერსონაჟთაგან რომელია დადებითი? არცერთი.

გიორგი ერისთავის კომედიებში არ გვხვდება არცერთი დადებითი პერსონაჟი. დადებითი პერსონაჟია სიცილი (ჯანსაღი სიცილი ამკვიდრებს, გულისხმობს ამაღლებულ იდეალს.).

7. ქართველი საზოგადოების ინტერესი გრიბოედოვის კომედიისადმი ყოველთვის დიდი იყო. 1832 წ. კომედია წარმოადგინეს რომანოზ ბაგრატიონის სახლში (რომანოზი იყო ძმა ბოროდინოს გმირის პეტრესი). იმავე წელსვე სოლომონ დოდაშვილი წერდა ძმას – სტეფანეს პეტერბურგში: „ჩვენს ქალაქში წარსულ კვირას იყო თეატრი, ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა. საკურველად წარმოადგინეს. მერწმუნე, უკეთესად აღარ შეიძლებოდა“.

პირველად თარგმნა გიორგი ერისთავმა (არასრულად, რამდენიმე სცენა). ეს თარგმანი შემდეგ დაიბეჭდა „საქ. მოამბეში“ (1863 წელს).

8. ჯოვანო ბოკაჩოს „გრიზელდა“ მარკიზი ვეალტიერი

1. გრიზელდა – ღარიბ-ღატაკის შვილი

ეყოლათ გოგო და ბიჭი.

ვეალტიერს უცნაური აზრი დაებადა – გამოეცდი, მწარე სატანჯველს მივაყენებ და ვნახავ, რამდენად დიდია მისი სულგრძელობაო.

ჯერ ერთი შვილი წაართვეს, მერე – მეორე, ყასიდად სხვა ქალი შეერთო (პატარძლად მოიყვანეს გრიზელდას უკვე სხვაგან გაზრდილი ასული). ყველაფერი კეთილად მთავრდება.

„რა შეგვიძლია ამის გამო ვთქვათ, თუ არა ის, რომ ღარიბულ ქოხებშიაც შესაძლებელია ჩამოვიდნენ ზეცით ღვთაებრივნი სულნი, ისე როგორც სამეფო სრა-სასახლეებშიც ჩამოდიან ხოლმე ისეთნი, რომელთათვის ათასწლი უკეთესი იქნებოდა კაცს ღორები მიეზარებინა სამწყემსავად, ვიდრე ნება მიეცა აღმამანებზე ებატონათ ხოლმე?!“.

9. „ყვარყვარე ათაბაგის“ თემა ევროპის ლიტერატურაში (ლათინური, ინგლისური, ესპანური, იტალიური, გერმანული) მრავალგზისაა დამუშავებული. ჯერ კიდევ VI საუკუნეში შეიქმნა უელსური თქმულება მაღალი წრის კაცისა და მენახშირის ასულის შეუღლებაზე (ასულისა, რომელიც არის ქმრის თავდადებული და მოსიყვარულე). ამავე თემას ეხება ჯოვანო ბოკაჩოს „გრიზელდა“ ფრანჯესკო პეტრარკას ნოველა „გრიზელდა“ და ბევრი სხვა: ქმრები მკაცრ გამოცდას უწყობენ ცოლებს, მაგრამ ცოლები ბოლომდე ქმრების ერთგულნი და უსიტყვო მორჩილები რჩებიან. (წაართმევენ შვილს (შვილებს), მათ თვალწინ ყასიდად სხვა ქალს ირთავენ...). „ყვარყვარე ათაბაგში“ რუსუდანი და ყვარყვარე სანაძლეოს დებენ... დამარცხდა რუსუდანი, რომელიც დაიჩოქებს მართას წინაშე...

პალმის „გრიზელდა“ მაშინვე ითარგმნა რუსულად და იდგმებოდა რუსულ თეატრებში. მათ შორის, დაიდგა თბილისის რუსულ თეატრშიც.

გიორგი ერისთავმა მოქმედება გადმოიტანა საქართველოში, კერძოდ, ვარძიაში, XIII საუკუნეში, რუსუდანის ეპოქაში. მოქმედი პირები არიან ისტორიული პირები: რუსუდან დედოფალი, ავაგ სპასალარი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი, სარგის თმოგველი და სხვები. თუმცა ისტორიული ამ დრამაში მაინცდამაინც ბევრი არააფერია.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს დიდების მზე ჩასვენებულია და ქვეყანა ახლა მძიმე მდგომარეობაშია. რუსუდანი ნაჩვენებია, როგორც გარყვნილი ქალი (აქ ჰყავს საყვარელი ორტელიშვილი (მძევალი იყო), იგი „თავის ბინიერებას თან დაამხოვს საქართველოსა!“ თევაზი ხომ თავიდან იწყებს აყროლებას: ბინიერების სენი გადასდებია სხვებსაც – ელენე (ავაგ სპასალარის და) არის საყვარელი შანშესი... ქეიფი და არშიყობა მოსდებია მალალ ფენას. სამაგიეროდ სისპეტაკე დარჩენილია დაბალ ფენებში, მაგ. მართა (ყვარყვარეს მეუღლე), მართას მამა – ბრმა მენახშირე ბერიკი. ამ პიესით ავტორს სურდა ეჩვენებინა ხალხის დაბალი ფენების მალალი ზნეობრივი თვისებანი და უპირატესობა მალალ წოდებასთან შედარებით. დაბალი წრიდან გამოსულ ადამიანებს მეტი ზნეობრივი სიფაქიზე და სიმტკიცე ამკობთ.

„ყვარყვარე ათაბაგი“ დაიბეჭდა 1853 წ. „ცისკარში“. სცენაზე იდგმებოდა 1853-54 წლებში. აქ პირველადაა ნაჩვენები ქართველი ქალი – გარყვნილი.

10. პლატონ იოსელიანი თვითონ არქაისტი იყო. აღზრდილი ანტონ კათალიკოსის გრამატიკული სკოლის ტრადიციებზე. მაგრამ, როგორც ჩანს. ისიც გრძნობდა და ხარკს უხდიდა რეალისტურ ტენდენციებს ქართულ მწერლობაში. 50-იან წლებში პლატონ იოსელიანის ასეთი პოზიცია უდავოდ ნიშნავდა კომპრომისს და მის საერთო გრამატიკული შეხედულებებიდან გადახრას. („ძველის მცოდნეა მაგრამ ყბედი და ჭკვაზედ თხელია“ (ილია)).

ალექსანდრე ორბელიანმა 1857 წელს „ცისკარში“ დაბეჭდა „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიაზედ“. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ გიორგი ერისთავს არავითარი ახალი ენა არ შეუქმნია და საერთოდ, კომედიით, „დაკუნული ლაპარაკით“ ვერ გავიგებთ და შევაფასებთ მწერლის ენას. ამისთვის საჭიროა, რომ გიორგი ერისთავმა მოთხრობა დაგვიწეროს.



## ზურაბ ანტონოვი

ზურაბ ანტონოვი მე-19 საუკუნის 50-იანი წლების მწერალია, დრამატურგი. როგორც დრამატურგი, ეკუთვნის გიორგი ერისთავის სკოლას. გიორგი ერისთავთან ერთად არის რეალისტური მიმართულების დამწყები ქართულ ლიტერატურაში. ერთნაირია მათ ნაწარმოებთა თემატიკაც.

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წლის 9(21) თებერვალს ქ. გორში.<sup>1</sup> მამა — ნაზარ ანტონოვი — იყო წვრილი ვაჭარი.<sup>2</sup>

ზურაბის მშობლები არიან წარმოშობით სომხები, ჰყავდათ — სამი ვაჟი (ზურაბი, ნიკოლოზი, გრიგოლი) და ერთი ქალი. უფროსი იყო ზურაბი.

6 წლის ზურაბი წერა-კითხვის შესასწავლად მიაბარეს გორელ მღვდელს. აქ ისეთი ნიჭი გამოუჩენია, რომ მღვდელი გოცებულა. ერთი წლის შემდეგ შეიყვანეს გორის სამაზრო სასწავლებელში. პირველი კლასის პროგრამა 6 თვეში დაუძლევია და მეორეში გადაუყვანიათ, მეორეც 6 თვეში დაუძლევია, და მესამე კლასში უპირებდნენ გადაყვანას, მაგრამ მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს და მისი სასკოლო განათლებაც ამ ორი კლასით დასრულდა (ეს ორი კლასი კი ერთ წელიწადში დაამთავრა).

თუ ასეთი ნიჭიერი იყო, რატომ მოაშორეს სკოლას? გორის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველ სარაჯიშვილს ზურაბის მამისთვის ურჩევია — შენს შვილს ისეთი ნიჭი და ნათელი გონება აქვს, მისგან საჩვენებელი კაცი გამოვა, ნუ გახდები მისი მოვალე, გააგ ზავნე უმაღლეს სასწავლებელშიო. მამას ეშინოდა, შვილს სადმე გამიგ ზავნიან და დამიკარგავენო, და ... ის სულ მოსწყვიტა სწავლას.

ამის შემდეგ მთელი 10 წელი შინ იყო და თვითგანვითარებით იძენდა ცოდნას, თანაც ხატვაში ვარჯიშობდა. ამავე წლებ-

ში დაუწყია ლექსების წერაც. სამწუხაროდ, ეს ლექსები ჩვენთვის უცნობია (პიესებში აქა-იქ ჩართული სტროფები კი მონმობს, რომ არ ყოფილა პოეტურ ნიჭს მოკლებული).

18 წლის ზურაბი 1938 წელს მუშაობას იწყებს გორის სამაზრო სამმართველოში მდივნად (მწერლად). აქ დარჩა 4 წელი. შემდეგ თავი დაანება (წინ არ წასწიეს, გაბრაზდა და თავი დაანებაო, - წერს მისი ძმა გრიგოლ ანტონოვი). სამსახურიდან გამოსვლა მამის გარდაცვალებამ გადაწყვეტინა. იგი თავის ძმასთან (ნიკოლოზთან) ერთად მამის მიერ დატოვებულ სავაჭროში იწყებს მუშაობას [მამის ქონებით მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნა და „ამოიყარა ჯავრი წიგნებისა“].

ზურაბმა და მისმა ძმამ ვაჭრობაში ვერ იხეირეს, პირიქით, ვალი დაედოთ. ხოლო მევახშე მირონ ამიროვის (ესეც სომეხია) სახით სამუდამო და საზიზლარი მტერი გაიჩინეს. ამიროვისაგან აღებულ ვალს 2.000-მდე მიუღწევია, რამაც საბოლოოდ გააკოტრა ძმები. ამიროვი, რომელიც სამაზრო სასამართლოს პროკურორად იყო ნამყოფი, სასამართლოში დაძვრებოდა და ცდილობდა, ანტონოვებისთვის წაერთმია შემოსავლის ერთადერთი წყარო - ხიდისთავის მამული (ზურაბის პაპა ცხოვრობდა ხიდისთავში, მებაღედ იყო. მამა - ნაზარი კი ხიდისთავიდან გადასახლდა გორში). ზურაბ ანტონოვი ვერ იტანდა ბოროტ და შარიან ამიროვს (შესახედავდაც საზიზლარი კაცი ყოფილა, ეხურა „დიდი კიზიროკიანი ფურაჟკა.“, — წერს გრიგოლ ანტონოვი). ერთ დღეს ზურაბმა ნიჩბის ტარით სცემა ამიროვს. მეორეჯერ „ცოცხლად დამარხა“ ამიროვები (მირონი და მისი ოჯახის წევრები).<sup>3</sup>

გაუთავებელმა დავამ ზურაბი ისე გააღარიბა, რომ შემწეობას სთხოვდა ნაცნობებს.

ზურაბ ანტონოვის ცხოვრებაში სასიხარულო გარდატეხა იწყება 1850 წლიდან, გიორგი ერისთავის მიერ პროფესიული თეატრის დაარსებიდან. ამ დასის წევრთა უმრავლესობა გორელები იყვნენ (და ხიდისთავიდან), ზურაბის ახლო ნაცნობნი. მათი მეოხებით 1851 წელს თბილისში ჩამოსული ზურაბი თეატრს დაუახლოვდა. გიორგი ერისთავმა დააკმაყოფილა მისი

თხოვნა და მიიღო დასპი, სადებიუტოდ მისცა სომხის როლი — მიკურტუმ გასპარიჩ ტრდატოვი („გაყრა“). ჩვენ ვიცით, რომ გიორგი ერისთავი ამ როლს წარმატებით ასრულებდა. ანტონოვს მაინცდამაინც დიდი ნიჭი ვერ გამოუჩენია, მაგრამ სცენაზე შემდეგშიც გამოდიოდა. ასრულებდა მინას შაჰყულოვისა („მე მინდა კნენა გავხდე“) და გალუსტ თანდოევის („განა ბიძამ ცოლი შეირთო?“) როლებს და საკმაოდ კარგადაც.

მან მალე მიაგნო თავის მოწოდებას, დაიწყო პიესების წერა! და შესანიშნავი ნიჭი აღმოაჩნდა. 1851 წლის დასაწყისში დაწერა და გიორგი ერისთავს წარუდგინა პიესა — „მე მინდა კნენა გავხდე“. პიესა მოიწონეს და წარმოადგინეს იმავე 1851 წლის 10(22) მაისს. მთავარ როლს (მინას შაჰყულოვს) ასრულებდა ავტორი. პიესა მასურებელმა გულთბილად მიიღო და ავტორი ტაშით დააჯილდოვა.

პირველი წარმატებით აღფრთოვანებულმა ენერგიულად მოჰკიდა კალამს ხელი და მალე გახდა ცნობილი დრამატურგი. ზურაბ ანტონოვის პიესები (ორიგინალური და გადმოკეთებული), გიორგი ერისთავის პიესებთან ერთად, მტკიცედ დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში. ეს პიესები იყო თეატრის ერთ-ერთი დასაყრდენი.

1854 წლის ნოემბერში, როცა გიორგი ერისთავი იძულებული გახდა თეატრი დაეტოვებინა, მისი ადგილი დაიკავა ზურაბ ანტონოვმა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში უცნაურ პირობებში გარდაიცვალა. დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. საფლავი არა ჩანს (იქვეა დაკრძალული გრიგოლ რჩეულიშვილიც. არც მისი საფლავი ჩანს).

ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო და მემკვიდრე არ დარჩენია.<sup>4</sup>

ორიოდე სიტყვა ზურაბ ანტონოვის გარდაცვალების ვერსიაზე. დღემდე არსებობს ორი, ერთმანეთის სანინააღმდეგო ვერსია. ერთი ვერსიით, იგი ქუჩაში ცოფიანმა ძაღლმა დაგლიჯა და გაცოფდა და საშინელ ტანჯვაში დალია სული (იხ. ივანე კერესელიძის „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, გაზ. „ივერია“, 1893 წ. 17). მეორე ვერსიით, ძაღლმა ხელზე უკბინა, ის ძაღლი ცოფიანი არ ყოფილა. აბა რა მოხდა? ზირაბ ანტონ-

ნოვმა მირონ ამიროვზე დანერა პიესა „კიზიროკი“... ამიროვ-  
მაც სასტიკად იძია შური. ფულიანმა კაცმა მოისყიდა პოლიცია  
და ანტონოვი დაატუსაღებინა. ხუთი დღე ჰყავდათ ციხეში, იქ  
სანამლავი შეასვეს და განთავისუფლების მეორე დღეს (შინ  
დაბრუნებული) გარდაიცვალა. ხმა კი გაავრცელეს — „ზურაბ  
ანტონოვი გაცოფდა და მოკვდაო“ (იცოდნენ, რომ ძაღლის მი-  
ერ იყო დაკბენილი და ეს შემთხვევა გამოიყენეს). ხალხმაც და-  
იჯერა. ასე რომ, „ანტონოვი მოკლა ძაღლის ნაკბენმა კი არა,  
არამედ მირონ ამიროვის ცოფმა“ (იხ. ალალო თუთაევის „დრა-  
მატურგი ზურაბ ნაზარის ძე ანტონოვი, ჟურნ. „თეატრი და  
ცხოვრება“, 1910 წ. 12). გარდაცვალების შემდეგ მისი ბიბლიო-  
თეკა (ნიგნები და ხელნაწერები) ჩაიბარა პოლიციამ და გაანად-  
გურა (აქ მოსპეს ის პიესაც - „კიზიროკი“). ეს ყველაფერი მოი-  
მოქმედა მირონ ამიროვმა.

### **ზურაბ ნაზარის-ძე ანტონოვის ცხოვრება**

1876 წ. თბილისში გამოიცა „თხზულებანი ზ.ნ. ანტონოვისა“. გამოცემელნი წინ ურთავენ ზურაბის ძმის გრიგოლ ანტონო-  
ვის ცნობებს თავის ძმაზე. აი, ეს ცნობებიც:

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1920 წლის 9 თებერვალს. იყო  
გორელი სომეხი ვაჭრის ნაზარ ანტონოვის პირველი შვილი.

ბავშვობითვე ქონდა ნიჭი და გონივრული სიტყვა-ლაპარა-  
კი. 6 წლის იყო, როცა მამამ მისცა ერთ სომეხ მღვდელს წიგნის  
სასწავლებლად. ერთ წელში ისე კარგად ისწავლა წერა-კითხ-  
ვაც ქართულად და სომხურად, რომ იმ მღვდელს უთქვია ნაზა-  
რასთვის: ამისთანა ნიჭიერი ყმანვილი ჯერ ჩემს თვალს არ  
უნახავს „ეს უნდა სხვა რაღაც რამ გამოვიდესო“.

შემდგომ წლის თავზე მამამ მისცა გორის უეზდის სასწავლე-  
ბელში. აქ რთვეზე დაასრულა პირველი კლასი და გადავიდა მეორე-  
ში. ეს მეორეც 6 თვეზე დაასრულა და უპირებდნენ მესამე კლასში.

იმ სკოლის ზედამხედველს (სმოტრიტელი) – სარაჯოვს ეთ-  
ქვა ნაზარისთვის: ნუ დაუხშობ ამას ასეთ გონებას „გაგზავნე  
ეს ყმანილი უმაღლეს სასწავლებელში და ეს საჩვენებელი რამ

კაცი გამოვაო". მაგრამ ნაზარმა მას არ დაუჯერა და მესამე კლასში გადასვლაც აღარ დააცალა, რომ იქიდანაც გამოიყვანა. ეს იყო მისი სწავლა.

18 წლამდე სულ სახლში იყო სულ წიგნებისა და ხელნაწერების კითხვაში იყო. მისდევდა აგრეთვე ხატვას. შემდეგისთვის კარგად ისწავლა ხატვა.

დასწერდა წიგნებს, ვითომც სხვასა სწერდა და იმავე წიგნებით პასუხს თითონვე დასწერდა სხვის მაგივრად, თითქოს იმისთვის მოუწერიათო. სულ ამისთანა მიწერ-მოწერაში იყო. სწერდა ლექსებსაც. „ხან რალაც ლექსებს სწერდა, ხან რას და ხან რას“.

როცა 18 წლისა გახდა შევიდა სამსახურში გორის უეზდის უპრავლენიაში. იქ მსახურობდა ის 4 წელიწადი მწერლათა. „იმ ოთხის წლის განმავლობაში რაც ქალაქები გადაეწერა თითონ და ან სხვა ქალაქები წაეკითხნა, სულ ზეპირად ახსოვდა ის ქალაქდებიცა და იმ ქალაქდების ძალაცა“. კანონები მამაო ჩვენოსავით გაიზეპირა.

მაგრამ იმას არ ყავდა შემწე და არ ჰქონდა პროტექცია. უფრო უნიჭოებს წინ უშვებდნენ, აწინაურებდნენ და მაგას კი უკან ნევდნენ, გაუტყდა გული და გამოვიდა სამსახურიდან.

იმყამად მამაც მოუკვდა, რაკი თავისუფლება იშოვა იყარა ჯავრი წიგნებზე. კითხულობდა სომხურ, რუსულ და ქართულ წიგნებს. სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ წერდა პიესებს რუსულად და ქართულად. თუმცა გრამატიკული შეცდომები ბევრი ჰქონდა, მაგრამ კარგ აზრიანს წერდა.

როდესაც დაწესდა ქართული თეატრი, შევიდა იქ და შესვლის დღიდან დაიწყო წერა ქართული პიესებისა. დასწერა პირველად კომედია - „მე მიინდა კნეინა გავზდე“. გ. ერისთავის შემდეგ ქართული თეატრის დირექტორად დაინიშნა, მაგრამ დანიშენიდან ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

1854 წელს ერთ საღამოს მიდიოდა სახლში. ქუჩაში ძაღლს ეკბინა ხელზე. ნაკბენი მესამე დღეს მოურჩა. ეჭვი შეეპარა, იქნებ ის ძაღლი ცოფიანი იყოვო და წამალი გააკეთებინა. უნდა დაეღია, მაგრამ, რომ ძაღლის პატრონს ეთქვა, ის ძაღლი ცოფიანი არ იყოვო და ძაღლიც, ეჩვენებინა. ამის გამო აღარ დაღია წამალი.



ერთ საღამოს, დეკემბრის 9 თუ 13 უცებ დაიძახა: მიშველეთო! მე იმ დროს 17 წლისა იმასთან ვიყავი და არ ვიცოდი რითი მივშველებოდი. ახლოს ტატიევი (მსახიობი) იდგა და ის ჩამოვიყვანე. რა იმან ფანჯრიდან ზურაბი ამ ყოფაში ნახა, მიშველების მაგიერ პოლიციას დაუძახა: ზურაბი გაცოფიანდაო.

პოლიციამ კი კარები ჩაკეტა. გარეთ არ გამოვარდესო. ძმა იხვეწებოდა: მიშველეთ! რათა მკლავთ. რას ხედავთ ჩემშიო? ასე იყო ვიდრე 3 საათამდის. მე კარებს ვეხეთქებოდი, მაგრამ მომცხეს და გამომავდეს.

ეს რეიდს (გენერალი რეიდი იყო იმ დროს დროებით ვორონცოვის მაგიერ) შეეტყო, ებრძანებინა: კარები გაუღეთ და სასწრაფოდ გოსპიტალში წაიყვანეთო. ესეც მოიქცნენ, მაგრამ ექიმები რალას უშველიდნენ. სანამ უკანასკნელ ჟამში არ მიიყვანეს, არ გაუღეს კარები და მერე რა ეშველებოდა და საღამოს 6 საათზე იმავე დღეს გარდაიცვალა, 9 თუ 13 დეკემბერს, ეს რიცხვი კარგად არ მახსოვს.

ეს ამბავი მოხდა ძალღის კბენის 44-ე დღე ცოფიანის არაფერი ნიშნები არ ჰქონდა, სრული გონებით იყო, კაცს არ ერჩოდა.

რაც სახლში ჰქონდა ნივთები ყველა პოლიციამ წაიღო აკურკა უნდა ვუყოთო. წაიღეს მთელი მისი ბიბლიოთეკა და ხელნაწერი პიესები, დაუბეჭდავნი. მათ შორის ერთი ახალი პიესა, რომელიც ჯერ გადათეთრებულიც არ ჰქონდა. „თითონ მითხრა, რაც პიესები დამინერია, ამისთანა პიესა არც ერთი არ არისო, ყველა ჩემს დანერილს პიესას ესა სჯობიანო“.<sup>5</sup> ეს პიესა სიკვდილის 5 დღით წინ დაამთავრა. ეს ნივთები და წიგნები სულ პოლიციაში დაიკარგა.

იყო ჩქარი მოლაპარაკე, პირში მთქმელი, პურადი. ამასთანავე საკმაოდ გულფიცხი, ასე რომ ერთხელ შუადღისას ერთ მოდავეს (მირონ ამიროვს), რომელიც რვა წელიწადი ვენახს ედავებოდა, კარგა სცემა ნიჩბის ტარით.

საზოგადოებაში ყველგან კარგად იყო მიღებული და ყველგან უყვარდათ. „დაიარებოდა იმაში, უტყეროდა ამათს ჩვეულებას, იმათს მოქმედებასა, იმათ ლაპარაკს და იქიდგან უეჭველად გაა-

კეთებდა რამეს და დასწერდა; აგრეთვე ქუჩაში, რომ მიმავალიყო და ენახა სადმე ერთად შეკრებილი ხალხი და ნალაპარაკევი ამ ლაპარაკიდგანაც უეჭველი იყო შეადგენდა რასმეს და დასწერდა. ამისი წერა როგორ იყო? ორ კვირას, ბევრჯელ ერთს თვესაც არას დასწერდა. ერთი უცებ დილით დაიწყობდა წერას და საღამოზედ პიესა მზათა ჰქონდა. იმან დასწერა პიესები: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „მზის დაბნელება“, „ქორნილი ხევსურთა“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „ქორნილი“, „ტივით მოგ ზაურობა“. ეს ზემო პიესები დაბეჭდილები იყო და ეს ქვემო ექვსი პიესა არ იყო დაბეჭდილები, ესე იგი: „თეთრი დათვი ფაშისა“, „ქმარი ცოლის მაყარი“, „კოტრი ზარაფი“, „ჯერ მოკვდნენ, მერე დაქორწინდნენ“, „ახ, მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე!“ და ერთი ახალი პიესა ბოლოს ჟამში დაწერილი, რომელიც არ იყო ჯერ წარმოდგენილი სცენაზედა“.

გრიგოლ ანტონოვი

ქ. გორს, 16 იანვარს 1876 წელსა.

„ამაზე ვრცელი ცნობები ვერ შევკრიბეთ ზოგიერთი წერილი ამბების გარდა.

პირველ ხანებში როდესაც გიორგი ერისთავმა ქართული თეატრის ტრუპა შეადგინა, ანტონოვი იმაში პირველი იყო და პირველს წელიწადსვე გამოიჩინა ნიჭი სცენაზე და წერაში. დასწერა „მე მინდა კნეინა გავხდე“. ამბობენ ამ პიესის წერაში და აგრეთვე ამას შემდეგაც დაწერილებში ერისთავი ეხმარებოდა და უსწორებდაო, ზოგიერთს სიუჟეტს იგივე აძლევდაო, ანუ ნამდვილს ორიგინალურს, ანუ რუსულ პიესებიდგან. ზოგი ავტორს მოხსენებული აქვს, რომ რუსულიდამ გადმოუკეთებია მაგრამ ამასთანავე საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ იმის დაწერილს პიესებში უფრო ბევრი სურათებია ნამდვილის ჩვენის ცხოვრებიდამ გადმოღებული ვიდრე ორიოდე ერისთავის თხზულებაში. მაგალითად „ხევსურთ ქორნილზე“ გაგვიგონია, რომ ერთ დილით შეხვდნენ ხევსურები ქალაქს ჩამოსულები, მივიდა მათთან რიყეზე, გამოჰკითხა ყოფაცხოვრებით ამბავი,

დასწერა რამდენიმე მათი ლექსი და იმავე ლამეს დასწერა მთელი ზემოხსენებული პიესა.

ანტონოვმა სცენაზე პირველსავე გამოსვლაზე გამოიჩინა იმოდენა ნიჭი, რომ საზოგადოებას შეუყვარდა. ვაჭრები ეჯავრებოდა თურმე, მაგრამ ვაჭრებს კი ის უყვარდათ, ხშირათ ინვევდნენ თავის ოჯახებში და მეჯლისებს უკეთებდნენ. აქ ბევრს ოხუნჯობდა და კალამბურებს ეუბნებოდა. უყვარდათ, თუმცა ამასთანავე ეშინოდათ კაცებსაც და ქალებსაც და ხშირად გაიგონებდით: „დაჩუმდით, გენაცვალეთ, დაგვენერსო“.

ზოგნი ამბობენ, რომ ამგვარი წარმატება შემურდათ თურმე სხვა ავტორებსაო და თვით გიორგი ერისთავსაც ანტონოვზე გული ააყრევინესო ასე, რომ ერისთავი აღარ სწყალობდაო. ზოგნი ერისთავისა და ანტონოვის ერთმანეთში უსიამოვნებას თვით ანტონოვს აბრალებენ რაღაცა ანგარიშით დავთრების დაკარგვისა გამო. ვინ იცის ამ ორში რომელი არიან მართალნი? აქტიორთა შორის ყოველთვის ჩამოვარდება ხოლმე შუღლი და მტრობა. იქნება ეს ზოგადი ჭირი ყოველის ტრუპისა იყო მიზეზი ერისთავისა და ანტონოვისა შორის უსიამოვნების ატეხისა.

ანტონოვის პიესებს მაინც უეჭველი ნიჭი ატყვია და მით სამწუხაროა მისი ადრე სიკვდილი, რომ არამც თუ ქართულმა მწერლობამ და თეატრმა დაკარგა ნიჭიერი მწერალი, თვით ქართული სცენის მოშლაც იქნება იმის სიკვდილზე იყო დამოკიდებული. გიორგი ერისთავი თვითონვე გამოვიდა თეატრიდან და დირექტორობას თავი დაანება. მას შემდეგ ანტონოვი იყო დანიშნული დირექტორათ, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ აღარც ანტონოვი იყო ცოცხალი და საკუთარი ქართული სცენაც დღეს აქამომდე მოსპობილია“.

1871 წ. მარტის 10-სა.

გამომცემელნი

(ვინ არიან? – არ ჩანს ნ.ვ.)

[ივ. კერესელიძე] - „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“  
/„ივერია“, 1893 წ. 17/

(მოგონება ან განსვენებულ ივ. კერესელიძისა)

1949 წელს, როდესაც, განსვენებულის ვარანცოვის სურვილით, ტფილისის გიმნაზიის ზალაში, დროებით განმართულს სცენაზე, წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“, სადაც დაესწრო თვითონ ვარანცოვი და ძლიერ მოეწონა კიდევ ქართული წარმოდგენა, ზურაბ ანტონოვს გორში ჰქონდა მწვრილმანის დუქანი და ჰყვანდა ამხანაგად თავისივე ძმა. მანამ მართებლობა დაანესებდა ტფილისის თეატრში ქართულს წარმოდგენებს, გიორგი ერისთავი შეადგენდა ქართულს ტრუპას და დაავარჯიშებდა როლების სწავლით, ზურაბ ანტონოვი და იმისი ძმა ისე გაკოტრდნენ ვაჭრობაში, რომ ჩაიფლნენ ვალებში. სხვათა შორის, გორის უეზდში ერთი შემძლე კაცი იყო, მირონ ამიროვი, რომლის ვალი დაატყდათ თითქმის ორას თუმნამდე. საიდან უნდა მიეცათ ეს ვალი გაკოტრებულ და სიღარიბეში ჩავარდნილთა ძმათა. ამიროვმა აუტეხა დავა ამ ფულზედ და საჩივარი დაუწყო ორივე ძმებსა ტფილისის საოლქო სამსჯავროში, სადაც ზურაბ ანტონოვი დაუხვდა გაბედვით, რადგანაც ცოტაოდენი რუსული ენა იცოდა და ეს ცოდნა მიეღო გორისავე სკოლაში. ამ ამიროვთან დავამ ისე გამოქნა, რომ ამიროვის საჩივრის პასუხებს თვითონა სწერდა და, მინამ შეიტანდა პასუხს სამსჯავროში, უნდა რამდენჯერმე ეჩვენებინა მცოდნეთათვის და გაესწორებინა. იმისი რუსული ლაპარაკი იყო ნამდვილად მედუქნური, როგორც გორელმა სომეხმა, სომხური ხომ სრულებით არ იცოდა და, თუ ორიოდე სიტყვა ესმოდა, ისიც ბაზაზხანის ბიჭების ლაპარაკითგან მიეღო.

ანტონოვი ამ დავამ ამიროვთან ისე დაალატაკა, რომ როგორც მათხოვარი, ხან ერთს სთხოვდა შემწეობას და ხან მეორეს. ქართული წარმოდგენები ამ დროების განმავლობაში კიდევ დაიწყეს და ანტონოვი, როგორც მცნობი აქტიორებისა და აქტრისებისა, რომელნიცა იყვნენ თითქმის ერთიან გორის უეზდისანი და ესეც იქიდან იყო, აკტიორ-აკტრისებს ედევნებოდა და წარმოდგენის დროს ხან ერთს შეჰყვებოდა, ხან მეორეს სცენაზედ. ისე დაშინაურებული იყო ტრუპასთან, რომ რომელს ოთახშიც ქალები ირთვებოდნენ, იმ ოთახში თავისულად შედიოდა და გამოდიოდა, ზოგჯერ სამსახურსაც უწევდა და,

თუ ვისმე რამ დასჭირდებოდა, წავიდოდა და მოუტანდა. ის მაშინ იქნებოდა ოცდათორმეტის, თუ ცამეტის წლის კაცი. იყო პირ მრგვალი, ქერა, არც ძალიან მსუქანი და არც ძრიელ გამზდარი, ხშირად ეცვა მახოხის ფერი ზაფხულის პალტო ზამთარ-ზაფხულ (სერთუქს სრულებით არ ხმარობდა); ცალ ფეხზედ ეცვა პალტოსავე ფერი პოლსაპოჟკა და მეორეზედ ჩექმა, უქონლობის გამო, - ერთის სიტყვით, ვისაც რა ეჩუქებინა ან გზაზედ სადაც რამ ეპოვნა.

ყოველს წარმოდგენაზედ, ამ სახით დაესწრებოდა ხოლმე ანტონოვი და კულისებითგან მოისმენდა, როგორც ლაპარაკს, ისე მოქმედებას. ბოლოს ისე შეუყვარდა ქართული წარმოდგენა, რომ გიორგი ერისთავსა სთხოვდა, მიეღო ისიც თავის ტრუპაში. ერისთავმა კარგა მუშტარის თვალით შეხედა და თუმცა ვერ მოიწონა, მაგრამ მიიღო და საცდელად მისცა პირველად სომხის როლი „გაყრაში“. ის ვერ გამოდგა ღირს აქტიორათა და ისე წაახდინა ის როლი, რომ სრულებით გააფუჭა წარმოდგენა. ერისთავმა დაუნიშნა თხუთმეტი მანეთი ჯამაგირი, მაგრამ ამ პირველ წარმოდგენის შემდეგ, თუმცა მოინდომა ანტონოვის დათხოვნა, მაგრამ ევედრებოდა, არ დაეთხოვნა რადგანაც მშიერი მოკედებოდა, და სთხოვდა, თუმცა სომხის როლს ვერა თამაშობდა, სააშუალო როლს უკეთ ვითამაშებო. მაგრამ, ვერც აქ გამოაჩნდა ნიჭი. მეტი გზა აღარ იყო და ერთს დღეს გამოუცხადა ერისთავმა, რომ დღეითგან დათხოვნილი ხარო. ამის თქმა იყო და ანტონოვმა თავის დაგლეჯილის ნაცრის პალტოს ჯიბითგან ამოიღო ერთი რალაც რვეული. ამას გადმოეკეთებინა კომედია ორის კვირის განმავლობაში „ქმრები გავაბით მახეში“. ეს კომედია რომ მიართო ერისთავს, ერისთავმა დაცინებით უთხრა, შენი დანერილი კომედია რა იქნებაო, ის კი არა და მეორე კვირას რო წარმოადგინეს თეატრში, ხალხმა ძრიელ მოიწონა, შექმნეს ტაშის კვრა და გამოიწვიეს სცენაზედ ანტონოვი, რომელიც თავის დაგლეჯილის ტანთსაცმლით გამოვარდა და თავს უკრავდა მაყურებელთ. ეს ერისთავმა ძრიელ იწყინა, თუ როგორ ვაბედა სახალხო სცენაზედ გასვლა იმ ტანისამოსით და ერისთავის ნება დაურთველად. ეს პირველი კომედია

ხალხს რომ მოეწონა, ანტონოვი შეიქნა გამბედავი, მიეცა ხალხისი და შეუდგა წერასა. ყოველ ორ კვირაში და სამ კვირაში სწერდა და მოარბენინებდა ერისთავთან წარმოსადგენად.

ერისთავი ცოტა შურიანი კაცი იყო: თუ შენიშნავდა ვისმე ნიჭს, იმას მოიმდურებდა და, თუ ნახავდა, დამწერი სანყალი იყო, იმის თხზულებასაც თითონ დაიჩემებდა. ამ გვარად გამოართმევდა პიესას, გადაასწორებდა, გადმოასწორებდა და თავის სახელობაზედ წარმოადგენდა სცენაზედ. ეს ანტონოვთან ველარ იკადრა, რადგანაც თავის თხზულებებით, რომელიცა ხალხს მოსწონდა და აქებდა, ისე გაამაყდა, რომ ერისთავს აღარას უთმობდა. ერისთავი გადაეკიდა, ხან აკტიორობიდგან დაითხოვდა, ხან მიიღებდა და ხან თხზულებებსაც უწუნებდა, მაგრამ ხალხის სურვილი იყო, იმისი დანერილი ყველა წარმომდგარიყო. ერისთავმა აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ მოეშორებინა ეს ამაყი კაცი, რომლის მხარე მთელს ტრუჰას ეჭირა და პატივსა სცემდა.

ერთხელ პლატონ იოსელიანი, ნუმიზმატიკი ბარტოლომეი, რომელიცა გენერალი იყო და მსახურობდა ვარანცოვთან, გიორგი მუხრანსკი და რამდენიმე პირნი სხვა ნავიდნენ გორში უფლის ციხის სანახავათ, ანტონოვი ჩუმათ დასდევნებია და ესეც, როგორც ამაყი და მეტიჩარა, იქ ნახვის დროს დასწრებია. იქიდან ეს ნასწავლი ტფილისში დაბრუნებულა ტივით. მოვიდა თუ არა ქალაქს, ანტონოვმა სამის დღის განმავლობაში დაუწერა კომედია „ტივით მოგ ზაურობა“. დაწერა თუ არა, აუტანია სახლში და მიუერთმევია ვარანცოვისათვის, რომელმაც დიდის სიამოვნებით მიიღო და აჩუქა ოქროს საათი. ამ შემთხვევამ ხომ სულ ფრთები შეუსხა ანტონოვსა და ერისთავი ხომ სულ გადარია, იმის სიძულვეს საზღვარი აღარ ჰქონდა. ის აუხირდა ანტონოვს, მიიმხრო პლატონ იოსელიანიც, ბარტლომეიც და გიორგი მუხრანსკიც, რომელიც იყო იმ დროს ვარანცოვის საკუთარ მინდობილობის ჩინოვნიკად, და ამათ ერთად უჩივლეს ვარანცოვთან, ეს ვილაცა ანტონოვი არის, ჩვენზედ კამედიებსა სწერსო, და თქვენ, ნაცვლად დასჯისა, საჩუქრებს აძლევთო. ვარანცოვს ძრიელ ეწყინა ამათი საჩივარი და უთხრა, ნაცვლად იმისა, რომ

მწერალი წაახალისოთ, თქვენ უჩივითო. მწერალი იმისია, რომ ხალხიდგან აიღოს სურათები; ვისაც სურს, ჩემს ნაკლულოვანებაზედ სწეროსო და მე არ მენყინებაო. კელავ გთხოვ, მაგვარ უბრალო საჩივრებზედ აღარ შემანუხოთო.

უნდა ვთქვათ პირუთენელად, რომ, როგორც ზემოთა ვთქვი, ერისთავს ჩვეულებათა ჰქონდა, თუ ნახავდა, რომ კომედიის დამწერი უძალო კაცი იყო, არავითარი გავლენა ჰქონდა და არა შეეძლო-რა, იმის ნაწერს თვითონ შეითვისებდა და თავის სახელობაზედ წარმოადგენდა, როგორც ქართულის თეატრის დირექტორი, - ამ გვარადა, შეითვისა, ჩემგან „თილისმის ხანი“, ერთი კომედიაც შეითვისა აქტიორის მეიფარიანისა, და ანტონოვისა - კი ვერ იკადრა, რადგანაც ის იყო ამპარტავანი, ამაცი, გამბედავი და არას უთმობდა ერისთავსა.

ერთხელ წავედით და ვიჩივლეთ ერისთავზედ, კომედიებს გვართმევსო, ამის მიზეზით ერისთავი ცენზორობითგან დაითხოვეს (ის ცენზორიც იყო, საკუთარის მინდობილობის ჩინონიკიც ვარანცოვისა და დირექტორიც ქართული თეატრისა).

1853 წელს გაჩნდა ოსმალეთთან ომი, ვარანცოვი წავიდა რუსეთში და გადადგა სამსახურიდან. ერისთავს წაყალობელი თ. ვარანცოვი რომ მოაკლდა, ისიც გამოვიდა სამსახურიდან, მიანება თავი თეატრსაცა და დაბინავდა თავის მამულ ხიღისთავში; მეც, როგორც ერისთავის თანაშემწემ შრომაში, თავი მივანებე და შეველი სამსახურში.

ქართულმა სათეატრო დასმა თავის წინამძღომელად ამოირჩია ზურაბ ანტონოვი, რომელიც თანა სწერდა პიესებს და თან წარმოადგენინებდა. თითონ-კი აღარ თამაშობდა, რადგანაც თამაშობით ნიჭი არა ჰქონდა. თეატრის საქმე ველარ მიდიოდა ისე, როგორც გიორგი ერისთავის დროს, ერისთავს თეატრისათვის ეძლეოდა წელიწადში ხუთასი თუმანი და, რა თავი დაანება იმან თეატრს, მართებლობამ ეს ფული მოუჭრა და მარტო წარმოდგენების შემოსავალით ანტონოვი როგორ შეიკავებდა ქართულს თეატრს.

ამ დროს ნამესტნიკათ მოვიდა მურავიოვი, რომელსაც სძულდა თეატრიც და ამ გვარი შესაქცევარი საგნებიც. ოპერა

მოსპო, ბალეტი დაშალა, ქართველი აკტიორ-აკტრისები გამო-  
არეკინა და მარტო რუსული თეატრი მისცა გაბრიელ შადიხოვს  
იჯარითა. ანტონოვს ფრთები შეეკვეცა, ცხვორების საღსარი  
აღარ ჰქონდა.

ის შეუდგა ეხლა თავის თხზულებების ბეჭდვასა. აგროვებდა  
მცნობებში ფულსა (და ვინ არ იცნობდა იმასა, მეტადრე მე-  
დუქნეები). ბეჭდავდა თავის თხზულებებსა, ამოიჩლიაებდა  
რამდენსამეს ილლიაში, დადიოდა მიგლეჯილ-მოგლეჯილი  
ბულვარზედ და მცნობებს ეხვეწებოდა, ვინც გზაზედ შეხვედე-  
ბოდა, ეყიდნათ თითო-ოროლა ნიგნი. ამ ყოფა-ცხოვრებაში, ამ  
ვაებაში მიდიოდა იმისი სამწუხრო სიცოცხლე. ბოლოს დანერა  
იმან ერთი შესანიშნავი კომედია, რომელსაცა ერქვა „ცრუპენ-  
ტელა“, როდესაც ნაგვიკითხა, ძრიელ მოგვენონა და ჩემის აზ-  
რით, ისა სჯობდა ყოვლის იმის დანერილებს. თეატრი აღარ  
იყო, რომ წარმოედგინათ, ამისთვის მოინდომა და ურჩიეთ კი-  
დეც დაებეჭდა, - ჯერ მე მაშინ „ცისკარი“ არა მქონდა – მაგრამ  
ლონისძიება არა ჰქონდა. იმ დროს ტფილისის გუბერნატორი-  
ად იყო ივან მალხაზიჩ ანდრონიკოვი, ახალციხეში რომ გაი-  
მარჯვა და ოსმალეთის ჯარი გარეკა. ერთ დღეს ავიდა ანტო-  
ნოვი ივან მალხაზიჩთან და ეხვეწა, ერთი კამედია მაქვს, ახ-  
ლად დანერილი, სახსარი არა მაქვს დავბეჭდო და ათი თუმნით  
ხელი გამიმართეო. იმან ვექსილი ჩამოართვა და ათი თუმანი  
ასესხა ამ კომედიის დასაბეჭდათ. წარმოიდგინეთ იმის უბედუ-  
რება! უბეში უდევს ფული და მიდის სიხარულით საპერის ქუჩა-  
ზედ, იმ სიამოვნებით, რომ იმისი კამედია დაიბეჭდება. ამ  
დროს ერთ სახლითგან გამოუვარდება ერთი დიდი ქოფაკი  
ძალლი, წაიგდებს ქვეშ, ჰვლეთავს და გლეჯავს შეუბრალებ-  
ლად; დაეხვევა ხალხი; ამ ნევა-გლეჯაში და არეულობაში ის  
ფულიც დაეკარგება და დესეტნიკები ცოცხალს მკვდარს მიიყ-  
ვანენ თავის მაგრად კლიტით დაკეტილს ოთახში, რომელიც  
დაქირავებული აქვს მთანმინდაში, ერთს მიყრუებულს და მი-  
ვარდნილს ქუჩაში. შეიყვანენ ანტონოვს ოთახში, სადაც დგას  
უბრალო ფიცრის ფეხ-მოტეხილი კრაოტი, რომელზედაც შლია  
ძონძიანი ლოგინი, ცალ კუნჭულში დგას უბრალო სტოლი,



სტოლის ნინ უბრალოვე ხის სკამი, სტოლზედ სანერ-კალამი, ხელნაწერი რვეულები, ქვის იატაკზედ, თავისგან გამოცემული წიგნები, რის გაყიდვა ველარ მოუსწვრია, მიანვენენ ქვეშაგებში, მიანებებენ თავს და წავლენ თავის გზაზედ. იქა წევს ზურაბ ანტონოვი, მშიერი, მწყურვალი, მარტოდ-მარტო. არსით ნუგეში, არსით პატრონი! ერთი ძმა ჰყვანდა, ისიც სადღაც დგას გორისკენ მოჯამაგირედ ლუკმა პურისათვის.

ორის კვირის უკან შევიტყვე ის ანბავი და მაშინვე გავეშურე სანახავათ, ვფიქრობდი შემწეობას მოვცემდი რასმე, თანა მყვანდა იმისი ამხანაგები აქტიორები, ტატიევი, კორძაია, ელიოზოვი და ნატიევი. მივახლოვდით თუ არა სადგომს, შემოგვესმა გულ-საკლავი, საზარელი ხმა. კარები იყო გარეთგან კლიტით დაკეტილი, ჯაშუშათ პოლიციას დაეყენებინათ დესეტნიკი, რომელიც არავის უშვებდა ახლოს. თურმე ნუ იტყვივით, ის ძალღი, რომელმაც დაგლიჯა, ყოფილიყო ცოფიანი. მორევია ცოფი სანყალს ანტონოვსა, უყვირის, ნივის, დორბლები მოსდის პირითგან, თხოულობს წყალს, იხვენება, თოფი მესროლეთო. ამ ოთახსა ჰქონდა მეორეთგან ერთი ფანჯარა, რკინის ბადის მქონებელი. გულმა აღარ გამიძლო, მიველ და შევხედე იხვენება იმუდარება: „ბატონო ივან ივანიჩ! ბატონებო: იოსებ (ელიოზოვი იყო), გიორგი (ტატიევი), თქვენი ჭირიმეთ, თოფი მესროლეთ, მომკალით, - ან წყალი მასვით, წყალი ღვთის გულისათვის! თქვენი ჭირიმეთ!“ რომ მოიქანცება, დავარდება მინაზედ და ისე, ამ ტანჯვაში ვნახეთ საცოდავი ზურაბ ანტონოვი. მეორეს დღეს მიველით კიდევ ეს ოთხივე, ვნახეთ გადაცვლილიყო, პოლიციას მოეტანა ერთი შეუღლებავი ფიცრის კუბო, ოთხი თუ ხუთი დესეტნიკი მოსულიყო, ანდერძს უგებდა მთანწინდის მღვდელი თომა გრიგორიევი. რა გაათავა ანდერძი, ასნიეს კუბო ამ ოთხმა დესეტნიკმა და უმღვდლოდ წაიღეს ვერის სასაფლაოზედ. ჩვენ მხოლოდ ოთხნი მივდევდით უკან საუკუნო ბინამდინა. ასე ამ მწუხარებით გათავდა ანტონოვის ცხოვრება.

დავბრუნდით თუ არა, გვინდოდა როგორმე ხელთ გვეგდო ახალი კომედია, მინამ მოვიდოდით, აენერათ წიგნები, დაესვა

პოლიციას ბეჭედი, ცალკე გუბერნატორის ვალში და ცალკე იმისათვის რომ, მინამ მემკვიდრე გამოჩნდებოდა. წიგნები გაყიდეს ბოლოს საჯაროთ და ხელნაწერები აწყვია პოლიციის არხივში. თუმცა ბევრი ვქექე, ვეძებე არხივში ის კომედია, მაგრამ იმისი მე ველარა გავიგე-რა: სად გაქრა, სად წავიდა, აღარა ვიცი-რა.

ივანე კერესელიძისა და გრიგოლ ანტონოვის მიერ მოწოდებულ ცნობებს შორის თუმცა ბევრი სხვაობაა, მაგრამ ორივე საინტერესოა და გასათვალისწინებელი სიტუაციის ნამდვილად, რეალისტურად აღსადგენად.

ზურაბ ანტონოვი სამწერლო ასპარეზზე გამოდის გასული საუკუნის 50-იან წლებში (და დაასრულა მოღვაწეობა (და სიცოცხლეც) იმავე 50-იან წლებში).

დრამატურგად აქცია გიორგი ერისთავმა და მისმა თეატრმა. თეატრმა „აიძულა“ ეწერა პიესები (ვინ იცის, გორში რომ დარჩენილიყო, იქნებ ვერც მიმხვდარიყო, მასში დრამატურგი თურმე თვლემდა).

თავისი პიესებით ძალიან შეუწყო ხელი თეატრს, გაამდიდრა მისი რეპერტუარი.

ის იყო გიორგი ერისთავის როგორც თეატრის ხელმძღვანელისა და რეჟისორის თანაშემწე. ძალიან წაეშველა გიორგი ერისთავს ამ საპატიო საქმეში.

სამწერლო ასპარეზზე ის მოღვაწეობს (შემოქმედებით მუშაობას ეწევა) სულ რაღაც 4 წლის მანძილზე (1851-54 წლები). მისი პირველი პიესაა „მე მინდა კნეინა გავხდე“. (დანერა 1851 წლის დასაწყისში და დაიდგა იმავე წლის 10(22) მაისს ხოლო 1854 წ. დეკემბერში გარდაიცვალა).

4 წელი, ცხადია, შემოქმედისთვის ძალიან ცოტაა. მაგრამ ზურაბ ანტონოვმა მოასწრო დაეწერა პიესები და თავისი კვალი დაეტოვებინა ქართულ მწერლობაში. ზურაბ ანტონოვის პიესებიდან ზოგი მოღწეულია, ზოგიერთი კი – დაკარგული. ჩვენამდე მოღწეულია 7 პიესა:

1. „მე მინდა კნეინა გავხდე“ - (დღემდე ცნობილი იყო რო-

გორც რუსულიდან გადმოთარგმნილი, თუმცა უშუალო წყარო არავის დაუსახელებია) ორიგინალურია.

2. „ქმარი ხუთი ცოლისა“ - (1 მოქმ. ორიგინალურია. II მოქმედება გარდაკეთებული არის რუსულიდან“. – შენიშვნა თვითონ ზურაბ ანტონოვისა).

3. „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ (პირველ ბეჭდურ გამოცემებში, რომელიც ავტორის სიცოცხლეში გამოვიდა, მითითებულია: „გარდაკეთებული რუსულითგან. ზ. ანტონოვისაგან“).

4. „ქორწილი ხევსურთა“

5. „მზის დაბნელება საქართველოში“

6. „ქოროლლი“

7. „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.

ე.ი. მოღწეული პიესებიდან ყველა არაა მთლად ორიგინალური. უდავოდ ორიგინალური პიესებია: 1) „ქორწილი ხევსურთა“, 2) „მზის დაბნელება...“, 3) „ქოროლლი“, 4) „ტივით მოგზაურობა“ და (5) „კიზიროკი“ (ეს დაკარგულია)).

ზურაბ ანტონოვი თავისი პიესები დააბეჭდვინა 1851 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „მე მინდა კნეინა გავხდე“. 1852 წელს დაიბეჭდა 3 კომედია: „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და „ქორწილი ხევსურთა“. ამავე 1852 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი პიესების კრებული რომელშიც შევიდა ზემოდასახელებული პიესები.

1853 წელს დაიბეჭდა „ქოროლლი“, 1854 წ. - „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.

ზურაბ ანტონოვის თხზულებათა სრული კრებული გამოვიდა მოგვიანებით (მწერლის გარდაცვალების შემდეგ) – 1876 წელს. ამ გამოცემაში შევიდა ანტონოვის შვიდივე პიესა (ჩვენს მიერ დასახელებული რიგით). ვინ არიან გამომცემელი, არა ჩანს. ერთ-ერთი გამომცემელი უნდა იყოს ძმა – გრიგოლ ანტონოვი. გამოცემას ერთვის გრიგოლ ანტონოვის წერილი ზურაბ ანტონოვის მოღვაწეობაზე, რომელსაც აწერია „გამომცემელი“ და რომელიც სრულად ზემოთ მოვიყვანეთ.

მწერლის თხზულებები მერე გამოიცა 2004 წელს.

გარდა ამისა, ზურაბ ანტონოვს ჰქონდა, მაგრამ დაიკარავა პიესები: 1) „თეთრი დათვი ფაშისა“, 2) „ქმარი ცოლის მაყარი“, 3) „კოტრი ზარაფი“ 4) „ჯერ მოკვდნენ, მერე დაქორწინდნენ“, 5) „ახ, მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე“ და 6) „ორი მდგმური ერთ ეზოში“.

ამ პიესების ნაწილი, იდგმებოდა თავის დროზე. აშკარაა, რომ ზოგიერთი ამათვანი გადმოკეთებულია. ეს ის პიესებია, რომლებიც მწერლის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ხოლო მწერლის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ვიცით, მისი ბიბლიოთეკა (წიგნები და ხელნაწერები) ჩაიბარა და მოსპო პოლიციამ.

ზურაბ ანტონოვის იმ 7 პიესიდან, რომელიც ჩვენამდე მოღწეული, ზოგი კომედიაა, ზოგი – ვოდევილი, ზოგი – დრამა.

**კომედიებია:** „მე მინდა კნეინა გავხდე“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ტივით მოგ ზაურობა ლიტერატორთა“.

**ვოდევილებია:** „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძამ ცოლი შეერთო“.

**დრამებია:** „ქორწილი ხევსურთა“ (კერძოდ საყოფაცხოვრებო დრამა) და „ქოროლი“ (გმირული დრამა).

**(ხოლო დაკარგული პიესები კომედიები და ვოდევილებია).**

ამრიგად, ზურაბ ანტონოვი, კომედიოგრაფია.

შინაარსის მიხედვით მისი კომედიები სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან (თუმცა აქვთ სახასიათო კომედიის ნიშნებიც).

ზურაბ ანტონოვი არის გიორგი ერისთავის სკოლის მწერალი. ორივე რეალისტია. ორივე კომედიოგრაფი. ორივე – ერთი და იმავე ეპოქის მწერალი, ორივე ერთი კუთხიდან. რაკი ორივე რეალისტია, — ეს ნიშნავს, რომ ორივეს მხატვრული ხედვა, მზერა მიპყრობილია მათი თანამედროვე სინამდვილისაკენ (მხატვრულ თხზულებათა ცენტრალური თემა – თანამედროვეობაა, — ეს საერთოდ დამახასიათებელია ყველა რეალისტიკოსთვის) და ამ სინამდვილეს ამ თანამედროვეობას გვიჩვენებენ მართლად, სწორად, უტყუარად.

ე.ი. ზურაბ ანტონოვის შემოქმედების თემაც იგივეა, რაც გიორგი ერისთავისა – ის ამბები, რასაც ადგილი აქვს ჩვენში

40-50-იან წლებში. ესაა ძველი კლასის (თავადაზნაურობის) დაშლა – დაკნინებისა და ახალი კლასის ჩასახვა-განვითარების სურათების ჩვენება.

ზურაბ ანტონოვის თხზულებებში, ისევე როგორც გიორგი ერისთავის ნაწარმოებებში, გამოყვანილი არიან როგორც ძველი კლასის, ისე ახლის წარმომადგელები (ძველი კლასისა – ქართველები, ახლისა – სომხები. ასეა გიორგი ერისთავთანაც. ზურაბ ანტონოვი კარგად იცნობდა როგორც ორივე კლასს, ისე ორივე ენასაც (თვითონ წარმოშობით სომეხი იყო, მაგრამ ქართულ გარემოში გაზრდილი). დაბადებული და აღზრდილი იყო ბურჟუაზიულ ოჯახში, მამა ხომ ვაჭარი ჰყავდა. თვითონაც სცადა ვაჭრობაში ბედი; ასევე კარგად იცნობდა ორივე კლასს და ორივე ერს გიორგი ერისთავიც. გარდა ამისა, ზურაბ ანტონოვიც, ისე როგორც გიორგი ერისთავი, გვიჩვენებს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატ მოხელეებსაც. (ესეც ნაცნობი იყო. ოთხი წელი ხომ მუშაობდა გორის სამაზრო სამმართველოში მდივნად) აქამდე ისინი ერთმანეთს „ემთხვევიან“.

მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი (ერთი საყურადღებო შტრიხი), რითაც ზურაბ ანტონოვი განსხვავდება გიორგი ერისთავისაგან. თუ გიორგი ერისთავის კომედიებში ნაჩვენები არაა დაბალი ფენა, გლეხობა, ზურაბ ანტონოვმა ესეც გვიჩვენა. მართალია, არა სრულყოფილად, მაგრამ მაინც. ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ყველა წინამორბედ და თანამედროვე მწერალს გაასწრო. მწერლისათვის ამ ფენის — გლეხობის ცხოვრებაც ნაცნობი იყო. წარმოშობით ის ხომ გუშინდელი გლეხია (ასეა საეთოდ ყველა ვაჭარი).

ასე რომ, ზურაბ ანტონოვის თხზულებებში ასახულია იმდროინდელი საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ცხოვრება და მდგომარეობა.

საგულისხმოა, რომ ანტონოვმა შემოიტანა გმირული სული ქართულ დრამაში. იმ ტენდენციას, რომელიც აშკარად გამოიკვეთა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში, საფუძველი ზურაბ ანტონოვმა ჩაუყარა.

ზურაბ ანტონოვი ერთნაირი ყურადღებით ხატავდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მცხოვრებთა ყოფას. დრამატურგმა პირველმა ასახა ლიტერატურაში თბილისის ე.წ. „მოქალაქეთა“ — მესაზანდრეების, მეზურნეების ყოფა.

ანტონოვის პიესები დღემდე იდგმება ქართულ სცენაზე. განსაკუთრებით პოპულარულია მისი „მზის დაბნელება საქართველოში“, ის იდგმებოდა ქუთაისსა და თბილისში. მათ შორის რამდენჯერმე კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობითაც. „მე მინდა კნეინა გავხდე“ დაიდგა მესხეთის თეატრში ნანა დემეტრაშვილის რეჟისორობით თეატრის საიუბილეოდ 1974 წ.

დიდად აფასებდა ზურაბ ანტონოვს ილია ჭავჭავაძე. თავის ცნობილ წერილში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ილია წერდა: „...მისგანვე [გიორგი ერისთავისაგან – ნ.ვ.] ფრთა-ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ლობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარიგაონობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის“.

1902 წლ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის ლექსი.

**თეატრის მუშაკთა სადიდებლად  
თავ. გ. ერისთავი**

**ვინც ენა მშობლის ივერიელთა,  
ენა მახვილი და ენა ტკბილი,  
პირველ გვასმინე საჯაროდ ყველას  
და შეგვაყვარე ვით ძმა და შვილი!  
შენ, ვინც პირველმა გაჰკარი ტალკვესს  
და ჩვენში გრძნობა ჩამოაკვნესე,  
რომელმაც ენის თაყვანისცემა  
და სიყვარული გულს შთაგვითესე.**

ჩვენ წილ მოგეზლოს იმავე ენით  
კურთხევა ხალხის, კურთხევა ერის,  
რომელიც აგერ ტკბილის ღიმით  
და მოწინებით შენ შემოგცქერის  
დღეგრძელი იყოს შენი სახელი  
და შენი ხსოვნა ზეცად ამიერ  
დღეს დადაფნილო ჩვენ ყველასაგან,  
უვინცი იყავ მრავალ-ჟამიერ!

1902 წ. ილია ჭავჭავაძემ ლექსი უძღვნა ზურაბ ანტონოვს:

ვით ცალ-მარგილზე ღობე წნულისა  
უსხვა მარგილოდ არ მოინვნება,  
ისევე ძალა ერთის კაცისა  
დიდ საქმისათვის მქრალადა ჩნდება!  
და აჰა იგი – კაცი მეშველი,  
ენა მახვილი, დარბაისელი,  
გამოეცხადა დიდ საქმის დამწყებს,  
შეიქმნა მისი მარჯვენა ხელი!  
კურთხეულ იყოს იგი მარჯვენაც,  
„მზის დაბნელება“ რომ დაგვინერა —  
და მოგვაჩვენა ვითა სარკეში  
ჩვენი ცოდვანი და ბედის წერა!

წაიკითხეთ როსტომ ჩხეიძის პიესა „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“.

### შენიშვნები:

1. ამ წელს ამ ქალაქში დაიბადა გრიგოლ რჩეულიშვილიც.
2. არის ცნობა, რომ ზურაბის წინაპრები იყვნენ გვარად მეჩითიშვილები (მეჩითაშვილები), რაც შემდეგ შეუცვლიათ ანტონოვად (იხ. ალლო თუთაევის - „როგორ მოკვდა ზ. ანტონოვი“ „ივერია“, 1904 წ. №255. აგრეთვე – გიორგი გრიგოლის ძე ანტონოვის მოგონება).
3. შეჰყარა გორელები და სადგურიდან კარალეთამდე გათხარა 10 საფლავი და ყველას ჯვარი დაუსვა. ერთ ჯვარს წაანერა მირონის სახელი, მეორეს მისი მეუღლისა და ა.შ. ამას ადასტურებს ს. მგალობლიშვილის მხატვრული ნარკვევიც „ორი თვე სოფლად“ („დროება“, 1884 წ. №130).

4. ზურაბის ძმას – ნიკოლოზს ცოლი არასოდეს შეურთავს. ზურაბის ერთადერთ დას, რომელიც გათხოვილი იყო თბილისში (ვინმე ყანდურალოვზე), ბავშვები ადრე გარდაეცვალა და არავინ დარჩენია. შვილები დარჩა მხოლოდ მესამე ძმას – გრიგოლს (გრიგოლის მეუღლე იყო მარიამ სტეფანეს-ას ამიროვი, მაგრამ მირონ ამიროვთან არაფერი აკავშირებდა). გრიგოლს ჰყავდა ქალ-ვაჟი (გიორგი და ნინო).

5. ყური მოგვიკრავს, რომ ამ პიესას ერქვა „კიზიროკი“, რომელშიც ერთი გორელი ძველი ჩინოვნიკი ყავდა გამოყვანილი – კაცი მოდავე, მოქრთამე, შარანი, მძლავრი და უპატიოსნო ქცევისა. ესხა პლაშჩი და დიდი კიზიროკიანი ფურაჟკა. კანონიერი ცოლშვილი გორში ყავდა და უკანონო ქალაქში (გამომც.).

6. ეს წერილი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მოგონება წარსულისა, ეკუთვნის განსვენებულ ივანე ივანეს ძე კერესელიძეს და უპოვნია იმის ქალაქებში ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს. განსვენებულს მოგონება დაუნერია ბ-ნ ანტო, ფურცულაძის თხოვნით და იწყება ასე: „ძმაო ანტონ! აი, სამოც და სამს წელიწადში გადავდექი. ვხედავ და მიხარის, რომ ჩვენმა ყმანვილმა თაობამ დიდი ბიჯი გადადგა წინ და კიდევაც გადააბიჯებს, ქართულის სიტყვიერების წარმატებით და ეს მიკვირს, რომ აქამდინ არავის ალუძრავს კითხვა, თუ ვინ იყო ზურაბ ანტონოვი და რა სამსახური გაუნია ჩვენს სიტყვიერებას იმ ნეტარ ხსენებულმა გრძელწიანის სარწმუნოების კაცმა. ყველას-კი მოსწონთ იმისი დანერილი კომედიები თუ დრამები. ეს კითხვა მხოლოდ აღძარით თქვენ და მთხოვთ გაცნობოთ, რაც რამ ვიცი და რასაც მოვსწრებივარ და მინახავს მის შესახებ. იმ დროში, რადგანაც კარგათ ვიცნობდი და დიდს პატივსაც ვცემდი მის ნიჭს. დიდის სიამოვნებით ვალსრულებ თქვენს თხოვნას და დიდ მადლობასაც შემოგწირავ, რომ მხოლოდ მარტო თქვენ მოიგონეთ ის განსვენებული, რა არის დრომ და უამმა არ ჩანთქოს იმისი ვინაობა და სამწუხარო სევდებით სავსე ზურაბ ანტონოვის ცხოვრებაო“

მოგონებები ფრიად საინტერესოა, შეიცავს ბერს ახალს ცნობას. ამიტომ ვბეჭდავთ შეუცვლელად (რედ.).





## ლავრენტი არდაზიანი

ლავრენტი არდაზიანი ქართული რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ თავისი შემოქმედებით მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში სათავე დაუდო რეალისტურ პროზას. როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურის პირველი ნაწარმოებები პროზაულია. მწერლები იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და სხვანი პროზაულ თხზულებათა ავტორები არიან. მაგრამ მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველმა თავისი პოემით თითქოს გზა გადაუჭრა პროზის განვითარებას. ამიერიდან ეცემა პროზის ავტორიტეტი და ბატონდება ლექსი. სიმართლეს ამბობდა ალორძინების დროის ერთი მწერალი: „ლექსს უფრო ყურსა უპყრობენ, ამბის წიგნები ძევს ავაღო“. ასეთი ტენდენცია დიდხანს გრძელდება, აღწევს მე-19 საუკუნემდეც. ამ საუკუნის 20-30-იან და 40-იან წლებში პროზა ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს თავისი ადრინდელი პრესტიჟით.

ქართული პროზის რესტავრაცია მე-19 საუკუნეში დაკავშირებულია ჟურნალ „ცისკართან“. მის ფურცლებზე თანდათან გამოჩნდა ორიგინალური და ნათარგმნი პროზაული თხზულებანი. „ცისკრის“ პროზაიკოსთა შორის საყურადღებოა ლავრენტი არდაზიანის, დანიელ ჭონქაძის, ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ რჩეულიშვილის სახელები.

გვარი არდაზიანი საქართველოში იშვიათად გვხვდება. არდაზიანთა წინაპარნი ყორღანაშვილები იყვნენ. არდაზიანი წინათ კაცის სახელი ყოფილა. მე-16 საუკუნეში არდაზიან ყორღანაშვილის შვილებს ეწოდათ არდაზიანები. ამრიგად, ამ გვარს სათავე დაუდო მე-16 საუკუნეში მცხოვრებმა არდაზიან ყორღანაშვილმა.

არის გვარი არდაზიშვილიც.

არდაზიანის წინაპრებს უცხოვრიათ მესხეთში. შორეულ წარსულში მტერს საზღვარი გადმოულახავს და მესხეთში შემოჭრილა. მოსახლეობა აყრილა და ქართლში ჩამოსულან. ერთი ოჯახი აქ მოსულა დაუზიანებლად (ისე, რომ არცერთი წევრი არ აკლდათ). ამათ ქართლელებმა შეარქვეს არ დაზიანებულები, ანუ არდაზიანები (მაგრამ ასეთი ეტიმოლოგია ხალხურია და უფრო ლეგენდას ჰგავს).

ლავრენტის მამა პეტრე არდაზიანი (1781-1868) სასულიერო პირი იყო — ჯერ ანჩისხატის, შემდეგ ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზი, ცხოვრობდა ანჩისხატის უბანში, ამჟამინდელ ჩახრუხადის ქუჩაზე (18).

იგი 8 დეკემბერს გარდაიცვალა 88 წლისა. მღვდელი იყო მთელი 60 წლის მანძილზე. „წმ. სამების ეკლესია თბილისში აგებულია მისი ხელით. 1868 წელს მისი ვაჟი (ნიკოლოზი) იყო ამ ეკლესიის მღვდელი“ (მაქსიმე ბერძნიშვილი. მასალები: I, 1980 წ. გვ. 151-152).

ლავრენტი არდაზიანი გარდაიცვალა მამის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, 1870 წ. 1 იანვარს, 54 წლისა.

სხვათაშორის, ანჩისხატის უბანში პეტრე არდაზიანის მახლობლად ცხოვრობდა მელიტონ ბარათაშვილი (მათი ოჯახები დაახლოებულინიც კი ყოფილან). ასე რომ, ლავრენტი არდაზიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ უბანში იზრდებოდნენ და პატარაობიდანვე ერთმანეთს კარგად იცნობდნენ (წლოვანებითაც თითქმის თანატოლები იყვნენ). იმავე, ანჩისხატის უბანში ცხოვრობდნენ პლატონ იოსელიანი, დიმიტრი მესხიშვილი (სარდიონის მამა, ანჩისხატის დეკანოზი). აქვე ერთხანს ცხოვრობდა დრამატურგი გიორგი ერისთავიც — 1831-32 წლებში (გიორგი ერისთავს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ყოველთვის ახლო მეგობრობა ჰქონდა).

პეტრე არდაზიანს ექვსი შვილი ჰყავდა. ყველა ვაჟი: ამათგან ყველაზე უფროსი იყო ლავრენტი. ლავრენტის დედას სოფიო ერქვა.

ლავრენტი დაიბადა თბილისში, 1815 წელს (საფლავის ქვის წარწერის მიხედვით დაბადებულია 1820 წელს). იგი სწავლობს

ჯერ სასულიერო სასწავლებელში, 1831 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში.

თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა 1837 წ. თუმცა არდაზიანი სწავლაში ბეჯითი მოსწავლე ყოფილა, მაგრამ სემინარიის დამთავრების ატესტატი მაინც ვერ მიუღია. გამოცდების წინ მძიმე ავად გამხდარა. სემინარიაში უეცრად გულყრა მოსვლია და უგრძობლად წაქცეულა.

იმავე, 1837 წელს განცხადებით სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს, რომ იგი აღედგინათ, დაეშვათ განმეორებით გამოცდაზე.

სემინარიის ხელმძღვანელობამ არდაზიანის ეს სამართლიანი (უსათუოდ ანგარიშგასაწევი) თხოვნა არ დააკმაყოფილა. სემინარიის ინსპექტორმა ეგზარქოსს ახსნა-განმარტება მისცა, სადაც აღნიშნა, რომ არდაზიანი მართალს არ ამბობს, „საჯარო გამოცდების წინ ჯანმრთელად იყო და სემინარიიდან წასვლისას ჩვენ არ გავუფრთხილებივართ“.

მათი ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო არდაზიანს იმავე წელსვე გადაუწყვეტია გასვლა სასულიერო უწყებიდან და წასვლა რუსეთში, რათა სწავლა გაეგრძელებინა სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში. იმავე, 1837 წელს საქართველოს ეგზარქოსს აძლევს განცხადებას: „მაქვს დიდი სურვილი სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში მივიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. მაგრამ ამ სასწავლებელში არ მიმიღებენ, რადგან ვირიცხები სასულიერო უწყებაში. ამიტომ მშობლების ნების დართვით ვბედავ შეგანუხსოთ... თხოვნით, რომ დამითხოვოთ მე სასულიერო უწყებიდან“.

(სხვათაშორის სასულიერო წოდებიდან ამორიცხვა მოითხოვეს დანიელ ჭონქაძემ და სოლომონ დოდაშვილმაც).

დააკმაყოფილეს თუ არა არდაზიანის ეს თხოვნა, ამორიცხეს თუ არა იგი სასულიერო წოდებიდან, არ ვიცით. მაგრამ ის კი ვიცით, რომ რუსეთში არ წასულა და სწავლა არსად არ გაუგრძელებია.

სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ დიდხანს სამუშაოს ვერ შოულობს (ალბათ, იმის გამო რომ არ ჰქონდა ატესტა-

ტი). მხოლოდ 1846 წელს დანიშნეს „საქართველოს იმერეთის გუბერნიის“ სამმართველოში საქმის მწარმოებლად. შემდეგ დანიშნეს მაგიდის უფროსის თანაშემწედ, ხოლო კიდევ უფრო გვიან მაგიდის უფროსად.

1865-66 წლებში მსახურობს თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში საქმის მწარმოებლად (ამ დროს თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო პოეტი გრიგოლ ორბელიანი).

1868 წ. თებერვალში დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს მდივნად, სადაც მუშაობდა ორი წელი, გარდაცვალებამდე.

გარდაიცვალა 1870 წლის 1 იანვარს, (ახალ წელს) ფილტვების ანთებით. დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე. საფლავი მერე აღმოჩნდა.

მწერლის სურათი არ არსებობს.

მხატვარმა გოგოლაშვილმა ზეპირი აღწერილობისა და ლავრენტი არდაზიანის შვილის სურათის მიხედვით შექმნა მწერლის პორტრეტი.

ალექსანდრე კალანდაძემ წიგნში „ივანე კერესელიძე“ გამოაქვეყნა „ცისკრის“ თანამშრომელთა ჯგუფური სურათი, სადაც 7 პირია აღბეჭდილი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ერთ-ერთი ლავრენტი არდაზიანია (ზოგს ეს საეჭვოდ მიაჩნია: მაგ. ვახტანგ პაიკიძეს).

ლავრენტი არდაზიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზ. „დროებამ“ (2) და ჟურნ. „მნათობმა“ (1869 წ. XI-XII) გამოაქვეყნა პეტრე უმიკაშვილის მიერ დაწერილი ნეკროლოგი.

ლავრენტი არდაზიანს ახასიათებდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ამას ადასტურებს ის, რომ მას სამსახურში სხვადასხვა დროს მიღებული ჰქონდა რამდენიმე ჩინი (სამოქალაქო) და ფულადი ჯილდოები.

(საქმისადმი ასეთივე კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ახასიათებდა ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, მაგრამ მას არ მიუღია ჩინები და ჯილდოები).

იგი იყო ნიჭიერი და დასაფასებელი კაცი, მაგრამ სათანადო დაფასება დიდხანს არ ჰქონდა. მასზე მაღალი აზრისა იყო აკაკი წერეთელი „საკვირველია, ამ ნიჭიერ კაცს არც სიცოცხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა იხსენებს ვინმე...“

ლავრენტი არდაზიანის მეუღლე იყო ეკატერინე ლოლაძე, ქართლიდან (სოფ. მეჯვრისხევიდან). იგი თავისი დროის კვალობაზე განათლებული ქალი ყოფილა, რამდენიმე ენის (სპარსულის, არაბულის და რუსულის) კარგი მცოდნე. სხვათა შორის, მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“.

ლავრენტი არდაზიანსა და ეკატერინე ლოლაძეს 5 შვილი ჰყავდათ.

ლავრენტი არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1858 წელს. ამ წელს მან „ცისკარში“ გამოაქვეყნა შექსპირის „ჰამლეტის“ პროზაული თარგმანი. არდაზიანმა ინგლისური არ იცოდა, თარგმნის რუსულიდან. კერძოდ, პოლევიკის თარგმანიდან, რომელიც თავის მხრივ დაცილებულია დედანს. ცხადია, არდაზიანის თარგმანი, რომელიც პოლევიკის უხეირო თარგმანიდან მომდინარეობს, კიდევ უფრო მეტი მანძილითაა დაშორებული ორიგინალს. თარგმანში არ იგრძნობა შექსპირი. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ენა (ჰამლეტჯან, ბაშმაკები და სხვა). სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებულად ეს თარგმანი უარყოფითად შეფასდა.

შექსპირის პირველი ქართველი მთარგმნელია დიმიტრი ყიფიანი (მან ჯერ კიდევ 40-იან წლებში თარგმნა „რომეო და ჯულიეტა“. ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ წერს გრიგოლ ორბელიანს (1841 წ.): „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиетта“, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“ ტრადედია ლაიზევიცისა, თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი“) შემდეგ აი, აგერ ლავრენტი არდაზიანი, შემდეგ ანტონ ფურცელაძე (ისევ „ჰამლეტი“), მ. ყიფიანი, შემდეგ (1873 წ.) პეტერბურგში ილია და ივანე მაჩაბელი ერთად თარგმნიან „მეფე ლირს“ (უშუალოდ დედნიდან), ხოლო ადრინდელები თარგმნიან შუამავალი ენიდან. ყველაზე კარგი თარგმანებია ივანე მაჩაბლისეული.

ივანე მაჩაბელი მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მთარგმნელად. დაწესებულია მაჩაბლის სახელობის პრემია საუკეთესო ქართულ თარგმანზე...

მაჩაბელი ლიტერატურის ისტორიაში შევიდა თარგმანებით (ეს განსაკუთრებული შემთხვევაა) (1898 წ. ტრაგიკულად დაიღუპა. უგზოუკვლოდ დაიკარგა).

შექსპირის ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელია ვახტანგ ჭელიძე.

მომდევნო, 1859, წელს ლავრენტი არდაზიანი „ცისკარში“ ბეჭდავს ორიგინალურ ნაწარმოებს, ლექსს „ფულები“ (გამოქვეყნდა ინიციალებით ლ.ა.) ლექსი ლავრენტი არდაზანის შემოქმედების ეთგვარი პრელუდიაა. კერძოდ, „ფულები“ შეიძლება ჩაითვალოს რომანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ თავისებურ შესავლად. ამ ლექსში საუბარია ფულის მნიშვნელობასა და ძალაზე. არდაზიანი ფულს ახასიათებს, როგორც უნესოდ გაჩენილს, იუდას სისხლით გასვრილს, ადამიანის ზნეობრივად გამწყვენლს. მაგრამ ფულს მეორე მხარეც აქვს. ადამიანი ფულით ბევრ ხარისხსა და დიდებას პოულობს, სიამოვნებას განიცდის. მოკლედ: არდაზიანს ფულის გაბატონება კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, თუმცა მასში არ ხედავს ზნეობრივ სისპეტაკეს.

**უნესოდ გაჩენილო, ურიცხვთ დასამხობელად,  
იუდას სისხლით სვრილო, ბოროტად სახმარებლად!  
კაცთა ამპარტავნების ამწეო მეტად მალლად,  
მაგრამ ამასთან ერთად კეთილს იქმ დიდად მრავლად.  
ბარემ ისევ ფულებო,  
ვერცხლის სიამოვნებით,  
ჩვენო თვალის სინათლევ,  
გონების მიმტაცებო! და სხვა.**

ის, რაც ლექსში „ფულები“ პოეტური ენით მოკლედია ნათქვამი, უფრო გაშლილად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“. ეს ნაწარმოები გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს.

თემატურად „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ იმავე საკითხს ეხება, რასაც გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის

კომედიები. ესაა ძველი კლასის დეგრადაციისა და ახალი კლასის ფეხის ადგმის პროცესები (ორივე მწერალი ასახავს 40-50-იანი წლების სინამდვილეს). ფეოდალური, ახალი კლასის მთავარ წარმომადგენლად ამ რომანში გამოყვანილია სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი (უკვე ქართველებმაც დაინყეს ვაჭრობა, გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის ყველა ვაჭარი არაქართველია), ხოლო ძველი კლასის წარმომადგენლად — ალექსანდრე რაინდიძე.

თუ გიორგი ერისთავი გვიჩვენებს ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს, უკვე ჩამოყალიბებულთ, ლავრენტი არდაზიანი გვიჩვენებს თვითონ ამ ჩამოყალიბების პროცესს. ჩვენ ვხედავთ გიორგი ერისთავის ვაჭრებს უკვე მდიდრებს. ისინი დიდძალი თანხის პატრონები არიან, მაგრამ არ ვიცით, როგორ დააგროვეს ეს ფული. მიკირტუმებისა და კარაპეტების წარსული ჩვენთვის უცნობია.

სულ სხვანაირად იქცევა არდაზიანი. იგი თავდაპირველად გვიჩვენებს ვაჭარს არა უკვე მდიდარს, არამედ ჯერ ლატაკს, სრულიად არაფრისმქონეს, რომელიც შემდეგ მდიდრდება. გვიჩვენებს პირველ დამგროვებელს. ამასთან, თუ გიორგი ერისთავი თავის ვაჭრებს წარმოსახავს ვინრო წრეში, ოჯახურ ატმოსფეროში, არდაზიანის ვაჭრის სამოქმედო ასპარეზი ძალიან ფართოა. სად არ ვხედავთ მას — სოფელში, ქალაქში, გზაზე, ბაზარში, გაჭირვებასა და ლხინში, ქოხში, თეატრში. ის უფრო გიორგი წერეთლის ბახვა ფულავას მსგავსია, ოღონდ საერთო ისაა, რომ ორივე მწერალი (გიორგი ერისთავიცა და ლავრენტი არდაზიანიც) ერთგვარად აგდებით ეკიდება, დასცინის, შეურაცხმყოფელ ვითარებაში გვიხატავს ვაჭრებს.

სოლომონ მეჯღანუაშვილი სრულიად არაფრისმქონე, ღარიბ-ლატაკი გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ თავისი უნარიანობით, თავისი მტკიცე ნებისყოფითა და საზრიანობით ბოლოს გახდა დიდძალი ფულის პატრონი. მისი წინაპრები მეჯღანენი ყოფილან, თბილისის მკვიდრნი. თვით სოლომონი თბილისში დაიბადა — ციხის უბანში, პაპისეულ სახლში, რომელიც სოროს უფრო მიემსგავსებოდა, ვინემ კაცის სადგომს.

ერთი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა, დედა – 16 წლის გაიანე, ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი, მეტად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქმრისაგან მას დარჩა სოროს მსგავსი ქოხი, „დამსხვრეული ტახტი, ერთი ძველი ჭილობი, ერთი დაგლეჯილი ფარდაგი და ერთი პატარა ხალიჩა... ერთი ხელი ლოგინი, სამი ჩინური ჯამი, ხუთი თიხის ჯამი, ექვსი თიხის თეფში, ერთი პატარა ქვაბი და ორი შამფური“. ე.ი. ფაქტობრივად არაფერი. აი, რა სიმდიდრე დაუტოვა მამამ მემკვიდრეობით სოლომონს.

გაიანეს არც ახლო ნათესავეები და გულშემატკივრები ჰყავდა. [ამით ისარგებლეს ბაყალმა გეო ნონიაშვილმა და მენწვილმანე გასპარ სარქისბეგაშვილმა და გაიანეს შუამავლები მიუგზავნეს, მაგრამ გაიანესაგან საკადრისი პასუხი მიიღეს].

უმწეო ქვრივი კეთილმა შემთხვევამ მოახვედრა თავად რაინდიძის ოჯახში. აქ დედა-შვილი გულთბილად მიიღეს. კნეინა დარეჯანის წყალობით გაიანემ ისწავლა ჭრა-კერვა, სოლომონმა – წერა-კითხვა. სოლომონი აქ სწავლობდა ზნეობას, სიტყვა-პასუხს. მაგრამ მათი ბედნიერება დასრულდა დარეჯანის გარდაცვალებით. გაიანემ უმისობა ვერ აიტანა და 3 დღის შემდეგ თან მიჰყვა. ეს მოხდა 1817 წელს (სოლომონი ამ დროს 17 წლისა იყო).

კნეინა დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ რუსეთიდან დაბრუნდა იმისი შვილი ლუარსაბი. სოლომონი გამოეთხოვა ლუარსაბს, რომელმაც მას აჩუქა 5 მანეთი თეთრი ფული. სოლომონმა მიაშურა თავის ქოხს (დედის აღწერის მიხედვით მიაგნო). აღმოაჩინა გასპარის შუამავალიც, რომელთანაც იცრუა – გაიანეს დისშვილი ვარო. ეს იყო პირველი ტყუილი. „მანამდის ტყუილი არ მეთქო, მაშინ ვთქვი, და ამ ერთმა ტყუილმა, ოჰ, ღმერთო, შემდგომში რამდენი ტყუილი მათქმევინა! რა გავაგრძელო მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზე იყო დაფუძნებული“.

სოლომონის ქოხში 16 წლის წინათ არაფერი იყო და, ცხადია, ახლაც არაფერი იქნებოდა. სოლომონი გადაეშვა ცხოვრების მორევში; გამოვიდა სოროდან და მიაშურა ქალაქს, შემთხვევით მიკიტნის დუქანში მოხვდა და აქ მოქეიფე ყმანვილებთან დახარჯა ლუარსაბის ნაჩუქარი ფული. ამის შემდეგ ისევ თავის



ქობს დაუბრუნდა და 3 დღე იშიმშილა. კვლავ ქალაქს მიაშურა და ახლა შემთხვევით ბაზარში მოხვდა. აქ სოლომონი ჩაერია მოქალაქესა და გლეხკაცს შორის გამართულ ვაჭრობაში და მოქალაქეს ხორბალი იაფად აყიდვინა. ამისთვის მან საჩუქრად ოქროიანი ბაღდადი მიიღო. ბაღდადი აქვე ფულად აქცია. ეს იყო სოლომონის პირველი გამარჯვება. „კაცის ენაზე ვერ ვპო- ვებ სიტყვას, — ამბობს სოლომონი, — რომ გამოვთქვა, როგორ შემეყვარდა ის ოქრო, ღვიძლები შეიქმნა ის ჩემის სულისა! ჩემ- მა გულმა გაულო კარები და მაგრა ჩაიკრა! ახლა ადვილად შე- გიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა სახით გამაცოცხლებდა, რა სახით გამახარებდა ოქრო, რა სახით შევეტრფოდი მე ოქროსა“.

სოლომონმა უკვე მონახა ცხოვრების საშუალება. მან ხელი მოჰკიდა ჩარჩობას, ყიდულობდა და ყიდდა ბატკნებს, ამან თვის ბოლოს მისცა სამ თუმან ნახევარი მოგება. სოლომონს აღმოაჩნდა არაჩვეულებრივი უნარი და ალღო ვაჭრობისა. იგი ყოველთვის სეზონის მიხედვით არჩევდა საქონელს (სად რა დროს რა უფრო იაფი და ძვირი იყო), სულ მალე მან 35 თუმანი შეაგროვა, თანაც მოქმედების არეც გააფართოვა — თბილისს გასცილდა და სხვა რაიონებსაც ეწვია.

უფრო მეტიც, სოლომონმა მევახშეობაც დაიწყო — ფულის გასესხება სარგებლით, ე.ი. ფულს ფულს აგებინებს. „ფული უნდა იყოს მოძრაობაში — ამბობს ის, — ფულმა ფული უნდა მოიგოს“. სოლომონის ვალი ბევრს ემართა არა მხოლოდ თბი- ლისში, არამედ სხვაგანაც: დილომში, მცხეთაში, წილკანში და სხვა. აი, ასე თანდათან კაპიკს კაპიკს უმატებს სოლომონი.

ყოველივე ამასთან ერთად, როგორც ეს ბურჟუაზიის წარმო- მადგენელთათვის არის დამახასიათებელი, სოლომონი იჩენს სა- არაკო სიძუნწეს, მომჭირნეობას. დღე-ღამისა და კვირების მან- ძილზე შიმშილობს. გულწრფელად აცხადებს სოლომონი:

„14 თვის განმავლობაში მშრალი პურის გარდა სხვა საჭმე- ლი, და ნამეტნავად ღვინო, არ მიყიდნია. არც დამხარჯვია ფუ- ლი: სანთელზე, საპონზე, წყალზე, შეშაზე, ნახშირზე, არც ტა- ნისამოსზე. მხოლოდ ვიყიდე საზამთროდ სალდათის ლურსმე- ბიანი ჩექმები და ერთი ოსური ჩოხა, ისიც ნახმარი“.

მეორეგან ასეთივე გულწრფელობით ამბობს:

„ხშირად განდევილ ბერსავეთ 24 საათში არასა ვჭამდი, ხანდახან ორ დღესაც. მხოლოდ მე გავიჩიეოდი ბერისაგან მით, რომ ბერი არა სჭამს, გინდ მრავალი ენყოს თვალწინ, მე კი ვეძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგების უფასოდ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დაღლილობას, შიმშილს, სიცივესა და სიცხეს ხომ სრულებით არ ვგრძნობდი“.

აი, სწორედ ასეთი საზრიანობით, პრაქტიკული ალლოთი და მომჭირნეობით მიაღწია სოლომონმა იმას, რომ ბოლოს დიდძალი თანხის პატრონი გახდა. შეიქნა მდიდართა შორის მდიდარი. სოლომონი ცოლ-შვილსაც მოეკიდა და რაკი შვილები წამოეზარდნენ, ისინიც და ცოლიც ვაჭრობაში ჩააბა – წვრილმან რამეებს მათაც აკეთებინებდა (ცოლ-შვილსაც გაჭირვებულად აცხოვრებს...).

ასე გრძელდება თვიდან თვემდე. წლიდან წლამდე. დიდხანს, ძალიან დიდხანს სოლომონი მხოლოდ დამგროვებელია. კაპიკს კაპიკს უმატებს. ფულის მოხმარების საკითხი დიდხანს არ დასმულა მის წინაშე. და ბოლოს ეს მომენტიც დადგა: ერთბაშად იგრძნო, რომ დროა, საზოგადოებაში გამოვიდეს, კაცურად იცხოვროს. ამისი ბიძგი მას მისცა ბაზარში მომხდარმა ეპიზოდმა: სოლომონმა იაფად იყიდა ვარიები გლექსაცისაგან. ერთმა ნაცნობმა ჩარჩმა ამ დროს მას ხუმრობით თავში ჩაარტყა, სოლომონისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, მაგრამ იქვე დაინახა ალექსანდრე რაინდიძის მსახური სოსია გამწკეპავიძე და სირცხვილით კინალამ მინა გაუსკდა, თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო. და გადანყვიტა, კაცურად იცხოვროს. სოლომონი გამოიცვალა. შინ დაბრუნებულმა პირველად იმ დღეს შეამჩნია, რომ მის ცოლ-შვილს ცუდად ეცვა. იმ დღეს ისადილეს ადამიანურად, დათვალა ფული (რომელსაც მალულად ტახტის ქვეშ ინახავდა) და სიხარულისაგან კინალამ გული შეუღონდა. 80000 თუმანი აღმოაჩნდა. ნათლიმამა ოჰანეზას რჩევით სოლომონი ყიდულობს სახლს თბილისში. მორთო მდიდრულად ავეჯით, აიყვანა მოსამსახურეები და გაიჩინა დროშკა (ეტლი). შეიძინა თეატრის ლოჟის აბონემენტი და გა-

დანყვიტა, სიძედ მოეკიდებინა ალექსანდრე რაინდიძე (მი-  
ეთხოვებინა ქალიშვილი თამარი).

დაიწყო ახალი ხანა სოლომონის ცხოვრებაში (აქამდე იყო  
დამგროვებელი, ახლა ხდება — მომხმარებელი), მაგრამ სო-  
ლომონს და მისი ოჯახის წევრებს აკლიათ კულტურა, გემოვ-  
ნება. მართალია, თეატრში დადიან, მაგრამ ეს სრულებით არ  
შეადგენს მათ სულიერ მოთხოვნილებას. დადიან მხოლოდ  
იმისთვის, რომ სხვებმა დაინახონ და თქვან: კულტურული ადა-  
მიანები არიანო.

თეატრში სოლომონის ოჯახი ყურადღებას იქცევს მდიდრუ-  
ლი ჩაცმულობით და სრულიად შეუფერებელი ქცევით. სოლო-  
მონის უდროო დროის ტაშმა და ძახილმა „ბისს“ ხალხის წყრო-  
მა გამოიწვია.

სოლომონისა და მისი მეუღლის დაბალი გემოვნება ოჯახშიც  
ჩანს — ხავერდის ფარდებს მტკერი აქვს დადებული და სხვა.

თუ სოლომონის ცხოვრების პირველი ნახევარი ყოველთვის  
წარმატებით მიდიოდა, მერე (ე.ი. იმ დღიდან, როდესაც ფულის  
მოხმარება დაიწყო) ხშირად მარცხსაც განიცდის. ერთ-ერთი  
ყველაზე სერიოზული მარცხია ის, რომ არ გაუმართლა იმედები  
და ვერ მოიკიდა სიძედ ალექსანდრე რაინდიძე (რა არ იღონა: ქე-  
იფი მოუწყო, სხვებიც დაუპატიჟა, მაჭანკალი მიუგზავნა, ფუ-  
ლიც შეაძლია). ვაჭართა კლასი ამ დროს (40-50-იან წლებში) ჯერ  
სუსტია, ძველი კლასი კი — უფრო ძლიერი. ამიტომაც ცდილობენ  
პირველნი (მიკირტუმები, კარაპეტა, სოლომონი...) მეორესთან  
დაახლოება-დანათესავეებას, ხოლო მეორენი (თავადები) ზოგ-  
ჯერ მიდიან კიდევ „დათმობაზე“ (მაგ. ივანე დიდებულები). მაგ-  
რამ ზოგი ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, საამისო არაფერი არ  
სჭირს, რომ ფულის გულისთვის ასეთი ნაბიჯი გადადგას (მაგ.  
ალექსანდრე რაინდიძე). უფრო გვიან (80-90-იან წლებში) ვაჭრე-  
ბი (აქვსენტი ცაგარელთან...) ხშირად უარს ამბობენ, თავიანთი  
ასულები მიათხოვონ ბედოვლათ ქართველებს. გიორგი წერეთ-  
ლის პიოტრ ივანიჩი განერეღია რევაზ ბაკურიძესთან მორიგება-  
დანათესავეებას კი არ აპირებს, არამედ მედგრად უპირისპირდე-  
ბა, გრძნობს რა თავისთავში საამისო ძალას. ალექსანდრე რაინ-

დიძე არ გაჰყვა ივანე დიდებულის გზას, მას ფულმა თვალები ვერ დაუბრმავა და ცოლად შეირთო არა თამრო, არამედ თავადის ქალიშვილი ელენე არაგვლიშვილი.

ავტორი რეალისტურად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც უნდა გაეკლო პირველ დამგროვებელ ვაჭარს. არაჩვეულებრივად დიდი ოსტატობით და დამაჯერებლობითაა დახატული ვაჭრის ბუნება, მისი პრაქტიკული ყოველდღიური საქმიანობა, სიძუნწე, მისი გემოვნება, ზნეობრივ-მორალური მხარე (ტყუილის თქმა და სხვა. ამ მხრივ, სხვათა შორის დამახასიათებელია, რომ სოლომონმა სარგებლით ასესხა ფული მის კეთილისმყოფელ ლუარსაბ რაინდიძეს, რაც მის შვილს ერთიორად გადაახდევენა).

(სტეფანე ჭრელაშვილის წერილი „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“ ამ სოლომონს ეხება).

ზოგ პერსონაჟს პროტოტიპი ჰყავს. მაგ. მწერლის მეუღლის ეკატერინე ლოლაძის გადმოცემით, „სოლომონ მეჯღანუაშვილი ჩვენი მეზობელი იაქუხჩია იყო, მოუსვენარი ქორ-ვაჭარი, ღარიბი და ლატაკი. რვა ბავშვი ჰყავდა, ხან სუფს უგზავნიდით, ხან პურებს...“ თურმე აგროვებდა ფულს, ამ დროს ჰქონდა ერთი თონე პირამდი ვერცხლით სავსე და ორი ერბოს ქილა, ოქროთი სავსე.

ის დღე იყო და იაქუხჩია გამდიდრდა, დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი. შეიძინა ქალაქში სახლები.“

ასევე პროტოტიპები ჰყავთ სხვებსაც. მაკრინეზე მწერალი ამბობს, რომ ის „მაკრინე დღესაც სუფევსო“. ბევრი პერსონაჟის გვარის ნაცვლად ხშირად ნ-ს წერს. რადგან, როგორც ჩანს, სახელი პირდაპირ აქვს მითითებული.

იმავე რომანში არდაზიანი გვიხატავს ძველი კლასის – ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებს, კერძოდ, რაინდიძეების ოჯახს.

ეს ოჯახი არის იდეალური, თავისუფალი ყოველგვარი უარყოფითი თვისებებისაგან. მოვიგონოთ ლუარსაბ რაინდიძის შეხვედრა უმწეო გაიანესთან სიონის ეკლესიის წინ. რა გულთბილად მოეპყრო მას! წაიყვანა თავის სახლში; ასევე გულთბი-

ლად, ღრმა თანაგრძნობით მიიღო დედა-შვილი ლუარსაბის დედამ – დარეჯანმა. მათთვის მაშინვე ახალი ტანსაცმელი შეაკერინა. შემდეგ გაიანეს ხელსაქმე ასწავლა, ხოლო სოლომონს – წერა-კითხვა. დარეჯანის სიკვდილის შემდეგ რუსეთიდან დაბრუნდა მისი შვილი ალექსანდრე, რომელმაც სოლომონს ფული აჩუქა და სხვა.

რაინდიძეთა ოჯახში პირდაპირ ჰარმონია სუფევს. მოსამსახურეებსა და ბატონებს შორის მამაშვილური დამოკიდებულებაა. ლუარსაბ რაინდიძე არ არის არც გონებაშეზღუდული (ამორინდოსა და ონოფრეს მსგავსად), არც ქარაფშუტა (ლომინისა და პავლეს მსგავსად), არც ფუჭი მეოცნებე (ივანესა და ბეგლარის მსგავსად), არამედ ნინდახედული, ჭკვიანი, ჰუმანური და სხვა დადებითი თვისებებით შემკული.

ასეთივე იდეალური პიროვნებაა ალექსანდრე რაინდიძეც. იგი რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდაა. მაგრამ როდი ჰგავს ივანეს და ბეგლარს, არამედ არის ჭკვიანი, პრაქტიკოსი, მტკიცე ნებისყოფის მქონე. რანაირად არ მიუდგა მას სოლომონი, რომ სიძედ გაეხადა (მაჭანკლებით, ქეიფიც მოუწყო), მაგრამ არ გაება ვაჭრის მიერ დაგებული მახეში და შეირთო ის, ვინც უყვარდა (ელენე არაგვლიშვილი).

მწერლის სიმპათიები რაინდიძეებისკენაა, მაგრამ არდაზიანი ხედავს, რომ ცხოვრება თავისას აკეთებს და მეჯღანუაშვილები მოდიან. მეჯღანუაშვილებს უკვე დაუპყრიათ ქალაქი. ქალაქად ბურჟუაზია უფრო ძლიერია და მართლაც, როცა სოლომონის ვაჟი ისაკი და ალექსანდრე რაინდიძე თანამდებობაზე წაეცილნენ (ის თანამდებობა ალექსანდრეს უფრო შეშენოდა, როგორც განათლებულ და მცოდნე კაცს, მაგრამ აჯობა ვაჭრის შვილმა. როგორ აჯობა? ფულითა და მაქინაციებით), გაიმარჯვებს სოლომონის ვაჟი. მაგრამ რა ქნას ალექსანდრემ? ავტორს არ ემეტება დასალუპავად. ავტორმა მას უჩვენა გზა სოფლისაკენ. ალექსანდრე მაშინვე გადაიხდის მამის ვალებს, თვითონ იკისრებს მეურნეობის ხელმძღვანელობას, მას გვერდს უმშვენებს და ეხმარება სათნო მეუღლე. ისინი ყოველმხრივ კმაყოფილნი არიან, როგორც ეკონომიკურად, ისე მორა-

ლურად. სოფელში მათი ბედნიერი ყოფა აღწერილია იმ წერილში, რომელიც ალექსანდრემ გაუგზავნა თბილისში დეიდა მაკრინეს.

საინტერესოა მაღალი კლასიდან გამოსული ადამიანები: ალექსი კერპაძე და მაკრინე ტუჩმოხეულიშვილი. ორივე გაღარიბებული, დეგრადაციის გზაზე დამდგარია (ასეთი ტიპები შემდეგ გვიჩვენებს გიორგი წერეთელმაც და დავით კლდიაშვილმაც). პირველი ამათგან უსაქმოდ ლაყლაყაა, მეჭორე, „უმავეთულო ტელეგრაფი“, მეორე – მაჭანკალი, ფულის მსესხებელსა და გამსესხებელს შორის შუაკაცი;

მაგრამ ამ სურათებს არდაზიანი გვიჩვენებდა მისდაუნებურად (როგორც რეალისტი, გვერდს ვერ უვლიდა რა სინამდვილეს).

რომანში გაკიცხულნი არიან მაშინდელი ინტელიგენტებიც. მაგალითად, თამარის „მკურნალი“ ექიმი. ჭლექით დაავადებულ ქალს 5 თვე ქინაქინა ასვა და გასამრჯელოდ 180 თუმანი ჩაიჯიბა.

გაკიცხულნი არიან პოლიციის და სასამართლოს მოხელეებიც: პრისტავი, „პერეგოჩიკი“ და „დესეტნიკი“, რომლებისთვის ხალხს ზედმეტი სახელები შეურქმევია: „აქლემა“, „ნემსიყლაპია“ და „ნიპლონიკა“.

კახეთში მიმავალმა სოლომონმა გურჯაანში შეისვენა. ჩაძინებული სოლომონი ხალხის ყვირილმა გამოაღვიძა. ერთი გლეხკაცისთვის კამეჩები მოეპარათ, მეორე დედაკაცისთვის — ძროხა. და ყოველივე ამაში თვით პოლიციის მოხელეებს ედოთ წილი (გამოღვიძებულ სოლომონს არც თავისი ცხენი დახვდა, ქურდებს წაეყვანათ).

ასეთივე მდგომარეობაა სასამართლოში: მოხელეები განგებ აჭიანურებენ საქმეს ლუარსაბ რაინდიძესა და მის მეზობლებს შორის (ქრთამს უსინდისოდ იღებენ, ხუთგროშიან „არზებზე“ ხუთ, ათ თუმანს იღებენ და სხვა).

გაკვრით ეხება მწერალი მაშინდელი სწავლა — აღზრდის სისტემას: კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება არა ცოდნით, არამედ ფულით. მაგ., სოლომონის ვაჟი ისაკი. და ასეთი შემთხვევა გამონაკლისი კი არაა, არამედ ჩვეულებრივი მოვლენა.

ისაკი ეუბნება მამას: „ვისაც ხედავთ ფრანტებსა სულ უსწავლელი ხალხია. მხოლოდ ტანისამოსში ჭკვიანები და განათლებულები ჩანან, რომ ჰკითხო – Трижды два, რამდენია გეტყვიან: ოთხიაო“.

ისაკზე უფრო განათლებული იყო ალექსანდრე რაინდიძე, მაგრამ მისი ადგილი ისაკმა დაიკავა. და ეს მოხდა სოლომონის ქრთამის წყალობით.

რა ადგილი უჭირავს რომანში გლექსაცობას? უმნიშვნელო (მწერლის ყურადღება მეტწილად ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა კლასების ჩვენებისკენაა მიმართული), მაგრამ ზოგი რამ მაინც ამოიკითხება.

გლექსის შემავიწროებელია ახალი კლასის წარმომადგენლებიც, რამდენჯერ მოუტყუებიათ მეჯღანუაშვილს და მის მეგობარ ჩარჩებს გლექსი ბაზარში. „საწყალი გლექსაცი დაღონებული წავიდაო“, — ამბობს სოლომონი. ამასთან, სოლომონი პროცენტციანი „სესხით“ ატყავებს გლექსებს. თვით სოლომონი ამბობს, ჩემი ვალი რომ არ ჰქონოდა, ასეთი გლექსი არ იყო ქართლშიო.

არდაზიანს ღრმად სწამს ღმერთი. მამა დეკანოზი ჰყავდა. თვითონ სასულიერო განათლება ჰქონდა. სოციალურ უთანასწორობას იგი ღვთის მიერ დაკანონებულ მოვლენად მიიჩნევს. ბევრგან მწერალი ხაზს უსვამს ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობას. მაგ. გაიანეს შესვლა სიონის ეკლესიაში, მისი ლოცვა, „მწუხარეთა ნუგეში ეკლესიააო“, - ამბობს მწერალი. გაიანეს ლოცვამ შედეგიც გამოიღო – მას შეახვედრა ლუარსაბ რაინდიძე.

ან კიდევ: სოლომონი ეკითხება ალექსანდრეს – რად არის ევროპა განათლებული და სხვა ქვეყანა სიბნელეშიო. ამაზე რაინდიძე პასუხობს: ამისი მიზეზია ქრისტიანობააო (გახსოვს, ქრისტე რას ამბობს - „მე ვარ ნათელი სოფლისა“). საფრანგეთი ერთხანს გადაუდგა ქრისტეს და ამის გამო ჩავარდა სიბნელეშიო – მოხდა საშინელი აღრეულობა. მერე ისევ დაუბრუნდა სახარებას და კვლავ განათლდაო.

აკაკი წერეთელი იგონებს: „ერთხელ, მე, ის [არდაზიანი] და ან. ფურცელაძე დავდიოდით ერთად. ათ საათზე გამოვეთხო-

ვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი მიცილება სადგომამდის. გზაში ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდე რომ მიმიყვანა მითხრა: „დიდი პატივისცემა მაქვს ახალგაზრდა ანტონის ნიჭის, მაგარამ, წელან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში, აბა, რა სათქმელია: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო? მაშინ იმას აღარ ვუთხარი რა და ახლა შენ მინდა გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი. როგორც მკვიდრ შვილს, გთხოვ, რომ შენ არ აპყვე მაგისტანებს, მოერიდე. პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო“.

მაგრამ არდაზიანი – ზოგჯერ სანინააღმედევო სურათებსაც გვიჩვენებს. გვიჩვენებს ეკლესიის მსახურთა ეშმაკეულ სახეს. აი, ტერტერა, რომელიც მოვიდა გაიანესთან, რათა გაიანეს ქმრის სულის მოსახსენებლად სასყიდელი მიეცა. დედაჩემმა აუნერა თავისი მდგომარეობა. სხვა კაცს შეებრალებოდა, მაგრამ ტერტერას გული არ დაურბილდა. მაშინ დედაჩემმა სთხოვა – მიელო შამფურები, ქვაბები, ჯამები. ტერტერამ იცოტავა. დედაჩემმა მიართვა თავისი ხალიჩა. ტერტერამ ყველაფერი უსინდისოდ მოხვეტა და წაიღო, იგონებს სოლომონი. იგონებს სოლომონი.

1863 წელს ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე ლავრენტი არდაზიანი აქვეყნებს მეორე რომანს „მორჩილი“; თუ პირველ რომანში ბურჟუაზიის ცხოვრებას გვიხატავს, მეორეში ამ საკითხს სრულიად გვერდს უვლის და აშუქებს ახალ თემას – ოჯში ბავშვის აღზრდის პრობლემას. „მორჩილში“ არდაზიანი თავადაზნაურობას გვიჩვენებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და ამ ფონზე სრულად და ამომწურავად ახასიათებს.

თავად-აზნაურთა კლასის ერთ-ერთ წარმომადგენლად „მორჩილში“ დახატულია თეიმურაზი. იგი ვითომ ნასწავლი და განათლებული პირია, მაგრამ სინამდვილეში მეტად უვიცია. სასამართლოში მოკალათებულა და ჩინით ამაყოფს, მაშინ როდესაც მას გიმნაზიაც არ დაუმთავრებია, ერთ-ერთ საუბარში თეიმურაზი თვითონ გამოტყდება, გაზეთსაც არ ვკითხულობო. აი



ეს „ნასწავლი“ ფრანტი სასამართლოში თვითნებურად იქცევა, აკეთებს „აბრუნდებს“, არის გაქნილი, მექრთამე. ხშირად ნამდვილ დამნაშავეს ამართლებს, ხოლო სრულიად ალაღმართალს საციმბიროდ განამზადებს. მაგრამ ეს ყველაფერი ცოტაა, თეიმურაზი ამავ დროს ამორალური, ზნედაცემული, გარყვნილია. „თეიმურაზი იყო კაცი გარყვნილი და გულ-გაგრილებული“, — ამბობს ავტორი. ამ მხრივ იგი რამდენადმე ენათესავენა ილია ჭავჭავაძის დათიკოს. თეიმურაზს თუ ვინმე მოეწონებოდა, უსათუოდ ხელთ უნდა ეგდო. თავის მოჯამაგირე გოჩუნასათვის ნაბრძანები აქვს — ვინც ლამაზია, ან მოტყუებით მოიყვანოს, ან მოტაცებით. მოჯამაგირე გოჩუნა ამაყობს იმით, რომ მარტო მას თვრამეტი 13-18 წლის ლამაზი ქალი მოუყვანია ბატონისათვის. ამათგან 11 მოტაცებით. „რავდენი თვითონ მოუტყუებია, ეგ აღარ ვიცო“, — დასძენს გოჩუნა.

ბატონის სახრეებს რომ აცდეს, გოჩუნა მზად არის ერთგულად ემსახუროს მას, ჩაიღინოს ყოველგვარი სისაძაგლე. ბოროტი და გარყვნილი მებატონის ხელში გოჩუნა გადაგვარებულია. იგი გვაგონებს ილიას გიტოს. ილია ამბობდა, გიტო არის ბატონყმობის მსხვერპლი (ამიტომ „ნუ განიკითხავთ საწყალ გიტოსაო“). გიტოები ჩვენში ბევრნი არიან. რამდენი არიან ეპოლეტიებიანი გიტოებიც. ესენი არიან დესპოტის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები, რომელთაც ოღონდ სარგებლობა მიიღონ და ყველაფერს კადრულობენ.

თეიმურაზი ყმებსაც სცემს, ოჯახის წევრებს ცუდად ექცევა, 40 წლის თეიმურაზს გადაუწყვეტია ცოლის შერთვა, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ უკუაგდოს გარყვნილი ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ მემკვიდრე გაუჩნდეს... ასეთიც შეარჩია — ალექსანდრა.

ალექსანდრა არ უყვარს... მის შერთვაში წინ გადაელობნენ თვითონ ალექსანდრა და თეიმურაზის და თეკლე. თეკლემ წერილით შეატყობინა ალექსანდრას თავისი ძმის ავციობა და გარყვნილება.

მაგრამ „მორჩილში“ არდაზიანს თავადაზნაურთა წრის წარმომადგენლად მარტო თეიმურაზი არ გამოჰყავს, მას დახატუ-

ლი ჰყავს კეთილშობილი პირებიც – მიხაკო და ალექსანდრა. ესენიც იმავე წრიდან არიან გამოსულნი, მაგრამ თეიმურაზისგან დიდად განსხვავდებიან – განათლებულნი, ზრდილნი და სხვა. თუ თეიმურაზსა და მის მოსამსახურეებს შორის არსებობს ანტაგონიზმი, სამაგიეროდ აქ სრული ჰარმონია სუფევს. მიხაკოს მოსამსახურე როსტომს და ალექსანდრას მოსამსახურე გოგოს მარიტას ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ თავიანთ მებატონეთა გარეშე. ამ მოსამსახურეებსაც უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ, რადგანაც სურთ, ჯერ თავიანთი ბატონები ნახონ გაბედნიერებულნი.

მიხაკოსა და ალექსანდრას ჩვენებით არდაზიანი შეეცადა ბატონყმობის შესახებ გამოეთქვა იგივე აზრი, რაც „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ გაატარა რაინდიძეთა დახასიათებით.

რომანში კარგად ჩანს ლავრენტი არდაზიანის პედაგოგიური იდეები...

აღზრდის პრობლემა ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხი იყო მე-19 საუკუნის მწერლობაში.

ლავრენტი არდაზიანი ამ საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახს, კერძოდ, დედას. ისაა ფუძე. დედას ასეთივე უდიდეს როლს ანიჭებდნენ სხვა მწერლები. მათ შორის ილია („დედავ, ისმინე ქართველის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“. დედა ნერგია, შვილი – ნაყოფი. როგორიც ნერგია, ისეთი – ნაყოფი. აი, კარგი დედა – ოთარაანთ ქვრივი როგორ ზრდის შვილს).

ლავრენტი არდაზიანმა გვიჩვენა ორი ოჯახი, ორი დედა. ერთი ალექსანდრასი, მეორე — თეიმურაზისა და თეკლესი. კარგმა ოჯახმა და დედამ კარგი შვილი აღზარდა, ცუდმა — ცუდი.

ოჯახის როლი ბავშვის აღზრდის საქმეში — აი, რა პრობლემაა წამოჭრილი „მორჩილში“.

ლავრენტი არდაზიანის მართებული აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლების პირად მაგალითს. მათ საქციელს...

ხალხი აქებს კარგი ოჯახის შვილებს და დედმამიშვილებში კარგ ურთიერთობას (კარგ ძმობას, კარგ და-ძმობას. აი, მაგ.,

ბადრისა და უსუპის ძმობა: „ძმასაც ისეთი ძმა უნდა, უსუპს რომ ბადრი ჰყოლია, - უსუპ კლდეს გადავარდნილა, ბადრი თან გადაჰყოლია. ნეტავი იმათ დედასა, რა კაი ძმობა ჰქონია“).

ანდაზა ამბობს, დედა ნახე, მამა ნახეო...

აღზრდაზე დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი „როგორ ქართველსაც აღზრდით, ისეთი საქართველო გვექნება“ (იაკობი). ამ საკითხით ძალიან არიან დაინტერესებულნი სამოციანელები.

აღზრდაში გადამწყვეტია დედა, დედაკაცი (როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახია, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოა). კარგად აღზრდილ, ზნეობრივ ადამიანზე იტყვიან – კარგი ოჯახის შვილია (ცუდზე – პირიქით), ცუდი ოჯახის შვილებს ერთმანეთთან ხშირად ცუდი დამოკიდებულება (ჩხუბი და აყალმაყალი) აქვთ. აი, ამის მაგალითებია „მორჩილში“ (ასეთი სურათებია „მამიდა ასმათში“, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანში „მოლიპულ გზაზე“...).

„მორჩილი“ ეხება ოჯახის შექმნის საკითხსაც.

ოჯახში დაცული უნდა იყოს უმცროს-უფროსობის პრინციპი. ყველა თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს – როგორც უმცროსი, ისე უფროსი. უმცროსი უფროსის გამგონე და მორჩილი უნდა იყოს, სამაგიეროდ მშობლებიც თავიანთი ღირსების სიმაღლეზე უნდა იდგნენ. ამ მხრივ არდაზიანი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ოჯახს: თეიმურაზისა და ალექსანდრასი. თეიმურაზის ოჯახში კაცი ვერ გაარჩევს უფროსსა და უმცროსს. ესაა მიზეზი, რომ და და ძმა (თეკლე და თეიმურაზი) ერთმანეთს გადასდგომიან, ერთიმეორეს ვერ ითმენენ ასევე დედა და ქალიშვილი. თეკლე დედას არ ექცევა მორჩილად, მაგრამ ამის მიზეზი პირველ რიგში დედაა. დედამ ვერ აღზარდა კარგად, დედა ვერ ექცეოდა კარგად შვილს. თეკლე პირდაპირ ეუბნება დედას: როგორც შენ მომექცევი, მეც ისე მოგექცევი.

„მშობლიურად, გულმტკივნეულად, სიყვარულით მამექცევით, მეც სრულის მორჩილებით, სიყვარულით და პატივისცემით მოგექცევი, თორემ „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. რაც მასწავლეთ, ის ვიცით“.

მათ აღზრდაზე არ ზრუნავდნენ. თეკლე ამბობს: „მანამ კარგა მოვიზრდებოდი, არც დედამ, არც მამამ არ იცოდით – ვიყავი თუ არა სახლში. დედა თავის თავის არშეიყობას უნდებოდა, კეკლუცობდა, დილიდამ შუალამემდინ გართული იყო“. მწერალი მის დედაზე ამბობს: „ეტყობოდა თვალეზე, რომ სიყმანვილეში მოარშეიყე უნდა ყოფილიყო“. ასეთმა ქალმა სათანადოდ ვერ იზრუნა შვილების აღზრდაზე, ამან ნაყოფიც ცუდი გამოიღო. „თუ ნაყოფი არ ვარგა, ეტყობა, თვითონაც ხე არ ვარგებულაო“.

ამრიგად, როცა დედა ვერაა სრულყოფილი, არც შვილები-გამოვლენ ღირსეულნი.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს ალექსანდრასა და მის მშობლებს შორის. ოჯახში ჰარმონია სუფევს, ალექსანდრა მშობლების მორჩილია. მშობლებს უნდათ, ალექსანდრა მიათხოვონ თეიმურაზს, მაგრამ თვით ალექსანდრას თეიმურაზის გაგონებაც ზიზღს ჰგერის. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ უნევს მშობლებს წინააღმდეგობას.

„ვერც წინავდგები დედმამასა! ვერც თეიმურაზს შევირთავ! სიკვდილი მიხსნის ორივესაგანო!“ ასეთი მორჩილება მასში გამომუშავებულია მშობლების გულთბილი, გულისხმიერი დამოკიდებულებით.

მწერალს მოსწონს ალექსანდრას ასეთი მორჩილება, მაგრამ არ მოსწონს თვითონ მშობლების დამოკიდებულება შვილისადმი იმ მხრივ, რომ ისინი შვილის ბედს დამოუკიდებლად წყვეტენ. მშობლების აზრით, ქალის გათხოვებას მშობლები უნდა განაგებდნენ და არა თვითონ ქალი. მწერალი ამაში არ ეთანხმება მათ. მისი აზრით, ქალი უნდა გათხოვდეს საკუთარი გულის კარნახით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სრულწლოვანი არაა, მაშინ უნდა ჩაერიონ მშობლები.

ეს საკითხი წამოჭრა სოლომონ დოდაშვილმა „ელენაში“, გიორგი ერისთავმა „შეშლილში“ (1939), აგერ ახლა ლავერენტი არდაზიანმა (შემდეგ სხვებმაც — მაგ. ალექსანდრე ყაზბეგმა „ხევისბერ გოჩაში“, „მამის მკვლელში“, რაფიელ ერისთავმა „ნინოში“ და სხვა). ეს მე-19 საუკუნის მწერლებია, მაგრამ საერთოდ ქართულ ლიტერატურაში ეს ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანშია“.

ეს მწერლები გამობენ იმ უმართებულო წესს, როცა ქალი კი არ თხოვდება, არამედ ათხოვებენ.

ლავრენტი არდაზიანი იცავს მიჯნურობის რუსთველისებურ გაგებას — „შორით კვდომის და შორით დაგვის“ პრინციპს.

\*\*\*

ლავრენტი არდაზიანს ჰქონდა ფსევდონიმები: „ბიძია თონიკე“, „ალექსი ელბაქიძე“ (ამ ფსევდონიმებს იყენებდა პუბლიცისტურ სტატიებში).

მას თაობათა ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ თავისი აზრი მაინც გამოთქვა.

1862 წ. მაისში დაუნერია სტატია „ახალნი მნათობნი“ (ხელმოწერილია: „ბიძია თონიკე“), რომელიც თავის დროზე არ დაბეჭდილა (ამჟამად კი შესულია „თხზულებანი“, 1964 წ.). „ცისკარს“ გამოუჩნდნენ ახალნი მნათობნი, რომლებიც მისცვივდნენ დიდი ხნის დამარხულ მნათობებს და მოინდომეს მათი ამოგდება საფლავიდან, რომ ისინი დაებნელებინათ და ერვენებინათ ხალხისთვის თავიანთი ნათელი. ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რამდენად სამართლიანადაა შეფასებული ჩახრუხაძე „შვილების“ და „მამების“ მიერ. როგორც ცნობილია ილიამ პირველსავე სტატიაში („ორიოდე სიტყვა...“) ჩახრუხაძე უარყოფითად მოიხსენია. არდაზიანს მოჰყავს ასეთი ადგილი ილიას წერილიდან: „ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არ ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა. ზედ-შესრულებით დაინყოფა და თითქმის ზედ-შესრულებით თავდება. რა ვაივავლახით და კისრის მტკრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლიანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედ-შესრულის რახარუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში!. სადაც რუსთაველს, მაგ. თითქმის გენიასა (მითომ კი არ იყო გენია?) ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოა-

კუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი.“

არდაზიანის აზრით, ილიას ერთი შეცდომა ისაა, რომ მან გაილაშქრა ჩახრუხაძის წინააღმდეგ მაშინ, როცა იგი დავინყებულა, აღარავის ახსოვს. ჩახრუხაძე მკვდარია და „საცოდავს მკვდარი თავი მოჰკვეთეს“. მეორე შეცდომა ისაა, რომ ფიქრობს, ქართველი საზოგადოება ჩახრუხაძეს რუსთაველის დონეზე აყენებს. თუ თითო-ოროლა ვინმე ასე ფიქრობს, ეს როდი ნიშნავს, რომ ასეთი აზრისაა მთელი საზოგადოებაც. არა. რუსთაველს ყველა აქებს, პატივს სცემს, ღირსეულად აფასებს... ხოლო ჩახრუხაძე ბევრს არც კი გაუგონია. ასე რომ, საზოგადოება არ აქებს ჩახრუხაძეს თანასწორად რუსთაველისა.

ასე რომ, ჩახრუხაძე დღეს ჩვენში დავინყებულია, მკვდარია, „მაგრამ აი, სასწაული, რა წამს ხმალი ჭავჭავაძისა შაეხო, ჩახრუხაძე – ყოყორ! – აღსდგა მკვდრეთით!.. გაჩნდა ბაასი“. გამოჩნდნენ ადამიანები (გულისხმობს ილიას ოპონენტებს), რომლებმაც ჭავჭავაძის გასამტყუნებლად ჩახრუხაძე ცამდე აიყვანეს. ახლახან გამოჩნდა ახალ მნათობთაგანი – ექვთიმე წერეთელი, რომელიც აგრეთვე ჩახრუხაძეს გამოესარჩლა „და შეაზავა ასეთი ფაშარი და მძალე დომხალი, რომ იმისის ჭამით ყელი ამოგვეხანძლა“. ჩვენ კი მოვიწველეთ ეს დომხალი, მაგრამ პეტერბურგელ თერგდალეულებმა ვერ მოითმინეს და დაუშინეს გორისელს...

ჩახრუხაძის მაქებარნი იმონმებენ ანტონ კათალიკოსს, რომელიც ამბობს „ჩახრუხაძე უცხო პიიტიკოსი, რიტორთ მესტიხთ გვირგვინი“ და სხვა. ეს სისულელეა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ანტონს „თამარიანის“ გარდა ხელთ ჰქონდეს ჩახრუხაძის რომელიღაც სხვა ნაშრომი, რომლის გამოც აქებს ჩახრუხაძეს? ვინ იცის, იქნებ ჩახრუხაძე თავის დროზე მართლაც იყო წარჩინებული მწერალი: ფილოსოფოსი, მჭევრმეტყველი, ან ლექსთ-მწყობელი-პიიტიკოსი. ყოველ შემთხვევაში, ხომ ცნობილია, რომ მის მიერაა შემოტანილი სხვადასხვა სალექსო ზომები (ჩახრუხაული, ჩახრუხაული შერეული, ჩახრუხაული მრჩობლედის და სხვა). ეტყობა, სხვაზე დამოუკიდებ-

ბელი ყოფილა, რომ თავისი გზით უვლია და ახალი სიტყვა უთქვამს. ეს კი ბევრს ამბობს მის სასარგებლოდ.

შეიძლება მითხრან: არ ვარგა არც მისი ლექსთნყობილება, არც მისი პოემაო. „ეხლა, დიალ, არ ვარგანან, მართალია, მაგრამ ესეც ბრძანეთ, თავის დროსაც არ ვარგოდნენ? ვხედავთ, ჩახრუხადეს ჰყვარებია ბნელის სიტყვებით გამოთქმა აზრისა; ეს წუნია, მართალია, მაგრამ ეხლაა, ჩვენს დროს, წუნი“.

როგორც ვხედავთ, ლავრენტი არდაზიანი ჩახრუხადის შეფასებისას იცავს ისტორიულ თვალსაზრისს.

„მამათა“ სასარგებლოდ ლავრენტი არდაზიანი ერთ სიტყვა-საც არ ამბობს. პირიქით, ექვთიმე წერეთლის სტატიას „მძალე დომხალს“ უწოდებს.

„ცისკარის“ 1862 წ. 7-ში ხელმოწერით - „ბიძია თონიკე“ დაიბეჭდა სტატია „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“. ეს არის სცენების სახით დაწერილი ნარკვევი (თუ სტატია). პუბლიცისტური სტატიის ეს ფორმა ჩვენში პირველმა მოიმარჯვა ლავრენტი არდაზიანმა (შემდეგში იგივე ფორმა გამოიყენეს აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, რაფიელ ერისთავმა, ანტონ ფურცელაძემ და სხვა).

აქ ავტორი ცუდად ახასიათებს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თბილისის ტროტუარზე უსაქმურად დაეხეტებიან და ლაყბობა-ლაზღანდარობით, ჭორაობით ირთობენ თავს. მოქმედი პირები არიან ფრანტი ახალგაზრდები: ქალაქელი ბიჭი, ნასწავლი ფრანტი, I, II, III მეგრელი, პეტრე ურცხვაძე, დავით დარბაისლოვი. დაბერებულები და სამსახურიდან გამოსულები: პაფნუტ პახომიჩ ველიკოუმოვი და აპოლონ ტარასოვიჩ ოსტროუმოვი; გალოთებული ბებერი დედაკაცი აკინია, წითელ ვარატნიკიანი კაცი, შავი ვარატნიკიანი კაცი, ახმახი, ორი მძებარი ჭეშმარიტებისა, ტაკიმასხარა და სხვა.

ლავრენტი არდაზიანის ამ სტატიამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ახალი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აქ გატარებული კრიტიკა თერგდალეულთა კრიტიკად მიიღო. აკაკი წერეთელი საგანგებოდ ატყობინებდა კირილე ლორთქიფანიძეს: „ბულვარზედ მოგზაურობა დაბეჭდვამდის ჩემ ხელში

იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია. ვიზედაც არის, ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ ივარგებს, ღირსნი არიან... თორემ ჩვენზედ როგორ გაბედავენ რამეს დაწერას. ეს სტატია არდაზიანის არის, იმან დასწერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც პასუხი ვილაცყებ, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომიათ ტყავის გაძრობა და ეგ არისო, და შიშით უკანვე წაელოთ”.

მაგრამ კირილე ლორთქიფანიძე, როგორც ჩანს, ვერ დაარწმუნა აკაკის განმარტებამ და გამოაქვეყნა საპასუხო სტატია — „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ („საქართველოს მოამბე“, 4). კირილე აქ არდაზიანს ბრალად სდებს ახალი თაობის („შვილების“) აუგად ხსენებას (ჩანს, ამ აზრს ილიაც იზიარებდა, რაკი ეს სტატია დაბეჭდა).

ლავრენტი არდაზიანმა პასუხი გასცა კირილე ლორთქიფანიძეს სტატიით „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“ (ცისკარი“, 1863, 6). დაიბეჭდა ახალი ფსევდონიმით - „ალექსი ელბაქიძე“.

ამას გარდა, ლავრენტი არდაზიანს 1859 წელს „ცისკრის“ XI ნომერში გამოუქვეყნებია სტატია „პასუხი უ. ბერძენოვს პასუხისგებაზედ“. მასვე ეკუთვნის საინტერესო ნარკვევი ქართულ ლექსში მახვილის ადგილის შესახებ, „პროსოდია“.

## შენიშვნები:

1. იოან-ანტონ ლაიზევიცი (1752-1206 წ.) გერმანელი დრამატურგი: ტრაგედიის „იულიუს ტარენტელის“ ბარათაშვილისეული თარგმანი ჯერჯერობით დაკარგულია.





## რაფიელ ერისთავი

რაფიელ ერისთავს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 40-იან წლებში, აქედან დაწყებული მთელი 60 წლის მანძილზე (ე.ი. საუკუნის მიწურულამდე) იგი ენერგიულად იღვწოდა, საყურადღებო მწერალია რაფიელ ერისთავი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მოღვაწე.

დაიბადა 1824 წელს, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში. მამა დავით ერისთავი იყო ქისტაურის მემამულე, ხოლო დედა – ნინო ამილახვარი — ქართლიდან, სოფ. ჭალიდან (თავადის ავთანდილ ამილახვრის ასული). ერთი სიტყვით, სოციალური წარმოშობით არისტოკრატიული წრიდანაა.

სწავლობს ჯერ თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ მიაბარეს ბერებს შუამთის მონასტერში (აქ მისი მასწავლებელი იყო ფილადელფოს კიკნაძე — ავტორი 1832 წლის შეთქმულების წესდების „აკტი გონიურისა“ და საიდუმლო ანბანის შემქმნელი, რომელიც რაფიელს თურმე ლექსების თხზვაშიც ავარჯიშებდა).

შემდეგ რაფიელი მიაბარეს თბილისის გიმნაზიაში (ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში), რომელიც დაამთავრა 1845 წელს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იწყებს სამსახურს. ერთხანს მსახურობდა ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნად, შემდეგ – კავკასიის მთავარსამმართველოს კანცელარიაში. შემდეგ კი: განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან.

1857 წელს მიავლინეს სამეგრელოში აჯანყებულ გლეხთა დამშვიდებაში ხელის შესაწყობად კოლუბიაკინთან. იყო თარჯიმანი... 1857 წელსვე დანიშნულ იქნა ზუგდიდის ოლქის უფ-

როსად და იმუშავა აქ მთელი 10 წელი. ზუგდიდში არის მისი სახელობის ქუჩა და ძეგლი (პატივი სცეს ზუგდიდელებმა, ზუგდიდში არ არიან უმადურნი).

1963 წ. შეირთო გურული ქალი – დავით ერისთავის ასული თეოდოსია, მასზე ბევრად უმცროსი – 17 წლისა (დადიანების სასახლეში, ჭადრების ხეივანში გაიცნო) თვითონ იყო 40 წლის (ამ წელს დაოჯახდნენ ილიაც, აკაკიც).

1868 წ. დაინიშნა ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ (ერთხანს რაჭაშიც იყო მომრიგებელ მოსამართლედ. 1870 წელს, სულ ორიოდ თვე).

უფრო მოგვიანებით, 1889 წელს დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის უმცროს ცენზორად.

1891 წ. 45 წლისა გარდაიცვალა რაფიელ ერისთავის მეუღლე თეოდოსია. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში ჰყავდათ 5 შვილი (ხუთივე ქალი).

1895 წ. 22 ოქტომბერს რაფიელ ერისთავს გადაუხადეს სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე .ეს იყო I იუბილე (იხ. მამუკა ბერძენიშვილის წერილი — „პირველი იუბილე საქართველოში“ („ნიგნის სამყარო“, 1889 წ. 3). მწერლის I იუბილე, თორემ იუბილე უფრო ადრე, 1871 წელს გადაუხადეს გრიგოლ ორბელიანს (1897 წ. ილიასათვის უნდა გადაეხადათ დაბადების 60, მოღვაწეობის 40 წელი, მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა).

1896 წელს, თანახმად პირადი თხოვნისა, ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს ცენზორის თანამდებობიდან. გარდაიცვალა 1901 წ. 77 წლისა.

გარდაიცვალა თელავში, მაგრამ დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ქისტაურში (1911 წ. ქისტაურში მისი საფლავი ინახულა აკაკი წერეთელმა და პანაშვიდი გადაუხადა). 1938 წ. რაფიელ ერისთავის ნეშტი გადაასვენეს და დაკრძალეს თელავის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში. სხვათა შორის, მის გვერდითაა დაკრძალული აგრეთვე მისი და, ბარბარე ჯორჯაძისა).

1951 წელს აღინიშნა რაფიელ ერისთავის გარდაცვალებას 50 წლის იუბილე (ამავე წელს ქისტაურში ერისთავთა საგვარე-

ულო სახლში გაიხსნა მწერლის სახლ-მუზეუმი და დაწესდა დღესასწაული „რაფიელობა“).

ვაჟა-ფშაველამ, რომელსაც ძალიან უყვარდა რაფიელ ერისთავი და განიცადა კიდევ მისი ერთგვარი გავლენა, დაწერა ლექსი „რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზე“:

**კურთხეულიმც ხარ სულითა, ღმერთმა გიკურთხა ჭაღარა  
მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა შენი ხმა, შენი ნალარა,  
სამშობლომ ხევსურისამა ყველასიც გული დაღარა  
გრძნობა შესწირე ზვარაკად შენსა სამშობლო მხარესა,  
რბილსა და ნაზსა ღიღინში ცრემლსაც ურევდი მწარესა.  
დაჭრილი შველი დედასთან ამბავს ვის დააბარებსა?!  
ბარს ვინლა ასწევს მთამდინა, ან მთას ვინ გააბარებსა?**

ზოგიერთი კრიტიკოსი და მკვლევარი რაფიელ ერისთავის შემოქმედებას განიხილავდა სამოციანელთა შემოქმედების შემდეგ. არაა სწორი. რაფიელ ერისთავი ბევრად უფროსი იყო მათზე. ასპარეზზე გამოდის 40-იან წლებში (პირველი ლექსი „დარიგება“ დათარიღებულია 1844 წლით). რაც მთავარია, ქართველი სამოციანელები (ილია, აკაკი) მას თავიანთ წინამორბედად აღიარებდნენ.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებას მკვლევარები ყოფენ ორ პერიოდად, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა.

აღექსანდრე ხახანაშვილი:

- ა) 40-იანი წლებიდან 80-იან წლებამდის,
- ბ) 80-იანი წლებიდან 900-იან წლებამდის.

რატიანის აზრით, პირველი პერიოდი გრძელდება 40-იანი წლებიდან 70-იან წლებამდის, ხოლო II – 70-იანი წლებიდან 900-იან წლებამდის.

მიხეილ ზანდუკელის აზრით, რაფიელ ერისთავის შემოქმედების პირველი პერიოდია 40-50-იანი წლები.

ამ მოსაზრებებს შორის მაინცდამაინც დიდი განსხვავება არაა.

რაფიელ ერისთავი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 40-იან წლებში. იმხანად ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან აღექსანდრე

ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახ-  
ტანგ ორბელიანი...

რაფიელ ერისთავის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა მა-  
შინ, როდესაც ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ რომანტიზ-  
მი იყო გაბატონებული. სრულიად ბუნებრივია და გასაგები, რომ  
რაფიელ ერისთავი შემოქმედების პირველ პერიოდში განიცდის  
რომანტიკოსების, კერძოდ ალ. ჭავჭავაძის ერთგვარ გავლენას.  
ალექსანდრე ჭავჭავაძეს სიყვარულის ორივეგვარი გაგება აქვს –  
აღმოსავლურიც და დასავლურიც. რაფიელ ერისთავი პირველ  
ხაზს მიჰყვება და ავითარებს. მაგრამ გავლენა არ ნიშნავს, რომ  
იგი რომანტიკოსია. ცნობილია, რომ რომანტიზმს მრავალი თემა  
და მოტივი ჰქონდა: მაგრამ რაფიელ ერისთავმა რომანტიკული  
პოეზიისაგან აიღო მეტად განსაზღვრული თემები და მოტივები.

რაფიელ ერისთავის პირველი პერიოდის დროინდელი ლი-  
რიკა ანაკრეონტული ყაიდისაა. ამ ლირიკის ძირითადი მოტი-  
ვია თავდავინყებული დატკობა ამქვეყნიური ცხოვრებით, გა-  
დაჭარბებული ვნებიანობა და ბახუსის კულტი. ესაა ჰედონიზ-  
მი. ჩვენ გვახსოვს, რომ ამნაირი მოწოდება ისმოდა რომანტი-  
კოსთა – ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და  
სხვათა ლექსებიდანაც.

ჰედონიზმი – (ბერძნ. – სიამოვნება) - იდეალისტური მიმდინ-  
არეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს შეადგენს  
უდიდესი სიამოვნება (ნეტარება).

*ალექსანდრე ჭავჭავაძე:*

**ვისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,  
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა**

*(„ელეების კარი გაზაფხულისა“)*

*გრიგოლ ორბელიანი:*

**ჰე, ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე,  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე.**

**ერთსა წამსაც ნუ დაკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დასტკბი მხიარულობს გული ვიდრე.**

*(„ანტონს“)*

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა აღსა.

(„ჩემთ მეგობართ“)

რაფიელ ერისთავის პოეზიის ძირითადი თემები იმხანად არის სიყვარული, ღვინო და ქეიფი (ორივე ერთად – ჰედონიზმი).

რაფიელ ერისთავის პოეზიაში პირველ პერიოდში ძლიერია სხეულის კულტი (სხეული, როგორც ყველა მინიერი სიხარულის წყარო). პოეტის ხოტბის საგანი ხდება, უპირველეს ყოვლისა, ქალი. რაფიელ ერისთავი გამოდის სილამაზის მეხოტბედ (და არა მშვენიერებისა), ე.ი. აღმოსავლური სიყვარულის მომღერალია (აქ ბესიკის გავლენაცაა). იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქალის გარეგნულ სილამაზეს. პოეტს აქ ყველაფერი გადაჭარბებულად მინიერად, ხორციელად აქვს წარმოდგენილი. ქალის ლამაზი თვალები, ბროლის თითები, მღელვარე მკერდი და სხვა – აი, რა იქცევს რაფიელ ერისთავის ყურადღებას ამ პერიოდში. ასევეა ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაშიც. ესაა აღმოსავლური ნაკადი, რასაც — ანუ სიამბტკილობას — დაუპირისპირეს რომანტიკოსებმა ახლებურნი გაგება.

აი, თუნდაც რაფიელ ერისთავის პირველი ლექსი „დარიგება“, პოეტი თურმე ეტრფოდა ერთ ქალს, რომელიც ბრწყინავდა არა თავისი სულიერი მშვენიერებით, არამედ გარეგნული სილამაზით. ეს ქალი იყო არშიყი და, ბუნებრივია, მან პოეტი სხვაზე გაცვალა. და ახლა პოეტი ამ პირადი მაგალითიდან გამომდინარე, სხვას არიგებს – თქვენ მაინც ნუ მოგივათ ასეთი შეცდომა, მოერიდეთ ამისთანა ქალებს.

ერთხელ ველტოდი და ვეტრფოდი არშიყსა ქალსა;  
ტანად საროსა, კვიპაროზსა, ყელ ბროლ-ფიქალსა,  
მის ტუჩთა ლალებს, შავსა თვალებს, მათ ცეცხლის აღსა.  
ჯერ მიმითვისა, შემდეგ სხვისას შეუდგა გზასა,  
— გვიჯობს მოყვანსო, მოვერიდნეთ არშიყსა ქალსა.

როგორც ვხედავთ, ამ ქალს პოეტის ყურადღება მიუქცევია თავისი გარეგნობით, სხვა მხრივ ხომ ეს ქალი არ ბრწყინავს: ის არშიყია და ადვილად ცვლის ერთს მეორეზე.

გვაგონდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ჩემთ მეგობართ“ - 1841 წ. საკუთარმა მწარე ხვედრმა რომ დაანერინა.

სიყვარული კარგია, მაგრამ ამას გირჩევთ,

**მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი:**

**არ შეემსჭვალოთ მოკისკისეს, კეკელა ქალსა,**

**სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრულ მომღერალსა,**

**აშკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,**

**ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!**

რალაც ამის მსგავსი „ღალატი“ ქალისა განიცადა, ჩანს, რაფიელ ერისთავმაც.

(ეს ლექსი დაწერილია 1841 წ. „დარიგება“ კი — 1844 წელს, 3 წლით გვიან).

საყურადღებოა ამავე ხანებში დაწერილი ორი ლექსი ერთნაირი სათაურით „თვალეზი“ (1852 წ. გამოქვეყნდა). სათაურიც დამახასიათებელია, პოეტის ყურადღებას იტაცებს ისევ გარეგნობა, ამ შემთხვევაში თვალეზი.

**ვეტრფი შავსა თვალეზსა,**

**ვეტრფი სხივებს მალეზსა,**

**თუმცა ამ თვალეზმა ისარნი მკრეს მე გულსა,**

**ღლენი გამიმწარესა.**

(ნიკოლოზ ბარათაშვილი ცისფერ თვალეზს ეტრფის. „თვალეზში მშვენიერს, ვეტრფი მე ცისა ფერს...“ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ასე აქვს გადმოღებული: „თვალეზში მშვენიერს ვეტრფი მე შავსა ფერს“).

ლექსში „თვალეზი“ (აზრი რუსულიდან) პოეტი წერს:

**ვნახე თვალეზი, როგორც ისარნი,**

**ვითა მახვილი განგებისანი!...**

**რა მწველებია, რა მალეებია,  
რა თვალეებია, რა თვალეებია.**

მახვილი კი განგმირავს ადამიანს.

ბარათაშვილი: „მიყვარს თვალეები მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულები“. რაფიელ ერისთავი რომანტიკოსთაგან ალექსანდრე ჭავჭავაძეს უფრო უახლოვდება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სალხინო-სატრფიალო ლექსები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ. ახალგაზრდებმა ზეპირად იცოდნენ და მღეროდნენ. ამიტომაც მონათლეს ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთ ჰანგზე მომღერალ პოეტად.

**თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერსა ბასრობას,  
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას.**

სიყვარულის გრძნობას რაფიელ ერისთავი გვიხატავს ვნებიანობის გამომწვევი აქსესუარებით. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ლექსი „სიყვარული“ (1855 წ.). აი, ეს ლექსიც მთლიანად:

**ოდეს ტურფას შეეყარო,  
ვისთვისც გიძგერს მარად გული,  
თუ რომ გიყვარს ჭეშმარიტად,  
ასე უნდა სიყვარული:  
ხელი წელსა გადაჰხვიე,  
ვით რომ სურო ხესთან რგული,  
ისე მტკიცედ დაეკონე,  
ვით ფათალო ჩანმანხული“.**  
მაშინ უნდა მშვენიერსა  
თვალი თვალში გაუყარო,  
თავი თავსა, თმა ლალისა,  
მკერდი მკერდსა დაამყარო,  
ტუჩი ტუჩსა შეანებო,  
გულით სულით გაახარო,  
დავინყებას თავი მისცე,  
ნეტარების ცრემლი ღვარო!

ეს არაა რომანტიკული სიყვარული, არც მით უფრო – პლატონური (მაგ. ფრანჩესკო პეტრარკასი), ესაა აღმოსავლური, ხორციელი სიყვარული ვნებიანი და მწველი („ვისრამიანისა“ და „დეკამერონის“ სიყვარულის მსგავსი).

გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოღელებს გაცილებით უფრო ფაქიზი დამოკიდებულება აქვთ ქალთან... ასე შორს ბესიკი და ალექსანდრე ჭავჭავაძეც არ წასულან.

ცოტა უფრო გვიან, 1858 წელს დაწერილ ლექსში „რისთვის მიყვარხარ?“ პოეტი ისევ ხორციელ სილამაზეს ეტრფის, ვნებიანსა და მწველს:

**მიმელო ცნობა პირველადვე, რა გნახე შენა,  
უძღვენ მადლობა მას, ვინც, ტურფავ, შენ დაგამშვენა,  
„რისთვის მიყვარხარ?“ – მისთვის, რომ ხარ ეგრე ლამაზი:  
წყნარი და მშვიდი, მასთან მარდი, ვით რომ გავაზი.**

აღსანიშნავია ისიც, რომ რაფიელ ერისთავი გადაჭარბებულ მგრძნობელობას გამოხატავდა ავტობიოგრაფიული ხასიათის სატრფიალო ლექსებშიც. ამ მხრივ დამახასიათებელია „წრეს გადასული – წრეში შემოსულს“, რომელიც დაწერილია 1802 წელს, დაქორწინებამდე რამდენიმე თვით ადრე. პოეტი ამ დროს 40 წელს მიწვენილი იყო, ხოლო მისი საცოლე კი – სრულიად ახალგაზრდა, 17 წლისა და აი, წრეს გადასული (ე.ი. რაფიელ ერისთავი) მიმართავს წრეში შემოსულს (თეოდოსია ერისთავს):

**შენ გსურს მარადის ყმანვილი კაცი,  
ამას არ ვსტუი, არ უნდა ფიცი,  
რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,  
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი.**

...

**შენ გესიზმრება ლოყა-ნითელი,  
თმა-შავი ბიჭი, გულის შემწველი,  
ჰქონდეს მხარ-ბეჭი და წვრილი წელი,  
ახლად ჰყვაოდეს, როგორც რომ ველი.**



...

**შენ გინდა ცელქი ბავშვი გეტოფოდეს,  
შავთა თვალთაგან ცეცხლსა აფრქვევდეს  
ტკბილის ღიმილით გულსა გილხენდეს,  
თავს გეველებოდეს და გაცელქებდეს  
რად გინდა ჩემი გამოცდილება,  
ჭკუა დამჯდარი, ფიქრთა ქმნილება? და სხვა.**

უცხოელ პოეტთა შემოქმედებაშიც რაფიელ ერისთავს ამ ხანებში ისეთი ლექსები იზიდავდა, რომლებიც მის ამდროინდელ სულიერ განწყობილებას შეეფერებოდა. ასეთივე ხასიათისა იყო მისი თარგმანები.

ასეთივე გატაცებით უმღერის იმხანად ღვინოსა და ყანწს (ისევ ალექსანდრე ჭავჭავაძეს გვაგონებს — „მუხამბაზი ლათაიური“).

1. ვაზი, ალბათ, სამყაროს შექმნისთანავე გაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერებაში დადგენილია, რომ ვაზი ქვის ხანამდე არსებობდა. ჯერ იყო ველური ვაზი, რომლის ნაყოფს ადამიანი საკვებად იყენებდა. შემდეგ მოაშინაურა. ღვინო გამოიგონეს ქრისტემდე მეორე ათასწლეულში (ზუსტად სად და როდის, დაუდგენელია). ერთბაშად დაჩრდილა ყველა სხვა ამგზნები ნივთიერებანი (ოპიუმ-თრიაქი, ნიკოტინი, ნარკოტიკები..). გახდა სასმელების მეფე.

2. რელიგიების დამოკიდებულება ვაზისა და ღვინისადმი. ერთადერთი რელიგია, რომელიც მას ემტერება, არის მაჰმადიანობა. დანარჩენები დადებითად ეკიდება. ზოგიერთი (მაგ. მაზდეანობა, ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობა) ვაზს წმინდა მცენარედ აღიარებდა და ეთაყვანებოდა. დადებითად არის განწყობილი მის მიმართ, კერძოდ, ქრისტიანობა: ვენახი – სამწყსო, ღვთის სასუფეველი, ვაზი – მაცხოვარი (ქრისტე), ღვინო – მაცხოვრის სისხლი (ქრისტე თავის მოწაფეებს მიანვდის ღვინით სავსე ფიალას და ეუბნება: ეს არის სისხლი ჩემი, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატივეებლად. დემეტრე პირველის ლექსი „შენ ხარ ვენახი“ („შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული“).

ნინო კაპადოკიელი საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად შემოდის ვაზის ჯვრით (ვახტანგ ორბელიანის „ჯვარი ვაზისა“). ეკლესია-მონასტრების კედლებზე, კარებზე ხშირად ვაზია დახატული. არსებობს ურუნალი „ჯვარი ვაზისა“.

საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყნად ითვლება. აქ ოდითგან იყო ვაზის კულტურა და დიდი სიყვარული. ამას ადასტურებს თუნდაც არგონავტების მითი. აიეც მეფის სასახლე ვაზებშია ჩაფლული. საქართველოში გავრცელებულია ვაზის 500-მდე ადგილობრივი ჯიში (მაშინ, როდესაც საერთოდ მსოფლიოში არის 4000-მდე ჯიში). ქართველ გლეხს შვილივით უყვარდა ვაზი („ვაზო, შვილივით ნაზარდო...“). ქართველი გლეხი ვენახსაც მამულს უწოდებდა, ერთ-ერთ თვეს (ოქტომბერს) ღვინობისთვის. არის სოფლები „ვაზისუბანი“, „ვაზიანი“ (გარდაბნის, მცხეთის და ჩოხატაურის რაიონებში). გვარები: ღვინიაშვილი, ღვინაძე, ღვინიანიძე, ღვინეფაძე, ღვინჯილია, ღვინერია, მეღვინეთუხუცესი, მაჭარაძე, მაჭარაშვილი, რთველიაშვილი, რთველიაძე, ჭურაძე... (არის ვაზის მუზეუმი გურჯაანის რაიონში). გასაგებია, როცა მაჰმადიანური ქვეყნები კახეთს დაიპყრობდნენ, პირველ რიგში ვაზს ეძგერებოდნენ...(იხ. მიხ. კეკელიას „ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის“. გვ. 57).

3. შექმნილია უამრავი ლექსი, სიმღერა, თქმულება ვაზისა და ღვინის შესახებ (იხ. ანდრო ლეკიაშვილის „შენ ხარ ვენახი“ — 1975 წ. თემურ ღლონტის — „ვაზისა და ღვინის საგალობელი“ — 1983 წ.).

4. ღვინის გადაჭარბებულ სმას, ლოთობას ოდითგან ყველა ხალხი გმობდა (ჩინეთში, მაგ. ჯგუფური სიმთვრალისათვის სიკვდილითაც სჯიდნენ).

სიმთვრალის წინააღმდეგ თავდაპირველად ხმა აღიმალდა რელიგიამ. „მემთვრალეთა ვერ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა“ (სახარება). არამცთუ სასუფეველი, აქაც ვერ იხარებს. მემთვრალემ ვერ „ალაშენა სახლი სიმდიდრითა, არამედ აღავსო სახლი ვახშითა და სიგლახაკითა“.

ეფრემ ასური (IV ს.): მთვრალი კაცი პირუტყვზე უფრო უგ-

ნურია. პირუტყვი სცნობს თავის პატრონს, ხოლო მთვრალი ვერ სცნობს მახლობლებსაც.

5. წარღვნის შემდეგ ღმერთმა ნოეს ვაზი უბოძა. ნოემაც (წარღვნას გადარჩენილმა) „დაასხა ვენახი და ღვინო და მისგან დაითრო“. ე.ი. ბიბლიის მიხედვით, დედამინაზე სიცოცხლის კვლავ აღორძინება დაიწყო ვაზით. აქედან: ვაზი არის სიცოცხლის აღორძინების და ნაყოფიერების სიმბოლო.

ღვთისმსახურნი კონკრეტულ მაგალითებსაც იშველიებენ: ნოე უზომოდ გამოთვრა. განშიშვლდა და ასე დაიწყო სირბილი. შვილმა ქამმა სასტიკად გაჰკიცხა, (ნოეს 3 შვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეტი). ან კიდევ: ჰურიათა მეფე ჰეროდე რაბამი დათვრა და მკვლელობა ჩაიდინა (თავი მოჰკვეთა წმინდა იოანე ნათლისმცემელს).

ლოთობას სასტიკად გამობდნენ, კიცხავდნენ ჩვენი წინაპრები. მაგ. სულხან-საბას „სწავლანი“ (დამრიგებლობითი ხასიათის სასულიერო თხზულება). აქ არის ორი სპეციალური თავი: ა) „სწავლა სიმთვრალისათვის და ნათლისმცემლის თავის კვეთისათვის“ და ბ) „სწავლა სიმთვრალისათვის“ (თხზ. ტ. III 1963 წ.). საბას აზრით, ლოთობა, გადაჭარბებული სმა არის სათავე ყოველგვარი ბოროტება-უბედურებისა (მკვლელობის, ქურდობის, ავაზაკობისა...): „სიმთვრალე ბოროტი და ყოველთა ბოროტთა უბოროტესია“. „კეთილ არს წესიერად სუმაი“, „სვით ღვინო ზომიერად და ჭამეთ ტაბლა კეთილად“. „ლხინი – მხიარულად გახარება“, „ლხენა – ჭირთაგან ხსნა“.

*ვახტანგ VI:*

*ცოტა ღვინო, ზომირი ჭკუას კარგა გაასწორებს,  
ნამეტანი სახეს შეცვლის, მასცა შორედ გააშორებს.*

სხვათა შორის, ვახტანგის სამართლის წიგნით სიმთვრალე პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ადამიანს, პირიქით, ამძიმებს დანაშაულს. ადრე, მსოფლიო სამართლის კოდექსით, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული დიდხანს ითვლებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად. ის, რაც ვახტანგის სა-

მართლის წიგნმა სცნო, გვიან აღიარეს. ვახტანგი წერს: „ღვინოში რომ კაცმა ან კაცი მოკლას, ან დაჭრას, თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არა მეტი, ნაკლები არ მიეცევიანების, იმისათვის, რომ, ის იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევიანებს“ (აქ ყურადღება გამახვილებულია სუბიექტის თვითკონტროლზე).

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „სადლეგრძელოები და ქეიფი, რომლითაც ქართველები სახელგანთქმულია, მხოლოდ მე-15 საუკუნეში შემოვიდაო“. „თორნიკე ერისთავში“ 3 სასამისის შესმა იხსენიება. „პირველ სმაზე ახსენებდნენ საქართველოს და უფალსა“, მეორედ – მეფესა და დედოფალსა, მესამედ – მამულისთვის ომში დაცემულ გმირებს. „სულ ამით თავდებოდა მაშინდელი სადლეგრძელო“.

**მთვრალობა და „სადლეგრძელო“ სათვითოო არ იცოდენ; ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაინვოდნენ.**

მოკლედ, ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ „ზომიერი ჭამა და სმა“. ლხინი მათთვის იყო ლხენა, მხიარულად დროის გატარება, ე.ი. აქტიური დასვენება და არა თვითმიზანი.

ამ ჯანსაღი ტრადიციის მიმდევარია ალექსანდრე ჭავჭავაძე. დაგმო ლოთობა (სატირა „მუხამბაზი ლათაიური“). საყურადღებოა „შექცევათათვის“.

*თქვენ რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და  
უძლურ ქმნილნი,  
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი.  
სიამოვნე თუცა გნადისთ, ჯერ არს გქონდეს მისი ცნობა,  
იგი მუნით გარდეგების, სად იხმარის უზომობა.*

„მემთვრალისადმი“ (ფრანგულიდან):

*შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,  
მაგრამ წყალში ჭვრეტის ნაცვლად, ნითელ ღვინოს  
სარკედ ხმარობ,*

**სახე შენი მაგ ღვინოში, ჰსჩანს ვით ვარდი, ზედა ხარობ,  
მერე ეშყით აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ზარობ.**

ანაკრეონტისათვის ღვინო იყო თვითმიზანი, დროის სატარებელი, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავისთვის ღვინო იყო დასვენების საშუალება.

ღვინოს დიდ პატივს სცემდნენ ძველ საბერძნეთში. სწავლულთა — გელენი, სოკრატე, ჰიპოკრატე და სხვათა — აზრით, ღვინო ზოგიერთ ავადმყოფობასაც არჩენდა და მას მედიცინაც იყენებდა.

ბერძენ პოეტთაგან ბევრმა უმღერა ღვინოს, ქეიფსა და ლხინს (დროისტარებას). მათ შორის აღსანიშნავია ანაკრეონტი//ანაკრეონი – VI-V-ის პოეტი. ანაკრეონტის აზრით, ადამიანმა მთელი ცხოვრება ლხინსა და სიყვარულში უნდა გაატაროს (რადგანაც გარდუვალი სიკვდილი ელის). პოეზიის საგანიც ლხინი და სიყვარულია. ანაკრეონტი პირადად თვითონ მოქეიფე კაცი იყო, ბრწყინვალე საზოგადოების „ქეიფის სულისჩამდგმელი“.

ანაკრეონტს („მსუბუქი პოეზიის“ ფუძემდებელს) მაშინვე გამოუჩნდნენ მიმბაძველები, ეპიგონები, რომლებიც სანადიმო და სატრფიალო ლექსებს წერდნენ და ავრცელებდნენ ანაკრეონტის სახელით. ასე შედგა კრებული „ანაკრეონტიკა“ (შეიცავს 60 ლექსს). XIX ს-მდე ეს კრებული ანაკრეონტისად იყო მიჩნეული (სიმართლე შემდეგ დადგინდა). ახალ საუკუნეში ანაკრეონტულ ლექსებს წერდნენ ვოლტერი, ლესინგი, დერჟავინი, პუშკინი, ჩვენი ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი (მისი „მუხამბაზები“ და სხვა). რაფიელ ერისთავი და სხვები(წერდნენ, მაგრამ ანაკრეონტული პოეტები როდი არიან, ძირითადი მათი შემოქმედება სხვაა).

ღვინო დიდად იყო გავრცელებული ძველ ირანში (სანამდის იქ გავრცელებული იყო მაზდეანობა, ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობა). იქ მაშინ ვაზი წმინდა მცენარედ ითვლებოდა. შემდეგ ირანი არაბებმა დაიპყრეს და იქ ისლამი გაავრცელეს. ისლამი კი მორწმუნეებს სასტიკად უკრძალავს ღვინის სმას (ზო-

გან ამის გამო ადამიანს სიკვდილითაც სჯიდნენ). მაგრამ არაბებს გაუჭირდათ ირანში ვაზისა და ღვინის კულტის მოსპობა. ის კი არადა, სპარსელებმა არაბებიც შეაჩვიეს ღვინის სმას.

და აი, მოხდა საოცარი რამ: სწორედ ისლამურ სამყაროში გამოჩნდნენ პოეტები (მეტწილად სპარსელები), რომლებმაც ღვინოს ისეთი და იმდენი ხოტბა შეასხეს, რამდენიც არ უმღერია არცერთ ღვინისმსმელ ხალხს (მათ შორის ქართველებსაც, რომლებიც მსოფლიოში ღვინისმსმელებადაც არიან ცნობილი. ალექსანდრ დიუმას საამაყოდ და სატრაბახოდ ჰქონდა – ღვინის სმაში ქართველებსაც ვაჯობეო). ირანში რაც უფრო იკრძალებოდა, მით მეტ თაყვანისმცემელს და მეხოტბეს იძენდა. იმდროინდელ ისლამურ (მაჰმადიანურ) სამყაროში იმართებოდა ქეიფები „კონსპირატიულად“. მოქეიფეთა რიცხვი 4-5 კაციტ განისაზღვრებოდა (2-3 ცოტაა, 5-ზე მეტი ბაზარია). თან, ცხადა, მოქეიფეთა გვერდით ქალებიც იყვნენ.

რუდაქიმ „ღვინის დედაში“ მგზნებარედ უმღერა ღვინოს (ისე როგორც ირანში ვარდებსა და ბულბულებს უმღერდნენ. ხომ ცნობილია, რომ ვარდის სამშობლო არის შირაზი, ხოლო სადაც ვარდია, იქ ბულბულიცაა). არის ცნობა, დაკიკი მისმა მონამ აღვირახსნილი ქეიფის დროს მოკლაო. ღვინოს ენაფებოდა ფირდოუსიც და მაჰმუდ ლაზნევიდი (ლაზნეველი) ამის გამო გაურისხდაო. ცნობილ მეცნიერს ფარაბის ასეთი ლექსი აქვს: მთელს ჩემს ცხოვრებას შუშის ორ ჭურჭელთან ვატარებ. ერთში ასხია მელანი, მეორეში — ღვინო. მელნით ვწერ და ბრძნულ აზრებს ვალაგებ, ღვინოს ვსვამ და მით გულის დარდებს ვიქარვებ.

ადამიანს ზედმეტი ყველაფერი ბეზრდება, გარდა ღვინისა, რომელსაც, პირიქით, რაც ბევრს სვამს, მეტი უნდება. ერთი სიტყვით, ღვინო სასმელების მეფეა.

**მას შემდეგ, რაც მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,  
მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია,  
ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,  
ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან.**

უგონოდ დათრობა უაზრობაა (ასეთი ადამიანი „მკვდარი“ და რა სიამოვნებას მიიღებს?), მაგრამ არც მთლად ფხიზლად ყოფნაა აზრიანი. ყველაფერს სჯობია შეზარხოშება. თუ ღვინის ქალიც ემატება, მთლად ბედნიერებაა.

**ტურფავ, ღვინო მომანოდე, ორი რამე მინდა მხოლოდ:  
ღვინო შევსვა და ზედ შენი ტკბილი ბაგე დავაყოლო.  
ღვინო, ღვინო მომიტანე, რათა თავის შეკავების  
აღთქმა შენი დალალივით ქარს და ნიავს გავაყოლო.**

*(თარგ. მაგალი თოდუასი).]*

ღვინო რეფიელ ერისთავსაც წარმოუდგენია ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებად. აი, ლექსი დამახასიათებელი სა-  
თაურით „ღვინო“ (1868 წ.). პოეტი დასაწყისშივე აცხადებს –  
ვინ მოსთვლის ღვინის ღირსებას, მის თვისებასო. ღვინო ყოვ-  
ლისშემძლეა, ის მეფეა და ჩვენი ნუგეში, გვაბედნიერებს და  
გვაამაყებს. სხვა მრავალი ღირსებაც აქვს მას:

**ღვინოა სუფრის ჯილა, მასალა,  
ღვინოა ჩვენი სიცოცხლე, ძალა,  
ღვინოა მეფე და სიყვარული,  
გამბედაობა, ნუგეში, ფული!  
ღვინოა ცამდის რომ აგვამაღლებს.  
გვაბედნიერებს და გვაამაყებს!“  
კოჭლს აძლევს ფეხებს, ბრმას უხელს თვალსა,  
ამდიდრებს უცებ ღარიბსა მთვრალსა!  
ღვინოა, რომ მხდალს აგულიანებს,  
ღვინოა, რომ ჯანს უმატებს ჩვენს მკლავს.**

**ღვინოა ჩემი მეჯლისში ღვინი,  
ღვინოა ჩემი თვალისა ჩინი!**

და სხვა.

ღვინოსთან დაკავშირებულია ყანნი, სუფრა და სხვა ატრი-  
ბუტები.

ვინც ღვინოს ეთაყვანება, ის ყანწსაც უნდა ეტრფოდეს. პოეტისათვის მისაღებია მხოლოდ ყანწი, როგორც ქეიფისა და დროის გატარების ტრადიციული სიმბოლო. აი, ლექსი დამახასიათებელი სათაურითვე „ყანწი“ (1868 წ.).

**ყანწი მიყვარს მე, სპეტაკად თლილი,  
ტურფად მოხრილილ, ბოლოში წვრილი,  
ყანწით მიყვარს სმა ძველებურადა:  
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურადა!  
რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბროლი  
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი.  
რად მინდა თასი, ანუ ბადია?  
ღვინის ჭურჭელი, რაც მაბადია,  
სულ ენაცვალოს მოჭედილს ყანწსა.**

ძველ საქართველოში გავრცელებული სასმისები იყო აზარფეშა, ფიალა, ყანწი.

ამათზე ლექსებია დაწერილი. გრიგოლ ორბელიანის „აზარფეშაზე“ („ბედსა რად ჰსწყევლი? რად ჰსწუხარ? რას გარგებს სულმოკლეობა? შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება“). ნიკოლოზ ბარათაშვილის „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ („ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი? გაამოს“). მიხეილ თუმანიშვილის „ფიალა“ („მიყვარს ფიალა სპეკალი, ოდეს ღვინის ნაპერწკალი ნათობს, დულს, ელავს მას შიგან, თითქოს ლალის ნათელ-წყალი“).

რატომ ანიჭებს ყანწს უპირატესობას? იმიტომ, რომ:

**ყანწით სმა უფრო უხდება ლხინსა...  
მანამ არ დასცლი, ვერ დასდგამ ძირსა!  
დასცლი, — თამადა დაგლოცს, გაკუთხებს,  
არ დასცლი, — ყანწი შემოგაფურთხებს.**

ამიტომ:



გთხოვთ ყველგან ლხინი ყანნით დაიწყოთ,  
ყანნი აღარსად არ დაივიწყოთ!  
რადგან სხვა სოფელს ვართ წასასვლელნი...  
ამისიცა ვარ კვალად მთხოვნელი:  
როდესაც მოვკვდე, მოიხმეთ მღვდელი  
და ყანნითა სვით შესანდობელი!...

აკაკი ადრე (1865 წ. „რამოდენიმე სიტვა „ჩანგურის“ შესახებ“) ფიქრობდა, რომ რაფიელ ერისთავი იყო „ვარდ-ბულბულის“ მომღერალი პოეტი (აფიქრებინა მისი შემოქმედების პირველი პერიოდის ლექსებმა), მაგრამ შემდეგ (ეროვნული და სოციალური თემატიკა რომ გაძლიერდა) რაფიელზე აზრი შეიცვალა.

რაფიელ ერისთავის პოეზია იმხანად შეიცავდა ერთ უანრობრივ ჯგუფს – ე.წ. „საოჯახო ლირიკას“ („კამერულ ლირიკას“). რაფიელ ერისთავს ამ დროს ბლომად აქვს რომანსები, მიძღვნები (ალბომში ჩანანერები), ელეგიები, ეპიტაფიები, ეპიგრამები და სხვა.

იგი იმჟამადაც ხედავდა წოდებრივ უთანასწორობას, ყმების ცხოვრების მძიმე პირობებს. დატანჯული გლეხები პირადად ახლოს ნახა 1857 წ. სამეგრელოში.

პოეტი გლეხების მდგომარეობას კარგად იცნობდა პირადი დაკვირვებებით. ამას ადასტურებს მისი ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები. [„Записки о Туш-Пшав Хевсуретии“ იხ. „Кавказ“ 1854 გ., „Письма из Имеретии“, იხ. „Кавказ“ 1857 г.]. ამ საკითხს მწვავედ სვამს 50-იანი წლების მიწურულს. მიუხედავად ამ პერიოდის საერთო რომანტიკული ხასიათისა, რაფიელ ერისთავმა მაინც ვერ შესძლო დუმილით აეგლო გვერდი გლეხობის მდგომარეობისათვის. პირველად ამ საკითხს შეეხო 1857 წელს ლექსში „მთხოვნელი მსაჯულისადმი“; გლეხის ქალი მხურვალედ ევედრება მსაჯულს დაუბრუნოს შვილი, რომელიც მას ბატონმა წაართვა. დედა შვილს ხელით ანიშნებს, ჩემთან მოდიო, მაგრამ ბატონის შიშით შემკრთალი შვილი ამას ვერ ბედავს, „რომ მისულიყო, გადაეკოცნა, დედა-შვილურად

გადაჰხვეოდა!" ეს სურათი მან სამეგრელოში ნახა 1857 წ. (ლექსიც ამ წელსაა დაწერილი). ე.ი. სოციალური თემატიკა 1857 წ.-დან იჩენს თავს (სამეგრელოს გლეხთა აჯანყებიდან. ასე რომ, სამეგრელოში ჩამოსვლამ მის შემოქმედებაზე გავლენა იქონია).

„მთხოვნილი მსაჯულისადმი“ (1857 წ.) დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წ. ხელმოწერილია ასე — „იოსებ მიქაბერიძე“. ილია: „ჯერ ბატონყმობის (გადავარდნის) ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან. „სხვა რად ბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: ვის უპყრია ძალაო“. „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწუნდ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებული ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია... რაფიელ ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებული ღირსებისათვის“. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სამოციანელები მას თავის წინამორბედად მიიჩნევენ.

ეს ლექსი, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტის ამკარა გამოვლენა, არის საეტაპო მნიშვნელობს ნაწარმოები ქართულ მწერლობაში.

ასეთი შემთხვევები ბატონყმობის დროს ხშირად იყო და არა ერთეული (გამონაკლისი). აი, მაგალითად, ლექსი „სამზითვო“ (ბატონყმობის დროიდან) (დაწერილია 1882 წელს). ბატონმა გლეხს (თევდორეს) წაართვა ერთადერთი შვილი (გოგო), რათა თავისი ასულისთვის მზითვად გაეტანებინა. გლეხი ევედრება, დაუბრუნოს შვილი, მაგარამ ამაოდ. თევდორე პასიური გლეხია. შვილი წაართვეს და ვერაფერი მოიმოქმედა.

**დაღონებულა თევდორე, გულ-ხელი დაუკრეფია,  
გამპრალსა, გამწარებულსა ცრემლი არ უჩანს მჩქეფია.**

[ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტად ილიამ ამ ლექსის შინაარსი გამოიყენა. მაგრამ ლექსი რომ 1861

ნ. დაიბეჭდა? (მიაქციეთ ყურადღება, შეამონ. „კაკო ყაჩაღის“ ვარიანტები)].

რაფიელ ერისთავი ამ ლექსში გვიჩვენებს ბატონყმური სინამდვილის კერძო ეპიზოდს. მაგრამ იგი არ სვამდა საკითხს ბატონყმობის, როგორც სისტემის, მოსპობის შესახებ. მისი პროტესტი არ სცილდება მორალური მხილების საზღვრებს. დამახასიათებელია, რომ ყმა-შვილი ლექსში ნაჩვენებია, როგორც მონურად შერიგებული თავის მდგომარეობას. აღსანიშნავია 1859 წელს დაწერილი ლექსი „მთხოვარა გლახაკი“. აქ დახატულია ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანის სახე. არსებულმა სინამდვილემ ენერგიული ადამიანი მათხოვრად აქცია. მას სოფლად უბედურება ეწია – სახლ-კარი და ქონება დაეწვა. არავინ გაუნოდა დახმარების ხელი, იგი ქალაქში გამოიქცა და მათხოვრობა დაიწყო; მაგრამ აქაც არავინ აქცევს ყურადღებას: მეტიც, მას არც იბრალებენ.

ასეთია რაფიელ ერისთავის დამოკიდებულება სოციალური სინამდვილისადმი რეფორმამდე. რეფორმის შემდეგ გლეხობის მდგომარეობა, როგორც ცნობილია, არ გაუმჯობესებულა, პირიქით, გაუარესდა კიდევ. მე-2 პერიოდში (70-წლებიდან) რაფიელ ერისთავის შემოქმედების ძირითად თემად ხდება გლეხობის ყოფის ასახვა და დახასიათება. მან რელიეფურად დაგვისურათა უმთავრესად ღარიბი გლეხობის ცხოვრება.

მომდევნო, 1860 წ. ილიამ გვიჩვენა ისეთი გლეხი „მუშაში“, რომელმაც სოფელი მიატოვა და ბედის საძებნელად ქალაქს მიაშურა.

მხოლოდ მიზეზი სოფლის დატოვებისა რამდენადმე სხვადასხვაა: ილიასთან: ბატონი და მისი მათრახი, რაფიელ ერისთავთან — ადამიანის პირადი (კერძო) უბედურება. დედ-მამა ადრე დაეხოცა, ობლობაში გაზრდილმა შემდეგ ოჯახი შექმნა, მაგრამ სახლ-კარი დაეწვა (შიგ ამოებუგა ცოლ-შვილი, ხარძროხა). თვითონ ის ყვავილმა წააქცია, არავინ არ თანაუგრძნო, თანაუგრძნო კი არა, მეზობლებმა გაქურდეს კიდევ და ერთ დღეს შეშის ურემს ჩამოჰყვა თბილისში, აქ მათხოვრობა დაიწყო, მაგრამ არც ქალაქში თანაუგრძნო ვინმემ (არავინ გაიკითხა), მეტიც, ერთხელ ვიღაც უცხოოდ მოკაზმულმა მდიდარმა, ყარაბაღის აჯილღაზე მჯდარმა, ცხენი დაატაკა, მკლავი

მოტეხა, თვითონ კი გაიღიმა. ადამიანი მიწასთანაა გასწორებული, გასრესილი, აბუჩად აგდებულია. მან ისევ ღმერთზე დაამყარა იმედები. „უფალმა სთქვა: „გაიკითხეთ გლახაკი“.

მაღალი შეფასება მისცა, კერძოდ, ილიამ. მიიჩნია, რომ „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“. ამის შემდეგ არაა გასაკვირი, თუ ამ ლექსს გავლენა მოეხდინოს ილიაზე (იხ. ვახტანგ კოტეტიშვილის აზრი). ქართულ ლიტერატურაში ესაა პირველი მათხოვარი (შემდეგში, 900-იან წლებში მათი რიცხვი მომრავლდა და ფართოდ გვიჩვენეს იროდიონ ევდოშვილმა და მისი სკოლის მწერლებმა).

„თედუას“ გავლენა ნიკო ლომოურის მოთხრობაზე „ყოველის მხრიდან.“

ე.ი. არამარტო რაფიელ ერისთავმა განიცადა სამოციანელთა გავლენა, არამედ, პირიქით, მისი გავლენაც განუცდიათ სხვა მწერლებსაც.

აი, ლექსების მთელი ციკლი, რომლებშიც დახატულია გლეხების მძიმე ყოფა. „თანდილას დარდი“ (1881 წ.), „სესიას ფიქრები“ (1883), „ტეტიას მოთქმა“ (1883), „ბერუას ჩივილი“ (1883), „ბერუას ჩაფიქრება“ (1883), „რას შემომცქერე ძმობილო“ (1884), „დემეტრეს ჩივილი“ (1885), „დედაბრის მოთქმა“ (1882), „მოუმკალი ყანა“ (1882). სათაურებს დავაკვირდეთ: გლეხების „დარდი“ „მოთქმა“, „ჩივილი“, „ჩაფიქრება“. ამ ლექსებში, მართლაც, გლეხთა ვაება და გოდებაა გადმოცემული

რაფიელ ერისთავი გლეხთა ცხოვრებიდან უმთავრეს ყურადღებას აქცევს მათ შრომას. შრომის გარეშე გლეხს ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მისი საოცნებო საგანია მიწა, მას ყველაფერი უყვარს, რაც შრომაში ეხმარება. მაგრამ ხედავს, რომ მას მხოლოდ შრომა და ჯაფა ეკუთვნის, ხოლო მიწა სხვას.

ეს როგორ არის ვერ მივხვდი,  
როგორი განაჩენია,  
მიწა სხვისია, ვქირაობ,  
შრომა კი მარტო ჩემია.

(„ბერუას ჩაფიქრება“, 1883 წ.)

სესიას ოცნების საგანიც მინაა; მისთვის მინა დედ-მამაა, და-ძმაა. იგი დღედაღამეს ასწორებს, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც ვერ გამოიძლო კუჭი, ან კი როგორ გამოიძლობდა, როდესაც ყველა მას წინკნის, მას შესცქერის:

**მინა ვარ ნიადაგ მენა,  
ბეჩაფი, გლახად შობილი,  
მინაა ჩემი დედ-მამა,  
ჩემი და, ჩემი ძმობილი...  
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მინასა  
ე შრომა მაინც ფუჭია,  
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,  
ვერ გამოვიძლე კუჭია...  
მინის პატრონიც მე მწინკნის,  
ჭინჭველაც ჩემი მტერია,  
მოსხელე, მღვდელი და ერი,  
ყველა მე შემომცქერია.**

*(„სესიას ფიქრები“, 1883 წ.)*

სესია ვერ პოულობს გამოსავალს ამ აუტანელი მდგომარეობიდან და უიმედობაში ვარდება. იგი ამქვეყნად ვერ ხედავს მძიმე პირობების შემამსუბუქებელ ძალას. ამაზე მას არც მწერალი მიუთითებს:

**ნეტავი გამაგებინა,  
როდის-ღა მომასვენებენ?  
ვერ შევესწრები მგონია,  
სანამ არ გამასვენებენ!**

რაფიელ ერისთავის გლეხები მოსთქვამენ, რომ მათი არსებობის მთავარი პრობლემა მინაა, მაგრამ ის სხვისია. გლეხების გრძნობა, აზროვნება, იდეალი, ნატვრა და იმედი მთლიანად მიწიერია, მინის სუნი უდის. გლეხი მხოლოდ მინას ჩასჩერებია, მაღლა არ იხედება, წარსულს არ იგონებს. რაფიელ ერისთავის გლეხობის აზროვნება არ გასცილებია ხვნა-თესვის პროცესს.

გლეხის ცხოვრების შეუფერავი სინამდვილეა წარმოსახული ლექსში „თანდილას დარდი“ (1881 წ.). თანდილას უბედურება ენია – მოუკვდა ხარი გიშერა. გიშერას სიკვდილმა გლეხი უზომო მწუხარებაში ჩააგდო. თანდილა მოსთქვამს:

**რილათი მოვხსნა ნანრეტი,  
რით ავიცილო შიმშილი,  
რილათ გაუძღვე ქვეყანას,  
რილათ ვარჩინო ცოლ-შვილი?**

ხარის სიკვდილმა თანდილაში მთელი ტრაგედია დაბადა. გლეხი დაჩაგრულია არამართო მებატონისაგან, არამედ მოხელეებისგანაც. გარდა „სესიას ფიქრებისა“, ეს გარკვევითაა ნათქვამი ლექსში „ბერუას ჩივილი“ (1883 წ.). ყველა გლეხს ჩამოჰკიდებია: მამასახლისი, გზირიც; ვაჭარი, რომელიც ვალს მეორედ თხოვს. „ნათლია – მამასახლისმა ერთ თუნგ არაყში გამცვალაო“.

**გეო ვაჭარი ჩემს სახლში  
ნავარდობს როგორც ქორია,  
გზირიც არყისგან გამტყვრალი,  
გორაობს, როგორც ღორია!..**

ასე რომ, საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხი კია დაღონებული, დადარდიანებული, ჩაფიქრებული („თანდილას დარდი“, „სესიას ფიქრები“, „ტეტიას მოთქმა“ და ა.შ.), მაგრამ რა არის ამ დაღონება-დარდის მიზეზი?

ყოველივე ამისი უშუალო მიზეზია კერძო-პირადული ხვედრი. გლეხები იმაზე მოთქვამენ და გოდებენ, რომ ერთს ხარი მოუკვდა, გიშერა (და რითი მოხსნას ნანრეტი), მეორეს მიწა არა აქვს სამყოფი, მესამეს ღალატობს ამინდი (მზე-წვიმა), მეოთხე სეტყვამ დააქცია, მეხუთეს ვაჭარი ატყუებს და იბრიყვებს.

საინტერესოა, რომ გლეხის განცდებს (ფსიქოლოგიას) ასე კარგად გვიხატავს თავადი, თვითონ სასახლეში დაბადებული

და აღზრდილი კაცი (თორემ სულ სხვაა, როცა გლეხის ცხოვრებას და განცდებს გამოხატავს თვითონ გლეხი (ან წარმოშობით გლეხი). მაგ. დანიელ ჭონქაძე, იოსებ დავითაშვილი და სხვა).

საგლეხო რეფორმის შემდეგ, როგორც ცნობილია, სოფლად ფართო გასაქანი მიეცათ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებს, სოფლის პატრიარქალურ ცხოვრებაში შეიჭრა ჩარჩ-ვაჭარი, და გლეხიც მაგრად გაება მის მიერ მოხერხებულად გადაგდებულ ბადეში. ამ მხრივ გარდა ლექსისა „ბერუას ჩივილი,“ საყურადღებოა „დემეტრეს ჩივილიც“ (1885 წ.). დემეტრეს ვაჭარი „ნათლიად“ შეეპარა სახლში. მალე ვაჭარს დემეტრეს სახლ-კარი გაუჩნდა სალაშქროდ, სანადიროდ. ვაჭარი მეორედ ახდევინებს ვალს:

**მაგრამ ვალი რომ მოგეცი,  
ჩაგიჩხრიალე ხელშია,  
მეორედ რალაზე მართმევ,  
რალაზე მიჭერ ყელშია?  
შემომეპარე ნათლიად,  
რალაზე დაჰგმე მირონი?  
ჩემი სახლ-კარი გაგიჩნდა,  
სალაშქრო, სანადირონი?**

გლეხების ცხოვრებისათვის ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. მაგ. მომუშავე წევრის გამოკლება, ან ბუნების სისასტიკე მთელ უბედურებას უქმნის მას. გარდაიცვალა 21 წლის სესია, „კარგი მეურმე, მომკალი!“. მისი მოხუცებული დედა მწარედ მოსთქვამს ოჯახის დალუპვას, რომ მას მოუვლელი რჩება ყანა („მოუშკალი ყანა“, 1882 წ.).

გლეხის მტერია ცუდი ამინდები, სეტყვა და სხვა („ტეტეიას მოთქმა“, 1883 წ.).

**ყანა წამიხდა, რა ყანა  
ავ თვალს არ ენახებოდა.**

რაფიელ ერისთავის პოეზიაში გლახობა გამსჭვალულია მხოლოდ თავისი კერძო საყოფაცხოვრებო მოთხოვნებზე-ბით. აქ გლახების ღვინო და მწუხარება ინდივიდუალურია.

აქვე ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულების შესახებ რაფიელ ერისთავის პოეზიაში. მას არ ახასიათებს ბუნების რომანტიკა. მისი ლირიკული გმირი არ ცდილობს თავისი გრძნობები და განცდები გადმოშალოს ბუნების მეშვეობით, მასთან საუბარში. ბუნების აღწერა რაფიელ ერისთავის პოეზიაში მოკლებულია სიმბოლოსა და მისტიკას. პოეტი გვიჩვენებს ბუნების მხოლოდ მატერიალურ ხელშესახეობას.

რაფიელ ერისთავის პოეზიაში ბუნება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია გლახის შრომასთან. გლახის ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ბუნებაზე. ცუდი ამინდები (სეტყვა, გვალვა და სხვა) გლახის გამაუბედურებელია. კარგი ამინდები კი, პირიქით, გამაბედნიერებელი, სიკეთის მომტანი („ღამის მებრე“, „გაზაფხული“, „სურათი“ და სხვა). ერთი სიტყვით, რაფიელ ერისთავი ბუნებას გვიჩვენებს კარგი და ცუდი ამინდების თვალსაზრისით.

რეფორმის შემდეგ ერთ-ერთი საჭირობოროტო შეიქნა ხიზნების საკითხი. ხიზანი ცხოვრობდა ბატონის მამულში, ამუშავებდა მას და იხდიდა გადასახადს. რეფორმის შემდეგ მათი მდგომარეობა ერთიორად გაუარესდა. მემამულეები ცდილობდნენ, ხიზნები ელიარებინათ ვადიანი მიწის მოიჯარადრეებად. თუ ბატონი ამას მიაღწევდა (ე.ი. თუ ხიზანს შეეკვროდა საიჯარო პირობით), მაშინ ბატონს შეეძლო ხიზნის აყრა მრავალწლოვანი დამუშავებული ადგილიდან საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ. ხშირად მემამულე ამას ახერხებდა და ვადის გასვლის მერე ხიზანი გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. ამ ნიადაგზე იყო წინააღმდეგობა და ხშირად სისხლისღვრაც ხდებოდა.

ამ საკითხს შეეხება რაფიელ ერისთავის ლექსი „მოხუცი ხიზანი ყმანვილს მემამულეს“ (1884 წ.). მოხუცი ხიზნის აყრა განუზრახავს ახალგაზრდა ბატონს, ძნელია მოხუცისათვის ათეული წლობით დამუშავებული ადგილის დატოვება და ცდი-



ლობს ბატონში გამოიწვიოს „სულგრძელობის“ და „ქველმოქმედების“ გრძნობა.

ვაჟო, რად მითხოვ აქედან,  
ნეტა რა დაგიშავება?  
ღმერთმა ხომ იცის, მე შენთვის  
არა ვყოფილვარ ავია...  
ხარჯს ვიძლეოდი რიგიანს,  
არ დამიკლია ბეგარა,  
ხიზანი ვიყავ მე შენი  
შენ ჩემი თავი გებარა...

...

მე არ გიხნავდი ხოდაბუნს,  
გიმკიდი, შეშას ვზიდავდი,  
გზღნობდი, გაძღვევდი ღალასა,  
ვენახში ვაზსა ვნიდავდი?...

...

მენა აქა მაქვს სახლ-კარი,  
ფუძე, აქა ვარ ჩვეული,  
სადლა წავიდე ბედკრული,  
როგორც თიკანი ეული?...

ვაჟო! ჩემი ხნის კაცისთვის  
სხვაგან რა გასაძღვებია?  
ან სად წავიდე, სად ჩავფლა  
ე მამა-პაპის ძვლებია!...  
ნუ მიზამ, ღმერთი გაცოცხლებს,  
ი მამიშენის ღხენასა!  
შემოვხიზნივარ შენს კალთას,  
შენგნითვე ველი რჩენასა...

პოეტი გლახობაში აფასებს და არა ბრძოლის უნარს, არამედ მოთმინებას და ბედთან შერიგებას, რელიგიურ-ქრისტიანულ სიმშვიდეს. აქედან იჩენს თავს მოჭარბებული ჰუმანიზმი მის შემოქმედებაში. ყოველთვის და ყველგან (იქაც კი, სადაც მხოლოდ ბოროტებაა) პოეტი ეძებს სიკეთესა და მშვენიერებას.

რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს გვაგონებენ რაფიელ ერისთავის გლეხები? მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის მუშა ბოქულაძეს, რომელიც ბოქულა „ძალღია“, არ იკბინება; რომელსაც „სულს უმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა... გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა, გრძნობს სიმშვიდეს, ლოცვაებსა იგონებს“ და მჩაგვრელს ეუბნება:

**ჰე, ძმავ! ნადი შენ შენს გზაზე სიმღერით,  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა.**

მუშა ბოქულაძე:

**მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?  
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას  
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო  
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა.**

რაფიელ ერისთავის კონსერვატული, ღვთისმოსაური შეხედულებანი გლეხობაზე ყველაზე სრულიად და რელიეფურად გადმოცემულია ლექსში „ღმერთი დიდია, ღარიბო“. აქ, როგორც სარკეში, გარკვეულად ჩანს პოეტის მსოფლმხედველობა. იგი გლესს (ღარიბს) მოუწოდებს არა ბრძოლისაკენ, არამედ უქადაგებს მორჩილებას. ვინც რაგინდ რა დაგიშავოს, შენ შფოთს ნურავის აუტეხ, ყველასთან ძმურად იყავიო, თუ იასაული უსამართლოდ ჩაგაფრინდება, ან კიდევ მამასახლისი აგიხირდება, — ყველაფერი აიტანე. ღმერთმა რაც ვალი დაგდო, თავთავის დროზე იხადე და სხვაო. აი, ადგილები ამ საინტერესო ლექსიდან:

**ნუთი-სოფელი ცრუ არის,  
აქ ყოფნა ერთი წამია;  
და გაისარჯე, ძამია...**

როცა რომ იასაული  
უმართლოდ ჩაგაფრინდება  
ღმერთი დიდია, ღარიბო,  
გული ნუ შეგიშინდება.  
შფოთს ნუ აუტეხს ნურავის  
ყველასთან იყავ ძმურადა;

...

რაც დაგდო ბედმან ვალადა,  
თავ-თავის დროზე აძლიე;  
და მაშინ მამასახლისი  
თუ რასმე აგიხირდება  
ღმერთი დიდია, ღარიბო,  
გული ნუ შეგიშინდება.

მღვდელს საქორწილო, საკურთხი  
მიართვი დანესებული,  
რომ ველარ გისაყვედუროს  
მაშინ იქნები ქებული.

და სხვა (1881 წ.).

აქ გარკვეულადაა ნათქვამი, რომ ბოროტების წინააღმდეგობა არ გაუწიო, ამქვეყნად ყველაფერი აიტანო. რაფიელ ერისთავი გლეხებს იმით ანუგეშებს, რომ ღმერთი დიდია, მოწყალეა. „სახარების“ ცნება: კაცმა ერთ ლოყაზე რომ გაგარტყას, მეორეც მიუშვირე. ე.ი. ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორია (ლევ ტოლსტოის რომ ჰქონდა, ცნობილია „ტოლსტოველობის“ სახელით).

რაფიელ ერისთავის გლეხები ღმერთზე ამყარებენ იმედს, აი, ლექსი „ღმერთო მაშორე“ (ღმერთო, მაშორე უბედურებას, ბოროტს, ზარბაზანს და დინამიტს, მეჭორე ქალს...), „ღმერთო გვიშველე!“ (ორივე ლექსი დანერილია 80-იან წლებში).

საერთოდ, რაფიელ ერისთავის გლეხები უაღრესად რელიგიური არიან. ისინი ყოველგვარ უბედურებას ღმერთს უკავშირებენ;

**როცა მლალატობს მზე-წვიმა  
და მომიცდება ყანები,  
უფლის ნებაა, რა ვუყო,  
მე იმას ვეთაყვანებიო.**

*(„ბერუას ჩაფიქრება“, 1883)*

ისინი გულკეთილები და ჰუმანისტები არიან. მზადმყოფნი, ყველაფერს შეურიგდნენ, ყველაფერს უპოვნონ გამართლება. მისი გლეხები „სახარებიდან“ ამოღებულ ტიპებს ჰგვანან. ხშირად მათი ცხოვრება რალაც ცხოველური მორჩილების ხასიათს ღებულობს. აი, მაგ. გლეხი თედუა. იგი მთლიანად სახარების ტიპია. დღე და ღამე მინას ებრძვის, ჯაფისაგან ქანცგანყვეტილია, მაგრამ ყველაფერს ითმენს.

**ცის რისხვას, ბატონის წყრომას,  
ქედმოხრით ემორჩილება.**

*(„თედუა“, 1888 წ.)*

მეტიც, ისინი ღმერთს ემაღლიერებიან კიდევც, რომ გლეხად გააჩინა.

**გლეხად დამბადა მე ღმერთმა  
იმასაც ვეთაყვანები.**

*(„რას შემომცქერი, ძმობილო?“ 1884 წ.)*

როგორც ვხედავთ, რაფიელ ერისთავის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა გლეხობის მდგომარეობის აღწერაა. ეს იყო მიზეზი, რომ კრიტიკამ რაფიელ ერისთავი დიდ ხალხოსან მწერლად მონათლა. მაგრამ ეს არაა მართებული. არც იდეურად, არც ორგანიზაციულად იგი არ ყოფილა ხალხოსანი. როგორც ცნობილია, ჩვენი ხალხოსანი მწერლები (სოფრომ მგალობლიშვილი და სხვები) პრაქტიკულადაც ხალხოსნურ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი.

მწერლის მსოფლემხედველობა განისაზღვრება არა იმით, თუ რომელ ყოფას ასახავს, არამედ იმით, თუ როგორ აგვისა-

ხავს ამ ყოფას, რა თვალსაზრისით აშუქებს. თემა კი არ განსაზღვრავს მწერლის მიმართულების ხასიათს, არამედ მისი გაშუქება და გადანყვეტა, ის, თუ როგორ ესმის ესა თუ ის თემა.

რაფიელ ერისთავი მხოლოდ შორეულად და მეტად მკრთალად განიცდიდა ხალხოსნური მოძრაობის გავლენას.

აკაკი წერს (წერილში „უძღვები შვილი“, ტ. 13, გვ. 109): „ძველმა აღთქმამ თავის მცნების პირველ მუხლად წინ წამოაყენა შურისძიება, სამაგიეროს მიგება. მოსე წინასწარმეტყველი ამბობს: „თვალის წილ თვალი და კბილის წილ კბილი“, ახალმა აღთქმამ კი უარჰყო ეს და თავის მცნებას ქვაკუთხედად დაუდვა სიყვარული: „შეიყვარე მოყვასი (მტერიც) შენი ვითარცა თავი თვისი და მიუტყევე, რათა მოგეტყვოს“.

გიყვარდეს მტერიც კი შენით. კაცმა ერთ ლოყაზე რომ გავარტყას, მეორეც მიუშვირეო.

როგორც აღვნიშნეთ, რაფიელ ერისთავის გლახები რელიგიურნი არიან. ამ რელიგიურობის სათავე აქვს თვითონ ავტორის მსოფლმხედველობაში. მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსებს შორის რაფიელ ერისთავი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, როგორც რელიგიურ-ქრისტიანულ დოგმატთა მიმღები და დამცველი. რაფიელ ერისთავის კალამს ეკუთვნის ასეთი სათაურის ლექსებიც: „აღდგომა“ (1880 წ.) „ბზობა“ (1881 წ.), „ჩემი ლოცვა“ (1881 წ.) და სხვა.

ერთ-ერთი ძირითადი მოტივი რაფიელ ერისთავის პოეზიაში პატრიოტიზმია. პატრიოტული მოტივი ყველაზე უფრო სრულად და ხელშესახებად გადმოცემულია ლექსებში:

1. „დედა – ენა“ (1881 წ.);
2. „რაზე მიწყრები, ყვენო?“ (წარსული საუკუნეების ამბავი) (1882 წ.);
3. „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“ (თემურლენგის დროის) (1881 წ.);
4. „მორიგი ჯარის სიმღერა“ (1887 წ.);
5. „ნეტა რას სტირი, დედილო“ (ალა-მაჰმად-ხანის დროის) (1881 წ.);

6. „წიგნი მოწერილი ჯარიდგან...“ (1888 წ.);

7. „სამშობლო ხევსურისა“ (1881 წ.).

ამავე მოტივს შეეხება პოემები „ასპინძის ომი“ და „თამარიანი“.

80-იან წლებში ახალი ძალით იფეთქა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ. ეს გამოიწვია ალექსი II-ის მოკვლის (1881 წ.-I/III) შემდეგ გაბატონებულმა რეაქციამ. მისი სუსხი განსაკუთრებით იგრძნობოდა იმპერიის პერიფერიებში, დაპყრობილ ქვეყნებში. მეფის რუსეთმა მტკიცედ გადაწყვიტა პატარა ერების გადაჯიშება (ქართულ სხეულში რუსული სული). ამას ქართველმა პატრიოტებმა უპასუხეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაშლით.

80-იან წლებში, როდესაც რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ქართული ენა მეტად შევიწროვებული იყო, სკოლებიდან და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან იდევნებოდა და სხვა – ჩვენი საზოგადო მოღვაწეები გამოდიან მის დამცველად. ილია, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები გვევლინებიან ქართული ენის თავდადებულ ქომაგებად. სწორედ ამ ამბების გამოხმაურებას წარმოადგენს რაფიელ ერისთავის ლექსიც „დედა-ენა“. სამოციანელთა მსგავსად, რაფიელ ერისთავი იცავს ქართულ ენას. პოეტი სამშობლო ენის აუცილებლობას ბუნების კანონით ასაბუთებს: ყველა სულიერს - „ფრინველს თუ ცხოველს, მწერსა და ქვემძრომებს“ საკუთარი ენა აქვთ – ეს ბუნების წესი და კანონიაო.

**ღვთისაგან გაჩენილ ყოველს სულიერს,  
ორ-ფეხს თუ ოთხ-ფეხს, სუსტსა, თუ ძლიერს,  
მის-მისდა გვარად ებოძა სმენა,  
ებოძა ღვთისგან მათ მათი ენა.**

ყველა თავის საკუთარი ენით მეტყველებს, მაგ. კატა ჩხავის (კნავის), ძალლი ყეფს, მგელი ყმუის, მტრედი ლულუნებს, ბაყაყი – ყიყინებს, გველი – სისინებს, ყვავი ჩხავის, ირემი — ყვირის, ძროხა – ბლავის, ცხენი – ჭიხვინებს, ვირი – ყროყინებს,

მელა — ხავის, შაშვი — ჭახჭახებს, ქათამი — კაკანებს, ღორი ღრუტუნებს. — ეს მათი ენაა, ასეთია ბუნების წესი და კანონი, „აქ სჩანს ბუნება და დედა-ენა“. ამ ენით საუბრობენ ისინი ერთმანეთთან. ერთს არ შეუძლია საუბარი დაიწყოს მეორის ენით. ბუნების ამ კანონს ვინც გადავა, მას ვნება შეხვდებაო.

**მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,  
ბულბული — ყროყინს, თევზი — კნავილსა,  
კრავი უმანკო — მელას ხავილსა,  
გვრიტი — ჭიხვინსა, ბუზი — ბლავილსა!...  
ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა,  
აქ ჩანს ბუნება და დედაენა!**

და რა გასაკვირი უნდა იყოს ყოველივე ამის შემდეგ თუკი ყოველ ადამიანსაც სამშობლო ენა ეყვარება.

**ენით ვცოცხლვარ, მით მიყვარს ლხენა  
მიყვარს სამშობლო მე დედაენა.**

ერის უპირველესი ნიშანი ენაა. თაობათა ბრძოლაში ენის სა-  
კითხი ერთ-ერთი იყო.

ენის დათმობა ეროვნების დათმობას უდრიდა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“...

ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით  
რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი

**ტაძარსა წმინდას.**

*(გრ. ორბელიანი)*

**მტერობა ენის, არის მტრობა ქვეყნის.**

*(ილია)*

**1. ენა გვაქვს წინაპართაგან, ვით განძი გადმონაცემი,  
როგორაც სჯული, ენაა უმაღლეს პატივისაცემი;**

## 2. ვინც ენას დაამახინჯებს, იქმნება მისი დამცემი, ის ჩაითვლება საერთოდ, ვითარ იუდა გამცემი.

(ს. გუგუნავას ლექსი „დედა ენა“)

მომდევნო, 1882 წელსაა დაწერილი ლექსი „რაზე მიწყრები, ყვენო?“ (წარსული საუკუნეების ამბავი); რაფიელ ერისთავიც მიმართავდა წარსულს. სამოციანელთა გავლენით და მათი მსგავსებით ისიც ამ წარსულს იყენებს ეროვნულ-პატრიოტული იდეების სააგიტაციოდ...

### **აქვს ლექსები ისტორიულ ეპიზოდებზე:**

1. „რაზე მიწყრები ყვენო? (წარსული საუკუნეების ამბავი)“
2. „რას ერჩი მაგ ბიჭს თათარო (თემურლენგის დროების)“
3. „მორიგი ჯარის სიმღერა“
4. „ნეტა რას სტირი დედილო (ალა-მაჰმად-ხანის დროის)“
5. „წიგნი მოწერილი ჯარიდგან აღმასაანთ ბეროსაგან თავის დანიშნულ თამრო გოგოსთან“ და სხვა.

ამ ციკლის ლექსებში ნაჩვენებია ქართველთა წინაპრების გმირული ბრძოლები და მზადყოფნა, სიცოცხლე შესწირონ სამშობლოს.

ამ ლექსებიდან რამდენიმე გვაგონებს ვაჟას ლექსებს, სახელდობრ, „მორიგი ჯარის სიმღერა“ — „მხედართ ძველ სიმღერას“ (1904 წ.) — („სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“); და „ნეტა რას სტირი დედილო“ - „ფშაველი ჯარისკაცის წერილს“ (1914 წ.).

„მორიგი ჯარის სიმღერა“. მორიგი ჯარი (რეგულარული) ერეკლემ შემოიღო მე-18 საუკუნის 70-იან წლებში. მეთაური იყო ლეონ ბატონიშვილი. მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ (1781 წ.) თანდათან დაიშალა.

ვაჟას ორივე ლექსი გაცილებით გვიანაა დაწერილი, რაფიელ ერისთავისა – მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. ასე რომ, თუ გავლენაა, ვაჟას განუცდია რაფიელ ერისთავის გავლენა. მაგრამ ასე პირდაპირ საუბარი ცოტა არ იყოს უხერხულია (თუმცა თვითონ ვაჟა მწერალზე სხვის გავლენას სრულიად კანონზომიერ და ნორმალურ მოვლენად თვლიდა: „ჩვენში ძალიან სათა-



კილოდ... მიაჩნიათ მწერალზე სხვის გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიმაჩნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვია კანონი თანდათანობისა“).

ქართველი მებრძოლი, რომელიც სამშობლოსათვის თავგანწირულად იბრძოდა, დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა მტერს. და აი, ყვენს – ჯალათს, რომელიც მის დასჯას აპირებს, ქართველი მებრძოლი ეუბნება, რაც გინდა მიყავი, თუ გინდ, თავი მომჭერი, მხოლოდ ენას ნუ მომჭრიო; სიკვდილის წინ მინდა ქართულად ვილაპარაკო.

რაფიელ ერისთავის ლექსებში ასახულია ქართველების თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ლექსში „მორიგი ჯარის სიმღერა“ (1887 წ.) ქართველი მებრძოლი აღფრთოვანებულია იმით, რომ ჯარში გაიწვიეს ქვეყნის დასაცავად, იგი მზად არის, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს სამშობლოს დასაცავად.

ძნელბედობის ხანებში სამშობლო მოუხმობდა თავის შვილებს. ასეთ დროს შვილმა უნდა დაიცვას და ასახელოს სამშობლო, არავის არ მართებს ტირილი და გლოვა.

რაფიელ ერისთავის პატრიოტული ციკლის ნაწარმოებებს გვირგვინად ადგას ლექსი „სამშობლო ხევსურისა“. აქ ასახულია უბრალო ადამიანის უზომო სიყვარული სამშობლოს, უფრო სწორად, თავისი კუთხისა. ჩინითა და ორდენებით გატაცებული ინტელიგენციის ერთი ნაწილი ადვილად თმობდა სამშობლოს, უცხოეთში ბევრი ივინყებდა ენას და სხვა (გადაგვარებული ქართველები გაკიცხა აკაკი წერეთელმა ლექსში „ღამურა“... ამ გადაგვარებულ ინტელიგენციას უპირისპირდება პრიმიტიული ადამიანი – ხევსური, რომელიც არაფერზე არ გაცვლის თავის საღ და მუდამ თოვლიან-ყინულიან კლდეებს. (ენა და სტილიც რიგითი ხევსურისა... ე.ი. პოეტმა შეუნარჩუნა კოლორიტი).

**სადაც ვშობლივარ, გავზრდილვარ, და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, - ჩემი სამშობლო ის არი.**

**არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის  
სამოთხეზედა!..**

ამით პოეტმა გვიჩვენა საერთოდ ხალხის დიდი სიყვარული ქვეყნისადმი. მაშინ, როდესაც მაღალი კლასის ბევრი წარმომადგენელი (ბევრი და არა ყველა) ჩინ-მედლებსა და კარიერაზე ცვლიდა ერის ინტერესებს, უბრალო, უსწავლელ ადამიანს არ ჰქონდა კარიერისტული მისწრაფებანი, არ ფიქრობდა თანამდებობაზე, მისი ფიქრები უშუალოა, წრფელი (იგი ბუნების შვილია, დედასთან ახლოსაა). სულ სხვაა ჩინ-მედლებს დახარბებული და თანამდებობაზე მეოცნებე ადამიანი. ამისთანების მისამართით ამბობდა ილია: „ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია... ერი ჩაგრული, დაბრმავებული თქვენებრ ჯვრებზედ არ გაგვიყიდა“.

ხალხის ნება, მათი ნაფიქრი, მისწრაფება, წუხილი თუ სიხარული, რომ გადმოსცენ, მწერლებს ხშირად ხალხის შვილები, მეტწილად მთიულები გამოჰყავთ. ასე მოიქცა ილია ლელთ ღუნიას შემოყვანით პერსონაჟად. ლელთ ღუნიას კოლორიტისათვის მისივე კუთხის მეტყველება შეუნარჩუნა (ამით ხაზი გაუსვა მის მთიელობას, უბრალოება-უსწავლელობას). რაც შეეხება რაფიელს, მისი ხევისურის მეტყველება არაა ხევისურული დიალექტი, მაგრამ „მთიულურ კოლორიტს ჰქმნის ფორმა „მირჩვენის“, „არ გაიცვლების“ და სხვა.

[„მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა. რაფიელის „სამშობლო ხევისურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმია, შოვინიზმის სუნი უდისო. სულ სულელი ვუძახე: უნდა მეცემნა, ძლივს გამასწრო...“ (ლალო ასათიანი).]

**მე მირჩენია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს  
ბროლი წყლიანი,  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...**

...

ბარად რომ მომცე დილება, ქონება უთავალავია,  
სასახლე, ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,  
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

...

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლები სხვაზედა,  
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავე თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.  
არ გავცვლი, სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის

სამოთხეზედა!..

(1881 წ.)

არცერთ ერს არ ჰყოლია ალბათ იმდენი მთიული, რამდენიც ქართველ ერს (ასე მცირერიცხოვანს); სვანი, ლეჩხუმელი, ფშაველი, ხევსური, მოხევე, მთიული, თუში... ეს იმიტომ, რომ საქართველო მთიანი ქვეყანაა (70% მთაა). (მაგრამ მთიელები არ ჰყავთ ისეთ მრავალფეროვან ერებს, როგორიცაა რუსი, გერმანელი და სხვა). მთა თავისებური სილამაზე და კოლორიტია (უმთოდ რა იქნებოდა საქართველო?).

მთამ უზარმაზარი როლი ითამაშა საქართველოს დაცვისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებაში. ამიტომაც უყვარს ქართველს მთა. ქართულ ნაწარმოებებში ხშირადაა მოქმედ პირად გამოყენებული მთიელი... არიან მთის მკვიდრი მწერლები: ვაზბეგი, ვაჟა, მირზა გელოვანი, გაბრიელ ჯაბუშანური, ამათ ნაწარმოებებში ხომ მოქმედება თითქმის მთლიანად მთაში ხდება და მოქმედი პირებიც თითქმის მთლიანად მთიელები არიან. ვაჟას ეამაყებოდა თავისი მთიელობა. „კიდეცა მიდულს ვაჟასა მთიური სისხლი ძარღვშია“. ბარად ვერ სძლებდა, სული ეხუთებოდა. გული და თვალი მთისკენ მიუბრუნდა: „თალიც იქ იწევს, გულიცა, იქ რომ მალალი მთებია...“ ბარად ვერ ხურდა, მუზა ეკარგებოდა, მთაში კი თავისთავად მოდიოდა „მწყობრ“ სიტყვები ქალაღზე დასაბერტყადა“. და ვაჟასათვის, ცხადია, ყველაზე გასაგები იქნებოდა ხევსურის სიტყვები: „ბარად რომ მომცე დილება...“ ამი-

ტომაც მოახდინა ამ ლექსმა ვაჟაზე არაჩვეულებრივი გავლენა: ამან გამაბედვინა ფშავური დიალექტით წერაო.

ეროვნულ მოტივს შეეხება რაფიელ ერისთავის ორიგინალური პოემები „ასპინძის ომი“ და „თამარიანი“. ორივე პოემა ისტორიულია.

პირველი ამათგანი, „ასპინძის ომი“, დაწერილია 1880 წელს. პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ იმავე წელს (2). თემად აღებულია მე-18 საუკუნის ისტორიული ეპიზოდი – 1770 წლის 20 აპრილი — ასპინძის ომი. რუსეთმა თავისი საკოლონიზაციო პოლიტიკის განხორციელების მიზნით (ამ დროს რუსეთი ებრძოდა თურქეთს) საქართველოში გამოავაზნა გენერალი ტოტლებენი. 1770 წლის აპრილისათვის ერეკლე და ტოტლებენი შეთანხმდნენ, გაელაშქრათ ახალციხეზე (ახალციხე მაშინ თურქების ხელში იყო). მოულოდნელად ტოტლებენი უკან გაბრუნდა – მეფე ერეკლე მარტო შეება თურქების მრავალრიცხოვან ჯარს და დაამარცხა კიდეც. ამ თემას ეხება ბესიკის პოემა, ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობა, ვახტანგ ორბელიანის „ირაკლი და კოხტა ბელადი“.

ოსტატობის მხრივ ის ძალიან ჩამორჩება რაფიელ ერისთავის ლექსებს. თუმცა ყველა მწერალი ამ ეპიზოდს იყენებს ეროვნულ-პატრიოტული იდეების გადმოსაცემად.

უფრო საყურადღებოა პოემა „თამარიანი“, რომელშიც ასახულია XIII საუკუნის, რუსუდანისა და ლაშა-გიორგის ეპოქა (დაიბეჭდა 1887 წ. ცალკე წიგნად).

რაფიელ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას პოემები, კოტე მესხის ხუთმოქმედებიანი დრამა (იდგმებოდა სცენაზე).

როგორც გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობაში, ისე რაფიელ ერისთავის პოემაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სასიყვარულო ინტრიგებს. ინტიმურ განცდებს, სატრფიალოსამიჯნურო მისწრაფებებს. ბუნებრივია. რაფიელ ერისთავის „თამარიანი“ ხომ გალექსილი „თამარ ბატონიშვილია“ გრიგოლ რჩეულიშვილისა.

რაფიელ ერისთავი ცნობილია როგორც კრილოვის იგავ-არაკთა მთარგმნელი. მთარგმნილი აქვს კრილოვის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი არაკი, რიცხვით 50-მდე. ივ. კრილოვის

პირველი ქართველი მთარგმნელია გრიგოლ ორბელიანი. 1832-33 წლებში ნოვგოროდში თარგმნა სამი არაკი („კატა და ბულ-ბული“, „სოფლელნი და მდინარე“, „ნადირთა ჭირი“).

შემდეგ თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა. 1833 წლის ხელნაწერ „ანთოლოგიაში“ მოათავსა სამი ნიმუში.

1852 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა ლუკა ისარლიშვილის მიერ თარგმნილი 3 არაკი. შემდეგ „ცისკარში“ ხშირად იბეჭდებოდა ლუკა ისარლიშვილის, ივანე კერესელიძის და სხვათა თარგმანები.

ი. კრილოვის იგავ-არაკები ქართულად პირველად გამოვიდა 1876 წ. (მთარგმნელი – მიხეილ ბებუთიშვილი).

შემდეგ გამოუჩნდნენ ისეთი ნიჭიერი მთარგმნელები, როგორებიც იყვნენ რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი.

1878 წ. რაფიელ ერისთავმა გამოსცა კრებული (შევიდა 42 ნიმუში), მეორე გამოცემაში (1881 წ.) დაუმატა 10 (ე.ი. მან სულ თარგმნა 52 იგავი).

აკაკი წერეთელმა თარგმნა 152 იგავ-არაკი (პირველად დაიბეჭდა ცალკე ნიგნად 1891 წ. შემდეგ ბევრჯერ). უთარგმნელი დარჩა კიდევ 40-მდე ნიმუში. ეს ხარვეზი შეივსო, 1944 წ. გამორჩენილი იგავ-არაკები ბრწყინვალედ თარგმნეს იოსებ გრიშაშვილმა და სხვებმა. კრილოვის იგავ-არაკთა თარგმნით რაფიელ ერისთავმა ჩინებული საქმე გააკეთა. მის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ალექსანდრე ხახანაშვილი რაფიელ ერისთავისეულ თარგმანებს შედევრს უწოდებს.

რაფიელ ერისთავი კრილოვის იგავ-არაკებს თავისუფლად ეპყრობა. შეაქვს მათში ქართული სახეები. ზოგჯერ სცილდება დედანს. სამწუხაროდ, ეს დაცვილება ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ შედეგს, რაც თავის დროზე სალიტერატურო კრიტიკამაც აღნიშნა რაფიელ ერისთავმა გალექსა საბა ორბელიანის 15-მდე იგავ-არაკი, აქვს საკუთარი ორიგინალური იგავ-არაკებიც.

1878 წელს დაიბეჭდა „იგავ-არაკნი“, გამოკრებილნი „სიბრძნე-სიცრუიდან“ და გალექსილი რაფიელ ერისთავის მიერ“ და „იგავ-არაკნი კრილოვისა, გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული რუსულიდან ქართულად და გალექსილი რაფ. ერისთავისაგან“.

1881 წ. ხელმეორედ დაიბეჭდა ერთ წიგნად „იგავარაკნი კრილოვისაგან და „სიბრძნე-სიცრუიდან“ გალექსილი რაფ. ერისთავისაგან“.

თავის ორიგინალურ იგავ-არაკებში მწერალი გამოეხმაურა ქართულ სინამდვილეს. მას სამზეოზე გამოაქვს ჩვენი საზოგადოების მთელი რიგი მანკიერი მხარეები. მიუხედავად რიგი სისუსტეებისა, რაფიელ ერისთავს, როგორც იგავთმწერალს, სულხან-საბა ორბელიანისა და აკაკი წერეთლის შემდეგ საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში.

ძალიან ბევრი აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და ნარკვევები (ზოგი ქართულად, ზოგი რუსულად დაწერილი და დაბეჭდილი) – თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, სვანეთზე, სამეგრელოზე... ბევრგან უმუშავია და მთელ საქართველოს იცნობდა.

1884 წ. დაიბეჭდა „მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი,“ რომელიც მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შეეხება. ამავე დროის მისი რედაქტორობით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ („სიტყვის კონა“).

რაფიელ ერისთავი, გარდა ლექსებისა და პოემებისა, წერდა მოთხრობებსა და დრამატულ თხზულებებსაც. რაფიელ ერისთავის პროზა და დრამატურგია არაა ისე მნიშვნელოვანი, როგორც მისი პოეზია, მაგრამ ამათაც გარკვეული მნიშვნელობა ეძლევათ.

რაფიელ ერისთავის პროზაული მემკვიდრეობიდან ჩვენ განვიხილავთ ორ მოთხრობას – „ბეჩავს“ და „ნინოს“.

„ბეჩავი“ რაფიელ ერისთავმა დაწერა რუსულად და გამოაქვეყნა 1855 წელს თბილისში გამოცემულ ალმანახში „ზურნა“. მისი ქართული თარგმანი (შესრულებული ირ. ქაჯუარაძის მიერ) გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ 1755 წ. 5-ში.

მოთხრობაში „ბეჩავი“ მოქმედება მიმდინარეობს ფშავში (სათაურის ქვეშ ფრჩხილებშიც აღნიშნულია – ფშაური ამბავი). მწერალი კარგად იცნობდა ამ მხარეს. როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, ერთხანს (გიმნაზიის დამთავრების პირველ წლებში – 1846-48) რაფიელ ერისთავი მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში.

„ბეჩავში“ მწერალი ამხელს ფშავში გავრცელებულ სისხლის ალების ჩვეულებას. მთიან რაიონებში ძალიან გავრცელებულია შურისძიების ტრადიცია, სისხლის ალების ჩვეულება. საჯარო შეკრებებში, დღეობებში ხშირად მოხდება წაკინკლავება, წაჩხუბება. ასეთი წაკინკლავება მეტწილად ხანჯლების ტრიალით მთავრდება. ერთ რომელიმე მხარეს ადამიანი კვდება. ამის შემდეგ იწყება დაუსრულებელი მტრობა გვარებს შორის. მოკლულის გვარის წევრები ვალდებულად მიიჩნევენ თავს სისხლი აიღონ, შური იძიონ. და ასე გრძელდება დიდხანს. ამას მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი ორივე მხრიდან, იხოცებიან ახალგაზრდები. უფრო ადრე გიორგი ერისთავმა გვიჩვენა ეს ტრადიცია პოემაში „ოსური მოთხრობა“ (1832 წ.) (მოქმედება იქაც მთაში ხდება – ოსეთში, აქაც მთაში — ფშავში).

მერცხალას და ლაშქარას გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი. მათი სიყვარულის ამბავი იცოდა მერცხალას მამამ გამიხარდიმაც. გამიხარდის მოსწონდა ლაშქარა და თანახმა იყო, ქალიშვილი მისთვის მიეთხოვებინა. მაგრამ ამ დროს მოხდა ასეთი რამ: ლაშქარას თემის ერთმა ფშაველმა მოკლა მერცხალას თემის წევრი. გამიხარდიმ შეკრიბა თემის წევრები და მოუწოდა მათ სისხლის ალებისაკენ. — მეო, — განაცხადა მოხუცმა, — მსხვერპლად მიმაქვს ჩემი ხარკი ლაშქარაო (მათი დამოყვრება ამ ამბის შემდეგ არ შეიძლებოდა). ეს ამბავი ლაშქარას შეატყობინეს. მას სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა გაეტაცნა მერცხალა და დროებით მიმალულიყო. ამ გატაცების დროს მერცხალა გახდა გამიხარდის ტყვიის მსხვერპლი (მამამ შეუტყო ახალგაზრდებს, მას უნდა მოეკლა ლაშქარა, მაგრამ მერცხალა აეფარა ვაჟს და ტყვიაც მას მოხვდა). ამის შემდეგ თემის წევრები მიესივნენ ლაშქარას და ჩააქვავეს. ბრძოლის დროს ორივე მხრიდან მრავალი ფშაველი დაეცა.

გამიხარდი ჭკუიდან შეიშალა და მთა-ხევებში დაძრწის. მის სახლ-კარს ჭოტი და სხვა ფრინველები დაეპატრონენ. ლაშქარას დედა (დედის მეტი არავინ ჰყავდა) უპატრონოდ გარდაიცვალა. აი, რა შედეგი მოსდევს სისხლის ალების ჩვეულებას.

მოთხრობაში „ბეჩავი“ ავტორი რამდენადმე ამხელს აგრეთვე ცრუმორწმუნეობას. თუმცა აქ ცრუმორწმუნეობის მძაფრი

კრიტიკა არა გვაქვს, მაგრამ მოთხრობა ამ მხრივაც იქცევის ყურადღებას: ჭკუიდან შეშლილ გამიხარდის სოფლად არავინ იკარებს, არავინ არ იღებს, არ პატრონობს; გამიხარდის ყველა ერიდება. რაშია საქმე? საქმე ისაა, ხალხში გავრცელებულია ასეთი აზრი, რომ სოფლად გამიხარდის გამოჩენას მოაქვს უბედურება. თუ ის სოფლად გამოჩნდა, ან ვინმე მოკვდება, ან სადმე სისხლი დაიღვრება, ან ავადმყოფობა გავრცელდება და სხვა.

მოთხრობა „ნინო“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1857 წელს (1878 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა).

„ნინოში“ აღწერილია თბილისის ცხოვრების ამბები. მთავარი მოქმედი პირები არიან ახალგაზრდა თავადიშვილი ალექსანდრე მერცხალაძე, ნინო სალამაძე და ლევან გორდაძე.

ალექსანდრე თუმცა ღარიბია, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი სიკეთით აღსავსე, უაღრესად ზრდილი და თავდაჭერილი (რამდენადმე ნასწავლიც), ასეთივეა ნინოც – კეთილად აღზრდილი, დედის მორჩილი და გამგონე. ნინოსა და ალექსანდრეს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მათ ქორწინებას წინ აღუდგება ნინოს დედა, მეშჩანი ქალი (ანახანუმის მსგავსი), რომელიც ალექსანდრეს იწუნებს, როგორც ღარიბს. ის ქალიშვილს მიათხოვებს ლევან გორდაძეს. იგი მდიდარი იყო, მაგრამ სამაგიეროდ საშინელი მხეცი და გარყვნილი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ალექსანდრე გაეცლება თბილისს. რამდენიმე წლით სოფელში წავა. ნინო საშინლად იტანჯება ლევანის ხელში. ლევანი დღე-ღამეს ქეიფში ატარებს, მთელი კვირაობით შინ არ გამოჩნდება და როცა მოვა – ყოველთვის გაღეშებული. სრულიად უმიზეზოდ ეჩხუბება ცოლს: ამისდამიუხედავად ნინო მაინც მისი ერთგულია და უსიტყვოდ იტანს ყოველ საყვედურს. ნინო ქმრის ხელში დაავადმყოფდება. ამ დროს მას ინახულებს სოფლიდან დაბრუნებული ალექსანდრე, რომელიც დადგება მისი მამულის გამგებლად. ნინო და ალექსანდრე ტკბილად იგონებენ იმ დღეებს, როდესაც ერთმანეთი უყვარდათ და თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ამასობაში ნინოს ახალი უბედურება ეწვევა: გარდაეცვლება შვილი (ლევანი წამლის მაგიერ ღვინოს დაალევიან და დაათრობს). ამას ისედაც დასუსტებული ქალი ვეღარ გადაიტანს და გარდაიცვლება...



ალექსანდრე ცხენოსანთა ჯარში ჩაენერება მოხალისედ და ჩინებთან ერთ-ერთი შეტაკებისას ტყვიის მსხვერპლი გახდება.

მწერალი ამ მოთხრობით ერთგვარად ილაშქრებს მეშჩანოვის წინააღმდეგ. თბილისის საზოგადოებაში არიან ქალები, რომლებიც ადამიანის ღირსებას სიმდიდრით ზომავენ. ასეთია მაგ., ნინოს დედა, რომელმაც ანგარიში არ გაუწია ქალიშვილის გრძნობებს. იგი ბოლოს მიხვდება თავის დანაშაულს, მაგრამ გვიანაა.

რაფიელ ერისთავი ამ მოთხრობაში გვიხატავს ფუქსავატი, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ახალგაზრდების ჯგუფსაც. ესენი არიან ლევანი და მისი მეგობრები, რომლებიც დროს გარყვნილებასა და ქეიფში ატარებენ. საზოგადოებრივი ცხოვრება ხელს უწყობს ასეთი ტიპების წარმოშობას. ლევანის სახით მწერალმა დახატა გადაგვარების გზაზე დამდგარი ნოდების ტიპური წარმომადგენელი – გარყვნილი, გალოთებული, ფუქსავატი თავადი. იგი გლახთა ხარჯზე ცხოვრობს. სწორედ ამიტომ თქვა ილია ჭავჭავაძემ, რომ რაფიელ ერისთავმა პირველმა დასძრა ენა დრომოჭმულ ბატონყმობის წინააღმდეგო.

რაფიელ ერისთავი მოთხრობით „ნინო“ რამდენადმე ილაშქრებს ცრუმორწმუნეობის, კერძოდ, მკითხაობის წინააღმდეგაც. მოთხრობაში გამოყვანილია მკითხავი, როგორც კუდიანი, თვალთმაქცი, ჟონგლიორი.

ნინო და ალექსანდრე არსებულ უფერულ და მეშჩანურ საზოგადოებაში მოწინავე ადამიანები არიან, მაგრამ მათ არ აქვთ არსებულის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი (ამ მხრივ გვანან ბეგლარსა და ტასოს ("შეშლილი"). თავიანთ ხვედრს ეს ახალგაზრდები უსიტყვოდ ემორჩილებიან (ნინო სურვილის წინააღმდეგ თხოვდება, ხოლო ალექსანდრე სოფელში გადაიკარგება). ისინი სენტიმენტალისტურ ნაწარმოებთა გმირებს გვაგონებენ: მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობენ და გულის ბოლმას მწარე მოთქმაში, ცრემლებში ახშობენ.

მწერალი ქადაგებს თავისუფალი სიყვარულის იდეას. ქალი უნდა გათხოვდეს საკუთარი გულის კარნახით და არა სხვების ჩარევით.

...მოთხრობას „ნინო“ მაღალი შეფასება მისცა ნ. ბერძენოვმა

წერილში („უფრონალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი“), რომელიც გამოაქვეყნა გაზ. „Кавказ“-ში 1857 წელსვე.

ეს იქადაგა გიორგი ერისთავმა „შემლილში“ (1839 წ.), რაფიელ ერისთავმა „წინოში“ (1857 წ.), ლავრენტი არდაზიანმა „მორჩილში“ (1863 წ.) (ქალს ერთი უყვარს და მშობლები სხვაზე უპირებენ გათხოვებას. ამას ცუდი შედეგი მოსდევს).

რაფიელ ერისთავი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, დრამატურგადაც. როგორც დრამატურგი, შედარებით სუსტია, მაგრამ ეს მაინც არ გვათავისუფლებს ვალდებულებისაგან, მისი შემოქმედების ამ მხარესაც მივაქციოთ ყურადღება.

რაფიელ ერისთავის დრამატული მემკვიდრეობა მოცულობით არც ისე მცირეა. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ორგინალური და ნათარგმნი თუ გადმოკეთებული კომედია და ვოდევილი. ორიგინალური დრამატული თხზულებებია:

1. „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა ულელი ხარის უმძლავრესია“; 2. „პარიკმახერისას“; 3. „ადვოკატები“; 4. „ქაჩუა“; 5. „ბრილიანტი“ და 6. „ნათლია და ნათლულები სცენაზე“. ნათარგმნი, ან გადმოკეთებულია შემდეგი:

1. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“; 2. „მბრუნავი სტული“; 3. „იჭვიანი“, 4. „ბიძიასთან გამოხუმრება“; 5. „მასწავლებელი სასოფლო სკოლისა“ და 6. „სადილი მარშლისას“.

რაფიელ ერისთავი არის კომედია-ვოდევილების ოსტატი. ყველა აქ დასახელებული თხზულება ან კომედიაა, ან ვოდევილი, ან ორივე ერთად. მისი კომედია-ვოდევილები თავის დროზე წარმატებით სარგებლობდნენ, მათი მეტი წილი იდგმებოდა კიდევ თბილისის სცენაზე.

რაფიელ ერისთავის კომედია-ვოდევილები რეალისტური თხზულებანია (ამით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან 70-80-იანი წლების სხვა კომედია — ვოდევილებისაგან). ამ კომედიებსა და ვოდევილებში ასახულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილე. მათში დახატულია იმდროინდელი სინამდვილის ცოცხალი სახეები. რაფიელ ერისთავი ცოცხლად, ხორცშესხმულად გვიჩვენებს სხვადასხვა წოდებისა და პროფესიის ადამიანებს თავიანთი მისწრაფებებითა და განცდებით. გვიჩვენებს როგორც

თავადაზნაურობის, ისე ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, აგრეთვე მონიტელიგენტო ადამიანებს, გლეხებს, მსახურებს და სხვა.

გაკვრით უნდა შევეხოთ მის რამდენიმე ორიგინალურ თხზულებას: „დედაკაცმა თუ გაინია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ არის ორმოქმედებიანი კომედია. მთავარი მოქმედი პირია ვაჭარი არტემ დოვლათოვი. დოვლათოვის ქალიშვილს კეკელას და ქართველ მემამულეს გრიგოლ სირმაძეს ერთმანეთი უყვართ. მაგრამ კეკელას მამა წინააღმდეგია მათი ქორწინებისა; წინააღმდეგია იმიტომ, რომ გრიგოლი მას ბედოვლათ ქართველად მიაჩნია და ქალიშვილი უნდა მიათხოვოს ისევე ვინმე ფულიანს. თუ გიორგი ერისთავის ვაჭრებს ქართველ თავადთა სიძეობა უნდათ, ამას აღარა. გასაგებიცაა, მაშინ ბურჟუაზია სუსტი იყო, ძველი კლასი კი ძლიერი. ახლა სხვა სურათია. საქმე მაინც ახალგაზრდების გამარჯვებით მთავრდება – გრიგოლი გაიტაცებს ქალს და არტემ მინაიჩ დოვლათოვი დარჩება პირში ჩალაგამოვლებული.

კომედიაში ცოცხლადაა დახატული არტემ მინაიჩ დოვლათოვი თავისი პრაქტიკული ანგარიშობით. კომედიაში მრავალი ეპიზოდია, სადაც ის დახატულია სასაცილოდ (მაგ. ღამით გვიან ბრუნდება შინ, მაგრამ მოსამსახურე ქალი ხმაზე ვერ იცნობს და კარს არ გაუღებს, ისიც იძულებულია ქუჩაში გაათიოს).

„ადვოკატები“ არის სამმოქმედებიანი კომედია მთავარ მოქმედ პირებად გამოყვანილია გაქნილი ადვოკატები სოლომონ მილოვი და გაბრო მორგვაძე. პირველი წინათ მკურნალი იყო, მაგრამ შემდეგ ადვოკატი გახდა (და გვარიც გამოიცვალა – საპონაშვილის მაგიერ მილოვი დაირქვა), მეორე კი წინათ ხარაზი იყო, შემდეგ ესეც ადვოკატი გახდა. ისინი ურცხვად იღებენ ქრთამს ორივე მხრიდან და საქმეს თავიანთი სურვილისამებრ ატრიალებენ (დამნაშავეს ამართლებენ, მართალს ამტყუნებენ და სხვ.). მათ ერთმანეთს შორის შური და მტრობაც აქვთ. სოლომონ მილოვს სურს შეირთოს ქართველი თავადის სულხან ამაყაძის ქალიშვილი თამარი, მაგრამ თამარს უყვარს თავადი სანდრო ვარსკვლავაძე. ამავე დროს სულხანს სასამართლო საქმე აქვს სოლომონთან. სოლომონი სულხანისაგან აიღებს ფულს, მაგრამ მისი მოპასუხისაგანაც უფრო მეტს აიღებს და საქმეც ამ

უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება. ამის შემდეგ სოლომონი მიდის სულხანთან და ეუბნება: თუ ქალიშვილს შემრთავ, საქმეს მოგაგებინებო. უკანასკნელ სურათებში ირკვევა, რომ თამარს მამის სადავო საქმე მიუხედავად სანდროსთვის და მოუგია ეს საქმე. სოლომონს გაბროს დაბეზლებით იჭერენ (გამოაშვარავდება მისი ავი საქმეები). საბოლოოდ გაქნილი პირები მხილებულნი იქნებიან და ამბავი მთავრდება კეთილის გამარჯვებით. სანდრო და თამარი შეუღლდებიან, სულხანი მათ ლოცავს.

„ბრილიანტი“ ორმოქმედებიანი ტრაგიკომედიაა: გაკოტრებული, გაღარიბებული ვაჭარი ბაღდასარა აღმახოვი მთელ თავის იმედებს ამყარებს ბრილიანტზე, რომელსაც ჰყიდის (ეს ამბავი გაზეთშიც გამოცხადდა). ფუქსავატი, თავქარიანი ახალგაზრდები (მარია თავქროლაძე და ვანო) ასეთ ოინს მოუწყობენ: მარია მისგან 700 მანეთად ბრილიანტს იყიდის და ეტყვის: მე ექიმის (გრიგოლ ნემტაროვის) მეუღლე ვარ, წამომყევი, ფულს ჩემი ქმარი ჩაგაბარებსო. გრიგოლ ნემტაროვი ფსიქიატრია, სულით ავადმყოფთა სახლში მუშაობს. შემოვა მასთან მარია და ეტყვის: ქმარი გამიგიჟდა, სულ ბრილიანტი ელანდება და მას გაიძახისო. შემდეგ ბაღდასარაც შემოვა და გრიგოლს ბრილიანტის ფულის მოთხოვნას დაუწყებს, ექიმს ის გიჟი ჰგონია და სულით ავადმყოფებთან მოათავსებს.

მაგრამ შემდეგ ყველაფერი გაირკვევა: მარიას ბაღდასარას ერთი ნაცნობი დაიჭერს, როდესაც ბრილიანტს ჰყიდდა (ბრილიანტის კოლოფს იცნობს). პოლიციის მოხელე მარიას მიიყვანს ბაღდასარასთან (თან მოიტანენ ბრილიანტს). ახლა მარია წამდვილად გაგიჟდება; ბაღდასარას თავის ბრილიანტიურთ გამოუშვებენ და მის ადგილას მოათავსებენ მარიას (ეს არის ამ კომედიაში ტრაგიკული).

„პარიკმახერისას“ და „ქაჩუა“ ვოდევილებია: პირველში სასაცილო ამბავი აგებულია იმაზე, რომ ვაჟი ქალურადაა გადაცემული და ქალი ჰგონიათ, ხოლო ქალი (მისი შეყვარებული) ვაჟურადაა გადაცემული და ვაჟი ჰგონიათ. მეორეში დახატულია ბედოვლათი, უდარდელი ქართველი ლუარსაბი, მეტსახელად ქაჩუა. აქ სიცვილს ინვევს მისი უდარდელობა და ქაჩუობა.

შინაარსით რაფიელ ერისთავის დრამატული თხზულებანი მაინცდამაინც არაა მდიდარი, მაგრამ ისინი ყურადღებას იქცევენ იმდროინდელი ცოცხალი სახეებით, რეალისტური პერსონაჟებით. მისი კომედიები და ვოდევილები სცენიურნიცაა. რაფიელ ერისთავი თავის დროის სცენას კარგად იცნობდა და თავისი პერსონაჟების როლებს უდარებდა იმდროინდელ არტისტულ ძალებს და სცენის ტექნიკურ შესაძლებლობებს.

რაფიელ ერისთავის კომედია-ვოდევილებს (ყოველშემთხვევაში მათ მეტ წილს) დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

რაფიელ ერისთავი შესანიშნავი საბავშვო პოეტია.

„მიპატიჟება სასწავლებელში“ („ნამოდექით ყმანვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე“...)

„ჯერ შრომა, მერე ხტომა“ — „სწავლობს გიგლა ტიტინა“...)

„ზამთარი“:

ვხედავ ვხედავ, დაგვიზამთრდა,  
მომაგონდა მე, ზამთარი,  
მომაგონდა პანობა,  
მომაგონდა მე სახლკარი.  
მახსოვს, როცა ბაღლი ვიყავ,  
მიხაროდა თოვლის მოსვლა.

„რთველი“:

ყურძენი დამნიფებულა,  
დახე, როგორ ნითლად ღუის,  
ჩქარა, ჩქარა, ~~ჩქარა~~ ჩქარა, თორემ  
კოლო, ბუზი თავს დაჰბზუის.

ლადო ასათიანი წერდა:

„გამო შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!“ მე-19 საუკუნეში არავის აქვს ასეთი რითმები. აქ რაფიელ ერისთავი სწორუბოვარია. კიდევ აქვს იმ დროისათვის – ახალი: მერანი – ვერავინ – ფერავენ, ხირიმი – ჭირი მე და ა.შ.“

## შინაარსი

1832 წლის შეთქმულება. პერიოდული გამოცემები .....	3
სოლომონ დოდაშვილი .....	16
ლიტერატურული მიმდინარეობები .....	30
ალექსანდრე ჭავჭავაძე .....	64
გრიგოლ ორბელიანი .....	151
ნიკოლოზ ბარათაშვილი .....	267
ალექსანდრე ორბელიანი .....	<u>387</u>
ვახტანგ ორბელიანი .....	516
სოლომონ რაზმაძე .....	550
მიხეილ თუმანიშვილი .....	563
გრიგოლ რჩეულიშვილი .....	589
რეალიზმი: გიორგი ერისთავი .....	610
ზურაბ ანტონოვი .....	662
ლაკრენტი არდაზიანი .....	683
რაფიელ ერისთავი .....	707